ნიკოლოზ
მათიკაშვილი

იუნკრები და სხვები

პუბლიცისტიკა
თარგმანი
გამოსვლები
ნოველები
მემუარები
მიმოწერა

თბილისი
2016

© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 2016

Nikoloz Matikashvili
Junkers and Others, Tbilisi, 2016

www. literaturemuseum.ge
ტელ.: +995 32 293-20-45
info@literaturemuseum.ge

გამომცემელი ლაშა ბაქრაძე
შემდგენელ-რედაქტორი ლალი ცომაია
ამკრეფი ელისო კალმახელიძე
დამკაბადონებელი ირინე ამირიძე
ფოტოდამუშავება ირინე ამირიძის, ჯიმშერ იაშვილი
გარეკანის დიზაინი პაატა ნაცვლიშვილი

წიგნი დაიბეჭდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

ISBN 978-9941-9480-1-5

შინაარსი

პაატა ნაცვლიშვილი – უკანასკნელი იუნკერი 7

პუბლიცისტიკა

ქართული პოეზია ბერძნულ ენაზე 17
1921 წლის ქართულ-ბოლშევიკური ომი 21
საბჭოთა რუსეთის და საქართველოს ურთიერთობა სულიერის მხრივ 40
შორეული აღმოსავლეთის პრობლემა კავკასიის ერთა თვალსაზრისით 50
ტაბახმელა 57
პოლონეთის განთავისუფლება და მარშალი პილსუდსკი 64
ემიგრანტობის თხუთმეტი წლის თავზე 70

თარგმანი

პოლკ. ვალერიან თევზაძე – განვლილი გზა 79

გამოსვლები, ნოველები, მემუარები

ქართული მუსიკა 4-5 საათიან რ. გადაცემისთვის და მოხსენებებისთვის პოლონეთში 117
* * * (1907 წლის ზაფხულის ცხელი დღე იყო...) 143
ქართული შაშვი პოლონეთში 146
ჭიაყელა 149
მე და ცხენი 151
ტირიფონის ველზე გაყინული ფარა 153
იუნკრები 162
რა მოუტანა საქართველოს ბოლშევიკთა 65 წლის ოკუპაციამ? 216
* * * (ვარშავაში ყოფნისას გავიგე...) 220
* * * (1990 წლის თიბათვეა...) 223

ილუსტრაცია 229

მიმოწერა

ალექსი გულისაშვილი 263
გიორგი ჩიმაკაძე 266
მიხეილ კვალიაშვილი 270
ლევან მენაბდე 332
ვასილ ფერაძე 333
ალექსანდრე სულხანიშვილი 334
მიხეილ ქავთარაძე 363
ალექსანდრე მანველიშვილი 370
ნიკოლოზ მათიკაშვილი
ალექსანდრე სულხანიშვილს 372
პაატა ნაცვლიშვილს 406
ნატო ციციშვილს 408

კომენტარები/შენიშვნები/საძიებელი

შემდგენელისაგან 411

უკანასკნელი იუნკერი

26 ვარდის თუეს გაუმარჯოს! გაუმარჯოს ქართველ მოდგმას, გაუმარჯოს საქართველოს, რუსთაველის სიყვარულს, თამარის ბრწყინვალებას, ერეკლეს ხმალს, დიდგორის გამარჯვების მეთაურს – დავით IV და შენ გაგიმარჯოს, ძმაო ნიკა!

მიხეილ კვალიაშვილი – ნიკოლოზ მათიკაშვილს (24 მაისი, 1981)

ნიკოლოზ მათიკაშვილის შესახებ მანამდე მსმენოდა, სანამ თბილისში მისი და მიხეილ კვალიაშვილის „იუნკრები" დაიბეჭდებოდა. ეს წიგნიც ხელნაწერში მქონდა წაკითხული და ვალიკო თევზაძის „ქართველი ოფიცრის ჩანაწერებიც", მათიკაშვილისავე ნათარგმნი პოლონურიდან.

ეს ხელნაწერები, უფრო ზუსტად – მათი ქსეროასლები პირველად 1988 წელს სანფრანცისკოში მაჩვენა საშა სულხანიშვილმა და ისიც მითხრა, ორიგინალები მიშა ქავთარაძეს გავუგზავნე დასაბეჭდად საფრანგეთშიო. მიხეილ ქავთარაძესაც იმავე წელს დაებეჭდა ორივე ხელნაწერი თავის ჟურნალ „ივერიაში". 1990-ში, როცა ისევ ჩავედი სანფრანცისკოში საშა სულხანიშვილის საქართველოში ჩამოსაყვანად, ის საჟურნალო პუბლიკაციებიც ვნახე და შეფიცულების გარდა იუნკრებზეც ბევრი ვალაპარაკე ჩემი მასპინძელი. თუმცა მეტნაკლებობით, ყველას და ყველაფერს კახური პირდაპირობით აკრიტიკებდა ძია საშა, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვაში რუსეთთან ერთად ნოე ჟორდანიას, საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, ჯარსა თუ გვარდიას, პოლიტიკურ პარტიებს და ცალკეულ პოლიტიკოსებს, თითქმის მთელ ქართულ ემიგრაციას ადანაშაულებდა, აი, შეფიცულებსა და იუნკრებზე კი ერთი აუგიც არ დასცდენია.

მართლაც, მერე და მერე, რაც უფრო ღრმად ჩავიხედე 1918-1921 წლების საქართველოს მანამდე ჩემთვისაც და სხვისთვისაც დაფარულ ისტორიაში, რაც უფრო კარგად გავიცანი ქართული ემიგრაციის ისტორია და აწმყო, თავადაც დავრწმუნდი: თუ ცალკეულ პიროვნებებზე არ ვისაუბრებთ და სახელმწიფო სტრუქტურების, ინსტიტუციების, პოლიტიკური პარტიებისა და ფორმალური თუ არაფორმალური გაერთიანებების საქმიანობას განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ შეფიცულები და იუნკრები, უფრო ზუსტად – იუნკრები და შეფიცულები იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ის უანგარო პატრიოტები, რომლებიც შორს იდგნენ ყოველგვარი პოლიტიკური თამაშებისგანაც და პარტიული თუ იდეოლოგიური ინტერესებისგანაც.

ნიკოლოზ მათიკაშვილზე მაინც განსაკუთრებული სითბოთი და პატივისცემით ლაპარაკობდა საშა სულხანიშვილი და მისი ეს დამოკიდებულება ყოფილი იუნკრისადმი განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო იმ საერთო კრიტიკის ფონზე, რომელსაც იგი არ იშურებდა თითქმის მთელი ქართული ემიგრაციის მისამართით.

ნიკოლოზ მათიკაშვილის და მისი მეგობრების ნაწერების კითხვისას სურვილი მიჩნდებოდა დროის მანქანას გავყოლოდი და მეც მათთან ერთად მებრძოლა თბილისის მისადგომებთან 1921 წლის თებერვალში. ვინ იცის, საქართველოსათვის გამართული რამდენი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა და ქართველთა თავდადების რამდენი ამბავი წამიკითხავს მანამდე, მაგრამ ეს ყველაზე ახლოს იყო ჩემთან – სივრცითაც, დროითაც და გავლენითაც – თბილისის მისადგომებიც აქვე იყო თავისი კოჯორ-

ტაბახმელით, იქ მებრძოლ გმირთაგან ზოგიერთი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და იმ ომის შედეგებიც ხელშესახები და თვალსაჩინო გახლდათ ქვეყნის ცხოვრებაში.

პირველი, ვინც კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლებთან დამაახლოვა, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი იყო – თბილისის უნივერსიტეტის ლეგენდარული ლექტორი. 1974 თუ 1975 წელი იდგა, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში" ვმუშაობდი და გაზეთის რედაქტორმა ზაალ ჟვანიამ ნიკო კეცხოველთან ინტერვიუს ჩასაწერად გაგზავნა მე და ჩემი მეგობარი ია ხუბაშვილი – დღეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

წინა დღეს პროფესორ ტარიელ კვანჭილაშვილთან ვიყავი სტუმრად და რომ ვუთხარი, ხვალ ნიკო კეცხოველთან მივდივართ-მეთქი, მეც მივდივარ ხვალ მასთან, ჩემი წიგნი უნდა მივართვა, ერთად წავიდეთო. მერე კარგა ხანს მელაპარაკა ნიკო კეცხოველზე. იცი, რატომ აქვს ცალი ხელი დაზიანებულიო? – მკითხა. არ ვიცოდი. თურმე ნიკო კეცხოველი, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ოფიცერი, კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლებში მონაწილეობდა და იქ დაუჭრიათ რუსებს. მართლა ძალიან მენდობოდა ბატონი ტარიელი, თორემ მაშინ ამის თქმა როგორი გასაბედი იყო! ის კი დასძინა, არსად თქვაო. აკი არც მითქვამს დღემდე. ისტორიაში ჩემზე უკეთ ჩახედულმა ია ხუბაშვილმაც მეორე დღეს ისე ჩაიკითხა ჩვენს მიერ მანამდე ერთად შედგენილი კითხვები, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ ნიკო კეცხოველს უფრო საინტერესო ამბების მოყოლა შეეძლო, ვიდრე მისი რექტორობის მართლა საინტერესო პერიპეტიები იყო! მე კი მას ისე ვუყურებდი, როგორც ისტორიიდან ჩვენს თანამედროვეობაში შემოხვევით მოხვედრილ გმირ წინაპარს.

სხვათა შორის, ნიკო კეცხოველს და ნიკოლოზ მათიკაშვილს ერთად უსწავლიათ თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, სანამ ერთი ქართულ ჯარში ჩაეწერებოდა, ხოლო მეორე ჯერ მეტყევიამფრქვეეთა ასეულში წავიდოდა მოხალისედ ძმასთან ერთად, მერე კი იუნკერთა სასწავლებელში გააგრძელებდა სწავლას.

ქართული რეგულარული ჯარის ნაწილები, რომლის შემადგენლობაშიც იბრძოდა მაშინ 24 წლის ნიკო კეცხოველი, მამაცურად იცავდნენ თბილისის მისადგომებს თებერვლის ყინვასა და თოვლში. მათ რამდენჯერმე უკუაქციეს მტერი. ფრონტის ხაზის გარღვევის საშიშროება პირველად მარჯვენა ფლანგზე შექმნილა, სადაც ეროვნული გვარდიის მებრძოლები იდგნენ. საქმეს ვერ შეველოდა გვარდიის სარდლის ვალიკო ჯუღელის პირადი მამაცობა და მაგალითი.

აქეთ მხარეს გადაუსვრიათ სწორედ იუნკრები – თბილისის ორწლიანი სამხედრო სასწავლებლის კურსანტები, იმ დღეს რომ ამოუყვანიათ ფიცხელ ომში. საქართველოს დამოუკიდებლობის ამ უკანასკნელ დამცველთა შორის იყო ნიკოლოზ მათიკაშვილიც.

რას ვიფიქრებდი, თუ ერთ მშვენიერ დღეს ნიკოლოზ მათიკაშვილისაგან წერილს მივიღებდი! კონვერტს პოლონურად და ქართულად ეწერა ჩემი სახელი და გვარი, გაზეთ „სამშობლოს" რედაქციაც სწორად იყო მითითებული, მაგრამ მისამართად გუდიაშვილის №2 ეწერა. როგორც ჩანს, ავტორს წერილის გამოგზავნისას, 1990 წლის 22 ნოემბერს, „სამშობლოსთან" ერთად მაგიდაზე „ლიტერატურული საქართველოს" ნომერიც ედო – სწორედ ამ გაზეთის რედაქცია მდებარეობდა გუდიაშვილის 2 ნომერში. ის ფაქტი, რომ წერილი გუდიაშვილის 2-ში კი არა პირდაპირ რუსთაველის 42-ში მოიტანეს, გაზეთ „სამშობლოს" მაშინდელ პოპულარობაზე მეტყველებს.

წერილი ერცელი არ არის და ჩემს ამ წინასიტყვაობაში მთლიანად გადმოვწერ მას:

„დიდათ პატივცემულო ბატონო პაატა!

ამ ორი თუ სამი კვირის წინათ წავიკითხე „სამშობლოში" თქვენი წერილი, რომ ალექსანდრე სულხანიშვილს სურს საქართველოში დაბრუნება და რომ თქვენ უკეე შეუდექით ამ საქმის მოგვარებას. „სამშობლოს" მორიგი ნომრიდან გავიგე, რომ თქვენი მცდელობით მას ნატვრა აუსრულდა და დღეს ის უკვე საქართველოშია. ამ ცნობამ ისე იმოქმედა ჩემზედ, თითქოს მისი ბედნიერება მე შემეხებოდეს (69 წელია უცხოეთში ვარ).

მადლობას გიხდით ამ ბედნიერების მონიჭებისათვის და ალექსანდრე სულხანიშვილის საქართველოში დაბრუნებისთვის გაწეულ ღვაწლისთვის. ჩვენ, ემიგრანტებს „სამშობლოსა" და „ლიტერატურული საქართველოს" მიერ მოწოდებული დანერილებითი ცნობები საქართველოს დღევანდელი მდგომარეობისა და მის ბრძოლაზე გვაძლევინებს, რაზედაც გულითად მადლობას გითვლით.

ღრმა პატივისცემით ნ. მათიკაშვილი"

როდესაც ეს წერილი მიეიღე, ალექსანდრე სულხანიშვილი უკვე ისტორიის კუთვნილებად იყო ქცეული. საქართველოში დაბრუნებულმა მან სულ 18 დღე იცოცხლა – ნიკოლოზ მათიკაშვილის წერილის დანერამდე 11 დღით ადრე იგი მშობლიური სოფლის, ანყურის თეთრი გიორგის ეკლესიის ეზოში მივაბარეთ მიწას. პოლონეთამდე გაზეთის ახალი ნომერი ჯერ არ მისულიყო.

არ მინდოდა, ეს სამწუხარო ამბავი წერილით მეცნობებინა ძია საშას საქართველოში დაბრუნებით აღფრთოვანებული მისი მეგობრისათვის და – არ ვიცი სწორად მოვიქეცი თუ არა – წერილი უპასუხოდ დავტოვე. მით უმეტეს, რომ მისი თხოვნაც ვერ შევასრულე. ნიკოლოზ მათიკაშვილს ამაეე კონვერტში ალექსანდრე სულხანიშვილისათვის გადასაცემი წერილიც ჩაედო, რომელიც ჩემს არქივში ჩარჩა ადრესატის გარდაცვალების გამო.

აი, ეს წერილიც:

„ძმაო საშა!

გამეხარდა შენი ნატვრის ასრულება და საქართველოში დაბრუნება. „სამშობლოში" მოთავსებულ სურათებიდან ჩანს, რომ სიბერეს ცოტა დაუჯაბნიხარ, მაგრამ მახლობლებთან ყოფნა, საქართველოს ბუნება და მის მიმდინარე მოვლენებში ტრიალი მალე ჯანმრთელობას დაგიბრუნებს და ფეხზე დაგაყენებს.

მოხარული ვიქნები, თუ ძალა შეგწევს და წერილს მომწერ.

შენი მოსიყვარულე ნ. მათიკაშვილი"

თავის დროზე, ამ ოცი წლის წინათ, მე ორიეე ეს წერილი დავებეჭდე წიგნში, რომელიც საშა სულხანიშვილის საქართველოში დაბრუნების პერიპეტიებს ასახავს და რომელსაც „საქართველოს მინა" ჰქვია.

ახლა ეს წერილები შეტანილია ნიკოლოზ მათიკაშვილის ერთტომეულში, რომლისთვისაც იწერება ეს წინასიტყვაობა. ერთტომეული შეადგინა გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის საგამომცემლო განყოფილების ხელმძღვანელმა, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა ლალი ცომაიამ, რომელმაც აქაც ჩვეული გულმოდგინებით მოიძია და საფუძვლიანად შეისწავლა ყველაფერი, რაც დღემდე შემორჩა, ნიკოლოზ მათიკაშვილის ხელიდან გამოსული, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი.

ნიკოლოზ მათიკაშვილის პირადი წერილების გარდა აქ შესულია მისი ნოველები, სტატიები, თარგმანები, მოხსენებები, მოგონებები და უმთავრესი მათ შორის – მიხეილ კვალიაშვილთან ერთად დაწერილი „იუნკრები".

ნიკოლოზ მათიკაშვილი პატარძეულში დაიბადა 1900 წელს. მამამისი ჯერ სოფლის მასწავლებელი იყო, მერე – მღვდელი. პატარძეული ჩემი დედულეთია და დარწმუნებული ვარ, მომავალი იუნკერი და მისი ოჯახი პაპაჩემსაც იცნობდა – ვანო მეხაშვილს, რომელსაც კარგი ვენახები ჰქონია, დიდი ოჯახის პატრონი იყო, მძიმე ცხოვრება გაევლო და რომლის ბიოგრაფიის ერთი ტრაგიკული ეპიზოდი გიორგი ლეონიძეს უკვდავეყო „ნატვრის ხის" ერთ-ერთ მოთხრობაში, „სახელის მილოცვა" რომ ჰქვია:

„ერთი მოიმწყვდიეს ოცთა და ოცდაათთა, მაინც არ გატყდა, არ შეეპოვა! თამარ მეფის მოჯვნაზე მოჰკლეს, მაინც შინ მოვიდა! – ღაღადებდნენ დედაკაცები. მწყემსი შორს, ჯიქიანის საძოერებზე მოეკლათ და ამხანაგებს ხურჯინებით ჩამოეტანათ აკუწული".

ის მწყემსი პაპაჩემის ძმა ყოფილა, „ამხანაგები" კი – პაპაჩემი, მეტი არავინ.

ალბათ სწორედ ამ ამბების შესახებ მივწერდი ნიკოლოზ მათიკაშვილს მეოთხედი საუკუნის წინათ მის წერილზე რომ მეპასუხა. მივწერდი, რომ ლეონიძეების ვენახი პაპაჩემის ვენახის მომიჯნავე იყო. მივწერდი, რომ როცა კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლებს გადარჩენილი იუნკრები ემიგრაციაში ნაიდნენ, მაშინ 42 წლის პაპაჩემს და მის მეუღლეს, მარიამ გილაშვილს სამი გოგონა ჰყოლიათ, ხოლო სამი ბიჭი მის მემუარებში ნახსენები ეპიდემიის მსხვერპლი გამხდარა და რომ ჩემი ორი სრულიად ახალგაზრდა ბიძა სულაც ერთ დღეს გარდაცვლილა ყვავილის ეპიდემიით. რა თქმა უნდა, იმასაც მივწერდი, რომ უკვე ოციან წლებში პაპაჩემს კიდევ სამი შვილი შესძენია – ორი გოგო და ერთი ბიჭი და რომ მათ შორის უფროსი დედაჩემი იყო, ეთერი. 1930 წელს ივანე და მარია, როგორც დედაჩემი იხსენიებდა ხოლმე თავის მშობლებს, თბილისში ჩამოსულან ექიმთან სავიზიტოდ. იმხანად ტფილისში ტრამვაის რამდენიმე ვაგონი მოძრაობდა, ერთი მათგანი გადაბრუნებულა, მაშინდელ ჩერქეზოზე და დიდედა-ჩემი უმსხვერპლია. ჯერ ისედაც როგორი იყო იმ მძიმე წლებში მრავალსულიანი ოჯახის შენახვა და დაქვრივებულ პაპაჩემს მეუღლის დაღუპვის შემდეგ მეტისმეტად გასჭირვებია, მისი ოჯახის საქმე სულ უკან-უკან წასულა. მხსნელად ოჯახს გიორგი ლეონიძე მოევლინა – გამომცხუარ პურს მაინც იყიდიო და, პაპაჩემი მის მიერვე გახსნილი ლიტერატურის მუზეუმის დარაჯად დანიშნა, ხოლო მთე-

ლი მისი ოჯახი თბილისში წამოასხა და მუზეუმისავე შენობაში დააბინავა მამადავითზე. მამადავითზე, ლიტერატურის მუზეუმში დაუზრდია ვანო პაპას დედაჩემი და მისი და-ძმა.

ეს ამბები გამახსენდა, როცა ნიკოლოზ მათიკაშვილის მემუარების იმ ეპიზოდებს ვკითხულობდი, სადაც იგი პატარძეულის ამბებს იგონებს და მცხეთაში ლევან და გოგლა ლეონიძეებთან შეხვედრის შესახებ წერს.

დარწმუნებული ვარ, ამ ყოველივეს აუცილებლად მივწერდი ნიკოლოზ მათიკაშვილს, საშა სულხანიშვილს კიდევ რამდენიმე კვირა რომ მაინც ეცოცხლა, ახლა კი ვზივარ, სხვათაგან გაგონილ ძველ ამბებზე ვფიქრობ და წინასიტყვაობას ვწერ ლიტერატურის მუზეუმში მომზადებული ნიკოლოზ მათიკაშვილის ერთტომეულისათვის, რომლის შემდგენელი ლალი ცომაია შვილი გახლავთ გიორგი ლეონიძის წყალობით ლიტერატურის მუზეუმში გაზრდილი ჩემი უმცროსი დეიდისა, ანიკოსი.

ლეონიძეები და ნიკოლოზ მათიკაშვილიც დეიდაშვილები იყვნენ. „ნატვრის ხის“ ერთი მოთხრობა – „დეიდა მაიკო“ გიორგი ლეონიძემ სწორედ ნიკოლოზ მათიკაშვილის დედას მიუძღვნა, რომელიც ნაადრევად დაქვრივებულა. წვა-დაგვითა და გაჭირვებით დაგვზარდა ოთხი ვაჟიო, – ნიკოლოზ მათიკაშვილი წერს, – ყველას საშუალო განათლება მიგვაღებინაო.

გიორგი ლეონიძე ასე იხსენებს დეიდამისს:

„მახსოვს, ერთხელ მეტად ციოდა. თებერვლის ქარი უბერავდა. დეიდა მაიკო აივანზე გამოსულიყო, მარტოდ დაეგულებინა თავი, ეგონა არავინ ხედავდა.

მაიკომ გახედა ჯერ ისევ თოვლაუღებელ სერებსა და ღელეებს გაღმა, შუბლზე ხელი მიიდო და გასძახა:

– მალე მომიდი, გაზაფხულო, მალე მომიდი, მოგვეწყინა ზამთარი, ხალხს პური გამოელია კიდობანში, მალე მოგვიდი! – და ისე შინაურულად ეძახოდა, ემუდარებოდა გაზაფხულს, როგორც თავის ახლობელსა, თვისტომსა და მეგობარს.

და უცებ მე რომ დამინახა, დაიბნა: დამნაშავესავით მეუბნებოდა:

– რა ვქნა, ბიჭო გოგიავ, უმზეოდ ყოფნა არ შემიძლიან, მომბეზრდა ზამთარი! ახ, ნეტავ სულ ყვაოდეს, სულ მზე იდგეს!..

– ღმერთო მაღალო, ვინ გააჩინა ამდენი სილამაზე! მაგრამ ვინ იცლის მის საყურებლად? აგერ, გზად მგზავრები მოდიან და აბა, თუ შეამჩნიონ ღობეზე გადასული თეთრი ყვავილი ან იგრძნონ მისი სურნელება? ბედშავები!

მგზავრებს თეთრი ყვავილისათვის არ ეცალათ. თბილისიდან მოდიოდნენ დეიდა მაიკოს ნათესავები, თან ომის ამბავი მოჰქონდათ, იმ დღით ომი გამოცხადებულიყო! პირველი მსოფლიო ომი!“

1914-ში ომისთვის ჯერ პატარები იყვნენ მაიკო გულისაშვილის ბიჭები. ისინი უკვე პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ აიღებენ ხელში იარაღს და დამოუკიდებელი საქართველოსათვის ვნველენ საომრად.

ნიკოლოზ მათიკაშვილის ძმები 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობდნენ. ისინი შეუპყრიათ, უწამებიათ და თუმცა მაშინ გადარჩენილან, მაინც ახალგაზრდები გარდაცვლილან მეორე მსოფლიო ომამდე.

ნიკოლოზ მათიკაშვილი თავის ოჯახთან და თანასოფლელებთან ერთად დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს თავის თანასკოლელებს – სიდამონ ერისთავს, რომელიც შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა ეფრემ მეორის სახელით, გრიგოლ ფერაძეს, ნიკო კეცხოველს. დიდი სითბოთი იხსენებს იგი მასწავლებლებსაც – ვასილ ბარნოვს, კორნელი კეკელიძეს, იპოლიტე ვართაგავას, შიო შიუკაშვილს, ანტონ ნატროშვილს, ნიკო სულხანიშვილს, ია კარგარეთელს...

ვასილ ბარნოვი იუნკერთა სასწავლებელში ისტორიასა და ლიტერატურას ასწავლიდა და იგი ერთადერთი არასამხედრო პირი იყო სასწავლებელში.

ნიკოლოზ მათიკაშვილი წერს:

„გვყავდა ერთი ერის კაცი მასწავლებელიც. ეს იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვასილ ბარნოვი. გვიკითხავდა ის ლექციებს ქართულ ისტორიასა და ლიტერატურაზე და თავისი სახოვანი, გულში ჩამწვდომი ქართულით გვინერგავდა სამშობლოს სიყვარულსა და უზომო ერთგულებას“.

2015 წლის 12 თებერვალი თენდება. მე მთელი ღამე ამ ტექსტს ვწერ და ცოტა ხნით აივანზე გავედი. არ შემეძლო, არ გავსულიყავი. ჩემი აივანი მარჯანიშვილის ხიდს გადაჰყურებს – ხიდთან ერთად აქედან ჩანს ელბაქიძის (დ)აღმართიც. ახლა ხიდიც და (დ)აღმართიც უკაცრიელია და ჩაბნელებული. რამდენიმე წუთის წინ კიდევ ერთხელ წავიკითხე მათიკაშვილის მემუარებში, რომ სწორედ ამ გზით ნასულან საბრძოლველად იუნკრები ზუსტად 94 წლის წინათ, 1921 წლის 12 თებერვალს:

„გზა მიხაილოვის გამზირით, ვერის ხიდით, რუსთაველის გამზირით კოჯრისკენ მიემართებოდა. ნინ ცხენზე ამხედრებული პოლკ. ჩხეიძე მიგვიძღოდა თავისი მცირე ამალით, მას სამხედრო ორკესტრი მოსდევდა და მერე – ჩვენ. საიდან გაიგო თბილისის საზოგადოებამ, რომ სწორედ ამ დროს სკოლა ფრონტზე მიდიოდა! ქუჩები სავსე იყო ხალხით, დიდებით და პატარებით, მშობლებით, თანამგრძნობლებით, ნათესავებით. თოფები სმენაზე გექონდა მხარზე აყუდებული. მწყობრის სიზუსტის მოთხოვნილებები საშუალებას არ გვაძლევდა თავი მიგვებრუნებინა და საზოგადოების განწყობილება გაგვეგანილებინა. შიგადაშიგ თვალების მიტრიალებით თუ ვხედავდით, რა ხდებოდა ირგვლივ. ერთი ასეთი გახედვისას ჩვენ მასწავლებელ ვასილ ბარნოვს მოვკარი თვალი. თაეჩალუნული, მინას მიჩერებული, ღრმად ჩაფიქრებული, ჭაღარაწვერიანი, სათვალებიანი, მიჰყვებოდა აზვირთებულ ტალღას. მისი დანახვა ჩვენთვის ჯანღიან დღეში მზის გამოჩენას უდრიდა. რას ფიქრობდა? ალბათ, ერთი მხრივ, გული დარდით ევსებოდა საქართველოს ავბედობის გამო და ეამაყებოდა, რომ მისი აღზრდილი მხედრები სამშობლოს დასაცავად მიემართებოდნენ“.

ნიკოლოზ მათიკაშვილი ისე სურათოვნად აღწერს ომში მიმავალ იუნკერთა სვლას, თითქოს მართლა შენს თვალწინ ხდებოდეს ყველაფერი:

„მუსიკა მხედრულ მელოდიიდან მხედრულზედ გადადიოდა. მუდამ მშვიდი ღენერალი ანდრონიკაშვილი თავისი ამალით, სკოლას წინ მიუძღოდა. უკან პოლკოვნიკ ჩხეიძის ბუხრიანი ქუდი მიქანაობდა. შემდეგ ქვეითი გუნდები, მეზარბაზენი, ცხენოსანნი – ბოლოს ზემდეგი ოდიშელიძე, უკან ნაცვალთა ათასეულის ახალი გუნდები“.

საომრად მიმავალ ნიკო მათიკაშვილს დედამისის ნაცვლად, სხვა დედები ულოცავდნენ გზას. ნიშანდობლივია ნიკოლოზ მათიკაშვილის სიტყვები, როცა იგი ომში მიმავალი შვილების დედებს ბედნიერად რაცხს:

„ვერის დაღმართის დამლევიდან ხალხმა იმატა, აღტაცების და მისალმების ყიჟინი ბედნიერ დედათა, შვილების უკანასკნელ ლიცვასა და ალერსში აირია.

– შვილო!!!

– შენ იცი, როგორ იბრძოლებ სამშობლოსთვის!

– შვილებო! შვილო! – ეალერსებოდნენ ხან შვილს, ხან მის ამხანაგებს.

შვილები და ამხანაგები კი ხალხის პატრიოტული ენტუზიაზმით გულ-აჩუყებულნი, ისევ განაგრძობდნენ მედგრულათ წინსვლას.

არც ერთს მწკრივები არ გამოუმტვრევია; მაგრამ გარეგნულათ, დედის ალერსისათვისაც ყრუთ, აძგერებული გული ლამის საბუდიდგან გადმომხტარიყო“.

ოთახში შემოვბრუნდი და – რა არის მაინც ადრიანი დილა! – ისეთი განცდა მქონდა, თითქოს დეზერტირი ვიყავი, თითქოს მეც იუნკერთა შორის უნდა ვყოფილიყავი, მეც მათთან ერთად უნდა გამევლო ეს ხიდი, მე კი მხოლოდ მზერით ვაცილებდი ომში მიმავალ ჩემს წინაპრებს, რომლებიც სამჯერ ჩემზე უმცროსები იყვნენ!

კიდევ უფრო გამიმძაფრდა ეს განცდა, როცა ქარ-ყინვიანი 25 თებერვლის ბრძოლების და თბილისის დატოვების ამბები წავიკითხე, ნიკოლოზ მათიკაშვილის მიერ აღწერილი:

„უკან დაბრუნებისას მაღალი, გამხდარი, შავწვერ მოშვებული შუა ხნის ვაჟკაცი შეგეხვდა, თოფით ხელში მოწინავე ხაზისკენ მიდიოდა. შეკითხვაზე, თუ ვინ იყო და სად მიდიოდა, გვიპასუხა: „რეზო ვარ გაბაშვილი, დამფუძნებელი კრების წევრი და თბილისიდან თქვენ საშველათ წამოვედიო“.

ლამის სირცხვილით დავინვი, როცა ეს სიტყვები წავიკითხე:

„კოჯრიდან თბილისისკენ მოკლე ბილიკებით დავეშვით. თენდებოდა სოლოლაკში რომ შევედით. ქალაქის ქუჩებში სიჩუმე სუფევდა. შენობები ლილისფერი ჯანღით იყო მოსილი. რომელიღაც ეზოდან ცოცხიანი მეეზოვე გამობარბაცდა. შეკითხვაზე, ჯარებს ხომ არ გაუვლიათო, გვიპასუხა, კარგა ხანია ჩაიარეს და თქვენი სკოლაც შევამჩნიეო. მიედინართ მშივრები, ჩაფიქრებულები, თავში ერთი აზრი გვიტრიალებს. რა მოხდა? რატომ ეტოვებთ თბილისს? ჩვენ ხომ ბრძოლა არ წაგვიგია?“

ხოლო ნიკოლოზ მათიკაშვილის მიერ აღწერილი კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლების ამბები იმდენად შთამბეჭდავი და სახიერია, რომ თითქოს დოკუმენტურ ფილმს უყურებო.

„იუნკრები „შარში“ გაშლილი მირბიან; თავზე ტყვიამფრქვეველები ბზუიან, ყუმბარათა ცეცხლი შინდისიდანვე სდევთ. აქა-იქ დაჭრილ-დახოცილი იუნკრები იჩოქებენ. ყუმბარათა ბოლში სჩანს რაღაც ნაწილები... გამორბიან... მხოლოდ ვიღაც, ვაჟკაცური გამომეტყველებით, წარბ შეუხრელად, ტანში გასწორებული, სიმწრით იქნევს აქა-იქ მათრახს და ნაწილების გაჩერებას ლამობს... ეს გვარ-

დიელებია; იერიშისათვის ვერ გაუძლიათ... ელს ატიტვლებენ... მათრახიანი ჯუღელია, უიმედო სასოწარკვეთილებით თავზარდაცემულ გვარდიელების შეჩერებას ლამობს. იუნკრების დანახვაზე იმედის სხივი უთამაშებს თვალებში. შეებით სუნთქავს, სწამს, საქმე მოგებულია".

ან კიდევ:

„თხელ საზაფხულო ტანისამოსზე იტალიური ფარაჯები გვეცვა, მოლურჯო ნაცრის ფერისა, ქსოვილი ნამდვილი მატყლის მაგიერ, ქიმიურათ რძისგან მიღებული ძაფებით იყო ქსოვილი. არავითარი სითბო იმას არ გააჩნდა, თოვლით, წვიმით და ნესტით ადვილათ იტენთებოდა, განსაკუთრებით დღისით, სანგრებში რომ ვიმყოფებოდით. საღამოობით მზისგან დამდნარი თოვლის გუბეებს, სველი თოვლი ემატებოდა. დაუბერავდა კოჯორის ცივი ქარი, სანგრებს ახალ ახალი მოხვეტილი თოვლით ავსებდა, იქ ჩამდგარ დამდნარ თოვლის გუბეებს და ჩვენ დასველებულ ფარაჯებს გაჰყინავდა. გამხმარი ფიცარივით შემოგეკროდა ტანსა, სახელოებსა და შარვლის ტოტებზე. ცივ ყინულში ჩაჭედილებს მოძრაობა გვიძნელდებოდა, მაგრამ ვუძლებდით ყველა ამას, თვალი არ მოგვიხუჭავს, მტრის ყოველ მოძრაობას დროზე ვამჩნევდით და შესაფერ პასუხს ვაძლევდით. ერთი სიტყვით, ვერავითარი სიძნელე ვერ ასუსტებდა ჩვენ სულისკვეთებას. სიკვდილზე იქ არავის გვიფიქრია, არც შეშინებია. ზუზუნებდნენ ტყვიები, წიოდნენ ირგვლივ ანაფეთქ ყუმბარათა ნაფლეთები, ჩვენ კი სანგარში ჩამალვას ფეხზე დგომას ვარჩევდით. შიგა და შიგ სიმღერაც წამოგვიწყია, წრე შეგვიკრავს და ცეკვაც წამოგვიწყია".

არა, დოკუმენტურ ფილმს უყურებ კი არა, ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს თავად იყავი იმ ბრძოლების მონაწილე, თითქოს შენც გცივა იმ უწვერულ ბიჭებთან ერთად, თითქოს შენც გეყინება სხეული, თითქოს შენს თავზეც წუიან ტყვიები, თითქოს შენც მღერიხარ საომარ სიმღერებს და თითქოს შენც მათთან ერთად ეშვები წაგებული ბრძოლის შემდეგ თბილისისკენ მოკლე ბილიკებით.

მერე იყო ის შეხვედრა ლეონიძეებთან მცხეთაში, რეზო გედევანიშვილის ოჯახში, მერე – ტირიფონის ველი, გაყინული ფარა, წეროვანი, ხაშური, მთავარსარდლის მატარებელი, ბათუმი, აღლუმი:

„ბათუმში გაურკვეველი მდგომარეობა დაგეხვდა. სადგური, ქუჩები, მოედნები სავსე იყო ჯარებით... წესრიგის აღსადგენად და მორალის ასამაღლებლად გენ. კვინიტაძემ აღლუმის ჩატარება ბრძანა. დაფაცურდნენ უფროსები. წესრიგში მოიყვანეს ნაწილები და ერთი მეორის მიყოლებით მის წინ სააღლუმო ნაბიჯით გაიარეს. ნაწილები ვაუკაცურად და სრულფასოვნად გამოიყურებოდნენ. გეგონება, ამ ხალხს ომი კი არ უწარმოებია, აღლუმისთვის ემზადებოდაო... საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე ბათუმში გადაწყვეტილა, რომ მთავრობა საქართველოს ტოვებს, იხიზნება დასავლეთ ევროპაში, სადაც შეეცდება საქართველოს ბოლშეევიკებისგან განთავისუფლებას პოლიტიკური ზომებით. მთავრობას მიჰყვება მთავარსარდალი და პოლიტიკურ მოღვაწეთაგან ვისაც კი საქართველოში დარჩენის შემთხვევაში, რაიმე საფრთხე მოელის. იუნკერთაგან, ვისაც სურვილი აქვს შეუძლია სამშობლო დატოვოს. საზღვარგარეთ მთავრობა ზომებს მიიღებს მათ ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო სასწავლებლებში მოსაწყობად".

იტალიური გემი „მარია" ნაპირს მოშორდა და იუნკრებმა კიდევ ერთხელ მოავლეს სევდიანი მზერა საქართველოს.

„მკრთალი ნათელი შორის მთვარისა, მშობელ ქვეყანას თავს დაჰფენოდა". წამოიწყო სევდიანი ხმით, თითქოს ტირისო, ფარნაოზ ნაცვლიშვილმა თუ მიხაკო კიკნაძემ. ნელ ნელა მწუხარე ხმით გაუბედავათ აჰყვნენ მას სხირტლაძე, რატიშვილი, პატიკო თაყაიშვილი, დათა და ვალოდია ლაღიძეები და სხვებიც".

ამას მოჰყვა რამდენიმეთვიანი გაურკვევლობა ოსმალეთში და 1921 წლის შემოდგომაზე ხუთი ქართველი იუნკერი საფრანგეთში, სენსირის სამხედრო სასწავლებელში გაემგზავრა, ხოლო 13 იუნკერი საბერძნეთს გაიგზავნა და ათენის სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა.

მათ შორის იყო ნიკოლოზ მათიკაშვილიც.

ერთი წლის შემდეგ, როცა საბერძნეთი არეულობამ მოიცვა, ცამეტიდე სტამბულში დაბრუნდა და აქედან პოლონეთს გაემგზავრა, სადაც ისინი სამხედრო სასწავლებლებში ჩარიცხეს. იუნკრებთან ერთად მარშალ პილსუდსკის პოლონეთმა მიიღო ექვსი ქართველი გენერალი, ცხრა პოლკოვნიკი, თერთმეტი მაიორი და ცხრა კაპიტანი.

მათი უმეტესობა მრავალი წლის მანძილზე მსახურობდა პოლონეთის ჯარში და მეორე მსოფლიო ომშიც მონაწილეობდა.

ნიკოლოზ მათიკაშვილი წერს:

„საბედნიეროთ, ყველანი პოლონეთის (პოდხორუნჟების) სკოლამ მიგვიღო, სადაც 1921 წლის მინურულში ჩავედით. აქ დავამთავრეთ სამხედრო სკოლები (ქვეითა ჯარის, ცხენოსანთა, არტილერიის),

ზოგმა, მგონი, 13 კაცმა, მათ შორის მეც, აქაური სამხედრო აკადემია. გერმანელებთან ომისას ყველამ მონაწილეობა მივიღეთ ომებში, გავიღეთ მსხვერპლიც, გადავიტანეთ ტყვეობა გერმანეთში და დაეუბრუნდით პოლონეთს".

ნიკოლოზ მათიკაშვილი – სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მაიორის ჩინით მსახურობდა ლვოვის მე-19 ქვეითთა პოლკში. 1939 წელს მონაწილეობა მიიღო ამ პოლკის ბრძოლებში გერმანელთა წინააღმდეგ ტაქტიკურ ადიუტანტის თანამდებობაზე. ომის შემდეგ გერმანიიდან დაბრუნებული, გაიწვიეს განთავისუფლებული პოლონეთის ჯარში.

„გერმანელებთან ომის დროს ვმსახურობდი პოლკის შტაბის უფროსათ. მივიღე მონაწილეობა დიდ ბრძოლებში, რომლებიც ჩვენმა პოლკმა გაატარა ქ. პლოცკის მიდამოებში. იქ სოფელ დობჟიკოვოს პირველ დაწყებით სკოლაში არსებობს პატარა სამხედრო მუზეუმი, სადაც ინახება პოლონურათ ნაწერი ჩემი მოგონებები პოლკის მიერ გადახდილ ბრძოლებზე".

ნიკოლოზ მათიკაშვილის ერთტომეულში კარგად არის მოთხრობილი პოლონეთში დამკვიდრებულ ქართველ მხედართა საქმიანობა მრავალი წლის მანძილზე. ისინი მათი მეორე სამშობლოს – პოლონეთის სამსახურში იდგნენ და ამავე დროს არც ერთი წუთით არ იეინყებდნენ საქართველოს, ჩამოაყალიბეს ქართველ იუნკერთა კავშირი, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ სხვა ქვეყნებში მიმოფანტულ ქართველებთან, აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული ემიგრაციის ყველა წამოწყებაში, ენეოდნენ მრავალმხრივ კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობას, ჰქონდათ საკუთარი გამოცემა:

„მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოზე ფიქრი არ შეგვიწყვეტია. იუნკრებმა შეექმენით „იუნკერთა კავშირი", დავაარსეთ ჩვენი ჟურნალი „მხედარი" და 1939 წლამდის 15 ნომრის გამოცემა მოვასწარით. „მხედარი" გამოდიოდა ჩვენი სახსრებით, პარიზში. იქ ამ საქმეს ჰპატრონობდა ყოფილი იუნკერი დოლიკა ვაჩნაძე.

წელიწადში ერთხელ ვმართავდით „იუნკერთა კავშირის" კრებას, რომელზედაც გამგეობა აბარებდა ანგარიშს განეულილი წლის მუშაობის შესახებ. კრება ირჩევდა ახალ გამგეობას და ისახავდა ახალ მიზნებს.

განსაკუთრებული ენერგიით მუშაობდნენ და ყველა ახალი გამგეობის წევრები იყვნენ: ვანო ნანუაშვილი, დავით ლაღიძე, ნიკოლოზ მათიკაშვილი. მათ ზურგს უმაგრებდნენ და ყოველმხრივ მუშაობაში ეხმარებოდნენ იუნკრები: მახარაძე, მიხეილ კვალიაშვილი, ფარნაოზ ნაცვლიშვილი, ეიქტორ ლომიძე, პატიკო თაყაიშვილი და სხვანი.

პოლონეთში ცხოვრებისას არც ერთი დღე არ გასულა, რომ საქართველოზე არ გვეფიქროს. გვაინტერესებდა მისი ბედი ბოლშევიკების ხელში, ცნობა კი ადვილი მისაწვდენი არ იყო. პოლონეთს ბოლშევიკურ რუსეთთან კავშირი სრულიათ გაწყვეტილი ჰქონდა, არავითარი გაზეთი, წიგნი იქიდან არ მოდიოდა. ცნობებს ვღებულობდით საფრანგეთში მყოფ ემიგრანტებიდან. ვიცოდით ქართველი ხალხის აჯანყებების შესახებ; ქაქუცასა და შეფიცულთა მოქმედებაზე, ოფიცერთა დიდი ჯგუფის დახერეტაზე. ყველაფერ ამას დიდათ მტკივნეულათ განვიცდიდით. ომის დამთავრების შემდეგ ბოლშევიკების პოლონეთს დაეპატრონნენ და ვითომც პოლონელთა კეთილისმყოფელებმა სახელმწიფოს ბოლშევიკური მშენებლობა დაუწყეს. ასე იყო სამხედრო დარგშიც. თუმცა ჯარს სათავეში ედგა პოლონელი სამხედრო მინისტრი, ფაქტიურათ რუსი გენერლები და რუსული შტაბი ხელმძღვანელობდა. პოლონეთის ჯარში ნამსახური ქართველი აფიცრები დაატუსაღეს. მაიორი მამალაძე კატინში დახვრიტეს, კაპ. რატიშვილი ტყვეთა ბანაკში მოკლეს. ყოფილი იუნკრები იაშვილი, კვალიაშვილი და ციბაძე ციმბირში გადაასახლეს. გრიგორ იაშვილი იქ დაილუპა, კვალიაშვილმა და ციბაძემ ათ-ათი წელიწადი გადასახლებაში გაატარეს. იქიდან დაბრუნებულმა, ჯანმრთელობა დაკარგულებმა დიდი ხანი ვეღარ იცოცხლეს. მე დატუსაღებას გადავურჩი პოლონელი ოფიცრების დახმარებით, რომლებიც ჩემი ნაცნობები გამოდგნენ და რუსულ შტაბს ჩემი გამოყენება შესთავაზეს. მიმიწვიეს შტაბში და ქვეითა ჯართა წრთვნის დარგში დამასაქმეს".

ნიკოლოზ მათიკაშვილის ერთტომეული, მასში გაერთიანებული საკუთრივ მათიკაშვილის თუ მის მიერ თარგმნილი ტექსტები – სტატიები, მიმონერა და მემუარები – მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს პირველი რესპუბლიკის აღსასრულის და ქართული ემიგრაციის პოლონური ისტორიის შესასწავლად. ამ გამოცემაში თავმოყრილია მასალა, რომლის ნაწილი სულაც პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში და, ამდენად, ამ ახალი ცნობების მეშვეობით შესაძლებელი ხდება ქართველი ერის უახლესი ისტორიის არაერთი ფაქტისა თუ მოვლენის დაზუსტება და ახლებურად გააზრება.

პოლონეთში თავისი საქმიანობის სხვადასხვა პერიოდისა და სხვადასხვა ეპიზოდის შესახებ კარგად წერს თავად ნიკოლოზ მათიკაშვილი ლაღი ცომაიას თხოვნით დაწერილ თავის მოკლე ავტობიოგრაფიაში:

„ვარ წევრი პოლონეთის „ორიენტალისტთა" საზოგადოებისა, მათ ჟურნალში მოვათავსე თარგმანები ვაჟა ფშაველას „შელის ნუკრის ნაამბობი" და პოემები „გოგოთურ და აფშინა" და „ძაღლიკა ხიმი-

კაური“. უფრო წინათ პოლონელ პოეტებს გადავეცი ქართველ პოეტთა ბნკარედები ასამდე ლექსისა. მათ ამ ლექსებიდან, ვგონებ, 35 ლექსი დაბეჭდეს წიგნში „საბჭოთა პოეზია“. საფრანგეთში, ვგონებ, რამიშვილის ინიციატივით 1930-იან წლებში მოეწყო სამხედრო კურსები. მე ამ კურსების ხელმძღვანელობა დამაკისრეს და ვატარებდი მათ სამხედრო მომზადებას. ამაში მეხმარებოდა მენშევიკთა ერთ-ერთი თავკაცი მენაღარიშვილი. მსმენელთაგან დამახსოვდა: ჩუბინიძის, კვიტაიშვილის, მგელაძის, ბერიშვილის გვარები. მსმენელთა რიცხვი 10-12 კაცი იყო. სწავლება თითქმის ერთ წელიწადს გრძელდებოდა“.

თითქოს ამის გაგრძელებაა ფრაგმენტი საშა სულხანიშვილისადმი გაგზავნილი წერილიდან:

„საქართველოში სამჯერ ვიყავი ძმასთან და ძმისწულთან. პირველათ გოგლა ლეონიძის დახმარებით ჩავედი. ჩემი დეიდაშვილია, გავლენიანი კაცი იყო და დიდი დაფასება ჰქონდა. ამ ავათმყოფობის ხანაში ვაჟას პოემების თარგმანს შევუდექი პოლონურ ენაზე. ვეცდები, წიგნათ დავაბეჭდვინო. თარგმანს ამ 2-3 თვეში დავამთავრებ. საქართველოდან ვღებულობ: „ლიტერატურულ საქართველოს“, „სამშობლოს“, „მნათობს“ და „ცისკარს“.

ცალკე უნდა ითქვას ერთტომეულში ჩართულ ფოტოებზე, რომელთა ნაწილი ასევე პირველად ქვეყნდება და რომლებიც ასეთი რუდუნებით უგროვებია შემდგენელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის არქივებსა თუ კერძო კოლექციებში.

ხაზგასასმელია ამ გამოცემის სისრულე და მისი აკადემიურობა, რაც საერთოდ დამახასიათებელია ლალი ცომაიასთვის, ესოდენ თვალსაჩინოდ რომ გამოვლინდა ჯერ კიდევ მის წინა ნაშრომში – გრიგოლ რობაქიძის მონუმენტურ ხუთტომეულში.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ერთტომეულის შემდგენელი პირადად იცნობდა ნიკოლოზ მათიკაშვილს. 1990 წლის 26 ივნისს ლალი ცომაია ციცი ბუქურაულთან ერთად პოლონეთში, ზალესიე-დოლნეში ეწვია 89 წლის ქართველ ემიგრანტს და მისი არქივის ერთი ნაწილიც წამოიღო საქართველოში. გარდა ამისა, საქართველოდან ჩასულ სტუმართა თხოვნით, ნიკოლოზ მათიკაშვილმა დაწერა თავისი მოკლე ბიოგრაფია, რომელიც მთლიანად იბეჭდება მის ერთტომეულში და რომლის ფრაგმენტები მეც გამოვიყენე ამ ჩემს წინასიტყვაობაში.

ერთტომეულის ავტორისა და შემდგენლის შეხვედრამდე სამი წლით ადრე ნიკოლოზ მათიკაშვილი წერდა:

„86 წელს გადაცილებული „უკანასკნელი უბიხივით“ მარტოკა ვარ პოლონეთში და მოვალეთ ვთელი ჩემ თავს ჩემი თანამემამულეების არსებობის, შრომის, ოცნების, ჩატარებული ბრძოლების და დაღუპვის კვალი დავტოვო, რომ მომავალმა თაობებმა დავიწყებას არ მისცენ ჩვენი მწარე ბედი და საკუთარ გულში ჩახედვით გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები. მოგონებაში არ მომიხსენებია დაღუპულ ქართველ აფიცერთა ოჯახები, მათი დაობლებული ცოლშვილი. ისინი მრავლათ არიან მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნებში მიმობნეულნი, ქართველობა არ დაუკარგავთ და გული განთავისუფლებულ სამშობლოს მოსნრების გრძნობით უცემთ“.

„უკანასკნელი უბიხივით“ მარტო დარჩენილმა 93 წლის იუნკერმა ღირსეულად აღასრულა თავისი ვალი – დატოვა ამბავი მისი თანამებრძოლების არსებობის, შრომის, ოცნების, ჩატარებული ბრძოლებისა და დაღუპვისა, რათა მომავალ თაობებს არ დაავიწყდეთ მათი მწარე ბედი.

ხოლო შესაბამისი დასკვნები „საკუთარ გულში ჩახედვით“ ჩვენ უნდა გამოვიტანოთ.

პაატა ნაცვლიშვილი

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის

ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი

ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

12 თებერვალი, 2015

პუბლიცისტიკა

ქართული პოეზია ბერძნულ ენაზე

წერილი ათინიდან

გიორგი ლეონიძემ ათინიდან მიიღო წერილი ბ-ნ ნიკოლოზ მათიკაშვილისაგან იმ ქართულ ლიტერატურულ ნაშთების შესახებ, რომელიც აღმოჩენილა ქ. ათინაში.

„შემთხვევით ერთ-ერთ ძველ ბერძნულ გაზეთში წავაწყდი შოთა რუსთაველის ბიოგრაფიას და მის ლექსებს არაბულიდან პროზათ ნათარგმნს, რომლებსაც ათავსებდა ვინმე კ. ტრიკოლგიდისი.

ჩვენ მოვძებნეთ ეს კაცი და გამოვკითხეთ, თუ საიდან და რომელ წყაროდან გამონახა ესენი. ან იცის რამე კიდევ სხვა ძველ ქართულ მწერლობაზედ თუ არა?

მან სიტყვა-სიტყვით გვიპასუხა: „ეგვიპტეში ყოფნის დროს, ჩემმა მასწავლებელმა მაჩუქა ერთი არაბული წიგნი, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო და რომელიც შეიცავს აღმოსავლეთის ერების ცნობილ მგოსანთა ნაწარმოებს. თუ რომელ საუკუნეშია წიგნი გამოცემული, ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ ეტყობა ძალიან ძველი უნდა იყოსო. ამ წიგნში მოთავსებულია შოთას ორი ლექსი: „ურნი სამოთხისა“ და „სიმღერა“ მისივე მოკლე ბიოგრაფიით, რომელშიაც სწერია, რომ შოთა იყო თამარ მეფის მთავარ სარდალი, რომ ის გადიცვალა და დამარხულია ქალ. თბილისშიო.

შოთას ლექსებთან არის ორი უცნობ ქართველი პოეტის ლექსი: „ერთი ამბორისთვის“ და „ჩვენი სიყვარული“.

ჩვენ თხოვნაზედ, რომ ეჩვენებინა, ან მოეყიდნა ის წიგნი, გვიპასუხა, რომ შეუძლებელია ამოტელა წიგნებში (რაც მე მაქვს) მისი პოვნაო და თქვენ თხოვნას ვერ აგისრულებთო. როგორც ეტყობა ბევრი ფული უნდა და ამისათვის აძნელებს საქმეს.

ეს ზემო ჩამოთვლილი ლექსები ქართულიდან არაბულზედ ლექსათ ნათარგმნი, იქიდან ბერძნულზედ და შემდეგ ქართულზედ პროზათ გადმონათარგმნი, რაღა თქმა უნდა სულ დაჰკარგავდნენ თავის ღირებულებას, მაგრამ მაინც იქნება კიდევ შერჩენოდეს რაიმე ფასი, ვინაიდან რამდენადაც მე ვიცი, ესენი ქართულზედ არ მოგვეპოვება.

აი ისინიც თარგმნა პ. აბულაძემ:

ურნი სამოთხისა

(შოთასი)

პროფიტის სამოთხეში არიან ასულნი
შექმნილნი ღვთის მიერ და საჩუქრად რჩეულთა,
რომლებიც დედა მიწაზედ მიყვებიან მის კანონს.
და ამ ასულთ ჰქვიან ურნი.
ყოველ დღე, განუწყვეტლივ იწვიან მწველ ხვევნაში
დაუსრულებელ სურვილს, რომელშიაც კვლავ იშვება
სურნელება მათი სიქალწულისა.

ქართული პოეზია გერმანულ ენაზე.

წერილი პან ნიკოლოზ მათიკაშვილისა.

გთხოვეთ ლუბლიდან თითქოდან მილი

წერილი პან ნიკოლოზ მათიკაშვილისაგან ამ ქართული ლიტერატურის ისტორიის წერილებისა. ეს ნაწერები შეიცავს ლიტერატურის ისტორიას ქართველ ერისას ქართველ ერისა. ამ ნაწერებში ქართველ ერისა ლიტერატურის ისტორი

და ყოველ რიჟრაჟზედ, შემომქმედის მშვენიერებიდან
ახლათ პოულობენ თავის საუკეთესო ტროფისათვის
ახალ სიქალწულეს.
სიქალწულეს გულისას, რომელსაც არა ყვარებია
სიქალწულეს აზრისა, რომელმაც არა იცის რა სიყვარულისა
სიქალწულეს ტანისა, რომელიც არ შეუპყრია მოგონებას
გუშინდელი ტკბობისა.
გუშინწინ ღამეს სიზმარი ჩემი გააოქროვა ამა სამოთხის
მზემ და თვალებმა ჩემმა, ვით შენ, სიზმარი ერთი სიზმრისა
იხილეს ის ასული, რომელთაც ეწოდებათ ურნი.
ო! რა მშვენივრები იყვნენ ასულნი და
იყვნენ თეთრნი ყვავილნი, ვარსკვლავნი, სხივები, სურნელებანი
და რძე და თოვლი და სარო ტანი
და რადგან შენ გემსგავსებოდნენ ყველანი, მათ ახლო
მთელს საათს განვიცდიდი ტკბობას, რომელიც ყოველ წუთს
განახლებულათ იშვება და რომელსაც პროფიტი თავის რჩეულთ,
შენ გემსგავსებიან უსაყვარლესო ჩემო, მაგრამ არც ერთს არ ჰქონდა
თავის ტანში სხივები შენი, არც მოთენთილი მხრები შენი,
არც შეთოვლილი შენი ყელი, არც რძის ფერი მკერდი შენი,
არც ერთს არ ჰქონდა ტუჩებში სურნელება შენი ვარდისფერ ბაგეებისა
არც ერთს არ ჰქონდა ვარსკვლავნი, რომელნიც შუქს აფრქვევენ შენ თვალებში.
არც ერთი არ იყო ასული, ვითარცა შენ:
არც ერთმა არ იცოდა ალერსი, როგორც ალერსობ შენ
არც ერთი, არც ერთი არ იყო ისეთი რომ განეეახლებინე
როგორც შენ, მწველო ხვევნავ სავსე შარბათით!
საკუთარი სულთქმა შენი რად შეუპყრია მოგონებას.
ჩვენი შორეული ხვევნა ტრფობისა და გული შენი ხშირათ
იგონებს, თუ როგორ შემიყვარე მე, და ტანი შენი შეუპყრია
ხსოვნას ჩვენი გუშინდელ ამბორისა და იცდის იმ წუთს,
ვით დააფრქვიოს ბაგეში სურნელება ყველა ძველი ჩვენი
ამბორისა, ამისთვის ჩემი სამოთხე არის აქ მიწაზე
შენ ჩრდილში, და სიყვარული მიღირს უფრო მეტათ,
ვიდრე სამოთხის ურნი.

სიმღერა

(შოთასი)

რად ამბობ და იმეორებ, რომ გსურს გამშორდე
სად ხარ შენ მშვენიერო ვით მზე, რომელიც ამოდის,
მზე ხომ არას დროს ესვენება და ანათებს მსოფლიოს.
რომ მეცხოვრა მთლად შესუდრულს შენს სხივებში,
მაინც სიხარულით შევირხეოდი ეკალთა შორის
და დავწყეველიდი ჩემს სულს იმ დღეს, როცა
თვალები ჩემი გადაჰკარგავდნენ თავის წინ შენ შუქს.

ერთი ამბორისთვის

(უცნობი ქართვ. პოეტისა)

ერთი შენი ამბორისთვის ჩემო ყველავ,
შენ ფერხთ ქვეშ გავაფენდი მთელს საუკუნეს ჩემი სულისას,
რომ მქონოდა მთელი სამყარო ჩემს მფლობელობაში
მთლად მსხვერპლად შევსწირავდი შენ საკუთარ სიყვარულს
და შენი სინარნარის ჩემ სევდასთან შეერთებას.
ოხ, რა ძნელია ფიქრი, რომ არ ძალგიძს შეუერთდე არსს,
რომელსაც ეტრფი.
ერთი ამბორისთვის, რომელსაც შენ მოგართმევდი
ჩემო ყველავ შენ ფეხთ ქვეშ დავაფენდი მთელ საუნჯეს ჩემი სულისას.
არ არსებობს უფრო შავი ტანჯვა, ვიდრე უიმედო სიყვარული
და აუსრულებელი სურვილი. მოგონება მღალავს და მოაქვს სიცხე.
ოხ, მოდი სატრფოვ ჩემო, მოქანცული ვლოდინობ და ვთრთი.
მოდი სიხარულის შუქით, და აღირსე ჩემს ხელებს,
რომ შეეხონ შენს ფერხთა ტერფის კიდეებს.
ერთი შენი ამბორისთვის რომ მიმელო შენი ბაგეებიდან,
ჩემო ყველავ, დავაფენდი შენ ფერხთ ქვეშ მთელ საუნჯეს ჩემი სულისას.
აჰაი უბედური გული ჩემი კვალათ ემსახურება შენ
გაცივებულ ტრფიალს, და არ იცის სიყვარული, ვით
საადი ვრჩები დაძირული სიმწარეში და ნაღველში.
მაგრამ ჩემი დაუსრულებელი სურვილი კვალად დარჩება,
ესე არს დაწერილი ბედისაგან.
ერთი ამბორისთვის, რომ მღირსებოდა სატრფოს ბაგეთგან,
მის ფერხთ ქვეშ დავაფენდი მთელ საუკუნეს ჩემი სულისას.

ჩვენი ტრფობა

(უცნობი ქართველი პოეტის)

დავამწყვდიე სული ჩემი ერთ მშვენიერ ვარდში.
და ვეღარ ვიხილე ეს ვარდი, ვიცრემლე მთელი ღამე
მე მან მაგრძნობინა, რომ სურვილი
ჩემი იყო მისი საკუთარი სურვილი
მაგრამ დავმალე ტრფობა ჩემი სულის სიღრმეში,
განკურნებანი და სინარნარენი იფრქვევიან მის შავ თვალებში,
ვით წყარო, აღელვებენ ჩემ უამრავ ტკბილ გრძნობებს.
თუ სად არის ჩემთვის წყარო ყრმობისა – ტრფობა მისი;
ეს ტრფობა დამალული მაქვს სულის ფსკერზედ.

ქ. ათინა
[1922]

1921 წლის ქართულ-ბოლშევიკური ომი[1]

ბატონებო! მოგეხსენებათ, რომ დღევანდელი შეგნებით, ომი არის უკანასკნელი საშუალება სახელმწიფოს მიერ სასიცოცხლო ინტერესების დაცვისათვის. იარაღს ეძლევა ხმა, როდესაც სხვა საშუალება უნაყოფო ხდება ამ ინტერესების დასაცავად. ომი მთელი ერის ბრძოლაა, და იგი მოითხოვს მისი მთელი ძალების დაჭიმვას, როგორც ფიზიკური, ისე მატერიალურისას, ძალების დაჭიმვა უორგანიზაციოდ წარმოუდგენელია, შეუძლებელია შესაფერი აპარატის აუმუშავებლივ. ფიზიკურ--მატერიალური სამზადისის გარდა, ომის მოგებისათვის აუცილებელია თვით სურვილი ამა თუ იმ ერის მიერ თავგანწირვითი ბრძოლის შესახებ; ცოცხალი ძალა მიზანშეწონილად დარაზმული, მატერიალურ საჭიროებათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფა და პატრიოტიზმით გამსჭვალული ძლიერი სული, – სამი ეს პირობა ქვაკუთხედია და აუცილებლობაა ბრძოლის წარმოებისათვის.

არის კიდევ ერთი პირობა, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, ხშირად გადამწყვეტიც, – ესაა სივრცისა და ნიადაგის ზეგავლენა ნაწარმოებ ოპერაციებზე. თუ აღნიშნული პირობანი დაცული არიან, თუ ერს ჰყავს დარაზმული და მომზადებული ძალა, მატერიალური საშუალებანი, გამარჯვების სურვილი და სივრცის ხელსაყრელი პირობები, მას დამშვიდებით შეუძლია მნვაეე საკითხების გადაჭრა იარაღს მიანდოს; გამარჯვების შანსები სრულია და მხოლოდ ერთ შემთხვევაშია საეჭვო – თუ ოპერაციები ნაწარმოებ იქმნენ უნიჭოდ, ომის ხელმძღვანელის, მთავარ სარდლის მიერ; ყველაფერი ეს ცხადია იმ შემთხვევაში, თუ მონინააღმდეგე იმავე პირობათა სამზადისის მხრივ ჩვენზე არ პირველობს.

არის ისეთი შემთხვევა, როდესაც სარდლის განსაკუთრებულ ნიჭს შეუძლია შეავსოს ნაკლი ომის ამა თუ იმ პირობებში, მაგრამ აქ არსებობს ერთგვარი საზღვარი, რომლის იქით ნიჭი უძლურია.

1921 წელში ჩვენ ვაწარმოეთ ომი ბოლშევიკებთან. ომი წავაგეთ და ამ მოვლენამ, ერთი მხრივ, საქართველო დღევანდელ ტრაღედიამდე მიიყვანა, და მეორე მხრივ, ჩვენ დამსწრენი და მონაწილენი ჩვენი ერის ისტორიის უბედურებისა, სამშობლოს მოგვწყვიტა.

ყოველი ომი იძლევა მრავალ გაკვეთილს მომავალისათვის. ყოველ მოგებულ ომშიაც ადამიანი იპოვნის უამრავ ნაკლს, რომლის შესწავლა და ახალ ომებში აცილება ახალ გამარჯვებათა საფუძველი ხდება. ნაკლი და შეცდომა ბუნებრივად მეტია ნაგებულ ომში და მით უფრო მეტია მათი შესწავლიდან გამომდინარე გაკვეთილები.

მართალია, საქართველოს, ისედაც გამოცდილებით მდიდარს, აღარ სჭიროდა ახალი გამოცდილება, მაგრამ მოხდა და სამხედრო მეცნიერების ვალია, ნაგებული ომის დაწვრილებითი გადაჩხრეკით, თავიდან აიცილოს მომავალში მაინც იქ დაშვებული შეცდომანი.

ნაგებული ომის ხანიდან თითქმის 12 წელიწადის მანძილი საკმაო გარანტიაა იმისათვის, რომ საკითხის გაშუქების დროს შევსძლოთ დავიცვათ მეცნიერული ობიექტიურობა, სხვანაირად ომის ანალიზსა და აქედან გამომდინარე დასკვნებს პრაქტიკული ხასიათი არ ექნებოდა.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი 1921 წლის ომის საბოლოო განხილვა და დაწვრილებითი, ყოველ მხრივი გარჩევა იმ მასალებით, რომელიც დღეს აქ მოგვეპოება, ძნელია, საჭიროა მეტი წყაროები, რომელიც უნდა გამოინახოს, დაგროვდეს ან შეიქმნას.

---

[1] მოხსენება ნაკითხული ქ. ვარშავაში 6.XI.1931 (ავტ.).

ვამბობ, შეიქმნას, ვინაიდან ჩვენს ემიგრაციაში დაგროვილია თითქმის ყველა ის ხალხი, ვინც მთელი ეს ხანა საკუთარ ზურგზე გადაიტანა. მათი მოგონებანი ქართული ისტორიის შესწავლისათვის ფასდაუდებელ მასალად გადაიქცევიან. იმედია, ემიგრაცია ამ მხრივ საქართველოს წინაშე თავის ვალს მოიხდის. დღეს მე ვსდგამ მხოლოდ პირველ ნაბიჯს – სუსტ ნაბიჯს, რომელსაც ალბად მოჰყვება მზგავსი შრომების მთელი რიგი, მზგავსივე მიზნებით.

როგორც ზემოდ ვსთქვი, ომის წარმოების ხანას წინ უძღვის მეორე ხანა, ხანა მომზადებისა. აღვნიშნე, რა კავშირი არსებობს მათ შორის და გადავალ ეხლა ერთისა და მეორის განხილვაზე და მათ ურთიერთ გავლენაზე 1921 წლის ომის დროს.

ჯერ განვიხილოთ ჩვენი მომზადების დონე – ფიზიკურ-ორგანიზაციული, მატერიალური, სულიერი და აგრეთვე სივრცის მხრივ: –

მომზადება ფიზიკურის მხრივ: –

სქემა №1

ქართული ჯარის ორგანიზაცია 1919 წ. შტატების მიხედვით: –

სამხედრო მინისტრი

სამხედრო მინისტრის პირადი განყოფილება
სამხედრო სამინისტროს კანცელარია
ტოპოგრაფიული განყოფილება.

სამხედრო საბჭო: სამნეო განყოფილება:

საბიუჯეტო
სასურსათო
საბარგო-სანივთო
ტექნიკური
საარტილერიო
სასანიტარო
საბეითლო
ბინათა
კანცელარია.

სამხედრო სამინისტრო განყოფილებანი:

ტფილისის სადარაჯო ათასეული
სანაპირო რაზმები (სოხუმი, ფოთი, ახალციხე, შულავერი, ტფილისი, დუშეთი).

გენერალური შტაბის განყოფილებანი:
საოპერაციო სექცია: –

სამწყობრო
სამობილიზაციო
მზვერავი
სამხედრო მიმოსვლის და კავშირის განყოფილებანი.
საზღვაო სექცია: –
არხივის წიგნთსაცავი
სამხედრო აღრიცხვის ნაწილი
სამხედრო ატაშეები
კანცელარია
სამი საარმიო ბრიგადა.
ბრიგადაში:
ოთხი ქვეითი ათასეული
ერთი არტილერიის დივიზიონი.
მცირე გუნდები:
კავშირის
დამზვერავის

უმწყობრო
მესაკრავეთა.
საარმიო არტილერიის დივიზიონი:
სამ-დიუმიანი საველე ბატარეა
მძიმე ექვს-დიუმიანი ბატარეა
48 ცენტ. 4 ზარბაზანი.
ცხენოსანი რაზმი:
ოთხი ესკადრონი (ერთი ტყვიისმფრქეველის) და სასწავლო, კავშირის, მესანგრეთა, მესაკრავეთა.
მესანგრეთა ათასეული:
მესანგრეთა ორი გუნდი
სატელეგრაფო ორი გუნდი.
ავტომობილთა გუნდი:
ავტომობილთა სამი მწყობრი
ერთი ჯავშნოსანი მწყობრი.
საავიაციო გუნდი:
საავიაციო გუნდი
სამხედრო საავიაციო სკოლა.
რადიო-ტელეგრაფის გუნდი:
ორი მუდმივი სადგური
ორი საველე სადგური
ერთი პარკი.
სამხედრო სკოლა:
იუნკერთა გუნდი
ნაცვალთა ათასეული.
განყოფილებანი:
ქვეითი
ცხენოსანი
არტილერიის
საინჟენერო.

წინამდებარე სქემა თვალწინ გიშლით ქართული ჯარის 1919 წლის ორგანიზაციას. როგორც ხედავთ, საქართველოს ჯარს შეადგენდა საკმაოდ გაშლილი სამხედრო სამინისტრო და მისი დაწესებულებანი. 3 ქვეითი ბრიგადა თითო საარტილერიო დივიზიონით, 6 სანაპირო რაზმი, ტფილისის სადარაჯო ათასეული, საარმიო საარტილერიო დივიზიონი, მესანგრეთა ათასეული, ცხენოსანი რაზმი, ავტომობილთა გუნდი, საავიაციო გუნდი და რადიოტელეგრაფის გუნდი.

იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მომეპოვება, ჯარში დაახლოებით იმყოფებოდა: –

1181 ოფიცერი და მოხელე, 13.167 ვადის ჯარისკაცი, 587 ნებით და ზედმეტ-მსახური ჯარისკაცი.

აქედან ხაზში იყო: – 1870 ოფიცერი და მოხელე, 13.425 ვადის ჯარისკაცი, 486 ზედმეტ და ნებით მსახური ჯარისკაცი; სამხედრო სამინისტროსა და მის დაწესებულებებში 301 ოფიცერი და მოხელე, 742 ვად. ჯარისკაცი, 101 ზედმეტ და ნებით მსახური ჯარისკაცი.

გენერალ მაზნიაშვილის ცნობით, ჯარის საერთო რიცხვი აღწევდა 20.000-სს; ამ რიცხვში, ზემოდ-ჩამოთვლილ ნაწილების გარდა, მას შეჰყავს კიდევ 1 ცხენოსანი ლეგიონი, ერთი საავტომობილო ასეული და 4 ჯავშნიანი მატარებელი. ვგონებ, ეს გვარდიის ნაწილები არიან.

რაც გვარდიას შეეხება, იგი მოწყობილი იყო ათასეულებად და მათი რიცხვი ომის დროს 33-მდის უნდა აწეულიყო.

რაც ეხება ჯარის მობილიზაციას და მობილიზაციურ აპარატს, ეს იმავე 1919 წლის შტატების კანონებში გათვალისწინებულია; ამ კანონების თანახმად ჯარი ომის დროს უნდა გასამებულიყო. ასე რომ 12 ათასეული გადაიქცეოდა 36-ად, რაც გვარდიის 23 ათასეულთან ერთად 50-55 ათას კაცს მოგვცემდა. ამ კანონებში ერთი მუხლიცაა, სადაც ნათქვამია: – „თუ სამშობლო განსაცდელშია, კანონმდებელ ორგანოს შეუძლია გამოიწვიოს ჯარში რესპუბლიკის ყველა მოქალაქენი ჩვიდმეტიდან 55 წლამდის“. ეს კანონი უხინჯოა და მომავლისათვის შეუსწორებლივ

გამოგვადგება; იმ პირობებში კი, რაც ჩვენ 1921 წელს შეგვექმნა, ეს იყო მხოლოდ სიტყვები. სამობილიზაციო აპარატი ასეთი მობილიზაციისათვის მომზადებული არ იყო.

ამნაირად, მობილიზაციის წესიერად ჩატარებისა და დამთავრების შემთხვევაში ჩვენ შეგვეძლო გამოგვეყვანა ზემოდ-აღნიშნული რიცხვი: – 50-55 ათასი კაცი. ეს რიცხვი სახეში უნდა ჰქონოდა შინაგან საქმეთა მინისტრს, ნოე რამიშვილს, როდესაც იგი აცხადებდა: – „რა მომენტშიაც მოითხოვს საჭიროება, მე მზადა მყავს 60 ათასი კაციო"-ო. ეს რიცხვი წერილობითი საბუთებიდგან სიმართლესთან ახლოა, ხოლო მისი განხორციელებისათვის ჩვენ პირობებში საჭირო იყო 15-20 დღე.

ამგვარად, მშვიდობიან დროს ჩვენ გვყავდა 20.000 კაცი, რაც ომის დროს შეგვეძლო გაგვეზარდა 55 ათას კაცად. აქ უნდა აღინიშნოს, რომ საქმის ასეთი დაყენებით, ესე იგი ჯარის 36 ათასეულად და გვარდიის 23 ათასეულად გაზრდის სამზადისით და თვით მშვიდობიან დროის ჯარისკაცთა რიცხოვანობის მხრივ, ბევრად სუსტნი ვართ იმაზე, რაც ჩვენ შეგვეძლო.

1919 წელში გაწევემ მოგვცა 19.000 ახალგაზრდა, 1920-ში – 21.000. საქართველოს რომ ორწლიანი სამსახური ჰქონოდა, როგორც ეს მრავალ ქვეყანაშია, მაშინ ჯარში მსახურთა რიცხვში გვეყოლებოდა $13^1/_2$ ათასის მაგიერ 40 ათასი, ე. ი. $2^1/_2$-ჯერ მეტი.

საყოველთაოდ მიღებულია, რომ მობილიზაციის შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია თოფ ქვეშ დააყენოს თავის მცხოვრებთა 10-12 პროცენტი. მაშასადამე, ჩვენ ჩვენი ორ-მილიონიან მცხოვრებლებზე, სამობილიზაციო აპარატი უნდა მოგვეწყო არა 55 ათასი კაცისათვის, არამედ 200.000 კაცისათვის აქაც 4-ჯერ ვისუსტებთ თავს საკუთარი ნებით.

მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. ისიც, რაც გაგვაჩნია, არ არის საღ საფუძველზე დაყრდნობილი, ჩვენი პროგნოზები ამბობს: – „საქართველოს შეიარაღებულ ძალას შეადგენს ჯარი და გვარდია"; „გვარდია განსაკუთრებული კანონების მიხედვით მოეწყობა". ამ კანონით ქართული შეიარაღებული ძალა გავაორეთ. ერთ-ერთი მხარისათვის მეტი ჟურადღებისა და სიმპატიის მიპყრობით ჩამოვაგდეთ მათ შორის ერთგვარი უკმაყოფილება და როდესაც ამ უკმაყოფილებაში ერთის მხარე დავიჭირეთ, მეორეში დავბადეთ უნდობლობა თვით ხელმძღვანელ აპარატისადმი: ამით გაიზარდა აპარატის უკვე აღნიშნული უნდობლობაც ჯარისადმი. იქმნება ერთგვარი, ეროვნული თვალსაზრისით, უარყოფითი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ჯარსა და ხალხს შორის სულიერი კავშირი სწყდება. ჯარი აღარ არის საკუთარი ერის მიერ მის საამაყო ნაწილად, ეროვნული ამპარტავნობის მატარებელად, სამშობლოს მუდმივ გუშაგად. ცნობილი გვარდია თავისი ამხანაგური, ადვილად ასატანი დისციპლინით პოპულიარული და ხალხისათვის მიმზიდველი ხდება და საქმის ასე დაყენების დროს აღარ არის ის მჭიდრო, მხედრული ორგანიზაცია, რომელმაც გაჭირვების დროს უნდა შეისუბუთოს ერის ყველა მებრძოლი ელემენტი და სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიყვანოს!

რომელია ეს ორგანიზაცია? ჯარი თუ გვარდია? რომელმა მათგანმა უნდა დაიცვას ერი, მისი ქონება და მისი ხელმძღვანელები. თუ ჯარმა, რად ვაკლებთ მას ღირსეულ ზრუნვას? რატომ არ ვცდილობთ შევაყვაროთ იგი ერს, და წინაუკმოდ? თუ გვარდიამ, მაშ რაღა შუაშია ჯარი?

შეიარაღებულ ძალთა ასეთი ორგანიზაციის წყალობით შესუსტდა თვით ამ ძალთა და მაშასადამე მთელი ერის მხედრული დარაზმულობა. ჯარს წაერთვა საშუალება ერის სიმპატიის დამსახურებისა და სულიერად მომაგრებისა!

როგორ შეიძლებოდა ჩვენში ჯარის ორგანიზაციის საკითხის დაყენება, რათა აგვეშორებინა ყველა ზემოდ-ჩამოთვლილი ნაკლი და ერის მთელი ფიზიკური შემძლეობა გამოგვეყენებინა? სამხედრო დარაზმულობა ისე ძველია და იმდენჯერ ნაცადი, რომ ახალი ფორმების ძიება უბრალო დროს დაკარგვა იქნებოდა.

ჩვენ შეგვეძლო არჩევანის წინ დაგვეყენებინა ჯარის ორგანიზაციის ორი ფორმა: ეს არის ჯარის მონყობა მილიციის სახით ან რეგულიარული ფორმით. არავითარი ორი მეთოდის ნარევი დადებით შედეგებს არ იძლევა. განსხვავება მილიციურსა და რეგულიარულ ფორმებს შორის შემდეგია: – მილიციური სისტემის დროს არ არსებობს მუდმივი ჯარი. მოქალაქენი გადიან სამხედრო მომზადებას სამხედრო კურსებზე და განმეორებით კურსებზე. ჯარი იარაღ-ქვეშ სდგება შეიარაღებული კონფლიქტის მოლოდინში. ასეთი მეთოდი, მართალია, მთელი ერის ფეხზე დაყენების საშუალებას იძლევა, მაგრამ ჯერ ერთი, ამას შეუძლია სახელმწიფო დააყენოს უცაბედი საფრთხის წინ, მოუმზადებელი, შემდეგ, იგი არ ჯდება სხვა ორგანიზაციებზე ნაკლები და რაც ყველაზე უმთავრესია, არ იძლევა საკმაოდ მომზადებულ და დისციპლინით აღჭურვილ ჯარს.

რეგულიარული მეთოდით, ყოველი მოქალაქე იხდის სამხედრო ბეგარას ჯარში, შემდეგ გადადის თადარიგში და ცხადდება განმეორებით მოწვეებზე.

ის ჯარისკაცნი, რომელნიც იხდიან ბეგარას ჯარში, ადგენენ მუდმივ რეგულიარულ ჯარს, რომელიც მუდამ მზადაა მტრის ასალაგმად, არის დისციპლინით მოცული და მომზადებული.

ჯარის ორგანიზაციის ეს ფორმა დღემდე საუკეთესოდ არის ცნობილი ყოველგან და ასეთად ჩაითვლება ჩვენთვისაც, ოღონდ რომ სარბიელი გაეხსნას ქართულ სულში ბუნებით თანდაყოლილ მხედრულ მისწრაფებებს, საჭიროა აგრეთვე საყოველთაოდ და სავალდებულოდ ვსცნოთ მშვიდობიან მცხოვრებთ დარაზმულობა და მომზადებაც. ერთის პირობით ოღონდ, რომ ეს საკითხი მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ჯართანეე, ჯარისვე ხელმძღვანელობის ქვეშ და ჩათვლილი იქნება მოსამზადებელ საფეხურად და გამასრულმყოფელ საშუალებად მხედრულ სამსახურისათვის. ეს სამსახური კი მოხდილ უნდა იქმნეს მხოლოდ და მხოლოდ ჯარში, ერთ ჯარში, ქართულ ჯარში. ამნაირად შეიქმნება ძლიერი მხედრული დარაზმულობა, ერთი დარაზმულობა; ჯარი, მხედრული სახის, თუ სასპორტო საზოგადოებანი, შეიქმნებიან ერთ ერთეულად, ერთ სხეულად. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია ერს ომი მიიღოს, ანარმოოს და კიდეც მოიგოს. ყოველგვარი დაქუცმაცება ქართული სიძლიერის, როგორც ჯარი და გვარდია ან ფედერალისტების, ნაციონალისტების თუ სხვათა ნაწილები, ვერავითარ ლოღიკას ვერ ეგუებიან. ჯარი და ერი ერთია. ჯარის ვარგისობა ეროვნული ვარგისობის საუკეთესო მაჩვენებელია. ომისათვის ერის მომზადება თვით ჯარსა თუ მის გარედ, მთლიანი, ერთი საკითხია, თხოულობს ერთ მუშაობის გეგმას, ერთ აღზრდის მეთოდს, ერთ უფროსობას და ერთ ხელმძღვანელობას. ყოველგვარად სხვანაირ საქმის დაყენებაზე სამუდამოდ ხელი უნდა აგვაღებინოს ჩვენი ჯარისა და გვარდიის ერთად არსებობის და ამისაგან გამომდინარე ნაკლის მაგალითებმა.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ომი ძალთა გამოცდაა მთელი ერისა და არა მისი რომელიმე ნაწილის, და ორგანიზაციაც შეიარაღებულ ძალთათვის უნდა შეიქმნას ისეთი, რომელიც ერს მისცემს საშუალებას ყველა თავისი ძალები გამოიყენოს. ეს კი, როგორც დავინახეთ ზევით, ჩვენი ფიზიკური მომზადების ანალიზიდან, გვაკლდა. გვაკლდა იმ შემთხვევაშიაც, თუ სამობილიზაციო აპარატი ზუსტად იმოქმედებდა და რა იქნება, თუ ამ აპარატმაც იმტყუნა? ამას ვნახავთ ქვემოდ.

სამზადისი მასალთა მომზადების მხრივ. რანაირი იყო ჩვენი სამზადისი მასალათა მომზადების მხრივ? ამ საკითხზე ორგვარი, ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობებია. ერთი,ეს ცნობები გამოაშკარავებულია უკვე წაგებული ომის შემდეგ. ამის შესახებ გენერალი მაზნიაშვილი, რომელიც ბოლშევიკებმა სამნეო კომიტეტის უფროსად დანიშნეს და ჯარის შედგენა მიანდვეს, ამბობს: – „უკვე 1921 წლის მაისში მე შევძელი შემოსვა თავიდგან ფეხებამდის 17.000 კაცისაგან შემდგარ ქართულ წითელი არმიისა“-ო. „საქართველოს საბჭოთა მთავრობა ორი კვირა ჰკვებავდა უფასოდ მთელი ქალაქის მცხოვრებლებს სამინისტროს საწყობებიდან“-ო. „როდესაც დ. ჭავჭავაძე რეკვიზიციით ჰკრეფდა დანჯღრეულ უნაგირებს, ნავთლულის საწყობებში იყო რამოდენიმე ათასი საკავალერიო ახალი უნაგირი და ცხენების სხვა მრავალი მოწყობილობა“-ო.


გარდა მაზნიაშვილის მიერ ჩამოთვლილ ქონებისა, როგორც ირკვევა ბოლშევიკურ პრესიდან ან სხვა წყაროებიდან, ქართველი კომუნისტები უგზავნიდენ ვაგონობით სურსათს დამშეულ მოსკოვს – საჩუქრად ქართველ პროლეტართაგან! შემდეგ, ქუთაისში, გვარდიელების საწყობებში ჩარჩენილა 300 ახალი ტყვიამფრქვევი, ტფილისის არსენალში აღმოჩენილა 450 ყუმბარათმტყორცნელი თავისი ყუმბარებითურთ და უამრავი ხელის-ყუმბარები (ვითომც 100.000).

მეორე ცნობა, ესაა სამხედრო მინისტრის ამხანაგის, გენერალ ოდიშელიძის მოხსენება, წარდგენილი 1921 წლის 3 იანვარს, სამხედრო საბჭოსა და სამხედრო მინისტრისადმი.

ამ დოკუმენტში, მას შემდეგ, რაც აღნიშნულია ბოლშევიკებთან შეხლის სიახლოვის ნიშნები, ჩამოთვლილია ზომები, რომელთა მიღებასაც მდგომარეობა უკარნახებს.

მასალაზე ნათქვამია: – ზემოაღნიშნული რიცხვის (60.000) ჯარისკაცის ფეხზე დასაყენებლად საჭიროა შეძენილ იქმნეს მოკაზმულობა და იარაღი 40-45 ათასი კაცისათვის, სანოვაგე 100-120 ათას კაცისა და 15.000 ცხენისათვის ერთი თვის ულუფა.

„სამხედრო მასალებში უნდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საარტილერიო ყუმბარებს, რომლის მარაგი გამოიხატება შეზღუდულ რიცხვებში. ზევით აღვნიშნე ცხენებისა და საბარგულების მნიშვნელობა ჯართა მოძრაობისათვის. ცხენების შეძენის სიძნელეთა გამო მე-2-ე და მე-3-ე ხარისხის საბარგულეებისათვის უნდა შემოვიღოთ ხარები და ამნაირად განთავისუფ-



გენერალი გიორგი მაზნიაშვილი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, თბილისი).

ლებული ცხენები მოვიხმაროთ არტილერიისა და ცხენოსანი ჯარისათვის. საჭიროა შეძენილ იქმნას ნავთი რკინისგზათა მოძრაობის უზრუნველსაყოფად. შეძენილ იქმნას ტელეფონის აპარატები და მასალა, ყუმბარათ მზიდავი ჰაეროპლანები და ბენზინი მათი და ავტომობილების საჭიროებისათვის“ – და სხვა.

ეს ორი დოკუმენტი ერთმანეთს ეწინააღმდეგება იმ მხრივ, რომ ერთი მასალათა მდგომარეობას, ომის წინ, აღნიშნავს დამაკმაყოფილებლად. გენ. მაზნიაშვილი დასძენს მხოლოდ, რომ ყველა ეს გამოირკვა ომის შემდეგ და ამაზე არ იცოდენ და ვერ მოიხმარესო.

თავისი წიგნის 168 გვერდზე კი ამბობს: – „მალე გამოირკვა, რომ საინტენდანტო საწყობშიაც არ იყო საკმარი ტანისამოსი და მოკაზმულობა და რაც უმთავრესია თოფები“.

პრაქტიკულად ბოლოს-და-ბოლოს ორივე დოკუმენტს ერთი მნიშვნელობა აქვს: ორკვეა, რომ ომის სამზადისს მატერიალურის მხრივ ბევრი რამ აკლდა; და ის, რაც იყო, ვერ გამოვიყენეთ.

აღსანიშნავი კია, რომ რევოლუციის შემდეგ საქართველოში ჩარჩა მილიონიან კავკასიის ფრონტის მთელი ზურგი და მოწყობილობა. ბევრი, ცხადია, 1918-21 წლამდე ომებში დაიხარჯა, მაგრამ მაინც უნდა შეგვძლებოდა 1921-ის ომიც უკეთესი სამზადისით მიგვეღო.

როგორი იყო ეხლა სულიერი დონე ომისათვის მომზადებისა? ვიდრე ამ კითხვას გავაშუქებდე, საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო ომისათვის სულიერი სიძლიერის მნიშვნელობა. არ მივმართავ არც იაპონიის, არც უკანასკნელი შანხაის მაგალითებს. ნაგიკითხავთ ერთი ეპიზოდის შესახებ ჩვენივე ისტორიიდან, ქართველ იუნკერთა წარსულიდან: –

„სკოლა შინდისში ისვენებდა. მის ნაცელად ტაბახმელას, გვარდიისა და ჯარის ნაწილები იცავდენ – არც ცოტანი: მე-10 ათასეულის ნაწილები, მე-2 გვარდიელების გუნდი, მე-5 ათასეული და კიდევ სხვა ნაწილები. კოჯორთან მიწოლილმა მტერმა, ტაბახმელაზე მოინდომა მოკლე მანძილით ტფილისისაკენ დაშვება. გამეხებული შეტაკებებით მრავალი უკუგდებული იერიშის შემდეგ მაინც წინ წამოიწია, ზოგიერთ ადგილას შემოამტვრია და შტაბსა და ზარბაზნებს დაემუქრა. საკითხის გადასაჭრელად იუნკრები საჭირონი გახდენ და ფარნაოზი ანდრონიკაშვილის ბრძანებით შინდისში ჩხეიძესთან ცხენს მიაჭენებდა.

„სკოლა ამოიყვანეთ საჩქაროდ ტაბახმელაზე, გვარდიელები იერიშს ვერ გაუძლებენ“.

სკოლა დაიძრა.

გზაში კიდევ მოვიდა ბრძანება: „აჩქარდით, ფრონტი გაირღვა! დაყარეთ ყველაფერი, ვაზნების გარდა, სწრაფად წინ! – გაისმა პოლკოვნიკ ჩხეიძის ფოლადისებური ხმა“.

„იუნკრები „შარში“ გაშლილი მირბიან; თავზე ტყვიამფრქვეველები ბზუიან, ყუმბარათა ცეცხლი შინდისიდანვე სდევთ. აქა-იქ დაჭრილ-დახოცილი იუნკრები იჩოქებენ. ყუმბარათა ბოლში სჩანს რაღაც ნაწილები... გამორბიან... მხოლოდ ვილაც, ვაჟკაცური გამომეტყველებით, წარბ შეუხრელად, ტანში გასწორებული, სიმწრით იქნევს აქა-იქ მათრახს და ნაწილების გაჩერებას ლამობს... ეს გვარდიელებია; იერიშისათვის ვერ გაუძლიათ... ველს ატიტვლებენ... მათრახიანი ჯუღელია, უიმედო სასოწარკვეთილებით თავზარდაცემულ გვარდიელების შეჩერებას ლამობს. იუნკრების დანახვაზე იმედის სხივი უთამაშებს თვალებში. შვებით სუნთქავს, სწამს, საქმე მოგებულია“.

„ვაშა! გრიალებენ იუნკერთა მწკრივები... ვაშა! და იმ წუთში ჯუღელი თავისათა სცნეს, ქართველად, პატრიოტად. – ვაშა! გრიალებდენ თავზარდამცემი გაბედულობით და იერიშები იმ წუთში

მხოლოდ ჯუღელის ხათრით, გვარდიელებსა და ბოლშევიკებზე თანაბრად მიჰქონდათ. გვარდიელები მათმა ტალღამ წინ წაიღო. ხაზი აღდგენილ იქმნა. იუნკრების სული შთაენერგა ტაბახმელის სხვა ჯარებსაც; ყველა საღამომდე განუწყვეტლივ მონატანი იერიშები მოგერიებულ იქმნა. მტერი დაზარალდა, საღამოსთვის მთლად მიჩუმდა და სადღაც შორს დაიხია... ტაბახმელა მინყნარდა. ღამე იუნკერთა წრედან გაპქონდათ 25 გვამი, ტფილისისაკენ კი მიგორავდა 4 მტრის საველე ზარბაზანი და 1 დაზიანებული ჯავშნოსანი, უკან დაგლეჯილი ტყვეები მისდევდენ".

ვგონებ აქ განმარტება ზედმეტია, ტაბახმელაზე სხვა არა იმარჯვებდა რა, თუ არა სული, მაგრამ რა ხდებოდა ირგვლივ, უკვე ზემოდ აღვნიშნე, თუ როგორ შეიზლუდა ჯარში სულიერი ამაღლების შესაძლებლობა. თვით ხალხიც არ იყო ყოველთვის ლოიალური. საქართველომ მოკლე ხანის არსებობაში ჩააქრო აჯანყებანი ლეჩხუმში, ოსეთში, დუშეთში, ახალციხეში, ლაგოდეხში. ამათგან, ცხადია, მრავალს ბოლშევიკებს ვუმადლით, ზოგს შეიძლება ეროვნულ თავმოყვარეობის სიმებზე თამაშს, მაგრამ დამეთანხმებით: დიდი სიღრმის სული არ ამოძრავებდათ იმ გვარდიელებს, რომლებზედაც ზევით წაგიკითხეთ ან რომლებზედაც მაზნიაშვილი შემდეგსა სწერს: –

სომხის ომში: „მართალია, გვარდიელებმა დღისით დაიჭირეს მაღლობები და მტერს წაართვეს ტყვიისმფრქვეველები, მაგრამ საღამოზედ თავის ნებით მიანებეს თავი დაჭერილ პოზიციებს და უკან სოფელში დაბრუნდენ. ესევე გაიმეორეს 24 დეკემბერს".

ახალციხის აჯანყებაში: „10 თებერვალს სახალხო გვარდიას ათასეული რიცხვით 2.500 კაცამდის დავტოვე როგორც მონინავე რაზმი სოფლის დასაცავად. შუაღამისას გვარდიის ნანილებმა მიატოვეს პოზიციები და ტყის ბილიკებით უკან იხევენ".

1921 წელს: „ხაშურელებმა როგორც კი გაიგონეს თოფის ხმა, გორის გვარდიის ლიუნეტკით მიანებეს თავი მშვენივრად მოწყობილსა და სრულიად ახალს ლიუნეტს და სამარცხვინოდ თბილისისაკენ გაიქცნენ (ეს იმ ღამეს იყო, როდესაც მაზნიაშვილმა 1.600 ტყვე იგდო ხელში). იმავე წელში ჯიჯიხია ტანკების შიშით თავისი გვარდიით ტფილისს აშიშვლებს. გორთან, ნაცვლად შეტევისა, გვარდიელების პოზიციებიდან მოხსნის გამო, ჯარები იხევენ. სურამზე მათიეე მიზეზით ფეხის მოკიდება ვერ მოხერხდა"...

რაშია საქმე? სად იყო ძლიერი ნებისყოფა თავგანწირვით ბრძოლისა? სად იყო სურვილი სამშობლოსათვის თავდადებისა? სად არის ასობით თუ ათასობით მტერს შემკვდარი გვამები? რამ გაატარა მტერი ერთ თვეში ტფილისიდან ბათუმამდე, თოვლსა და ყინვებში?

გამოვტყდეთ, რომ იმ დროს, საქართველოში, ჩვენი ქვეყნის ორგვარი პროგრესი გეწამდა.

ერთთა შეხედულებით, ბედნიერება გამოიხატებოდა საერთაშორისო შედეულებასა – ეროვნულ თავმოყვარეობათა შენელებასა და სხვა ექსპერიმენტებში.

მეორეთა შეხედულებით, ერის კეთილდღეობა თვით ერის მიერ საკუთარი კერის მოწყობის, საკუთარი ცხოვრების პირობათა გაუმჯობესობასა და გასრულყოფილებაშია. თანამუშაობა მსოფლიოს სხვა ერებთან არც აქ არის უარყოფილი, მაგრამ, თუ პირველი გაგებით, სიტყვა „სამშობლო" უგულოდ იხსენიება, მეორენი მას ყოველგვარი საქმიანობის ფუძედ სთელიან. როდესაც საკითხი სდგება სამშობლოს არსებობისა და გინდა მტერთან ბრძოლაში შეკლულთა გვამების რიცხვისა, როდესაც ლაპარაკია ერის მიერ თავდაცვის წარმოების სურვილზე, ჯერ უნდა ვიკითხოთ: სწამთ მათ, რომ ეს საჭიროა? მზად არიან ამ რწმენას თავი შესწირონ? იციან ამ ორ პროგრესში რომელი ამჯობინონ? თუ არა, ნუ მოელით ნურც დიდ თავდადებას, ნურც მსხვერპლთა რიცხვს. ამის ნიმუშადაც საქართველოს 1921 წლის ომი გვეყოფა!

როგორღა იყო ნიადაგისა და სივრცის პირობები ომის წარმოებისა? იყო თუ არა ის სწორედ შეფასებული? საქართველო იმ დროს გარშემორტყმულია სამი მხრივ რუსეთისაგან და ერთი მხრივ თურქებისაგან. მე-11 ლაშქარის უფროსის მოხსენებიდან ცხადია, რუსები დღე-დღეზე ომს დაიწყებენ. ოსმალების მიზნები გამოურკვეველია. ასეთ მდგომარეობაში მტერს შეუძლია შემოიჭრას შავი-ზღვის პირით ქუთაისისაკენ. მთელი აღმოსავლეთის საზღვარის სიგრძეზე ჩრდილოეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ტფილისისაკენ. ბოლოს, პირველ შემთხვევისათანავე, თურქები დაიძვრიან ახალციხესა და ბათუმზე.

ყველა ამ მიმართულებით ერთი და იმავე დროს გადამწყვეტი ომის მიცემა არ შეგვიძლია, მტერი უნდა ვამარცხოთ რიგ-რიგად, თანაც არ შეიძლება არც ერთი ჩამოთვლილი მიმართულებით მტრის ღრმად შემოშვება. სივრცის სიცოტავე და მნიშვნელოვან ცენტრების საზღვრებთან სიახლოვე ამის საშუალებას არ იძლევა, რიგ-რიგობით მტრის დამარცხება ანუ ფრონტის შიგნით ტრიალი მაშ გაძნელებულია და ერთ შემთხვევაში კიდევ შესაძლებელი: თუ მოვახერხეთ იმდენი

ჯარის შეკრება, რომ დავიფაროთ ყველა ზემოხსენებული მიმართულება, თანაც რიგ-რიგობით, გადამწყვეტ ადგილას მოვაგროვოთ მტერზე უპირატესი ძალები.

მდგომარეობის სწორედ ასეთი შეფასება და საჭირო ზომებზე მითითება ჩვენდა საბედნიეროდ 1921 წელს იყო.

აი რას ამბობდა ამაზე თავის მოხსენებაში გენ. ოდიშელიძე 1921 წლის სამ იანვარს:

„საბჭოთა რუსეთის განზრახვანი ჩვენი რესპუბლიკისადმი სრულიად ირკვევა ერთის მხრივ ჩემს მიერ ზემოდ აღნიშნულ მე-11 ლაშქარის უფროსის გეკერის მოხსენებიდან, მეორეს მხრივ, ჩვენი გარეშე საქმეთა სამინისტროს ხელთ მყოფ ცნობებიდან. რაც შეეხება ძალებს, რომლებსაც აამოქმედებს ჩვენს წინააღმდეგ რუსეთი, იმავე მოხსენებაშივე საკმაოდ ნათლად არის აღნიშნული და გამოიხატება შემდეგნაირად: ჩვენი აღმოსავლეთის ფრონტის წინააღმდეგ, წითელი ხიდიდან ზაქათალამდე იგზავნება აქტიური ჯგუფი 6-7 ქვეითი და 5 ცხენოსანი დივიზია, სულ 30.000 ხიშტი და 4-5 ათასი ხმალი; ვლადიკავკაზის და სოჩის პასიურ მიმართულებათა სათავალყუროდ დატოვებულ იქნება თითო ქვეითი დივიზია (8 ათასამდე); თუ ამას მივუმატებთ ჩრდილო-კავკასიიდან 3 ათასამდე შეიარაღებულ ოსებს (დაზვერვის ცნობები ჩრდილო-ოსეთში რაზმების შეყენების შესახებ), მაშინ უნდა მივიღოთ, რომ საბჭოთა რუსეთის მხრივ ჩვენს წინააღმდეგ გვეყოლება 40 ათასი ხიშტი და 5 ათასი ხმალი. ამასთან, აქტიური ჯგუფი იმოქმედებს ჩვენს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე.

მეორე მტრად საბჭოთა რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, მოგვევლინება სასომხეთი, რომელიც დაემუქრება ჩვენ სამხრეთ საზღვრებს ბორჩალოს მაზრაში.

ამ ჟამად ცნობები სომხეთის შეიარაღებულ ძალებზე მეტად ბუნდოვანია. საფიქრებელია, რომ მისი ყოფილი ჯარი განიცდის დეზორგანიზაციას. ხუმბეთები და დაშნაკთა თანამგრძნობნი ჯერაც არ განიარაღებულან (პირდაპირი ლაპარაკი ბეგზადიანსა და მრავიანს შორის და ჩიჩერინის დეპეშა სასომხეთის საგარეო საქმეთა კომისარს).

მიუხედავად ამისა, საქართველოსთან ომის შემთხვევაში საბჭოთა სასომხეთიც კი მოსძებნის საკმარის მსურველთ ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად, და თუ მას მივუმატებთ ბორჩალოს მაზრის სომეხ მცხოვრებთა ჩვენს წინააღმდეგ აჯანყების შესაძლებლობას, მივდივართ დასკვნამდე, რომ ამ მხრიდანაც გვეყოლება მტრის 10-15 ათასი კაცი.

შემდეგი ჩვენი მეზობლის – ოსმალების ჩვენდამი დამოკიდებულებაც, უნდა გამოვტყდეთ, დღევანდლამდის გამოურკვეველია: ერთი მხრივ, ის ოფიციალური მოკავშირეა საბჭოთა რუსეთისა, მეორე მხრივ იმავე რუსეთის სარდლობა ითვალისწინებს ცალკე მფარავ ნაწილს, ქიაზიმ ქარაბექირ ფაშის მხრიდან; თვით მოქმედების დაწყებასაც უკავშირებს ამ ჯართა მოქცევის გამორკვევის ხანას.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენსა და ანგორასთან[1] უკანასკნელად გაბმული ურთიერთობა საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ წინამდებარე, ჩვენს შეტაკებაში რუსებთან, არ გამოვლენ თავიდანვე აქტიურად, მოუცდიან პირველ შეტაკებებს და მხოლოდ ჩვენი მარცხის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაიკავებენ ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მიკუთვნებულ ოლქებს. რაც შეეხება ძალებს, რომლებიც თურქებს ჰყავთ ამიერკავკასიაში, იგი აღწევს 20-25 ათასს; გარდა ამისა, 5-ათასიანი ტრაპიზონის მე-3-ე დივიზია, რომელიც შეიძლება დაძრულ იქმნეს ბათუმის ოლქის საწინააღმდეგოდ.

თუ მივიღებთ, რომ კარაბექირ ფაშა იძულებული იქმნება დასტოვოს რაიმე სასომხეთის მხრივ და დაკმაყოფილდება ამისთვის 10-20 ათასით, მაშინ ამ შემთხვევაშიც შეუძლია ჩვენს წინააღმდეგ გამოიყვანოს 20-15 ათასი. თუ ამას დავუმატებთ ბათუმის და არდაგანის ოლქის 15-20 ათას აჯანყებულ მუსულმანებს, მაშინ ჩვენ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე გვეყოლება 35-ათასიანი მტერი. ვიმეორებ, რომ უკანასკნელ შემთხვევას ადგილი ექნება ჩვენს უკიდურესად ცუდს პირობებში.

ამნაირად, საბჭოთა რუსეთთან შეჯახების შემთხვევაში გვეყოლება ჩვენს წინააღმდეგ 55-60-ათასიანი რუს-სომხების ჯარი. თუ მათ ოსმალონიც მიემატებიან, რიცხეი აიწევს 75-90 ათას კაცამდის. ბრძოლის ველზე აქტიური თეატრი გვექნება რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე, საიდანაც მტერი მოიტანს განსაკუთრებით ინტენსიურ იერიშს ადმინისტრატიულ, პოლიტიკურ და სამხედრო ცენტრის, – ტფილისის ჩასაგდებად.

თანახმად ამ მოსაზრებისა და ჩვენი გეოგრაფიულ-სტრატეგიულ მდგომარეობისა (ცენტრალური მდგომარეობა და მოქმედება საოპერაციო ფრონტებს შუა), აუცილებელია თავიდანვე ვიგდოთ ხელთ ინიციატივა: ამისათვის კი ჩვენ უნდა შეგვეძლოს ჩვენი საზღვრების ყოველ წერ-

[1] ქალაქ ანკარის ძველი სახელწოდება *(ლ. ც.)*.

ტილზე, საჭირო მომენტში, დავაგროვოთ მტერზე უპირატესი ძალები ე. ი. საბჭოთა რუსეთის გამოსვლის შემთხვევაში ვიყოლიოთ აღმოსავლეთ საზღვარზე 35 ათასამდის, სამხრეთისაზე – 10 ათასამდის, თანაც მარქაფში 15 ათასამდე სხვა მიმართულებისათვის.

ამგვარად, შეიარაღებულ ძალთა რიცხვი უნდა უდრიდეს 60 ათას ხიშტსა და ხმალს..."

ამას შემდეგ მოსდევს, სხვა დასკვნათა შორის, მოთხოვნილება, რომ საჩქაროდ მიღებულ იქმნეს ზომები ამ 60-ათასიანი ჯარის ფეხზე დასაყენებლად.

ამ დოკუმენტში აღნიშნულ მოთხოვნილებას რომ ხორცი შესხმოდა, საქართველოს სივრცის მხრივ, ძნელ პირობებშიაც, იქმნებოდა კიდევ პირობები ფრონტების შიგნით ტრიალისა და სწრაფად, რიგ-რიგად მტრის დამარცხებისა.

ასე აფასებდა მდგომარეობას და ასეთ ზომებს თხოულობდა მომაეალი მთავარ-სარდალი, მაგრამ ნაცვლად აი, რას ვხედავთ!

ახალ-გასაწვევთა გაწვევის ვადა – აქამდის ნოემბერი – იდება 10 თებერვლისათვის.

უშვებენ ჯარიდან უვადო და ზედმეტ-მსახურთ – ჯარი რჩება თითქმის უნაცვლებოდ, და სამ წლიანი არსებობის განმავლობაში არც ერთ მომენტში არა ვართ ისე სუსტი, როგორც სწორედ 1921 წლის დასაწყისში,

დაზვერვის ცნობებით, ლორსა და ბორჩალოში მზადდება აჯანყებები; სპეციალურად გაგზავნილი, სომხებ ნარევი კომისია ამოწმებს, რომ ეს ცნობები სიმართლეს არ შეეფერება.

გენერალ ოდიშელიძეს სურს ჯარის დაგროვებას შეუდგეს და ბორჩალოსა და ლორში ჯარები საზღვარს დააცილოს; იგივე კომისია წინაუკმოდ, აიძულებს მას ჯარების სოფელ-სოფელ დანაწილებას, ვითომც მცხოვრებთა დასამშვიდებლად ბოლშევიკთა საფრთხის გამო.

ყველა ამაში გენერალი ოდიშელიძე უძლურია, საკითხებს სწყვეტს სამხედრო საბჭო, თავის უმრავლესობაში მმართველი პარტიის ერისკაცულ წარმომადგენელთაგან შემდგარი.

სულ-ერთია, ხდებოდა ეს იმ რწმენით, რომ ბოლშევიკები 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შემდეგ აღარ მოისურვებენ საქართველოს ზიანი მიაყენონ, თუ სხვა მოსაზრებით, ფაქტი ერთია: – საქართველოს ვიწრო სივრცეში ფრონტების შიგნით მოქმედებისათვის სარბიელი არ გავიხსენით და ძალა არ გავიმრავლეთ. ამის გამო ჩავცვივდით ისეთ მდგომარეობაში, რომ ყველა მიმართულებით, საიდანაც კი მტერს მოველოდით, იძულებული ვიყავით შევკროდით მას; თანაც ყველგან მცირე ძალებით და მაშ, ვერსად ვერ გაგვემარჯვნა!

ზომების მიუღებლობამ, ამნაირად, სივრცის სიცოტავის ნაკლი ვერ გამოასწორა და ფრონტების შიგნით ტრიალი შეუძლებელ-ჰყო.

ამნაირი იყო ჩვენი მომზადება 1921 წლისათვის სამხედრო სამზადისის ოთხივე მთავარ დარგში: – ფიზიკურ-ორგანიზაციული, მატერიალური, სულიერი დონისა და სივრცის პირობების მხრივ.

არც ერთ ამ დარგში, როგორც ვნახეთ, უკვე ამ დროს, არ ვიყავით დამაკმაყოფილებლად მომზადებული. შემდეგი მოვლენები განვითარდენ ისე, რომ არამც თუ ამ მხრივ არაფერი არ გაკეთებულა, პირიქით, პირობები კიდეც გაუარესდენ.

აი, რა მოხდა!

აღმოსავლეთის საზღვარს იმ დროს იცავდენ ბამბაკის ხეობაში სოფელ-სოფელ მიფანტული მე-2-ე და მე-3-ე ბრიგადის მე-5-ე და მე-7-ე პოლკები; ნინოელ ხიდთან იყო რამოდენიმე გვარდიის ათასეული. ფოილოს ხიდთან მე-18-ე პოლკი და კახეთში მე-6-ე პოლკი.

12 თებერვალს, ღამის პირველ საათზე, მოდის მთავარ შტაბში გენ. გედევანიშვილის შემდეგი დეპეშა:

„სომხების ურდოები ღამით დაეცნენ მე-5-ე და მე-7-ე ლეგიონს. ჯარისკაცთა ნაწილი ტყვედ წაიყვანეს, ნაწილი ამოწყვიტეს და დანარჩენი გამოიქცნენ".

წითელი ხიდიდან ხრამისაკენ დაწეულმა გვარდიამ (მე-6-მე-8 ათასეული) უმიზეზოდ დასტოვა ფრონტი, დაჰყარა ინგლისელების მიერ დატოვებული ახალ-ახალი ზარბაზნები და ცხენებით ჯერ სანდარსა და შემდეგ ტფილისისაკენ დაიხია. აღმოსავლეთით ტფილისის კარები გაიხსნა (აქ უნდა ვსთქვა, რომ არ ვიცი, რა დაემართა მე-8 პოლკს, უკედ ათასეულს: ის ფოილოს ხიდის აქედ აღარავის მიერ აღარსად იხსენიება). ეს ცოტაა! ნუხის მიმართულებით კახეთში შეჭრილმა ცხენოსანმა დივიზიამ მე-6-ე პოლკი თიანეთს მიაჭყლიტა, იქ განაიარაღა და უკვე თებერვლის 21-ს ტფილისს ჩრდილო-აღმოსავლეთით დაემუქრა.

ყველაფერს ამას სამხედრო და საერო ხელისუფლება გულხელდაკრებილი შესცქეროდა! არა სჯეროდათ, რომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შემდეგ საბჭოთა რუსეთი საქართველო-

ზე თავდასხმას იკადრებდა და ეს, მიუხედავად დაზვერვის ცნობებისა! მიუხედავად 1920 წლის მაისისავე ამბებისა! მიუხედავად ტროცკის დამუქრებისა, რომ „საქართველოს გასრესის დღე დადგა!“ მიუხედავად აზერბაიჯანის და სომხეთის მაგალითისა! და მიუხედავად ოდიშელიძის საკუთარივე მოხსენებისა!..

მხოლოდ 13 თებერვალს ცხადდება ნაწილობრივი მობილიზაცია თელავისა და სიღნაღის მაზრებში. ცხადია, ანერილ პირობებში, იქ ეელარავითარი მობილიზაცია ველარ ჩატარდებოდა საქართველო სდგას სირცხვილის წინაშე; საქართველოს აზერბაიჯანივით და სომხეთივით უბრძოლველად ომის წაგება მოელის!

კონსტანტინეპოლში მხედართ მოხსენებაზე, შექმნილ მდგომარეობას ვ. ჯუღელი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: – „მთავარსარდლის შტაბში სრული თავზარდაცემაა. თვით გენერალი ოდიშელიძე საშინლად უმწეო მდგომარეობაშია, არ ძალუძს რაიმე ნაბიჯი გადასდგას; საჭირო შეიქმნა სხვა მთავარსარდალის მოძებნა და მე ვაველი გენ. კვინიტაძესთან“.

ასეთი მდგომარეობა იყო იმ წუთებში, როდესაც გენერალი კვინიტაძე ეუბნება მას: „გვიან მეძახით, მაგრამ თუ გჭირდებით, მზად ვარ!“

ეხლა ჩვენ ვკითხოთ ჩვენ თავს: – შეეძლო ვინმეს იმ სივრცისა, მატერიალური და ფიზიკური საშუალებების და სულიერი დონის დროს, როგორიც ზემოდ ავსწერე, ომის ჩარხი მოეტრიალებია?

როდესაც გენერალი სარდლობას ღებულობდა, უნდა სცოდნოდა, რომ ხალხის სულსა და სივრცის პირობებს ველარ გამოასწორებს, მაგრამ რაც შეეხება მასალათა სამზადისს და ჯარის რიცხოვნობის საჭაროდ გაზრდას, ამაზედ მას უფლება ჰქონდა სრული იმედი დაემყარებია. ბორჩალოს მაზრა და კახეთი, თუნდ ტფილისიანად, მთელი საქართველო არ არის და მის იქით კიდევ უნდა მოხერხებულიყო ამ მხარეების მაინც გამოსწორება, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ სახელმწიფოებრივი აპარატი არ გამოდგა ამისათვის მომზადებული. გაწვეულ ჯარისკაცთათვის სამოსელი და მოკაზმულობა ადგილზე არ აღმოჩნდა. ათასეულების ფეხზე დაყენებას ზოგჯერ, როგორც ახალციხეში, ორი კვირა სჭიროდა, როდესაც ეს წუთების საქმე უნდა ყოფილიყო.

ჯარის დარაზმვა და მასალათა გამონახვა ვერ მოხერხდა და ეს გამოირკვა შემდეგ, ფაკტებიდან. გენ. კვინიტაძემ კი ჩაიბარა სარდლობა იმ მდგომარეობაში, როგორც იყო, და იმ სამზადისით, რაც ითქვა.

მდგომარეობა მართლა მძიმეა: – სადახლოს რაიონებში მოსპობილია ორი პოლკი; წითელი ხიდიდან გამოიქცა დამფრთხალი გვარდია (თითქმის უიარაღოდ; დაყარეს ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები და მძიმე ყველაფერი; ეს უმიზეზოდ, რადგან მისი გამოქცევის შემდეგ, „საპირორთა“[1] ორი მწყობრი კიდევ ორ დღეს იდგა იქ და მტერი თვალით არ უნახავს); კახეთში შემოჭრილია ცხენოსანი დივიზია; აღმოსავლეთით, მტერს წინ, 12-ს აქეთ არავინ უდგას. მანძილი კი ორი სუბუქი დღის სავალია, მაშ 14-ში შეუძლიათ ტფილისს მოადგენ! შტაბი გაფაციცებით მუშაობს, იგზავნება ფრონტზე, რაც არის. მიდის პოლკ. ვაჩნაძის მე-9-ე ათასეული, ტფილისს შეუძლია მისცეს კიდევ ორი სადარაჯო ასეული, ერთი ტფილისელების გვარდიის ათასეული, ერთი ქვეითი ათასეული და სამხედრო სკოლა.

საქმის შემდეგი მსვლელობა გენ. კვინიტაძის ხელში გადადის. მისი აზრია მოაწყოს ტფილისის დაცვა იმით, რაც არის. მიიღოს ტფილისში დამარცხებულ-გამოქცეულ ნაწილთა ნაშთები, მოაწესრიგოს ისინი და შემდეგ იმოქმედოს მდგომარეობის-და-მიხედვით, და ძალების გაძლიერების შესაბამისად, ცხადია, შეტევით. მთავარსარდლობის მიღებისას მისი პირველი მოთხოვნილებაა: „ეხლავე საერთო მობილიზაცია!“ ამ მთავარი ზომების მიღების შემდეგ უდგება ტფილისის დაცვის მოწყობის საქმეს.

მისთვის ეს ადვილი საქმეა! ჯერ ისევ კავკასიის ფრონტის მთავარ შტაბის კაპიტანი, კვინიტაძე 1914 წელსვე აწყობს იმავე ადგილას ტფილისის დასაცავ პოზიციებს თურქების გამორღვევის გამო.

დღითი-დღე მოდიან გვარდიისა და ჯარის ათასეულები, ბრძანებები აჩქარებული ტემპოთი გამოდის. მტერი ვერ იყენებს ხელსაყრელ პირობებს. 18-ს დილას ტფილისის კედლებთან უკვე ძალებია ამართული. მტრის პირველ დასახვედრად ყველაფერი მზად არის.

არიან იქ, მარჯვნიდან მოყოლებული, გენერალი ანდრონიკაშვილი, კოჯორიდან კოჯორის ჩაყოლებით, თელეთის მონასტერთან აღნიშნულ ტრიგონომეტრიულ პუნქტამდე. ჰყავს მას: სამხედრო სკოლა, მე-10-ე პოლკის ერთი ათასეული და მე-4-ე ქვ. ათასეულის ორი გუნდი, მის

[1] მესანგრეთა *(რუს.)*.



ლენერალი გ. კვინიტაძე.



ლენერალი ა. ანდრონიკაშვილი
(ახალგაზრდობის დროს.)



ლენერალი ა. ჩხეიძე.

გენერლები: გიორგი კვინიტაძე, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი და ალექსანდრე ჩხეიძე. ჟურნ. „ჰელდენრი", №17. პარიზი, 1934 (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია, თბილისი).

მარცხნივ გენ. მაზნიაშვილი, თელეთის ტრიგონომეტრიულ პუნქტიდან ჯერ მტკვრამდე, შემდეგ ორხევამდე. მას ჰყავს: მე-9 ქვ. ათასეული, სადარაჯო ათასეული, სახალხო გვარდიის ორი ათასეული, ერთი ბატარეა, ჯავშნოსანი საავტომობილო გუნდი, ჯავშნიანი მატარებელი და სანაპირო-სადარაჯო ნაწილების 250 კაცი.


ყველა ეს ძალები აღნიშნული სივრცის დასაფარავად იმდენად მცირე იყვნენ, რომ არც გენ. მაზნიაშვილს, არც გენ. ანდრონიკაშვილს მარქაფაში არც ერთი ჯარისკაცი არ დარჩენიათ; რაც იყო, ისიც ძლივს ჰყოფნიდა, თხლად მოფანტული, წვრილ-წვრილი ერთეულებით, ერთი ხაზის შეყენებას.

სხვაგვარი მოწყობა და ძალთა ყაირათის მეთოდის გამოყენება აქ აღარ ვარგოდა; მტერს ისეთი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა, რომ ამ შემთხვევაში შეეკეროდა სადმე დაგროვილ ჯარს, სხვა ნაწილებით კი იპოვიდა სიცალიერეს და ტფილისში შეიჭროდა. მოგერიებაში, ვიცით, რომ ხაზი ყველგან გასატეხია, ეს კი რაღაც სასწაულისა გამო, არც ერთხელ არსად არ მოხდა; მტერმა წვრილი ხაზიც ღრმად ვერსად შემოამტვრია.

18/19-ის ღამეს საქართველომ პირველი გამარჯვება იგემა. გამარჯვება გენ. მაზნიაშვილისა. ტფილისმა ამ დღეს საჩუქრად მიიღო 1.600 ბოლშევიკური ტყვე. გენ. მაზნიაშვილმა დევნა ვერ შესძლო, როგორც თვითონ ამბობს: „ჯარის ფიზიკური დაღლილობის და რეზერვების უქონლობის გამო".

აქ დამარცხებულ მტერს შეტევები აღარ გაუმეორებია. სამაგიეროდ მთელი ძალებით გენ. ანდრონიკაშვილის ფრონტს მოაწვა. უკვე ბრძოლის პირველ დღეს იყო აქ მეტად მწვავე წუთები: ბოლშევიკებმა მოიტანეს მთელი ფრონტის სიგრძეზე მძლავრი იერიში, უკუ აგდეს მარჯვენა ფრთაზე მე-4 ათასეულის 2 ასეული, აიღეს კოჯორი, სიცალიერით დაეშვენ დაბლა და მთელ ანდრონიკაშვილის ფრონტსა და შტაბს გვერდსა და ზურგში მოექცენ. მდგომარეობა იყო უმწეო. გ. ანდრონიკაშვილს არც ერთი ჯარისკაცი მარქაფაში არ ჰყავდა, რჩებოდა ან ადგილზე გაჩერება და თავის შეკვლა, ან უკან დახევა. ამით მტრისათვის ტფილისს იქით უკანასკნელი პორიზონტის დათმობა. ამ ორში გენ. ანდრონიკაშვილი უკანასკნელ გამოსავალზე შეჩერდა, კიდეც გასცა ბრძანება უკან დახევის შესახებ, მაგრამ საკითხი გენ. ჩხეიძემ გამოასწორა; მან ეს ბრძანება არ შეასრულა! მსხვერპლს არ დაერიდა! გამონახა გამოსავალი და ქართული ჯარის სახელი და ტფილისის ბედი გადაარჩინა!

მტერი, ხაზიდან გამონაწინწკნ მცირე ერთეულების უკუიერიშით კოჯორს მიეჭყლიტა. მალე მოვიდა მაშველი გენ. კვინიტაძესაგან: ტფილისიდან ავტომობილებით მიიზიდა მე-5 პოლკის ერთი ათასეული, თელეთის მონასტრის მხრიდან მოვიდა პირველი პოლკის 1 ათასეული და გვარდიის ათასეული, ფუნიკულიორითა და მამადავითით ბებუთოვკიდან ეკლესია უდზოზე თითო ათასეული. ამ ნაწილებით გენ. ანდრონიკაშვილმა 19-სა და 20-ის განმავლობაში დაიბრუნა კოჯორი და მარ-



1921 წლის 19 თებერვლის ქრიტიული მდგომარეობა 14 საათზე. ჟურნ. „მხედარი", №13, პარიზი, 1933 (იუანე ჯაფარიძეილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია, თბილისი).

ჯგუნა ფრთით სდევდა მტერს ქოროღლის ციხემდე: თვით ანდრონიკაშვილის კედაროზე იერიშებიც არ შეწყვეტილა. ბრძოლა იერიშებით და კონტრ-იერიშებით განუწყვეტლივ გრძელდებოდა 19 და 20-ში, დღისით და ღამით. იუნკრების გვერდით ლომბივით იბრძოდენ ერთი კვირის წინ მოწვეული ახალგაზრდანი (რიცხვით 350, სამ გუნდათ მოწყობილი); სკოლის გუნდში მყოფი მტრის ათასეული მოსპო გვარდიელებისა და მე-5 პოლკის შეტევამ. მე-10 ათასეულის დახმარებით ხელთ გდებულ იქმნა 4 ზარბაზანი და ყუმბარა-ვაზნებით დატვირთული ჯავშნიანი ავტომობილი.

ბოლოს, თებერვლის 21-ს, გენ. ანდრონიკაშვილის ფრონტზე ბრძოლები მინელდა; ბოლშევიკები ქართულ ხაზებს დაშორდენ და გადაჯგუფდენ სოფელ კუმისის, ვაშლოვანის და ერთვისის ხაზზე.

კოჯორის დაბრუნების შემდეგ, სკოლის მარჯვენა ფრთაზე, ფრონტი დაიკავეს გვარდიელებმა და მე-5 პოლკის ათასეულმა.


მართალია, ანდრონიკაშვილის ფრონტზედაც, მაზნიაშვილის შემდეგ, მეორედ გავიმარჯვეთ, მაგრამ გამარჯვება დაჯდა ძვირად. ნაწილებმა დახოცილებითა და დაჭრილებით დაჰკარგეს 15%-მდე.

22 თებერვლის ღამემდი ამ ფრონტზედაც ჩამოვარდა სიმშვიდე.

21 თებერვალს, რაკი კახეთის დაჭერის ცნობები გამართლდა, და ტფილისს, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან დაფარება დასჭირდა, მთავარსარდალმა შეჰქმნა ახალი ფრონტი გვარდიის ნაწილებისაგან, გენ. ჯიჯიხიას უფროსობით; ეს ნაკეთი იყო სადგურ ორხევიდან მოყოლებული სადგურ ვაზიანამდე. რა ხდება ამ ფრონტზე, დაწერილებით ვერ გამოარკვია, ხოლო სჩანს, რომ ბოლშევიკები დაჟინებით არ უტევენ, ამჯობინებენ გვერდების ძებნას და მარჯვნივ მოვლას. 24 თებერვლისათვის ჯიჯიხიას გვერდში გაჩენილ მტრის საფრთხის გამო იქმნება კიდევ ერთი ფრონტი, პოლკოვნიკ გედევანიშვილის უფროსობით – ლილოდან კოლონია ოლგინსკამდე.

22 თებერვალს, გენ. ანდრონიკაშვილს აკლდება გვარდიელების ერთი გუნდი, რომელიც სრულიად უმიზეზოდ ღამით იპარება შინისაკენ, სამაგიეროდ 23-ს მოდის ჩრდილელის 4 ზარბაზნიანი ბატარეია და მახარაძის ორი ზარბაზანი.

ამნაირად, ბრძოლები, – ვამბობ მწვავე ბრძოლებზე – ტფილისთან დაიწყო 18-ში და გასტანა 22-მდე. ბოლშევიკები დამარცხებული არიან. ისინი ჰკარგავენ ტყვეებს და სამხედრო მასალას, წინ ვერსად იწევენ. გამარჯვება სრულია... და აქ უნებლიედ იბადება საკითხი – სად არის მიზეზი ბედის ასე უცაბედათ შეტრიალებისა? იქნებ აქ ღვაწლი მიუძღოდეს გენერალ კვინიტაძის ავტორიტეტს და მისი დანიშვნით აწეულ სულს. მან ხომ როგორც შტაბის უფროსმა გამარჯვებით დაასრულა



ბოლშევიკთა შემოვარდნა **მესხიშვილის** ბატარეაზე 1921 წლის 24 თებერვალს. ჟურნ. „მხედარი", №13, პარიზი, 1933 (იუანე ჯავაიიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი. **გურამ შარაძის** კერძო კოლექცია, თბილისი).


სომხებთან მარცხით დაწყებული ომი! მან მოიგო ახალციხის ოპერაციები, მან დააწყნარა ოსები, მან ჩააქრო აჯანყება ლაგოდეხში. არ ვიცი! ეს საკითხი, ისტორიკოსისათვის დამიტოვებია, ჩვენ კი ვსთქვათ, რომ თებერვლის 22-დან გამარჯვება იმდენად დიდია, რომ თითქო შეიძლება დევნის მოწყობა, მაგრამ ჯარი ფიზიკურად მოქანცულია. მსხვერპლი ორივე მხრივ დიდი.

აზრი შეტევის შესახებ იმ მომენტში კი არსებობდა. გენ. ჩხეიძის მემუარებიდან ირკვევა, რომ მას ამ ხელსაყრელ მომენტისათვის მიუთითებია გენ. კვინიტაძისათვის. უკანასკნელს უპასუხნია – მეც ვხედავ ამას და ვფიქრობ ამაზე, ოღონდ ვუცდი ახალციხედან მე-11 და მე-12 ათასეულებსო. – უკვე ზემოდ-აღნიშნული სამობილიზაციო აპარატის მოუწყობლობის გამო, ათასეულები არსად არიან და მათ მოლოდინში ფრონტიც იყინება.

მაგრამ ბოლშევიკები თურმე არც ისე არიან დამარცხებული; ისინი ახალი იერიშისათვის ემზადებიან! ანდრონიკაშვილის ფრონტის წინ სპეციალურად როსტოვიდან ჩამოჰყავთ კურსანტები, და დგება 24 თებერვალი!

ბოლშევიკები ანახლებენ შეტევებს ჯერ არ ნახული სიმწყავითა და გააფთრებით. იერიშები დილიდანვე მოაქვთ გენ. ანდრონიკაშვილის, გენ. მაზნიაშვილის და ნაშუადღევის სამი საათიდან გენ. ჯიჯიხიას ფრონტზე. განსაკუთრებული ცხარე ბრძოლებია გენ. ანდრონიკაშვილთან: მთელი დღის განმავლობაში ხელჩართულები არა სწყდება. ვაშა და ურა გამუდმებით მოისმის. „ერთი კვირის გაწვეულმა ჯარისკაცებმა უკვე ისწავლეს კონტრ-იერიშზე გადასვლა!"

მოგეხსენებათ, რომ 24 თებერვლის საღამოს მდგომარეობა შეიქმნა იმის საბაბად, რომ მთავარსარდალმა ტფილისის დატოვება ბრძანა. რომ ჩვენ შევსძლოთ მის მდგომარეობაში ჩავდგეთ და მიუდგომლად შევაფასოთ იმ დღის ფაქტები, საჭიროა განვიცადოთ ყველაფერი ის, რაც განიცადა მთავარსარდალმა იმ ცნობებისა და მდგომარეობის მიხედვით, რაც მას ჰქონდა! საჭიროა ამ დღის მის ფეხის ნაბიჯებს წუთებით მივსდიოთ, რომ ვსთქვათ – უნდა დატოვებულიყო ტფილისი თუ არა? ეს მეტის მეტად ძნელი საქმეა საკმარ მასალათა უქონლობის გამო, მაგრამ ის, რაც აღსადგენია, შევეცდები აღვადგინო ზუსტად და დაწვრილებით. ვლებულობ, რომ გენ. კვინიტაძეს



საერთო მდგომარეობა 1921 წლის 24 თებერვალს, საღამოს, ჟურნ. „მხედარი", №14-15, პარიზი, 1933 (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია, თბილისი).

ბრძოლის მიმდინარეობაზე ცნობები ჰქონდა ზუსტი, გადაუჭარბებელი და გრძნობდა, სად, რა ხდებოდა, და რა ხდებოდა, ვნახოთ.

ზემოდ ვსთქვი, რომ განსაკუთრებული გააფთრებით ამ დღეს ბოლშევიკებმა იერიში გენ. ანდრონიკაშვილზე მოიტანეს.

„რადგან შევამჩნიე, რომ გასაკუთრებით მწარე იქნებოდა, – ამბობს გენ. ჩხეიძე, – ვუბრძანე შავდიას იუნკრები კონტრ-იერიშისათვის ჰყოლოდა მზად ზარბაზნებთან". და მართლაც, საბუთიანად, ვინაიდან ხშირი იყო აქა-იქ მომენტები, სადაც მათ წაუშველებლად ხაზი გაუტყდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც მტერი ზარბაზნებამდე იჭრებოდა და მეზარბაზნენი იერიშზე გადადიოდენ. „თითქოს ყველაფერი დაკარგულია, ხაზი გაირღვა, ზარბაზნები მტრის ხელშია, მაგრამ არ უთქვამთ ჯერ უკანსკნელი სიტყვა იუნკრებს", – სწერს ამ მომენტზე გენ. ჩხეიძე. ან ქვემოდ: – „იერიშები მეორდება განუწყვეტლივ, მაგრამ იუნკრები ყველგან ასწრებენ დროზე და იბრუნებენ ბოლშევიკების მიერ დაკავებულ თხრილებს..." გენ. ჩხეიძის ნაკვთზე ხშირია ორივე მხრივ არა მარტო ერთმანეთზე ხიშტით გადასვლა, თვით ტყვიამფრქვეველებზედაც კი იერიშები! ველი გვამებით იფინება: 136 იუნკრიდან საღამომდე რიცხვი 36 კაცზე ჩამოდის; მზგავსი დანაკლისია გენ. ანდრონიკაშვილის სხვა ნაწილებში, მაგრამ მტერს არც ერთი მტკაველი მიწა არ დაეთმო, ყველა საშინლად მოქანცულია, სკოლის ოფიცრებიდან უვნებელია მხოლოდ მაჭავარიანი და ალავიძე. მტერი, მართალია, დაღამებისას გადაიმალა ს. ვაშლოვანსა, კუმისს და ერთვისისაკენ; ანდრონიკაშვილის ნარჩენთა სულისკვეთებაც, დაღლილობის მიუხედავად, დამაკმაყოფილებელია, მაგრამ თუ ბოლშევიკები იერიშს იმავე სიმწვავით გაიმეორებენ, ანდრონიკაშვილის ნაწილებმა ბევრი-ბევრი კიდევ ორი ან ერთი დღე გასძლონ, შემდეგ ანგარიშიდან ამოიშლებიან.

დანარჩენი ფრონტების შესახებ დეტალების მოყვანა არ შემიძლია; საერთოდ: მაზნიაშვილის ფრონტზედაც არის ამ დღეს მწვავე წუთები, ერთ ალაგას კიდეც შეიჭრა მტერი იქ, მაგრამ უკუერითით ხაზი აღდგენილ იქმნა; ამისათვის საჭირო შეიქმნა ანდრონიკაშვილს ორი ასეული წაეხმარებია.

გენ. ჯიჯიხიაზე მთავარსარდალს ცნობა აქვს, რომ მტრის ტანკების გამოჩენის გამო მთელი გვარდია ფრონტიდან მოიხსნა.

ამავე დღეს ცნობაა, რომ ბელიკლუჩიდან მანგლისზე მომავალი ცხენოსანი დივიზია დაეშვა დილომის მინდვრებზე და ემუქრება ტფილისს სამხრეთიდან.

კახეთზე მომავალმა ცხენოსანმა დივიზიამ განაიარაღა თიანეთში მე-6 პოლკი და შეუძლია ტფილისს ავჭალიდან ზურგში მოექცეს. ასეთ შემთხვევაში, თუ 25-ს ჯარებმა ისევ ადგილზე იბრძოლეს, – თუკი ბრძოლა კიდევ შესძლეს! – რკალი შეიძლება შეიკრას. გადარჩენილი ჯარისკაცები უკანასკნელ ბრძოლას ტფილისის კედლებში დაამთავრებენ. იმ ძალებით რომელიც ამ დღეს მთავარსარდალს ჰყავს (9.600 კაცი), რომელიც ამდენ ბრძოლებში ისე დაქანცული და დაზარალებულია – ძნელია აწერილ პირობებში ბრძოლის მოგებაზე ფიქრი. 24-ის ბრძოლა ბოლშევიკების სისუსტის ნიშანს არ იძლევა.

მაგრამ ვიტყვით, რომ (ჯიჯიხიას გამოკლებით), არც ერთი მტკაველი მიწისა მტერს არ დაეუთმეთ; რომ ანდრონიკაშვილთან და მაზნიაშვილთან სულისკვეთება საუცხოოა; რომ 24-ში ბოლოს და ბოლოს ჩვენ გავიმარჯვეთ!

დიახ! 24-ის ბრძოლაში ჩვენ გავიმარჯვეთ. ეს უნდა ვსცნათ და ამის ამბავი ჩვენი ისტორიის დამამშვენებელ ფურცლებად უნდა გაეხადოთ, მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ 24-ში – შეიძლება ესეც განმეორებულიყო 25-საც, მაგრამ 26-სს ტფილისიდან გასავალი კარები ჩაიკეტებოდა და ტფილისით ყველაფერი გათავდებოდა. ამიტომ არის, რომ სწორედ 24 ღამეს დაისვა საკითხი: – ბრძოლა სიკვდილამდე ტფილისთან, თუ კიდევ ბრძოლები ტფილისს იქითაც. თუ ხო, მაშ, ამ მეორე ეგეობისობის ცხოვრებაში გასატარებლად 24-ის ღამე და 25-ის დღე რჩებოდა.

ბევრნაირად ავსწონ-დავსწონე 25-ის მოქმედებისათვის საჭირო გადაწყვეტილებანი იმ მდგომარეობის მიხედვით, როგორც ავსწერე და როგორც ჩვენ ეს მაშინ ვიცოდით და უნდა გამოვეტყდე, რომ მაშინ მეც სხვა გამოსავალს ვერ მოვნახავდი. განა შეგეძლო გეთქვა, რომ ტფილისით საქართველო თავდება? ტფილისს იქით ხომ კიდევ არის მეორე საქართველო, ბუნებრივად უკედ გამაგრებული და უფრო რიცხოვანი? აქეს ვინმეს უფლება უარყოს საქართველოს ბედის იქით გადატანა, თუ კი 25 და 26-ის ბრძოლებში ალყა-შემორტყმულ ჯარის ნარჩენებს ამოწყვეტა მოელის. შეიძლება საქართველოს საკითხის გადაწყვეტა ორ საეჭვო დღეში მოთავსდეს, როდესაც შეძლება გვაქვს გამოვიყენოთ საიმედო კვირეები და თვეები?

ტფილისი დღევანდლამდე სტრატეგია იყო ჩვენთვის. ტფილისთან ომის მოგებისაგან საბოლოო გამარჯვებას მოველოდით. დღეს აქ გამარჯვება კი არა, მარცხი მოგველის; ამ დღიდან ტფილისი ჩვენთვის ფრაგმენტად – ტაქტიკად ხდება. დღეის იქით სტრატეგია გვეძახის ახალ თვეებისაკენ, ახალ დარაზმულობისაკენ, ახალ ბრძოლებისაკენ, ახალ იმედებისაკენ.

თუ ჩვენი შემძლეობა ფრაგმენტს შევალიეთ, გათავდა სტრატეგიაც. ბოლოს, გეოგრაფიულ პუნქტს, სამხედრო მეცნიერების მნიშვნელობით, ბრძოლის წარმოებაზე ზეგავლენა არა აქვს. ბრძოლაში ვეძებთ ცოცხალ ძალებს მის სამტვრევად. ასეთ დასკვნამდე მივყევართ 24-ის მდგომარეობის შეფასებას, და ასე ამბობენ სამხედრო წესები, და მაშ ტფილისის 24-ს დატოვების გადაწყვეტილება იმ პირობებში მისაღებად უნდა ჩაითვალოს.

პირობებს კი ვიმეორებ: –

ანდრონიკაშვილის ფრონტი სისხლისაგან დაცლილი და დაქანცული და შემცირებული.

მაზნიაშვილთან მწვავე წუთები.

ჯიჯიხია ფრონტიდან მოხსნილი.

ბოლშევიკები სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ტფილისის ზურგთან მომდგარნი!

საცაა რკალი შეიკვრის.

25-სვე მოსალოდნელია ბოლშევიკების ახალი შემოტევა.

ჯარების რიცხვი – 9.600.

და ამ პირობებში გაძლების შესაძლებლობა, სულ დიდი 2-3 დღე.

ისინი, ვინც ამ საკითხს სწყვეტდენ, ფიქრობდენ ბრძოლები ტფილისის იქით გადაეტანათ. და ასეც გადასწყდა. მაგრამ ყველაფერი ეს იყო მდგომარეობის ანონ-დაწონვისა და შეფასების შედეგი. მაგრამ მოვისმინოთ იმავე საკითხზე – თუ „როგორ გადასწყდა ტფილისის დატოვების საკითხი" – რას უპასუხებს გენერალი კვინიტაძე: –

„ჩვენი სახელმწიფო, თავდაცვის ყოველგვარი გეგმის გარეშე ცხოვრობდა. სამხედრო უწყებას თავდაცვისათვის არავითარი დირექტივები არ ეძლეოდა და უკანასკნელს ამით არ უსარგებლია.

1920 წელში, როდესაც სკოლის უფროსობიდან დავინიშნე მთავარ სარდლად, თავდაცვის საბჭოში აღვძარი საკითხი სახელმწიფოს თავდაცვის შესახებ. გეგმა მთავარ შტაბს არ აღმოაჩნდა და არც არავითარი დირექტივები ომის წარმოებაზე.

მაშინ მე მოვითხოვე დირექტივები ბოლშევიკებთან ომისთვის მაინც, რომლებიც უკვე გვიტევდენ.

მე დავსვი საკითხი: თავდება თუ არა სახელმწიფოს თავდაცვა დედა ქალაქის, ტფილისის დაკარგვით, თუ ტფილისის დაკარგვა არ ნიშნავს წინააღმდეგობის შეჩერებას და ომი გრძელდება?

თავდაცვის საბჭომ დაადგინა, რომ ტფილისის დაკარგვა არ ნიშნავს ომის დამთავრებას და ის გრძელდება ტფილისის დაკარგვის შემდეგაც, ანუ, რომ ტფილისასთვის ბრძოლა ეპიზოდი და ნაწილია ომისა.

მე მაშინვე, იმავე წელში ვაფრთხილებდი, რომ თავდაცვის გეგმა უნდა დამუშავებულ იქმნას და როდესაც „ატსტავკაში"[1] გავდიოდი, ვეუბნებოდი ამაზე პირადათ ჟორდანიას.

1921 წელს, როდესაც მე დამიძახეს, შევეკითხე მთავრობასა და გენერალურ შტაბს: თავდაცვის გეგმის შესახებ. გეგმა კიდევ არ აღმოჩნდა. მოვითხოვე დირექტივები და სამხედრო საბჭოს 1920 წლის დადგენილება გამომეორეს.

როდესაც ტფილისში თითქმის ალყა შემოგვარტყეს, გვარდიამ ნავთლულის ფრონტზე, კახეთის რკინის გზის რაიონებში, პანიკურად დაიხია უკან და ფრონტი გააღო. აგრეთვე ერთი სიმაღლეთაგანი სოღანლულის ფრონტზე დაკარგულ იქმნა და დღესაც ვერ გამოირკვა, უკუიერიშით დაიბრუნეს ის თუ არა; და სადგური აჭალაც მტრის ხელში აღმოჩნდა; მაშინ მე ჩემს კაბინეთში მოვახსენე შექმნილ მდგომარეობაზე ნ. ჟორდანიას და მივუთითე ტფილისიდან დახევის აუცილებლობაზე. ჟორდანიას საწინააღმდეგო არა უთქვამს რა და მე გავეცი დახევის ბრძანება".

როგორც ამ დოკუმენტიდან სჩანს, ცნობები მდგომარეობის შესახებ გენ. კვინიტაძეს უფრო მწვავე ჰქონია, ვიდრე მე ზევით მოვიხსენიე, მაგრამ უკვე იმ აწერილ, უფრო მსუბუქ მდგომარეობაშიაც ტფილისიდან დახევის ბრძანება ლოღიკური აღმოჩნდა.

და მოხდა, მოხდა ეს არა იმ აზრით, რომ ომი ნავაგეთ, არამედ იმ რწმენით, რომ მას მოვიგებთ. მოვიგებთ ტფილისის დასავლეთით, სულ უარეს მდგომარეობაში, ლიხის მთებთან მაინც.

გენ. მაზნიაშვილი დღესაც არა სთანხმდება ტფილისის დატოვებაზე, მაგრამ ისიც კი ამბობს: –

„მოწინააღმდეგეს რომ მეტი ენერგია და გაბედულება ჰქონოდა, 24 თებერვალს საღამოს საქართველოს არმიას ტყვეთ ჩაიგდებდა, მაგრამ მისი უმოქმედობის გამო, ჩვენ შევძელით 26 თებერვალს მცხეთის ქვაბიდან გასვლა".

და საინტერესოა – ვინ დადგებოდა მაშინ იმის თავდებად, რომ ბოლშევიკები ამ ენერგიას არ გამოიჩენდენ?

მაშ, ტფილისთან ომი არ გათავდა; კიდევ რჩებოდა მისი მოგების იმედები და ამისათვის ისევ იმ ოთხი პირობიდან, თუ ერთი – სივრცე დავკარგეთ, დანარჩენი სამი ე. ი. ხალხი, მატერიალური საშუალება და სულიერი სიმაგრე მაინც იყო საჭირო.

მაგრამ ფიზიკურის მხრივ, მაზნიაშვილის სიტყვით, ტფილისს იქით, მარტო მოგვმატებია კიდევ ერთი, სახელდობრ, ახალციხის მე-11 ათასეული; ეს ის, ტაბახმელაზე 22 თებერვლისათვის რომ მოელოდენ და ისიდორე რამიშვილის მიერ მოკრებილი და საჯავახოში მიყვანილი მოხალისეები.

მასალის მხრივ თუ არ დავსუსტდით, არ ავინიეთ, ბევრი ჩარჩა ტფილისში; ზოგი დაატყვევეს გზა-და-გზა, ევროპიდანაც არაფერი მოგვმატებია.

თუ სულიერმა მხარემ რამდენად აინია, ამას თვალყური ვადევნოთ თვით ბრძოლის შემდეგ მსვლელობაში და ეხლა ვიკითხოთ: ვის ან რითი უნდა მოეგო ომი?

ვიდრე გადავიდოდე მოვლენათა შემდეგ მსვლელობის აწერაზე, უნდა აღვნიშნო, რომ ტფილისის დატოვების გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც მთავარსარდალზე, ისე ჟორდანიაზე, ზეგავლენა უნდა მოეხდინა იმ გარემოებას, რომ ჯარების ტფილისში ჩაკეტვით, იმის გარდა, რომ იქ ომის მოგება საეჭვო იყო, იკარგებოდა საშუალება გამოგვეყენებია მაგარი, საოპერაციო დასაყრდნობი, დასავლეთი საქართველო, ე. ი. იმერეთს ამასობაში დაიჭერდენ ის ძალები, რომლებიც მას, შავიზღვის პირით, ვლადიკავკაზსა, ზემო სვანეთიდან და ოსმალეთიდან აწვებოდენ.

ვნახოთ ბრძოლის შემდეგი მსვლელობა: –

[1] თადარიგში *(რუს.)*.


ტფილისის მიდამოებშიეე დამხეე ჯარს დილომისა და აეჭალის მ‹რიდან ეხახუნებოდენ ნერილნერილი ცხენოსანი რაზმები. ესრივე მხრიდან ტფილისის ზურგს მიმდგარი ცხენ. დივიზიები იყვენ; 25 საღამომდე ჯარი მცხეთაში იყო. 26-დან ჯარმა განაგრძო უკან დახეეა კავთისხეე ახალქალაქსა და გორზე. გვარდიას უნდა ეელო მეორე ნაპირით, მუხოვანსა და ჭალით გორზე – ოლონდ არჩიეს ლიანდაგის პირის-პირ სელა.

გორში საქირო შეიქნა ჯარისა და გვარდიის ნაწილების მოწესრიგება. გვარდიამ განაცხადა, რომ აქ მოწესრიგებას ვერ მოახერხებს და ითხოვა ხაშურში გაშვება. აქ მართლაც, გარდა მათისა, ვინც ფეხითა და მატარებელით გაპარვა მოასწრო, დანარჩენი აღდგენილ იქმნა.

ვინაიდან იმ დროს, ცნობებიდან ირკვეოდა, რომ მტერი აჩქარებით და უწესრიგოდ მოადგა ხაშურს, და ვინაიდან ნიადაგის პირობებიც ხელსაყრელი იყო, მთავარსარდალმა გადასწყვიტა 3 მარტისათვის იერიშზე გადასულიყო.

ამისათვის ცენტრში გვარდიელების საგრძნობი ძალა უნდა მდგარიყო ადგილას. კონცენტრიული დაკვრა უნდა ეწარმოებინათ ფრთებს, მარჯვნიდან ჯარს და მარცხნიდან გენ. კონიაშვილის გვარდიას.

ღამის განმავლობაში ჯარები იერიშისათვის დაეწყვენ. მაგრამ, როგორც ამბობს გენ. მაზნიაშვილი, გვარდიელები ღამის ათ საათზე მოიხსნენ პოზიციებიდან. არავის არაფერი არ აცნობეს და დაბრუნდენ სურამში. ამაზე ჯარს გათენებამდე არა სცოდნია რა. მტერს უსარგებლია სიცალიერით და ჯარს გვერდსა და ზურგში მოჰქცევია. ისეთი კრიტიკული მდგომარეობა შექმნილა, რომ, როგორც ამბობს პოლკ. ვაჩნაძე, აქ მისი პოლკი ძლივს გადარჩენილა მოსპობას. ცხადია, ასეთ მდგომარეობაში შეტევის ოცნება გაჰქრა და გვარდიის „ვაჟკაცობის“ გამო, შეტევის ბრძანება დახევისაზე შეიცვალა.



გენერალი გიორგი კვინიტაძე (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, თბილისი).

ჯარები გვარდიელებთან ერთად გადაჯგუფდენ სურამისაკენ. გვარდიელები აქ მარცხენა ფრთაზე დადგენ. მოგერიებითი ომისათვის სურამზე პირობები საუცხოო იყო, ოლონდ მოაწვენ ბოლშევიკები გვარდიას და გვარდიამ ჩვეულებისამებრ მათ ზურგი უჩვენა და უღელტეხილის მეორე მხარეზე დაეშვა. ჯარმა, გ. სუმბათაშვილის უფროსობით, მაშველი გაგზავნა. ამან მოასწრო მტრის შეჩერება, მაგრამ გვარდიელები სურამზე ვეღარაფერმა დააბრუნა. მტერი, გაძლიერებული ძალებით, ხელახლა მოაწვა სუმბათაშვილის მიერ სუსტად დანაჭერ, გვარდიელებისაგან მოშიშვლებულ ნაკვთს და აიძულა დაეხია; ამნაირად, გვარდიელების „მამულიშვილური“ შეგნების გამო დაეკარგეთ სურამიც და მის იქით ახალი ომის მონყობის და წარმოების შესაძლებლობაც.

ამას შემდეგ დაიწყო უკანდახევითი ომი სადგურიდან სადგურამდე, როგორც ამბობს მაზნიაშვილი.

შემდეგ იყო ცნობა, რომ ართმელაძე ვეღარ უძლებს სოხუმიდან მოწოლილ მეცხრე ლაშქარს, და მტერი გადასჭრის ბათუმის რკინის გზასო. მტრის შესაჩერებლად გაიგზავნა გენ. მაზნიაშვილი ჯარებით. მტერი შეკავებულ იქმნა, მაგრამ ბათუმელებულმა ჯარებმა ეღარაფერი გამოასწორეს; ბათუმშიც ახალი მტერი თურქები – გაჩნდენ. ყველაფრის იმედი გადასწყდა და ეგონებ, მთავრობა და ზოგი ჩვენგანი მასთან ერთად ევროპისაკენ წამოვიდა.

ალბად ჩვენთან მოდიოდა ის ახლად-ახალი 12 იტალიური ჰაეროპლანი, რომელმაც, ტფილისიდან მოყოლებული, მატარებელით გვსდია და ზეთის უქონლობის გამო ვერც ერთხელ ვერ გაფრინდა...

ასეთი იყო ჩვენი ომის წარსული და როდესაც ადამიანი დაუფიქრდება, მონახავს იქ ბევრ საუცხოო ოფიცერსაც, გმირულად მებრძოლ პიროვნებებს და ერთეულებსაც, შიგა და შიგ მოგებულ ლამაზ ბრძოლებსაც.

მაგრამ ომი წავაგეთ.

და როდესაც ომის შესწავლის შემდეგ, დაწვრილებითი და კრიტიკული ანალიზის მოხდენის შემდეგ, კითხვა დავსვი: – თუ რად წავაგეთ ჩვენ ომი? – სხვა პასუხი ვერ მოვნახე, გარდა იმისა, რომ ომი ჩვენ წავაგეთ ომის დაწყებამდე, წავაგეთ იგი სამზადისის ხანაში.

წავაგეთ იმიტომ, რომ ჯარის შექმნასა და მომზადებაზე არ ვიფიქრეთ. წავაგეთ იმ დღიდან, რა დღესაც ომის საჭიროებანი არ გავითვალისწინეთ და ომის მომარაგებაზე არ ვიზრუნეთ. წავაგეთ იმიტომ, რომ ხალხში პატრიოტულ შეგნებასა და მამულიშვილურ გრძნობათა აწევას ყურადღება არ მივაქციეთ. წავაგეთ მაშინ, როდესაც გენ. კვინიტაძის მოთხოვნილებას, – აზერბაიჯანიდან ბოლშევიკების გარეკის შესახებ 1920 წელში, – ანგარიში არ გაეუწიეთ და ფრონტების შიგნითა მოქმედებისათვის სარბიელი არ გავიხსენით.

ეს უკანასკნელი მაინც რო მოგვემოქმედნა, ხომ სივრცის სიფართოე ძალთა ყაირათის საშუალებას მოგვცემდა! ხომ მტერი ასე მოუმზადებელს თავს ვეღარ წამოგვადგებოდა! ხომ მობილიზაციას მოვასწრებდით! იქნებ ხალხში სულსაც გაეღვიძა! იქნებ მასალისათვის მიგვეგნო ან შემოგვეტანა! იქნებ ამ შემთხვევაში სომხებსა და თათრებს ჩვენთან ერთად ემოქმედნათ! ჩვენ შიხლინსკისა და თურქების თამაში ვერ გავიგეთ. ჩვენა ვსთქვით: – თუ თვით აზერბაიჯანელებს შეჰყავთ უცხო ძალები თავის ქვეყანაში, მაშინ ამ ხალხის წინააღმდეგ გამოსვლა იქნებოდა მისი უფლებების შელახვა!

ჩვენ ვაგებდით ომს ნელ-ნელა, წვრილ-წვრილად, ხურდათ ვაგებდით საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ დღეს, ყოველ შემდეგ დღეს და უკანასკნელ დღეს...

1921 წლის ომი მხოლოდ სულთმობრძავის აღსასრულის დღე იყო.

მაგრამ რა ვისწავლოთ ამ წაგებული ომიდან?

უპირველესად ყოვლისა, ამ ჩვენი მაგალითით უნდა დავრწმუნდეთ, რომ თუ ერს აქვს თავისუფალი არსებობის და ცხოვრების სურვილი, მან უნდა შესძლოს, ყოველგვარი დაბრკოლებისა და ვინმეს წინააღმდეგობის მიუხედავად, ეს სურვილი ფაქტად აქციოს. მუდამ ასე ყოფილა და დღესაც ძალაშია, რომ ამის განხორციელების საუკეთესო გარანტია არის არა პოლიტიკური ენაწყლიანობა და ტკბილი სიტყვებით აჭრელებული ქაღალდები, არამედ ძალა; ძალა დარაზმული, მომზადებული და შეიარაღებული; რომაელებმა ათასი წლებით გაუსწრეს ამ მხრივ ჩვენ გონება-მახვილობას; ცნობილია მათი ანდაზად ქცეული სიბრძნე – ზავის მსურველი ომისათვის უნდა ემზადოსო; ამ მცნების შეგნება ერთნაირად სავალდებულოა როგორც უბრალო მომაკვდავისათვის, ისე დღევანდელი თუ „მომავალი“ მინისტრებისათვის, თუ კი სურთ მათ, ორ კვირაში ხელახლა არ გამოაბრძანონ საქართველოდან.

ეს სამხედრო მომზადების საკითხი ერთნაირად საზრუნავი და საფიქრებელი უნდა გახდეს (ისე, როგორც ეს განათლებულ ქვეყნებშია) ყველასათვის, იმის განურჩევლად: სოციალდემოკრატია ის, თეთრგიორგიელი, ფედერალისტი თუ ეროვნულ-დემოკრატი. სამხედრო სამზადისის და ჯარზე ზრუნვის საკითხი უნდა მაღლა დადგეს ყოველგვარ ვინრო პარტიულ თუ ჯგუფურ მისწრაფებაზე. ერის მხედრული სიძლიერე – ერის, მთელი ერის თავდაცვის საშუალებაა და როგორც ასეთის, მის ირგვლივ ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ მის შემასუსტებელ ან ყალბად გაგებულ შეხედულებათ. ჯარი არის ძალა ერისავე მიერ საკუთარი თავდაცვისათვის გამოყოფილი. ჯარი თავისი სისხლით სწყვეტავს: იარსებოს და იხაროს ერმა თუ საჯიჯგნად მისცეს თავი ვინმეს? თუ ერს არსებობის სურვილი აქვს, უნდა იზრუნოს თავის ჯარზე და მოუმზადოს მას ყველაფერი, რაც მას ომის წარმოებისა და მოგებისათვის სჭირია.

რამდენათაც ვხედავთ, ამ, ქართველების გარდა, ყველასათვის ცხად აქსიომას, ჩვენ ვერ შეუვიგნებთ, ვიდრე უკანასკნელი ქართველი სულს არ ამოუშვებს.

მაგრამ თუ ბედმა შემოგვხედა წყალობის თვალით და ამ აშკარა სიმართლის გაგებამდე მივედით, მაშინ ჯარის ანუ ერის დარაზმულობის საჭიროების ცნობასთან, უნდა დავსვათ ის საკითხებიც, რომელთაც ზევით დავარქვით: – „აუცილებელი პირობანი ომის გამარჯვებულად წარმოებისათვის“, ესე იგი: –

1) გამონახვა და ცხოვრებაში გატარება ჯარის ორგანიზაციის საუკეთესო ფორმისა ჩვენი პირობებისათვის (აქ ვგულისხმობ იმ აპარატის მოწყობასა და ამუშავებას, რომელიც ეწევა ჯარის ხელმძღვანელობას, მშვიდობიანი დროის მუშაობას, ე. ი. შტაბები).

2) გამოზომვა, გამოყენება და მოწესრიგება მაქსიმუმამდე ყველა იმ საშუალებისა, რომელიც ჯარის საომარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მხრივ ჩვენ შეგვეძლება.

3) ბრძოლისათვის ხელსაყრელი სივრცის პირობების შექმნა და ამისათვის საჭირო ანალიზის გაკეთება.

4) და ბოლოს: ჯარისა და ხალხის სულიერი მომზადების საკითხი.

ამ ოთხი პირობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება, როგორც მოხსენების დასაწყისშივე აღვნიშნე, გამარჯვების სრული გარანტიაა, მაგრამ ამ ოთხ ფრაზაში გამოთქმული მდაბიო და ადვილად გასაგები აზრები რო განხორციელდენ და მართლაც გახდეს საფუძვლად მომავალი ჩვენი გამარჯვებებისათვის და ქართველი ხალხისთვის ახალ სიმწარეთა ასაცდენად, არც ერთი მათგანი არ შეგვიძლია დავამყაროთ ექსპრომტზე და უბრალოდ თითის გაქნევაზე; – ყოველივე მათგანს სჭირდება ცალკე შესწავლა, ღრმა განხილვა და დამუშავება, ყოველი მათგანი ჩვენთვის და ყველასათვისაც მთელი მეცნიერება და მრავალი, ბეჯითი შრომის საგანია.

ჩვენ, მხედრობა არა ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ დასაკარგი დრო მოგვეპოებოდეს: ვმუშაობთ და ვიმუშავებთ, სიძნელეთა მიუხედავად და იმის მიუხედავადაც, რომ ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელები და პარტიები დღემდე ამის საჭიროებას უარყოფენ. პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა უნდა შეიგნონ, რომ მხედრული საქმე მეტად რთულად ებმის პოლიტიკურ საკითხებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხშირად სამსჯავროს წინაშე დაყენებული საკითხი: – „რად წააგე ომი?" ხშირად გადაიქცევა ხოლმე კითხვად – „რატომ არ მოუმზადე ჯარს ყველაფერი გამარჯვებისათვის?"

თუ რა კავშირია მხედრულ და პოლიტიკურ საქმიანობას შორის, მოვიყვან ერთ მაგალითს: – საკითხი ასეთია: – „როგორი იყოს მომავალში ქართული ჯარი?" საქართველო იქნება თავის საზღვრებში მარტოკა, თუ ის შევა კონფედერაციაში ან იქონიებს მჭიდრო კავშირს კავკასიის სხვა ერებთან? ამ კითხვებზე დამოკიდებულია პირველი კითხვა. თუ პირველ კითხვაზე მხედრის პასუხი გნებავთ, ჯერ პოლიტიკის მწარმოებლებმა უნდა უპასუხოთ მეორე კითხვაზე.

მართალია, ჩვენს ემიგრაციაში შეიქმნა პირობები, რომ უჯაროდაც შესაძლებელია ერის მესვეურობის თამაში, მაგრამ თუ მართლა მესვეურობის მკვიდრი შენარჩუნება გვაინტერესებს საქართველოშიაც, თუ თვით საქართველოს ბედზე მართლა ვფიქრობთ და სახელი – მესვეური – მარტო სახელად არა გვაქვს, მაშინ უნდა ვიზრუნოთ ამ ძალის შექმნაზე, მის შესახებ დღეიდანვე მუშაობაზე და ამისათვის დღესვე საჭირო აპარატის მოწყობაზე, რომ პოლიტიკურმა მოღვაწეებმა მხედრებთან თანამუშაობით, ერთი ერთმანეთის დახმარებითა და ხელის შეწყობით ერთად ჩაყარონ დღეიდანვე მკვიდრი საფუძველი მომავალი საქართველოს სიმძლავრისა და მარადისობის.

ჩვენ, მხედრები ვუცდით ამას, მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას, მაგრამ ლოდინი რომ არ გაგვიგრძელდეს, ვმუშაობთ დღესვე და ჩვენ სამშობლოსათვის გავაკეთებთ იმ მცირეს მაინც, რაც ასეთ პირობებში შეგვიძლია.

[ვარშავა]
[1931-1933]

საბჭოთა რუსეთის და საქართველოს ურთიერთობა სულიერის მხრივ

სხვა და სხვა ადგილას და სხვა და სხვა პირობებში საშუალება გვქონდა, თვალყური გვედევნებინა საბჭოთა რუსეთის უკანასკნელ ხანების მოვლენებისთვის. როგორც მხედრები, განსაკუთრებული გულისყურით ვაკვირდებოდით საბჭოთა რუსეთის მილიტარულ სახეს, მის სამხედრო დარაზმულობას, დიდ ერთეულთა რიცხვს, ამათ შეიარაღებას და ბრძოლის წესებს. არ დაგვიტოვებია უყურადღებოთ არც შეიარაღებულ ძალასთან უშუალოთ დაკავშირებული მძიმე წარმოება, არც საზოგადოებრივი ცხოვრების მშვიდობიანობისასვე საალყო წესებზედ აგება. ყოველივე ეს არა ერთხელ გაგვიხილია და შესაფერისი დასკვნები გამოგვიტანია, ოღონდ დასკვნათა სისრულისათვის საჭიროთ მიგვაჩნია დავუბრუნდეთ ერთხელ კიდევ ამ საკითხს და დავუბრუნდეთ სხვა მხრივ, სულიერის მხრივ, რომელიც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია განხილულ მხარეებზედ. მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ორი ადამიანის შეხლისას ძლევს ფიზიკურათ უძლიერესი, მაგრამ ერთი ბრძოლიდგან ხშირათ გამარჯვებული გამოდის სულიერათ უძლიერესი, თუნდაც ფიზიკურათ სუსტი.

თუ რამდენათ მართალია აღნიშნული მტკიცება ან რამდენათ უდგება ეს სინამდვილე ქართულ პირობებს, განვიხილოთ სულიერი ძალა საერთოთ და ბრძოლაში.

სულიერი ძალა საერთოდ და ბრძოლაში

სულიერი ძალის კანონთა განსახილველათ საჭიროა ვარკვიოთ ის ისეთ პირობებში, სადაც უდიდესი სიმკვეთრით და ძალით მოსჩანს, სადაც უაღრესი კონცენტრაციაა მისი მომხდარი და მართლაც გამოცდილების წინაშე სდგას.

ეს პირობა არის საფრთხე სიკვდილის წინაშე. ადამიანს მეტის მეტათ უყვარს და უნდა სიცოცხლე, რომ მას გაშორდეს დაუნანებლივ. ყოველთვის, როდესაც კი ადამიანს სიკვდილი აემართება და ჰსურს მას არ გაექცეს, უნდა მონახოს სულიერი ძალა. ვინც ჩაჰფიქრებია სიტყვა „განსაცდელს" და წარმოუდგენია, რომ ეს სიტყვა მუდამ საფრთხესთან იხსენიება, აღარ საჭიროებს განმარტებას, რომ საფრთხე ადამიანს სულიერი ძალის განსაცდელის წინაშე აყენებს.

ჩვენც სულიერ ძალას, განსაცდელის წინაშე განვიხილავთ, და საბუთები კი განსაცდელებზედ, ბრძოლის განხილვაში უნდა ვეძიოთ.

პირველ ყოფილ ადამიანთა ბრძოლებში სულიერი მხარე მკვეთრათ არა სჩანს; აქ ძალა სჭრის, იარაღი ან არ არის, ან მეტათ ცოტა. სულს მნიშვნელობა ეძლევა მოწინააღმდეგეთა ფიზიკური წონასწორობისას.

დროთა სვლა, ოჯახ-ტომთა, შურდულ-შვილდთა და ნათალი ქვისა და ძელის გაჩენა ბრძოლას ართულებს, მეტ საფრთხეს უქადის მებრძოლს და მეტათ მოითხოვს სულიერ სიმაგრეს.

შემდეგში, იარაღის თანდათანობითი გაუმჯობესება, ტაკტიკის გაჩენასთან ერთათ, მოიტანს რწმენას, რომ ფიზიკურათ უძლიერესს და იარაღით უმჯობესს, ხშირათ აჯობებს სულით უძლიერესი. ამის დასტურს ვნახავთ ჰანიბალის კანაში და ცეზარისა და პომპეუსის შეხლაში. აქედანვე აქსიომათ იქცევა, რომ ბრძოლის მთავარი იარაღია ადამიანი, თავისი სულიერი თვისებებით. ხმლები, შურდულ-შვილდები, შუბები და კედელთმნგრეველი მანქანები კი მხოლოთ დამხმარე საშუალებები.

თოფის წამლის შემოღებას, კაცობრიობის განვითარების შემდეგ საფეხურზედ მოაქვს ახალი ცვლილებები ბრძოლის წარმოების წესებში. ადამიანი მიილტვის ბრძოლის რაც შეიძლება შორი მანძილიდან ჩატარებისაკენ. მისი თოფები და ზარბაზნები აზიანებენ მტერს გაცილებით უფრო შორი მანძილიდგან, ვიდრე ძველი შვილდისარი. საჭირო ხდება მკვრივი რიგების გათხელება. ადამიანი მარტოვდება ბრძოლაში. უფროსს აღარ შესწევს ძალა მგრძნობიარე სიტყვით, ბედაურის მწკრივების წინ გაქროლებით გაამხნეოს თავისი მეომრები. მინებებულია ის საკუთარი თავის შეუპოვრობასა და სულის სიმაგრეზედ და ეს მაშინ, როდესაც პირობანი სულის აღშფოთებისა გაიზარდნენ რიცხვ[illegible] და ძალაში, როდესაც ფიზიკური ძალის პატრონობა კი არა, ბედი განაგებს კაცის ცხოვრებას, როდესაც ერთნაირათ ხიფათის ქვეშ არის მტრისგან დაშორებული თუ პირისპირ მდგომი. ბრძოლა არ თავდება ერთ შეხლაში, ბრძოლები ბევრია, დიდ თუ პატარა შუალედებით ან სივრცით დაშორებულნი, ბრძოლა ხანგრძლივდება, უკეთ, ბრძოლა ომდება და ადამიანის სულს თავს ატყდება მძიმე და ხანგრძლივი განცდანი. ყველა ამას კი მოაქვს საბოლოო რწმენა, რომ ბრძოლა ყოფილა ნებისყოფათა შეტაკება, მიზნათ ჰქონია მტრის სულის მოტეხვა და ყველა ამის უკეთესათ მიღწევისთვის კი გამრავლებულა და გაუმჯობესებულა იარაღის ხარისხიც და ოდენობაც.

მსოფლიო ომი საუკეთესო დასტურია ამ მტკიცებისა, იარაღთა გაუმჯობესება უმაღლეს ნერტილამდეა ასული, ჩნდებიან შორსმსროლი ზარბაზნები, მრავლდებიან ავტომატიური ტყეიამფრქვეველები, ფრენოსნობა, წყალქვეშა ნავები, მხრჩოლავი ჰაერგვარები, ელექტრონიანი ხლართები, სხეულზედ და სულზედ (პროპაგანდა) მომქმედი იარაღები. სულიც მალე ტყდება თითქმის ყველა მებრძოლებში: ინგლისელებსა, ფრანგებსა და ცენტრალურ სახელმწიფოებში. ებრძვიან კიდეც ამ მოვლენას სათანადო სახელმწიფოს სამხედრო უწყებანი, კიდეც ეუფლებიან მდგომარეობას, მაგრამ სულზედ მომქმედი იარაღები არა სცხრებიან, მათ ემატებათ მატერიალურ საჭიროებათა დაკმაყოფილების სიძნელენიც. ეს უკანასკნელი საუკეთესო იარაღათაც ხდება მოკავშირეების ხელში. უაღრესამდის დაჭიმული სული ვეღარ აიტანს; სისუსტის შემჩნევას მოჰყვება ომის დამთავრების სიახლოვით გათამაშებული იერიშები, მათ წაეხმარებიან ათასობით ტანკები და გერმანეთი დამარცხებულათ აღიარებს თავს. იგივე ბედი მოკავშირეების მხრივ ადრევე ეწევა რუსეთს.

ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ გამარჯვება სულის გამარჯვებაა. ბრძოლაც ამისთვის სწარმოებს და იარაღთა მთელი წყებაც ამავე მიზანს ემსახურება, და ეს უკვე არაა პიროვნებათა, არამედ სახელმწიფოების ბრძოლის მაშტაბში. პირობებს კარნახობს მოწინააღმდეგეთაგან ის, ვინც მოპირდაპირის სულს მოსთრგუნავს და ბრძოლაზედ ხელს ააღებინებს, თუნდაც მრავალათ გადარჩენოდეს საბრძოლო იარაღიცა და მებრძოლთა სხეულნიც.

სულიერ ძალის მოტორები ბრძოლაში

ზემოაღნიშნულიდგან გავიგეთ სულიერი ძალის მნიშვნელობა საფრთხის წინაშე კერძო ცხოვრებაში, და ერთა ცხოვრებაშიც. მხოლოთ ამ უკანასკნელის უკეთესათ გაგებისათვის უნდა დავსვათ კიდევ ერთი საკითხი, სახელდობრ, თუ რა ჰკვებავს მებრძოლის სულს, რა არის მიზეზი მისი მეტ თუ ნაკლებათ გამძლეობისა, და მხოლოთ მაშინ, როდესაც გვეცოდინება სულიერი ძალის თვისებები და მისი მოტორები, შეგვიძლიან გადავიდეთ საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს ამ მხრივ დაპირისპირებაზედ.

დავიწყოთ ძველი ხანებიდგან.

სპარსეთი და ბიზანტია. ორივე ეროვნულათ ჩამოყალიბებული ერთეულები. შეჰქმნიან რა კულტურულ განძეულობას და განიმსჭვალებიან თავის ქვეყნის მონაპოვართა სიყვარულით, გადიქცევიან მილიტარულ სიძლიერეებათ, რომელსაც თანა სდევს საკუთარი ღირსების შეგნება და ამ შეგნების ირგვლივ ეროვნული თავმოყვარეობა. ყოველ მხრივ ადუღებულ სახელმწიფოთ უნვითარდებათ ქვეშევრდომთა აქტივობა, რომელიც ვერ ეტევა საკუთარ ტერიტორიათა მოფარგლულობაში და გარეთ გაინევს საექსპლოატაციოთ. იწყობა ვაჭრობა, ჩნდება კოლონიები, მაგრამ ექსპანსიის მიმართულებებით ურთიერთს შეეხებიან და ამ ხნიდგან გაჩენილი დავა იარაღმა უნდა გადასჭრას. განრისხებული დარიოს მეფე ვეღარ მოითმენს ბერძნების მიერ მცირე აზიის

სიგრძეზედ დაბინადრებულ ბერძნულ მოსახლეობის აჯანყებათა მონყობას. ბრძოლას ევროპის კონტინენტზედ გადაიტანს და საბერძნეთის ისტორია შეიძენს მარათონს,[1] თერმოპილეს[2] და სალამინს[3] და წარმოშობს ხანას, როდესაც გენიალური სამხედრო ორგანიზატორი მაკედონელი ფილიპე მეორის შვილი ალექსანდრე, დარიოს ქსერქსის სანაცვლოთ, თვით შეეჭრება აღმოსავლეთს, დაიპყრობს მცირე აზიას, ფინიკიას, თურქესტანს, პალესტინას, ეგვიპტეს, შეეჭრება ინდოეთს, იმარჯვებს პორუსის სპილოსან ჯარზედ და ვინ იცის, სადამდის ატარებდა მას აბობოქრებული მხედრული გენია, ძველათ უდიდეს სარდლის, რომ ქვეშევრდომთ გაქანებაც შესაფერისი შეპყრაყო. ჯართა სულიერი მოქანცულობის გამო იძულებულია ახალ ტრიუმფებზედ ხელი აიღოს. მოკვდება ქ. წ. 323 წელში, ისე, რომ ვერ მოასწრებს თავის პიროვნებისა და ბერძნული კულტურის ირგვლივ უსაზღვრო სივრცეზედ დამონებული ხალხის ერთ იმპერიათ შედუღებას.

რომი. ჯერ აღმოსავლეთში ორი მებრძოლი ბუმბერაზის ძალა არ მიმცხრალა, რომ დასავლეთით შედარებით სიმშვიდე, სამოქმედო ასპარეზზედ გამოიყვანს რომს. განავითარებს ისიც ბერძნულ კულტურის საფუძვლებზედ საკუთარ კულტურას, გაასრულყოფებს მხედრულ დარაზმულობას, დაჰრაზმავს თავის მოქალაქეთა სულს და ამნაირათ მათ თავმოყვარეობასა და სიკეთეთა განდიდების სურვილს გაიტანს გარეთ და სპარსეთ-ბერძენთა მიბაძვით გადიქცევა ომის ქარცეცხლის ბუდეთ. კინაღამ ანგარიშიც კი არ შეეშალა და თავის კარიერის დასაწყისში შეურაცყოფილ კართაგინელებისა და მათი ცნობილ სარდალ ხანიბალის მსხვერპლათ არ გადიქცა, მაგრამ ასწორებს მდგომარეობას და მივა იქამდის, რომ დაიმორჩილებს მაკედონიას, დაიმკვიდრებს უსაზღვრო ზედგავლენას ანტიოქია-სირიაზედ, მიიყვანს რომის ზედგავლენას ისპანიიდგან ანტიოქიამდის და საფუძველს უყრის სამეფოს, რომლის მაშინდელ მსოფლიოზედ მბრძანებლობა, დამყარებული მხედრული სიძლიერის სწორ გაგებაზედ, გადაეცემა ისტორიას, როგორც რომის ბატონობის ხანა. მისი არსებობის სიგრძეზედ, მისი ორგანიზაციის ირგვლივ, მონაპოვართა შერჩენის თუ განდიდებისთვის განუწყვეტლივ ვხედავთ ბრძოლებს აზიის ტერიტორიასა, ისპანეთსა, გალიასა, თუ აფრიკის ან ბრიტანეთის მიწა-წყალზედ.

და ამნაირათ რომის ისტორიის ფარდაზედ აღიბეჭდებიან მარიუსი, სულლა, პომპეუსი, კრაზუსი, ღმერთათ ცნობილი ცეზარი, ოქტავიანი და მრავალი სხვა, მათ გვერდით კი იხსენიებიან დამარცხებული ციმბრები და ტევტონები,[4] მიტრიდატის სახელი, საბერძნეთისა და თვით რომის არა ერთი შემუსვრა, ისპანეთის აჯანყებანი, სპარტაკის სახელი, გალიის დაპყრობა, ბრიტანეთში ფეხის მოკიდება, გერმანეთში შეჭრა, კანნა, ფარსალო, ეგვიპტე, ნუმიდიელებთან ბრძოლა, პართები და საქართველოს ტერიტორია. და ასე გაგრძელდა 395 წ. ქ. შ. ვიდრე რომის ნანგრევზედ არ აღმოცენდა ორი სამეფო: დასავლეთის ანუ რომაული, რომელსაც საბოლოოთ ბოლო მოუღო ჩრდილოეთიდგან გაჩენილმა გერმანულმა თუ მონგოლთა ტომებმა, და აღმოსავლეთის ანუ ბიზანტია, რომლის არსებობამ გასტანა თურქების მიერ 1453 წ. კონსტანტინეპოლის აღებამდის.

რელიგიური დაინტერესება და საშუალო და ახალი საუკუნოები

სისხლ-გამოცლილი და ძალა-მიხდილი ხალხი რელიგიურ დაინტერესებისაკენ იბრუნებს პირს. ეს წარმოშობს ჯერ ქრისტეს და 600 წლის შემდეგ მაჰმადს, მაგრამ პირველი ვერ შესცვლის ადამიანის ბუნებას, მეორე კი უდიდეს საჩუქარს უქადის მართლმორწმუნეს იარაღით ხელში ურჯულოთ მოქცევისათვის და ჩნდება ბრძოლა, გარეგნულათ ქრისტიანობასა, მაზდეიზმსა, კერპთ-თაყვანისმცემლობისა და მაჰმადის რჯულს შორის, ღრმა ჩახედვით კი, ისევ ამა თუ იმ ერთა და მათ კულტურათა შორის. ისლამის მოციქულობას განსაკუთრებული დაყინებით დაიკისრებს მე-13 საუკუნიდგან ოსმალებათ ნოდებული თურქთა ტომი. ნაცად სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობისა და ინტერესებისათვის, მაჰმადის სჯულით დარაზმავს მორწმუნეთა სულს და საუკუნეთა სიგრძეზედ საშიშროებათ ჩნდება აღმოსავლეთში და დასავლეთში. დასავლეთში მიიყვანს

[1] იგულისხმება მარათონის ბრძოლა სპარსელებსა და ბერძნებს შორის ძვ. წ. 490 წ. *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება თერმოპილეს ბრძოლა ბერძნებსა და სპარსელებს შორის ძვ. წ. 480 წ. *(ლ. ც.)*.

[3] იგულისხმება სალამინის საზღვაო ბრძოლა ბერძნებსა და სპარსელებს შორის ძვ. წ. 480 წ. *(ლ. ც.)*.

[4] ძველი გერმანული ტომები *(ლ. ც.)*.

ეს ახალ ფეხადგმულ, ქრისტიანულ სახელმწიფოთა შეერთებულ დარაზმულობამდის, რომელიც შეაჩერებს რა მის წინსვლას თავის ქვეყნებისაკენ, თვით შეეჭრება მაჰმადიანობის სამშობლოს. აღმოსავლეთში ამ ბრძოლათა მონაწილეთ გახდება საქართველოც და მონაწილე ისეთი ზომის, რომ დღემდის ჩვენ ერს შეუნარჩუნებს ოსმალოელ მეომრისადმი უპირატესობის შეგნებას.

მოკედა სპარსეთ-საბერძნეთი და რომი და დაგეიტოვეს მათ მეხსიერებაში ჩაჩქან-ასხმული, კუნთ-მაგარი, წარბ-მოლუშული, იარაღში ჩამჯდარი მტკიცე მეომრისა და მისი ცხენის სურათი; წავიდნენ და დავიწყებას მიეცნენ მათი ომები, მაგრამ დასტოვეს ისტორიისთვის მაგალითი, თუ რასა ჰნიშნავს სახელმწიფოებრივი ორგანიზმისა და ამით კერძო მოქალაქის სულის რაიმე იდეით, და ამ შემთხვევაში ეროვნული იდეით დარაზმეა, ფიზიკურათ არარათ ქმნილთ არ ჩამოსცლიათ მაინც ის კულტურული მონაპოვარნი, რომლის დაგროვებაც თავის ძლიერების ხანაში შესძლეს. ზედგავლენასაც კი ახდენდნენ ამ მხრივ, ცხოვრების შემდეგ მიმდინარეობაზედ. განსაკუთრებით რომი ითამაშებს დიდ როლს ევროპის საშუალო საუკუნეთა ქაოსში. ჩნდებიან აქ ახალი ეროვნული ორგანიზმები თავის ინტერესებითა და საქმიანობით, თვით რომისგან გაქრისტიანებულნი აქრისტიანებენ სხვებს, საკუთარ ზედგავლენათა სფეროს განსადიდებლათ. რჯულის საკითხი სხვა მიზეზთა შორის, ერთი მნიშვნელოვანთაგანიც არის ეროვნული სახეების ჩამოყალიბების დუღილში. აღსანიშნავია ამ მხრივ ლიუტერის როლი, რომელიც კათოლიკურ საქრისტიანოსადმი ჯანყით მოცული, ასტეხავს ომის ახალ ქარცეცხლებს, განსაკუთრებით საფრანგეთსა და გერმანეთში (30 წლის შინაური ომი). ეროვნულათ ჩამოყალიბდებიან სკანდინავიის სახელმწიფონი, ინგლისი, გერმანიის ჩრდილოეთი, შვეიცარიის მომეტებული ნაწილი და იქნებ განზედაც გაეწია, რომ შემდეგი წინსვლა არ აღეკვეცა ისპანეთის ცნობილ ინკვიზიციას და ტრიდენტის ყრილობას.[1] მე-17 საუკუნის სიგრძეზედ ეს პროცესიც თავდება და შედეგათ ვლებულობთ ისპანეთს, საფრანგეთს, პოლონეთს, ნახევრათ კათოლიკურ გერმანეთს და პროტესტანტულ ინგლისს, ნიდერლანდებს და სკანდინავიის სახელმწიფოებს.

აღმოსავლეთში რომის მზგავს როლს ითამაშებს ბიზანტიური კულტურა, რომლის მილიტარულათ უდიდეს წარმომადგენლათ შეიქმნება მართლმადიდებლური რუსეთი.

ყველა ჩამოთვლილი სახელმწიფოები, ტერიტორიალურათაც, მცხოვრებთ თვისებებითაც, ენითაც, ცხოვრების განვითარების გზებითაც და კულტურულ-მატერიალური განძეულობითაც მთავარ ხაზებში წარმოადგენენ განსაკუთრებულ და განსხვავებულ ერთეულებს თავისი ცხოვრებით და ინტერესებით, და რადგან ამ მხრივ სახელმწიფოთა შეხლის პუნქტები მრავალათ არსებობს, იარსებებს ერთა შორის იარაღით ხელში ლაპარაკის მეთოდიც.

თუ რომელიმე ერი გაძლიერდა, ეროვნული შეგნება ჩამოაყალიბა, თავის ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული დაბადა და ეროვნული თავმოყვარეობა შექმნა, იწყობს ეროვნულ განდიდებისა და სიმდიდრისათვის აქტივობას. ამას მოჰყვება წინააღმდეგობა ან წინააღმდეგობათა კავშირი, რომელთ ბრძოლის ჟინს ასაზრდოებს იგივე შეგნებანი, რაც თავდამსხმელისა.

კლასიკური მაგალითი ზემოალნიშნულის დასამტკიცებლათ არის ახალ საუკუნეებში თუნდ ლუდოვიკ მე-14-ის დროინდელი საფრანგეთი, რომელიც პოულობს კონტინენტზე უპირატესობას, ძლიერი ავსტრიისა და ფრიდრიხ დიდამდის დაქუცმაცებულ ნემეცების გვერდით; აგრეთვე ინგლისი. ეს ხომ იქცევა უდიდეს კოლონიალურ სახელმწიფოთ, რომ აქ ნაშოვნი ფულით ასაზრდოოს თავისი უდიდესი კონკურენტი საფრანგეთის წინააღმდეგ ყოველი მტრული ნამოწყება. მართალია, მის კოლონიათაგან 1776 წ. შემდეგ ერთი, სახელდობრ ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები, თვით შევა მოკლე ხანში ცხოვრების ფერხულში, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომ მოკლე ხანში თვითვე მოექცეს იმავე კანონების ზედგავლენის ქვეშ, მაგრამ ეს მაინც ხელს არ შეუშლის საფრანგეთის წინააღმდეგ რევოლუციისა და გეორგეინოსან თავისმოკვეთით აფორიაქებულ მონარქთა ფრონტი აამოძრაოს და მოუყაროს იქ თავი ისეთ სახელმწიფოებს, როგორც ავსტრია, პრუსეთი, ჰოლანდია და ბოლოს რუსეთი.

რევოლუციის მონაპოვართა დაკარგვის შიში და სამშობლოს საფრთხე, დაჰბადებს საფრანგეთში ისეთ პატრიოტულ აღტყინებას, რომ მათი ისტორია შეიძენს თავის ისტორიის საუკეთესო ფურცლებს და საფუძვლათ დაედება ახალ სარდლებში უდიდესი ნაპოლეონის გენიის გაქანებას.

---

[1] იგულისხმება მსოფლიო კათოლიკური ყრილობა – ტრიდენტის საბჭო – გაიხსნა 1545 წ. ქ. ტრიდენტში (ამჟ. ტრენტო), იტალია *(ლ. ც.)*.

ჯადოსნის სიადვილით ამსხვრევს ძველს და აარსებს ახალ სახელმწიფოებს. ძველ გვირგვინოსანთ სცვლის ახლებით, ყველასი თავისთვის დამორჩილებით კი ჰქმნის ძალთა ახალ განწყობილებას.

1812 წელს რუსეთის უზომო სივრცეზედ საფრანგეთსაც წაუცდება ფეხი. სისუსტის ნიშნები აამხედრებენ მის წინააღმდეგ ისევ ინგლისის ირგლივ რუსეთს, ნემეცებს, ავსტრიას, შვეციას, ისპანეთს და პორტუგალიას. ძალის წინაშე საფრანგეთის უკონკურენციო სიძლიერე ადგილს დაუთმობს რუსეთის, ავსტრიის და ზღვაზედ ინგლისის უპირატესობას.

ეროვნული თავმოყვარეობა და ერის ინტერესები როგორც უხშირეს სულიერ ძალის მოტორთა შორის

ზემო აღნიშნულიდგან ირკვევა, რომ ბრძოლა უხსოვარი დროიდგან ეროვნებათა შორის არსებობდა ან ეროვნულ მისწრაფებათა და ლტოლვილებათა გასანაღდებლათ სხვისი ფასით ან მის დასაცავათ.

თუ ერი თავის ზრდის პროცესში სხვა ეროვნულ ერთეულს დაიმონებდა, სცდილობდა ის თავის სახელმწიფოებრივ ორგანიზმის ნაწილათ გადაექცია ან მთლათაც გადაეგვარებინა. დამონებული კი, ან განაგრძობდა ბრძოლას, ან სულიერათ სუსტი, ნებით ჰკარგავდა ეროვნულ სახეს, რომ მონაწილე გამხდარიყო იმ სარგებლობის, რომელსაც იძლეოდა მილიტარულათ ძლიერის მოქალაქეობა; თუ დაილუპნენ ერთნი, გაჩნდენ ახალნი და ესენი განაგრძობენ ნაკვალ გზას.

სახელმწიფოებრივ ორგანიზმში მებატონე ერის მიერ სხვა და სხვა ერების მოქცევა მკვიდრი და გამძლე არ აღმოჩნდა.

ბასტილიის კედლების ნგრევა და იქიდან მოდებული თავისუფლების ღაღადი ედება მსოფლიოს. იღვიძებენ დამონებული ერები და მალე ვნახავთ განთავისუფლებულ საბერძნეთს, რუმინეთს, ბალკანეთის სხვა სახელმწიფოთ, ავსტრიის იმპერიის ავსტრო-უნგრეთათ გაყოფას, შვეიცარიის რესპუბლიკას და მთლიან გერმანეთს.

მარცხით დამთავრდა ამავე ხანებში მხოლოთ საქართველოსა და პოლონეთის აჯანყების ცდანი.

მდგომარეობას ვეღარ შესცვლის დარაზმული ნეიტრალიტეტისა და მსოფლიო ომის ხანა. ეს უკანასკნელი თვით გახდება მრავალი ერისთვის სუვერენიტეტის მინიჭების და აღდგენის მიზეზათ. და ამნაირათ სახელმწიფოთა რიცხვს მიემატებიან: ფინლანდია, ლიტვა, ლოტვა,[1] ესტონეთი, პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია და კავკასიის ერთა რესპუბლიკები, რომელთა სახელებს მაინც ვეღარ დაჰმალავს წითელი ოკუპანტი.

დღეს დედა-მიწის ზურგზედ 70 სახელმწიფოა. ყოველი მათგანი მფლობელია: თავისი ტერიტორიის, კულტურულ-მატერიალური შემძლებლობის, ენისა და ცხოვრების პირობების, ავისა და კარგი ზნის და ამა თუ იმ საჭიროების. არც ერთი მათგანი ყოველივე ზემო აღნიშნულს ნებით არ დასთმობს და საჭიროების შემთხვევაში მათ დასაცველათ ძალუმათ დარაზმავს სულიერ ძალას პატრიოტიზმსა და ეროვნული მეობის შეგნების ირგლივ.

მართალია, ისტორიას ახსოვს ბრძოლებიც სხვა მოტივებისა და იდეებისათვის, მაგრამ უხშირესთაგანი ამათში, როგორც ზევით ვნახეთ, იყო ეროვნება და მისი ინტერესები. დღევანდელი მსოფლიოს წყობილება არამც თუ არ არყევს ამ მტკიცებას, თვით დასტურია მისი დღეს და კიდევ კარგ მანძილზედ სიმართლისა და გამძლეობის.

ვინც კი ერთაგან ვერ აუღო ალღო ან ნაკლებათ გაიმსჭვალა ამ სინამდვილის შეგნებით, კარგა ხანია მისი სახელი მუზეუმებს ღა შერჩათ ხალხთა გაკვეთილათ და სანიმუშოთ.

საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობა სულიერის მხრივ

ვიცით რა, ერთის მხრივ, სულიერი თვისებები საერთოდ და ეროვნული შეგნება, როგორც საზრდო ამ სულიერი ძალისა, შეგვიძლიან გადავიდეთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ანალიზზედ.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს და ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა რუსეთი თავის სულიერ მოტორებში (თუ მივიღებთ, რომ წმინდა მატერიალისტურ მოძღვრებასაც რაიმე სული-

[1] იგულისხმება ლატვია (ლ. ც.).

ერი სარჩული აქვს) გამონაკლისია ზემო აღნიშნულ კატეგორიებიდგან. ის, ასე ვსთქვათ, ახალი რამეა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის შვილი.

მიილტვის პროლეტარების ხელით და ძალით მსოფლიოში სოციალისტური წყობილების დამყარებისაკენ.

ამ მიმდინარეობის ჩასახვის საბაბათ გახდა მრეწველობისა და აღებ მიცემობის უცაბედი ზრდა, და წარმოშობა საზოგადოებაში ერთი წრის ხალხის, რომელიც ძნელ პირობებში, მატერიალურათ შეზღუდული, ჰმონაწილეობს ქონებათა შექმნის პროცესში საგრძნობათ, ოღონდ ამ მუშაობიდგან გამომდინარე სარგებლობაში კი სუსტათ. ხშირათ, სამრეწველო კრიზისების გამო იმ პოზიციის დაკარგვის შიშშიც არის, რომელიც აქვს და გასაკვირველი არ არის, თუ ასეთ პირობებში მათ ბედის ქომაგათ დაბადებული იდეა ადვილათ ჰპოვებს გამოძახილს და შემოიკრებს მიმდევართ.

ეს იდეა თითქოს აჩქარებით წამოსროლილი აჩქარებითვე მისდევს ცხოვრებას, თან თავის არსებობის სიგრძეზედ განიცდის ცვალებადობას (ეს პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა).

ინყობა ინგლისის ტრედიუნიონისტებით, გადადის სოციალდემოკრატიზმზედ, ეს თავის სფეროდგან წარმოშობს კომუნისტებს. არიან კიდევ სხვა დაჯგუფებანი, სახელწოდებაში სოციალიზმის ხსენებით, ყველას მუშაობა ფართოთ ისაზღვრავს მუშაობის სფეროს, სცდება ერებს და სახელმწიფოებს, უახლოვდება მსოფლიოს და ამით წარმოადგენს სწორეთ განსხვავებას, ზემოთ აწერილ ისტორიის მიერ უშორესი ხანებიდგან დამკვიდრებულ ცხოვრების კანონებიდგან, როგორც მიმდინარეობა დაბადებული საზოგადოების მხოლოთ ერთი წრის საჭიროებასთან შეფარდებით, გადაბმულია ეროვნებათა განურჩევლათ ამ წრის წარმომადგენლებთან და ამ გზით შეაქვს დამასუსტებელი ზედგავლენა ხალხთა იმ კავშირში, რომელიც ცნობილია როგორც შედეგი სისხლის ნათესაობისა, საერთო პირობებში მრავალ წლით ნაწვალ ცხოვრების, საერთო ენისა, და საუკუნოების სიგრძეზედ დაგროვილი გონებრივ განძეულობის.[1]

არ მინდა საერთოთ სოციალიზმის შესახებ დამთავრებული ანალიზი გავაკეთო, რომ ამის გამო ცუდათ არ გამიგონ ჩვენი სოციალისტების იმ ნაწილმა, რომელშიაც ნაციონალური იდეალებიდგან კიდევ ბევრია გადარჩენილი და მრწამს, დროთა სვლა და თავიანთ გულში ღრმათ ჩახედვა უფრო დააახლოვებს მათ ეროვნულ მისწრაფებებთან და ქართველ პატრიოტ მხედრებთანაც.

ბოლშევიკებზედ შემიძლიან ვსთქვა, რომ სოციალიტური მოძღვრებისთვის უერთგულეს და უულმობელს მიმდევრებათ მოსჩანან, შეხედულებათა პრაქტიკულათ ჩატარებაში საშუალებებს არ ერიდებიან და ამნაირათ ქართული ეროვნული ლტოლვილებებისათვის, ეროვნული შემოქმედებისა და განვითარებისთვისაც უსაშიშროეს და უულმობელეს მტრებათ ჩაითვლებიან. ასეც არის სინამდვილეში და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას შეგვიძლიან ერთი წინადადებით ორი სულიერი მოტორის შებრძოლება დავარქვათ – ეროვნულის და სოციალისტურის.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ერთი რამეც არის აღსანიშნავი. ცხოვრებამ საბჭოთა რუსეთის ორგანიზმი სახელმწიფოებრივ ცხოვრების კანონების ზედგავლენის ქვეშ მოაქცია. არც ისე ბევრი ხანია მას აქეთ, რაც საბჭოთა რუსეთის საგარეო მინისტრმა ლიტვინოვმა განაცხადა, რომ „რუსეთი უბრუნდება ძველი დიპლომატიის საქმიანობას", ჩვენ კი ვხედავთ, რომ არა მხოლოთ დიპლომატიურ საქმიანობას, არამედ შინაურ საქმიანობასაც.

ბოლშევიზმი, ბოლშევიკური რეჟიმი და მათ მიერ საქართველოს სიმდიდრეებით სარგებლობა: რუსული ენით, რუსულ მოხელეებით და რუსეთის ორგანიზმისათვის ხდება. მაშინ, როდესაც რუსული ენის შეზღუდვასა და არა სასურველობაზედ ლაპარაკი არ არის, სხვა ეროვნებათა თავისებურებას ულმობელათ ებრძვიან (განცხადებანი უკრაინის ნაციონალიზმის შესახებ რუსეთის უკანასკნელ ყრილობაზედ); ასეთივე პრაქტიკული საქმიანობაა საქართველოში.

დამონებულ ერთა განძეულობით სარგებლობაშიც განსხვავება არ არის ძველ ველიკორუსულ შოვინიზმსა და ბოლშევიკებს შორის. თუ ძველათ საერთაშორისო ბაზარზედ ქართულ ღვინოებს საუფლისწულო სარდაფები ჰყიდდენ, დღეს ამას საბჭოთა რუსეთის სამეურნეო კომისარიატის სარდაფები სჩადიან. ასევეა სხვა მრავალ დარგში და ამნაირათ რუსეთისა და საქართველოს მდგომარეობა ფაქტიურათ მეფის დროინდელთან შედარებით უცვლელია, ოღონდ ხდება სხვა საფარით და სხვა სახელით.

---

[1] აქედგან გამონაკლისათ უნდა ჩაითვალოს ნემენცური ეროვნული სოციალიზმი, რომელმაც რასიზმის და ნაციონალიზმის სოციალიზმთან გადაბმა სცადა *(ავტ.)*.



მარიამ დედოფალი (1768-1850). ალექსანდრე როინაშვილის ფოტორეპროდუქცია (სლმ. №1308-ი., ალექსანდრე როინაშვილის არქივი, თბილისი).

საქართველო ძველებურათ რუსეთის კოლონია და დამონებული პროვინციაა. საქართველო, როგორც ეროვნულათ ჩამოყალიბებული ერთეული, ეროვნული მოტორით ამოძრავებული სულით დაპირისპირებულია ველიკორუსულ თავდასხმასთან, რომელიც მას კომუნიზმის სახელით მოევლინა. ვანებებ რა თავს აღნიშნულ მიზეზით სოციალისტურ მოძღვრების დაწვრილებით განხილვას, გადავიდეთ საკითხის მეორე მხარის გაშუქებაზედ. რა სიღრმის ძალაა საქართველოს ეროვნული მიდრეკილებანი, რა ძლიერებისაა ეროვნული თავდაცვის სურვილი და საამისო მიზეზები მის ორგანიზმში?

ჯერ დავსვათ საკითხი: „არის თუ არა საქართველო ქმნილი, რომელსაც უნდა ჰქონდეს ეროვნული სახე, ეროვნული თავმოყვარეობა, ეროვნული ლტოლვილებანი და შესაფერისი სულიერი ძალა?"

საქართველოს აქვს მსოფლიოს ზედაპირზედ მკვეთრათ აღნიშნული საკუთარი თვისებების და განზომის სივრცე ყველა თავის შემადგენელ და თავისებური ნაწილებით. მისი სახელის ხსენება ჰგულისხმობს მასთან დაკავშირებულ ბუნების ყველა სამკაულთა არსებობას – მდინარეებს, მთებს, ბაღ-ენახებს, ტყეებს, ტბებსა და ზღვას. მასზედ ბინადრობს შინაგანი და გარეგნული თვისებებით მტკიცეთ ჩამოყალიბებული, საკუთარ ენაზედ მოლაპარაკე, საკუთარ ზნე-ჩვეულებათა და ფსიქიკის მქონი ხალხი. ამ ხალხს საკუთარი სიტყვიერი და წერილობითი შემოქმედებით შეუქმნია და განუვითარებია საერო, საეკლესიო და მუსიკალური მწერლობა, დაუტოვებია ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშები, დაუგროვებია მატერიალური და კულტურული განძეულობა. უარსებია ათასი წლები, დარაჯათ მდგარა საუკუნეების სიგრძეზედ თავისი მეობის და ეროვნული თავმოყვარეობის, ჰქონია საკუთარი წყობილება, დიდების და განცდის დღენი, კარგი და ავი თვისებები, ჰყოლია ნიჭიერი და უნიჭო მმართველნი და დიდებული მხედრობა. ცოცხალი არსებასავით მისდევდა ცხოვრებას თავისი სიცოცხლით, აზრით, შემოქმედებით, ტკივილებით და დოსტაქრებით.

და ეს მდგომარეობა ყოფილა არა მარტო მის დიდების დღეებში, არამედ განცდის ხანებშიაც მისი ხანგრძლივი ისტორიის მთელ სიგრძეზედ და თუ რამდენათ ძლიერი ყოფილა მისი მამოძრავებელი სული, ვნახოთ მისი ცხოვრების ერთი ეტაპიდგან მაინც.

ავიღოთ ხანა, რომელიც საყოველთაოთ მიჩნეულია საქართველოს ფსიქიკის უბნელეს, გადაგვარებისა და ეროვნული დაკნინების ხანათ.

ეს ხანა არის რუსეთის 117 წლის ბატონობა ჩვენ ერზედ. დღევანდელ მდგომარეობის ანალოგიურობისათვის განვიხილოთ იგი ცოტა გულდასმით.

ჯერ არ გაციებულა ოთხმოც ომ გადახდილი ერეკლე მეფის გვამი, რომ სუსტი ადამიანი, ქართველი ქალი,[1] ხანჯლით განგმირავს რუსის ღენერალს,[2] ხალხი კი საქართველოს სუვერენიტეტის გაუქმებისათვის ზედი-ზედ გაისვამს იარაღზედ ხელს და აჯანყდება ჯერ კახეთი, შემდეგ 1805 წ. ქართლი, ბოლოს იმერეთი, 1812 წელში ისევ ქართლი, კახეთი, ფშაველები და ლეკებიც კი, 1820 წელს ადგილი ექნება ორ აჯანყებას იმერეთს, გურიასა და რაჭაში. ვერც 1832 წლის წამოწყება დაგვირგვინდება დადებითად. ყველა ეს გამოიწვევს საშინელ რეპრესიებს და დევნის ხანას, რაც კარგა ხნით შესწყვიტავს იარაღით ბრძოლის მეთოდს და მას სხვა სახესა და ელფერს მისცემს.

[1] იგულისხმება მარიამ დედოფალი *(ლ. ც.)*.
[2] იგულისხმება გენერალი ივანე ლაზარევი *(ლ. ც.)*.

ხელიდგან ხმალ გამოგლეჯილი პატრიოტობა კალამს წასწვდება და ფიზიკური მოსპობის მიუხედავათ, ეროვნული სულის სიმძლავრის უდიდეს ნიშნებს შეპქმნის. დიდი და პატარა ქართული სულით ამეტყველებულ მწერალთა რიცხვში მოექცევიან ისეთი პირნი, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი ან მარიამ, თეკლე და ქეთევან ბატონიშვილები და ვახტანგ ორბელიანი.

ყველა ამათი კალამი ხმალზედ ძლიერა პლარავს გულს და საქართველოს წარსულის დატირებით ასულდგმულებს საზოგადოების იმ ნაწილის ცნობიერებასა და გულს, რომელთაც თითქოს დაიწყეს ახალ მდგომარეობასთან შეგუება და თავის ერის წარსულისა და დღევანდელი ტკივილების დავიწყება.

მათ შემდეგაც განაგრძობს არსებობას საქართველო, როგორც ცოცხალი ორგანიზმი კვნესა-ოხვრა და ტკივილებით და სიცოცხლის შემნატრი მალამოებს ეძებს მათ განსანყლულებლათ.

ბატონყმობა უდიდესი ჩირქი და ტკივილია, მატერიალურ სიღარიბესთან წოდებრივი უსამართლოება უხშობს გლეხს გონებრივი განვითარების, სიტყვის თქმის და კულტურული განძეულობის შექმნაში მონაწილეობის გზას.

ვარანცოვის მლიქვნელი შარბათი და გარეგნული ბრჭყვიალება ეროვნული თავმოყვარეობის დასუსტების შხამათ მოეკლინება საქართველოს მეორეს მხრივ.

ბოლოს საქართველო, უკულტურო რუსეთის ფარგლებში შესული, მოკლებულია ევროპასთან უშუალო კავშირს და გონებრივი განძეულობის შექმნის მხრივ ლამის არის, ჩამორჩეს ჩქარი ნაბიჯით წინ-მიმავალ ცხოვრებას.

ყველა ამ მხრივ საჭიროა ხმის ამოღება, საქმიანობა, ნაკლთა გამოსწორება და საქართველო ისე მძლავრათ ამოიღებს ხმას, ისე გაინევს ნაკლთა შევსებისაკენ, იმოტელა ენერგიასა, ნიჭსა და ძალას გამოიჩენს ყველა ამათ მოსაბრძოლებლათ, რომ გეგონებათ საქართველო დამონებული კი არა, თავისუფალი, მთლიანი, მგრძნობი და მომქმედი ყოფილიყვეს. ამ საკითხებზეა რომ მოთაკილებით, მორცხვენით ალაპარაკდებიან: რაფ. ერისთავი, ალ. ორბელიანი, დ. ბაგრატიონი, ვეზირიშვილი, გ. ერისთავი, მამია გურიელი, ანტონ ფურცელაძე, დ. ბერიშვილი,[1] დიმ. მგალობლიშვილი, ლუკა ისარლიშვილი, ი. ბერიძე, გ. რჩეულიშვილი, ზ. ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, ნ. არდაზიანი, პ. თუმანიშვილი და სხვანი. – მათ სიტყვასა და მოქმედების გაუბედაობას და სიძნელეს კიდეც აუჯანყდებიან, წუნს დასდებენ და ახალ ენერგიისაკენ მოუწოდებენ ისეთი ძალის მწერალნი, როგორც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, დ. მაჩაბელი, კირილე ლორთქიფანიძე, გ. ყაზბეგი, დავით ყიფიანი, მიხეილ წინამძღვრიშვილი, ვ. ბარნაველი და სხვანი. ყველა ესენი დაუდგრომლათ ქართულ ტკივილებსა და გამოღვიძებას მართლაც რომ პრომეთეოსებური ძალით დასტრიალებენ და „ყველას კი პხელმძღვანელობს და წინ მიუძღვის ქართული ერის ნიჭის, ენერგიის და გამბედაობის განსახიერება ილია ჭავჭავაძე“. ყოველ დღიურ პრესასა, პერიოდულ გამოცემებში, სიტყვიერ და პრაქტიკულ საქმიანობაში მდიდრდება საქართველო ახალი მიღწევებითა და განძეულობით, იძენს სხვა ეროვნებათა ნარჩინებულ მოაზრეების საუკეთესო თარგმანებს და საკუთარი შემოქმედებითაც ადის ისეთ სიმაღლეზედ, რომ თამამათ შეუძლიან უგანათლებულეს დროის ერებს ამოუდგეს გვერდში.

საქართველო იძენს თავის გონებრივ განვითარების ვერცხლის ხანას.

ჩატარებული შრომა არ დარჩება უნაყოფოთ. ბატონყმობისაგან განთავისუფლებული გლეხებიც გაერევიან ქართული აზრის და ცხოვრების წინ-წაწევის საქმეში. ძველ შემომქმედებს ემატებიან ახალნი, არა ნაკლები ნიჭით და ენერგიით, როგორც ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა ფშაველა ან უფრო შემდეგ შანშიაშვილი და გრიშაშვილი და რომელ იმ დროინდელ ერს ჩამოუვარდებიან ქართველები კულტურისა და გონების დონით?

არ მომიხსენებია საქართველოს უფრო მდიდარი ნარსული და აქაფებული ცხოვრება, არც მისი სისხლით სავსე ან დიდების დღეები. არაფერი მითქვამს არც სპარსეთსა და რომაელებთან ბრძოლებზედ, არც არაბებსა და მონგოლებზედ, არც ხელახლათ სპარსეთსა და შემდეგ ოსმალებზედ და არც მე-12 საუკუნის ოქროს ხანაზედ, რომლის მხოლოდ „ვეფხის-ტყაოსანი“ ერთ ერათა ღირს. მოვიხსენიე მხოლოთ ერთი, ეროვნული დაკნინების და დაცემის ეტაპი, რომელიც წვეთი

[1] უნდა იგულისხმებოდეს დიმიტრი ბერიაშვილი *(ლ ც.)*.

უფროა ზღვაში, ვიდრე მთლიანი სურათი ჩვენის წარსულისა, მაგრამ ისიც რაცა ვსთქვი, საუკეთესო დახასიათებაა ჩვენი ერის ამირანისებური გამძლეობისა, მისი წარსულის და ტრადიციების სიღრმისა და კულტურის სიმაღლისა.

ცხადია, ყოველივე ამის ირგვლივ არსებულ ეროვნულ თავმოყვარეობას ვერ დაამცირებდა ვერც საქართველოს სამ-წლიანი დამოუკიდებელი არსებობა, ვერც მისი დამოუკიდებლობის მრავალ სახელმწიფოთა და ერთა ლიგის მიერ ცნობა და ამნაირათ ყველა თვისებები ეროვნებისა, განსაკუთრებით ტრადიცია, საუკუნეების განმავლობაში ნაწვალები ცხოვრება, წარსული და აწმყო, ენა და ლიტერატურა, მხატვრობა და მუსიკა, აქვს საქართველოს და **უნდა ჰქონდეს.** ეროვნული თავმოყვარეობაც, რომელიც შეშვენის ყველა ზემოდ ნათქვამს და საქართველოს ბუნების სიამაყეს.

რა დასკვნები შეგვიძლიან გამოვიტანოთ საბჭოთა რუსეთის და საქართველოს დაპირისპირებისაგან?

მიზნათ არ მქონია მკითხველისათვის აღძრულ საკითხზედ პასუხი მიმეწოდებინა. მინდოდა ობიექტიური მიდგომით გადამეშალა თვით სურათი დამონებული ქართული სულის ვითარებისა, მინდოდა მიმეცა სწორი დაფასება ამ ვითარებისა და ამ გზით მეიძულებინა მკითხველიც საკუთარი სულის **მოტორზედ,** საქართველოს დღევანდელ და მომავალ ბედთან გადაბმით დამეფიქრებინა. მინდოდა გაეგო, რომ საქართველო, როგორც ცოცხალი არსება, არსების დამახასიათებელ თვისებების ყველა ატრიბუტებით, სიცოცხლით და სიცოცხლის სურვილით, ენით, ხალხით და ქვეყნით, ცუდის თუ კარგის, მაგრამ საკუთარის სახითა და ზნით, იმდენადვე მოწადინებულია და მოწოდებულიც არსებობისა და განვითარებათა საკუთარი გზებით სვლისთვის, როგორც ყოველი სხვა ერი, რაც გინდ დიდი და ძლიერიც არ იყოს ის, მინდოდა ეგრძნო, რომ ამ არსებას გარეშე ძალამ კითხვითი ნიშანი დაუსვა, ჯარით თავს დაესხა, ფიზიკურათ სძლია, ხელ-ფეხი შეუბორკა, ადგილობრივს არაფერს ანგარიში არ გაუწია და უცხო ნიმუშზედ, უცხოთ სურვილით, ქვეყნის გარდაქმნას, გადასხვაფერებას, ეროვნულ შეგნების შესუსტებას და ამით ფიზიკური მფლობელობის დამკვიდრებას შეუდგა.

სულ ერთია, მუშაობის შედეგათ საქართველოს შეისუტავს და გასთქვეფს ველიკორუსთა ერი, თუ ახალი იდეით დარაზმული ახალი ორგანიზმი, საქართველო ორივე შემთხვევაში ერთ განსაცდელშია.

ალექსანდრე მაკედონელმა ვერ შეჰქმნა თავის პიროვნების ირგვლივ ერთი სახელმწიფო საბერძნეთიდგან ინდოეთამდის, ვერც რომმა ბრიტანეთის კუნძულიდგან შუა აზიისა და აფრიკამდის, ვერც სჯულის ერთიანობამ გადარეცხა ერთა სხვაობანი, ვერც კულტურულმა ზედგავლენამ აღგავა ერები, მაგრამ ყველაფერი ეს იქ, სადაც ეროვნული შეგნება, ეროვნული ერთიანობა, ეროვნული თავმოყვარეობა, **ეროვნული მოტორით ამოძრავებული სული** უფრო ღრმა იყო გარეშე ზედგავლენაზედ.

ისტორიამ იცის შესუტული და დაკარგული ერების სახელებიც, მაგრამ რა საერთო უნდა ჰქონდეს მათთან მეოცე საუკუნეს მიღწეულ საქართველოს და ქართველ ხალხს? რომელი უფლებებისა და ლოღიკის ძალით და რა მიზეზებით უნდა აიღოს საქართველომ ხელი თავის არსებობაზედ რუსულათ მოლაპარაკე, თუნდაც ახალ, ორგანიზმის სასარგებლოთ. რათ უნდა უარჰყოს ეროვნული განვითარების გზით სვლა, თუ კი ეს თვით ცხოვრებამ და ისტორიამ დედამიწის ზურგზედ ყველა, საკუთარი ღირსების შემგრძნობ, ერებისთვის დააკანონა.

მკვდარ ბუნებას არას დროს არ შეუტანია გარემოში ცვლილება, ვერც სულ მოკლებულ ლეშს დაუწნევია კვალი ცხოვრებაზედ.

აზრი და სულია, მოქმედებას რომ ჰქმნის და ამ მოქმედებას ამძლავრებს.

ამისთვის არის, რომ თავისუფლების მოტრფიალე საქართველო **ეროვნული მოტორით ამუშავებული სულით** უნდა დაირაზმოს განეროვნების მსურველთა და ტყვე მქნელებთან შეხლაში ბრძოლის მოსაგებათ.

არსება, რომელმაც დაჰკარგა მოქმედების უნარი ან მოქმედებათა მიზანშეწონილობის შეგნების უნარი, გასახრწნელი ლეშია, ან გარემოსთვის მავნე ბალასტი და ცხოვრებისგან ეელარ მიიღებს ვერავითარ კარგს.

საქართველოც ვერ განთავისუფლდება ვერასოდეს. ბოლშევიზმის განმაეროვნებელ სულს ქართველთ ეროვნული შეგნება და ეროვნული მოტორით ამოძრავებული სული თუ არ წინააღუდგა.

მხედრებს ვერავინ დაგვაჯერებს, რომ ბრძოლის მოგება უაზროთ მოარულ სხეულთ სიმრავლით და ტყვია წამალთ უდიერობით შეიძლებოდეს.

მასალასა და მებძოლებთან, ბრძოლის მოგებას სული სჭირია. ჩვენსა და ბოლშევიკების დაპირისპირებაში კი ძლიერი, ეროვნული მოტორით ამოძრავებული სული. იარაღსაც და მასალასაც მხოლოთ ამ შემთხვევაში მიეცემა წონაც და ფასიც და ჩვენ სურვილებსა და იმედებსაც რეალური მსვლელობა... ეს საერთოდ...

ჩვენ ვინრო ემიგრანტულ პირობებში კი, იგივე პირობა აგვაცილებს უგზო-უკვლოთ ხეთქებას და გამოსავალთ ძიებას. ეროვნული მოტორის მიგნება მიჰმართავს ჩვენს სხეულებს სასარგებლო და დამშვიდებულ საქმიანობისაკენ და გაგეიძღვება ჩირაღდანათ სულიერი გაერთიანებისაკენ. მხედრულ გაერთიანებამდის კი აქედან მანძილი შორი არ არის. ორი ამ პირობის მიღწევა დღევანდელ საქართველოსათვის ისეთ მნიშვნელობის საქმეს წარმოადგენს, რომ ღირსია ამაზედ სხვა საკითხზედ უნინარეს დავფიქრდეთ. იქნებ ეს საკმარია საქართველოს ფიზიკური მოსპობის აცილებისათვის, და დღეს ხომ ასე სდგას საკითხი!

მხედრებისათვის, ბოლშევიკებთან ბრძოლის პროცესში, ქართული ეროვნული სულის სიძლიერის მნიშვნელობა გარკვეული და შეურყეველია. სულიერის მხრივ, ქართველთ ერთიანობაც მებრძოლთ დარაზმვასა და ბრძოლის მოგებისათვის კამათს არ მოითხოვს. ოღონდ ორივე ეს მხარე ისეთი მნიშვნელობისაა, რომ ყველაზედ საპატიო ადგილს იჭერს იმ მუშაობებში, რომლისკენაც მივდივართ ტაბახმელური თავდადებითა და უანგარობით.

ქართველი ერისა და ემიგრაციიდგან, განსაკუთრებით კი ქართველ მხედრობიდგან კი, ვიმედოვნებთ ამ მუშაობაში აღარ დავრჩებით ტაბახმელურათ განმარტოებულნი.

[1934]

შორეული აღმოსავლეთის პრობლემა კავკასიის ერთა თვალსაზრისით

შორეული აღმოსავლეთის დღევანდელი მდგომარეობა უეჭველათ კაცობრიობის უდიდეს ყურადღებას იპყრობს. მსოფლიოს ამ კუთხის ურთიერთობათა დასახასიათებლად უშუალოთ დაინტერესებულნი სიტყვა „დაჭიმულსაც“ ხმარობენ. არავისთვის შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენილიყო ის ფაქტიც, რომ შანხაითა და მანჯუ-გოთი დაწყებული და იაპონელების ერთა ლიგიდან გასვლით დამთავრებული ინციდენტი თავის მნიშვნელობით გადასცდა დაინტერესებულ სახელმწიფოთა ფარგლებს და გამოძახილი ჰპოვა დიდათ უფრო ფართო მაშტაბში.

ჩვენთვის ამ მოვლენათაგან საინტერესოა ზედგავლენა, რომელიც მოახდინა შორეული აღმოსავლეთის საკითხებმა საბჭოთა რუსეთის მდგომარეობაზედ.

არ შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სოციალიზმი, როგორც იდეა, რომლის სამოქმედო ასპარეზი მსოფლიოა, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში დიდი ხნით მოამწყვდიონ საბჭოთა რუსეთის დღევანდელმა ხელმძღვანელებმა.

ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა, როგორც განსახიერება რადიკალურათ წინააღმდეგი წყობილება-მსოფლმხედველობისა, მეორეს მხრივ, მოსჩანან იმ ერთეულებათ, რომელნიც სოციალიზმის მტერთა პირველ რიგებში უნდა იდგნენ. ეს შეხედულება ბოლშევიკების მიერვე აშკარათ იყო აღიარებული წლების მთელი რიგის სიგრძეზედ და არამც თუ იყო აღიარებული, ცხოვრებაც და სახელმწიფოს შინაგანი საქმიანობაც ვითარდებოდა შესაფერისი დარგებით. უდიდესი აქტი, რომელიც კარგა ხანია ასულდგმულებს საბჭოთა რუსეთის დამშეულ მოქალაქეთა საქმიანობას, ეს ხუთწლედის საბჭოთა სამრეწველო გეგმის განაღდება იყო, შესაძლებლობათა მაქსიმუმის მიღწევა კი ამ დარგში ხდებოდა დევიზით: „დავეწიოთ, გავუსწროთ – გავიმარჯვებთ“. არა ყოფილა საიდუმლო არც ის, რომ განსაკუთრებული გულისყურითა და აჩქარებით ხორციელდებოდა მრეწველობის ის დარგი, რომელიც „საჭირო შეიქმნებოდა თუ რომ თავდასხმას გეგმის განხორციელებამდის ექნებოდა ადგილი“.

1924 წელს ჩინეთთან პატარა ეპიზოდის გათამაშების შემდეგ, თუ სახეში მივიღებთ საბჭოთა რუსეთის მოსაზღვრე ერების მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებას, უნდა შევთანხმდეთ, რომ სა-შიში მიმართულება რუსეთს მხოლოდ დასავლეთით ჰქონდა და მომზადების მაშტაბიც და სახეც სწორედ ამ დასავლეთის პირობებს ითვალისწინებდა.

იაპონიის მანჯუ-გოში შესვლამ მდგომარეობა იმდენად შესცვალა, რომ დასავლეთისთვის დანიშნულ სამზადისს აღმოსავლეთის საჭიროებანი დაებადა და აქ გაჩენილ მტრის მნიშვნელობა და ღირსება კი იმდენათ საგრძნობი გამოდგა, რომ ერთ და იმავე დროს ორივე მხრივ გამკლავების შეუძლობის გამო, საბჭოთა რუსეთი არჩევანის წინ დადგა.

დასავლეთით მდგომარეობა იმდენათ სახიფათო არ იყო. აქ უკანასკნელ ხანებში, გარდა თითოობრივი პროექტებისა, ბოლშევიკებთან ომი პოპულიარული არ აღმოჩნდა. საბოლოო შეთანხმებამდის ამ მხრივ არ მისულან, პირიქით, რუსეთის დამტევი ბაზრის მოპოებაში ევროპის სახელმწიფოებმა ერთგვარი ჯირითიც გაათამაშეს. ასეთ შემთხვევაში არა სჩანდნენ ისინი, ვინც „თავდასხმას მოახდენდნენ“ და ლოღიკურათ უნდა ჩაითვალოს თუ ბოლშევიკების არჩევანი თითქმის თავდასხმულ მტერზედ შეჩერდა და შესაფერ პირობების შექმნაზედ ამუშავდა.

დღეს ვიცით მთელი რიგი უაგრესიობის პაქტების დადებული საბჭოთა რუსეთის მიერ დასავლეთის მეზობლებთან; ვიცით გაცხოველებული ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც ამ პაქტებს მოჰყვა; ვიცით ზოგიერთი სახელმწიფოების მიერ რუსეთში კაპიტალის დაბანდების მაგალითები (უკანასკნელათ შვეცია). ვიცით აგრეთვე ამერიკელების მიერ საბჭოთა ცნობაც და ყველა ეს ლოლიკური განვითარება იყო იმ პირობების, რომლებმაც სულ წლი-ნახევრის განმავლობაში ასე საგრძნობლათ წამოყვეს თავი შორეულ აღმოსავლეთში.

ჩვენთვის, ქართველთათვის და კავკასიელთათვისაც, დღის საკითხათ უნდა ჩაითვალოს გაშუქება იმ ფაქტების, რომლებმაც მოკლე ხანში გამოიწვია ამდენი ცვლილებები და შეიძლება გამოიწვევს არა ერთს.

საკითხის დანერილებითი გაცნობა გაგვიადვილებს ვერკეეოდეთ მდგომარეობაში დღეს და მომავალშიაც.

ჩინეთი. მოვლენათა მთელი რიგი, რომელსაც ქვევით განვიხილავეთ, ხდება იმ სახელმწიფოს ფასით და ზურგზედ, რომელიც სივრცით აღმატება მთელ ევროპას (უმანჯუ-გოთი 10 მილიონი კვ. კილომეტრი). მცხოვრებთა რიცხვით წარმოადგენს მსოფლიოს მეოთხედს და სახელი მისი – ჩინეთი.

ჩინეთს ჰყოფენ ნამდვილ ჩინეთათ და მის გარეშე საკუთროებებათ. ამ უკანასკნელს აკუთვნებენ: თურქესტანის ჩინეთს, მონგოლეთს, ტიბეტს და ბოლო ხანამდის მანჯურიას. ყველა ეს ერთეულები, რომელთ შორის მჭიდრო კავშირი პრობლემატურია, იყოფიან კიდევ 18 დიდ-პატარა ერთეულებათ. სცხოვრობენ ესენი თითქმის დამოუკიდებელი ცხოვრებით, ხშირათ არა სცნობენ ურთი-ერთ შორის რაიმე უზენაესობას, მორალური დაცემულობა და პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელთა ქიშპობა კი ჰქმნის ანარქიის სურათს. ადმინისტრაცია უძლურია ქონების ხელშეუხებლობის დაცვასა და წესიერების დამყარების ცდებში და ასეთ პირობებში გასაგებია, თუ ოფიციალურათ „ყვითელ საშიშროებათ“ აღიარებული, პრაქტიკულათ ცნობილია უპატრონო ქვეყანათ.

უპატრონო ქვეყნების ძიების და მისი გამოყენების საკითხი შედეგია იმ ეპოქის განვითარების, რომელიც დაიწყო (ინდოეთთან გზის ძიებაში) ამერიკის აღმოჩენით და დამთავრდა ან უკეთ მიმდინარეობს, როგორც სახელმწიფოთა შორის კოლონიალურ მონაპოვართა ჯირითი.

ჩინეთის ტერიტორიაზედ პირველი ნაბიჯი გადაიდგა 1842 წელს, როდესაც ევროპის ვაჭრებისათვის გახსნილ იქმნა ხუთი ნაესადგური. ამას მოჰყვა ხონგ-კონგის ინგლისელებისათვის გადაცემა, რუსების მიერ ამურის ოლქში საექსპლოატაციოთ შესვლა, ფრანგების მიერ უსინდო-ჩინეთის დაკავება, ინგლისელების მიერ ბარმანიის, რუსების მიერ პორტ-არტურის, ნემეცების მიერ კიაუ-ჩაუს, ინგლისელების მიერ ვეი-ხავეის, ბოლოს ფრანგების მიერ ხაი-ნანის ჩრდილოეთის, საქმის ასეთი სვლა არამც თუ ვერ შეაჩერა უცხოელთა სანინააღმდეგო მოწყობილმა ბოქსერების გამოსვლამ, პირიქით, გამოიწვია ჩინეთის „გაღებულ კარათ“ ცნობა და კერძო პირთა და სახელმწიფოთა კაპიტალის შეჭრა რკინისგზებისა, მრეწველობისა და ყოველი სარგებლიანი საქმის ხელში ჩასაგდებათ.

ერთ ერთი სახელმწიფო, რომელიც განსაკუთრებული პირობების გამო, საკითხს მიუდგა არა მხოლოთ მატერიალური სარგებლობის მოპოების სურვილით, შეიძლება იყო იაპონია.

იაპონია ჩინეთში. რომ გასაგები გახდეს, თუ რამ მიიყვანა იაპონია ჩინეთში, უნდა გავეცნოთ თვით იაპონიას და მის მდგომარეობას.

იაპონია თავის 4.000 კუნძულით წარმოადგენს 382.400 კვ. კილ. ამ სივრცეზედ ბინადრობს 64 მილიონი მცხოვრები; ჩინეთთან ერთად იაპონია უმჭიდროესათ დასახლებული ქვეყანაა. ერთ კილომეტრზედ მოდის საშუალოდ 170 მცხოვრები. წლიურ დაბადებათა რიცხვი აღწევს 800-900 ათასს კაცს; კარგა ხანია საგრძნობლათ განიცდის სიმჭიდროეს, და იძულებულია მონახოს საკოლონიზაციო ადგილები. პირველი მისი ტალღები ნატანა მშვიდი ოკეანეს სივრცეებს, მისწვდა ჩრდილო ამერიკის შტატებს, გათავდა სამხრეთ ამერიკაში, მაგრამ შეუზღუდეს აქეთკენ ემიგრაციის უფლებანი ან და უკეთ თვითვე იბრუნა პირი უფრო ახლო მდებარე კონტინენტის სივრცეებისაკენ. 1894-5 წელს ხელთ იგდო ფორმოზა და პასკადორი, 1904-5 წელში გადაიბარა რუსებისაგან ქვან-ტუნგის ნახევარ-კუნძული, სახალინის ნახევარი და იკისრა კორეის პროტექტორატი. 1910 წელში შემოიერთა კორეა მთლიანათ და თუმც უმანჯუ-გოთი აზიის ტერიტორიაზედ მიაღწია 296.000 ოთხკუთხ კილომეტრს, მაგრამ ამით ტერიტორიალური სიმშილი საბოლოოთ ვერ გადიწყვიტა.

ტერიტორიალური ექსპანსიის მიზეზათ მცხოვრებთ სიმჭიდროვე უმთავრესი არც კია იაპონელებისათვის. დიდი ბრიტანეთის კუნძულის მაგალითიდან ვიცით, რომ უფრო მჭიდროთ დასახლებაც არ წარმოადგენს ცხოვრებისათვის დიდ დაბრკოლებას, თუ კი ამ მცხოვრებთ ნამუშევრისა და ნაწარმოების ფართო ბაზარი და ნედლი მარაგი მოეპოება.

იაპონელი კარგი კოლონისტიც ვერ გამოდგა; სახლში ყოფნას ამჯობინებს თუ კი იქ საშოვრის მოპოების შესაძლებლობა მოეპოება. ამ საკითხს კი სწყვეტს მრეწველობის განვითარება, მრეწველობისთვის ნედლი მასალის მოპოება და ნაწარმოებისათვის დამტევი ბაზრის დაუფლება.

ჩინეთის ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილები და განსაკუთრებით მანჯურიის ტერიტორია მშვენივრათ აკმაყოფილებს სწორედ ნედლი მასალის საჭიროების საკითხს დიდათ განვითარებულ იაპონიის წარმოებისათვის.

1915 წლის 25 მაისის ხელშეკრულებით იაპონელებმა მიიღეს უფლება მუკდინისა და კირინის 9 ოლქში მადნებით სარგებლობის. თუ რა მნიშვნელობის საკითხია ეს, დავინახავთ რიცხვებიდგან. მხოლოთ ფუშუნის ოლქი იძლევა წლიურათ $7^1/_2$ მილიონ ტონა ქვანახშირს. მდიდარი მადნებია აგრეთვე იენტაისა, პენსიხისა, და სიჩუნს ოლქში (უკანასკნელი შიდა მონგოლეთის აღმოსავლეთში). რკინის სამადნოებით განსაკუთრებით მდიდრებია: ანშანის, ლინიუნგის, და პენსიხის ოლქები, მოიპოვება იქვე ნავთისა და ოქროს მადნებიც. მანჯურიის აღმოსავლეთი ხომ ერთი უმდიდრესი ქვეყანათაგანია ტყეებით.

იაპონიას ერთი სიძნელეცა აქვს. მის 64 მილიონიან მცხოვრების აპროვიზაციას, მისი ზოგან ჩრდილოეთის პოლიუსს მიბჯენილი კუნძულები ვერ აკმაყოფილებენ. მეზობლათ მდებარე აზიის სივრცეები, განსაკუთრებით კი მანჯურია, ამ საკითხსაც მშვენივრათა სწყვეტენ. მანჯურიის 942.000 კვადრ. კილომ. თავის ნაყოფიერი ნიადაგით და ზომიერი ჰავით დღეს და მომავლისათვისაც საკმარის შევსებას შეადგენს იაპონიის სასურსათო სინაკლულისა.

აი, უმთავრეს სამეურნეო ნაწარმოებთა შესაძლებლობანი მანჯურიაში, წლიურათ ტონებში:

სოია, ლობიო – 5.351.000

გაოლიანი – 5.156.000

ქერი – 3.692.000

სიმინდი – 1.766.000

ხორბალი – 1.434.000

ნედლი ბრინჯი – 210.000

მშრალი ბრინჯი – 172.000

ყველა ეს ბევრათ აღემატება იმას, რაც წარმოადგენს მანჯურიის 14 მილიონიან მცხოვრებლების საჭიროებას და კიდევ არ არის საბოლოო რიცხვი ამ მხრივ მისი შესაძლებლობისა, იაპონიის სინაკლულეს კი ავსებს გადაჭარბებით.

ეხლა გასაგებია თუ მანჯურიაში იაპონიისთვის მართლაც განსაკუთრებული პირობები არსებობს და მხოლოთ ეკონომიური, ვისმესთან განაწილებული მისი გამოყენება იაპონიის ყოფნა არ ყოფნის საკითხს ვერ გადასწყვეტდა. გასაგებია ისიც, რომ ასეთ პირობებში იაპონიის ერის ხელმძღვანელობა მანჯურიისადმი გადაწყვეტილ და გაბედულ მოქმედების გზას დაადგებოდა, არ შეუშინდებოდა ამ მიმართულებით სახელმწიფოებრივ და კერძო კაპიტალის დაბანდებას და მრეწველობისა და აღებ-მიცემობის ყველა დარგის ხელში ჩაგდებას და მისი სარფიანობის გარანტიების შექმნას. ასეც მოხდა და დღეს იაპონიის კაპიტალი დაბანდებული მანჯურიის წარმოებაში, უდრის 1.687.601.000 იენას (იენა დაახლოვებით ორი ამერიკული დოლარი).

მთელი ამ კაპიტალის დაბანდება ნაწილდება შემდეგნაირათ:

სამხრეთ მანჯურიის რკინის გზა თავის შტოებითა, მოწყობილობებით და მიმოსვლის სხვა საშუალებებით – 346.475.999 იენა.

ქვანახშირისა, რკინის, ნავთის მადნები და მასთან დაკავშირებული წარმოება – 148.911.000 –

სამეცნიერო საქველმოქმედო დანესებულება – 221.306.000 –

სხვა და სხვა საინვესტიციო სესხები – 135.122.000 –

კერძო პირთა კაპიტალები – 554.276.000 –

რატომ ჩაატარა იაპონიამ მანჯურიის ოპერაციები. მოხდა ეს იმიტომ, რომ შექმნილი მდგომარეობა იაპონიამ სახიფათოთ იცნო დამკვიდრებულ უფლებებისა, დაბანდებულ ფულისა და გაწეულ

შრომისათვის. საქმე იმაშია, რომ ყველა ის სივრცეები მანჯურიის ტერიტორიაზედ, რომლებზედაც კი იაპონიის კაპიტალმა ფეხი მოიკიდა, იაპონიის თითქმის ადმინისტრატიულ ერთეულათაც გადაიქცა. განაგებდნენ მას იაპონიის მოხელენი, იაპონიის სასამართლოები, იაპონიის პოლიცია, გადასახადებით დაბეგვრაც კი იაპონიისთვის ხდებოდა. ასეთმა ვითარებამ, სხვა სახელმწიფოთა მიერ აბუჩათ აგდებული ჩინელების თავმოყვარეობა ბოლოს გამოაღვიძა და გამოაღვიძა იმდენათ მეტათ, რამდენათაც მეტი იყო რომელიმე სახელმწიფოს მონოლა. ყველაზედ მწვავე მდგომარეობა იყო მანჯურიაში და სწორედ აქაც ჩრინა თავი უპირველეს ყოვლისა ინტერესთა შელახვამ.

ჰხედავდა რა ჩინეთი, რომ ეკონომიურათ ვისმესგან დამოკიდებულება და დამოკიდებულება იაპონიისაგანაც ჰნიშნავს ამ სივრცეებზედ ნელ ნელა უზენაესობის დაკარგვას, უკანასკნელის თავიდგან ასაცილებლათ მოისურვა ეკონომიური სრული განთავისუფლების მოპოება. პრაქტიკულათ გამოხატა ეს ისეთ საქმიანობაში მრეწველობის ყველა დარგში, რომელიც იაპონელების ამ მხრივ ყოველ წამოწყებას გვერდში ამოუდგებოდა, ნელ ნელა მნიშვნელობას დაუკარგავდა და შეიძლება სრულიათაც გააძევებდა.

რადგან მანჯურიაში შესვლა უმთავრესათ რკინის გზების აღმშენებლობისა და მისი ექსპლოატაციის საშუალებით მოხდა, ამისთვის პირველ რიგში განზრახულ იქმნა რკინის გზათა ისეთი საკუთარი ქსელის აშენება, რომელიც მნიშვნელობას წაართმევდა და შესცვლიდა იაპონელების ამ მხრივ ნამოქმედარს. მთელი ეს მუშაობა კი ხდებოდა იაპონელთა კაპიტალის გვერდის ახვევით, რაც უკვე შესაფერ ხელშეკრულებათა დარღვევა იყო ჩინეთის მიერ.

ჩინელთა გამოღვიძებული ეროვნული მისწრაფებები მარტო ამ მხრივ არ წასულან; ეკონომიურ კონკურენციაზედ უფრო მეტ ხიფათს წარმოადგენდა ის მოვლენა, რომ ჩინეთში პოპულიარული გახდა იდეა იაპონიის ნაწარმოებთა ბოიკოტისა. ეს კი მართლაც აუნაზღაურებელ ვნებას წარმოადგენდა იაპონიის ეროვნული ინტერესებისთვის.

შედეგათ მოხდა ის, რის მეთვალყურენიც ვიყავით უახლოეს წარსულში. მანჯურია დაკავებულ იქნა და მანჯუ-გოს სახელწოდებით იაპონიის ზედგავლენის უკონკურენციო სფეროში მოჰყვა.

ჩინეთისთვის შესაძლებელია დამაკმაყოფილებელი რეკომპენსატი იყოს მანჯუ-გოს ტახტზედ ჩინეთის განდევნილი მეფის აყვანა და იმედები, რომ ახალი სამეფოს წყალობით და იაპონიის კოლაბორაციით მოხდება გაერთიანებული ჩინეთის სამეფოს აღდგენა და მისი უცხო ხალხთაგან სრული განწმენდა. ჯერ-ჯერობით კი იაპონიამ სამხედრო ოპერაციის წყალობით თავის სადღეისო საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა დაიმკვიდრა.

მსოფლიოს ისტორიაში იაპონიის გამარჯვება მანჯურიაში ჩაინერება, როგორც რუსეთ-იაპონიის ურთიერთობათა ერთი ეპიზოდი დამთავრებული უკანასკნელის სასარგებლოთ.

ამ მტკიცების გასაგებათ უნდა განვიხილოთ, რაში მდგომარეობდა ამ მეორე სახელმწიფოს დაინტერესება და სად იყო მათ შუა შეხლის პუნქტები.

რუსეთის ინტერესები მანჯურიაში. მე-19 საუკუნის მე-60 წლებში რუსეთის აგრესია აღმოსავლეთის მიმართულებით მიზნათ ისახავდა ამურის ოლქში და მის ჩრდილოეთით მკვიდრი ნაბიჯის დადგმას. პარალელურათ იმპერიის გაზრდის და გაძლიერებისა, ეს შეზღუდული მიზნები თავის ღირსებისთვის შეუფერებლათ ცნო და თვალები მშვიდ ოკეანეს მიაპყრო.

მანჯურია, როგორც ტერიტორია, შეჭრილი დასაელეთ და აღმოსავლეთ ციმბირს შორის, ერთი მხრივ უმოკლესი მანძილით იძლეოდა ოკეანეს ნაპირებს, მეორეს მხრივ, აქ უპირატესობის მოპოება აკავშირებდა ციმბირის ამ ორ ნაწილს. უკვე ეს პირობები საკმარისი საბაბი იყო სათანადო მიზნების ჩამოყალიბებისა.

პრაქტიკული საქმიანობის მოჩქარება ამ მხრივ გააბედვინა სხვა სახელმწიფოების უკვე ჩამოთვლილმა მაგალითებმა (ფრანგების პროტექტორატი ანამზედ, ინგლისელების ბირმაში, პორტუგალელები კუნძულ მაკაოში, იაპონელები ფორმოზაში და სხვ.). აჩქარება მით მიზანშეწონილათ მოსჩანდა, რომ დაგვიანება რუსეთის როლს მშვიდ ოკეანეზედ სათუოდ ხდიდა. ამ მხრივ განსაკუთრებული საფრთხე მოელინა რუსეთს ჩინეთ-იაპონიის ომის 1895 წელში სიმომოსეკის ხელშეკრულების გათავების შემდეგ. ეს ხელშეკრულება საუკუნო სამფლობელოთ აძლევდა იაპონიას ლიაო თუნგის ნახევარ კუნძულის ნაწილს, ფორმოზას პიკადორის არხიელაგს და ამის გარდა რამოდენიმე მილიონიან ფრანგულ ოქროს ოდენობის ბეგარას. რუსეთმა აქ უკვე ხმა ამოიღო და ფრანგებისა და ნემეცების დახმარებით ხელშეკრულების გაუქმება მოითხოვა და ახალ პირო-

ბებზედ დაადებინა. ეს კი სრულიათ აბათილებდა იაპონელების მანჯურიაში ტერიტორიალურ მონაპოვარს სათანადო ანაზღაურების ფასათ. ამის შემდეგ, თითქოს ჩინეთის მფარველათა და დამცველათ გამხდარმა რუსეთმა, მოახერხა ჩინეთ-იაპონელების სიძულვილის თავის სასარგებლოთ გამოყენება და 1896 წელს ნიკოლოზ მეორემ დაგვირგვინებაზედ ჩამოსულ ჩინელების წარმომადგენლებთან დასდო საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის ძალით ეკვროდნენ ურთიერთს იაპონიის საწინააღმდეგო მოგერიებით კავშირით, რუსეთი კი ამასთანავე ღებულობდა ჩრდილოეთ მანჯურიაში „აღმოსავლეთ-ჩინეთის" რკინის გზის ლიანდაგის გაყვანისა და ექსპლოატაციის უფლებას.

რაკი ამ დროს სხვა სახელმწიფონიც დაესივნენ ჩინეთის სხვა და სხვა საკუთრებებს, რუსეთმაც ნელ ნელა ნიღაბი მოიხადა და ჩინეთის ნებართვით, ყოველგვარი პირობის გარეშე, დაიმკვიდრა პორტ-არტური და ტალიენვანი (შემდეგში „დალნი"), 1897 წელს კი რუსეთის ფლოტმა ამ პორტებში ღუზები ჩაყარა. ამის შემდეგ ქრთამითა და მოსყიდვით 25 წლით იქირავა ლიაო თუნგის სამხრეთი ნაწილი და მიიღო უფლება აღმოსავლეთ რკინის გზის ლიანდაგის პორტ-არტურისა და დაიერენამდის გაგრძელების... რკინის გზის ექსპლოატაცია რუსეთის ადმინისტრაციის ხელში აგდებს ჩინეთის იმ სივრცეებს, რომლებიც ხსენებულ რკინის გზების სფეროებში მოჰყვა და რომელიც „საჭირო იყო რკინის გზის დაცვისა და გამოყენებისათვის". ამ გზით რუსეთის ხელში მოექცა მრავალი სოფელი, ქალაქი, და მათში ხარბინიც.

მზგავსათვე იყო ქვან-ტუნგის ოლქშიც. ჩინეთის ასეთი დათმობანი რუსეთის მიმართ სხვა სახელმწიფოთა მადასაც ახელებდნენ და ესენიც იმკვიდრებდნენ სარკინისგზო ინტერესების სფეროებს (ნემცები შანთუნგში, ინგლისი მდინარე იანგტცეს მიდამოებში). სახელმწიფოები ამ მხრივ შეთანხმებულათ მოქმედებდნენ, დაინტერესებათა სფეროებს იყოფდნენ და ურთიერთს ხელშეუხებლობას ჰპირდებოდნენ. რუსეთმა ამ მდგომარეობის გამოყენებით 1899 წელს დასდვა ჩინეთთან ხელშეკრულება, რომლის ძალით იმკვიდრებდა პეკინისა და მის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით რკინის გზათა მშენებლობის უფლებას. ეს უფლება განმეორებით და უფრო ხაზგასმით აღინიშნა 1902 წელს და ამნაირათ რუსეთის დაინტერესებათა სფეროთ აღიარებულ იქმნა აგრეთვე მონგოლეთიც.

ზევით მოვიხსენიე, რომ საქმის ასეთ ვითარებას გამოღვიძებულ ჩინეთის ერის მხრივ მოჰყვა ბოქსერების აჯანყება, მაგრამ სწორეთ ეს ფაქტი საბაბათ გახდა უფრო მოურიდებელი მტაცებლობისა. რუსეთმა დაიკავა ამურის მარჯვენა ნაპირი და ძალით მოახვია ჩინელებს კირინისა და მუკდენის ოლქის პროტექტორატი. ეს უკვე იაპონიისთვის ზღუდის ამართვა იყო მანჯურიასა და მონგოლეთისკენ, თანაც სახიფათო ხდებოდა მის ზედგავლენაში მოქცეულ კორეისთვისაც. ამ დღიდგან, იმ პირობების კარნახით, რომლებიც ზევით მოვიხსენიე, მანჯურიის საკითხი იაპონიისთვის ყოფნა არ ყოფნის საკითხათ იქცა და ამ დღიდგანაც იწყობა რუსეთ-იაპონიის ურთიერთობაში ბედის ჩარხის იაპონელების სასარგებლოთ მოტრიალება.

პირველი რუსეთის სანინააღმდეგოთ მიმართული ნაბიჯი ამის შემდეგ ინგლისისა და იაპონიის სამხედრო ხელშეკრულების დადება იყო. ამ ხელშეკრულებით მხარეები აღუთქვამდნენ ურთიერთს დახმარებას თუ რომელიმე მათგანს საიდგანმე საფრთხე გაუჩნდებოდა. ამ „საიდგანმე"-ში რუსეთი იხსენიებოდა და იაპონელებისთვის საკმარი გარანტია იყო კორეის ხელუხლებლობისა.

რადგან რუსეთი სამხრეთ მანჯურიიდგან ოკუპაციის მოხსნას უარობდა, იაპონიამ ერთხელ კიდევ სცადა მშვიდობიანი მოლაპარაკებით შეთანხმება მანჯურიაში ზედგავლენათა სფეროების გაყოფასა და კორეის საკითხში. რუსეთმა ჩასთვალა ამგვარ მოთხოვნილებათათვის სრულიად ანგარიში არ გაეწია და უპასუხოთ განეგრძო მოქმედების გეზი. შედეგათ იაპონიამ 1904 წლის ომი გაათამაშა, რომლის ოპერაციული შედეგი ვიცით.

პოლიტიკური მიღწევანი კი ამ ომისა აღნიშნულია პორტსმუნდის და პეკინის 1905 წლის ტრაქტატებში. ამ დოკუმენტებმა მისცა იაპონიას ის, ურომლისოდაც დახრჩობა მოელოდა, მისცა რუსეთის მიერ თავისთვის სამხრეთ მანჯურიაში მოპოებული ყველა უფლებები, რკინის გზებით, ლიაო თუნგის ნახევარ-კუნძულით, სამხრეთ მანჯურიის მდიდარი მადნებით. რუსეთი ხელს იღებდა თავის ყვითელი ზღვის საკუთრებებიდგან, სცნობდა იაპონიის ზედგავლენას სამხრეთ მანჯურიასა და მის რკინის გზებისკენ.

ამნაირათ, 1905 წელს რუსეთმა დაჰკარგა ნახევარი მონაპოვარისა მანჯურიის ტერიტორიაზედ.

ჩინელებთან დამატებითი ხელშეკრულებებით იაპონიამ ყველა ეს მონაპოვარი შეირჩინა და როგორც აღვნიშნე, იაპონიის კაპიტალი, მკვიდრ საფუძველზედ, შეიჭრა მოპოებულ სივრცეებზედ და მიაღწია იმ ზომებსა და რიცხვებს, რომლებიც ზევით მოვიხსენიეთ.

დღევანდელი მდგომარეობა რუსეთ-იაპონიის შორის. თუ რატომ აწარმოვა იაპონიამ სამხედრო ოპერაციები აღარ გავიმეორებ. ომი წარმოებულ იქმნა მანჯურიასთან დაკავშირებულ ინტერესების გულისთვის მანჯურიის მთავარმართებელსა და მის ჯართან. ჩინეთმა ამ პროვინციას დიდი დახმარება ვერ აღმოუჩინა.

იაპონიას რუსეთთან ომი არ უწარმოებია, პირიქით, ყოველ დღე არწმუნებდა საბჭოთა რუსეთს თავის კეთილ განწყობილებაში, მაგრამ მცირეოდენ ჩინელების ჯარის დამარცხებით და რუსეთთან ბოლომდის მშვიდობიან ურთიერთობის შენარჩუნებით, პატრონი გახდა მანჯურიის იმ ნაწილისაც, რომელიც ვითომც ჩინეთის, ფაქტიურათ კი რუსეთის ზედგაელენის სფეროს წარმადგენდა.

მოკლეთ, ერთი ხელის მოსმით სამხრეთი და ჩრდილოეთი მანჯურიაც თავის საკუთრებათ გახადა და რუსეთის მიერ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მფლობელობა პრობლემატიურათ აქცია.

ამნაირათ, თუ პორტსმუნდის ხელშეკრულებით პირველათ დამარცხდა რუსეთი და ნახევარი მანჯურია დაკარგა, დღეს დამარცხდა განმეორებით და მანჯურიის მეორე ნახევარიც დაკარგა. ამისთვის არის, რომ იაპონელების მიერ ორიოდე სუსტი ჩინური დივიზიის დამარცხება ფაქტიურათ „ბუმბერაზულ რუსეთის“ ორასიოდე დივიზიის დამარცხება იყო, იაპონია-ჩინეთის ომი კი – რუსეთ-იაპონიის ომი, რომელსაც სინამდვილეში ადგილი არც კი ჰქონია.

რა განვითარებას მიიღებს რუსეთ-იაპონიის ურთიერთობა და რა დასკვნები გამოვიტანოთ ჩვენ. მანჯურიის საკითხის გადაწყვეტით იაპონიამ ყველა საჭირბოროტო საკითხები, და რადიკალურათაც, გადაჭარბებით დაიკმაყოფილა. რომელიმე უცხო ძალის შესვლას მანჯურიაში სდარაჯობს მანჯუ-გოს სახელს ამოფარებული იაპონელების ჯარი. ასეთ პირობებში უკონტროლო პატრონია მიწის ზედაპირისა და შინაგანი სიმდიდრეების. დაბანდებული თანხების სარგებლიანობას სდარაჯობს იგივე იაპონელების ჯარი. ნედლი მასალის და სურსათის სინაკლულე ამ გზით იაპონიისთვის კარგა ხნით აცილებულია. 14 მილიონით დასახლებული მანჯურიის 942.000 კვადრ. კილომეტრი დააკმაყოფილებს იაპონიის საჭიროებებს დღეს და მომავლისთვისაც.

მდგომარეობათა განვითარებამ იაპონიას მანჯურიაში მისცა ის ზედმეტიც, ურომლისოთაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საჭიროებებს იკმაყოფილებდა. ეს ზედმეტი იყო ჩრდილოეთის მანჯურია. აქ მართალია იჭრებოდა რუსეთის ინტერესთა სფეროში, მაგრამ მოიმოქმედა ძალიან ადვილათ სწორეთ ამ რუსეთის სისუსტის გამო. იაპონიამ დაიკავა თავისიც და სხვისიც, ეკონომიურათ გაინაღდა ყველა საჭიროებანი, სტრატეგიულათ და პოლიტიკურათაც დაიკავა ხელსაყრელი პოზიცია, განსაკუთრებით იმ მტრის მიმართ, რომელსაც ექნებოდა რაიმე სათქმელი ყველა ამის საწინააღმდეგოთ (რუსეთის მიმართ). მიაღწია ყველა ამას და შეჩერდა, შეჩერდა, რადგან მეტი აღარ ესაჭიროებოდა.

შეიძლება იაპონიას იზიდავდა კიდეც ჩრდილოეთით კიდევ ერთი პატარა ომის გათამაშების სურვილი, მით უმეტეს გამარჯვება ამ მიმართულებით ადვილათ მოსაპოვებლათ მოსჩანდა, მაგრამ ეს იქნებოდა მხედრული ჟინით და არა რეალური და გადაუდებელი ინტერესით ნაკარნახევი აქტი. გარდა ამისა, იაპონიას ალბათ ახსოვს შემთხვევა, როდესაც ჩინეთში მისი წინსელით შეშფოთებულმა დასავლეთის სახელმწიფოებმა სრულიათ გაუბათილეს მიღწევანი და მისი ექსპანსიის კორეის ჩარჩოებში ჩაჭყლეტა მოინდომეს. არა ღირდა ასეთი შემთხვევის გამეორების ფასათ საბჭოთა რუსეთის ნაცრის გაქექვა და სწორეთ ამისთვის იაპონიის ხელმძღვანელ წრეთა აზრთა შემოხლა მანჯუ-გოთი დაკმაყოფილებით დამთავრდა და დასაჯერებელი უნდა იყოს ყველასთვის და რუსეთისთვისაც იაპონიის რწმუნება, რომ დღეს-დღეობით მას მანჯურიის ჩრდილოეთით არაფერი იზიდავს. უფრო სარფიანი და საინტერესოა მისთვის მოპოებულ ქვეყანაში საფუძვლიანათ ფეხის მოკიდება. ამ მხრივ უკვე მოკლე ხანშიაც მართალია ბევრი გაკეთდა. ბევრათ ხელს უწყობს კორეის გამოცდილებებიც, მაგრამ ამოდელა ქვეყნის საკუთარ სახელმწიფოსთან მკვიდრ გადაბმას რამოდენიმე წელი მაინც დასჭირდება და ამ რამოდენიმე მშვიდობიანი წლის დამკვიდრება იაპონიისთვის უმნიშვნელო არ არის. რუსეთის მშვიდი ოკეანედან სრული მონყვეტა იაპონელებისთვის უმნიშვნელო არ არის, მაგრამ სადღეისო ინტერესის საკითხს არ წარმოადგენს.

ერთათ ერთი მხარე, რომლის ინტერესებსა და ღირსებას უშუალოთ ეხება აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა, ეს საბჭოთა რუსეთია. უკეთესათ დასაბუთებული მოტივები იარალის ასაღლარუნებლათ წარმოსადგენათაც ძნელია და არც საბჭოთა რუსეთი მოერიდებოდა გამონვევის მიღებას, პირობები რომ შესაფერი მოეპოვებოდეს. მიუხედავათ წაგებული ომისა, ნაკრავი სილა ჩაყლაპა, პატივ შერჩენილის სახე მიიღო და მოგერიებით პოზიციაზედ დადგა, ალბათ გულში იცინის იაპონელი ხალხი რუსეთის ასე ადვილათ რიყეზედ დასმაზედ და კმაყოფილია რუსეთის

მტკიცებით: „რომ მზათ არის პასუხი გასცეს, თუ კი ერთი ადლი მაინც საბჭოთა კუთვნილებისა ხელშეხებულ იქმნა“-ო.

შორეული აღმოსავლეთის ვულკანი ასეთ პირობებში დროებით მიფერფლილია, და ერთი პრაქტიკული შედეგი მთელი ამ მოვლენებისა – ეს რუსეთის მიერ მთელი ყურადღების აღმოსავლეთით გადატანა და დასავლეთით საამისოთ ატმოსფეროს გაწმენდა იყო.

თუ ეს რუსეთის მიერ აღმოსავლეთის გათამაშებისათვის მზადებას ჰნიშნავს, ამას საბჭოთა რუსეთის შემდეგი საქმიანობა დაგვანახებს და ამ მხრივ თვალყურის დევნების განუწყვეტლობა გვმართებს. ჩვენთვის ეს შემთხვევა პირველი ხარისხის მნიშვნელობის საკითხი იქნება და მოვლენებს შესაფერისად მომზადებულნი უნდა დავხვდეთ.

ოღონდ თუ კი მდგომარეობა დღევანდელ პირობებში გაიყინა, ან და იაპონიის შემდეგი საქმიანობა ჩინეთის ბაზრის მოპოებასა ან მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობის მიმართულებით წავიდა (ეს პროცესი შეიძლება თავისთავათ განვითარდეს, მაგალითად: არავითარი დაბრკოლება არ არსებობს, რომ შიდა მონგოლეთის აღმოსავლეთმა, რომელიც ფაქტურათ საბჭოთა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მყოფ საბჭოთა მონგოლეთის რესპუბლიკას წარმოადგენს, მოინდომოს მანჯუ-გოსთან შეერთება. მზგავსი საქციელი სხვა ჩინეთის პროვინციებისთვისაც შეიძლება მიმზიდველი გახდეს მანჯუ-გოს ტახტზედ ჩინეთის ყოფილი მეფის ყოფნის გამო). მაშინ საქართველოს და კავკასიის ბედის გადამწყვეტნი თვით კავკასიის ერები შეიქნებიან, და ეს კი გაცილებით ძნელი პირობების გადალახვას და მეტ სამზადისს მოითხოვენ კავკასიის ერებიდგან.

ამნაირათ, მართალია, რუსეთ-იაპონიის კონფლიქტი ჩვენი ინტერესების ხაზით მიდის, მაგრამ არსებობს რა შესაძლებლობა, რომ ამ მოვლენას ადგილი არ ექნება, სჯობს გამოვდიოდეთ უარესი ეგებისობიდგან და ჩვენს იმედებს ვამყარებდეთ არა დასავლეთიდგან თუ აღმოსავლეთიდგან გაჩენილ პირობებზედ, არამედ საკუთარ შემძლეობასა, საკუთარ უნარსა და საკუთარ საქმიანობაზედ. ასეთ შემთხვევაში არამც თუ ხელსაყრელი პირობა არ გამოგვეპარება, არამედ ეს პირობა დაჩქარდება და დაინტერესებულნი თვითონ შენუხდებიან ჩვენ მოსაძებნათ.

[1934]

ტაბახმელა

რაშია საქმე, გეგზავნიან ომში თუ არა? ტფილისთან ზარბაზნები ჰქუხს და ჩვენ კი აქა ვართ! არა, ლოდინი აღარ შეგვიძლიან! თუ ყველას არ გაგვგზავნიან, თითოობრივ მაინც წავიდეთ ან ჯგუფ-ჯგუფათ! – გაისმოდა სამხედრო სკოლის ეზოსა და სამოსწავლო ოთახებში აქა-იქ შეგროვილ ჯგუფებში. შიგა და შიგ ჯგუფს ვიღაც მოსწყდებოდა და ოთხათ მოკეცილ ქაღალდს კლასის ოფიცერს გაუწოდებდა. ქაღალდში ეწერა: „ვინაიდგან სკოლას ფრონტზედ არა ჰგზავნიან, გთხოვთ დაუყონებლივ მიმავლინოთ მომქმედ ნაწილში". თხოვნები უპასუხოთ რჩებოდა და იუნკერთ სახეთ მოლოდინში შფოთისა და მღელვარების ნიღაბი ეკეროდათ... ხმები ბევრი იყო: რომ იუნკრები ფრონტზედ არ წავლენ სრულიათ, ან მხოლოთ უფროსი კურსელები ოფიცერთ ხარისხით, ან წავლენ ყველანი. მღელვარება შესწყდა ღენ. კვინიტაძის მთავარსარდლათ დანიშვნის დღიდგან. აქ ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ვალდებულების მოხდის სურვილში მისგან თანაგრძნობის მეტს ვერას მიიღებდნენ. მართლაც 16 თებერვალს ყველამ იცოდა, რომ ფრონტზედ გავდივართ. 17-ს დილიდგანვე სკოლა მოეწყო სამგზავრო სამზადისით.

მოედანზედ იდგნენ: 4 ასეული ქვეითი იუნკრებისა, ერთი ბატარია,[1] 5 ცხენოსანი იუნკრები, ნაცვალთა ათასეულის ახალი ასეულები, სკოლის მუსიკა. ეზოში ოფიცერთა შეკაზმულ ცხენებს მიმოატარებდნენ, სკოლა მაყურებელ ნათესავებით გაივსო.

ადგილზედ, სმენა, მარჯვნივ, სნორდით! – გაისმა მწკრივებში, როდესაც სკოლის საუფროსოს კარებში პოლკ. ჩხეიძის ბუხრიანი ქუდი გამოჩნდა.

მაიორ ანანიაშვილმა პატაკი ჩააბარა, პოლკოვნიკმა ასეულები გადაათვალიერა, მორთმეულ ცხენზედ რკინის ქანდაკებასავით გუნდებს წინ აიმართა და ჯარისთვის „თავისუფლება" ბრძანა.

ასეულებმა მუხლებში ჩაიკეცეს.

ჭიშკრიდგან ღენერალი ანდრონიკაშვილი გამოჩნდა, შავ ცხენს პოლკოვნიკ ჩხეიძისკენ მოაოთხებდა, უკან მხლებელ ადიუტანტები მოსდევდნენ.

ასეულობით სმენა, სნორება მარჯვნივ, იარაღით სალამი, ბატონო ოფიცრებო – გასცა ცხენიდგან პოლკ. ჩხეიძემ და ოთხივე გენერალს მიეგება. ურთიერთის წინ შეჩერდნენ. ღენერალმა პატაკი ჩაიბარა, წყობილებას დაუახლოვდა, აღგზნებული თვალები იუნკერ-ნაცვალ ათასეულის გუნდებს მიაპყრო და როდესაც მუსიკამ ჰიმნი ბოლომდის დაიმღერა, დაიწყო:

„ყმანვილებო, ბედნიერი ვარ მოგილოცოთ, რომ საშუალება გეძლევათ თქვენი მოქმედებით დაადასტუროთ თქვენი სურვილი სამშობლოს სამსახურისა.

მე, თქვენ მასწავლებელს და უფროსს ეჭვი არ მეპარება, ზუსტათ შეასრულებთ მხედრულ მოვალეობას და პირნათლათ წარსდგებით ქართულ ისტორიის სამსჯავროს წინაშე.

არ დაივიწყოთ ველზედ ყოფნისას, რომ ყოველ თქვენს ნაბიჯს მოწმეთ ეყოლება იგივე მიწა, ცა და ბუნება, რომელიც არა ერთხელ გაკვირვებულა ქართველთ გმირობით და უდრეკელობით სიკვდილის წინაშე.

გაუმარჯოს ჩვენს საქმეს, გაუმარჯოს საქართველოს და ქართულ ჯარს, ვაშა!"


ვაშა! – იგრიალა აღგზნებული სიტყვებით გატაცებულმა გუნდებმა. – ვაშა! – ყვიროდნენ ახალგაზრდები და ამ გრიალზედ შეამჩნევდით მართლაც სანეტარო წუთები დასდგომოდათ და რკინის კედლის შენგრევაზეც არ დაფიქრდებოდნენ ერთ წუთსაც...

ვაშა! – იმეორებდა ბანათ სკოლის შენობები, მტკვრის ხეობა და მამადავითის ფერდობები.

მუსიკა „აღსდეგ გმირთ-გმირო"-ს დამღეროდა.

---

[1] sic!



ვასილ ბარნოვი (სლმ. №272-ი., ვასილ ბარნოვის არქივი, თბილისი).

ათეულობით მარცხენა მხარი წინ, ნაბიჯით იარ! – ისმოდა რიგებში და ქართულათ ამეტყველებულ მუსიკას მწყობრი ასეულები აედევნა.

სამხედრო სკოლა მიდის ფრონტზედ, სამხედრო სკოლა! – ელვასავით გავარდა ქალაქში და მთელი ქალაქი მიხაილოვის[1] და შოთა რუსთაველის ქუჩაზედ გამოიფინა.

ძლივს მიარღვევდნენ ასეულები აზღვავებულ ტალღას. ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ყველა აქ გამოსულიყო და მწყობრათ მიმავალთ – ტაშის ცემითა და ვაშათი ეგებებოდნენ.

იუნკერთა სასწავლებელი კი მიდიოდა მთელი მხედრული სიდარბაისლით, ნარბშეუხრელათ და დინჯათ, თითქოს ამ ზღვა ხალხის გადმოხეთქილი სიმპატია მათ არ ეხებოდა.

საიდღანაც გაჩნდნენ კალათა ავსებული ვაჭრები, ქართველები და არა-ქართველები, ხილი, თუთუნი, ნამცხვარი, ტკბილეულობა და ვინ იცის რა არ გამოეზიდნათ ომში მიმავალთა პატივსაცემლათ.

მოსიყვარულე სახეებით რიგებს უახლოვდებოდნენ, საჩუქრებს უნვდიდნენ, ტკბილ სიტყვით ემშვიდობებოდნენ.

იუნკრები ზომიერი ნაბიჯით წინ მიმართვიდნენ. საჩუქართ ჩამორთმევით მწკრივებს არ შეარყევდნენ.

დიდი წყენა იყო ალბათ ეს სპარსულ და ქართულ ქუდიან გრიშაშვილის ტფილისისათვის, მაგრამ სხვაფრივ არ იქნებოდა.

მუსიკა მხედრულ მელოდიიდგან მხედრულზედ გადადიოდა. მუდამ მშვიდი ღენერალი ანდრონიკაშვილი თავისი ამალით, სკოლას წინ მიუძღოდა. უკან პოლკოვნიკ ჩხეიძის ბუხრიანი ქუდი მიქანაობდა. შემდეგ ქვეითი გუნდები, მეზარბაზნენი, ცხენოსანნი – ბოლოს ზემდეგი ოდიშელიძე, უკან ნაცვალთა ათასეულის ახალი გუნდები.

ვერის დაღმართის დამლევიდგან ხალხმა იმატა, აღტაცების და მისალმების ყიჟინი ბედნიერ დედათა, შვილების უკანასკნელ ლოცვასა და ალერსში აირია.

– შვილო!!!

– შენ იცი, როგორ იბრძოლებ სამშობლოსთვის!

– შვილებო! შვილო! – ეალერსებოდნენ ხან შვილს, ხან მის ამხანაგებს.

შვილები და ამხანაგები კი ხალხის პატრიოტული ენტუზიაზმით გულ-აჩუყებულნი, ისევ განაგრძობდნენ მედგრულათ წინსვლას.

არც ერთს მწკრივები არ გამოუმტვრევია; მაგრამ გარეგნულათ, დედის ალერსისათვისაც ყრუთ, აძგერებული გული ლამის საბუდიდგან გადმომხტარიყო.

როგორ დამშვიდდებოდა ყოველი მათგანი, საშუალება რომ ყოფილიყო დუმილის დარღვევისა და მთელი ხმით დაძახებისა:

„ქართველებო, საყვარლებო, ძველო ტფილისო – არა ვართ ღირსნი თქვენი ასეთი მოპყრობისა, მაგრამ გაგიმართლებთ იმედებს, არც ერთი ჩვენგანი გაუმარჯვებლივ ცოცხალი უკან აღარ დაბრუნდება!“ –

არ შეიძლებოდა არც ამის თქმა და მისთვის იყო, რომ დაგუბული გრძნობები თითქოს არღვევდა მათ სხეულს და გადმოხეთქვას ლამობდა მათ არსებიდგან...

[1] იგულისხმება მიხეილ რომანოვის სახელობის პროსპექტი, შემდგომში გიორგი პლეხანოვის, ამჟამად კი დავით აღმაშენებლის სახელობის გამზირი (ლ. ც.).

– ვასილ ბარნაველი, ვასილ ბარნაველი! – გაისმა ჩურჩულით, მწკრივიდგან მწკრივზედ, გადაცემული ხმა.

შავათ ჩაცმული, შავ ცილინდრში, შოთას პროსპექტის მზიან მხრით, მოდიოდა. სწორედ მზემ გამოანათა და ვერცხლით შეფერფლილი ჭაღარა, რაღაც ღვთისნიერი სხივით გაასხივოსნა: განგებამ თუ მოავლინა იმ წუთს ქუჩაზედ. უძლეველმა სულის სითბომ გადმოსჩქეფა მისი არსებიდგან მის მონაფეებზედ და სამშობლოს სამსხვერპლოზედ მიტანის სამზადისი ოსტატურათ ჩაპბერა თავისივე ხელით წლობით ნაჭედ გულებს. წუთიერი იყო მისი ხილვა, მაგრამ მარადისობაზედ ძლიერი იქ დაბადებული გრძნობები.

ბოტანიკურ ბაღთან სკოლამ შეისვენა და მხოლოთ აქ ჩაეკვრენ ურთიერთს მიმავალ-გამცილებელნი, დედა და შვილნი, დანი და ძმანი, ნაცნობნი და მახლობელნი.

– ნუ გეშინიან ქალო, დამარცხებულს აქ ვერ გვნახავთ, გავიმარჯვებთ ან დავიხოცებით!

რა იცოდნენ ზოგიერთებმა, რომ ქართველ ქალებს მართლაც უკანასკნელათ ელაპარაკებოდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვეულებრივი ჟივილ-ხივილით, სიმღერით და მხიარულობით იზლაზნებოდა კოჯორის აღმართით იუნკერ ნაცვალ ათასეულთა ასეულები.

17-ს საღამოს სკოლა უკვე ტაბახმელაში იყო და ამ დღიდგან ინყობდა ცხოვრებას მძიმეს, ცხოვრებას მოკლეს და აზრიანს, ცხოვრებას ძვირფასს.

18-ს ჟინჟღლიანი და ცივი დღე იყო. პირველი და მეორე მწყობრი ხაზში ყარაულს ენეოდნენ, მესამე და მეოთხე ტაბახმელის განმარტოებულ შენობაში იყვნენ და ძალას იკრეფდნენ წინამდებარე მოვლენებისათვის. მეტ წილს ეძინა, ზოგნი თოფებსა სწმენდნენ.

– ბიჭებო, ჟორდანია და კვინიტაძე მოდიან, – დაიძახა ეიღაცამ. შეიქმნა ფუსფუსი, მხედრულ მისალმებისათვის დრო აღარ იყო. ჟორდანიას დაფიქრებულ ჭაღარა სახეში იმ დღეს სპეციალური სევდა გამოიყურებოდა. რა აფიქრებდა? საქართველოს წინ ამართული საფრთხე? ნორჩი იუნკრების სიბრალული?

მისი განცდანი ამ დღეს გაურკვეველი დარჩა.

ნისლი ტაბახმელის ფერდობებით კუმისის ტბისკენ ჩაცურდა და ტაბახმელას ეარსკვლავიანი ღამე ჩამოანვა.

იუნკრები საგუშაგოზედ იდგნენ, მეზობელთ შუა სივრცე გაეკრათ, ზვერვა გაეხშირებინათ და ფრთხილათ მოწესრიგებას ჩქარობდნენ.

ყრუ სიჩუმეს ნიჩბის შემთხვევითი ჟღარუნი თუ შეარყევდა, ან დრო გამოშვებით შემოძახილი: – „სდექ! ვინ ხარ!“

ბუ-უხ!.. ბუხ-ბუხ!.. გაისმა დაბლიდგან.

ფეხქვეშ მიწა დაჭრილსავით შეფართხალდა და ტაბახმელა სადღაც შორს განახეთქ ყუმბარათა ხმამ მოიცვა... ეს სოლანლუღის ბრძოლა დუღდებოდა, ღამე ცეცხლის ენებით აწვიმდა და ყუმბარათა ხმას ტყვიამფრქვევთ რაკრაკი აედევნა. შორიდგან მონანვდენ ვაშა-ურას ძახილში ძლივს იმაგრებდნენ თავს იუნკრები ჩაშველების სურვილიდგან.

19-ს დაჭიმულ გრძნობას დაემატა ღენ. ანდრონიკაშვილის ამაყრჟოლებელი საზეიმო მოლოცვა:

„ჩვენს მარცხნივ, ღენერალ მაზნიაშვილმა ღამის განმავლობაში მტრის ყველა იერიში მოიგერია. გათენებისას თვით გადავიდა იერიშზედ, ხელთ იგდო 1500 ტყვე, მტერი ზარალით იხევს, გილოცავთ გამარჯვებას!..“

თუ საქართველომ იცოდა, იმ დროს რა სული მეფობდა ტაბახმელაზედ, ოფიცრებსა და იუნკრებში, დამშვიდებული უნდა ყოფილიყო ტფილისის ბედზედ.

19-ს დილიდგან, მოლოდინის საათები გაგრძელდა.

გუშაგები, მზვერავები, ხაზში გაშლილი მწყობრები გამზადებულ თოფებს ხელში სრესავდნენ და წინ-გაშლილ მიდამოებს გამობურთული თვალებით ემუქრებოდნენ.

მზის სხივებმა მთის კალთებში მიწოლილ ჟანლებს ყვითლათ გაუცინეს. ნაქეზებულმა ტაბახმელამ ალერსიანი გულ-მკერდი გაიშიშვლა.

არე-მარე ტრფობის მდუმარებით მიყუჩდა...

მეოთხე მწყობრის სულ მარჯვნივ ათეული, ტაბახმელიდგან კუმისისკენ დაქანებულ ხრამის თავში იყო. მაღლობიდგან მშვენივრათ ხედებედა ქვევიდგან მონაპარ გზას, – თეთრათ მოიკლაკნებოდა.

„გზაზედ შავად რაღაცა მოსჩანს“, – გაისმა რამოდენიმე ხმა ერთათ. შავ წერტილთან იუნკრების ცქერის ხაზები შეჯგუფდა, რაღაცა უნდა მოდიოდეს.

თანდათან გვიახლოვდება, – გრძელიც არის, – ბოლო არ უჩანს, – იძახდნენ აქა-იქედგან, თან გაკრიალებულ თოფებს დაჰყურებდნენ და ვაზნებს იმარჯვებდნენ.

– არავინ ისროლოს, – ეს ლეკების მოხალისე ცხენოსანი რაზმი უნდა იყოს. მტერი მკვრივ წყობილებით არ წამოვიდოდა, – იძახდა ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი, თან ჭოგრიტს იმარჯვებდა თავის ნათქვამში დასარწმუნებლათ და ჩასაფრებულ ტყვიამფრქვევს უახლოვდებოდა. შავი ხაზი ცოტა ხანს კიდევ მოდიოდა დინჯათ, შემდეგ რაღაც მოძრაობა დაიწყო: განზედ გაიშალა; აქა-იქ პატარ-პატარა ნაწილები წამოიმძღვარეს – სიჩქარეს უკლო.

ეს უკვე საეჭვო იყო. შინაურს ამდენი სიფრთხილე რათ სჭირდებოდა? – აბა, ბიჭებო, ტყვიამფრქვევიდგან ცეცხლი ჰაერში! – ტრა... ტა.. ტა... ტა... აჭიხვინდა სიჩუმეში ტყვიამფრქვევი... მტერი გაწვა... ცეცხლს ცეცხლით უპასუხა.

ხაზები მარჯვნივ მიდრიკა და მოკლე ხანში, გზიდგან დაწყებული იუნკრების წინ ამართული მთელი ქედის სიგრძეზედ ცეცხლით ამეტყველდა.

ბუუუმ... ზუუუ... ბუხ...

იუნკრებს ჯერ ყურთ დაეცოთ, შემდეგ რაღაცას სუნმა გული შეუხუთათ: ერთი წამის შემდეგ რომ გამოერკვნენ, საშინელი ბოლი ჰფარავდათ და ზარბაზნების მქუხარე ყუმბარა-შრაპნელები წინ და უკან ხტოდნენ.

მოკლე ხანში იუნკრების აქარიშხალებული გულები, დიდი ხნიდგან ნანატრ, ულამაზეს სტიქიაში ჰგრძნობდნენ თავს.

ამეტყველდნენ ქართული ზარბაზნები, ატიტინდნენ ტყვიამფრქვეველები, აბზუვდნენ თოფები. კონცერტს ხეებმა ჩაურაკრაკეს და შეიქმნა უტკბესი კონცერტი.

კონცერტის წუთიერ სიტკბოსათვის არა ერთი სამუდამოთ ემშვიდობებოდა ცხოვრებას.

სამხედრო სკოლა მოვალეობას იხდიდა.

თოვლიან ხევებით, არა ერთხელ ჩამოეშო მტრის შავი ზვირთები, ვერც ერთმა დაბლა ვერ ჩამოაწია, იშვიათმა მოახერხა ქედის უკანვე ამოფარება. იუნკრის არც ერთი ტყვია უქმათ არ გასროლილა და დანიშნულებას ბევრი არც ასცდენია.

მტერი ახალი ძალებით გაძლიერებული ახლათ მოიწევდა წინ, ახლათვე უკუ გდებული, რომ წინსვლა ხელახლათ განემეორებია. ალბათ ლოტბარი გუნდს კარგათ ლოტბარობდა.

საზრიანი უნდა ყოფილიყო იუნკერთა ნაწილების განაწილება პოლკოვნიკ ჩხეიძის მიერ. მტერმა ქართული სული ვერსად გასტეხა, იუნკერთა ხაზი ვერ გაარღვია, მაგრამ რიცხოვანი უპირატესობა საშუალებას აძლევდა, განმეორებულ იერიშებთან ერთად, ხაზის თანდათანობით მარჯვნივ გაგრძელებას.

იუნკერთა ფრონტი ვულკანივით სდულდა: მტერი მის კედაროს გადასცდა და გვერდში მოექცა. გვერდი ცარიელი აღმოჩნდა. მარჯვნივ მყოფ ჯარის ნაწილებს მამადავითისკენ დაეხიათ.

სიცალიერით გათამამებული მტერი, ათასეულამდის, სკოლის ზურგისკენ დაეშო. მარჯვნივ მყოფ მე-4-ე მწყობრმა რკალი შემოფარგლა წინიდგან მოიერიშე ტალღებს იგერიებდნენ, გვერდსა და ზურგში მომავალ მტერს ცეცხლით აზიანებდნენ. ცეცხლზედ მტერმაც ცეცხლი გააჩინა, მაგრამ ცეცხლი საზარელი, ცეცხლი შეჯგუფებული სამი მხრიდგან.

მტერი ანდრონიკაშვილის შტაბისკენ დაეშო. – მდგომარეობა გართულდა. – ქარისგან დამძრალმა ტაბახმელელმა სიკედილმა კბილები ააკაწკაწა და მოღერებულ ცელის ჩრდილი ტფილისს დააყრდნო.

იუნკრები, დახევასა და თავის გადარჩენაზედ არა ფიქრობდნენ.

იუნკერი მიქაძე სასწრაფო ბრძანებით ცხენს პოლკოვნიკ ჩხეიძისაკენ მიაქროლებდა.

პოლკოვნიკი შტაბის მარჯვნივ, თავის საყარაულო პუნკტზედ იდგა, კოჯორიდგან ზურგისკენ ჩამავალ მტერს შესცქეროდა და ჩვეულებრივი სიმშვიდით თავის ისტორიულ ჩიბუხს აბოლებდა, ხელში ნიშნებით მორთული თოფი ეჭირა, მხარზედ პატრანტაშ გადაეგდო. იქვე ახლოს მაიორი გარდაფხაძე და კაპ. მაჭავარიანი რაღაცაზედ ლაპარაკობდნენ.

– ბატონო პოლკოვნიკო, მაქვს პატივი მოგახსენოთ დავალებული ბრძანება: „ბოლშევიკები ჩამოდიან კოჯორიდგან ზურგში, შტაბი უკვე ცეცხლის ქვეშ იმყოფება, ამისთვის ნაბრძანებია სკოლამ და მე-10 ათასეულმა დაიხიონ უკან".

– საით? – შეეკითხა პოლკოვნიკი, თან თვალს ჩამომავალ რუსებს არ აშორებდა.

– აგერ იქით, – გაიშვირა ხელი მამადავითისკენ იუნკერ მიქაძემ;

პოლკოვნიკი ჩხეიძე ჩიბუხის ბოლში გაეხვია და ერთი წამით განცდათა მორევში შეცურდა.



გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია, თბილისი).

მამადავითის მთაზედ, ასეთ პირობებში, მივიყვან მარტო იუნკრებს, სხვები გაიფანტებიან ან ტფილისისკენ დაეშვებიან. მტერი სწრაფათ დაიკავებს ჩვენ მიერ მიტოვებულ სიმაღლეებს. ტფილისი დაეცემა...

და ვისი ბრალით?

აქ თვალწინ დაეხატა სქელი წიგნი ქართული ისტორიისა, თაობიდგან თაობაზედ ჰკითხულობენ, დიდი და პატარა ქართველნი და იქა სწერია:

– „კრიტიკულ წუთებში სამხედრო სკოლამ დააგდო თავისი პოზიციები და დაიხია მამადავითის მთაზედ, რის შემდეგ ბოლშევიკებმა დაიკავეს ტაბახმელა და აქედგან შემოვარდნენ ტფილისში“.

არა, ეს ასე არ იქნებოდა დაწერილი, – და ეს ერთი შემთხვევა თუ იყო, რომ ანთებული ჩიბუხის მონევისათვის აღარ სცალოდა, არნივისებური თვალები ღია ფრთისა და ზურგისთვის მიეპყრო და კლდესავით მოსხეპილი, ქანდაკებას ჰგავდა. გარდაფხაძე და მაჭავარიანიც, მიქაძის მოხსენების შემდეგ აღარ ლაპარაკობენ, ისინიც, მძიმე წუთზედ ჩაფიქრებულნი, ბოლშევიკების შეუჩერებელ წინსვლას შესცქეროდნენ და მოპარვით, პოლკოვნიკ ჩხეიძის თვალთაგან მდგომარეობიდგან გამოსავალის ამოკითხვას ჰლამობდნენ.

ირგვლივ ომის ჯოჯოხეთი, თოფ-ყუმბარათა ქუხილში, ზეიმს ახშირებდა. პოლკოვნიკ ჩხეიძის გული ამ დროს იმასვე სწყვეტდა, რასაც ფიქრობდნენ იუნკრები, გულ აჩუყებულ ტფილისზედ უკანასკნელ გავლისას: „ტფილისისაკენ რუსები ჩვენ გვამებზედ გადაივლიან“.

– „იუნკერო, თავისუფალი ხართ, მეც მოვდივარ შტაბში“.

უპასუხა დამშვიდებით პოლკოვნიკ ჩხეიძემ მომლოდინე მიქაძეს, თან ამომწვარ ჩიბუხს ხელის გულზედ იტყაპუნებდა ნაცრის გადმოსაყრელათ.

„მაიორ ბახუტაშვილმა მოაბრუნოს ზარბაზნები უკნისკენ ცეცხლისთვის; ქარუმიძემ დადგას სამთო ზარბაზნები ბაღისა და სოფელ ტაბახმელის შუა!“ – უბრძანა პოლკოვნიკმა მაიორ გარდაფხაძეს და კაპიტან მაჭავარიანს, თვითონ ცხენით გაჰქუსლა შტაბისაკენ.

პატარა ხანს უკან იუნკრების მე-2 მნყობრი, ათასეულის ნახევარი ასეული, ოფიცრებით: კაპ. თოიძეთი და ქარუმიძით, მტრის შესაჩერებლათ იერიშზედ გადადიოდნენ, წინ ყუმბარათა მარჯვე ცეცხლი მიუძღოდათ. ორივე ოფიცერი მოკლულ იქმნა, მაგრამ მტერი დიდი ზარალით შეჩერებული.

იუნკრები ღირსი მონაფენი გამოდგნენ თავის მასწავლებლისა.

ერთი მტკაველი მიწა მტერს არ დასთმობია.

გამარჯვება იყო სრული, სულისკვეთება საუცხოო და ერთი დასანანებელი იუნკრებისთვის მხოლოდ ის, რომ ღამე დაღლილები და მშივრები შინდისში მიჰყავდათ დასასვენებლათ.

მთავარსარდლის სასწრაფო ბრძანებით ფუნიკულიორიდგან, სოფელ ბებუთოვკიდგან, თელეთის ქედიდგან – მიიწევდნენ წინ, კოჯორის დასაბრუნებლათ მის მიერ დაძრული ათასეულები.

მხედრებისთვის იმ დღიდანვე ეჭვი არ ყოფილა 19, 20 და 21-ს კვინტაძის სარდლური ხელოვნების შედეგი იყო, დანარჩენნი თავის ვალს ასრულებდნენ.

მართალია, 20-ში ტფილისის ბედი კოჯორზედ სწყდებოდა, მაგრამ იქ გამარჯვება მაინც მარცხით და ტფილისის დაკარგვით დამთავრდებოდა, რომ იმ პატარა ჯგუფებს კონტრ-იერიშებით და უკან მომბრუნებელ[1] ზარბაზნების ცეცხლით მოპირდაპირე არ შეეკავებინათ, სანამ მთავარსარდალი შესძლებდა მაშველი ჯარის გამოგზავნას.

სკოლა შინდისში ისვენებდა. მის ნაცვლად ტაბახმელას, გვარდიისა და ჯარის ნანილები იცავდნენ – არც ცოტანი: მე-10 ათასეულის ნაწილები, 2 გვარდიელების ასეულები, მე-5-ე ათასეული და კიდევ სხვა ნანილები.

კოჯორთან მიწოლილმა მტერმა ტაბახმელაზედ მოინდომა მოკლე მანძილით ტფილისისკენ დაშვება. გამეხებული შეტაკებებით, მრავალ უკუგდებული იერიშების შემდეგ მაინც წინ წამოინია, ზოგიერთ ალაგას შემოამტვრია და შტაბსა და ზარბაზნებს დაემუქრა. საკითხის გადასაჭრელად იუნკრები საჭირონი გახდნენ, და ფარნაოზი ახლათ ჩამოსულ მთავარსარდლის ბრძანებით, შინდისში ჩხეიძესთან ცხენს მიაჭენებდა.

„სკოლა ამოიყვანეთ საჩქაროთ ტაბახმელაზედ, მდგომარეობა გართულდა"...

სკოლა დაიძრა...

გზაში კიდევ მოვიდა ბრძანება: „აჩქარდით, ფრონტი გაირღვა!"

– დაყარეთ ყველაფერი ვაზნების გარდა, სწრაფათ წინ! – გაისმა პოლკოვნიკ ჩხეიძის ფოლადისებური ხმა.

იუნკრები „შარში" გაშლილნი მირბიან: თავზედ ტყვიამფრქვეველები ბზუიან, ყუმბარათა ცეცხლი შინდისიდანვე სდევთ, აქა-იქ დაჭრილ-დახოცილი იუნკრები იჩოქებენ. ყუმბარათა ბოლში სჩანს რაღაც ნაწილები... იხევენ... მხოლოთ ვიღაცა, ვაჟკაცური გამომეტყველებით, წარბშეუხრელათ, ტანში გასწორებული, სიმწარით იქნევს აქა-იქ მათრახს და ნაწილების გაჩერებას ლამობს... იერიშებისთვის ვერ გაუძლიათ... ველს ატიტველებენ... მათრახიანი – ჯუღელია, უიმედო, სასოწარკვეთილებით თავზარდაცემული, თავის ნაწილების შეჩერებას ლამობს.

იუნკრების დანახვაზედ იმედის სხივი უთამაშებს თვალებში, შვებით სუნთქავს, სწამს, საქმე მოგებულია.

ვაშა!.. გრიალებდნენ იუნკერთა მწკრივებში და სასტიკი იერიში უნებლიოთ[2] გვარდიელებსა და ბოლშევიკებზედ თანაბრათ მიჰქონდათ. გვარდიელები მათმა ტალღებმა წინ წაიღო. ხაზი აღდგენილ იქმნა. იუნკრების სული შთაენერგა ტაბახმელის სხვა ჯარებსაც; ყველა საღამომდის, განუწყვეტლივ მონატანი იერიშები, მოგერიებულ იქმნა. მტერი დაზარალდა. საღამოსთვის მთლათ მიჩუმდა და ტაბახმელა მიწყნარდა, ოღონდ ყუმბარები ისევ შხაპუნებდნენ, – აქ ომის ღმერთი მაინც ზეიმობდა.

ღამე, სამხედრო სკოლის უბნიდგან გაჰქონდათ 25 გვამი.

ტფილისისკენ კი მიგორავდა 4 მტრის საველე ზარბაზანი და ერთი დაზიანებული ჯავშნოსანი... უკან დაგლეჯილი ტყვეები მისდევდნენ.

იუნკერთა სული მეფობდა ტაბახმელაში.

22-23-ს მტერს აღარაფერი სერიოზული გაუბედია. კოჯორზედ ბრძოლები გამარჯვებით დამთავრდა. დაღლილმა ჯარებმა ვაშლოვანამდის სდიეს. ღრმა დევნისათვის დასვენებული ნაწილები არ აღმოჩნდნენ. მე-11 და მე-12-ე ათასეულებს ელოდნენ ახალციხე-არტაანიდგან.

24 თებერვალი უანლითა და ზარბაზნების გრიალით გათენდა. 20 ნაბიჯს იქით აღარაფერი სჩანს. ბოლშევიკები სარგებლობენ სიბნელით, ტაბახმელას წინამდებარე ქედებით ხევებში წითელი კურსანტები ჩამოჰყავთ და მოულოდნელათ ხელჩართულზე გადმოდიან.

[1] sic!

[2] sic!

ბრძოლა ჩაღდება სასტიკი – არც ერთის მხრივ დანდობა... ეაშა და ურა ზარბაზანთ გრიალში ირევა... ხიშტის ძგერასა და კონდახთ თხლაშუნში იშვიათათ მოისმის წამით დაშორებულ მწკრივების სროლა... იერიშს კონტრიერიში მოსდევს, – კონტრიერიშს ახალი იერიში. სიკერპეს სიკერპე და ბრძოლის გახურებულ ჟინს ახალი ჟინი...

მოწინააღმდეგე ღირსი ფალავანი გამოდგა. ჩვენები ყოველ მტკაველ მიწას ზედ აკვდებიან... თოვლი გაწითლდა... გვამები მოძრაობას ანელებენ... ხელჩართული არა ნელდება...

იუნკრები ერთგულნი არიან ტფილისის ქუჩებში ჩუმათ დადებული ფიცისა:

– „ბოლშევიკები ჩვენს გვამებზედ გადმოივლიან“...

– გაუმარჯოს საქართველოს! – უკანასკნელათ იძახიან გულგანგმირული ახალგაზრდები და მხიარულათ ეხუტებიან ციცი გვამებით მშობლიურ მიწას...

ღამე ჩამოწვა სქელი და ნოტიო. გატეხილი მტერი აღარსადა სჩანს. ქართული ხაზები შენარჩუნებულია და ტაბახმელის რვა კილომეტრიან სივრცეს ისევ სდარაჯობს იუნკერთა ორი ჯგუფი: ერთი კაპიტანი მაჭავარიანით – 12 კაცი, მეორე კაპიტანი ალავიძით – 8 კაცი.

მზათ არიან ყველანი ახალი იერიშის მოსაგერიებლათ. არავინა ნევება, რომ დაქანცულს ძილი არ მოერიოს... ვაზნების გამოლევა არ ანაღელებთ... ხიშტს დაჰყურებენ... ერთგულნი არიან დადებული ფიცის...

რა იქნება ხვალ, ეს მათ არ აფიქრებთ... მათი მოვალეობა იციან. ალბად ხვალ ბოლშევიკები იერიშს გაიმეორებენ, დარჩენილი 20 იუნკერი დაიხოცება და მტერი...

რა იყო სხვაგან? იქაც ხომ მზგავსათ იბრძოდნენ, იქნებ იქაც ეს? თუ ეს ასეა, მაშ ტფილისის კედლებთან ბრძოლის გაგრძელებას ახალი ძალები ესაჭიროებოდა, ძალები არსად სჩანდა და ბრძოლის მოგების იმედი ტფილისის შეწირვასა, დროს მოგებას და ახალ დარაზმულობას მოითხოვდნენ... ალბათ მხოლოთ ამისთვის უნებლიეთ გადარჩენილი იუნკრების მოქანცული ჩრდილები სევდითა და ბოლმით ჯერ მიბნელებულ ტფილისზედ და შემდეგ მტკვრის მარცხენა ნაპირით მცხეთისკენ მიიძვროდნენ.

გადარჩენილ ჯგუფს წინ მიუძღოდა ტაბახმელის გამწარებული გმირი და ორიოდე გადარჩენილი ოფიცერი. უკან ტყე-ტყე, სოფელ მორიდებით დაგეიანებით ისწრაფვიდნენ საავადმყოფოდგან გამოპარული დაჭრილი იუნკრები.

19-ს მარტს ქართულ ზღვას რამოდენიმე გემი მოწყდა. გემში ერისა და მხედრის კაცებში გადარჩენილი იუნკრებიც ერიენენ. მათ თვალებს კაეშანი და სევდა ასდევნებოდა.

[1934]

პოლონეთის განთავისუფლება და მარშალი პილსუდსკი

მე-18 საუკუნის მინურული პოლონეთის ერისათვის ისტორიის მწარე წუთების დასაწყისი იყო. დასავლეთის ძლიერი სახელმწიფონი ამ დროს ტერიტორიალურ მონაპოვართა გაფართოების შეჯიბრებაში იყვნენ. პოლონეთის მიმართ საამისო სანადელით გამონვდილი იყო სამი მეზობელ სახელმნიფოს ხელი: რუსეთის, ავსტრო-ჰუნგრეთის და გერმანეთის. პოლონეთის იმ დროინდელი თაობა ვერ დახვდა ვითარებას სათანადოთ მომზადებული და რიგრიგით გაყოფის შედეგად, სამად დაქუცმაცებული, სამივე ამ სახელმნიფოს ფარგლებში მოექცა. პოლონეთის ერს, მიუხედავათ ფიზიკური დამარცხებისა, სულიერ ღირებულებათა სალაროში სამყოფი განძეულობა აღმოაჩნდა, რომ მომხდარ ფაქტს უპრეტენზიოდ დანებებოდა. თავისუფლების აღდგენის ზრახვებიდან არამც თუ ხელი არ აუღია, არამედ რამოდენიმეჯერ იარაღით გაუწევია *წინააღმდეგობა*[1] ამ მიზნის მისაღწევად; საუბედუროდ, ოღონდ ვერც კოშციუშკოს გამოსვლა, ვერც ნაპოლეონის გვერდით მებრძოლ პოლონელთა გმირობა, ვერც 1830-1863 წელი ვერ დასრულდენ გამარჯვებით და თავისუფლებას მონატრულ ერს სანადელი ვერ აუსრულა. დაგლოვებულმა ნაღველმა სენკევიჩისა და მიცკევიჩის ცრემლში ჩააქსოვა და მონობაში ჩარჩა.

მდგომარეობანი ამასობაში ისტორიული კალაპოტით მიმდინარეობდენ. პოლონეთის გაყოფით დროებით მორიგებულნი ცხოვრების კვლამ ერთი მეორის წინ აღმართა და ბოლოს 1914-18 წლის სიგრძეზედ ერთმანეთს შეაჯახა. ასეთ პირობებში პოლონეთის ბედიც დღიურ საკითხად უნდა წამოჭრილიყო, ოღონდ თუ როგორ გადაწყდებოდა და რანაირად მოუელიდა ახალ ცხოვრებას მკვდრეთით აღმდგარი ერი, ეს ბევრად იყო დამოკიდებული თვით ამ ერის ვარგიასობისა, მისი კულტურულის სიმწიფის, მომენტის შეფასების, უნარის და ეროვნული შემეცნების სიღრმეზე; საუბედუროდ სწორედ ამ მხრივ მეოცე საუკუნეს მიღწეული ერები საერთოდ და პოლონეთის ერიც ეროვნულ თავმოყვარეობის ზედგავლენის გარდა რამოდენიმე ათეული წლებიდან განიცდიდენ ამ შეგნების შემასუსტებელ ანუ უკეთ უარისმყოფ თეორიების ზედგავლენასაც. რუსეთის ფარგლებში ასეთ მიმდინარეობათ ნიადაგი იმდენად შესაფერისი დახვდათ, რომ აქ მონანილეობა და ბრძოლის მეთოდებზე შემდგარ ორგანიზაციის წევრობა იძლეოდა, ერთის მხრივ ყველა უკმაყოფილოთათვის დაგუბებულ სიბრაზის გადმოხეთქვის საშუალებას, მეორეს მხრივ აძლევდა მონაწილეთ სიკეთისათვის თავგანწირვის ერთგვარ ილუზიასაც. პოლონეთს, ისევე როგორც საქართველოსაც, რუსეთის ხელში ბევრი ჰქონდათ საუკმაყოფილო და ამისათვის არის, რომ ორივე ამ ქვეყანაში ბევრი აღმოჩნდა მემარცხენეთა დარაზმულ რიგებში, ოღონდ რამდენად ეს მოვლენა სასარგებლო აღმოჩნდა თვითმპყრობელობის დანგრევის მოახლოვებისთვის, იმდენად დასცა და მოადუნა ეროვნული შეგნება და ამით აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა იმ ერებს მაინც, რომელთ ცხოვრება ცალკე კალაპოტით მოწყობას ითხოვდა.

საუკეთესო მაგალითი იმისი, თუ რამდენად გადამწყვეტი და მწვავე იყო თვითმპყრობელობას მოცილებულ ერებისათვის ამ უკანასკნელ სიმძიმის დაძლევა, ვართ ჩვენ, ქართველები. პოლონეთსაც იგივე გზა არ ასცდებოდა, რომ მისი ბედის მკვეთელად ჩვენის მზგავსი პირობები დარჩენილიყო. ბედი ოღონდ უფრო ლმობიერი გამოდგა მათთვის და ამ ძნელ წუთებში მოუვლინა კაცი, რომლის რკინის ნებისყოფამ, აღელვებულ ცხოვრების ტალღებზე პოლონეთის გემი

[1] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ტექსტში გამოტოვებულია *(ლ. ც.)*.



მარშალი იუზეფ პილსუდსკი.

გამოცდილი ხელით იქამდე და ისე ატარა, ვიდრე ის სასურველ და მყუდრო ნავთსაყუდელთან არ მიიყვანა. ეს ადამიანი მსოფლიოში კარგად ცნობილი მარშალი პილსუდსკია, ის პილსუდსკი, რომლის პირადი ბიოგრაფია პოლონეთის ერის, მისი თავისუფლების აღდგენის და განმტკიცების ისტორიაა. **შემკრებლობითი პიროვნება ხომ არასდროს ყოფილა კონსტრუქტიულ მუშაობის ოსტატი. ერის ისტორიათ პიროვნებანი ჰქმნიან, კარგსაც და ავსაც. მათი დამსახურება და ბრალია, თუ ერი, ათეული წლების სიგრძეზე, ბედსა ან უბედობაში ჩავარდება და პოლონეთის მაგალითზე ეს აქსიომა კიდევ ერთხელ დამტკიცდა.** ადვილი პირობები არა ჰქონია სამად გაყოფილ პოლონეთს თავისუფლების მოპოებისა და განმტკიცებისათვის. **ყოველ ქმნთხვევაში, ჩვენთან შედარებით ეს პირობები იყო ბევრად უფრო ძნელი,** მაგრამ პილსუდსკიმ არამც თუ ყველა პირობები გადალახა, არამედ გენიოსური შორსმჭვრეტელობით ეს სიძნელენი შორიდანვე შეაფასა და თავისი მომავალი მოქმედებისათვის ერის საკეთილდღეოდ ხელსაყრელი ფონი თვითონვე და წინდაწინვე შექმნა. ამ მიზეზის ბრალია, რომ ი. პილსუდსკის პიროვნება თავისი ღირსებით და ფასით ბევრად გადასცდა პოლონეთის ერის მაშტაბს და მისი პიროვნება ყველა თავმოყვარე ერისათვის შესანაელის საგნად და პატივის ღირსად იქცა.


ჩვენ, ქართველებს, ჩვენს პირობებში, მეტად გვმართებს ასეთი პიროვნებათათვის პატივის მიძღვნა. მისი საქმიანობის შესწავლით უდავოა, შევმატებთ ჩვენს ერს საუკეთესო მაგალითს სამშობლოს სიყვარულით ანთებული და მისთვის თავგანწირული ადამიანისა.

ეროვნული თავისუფლების მოპოება და განმტკიცება, ეს უდიდესი ღვაწლი იყო მისი პოლონეთისადმი და ამ მხრივაც განვიხილავთ ჩვენ მის პიროვნებას.

მარშალი დაბადებული და აღზრდილია პოლონეთის იმავე კუთხეში, სადაც იზრდებოდა პოლონეთის უდიდესი მგოსანი მიცკევიჩი; მისი ყრმობისას ცოცხალი იყო 1863 წლის აჯანყების მოგონებანი; უკვე ეს მოვლენა იმ პირობასთან დაკავშირებით, რომ მისი ოჯახობაც ეკუთვნოდა ეროვნულ ტრადიციებით გამსჭვალულ კეთილშობილთა წრეს, საკმარისი ჩარჩო იყო მისი სულის ბავშვობიდანვე უაღრესი პატრიოტიზმით გამსჭვალვისა. ამას აღრმავებდა ის მოვლენაც, რომ რუსეთის ადმინისტრაცია განსაკუთრებული უმზგავსობით პარპაშებდა პოლონეთის პატრიოტიზმის სწორედ ამ კუთხეში, რაც, ცხადია, საზოგადოებაში სრულიად სანინააღმდეგო გრძნობებსა სძვრიდა. შემდეგი ცხოვრებაც ი. პოლსუდსკისა ისეთი სახით ჩატარდა, რომ საკუთარი ერის ტანჯვის შეგნება რუსეთის ხელში და ამ უკანასკნელთადმი ზიზღი უმაღლეს მწვერვალამდე ხასიათის თვისებაში აუყვანა.

ამ მოვლენათა შედეგად ციმბირის ხუთ-წლიან გადასახლებიდან დაბრუნების დღიდან ნაბიჯები იქით მიმართა, სადაც ამ საზიზღარ მოპარპაშეთადმი ბრძოლა უკვე იყო გამართული. **მივიდა მათთან არა როგორც უბრალო ჯარისკაცი, არამედ როგორ ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, როგორც ბელადი;** ოღონდ თავისი მისვლით შემატა მათ და შეათვისა თავისი სულის უდიდესი განძი – სამშობლოსადმი სიყვარული – და სხვა ყველაფრის მის კეთილდღეობისა და სიკეთისათვის შეფარდების ვალდებულება. რამდენად მტკიცე იყო მისი ნებისყოფა ეროვნულ დარგში, სჩანს მისივე სიტყვებიდან:

„პოლონეთის თავისუფლებას არავინ არც გვაჩუქებს არც ჩვენს მაგიერ მოიბრძოლებს. თავისუფლება უნდა აღვადგინოთ ჩვენ თვითონ, თოფით ხელში“.



კავკასიის ხალხთა წარმომადგენლები ვერცხლის გვირგვინით ამკობენ **ოუზეფ პილსუდსკის** სახლავეს. ფოტოზე ჩანან (მარცხნიდან): 3. გრიგოლ ფერაძე, 11. იოსებ სალაყაია, 12. სპირიდონ ქაქჭაუაძე, 13. დავით ვაჩნაძე (ცარიზმის მეტროპოლიის არქივი, ფოტო შოგუანოდა დავით ყოლბაიამ).

ამას ამბობდა სოციალ-დემოკრატი ი. პილსუდსკი და ამ სიტყვებიდან მოსჩანს მისი სილუეტი, როგორც სახელმწიფოს ბედის მესაჭე პიროვნების. სახელმწიფოს მეთაურთათვის სამხედრო დარგის მნიშვნელობის აღიარება და ამ დარგით უაღრესობამდე დაინტერესება პირველი საფუძველია ამ პიროვნების წონის და ერის ბედ-იღბალისაც.

რუსეთის ზრდა პეტრე დიდის საბავშო გასართობ გუნდების ისტორიიდან იწყება; ვიცით, რა ადგილი მოუპოვა გერმანეთსა და იაპონიას მილიტარული დარგის პატივმა; ქემალ ფაშამ მხოლოდ მხედრული სახის ოპერაციებით და მხედრების დახმარებით დაუმკვიდრა თავის ერს საპატიო სახელი და ბედი. სამხედრო დარგის მნიშვნელობა ცნობილია ბოლშევიკებისათვისაც კი, და მარშალ პილსუდსკის მხრივ სამხედრო დარგის პატივისცემა ხომ ერთად ერთი მიზეზი იყო, რომელმაც სიცოცხლეშივე დაატკბო ნამოქმედარის ნაყოფით და საერთაშორისო მაშტაბით ანგარიშგასაწევ პოლონეთის შექმნით. უკვე თვით ზემო-მოყვანილი სიტყვების თქმა სამად გაყოფილ პოლონეთის ფონზე და იმდროინდელ გულგრილ პოლონელებთან შედარებით გვაჩვენებს ი. პილსუდსკის, როგორც გამბედავ და მტკიცე პიროვნებას. სურათი სრულ გამოხატულებას ჰპოულობს, როდესაც ვნახავთ, თუ რა შრომა გასწია სიტყვების რეალობად საქცევლად.

ფონი, რომელზედაც იწყებდა ი. პილსუდსკი მოქმედებას, დაახლოვებით იყო შემდეგი: ნაციონალურად მოაზროვნე ნაწილი პოლონეთისა, მრავალი ნაგებული ცდებით და რეპრესიებით მოტეხილი, შორს იყო ეროვნულ დამოუკიდებლობის შესაძლებლობაზე ფიქრიდან; მყუდრო ცხოვრებას მიჩვეული ვერ ურიგდებოდა საკითხის გადაჭრის იარაღისათვის მინდობას; მათი ერთად ერთი სურვილი – ეს ლეგალური საშუალებებით პოლონელთათვის პირობათა გაუმჯობესება, მატერიალური მოღონიერება, და კულტურული თავისებურების შერჩენა იყო. ახლო მომავალში პოლონეთის დამოუკიდებლობის შესაძლებლობა მათთვის წარმოუდგენელი იყო. – მეორე ნაწილი საზოგადოებისა – ეს სოციალისტურ მოძრაობათა ირგვლივ დაჯგუფებული ხალხი იყო. ესენი წესწყობილებით, საზოგადოებრივ ცხოვრების აგებით და მატერიალური ვითარებით უკმაყოფილონი აქტიური ბრძო-

ლისათვის ორგანიზაციულად ეწყობოდენ და ამ ბრძოლას ნაწილობრივ კიდეც აწარმოებდენ. დანარჩენნი საკუთარ კერის ინტერესებში ჩაბმულნი საზოგადო საქმეთათვის გულგრილნი იყვნენ და ორივე სხვა წრის მუშაობისათვის არც გული უცემდათ. ი. პილსუდსკის მშფოთვარე მებრძოლი სული, სამშობლოს სიყვარულითა და დამპყრობელთადმი ზიზღით გამსჭვალული, ცხადია, ვითარებათა გარეშე ვერ დარჩებოდა. 5-წლიანმა ციმბირმაც მის შემდეგ საქმიანობაზე ერთგვარი ზეგავლენა იქონია. აქ გაეცნო ის აქტიურ მებრძოლთა სახეებს, მათი ბრძოლის სიმტკიცეს, მათ იდეალებს და როდესაც ყველაფერი ეს ციმბირის ბნელ, ყინვიან ღამეების ფიქრით თავის პიროვნებას შეათვისა, გამომუშავდა ადამიანი, რომლის ნაბიჯები სნორედ ისე წარიმართა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ. *იგი*[1] აქტიურ მებრძოლთა რიგებში დადგა, სამშობლოსადმი ვალდებულების შეგნება შეიყოლია და პოლონეთის დამოუკიდებლობა მათთვის აუცილებელ მიზნად სცნო.

ამისთვის არის, რომ მოჰკიდა თუ არა კალამს ხელი ციმბირიდან დაბრუნების დღიდან, საიდუმლო გაზეთ „მუშის" ფურცლებზე, რომლის რედაქტორი, ასოთამწყობი და რეპორტორი იყო, ერთ და იმავე ხანს დაადგა მუშაობას პოლონეთის სოციალდემოკრატიულ პარტიისათვის ეროვნული მიზნების და სამშობლოს სიყვარულის ჩანერგვას. უპირველეს ყოვლისა, საქმის კაცს, კალამიც მძლავრი და კერპი მისცა ბედმა და საკუთარ მრწამსის სხვათათვისაც შეთვისება გაუადვილა. ი. პილსუდსკიმ იცოდა თავის მრწამსისთვის მოდრეკა; ამისთვის საშუალებათა შერჩევაც იცოდა. ერისთვის პატრიოტიზმის ჩასამყნელად მისი აქტიური ნაწილი აირჩია და საამისო საშუალებად კალამი. შედეგმა არ დაიგვიანა; პოლონელ მუშებს გული უცხო არ აღმოაჩნდათ; სიტყვა სამშობლოსა და მისი სიყვარულისათვის და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოება სხვა ვალდებულებათა სათავეში დაიყენეს.

ექვსი წლის განმავლობაში მუშაობდა ამ გზით ი. პილსუდსკი „მუშ"-ის ფურცლებზე ნაყოფიერად, რის შემდეგაც ჩავარდა; ოღონდ შესძლო თავი დაეღწია და სამუშაოთ ავსტრიის პოლონეთში – გალიციაში გადავიდა. პოლონეთის ამ ნაწილში ეროვნული უმცირესობანი მეტის თავისუფლებით სარგებლობდენ. მარშალ პილსუდსკის მუშაობასაც მეტი გასაქანი მიეცა. აქ მიზნისათვის, პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის, სამსახური არა მხოლოდ სიტყვით, წერით და ფარული მუშაობით, არამედ აშკარადაც შესაძლებელი გამოდგა. მარშალი სწრაფად გადადის საქმიანობაზე და მომავალი კადრების წრთნას უდგება. **მისი აზრით, ერთი კლასი ან წრე სუსტია თავისუფლების მოპოებისათვის;** ამ მიზეზით მუშაობას ახალგაზრდებზე აფართოებს და მიმდევრები კი აღმოჩნდენ გაცილებით მეტი, ვიდრე მისი პოლიტიკური ამხანაგები მოელოდენ. მუშაობა გაჩაღდა, და როდესაც ჯერ რუსეთის პოლონეთში, და ახლა აქ თავისი შრომის ნაყოფი შეაფასა, საქმე იმდენად წინწაწეულად სცნო, რომ გათამაშების დღის ძებნა იწყო. რუსეთ-იაპონიის 1904 წლის ურთიერთობის გამწვავებამ ამ მხრივ დიდი იმედები დაუბადა. „არ წარმომიდგენია, რომ ისეთი ზომის ვითარება, როგორც რუსეთ-იაპონიის ომი, არ მიგვეყვანდა ჩვენ, პოლონელებს, ისეთ პირობებამდე, **რომ ძალით ხელში** შეუძლებელი ყოფილიყო პოლონეთის ბედის გაუმჯობესება". მდგომარეობის გამოსაყენებლად იაპონელთა დაპატიჟებით იაპონიაში მიდის და მართალია, იქ დიდ მიღწევებს ვერ პოულობს, მაგრამ დაბრუნებისას არ უარპყოფს თავის პირვანდელ აზრს. თოფით ხელში თავისუფლების მოპოება მისთვის ერთად ერთი საშუალებაა, მაგრამ ჯერ მასთან მხოლოდ მცირე ნაწილია პოლონეთის საზოგადოებისა; **ხალხმა კარგა ხანია დაპკარგა შეგნება თოფის ფასისა, დაპკარგა შეგნება საკუთარი ძალისა,** ხალხი ბურანშია. მარშალი 1905-8 წლის სიგრძეზე უმართავს რუსეთს პირდაპირ ბრძოლებს პატარა, მაგრამ უაღრესი აღფრთოვანებით მოცულ სამხედრო ორგანიზაციების საშუალებით. ესმოდა მას, რომ ასეთი მოქმედებით თავისუფლებას ვერ მოიპოვებს, მაგრამ – **„ამით შესჩქეფს ხალხში გაბედულება და რწმენა იარაღით ხელში ბრძოლის მოგებისა".**

სწყდება ბოლოს ეს მუშაობაც და მარშალი ბრუნდება გალიციაში. საკუთარ ძალთა ანგარიში, მიზანთ სიმწიკვლე და საერთაშორისო ვითარება უფრო და უფრო არწმუნებენ მას გათამაშების დღის მოახლოვებაში.

ავსტრიელების მიერ ბოსნია-ჰერცოგოვინის შემოერთებით ეს ჰიპოტეზა იმდენად დასანახი ხდება თვით ავსტრიელთათვისაც, რომ მარშალი დაუბრკოლებლივ ახერხებს სამხედრო ორგანიზაციების ლეგალურად მოწყობას. მით მოსჩანს ი. პილსუდსკი ბევრად მაღლა თავის-დროინდელ თანამემა-

[1] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ტექსტში გამოტოვებულია *(ლ. ც.)*.

ულეთა შორის, რომ, მიუხედავად ამდენი ნიშნებისა მარშალის სამხედრო მუშაობის სარგებლიანობის შესახებ, ასეთ მუშაობას მაინებლად, ავანტიურად და ზედმეტად სთვლიან, ვიდრე ავსტრიის ტახტის მემკვიდრის სიკვდილით[1] გამოწვეული მსოფლიო ქარიშხალი ასეთ მტკიცებას არ გააბათილებს.

იარაღის აჟღარუნების პირველ მომენტშივე მას საშუალება აქვს აბუჩად აგდებულ და პირში ბურთ-ჩარჩილ პოლონეთის სახელით ხმალი ამოიწოდოს. ეს კი მუდამ სიტყვაზე მჭრელია.

„პოლონეთი განთავისუფლდება მაშინ, როდესაც რუსეთს დაამარცხებს გერმანეთი და ეს უკანასკნელი თვით დამარცხდება საფრანგეთის მიერ“-ო.

ინინასწარმეტყველა ჯერ კიდევ ომის წინ, და ამ წინასწარმეტყველების ერთგული ავსტრიის რიგებში დგება. ომში არ მიდის განმარტოებული, მიუძღვის წინ თავისავე აღზრდილ პოლონურ მხედრობას, პოლონურ ლეგიონებს. და თუ რა ფასის ხალხი იყო მისი ოფლით და შრომით გაწრთვნილი ეს ჯარისკაცნი, ვიცით მისივე სიტყვებიდან: „ლეგიონებს არასდროს არა ჰკლებია მოხალისენი უძნელესი დავალებისათვის. ასეთები იყვნენ გადაჭარბებით, საჭირო ხდებოდა არჩეევანი და ბევრი რჩებოდა ნაწყენი, რომ ძნელი დავალების შესრულება ასცდა“. ბედნიერი უნდა ყოფილიყო პილსუდსკისათვის დღე, როდესაც საკუთარი შრომით ამნაირად აღზრდილი ხალხის თავში პოლონეთის ბედს სასწორზედ სდებდა. ეს ფაქტი მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ როგორც საშუალება საკუთარი ერის ბურანიდან გამოსაყვანად, არამედ აგრეთვე როგორც მთელი ქვეყნისათვის დასაწანი ნიშანი ტანჯულ-დამონებული ერის უფლებათა მოსაგონებლად. ლეგიონების მცირე დაკვირვების შემდეგ მოკავშირეთათვის შეუმჩნეველი არ დარჩა, თუ რა სახის ჯარისკაცი ჰპოვეს საკუთარი ერის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ლეგიონერთა სახით. ასეთი წამოწყების წასახალისებლად საკუთარივე ინტერესის შეგნებით მათ (გერმანეთმა) 1916 წლის 8 ნოემბერს საამისო აქტიც გამოაქვეყნეს. 1917 წელს ამას მოჰყვა პოლონეთის აღდგენის საკითხზევე ვილსონის ცნობილი აქტიც. ავსტრიელების ლეგიონერებთა ბრიგადების რიცხვი აჰყავთ სამასამდე. აი ასეთი იყო შედეგი პირველ ხანებში მარშლის მუშაობისა. დანაპირები ოლონდ ადვილად არ ხორციელდება; უკვე ვარშავა აღებულია და პოლონეთის აღდგენაზე არაფერი ისმის. ეს ი. პილსუდსკის ვერ დააკმაყოფილებს, ამისათვის არ აუტანია ციმბირი, ამისათვის არ გაუწირავს სამუშაოდ თავი, ამისათვის არ გასულა ველზე თავის თანამოზიარეთა სათავეში, ზომათა ძიებაში ვარშავაში ჩნდება და პოლონურ წრეებთან მოლაპარაკების შედეგად სწყვეტს მოხალისეთა ლეგიონებში დენას, რის მაგიერ აარსებს ახალ საიდუმლო, ვისგანმე დამოუკიდებელ „პოლონეთის სამხედრო ორგანიზაციას“, შედეგათ ამ ორგანიზაციის ქსელი ედება სამივე ოკუპანტის პოლონეთის სივრცეს.

მოკავშირენი ხედავენ საქმის არა სასარგებლოდ შემოტრიალებას, ფიცის ჩამორთმევით სცდილობენ პოლონელთ ერთგულება დაიმკვიდრონ; მარშალი ამას თავის ვეტოს ადებს, დემისიაში გადის, ხოლო ლეგიონერებს კი უკრძალავს ფიცის დადებას.

გერმანელები ყველა ამისათვის მარშალს მაგდებურგის ციხეში ათავსებენ, ლეგიონერებს კი საკონცენტრაციო ბანაკში. **ოლონდ ცოცხლობს მისი საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია; იგი აცხოველებს თავის მუშაობას, რის ნარმატებასაც ასაზრდოებს და ხელს უწყობს ი. პილსუდსკის მიერ ჩათესილი სიტყვა და გრძნობა და იარაღის ნდობა.**

მარშალის წინასწარმეტყველება მართლდება. რუსეთის დამარცხებას გერმანელების დამარცხება მოსდევს და პილსუდსკის „სამხედრო ორგანიზაციას“ მუშაობის დღე უახლოვდება. რევოლუციით მოცული გერმანეთი მოიგონებს და გაანთავისუფლებს თავის ტყვეს. პოლონეთი საჭიროებს მის პიროვნებას. იქ გარდამტეხი მომენტი და უთაობის ქაოსია. აღმოსავლეთით მძვინვარებს ბოლშევიზმ-მენშევიზმის ტალღები; სამხრეთით ბრძოლებია ლვოვის გამო, ჩეხები ცეშინს ემუქრებიან; პოზნანი და სილეზია ჯერ კიდევ გერმანელებს უკავიათ; ამათივე ნაწილებია ვარშავაში; აქვე აქა-იქ წითელი დროშები ჩნდება; ადგილ-ადგილ პოლონურ ერთ-თავიან არწივს გვირგვინს აძრობენ. პოლონეთი უთავოა. „პოლონეთის სამხედრო ორგანიზაციას“ მხოლოდ ოკუპანტების განიარაღების ძალა შესწევთ; საქმის ხელში აღებისა და ხელმძღვანელობისათვის ის უძლურია. აი ასეთია მომენტი, რომელშიაც ი. პილსუდსკი ვარშავის ქუჩებში ჩნდება. მან იცის მომენტის ფასი, მან იცის პოლონეთის საჭიროებაც, მას უნარი და ძალაც შესწევს, მდგომარეობანი დაიმორჩილოს. ამ დღიდან პოლონეთი გადარჩენილია, აღდგენილია. ძალაუფლებას და პოლონეთის ბედს მას აბარებენ,

[1] იგულისხმება ავსტრიის ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი *(ლ. ც.)*.

ლიუბლინის რევოლუციონური მთავრობაც მას ემორჩილება, ისე როგორც გერმანელების მიერ დატოვებული მმართველობაც; ხალხი აღტაცებით და მონიწებით ღებულობს მის ხელმძღვანელობას და ამას უმადლის პოლონეთი, თუ ის დღეს მილიტარულ ძლიერებათა შორის ევროპაში პირველთაგანია, თუ მისი დამოუკიდებლობა საუკუნოდ განმტკიცებულია.

აი ასეთია მარშალ პილსუდსკის დამსახურება პოლონეთის დამოუკიდებლობის მოპოებასა და მის განმტკიცების საკითხში. პოლონეთის ერი თავის თავისუფლებას აფასებს იმ ფასად, რომელიც ი. პილსუდსკიმ გაიღო ამ საკითხისათვის მთელი თავისი სიცოცხლის სიგრძეზე. ფასი კი, როგორც ვნახეთ, იმ ზომისაა, რომ გახადა ის პოლონეთის ერის უდიდეს გმირად, სათაყვანო პირად და მომავალ დაუშრეტელ წყაროდ უსაზღვრო მამულიშვილობისა პოლონეთის ეხლანდელ და მომავალ თაობათათვის. კაცობრიობამ და თავისუფლებისათვის მებრძოლებმაც მისი სახით მოიპოვეს ერთი უდიდესთაგანი ეროვნული მომუშავის მაგალითებიდან.

[1935]

ემიგრანტობის თხუთმეტი წლის თავზე

ემიგრანტობის მე-15 წლის თავზე ჟურნალი „მხედარი" მე-8 წელიწადს იწყებს თავისი არსებობისა. ერთგულად და გულმოდგინედ ემსახურებოდა თავის დარგში ეს ორგანო და მის ირგვლივ მოკრებილი მხედრობა ქართულ მხედრულ საჭიროებებს და საამისო ატმოსფეროს გაჯანსაღებას.

უმთავრესად გვაინტერესებდა ამ ხანის განმავლობაში ნათელ გვეყო ყველასათვის: სახელმწიფოს ცხოვრებაში მხედრული დარგის მნიშვნელობა და ამით ჯერ ერთი, ფონი შეგვექმნა ქართულ მხედრულ საქმიანობისათვის ჩვენი ერის ბედის შეცვლის დასაჩქარებლად და მეორეც, დაგვემზადებინა ყველაფერი, რომ ეგებისობის შემთხვევაში შესაძლებელი გამხდარიყო სამხედრო დარგის პირველ დღიდანვე სახელმწიფოებრივ მასშტაბში და მაქსიმალური შედეგებით წარმართვა. ემიგრანტობის 15 წელმა საქართველოს თავისუფლება ვერ დაუბრუნა და იძულებული ვართ, ჩვენი ამ სახის მუშაობა მე-16 წელშიაც გადავიყოლოთ.

ვინც თვალყურს ადევნებს ქართულ ემიგრანტულ პრესას და საზოგადო აზრს, შეამჩნევდა, რომ ამ სახის ჩვენმა მუშაობამ უშედეგოდ არ ჩაიარა; ბევრია მიღწევები და დღევანდელი ამ მხრივ ვითარება ვერ დაედრება რვა წლის წინადროინდელს. თუ შედეგები სრული არ არის, ეს მხოლოდ იმას მიეწერება, რომ მუშაობა მოგვიხდა მეტად მძიმე პირობებში. დაბრკოლებებს დავხვდით იქ, სადაც ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელი იყო. ვფიქრობთ, ქართული საზოგადოების სალი გონება და 15 წლის გამოცდილება დაგვეხმარება ბოლოს ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალახვაში და ემიგრანტობის მე-16 წელში ქართულ მხედრულ საჭიროებათა მხრივ სრულ შედეგების მიღწევაში. საამისოდ კი, საჭიროდ მიგვაჩნია მთელი მხედრული დარგის ირგვლივ დაყრილი ბურუსი ერთხელ და საბოლოოდ გავფანტოთ, რომ ამით მერყევთა და საქმის ნაკლებ უცოდინართა შეცდომაში შეყვანა შეუძლებელ ვყოთ. საქმის გასაგებად დავსვათ ჯერ საკითხი: – რა დარგია სამხედრო დარგი საერთოდ და აქვს თუ არა მას რაიმე საერთო საქართველოსთან?

როდესაც ამ კითხვას ვსვამ, უნებლიედ მაგონდება 1920 წელში ერთი ქართველი მოღვაწის მიერ ნათქვამი სიტყვები: რომ 27 წლის თეორიული მუშაობის შემდეგ თავს ანებებს წერას და უდგება პრაქტიკულ საქმიანობას. ამ ხნის განმავლობაში ნათქვამ-ნაწერის ცხოვრებაში გასატარებლად. არ გაუვლია ერთ წელსაც ამ სიტყვების თქმიდან, რომ მას პრაქტიული საქმიანობა შეაწყვეტინეს და შეაწყვეტინეს მისთვის, რომ ამ საქმიანობისათვის გარანტია არ იყო შექმნილი ძლიერი ქართული ჯარის და ერში ეროვნული შეგნების შეტანის სახით.

ერს, რომელსაც სურვილი ჰქონია სუვერენული არსებობის და განვითარებისა, არ აღმართია არასოდეს იმდენი საფრთხე, რამდენიც დღეს.

ორი მოვლენაა ამის მიზეზი: ერთი – ეს წარმოების საშუალებათა უმწვერვალესი განვითარება; მეორე – პატარა ერების გვერდით დიდი სახელმწიფო ერთეულების არსებობის ფაქტი. დიდ ერთეულებს სჭირიათ თავის მრენველობისათვის ნედლი მასალა, სჭირიათ ბაზარი, სჭირიათ აგრეთვე საკოლონიზაციო ადგილები მოსახლეობის სიმკვრივის შესამცირებლად. უიაფეს საშუალებას ყველა ამ პირობათა მოსაპოვებლად ძლიერის მიერ სუსტის ჩაყლაპვა წარმოადგენს. ეს ცხოვრების ძველი კანონი უხსოვარ დროთაგან უცვლელია იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ დღეს ტექნიკის და საომარ წესების გაუმჯობესების გამო, ძლიერი ისე ძლიერია, როგორც არასოდეს; და თუ სუსტს თავის გადარჩენა უნდა, ამავე მხრივ იმდენი უნარი, სურვილი და თაეგანწირვა უნდა გამოიჩინოს, რომ საჭირო დროს არ შედრკეს. მდგომარეობას დამშვიდებით შეხვდეს და შეხლიდანაც გამარჯვებული გამოვიდეს. სხვა სიტყვებით ეს ნიშნავს: ომის დროს ტექნიკას დარი ტექნიკა დაუხვედროს, ძალას ძალა და დამპყრობელობით სურვილს მორალური უპირატესობა. ნათქვამიდან უკვე სჩანს, რა საკითხიც ყოფილა სახელმწიფოსათვის სამხედრო საკითხი, მაგრამ

გავყვეთ ბოლომდე. სუვერენულ ერის სამხედრო ძლიერებას განსაზღვრავს ამ ერის სამხედრო ორგანიზაცია, ეს კი სხვა არაფერია თუ ამ ერის ცოცხალ ძალთა და მატერიალურ საშუალებათა ომის საჭიროებათათვის გამზადება. რამდენად მაქსიმალურია ორივე ამ საშუალების გამოყენება ომის დროს, მით უკეთესია სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაცია და მით მეტია შანსები მისი გამარჯვებისაც. სამხედრო დარგი, რომ ყველა სახელმწიფოსათვის დღეს უმნიშვნელოვანესი დარგია, გვაჩვენებს ამას დღევანდელ სახელმწიფოთა შეიარაღების ჯირითი და ამ დარგის გადამძიმებული და მუდამ მოზარდი ბიუჯეტები.

სამხედრო საკითხს ორგანიზაციის გარდა თვით ჯარის და ერის წრთვნა და ზრდაც ეკუთვნის. მეტყვით: ყველაფერი ეს მართალი და კარგია, ოღონდ ნორმალურ პირობებში; რომ საქართველომ დაჰკარგა სუვერენობა და ნორმალური ხანაც; რომ დაგვიანებულია მის არებობის შესანარჩუნებლად ცოცხალ ძალთა და მატერიალურ საშუალებათა ორგანიზაციაზე ლაპარაკი; რომ ზედმეტია გაწრთვნასა და აღზრდაზე ლაპარაკი.

დიახ! მაგრამ განა ჩვენ იმედი დავკარგეთ ჩვენი ერის სუვერენობის აღდგენისა? აღდგენისა და განმტკიცების საკითხში კი, სამხედრო დარგი პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობისაა. მე არ შეუდგები აქ ჩამოთვლას ყველა ეგებისობებისა, რომლებიც ჩვენ ერს დამოუკიდებელ არსებობამდე მიიყვანს; ვიტყვი მხოლოდ, რომ **ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეინარჩუნებს ის მოპოვებულ თავისუფლებას, თუ რომ მისი არსებობის პირველ დღიდანვე მაგრად არ ჩასჭიდა ხელი სამხედრო ორგანიზაციას და ერის მხედრულ დარაზმვას მორალურის და მატერიალურის მხრივ.** საქართველოს სამ-წლიანმა არსებობამ და 1921 წლის სამხედრო გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ეს საქმე არც ისე ადვილი ყოფილა. ჯარის მოწყობას (თუ ამისი სურვილი არსებობს) სჭირებია დიდი მუშაობა. ეს დარგი, ისევე როგორც ყოველგვარი სპეციალობა, ვერ ითმენს ექსპრომტებს, ვერც მოუფიქრებელ საქმიანობას; ეს კი საჭიროებს საქმის ყოველ მხრივ და საფუძვლიან შესწავლას და საჭირო მასალის გულდასმით გადაღეჭვას. აი თუნდაც ერთი დარგი სამხედრო მუშაობიდან, რომელიც შესაძლებელია და საჭიროცაა ჩატარდეს ქართველი ემიგრანტების მიერ არსებულ პირობებში, თუ თვით დამოუკიდებლობის საკითხზე აღარაფერს ვიტყვით.

შესავალ მუშაობაზე დრო აღარ უნდა დაიკარგოს, თუ კი ეს დრო აქ ისედაც გეეკარგება.


მაგრამ იქნებ რომელიმე ქართველს დაეკარგა იმედი საქართველოს სუვერენობის ოდესმე აღდგენისაც და ყოველგვარ მხედრული სახის მუშაობას უალაგოდ სცნობს; ასეთებს ვურჩევთ გადაათვალიერონ ქართული ისტორია და იქ იპოვიან მაგალითებს თუ ათას წლიან არსებობის სიგრძეზე როგორ იბრძოდა არსებობისათვის და რამდენი ურთული პირობები გადაუტანია.

რამ გამოიყვანა ქართული ცხოვრების ასპარეზზე „მხედარი" და მის ირგვლივ მომუშავე მხედრობა? ნორმალურად სამხედრო დარგს განაგებს სამხედრო სამინისტრო, საამისო, საკანონმდებლო ორგანოს მიერ აღნიშნულ ჩარჩოებში. ერის თავდაცვის მომზადებაში მონაწილეობს უფრო მაღალი სამხედრო ინსტანციები და რამდენიმე სამინისტროს წარმომადგენელთაგან შემდგარი საბჭოები. მოკლედ, სამხედრო დარგს ხელმძღვანელობენ მაღლიდან დაბლა, ჰიერარქიული წესით. ესენი ზიდავენ პასუხისმგებლობას და ესენივე ეძებენ საშუალებებს თავის ხელქვეითთაგან უდიდესი საქმიანობის გამოჩენისა.


ჩვენ თავისუფლება დავკარგეთ, მაგრამ ამის შემდეგაც საქართველო კარგა ხანი იყო საზღვარგარეთ ცნობილი დიდი ომის დროინდელი ბელგიის პირობებში; გვთვლიდენ უცხო ძალის მიერ ძალით დაკავებულ სახელმწიფოდ; მთავრობას ერქვა მთავრობა და მისი წარმომადგენელნი სხვა და სხვა სახელმწიფოებში ჩვენი ერის წარმომადგენლობას ეწეოდენ; საქართველოც ამ დროს უკვე გამოფხიზლებული, ფიზიკურად იბრძოდა და აჯანყებებს ანყობდა; ემიგრაციას თავის რიცხვში მხედრობაც ჰყავდა; ამათ მხედრული არსებობა და ცხოვრება არ შეუწყვიტათ. ასეთ პირობებში მხედრული საკითხების მაღლიდან ნაძღოლა (ემიგრაციაშიც) აუცილებელი და საჭიროც იყო. საჭირო იყო ამ გზით მხედართ ერთიანობის შერჩენა, მათ შესაძლებლობათა განზომვა და საქართველოს საჭიროებისა და შექმნილ პირობებთან შეფარდებით ამუშავება.

ამ სახის მუშაობის მაგიერ მონამენი გავხდით იმ ფაქტის, რომ ინიციატივა მხედრული სახის მუშაობისა დაბლიდან გაჩნდა. ოფიციალური და პასუხისმგებელი წრე ასეთ ინიციატივას უარყოფითად დაუხვდა.

ასეთ პირობებში სამხედრო დარგის სახსნელად სარბიელზე გამოდის მხედართა ახალი თაობა და მათი ორგანო „მხედარი". აი ასეთია მოკლედ ამ ორგანიზაციის წარმოშობის ისტორია. მათ კარგად ჰქონდათ შესწავლილი პირობებიც და საქმის საშველი მალამოც.



ჟურნალი „მხედარი", №1, პარიზი, 1929 (იევგე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია, თბილისი).



ჟურნალი „მხედარი", №17, პარიზი, 1934 (იევგე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია, თბილისი).


საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში მხედართა ამ თაობას არ გაძნელებია ქართველი მხედრის მოვალეობის პოვნა.[1] **თუ არსად სჩანდა ქართული მხედრული საკითხის მომლელი, მათ უნდა ეკისრათ ეს, და კიდეც იკისრეს. ოღონდ შვიდი წლის განმავლობაში მაინც ეცადენ პირობათა გაჯანსაღებასა და მხედრულ საქმიანობათათვის ნორმალური კალაპოტის აღდგენას, ოღონდ არამც თუ ამ მხრივ არაფერი შეიცვალა, არამედ ის დაბრკოლებები, რომელთაც წააწყდა ამავე საკითხზე ჩვენი მხედრობის უფროსი თაობა, სხვა სახით და ფორმით გადაგვეცა ჩვენც.**


მხედრულ მეცნიერებაში დიდი მნიშვნელობა ექცევა მოპირდაპირის თვისებათა შესწავლას; თუ სწორედ შეაფასე და განსჭვრიტე მისი მიზნები, საფრთხე აცილებულია; ეს თეზა ჩვენს პირობებშიაც გამოსადეგი შეიქმნა. ჩვენთვის, მხედართათვის მიზნებია სარჩულად მოქმედებათა და არა სიძნელენი მათ მიღწევისას.

სამხედრო საკითხი – ეროვნული საკითხია.

საუკუნოდ დაგვშორდა ის ხანა, როდესაც ამ ვალდებულებას ერის ერთი რომელიმე კასტა ასრულებდა. დღეს თავდაცვა მთელი ერის ფიზიკურ და მატერიალურ შესაძლებლობათა მონაწილეობას მოითხოვს ომის დროს ამ მხრივ კი ერის მთელ შესაძლებლობათა მობილიზაცია ხდება და ვაი იმ ერს, რომელსაც საამისო ორგანიზაციული შნო დააკლდა; განკითხვის დღეს დამსახურებულ სასჯელს ვერ ასცდება, ომი თხოულობს მებრძოლებს, რაც მეტს გაიღებს ამ მხრივ ქვეყანა, მით მეტია შანსები მისი გამარჯვებისა. ომს სჭირია იარაღი და სამხედრო მრეწველობა; რამდენად მეტად არის ამ მხრივ დაყრდნობილი საკუთარ შესაძლებლობაზე, მით მეტია მისი წონა როგორც მეომარი პარტნიორისა. ომს სჭირია სურსათი; რაც მეტია შემძლეობა ამ მხრივ, მით მეტია გამძლეობა მისი ბედის ცვალებადობისა და ომის გახანგრძლივებისა. ომს სჭირია მისვლა-მოსვლათა საშუალებების ნაყოფიერი და შეწყობილი მუშაობა; ომს ჰყავს დაჭრილები მოსავლელად. მტერი არ დაინდობს იერიშებისაგან ზურგსაც; ხალხი ამასაც მზად უნდა დახვდეს შესაფერი სარდაფებითა და მოწყობილობებით. ომთან დაკავშირებულია დიდი და პატარა, ვინც საქმით

[1] რასაკვირველია, ძველი მხედრობის წარმომადგენელთა რჩეული ნაწილის ხელმძღვანელობით – სიმართლე მოითხოვს, ეს აღინიშნოს *(ავტორი)*.





ჟურნალი „მხედარი", №20, პარიზი, 1936 (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია. თბილისი).

ჟურნალი „მხედარი", №21, პარიზი, 1937 (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია, თბილისი).

არა პირიდან გამოღებული ლუკმით მაინც. არ არის დღეს დარგი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც ზუსტად არ იყოს ომთან გადაჯაჭვული.

ომი ვერ ითმენს სამხედრო დარგში ვერავითარ ვინრო მოკალათებულობას, ვერც პარტიულს, ვერც ჯგუფურს და ვერც სხვას. ომის მოგება ან წაგება მთელი ერის საუკუნოებრივ ვითარების გადაწყვეტაა. ეს მტკიცება საერთოა დიდისა თუ პატარა ერისათვის, მით უმეტეს ამ უკანასკნელისათვის. ერთ მხედრულ დარაზმულობით ძლიერი ერი, მთლიანი, პატარაც რომ იყოს, ადვილად გადაიტანს ყოველგვარ ქარცეცხლს და მოკავშირეებსაც ასევე მოსძებნის, ვიდრე თუნდაც რიცხვით დიდი, მაგრამ დაშლილი და მოუწყობელი ორგანიზმები.

საკითხის ამგვარი გაგება რას აკისრებს ჩვენს მხედრებსა, საზოგადოებას და პოლიტიკურ დაჯგუფებებს ერთმანეთთან დამოკიდებულებაში?

მხედრობა ხომ ის ნაწილია საზოგადოების, რომელიც უშუალოდ გულით და სისხლით გადიტანს შედეგს ერის მხედრულ დარაზმულობისას, მხედრობა ხომ ქარიშხალს მიშვერილი ყლორტია ხის, რომლის ძალა ეროვნულ ფესვების ფიზიკურ და მატერიალურ კვებისაგან გამომდინარეობს. აბა ხეს მოაცილეთ ფესვები ან ხე გასცარცვეთ ყლორტთაგან – იხეირებს ღა ხე? ასეა ერსა და ჯარს შორისაც და განა შეიძლება ხალხსა და ჯარს შორის ოდესღაც ხიდი ჩაიმტვრეს და კავშირი გასწყდეს? ასეა ყველა ერში, რომელთაც თავისი ინტერესი ესმით და ასევე უნდა იყოს საქართველოს მიმართაც. ერი საკუთარი ინტერესის შეგნებით, თვითონვე უნდა სცდილობდეს ჯარის ვარგისობის მწვერვალამდე აყვანას, დღისით და ღამით მის სიმაღლის ანევასა და მასზე ზრუნვაში უნდა ატარებდეს. მხედრობას ერის განსაცდელისას სიცოცხლე მიაქვს სამსხვერპლოზე მისთვის უბედურების ასაცილებლად – სხვა არაფერი, შედეგი ერისაა, ავიც და კარგიც. აი, ეს არის ერის მიერ ინტერესების საღად გაგება და ასეთ გაგებიდან უნდა გამომდინარეობდეს მხედრების და დანარჩენ საზოგადოების ურთიერთობა. ეს ჩვენს სინამდვილეში შეჰქმნის იმავე პირობებს ნაყოფიერი მოქმედებისა, რომელსაც სახელმწიფოებში, ნორმალურად სდარაჯობენ საამისო კანონები და ხელისუფლება.

არის თუ არა საამისო პირობები აქ, ემიგრაციაში? ემიგრაცია ზოგიერთი საეჭვო ზრახვების პირის თქმით, საქართველოს ბედ-იღბალისათვის უმნიშვნელო რამეა. „ემიგრაცია საქართველოს ვერ იხსნი-

ლექსიკონის ამონაწერი

მეორე ნაწილი

ალიდადა	
ამბრაზურა	პერეტსაზომი, მიზნარი
არმატურნი სპისოკ	დოლაბი
არსენალ	ნივთეულობის სია
აეროპლან	ჯაბახანა, არსენალი
აეროსტატ	ჰაერმფრინავი. თვითმფრინავი
ბაზა	ჰაერმცურაეი
ბალისტიკა	ფუძედი ?
ბანნიკ	ბალისტიკა
ბაშნია	სარქხი, გამომგდები (საარტილერიო ეაზნებისა)
ბეზსროჩნი	კოშკი
ბინტ	უეადო
ბიპლან	სახეევი
ბლოკადა	ორფრანი, ბიპლანი
ბოევაია ლიჩინკა	ბლოკადა
ბოევაია პრუჟინა	თასა
ბოევოი ეზვოდ	ნემსკავი (თოფის საკეტში)
ბოევოი კომპლექტ	მაღალ ფეხზედ დაყენება
ბოევაია ოს	საომარი თახუმი
ბოევოი პატრონ	საომარი ღერძი
ბოეკ	საომარი ეაზნა
	ნემსწვეტა; სარტყმელა (თოფის საკეტის ნემსის დაბოლოებება)
ბოკოვოი უროვენ	გეერდის თარაზო
ბოკოვოე დეიქენიე	გვერდული მოძრაობა
ბოლტ	ჭანჭიკი
ბომბომიოტ	ფილთამეხი
ბორტ	?
ბრეზენტ	უშამბა
ბრონია	ჯავშანი
ბუსსოლ	ჭერტყიბლანი
ვაგა	საწეეკეტი
ვაგონ	ეაგონი, რონოდა

ლექსიკონის ამონაწერი, ჟურნალი „მნათობარი", №17, პარიზი, 1934 (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია, თბილისი).

სო“, ამბობენ ისინი და ამ საკითხზე შემდეგ ლაპარაკს საჭიროდ აღარ სცნობენ. ჯერ ერთი, ჩვენ საბუთები გვაქვს მთელი რიგი ქართულ ემიგრანტულ პრესის და მის ირგვლივ დაჯგუფებულ ხალხის მხრივ, რომ ქართველი ემიგრაცია მხედრული საკითხის ეროვნული ფარგლებით გაგებისათვის, სრულიადაც დაკარგული არ არის და მეორე, საკითხი იმაში არ მდებარეობს, რომ ემიგრაცია უშუალო ხსნას მოუტანს საქართველოს; საჭიროა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ხელის შემწყობ პირობების შექმნა და ამ მხრივ, მხედრულ დარგში, ემიგრაციას ფართო ასპარეზი აქვს სამომავლოდ; არსებობენ მრავალი სიმპტომები, რომ სამხედრო მუშაობის წარმოების საჭიროება მოაზროვნე ემიგრანტულ წრეებში ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატიურად ფეხს იკიდებს. ეს გარემოება გვაიმედებს, რომ მუშაობის თეორიულ სფეროდან პრაქტიკულზე გადასვლას დაბრკოლებები არ უნდა აღემართონ.

ქართველ ემიგრანტს არა ერთი უცხო სახელმწიფო შესცქერის; საქართველოს ვარგისობა უვარგისობაზე აზრის გამოტანა მისთვის ბევრად უფრო ადვილია ემიგრანტთა წრეების დაკვირვებით, ვიდრე ბოლშევიკურ საქართველოს პირში ბურთჩაჩრილ ქართველთა დაკვირვებით. შემდეგ ყოველი ქართველი ყოველ დღე თავისი სინიდისის წინაშე ანგარიშს უნდა აგებდეს ქართულ საჭიროებათა ყოველმხრივი გაგების და ამათთვის საკუთარ საქციელის შეფარდების მხრივ. უცხოელთა თვალი და საკუთარი სინიდისი – ეს ორი მოვლენაა, ჩვენ საქმიანობას რომ უნდა სდარაჯობდენ.

ჩვენ, მხედრები ემიგრაციაში ჩვენს მხედრულ მოვალეობებს ვდარაჯობთ და აქ კი, სხვა საქმეთა შორის, დიდათ მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ქართულ ემიგრანტობის მხედრულ საკითხთათვის მოპოება იმ დებულებათა მიხედვით, რომლებიც ზევით მოვიყვანეთ და რომლისთვისაც სათანადო მუშაობას კარგა ხანია გულის-ყურით ვეკიდებით, რას მოველით მხედრულ საკითხებისადმი ქართველი საზოგადოებისაგან? ამ მხრივ ჩვენს საქმიანობას ხელს უშლის მეტად ქართულ საზოგადოების პოლიტიკური დაქსაქსვა. მაგრამ თუ კი დღევანდლამდე ქართულ საზოგადოების პოლიტიკური, თუნდაც ნანილობრივი შეერთება არამც თუ ვერ მოხერხდა, არამედ პოლიტიკურ ჯგუფთა რიცხვი სისტემატიურად მატულობს. საჭიროა მივახწიოთ ერთ აუცილებელ მინიმუმს – პოლიტიკურ ჯგუფთა ერთიან მიდგომას სამხედრო საკითხებისადმი, რადგანაც მხოლოდ ასეთ მიდგომით შესაძლებელ იქნება სამხედრო მუშაობის პრაქტიკულ დონეზე დაყენება.

საჭიროა აგრეთვე, რომ საზოგადოებამ შეიგნოს, რომ საქმის ასეთი დაყენება სჭირია არა მხედრობას და არა თვით ემიგრანტულ საზოგადოებას, არამედ საქართველოს.

ჩვენი მეტად მძიმე მდგომარეობა მოითხოვს ფიზიკურ კონცენტრაციას, საჭიროა აგრეთვე შეგნება, რომ თუ საზოგადოების ამ საქმეს არა კისრულობენ საამისოდ მოწოდებულნი, საქმე უნდა იკისროს თვით საზოგადოებამ.

ყოველგვარი უებარი მალამოც კი ჩვენი ერის განკურნებისათვის, თუნდაც ძლიერი ჯგუფის მიერ მოწოდებული, უსარგებლოდ იქცევა, თუ რომ ერს არსებობის დასაცავად ძლიერი ჯარი არ გააჩნია; რომ ეს ცხოვრებამ უკვე გვაჩვენა, მკითხველს მაგალითი მივეცი ამ წერილის თავშივე.

განა კულტურულ ერებს არა ჰყავთ სხვა და სხვა პოლიტიკური დაჯგუფებანი, რომელთაც ერის და საზოგადოების უფლებრივ და ქონებრივ წარმატების გზები – განსხვავებულად ესმით და ხშირად მწვავედაც კამათობენ ამის ირგვლივ; ოღონდ სდგება თუ არა საკითხი სახელმწიფოს თავდაცვისა, ჯართა ვარგისობის აწევისა, სამხედრო ბიუჯეტისა, ერთმანეთს ეცილებიან უკეთესი გამოსავალის ძიებაში და სამხედრო საჭიროებათა გულისყურით მოპყრობაში...

ვიმეორებთ, რომ საქართველოს აღდგენის ინტერესებს და საამისოდ ხელშემწყობ პირობათა შექმნას ენინააღმდეგება ფაქტი რიცხოვან პოლიტიკურ ჯგუფთა არსებობისა, მაგრამ ეს მოვლენაც ბოლოს და ბოლოს ასატანი და მისაღები გახდება, თუ კი სხვა და სხვა ჯგუფები სამხედრო დარგს ეროვნული და სახელმწიფოებრივი საზომით მიუდგებიან. ჩვენ ვერ დავდგებით პოლიტიკურ ჯგუფთა შორის მედიატორის როლში. ამის სურვილი არა გვაქვს, ოღონდ სამხედრო საკითხთა გაგებაში თანაბარი საზომის მიღების და ამ დარგში ეროვნულ შესაძლებლობათა გაერთიანების მხრივ, ჩვენ დაბრკოლებას ვერა ვხედავთ და ეს არის ჩვენი მოქმედების ერთ მნიშვნელოვან მიზანთაგანი. ემიგრანტული პრესის უმრავლესობაში და ქართულ საზოგადოებაში, საბედნიეროდ, ჩვენ დღითი დღე ვხედავთ მეტ მაგალითებს სამხედრო საკითხთან ამავე საზომით მიდგომისა.

ცხადია, გამონვეულია ეს არა მხოლოდ ჩვენს სურვილსა და მუშაობისაგან, არამედ და უფრო მეტად ქართველთ მიერ თავის ათას ნლიან ეროვნული სახელმწიფოებრივი ტრადიციების შეგნებიდან; ეს უდიდესი საჭიროებაა დღევანდელი სახელმწიფოსი და ამის შეგნება შეუძლებელია დაჰკლებოდა იმ ეროვნების შვილს, რომელსაც ამდენი ხანი უარსებია. ეს სამარცხვინო იქნებოდა

იმ ერთა წინაშე მაინც, რომელთაც ამ მხრივ სრულ გაგებისათვის მიულწევიათ, ცხოვრების სარბიელზე სულ მოკლე ხანში გამოსვლის მიუხედავადაც.

ვთავაზობთ რა ამ საკითხზე, გვინდა, იმედი გამოვსთქვათ, რომ სამხედრო საკითხისადმი სწორი მიდგომის სხივი, რომელიც დღეს მთელს ემიგრანტობაში მცირედის გამოკლებით არსებობს, კოწიწად გადიქცევა ქართულ შემძლეობათა ფიზიკურ გაერთიანებისათვის; ამას კი, როგორც ითქვა, პრაქტიკულიც და ეფექტიური მნიშვნელობაც აქვს ჩვენსა და სხვათათვისაც.

საქართველო იყო, მხედრულ გაერთიანების ხანაში დარაჯად რომ ედგა საკუთარ და მთელი კავკასიის და ახლო მდებარე ერთა მშვიდობიან განვითარებას. ემიგრანტობის მე-16 წელმა საამისო პრაქტიკულ შედეგებთან უნდა მიგვიყვანოს, შემდეგი საქმიანობის ნაყოფიერი ნარმოებისათვის.

„მხედრის“ შინაარსი ყველა ზემო მოყვანილ დებულებებთან სრულ თანხმობაშია და დამნახავი ხედავს, თუ ამის გამო ქართული საზოგადოების მოთხოვნილებას იგი რანაირად აკმაყოფილებს.

უმთავრესი საფეხური, რომლის წყარო ის ნრეებია, რომელთ სამხედრო დარგში, ნაცვლად ხელმძღვანელობით როლის გაწევისა, უყურადღებობა დაგვანახეს, იყო: ჩვენ მიერ ჩვენს ჟურნალში სამ-წლიანი არსებობის სამხედრო საკითხთა შეხება. არც ერთი საბუთი ამ მტკიცების დასადასტურებლად მათ მიერ მოყვანილი, მისაღები ვერ იქმნა; პირიქით, ყოველი ამგვარი რამ ვერავითარ ლოღიკას ვერ უძლებს და პირველ შეხებისასვე ბურთივით ჰქრება. მათი თქმით, თურმე წარსული შეცდომები ყველასათვის ცნობილი ყოფილა და მათი მეხსიერებაში განახლება უალაგო ალიაქოთს ჰქმნის? როდის და ვისთვის ყოფილა წარსული შეცდომები ნაცნობი? ვინ გამოიყვანა ამ შეცდომებიდან პრაქტიკული დასკვნები? სად არის ამის შედეგები? როდის იყო, რომ სახელმწიფოებრივი მაშტაბიდან *შეეწყო*[1] ხელი ამ დარგს და ვიწრო ზრახვებს მოშორებით ერთი ნაბიჯიც რომ გადიდგა? საქმეც აქ არის, რომ ეს, არც საქართველოში, არც აქ, ემიგრაციაში, უცხოეთში 15 წლის თავამდის არ გაკეთდა და ამისათვის ისე რომ, არსებულ პირობების გასაჯანსაღებლად, წარსული შეცდომების შესწავლა გვჭიროდა. რა ირკვევა, თუნდაც 1921 წლის ომის გარჩევიდან? რომ ომი და სახელმწიფო წაგებულ იქნა სამხედრო დარგის აბუჩად აგდების და მოუწყობლობის გამო და რომ მაშ, დროა სამხედრო დარგს სათანადო ყურადღება მიექცეს და ამ მტკიცების ყველა ქართველის მიერ უპოლემიკო აღიარება მოხდეს! აღიარება და თანხმობა თავის დაქნევასა და დაყაბულებაში კი არა მდგომარეობს, არამედ ამ თანხმობიდან გამომდინარე საქმიანობაში.

სჩანს წინაუკმო ზრახვებია სწორედ ამ საქმიანობისადმი, რომ უკვე ამუშავებულთ, პირში ბურთის ჩაჩრის სურვილით გვხვდებიან. დროა ქართველ საზოგადოებამ ვისიმე დაუხმარებლივ თვითონ ჩაიხედოს მხედრული საკითხის ვითარებაში და მონახოს ამ მხრივ სიმართლე და საბუთიც ჩვენ მიერ აღებული გზის და მეთოდების დასადასტურებლად, დროა მონახოს აგრეთვე საკუთარ თავში გამბედაობაც სიმართლის მხარეზე დასადგომად.

ზოგიერთების თქმით, ძველზე ლაპარაკი ხალხის შეცდომების და ნაკლის გამოსარკვევად – ეს ერის, ისედაც მძიმე პირობებში მყოფ, იარების გადაღარჯველას უდრის. გარეგნულად ვითომც ლოღიკური, ეს აზრიც პირველების კვერს აცხობს; რადგან სიჩუმე უმოქმედობაა და უმოქმედობას არავის სმენია, როდისმე რამე საქმე წაენიოს. ბოლოს ნუ თუ უმჯობესია, რომ დღევანდელ ქართულ მხედრულ ნაკლებსა და საჭიროებებზე ისტორიული მეთოდის მაგიერ სხვა მეთოდი მოვნახოთ; როდესაც გული და გრძნობა შეალახულია, ძნელი სათქმელია, სად მივიდოდით იმ შემთხვევაში და იქნებოდა თუ არა ეს ახალი საშუალება უფრო ლმობიერი? ამისთვის არის, რომ არსებული გზიდან ჩვენი გადაყვანის სურვილები უშედეგოდ რჩება და დარჩება, ვიდრე ქართულ მხედრულ საკითხს მტკიცედ და საბოლოოდ არ გავამარჯვებინებთ ყველა იმათ გულში, ვინც საქართველოსთვის ჯერ საბოლოოდ არ დაკარგულა.

ქართველი საზოგადოების მხრივ კი გვრწამს, ემიგრანტობის მე-16 წელში, ჩვენსა და სხვათა მიერ საგრძნობლად მომზადებულ ნიადაგზე გადაიდგმება პრაქტიკული ნაბიჯები მხედრულ საკითხში მთელი ქართველი საზოგადოების გაერთიანებისა და ამით პრაქტიკულ და ეფექტიურ შედეგების გასამრავლებლად.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ უნაყოფოდ შეეცდება ვინმე ყველა ზემო ნათქვამის ირგვლივ კამათი გაგვიმართოს! საკამათო აქ ჩვენთვის არაფერია, კამათის მსურველთა ზრახვანი ჩვენთვის ნათელია და ასეთებს კი ანგარიში არ გაეწევა.

[1936]

[1] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ტექსტში გამოტოვებულია *(ლ. ც.)*.

თარგმანი

პოლკ. ვალერიან თევზაძე

განვლილი გზა

სიცოცხლის მე-70-ე წელს გადავცდი და სულ მოგონებებით ღა ვცოცხლობ. ეს სიბერის დამახასიათებელი თვისებაა. სიამოვნებით ვუბრუნდები განვლილ გზას. კიდევაც მშობლიურ ოჯახის სიტკბოებას. დედის სიყვარულსა და მის გამუდმებულ ზრუნვას, მან ხომ თავისი ახალგაზრდობა და მთელი სიცოცხლე ჩვენ აღზრდას შეალია. მაგონდებიან მეგობრები და ამხანაგები, გულწრფელი და გულითადი დამოკიდებულება მათთან, ჩვენი აღმზრდელები და მასწავლებლები, მათი ზრუნვა ჩვენზედ. დღეს, როდესაც ცხოვრებაში ახალი განცდა აღარ მომელის წარსულის მოგონებებით ვტკბები.

ბევრი ვიფიქრე ღირს თუ არა მოგონებათა დაწერა. მივედი დასკვნამდის, რომ ღირს, რადგან ჩემი ცხოვრების გზაზე ბევრი მინახია, განმიცდია და შევხებივარ ისეთ ღირსშესანიშნავ მოვლენებს, რომლებიც ინტერესს მოკლებული არ არიან. ბოლოს, იქნება ოდესმე ვინმე ჩემ ნათესავთაგან დაინტერესდეს თუ რამ გამოიწვია, რომ ერთი იმათი წევრთაგანი მოსწყდა სამშობლოს, მეგობრებს და ნახევარი საუკუნეა აღარ ბრუნდება სახლში.

27 წლისამ დავტოვე სამშობლო, მახლობლები და მოვხვდი უცხოეთში. ვფიქრობდი განშორება მოკლე იქნება და ისევ მალე დავბრუნდები მეთქი სამშობლოში, სინამდვილეში კი უცხოეთში ყოფნა გახანგრძლივდა. ველარ დავუბრუნდი საყვარელ სამშობლოს, ოჯახს, მეგობრებს და მიწერია უცხოეთში სიკვდილი და დასამარება ჩემ წინაპართა საფლავებიდან შორს.

უცხოეთში ყოფნისას სიმართლეს პოლიტიკურ პროგრამებში კი არა, გულის სიღრმეში დაეეძებდი. ჩემი შეგრძნებით ვემსახურებოდი სამშობლოს ისე, როგორც ოჯახისა და აღმზრდელთა ზედგავლენა მითითებდა. ბავშობიდანვე ამაყი, თავისუფლების მოყვარული და დამოუკიდებელი ხასიათის ვიყავი. არაფერი არა მაქვს სანანელი ჩემი ცხოვრების გრძელ გზაზე. ცოტას თუ მოსძებნით, რო ჩემოდენა მართლაც ძვირფასი და გულითადი ამხანაგები და მეგობრები ჰყოლოდა.

ბედათ მეწერა, რომ ორჯერ ჩამოვშორდი მათ ჩემი ცხოვრების გზაზე. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისშივე ცხადი გახდა მეფის რუსეთის ნამდვილი სახე. ყველასათვის ცხადი იყო, რომ რუსეთის საფუძვლები ირყეოდა ღალატისა და ბოროტმოქმედებათა ქსელში.

გერმანელებმა ომის დასაწყისშივე დაამარცხეს სიმსონოვის[1] არმია. გენ. რენენკამფის[2] არმიამ კი უბრძოლველათ თავს უშველა აღმოსავლეთისკენ დახევით. ფართო წრეებში გენ. რენენკამფს მოღალატეთ მიიჩნევდნენ. სამხედრო სამსახურიდან გადააყენეს, სასამართლოში კი არ გადაუციათ. ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ მოხელეთა უმრავლესობა სასახლის კარზე მოსყიდულები იყვნენ და გერმანელთა სასარგებლო საქმიანობას ეწეოდნენ. ამით ხსნიდნენ, რომ დასაწყისშივე ჯარი აღმოჩნდა ტეხნიკურ მონყობილობასა და მომარაგებას მოკლებული, და როგორც ასეთი ბრძოლისთვის გამოუსადეგარი. სახელმწიფოს მმართველობის აპარატის გახრწნილება უმაღლეს დონეს აღწევდა. ფაკტიურათ უდიდესი სახელმწიფოს საქმეებს განაგებდა გაუნათლებელი ლოთი, მექრთამე და გახრწნილი – რასპუტინი. მას დიდი გავლენა ჰქონდა დედოფალზე და მისი საშუალებით მეფეზე. ის ჰნიშნავდა მინისტრებს, დიდ ერთეულთა უფროსებს და

[1] იგულისხმება ალექსანდრე სამსონოვი *(ლ. ც.)*.
[2] იგულისხმება პავლე რენენკამფი *(ლ. ც.)*.

ეს შეზღუდული, უნიჭო და ლოთი პირბნელა, თავის ნებისამებრ ატრიალებდა რუსეთის საქმეებს.

1916 წლის დეკემბერში თვით მეფის ოჯახის წევრებმა ვერ შეიგუეს ასეთი ვითარება, რასპუტინი შეწოიტყუეს თავად იუსუპოვის სასახლეში საქეიფოთ და იქ მეფის ძმისწულის, დიდი მთავრის დიმიტრი პავლეს ძისა[1] და ცნობილი და გავლენიანი მონარხისტის პურიშკევიჩის თანდასწრებით, სიცოცხლეს გამოასალმეს.

ცნობა ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ სამეფოში და სამეფოს დაცემა დააჩქარა. არსებული რეჟიმის ერთგულნი რუსები არ აღმოჩდნენ. არც სამხედრო წრეებში, და არც საზოგადოებაში. მეფის რეჟიმის ბედი გადაწყვეტილი იყო. ყველანი აღელვებით რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენების მოლოდინმა შეიპყრო და ეს მართლაც მოხდა 1917 წლის რევოლუციის სახით.

ამ დროს განსაკუთრებით კატასტროფიული მდგომარეობა იყო სურსათის მომარაგების მხრივ. მათ შევსებასა და დამზადებაზე არავინ ზრუნავდა. ჯარში გაწვეული იყო უამრავი ასაკის ბრძოლის უნარიანი მოსახლეობა. დიდ ქალაქებში ამათ თოფების ნაკლებობის გამო ჯოხებით ამეცადინებდნენ. სოფელი კი დაცარიელებული იყო მუშა ხელიდან. ომში წასელა არავის ეხალისებოდა, იქ მხოლოთ ღალატს ხედავნენ. ყველა მოიწევდა სახლისაკენ. ეს ვითარება დიდათ ხელშემწყობი იყო რევოლუციონურ პარტიებისათვის, მათი სახით ჰყავდათ მათ ერთგული და გამგონი მოკავშირენი. ასეთ ვითარებაში, როდესაც თბერვალსა და მარტში მუშებმა მოსკოვსა და პეტროგრადში გაფიცვები დაიწყეს, სამხედრო ნაწილები მიემხრნენ მათ. არ იყო ძალა, რომელსაც შესძლებიყო ზედგავლენის მოხდენა და ბრძანებათა შესრულების დისციპლინის აღდგენა. მალე გაფიცვები რუსეთის ყველა დიდ ქალაქს მოედო. მათ ადგილობრივი სამხედრო ერთეულები მიემხრნენ. და ასე დაიწყო რევოლიუცია მთელ რუსეთში.



ვალერიან თევზაძე, ვარშავა, 1937 (იაკინე ჯაკობიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, **გურამ შარაძის** კერძო კოლექცია, თბილისი).

მოგონებები დავიწყე 1917 წლიდან, რადგან რევოლიუციის შედეგათ მოხდა დიდ მნიშვნელოვანი ცვლილებები არა მხოლოდ ყოფილ რუსეთის იმპერიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ეს ხანა მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვისაც, რადგან დაისახა შესაძლებლობანი მისი განთავისუფლებისა 100 წელზე მეტი მონობისაგან.

თუ შევძელი და თუ ვიცოცხლე, ვეცდები მოგონებანი 1971 წლამდის მივიყვანო. განსაკუთრებით ჩემი ახალგაზრდობის ხანიდან, ჩვენი იმ დროინდელი ლტოლვილობიდან, თუ როგორც იკვესებოდა ჩემი პიროვნება და ხასიათი. დეე ეხლანდელმა ახალგაზრდობამ შეძლოს შეადაროს ჩვენი დროისა და დღევანდელი საზოგადოების სულისკვეთება.

1917 წელს, როგორც ყოველი ოფიცერი რუსეთის ჯარისა, ვმსახურობდი კავკასიის მსროლელთა მე-8 პოლკში და ვიმყოფებოდი ოსმალეთის ფრონტზე ზღვის პირა ხეობაში ბეთლეემის ზღვის ჩრდილოეთით (მოსულის მიმართულებით).

პოლკს ეკავა პოზიციები ეანის ტბის სამხრეთ დასავლეთით მარკურდვის მთის ფერხთით. 1917 წლის ქრისტეშობის თვეში მივიღე შვებულება და გავემგზავრე სახლში. 10 იანვარს შვებულება მითავდებოდა და ამ დროისთვის უნდა დავბრუნებულიყავი ფრონტზე. შვებულებას წელიწადში ერთხელ ვღებულობდით, რიგის სასტიკი დაცვით, მხოლოთ შვებულებაში მყოფთა დაბრუნების შემდეგ. ჩემთან ერთათ შვებულებაზე მიდიოდა კიდევ 4 ოფიცერი, მათ შორის პოლკის უფროსი შტაბის პოლკოვნიკი ვასილჩენკო.

რაკი სამგზავრო საშუალებები არ იყო მატარებლამდის, ეტაპიდან ეტაპამდის ცხენდაცხენ მოგვიხდა მგზავრობა. მერე დიდი ვაი ვაგლახით შეიძლებოდა მატარებლით მგზავრობა. თბილის-

[1] იგულისხმება დიმიტრი პავლეს ძე რომანოვი *(ლ. ც.)*.

ში ერთმანეთს დავშორდით და ერთათ დასაბრუნებლათ შეხვედრის დრო დავნიშნეთ თბილისის სადგურზე (პირველი კლასის დასაცდელ ოთახში).

შვებულებაში ნამოსვლამდის წერილი მივნერე ბიძა ჩემს ელისეს, რომელიც როგორც ექიმი ტრაპეზუნდის ფრონტზე იმყოფებოდა დივიზიაში, რომელსაც გენერალ დოგბურ მუშნიცკი[1] განაგებდა. წერილში ვთხოვდი იმასაც აეღო შვებულება და სახლში ერთმანეთს შევხვედროდით. ბიძამ თხოვნა ამისრულა. ოჯახში და მეგობრებთან გატარებულ დროის შემდეგ დათქმულ ვადის ორი დღით ადრე დავბრუნდით თბილისში, გვინდოდა ეს ორი დღე გასართობათ და დროს გასატარებლათ გამოგვეყენებინა. გავჩერდით სასტუმრო „ნოე"-ში მიხაილოვის პროსპექტზე. თბილისში ჩასვლის მეორე დღეს სასტუმროს სასადილოში შევხვდი ჩვენი პოლკის ოფიცერს, რომელიც ეტაპის უფროსი იყო ჩვენკენ მიმავალ გზაზე. აქ უნდა განემარტა, როგორ უნდა მიგვეღწია პოლკამდის. მატარებლით ეჩმიაძინში უნდა ჩავსულიყავით (რკინის გზის სადგური ერევნის მახლობლათ). აქედან ცხენებით ქალაქ იგდირამდის მდინარე არაქსის გადასვლით. შემდეგ ფურგონით ან „პოყოზკით"[2] ეტაპიდან ეტაპამდის, იგდირიდან გზით არარატის გვერდით ულელტეხილით, ალაშკერის ხეობაში ჩავდიოდით, იმ ადგილას, სადაც სათავე აქვს ეფრატს. ადგილის გადანაცვლება ხდებოდა ეგრეთ წოდებულ ეტაპიდან ეტაპამდის, სადაც განლაგებულ იყო კარვები ან ფიცრულები. აქ ფრონტიდან და ფრონტისკენ მიმავალი მგზავრები ეჩერდებოდით დასასვენებლათ, სანოვაგის და შემდეგ სამგზავრო საშუალებების მისაღებათ. სწორეთ ერთ ერთ ამნაირ მონყობილობის უფროსი იყო ეს ჩემი ნაცნობი, თბილისის სასტუმროში რომ შემხვდა.

მისი გვარი დღეს ვერ მომიგონებია. ის კი მახსოვს, რომ დიდათ ინტელიგენტი და განათლებული იყო, წარმოშობით მოსკოველი. რაკი სუფრას მარტოკა უჯდა, მოვიწვიე ჩვენ მაგიდაზე. აქ მან გვიამბო, რომ მოემგზავრება მოსკოვიდან და ბევრი საინტერესო ცნობები აქვს იქიდან. რაკი თბილისიდან ჩვენს შემდეგ, ერთი დღით გვიან, აპირებდა გამგზავრებას, გადაეწყვიტე ჩვენებს ჩამოვრჩენოდი და მასთან ერთათ მემგზავრა. მინდოდა დაწვრილებით გამეგო, რა ხდებოდა მაშინ მოსკოვსა და რუსეთში. ხდებოდა კი ბევრი რამ საყურადღებო. არნახული არეე დარეეა სისწრაფით ვრცელდებოდა და თვით რუსეთის ყოფასა და ბედს ემუქრებოდა.

რუსეთის ჯარი ყველგან მარცხდებოდა. უნუგეშო მდგომარეობა იყო სურსათისა და სამხედრო მარაგის ნაკლებობის გამო. ფართოთ იყო იმ დროს გავრცელებული აზრი, რომ ყველაფერი ეს კატასტროფით დამთავრდება და მეფის დინასტიის ბოლოს მოასწავებს. გერმანელ შპიონთა[3] თარეშობა ყველასთვის ცნობილი იყო. მართალია ოფიცრობა მეფის ერთგულობას ინარჩუნებდა, მაგრამ 1915 წლიდან მოყოლებული მათ წრეებშიაც შეიმჩნეოდა მეფისადმი უკმაყოფილობა და უპატივცემულობა.

1916 წლის სექტემბერში, იუსუპოვის სასახლეში მოკლეს რასპუტინი; მკელელებთა რიცხვში იყვნენ: ცნობილი მონარქისტი პურიშკევიჩი, მეფის ძმისწული დიდი მთავარი დიმიტრი პავლეს ძე. ცნობა ამის შესახებ მთელ რუსეთს მოედო, საზოგადოების ყველა წარმომადგენლებს, ჯარს.

დანიშნულ დროზედ თბილისის სადგურზე მივედი. იქ ჩემი ამხანაგი ოფიცრები მიცდიდნენ, პოლკის უფროსთან ერთათ. განვუცხადე მას, რომ მათთან ერთათ არა ებრუნდები და თბილისიდან გამოვალ მეორე დღეს. პოლკის უფროსი გაჯავრდა, დამემუქრა, რომ ასეულის უფროსობას ჩამომართმევდა და პირი იბრუნა ჩემგან. აქ უნდა აღვნიშნო, რომ პოლკის უფროსი გენ. შტაბ დამთავრებული უკრაინელი ვასილჩენკო იყო, მონარქიის ერთგული და არა რუსთა დიდი მოძულე. დავემშვიდობე მხოლოთ მეგობრებს და წაველ სასადილოში, სადაც ჩემი ნაცნობები და ბიძა მელოდნენ. რომ ჩემი ურთიერთობა პოლკ. ვასილჩენკოსთან კარგათ ვერ აეწყობოდა ეს 1916 წელშივე ვიცოდი, ჩვენ პოლკში რომ გამოცხადდა გამოცდილების მისაღებლათ. ის ხომ შვებულებაში იყო და ჩემი გადაყენების უფლება არა ჰქონდა. ჩემთვის კი ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან გზას მიკეტავდა ხარისხის ამაღლებისკენ. ის საღამო და მეორე დღე ჩემ ბიძასთან და მოსკოველ ნაცნობთან გავატარე. მეორე დღის საღამოს გამოვემგზავრეთ თბილისიდან. ბევრი გულშემზარავი ამბავი მომიყვა თუ რა ხდება რუსეთში, რას განიცდის ხალხი, მეფის მართველობის საათები გამოთვლილიაო. მეფე იძულებული იქნება ტახტიდან გადადგეს, მაგრამ

[1] უნდა იგულისხმებოდეს გენერალი კონსტანტინე დოგბურ-მუსნიცკი *(ლ. ც.)*.
[2] ოთხთვალით *(რუს.)*.
[3] ჯაშუშთა *(რუს.)*.

ვინ შესცელის მას, მისი ძმა, თუ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე?[1] სულ მოკლე ხანში დაუჯერებელ ამბებს უნდა მოველოდოთო, დაასკვნა ბოლოს.

დავბრუნდი პოლკში. გამოვეცხადე ათასეულის უფროსს დიდათ სიმპათიურ პოლკოვნიკ ფიგუროვს. ვუამბე მას თბილისის რკინიგზის სადგურზე მომხდარი ინცინდენტი, გაიცინა და მიბრძანა ასეულის უფროსობის შესრულება! თანაც მაცნობა, რომ თბილისის სამხედრო სასწავლებლისთვის მასწავლებელი ოფიცერი მოითხოვეს და შენ დაგნიშნესო. თანაც დაართო, ალბათ სკოლის უფროსი გენ. ზეგინი (სკოლის კომენდანტი ჩემ იქ ყოფნისას) გაკეირდება, რომ ქართველი დაუნიშნეს, ეს ხომ დიდი დაფასებააო. მადლობთ დაფასებისთვის, მე იქ წამსვლელი არა ვარ და სხვა გამონახეთ მეთქი მივუგე მაშინათვე გულისწყრომით. ეს ხომ ბრძანების შეუსრულებლობააო, დამემუქრა. ვუპასუხე, რომ საჩივარს შევიტან დივიზიის უფროსთან მეთქი. დივიზიას უფროსობდა გენ. ნაზარბეკოვი, დიდათ სიმპატიური და პატივსაცემი სომეხი. ამნაირათ დავრჩი პოლკში. ჩვენი მდგომარეობა კატასტროფიული იყო. ტყვია წამალი იმდენათ გვაკლდა, რომ მტერთან შეხლისას ჯარისკაცს 5 ვაზნის გასროლის მეტის უფლება არა ჰქონდა. ტანსაცმელი ჩამოხეული ეცვათ, კეება და კერძები საძაგელი, თითქმის ყოველდღე წვნიანს აყროლებულ ღორის ქონიდან აკეთებდნენ. რაიმეს სყიდვა შეუძლებელი იყო, რადგან მთელი დაკავებული ოსმალეთის ტერიტორია გამოცარიელებული იყო მოსახლეთაგან. უმოსახლეო შენობები შეშათ იყო გამოყენებული. რამის მოხარშვა დიდი საკითხი იყო. ტყეები იქ არ იყო. ჩაისა და სადილის მოსახარშათ ჯარისკაცები წვრილმანი ჯაგების ფესვებს თხრიდნენ, გორახიან ნიადაგში. ტანის დაბანა შეუძლებელი იყო. წარმოსადგენია რას გვიშვრებოდნენ ასეთ პირობებში მკბენარები. ტერიტორია, რომელზედაც ფრონტი გადიოდა ძველათ სომხებს ეკუთვნოდათ. მოსახლეობა ოსმალების მიერ მთლათ ამოხოცილი იყო. იშვიათათ, 3 თვეში ერთხელ, სომეხ ვაჭრებს ვირებითა და ცხენებით მოჰქონდათ გასაყიდათ სხვა და სხვა საქონელი, ისეთი ცოტა რაოდენობით, რომ რამე საჭირო ნივთის თუ სურსათის შეძენა შეუძლებელი იყო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ უხვად იყო მხოლოდ კოლონის სასხური. ჯარისკაცები ყიდულობდნენ მას და სვამდნენ.

ბოლოს თებერვლის დასასრულს, მოაღწია ჩვენამდის მეფის ტახტიდან გადადგომის ცნობამ. მის მიერ დანიშნულმა მემკვიდრემ დიდმა მთავარმა მიხეილმა[2] ტახტის მიღებაზე უარი განაცხადა. დაიწყო რევოლიუცია. შეიქმნა დროებითი მთავრობა. ჩემთვის აქ მოულოდნელი არაფერი ყოფილა, ოღონდ რა მოხდებოდა შემდეგ ძნელი გასაჭვრეტი იყო. ყველა დიდ ცვლილებებს მოელოდა, მაგრამ რანაირს არავინ იცოდა. მახსოვს პოლკმა მიიღო დეპეშა მეფის გადადგომისა და მემკვიდრეთ მთავარ მიხეილის დანიშვნისა. საჭირო იყო დეპეშის ჯარისკაცებისთვის გაცნობა. იმ დღეს ჩემი ასეული დახევაში იყო და მინურებში ვიდექით. ვუბრძანე ზემდეგს ასეული შეეკრიფა ტახტიდან გადადგომის ცნობის მისაწოდებლათ. ჩემ ხელქვეით ოფიცრებთან ერთათ, დეპეშის წაკითხვის წინ ვფიქრობდით, როგორ მიგვეწოდებინა ეს ცნობა და რა გვეპასუხებია შეკითხვაზედ თუ რატომ მოხდა ეს ცვლილება. მითითებები ამის შესახებ არა გვქონია. ასეული მოაწყვეს. ნაუყითხე მათ ტელეგრამა[3] ნიკოლოზ II გადადგომის შესახებ. მემკვიდრეთ მისი ძმის მიხეილის დანიშვნისა და მის მიერ ტახტის მიღებაზე უარის თქმაზე. დეპეშის წაკითხვის შემდეგ გავეცი განკარგულება „თავისუფლათ". მეგონა ჯარისკაცებს დააინტერესებდათ ეს ცნობა და შეკითხვებით მომმართავდნენ. არავითარი ამნაირი რამ არ მომხდარა. ჯარისკაცები ოღონდ ერთმანეთს მიწურებიდან ჩამოსვლისკენ მოუნოდებდნენ „ჩანები[4] ჩაინგრევა და შესაკეთებელი მასალა სად ვიშოვნოთო?" ასეთი იყო ჯარისკაცების მიდგომა ამ სათავებედო ცნობის გაგებისას. მათი ერთი საზრუნავი იყო: თუ როგორ გაეუმჯობესებინათ ცხოვრების პირობები, რა ხდებოდა ირგვლივ მათთვის სულ ერთი იყო, ერთსა ნატრობდნენ ოღონდ: გათავებულიყო ბოლოს ეს საზიზღარი ომი, რომელსაც ყველანი განვიცდიდით მძიმე ტვირთათ. აქ განვმარტავ, რატომ ვღებულობდი გულთან ახლოს მომხდარ მოვლენებს.

კარგათ მახსოვს 1905 წლის რევოლუცია. მაშინ 12 წლისა ვიყავი. ბავშვებზე საერთოთ და ჩემზეც დიდათ მოქმედებდნენ მაშინდელი მოვლენები. იმ დროს რუსეთი იაპონიასთან აწარმოებდა ომს, მარცხს მარცხზედ ღებულობდა, რაც დიდათ ახარებდა მოსახლეობას, რომლებიც

[1] იგულისხმება ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი *(ლ. ც.)*.
[2] იგულისხმება მიხეილ ალექსანდრეს ძე რომანოვი *(ლ. ც.)*.
[3] დეპეშა *(რუს.)*.
[4] როფები *(რუს.)*.

ხელისუფლებისადმი მტრულად იყო განწყობილი. ხალხში დადიოდა სახუმარო და დამცინავი ლექსები და სიმღერები, სადაც რუსები განსაკუთრებით ძრულდათ, რევოლუცია დიდათ პოპულარული იყო. თითქმის მთელმა დასავლეთ საქართველომ ჩამოიშორა მეფის ადმინისტრაცია და სრული თავისუფლება დაამყარა. არ დამავიწყდება მიტინგი სამტრედიაში საყდრის მოედანზე, აქ ქუთაისის ოლქის გუბერნატორი, რომელიც რევოლუციას მიემხრო, ძირს უთხრიდა მეფის ხელისუფლებას. ჩემი ბიძები: მექი,[1] არკადი, დიმიტრი, ელისე და ძალუა ტასო ეკუთვნოდნენ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და აქტიურათ მონაწილეობდნენ 1905 წლის რევოლუციაში. მეც, როგორც აღგზნებული ახალგაზრდა ვცდილობდი ჩემი მეჩვენებინა. ვესწრებოდი ყველა კრებებს, რომლებიც იმ დროს თითქმის ყოველ დღე იმართებოდა და ყველგან მესმოდა, რომ დადგება ახალი ხანა თავისუფლებისა, მოისპობა შემზარავი მეფის რეჟიმი. რევოლუციის ჩაქრობის შემდეგაც აღელვება არ შემცირებულა. მე სკოლაში დავიწყე სიარული. სწავლება წესიერათ არ მიმდინარეობდა. მახსოვს, როდესაც ბათუმში ჩამოასვენეს წითელი ალმებით შემკული ოდესაში მოკლული რევოლუციონერი, ვგონებ იაშვილი, მთელი ჩვენი სასწავლებელი დაუხვდა სადგურზედ და თითქმის მთელი ქუთაისი აცილებდა მას სასაფლაომდის. ყველაფერი ეს ჩემზე დიდ ზედგავლენას ახდენდა. მრწამდა ჩემი ხალხისა, მისი მისწრაფებისა უკეთესი მომავლისაკენ, რუს სატრაპთა რეჟიმი ხომ სძულდა ყველას. ქართულათ ლაპარაკისთვის სკოლაში დევნილნი ვიყავით ადმინისტრაციისა და ზოგიერთ მასწავლებელთაგან, რომლებიც შავოსან ასეულებს ეკუთვნოდნენ (ჩორნაია სოტნია) სძულდათ და არა სცნობდნენ დამონებულ ერთა უფლებებს. საუბედუროთ თავისუფლებამ დიდხანს არ გასტანა. რევოლუციის ჩამქრობი ყაზახთა პოლკები მოესია დასავლეთ საქართველოს. სპობდნენ და ცეცხლს ანძლევდნენ ყველაფერს, რაც გზაში დახვდათ და ასე მოიწევდნენ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის – შავ ზღვამდის (ბათუმი-ფოთი). ცხადია ეს უფრო აღვივებდა ქართველთა სიძულვილს რუსებისადმი. ყველა ფიქრობდა საძულველი უღელის მოშორებასა და თავისუფლების მოპოვებაზე. ამ საერთო სულისკვეთებამ ჩემშიაც გამოიწვია პატრიოტული განწყობილება. თავისუფლების მოპოვება ჩემს სანუკვარ ლტოლვად გადაიქცა და ამიტომ როგორც რუსეთის ჯარის კაცს სრულიათ არა მწყენია რუსეთში მომხდარი არეულობა. მეფის გადადგომის ამბავი ჩავთვალე ნიშნათ მომავალი ცვლილებებისა და ჩემი სამშობლოს მიერ თავისუფლების მოპოებისა. საყურადღებო იყო ისიც, რომ მომხდარი ამბებით არც პოლკში მყოფი რუსი ოფიცრები შეწუხებულან. რასპუტინის მოკვლა მათ გაუხარდათ; სჯეროდათ, რომ მონარქიულ წყობილებას რუსეთი, კატასტროფისკენ მიჰყავს. რამდენიმე დღის შემდეგ გავიგეთ, რომ შეიქმნა დროებითი მთავრობა სახელმწიფოს მმართველობისთვის დამფუძნებელ კრების, რომელიც გადაწყვეტდა სახელმწიფოს საბოლოო სახეს. გავიგეთ ისიც, რომ მთავრობაშიც, ისევე როგორც ჯარის ნაწილებში, იქმნება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. მალე, ჩვენამდის ცნობილმა პირველმა ბრძანებამაც მოაღწია, რომლის ძალით უქმდებოდა ჯარისკაცის მიერ ოფიცრისთვის ქუჩაში სალამის მიცემა, აძლევდა მას ჩვეულებრივი მოქალაქის ყველა უფლებას, ყველა ერთეულში ეწყობოდა ჯარისკაცთა საბჭოები, ირჩევდნენ წარმომადგენლებს უმაღლესი საბჭოებისთვის.

ჯარისკაცთა საბჭოებს ენიჭებოდა ფართო უფლებები. შეეძლოთ ყოველი ოფიცრის გადაყენება, თუ კი მას ნდობის ღირსათ არა სცნობდნენ. ასეთმა ვითარებამ ბოლო მოუღო ჯარისთვის აუცილებელ საწყისს – დისციპლინას. ცხადი იყო, რომ ამ ახალ დებულებათა შემოღების შემდეგ ჯარი ომის წარმოებისთვის აღარ ივარგებდა, დაფუძნდებოდა ანარქია და ეს მაშინ, როდესაც მოპირდაპირე ჯარები პირისპირ იდგნენ და ომს აწარმოებდნენ. დასაწყისში ჯარისკაცები მოვლენათა მიმდინარეობით დაინტერესებულნი არ იყვნენ. საბჭოების წევრებს კი ყველა ერთეულში ირჩევდნენ: ირჩევდნენ მხოლოთ მოქალაქე პიროვნებებს. საერთოთ კი მოვლენათა მსვლელობაში ვერ ერკვეოდნენ. დასაწყისში ჯარის ცხოვრებაში დიდი ცვლილება არ იმჩნეოდა. თავი იჩინა დეზერტირობამ შეზღუდული ფორმით.

ჩვენ პოლკში 300-მდის ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი იყო. მე ქართულ გაზეთებს ვღებულობდი და წაკითხვის შემდეგ მათ მივცემდი ხოლმე. ამ გაზეთებიდან ბევრის ამოკითხვა არ შეიძლებოდა. არ ვიცოდი რა გზას ადგიან ჩემი მამულიშვილები. მახსოვს პოლკის ჯარისკაცთა საბჭომ პოლკის გამოცვლა და დასასვენებლათ გაგზავნა მოითხოვა, რადგან შეუცვლელათ 1915

[1] იგულისხმება მელქისედეკ რატიანი (ლ. ც.).

წლიდან ფრონტის პირველ ხაზზედ ვიმყოფებოდით, ჯარისკაცებს ჩაცმულობა აკლდათ, მრავალი მათგანი სკორბუტით[1] დაავადდა, არადამაკმაყოფილებელი კვების გამო. მოთხოვნილება დაბეჯითებითი იყო და დადებით შედეგს მიაღწია. პოლკი სხვა ერთეულით შეცვალეს და დასასვენებლათ და ძალთა აღსადგენათ ევფრატის პირზე მდგომ „მელარგეთში“ გადაგვიყვანეს. აქ ზომები მიიღეს კვების გაუმჯობესებისათვის, სარეცხის დარეცხვისათვის, მწერების ჩამოსაშორებლათ და სკორბუტის მკურნალობისათვის. თადარიგში მყოფი პოლკი არავითარ მეცადინეობას არ აწარმოებდა, ეცხოვრობდით კარვებში, შეშის, ე. ი. ჯაგების და მისი ფესვების მოსათხრელათ გავგზავნეთ რაზმები მდინარე მუშარგის ხეობაში.

მომდიოდა გამოწერილი ქართული გაზეთები. ფოსტას ვიღებდი ორ კვირაში ერთხელ. გაზეთებიდან ამოვიკითხე, რომ ქართველმა სამღვდელოებამ 1917 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადა ე. ი. ჩამოშორდა რუსეთის ეკლესიას, აღიდგინა დამოუკიდებლობა და უზენაეს საეპისკოპოსო კონსტანტინოპოლის პატრიარქი სცნო. კათალიკოსათ აირჩიეს კირიონი. ეს ფაქტი დიდი მნიშვნელობისა იყო. ახასიათებდა ქართული საზოგადოების განწყობილობასა და საბადელს. პოლიტიკურმა პარტიებმა ასეთი ნაბიჯის გადადგმა ვერ შესძლეს, რადგან იმ დროისთვის პირობები ამას ხელს არ უწყობდა. ქართველი დელეგატები საერთო რუსულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის შემადგენლობაში იყვნენ ჩანერგილნი, სადაც ფედერალისტები იყვნენ – ავტონომიაზე ოცნებობდნენ, მცირე რიცხოვან ნაციონალისტებს კი საზოგადოებაზე გავლენა არა ჰქონდა. სამღვდელოების გამოსვლას ამ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათი ღვაწლია, რომ ამ დღიდან საქართველოში დამოუკიდებლობისა და რუსეთიდან განთავისუფლების სურვილმა გაიღვიძა.

ავტოკეფალიის გამოცხადების ამბავი პოლკის ქართველ ჯარისკაცებს გავუზიარე. თანაც რამდენიმე ქართველ ამხანაგთან ერთად გადავწყვიტე ჯარისკაცთათვის წერა-კითხვის სწავლება მომეწყო. მსურველი 300-მდის აღმოჩნდა. დიდათ დამეხმარა ამ საქმეში ერთი ქართველი ნაცვალი, რომლის გვარი არ მახსოვს და რომელმაც ამ საქმეში დიდი ორგანიზატორული ნიჭი გამოიჩინა. რამდენიმე დღის განმავლობაში კურსი უკვე მოეწყო, საუბედუროთ არა გვქონდა წიგნები, არც ქაღალდი. ვთხოვე პოლკის უფროსს მეტად სიმპათიურ პიროვნებას, რომელსაც თბილისის სამხედრო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. იმან ნება მოგვცა სპეციალურათ ამ დავალებისთვის თბილისში ქართველი ნაცვალი გაგვეგზავნა. მივეცი მას ფული და გავატანე წერილი ჩემ ბიძაშვილ პეტრე გელეიშვილთან, სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწესა და პუბლიცისტთან, რომელშიაც ვთხოვდი მოეწერა თუ რა გემართებს ვაკეთოთ ჩვენ ქართველებმა? ეწყობა თუ არა საქართველოში ეროვნული ერთეულები და რა პოლიტიკური ვითარებაა საერთოთ? გაგზავნილი ნაცვალი დაბრუნდა. ჩამოიტანა ქართული ენის სახელმძღვანელოები და შევუდექით წერა-კითხვის სწავლებას. ძალიან საუბედუროთ წერა-კითხვის უცოდინარი ბევრი აღმოჩნდა. სწავლობდნენ და ბჭობდნენ იმაზე, თუ რა მოელის ჩვენ სამშობლოს, ზევით მოხსენებული ნაცვალი ერისკაცობაში თეატრის მოყვარულთა წრეს ეკუთვნოდა. მოაწყო მსახიობთა დასი და დაიწყო წარმოდგენების მართვა. წარმოდგენებს თითქმის ყველა პოლკის ჯარისკაცი და ოფიცერი ესწრებოდა, ქართველებმა ამ საქმიანობით დიდი პოპულარულობა მოიპოვეს. ამასობაში მოვლენები რუსეთის იმპერიაში დიდი სისწრაფით ფართოვდებოდნენ. არავის შეეძლო წარმოდგენა რით დამთავრდებოდა ყველაფერი ეს. ცნობებს გვანვდიდნენ კურსებიდან და შვებულებიდან დაბრუნებული ოფიცრები. ჯარის გახრწნელობამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია. მთავრობას კი სურდა ამ ჯარით ომი გაეგრძელებინა, მაგრამ ვისთან და როგორ? დეზერტირობა მატულობდა. შვებულებაში წასული ჯარისკაცები არ ბრუნდებოდნენ. მრავალი სკორბუტით დასნეულებული ევაკუირებულ იქნა. პოლკში შეზღვაურთა და ჯარისკაცთა ნაწილებს ხშირათ მოჰყავდათ მოსკოვსა და პეტროგრადიდან აჯანყებული და დისციპლინა მოკლებული ჯარისკაცთა ნაწილები. ვღებულობდით ცნობებს ოფიცერთა შეურაცხყოფის შესახებაც. ჩვენ კავკასიის ფრონტზედაც ჰქონდა ადგილი ამნაირ შემთხვევებს, განსაკუთრებით მოზრდილ ქალაქებში, როგორც ყარსი ან პლევნანპისტში (დღევანდელი ლენინაქანი).[2] ამ საკითხზედ ქართველებმა ერთ-ერთ შეკრებაზე გადავწყვიტეთ ჩვენ წრეში ასეთი რამ არ დაგვეშვა და ამნაირი მოვლენებისთვის წინააღმდეგობა

[1] სურავანდით *(მედ.)*.

[2] იგულისხმება ლენინაკანი *(ლ. ც.)*.

გაგვეწია. ქართული გაზეთები საუბედუროთ ამ დროს არ იძლეოდნენ ჩვენთვის საჭირო ცნობებს. გავიგეთ იქიდან მხოლოდ, რომ შესდგა ქართველ მხედართა კავშირი, მოგვიწოდებდნენ იქ შევსულიყავით. ჩავეწერე წევრათ, გავაგზავნე სანეერო გადასახადი და ნერილი, სადაც ვატყობინებდი ჩვენ ვითარებას და ვთხოვდი საჭირო მითითებებს. საუბედუროთ პასუხი არ მიმილია. გაიარა კიდევ 3 თვემ. პოლკი იხევდა. ბრძანება არა გვქონდა. ომის სურვილი არც ჩვენ ოფიცრობას და არც ოსმალებს არა ჰქონიათ, ჩვენებს იმიტომ, რომ იცოდნენ რა ჯარისკაცებიც ჰყავდათ, ოსმალებს, რადგან ჰქონდათ სწორი ცნობები ჩვენი ჯარის შესახებ. გრძნობდნენ, რომ ყეელაფერი ირლვეოდა და იმედოვნებდნენ, უომრათაც დაიბრუნებდნენ დაკარგულ ტერიტორიასა და მეტსაც. გარდა ამისა მომარაგების ბაზებიდან დაშორების გამო მძიმე მდგომარეობა ჰქონდათ სურსათისა და სამხედრო მასალის ნაკლებობის გამო.

მივიღეთ ბრძანება დაგვეწყო პოლკში სამხედრო მეცადინეობა. ბრძანებას ხელს აწერდა დივიზიის უფროსი და ჯარისკაცთა საბჭო. პოლკმა სათანადო პროგრამა შეიმუშავა და მეორე დღესვე უნდა შესდგომოდა მის შესრულებას. ჯერ ლოგინებიდან არ ავმდგარიყავით, რომ შემოვიდა გუნდის ზემდეგი და მაცნობა, რომ გუნდი მეცადინეობაზე არ თანხმდება. ვთხოვე ზემდეგს მოეყვანა კარავში გუნდის ჯარისკაცთა საბჭო. საბჭომ განაცხადა, რომ მოელაპარაკებიან გუნდს, ოღონდ ისინი მეცადინეობაზე გასვლას არ სთანხმდებიანო. ვთხოვე შეეკრიფათ გუნდი, რადგან პირადათ უნდა ავუხსნა მეთქი მდგომარეობა. გუნდი მოაწყვეს. ჩემ ოფიცერთან ერთათ მიეედი მათთან და დავუწყე განმარტება, რომ ომის ხანაა და ჩვენ თითქმის ფრონტზე ვართ. ბრძანების შეუსრულებლობა ასეთ შემთხვევაში ომის წესების დარღვევაცაა. ასეთ ვითარებაში ბრძოლების ჩატარებას ვერ შევძლებთ მეთქი. ჩემმა ლაპარაკმა არ გასჭრა, ჯარისკაცებმა მეცადინეობაზე გასვლაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. ამაეე დღეს პოლკის სხვა ნაწილები (სულ 16 ნაწილი იყო) მეცადინეობაზე გავიდნენ.

წაეედი პოლკის უფროსთან პოლკოვნიკ გუროვთან. მოვახსენე, რომ ჩემი ერთეული მეცადინეობაზე არ გავიდა, რომ ამის შესახებ ესაუბრა მათ ასეულის ჯარისკაცთა საბჭო და მე პირადათ და რომ ამისდა მიუხედავათ მათ თავისი გადაწყვეტილება არ შეუცვლიათ. მომიგო, რომ მომეწყო გუნდი და, რომ თვითონ გავიდოდა მათთან მოსალაპარაკებლათ.

პოლკის უფროსობის წინათ იგი ათასეულს მეთაურობდა. დიდათ პოპულარული იყო ჯარისკაცთათვის და დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის ორდენით. გუნდი მოვაწყვე, მოვიდა პოლკის უფროსი, განუმარტა მან მეცადინეობის მიზანი, რომ ეს საბრძოლო ბრძანებაა და მისი შესრულებაც სავალდებულოა. ვერაფერს ვერ მიაღწია, მტკიცეთ იდგნენ თავის გადაწყვეტილებაზედ და მეცადინეობაზე გასვლაზე უარი განაცხადეს. გაბრაზებულმა პოლკის უფროსმა აცნობა ჯარისკაცთ, რომ ასეთ ვითარებაში მას აქ გასაკეთებელი არაფერი აქვს და უარს განაცხადებს პოლკის უფროსობაზედ. სრულიადაც არ შევწუხდით ამის გამოო, უპასუხეს ჯარისკაცებმა და გასწიეს თვითონ კარებისაკენ. მათთან ერთათ ჩვენც. მეტის მეტათ დამაფიქრებელი იყო ეს შემთხვევა და აგვავსო პესიმისტური გრძნობებით.

ვფიქრობდი, რომ ჩვენი გუნდი საერთოთ აღარ აპირებდა მეცადინეობას და დიდათ გავკვირდი, როდესაც მეორე დღეს დილით, როდესაც ჯერ კიდევ ლოგინში ვიწექი შემოვიდა ზემდეგი და მომახსენა, რომ გუნდი დაწყობილია მეცადინეობაზე გასასვლელათ. საჩქაროთ ნამოვხტით ლოგინებიდან, მოვემზადეთ და გაველით გუნდთან.

ჩემ მისალმებაზე ხოროთი[1] მიპასუხეს, რაც ერთათ ერთი შემთხვევა იყო პოლკში. სხვა ნაწილებში მისალმებაზე სდუმდნენ. იქნებ ეს შედეგი იყო იმ ჩემი მიმართვისა ჯარისკაცებისადმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბრძანება №1 ნაკითხვისას.

მოვაგონე მათ, რომ მუდამ მათთან ვიყავ ომის დაწყების დღიდან, ვიღებდი მონაწილეობას ყველა მათ მოქმედებაში, დამჭრეს, ტიფ შეყრილი მწყობრიდან არ გავსულვარ, დავრჩი ერთეულში და ვმონაწილეობდი ყველა მოქმედებაში. ერთმანეთს მივეჩვივნეთ და თუ ჩემ მისალმებაზე სიჩუმით მიპასუხებენ უნდა ვიფიქრო, რომ არაფერი გვაკავშირებს და იძულებული ვიქნები გუნდის უფროსობაზე უარი ვსთქვა. დამპირდნენ, რომ ამას ადგილი არ ექნებოდა და მოსალმებაზე მოსალმებით გიპასუხებთო.

[1] ერთხმად *(რუს.)*.

გუნდი გავიყვანე სამეცადინოთ ბანაკიდან 3 კილომეტრის მანძილზე, თოფები გადავაჯვარედინე და დასვენება გამოვუცხადე. შემდეგ მოვიწვიე ირგვლივ და გუშინდელი ამბის შესახებ საუბარი გავაბი. მიკვირს მეთქი თქვენი ქცევა, გუშინ მეცადინეობაზე გამოსვლაზე უარი სთქვით, დღეს კი თვისი ნებით გამოხვედით, რას იზამთ შემდეგ? ძნელი წარმოსადგენია ასეთ ვითარებაში, რანაირათ უნდა ვეუფროსო გუნდს, განსაკუთრებით სამხედრო მოქმედების დროს? ალბათ ელოდნენ ჩემ ამნაირ შეკითხვას. ჯგუფს გამოეყო ერთი ჯარისკაცთაგანი და დიდი დაფიქრების გარეშე ჩემ შეკითხვაზე მკვეთრ განმარტებებს იძლეოდა. გუშინწინათ, მიამბო, როდესაც მეორე დღეს მეცადინეობაზე გამოსვლა გამოგვიცხადეს, შევიკრიფენით ყველა ნანილების წარმომადგენლები და გადავწყვიტეთ ამ მეცადინეობაზე არ გამოვსულიყავით. ჩვენ ეს დადგენილება ბოლომდის შევასრულეთ. პოლკის დანარჩენმა ნაწილებმა კი ეს დადგენილება გატეხეს და მეცადინეობაზე გავიდნენ. ჩვენ თვალში ისინი მოღალატენი არიან და დაგმობას იმსახურებენ. ბოდიში მოიხადეს გუშინდელი ამბის გამო და დამპირდნენ, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდებოდა და, რომ ჩემ ბრძანებას მომავალში ხალისით შეასრულებდნენ. ამაღელვა ამ მათმა დაპირებამ, რომელიც ზუსტათ შეასრულეს და პოლკში ყოფნის უკანასკნელ დღემდის ასეთი რამ აღარ განმეორებულა. დიდი სიამოვნებით ვიგონებ დღეს ჩემს ჯარისკაცებს, მართლაც კეთილი გულისანი იყვნენ და ვფიქრობ, რომ, თუ მათ გულითა და თანაგრძნობით მიუდგებოდნენ, ისეთ საზარელ შემთხვევებს, როგორც ოფიცერთა დახოცვა, ადგილი არ ექნებოდა.

პოლკში 1917 წლის ქრისტეშობისთვემდის ვიყავი. ამ დრომდის არავითარი ექსცესები აქ არ მომხდარა, მხოლოდ ჯარისკაცების რიცხვი მცირდებოდა განუწყვეტლივ. გადიოდა ხანი, ჩვენ კი ცნობები რუსეთიდან ძუნწად მოგვდიოდა, არც ქართველ მხედართა კავშირი გვაცნობდა რამეს. ვიმედოვნებდით, რომ უახლოეს შვებულებაში გავიგებდით ყველაფერს. ამასობაში ქართველების წრე მტკიცდებოდა და ვფიქრობ, საჭიროებისას თავს არ შევირცხვენდით. ეს კი დიდათ გვეხმარებოდა სიმშვიდის შენარჩუნებასა და მომავლისათვის თვალის გასწორებაში.

ჩატარდა წარმომადგენელთა არჩევნები დივიზიის, ლაშქრის შტაბის, საბჭოსა და თბილისში გასაგზავნათ. მახსოვს, ერთ ერთ წარმომადგენლათ ჩემი გუნდის ოფიცერი – პოდხორუნჟი რიუევი იყო, ყოფილი მოსკოველი სტუდენტი და სოციალ-რევოლიუციონერთა პარტიის წევრი. ყრილობიდან დაბრუნებისას იმდენათ მოსწონებია გეგეჭკორის გამოსვლა, რომ თავისი პარტია მიატოვა და მენშევიკების პარტიაში გადმოეწერა. დეკემბრის დასაწყისში მივიღე შვებულება. გამომშვიდობებისას ვუთხარი ჩვენებს, რომ შვებულებიდან აღარ დავბრუნდებოდი, რომ ჩვენში დიდი ამბები ხდება და მეც იქ დავრჩები მეთქი. თუ რამეს გავიგებ გაცნობებთ, თუ არა და სცადეთ დაბრუნდეთ საქართველოში და იქ გამონახეთ თქვენი ადგილი მეთქი. ცნობები მივიღეთ, რომ პეტროგრადში გადატრიალება მოხდა, დროებითი მთავრობა ჩამოაგდეს და ძალაუფლება ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში. საქართველოს ვითარებაზე არაფერი ვიცოდით და ვიმედოვნებდი, რომ იქ ჩასვლისას ყველაფერი გამოირკვეოდა და გავიგებდი რა ბედი ელის საქართველოს. საქართველოში კი ამ დროს ასეთი ვითარება შეიქმნა: დროებითმა მთავრობამ პეტროგრადიდან გამოგზავნა 5 წევრიანი კომისია ამიერკავკასიის საქმეთა გამოსაძიებლათ. კომისიაში შედიოდა ერთი რუსი, 2 ქართველი და თითო-თითო სასომხეთისა და აზერბეიჯანიდან. თბილისში ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატთა საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ე. გეგეჭკორი. ამ საბჭომ დიდი ენერგია გამოიჩინა და დროს შესაფერი საქმიანობა მოაწყო. ადვილი კი არ იყო ყველაფერი ეს. რევოლუციის დასაწყისშივე მთელი რუსული ადმინისტრაცია დაიშალა, ხელისუფლებამ რევოლუციონერებისკენ გადაინაცვლა. იმ დროისთვის ორგანიზაციული სიმკვრივით ქართველ სოციალ-დემოკრატთა პარტიამ გამოიჩინა თავი. ისინი სათავეში ჩაუდგნენ მოვლენათა მსვლელობას, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სომხეთსა, აზერბეიჯანსა და მთელ ამიერკავკასიაში. მდგომარეობა მოითხოვდა, რომ მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებს რეალური ძალის შექმნაზე ეზრუნათ მთელი ამიერკავკასიისთვის. დროებითმა მთავრობამ თხოვნაზე, კავკასიაში შემდგარიყო ქართველთა, სომეხთა და აზერბეიჯანელთა ერთეულები პასუხი არ გასცა. მდგომარეობა კი რთული იყო.

თბილისი ამიერკავკასიის ცენტრს წარმოადგენდა, იქ იყო შეჯგუფებული ამიერკავკასიის და კავკასიის ფრონტის მთელი მმართველი აპარატი, საწყობები, სამმართველოები. რევოლუციის დასაწყისშივე შეწყდა ამიერკავკასიის და ჯარების რუსეთიდან მომარაგება. კავკასიის მილიონიან ფრონტს და მცხოვრებთ კვება ესაჭიროებოდა. კავკასიის ფრონტის დისციპლინადაკარგულ ერ-

თეულებს, რომლებიც რუსეთისკენ მიისწრაფებოდნენ, გზის მიცემა სჭიროდა. ყველა მიმართულებიდან გზები თბილისზე გადიოდა, სახელდობრ:

1. თავრიზიდან ჯულფა, ალექსანდროპოლის, თბილისის და ბაქოს გაყოლით ჩრდილოეთისკენ.
2. ყარსიდან ალექსანდროპოლის, თბილისის, ბაქოს გაყოლით ჩრდილოეთისკენ.
3. არდაგანიდან ახალციხე, ბორჯომის,[1] გორის, თბილისის, ბაქოს გაყოლით ჩრდილოეთისკენ.
4. ტრაპეზუნდის ფრონტიდან უგზოობის გამო გემებით ბათუმამდის, შემდეგ ტუაპსესა, ნოვოროსიისკისკენ და ოდესისკენ.

ამნაირათ, როგორც ჩანს, ფრონტიდან რუსეთისკენ გზა უკანასკნელის გამოკლებით თბილისზე გადიოდა. როგორც აღვნიშნე, რევოლუციის დასაწყისიდან იჩინა თავი დეზერტირობის მომრავლებამ, რაც ტრანსპორტის საშუალებებს დამატებით სიძნელეებს უქმნიდა.

რკინიგზის დასაწყისამდი საჭირო იყო ფეხით ან ცხენდაცხენ მოსვლა. ფრონტის ზურგი თურქეთის ტერიტორიაზე კავკასიის საზღვრამდის სულმთლათ განადგურებული იყო. სოფლები გადამწვარი, ჯარის საჭიროებისათვის ყოველ 30 კილომეტრზე მოწყობილი იყო ეტაპები, ანუ რამდენიმე ფიცრული, სადაც შეეძლოთ დაეძინათ, მიეღოთ სურსათი, პოვოზკებით გამგზავრებულიყვნენ შემდეგ ეტაპამდის. რევოლუციის შემდეგ, როდესაც გახშირდა დეზერტირობა ეტაპებს დააკლდათ სურსაფი და სატრანსპორტო საშუალებანი. რკინიგზის დასაწყისამდე მისვლა არ ჰნიშნავდა, რომ გადატვირთულ მატარებელში მოხვდებოდნენ. ვიცოდი ყველაფერი ეს და ვერ წარმომედგინა, როგორ გავივლიდი ამ ჯოჯოხეთს და როგორ მივაღწევდი სამშობლომდის. საბედნიეროთ ბედმა გამიღიმა. საავათმყოფოდან ბრუნდებოდნენ სახლში ექიმი და ორი მოწყალების და. მატარებლამდის მშვიდობით მივედით, როგორც იქნა ჩავსხედით შიგა და მივაღწიეთ სოფელ ვლუხაულამდის, არაქსის პირას. აქ ძლივ-ძლივობით გადავსხედით თავრიზიდან ალექსანდროპოლში მიმავალ მატარებელზე. ალექსანდროპოლში ყარსიდან თბილისისკენ მიმავალ მატარებელში ჩაჯდომა ვერ მოვახერხე. საბედნიეროთ ამ გაჭირვებაში ხელი გამომიწოდა ქართველმა მემანქანემ. ჩამსვა ორთქმავალში და თბილისში ჩამიყვანა. აქ სასტუმროში გავჩერდი და მეორე დღეს შევუდექი სამხედრო კავშირის ძებნას. მიმასწავლეს, რომ დგება ქართული კორპუსი და რომ მისი შტაბი იმყოფება ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობაში,[2] ოპერის გვერდით. იქ შევხვდი ჩვენ პოლკის ოფიცერს გვარათ ცორვიძეს, რომელიც ორი თვის წინათ წამოვიდა შვებულებაში და პოლკში აღარ დაბრუნებულა. მან მითხრა, რომ კორპუსის უფროსმა, გენერალ ახმეტელმა დამაბარა გადმოგცე, რომ გამოჩნდები თუ არა აქ, მაშინათვე მასთან გამოცხადდე. გამიკვირდა, რადგან გენ. ახმეტელს არ ვიცნობდი და არც მინახავს ოდესმე. გამოვეცხადე. დიდი სიხარულით და პატივით მიმიღო და შემომთავაზა მის შტაბში დავრჩენილიყავ. რაშია საქმე? ვიფიქრე, ვინ მიკეთებს პროტექციას? ალბათ ჩემი ბიძაშვილის გელეიშვილის საქმეა მეთქი და, რაკი პროტექციის დიდი მოძულე ვიყავი, შტაბში გაჩერებაზე კატეგორიულათ უარი განვუცხადე და ვთხოვე გავეწყვრიგებინე ქუთაისის ქვეითა პოლკში, რადგან მინდა ჩემ ძვირფას დედას, დას და ძმას ვუპატრონო მეთქი. გენერალს ჩემი პასუხი არ მოეწონა, დანაღვლიანდა და მიპასუხა კარგი, გადავცემ გელეიშვილსაცო. ამ გვარის ხსენებამ დამარწმუნა ჩემ ვარაუდში.

კორპუსის შტაბიდან გელეიშვილის სანახავათ წაველ პროტექციისათვის მადლობის გადასახდელათ და მდგომარეობაში გასარკვევლათ. გამაცნო მან ადგილობრივი პოლიტიკური ვითარება. მარტის რევოლიუციის შემდეგ გენერალ გუბერნატორის ნაცვლათ მოავლინეს ამიერკავკასიაში 5 წევრიანი კომისია. ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლიუციის შემდეგ ამ კომისიამ მნიშვნელობა დაკარგა, პეტროგრადთან კავშირის განყვეტისა და დროებით მთავრობის განძევების გამო. დღეს არსებობს ამიერკავკასიის ფედერაცია და დიდი ხიფათი გველის ოსმალეთის ფრონტზე მყოფი ჯარების მხრიდან. ბოლშევიკებმა თბილისშიაც გამოყვეს თავი, ოლონდ ქართველმა მუშებმა, მენშევიკ სოციალისტ ვალიკო ჯუღელის თაოსნობით, იცოდნენ რა ბოლშევიკთა შეთქმულებაზე, დაიკავეს თბილისის არსენალი და მოაწყვეს სახალხო გვარდია. გაუმართლებელი შეცდომა იყო რომ დააგვიანეს კავკასიაში ქართულ, სომხურ და აზერბეიჯანულ ჯარების შექმნა, რაზედაც დროებითი მთავრობა ნებას არ იძლეოდა. ეხლა შეუდგნენ კორპუსების შედგენას, რომელშიაც აგროვებენ ყოველ რუსულ ერთეულთა ოფიცრებს. საუბედუროთ მათი ნაწილი გაბოლშევიკებულიაო.

---

[1] sic!

[2] დღევანდელი ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის შენობა (ლ. ც.).

მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს სათავეში უდგას ე. გეგეჭკორი, რომელიც დღემდის წარმატებით მოქმედობს.

რომ თბილისისთვის ფრონტიდან მოხსნილ ჯარისკაცთა ტალღები აეცდინათ, საჩქაროთ ააშენეს სადახლოში ხიდი, გაიყვანეს რკინისგზის განშტოება და თბილისის მოვლით მატარებლებს პირდაპირ ბაქოსკენ ჰგზავნიანო. გზა და გზა ეს ჯარები სურსათის უკმარობის გამო აზერბეიჯანის სოფლებს ეცემიან სცარცვავენ და ხალხს ჰხოცავენო. მათ თავის დასაცავათ იარაღი დაურიგდათ და ეხლა იქ ხშირათ აქვს ადგილი თოფების ბათქსა-ბუთქსა და შეხლა-შემოხლებსო. ჯარის ფრონტიდან მოხსნას სხვა საშიშროება მოჰყვებოდა. კავკასიის საზღვრებისკენ უბრძოლველათ მოიწევდა ოსმალეთის ჯარი და ხელში იგდებდა ჯარების მიერ მიტოვებულ სამხედრო მონყობილობას, იარაღსა და ზარბაზნებსაო. ამიერკავკასიის კორპუსთა შედგენა იოლათ არ მიდიოდა. ჯერ ერთი, რომ ნაკლებობა იყო ტყვია წამლის, იარაღის, სამხედრო მასალის და მეორეც, რომ ფრონტიდან დაბრუნებულ სამხედრო სამსახურ მოძულებული მხედრობა ჯარში შესვლას არა ჩქარობდა და მოახლოებულ საფრთხეს ვერა ჰხედავენო. ერთი სიტყვით, ის რაც გავიგე სასიკეთოს არაფერს გვიქადდა.

შევეხეთ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხს. მიველით დასკვნამდის, რომ საამისო დრო ჯერ არ დამდგარიყო. ფრონტიდან მოვარდნილი ჯარისკაცთა ტალღა ნალეკავდა ყველაფერს. მთელი იმედი ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატთა საბჭოზე იყო დამყარებული, რომელსაც იმ დროს ხელმძღვანელობდა ე. გეგეჭკორი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები რევოლიუციის შემდეგ, როგორც პეტროგრადსა, ისე ყველა დიდ ქალაქში და მთლიანათ რუსეთის ტერიტორიაზე, სათავეში უდგნენ მმართველობას. უიმათოთ დროებით მთავრობასაც არ შეეძლო რაიმე ნაბიჯის გადადგმა. პეტროგრადის ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოს სათავეში უდგა, როგორც თავმჯდომარე, ნიკოლოზ ჩხეიძე, ყოფილი სახელმწიფო საბჭოს წევრი, სოციალ-დემოკრატი მენშევიკი. ფაქტიურათ მთელი ძალაუფლება მის ხელთ იყო. ვუთხარი ბაძაშვილს, რომ მსურს თბილისის პოლიტხნიკუმში შესვლა, როდესაც ის გაიხსნება. თუ საჭირო შეიქნა შევალ ჯარში. ჯერ ჯერობით კი მაქვს შვებულება. მინდა დავისვენო ოჯახის წრეში, შემდეგ წავალ ჩემ პოლკში დოკუმენტების წამოსაღებათ, რაც შევასრულე კიდეცაც.

1928 წლის იანვარში[1] ჩავედი პოლკის შტაბში ალექსანდროპოლში. მივიღე კუთვნილი ჯამაგირი, დოკუმენტები და პოდპოლკოვნიკის ხარისხზე წარდგენის ქაღალდები, რომელიც შედგენილი იყო ვინაიდან 1 იანვარს მიწევდა ამის უფლება, ოღონდ სამხედრო სამინისტროსთან კავშირის გაწყვეტის გამო ვერ გაეგზავნათ შესასრულებლათ. ალექსანდროპოლიდან დაბრუნების შემდეგ, დიდი ვაი ვაგლახით, მივიღე კორპუსის შტაბიდან მივლინება ქუთაისის პოლკში, დავბრუნდი სამხედროში და მეორე დღესვე გამოვცხადდი პოლკში. პოლკის უფროსმა პატივით მიმიღო. მაშინ 24 წლისა ვიყავი, კაპიტნის ხარისხში. ათასეულის უფროსობა შემომთავაზა. ჩემი გვარის, ოღონდ არც ნაცნობი და არც ნათესავი პორუჩიკის თანხლებით დავათვალიერე ყაზარმა, გავეცანი ჯარის კაცთა ცხოვრების პირობებს.

ლაპარაკის დროს პორუჩიკმა გამომიმჟღავნა, რომ ახალგაზრდა დაბალი ხარისხის ოფიცრები, უკმაყოფილონი არიან თქვენი ათასეულის უფროსათ დანიშვნის გამოო და საერთოთ არ უყვართ უფროსი ოფიცრებიო. მადლობა გადავუხადე ცნობისთვის და ვთხოვე მოეხსენებინა პოლკის უფროსისთვის, რომ მივდივარ სახლში, იქიდან ქუთაისში ჩემი ოჯახისთვის ბინის საძებნელათ და შემდეგ გამოვცხადდები მეთქი პოლკში. დოკუმენტები კანცელარიაში არ გადამიცია, თანაც ამ პორუჩიკს საიდუმლოთ გავანდე, რომ თუ ერთი კვირის განმავლობაში არ გამოვცხადდი, წავალ თბილისში, რადგან არავითარი სურვილი არა მაქვს ვიმსახურო პოლკში სადაც ოფიცრები მტრულათ იქნებიან განწყობილნი ჩემდამი, თუმცა არც მიცნობენ და არც ვუნახივარ მეთქი.

სახლში დაბრუნებისას ვუთხარი დედას, რომ არავითარი სურვილი არა მაქვს ჯარში სამსახურისა. ჩემი მიზანია ინჟინერი გავხდე – დავრჩები რამდენიმე დღეს სახლში და შემდეგ წავალ თბილისში პოლიტხნიკუმში შესასვლელათ.

გაიარა რამდენიმე დღემ. მოვიდა ამბავი, რომ ოსმალოები ტრაპეზუნის ფრონტიდან მოსდევენ ფრონტიდან მოხსნილ რუსულ ჯარს და უახლოვდებიან ბათუმს. ბრესტის კონფერენცია-

[1] იგულისხმება 1918 წლის იანვარი *(ლ. ც.)*.



ვალოდია გოგუაძე (მარჯვნივ) (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, თბილისი).

ზე ოსმალოებს მიაკუთვნეს მთელი არდაგანის ოლქი და ნაწილი ბათუმისა. ეს ტერიტორია მუდამ იყო ქართველებით დასახლებული. მე-18 საუკუნის ომების შემდეგ, ოსმალოებმა მცხოვრებლები ძალით გაამაჰმადიანეს, მაგრამ რჯულის გამოცვლას მათთვის ეროვნება არ შეუცვლია. ისინი მუდამ ქართველებათ სცნობდნენ თავს. ომის დამთავრებით დაინტერესებული რუსები ყველა დათმობაზე მიდიოდნენ ოსმალოებისადმი. ისინი კი სარგებლობდნენ შემთხვევით და ცდილობდნენ მთელი ბათუმის ოლქის დაჭერას ოზურგეთის რაიონის ჩათვლით. გავიგეთ რა ეს ამბავი, მაშინვე პატარა ჩემოდნით დავტოვე სახლი და პირველივე მატარებლით ბათუმში ჩავედი. აქ გამოვცხადდი ბათუმის ოლქის უფროსის გენ. მდივნის შტაბში. გაუხარდათ ჩემი მისვლა. გენერალმა პრაპორშჩიკთა ათასეულის უფროსათ დამნიშნა, ათასეულს ეკავა პოზიციები ბათუმის სატვირთო სადგურის ახლოს ნორჩ ტყეში. მომიჩინეს გზის მაჩვენებელი და მაშინათვე გავემგზავრე ათასეულისკენ. ათასეულის უფროსათ იყო ვიღაცა ლეიტენანტი, ადიუტანტათ კი ჩემივე გვარის ჩემთვის უცნობი და უცხო პრაპორშჩიკი. სამნეო ნაწილს განაგებდა ცნობილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი, 60 წლისა, კაპიტანის ხარისხში. გამეხარდა მისი გაცნობა. ომი სწარმოებდა ბათუმიდან ახლოს. ისმოდა ტყვიამფრქვევთა და ზარბაზნების სროლა. ყველა ასეულები პირველ ხაზზე იყო ჯაგებში გაშლილი. შევაკრეენე[1] გუნდებიდან გზის მაჩვენებელი ჯარისკაცები და შევუდექი განლაგების დათვალიერებას.

გზა და გზა შევამჩნიე, რომ ბათუმი იცლებოდა. დატვირთული ავტომანქანებით და პოვოზკა-ფურგონებით ჩაქვისკენ მიემართებოდნენ. არ შემიძლია აქ არ მოვიგონო უსიამოვნო შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სატვირთო სადგურზე, სადაც გოგუაძის ჯავშნოსანი მატარებელი იდგა. შეხვდა ის ვიღაც ნაცნობს, რომელთანაც ძველათ შეხლა-შემოხლა ჰქონია და თოფით სიცოცხლე მოუსპო. ამ შემთხვევამ ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ის კი, შემდეგში, როგორც გმირის ნოდებით მოსილი, თავს იწონებდა და ამაყობდა. ჩემთვის ეს ფაქტი მისი უპასუხისმგებლობის და დაბალი მორალის საქციელი იყო.

ჯაგებში დაგვხვდა ერთი ასეული. პოზიციები ხშირ ტყეში ეჭირა. წინ არავითარი ფართობი არა ჰქონდა, რომ სროლა ეწარმოებინა. ვუბრძანე ხიშტები მაინც ჩამოეცვათ თოფებზე. შემდეგი 2 ასეულის ძებნა უნაყოფოთ დამთავრდა. ერთი ჩამორჩენილი ჯარისკაცის ცნობით ეს ასეულები წავიდნენ პოზიციების დასაკავებლათ ჩაქვის ახლო მდებარე მთებზე. დავბრუნდით მეორე ათასეულის სადგომთან, იქ დამხვდა გენ. მდივნის შიკრიკი ბრძანებით, რომ ათასეულით დამეხია ჩაქვამდის და შემდეგ სამტრედიამდის. სათანადო ბრძანებები გადავეცი ჩემს გვერდით მყოფ ათასეულის უფროსს და ჩემ ხელქვეით გუნდს.

ოფიცრისა და ჯარის კაცის თანხლებით გავემართე ჩაქვისკენ. ვაპირებდი იქ პოზიციის მონყობას, რადგან შორიდან ამ მიზნისათვის ჩაქვთან მდებარე მთები დამაკმაყოფილებლათ ჩანდნენ.

მატარებლების ერთი მეორის მიყოლებით საჩქარო მიმდინარეობიდან ვამჩნევდი, რომ ბათუმის ევაკუაცია ხდებოდა. ოფიცრების და შიკრიკის თანხლებით ავედი ჩაქვის ქედზე; ვაპირებდი იქ მოგერიებითი პოზიციის მოწყობას, რადგან იქ საამისო პირობები და განსაკუთრებით ღია და შორი ხედი დამაკმაყოფილებელი იყო. დღე მზიანი და უღრუბლო იყო. 2-3 საათის სიარულის

[1] sic!

შემდეგ მივაღწიეთ მწვერვალს. საუბედუროთ იქ ჩემი ათასეულიდან არავინ შემხვედრია. შევკრიფე იქ მყოფ ჯარისკაცთა ჯგუფი და ვუბრძანე მწვერვალი დაეკავათ. ვუყურებდი ბათუმის ევაკუაციის მსვლელობას. ფეხოსანთა ერთეულების მოძრაობა არ შემიმჩნევია. საღამო ჟამს მე, ჩემთან მყოფი ოფიცრები და ჯარისკაცები ჩავსხედით მატარებელში, რომელიც ზლაზვნით მიემართებოდა და ჩავედით ნატანებში. იქ მოგერიებით პოზიციებს მართავდნენ, მაგრამ ჩემი ათასეულის ჯარისკაცები არ შემიმჩნევია. გავიგე, რომ იქ იმყოფებოდა ჩვენი მთავარსარდლის გენ. გაბაშვილის მატარებელი. გამოვცხადდი იქ და ვუამბე ყველაფერი რაც ვნახე და რაც ვიცოდი. საუბედუროთ შტაბში ცნობები ძუნწათა ჰქონდათ და მდგომარეობაში არ ერკვეოდნენ. ამასობაში გენ. მდივნის მატარებელიც ჩამოდგა.

გენ. გაბაშვილის შტაბში მსახურობდა ჩემი ახლო მეგობარი, ჩვენი პოლკელი პოლკოვნიკი ძაგანია. გაუხარდა ჩემი შეხვედრა. წამიყვანა შტაბში და თითქმის ძალით გადმომცა დავალება წავსულიყავ ნატანებში დამზვერავის მოსაწყობათ და გასაგებათ თუ რა ძალები მოქმედობდნენ ჩვენ წინააღმდეგ ოსმალოების მხრივ. ცნობები უნდა მომეწოდებინა სამტრედიაში. თუ იქიდან გენერალური შტაბი გადაინაცვლებდა თბილისში, მაშინ გამეგზავნა მისამართით: თბილისი, სადგურის ქუჩა, ყოფილი კავკასიის ოლქის შტაბის ბინა. მე შტაბში არ მიმუშავნია. ასეთი გულუბრყვილო ვიყავი, რომ საქმის მოსაწყობათ საჭირო ფულიც არ გამომირთმევია დაზვერვის მოსაწყობათ. მეორე დღეს გავემგზავრე ნატანებში, სადაც მივმართე ზოგიერთ დაწესებულებებს დახმარება ალმოეჩინათ ჩემთვის და მიეთითებინათ პიროვნებებზე, რომელნიც გამომადგებოდნენ ოსმალეთის ჯარების რაოდენობასა და განლაგებაზე ცნობების მოსაწვდენათ მათ მიერ ოკუპირებულ ჩვენ ტერიტორიაზე. მირჩიეს ამ საქმისთვის წავსულიყავი ოზურგეთში, სადაც ვიპოვნიდი სათანადო პიროვნებებს. ასეც მოვიქეცი. ოზურგეთში მთელი მოსახლეობა აფორიაქებული იყო, ყველა იმის ფიქრსა და ცდაში იყო რამენაირათ აეცდინათ საფრთხე და თურქები უკუეგდოთ. თუ არ ვცდები იქ იმყოფებოდა გენ. მაზნიაშვილის ან გენ. ართმელიძის შტაბი. გამოვცხადდი ქალაქის მმართველობაში და ვთხოვე, რომ მოევლინებინათ ჩემ განკარგულებაში დაზვერვის საქმეში გამოსაყენებელი პიროვნებები, ქართველი მუსულმანები ან ბათუმის მცხოვრებლები. დამინიშნეს 3 კაცი, თურქული ენის მცოდნენი. ერთი მათგანი მეტათ ინტელიგენტი, საინტერესო პიროვნება, დიდათ აენთო ამ საქმისთვის და დამპირდა, რომ ყველა საჭირო ცნობებს მომაწვდიდა. აეუხსენი, რომ მჭირდება ვიცოდე ჯარების სიმრავლე, ზარბაზანთა რიცხვი, ჯარის უფროსთა დახასიათება, მომარაგების მდგომარეობა და სხვა. ამნაირათ დაიწყო ჩემი სამსახური ჯარში. შეხვედრის ადგილათ და ცნობების მოსაწოდებლათ ნატანები დავთქვით და წავედი სამტრედიაში. აქ სადგურის ტელეფონი ჩემ განკარგულებაში იყო. ამასობაში დაიწყო მოლაპარაკება თურქებთან. საქართველოდან ამ საქმისთვის გაემგზავრა ტრაპიზუნში დელეგაცია ბ-ნ ჩხენკელის მეთაურობით. მოლაპარაკება შედეგს არ იძლეოდა. ამავე დროს ბრესტში მიმდინარეობდა სამშვიდობო მოლაპარაკება გერმანელებსა და ოსმალეთთან. რუსეთის წარმომადგენლებს ხელმძღვანელობდა ტროცკი, რომელიც ზავის საჩქაროთ მისაღწევათ ყველა დათმობაზე მიდიოდა ოსმალეთისადმი. დაუთმო კიდეც მათ დიდი ნაწილი სამხრეთის ტერიტორიისა: ბათუმის ოლქის ნაწილი, არდაგანის რაიონი, სადაც ქართველი მუსულმანები ბინადრობდნენ, რომლებიც საქართველოსკენ ილტვოდნენ და ოსმალებთან საერთო არაფერი ჰქონდათ. ოსმალების მადა იქამდე მიდიოდა, რომ მოითხოვდნენ მთელ ბათუმის ოლქს, არდაგანს და ახალციხის ოლქს.

ამიერკავკასიის უკუდაზვერვის ცნობით, რომელსაც გეგეჭკორი ხელმძღვანელობდა, მდგომარეობა კატასტროფული იყო. საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან არამც თუ დადებით შედეგს არ იძლეოდა, პირიქით რთულდებოდა. ოსმალოები მოითხოვდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის ქსელის მათ ხელში გადაცემას. თანაც, განჯაში მოლაპარაკებას აწარმოებდნენ თურქული ორიენტაციის აზერბეიჯანელები.

ამიერკავკასიის კონფედერაციამ ნაყოფი ვერ გამოიღო შემდეგი მიზეზებით: დამცხრალი არ იყო ძველის ძველი განხეთქილება სომხებს, აზერბეიჯანელებსა და თურქებს შორის. ჯერ კიდევ ომის წინ საყოველთაოთ ცნობილი იყო აზერბეიჯანელთა და სომეხთა სისხლისმღერელი ბრძოლები და სომეხთა ულეტა, რამდენათ სძულდათ ოსმალოებს სომხები. ჩემი თვალით ვნახე | მსოფლიო ომის დროს რა ბედი ეწვიათ[1] სომხებს, განსაკუთრებით მაშკიშკერის და მურსკის ოლქებში. აქ არც

[1] sic!

ერთი სოფელი არ გადარჩენილა, სომხები ცოლშვილიანათ ამონყვიტეს და ცხედრებით უშველებელი ორმოები ამოავსეს. 1916 წელს. დამზვერავი ასეულით ქალაქ შუშაში შევდიოდი. ომის წინ აქ 3000 მცხოვრებელი იყო, მათგან უმრავლესობა სომხობა, დღეს არც ერთი სომეხი არ გადარჩენილა, გარდა ერთი მოხუცისა, რომელიც სასწაულათ გადარჩა და, რომელმაც გვიამბო რა ჯოჯოხეთი დაატრიალეს აქ ოსმალოებმა. გვაჩვენა დახოცილთა გვამებით ამოვსებული გრძელი და ღრმა თხრილი. თხლათ თოვლს რომ არ დაეფარა, სიმყრალის გამო ახლოს ვერ დაიდგომებოდა.

სომხეთის ქვეყანა მოქცეულია აზერბეიჯანის, ოსმალეთის და საქართველოს შუა. ოსმალოები და აზერბეიჯანელები სომხების მუდმივი მტრები იყვნენ. საქართველოსთან ურთიერთობა ბოლო დროს გაუმჯობესდა. საერთოთ სომხები თავს მუდამ საფრთხეში გრძნობდნენ, ეძებდნენ მძლავრ დამფარავს და ქომაგს, ასეთათ მას მუდამ რუსეთი მიაჩნდა, სულერთია რანაირიც უნდა ყოფილიყო ის. აზერბეიჯანელები, როგორც მუსულმანები, თავის მხრივ ოსმალეთთან საერთო ენის გამონახვას ლამობდნენ. ამიტომ იყო, რომ ბაქოს დაკავების შემდეგ აზერბეიჯანის მთავრობა განჯაში გადავიდა, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ენვერ ფაშას ძმა. თურქეთს უნდოდა ესარგებლა რუსეთის სისუსტით და მიუხედავათ იმისა, რომ კავკასიის კომისარიატი სცნო, იმედოვნებდა თავის ზრახვების განხორციელებასა და ამიერკავკასიაში შემოჭრის შესაძლებლობას.

ამიტომ იყო, რომ ჩვენი წარმომადგენლების მოლაპარაკება ტრაპიზონში, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკაკი ჩხენკელი, უშედეგოთ მიმდინარეობდა. საჭირო იყო ამ დროს ძალა, რომელიც სიძნელეებს ნინ აღუდგებოდა. და იყო კიდეც ამ ძალის მოწყობის ხელსაყრელი პირობები, მაგრამ იმ დროინდელმა ხელისუფლებამ ეს პირობები არ გამოიყენა, რაც შეცდომათ უნდა ჩაითვალოს.

ომის წინ, საუბედუროთ, ჩვენი ხალხი დამოუკიდებლობის მოპოებისკენ არ მიილტვოდა. მიუხნეველ უტოპიათ მიაჩნდათ ასეთი შესაძლებლობა განმარტოებულ, პატარა, უმოკავშირეო ერისთვის. მხოლოთ მცირე ნანილი საზოგადო მოღვაწეებისა ოცნებობდა ამაზე. ფართო მაშტაბით დამოუკიდებლობის პროპაგანდას ადგილი არა ჰქონდა.

სოციალ-ფედერალისტთა პარტია მიზნათ ისახავდა ფედერაციის მოპოებას რუსეთის ფარგლებში, ყველაზედ ძლიერი ქართველ სოც.-მენშევიკთა პარტია გადაბმული იყო მთელი რუსეთის სოციალისტებთან და რუსეთის იმპერიის ახალ საწყისებზედ მოწყობაზე ოცნებობდა. უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკებს ჰყავდათ მრავალი გავლენიანი პიროვნება რუსეთის სოციალისტურ მმართველთა წრეებში. ნიკოლოზ ჩხეიძე ომის წინათვე იყო მთელ რუსეთში ცნობილი. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ არჩეულ იქნა მუშათა და ჯარისკაცთა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეთ პეტროგრადში. ამ საბჭომ სცნო პოლონეთის დამოუკიდებლობა, ოღონდ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ხმაც არ ამოუღია, მიუხედავათ იმისა, რომ ეს შესძლო ქართველმა სამღვდელოებამ და ეკლესიის დამოუკიდებლობა აღადგინა. გამოეყო რუსეთის ეკლესიას და უშუალოთ კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაუკავშირდა.

არ უფიქრიათ ქართული და კავკასიური ჯარის შედგენაზეც, ერიდებოდათ ალბათ ნაციონალურ ლტოლვილების გამომჟღავნება. აქ გამოიჩინეს შორს ჭვრეტის სისუსტე, რამაც შემდეგში მეტად გააძნელეს კავკასიის ერთა ვითარება. ხომ შეიძლებოდა დასაწყისშიც მოეწვიათ რუსეთის სხვა და სხვა ფრონტებიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ამ ერთეულთა მოსაწყობათ? ამიერკავკასიის ერთა ვითარებას ართულებდა მილიონზე მეტ ჯარისკაცთა ყოფნა ამიერკავკასიაში, მისი კვება და რუსეთისკენ გამგზავრება. ბოლშევიკთა აგენტები ამასობაში ამოქმედდნენ, სურდათ თბილისში დაგროვილი სამხედრო მარაგი ეგდოთ ხელთ და მდგომარეობას დაჰპატრონებოდნენ. სურდათ საამისოთ თბილისში მყოფი ნანილები გაებოლშევიკებინათ.

თბილისის ჯარის კაცთა და მუშათა საბჭომ ამის ასაცილებლათ 1917 წლის დეკემბერში დაიკავა არსენალი, სადაც სამხედრო მასალის და ვაზნების დიდი მარაგი ინახებოდა. შექმნეს მუშათა შემადგენლობის სახალხო გვარდია ჯერ თბილისში და შემდეგ ყველა სხვა ქალაქებში. დადებითი როლი ითამაშეს ადმინისტრაციის მოწყობასა და წესრიგის დაცვაში. ჯარის მხრივ გადაწყდა ქართული, აზერბეიჯანული და სომხური კორპუსების შედგენა. მათ მოწყობას შეუდგნენ 1917 წელს, ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ და მიმდინარეობდა ზანტათ იარაღისა და ხელსაწყოს ნაკლებობის გამო. ფრონტს მოხსნილი ჯარები მძიმე იარაღს ოსმალოებს უტოვებდნენ და სურსათის შოვნის იმედით ანგრევდნენ, სცარცვავდნენ და ანიავებდნენ ქალაქებსა და სოფლებს სომხეთსა, საქართველოსა და აზერბეიჯანში.

ოსმალოებს რჩებოდათ ჯარის მიერ მიტოვებული სამხედრო მარაგის სანყობები და ფეხდაფეხ მოსდევდნენ ფრონტიდან მოხსნილ ჯარს. იკავებდნენ იმასაც, რაც ბრესტის ხელშეკრულებით მიიღეს და მეტსაც, მთელ კავკასიას. მდგომარეობა მძიმე და თითქმის გამოუსვლელი იყო. არც დასავლეთის ფრონტზე იყო უკეთესი მგომარეობა. ჯარები უბრძოლველათ იხევდნენ. მათ კუდში მისდევდათ პატარ-პატარა ნაწილები. ბოლშევიკები ამასობაში გართულნი იყვნენ კონტრრევოლიუციონერებთან, სხვა და სხვა რუსულ გენერლების მიერ შექმნილ ნაწილებთან ბრძოლაში. ამ პირობებში გერმანელთა ჯარი უკრაინაში შეიჭრა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამიერკავკასიის კომისარიატმა, რომელიც რუსეთში ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგ შესდგა, გამოცდა ვერ ჩააბარა. სომეხთა და აზერბეიჯანელთა ლტოლვა არ ეთანხმებოდა საქართველოს ინტერესებს. მათ ურთიერთობაში გაჩნდა ბზარი, ქართველ მოღვაწეთაგან ზოგიერთნი იმყოფებოდნენ გერმანეთში და მიილტვოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ. გერმანელები, როგორც ცნობილი სხვის საკუთრების დაუფლების მიმდევარი ხალხი, ამ ქართველ მოღვაწეებთან შეთანხმებით აპირებდნენ საქართველოში სამეფოს შექმნას და ტახტზე სურდათ გერმანეთის მეფე ეელჰელმ მეორის[1] შვილის იოაპიმის აყვანა. ომის დროს შეუდგნენ კიდეც რუსეთის ჯარის ტყვე ქართველთაგან კორპუსისა და ათასეულის შედგენას. არ ვიცი რატომ, მაგრამ ვგონებ მეტათ მძიმე მდგომარეობის გამო, ჩვენმა წარმომადგენლებმა გააბეს კავშირი ამ ასეულთან და დახმარება სთხოვეს გერმანელებს, თანაც ჩვენი წარმომადგენლების მოლაპარაკება ოსმალოებთან ტრაპიზონში შედეგს არ იძლეოდა. პირიქით, მათი მადა იზრდებოდა და უკვე მთელი მესხეთისა და ჯავახეთის გადაცემას მოითხოვდნენ. ბათუმიდან გასვლაზე ხომ ლაპარაკიც არ უნდოდათ. მაისის დასაწყისში გერმანეთიდან ჩამოვიდა წარმომადგენლობა გენ. ფონ ლოსეევის[2] თავმჯდომარეობით. მიიღო მან მონაწილეობა საზავო მოლაპარაკებებში; ოსმალოთა მოთხოვნილებები გადაჭარბებულათ სცნო და, როგორც თავის მოკავშირეს, უბრძანა მათი შეზღუდვა. შემდეგ უკრაინიდან ჩამოიყვანეს ჯარი ბათუმის ოლქის დასაკავებლათ. მათი ნაწილი ქუთაისშიც დაბინავდა. ამით უნდოდათ ოსმალოთა ექსპანსიისთვის ბოლო მოეღოთ. რაკი ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესები ერთმანეთს არ ეთანხმებოდა და მათი პოლიტიკური ორიენტაცია ერთი მეორის საწინააღმდეგო იყო. ასეთ ძნელ პირობებში საქართველოს სახალხო საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ დროს სამტრედიაში ვიყავი. ცნობამ ელვის სისწრაფით მოაღწია. ძნელია აღწერო სიხარული, რომელიც გამოიწვია ამ ცნობამ. საქართველო 117 წლის მონობისა და ჩაგვრისგან თავისუფლდებოდა. საუბედუროთ თავისუფლების განსამტკიცებლათ ჯერ კიდევ ბევრის დაძლევა და გაკეთება იყო საჭირო. ჩრდილოეთიდან დიდი საშიშროება ახლოვდებოდა.

იქ ძმათა შორის ბრძოლები მიმდინარეობდა წითლებსა და თეთრებს შორის. საქართველოს დამოუკიდებლობა ვერც ერთს ვერ წარმოედგინა. ბაქო და ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილი ბოლშევიკების ხელში იყო. სოჭსა, ტუაფსესა და ნოვოროსიისკში ძალაუფლება ხელიდან ხელში გადადიოდა. ვინ იყო იქ ბატონ-პატრონი ძნელი გამოსაცნობი იყო. საქართველოს მთავრობას რამიშვილი ჩაუდგა სათავეში. წინ მას უდგა მრავალი მოსაგვარებელი საკითხები. ასეთ პირობებში სახელმწიფოს შექმნა და მისი მოწყობა დიდ და პასუხსმგებელ საქმიანობას მოითხოვდა.

ოსმალოები დატენებით მოითხოვდნენ მათ განკარგულებაში რკინიგზის გადაცემას ჯარების აზერბეიჯანში გადასაყვანათ, რადგან ბოლშევიკების მიერ ბაქოს დაკავების შემდეგ, აზერბეიჯანელები საამისოთ ოსმალოებს დახმარებას სთხოვდნენ. მართალია, გერმანელებმა ოსმალოებს მადა შეუმცირეს, მაგრამ მათი საქართველოში ყოფნა საიმედო არ იყო, ოღონდ, რაკი სხვა გამოსავალი არ იყო, უნდა გეეცადა ომის დამთავრებამდის და მოვლენათა მსვლელობას მივნდობოდით. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ადმინისტრაცია სწრაფათ და დადებითათ მოეწყო, ოღონდ რაც შეეხება ჯარისა და სახელმწიფოს მმართველი ორგანოების შექმნას პირობები გაძნელებული იყო. იგრძნობოდა ნაკლებობა მაღალი თანამდებობისთვის შესატყვისი პიროვნებებისა. მეფის რუსეთი ქართველებს მინისტრის თანამდებობამდის არ უშვებდა. ყველა ამ სიძნელეების მიუხედავათ ჩვენმა მოღვაწეებმა შესძლეს თავის გართვა. ბათუმი თურქებს ეკავათ, გერმანელები წესიერათ იქცეოდნენ და საქართველოს შინაურ საქმეებში არ ერეოდნენ. ბათუმის საოკუპაციო ზონის გან-

[1] იგულისხმება ვილპელმ II *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება გენერალი ოტო ფონ ლოსოუ *(ლ. ც.)*.

საზღვრის გამო გაეემგზავრე თბილისში, თუმცა ჩემი სურვილი იყო უნივერსიტეტში შევსულიყავ, საინჟინერო დარგზე, მაგრამ ჩემი საყვარელი დედის რჩევით, რომელსაც ეუმადლი ყველაფერს რაც დადებითია ჩემში, ჩემი ბედი სხვანაირათ წარიმართა. მეუბნეოდა ის: „სამშობლოს, ერთგული და გამოცდილი ხალხი სჭირია. კაპიტნის ხარისხი გაქვს, მალე პოლკოვნიკის ჩინსაც მიიღებ, სჯობია ქართულ ჯარში დარჩე, თორემ იტყვიან მეფის რუსეთს ემსახურებოდა, ქართულ ჯარში დარჩენა არ მოისურვაო". დიდათ იმოქმედეს ჩემზე ამ სიტყვებმა. ჩავედი თბილისში განეული მუშაობის ჩასაბარებლათ, რომელიც მივიღე გენ. გაბაშვილის შტაბიდან სამტრედიაში. შემდეგ გამოვცხადდი გენ. შტაბში, ჩავაბარე დოკუმენტები და გავასწორე ანგარიში. აქ უნდა აღვნიშნო, რომ დავალების მიღებისას არავითარი სახსრები არ მიმიღია, დავინწყების გამო. მთელ მუშაობას ვანარმოებდი საკუთარ ხარჯზე.

შტაბში საორგანიზაციო დარგის უფროსათ იყო იოსებ ჩეჩელაშვილი, შტაბის უფროსათ გენ. ანდრონიკაშვილი, მეტათ ნიჭიერი და გულმოდგინე მუშაკი. მიუხედავათ იმისა, რომ მუდამ რუსეთში მსახურობდა ქართულს სრულიათ დამაკმაყოფილებლათ ფლობდა. მე შტაბში აქამდის არ მიმუშავნია და არ ვიცოდი შეეძლებდი თუ არა სარგებლობის მოტანას. მაშინ საჭიროება მოითხოვდა წესდებებისა და სხვა და სხვა ინსტრუქციების გამოცემას, ტერმინოლოგიის დამუშავებას. შეიქმნა საამისო კომისია გენ. ოდიშელიძის თავმჯდომარეობით, რომელიც ომის დროს ასრულებდა კავკასიის ფრონტის უფროსის თანაშემწის თანამდებობას. გარდა იმისა იყვნენ: გენ. არჯევანიძე დამსახურებული მეთაური და ნამდვილი ქართველი, პოლკ. გაგოშვილი, რომელიც პოლიტიკური მიდრეკილებისთვის მეფის დროს მარაგში იყო გადარიცხული. მთავარი წევრი ამ კომისიისა იყო პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს და მისი ისტორიის დიდი მცოდნე, ურომლისოდაც კომისიის მუშაობა ალბათ დიდხანს გაგრძელდებოდა. მე დამნიშნეს მდივნათ, მუშაობა ინტენსიურათ მიმდინარეობდა. წესდებები მუშავდებოდა აჩქარებული ტემპით გამოცდილებისა და საჭიროების მიხედვით, რუსულ ნესდებებზე დაყრდნობით. წესდების გადასინჯვის და შესწორების შემდეგ საჭირო იყო მათი საჩქაროთ გადათარგმნა, დაბეჭდვა და ერთეულებში დაგზავნა სამეცადინოთ. ემუშაობდით მთელი დღეობით, სახლში შებინდებისას ებრუნდებოდი. პირველი მე გადავთარგმნე ქვეითთა ჯარის მოქმედების წესდება. ეს მუშაობა დიდ კმაყოფილობას მგვრიდა, მით უმეტეს, რომ ასეთ ღირსეულ ადამიანებთან ვთანამშრომლობდი და ჩემი წვლილიც შემქონდა იმ დიდ საქმეში, რომელიც საქართველოს ესაჭიროებოდა. ფეხზე ვაყენებდით ჯარს, რომლის ისტორიული გმირული წარსული კარგათ ვიცოდით ისე ჩვენი ოჯახის წევრებიდან, როგორც განსაკუთრებით, ჩვენთვის დაუვიწყარი და ძვირფასი მასწავლებელის კორნელი აღლაძის გაკვეთილებიდან. ქართული ენის ლექციებზედ ხშირათ მოგვითხრობდა წინაპართა გმირულ ბრძოლებზე მონღოლებთან, თურქებთან, სპარსელებთან. უკიდურესათ მძიმე პირობებში დგებოდა ფეხზე დამოუკიდებელი საქართველო. არ იყო სურსათი, გვაკლდა პირველი მოთხოვნილების საქონელი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი. მათი შეძენა უიმედო იყო. რუსეთი შინაურ საქმეებში იყო გართული, ოსმალოები მტრულათ განწყობილნი, დასავლეთის სახელმწიფოები ჩვენი ბედით დაინტერესებულნი არ იყვნენ. მძიმე, მეტათ მძიმე პირობებში ეწყობოდა სახელმწიფო. გაკვირვებას იწვევს მოგონება, თუ როგორ შეეძლით ამ სიძნელეების გადალახვა და სახელმწიფოს ასე თუ ისე მოწყობა. უსათუოთ ამ საქმის წარმატებას უნდა ეუმადლოდეთ ჩვენ ახალგაზრდა, ნიჭიერ და ენერგიულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. საქართველოს ჩრდილოეთით მთიელებიც მიილტვოდნენ დამოუკიდებლობისკენ, სიძნელეები ამის მისახწევათ არც მათ აკლდათ. კავკასიის ფრონტიდან მოხსნილ რუსეთისკენ მიმავალ გაბოლშეეიკებულ ჯარს მათ ტერიტორიაზე უნდა გაევლო. შიმშილის დასაძლეევათ და სურსათის მოსაპოვებლათ თავს ესხმოდნენ, სცარცვავდნენ და ანიავებდნენ მათ ქონებას.

თუ საქართველომ დასძლია ეს პირობები მხოლოთ იმ აღტყინებას მიეწერება, რომელიც გამოიჩინა ქართველმა ერმა დამოუკიდებლობის მოპოების ფაქტით. დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, გერმანელთა ჯარის გამოჩენამ საქართველოში დააშოშმინა ოსმალოები და მათი წინსვლა საქართველოს ტერიტორიაზედ შეაჩერა. უამისოთ ჯარების უქონლობის გამო, ოსმალების წინსვლას ვერ შევაჩერებდით. მათ ეკავათ არდაგანის, ართვინის და ნაწილები ბათუმის ოლქის. იძულებულები ვიყავით ამას დროებით შევრიგებოდით. ასე გასტანა ომის დამთავრებამდის ე. ი. 1918 წლის ნოემბრამდის. მოკავშირეთა გამარჯვების შემდეგ ოსმალეთი იძულებული იყო ამიერკავკასიიდან გასულიყო 1914 წლის საზღვრამდის. აგრეთვე გერმანელებს უნდა დაეტოვებინათ

ჩვენი ტერიტორია. სამაგიეროთ კავკასიაში შემოვიდა ინგლისი. დაიკავეს მათ ბათუმის მცირე ნაწილი, გაანწესეს თბილისში და დაიკავეს ბაქო, სადაც ბოლშევიკთა განდევნის შემდეგ დაისადგურა აზერბეიჯანის მთავრობამ. უნდა აღვნიშნო, რომ ოკუპანტთა მოქცევა, ისე გერმანელების, როგორც ინგლისელების სრულიათ წესიერი იყო. არავითარ უთანხმოებას მათთან ადგილი არა ჰქონია და ჩვენ შინაურ საქმეებში არ ჩაბმულან. მხოლოთ ბათუმში იდგნენ მაგარი ფეხით. შექმნეს აქ ბაზა თეთრგვარდიელთა დასახმარებლათ. არ უწევდნენ ანგარიშს რუსეთში შექმნილ მდგომარეობას, ეგონათ, რომ ეხმარებიან თავის მოკავშირე მეფის რუსეთს. ტყუილ უბრალოთ აწვდიდენ სამხედრო მასალას თეთრგვარდიელებს, რომლებიც თავგზააბნეულები იყვნენ და ვერავითარ დადებით შედეგს ვერ აღწევდნენ. იარაღი კი მათთვის განკუთვნილი ბოლშევიკებს უვარდებოდათ ხელთ და მათ აძლიერებდა.

1918 წლის დამდეგს (თარიღი არ მახსოვს) სრულიათ მოულოდნელათ სომხეთის ჯარი შემოიჭრა ბორჩალოს მაზრაში და დაგვიწყო ომი. ჩემთვის ეს დიდი მოულოდნელობა იყო. საზღვრებიც სუსტათ დაცული. როგორც ზემოთაც მომიხსენებია, სომხეთის მდგომარეობაც კრიტიკული იყო. საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ერთმანეთის სიძულვილი სომხების აზერბეიჯანისადმი და ოსმალოებისადმი აიძულებდა მათ დამფარავის ძებნას. ასეთად რუსეთს თვლიდნენ და თავისი ჯარის მოწყობა ყოფილ რუსეთის ოფიცრებს, ტომით რუსებს დააკისრეს. მუდმივ კავშირში იყვნენ კონტრრევოლიუციონერ გენერლებთან. ესენი სომხეთის ჯარს თავის გამოყოფილ კორპუსათ სთვლიდნენ. რიცხვითაც ბევრნი იყვნენ, რადგან დიდი სიძნელეების გამო ომის შემდეგ რუსეთში დაბრუნებას, სომხეთში დარჩენას არჩევდნენ. სანაინის დაკავების შემდეგ სომხების ჯარი სადახლოში შეიჭრა. თავდაპირველათ მდგომარეობა რთული იყო. ადგილზე მხოლოთ მცირე ნაწილები გვეყენა. საჭირო შეიქნა ხელდახელ მობილიზებული ერთეულების გადასროლა. ფრონტის უფროსათ მთავრობამ გენ. გიორგი კვინიტაძე დანიშნა. მთავარმა შტაბმა მისთვის შტაბი შეადგინა, სადაც მე დამშვერვის გამგის მოვალეობა დამეკისრა. მალე განსაკუთრებული მატარებლით სადახლოსკენ გავწიეთ, უკან მოგვყებოდა სამხედრო ნაწილები, ჯავშნოსანი მატარებლები და საომარი მასალა, რამდენიმე დღის შემდეგ გადავედით კონტრიერიშზედ. უკუვაგდეთ სომეხთა ნაწილები, ოღონდ სომხების მიერ დაკავებული მთელი ტერიტორია არ დაგვიბრუნებია.

სწორეთ ამდროს ფრონტზე გვეწვია მთავარი შტაბის სამარაგო დარგის გამგე, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ნაჩიტაშვილი (?). თან ჩამოიყვანა ინგლისელი პოლკოვნიკი. მისი მოთხოვნილების ძალით გადაწყდა ომები შეგვეჩერებინა, სომხებთან მოლაპარაკება დაგვეწყო ზავის ჩამოსაგდებათ. ორივე ეს ოფიცერი ჩვენ მატარებელში დაბინავდა. მეორე დღეს საქართველოს მხრივ ჯარების მოქმედება შესწყდა და მოეწყო ინგლისელი პოლკოვნიკის თანდასწრებით სომხების და ქართველების სარდლობის შეხვედრა. ძნელი ნარმოსადგენია ჩემი განცვიფრება, როდესაც სომეხთა ჯარის მთავარსარდლის პიროვნებაში დავინახე გენ. სილიკოვი, რომელიც 1914-1915 წლებში პოლკის მეთაურის უფროსის თანაშემწე იყო კავკასიის მსროლელთა მე-8 პოლკში, რომელშიც მეც ვმსახურობდი. ძალიან მაფასებდა და დიდათ ვუყვარდი. მისი ადიუტანტი მურადიანი 1916-1918 წლებში უმცროს ოფიცრათ იყო ასეულში, რომლის უფროსიც მე ვიყავი. ერთმანეთს მივესალმეთ. ორივეს ცრემლი გვედგა თვალში ნუ თუ ჩვენ შორის საბრძოლველი რამე იყო? გეეცხოერა კეთილმეზობლურათ, როგორც ეს წარსულში ყოფილა! ნარმომადგენლების მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულთბილი განწყობილებით და სასურველი შედეგის ნიშნებს იძლეოდა. ერთი საათიც არ იყო გასული მოლაპარაკების დაწყებიდან, რომ ცხენდაცხენ მოვიდა სომეხთა გმირი, ძველი პატაზანელი, მასთან ერთათ ჩემი მზვერავთა ასეულით ვიბრძოდი ოსმალეთის ფრონტზე 1915-1916 წლებში, დეკემბრიდან თებერვლამდის. ბრძოლებით გაეიარეთ ქალ მუში ადუშკის ხეობა ქ...მდის. მივიწევდით წინ და გზას ვუხსნიდით უკან მომავალ კავკასიის მსროლელთა ბრიგადას. დავუახლოვდით ერთმანეთს ამ ბრძოლებში და დავმეგობრდით. მაშინ იყო სწორეთ, რომ სიროსთან ერთად ვათვალიერებდით ევფრატის მარცხენა ნაპირზე, რომელზედაც მაშინ ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის მიერ აშენებული დიდებული ხიდი იყო, გრძელ და ტევად თხრილებს, რომლებიც თურქთა და ქურთების მიერ სომეხთა მოხოცილ გვამებით იყო სავსე. ამ თხრილებს გვიჩვენებდა სასწაულით გადარჩენილი ხნიერი სომეხი. არ იყო სასიამოვნო სანახავი ეს ბარბაროსობა, რომელსაც შემდეგში ევროპის ყველაზედ კულტურული ერიც მიმარ-

თავდა. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ ინგლისელი პოლკოვნიკის თანადასწრებით სამხედრო მოქმედებები შეწყდა, დაიწყო მოლაპარაკება საბოლოო სახის საზღვრების დასადგენათ.

დავბრუნდით თბილისში. მხედართმთავრის შტაბი დაშლილ იქნა და შეეუდექით ისევ ჯარის მოწყობის საკითხს. თეთრგვარდიელები ნოეროსიისკისა, ტუაპსე და სოჭის დაკავების შემდეგ დაიძრნენ გაგრის მიმართულებით. გადმოლახეს საზღვრები და ფიწუნდასა[1] და ოჩამჩირეს დაემუქრნენ. დენიკინისა და ვრანგელის ჯარები საქართველოს დამოუკიდებლობას არა სცნობდნენ, მეფის რუსეთივით საქართველოს თავის საკუთრებათ სთვლიდნენ. საქართველოსა და ამიერკავკასიის რუსეთიდან ჩამოშორება შეუძლებლათ მიაჩნდათ.

საჭირო იყო ძალების საჩქარო შეკრეფა და შემოსეულ მტრის ჩვენი ტერიტორიიდან განდევნა. ამ ფრონტის მთავარსარდლათ დანიშნულ იქნა მეტათ ენერგიული გენერალი მაზნიაშვილი. მის განკარგულებაში გადავიდა ქუთაისის ჯარის და გვარდიის ნაწილები. ამ ჯარებმა ჯერ შეაჩერეს თეთრგვარდიელთა წინსვლა. შემდეგ კონტრ იერიშით განდევნეს ისინი ადლერამდის და დაიკავეს პოზიციები მდინარის პირას გაგრისა და ადლერის შუა.

ზევით მოვიხსენიე, რომ სომხებთან ომის დამთავრების და მთავარსარდლის შტაბის დაშლის შემდეგ, დავუბრუნდი ჩემ მუშაობას გენერალურ შტაბში. წესდებათა შედგენა და მათი ნაწილებში დაგზავნა გრძელდებოდა. მუშაობას ხელმძღვანელობდა გენ. ოდიშელიძე. იქვე ვბჭობდით ჯარის შექმნის საკითხებზე. ჩვენი მთავრობა, როგორც მოვიხსენიე, სოციალისტური იყო და დიდ სურვილს არ იჩენდა რეგულარული ჯარის მოწყობისთვის. საკმარისათ მიაჩნდა ისეთი ორგანიზაციის შექმნა, როგორც შვეიცარიაში იყო ე. ი. მილიციური სისტემა. არ ვიცი თუ ეს მიზან შეწონილ იყო ისე მძიმე პირობებში, როდესაც საქართველო გარსშემორტყმული იყო მტრულათ განწყობილი სახელმწიფოებით. მახსოვს, გენ. ოდიშელიძე დიდათ განათლებული და დამსახურებული ოფიცერი მხარს უჭერდა ამ წინადადებას: საჭიროთ არა სცნობდა ოფიცერთა ხარისხებს, მათ მაგიერ უკეთესათ მიაჩნდა ოფიცერთა წოდება დაკავებულ თანამდებობის თანახმათ აღნიშნულიყო, როგორც გუნდის, ათასეულის, პოლკის უფროსი და სხვა. კომისიამ საბოლოოდ გადაწყვიტა შექმნილიყო 3 ქვეითა ბრიგადა, ერთი ცხენოსანი პოლკი და ცალკეული ბრიგადები არტილერიის, საპერთა და სხვა დარგის ჯარების.

ინგლისელების მიერ ბათუმის დაკავების და ჩრდილოეთის მხრიდან მშვიდობის დამყარების შემდეგ, შესაძლებელი გახდა ოსმალთა ჯარების საქართველოს ტერიტორიიდან, სახელდობრ არდაგანიდან, განდევნა. საჩქაროთ ჩატარდა ჯართა კონცენტრაცია ქალაქ ახალციხის რაიონში. მთავარ სარდლათ დაინიშნა ისევ გენ. კვინიტაძე, რომელმაც დადებითათ დაამთავრა სომხებთან ომი.

მე გენერლის შტაბში დამნიშნეს და გავემგზავრე ახალციხეში, სადაც იდგა ფრონტის შტაბი. ჯარის კონცენტრაციის დამთავრების შემდეგ გადავედით შეტევაზე და გავწმინდეთ ოსმალებისაგან არდაგანი და ნაწილობრივ ართვინის ოლქი. დამარცხებული ოსმალეთი ამ დროს მძიმე პირობებში იმყოფებოდა, ოსმალეთის სულთანი ტახტიდან ჩამოგდებული იყო; ოსმალეთის ბელადს ქემალ ფაშას სხვა ბევრი საქმეები ჰქონდა გადასაწყვეტი და ჩვენთვის ამიტომ არ ეცალა. არდაგანის ოსმალოთაგან განთავისუფლება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მოქმედების დამთავრების შემდეგ შტაბი თბილისში გააუქმეს.

აქ მინდა აღვნიშნო შემადგენლობა სამხედრო სამინისტროსი და გენერალურ შტაბის. სამხედრო მინისტრათ გიორგაძე იმყოფებოდა; მასთან მიელინებულნი იყვნენ გენერლები: ოდიშელიძე, გედევანიშვილი, ქუთათელაძე, ზაქარიაძე და სხვები. შტაბის უფროსათ იყო გენ. ანდრონიკაშვილი, ჭკვიანი, განათლებული, მშრომელი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ჯარის შედგენაში.

კანცელარიის გამგეთ იყო პოლკ. პეტრიაშვილი; მის თანაშემწეებათ მაიორი გოცაძე[2] და ერთი ჩემი ამხანაგი რუსული პოლკიდან.

პირველი საორგანიზაციო განყოფილების უფროსი იყო გენ. შტაბის პოლკოვნიკი ჩეჩელაშვილი (დაამთავრა შემოკლებული კურსი), თანაშემწეებათ პოლკოვნიკი ცაგარელი და მე. მეორე განყოფილების – დაზვერვის – უფროსი იყო გენ. შტაბის პოლკოვნიკი მუსხელიშვილი (დაამთავრა შემოკლებული კურსი), თანაშემწეებათ ჭილაშვილი და სიტაშვილი. აქ უნდა აღვნიშნო, რომ გენ.

[1] sic!

[2] უნდა იგულისხმებოდეს დიმიტრი გოცირიძე *(ლ. ც.)*.

შტაბის პოლკოვნიკი მუსხელიშვილი იყო განსაკუთრებით ნიჭიერი, ზრდილობიანი და მშრომელი ოფიცერი. მას ყველა პატივს სცემდა. დახვრიტეს ბოლშევიკებმა 1924 წლის აჯანყების შედეგ.

მე-IX განყოფილების (მომარაგების) უფროსათ იყო პოლკოვნიკი ივანოვი, ერთათ ერთი ოფიცერი ტომით სომეხი, თბილისში დაბადებული და იქ აღზრდილი (დაამთავრა შემოკლებული კურსი). ენდობოდნენ მას და ასეთი მაღალი თანამდებობა მიანდეს, ოღონდ ეს ნდობა მან ვერ გაამართლა, რაზედაც შემდეგ.

გენ. შტაბის უფროსის თანაშემწეთ იყო გენ. შტაბის პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი. ომის წინ დაამთავრა გენ. შტაბის აკადემია.

ჯარში 3 გედევანიშვილი მსახურობდა: გენერალი ალექსანდრე, რომელიც სამინისტროში მუშაობდა, გენ. იოსები, რომელიც სოც. ფედარალისტთა პარტიის წევრი იყო და I ომის წინ ჯარში არა მსახურობდა. 1918 წ. ადგენდა ფედერალისტურ ლეგიონს და მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა ომებში, და პოლკ. ნიკოლოზი, რომელიც ზევით მოვიხსენიე. ყველამ დაამთავრა ომის წინ გენ. შტაბის აკადემია და ყველანი ერთგულათ ემსახურებოდნენ დამოუკიდებელ საქართველოს. გენ. შტაბის სამხედრო დარგის უფროსათ იყო პოლკ. ნაცვლიშვილი (ომის წინ დაამთავრა გენ. შტაბის აკადემია), გენ. შტაბის პოლკ. ზაქარიაძესთან ერთათ. მეტათ საქმოსანი და ენერგიული პიროვნება, უჭირდა ქართული ლაპარაკი თუმცა მუდამ საქართველოში მსახურობდა. ტრანსპორტის გამგეთ, რომან ოვექსიანი, ჩემი კარგი მეგობარი, მშრომელი და გულდასმითი ოფიცერი. საპაირთა უფროსათ, დიპლომიანი ინჟინერი პოლკოვნიკი თაყაიშვილი (დაამთავრა სამხედრო საინჟინერო აკადემია). ტოპოგრაფიის უფროსათ[1] (დაამთავრა ომის წინ ტოპოგრაფიული აკადემია).

როგორც ზევით მოვიხსენიე, 1918 წელს არ მინდოდა სამხედრო სამსახურში დარჩენა. ვაპირებდი პოლიტეხნიკუმში შესვლას საინჟინერო დარგზე. თურქებთან ომის დროს გამოვცხადდი ფრონტზე და დავიწყე სამსახური, ოღონდ 1918 წელს ალექსანდროპოლიდან ჩამოტანილი ჩემი მოწმობები სამინისტროს პირადი შემადგენლობის განყოფილებისათვის არ გადამიცია. მოწმობები არ მოუთხოვნიათ, არც მაშინ როდესაც გამაწესეს საორგანიზაციო დარგის უფროსის თანაშემწეთ გენერალურ შტაბში.

მხოლოთ 1918 წლის დამდეგს დამიბარეს პირადი შემადგენლობის განყოფილებაში და მომთხოვეს მოწმობები, გადავეცი ყველა, გარდა იმ მოწმობისა, სადაც აღნიშნული იყო ჩემ მიერ პოდპოლკოვნიკის ხარისხის დამსახურება. ამის შესახებ ველაპარაკე ჩემ ამხანაგ გოცირიძეს, მან გაუზიარა ეს კადრების დარგის უფროს პოდპოლკოვნიკ ხომერიკს. დამიბარეს ისევ კადრების დარგში, მომთხოვეს ის მოწმობა. გადავეცი და ვგონებ 1918 წლის იანვარსა თუ თებერვალში ამამაღლეს პოდპოლკოვნიკის ხარისხში. ახალციხიდან დაბრუნების შემდეგ გამოვცხადდი შტაბში. აქ კადრების უფროსის თანაშემწის, პოლკოვნიკ გედევანიშვილთან მიველ ბრძანება წავსულიყავი ბათუმში, სადაც ჩვენ რწმუნებულთან გამოცხადების შემდეგ, უნდა შევხვედროდი ჩვენ ოფიცერს, ქართველ მუსულმანს მამედ ბეგსა[2] და მასთან ერთათ მონაწილეობა მიმეღო ქართველ ოფიცერთა გამოსვლის მოწყობაში ჩვენი ტერიტორიების ინგლისელთა ოკუპაციიდან განთავისუფლების შემთხვევაში. მამედ ბეგი გამოცდილი, განათლებული, გავლენიანი და პოპულიარული პიროვნება იყო ქართველ მუსულმანთა შორის ბათუმსა და ართვინის ოლქებში. ჩვენი ხელმძღვანელობა მას დიდათ აფასებდა და ისიც მათთან მუდმივ კავშირში იყო. მუსულმანობა ქართველებმა ამ ოლქებში ოსმალოთა ძალდატანებით მიიღეს, თავის თავს მუდამ ქართველებათ ცნობდნენ და მისკენ მიილტვიდნენ.

აჭარლები მხოლოდ ბათუმსა და ართვინის ოლქში არა ცხოვრობდნენ, არამედ ტრაპიზონამდის, რომელიც წარსულში აგრეთვე საქართველოს ეკუთვნოდა.

ყოველი ოკუპაცია თუნდაც მოკავშირე სახელმწიფოს მიერ, მცხოვრებთა სიძულვილს იწვევს. ინგლისელთა მიერ ბათუმის ოკუპაციამაც დიდი უკმაყოფილობა გამოიწვია ოფიცერთა შორის. მათ სწადდათ ოკუპაციისგან განთავისუფლება, მით უმეტეს, რომ ინგლისელები ყოველ დახმარებას უწევდნენ თეთრგვარდიელებს, რომლებიც იმ დროს მრავალათ და თავისუფლათ დაპარ-

[1] ტექსტში გვარი გამოტოვებულია *(ლ. ც.)*.
[2] იგულისხმება მემედ აბაშიძე *(ლ. ც.)*.

პაშობდნენ ბათუმში და არა მალავდნენ მტრობას და სიძულვილს ჩვენი ხალხისადმი. ეს მეტათ აღელვებდა მათ და ინგლისელების წინააღმდეგობას უღვივებდა.

მამედ ბეგის ძმა ასლან ბეგი[1] ჩვენმა მთავრობამ გენერლის ხარისხში აიყვანა, რადგან მასაც დიდი გავლენა ჰქონდა აჭარლებზე. მიანდეს მას საიდუმლოთ სამხედრო ორგანიზაცია მოეწყო შესაფერის მომენტში ოკუპანტთა გაძევებასა და ქვეყნის განთავისუფლებაში უცხო ძალებისაგან. ასლან ბეგს შევხვდი ჩვენ წარმომადგენლობაში, დაებინავედი მის ბინაში და შევუდექით ორგანიზაციასა და შეიარაღებას ბათუმის რაიონში.

ეს მუშაობა მეტათ მძიმე და სახიფათო იყო, მით უმეტეს, რომ მე ოფიცრის ტანსაცმელში ვიყავი გამოწყობილი, რომელიც არაფრით არ გამოირჩეოდა მეფის დროინდელ ოფიცერთა ჩაცმულობისაგან. მხოლოდ ქუდებზე გვქონდა ეროვნული ფერების ნიშანი და სამხრეულებზე ქართული ასოებით ამოქარგული ნაწილი და უწყება, რომელსაც ვეკუთვნოდით. ასე იყო ქართული ჯარის ორგანიზაციის დამთავრებამდის რადგან ახლათ ფეხზე დამდგარ სახელმწიფოს აკლდა ფინანსიური საშუალებანი ჯარის ჩაცმულობისთვის. საქართველოს საკმაოთ ჰქონდა საკუთარი ბამბა, მატყლი და აბრეშუმი, მაგრამ საფეიქროს უქონლობის გამო მათ ვერ ამუშავებდა. ასე მართავდა მეფის რუსეთი განაპირა ერების ეკონომიკას. საქართველოში ბევრი იყო ნედლი მასალა მძლავრი საფეიქრო ინდუსტრიის შექმნისათვის, მაგრამ ეს ყველაფერი ქართველებისათვის არ იყო დანიშნული. ჩემი ბათუმში ყოფნა სახიფათო იყო. ჩემ გამოჩენას ყურადღება მიაქციეს ისე ინგლისელებმა, როგორც თეთრგვარდიელებმა. დიდი სიფრთხილე მჭირდებოდა. ასლან ბეგის ბინიდან დღისით იშვიათათ გამოვდიოდი, ისიც სამი-ოთხი აჭარელის თანხლებით. სწორეთ არ მახსოვს, რამდენი ხანი დავყავი ბათუმში. ვგონებ ერთი თვე. გამომიძახეს გენ. შტაბში თბილისში და მიმავლინეს გაგრაში, სადაც იმყოფებოდა დენიკინის თეთრგვარდიელებთან მებრძოლი ჯარის შტაბი. ფრონტის სარდლათ გენ. ციციშვილი იყო, მეტათ თავმდაბალი, სიმპათიური და პატივსაცემი კაცი. მიმიღო მეტათ გულითადათ და გამაცნო ვითარება. ჩვენ ჯარებს ეკავათ პოზიციები მდინარის ნაპირზე ადლერის სამხრეთით; სადაც იმ დროს გადიოდა საქართველოს საზღვარი. მიდამოები მთაგორიანი იყო. ძნელი იყო სამთო არტილერიის ზარბაზნებისათვის პოზიციის მოძებნა. მიუხედავათ ამისა ხაზი საკმაოთ იყო გამაგრებული. გაგრის რაიონიდან თეთრგვარდიელების განდევნა მოულოდნელათ და სწრაფათ ჩატარდა. ადგილობრივმა მცხოვრებმა რუსობამ და მათმა ოჯახებმა, რომლებიც ბინადრობდნენ მეფის დროის მდიდრათ მოწყობილ სასახლეებსა და დაბებში, გახიზნა ვერ მოასწრო, ადგილზე დარჩა და ჩვენდამი მტრულ განწყობილებას არა მალავდა. შავი ზღვის სანაპიროებზედ მოტორიანი ნავების დიდი მოძრაობა იყო ჩრდილოეთიდან და ამ გზით ნოვოროსიისკისა, ტუაფსესა და სოჭიდან ხედებოდა საქართველოში არა ერთი შპიონი. ამ ვითარების დაძლევა ადვილი არ იყო. თანაც ვრცელდებოდა ხმები, რომ დენიკინის ჯარი ემზადება საქართველოსაკენ გამოსალაშქრებლათ და გაგრისა და სოხუმის დასაჭერათ. ეს ცნობები ხალხს მეტად აშინებდა და აღიზიანებდა.

დავიწყეთ ყველა საქართველოსაკენ მომავალი პიროვნებების, მიზეზების და მიზნების გამოკვლევა. ვაკავებდით მათ და უმეტეს შემთხვევაში უკან ვაბრუნებდით. 1918 წლის სექტემბერში ჯარის ნაწილები ჩვენ ფრონტზე სახალხო გვარდიამ შეცვალა. მე შტაბს თბილისში არ გავუძახივარ; დამტოვეს გაგრაში სახალხო გვარდიის შტაბში. უნდა გამოვტყდე, რომ ეს ფაკტი მე არ მომეწონა, რადგან პარტია[2] შედგებოდა პარტიული ხალხისაგან, მენშევიკებისაგან. ყოველ გადაწყვეტილებას იღებდა რამდენიმე პიროვნებისაგან შემდგარი შტაბი, რომელთა შემადგენლობაში რუსებიც ერიენენ, ერთიც ურია იყო რუსეთიდან. ეს პიროვნება მე თავიდანვე არ მომეწონა, საეჭვო გამომეტყველობა ჰქონდა და არც შევმცდარვარ, შემდეგში გამოირკვა, რომ ის ბოლშევიკების აგენტი ბრძანდებოდა.

შტაბის ყველა სხდომას უნდა დავსწრებოდი, მომესმინა ხშირათ უაზრო წინადადებები პიროვნებებისაგან, რომელთაც სამხედრო საქმეზე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ; შტაბის თავჯდომარე იყო ძველი მენშევიკური მოღვაწე – ჯიბლაძე. ჩემზე მან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, იყო მშვიდი, ჭკვიანი, ენერგიული. აზრიანათ უდგებოდა სხვა და სხვა სახის ყველა საკითხს.

[1] იგულისხმება ასლან აბაშიძე *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება გვარდია *(ლ. ც.)*.

სახალხო გვარდიის უფროსათ გაგრის ფრონტზე იყო გენ. ჯიჯიხია, – გაათავა გენ. შტაბის აკადემია ომის წინ – მერყევი ხასიათისა, ადვილათ იჯერებდა და შიშს გვრიდა თეთრგვარდიელების მიერ გავრცელებული ჭორები. გვიან დაბრუნდა საქართველოში და გზაში ბევრი უსიამოვნებაც გადახდა. იქნებ ამისთვის ეშლებოდა ხშირათ ნერვები, მასთან მუშაობა სასიამოვნო არ იყო. გაგრაში გაეცანი სიმპათიური პიროვნება. გვარი არ მახსოვს. მამულები ჰქონდა გაგრაში თუ ოჩამჩირეში და სოჭში. ხშირათ ვხვდებოდი, სადილობდა დროებით სასტუმროს სასადილოში, სადაც ჩვენი შტაბი იმყოფებოდა. ხშირათ თხოულობდა სოჭში წასვლის ნებართვას. უარი არასდროს არ მითქვამს, რადგან სანდო კაცათ ვთვლიდი. ერთხელ ვთხოვე ეპოვნა ვინმე დენიკინის ჯარის ნაწილების შტაბში, რომელიც სოჭში იმყოფებოდა, რომ უტყუარი ცნობები მოეწოდებინა ჯარების ვინაობაზე და მათ განზრახულ მოქმედებებზე, თორემ ყალბი და სენსაციური ცნობების გავრცელებით მეტათ აღელვებენ მეთქი საზოგადოებას. არ გასულა დიდი ხანი და სოჭიდან დაბრუნების შემდეგ მითხრა, რომ სოჭის თეთრგვარდიელთა შტაბში მსახურობს ერთი ქართველი, შტაბს კაპიტანი, რომელიც ყოველი ანაზღაურების გარეშე მოგაწვდით ზუსტ ცნობებს. ერთსა თხოულობს ოღონდ, რომ თუ ჩვენთან გადმოვა ხელი არ შეახოთ და დაპირდეთ ქართულ ჯარში მიღებას. ამასთან ერთათ გადმომცა თეთრგვარდიელთა ჯარის განლაგება სოჭის რაიონში. ცნობები ზუსტი იყო, რადგან ეს ოფიცერი მსახურობდა შტაბის საოპერაციო განყოფილებაში. რომ ნაცნობ და მეგობარ ქართველისათვის ხიფათი ამეცილებინა ვიპოვე ქართველი მუშა, რომელიც საზღვარზე ცხოვრობდა, ყოველ დღე გადადიოდა და ბრუნდებოდა ფრონტის ხაზზე და გადმოჰქონდა იქიდან დაწვრილებით ცნობები ჯარის განზრახულ მოძრაობაზე.

მახსოვს ერთხელ დამიბარა გენ. ჯიჯიხიამ და მაცნობა, რომ იყო მასთან გრაფი ზარზიკინი[1] და გაანდო, რომ ხვალე ღამით თეთრგვარდიელები გადმოლახავენ საზღვარს და სოხუმს შეუტევენო. ზარზიკინი მეფე ნიკოლოზ მე-II ნათესავის ოლდენბურგის პრინცის ნათესავი იყო. ცოლათ ჰყავდა ქართველი თავადიშვილი,[2] ჰქონდა გაგრაში მოზრდილი დაბა, სადაც საცხოვრებლათ მიიღო პეტროგრადიდან გამოქცეული მაღალი წრის ოჯახი. ესენი საქართველოსადმი მტრულათ იყვნენ განწყობილნი და სურდათ, რომ გაგრის რაიონი თეთრგვარდიელებს ჩაეარდნოდა ხელში. სწორეთ წინა დღისით მივიღე ცნობა თეთრგვარდიელების შტაბში მომუშავე ქართველ ოფიცრისაგან, რომ თეთრგვარდიელებმა სოჭისა და ტუაფსეს რაიონებიდან რამდენიმე ერთეული საპერებისა და არტილერიისა გადაისროლეს სტავროპოლის წინააღმდეგ მოქმედ ჯარებში. გენერალს მოვაღსენე, რომ ეს ცნობები ყალბია, გრაფი ზარზიკინი სტყუის. შეუძლებელია აქ შემოტევას აპირებდნენ და ჯარების ნაწილებს კი სტავროპოლის ასაღებათ აგზავნიდნენ მეთქი. ლაპარაკს სუსხიანი ხასიათი ჰქონდა, ცოტა წავილაპარაკეთ კიდეც. არა მჯერაო თქვენი ცნობა. დამტოვა შტაბში და თვითონ პალტოთი ხელში ფრონტისკენ *გასწია*,[3] ღამეს იქ გავათევ საჭირო ბრძანებების გასაცემათო. განკარგულება გავეცით ფრონტის განგაშისა და დაზვერვის გახშირების შესახებ. მე შტაბში დავრჩი. არავისგან არავითარი ტელეფონი არ მიმიღია. ღამემ მშვიდობით ჩაიარა და დილით ჩვენი ძილგატეხილი გენერალი გამოცხადდა სასტუმროში. გაბრაზებული იყო ჩემზე. მომავალში არ გაბედოთ ჩემი განკარგულებების ნინააღმდეგობაო. ვუპასუხე, რომ თუ კი მე არ შემძლებია გადმოგცეთ ცნობები მტერზედ, რომლებიც შტაბს აქვს, მაშინ ჩემი თქვენთან ყოფნა უაზროა და მოვთხოვ გენერალურ შტაბს აქედან გამიწვიონ მეთქი. ასეც მოვიქეცი, ოღონდ შტაბმა თხოვნაზე უარით მიპასუხა და მიბრძანა დავრჩენილიყავ გაგრის შტაბში. მალე გაგრის ფრონტზე გვარდიელები შეცვალა ჯარმა. ფრონტის უფროსათ დაინიშნა გენ. ციციშვილი. ჯარები ქუთაისიდან იყო. მშვენივრათ მახსოვს 1919 წლის შემოდგომაზე თეთრგვარდიელების შტაბში მყოფ ოფიცრისგან მივიღე ცნობა, რომ ახლო ხანში ტუაპსიდან უბრალო ნავით წამოვა ოფიცერი საპერი ბზიფის ხიდის ასაფეთქებლათ. საღამო ხანს გადმოჯდება ბიჭვინთის რაიონში და თან ექნება საკმაო ასაფეთქებელი მასალა ხიდის ასაფეთქებლათ. საჭირო იყო სათანადო ზომების მიღება. გენერალთან მოლაპარაკების შემდეგ კალათიანი მოტოციკლით (მე ვიჯექი კალათაში) გავემგზავრე ქალაქ ოჩამჩირესკენ. სადაც იმყოფებოდა მოსაზღვრე ჯარის უფროსი, ამ ნავის ხელში ჩაგდების მოსანყობათ. სწორეთ ამ დროს

[1] იგულისხმება გრაფი პეტრე ზარნეკაუ *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება თამარ შერვაშიძე *(ლ. ც.)*.

[3] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ტექსტში გამოტოვებულია *(ლ. ც.)*.

არა სასიამოვნო მოვლენა შემემთხვა. გზის მოსახვევში მძღოლმა ვერ დაიმორჩილა მოტოციკლეტი, თითონ გადახტა, მე კი 10 მეტრის სილრმიდან ხეში გადავვარდი. საბედნიეროთ იოლათ გადავრჩი, ვიღაც მარჯვენა ხელი და დიდ ტკივილებს ვგრძნობდი სხეულის დაბეჟვის და დამტვრევის გამო... მიუხედავათ ამ ტკივილებისა გავეცი სათანადო განკარგულება საიდუმლოთ ზღვის ნაპირების შეკვრისა და საამისოთ ყოველ ერთ კილომეტრზე სადარაჯოების მოწყობისათვის.

სადარაჯოებს უნდა აღმოეჩინათ ნავის ნაპირთან მიდგომის ადგილი, მიეშვათ ნავიდან გადმოსვლისა და ბარგის გადმოტვირთვამდის და შეეპყროთ ნავიდან გადმომხტარნი. მზგავსი ბრძანებები გაგრის მესაზღვრე ერთეულებსაც გავეცი და ჩემი ნატკენი ხელით, მოტოციკლეტით, რომელიც საბედნიეროთ არ დაზიანებულა, დავბრუნდი გაგრაში შედეგის მოსაცდელათ. რაკი რამდენიმე დღემ უშედეგოთ გაიარა, შევეკითხე, ცნობა ყალბი ხომ არ იყო და ექნება თუ არა ამ საპერი ოფიცრის მოსვლას ადგილი? მიპასუხეს, რომ განზრახვა აქტუალურია და მხოლოთ ხელსაყრელ ამინდს ელიანო საამისოთო. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ *მიეღეთ*[1] ცნობა, რომ ბიჭვინთისა და გუდაუთის შუა შეიპყრეს რუსი ოფიცერი, რომელმაც ჩვეულებრივი ნავით მოიტანა ასაფეთქებელი მასალა ბზიფის ხიდის ასაფეთქებლათ. ძლიერი პატრულის თანხლებით ეს ოფიცერი გადაიგზავნა გაგრის ციხეში გამოძიების ჩასატარებლათ. თეთრი ოფიცერი გამოტყდა, რომ მოვიდა ნავით და ჩამოიტანა ასაფეთქებელი მასალა ხიდის ასაფეთქებლათ. ბრძანებას ვასრულებდი და ქართველები ვერ იქცევიან კარგათ, რომ თეთრებს არ ემორჩილებიანო. მე არავითარ დამოუკიდებელ საქართველოს არ ვცნობო. გამოძიების დამთავრების შემდეგ საქმე გადაეცა სამხედრო სასამართლოს. მე ამ სასამართლოს წევრი ვიყავი. ოფიცერი კაპიტნის ხარისხში იყო, ნამდვილი რუსი; მართლაც არა სცნობდა არავითარ ნაციას რუსების გარდა. მეფის დროინდელი რუსეთი მიაჩნდა რუსეთის ხელშეუხებელ საკუთრებათ და აზრადაც არ მოსვლია არასოდეს, რომ ამ მიწებს რუსებს ვინმე გამოგლეჯდა. იყო განათლებული, ჭკუამახვილი, გამოტყდა, რომ ჩამოვიდა ხიდის ასაფეთქებლათ და თავისი საქციელი სრულიათ გამართლებულათ მიაჩნდა, რაკი მოქმედებდა ერის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთს ჰლალატობდა. ცხადია, სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა დახვრეტით. გენ. შტაბის განკარგულებით გადაგზავნილ იქმნა ქუთაისის ციხეში.

ამ დროს თბილისში მრავალათ იყო შემოფარებული სოჭის, ტუაპსის, ნოეოროსიისკის, მაიკოპის და კრასნოდარის მოქალაქე ცნობილი მოღვაწეები. მათი წადილი იყო თეთრგვარდიელთა ოკუპაციიდან გაენთავისუფლებინათ თავიში მხარე. ეწეოდნენ სათანადო ორგანიზაციულ მუშაობას აჯანყების მოსაწყობათ და შავი ზღვისპირეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკის შესაქმნელათ. მახსოვს 1919 წლის დამდეგს, მათ მიერ შექმნილი აჯანყებულთა შტაბი ჩამოვიდა თბილისიდან გაგრაში და მოეწყო დროებით სასტუმროში, სადაც ჩვენი შტაბიც იმყოფებოდა. მათი ხელმძღვანელობით 1919 წლის ბოლოს თუ 1920 წლის დასაწყისში მოეწყო აჯანყება. გაანთავისუფლეს სოჭის და ტუაპსეს რაიონები. მოიწევდნენ მაიკოპის რაიონისკენ. თეთრებმა განიცადეს სასტიკი დამარცხება და დაფეთებულები იხევდნენ ჩრდილოეთსა და ჩრდილო აღმოსავლეთისკენ. ეს მოვლენა ჩვენთვის დიდათ ხელსაყრელი იყო, რადგან სურსათის ნაკლებობის გამო ძნელი იყო ჯარების მუდმივ მობილიზაციაში ჭერა და ფრონტის ხანგრძლივი არსებობა. საკმარი იყო დავყრდნობოდით ჩვენდამი კეთილგანწყობილ შავი ზღვისპირეთის რესპუბლიკას და გვეზრუნა მხოლოთ ჩვენი ჩრდილოეთის საზღვრის დაცვაზე მოსაზღვრე ერთეულების განლაგებით.

როგორც მოვიხსენიე, თეთრები თავ-გზა აბნეულები იხევდნენ ჩრდილოეთისკენ. ადგილზე სტოვებდნენ იარაღსა და სამხედრო ხელსაწყოებს. მიპქონდათ ან ზღვაში ჰყრიდნენ სამთო არტილერიის ზარბაზნების საკეტებს. აჯანყებულებმა გვთხოვეს ამ უსაკეტო ზარბაზნების ასამუშავებლათ გვეთხოვებინა მათთვის საკეტები, რაც შეუსრულეთ. აჯანყებულები დატოვებულ რამდენიმე ათეულ ზარბაზნებიდან ცეცხლს უშენდნენ თეთრებს. ამან გამოიწვია შემდეგში გართულება. თეთრებმა აცნობეს ინგლისელებს ნოეოროსიისკში, რომ ქართველები ეხმარებიან აჯანყებულებს; უსაკეტოთ დატოვებულ ზარბაზნებიდან ცეცხლს გვიშენენო. სოჭის დაკავების მესამე დღეს ვაპირებდი გადაცმულ ტანსაცმელში ჩავსულიყავი სოჭში და გაერკვეულიყავი მდგომარეობაში. სწორეთ ამ დროს გაგრაში გამოჩნდა ინგლისელების უშველებელი „დრედნოუტი". ნავთსადგურიდან დაგვირეკეს, რომ ჩამოვიდა ინგლისელი გენერალი და ფრონტის სარდლის ნახვა

[1] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ტექსტში გამოტოვებულია *(ლ. ც.)*.

უნდაო. წავედი მე ნავთსადგურზე. შევხედი გენერალს, მის ოფიცერსა და მთარგმნელს. არ მომსალმებიან. გამომიცხადეს, რომ ფრონტის სარდლის ნახვა გვინდაო. სალამი მივეცი და ვთხოვე გამომყოლოდნენ, რადგან გენერალი აქ ახლოს იმყოფება მეთქი. მივიყვანე შტაბში გენერალთან. ინგლისელი გენერალი არ მისალმებია ჩვენ გენერალს. მორთო უხეში ყვირილი იმაზედ, რომ ქართველები ეხმარებიან აჯანყებულებს და მათთვის ზარბაზნის საკეტები მიუციათო. ჩვენმა გენერალმა ამას ტყუილი უწოდა, რადგან ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცითო. მე ჩავერიე ლაპარაკში და ვთხოვე წასულიყავით ნაკვეთზე სიმართლის შესამოწმებლათ. წავედი მანქანის მოსაყვანათ, თანაც დაეურეკე არტილერიის დივიზიონის უფროსს, რომ საჩქაროთ გზის შორს მდგომი ბატარეებიდან ზარბაზნების საკეტები გზის ახლოს მდებარე ზარბაზნებისათვის გადაეცათ, რადგან თქვენთან მოემგზავრება ინგლისელი გენერალი შესამოწმებლათ აქვთ ზარბაზნებს საკეტები თუ არაო? ვუბრძანე საჩქაროთ და გულისხმიერათ მისდგომოდა საქმეს და ყველაფერი წესრიგში მოეყვანა. ამასობაში მოგვადგა ავტომანქანა, პატარა ფორდი. გავწიეთ ფრონტისკენ. გზის პირას მდგომ ზარბაზნებს საკეტები წესრიგში აღმოაჩნდათ. ვთხოვე დანარჩენი ბატარეებიც დაეთვალიერებინათ. გენერალმა თანხმობა განაცხადა. მივიწევდით წინ ისეთ ოღრო-ჩოღრო და ქვებით სავსე გზით, რომ გენერალს მოსწყინდა ჯაყ-ჯაყი და უკან დაბრუნება ისურვა, თანაც შეკურთხვას უგზავნიდა თეთრგვარდიელებს ტყუილი ცნობის მოწოდებისთვის.

სწორეთ ამ დროს მივიღეთ ცნობა, რომ ჩვენი მინისტრი ნოე რამიშვილი ავტომანქანით სოხუმიდან გაგრისკენ მოემართება. სურს ადგილობრივ გაერკვეს მდგომარეობაში და აჯანყებულთა ხელმძღვანელებს შეხვდესო. გაგრაში მინისტრის ჩამოსვლის ამბავი, ჩვენმა გენერალმა ინგლისელ გენერალს გაუზიარა. მან მოისურვა მინისტრთან შეხვედრა: მინისტრის ჩამოსვლა მაცნობეთო. საამისოთ მოტორიანი ნავი დატოვა ნაპირზედ. ჩამოვიდა თუ არა მინისტრი, რასაც ადგილი ჰქონდა ნაშუადღევს, ვაცნობეთ ინგლისელ გენერალს და ისიც მოვიდა სასტუმროში ჩვენი გენერლის ოთახში. დასაწყისში ლაპარაკი დაძაბული იყო, ოღონდ თანდათან მშვიდი ხასიათი მიიღო. მინისტრი რამიშვილი ცნობილი ორატორი იყო, მან დააჯერა, რომ გენერალი შეცდომაში შეიყვანეს, რომ მათი წარმომადგენელი თბილისში პატივით არის მიღებული და ისიც არის დადებითათ ჩვენდამი განწყობილი. თეთრგვარდიელები კი დაპყრობით პოლიტიკას ანარმოებენ, იმის ნაცვლათ რომ ბოლშევიკებს ეომონ, სხვის ტერიტორიას ეპოტინებიანო. დასასრულს, რაკი ლაპარაკმა სხვა სახე მიიღო, მინისტრმა დაპატიჟა ვახშამზე ჩვენ სასადილოში გენერალი „დრედნოუტის“ ყველა ოფიცრებიანათ. გენერალმა თანხმობა გამოაცხადა. ამასობაში თადარიგი დავიჭირეთ ვახშმის მომზადებისა, მომღერალთა და მოცეკვავთა დასაპატიჟებლათ. ვახშამზე ყველა ინგლისელი ოფიცერი მოვიდა და შემოუსხედით მდიდრულათ განყობილ სუფრას.

მინისტრმა რამიშვილმა, ნახევარი საათის შემდეგ ბოდიში მოიხადა გენერლის წინაშე, რომ დაღლილია და დასასვენებლათ წავა თავის ოთახში, თქვენ კი ისიამოვნეთ და კეთილათ გაატარეთ დრო ჩვენ ოფიცრებთანო. დაიწყო სადღეგრძელოები, ცეკვა-სიმღერები, სასმელები არ გვაკლდა; ზეიმმა გათენებამდის გასტანა. ინგლისელი ოფიცრები კარგა შექეიფდნენ, ცდილობდნენ ლეკური ეცეკვათ, ძალიან მოგვწონსო... გათენებისას ნავთსადგურამდე მივაცილეთ; გემის უფროსმა ყველანი საუზმეზე დაგვპატიჟა, ოღონდ ჩვენ სასტუმროში გამოსაფხიზლებლათ დატოვეს 3 ინგლისელი ოფიცერი, რომლებიც ვერას გზით ცნობიერებაში ვერ მოიყვანეს. მიგვიღეს გულითადათ, გვაჩვენეს ბურთის თამაში ზღვაში. დრომ სასიამოვნოთ ჩაიარა, ოღონდ არავის[1] ხელი არავის მოუკიდებია. გემის დათვალიერების შემდეგ გადმოვსხედით ნაპირზე, გემი ნოვოროსიისკისკენ გაემართა, სადაც იმყოფებოდა იმ დროს დენიკინის დამხმარე ინგლისელთა მისია, რომელსაც ისინი ეხმარებოდნენ.

იმ დროს მინისტრი რამიშვილი მანქანით ჩავიდა სოჭში მდგომარეობაში გასარკვევათ. ინგლისელთა წასვლის მეორე დღეს ფოსტის მოხელის ტანსაცმელში გავემგზავრე სოჭში აჯანყებულთა შტაბში. იქ მთხოვეს აუცილებლათ დამეტოვებინა ზარბაზნების საკეტები. გამაცნეს დანვრილებით ფრონტის მდგომარეობა და მთხოვეს დავრჩენილიყავ მათ შტაბში. ეს უკვე ჩემგან არ იყო დამოკიდებული და საჭირო იყო დაებრუნებულიყავ გენ. შტაბში ახალ თანამდებობის მისაღებათ.

1919 წლის შემოდგომაზე დამტკიცებულ იქნა ქართული ჯარის ორგანიზაცია. წინადადებები რამდენიმე იყო. კამათის შემდეგ მიიღეს პოლკ. ზაქარიაძის წინადადება, რომელიც აყვანილ იქნა

[1] sic!

გენერლის ხარისხში და დაინიშნა გენერალური შტაბის უფროსათ. ოფიცრებს ენიჭებოდათ ხარისხები დაკავებული თანამდებობის შესაბამისათ. ხარისხები ასეთი იყო: უმცროსი ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი, მაიორი, პოლკოვნიკი და გენერალი. ნაცვლებისათვის: სექციის უფროსი, მწყობრის უფროსი და ზემდეგი.

ჯარი შედგებოდა ქვეითა ჯარის 4 ბრიგადისაგან. ბრიგადა 4 პოლკისაგან (უფრო სწორათ ახალი სახის ათასეულებისაგან) და სამთო არტილერიის 1 დივიზიონიდან.

ქვეითა ჯარის პოლკში შედიოდა 5 მსროლელთა ასეული, 1 მძიმე ტყვიამფრქვევთა ასეული, მოკაჟშირეთა, მზვერავთა, ამფეთქებელთა და შტაბის მწყობრები. გარდა ამისა არსებობდა მოსაზღვრეთა პოლკი (დამოუკიდებელი ათასეულით) შემდეგი შემადგენლობით: 6 ასეული ქვეითა ჯარისა, 3-დივიზიონიანი საარტილერიო ბრიგადა, ცხენოსანი პოლკი, საპიორთა ათასეული, რადიო-ტელეგრაფის ნანილი, საავიაციო ესკადრონი, ჯავშნოსანი ავტომობილების ნანილი, ავტომობილების სატრანსპორტო კოლონა და 4 ჯავშნოსანი მატარებელი.

გარდა ამისა გათვალისწინებული იყო 20 მარაგის ათასეული. ჩვენ პირობებში, როდესაც ყოველი მხრიდან მტერი გვიტევდა მარაგა მუდამ თოფ ქვეშ იყო. მარაგის ათასეულისთვის არსებობდა მუდმივი კადრი. ჯარისკაცები იყვნენ სახლებში თოფებითა და ტანსაცმელით და საჭიროების შემთხვევაში ცხადდებოდნენ თავთავიანთ ნანილებში ისე, როგორც ეს შვეიცარიაშია. სახალხო გვარდიაში ოფიცერთა ხარისხები არ იყო. გვარდიას შეადგენდნენ უმთავრესათ პარტიის წევრები, მენშევიკები; მხოლოთ ერთი ათასეული იყო შედგენილი სოციალისტ-ფედერალისტების მიერ გენ. იოსებ გედევანიშვილის უფროსობით, რომელიც პირველი ომის წინ, პოლიტიკური საქმიანობისთვის ჯარიდან იყო განთავისუფლებული. გვარდიაში საუკეთესო ოფიცრები ივლინებოდნენ. ეს კი მეტათ აძნელებდა ჯარის შექმნას. ჯარსა და გვარდიას შორის ურთიერთობა ვერ იყო იდეალური. გვარდიის ოფიცრებს ჰქონდათ ზოგიერთი პრივილეგიები, რაც მუდმივ ჯარს ალიზიანებდა. უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი საქართველოში არა ყოფილა ფინანსიური მოსაზრებით. განზრახულ იყო უმაღლესი ცოდნის მისაღებათ ოფიცრების საფრანგეთის აკადემიაში მივლინება.

სამხედრო სამინისტრო შესდგებოდა რამდენიმე დეპარტამენტისაგან. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო არსენალი, რომელიც მიმართავდა სხვა და სხვა ხერხებს იარაღის, ვაზნების და ჭურვების დასამზადებლათ. ამ დეპარტამენტს განაგებდა დიდათ გამოცდილი გენ. ქუთათელაძე, რომელიც ომის დროს ასრულებდა მთავარი ინსპექტორისა და მეფის რუსეთის არტილერიის უფროსის თანაშემწის თანამდებობას.

რადგან მდგომარეობა მეტათ გართულებული იყო, დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით შეიქმნა თავდაცითი საბჭო პრეზიდენტისა და იმავე დროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას თაოსნობით. თავდაცვის საბჭოში გარდა იმისა შედიოდნენ: სამხედრო მინისტრი, გენ. შტაბის უფროსი, მთავარ სარდლათ დანიშნული გენერალი, სახალხო გვარდიის უფროსი და რამდენიმე ცნობილი გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე. ამნაირათ გამოიყურებოდა სამხედრო ორგანიზაცია ახალგაზრდა სოციალისტურ რესპუბლიკაში. გასაკეთებელი ბევრი იყო, ეკონომიური ვითარება მძიმე, რაც ზედგავლენას ახდენდა ჩვენი ცხოვრების ყველა დარგზე. გაიგზავნა დელეგაციები უცხო ქვეყნებში სურსათის და საომარი მასალის შესაძენათ, რომლის ნაკლებობას განვიცდიდით, მით უმეტეს, რომ გარდა არსენალისა არავითარი ქარხნები არა გვქონია მათ დასამზადებლათ. მინდა აქ მოვიხსენიო მაღალი ღირსების პატრიოტები და თავდადებული პიროვნებები; იყვნენ ისინი: გენ. ართმელიძე, ქუთაისის ბრიგადის უფროსი, გენ. წულუკიძე, ახალციხის ბრიგადის უფროსი, გენ. თაყაიშვილი ტეხნიკურ ნაწილების უფროსი. ამათ გარდა სამხედრო მინისტრის განკარგულებაში იყვნენ: გენ. ოდიშელიძე, ყოფილი თანაშემწე კავკასიის ჯართა უფროსისა, გენერლები: მდივანი, ანდრონიკაშვილი და სხვები, რომელთა გვარები საუბედუროთ ვერ მომიგონებია. გენერალურ შტაბში, რომლის უფროსობა გენ. ზაქარიაძეს ხვდა წილათ, დიდი პირადი შემადგენლობის ცვლილებები არ მოახდინა,[1] გარდა იმისა, რომ პოლკ. ძაგანიას მაგიერ, რომელიც დაინიშნა ბრიგადის შტაბის უფროსათ, დაინიშნა გენ. შტაბის პოლკოვნიკი (აჩქარებული კურსი) ჩეჩელაშვილი. გაგრაში ჩასულისთანავე შევუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას დაზვერვის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე.

ამ დარგში, გარდა თურქებთან ომებისა 1918 წელს, არას დროს არ მიმუშავნია. გენ. შტაბის უფროსის თანაშემწემ, პოლკოვნიკმა ნიკოლოზ გედევანიშვილმა გამაცნო ვითარება და ამიხსნა მოვალეობა.

[1] sic!

უნდა გავცნობოდი სამხედრო ატაშეებს იმ სახელმწიფოთა, რომელთაც ჩვენი დამოუკიდებლობა იცნეს: სასომხეთის, აზერბეიჯანის, საფრანგეთის, ინგლისის, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელების და სხვათა. ამის გარდა უნდა დამედგინა მდგომარეობა ჩრდილოეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც იკრიბებოდნენ ბოლშევიკების მიერ დევნილი თეთრგვარდიელების ნაწილები. ზევითაც ვთქვი, რომ თეთრგვარდიელთა ჯარი, არავითარ ძალას არ წარმოადგენდა, მორალურათ დაშლილი, თავგზააბნეული, უდისციპლინო ნაწილებს ვერც ინგლისელთა დახმარება შეელიდა. იარაღი, რომელსაც მათ ანოდებდნენ, ხელთ უვარდებოდა ბოლშევიკებს და აძლიერებდა მტერს. მდგომარეობაში საზღვრების ჩრდილოეთით მშვენივრათ ვერკვეოდი, რადგან მთელი ერთი წელიწადი დავყავი იქ. დაზვერვის აპარატი სამაგალითოთ მოქმედებდა, განსაკუთრებით შავი ზღვის პირეთის მცხოვრებთა მიერ თეთრგვარდიელების განდევნის შემდეგ სოჭისა და ტუაპსეს რაიონებიდან. ამასობაში ბოლშევიკებმა წარმატებას მიაღწიეს და ვრანგელის და დენიკინის ჯარი იძულებული იყო თურქეთისკენ დაეხია. ნაწილი მათი იხევდა მაიკოპ-ტუაპსე-სოჭისკენ ან ჩრდილოეთ კავკასიისკენ. ამათ საშუალება არა ჰქონდათ ოსმალეთისკენ ევაკუაციისა. სახეში უნდა მიგვეცო, რომ თეთრგვარდიელები მოუახლოვდებიან ჩვენ საზღვრებს და მაშინ დაგვჭირდება ან ბრძოლა მათთან ან და ტყვეთ ჩაგდება განიარაღების შემდეგ. დაიწყო მენშევიკების და თეთრგვარდიელების მოლაპარაკება ამ საკითხზე. გადაწყდა, რომ თუ იარაღს დაჰყრიან ჩვენი მთავრობა მიიღებს მათ, გადაგზავნის ბათუმსა და ფოთში და იქიდან თურქეთში. თეთრი ჯარის გამოჩენამდე ჩრდილოეთის საზღვარზე გადმოდიოდნენ პეტროგრადისა და მოსკოვიდან ბოლშევიკების მიერ დევნილი განთქმული ხელოვნების, კულტურისა და მეცნიერების მუშაკები. მათ შორის იყვნენ არტისტები, მოსკოველი ხელოვანები სამხატვრო თეატრიდან, მოსკოვის დრამატიულ თეატრისა, პეტროგრადის სატირული თეატრისა, ცნობილი ბალეტმაისტერები, მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის თეატრისა, რომლებიც თბილისის დრამატიულ თეატრის შენობაში 1921 წლის თებერვლამდის მშვენიერ წარმოდგენებს მართავდნენ.

შეგვექმნა რთული პოლიტიკური და სამხედრო ვინაობა.[1] ინგლისელებმა, რაკი დარწმუნდნენ, რომ თეთრგვარდიელების დახმარება უაზროა, დატოვეს ნოვოროსიისკი და გადმოგვცეს ჩვენ განკარგულებაში ბათუმის ოლქი. ჩვენთვის ეს დიდათ სასიხარულო მოვლენა იყო, რომ წინ მოსალოდნელი სიძნელეების დაძლევა არა გეჭირდებოდეს.

ბოლშევიკებმა დაიკავეს მაიკოპი, ტუაპსე, სოჭი და მოადგნენ ჩვენ საზღვრებს, ჩრდილო დასავლეთის მხრივ ადლერის ჩრდილოეთით.

მდგომარეობა მეტათ დაძაბული იყო, არ იყო არავითარი გარანტია, რომ საქართველოში არ შემოიჭრებოდნენ; გამოცხადდა ჯარის და გვარდიის მობილიზაცია, რასაც მოჰყვა საზღვრების გამაგრება. აზერბეიჯანისა და სომხეთის ატაშეები სასონარკვეთილებამ მოიცვა. აზერბეიჯანის ატაშეს გვარი არ მახსოვს, სომხეთისა გვარათ ქიშმიშიანი იყო. მათ დიდი იმედი ჰქონდათ, რომ საქართველო დაეხმარებოდა მათ ბოლშევიკების ბრჭყალებიდან განთავისუფლებაში; ჩვენ საამისო ძალა სად გვქონდა? გარედან მეშველი არსაიდან არ ჩანდა. ომით მოღლილ ევროპის სახელმწიფოებს საკმაო საკუთარი სადარდელი ჰქონდათ და კავკასიისთვის საბრძოლველათ არა სცალოდათ. ის კი არა და სამხედრო მასალის მოწოდებაც ეძნელებოდათ, მიუხედავათ ჩვენი მრავალი ცდებისა, მხოლოთ სტამბოლში ჩამორთმეული იარაღი და ვაზნები გაიმეტეს მოსასყიდათ და ისიც სისხლის ფასათ, მყარი ვალუტით.

თუ არა ვცდები, ვგონებ, 1920 წლის აპრილში ბოლშევიკები ომის გამოუცხადებლივ შემოიჭრენ ჩვენ საზღვრებში აზერბეიჯანისა და სასომხეთის მხრიდან.

მთავრობამ მაშინათვე დანიშნა მთავარსარდლათ გენ. კვინიტაძე და დაიწყო მწვავე ომი ბოლშევიკებთან. საბედნიეროთ ამ ომს ჩვენ კარგათ მომზადებული დავხვდით. მობილიზაცია დროზე ჩატარდა. ჯარში შეუპოვარი სულის კვეთება სუფევდა. ბოლშევიკებმა ვერსად ვერ გადმოლახეს ჩვენი საზღვრები. ამ დროს ისინი პოლონელებთან ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი და იმედი, რომ აზერბეიჯანსა და სომხეთში მყოფი ჯარებით საქართველოს დასძლევდნენ, არ გაუმართლდათ. სულ მოკლე ხანში ბრძოლები შესწყდა და დაიწყო საზავო მოლაპარაკება. დაისვა საკითხი საქართველოსა და რუსეთს შორის ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების და ყველა სადავო საკითხის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შესახებ.

[1] უნდა იგულისხმებოდეს ვითარება *(ლ. ც.)*.

1920 წლის მაისის დასაწყისში შეიკრა საზავო ხელშეკრულება. მისი ძალით რუსეთი სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, უარს ამბობდა ყველა უფლებებზე საქართველოსადმი, რომლებიც მეფის რუსეთს ჰქონდა. სცნო ჩვენი საზღვრები საბჭოთა რუსეთთან და პირობას სდებდა არ ჩარეულიყო საქართველოს შინაურ საქმეებში. დანიშნულ იქნენ წარმომადგენლები საქართველოსი მოსკოვში და ბოლშევიკური რუსეთისა თბილისში. ძნელი ასაწერია ხალხის ენთუზიაზმი, რომელიც გამოინვია რუსეთის განდევნამ საქართველოს საზღვრებიდან და ასეთმა ხელსაყრელმა *პირობებმა*.[1]

თუ არა ვცდები, ჩვენ წარმომადგენლათ მოსკოვში დაინიშნა სოსო მდივანი, სამხედრო ატაშეთ კი გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ანტონ ნაცვლიშვილი. თბილისში ჩამოვიდა 100 კაცისაგან შემდგარი მისია, ამბასადორის[2] გვარი არ მახსოვს და შეიქმნა საქართველოს უკუდაზვერვისა და დაცვის ორგანოებისთვის თავსატეხი ხანა. ჩვენი დამოუკიდებლობა იცნეს იმდროინდელ პირობათა კარნახით. მაშინ ისინი პოლონელებთან ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი. არსებობა მენშევიკურ საქართველოსი, მათი თქმით, მიუღებელი იყო იმის და მიუხედავათ, რომ იგი დასაელეთ ევროპის სახელმწიფოში სცნეს სანიმუშოთ.

შეიქმნა თუ არა ხელსაყრელი პირობები, ხელახლათ შეუდგნენ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისა და ჩაყლაპვის საქმეს; საამისო მომზადებას აშკარათ და მოურიდებლათ ანარმოებდნენ ბოლშევიკურ წარმომადგენლის თბილისში ჩამოსვლის დღიდანვე.

ეძებდნენ თავიანთ მომხრეებს, და იმ გვარათ მიჰყავდათ საქმიანობა, რომ ხალხის უკმაყოფილობა გამოეწვიათ ხელისუფლებისადმი, ეკონომიურ სიძნელეების გამო. ასეთი მათი მოღვაწეობა ხალხზე ზედგავლენას არ ახდენდა, მხოლოთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აიყოლიეს მცირე რიცხოვანი გლეხობა. ოსეთში მათ სანინააღმდეგოთ საჩქაროთ გაგზავნილ იქნა გვარდიის ათასეულები და ჯარის ნანილები გენ. მაზნიაშვილის თაოსნობით. რამდენიმე დღის განმავლობაში აჯანყება ჩაქრობილ იქნა და ისევ მშვიდობა დამკვიდრდა. პოლონეთთან ომის დამთავრებისასვე მიზნათ დაისახეს საქართველოს მოსპობა. დაიწყეს ჯართა დაჯგუფება ჩრდილოეთ კავკასიაში. რუსეთის 100 კაცისგან შემდგარი მისია შეუდგა დივერსიულ მუშაობას: სრულიათ აშკარათ ამას ხელმძღვანელობდა და ხელს უწყობდა მათი კონტრდაზვერვა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შექმნილი განსაკუთრებული დანიშნულების ნანილები. აღსანიშნავია, რომ ინტელიგენტთა და რუსეთში უმაღლეს სასწავლებლებ დამთავრებულთა შორის ბოლშევიკებისადმი თანამგრძნობნი მოიპოვებოდა, მათ შორის: ბუდუ მდივანი, ნ. ქავთარაძე[3] და სხვანი. მშრომელთა შორის ბოლშევიკებს თანამგრძნობნი არ აღმოაჩნდათ. საერთოთ საქართველოში პროლეტარ-მუშათა რიცხვი დიდი არ იყო, რადგან მიუხედავათ ნედლი მასალის სიუხვისა მეფეთა რუსეთი ერიდებოდა განაპირა ქვეყნებში მრენველობის განვითარებას. ამ ხასიათის მუშათა წრეს ეკუთვნოდნენ ჭიათურის მანგანის ამომღები, ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის დამმუშავებელი და რკინიგზის შემკეთებელი სახელოსნოების მუშები: ბათუმსა, ფოთსა, სამტრედიასა, შორაპანსა, ხაშურსა და თბილისში. ამ დანესებულებათა მუშები თითქმის მთლიანათ წარმოადგენდნენ მენშევიკთა პარტიის წევრებს და არავითარი საერთო ბოლშევიკებთან არა ჰქონდათ და მათთან რაიმე თანამშრომლობაში არ ჩარეულან. მათ რიცხვიდან ივსებოდა გვარდიის ნანილები და მტრულათ შეპყურებდნენ რუსეთს მიუხედავათ იმისა მეფისა იყო თუ ბოლშევიკური.

მუშებს ეკუთვნოდნენ აგრეთვე მცირე რიცხვის მოქალაქენი, რომელნიც შრომობდნენ კერძო წარმოებებში, თუთუნის ქარხანაში, ვენახებში. მიუხედავათ იმისა, რომ ბოლშევიკებმა ყოველი მხრიდან სალტე შეკრეს საქართველოს ირგვლივ, ცხოვრება ნორმალური წესით მიმდინარეობდა. ყველა თავთავის უბანში ცდილობდა ნაყოფიერი შრომით საქართველოს დამოუკიდებლობა განემტკიცებინა. თბილისში გაიხსნა უნივერსიტეტი და პოლიტეხნიკუმი, დაენიშნათ ახალგაზრდებს სტიპენდიები და მივლინებულ იქნენ საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებლებში: საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, გერმანიაში. გაიხსნა მრავალი სამკითხველოები და ბიბლიოთეკები, ეცდილობდით გაგვევითარებინა მრეწველობა და ჩავბმულიყავით საერთაშორისო საქონლის ბრუნვაში; დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე გამოცხადდა აგრარული რეფორმა. ხელს ეუწყობდით

[1] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ტექსტში გამოტოვებულია *(ლ. ც.)*.
[2] ელჩის *(ინგ.)*.
[3] უნდა იგულისხმებოდეს სერგო ქავთარაძე *(ლ. ც.)*.

П Р О Т О К О Л .

Нижеподписавшиеся,Член Учредительного Собрания Демократической Республики Грузии Григорий Илларионович УРАТАДЗЕ и Заместитель Народного Комиссара по Иностранным Делам Российской Социалистической Федеративной Советской Республики Лев Михайлович КАРАХАН,подписав сего числа на основании пред"явленных ими взаимно полномочий своих Правительств Договор между Грузией и Россией,выработанный ими на происходивших между ними с 28 Апреля по 6 Мая сего года,на основании имевшихся у них от подлежащих Правительств полномочий,переговоров,приняли каждый по одному подлинному акту означенного Договора,для передачи такового своему Правительству.

При этом,обе договаривающиеся Стороны условились,что подписанный сего числа договор будет обоими договаривающимися Сторонами немедленно обнародован во всем его содержании за исключением пункта 10 статьи У,который будет опубликован по истечении двухнедельного с сего числа срока.

В удостоверение чего,нижеподписавшиеся составили настоящий протокол и скрепили его своими печатями.

Учинено в Москве,в двух экземплярах,Мая 7 дня тысяча девятьсот двадцатого года.-





რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ხელმოწერილი გრიგოლ ურატაძისა და ლევ კარახანის მიერ მოსკოვში (გურამ შარაძე, „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია", ტომი IV, თბილისი, 2003).

Д О Г О В О Р

М Е Ж Д У

Г Р У З И Е Й И Р О С С И Е Й.

Демократическая Республика Грузия с одной стороны и Российская Социалистическая Федеративная Советская Республика с другой, руководимые общим желанием установить между обоими странами прочное и мирное сожительство на благо населяющих обе страны народов, решили заключить для сего особый договор и назначили для сего своими уполномоченными: Правительство Демократической Республики Грузии-Члена Учредительного Собрания Грузии ГРИГОРИЯ ИЛЛАРИОНОВИЧА УРАТАДЗЕ и Правительство Российской Социалистической Федеративной Советской Республики-Заместителя Народного Комиссара по Иностранным Делам ЛЬВА МИХАЙЛОВИЧА КАРАХАНА. Означенные уполномоченные, по взаимном соведомлении о своих полномочиях, признанных данными перечисленным выше лицам право на подписание настоящего договора, согласились о нижеследующих статьях:

С т а т ь я I.

Исходя из провозглашенного Российской Социалистической Федеративной Советской Республикой права всех народов на свободное самоопределение вплоть до полного отделения от Государства, в состав которого они входят, Россия безоговорочно признает независимость и самостоятельность Грузинского Государства и отказывается добровольно от всяких суверенных прав, мои принадлежали России в отношении к Грузинскому народу и земле.

С т а т ь я II.

Исходя из провозглашенных в предшествующей статье I настоящего договора принципов, Россия обязуется отказаться от всего рода вмешательство во внутренние дела Грузии.

С т а т ь я III.

I. - Государственная граница между Грузией и Россией проходит от Черного Моря по реке Псоу до горы Ахапча, через гору Ахапча и гору

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პირველი გვერდი (გურამ შარაძე, „ძარითული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია", ტომი IV, თბილისი, 2003).

კერძო ინიციატივას. დაიწყო კულტურისა და ხელოვნების გაღვიძების ხანა. დაიწერა ახალი ოპერები. საქართველო, როგორც ზეკითაც აღვნიშნე, ყველა ზომებს მიმართავდა გაება ურთიერთობა მეზობელ და ევროპის ყველა სახელმწიფოებთან. საქართველოს დამოუკიდებლობა სცნეს მრავალმა სახელმწიფოებმა, მათ შორის, რაც აღსანიშნავია, თურქეთმა და 1920 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა, რაც, როგორც ბოლოში გამოირკვა, მხოლოთ დროებით ქაღალდზე დაწერილი მოტყუებითი ხერხი იყო, იმ დროს გაჭირვებაში მყოფი სულის მოსაბრუნებლათ. ქართველები კი ამ დროს ბედნიერათ სთვლიდნენ თავს, კმაყოფილნი იყვნენ ბედით, ხალისით და ენერგიით შეუდგნენ შრომას. პარტიათა შეხლა შემოხლებს ადგილი არა ჰქონია, ხალხში სრული ერთსულოვნება სუფევდა.

1920 წლის შემოდგომაზე ხელში ვიგდეთ და ფოტოგრაფზე აღვბეჭდეთ ბოლშევიკური მე-XI ლაშქრის სარდლის ლევანდოვსკის გეგმა დამტკიცებული ჩრდილო კავკასიის, აზერბეიჯანის და სომხეთის ძალთა უფროსის გეკერის მიერ და ამ ტერიტორიათა კომისრის ორჯონიკიძის მიერ. გეგმა ითვალისწინებდა დამოუკიდებელ საქართველოს ლიკვიდაციას. მიმართულებებს და ძალთა შემადგენლობას, რომლითაც უნდა დასცემოდნენ საქართველოს. საჩქაროთ შეიკრიფა თავდაცვის საბჭო. გადაწყდა საჭირო ზომების მიღება აქტიური წინააღმდეგობის გასაწევათ, მობილიზაციის მოხდენა ჯარისა და გვარდიის ნაწილებში, დაინიშნენ სარდლები ცალ-ცალკე მიმართულებისათვის. მდგომარეობა უღრმესათ გამწვავებული იყო. არ ვიცოდით როდის დაიწყებდნენ მოქმედებას ბოლშევიკთა ჯარები. გეგმაში მოქმედებათა დაწყების დღე დანიშნული არ იყო. მე მუდმივ კავშირში ვიყავი ჩვენ ქვეყანასთან მოელინებულ ატაშეებთან, გერმანელთა და საფრანგეთის ატაშეები გულმხურვალეთ თანაგვიგრძნობდნენ. მახსოვს, თურქეთის ატაშე გენ. შტაბის პოლკოვნიკი, ქემალ ფაშის ენთუზიასტი, რომელიც ჩემთან მეგობრულ ურთიერთობაში იყო, ამტკიცებდა, რომ დამოუკიდებელ საქართველოს და საერთოთ კავკასიის ერთა არსებობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოსმალეთისათვის, რადგან წარმოადგენენ ბუფერს რუსეთსა და თურქეთს შორის, რომელის მხრივ თურქეთს არა ერთი სიმწარე უწვნევია და მათთან უშუალო კავშირი სჯობია არ გვქონდესო.

გენ. შტაბის უფროსის განკარგულებით და თავდაცვითი საბჭოს დასტურით ხელში ჩაგდებული აგრესიის გეგმიდან გადაწერილი იქნა რამდენიმე ცალი და საიდუმლო დოკუმენტის სახით დაერიგათ კეთილათ განწყობილ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. ალბათ, ეს დოკუმენტი დღევანდლამდის ინახება ამ სახელმწიფოთა არქივებში. აი საბუთი, რას ნიშნავს ბოლშევიკების მიერ ხელმოწერილი საზავო დოკუმენტი, რომელითაც სცნობენ დამოუკიდებლობას, საზღვრებს, პირობას სდებენ არ ჩაერიონ ამ სახელმწიფოს შინაურ საკითხებში და ჰპირდებიან კეთილმეზობლურ ურთიერთობას. მერე კი შთანთქავენ მას ყოველგვარი ეთიკის გარეშე, თითქოს დადებული ხელშეკრულება სრულიადაც არ არსებულიყოს.

ბოლშევიკთა თავდასხმის მოლოდინში განუწყვეტელი მზადება წარმოებდა. დაიწყო საფორტიფიკაციო მშენებლობები ცალ-ცალკე მიმართულებებზე და ჯარების განაწილება. მობილიზებულ ჯართა კვება, მათი დაბინავება მომავალი მოქმედების რაიონებში დიდ ზრუნვას მოითხოვდა და, ცხადია, მეტათ აფერხებდა ახალგაზრდა სახელმწიფოს ნორმალურ ცხოვრებას, რომელსაც უამისოთაც მრავალი სიძნელეების გადალახვა სჭირდებოდა.

მიღებულ იქმნა ზომები ბოლშევიკთა მისიის თვალ-ყურის სადევნებლათ და მათი წამოწყებების დასაწყისშივე შესაკვეცათ, თანაც სიფრთხილე იყო საჭირო, რომ ბოლშევიკები არ გაგვეღიზიანებია და ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ჩვენ ხელთ იყო მათი დაწვრილებითი გეგმა მომავალი სამხედრო მოქმედებისა.

დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა შტაბში. დაღამებამდის ვისხედით და თვალყურს ვადევნებდით მათ მოქმედებას. საჭირო იყო დროს დადგენა, როდის გადმოვიდოდნენ შეტევაზე. როგორც მახსოვს, საოპერაციო გეგმა ხელთ ვიგდეთ სექტემბრის ბოლოს. დრო გადიოდა და ბოლშევიკების შემოტევაზე არაფერი ისმოდა. დადგა ზამთარი, რომელიც აფერხებს სამხედრო მოქმედებებს; ისიც კი ვიფიქრეთ გეგმა ფიქციური ხომ არ არისო. ჩვენი ჯარები კი ადგილზე იდგნენ და და მზათ იყვნენ დარტყმის მისაღებათ.

ბოლშევიკთა გეგმა მოქმედების შემდეგ მიმართულებებს ითვალისწინებდა:

– ჩრდილო დასავლეთიდან გაგრა-სუხუმისკენ. ამ ფრონტისთვის უფროსათ დაინიშნა გენ. ართმელიძე.

– ჩრდილოეთიდან მამისონის უღელტეხილით, რაკი აქ ვიწრო და ძნელი გამოსავალი გზა იყო და დიდი ერთეულების მოქმედება მოსალოდნელი არ იყო, ამ მიმართულების დაცვა მიენდო სასაზღვრო ნაწილების უფროსს.

– ჩრდილოეთიდან ელადიკავკაზ დარიალის ხეობის მიმართულებით; უფროსათ დაინიშნა გენ. წერეთელი.

– აღმოსავლეთიდან კახეთის მიმართულებით; უფროსათ დაინიშნა გენ. ახმეტელი.

– სამხრეთ დასავლეთიდან ბორჩალოს მიმართულებით სასომხეთიდან; უფროსათ დაინიშნა გენ. იოსებ გედევანიშვილი. როგორც ზევით მოვიხსენიე, თადარიგში მყოფი და დიდ სამხედრო გამოცდილებას მოკლებული.

– სამხრეთიდან ახალციხე არდაგანის რაიონი; უფროსათ დაინიშნა გენ. გულუხიძე.

– ბათუმის რაიონში უფროსათ დაინიშნა გენ. მდივანი.

თუმცა ბოლშევიკების გეგმაში ოსმალეთის შემოტევაზე არაფერი იყო ნათქვამი, გვქონდა ცნობები, რომ საქართველოს მხრივ მძლავრი წინააღმდეგობის მოლოდინში იძულებულ იქნებიან შეუთანხმდნენ ოსმალეთს თანამოქმედების შესახებ და სამაგიეროთ სთავაზობდნენ არდაგანსა და ბათუმის რაიონებს, რომლებზედაც ბოლშევიკებმა უკვე ბრესტის ხელშეკრულებით სცნეს მათი უფლებები, ამ ტერიტორიებზე.

ამნაირი იყო ჩვენი მდგომარეობა ბოლშევიკების შემოტევის მოლოდინში.

სამუშაო ბევრი გვქონდა. მოდიოდა ცნობები, რომ ჩვენსა და აზერბეიჯან-სასომხეთის საზღვრებთან იკრიბებოდა სამხედრო ერთეულები ცენტრალურ რუსეთიდან. ბევრი ცნობები მოგვდიოდა აზერბეიჯანიდან, რომელიც განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო ბოლშევიკების ოკუპაციით, რომ ბოლშევიკთა სამზადისი საქართველოზე თავდასასხმელათ ინტენსიურათ მიმდინარეობდა. ამ ცნობებს ვანვდიდით კეთილათ განწყობილ უცხო ქვეყანათა წარმომადგენლებს თბილისში. ვთხოვდით იარაღისა და სამხედრო მასალის მონოდებას, ჯარის რიცხვის გადიდებისა და საერთო მობილიზაციის ჩასატარებლათ.

მახსოვს, ერთ დროს გენ. შტაბის უფროსმა ზაქარიაძემ დამიბარა თავისთან და ამერიკული მანქანით, რომელიც კავკასიის ფრონტის დროიდან გადარჩა, გავემგზავრეთ ფრონტის დასათვალიერებლათ ბორჩალოს მიმართულებისკენ – წითელ ხიდისკენ, სადაც გადიოდა მდინარე ხრამის მიდამოებში აზრბეიჯანთან ჩვენი საზღვარი. თავდაცვის პოზიციები მოწყობილი დაგვხვდა ალაგ-ალაგ შიგ ჩაყენებულ ჯარებით. ეუმზერდით იქიდან ბოლშევიკების მოდარაჯეთა და ჯართა ნაწილების პოზიციებს. შევიარეთ ჩვენი ოფიცრის არჩილ ედიგარის[1] მამის მამულში, რომელიც საზღვრის პირას იყო. გავიგეთ იქ, რომ ჯართა კონცენტრაცია ჩატარებულა განჯასა და სასომხეთში ჩვენი და აზერბეიჯან-სასომხეთის საზღვრის შესართავთან. ეს ცნობები, მაიორ არჩილ ედიგარის მტკიცებით, სრულიათ სწორი და მართალი იყო, რომ ეს ცნობები მოაწოდეს მათ ოჯახის გაასაფრთხილებლათ მრავალმა კეთილგანწყობილმა ნაცნობ-ნათესავმა, რომლებიც საზღვრის იქით ცხოვრობდნენ. ედიგართა ოჯახი – ქართველ მუსულმანებს ეკუთვნოდა და აზერბეიჯანთა ნერში მრავალი გულშემატკივარი ჰყავდათ. გაიცა ბრძანება საგანგაშო მზათ ყოფნისა. მობილიზაციის დაჩქარებისა და ასე მიდიოდა დრო. დადგა 1920 წლის ზამთარი. ზოგიერთები ფიქრობდნენ, რომ ბოლშევიკთა შემოტევას ადგილი არ ექნება. ცნობები კი ვლადიკავკავიდან გვარწმუნებდნენ, რომ ბოლშევიკთა შემოტევა უსათუოთ იქნება და ისიც მოკლე ხანში. დრო მიდიოდა. მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა. ჯაფა ბევრი გვქონდა... ხელში გვივარდებოდა მრავალი ცნობა ბოლშევიკთა საქართველოს დასაპყრობათ. მახსოვს, 11 თებერვალს უწყობდნენ ბენეფისს მოსკოვის დრამატიული თეატრის ცნობილ არტისტს, გვარი არ მახსოვს,[2] რუსთაველის პროსპექტზე ქართულ დრამატულ თეატრში. მისი არჩევით იდგმებოდა სუმბათაშვილის დრამა „სამშობლო“,[3] რომელიც ქართულ სცენაზე ხშირად იდგმებოდა. დიდათ პატრიოტული ნანარმოებია, მოგვითხრობს სპარსელების მიერ ტყვეთ ნაყვანილ დედოფალზე და ქართველ გმირზე, რომელიც მტრის

[1] იგულისხმება არჩილ იედიგარი *(ლ. ც.)*.

[2] უნდა იგულისხმებოდეს მსახიობი ელენე დონაური *(ლ. ც.)*.

[3] ავტორს ეშლება, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი ავტორია დრამისა „ღალატი“, დრამა „სამშობლო“ კი ეკუთვნის დავით ერისთავს *(ლ. ც.)*.

ბანაკში გადავიდა. თეატრი სავსე იყო მაყურებლებით. მეც, ნაცნობებთან ერთათ, დაველსწარი ამ წარმოდგენას. წარმოდგენამ საუცხოოთ ჩაიარა. მშვენიერათ შეასრულა თავის როლი მობენეფისე ქალმა. გაუმართეს დიდი ოვაცია და მიუძღვნეს მრავალი საჩუქრები და ყვავილები. წარმოდგენის შემდეგ ჩემ ნაცნობებთან ერთათ წავედით რესტორანში, რომელიც იქვე თეატრის სარდაფში იმყოფებოდა[1] და დავბრუნდით სახლში. გახდაც ვერ მოვასწარი, რომ დამირეკეს ტელეფონით. პრეკავდა შტაბის მორიგე ოფიცერი. დაიწყოო – ჩემ შეკითხვაზე თუ რაშია საქმე? გიგზავნით მანქანას და ახლავე მობრძანდით შტაბშიო. სახლში აღარ დავბრუნებულვარ თბილისის დატოვებამდის. შტაბში გავიგე, რომ 11/12 თებერვლის ღამეს ბოლშევიკები გადმოვიდნენ შეტევაზე ბორჩალოს რაიონსა და სამხრეთით სანაინის მიმართულებიდან. თავდასხმა სანაინიდან მომხდარა უცაბედად და ჩვენი ჯარები სადახლოსკენ იხევენო. ბორჩალოსთან მოულოდნელობას ადგილი არა ჰქონია და ცხარე ბრძოლები მიმდინარეობსო; სხვა მიმართულებებიდან თავდასხმაზე ცნობები არ მიგვიღია, მდგომარეობა სამხრეთით, სადაც ჯართა სარდლათ გენ. გედევანიშვილი იყო, გამოურკვეველი იყო. ნაწილი ჩვენი ჯარისა ტყვეთ ჩავარდნილიყო. საუბედუროთ ვერც გენ. გედევანიშვილი და ვერც მისი შტაბის უფროსი ჩემი ამხანაგი გენ. შტაბის პოლკოვნიკი ძაგანია ვერ გამოდგნენ მოვლენების ღირსებაზე მდგარნი. იცნობებოდნენ, რომ გამოარკვევენ მდგომარეობას და მიიღებენ ზომებს ბოლშევიკთა და სომეხთა თავდასხმის უკუსაგდებათ. ოღონდ ეს გამორკვევა დიდხანს გრძელდებოდა. სამხედრო საბჭოს მთავარსარდლათ ამ დროს გენ. ოდიშელიძე იმყოფებოდა, გამოცდილი გენერალი, ყოფილი კავკასიის ფრონტის უფროსის თანაშემწე. მისი წამოწყებები ომის დაწყების დღიდანვე არ იყო სწორი და ახლა დაჟინებით გამოჩნდა. გაება მდგომარეობის გამორკვევასა და ცალ-ცალკე მოქმედებებში შემოსულ მტერთან, სათანადოთ არ შეაფასა მოქმედება სადახლოს მიმართულებით, ეს კი დიდ საფრთხეს ნიშნავდა თბილისისათვის; აკლდა მომთხოვნელობა ცალ-ცალკე უფროსებისადმი და თვით გენ. გედევანიშვილისადმი, რომელიც პასუხისმგებელი იყო სადახლოსა და ბორჩალოს რაიონში შექმნილი მდგომარეობისა. დაკმაყოფილდა ადგილობრივი ნაწილებით მტრის განდევნის მოთხოვნით. შედეგად მოქმედება წარმოებდა პატარ-პატარა ნაწილებით და ხშირათ უშედეგოთ. 16 თებერვალს სამხედრო საბჭომ მოხსნა ის თანამდებობიდან და მთავარსარდლათ გენ. კვინიტაძე დანიშნა. მინდა აქ დავახასიათო გენ. კვინიტაძის პიროვნება. პირველად მას გენ. შტაბის კაპიტნის ხარისხში შეეხვდი თბილისის სამხედრო სანავლებელში, რომელიც 1914 წელს დავამთავრე. ტაქტიკას გვასწავლიდა. ჩემზე მისმა პიროვნებამ დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. ქართულათ იყო გამონყობილი ფაფახში, ქართულ ნაღებში, მოკაკული ხმლით. მეტათ ენერგიული, მოხდენილი, სიმპათიური. ტაქტიკას ის ჩვენ კლასს არ ასწავლიდა, ოღონდ I კურსიდან მე-II-ზე გადასვლისას ჩვენი კლასელების ტაქტიკის გამოცდებს ის აწარმოებდა. მე სამხედრო ხელოვნების ენთუზიასტი არ ვყოფილვარ, სკოლაში შემთხვევით მოვხვდი. სამხედრო ხელობაზე წარმოდგენაც არ მქონდა, არც ჩემ ნათესავთაგან ყოფილა ვინმე მხედრათ. ერთი სიტყვით, სამხედრო ხელობის სრულიათ უვიცი ვიყავი. ამ მიზეზების გამო პირველ კურსზე სწავლას უგულოთ ვეკიცეოდი. ჩემით კმაყოფილნი არ იყვნენ და იმასაც მოველოდი, რომ სკოლიდან გამაგდებდნენ და სადმე პოლკში მიკრავენ მეთქი თავს; ჩემი ბიძაშვილი ალიკ ჩხიკვიშვილი, რომელიც ჩემთან ერთათ სწავლობდა მუდამ მარიგებდა, ამ სუსტი შედეგების გამო შორეულ ჩინეთის საზღვარზე მიგაგზავნენ ოფიცრათ და იქ მისასვლელათ ტაშკენტიდან 300-500 ვერსი აქლემზე ჯაყჯაყი დაგჭირდება, იქ კი ველურ გარემოში ან გალოთდები ან თავს მოიკლავო. მე კი სამხედრო ხელობა გულთან არ მიმქონდა და პირველ კურსზე, გარდა ტაქტიკისა, ყველა საგნებში სუსტი ნიშნები მქონდა. მხოლოთ ტაქტიკაში, არ ვიცი რატომ 12 ნიშნიან სისტემით 11 მქონდა.

ტაქტიკას გვასწავლიდა გენ. შტაბის კაპიტანი საველიევი, ნიჭიერი და სიმპათიური ოფიცერი. სიმართლე რომ ვსთქვა, არც კი ვიცოდი რაში იყო საქმე, მაგრამ ტაქტიკის ამოცანებს მუდამ წესიერათ ვასრულებდი. ტაქტიკის გამოცდაზე გენ. შტაბის კაპიტანმა კვინიტაძემ ამოცანა მომცა რუკაზე. ბევრი დაფიქრება არ დამჭირვებია, სწრაფათ წარვუდგინე ჩემი აზრი და განვსაზღვრე დავალებები ცალ-ცალკე ერთეულებისათვის. კაპიტანი კვინიტაძე განცვიფრებული იყო ჩემი პასუხით და უმაღლესი შეფასება მომცა. ეს იყო პირველი შეხვედრა კაპ. კვინიტაძესთან, შემდეგ

[1] იგულისხმება კაფე „ქიმერიონი" (ლ. ც.).

ერთმანეთს შევხვდით 1919 წ. სომხებთან ომში, როდესაც თავის[1] შტაბში ვიყავი ფრონტზე. მასთანვე ვიყავი შტაბში ახალციხეში ოსმალებთან ომის დროს, აგრეთვე 1920 წელს ბოლშევიკებთან პირველი ომის დროს და, ბოლოს, უკანასკნელი ომის დროს ბოლშევიკებთან 1921 წელს.

გენ. კვინიტაძის მთავარსარდლათ დანიშვნამ დიდათ გამახარა, რადგან მას დიდათ ვაფასებდი. სიამოვნებას მგვრიდა მასთან შტაბში მუშაობა.

გენ. კვინიტაძე დიდათ პოპულარული იყო საქართველოში ყველა ომებიდან, რომლებსაც საქართველო მის მთავარსარდლობით ანარმოებდა 1918-1921 წლები და გამარჯვებული გამოდიოდა. მახსოვს, როდესაც სამხედრო საბჭოს მოწვევით შემოვიდა შენობაში და მე დავუხვდი შემოსასვლელში, მომესალმა, გამახარა ისევ ერთათ ვიმუშავებთო. სახე უბრწყინავდა, ეტყობა კმაყოფილი იყო, რომ მას კვლავ მთავარსარდლათ იწვევდნენ ასეთ გადამწყვეტ მომენტში. მდგომარეობა ფრონტებზე მძიმე იყო, ბრძოლები დღე და ღამე მიმდინარეობდა. პირობები მალე იცვლებოდა. ცნობები დროზე არ მოდიოდა. მსხვერპლი დიდი გვქონდა, ოღონდ არც მონინააღმდეგეს აკლდა დანაკარგი. მრავალი ტყვე გვივარდებოდა ხელში. გენ. კვინიტაძე ენერგიულათ შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. ნანილების მონესრიგებას. მისი მიზანი იყო, არ მოეშვა მტერი დედაქალაქამდე. ფრონტი სამ ნანილათ გაანანილა, გადააყენა ზოგიერთი სარდლები, დანიშნა ახლები, რომლებზედაც იმედს ამყარებდა დანაკარგის დასაბრუნებლათ. მარჯვენა ფრთას კოჯორის რაიონში სარდლობდა გენ. ანდრონიკაშვილი. თუ არა ვცდები მის განკარგულებაში იყო: ოთხი ჯარის პოლკი, ოთხი გვარდიის ათასეული, საპირთა ათასეული, შესაბამისი რაოდენობის არტილერია და სამხედრო სკოლა, რომელმაც შემდგომ ბრძოლებში დიდი გმირობა გამოიჩინა და უკვდავ ჰყო თავის ღვაწლი ბოლშევიკებთან 1921 წლის ომში. შუა ნაკვეთი სამხრეთით მდინარე მტკვარამდის მიენდო გენ. მაზნიაშვილს. დიდათ პოპულარულ, ენერგიულ და გამოცდილ მხედარს. მის განკარგულებაში იყო: დაახლოებით სამი ქვეითა პოლკი, სასაზღვრო ათასეული, დედა ქალაქის ტყვიამფრქვეთა ათასეული, ორ დივიზიონამდის არტილერია, ჯავშნოსან მანქანათა ნანილები, ჯავშნოსანი მატარებელი. ფრონტის დანარჩენი მარცხენა ფრთაზე, მოყოლებული მტკვრიდან მიენდო გვარდიის გენ. ჯიჯიხიას. მის განკარგულებაში იყო: სამი მძლავრი გვარდიის ათასეული სათანადო არტილერიით, და მარცხენა ფრთაზედ გვარდიის ცხენოსანი ესკადრონით. თბილისს მომდგარი მტერი ჩვენი პოზიციების წინ სამხრეთსა და აღმოსაელეთიდან დიდათ აღეგმატებოდა ჩვენ ძალებს. დაახლოებით შესდგებოდა ის 7 ქვეითა ჯარის დივიზიის, 3 ცხენოსანთა დივიზიის, მძლავრ და რიცხვობრივი არტილერიის ნანილებისაგან, ჯავშნოსანთა, ჯავშნოსან მანქანათა ერთეულების, 5 ჯავშნოსანი მატარებლის და სომეხთა დივიზიისაგან, რომელიც სამხრეთით მოქმედებდა.



გენერალი **გიორგი კვინიტაძე** (იოანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, **გურამ შარაძის** კერძო კოლექცია, თბილისი).

მძიმე ბრძოლები თავიდანვე მიმდინარეობდა ყველა მიმართულებით, მაგრამ განსაკუთრებული სიმწვავე მიიღეს მათ 18 თებერვლიდან, როდესაც მტერმა ხელთ იგდო წითელი ხიდი და რკინის გზა მტკვარზედ. ხიდი, მართალია, ჩვენ მიერ აფეთქებული იყო, ოღონდ არ იყო იმდენათ დაზიანებული და მტერმა მოახერხა მისი სწრაფი შეკეთება და ჯავშნოსანი მატარებლის გამოყენება.

გამწვავებული ბრძოლები დღე და ღამე მიმდინარეობდა. ხშირათ მიდიოდა ხელჩართულამდის. მტერს ძალთა დიდი უპირატესობა ჰქონდა, დაჟინებით ცდილობდა ფრონტის გარღვევას, მაგრამ

[1] sic!

ჩვენი ჯარები მედგრათ იცავდნენ პოზიციებს და ურყევათ იდგნენ ადგილზეთ. მოგერიებითი პოზიციების დაძლევა მტერმა ვერსად შესძლო. 18-22 თებერვალში მტრის მთავარი შემოტევა შუაში, გენ. მაზნიაშვილის ნაკვეთზე მოჰქონდათ, მუდამ უშედეგოთ. მახსოვს, 22 თუ 23 თებერვალს გამომიძახა გენ. კვინიტაძემ და ღია, ბრეზენტით დახურული მანქანით გავემართეთ კახეთისაკენ ჩვენი მარცხენა ფრთის დასათვალიერებლათ. აქ უფროსათ გენ. ჯიჯიხია იყო თავისი გვარდიელებით. წინა დღეს მტრის ძლიერი შემოტევის შემდეგ დასტოვეს პოზიციები და გადმოინაცვლეს კახეთის რკინიგზის ლიანდაგის სამხრეთით და აღმოსავლეთით. ჯანღიანი დღე იყო. ციოდა, სუსხიანი ქარი ქროდა. გენ. ჯიჯიხიას რკინიგზის ჩიხში მივაგენით. იქვე იყვნენ გვარდიის შტაბის ნევრები. მთავარსარდალი გაეცნო მდგომარეობას, გამოჰკითხა მიზეზი გუშინდელი უკანდახევისა და შეეკითხა შესძლებს თუ არა ახლათ დაჭერილი პოზიციების შენარჩუნებას. პასუხათ გენ. ჯიჯიხია დაჰპირდა, რომ არამც თუ შეინარჩუნებს პოზიციებს, შეტევაზედაც გადავა, რადგან ამ ამინდში მათი ჯავშნოსანი მანქანები საშიშნი არ არიანო. მთავარსარდალმა ნება დართო შეტევაზედ. სწორეთ ამ დროს მოგვადგა სატვირთო მატარებელი, რომელიც თბილისში ბრუნდებოდა. კვინიტაძემ გააჩერა მატარებელი. ჩავსხედით სოღანლუღისკენ წასასვლელად, მძღოლს უბრძანა იქ გამოცხადებულიყო მანქანით. ციოდა, ვიყინებოდით, ბოლთას ვარტყამდით განუწყვეტლივ ვაგონში გასათბობათ. გენ. კვინიტაძემ შემომჩივლა: „მეშინია, შეტევის მაგიერ ჯიჯიხიამ უკან არ დაიხიოს და არ შეგვიქმნას უხერხული მდგომარეობა“-ო. ალბათ, კარგათ იცნობდა ჯიჯიხიას. მე კი მისი გამბედაობა გაგრის ფრონტზე მქონდა შემონმებული დენიკინელებთან ომის დროს. გენ. კვინიტაძის ეჭვი გამართლდა. მტერმა მარცხენა ფრთაზე ცხენოსანთა ერთეულებით შეუტია და ამით ავჭალა-მცხეთას დაემუქრა. ეს კი ნიშნავდა ჩვენ ზურგში მოქცევას და დასახეული გზის გადაჭრას.

მდგომარეობის გამოსარკვევათ მთავარსარდალმა გენ. შტაბის პოლკ. ნიკოლოზ გედევანიშვილი გაგზავნა მანქანით ლილოში, სადაც ჩვენი ცხენოსანთა ბრიგადაც იდგა. მეორე დღეს 24 თებერვალს პოლკ. გედევანიშვილი დანაღლელიანებული დაბრუნდა. როგორც ჩანდა ბევრ ვერაფერს მიაღწია და ვერც მდგომარეობა გამოარკვია რიგიანათ. მტერი შემოტევას ყველგან განაგრძობდა. საფრთხე გაგვიჩნდა მარჯვენა ფრთაზედაც, კოჯრის მხრიდან. იქაც გამოჩნდა კავალერია. იქ, გენ. ანდრონიკაშვილი ფრთხილობდა, მშვენიერად განაგებდა თავის საქმეს და იოლათ უმკლავდებოდა ყველა შემოტევებს საიმედო ნაწილების და განსაკუთრებით გმირული სამხედრო სკოლის და სამი ნაცვალი ასეულის შემწეობით. არა ერთხელ გადასულან ისინი უკუიერიშზედ, უწარმოებიათ ხელჩართული ბრძოლები და უკუუგდიათ მტრის გამალებული შემოტევა. ალტაცებით და გულის ფანცქალით შეჰყურებდა მათ გმირობას მთელი ქართული საზოგადოება. 23-25 თებერვალს მწვავე ბრძოლები მიმდინარეობდა. მტერმა უკანასკნელი მარაგი შეიყვანა ბრძოლებში. ბაქოს პოლიტრუკთა[1] და კურსანტთა ჩათვლით. მტერი ჩქარობს თბილისის დაპყრობას, აშინებს მას უმაყოფილება, რომელიც ჩნდება ოკუპირებულ სასომხეთსა და აზერბეიჯანში. მთავარი ცდები ფრონტის გარღვევისა ახლა ჩვენ მარჯვენა ფრთაზე, გენ. ანდრონიკაშვილის ნაკვეთზე გადააქვს. მთელი 24 თებერვლის ღამე და 24-ის დღეს გამწარებული ბრძოლები სწარმოებს. ვერსად, ოღონდ, შედეგს ვერ აღწევს, ერთი ფეხითაც არ ინევენ უკან თავდადებული მებრძოლები. შუა ნაკვეთსაც გენ. მაზნიაშვილისას ცოტა წარუმატებლობა აქვს თავის მარცხენა ფრთაზე, მაგრამ საერთოთ თავის პოზიციებზე ურყევათ დგას. მხოლოდ გენ. ჯიჯიხიას ნაკვეთზე შეტევის მაგიერ უკან დახევას აქვს ადგილი.

25 საღამოს ჩვენი მდგომარეობა არ იყო სანუგეშო. მტერი თბილისიდან თითქმის ყველა მიმართულებით 10-12 კმ. მანძილზე იმყოფებოდა. მართალია, დანერილებითი ცნობების მიღება ნაკვეთის უფროსთაგან ადვილი არ იყო, მაგრამ ცხადათ იმჩნეოდა ყველგან მონინააღმდეგის რიცხობრივი უპირატესობა და რაც მთავარია, მათი 6 დივიზიამდის ცხენოსანთა ლაშქარი, რომელიც ორივე მხრიდან მოქმედებდა, გზის ჩაკეტვით გვემუქრებოდა. პოლკ. გედევანიშვილის დაბრუნებამ თებ. 25-ში, დიდათ დაგვაფიქრა. ის წინა დღით დანიშნულ იქნა მარცხენა ფრთაზე მოქმედ ჯართა უფროსათ. მისი არასრული შეფასებით მტერი მარცხენა ფრთაზე ქვეითა ჯარისა და არტილერიის გარღვევით გვემუქრებოდა. ამას დაერთო გენ. ანდრონიკაშვილის ცნობა, რომ მტრის ცხენოსანთა ჯარი შემჩნეულია კოჯრის მხრიდან და რომ ის ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ მოემართება და ამ მხრიდან თბილისის მოჭრას შეეცდებაო. მთავარსარდალმა მაშინათვე მიიღო

[1] პოლიტხელთა *(რუს.)*.

ზომები ამ მიმართულებით სინამდვილის გამორკვევისა. გაგზავნილმა დამზვერავმა ნანილებმა ამ მიმართულებით საფრთხე არ დაამტკიცეს. ამ მეტათ მძიმე მდგომარეობაში მთავარსარდალს არავითარი მარაგა არ გააჩნდა (არდაგან ახალციხიდან მოხსნილმა ორმა ქვეითა პოლკმა დროზე ვერ მოაღწია), გადანყვიტა დაეტოვებინა თბილისი, დაეხია მცხეთამდე და იქ ჩაეცეტა მისადგომი ახერბეიჯანსა და ჩრდილო კავკასიის მიმართულებებიდან (საქართველოს სამხედრო გზაზე). სასწრაფოთ მოინვიეს თავდაცვის საბჭო. თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას შეკითხვაზე არის თუ არა სხვა გამოსავალი, მიილო მთავარსარდლისაგან პასუხათ, რომ არავითარი მარაგა აღარა ჰყავს, ორივე მხრით გზას გვიჭრიან მტრის ცხენოსანი ერთეულები, იძულებული ვიქნებით ბრძოლა თბილისში ვაწარმოოთ ხალხსა და ქვეყანას მოწყვეტილებმა. ამ ვითარებაში სხვა გამოსავალს ვერა ვხედავ და იძულებული ვარ უკან დახევის ბრძანება გავცეო. თავდაცვის საბჭომ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა. აუწერელია მწუხარება, რომელიც ყველა იქ მყოფმა განიცადა. თითქმის ორი კვირა გრძელდებოდა განუწყვეტელი ბრძოლები დღესა და ღამეში. მიუხედავათ ძალთა უპირატესობისა მტერი წინ ვერ მოიწევდა, გვყავდა მრავალი ტყეე. მტერს ვაყენებდით საგრძნობ ზიანს. საზოგადოების სულისკვეთება სანიმუშო იყო და ასეთ ვითარებაში ვტოვებდით სატახტო ქალაქს. სატახტო ქალაქის დატოვებას ომის დროს, მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს; შეუძლია სრულიად ჩაუკლას საზოგადოებას ბრძოლის ენინი.

მთავარსარდალს სნადდა ძალები შეეჯგუფებინა მტრის მოქმედების მთავარ მიმართულებაზე. გადაენაცვლა მცხეთისა და ხაშურის რაიონებში და გადასულიყო იქიდან შეტევაზე მტრის ცოცხალი ძალების მოსასპობათ. ნაშუადღევს შტაბი ადგილის გადანაცვლებისათვის ემზადებოდა და ღამის 24 საათზე სპეციალური, მთავარსარდლის მატარებლით მცხეთისკენ ან ხაშურისკენ უნდა გავმგზავრებულიყავით. სათანადო განკარგულებები მომავალი გადაჯგუფებისათვის გადაეცათ თბილისის ფრონტზე მოქმედ ჯარსაც.

მახსოვს ეს 24/25 თებერვლის ღამე. ვისარგებლე შემთხვევით და მანქანით სახლში შევიარე, რომ საჭირო ნივთები წამეღო და გამოვმშვიდობებულიყავ დედას, ბიძას და ჩემ უმცროს ძმას. ნახევარი საათი თუ დავრჩი სახლში; მეტი დრო არა მქონდა. მთავარსარდალი და შტაბის უფროსი 10 საათზე გამგზავრებულიყვნენ სადგურზე. მანქანა მუდმივ მოძრაობაში იყო, სადგურზე ყველა შტაბის ოფიცერი უნდა მიეყვანა. მახსოვს, ჩემი მეგობარი მიტო გოცირიძე, შტაბის კანცელარიის უფროსი და მე უკანასკნელნი მივდიოდით, ჩავედით დაბლა მანქანის მოლოდინში. ჩვენთან 3 ერისკაცი მოვიდა. ერთი მათგანი სერგო ქავთარაძე იყო, ბოლშევიკი. მას მე ვიცნობდი. სცოდნოდა რომ შტაბსა ვტოვებთ. ვუთხარი, რომ შტაბში აღარავინ არის და შეუძლიათ შენობის დაცვაზე იზრუნონ. მადლობა მითხრეს და ჩვენ გავწიეთ სადგურისაკენ. მატარებელში დაღლილს მაშინვე ჩამეძინა. გათენებისას ზარბაზნიდან გასროლილი ყუმბარის ხმამ გამაღვიძა მცხეთის სადგურზე, სადაც ჩვენი მატარებელი გაჩერებულიყო. შემდეგში გამოირკვა, რომ ეს შემთხვევით გასროლა იყო ჯავშნოსან მატარებლის ზარბაზნიდან, რომელიც მცხეთა-თბილისის ლიანდაგს ზვერავდა.

ჯართა გადაჯგუფება გრძელდებოდა. მტერი არ აგვდევნებია. ჯარები მშვიდათ მოემართებოდნენ. ცნობები, ვითომც მარცხენა და მარჯვენა მხრიდან მტრის კავალერია მოიწევდა, ყალბი გამოდგა. დახევისას ჩვენ ნაწილებს ბრძოლები არ უწარმოებია. შეიძლება თითო-ოროლა ცხენოსანი თუ შეამჩნიეს, თორემ დიდი ერთეული უბრძოლოთ როგორ დასტოვებდა უკანდამხევ ჯარს.

მცხეთასთან მთავარსარდალმა არ მოისურვა პოზიციების დაკავება. გადანყვიტა დაეხია ხაშურამდის და იქ უკეთეს მოგერიებით პირობებში გამაგრებულიყო სურამის უღელტეხილზედ, საიდანაც ხელსაყრელი პირობები იყო მარჯვენა ფრთის მტკვარზე დაყრდნობით. მცხეთიდან ხაშურში მიმავალი მთავარსარდლის მატარებელი გორში გაჩერდა. აქ შევამოწმეთ დამხევი ჯარის ვინაობა. აღმოჩნდა, რომ ჯარი იხევდა წესიერათ. ნაშუადღევს ჭოგრიტით შევამჩნიეთ, რომ მთებიდან ეშვებოდა მტრის ერთ ცხენოსან ესკადრონამდის. გორში ცხოვრობდა ბიძაჩემი მექი, თავისი ცოლით, ცნობილ მწერალ მაროთი, რომელიც გამოდიოდა „გარიყულის" ფსევდონიმით. გამოვემშვიდობე მათ იმედით, რომ მოკლე ხანში ისევ შევხვდებოდით. საუბედუროთ ესე არ აღმოჩნდა.

მთავარსარდალის მატარებელი ხაშურის სადგურზე გაჩერდა. ჩვენმა ჯარმა დაიკავა პოზიციები ხაშურსა და სურამის რაიონში. ამასობაში მოვიდა ორი ქვეითა პოლკი თავისი არტილერიით, რომლებიც გარდა არდაგანისა, მოვხსენით ოსმალეთის საზღვარს იმ იმედით, რომ ოსმალოები არ შემოგვიტევდნენ. მეორე დღეს ჯარები უკუიერიშზე გადადიოდნენ მარჯვენა ფრთის

მტკვრის მარცხენა ნაპირზე და მარცხენასი კავკასიის მთებზე დაყრდნობით. პირობები შეტევისათვის მეტათ ხელსაყრელი იყო.

ვმორიგეობდი შტაბში. ვიჯექი მთავარსარდლის სალონში ტელეფონთან. ნაშუაღამევს დარეკა ტელეფონმა. ცნობა მივიღე. ლაპარაკობდა გენ. კონიაშვილი, რომელიც გენ. ჯიჯიხიასთან ერთად გვარდიაში მსახურობდა. მთხოვდა მომეხსენებია მთავარსარდლისათვის, რომ გვარდიელებმა დაადგინეს არ შეუტიონ, შტაბი და ჯარი იშლება და მათზე ზეგავლენის საშუალება არა მაქვსო. მოახსენეთ ეს მთავარსარდალს და მეც ამ წუთშივე მოვდივარ მასთან პირადათ მოსახსენებლადო. მაშინათვე გავაღვიძე შტაბის უფროსი და მთავარსარდალი და მოვახსენე ტელეფონით მიღებული ცნობა. ძნელი ასაწერია მთავარსარდლის აღელვება. ამ მოულოდნელმა ცნობამ მოთმინებიდან გამოიყვანა. იმდენი შრომა ჩატარდა უკუიერიშის მოსამზადებლათ; აქ შესანიშნავ გარემოცვის პირობებში გამარჯვება ნათელი იყო, რის შემდეგ თბილისის უკან დაბრუნებას ველარაფერი ვერ შეაჩერებდა. გვარდიელების სამარცხვინო გაქცევამ ჩაშალა ბრძოლის ჩატარების შესაძლებლობა. სწორეთ მათ უნდა მოეხდინათ მთავარი დარტყმა დაჯგუფების მარცხენა მხრიდან.

ცოტა ხნის შემდეგ გენ. ზაქარიაძე თავის ვაგონში გავიდა, გენ. კონიაშვილი ჯერ არ მოსულიყო. მთავარსარდალი მეტათ ღელავდა. „აბა, თევზაძეე, თავის მოკვლა ღა დამრჩენია, არა?“ – მომმართა სევდიანი ხმით. შევწუხდი ძალიან. ვგრძნობდი რა აზრები უტრიალებდა ამ დროს თავში სარდალს. ის ხომ სამი წლის განმავლობაში უძლეველათ მართავდა საქართველოს თავდაცვის საქმეს. ზედიზედ მოიგო 3 ომი სამ მეზობელთან – სომხებთან, თურქებთან და ბოლშევიკებთან – ახლა კი დამარცხება ელის. ვცადე დამშვიდება. გვაქვს კიდევ ხელსაყრელი მოგერიებითი პოზიციები, ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული, გამარჯვების იმედი არ უნდა დავკარგოთ მეთქი, მაგრამ ამის მიღწევა ადვილი აღარ იყო. შავი ზღვის პირდაპირ ასეთი ხელსაყრელი პოზიციები აღარ არსებობდა.

შემოვიდა გენ. კონიაშვილი და დაიწყო სახალხო გვარდიის გინება, რომლის შექმნაზედ ეს ინტრიგანი 1917 წლიდან მოღვაწეობდა. აქ უნდა აღვნიშნო, რომ სახალხო გვარდიას სასახელო წუთებიც ჰქონდა, როგორც მაგ.: თბილისის არსენალის დაკავება 1917 წელს და რამდენიმე მცირე მნიშვნელობის მოქმედება ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში. საერთოთ კი მისი არსებობა აფერხებდა საქართველოს ჯარის მოწყობას. მის რიგებში ჩაინთქა საუკეთესო და გამოცდილი ნაცვლები. მათ ჯარში ჩაწერას უშლიდა ის გარემოება, რომ გვარდიაში ნაცვალთა ჯამაგირები აღემატებოდა ჯარის ნაცვლებისას. უარყოფითი მოვლენა გვარდიაში ისიც იყო, რომ იმათი შტაბები გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ უფროსის მიერ ყოველ გადაწყვეტილების მიღებისას; ეს კი ეწინააღმდეგებოდა უფროსის მიერ ერთეულთა მართვას ბრძოლის დროს. აქ მოქმედებათა გადამწყვეტი და პასუხისმგებელი მხოლოთ უფროსი უნდა იყოს...

არ იყო სხვა გამოსავალი. საჭირო შეიქნა ჯარების სამტრედიისაკენ დახევა, სადაც ჯვარედინდებოდნენ მამისონის უღელტეხილისა და გაგრა-სოხუმ-ოჩამჩირის გზები. მტერი აქტივობას არ იჩენდა, ისე რომ ჯარები დაუფერხებლივ იხევდნენ დასავლეთისაკენ.

რაკი დაინახეს ბოლშევიკთა უპირატესობა ქართულ ჯარებზე, თურქები შეტევაზე გადმოვიდნენ ახალციხესა და ბათუმის მიმართულებით. ოსმალებისთვის უფრო ხელსაყრელი იყო მათსა და რუსეთს შუა ბუფერული სახელმწიფოს არსებობა, ოღონდ, თუ რუსები საქართველოს ტერიტორიას დაეუფლებოდნენ, საჭიროთ სცნობდნენ რუსეთთან საზღვარი თავის ტერიტორიიდან წინ წაეწიათ. მით უმეტეს, რომ ბრესტის ტრაქტატით რუსეთმა ამაზე თანხმობა განაცხადა. მთავარსარდლის მატარებელმა მდ. ძირულასკენ გადაინაცვლა, სადაც უნდა დაჰხვედროდნენ ბოლშევიკთა ჯარებს. ოღონდ სურამის ქედის დასავლეთით ნიადაგი არა მარტო მთიანი იყო, ხშირი ტყეებითაც იყო დაფარული, ეს კი აძნელებდა ნაწილთა შორის კავშირის გაბმას და მოითხოვდა დიდ ძალებს, რაც ჩვენს განკარგულებაში არ იყო. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტის განკარგულებით გვარდია დაშლილ იქნა ხაშურის რაიონში უკუიერიშის ბრძანების შეუსრულებლობის გამო. სურამის მთებიდან გვარდიის დაშლილი ნაწილები უწესრიგოთ მიემართებოდნენ დასავლეთისაკენ. მტერმა მდევარი ნაწილები აამოქმედა აღმოსავლეთიდან სურამის უღელტეხილიდან და ცხენოსანი ნაწილებით ბორჯომ-ახალციხე, ხულო-ბათუმის მიმართულებით. ეს ნიშნავდა ჩვენი მარჯვენა ფრთის შემოვლას და ზურგში მოქცევას. მთავარსარდალმა გადაწყვიტა დაეკავებინა პოზიციები სამტრედიასთან, რიონზე დაყრდნობით. ეს შესაძლებლობას ჰქმნიდა ჯარების გამოყვანისა მამისონისა და სოხუმ-გაგრის მხრიდან.

მთავარსარდლის მატარებელი გადავიდა სამტრედიაში. შტაბი ხელმძღვანელობას უწევდა ჯარების გადაჯგუფებასა და პოზიციების დაკავებას. მახსოვს, ვისარგებლე შემთხვევით და ეინახულე ჩემი ოჯახი, რომლებიც იქა ცხოვრობდნენ. საწყალი დედაჩემი ძალიან აღშფოთებული იყო. ჰგრძნობდა, რომ ჩვენს სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვა ემუქრებოდა. მე ეუთხარი, რომ იძულებული შევიქნები საზღვარგარეთ წავიდე, რადგან ჩემი თანამდებობის გამო გენერალურ შტაბში არ დამინდობენ მეთქი. გამოვემშვიდობე საყვარელ დედას და ოჯახის წევრებს და დავბრუნდი მატარებელში. მეორე დღესაც სამტრედიაში დავრჩით, ოღონდ მე საშუალება არა მქონდა ოჯახში წასვლისა, ისე რომ ჩემი გამომშვიდობება ოჯახის უკანასკნელი ნახვა იყო. ჩემ დას ნინას გაეგო, რომ ჯერ ისევ სადგურზე ვართ. მინახულა. მომიტანა სადილი. ესეც მასთან უკანასკნელი შეხვედრის წუთები იყო. საშუალო ძმა – მიხეილი მე-5 ქვეითა პოლკში მსახურობდა. ცნობები მის შესახებ არა მქონია.

ჯარების სოხუმსა და გაგრიდან გამოყვანის შემდეგ ვიხეედით ბათუმისაკენ. აქ უკვე ხელსაყრელი პირობები პოზიციის დასაკავებლად აღარ იყო. ბათუმში იმ დროს იმყოფებოდა ჩვენი მთავრობა და უმრავლესობა დამფუძნებელი კრების წევრებისა. ამასობაში ოსმალოებმა შემოუტიეს ჩვენ მცირე ნაწილებს, დაიკავეს არდაგანის, ახალქალაქის რაიონები და მოინევდნენ ახალციხისაკენ. ოსმალოებმა დაიკავეს აგრეთვე ართვინის რაიონი და მოიწევდნენ ბათუმისაკენ. როდესაც მთავარსარდლის მატარებელი უახლოვდებოდა ბათუმს უკვე ისმოდა არა მარტო ზარბაზნების, არამედ თოფების სროლაც. ბათუმში მოხდა პრეზიდენტ ნოე ჟორდანიასა და მთავარსარდლის გენ. კვინიტაძის შეხვედრა. აქ დადგენილ იქნა შეწყვეტილიყო ბოლშევიკებთან ბრძოლა, რაკი მათ ველარ გაუმკლავდებოდით, შევსულიყავით მათთან შეთანხმებაში და საერთო ძალებით გაგვედევნა ოსმალოები, რომლებიც უკვე ბათუმს უახლოვდებოდნენ. გაგზავნილ იქნენ ბოლშევიკთა ჯარების სარდლობასთან რწმუნებულნი, რომელთაც დაამუშავეს საერთო მოქმედების გეგმა ოსმალოების ასალაგმავათ, რომელნიც უკვე ბათუმს უახლოვდებოდნენ.

მშვენივრათ მახსოვს ბოლშევიკების ჯართა წარმომადგენლების ჩამოსვლა ბათუმში. შეიყვანეს მთავარსარდლის ვაგონში საერთო გეგმის შესამუშავებლათ ოსმალეთის წინააღმდეგ. მეტის მეტათ მწვავე ზედგავლენა მოახდინა ჩემზე ამ წუთმა. მთავრობისა და მთავარსარდლის ეს აქტი გამოწვეული იყო იმ ვითარებით, რომ გვსურდა ბოლშევიკებს დაეკავებინათ საქართველოს მთელი ის ტერიტორია, რომელიც მას ეკუთვნოდა ბოლშევიკების შემოსევამდის, ე. ი. 1921 წლის 11 თებერვლამდის, და რომელიც ცნობილი იყო ისე რუსეთის, როგორც ოსმალეთის მიერ. საუბედუროთ თურქების მიერ მარტში დაკავებული ქართული მიწები ართვინისა და არდაგანის რაიონებში თურქებმა არ დააბრუნეს და დღესაც მათ უკავიათ.

ამნაირათ, ბოლშევიკებმა დაიკავეს მთელი საქართველო. ჩვენმა მთავრობამ წინასწარ შეათანხმა საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლებთან გახიზვნის საკითხი მთავრობის, დამფუძნებელი კრების წევრების და ჯარის ნაწილებისა, რომლებიც სახლში ვერ დარჩებოდნენ სამსახურებრივი პირობებისა და ბოლშევიკთა საწინააღმდეგოთ განეული მუშაობის გამო.

მთავარსარდალმა და შტაბის უფროსმა გენ. ზაქარიაძემ ერთად შეადგინეს ოფიცერთა და ნაწილთა სია, რომლებიც საზღვარგარეთ უნდა გახიზნულიყვნენ.

მე, ჩემ ამხანაგებთან, მაიორ უთნელიშვილთან და პოლკ. ერისთავთან[1] ერთად წინათვე დანიშნული ვიყავით საფრანგეთში ნასასვლელათ, იქაური უმაღლესი სამხედრო სკოლის დასამთავრებლათ. მე და მაიორ უთნელიშვილს გვეძლეოდა პოლკოვნიკის ხარისხები. საუბედუროთ, ბოლშევიკების მიერ 21.III.21 წლისა საქართველოს დაკავების გამო, ყველა ეს გეგმები ჩაიშალა. სამაგიეროთ მთავარსარდლისა და შტ. უფროსის დადგენილებით გათვალისწინებული ვიყავ საზღვარგარეთ წასასვლელათ, სადაც მთავრობა აღმომიჩენდა ყოველთვიურ დახმარებას. მიუხედავათ ამ დაპირებისა, ვერ წარმომედგინა ჩემი სამშობლოს, ჩემი ოჯახის დატოვება. დიდი ყოყმანის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე სამშობლო დამეტოვებინა. ვფიქრობდი, რომ ბოლშევიკთა ძალაუფლება დიდ ხანს არ გასტანს, ჩემი სამშობლო განთავისუფლდება და დავბრუნდები მეთქი. ამასობაში ჩვენ ვაგონში ჩემი ძმა მიხეილი შემოვიდა. გამახარა მისმა მოსვლამ. რაკი გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოში დარჩენილიყო, ვთხოვე ეზრუნა ჩემ დედასა და ნინოზე. გა-

[1] იგულისხმება პოლკოვნიკი ვალერიან სიდამონ-ერისთავი *(ლ. ც.)*.

მოვემშვიდობეთ ასე ტრაგიკულათ ერთმანეთს და გავწიეთ საფრანგეთის ხომალდზე, რომელსაც ნაპირს მოშორებით ღუზები ჰქონდა ჩაყრილი. ამ გემს უნდა ჩაეყვანეთ კონსტანტინოპოლამდის.

შემდეგში, ემიგრაციაში, არაერთხელ დავფიქრებულვარ მოვიქეცი თუ არა წესიერათ, რომ სამშობლოს, მახლობლებს და მეგობრებს ჩამოვშორდი. მუდამ თავს ვინუგეშებდი იმედით, რომ ევროპის სახელმწიფოები, რომლებმაც საქართველოს არსებობა ფაქტიურად აღიარეს და ერთა ლიგა, რომელიც მზათ იყო თავის შემადგენლობაში საქართველოც მიეღო, მიიღებდნენ რამე ზომებს, აიძულებდნენ ბოლშევიკებს საქართველოდან წასვლას და მეც უკან დავბრუნდებოდი. ბოლშევიკები ყოველ ხელსაყრელ მომენტებში მუდამ აღიარებდნენ, რომ ერთა თავისუფლება და დაჩაგრულ და ცარიზმის მიერ დაპყრობილ ერთა თავისუფლება ეს, მათი უმთავრესი მიზანია. არ ვიცოდი, რომ მათი თავისუფლება გულისხმობდა ბოლშევიკური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას ყველა იმ რუსეთში შემავალი ქვეყნისა, რომელიც თავის წესწყობილებას თავისებურათ და დამოუკიდებლათ მოინდომებდა.

გემზე მოთავსდნენ გენ. შტაბის ოფიცრები, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი და იუნკერთა სკოლა, რომელიც ასე გმირულათ იბრძოდა სატახტო ქალაქის დაცვისას. ჩვენი ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ მათ რომელიმე მეგობრულათ განწყობილი სახელმწიფო მიიღებდა სამხედრო სკოლაში და დაბრუნებისას მზათ გვეყოლებოდა ევროპულათ აღზრდილი ოფიცრები.

ასე დაიწყო ჩემი ცხოვრების მეორე ნაწილი და გულში ჩამწვდომი დარდი მახლობლების, ნათესავ-ნაცნობების და სამშობლოს მოშორების გამო. ჩემი იმედი, რომ ბოლშევიკთა მმართველობა რუსეთში დიდ ხანს არ გასტანს – უსაფუძვლო აღმოჩნდა. რუსეთის ხალხი მიჩვეული მონობას ჯერ მონღოლებისა და მერე 100 წლოვან დესპოტურ მეფის რეჟიმის, უყოყმანოთ დაემორჩილა ბოლშევიკურ ხელისუფლებას.

ვერ ვიქნები დამარხული ჩემ სამშობლოში. სანუგეშოთ ისღა დამრჩენია, რომ მიმიღებს სამუდამო განსასვენებლათ კეთილშობილი, მედგარი და საქართველოს მეგობრობაში გამოცდილი პოლონეთის მიწა.

[1988]

გამოსვლები
ნოველები
მემუარები

ქართული მუსიკა 4-5 საათიან რ. გადაცემისთვის[1] და მოხსენებებისთვის პოლონეთში

1. ქართული ოპერები.
   რამდენი ქართული ოპერა გვაქვს?
   მათი სათაურები.
   რომლები სარგებლობენ მათგან მუდმივი წარმატებით?
   ამ ოპერათა მოკლე შინაარსი და მუსიკალური ნიმუშები.
   ცნობები მათ ავტორებზე.
2. ქართული ბალეტები. მათი რიცხვი და ჩამოთვლა მუსიკალური ღირსების რიგით.
   რომლებია მათგან საუკეთესონი?
   მათი შინაარსი. ცნობები ავტორებზე და მუსიკალური ნიმუშები.
3. მუსიკა კინოფილმებისთვის.
   რამდენი ფილმი აქვს გამოშვებული საქართველოს კინოსტუდიას?
   მათგან რომლები გამოირჩევიან მუსიკალური დამუშავებით?
   მუსიკის ნიმუშები.
4. ქართული ხალხური სიმღერები გუნდისა და ცალკე შემსრულებელთათვის. კუთხურ ნაირსახეობათა აღნიშვნით:
   ქართლ კახური
   იმერული
   გურული
   მეგრული
   სვანური
   თუშ-ფშავ-ხევსურული
   ოსური
   აფხაზური.
5. ქართული დამუშავებული მუსიკა ეროვნულ მოტივებზე დაყრდნობით.
   სიმფონიური
   კამერული
   საესტრადო.
6. ძველი საეკლესიო და საერო მუსიკა.
   ცნობები ინგოროყვას მიერ გაშიფრულ მუსიკაზე.
   ნიმუშები: „შენ ხარ ვენახი".
   ტრიო „წმინდაო ღმერთო", „შენ გიგალობთ", „შენ ხარ ვენახი".
   ძველი საერო მუსიკის ნიმუშები.

[1] რადიოგადაცემისთვის (ლ. ც.).

ქართული ოპერები:

მამისაშვილი – „მკვეხარა კურდღელი".
არაყიშვილი – „თქმულება შ. რუსთაველზე".
აზმაიფარაშვილი – „ხევის ბერი გოჩა".
ანდრიაშვილი – „ზვავი", „ოთარაანთ ქვრივი", „კაკო ყაჩაღი", „ლაშქარა", „ჩხიკვთა ქორწილი", „ნანა", „მეგობრები".
ალექსიძე – „განთიადი".
ა. ბასკაკოვი – „პეპო".
მ. ბალანჩივაძე – „დარეჯან ცბიერი".
ა. ბალანჩივაძე – „კაკო ყაჩაღი", „მზეჭაბუკი", „მზია".
ა. ბუკია – „დაუპატიჟებელი სტუმრები", „არსენა", „სამი მჭედელი".
გოკიელი – „პატარა კახი", „წითელქუდა", „ბროლის ქოში".
გაბიჩვაძე – „ნანა".
გეჯაძე – პირველთა ოპერა „განთიადი".
გოგნიაშვილი – „ქრისტინე".
გ...ცაძე[1] – „მზე, ზღვა და ოთარი".
დოლიძე – „ქეთო და კოტე", „ლეილა", „ზამირა", „ცისანა", „ოთარაანთ ქვრივი".
ცინცაძე – „დემონი".
კილაძე – „ლადო კეცხოველი", „ბახტრიონი".
იპოლიტოვ ივანოვი – „ღალატი".
ა. კერესელიძე – „ბაში აჩუკი", „მსხვერპლი".
მაჭავარიანი – „დედა და შვილი".
მშველიძე – „ამბავი ტარიელისა", „დიდ ოსტატის მარჯვენა", „ჯ. კ. ქვრივი",[2] „მინდია".
მელვინეთ უხუცესი – „ამირანი", „ბეკინას ქორწინება", „1905 წ.", „დავით გურამიშვილი".
ა. შავერზაშვილი – „მარინე".
რ. ლალიძე – „მეგობრები", „კომბლე".
ნარიმანიძე – „გამზრდელი".
ალ. ფარცხალაძე – „მაია".
ლ. ფალიაშვილი – „ვეფხის ტყაოსანი", „დედა და შვილი", „იავნანამ რა ქნა".
ა. ჩიმაკაძე – „ქართლის გული", „ბახტრიონი".
ზ. ფალიაშვილი – „დაისი", „აბესალომ და ეთერი", „ლათავრა".
ლ. ფალიაშვილი – „ლეილა", „იავნანა".
ო. თაქთაქიშვილი – „დეპუტატი",[3] „სინათლე", „მინდია".
შ. თაქთაქიშვილი – „ხმოსანი" („დეპუტატი").
თევდორაძე – „დიდება თბილისს".
ი. ტუსკია – „სამშობლო".
დ. თორაძე – ბალეტი „გორდა", ოპერა „მთების ძახილი", „ჩრდილოეთის პატარძალი".
დავითაშვილი – „ქაჯანა".
ექსანიშვილი – „გასეირნება".
ჩორგოლაშვილი – „განდეგილი".

პროფ. გრ. ჩხიკვაძე, „ძველი ქართული მუსიკა", „ქართ. ხალხური სიმღერა", I ტომი (აღ. საქართვ.).
დოც. ვ. ახობაძე, „სვანური ხალხური სიმღერა".
ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის } „კრებულები ქართული ხალხური სიმღერების".
ივ. ჯავახიშვილი, „ქართული მუსიკის შესახებ", ნიგნი. 1938 წ.

[1] გვარი არ იკითხება *(ლ. ც.)*.
[2] იგულისხმება „ჯარისკაცის ქვრივი" *(ლ. ც.)*.
[3] ოპერა „დეპუტატის" ავტორი შალვა თაქთაქიშვილია *(ლ. ც.)*.

„Грузинская музыкальная культура", 1957 წ., изд. Москва.[1]
ილია ჭავჭავაძე.

საუკეთესო ოპერები:
ზ. ფალიაშვილისა – 1) „აბესალომ და ეთერი", 2) „დაისი".
ვ. დოლიძე – „ქეთო და კოტე".
ალ. ბუკიასი – „დაუპატიჟებელი სტუმრები", „დარეჯან ცბიერი" – გოჩას არია.
ოთ. თაქთაქიშვილი – „მინდია".
მშველიძე – „ამბავი ტარიელისა".

საუკეთესო ბალეტები:
თორაძისა – „გორდა".
მაჭავარიანის – „ოტელო".
ბალანჩივაძის – „მთების გული", „მწირი".
ცინცაძის – „დემონი".

მუსიკა კინოფილმებიდან:
რ. ლალიძისა.
ს. ცინცაძისა.
ა. კერესელიძის.
დ. თორაძის.

ქართული ბალეტები

„გორდა"

მთის კალთაზე მოქანდაკე ჰკვეთს ქალიშვილის სახეს. შემოდის ქალთა ჯგუფი. მათ შორის იმყოფება ჯავარა. ცეკვავენ, მოსწონთ ნაკვეთი სურათი. ჯავარას პგონია, რომ მოქანდაკე მის სახესა სჭრის.

ისმის მონადირეთა საყვირების ხმა. შემოდის მეფის ქალი ირემა მხლებლებით. ყველანი დაღონებულები არიან. არწივის მიერ ირემას საყვარელ შევარდნის დაჭერის გამო. მათი ისრები არნივამდის ვერ უწევს. გორდა კი პირველსავე ისრით ჩამოაგდებს არწივს და განთავისუფლებულ შევარდენს ირემას მიართმევს. ირემას პირველ შეხვედრისთანავე უყვარდება გორდა. მეფე ეპატიჟება მას ნადირობაზედ.

ჯავარა რჩება სცენაზე. დააცქერდება გამოქანდაკებულ სურათს და მის ირემასთან მზგავსებას შეამჩნევს. ვარდება სასონარკვეთილობაში. გაშმაგებული ეხეთქება სცენის კუთხეებს, ამოაძრობს მკვდარ არწივს ისარს და იმუქრება შურის ძიებას.

ნადირობის შემდეგ სასახლეში მხიარულებაა. ყველას უკვირს გორდას ხელმარჯვეობა. ირემას ახარებს გორდას სიახლოვე. სიხარულს სწყვეტს სულთანის ელჩის შემოსვლა. ის მიართმევს მეფეს მისი ქალის ირემას სულთანის მიერ ცოლათ შერთვის მოთხოვნას. მეფე საუარო წერილს უგზავნის სულთანს. პასუხი მიაქვს გორდას.

სულთანი პასუხის მოლოდინში მონყენილია. თავს ირთობს ქალთა ცეკვებით. შემოდიან ქართველი ელჩები. გორდა მიართმევს მეფის პასუხს.

სულთანი განრისხებულია. ბრძანებს ელჩებისთვის თავების დაკვეთას. მომხდარ ბრძოლაში გორდა ჰკლავს სულთანს და ხტება ზღვაში. ბედნიერია, როდესაც დაღლილი და ზღვიდან გამოსული მშობლიურ მიწაწყალს იცნობს.

გორდა და ირემა თავისი შვილით ბადრით ბედნიერებია, მაგრამ მოდის ცნობა, რომ ნაშენ ციხე სიმაგრის კედლები ყოველგვარი მიზეზის გარეშე ჩამონგრევით თავდება.

მიზეზის გასაგებათ გორდა მკითხავთან მიდის. მკითხავი აღმოჩნდება ჯავარა. შურის საძიებლათ უმკითხავებს, რომ ციხის შენების ბოლომდის მისაყვანად საჭიროა კედლებში ცოცხლათ დაიმარხოს ამ ისრის პატრონის შვილი. ისრის პატრონი კი ბადრია.[2]

---

[1] „ქართული მუსიკალური კულტურა", 1957 წ., გამომც. მოსკოვი *(რუს.)*.
[2] იგულისხმება გორდა *(ლ. ც.)*.

ამასობაში ურჯულოები ეცემიან საქართველოს. მიმდინარეობს ბრძოლა, რომელსაც გორდა ხელმძღვანელობს. კედელში ცოცხლათ ატანენ ბადრის.

გამარჯვებული გორდა ბრუნდება ბრძოლიდან სწორეთ დროზედ, რომ თავისი შვილი სიკვდილს გადაარჩინოს.

ბალეტი „დემონი" 3 მოქმედებათ და 9 სურათათ ს. ცინცაძისა

ეშმაკი (დემონი) ჩნდება ერთ მწვერვალზედ. დაუმშვიდებელი ნაღვლობს. იყურება შორს და ხედავს, რომ წყაროზედ ჩამოდის ლამაზი ქალი თამარი. მას ქალი მოეწონება და გული სიყვარულის და ეშხის ტალღებით აუფრთოლდება. ქაჯი უცქერის მას. ქალი ვიღაცის უჩინარ მზერას ჰგრძნობს. ღელდება და შეშინებული გარბის.

სურათი მე-II. თამარი ბრუნდება სახლში. აქ მზადებაა საქორწინოთ. მამა და აღმზრდელი აჩქარებენ მას ქორწინებისთვის. ქაჯი ყველა ამას ჰხედავს და გადასწყვეტს თამარის ხელში ჩაგდებას და მისი დანიშნულის მოკვლას.

სურ. მე-III. ღამეა. საქორწინოთ მომავალი თავადი ჩერდება ერთ ერთ მწვერვალზე, ყველასა სძინავს გარდა დანიშნულისა.

ქაჯის მსახურნი ესხმიან მათ. დაჭრილ დანიშნულს სვამენ ცხენზე, მაგრამ მას მოეწევა ტყვია და კვდება. ქაჯი კმაყოფილია.

მოქმ. მე-II. სურ. მე-IV. თავად გუდათის სახლში წვეულებაა. ლხინობენ, ელიან დანიშნულს. თამარს ეძნელება საკუთარ ოჯახს მოშორება, მაგრამ დანიშნულის მოლოდინი ამშვიდებს მას. ჩნდება მხედარი. ზარები რეკვას იწყობენ. შეეგებებიან მომავალთ და ცხენზე დანიშნულის მაგიერ მის გვამს შეამჩნევენ.

ყველა დანაღვლიანებულია. თამარი ტირის. ამჩნევს ქაჯს და გული უღონდება. ყველას ჰგონია, რომ ის დარდობს დანიშნულის დაკარგვას. მოსულიერებული სთხოვს მამას მოლოზნათ შესვლის ნებას. მიუხედავათ უარისა, ის მაინც თავისას იტანს და ნებართვას ღებულობს.

მოქმ. მე-III. სურ. მე-V. ანგელოზი აგდებს ქაჯს, ის არ ნებდება. ამტკიცებს, რომ თამარი მას ეკუთვნის. ანგელოზი რწმუნდება, რომ თამარი მართლაც ქაჯზე ფიქრობს და უშვებს ქაჯს. ის შევარდება მონასტერში.

სურ. მე-VI. თამარი ლოცულობს, მაგრამ ნაცელათ წმინდანებისა მის თვალწინ მუდამ ეშმაკია. ის ჩასჩურჩულებს მას თავის სიყვარულზე.

სურ. მე-VII. ქაჯი ჰპირდება მას ბედნიერებასა და ყოვლის შემძლეობას და სთხოვს სიყვარულის გაზიარებას.

სურ. მე-VIII. თამარი უძლურია ქაჯის ჯადოქრობას გაუძლოს და მხურვალეთ ჰკოცნის მას. კოცნით მოშხამული კვდება. ქაჯი სასოწარკვეთილებაშია. დარდობს დაკარგულ სიყვარულზე და წყელვა კრუვლით იხსენიებს ცას.

გრამოფონის ფირფიტებზედ:

I. ა) 1. „ლილე".
2. „კვირია".
3. „ალილო".
4. „ჭონა".
5. „შენ ხარ ვენახი".
6. „მუმლი მუხასა".
7. „თამარის დროშა".
8. „თამარ ქალო".
9. „ქართველო, ხელი ხმალს იკარ".
10. „ხასანბეგურა".[1]
11. „სიმღერა სიმონ დოლიძეზე".
12. „ალი ფაშა".[2]

[1] სიმღერა ეძღვნება ჰასან-ბეგ თავდგირიძეს (ლ. ც.).

[2] სიმღერა ეძღვნება ალი-ფაშა თავდგირიძეს (ლ. ც.).

13. „ჩაკრულო“.
14. „ურმული“.

II. ა) 15. „გლესავ და გლესავ ნამგალო“.
16. „ოროველა“.
17. „ოდოია“.
18. „მგზავრული“.
19. „იავნანა“.
20. „გაფრინდი შავო მერცხალო“.
21. „კუჭრი ბედნიერი“[1] (მაყრული).

II. 22. „დიდა ვოი ნანა“.
23. „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“.
24. „ახრა ნაზკუ აშკა“.
25. „ჩვენ მშვიდობა“.
26. „ჩონგური“.
27. „მრავალჟამიერი“.
28. „შაშვი კაკაბი“.
29. „ნეტავი გოგო მე და შენ“.


III. 30. „სი ქოულ ბათა“.[2]
31. „თებრონე მიდის წყალზედა“.
32. „მოხევის ქალო“.
33. „სალამურო“.
34. „ვისია, ვისია“.
35. „სულიკო“.
36. „ბუბა ქაქუჩელა“.[3]
37. „ჩეპენა“.
38. „ცოლი გამიდიდგულდა“.

39. „ჩიჩეტურა“.[4]
40. „სატრფიალო“.
41. „ჩაგუნა“.
42. „ცანგალა და გოგონა“.
43. „განდაგანა“.
44. „კაკლის ტოტი“.
45. „აი, კახეთი“.
46. „ტბილისს“.
47. „ადჟა კაშკუ არკუბჟა აშა“.
48. „საკოლმეურნეო“.


მაგნეტოფონის ფირზე:

I. 1. „ქრისტეს გალობა“.
2. „გალობანი გიორგისანი“.[5]
3. „შენ ხარ ვენახი“.
4. „კვირია“.

[1] იგულისხმება „კუჭრი ბედინერი“ *(მეგრ.)*.
[2] იგულისხმება „სი სოული ბათა“ *(მეგრ.)*.
[3] იგულისხმება „ბუბაი ქაქუჩელა“ *(მეგრ.)*.
[4] იგულისხმება „ჭიჭე ტურა“ *(მეგრ.)*.
[5] იგულისხმება წმ. გიორგისადმი მიძღვნილი იოანე მინჩხის საგალობელი *(ლ. ც.)*.



გრამოფონის ფირფიტებზე ჩაწერილი ქართული სიმღერების ნუსხა, ნიკოლოზ მათიკაშვილის ავტოგრაფი [1968] (სლშ. №28440-2-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი)



მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი ქართული სიმღერების ნუსხა, ნიკოლოზ მათიკაშვილის ავტოგრაფი [1968] (სლმ. №28440-2-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი)

5. „ლილე“.
6. „მრავალჟამიერი“.
7. „ზამთარი“.
8. „ჩაკრულო“.
9. „კახური სუფრული“.
10. „იავნანა“.
11. „მუმლი მუხასა“.
12. „გაფრინდი შავო მერცხალო“.
13. „ნანა“ (კახური).
14. „შვიდკაცა“.
15. „ხასანბეგურა“.
16. „იმერული მგზავრული“.

II. „აბეს. და ეთერი“ – ზ. ფალიაშვილი

17. აბიო მეფე.
18. კვარტეტი „ნამწამსა და ნამწამს შუა“.
19. აბესალომისა და მურმანის დუეტი.
20. აბესალომის არია.

„დაისი“ – ზ. ფალიაშვილი

21. უვერტიურა.
22. კიაზოს არია „სულო ბოროტო“.
23. მალხაზის არია „თავო ჩემო“.
24. კიაზოს სიმღ. „დამისხი, დამალევინე“.
25. მალხაზის არია „გშორდები ტურფავ“.
26. მაროს რეჩიტატივი „შუქურ ვარსკვლ. მაგონებ“.

„ქეთო და კოტე“ – დოლიძის

27. საქოსა და სიკოს კუპლეტები „ძმაო, როცა მოეკვდები“.
28. ქეთოს არია ჩივილი, რომ სხვაზე ათხოვებენ, „ჩემო სინათლევ“.
29. ქეთოსა და კოტეს დუეტი „ჩემო სინათლევ, ჩემო იმედო“.

„დაუპატიჟებელი სტუმრები“ – ბუკიასი

30. თინასა და გივის დუეტი.
31. ყვავილების გუნდი.
32. მახრების სვლა.
33. მახრათა ხელმწიფის რეჩიტატივი.

„თქმულება ტარიელზე“

34. ქალთა გუნდი (ჩონგ.).
35. გუნდი.

„მინდია“

36. მზიასა და მინდიას დუეტი.
37. მინდიას არია („ექო ბანს იძლევა“).
38. ჩალხიას არია.

ბალეტი „გორდა“

39. ცეკვა.
40. სუიტა.
41. 4 დოლით.

მაჭავარიანი

42. დოლური – უვერტიურა.
43. მოცეკვავე კიპროსელები.

„დემონი“

44. ცეკვა ქართული.
45. სიანოდალისა და მაერების ცეკვა.

„ხევის ბერი გოჩა“

46. „მოხევური“ სიმღერა (ჩონგურზე).
47. „ჯვარული“.
48. „ტიალო დარიალაო“.
49. „ინდი მინდი“.
50. „მწყემსური“.
51. „ლალე“.
52. დუეტი სიყვარულზე – გორდელისა.
53. „თოჯინები იცინიან“.

„სადაც ეშობილვარ, გავზრდილვარ“, „კინტოური“, „დაიგვიანეს“, „ბატონიშვილი თავის ჯარით“, ცეკვა ფილმიდან „ხევსურული ბალადა“.

„ია და ვარდო, თამარო“.
„წაიყვანეს თამარ ქალი“, კონსერვატ.
„თამარ ქალი“.
რ. გაბიჩვაძე – „პიონერული მარში“.
რ. ლაღიძე – „შრიალებს ჯეჯილში ნიავი“.
ხალხური – „არაგვი“.
„ვარდსა ჰკითხეს“ – კონსერვატ.
ო. დიხამინჯია – „მერცხალი“.
„რომელი ქერუბინთა“ – კონსერვატორია. || შესრულება.
გ. კოკელაძე – „დილა“.
მ. დავითაშვილი – „თბილისის დილა“.
ს. ცინცაძე – „ჭრიჭინას სიმღერა“.
ო. თაქთაქიშვილი – „ჩვენი ერთობის სიმღერა“.
ხალხური – „ნაძვის ხე“.
ს. ცინცაძე – „აბეზარას სიმღერა“.
მ. ჩირინაშვილი – „ნორჩი ლენინელების სიმღერა“.
„თამარ მეფე და ხომალდი“.
რ. ლაღიძე – „შემოსულა მაისი“.
რ. ლაღიძე – „გვიხმობს სამშობლო“.
ქრისტესშობის საგალობელი (კონსერვატ.).
„მე რუსთველი ხელობითა“.

ო. თაქთაქიშვილი – II სიმფონია.
ა. ჩიმაკაძე – კანტატა „ქართლის გული“.
„ბოლო წითელი ფრინველი“.
„სიყვარული არ იქნება“.
მე-II ხმის საგალობელი.
მ. დავითაშვილი – „პატარა მატარებელი“.
1. ა. ბალანჩივაძის – I სიმფონია.
2. შ. მშველიძე – „ზვიადაური“.
3. მაჭავარიანი – სავიოლინო კონცერტი.
4. ო. თაქთაქიშვილი – საფორტეპიანო კონცერტი.
5. რ. ლაღიძე – „საჭიდაო“.

ილია, ტომი მე-III.
„ქართული ხალხური მუსიკა“, გვ. 145.

ლესსინგი: „მუსიკა არის უტყვი პოეზია და პოეზია მეტყველი მუსიკააო“. მუსიკა გამოხატავს ადამიანის გრძნობას, ისე მხიარულს, როგორც სამწუხაროს. სხვა და სხვა ეროვნება ამას სხვა და სხვა თქმით და სხვა და სხვა ხმით გამოხატავს. ამიტომ არის რომ ერთი ეროვნების კაცი მეორისას ვერ გებულობს და არც მოსწონს. ცნობილია ევროპიულ მუსიკის მაღალხარისხოვნება, მაგრამ ცნობილია აგრეთვე, აღმოსავლეთურ მუსიკის მაღალი დონე და მისი ჟღერადობაც. ქართული მუსიკა ამ ორთა შორის თავისებურია.

ხმები:
პირველი – მთქმელი.
მეორე – მოძახილი.
მესამე – ბანი.

ბერძენთა ისტორიკოსის ქსენოფონტეს *ნაწერებში*[1] ჩანს, რომ ქართველურ ტომებში მე-IV საუკუნეში ქ. წ. არსებობდა სამხედრო და საცეკვაო სიმღერები. ჭანები ომს სიმღერა ცეკვებით იწყობდნენ.

მე-X საუკუნის ქართველი მწერალი კომპოზიტორი – მიქაელ მოდრეკილი გვაუწყებს, რომ მან შეკრიფა და ნიშნებით ჩამოწერა ქართული, ბერძნული და მესხურნი სიმღერანი. აქედან სჩანს, რომ ის რაც მას წიგნათ მე-X ს. ჩამოუწერნია არსებობდა და ხმარებაში იყო მე-X ს. წინათაც.


ეს რაც შეეხება საეკლესიო საგალობლებს, მხოლოდ საერო და კერპთაყვანისმცემლური მუსიკა ამის წინათაც არსებობდა. რის დამადასტურებელია ფაქტი მთიანეთის საქართველოს კუთხეებში გადარჩენილ მუსიკის სახით და ხალხურ შემოქმედებაში დღევანდლამდის დაცული სასიმღერო ჩანართები, როგორც „ოდილა“, „დიელო და“, „არანუ არანანო“, „არალო, არულალო არი არალო“.

ისტორიკოსი ხუცეს-მონაზონი მოგვითხრობს, რომ გიორგი მთაწმინდელს ათონის მთაზე გამგზავრებისას მე-XI საუკუნეში თან წაუყვანია სიმღერაში გაწვრთნილი ახალგაზრდები, წარუდგენია ისინი საბერძნეთის კეისრისთვის კონსტანტინეპოლში. კეისარს სიმღერები მოსწონებია და საჩუქრებიც უჩუქებია.[2]

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული საეკლესიო და საერო სიმღერები იმ დროს უკვე მრავალხმიანები იყო (ორ ხმიანი), ებრაულ, ასურულ, სომხურ-ბიზანტიური და სპარსული მუსიკისაგან განსხვავებით, რომლებსაც ერთხმიანობა ახასიათებდა.

პეტრე იბერის[3] ცხოვრების ასურულ აღწერიდან ირკვევა, რომ დიდებულებს დროს გასატარებლათ მგოსან კაცთა და ქალთა სიმღერების მოსმენა ჰქონდათ ჩვეულებათ. ამის ნაცვლათ არჩილ მეფემ მე-V საუკუნეში საეკლესიო საგალობლების მგალობელნი გაიჩინა და წვეულებასა და გართობისას მათ აგალობებდა.[4] სჩანს აქედან, რომ ქრისტიანული ხელისუფლება იმ დროს

[1] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამორჩენილია *(ლ. ც.)*.
[2] ც¯ად მთაწმინდელისაჲ – „ათონის კრებული“, მ. ჯანაშვილის გამოცემა, გვ. 355 *(ავტ.)*.
[3] R. Raabe, „Petres der Iberer“ (რ. რააბე, „პეტრე-იბერი“). ასურ. ტექსტი, გე. 11 და (გერმ. თარგმ.) გვ. 19) *(ავტ.)*.
[4] ქ¯ბი II 65 *(ავტ.)*.



ქართული ხალხური საკრავები. ნიკოლოზ მათიკაშვილის ნახატი (სტმ. №28440-2-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

სდევნიდა ხმარებიდან საერო სიმღერებს, რომლებიც მის ყოფა-ცხოვრებასთან, კერპთაყვანისმცემლურ ხატობა დღეობებთან იყო დაკავშირებული. ეს დასტურდება რუის-ურბნისის საეკლესიო კრების 1103 წლის დადგენილებიდან, რომ მონასტრებში აღმოკვეთილიყოს სავაჭროთა და სხვა სამოქალაქო და მსოფლიო წესნი რათა არ წასწყდეთო. ესევე იყო აღმაშენებლის დროს, როდესაც ჯარში აკრძალული იყო შესრულება საეშმაკო სიმღერათა.[1]

ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, რომ არსებულან მუსიკის მცოდნე ხალხი – ხმის დამდებელნი, რომელთაც ებარათ მუსიკალური შემოქმედება.

ქართული ნოტები ნაწერის ზემოთ და ქვემოთ ინერება. მისი გაშიფვრა ეკუთვნის პ. ინგოროყვას.

ქართული საუკეთესო ოპერები:

ზ. ფალიაშვილი – „აბესალომ და ეთერის", „დაისის" და „ლათავრას" ავტორი. კლასიკოსი. მსოფლიო მაშტაბით განთქმული. შემქმნელი მრავალი ქართული სიმღერების და მუსიკალურ ნაწარმოებებისა. მუსიკალური დაინტერესება გამოიჩინა 5 წლის ასაკში. ერთი ხანობა უკრავდა ორღანოზედ კათოლიკურ ეკლესიაში.

„აბესალომ და ეთერი"

მეფე ქართველთა აბესალომი ნადირობის დროს წააწყდება ღარიბ, განსაცვიფრებელი სილამაზის ქალს „ეთერს". მოხიბლული მისი სილამაზით ირთავს ცოლათ და აცხადებს დედოფლათ. ეს არ მოეწონება მაშინდელ დიდებულებს და თავად აზნაურობას. მოსთხოვენ მეფეს მასთან გაყრას და თავის შეკადრისი ცოლის შერთვას. მეფე ყოყმანობს, მაგრამ, როდესაც მურმანი ჯადოსანთა მოხმარებით ეთერს გაუჯურნავს ავათმყოფობაში ჩააგდებს, აბესალომი მზათ არის მსურველს თავისი ცოლი გადასცეს. მურმანი სარგებლობს მეფის წინადადებით, უბრუნებს მას დაკარგულ ჯანმრთელობას და ათავსებს თავის ბროლის კოშკში.

აბესალომს ძველი სიყვარულით უყვარს ეთერი. ვერ შერიგებია მომხდარ ფაქტს, იტანჯება და ხდება ავათ. სიკვდილის პირას მიმდგარი თხოულობს ჩაიყვანონ ეთერის კოშკთან. აქ ის უმღერის ეთერს, აგონებს თავის სიყვარულს და სთხოვს კოშკიდან გამოსვლას.

ეთერი მოდის სარეცელთან და საკუთარი თვალით ჰხედავს მის გარდაცვალებას. სატრფოს სიკვდილი იმდენათ ძლიერათ მოქმედობს მასზე, რომ ისიც კვდება.

ამ ოპერიდან მუსიკის საინტერესო ნიმუშებია: ...

„დაისი" – ოპერა 3 აქტათ

ლამაზათ მდებარე სასახლიდან მოსჩანს მთის ფერდობს შეკედლებული საყდარი. დღეს ამ ეკლესიის დრეობაა და ხალხის დიდ შემკრებულობას მოელიან.

სასახლეში ცხოვრობს თავადიშვილი მარო. მისი სატრფო მალხაზი კარგა ხანია წასულია სამშობლოდან. მის დაბრუნებაზე იმედ გადაწყვეტილი მშობლები ჰნიშნავენ მაროს კიაზოზე.

წყაროსთან ხვდებიან ერთმანეთს ნანო და მარო. ნანო ახარებს მაროს, რომ მისი სატრფო მალხაზი დაბრუნდა სახლში და დღეობაში მოსვლას აპირობს.

ისმის სცენის სიღრმიდან მალხაზის მღერის ხმა, რომელიც თანდათან ახლოვდება. ბოლოს, მარო და მალხაზი ჰხვდებიან ერთმანეთს. დამწუხრებული მარო აცნობებს მას მშობლების გადაწყვეტილებაზე და დასტირის თავის უბედობას.

საყდრისკენ მიმავალი ხალხი ჩერდება სასახლის ეზოში და ჰმართავს ლხინს. მახვილსიტყვაობაში დამარცხებული ცანგალა ასტეხავს ჩხუბს. მათ დასამშვიდებლათ ჰმართავენ ცეკვას. ზარის რეკვა მოუხმობთ ყველას საყდრისკენ. ლხინი თავდება.

მეორე მოქმედებაში კიაზო გებულობს მისი დანიშნულის სიყვარულს მალხაზისადმი. დასტირის თავის ბედს. მაროს, მალხაზის და კიაზოს შეხვედრა ლამის არის სისხლის დაღვრით გათავდეს. მთის მწვერვალებიდან მოსჩანს საგანგაშოთ ანთებული ცეცხლის ალი. გროვდება აბობოქრებული ხალხი. ყველა სთხოვს კიაზოს მიიღოს უფროსობა. ხმალ შემორტყმული ეპისკოპოსი საეკლესიო სამოსელში გადასცემს კიაზოს ხმალს. ხნიერი 9 შვილის დედა ულოცავს გზას თავის 9 შვილს.

[1] ც'ა მეფისა დავითისი *(აქტ.)*.

მე-III მოქმედებაში კიაზო უსაყვედურებს მაროს პირობის გატეხას, პასუხათ მარო გადაუგდებს მისგან მიღებულ ბეჭედს. შემოდის მალხაზი. კიაზო მზათაა მასზე შური იძიოს. ვერ წარმოუდგენია, რომ ომში მიმავალ მეთაურს თან მიჰყვებოდეს ლაქა და სირცხვილი. მარო თხოლობს შეწყალებას. კიაზო სთანხმდება პირობით, რომ მალხაზისა და მაროს შეხვედრა აღარ გამეორდება. მალხაზ ამას ვერა ჰყაბულდება და იღუპება კიაზოსთან ბრძოლაში.

ოპერა თავდება კიაზოს სინანულით, მისი შეწყალების თხოვნით და მაროს ტირილით.

ხალხი კიაზოს უფროსობით სიმღერით მიეშურება საბრძოლველათ.

ამ ოპერიდან ღირსშესანიშნავია: ...

ვ. დოლიძე – დაიბ. 1890 წ. ბავშვობაში გატაცებული იყო გიტარითა და მანდოლინით. ჯერ კიდევ მოწაფე ხელმძღვანელობდა საბავშვო სიმებიან ორკესტრს. სწავლობდა კიევის კომერციულ ინსტიტუტში, აქვე ვიოლინოზე დაკვრას. კომერციულ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბრუნდება თბილისში და იწყებს საკომპოზიტორო მოღვაწეობას. იგი ავტორია ოპერების: 1) „ქეთო და კოტე", 2) „ცისანა", 3) „ლეილა", 4) (ოსური) „ზამირა". სწერდა სიმფონიურ კონცერტებს, რომანსებს, სიმღერებს და სხვა.

„ქეთო და კოტე" – დოლიძე 3 მოქმედებ.

თავად ლევან ფალავანდიშვილის სახლში წვეულებაა. სახლში ლხინია. თავადი ბრუნდება ნადირობიდან სიმღერით ღვინოსა, ქალებსა და სიმღერაზედ.

ჭკვიანი მაჭანკალი ბაბუსია ურჩევს თავადს შეირთოს ცოლათ ვაჭარ მაკარ ტყუილკოტრიაშვილის ქალი ქეთო.

I. თავადს მოეწონება წინადადება, მით უმეტეს, რომ ლამაზ ქალთან ერთათ დაეპატრონება სიმამრის ქონებასაც, მაგრამ ჯერ ჯერობით თავადს საამისო თავი არა აქვს, მან უნდა გაართოს სტუმრები.

შემოდის კოტე თავადის ძმის წული. ის კარგა ხანია უცხოეთში იმყოფებოდა. სტუმარ მასპინძლები სიხარულით ხვდებინ მას. თავადი აცნობებს ძმის წულს, რომ მას განზრახული აქვს მაკარის ქალის ქეთოს შერთვა. კოტე თავზარდაცემულია. მას თვითონ უყვარს ქეთო.

კოტე მეორე ცნობილ მაჭანკალს ბარბალეს მიჰმართავს დარიგებასა და შეელისთვის. ბარბალე აღუთქვავს საქმე კეთილათ დააგვირგვინოს.

II. ვაჭარი მაკარი უმღერის ფულს და მის ძალას. მისი მეოხებით ის ისიძევებს თავადს. სნორეთ დღეს უნდა მოხდეს მათი დანიშვნა.

ქეთო შეშფოთებულია, მას კოტე უყვარს, ოლონდ მამის სიტყვას ვერ შებრძოლებია. შემოდიან ბარბალე და კოტე, ვითომც ფორტეპიანოს განმწყობი. ახალგაზრდები ახერხებენ გადალაპარაკებას.

მოსალოცათ მოსული კინტოები სიკო და საქო მოჰკრავენ ყურს მათ სიყვარულზედ და ქეთოს გადაწყვეტილებაზედ არას დროს არ გაჰყვეს ცოლათ თავადს. კინტოები გადასწყვეტენ ახალგაზრდათა დახმარებას.

ამასობაში მაკარის ოჯახში მოდიან სტუმრები, სიძე და მისი ნათესაობა. თავადი ლევანი ელის ქეთოს გამოჩენას, რომ საკუთარი თვალით დარწმუნდეს მის სილამაზეში.

ამ დროს ერთი კინტოთაგანი გადასცემს მაკარს წერილს ვითომც გამომძიებლის მიერ დაბარების შესახებ. მაკარი გადის. სცენაზე შემოჰყავთ (ქეთოს მაგიერ) უცნაურათ ჩაცმული და შეღებილი ბარბალე.

თავადი ლევანი აღშფოთებულია მოტყუების გამო, იძრობს ხანჯალს და დაკუწვით ემუქრება მასხრათ აგდებისათვის. სტუმრები მიიფანტ-მოიფანტებიან.

მაკარი განცვიფრებულია, როგორ არ უნდა მოსწონებოდა მისი მართლაც ლამაზი ქეთო. ისიც დარიგებასა და შველას ბარბალესა სთხოვს. ბარბალე საფასურის ფასათ ამის პირობას აძლევს. თან სარგებლობს რა მაკარის აღელვებით გამოსტყუებს მას ჯვარის წერის ნებართვას ქეთოსი და თავად ფალავანდიშვილისა, ოლონდ ლევანის მაგიერ სწერს კოტეს სახელს.

ახალგაზრდები ჯვარის დასაწერათ მიემართებიან. ამასობაში მოვარდება ბაბუსია და სიმართლეს გამოამჟღავნებს. აღელვებული თავადი ლევანი მიემართება ეკლესიისაკენ. ცხადია, მიჰა იქ დაგვიანებით. ახალგაზრდები უკვე ჯვარდაწერილები არიან.

რაკი თავადი ლეონი გებულობს, რომ მისი მოქიშპე მისივე ძმისწულია, თანხმდება ბედს. აპატიებს ყველას დანაშაულს და იწვევს დამსწრეთ თავისთან ქორწილის გადასახდელათ. ოპერა თავდება საერთო სიმხიარულით.

ამ ოპერიდან საინტერესოა: ...

ა. ბუკია – დაიბ. 1906 წ. ქუთაისში. დაამთავრა თბილის. კონსერვატორია კომპოზიციის დარგით. სწერს მცირე სახის ნანარმოებებს. ცნობილია მისი „მხედრული" და „მგზავრული", ოპერა „დაუპატიჟებელი სტუმრები" და „არსენა".

„Neproszenie gosti" – ა. ბუკია. 3 მოქმ. „დაუპატიჟებელი სტუმრები"

I. ამომავალი მზე აშუქებს ბაღს და თინასა და გივის მიერ დარგულ ყვავილებს. იღვიძებს ბუნება. იშლებიან ყვავილები, პატარა ჩიტები მხურვალეთ მიესალმებიან დილას. მხოლოთ ყაყაჩოა რაღაც დაღონებული. სევდითა და ნუხილით უამბობს ჩიტს, რომ გამრავლდა მავნე მწერები (podjadki).[1] ისინი მთელი ღამე აწვალებდნენ ვარდს.

თინა და გივი შეუდგებიან ბაღში მუშაობას. შემოდის მებაღე, აქებს მათ მიერ მცენარეთა სიყვარულს და ეკითხება ხომ არ შეუმჩნევიათ მავნებელი მწერები, რომლებიც მეტათ აზიანებენ მცენარეულობას და ღირსნი არიან მოსპობისა.

ბავშვები შენიშნავენ ორ „podjadki"-ის. თინა ურჩევს მოსახმარებლათ მებაღეს დაუძახონ. გივი ჰკლავს ერთს და იმედი აქვს მეორესაც გაუმკლავდება.

შუა დღის პაპანაქებაა. ბუნება გაჩუმებულია, თითქოს სძინავსო. მხოლოდ თინა მუშაობს მუყაითად ბაღში.

II. მინისქვეშა სამყაროში დიდი ფუსფუსია. „Podjadki" ემზადებიან თავის მეფის ქალის ქორწილისთვის. მწერებს მიაქვთ მოაქვთ სანოვაგე, მაგრამ არსადა სჩანს სიძე. ვეზირი ბრძანებს მის მონახვას.

დედოფალი მოკაზმულია საქორწინოთ. შემოდიან მეფე და სტუმრები. მოსამსახურე აცნობებს, რომ ბაღში მოარული სიძე მოჰკლა გივიმ, მეფე შურის ძიებით იმუქრება. რაზმავს მწერთა ჯარს და ისტუმრებს მას გივისა და თინას ბაღში.

III. თინა შეამჩნევს, რო ბაღის ჭუჭრუტანებიდან მოძერებიან „podjadki". შეშინებული ეძახის გივის და ურჩევს მიჰმართოს საშველათ მებაღეს. ამპარტავანი გივი უარზეა. მას თვითონ სწადია მტრებს გაუსწორდეს. მებაღესთან მირბის თვით თინა.

დაღლილ გივის ჩაეძინება ბაღში, ამომძვრალი „podjadki" ამასობაში ანადგურებენ ბაღს.

ჩნდებიან თინა, მებაღე და პიონერები. „Podjadki" მოსპობილია, მაგრამ ბაღი[2] მეტათ დაზიანდა. თინა სტირის, გაღვიძებული გივი ამჩნევს თავის შეცდომას, ნანობს, რომ საშველათ არ დაუძახა მებაღეს. თინასა და გივის ეშველებიან ბავშვები ბაღის აღდგენაში.

შ. მშველიძე – დაიბ. 1904 წ. თბილისში. გაათავა თბილ. კონსერვატორიის სადირიჟორო და საკომპოზიციო დარგი. სწავლობს ხალხურ მუსიკას, განსაკუთრებით თუშ-ფშავ-ხევსურულს. სწერს სიმფონიებს („ზვიადაური"). იგი ავტორია ოპერა „ამბავი ტარიელისა". მას გაფორმებული აქვს დიდი რაოდენობა დრამებისა და კინოფილმებისა.

მშველიძე – „თქმულება ტარიელზე".[3] 4 მოქმედებათ

I. გამარჯვ. ტარიელი ბრუნდება ხატაელებთან ბრძოლიდან. სასახლეში გამარჯვებას ზეიმობენ. შემოჰყავთ ტყვეები, მათ შორის ხატაელთა მეფე. მეფე შეიწყნარებს ძლეულს, იწყობა ლხინი და თამაში.

მეფე დედოფალი და მახლობელნი მსჯელობენ ნესტანის გათხოვებაზედ. სასიძეოთ ყველაზედ უკეთესათ მიაჩნიათ ხორეზმის შახი. ტარიელი უგდებს ყველა ამას ყურს და უძლურია მეფის სურვილს წინააღუდგეს. ნესტანი კი ჰგმობს მის საქციელს და მოსთხოვს სასიძოს მოკვლას.

სასიძო დიდი ამალითა და საჩუქრებით მოდის ჯვარის დასაწერათ. ტარიელი ჰკლავს მას. მეფე აპირობს ნესტანის აღმზრდელ დავარის დასჯას. ის გაატანს ქალს ორ მეკობრეს თვითონ კი იკლავს თავს.

[1] მახრები *(პოლ.)*.

[2] ჯურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამორჩენილია *(ლ. ც.)*.

[3] იგულისხმება „ამბავი ტარიელისა" *(ლ. ც.)*.

როსტევან მეფე აგვირგვინებს თავის ასულ ნესტანს.[1] სტუმართა შორის ავთანდილიცაა. მეფე უბრძანებს თავის ქალს გასცეს საჩუქრები, თვითონ სევდაში ვარდება. ანუბებს მას აზრი, რომ ვაჟი არ ეყოლა და სახელმწიფოს გამძღოლათ თავისდარს ვერ დასტოვებს. ავთანდილი გამოიწვევს მეფეს შეჯიბრებაში.

თინათინი თავისი ამალით უცდის როსტევანისა და ავთანდილის ნადირობიდან დაბრუნებას. შემორბიან შიკრიკები და მოაქვთ ცნობა, რომ ნადირობისას წაანყდნენ ვიღაც ვეფხის ტყავით შემოსილ უცხო ყმას. ცდები მისი ვინაობის გაგებისა უნაყოფოთ დამთავრდა. მეფეს მსახურნიც ამოუხოცა და უჩინრათ გაქრა.

განრისხებული და დაღონებული მეფე ბრუნდება სახლში. თინათინი ურჩევს მას დააგზავნოს ყოველ მხრივ შიკრიკები უცხო ყმის საპოვნელათ და თავის მხრივ ავალებს ავთანდილს ეძიოს ეს უცნობი სამი წლის განმავლობაში, ამასთანავე ჰპირდება ერთგულების შენარჩუნებას და ცდას.

II. ვადა ბოლოსაა მიღწეული, დაღონებული ავთანდილი აპირებს უშედეგოთ სახლში დაბრუნებას. მოჰკრავს თვალს ორ მეკობრეს, რომელთაც ცხენზე გადაკიდებული დაჭრილი ახალგაზრდა მოჰყავთ. ისინი უამბობენ ავთანდილს, რომ ეს მოიმოქმედა შავ ტაიჭზედ მჯდომმა ვეფხის ქერქ წამოსხმულმა უცნობმა, რომელსაც ესენი შებყრობით ემუქრებოდნენ.

ავთანდილი იცნობს ამ უცხო ყმას, აედევნება და მოისმენს ტარიელისა და ასმათის გოდებას. როდესაც ტარიელი სახლიდან ისევ გავა თავისი რაშით, მიუხტება ასმათს და ჯერ ძალით, მერე თხოვნით დაიყოლიებს მის ტარიელთან შეხვედრაზედ.

ტარიელი და ავთანდილი ხვდებიან ერთმანეთს. ავთანდილი გებულობს ნესტანის გატაცებისა და ტარიელის ტანჯვის მიზეზს.

ავთანდილი, ფრიდონი და ტარიელი მიადგებიან ქაჯეთის ციხეს. აიღებენ მას სამი მხრიდან შეტევით და გაანთავისუფლებენ ნესტანს.

დასასრულს ხალხი აქებს მეგობართა ერთგულებასა და ვაჟკაცობას, ნესტან დარეჯანისა და თინათინის სიბრძნესა და სილამაზეს. უხარიათ, რომ ჭირი ძლეულია და სიმართლემ გაიმარჯვა.

ოთარ თაქთაქიშვილი – „მინდიას“ აეტორი. შექმნილი აქვს მრავალი სიმფონიები („მწირი“). დაიბ. 1924 წ. თბილისში. დაამთავრა თბილისის კონსერვატორია. ღირსშესანიშნავია მისი ორატორია.

„მინდია“ – ოპერა ორ მოქმედებათ. ოთ. თაქთაქიშვილისა

მთაში განთიადია. შორით მოისმის უხილავი გუნდის ხმა – ეს ბუნების ხმაა. მუსიკას ერთვის ვაჟას ლექსი. შემოდის მინდია. ესმის მას ბუნების ხმა, მისი გუგუნი, განიცდის ნეტარებას და იძინებს. შემოდიან ქალები, ცეკვავენ დაძინებულ მინდიას ირგვლივ. მათშია მინდიას სატრფო მზია. გოგონები იცნობენ მინდიას, მირბიან სოფლათ მის ჩამოსვლის შესატყობინებლათ.

სოფელი მინდიას მამის – ხევისბერის თანხლებით მოდის მინდიას მისაგებებლათ.

მამა ამცნობს მინდიას, რომ მისი აქ არ ყოფნისას მისი ძმა მოკლა ჩალხიამ და სთხოვს მას სისხლის აღების წესის ასრულებას.

შემორბის ჩალხია. იგი მზად არის გასცეს პასუხი მინდიას მის შეყვარებულ მზიაზედ და ძმაც მას მისთვის მოუკლა, რომ ის არ თანხმდებოდა მათ სიყვარულზედ. ხევისბერი ხმალს აწვდის მინდიას. ის კი ადათებზე მაღლა დგება და უშვებს თავისუფლათ მინდიას.[2]

მზია და ხევისბერი სოფლელებითურთ ჰნაღვლობენ ვაჟკაცი მინდიას დაქალაშუნებას. მაცნე აცნობებს ხალხს მტრის შემოსევას. ყველანი მინდიათურთ საომრათ მიდიან.

მოქმ. მე-II. მზია ბრძოლის ველზეა. ომის ცეცხლში მიჯნურები სიყვარულს აუტაცნია. მეომრებს კვლავ საბრძოლველათ უხმობენ.

მინდია გმირულათ იბრძვის. მინდია ჩალხიას სიკვდილით ემუქრება. ომი გამარჯვებით თავდება, დაჭრილი ხევისბერი ანდერძათ უტოვებს შვილს ჩალხიაზე შურისძიებას, მის მოკვლას. ამასვე თხოულობს მზია.

ჩალხია ეკვეთება მინდიას, ის ფარის მოშველიებით მაღლისკენ იხევს. „მოჰკალ!“ ეძახიან ირგვლივ. „არ მოჰკლა!“ ჩასძახის იდუმალი ხმა. მინდია მთის კიდესთანაა, დასახევი აღარ არის,

[1] იგულისხმება თინათინი *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება ჩალხია *(ლ. ც.)*.

თვითონ გადადის შეტევაზე. ჩალხია კვდება. სიკვდილისას მკვლელათ იხსენიებს მინდიას. კვდება ხევისბერიც. მინდია იქაურობას შორდება.

სურ. მე-II. ბუნება მღერის, მაგრამ მინდიას გამოჩენისას ყველაფერი ჩუმდება. ბუნება გამწყრალია – ხან და ხან ისმის: „რად მოჰკალ მინდია?" მინდია იკლავს თავს ხანჯლით. მომაკვდავს ისევ ესმის ბუნების ხმა. კვდება ნეტარი სიკვდილით.

დ. თორაძე – დაიბ. 1922 წ. მუსიკალური შემოქმედება დაიწყო 13 წლისამ. დაამთავრა თბილისის კონსერვატორია. ავტორია ბალეტი „გორდა" და „მშვიდობისათვის", მუსიკალური კომედიების და კინოფილმების მუსიკის.

Balety „Gorda" – დ. თორაძისა

კლდიან ფერდობზე ახალგაზრდა მოქანდაკე ჰკვეთავს ქალიშვილის სურათს. შემოდის ქალთა დასი, მათ შორის არის თავადის ქალი ჯავარა. ჰგონია მას, რომ მოქანდაკე მის სახესა სჭრის.

სანადირო საკრავთა ხმა ისმის. შემოდის მეფის ქალი ირემა ამალით. დამწუხრებულები არიან ისინი ირემას საყვარელი შეევარდნის არწივის მიერ დაჭერის გამო. ცდა, ისრით მისი გამოხსნისა მიზანს ვერ აღწევს. მხოლოთ მოქანდაკის პირველივე ისარი ჩამოაგდებს არწივს და შეევარდენს პატრონს დაუბრუნებს. ირემას პირველივე შეხედვით შეუყვარდება გორდა. მეფე ეპატიჟება მას ნადირობაში.

სცენაზე რჩება ჯავარა. ქანდაკებაში შეამჩნევს ნახატის მეფის ქალთან მზგავსებას. მას თვითონ უყვარს გორდა. ვარდება სასონარკვეთილობაში, იტანჯება, ღელავს და მტკივნეულათ დაფრინავს სცენაზე. ამოაძრობს მოკლულ არწივს ისარს და შეჰფიცავს შურის ძიებას.

ნადირობის შემდეგ სასახლეში მხიარულობაა. აქებენ გორდას ხელმარჯვეობას. ირემა ბედნიერია მისი სიახლოვით.

მხიარულობას სწყვეტს ოსმალეთის შიკრიკის შემოსვლა სულთანის უსტარით. წერილში მოითხოვს ის ირემას მითხოვებას. მეფე აღშფოთებულია. უგზავნის მას წერილობით უარს. პასუხი სულთანთან მიაქვს გორდას.

ქართველი მეფის წულის მოლოდინში მოწყენილია თავის მშვენიერ სასახლეში სულთანი. უნაყოფოთ ცდილობს ის მომხიბვლელ ქალთა ცეკვებით თავი გაირთოს. ცოცხლდება, როდესაც ქართველი ელჩები შემოდიან. წერილიდან უარს ამოიკითხავს და გამძვინვარებული ელჩების დახოცვას ბრძანებს. ელჩები თავს იცავენ. გორდა თავსა ჰკვეთავს თვით სულთანს და ხტება ზღვაში.

ბედნიერია, როდესაც ზღვიდან გამოსული თავს სამშობლო კერაში იგრძნობს.

გორდა და ირემას ბედნიერებას ამცირებს ცნობა იმაზედ, რომ სრულიათ უმიზეზოთ ზედიზედ იქცევა ზღუდის კედლები.

გორდა რჩევისთვის მკითხავთან მიდის. მკითხავი აღმოჩნდება თავადიშვილი ჯავარა. იცნობს გორდას და გადასწყვეტს მასზედ მიტოვებისთვის შური იძიოს.

ერთათ ერთ საშუალებათ ციხის ზღუდეთა აშენებისთვის ურჩევს ის კედელში ცოცხლათ დამარხონ ამ ისრის პატრონის შვილი. ისრის პატრონი გორდაა. მაშ, ცოცხლათ დასამარება ელის მის შვილს ბადრის. საქართველოს მტრები ესევიან, სნარმოებს ბრძოლა. ამასობაში კედელში ატანენ ბადრის. სასახლეში მწუხარებაა, ირემა იტანჯება.

ამასობაში ბრძოლიდან გამარჯვებული ბრუნდება გორდა და იხსნის თავის შვილს სიკვდილისაგან.

„გორდას" მუსიკის ნიმუშები: ...

მაჭავარიანი – დაიბ. 1913 წ. გორში. პქმნის კამერულ და სიმფონიურ მუსიკას, ოპერა „დედა და შვილს". ბალეტ „დემონს", სიმფონიურ ორკესტრს ვიოლინოსთან და ორატორია „დღენი ჩემი სამშობლოსი". მაჭავარიანი ავტორია ტრიოსი: მეზარე, გუნდის სიმღერის „ოროველა", „ლაშქრული", სიმფონ. სურათის „ელეგია", ოპერისა „დედა და შვილი", „ოტელო" – დანერილია 1957 წ.

„ოტელო" – მაჭავარიანისა

ღამეა. Otello სენატორ ბარბანციოს სახლში უცდის დეზდემონას. მათ გადაწყვეტილი აქვთ სახლიდან გაქცევა. შუაღამისას შემოდის დეზდემონა. ემშვიდობება მშობლიურ სახლს და ოტელოსთან ერთათ გარბიან სასახლიდან. იაგო სცენის სიღრმიდან უყურებდა ყველას. მას სძულს ოტელო და გადასწყვეტს ვნება მოუტანოს.

იაგო და როდრიგო – ვენეციელი აზნაური ხვდებიან ერთმანეთს. როდრიგო ურჩევს იაგოს ატეხოს განგაში. იღვიძებს ბარბანციო, ბრაზობს ღამის მყუდროების დარღვევის გამო. მას აცნობებენ დეზდემონას გაქცევას. ბარბანციო გარბის შურის საძიებლათ.

მოედანი საყდრის წინ. ჯვარდაწერილი ოტელო და დეზდემონა გამოდიან საყდრიდან. იაგო ამცნობს ოტელოს მდევარზედ. ჩნდება ბარბანციო თავის მსახურებით. ოტელო ჰნებდება მას. ოტელოს ეძახიან სენატის კრებაზედ.

ოსმალეთის ხომალდები ემუქრებიან „კიპრს". შემორბის სენატში ბარბანციო და თხოულობს ოტელოს დასჯას.

ოტელო უამბობს სენატს თავის სიყვარულზედ დეზდემონასადმი. დეზდემონა ამტკიცებს მონაყოლის სიმართლეს. სენატი ამართლებს მათ სიყვარულს და შესთავაზებს ოტელოს კიპრის უფროსობას. დეზდემონა თხოულობს ნებას ქმართან თანხლებისა და თან მიჰყავს იაგო და კასიო (მისი ოფიცრები).

მოქმედება გადადის კიპრზე. მღელვარებაა. საზოგადოება შეკრეფილია ომის შედეგის გასაგებათ. მოდის ცნობა თურქთა ხომალდების დაღუპვაზედ. ჩნდება ხომალდი, რომლიდანაც გადმოდის ოტელო. მას პატივითა ხვდებიან. დამხვდურთა შორის არის დეზდემონაც. ოტელო უმასპინძლდება ყველას ღვინით. მათ შორის არის კურტიზანკა ბიანკაც. მოეწონება მას და საოცნათ გამოუდგება. კასიოს ცეკვა გადადის ოტელოს სახლში, ოტელო თვითონ ცეკვავს მავრიტანულ სიმღერებზე.

კასიოს სტოვებენ წეს რიგის დასაცავათ. ოტელო და დეზდემონა გადიან სცენიდან.

იაგო ათრობს კასიოს. ამ უკანასკნელსა და როდრიგოს შორის ატყდება ჩხუბი. ბრძოლაში მონაწილეობენ მოქალაქენიც. განგაშზედ შემოდის ოტელო, სწორეთ ამ დროს ისა სჭრის მონტანოს. ოტელო სჯის კასიოს, ართმევს მას ნარჩინების ნიშნებს.

კასიო სთხოვს დეზდემონას იშუამდგომლოს ოტელოსთან შენდობისთვის.

დეზდემონა ჰკერავს ამხანაგებთან ერთათ. ის უწვენებს მათ იაგოს[1] მიერ ნაჩუქარ ხელსახოცს. მაყურებელთ მოსწონთ ის. იაგო შეამჩნევს ხელსახოცს და განიზრახავს გამოიყენოს ის თავისი მზაკვრული განზრახვებისთვის. სთხოვს ემილიას ხელთ იგდოს ეს ხელსახოცი.

დეზდემონა ელაპარაკება კასიოს, აღუთქვამს *დახმარებას.*[2] იაგო მიუთითებს მათ ზედმეტათ ინტიმურ ლაპარაკზედ. იაგო[3] ყურს არ უგდებს, მაგრამ იაგო უმეორებს მეორეთ და მესამეთ. ბოლოს, იაგოს[4] ჩაუჯდება გულში დეზდემონას ღალატი. დეზდემონა სთხოვს ოტელოს კასიოს პატიებას. ოტელო თავის ტკივილზე ეუბნება. დეზდემონას სურს მას თავი შეუხვიოს თავისი ხელსახოცით. ოტელო ამ ხელსახოცს გადააგდებს. ეს ხელსახოცი უკავია ხელთ კასიოს და იმ მომენტში, როდესაც მას ის ხელში უჭერია, იაგო მიუთითებს ამაზე ოტელოს.

შემოდიან დეზდემონა და ემილია. დეზდემონა შეამჩნევს კასიოს და ჰპირდება მას ხელახლათ უშუამდგომლოს ოტელოსთან. საფარიდან გამოდის ოტელო. სჩივის თავის ტკივილზედ და სთხოვს დეზდემონას ხელსახოცს. დეზდემონა აწვდის სხვა ხელსახოცს. ეს არწმუნებს ოტელოს კასიოს[5] ცილისწამების სიმართლეში და აგდებს დეზდემონას.

იაგო ჩნდება ოტელოსთან და ურჩევს მას დეზდემონას დახრჩობას. ოტელოს უღონდება გული. იაგო შეადგება გულზედ და კიდევ ჩასჩიჩინებს შურისძიებაზედ.

კიპრიდან ცხადდებიან ვენეციელი სენატის ნევრები. უბრძანებენ ოტელოს ვენეციაში დაბრუნებას და მის მაგიერ სტოვებენ კასიოს.

დეზდემონას სიხარულს ვენეციში დაბრუნების გამო ოტელო ხსნის კასიოს განდიდების სიხარულით. დაავალებს როდრიგოს მოკლას კასიო. ბრძოლაში იჭრება როდრიგო, იაგო ზურგში სცემს დანას კასიოს და ჰკლავს როდრიგოს.

ამავე დღეს ოტელო ცხადდება დეზდემონასთან საწოლ ოთახში. უპირებს მოკვლას. დეზდემონა შეჰფიცავს უდანაშაულობას და სთხოვს განტევებას. ოტელო არ უჯერებს და ახრჩობს მას.

შემოსული ემილია ხედავს თავის დიასახლისს მკვდარს. მის ყვირილზე შემოდიან ვენეციელები, იაგო და დაჭრილი კასიო.

ღალატის დასამტკიცებლათ ოტელო ჰგლეჯს ხელიდან კასიოს ხელსახოცს.

---

[1] იგულისხმება ოტელო *(ლ. ც.).*

[2] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამორჩენილია *(ლ. ც.).*

[3] იგულისხმება ოტელო *(ლ. ც.).*

[4] იგულისხმება ოტელო *(ლ. ც.).*

[5] იგულისხმება იაგო *(ლ. ც.).*

ემილია უამბობს იაგოს მზაკვრობაზედ და ხელსახოცის ამბავს და კვდება მისი ხელიდან. მავრი შეძრწუნებულია. ხანჯლით იკლავს თავს.

ანდრია ბალანჩივაძე – დაიბ. 1906 წ. ლენინგრადში. დაამთავრა თბილ. კონსერვატორია. ავტორია ბალეტი „მთების გული", ოპერა „მზიასი", რომელშიაც გამოირჩევა „რიწის ტბა".

ბალანჩივაძის – „მთების გული"

1) ქალები მიდიან წყაროზე, მათ უერთდებათ მანიჟე, თავად ერისთავის შვილი. ოცნებობს იმ გმირ ახალგაზრდაზედ, რომლის ბედი უნდა გახდეს.

ისმის სანადირო საყვირთა ხორო. შემოდის ჯარჯი. ეწაფება წყალს. მანიჟეც ჩაიხედავს წყაროში. წყალში შენიშნავენ ერთმანეთს – ჯარჯი განცვიფრებული წამოსდგება, შეამჩნევს ქალს. მიიღებს მისგან წყალს. მოსწონთ ერთმანეთი, ცეკვავენ. მანიჟე ნიშნათ სიყვარულისა გადასცემს მას ხელსახოცს.

2) დღეობაა. ცეკვა ცეკვას სცვლის. შემოდის მოურავი და სთხოვს გლეხებს გადასახადს. ბებერ ბერდიას ართმევენ ერთათ ერთ ცხენს. მისი თხოვნა ცხენი დაუტოვონ არა სჭრის.

ჯარჯი მის მცველათ გამოდის. მოურავს უნდა მათრახი გადაჰკრას ბერდიას. ბერდია[1] გამოჰგლეჯს და თვით მოურავს დაარტყავს და ცხენზე შემჯდარი გაქრება.

ჩნდება თავადი. ატუსაღებს გლეხებს. მათ შორის ბერდიასა და მის შვილი შვილს ზურაბს.

II. ქალები უამბობენ ერთმანეთს ზღაპრებს. შემოდიან გლეხები, უნდა სთხოვონ თავადს დაპატიმრებულთა გამოშვება. თავადი მზათაა თხოვნა აუსრულოს იმ პირობით, რომ დამნაშავეს დაასახელებენ.

გლეხები მოურავის მცემს არ ასახელებენ. თავადი სცემს ბერდიას. შვილი შვილი მას იცავს, ხდება შეტაკება. გლეხებს ისევ ატუსაღებენ. ზურაბი გაიქცევა.

ერისთავს ესტუმრება თავადი ზურაბი.[2] მას განზრახული აქვს სთხოვოს მანიჟეს ხელი. მანიჟე ღონდება მას ხომ ჯარჯი უყვარს. ის მიდის ჯარჯის საძებრათ.

ჯარჯი მთებში იმალება. დარდს მანიჟეს ხელსახოცი უმსუბუქებს. გამოქცეული ზურაბი უამბობს სოფლის ამბავსა და უსამართლობაზე. მოდიან მანიჟე და ნათელა. მანიჟეს ნაამბობზედ ნიშნათ თავისუფლებისა ჯარჯი უბრუნებს ხელსახოცს. იკრიბებიან გლეხები, ჯარჯი მოუწოდებს მათ ბრძოლისაკენ. გლეხები გულისყურით უსმენენ მას და ნიშნათ თანხმობისა ასრულებენ „ხორუმს".

III. მანიჟეს ნიშნობაა. სტუმრები მხიარულობენ ერისთავის სასახლეში.

მოდიან გადაცმული გლეხები. მოურავს ეს საეჭვოთ მიაჩნია. ახდის ყაბალახს ჯარჯის, იცნობს მას, იმართება ბრძოლა.

ზაალი მისდევს დაჭრილ ჯარჯის. მანიჟე უღობავს მას გზას. ზაალის ხმალი ჰკლავს მანიჟეს. ეს სურათი აძლიერებს ჯარჯის სიმძულვარეს, გლეხები მას ეხმარებიან.

ჯარჯი იხრება მანიჟეს გვამზე. მის ხელში შეამჩნევს თავის მიცემულ ხელსახოცს. ჰკოცნის მას და ხელახლა აფარებს.

ქალებს გააქვთ მანიჟეს გვამი. ბნელი ღამეა. შორიდან მოჩანს ცეცხლწაკიდებული სასახლე. გზაზე ჩნდება ხალხის ჯგუფი, რომლებიც ასრულებენ ცეკვა „ხორუმს". ისევ ისმის ძლიერი ჰიმნი თავდადებისა და ვაჟკაცობის.

გ. ჩხიკვაძე

ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა

I.

ქართველებს უძველესი დროიდან ჰქონდათ თავის ეროვნული და ინსტრუმენტალური მუსიკა. მისი სათავეების გამორკვევა მეტათ რთულია. ეთნოგრაფთა, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და ხელოვნებათა ცნობათა სპეციალისტების მტკიცებით მისი კვალი მიკვლეულია სამი ათასი წლის სიღრმემდის.

[1] იგულისხმება ჯარჯი *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება ზაალი *(ლ. ც.)*.

პროფ. ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, აკად. ჯანაშიას („საქართველოს ისტორ.“, თბილისი, 1943 წ. გვ. 19) მტკიცებით, ქართველები ენათესავებიან ხეთებსა და სუბარებს, რომელთაც შექმნეს შუააზიის ხალხთა შორის ყველაზე მაღალი კულტურა. საქართველოში, რომელიც მდიდარი იყო რკინის, სპილენძის და ვერცხლის საბადოებით, განვითარებული იყო მათი გადამუშავება და ამასთან დაკავშირებული ხელოვნება. მაღალ დონეზე იდგა აგრეთვე არქიტექტურაც, თავდაცვით ნაგებობებთან ერთად იყო მრავალი ღვთისმსახურების ტაძარი, სადაც იღწვოდნენ ღვთისმსახურნი თავისი მატერიალური სიძლიერითა და საკულტო საგალობლებით.

სხვა და სხვა გათხრებისას მიკვლეულია მიცვალებულთა საფლავებში ჩატანებული ხალხური საკრავები, როგორც სალამური, ჩონგური.

მზე, როგორც უმაღლესი ღვთაება ცნობილი იყო, ისე ხეთ-სუბარებში, როგორც საქართველოში. დღემდის შერჩენილია ქართულ თქმულებებში მზის კულტის დამადასტურებელი თქმულებანი, როგორც „ჩემმა მზემ“, „მზეს ვფიცავ“ და თვით მზისადმი მიძღვნილი საგალობელნი, როგორც „მზე შინა და მზე გარეთა“, „ლილე“ (სვანური).

მე-II ათასწლეულის მიწურულში ძვ. წ. ხეთა-სუბარების ტომში გამოირჩევიან მიუსკები ანუ მესხები. ისინი ძლევამოსილ ომებს აწარმოებენ ასურელებთან, მათ ცვლიან ქართულ ტომისავე წარმოშობის თუბალები და შემდეგ ქალდეველები. ეს უკანასკნელნი ცნობილნი იყვნენ რკინის დამუშავებასა და ქვის კვეთის დარგში. საქართველოში დღემდის დაცულია უნიკალური ნიმუშები ამგვარ ხელოვნებისა ვარძიისა და უფლისციხის (გორთან) სახით.

714 წ. ძვ. წ. ასურეთის მეფე სარგონმა დაამარცხა ქართველთა ტომი „მანა“. განცვიფრდა ამ ქვეყნის კეთილმოწყობით, არხებით, მაღალი მეურნეობითა და მატერიალური სიმდიდრით. მისი თქმით, აქ ცხოვრობდა შრომისმოყვარე, მხიარულებისა და სიმღერების მოყვარული ხალხი. მიუხედავათ მოწონებისა, მოსრისა და გაანადგურა ხალხიცა და მისი კულტურაც. არც შემდეგში ჰქონია მას მოსვენებული ცხოვრება. საქართველო, როგორც ანტიკური მსოფლიოს საზღვარი, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი სატრანზიტო გზა, მუდამ იზიდავდა დამპყრობლების ყურადღებას. მის ტერიტორიაზე გადაუვლიათ ან მასთან შეხლა ჰქონიათ ბერძნებს, რომაელებს, მონღოლებს, არაბებს, სელჯუკებს, ირანელებს. გაუთავებელი ბრძოლების ეპიზოდების მოსაგონებლათ საკმარია დავასახელოთ ისეთი მოსისხლე ბელადები, როგორც პომპეუსი, ალ. მაკედონელი, ჩინგის ხანი და თემურ ლანგი, აღამახმად ხანი და სხვა.

ყველა ესენი გარკვეული მიზნით არ აძლევდნენ ქართველებს დამშვიდებული ცხოვრების საშუალებას, სპობდნენ მის კულტურას, მის ხელოვნებას. გამანადგურებელ ზემოქმედებას ვერ გაუძლო ქართულ მუსიკალურ კულტურამაც. ამისი მაგალითია ისიც, რომ ბრძოლებში გართულმა ხალხმა თავისი მუსიკალური ნიშნების გამოხატულებაც კი დაივიწყა.

ცნობილია, რომ ქართველებს ჰქონდათ, დღეს საერთოთ ხმარებულ ნოტების შემოღებამდის არსებული, თავის ქართული ნოტები, მოთავსებული სქელსქელ ტყავსა და პერგამინზე დანერილი ტექსტის ზემოთ. ეს ნოტები დავიწყებას იყო მიცემული და მხოლოთ ხანგრძლივი ძიების შემდეგ მისი ხელახლათ აღმოჩენა შესძლო პროფ. ინგოროყვამ.[1]

II.

ქართულ „მხიარულ“ მუსიკას მოიხსენიებს ასურეთის მეფე სარგონი (714 წ. ძვ. წ. აღრ.) ურარტუს სამთავროს „მანას“ აღწერისას.

ბერძენი იტორიკოსი ქსენოფონტე აღნიშნავს, რომ მე-IV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე საკმაოთ გავრცელებული იყო საომარი, საცეკვაო და საყოფაცხოვრებო მუსიკა. მისი ცნობით, ჭანები ანუ ლაზები ომს იწყობდნენ საომარი სიმღერითა და ცეკვით.

მეფე ერეკლე, რომელსაც მთელ თავის ცხოვრებაში მრავალ წარმოებულ ომთაგან მხოლოდ ერთი აქვს წაგებული, მუდამ სარგებლობდა ქართველ მეზურნეთა ხელოვნებით მებრძოლთა შესახურებლად. ცნობილია აგრეთვე, რომ ალყა შემორტყმულ მხედართმთავარს, მტრის გასაჩერებლად გაშიშვლებულ მიმართულების დასაფარავად, მცირერიცხოვან ჯართა ცეკვა თამაში გაუმართავს, მოუგია ამით დრო და მთავარი ბრძოლები გამარჯვებით დაუმთავრებია. ესეც ყო-

[1] 1960-იან წლებში ქართული მუსიკალური ნიშნების – ნევმების ამოცნობა პაველ ინგოროყვამ სცადა. ამ ნიშნების კვლევა დღემდე გრძელდება *(ლ. ც.)*.

ფილა, რომ ბრძოლის მოლოდინში ლხინათ მყოფ მეფის სუფრის დასამშვენებლათ, მაღლა მთიდან მოულოდნელათ ჩახტომიათ დაბლობში დაბანაკებულ მტერს.

რომ ქართველებს უხსოვარ დროითგან მუსიკალური ინსტრუმენტებიც ჰქონიათ ხმარებაში მოწმობს ის ფაქტი, რომ მას შენარჩუნებული აქვს „ბობღანი", „ქნარი", „ჩანგი", რომლებიც ემზგავსებიან სუბარულ ბარელიეფებზე გამოხატულ „ტიმპანსა", „ლირასა", და „ქნარს". ერთი ასეთი ჩანგი, მიკუთვნილი X-VI საუკუნისადმი ძვ. წ., აღმოჩენილია სოფ. ყაზბეგში აღმოჩენილ ნივთთა შორის (ბრინჯაოდან ჩამოსხმული მამაკაცის ქანდაკება 5 სიმიანი ქნარით).

საქართველოში ძველი კერპთაყვანისმცემლური კულტურის (სახელდობრ სიმღერის) დაკარგვაში დიდი უარყოფითი როლი იქონია ქრისტიანობის შემოღებამ (ისევე, როგორც შემდეგში), მაგრამ იყო ერთი ფაქტი, რამაც გადაარჩინა სრულად დაკარგვას ბევრი ღირსშესანიშნავი ნამოქმედარი ქართული მუსიკალური შემოქმედებისა. ეს გახლდათ მთიულეთის, თუშ-ფშავ-ხევსურეთის, მოხევეების, სვანების და რაჭველების კარჩაკეტილობა. მათი მეღვწეობით ჩვენამდის მოაღწიეს ისეთმა სიმღერებმა, როგორებიც არიან: „დიდება", „ლაზარე", „ლომისა", „იავნანა", „ბატონებო", „მზე შინა და მზე გარეთა", „ზარი ანუ ტირილი", „ნადური", „ხელხვავი," „ფერხული" და „როკვა". აქ აღბეჭდილია ძველი სამუსიკო კულტურა, რომლებიც სრულდებოდა ადამიანის შრომისა და ცხოვრების სხვა და სხვა პერიოდებში, მშვიდობიანობასა და ომის დროს, ლხინსა და ჭირში. მრავალი სიმღერა, განსაკუთრებით საცეკვაო, ტაშის კვრას თხოულობდა (ტაში არაბული „დაშ"-იდგანაა წარმომდგარი, რაც ქვის ქვაზე დარტყმას ჰნიშნავს).

„ლაზარე" – გვალვასა ან წვიმიანობისას ამინდის შესაცვლელათ.

„იავნანა" – სახადის საწინააღმდეგოთ.

„ზარი" – გლოვისას (იმერული, გურული, მეგრული – 3 ხმიანია).

„დიდება" – მსხვერპლთა შეწირვისას სრულდება ქალთა გუნდის მიერ, უგალობენ წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის სახით მზესა და მთვარეს.

„მზე შინა და მზე გარეთა" – ქალის ან ვაჟის შეძენისას.

„ლილე" – მზის ამოსვლისადმი მიძღვნილი.

„ხელხვავი" გურული – ქრისტიანულ-კერპთაყვანისმცემლურ დედაკაცების ფერხული.

„Drevne Gruzinskaia muzyk. kult.", G. Chkhikwadse.[1] ბობღანი – тимпан, ქნარი – лира, ჩანგი – арфа.

საკერპთაყვანისმცემლო მუსიკაზე ბატონიშვილი ვახუშტი (XVIII ს.) ამბობს: „გამოვიდოდა მეფე და მაღალ დაბალი წოდების ხალხი მუსიკალური ინსტრუმენტებით, დაფებით, გუნდებათ – სალმის მიცემის შემდეგ ქეიფობდნენ – ცეკვავდნენ, ჭიდაობდნენ, ჯირითობდნენ, მღეროდნენ – რაც გრძელდებოდა ხან 3 დღესაც". მუსიკა გამოყენებული იყო ძველთაგან საყოფაცხოვრებო მოვლენათა აღსანიშნავათ – შრომასა, ომსა, საკულტო დღესასწაულებსა, ცეკვებსა და სხვა. ეს იყო როგორც უმთავრესათ გუნდური, ისე ინსტრუმენტალური მუსიკა.

ქრისტიანობის მიღებამ შესცვალა საქართველოში რწმენა, მაგრამ საქრისტიანო სიმღერებმა შემოინარჩუნეს ძველი კერპთაყვანისმცემლური მუსიკა, რომელიც ახლის შექმნამდის მის საფუძველს წარმოადგენდა. ქრისტიანობამ მოიტანა საყდრებში ერთ ხმიანი მუსიკა, რომელიც ახასიათებდა მე-IV ს. ისე ბიზანტიურ, როგორც სომხურ საეკლესიო მუსიკას. ქართველებმა ადვილათ არ დასთმეს თავისი მრავალ ხმოვანი სიმღერები.

I ქართველი კომპოზიტორი, რომელმაც მე-X საუკუნეში შეკრიფა და ჩამოწერა და ზოგან კიდეც შეადგინა ქართული საეკლესიო სიმღერები მიქაელ მოდრეკილი იყო. ეს მუსიკა ჩამოწერილი იყო ჯერ კიდევ მე-IX საუკუნემდის საკუთარი სანოტო ნიშნებით. ეს ნიშნები თავსდებოდა ზოგი ტექსტის ზემოთ, ზოგი კი ქვემოთ.

იმავე ხანიდგან ე. ი. მე-X ს. შემორჩენილია – ალავერდის სძლისპირული (ирмосы), ჩაწერილი ბერი იორდანეს მიერ და ფიტარეთული ჩანაწერები. დღეს ეს ჩანაწერები გაშიფრულია პროფ. ინგოროყვას მიერ (გაშიფრვის საჭიროებაზე მიუთითებდნენ 1891 წლიდან, სხვათა შორის, ია კარგარეთელი, პ. კარბელაშვილი და სხვანი).

გიორგი მერჩულის ცნობით, ეკლესიებსა და მონასტრებთან მე-IX საუკ. არსებობდნენ გუნდები, მათი ხელმძღვანელები, ცალკე სამუსიკო დამუშავებანი კი მოხსენიებულია ამ ხნის ადრეც, მე-VIII ს. დამდეგს (779-794 იოვანე საბანისძეს დასწერა სამი საგალობელი მიძღვნილი წმ. აბოსადმი),

[1] „ძველი ქართული მუსიკალური კულტურა", გ. ჩხიკვაძე *(პოლ.)*.

MATERIAŁY I NOTATKI

KULTURA MUZYCZNA GRUZJI

Muzyka jako jeden z czynników kształtowania kultury duchowej narodu od najdawniejszych czasów odgrywała i odgrywa nadal w Gruzji bardzo ważną rolę. W XVIII w. królewicz Wachuszti, opisując zwyczaje gruzińskie, stwierdzał: „Zjawiał się król i ludzie wszystkich stanów z instrumentami muzycznymi, bębnami i chórami. Rozpoczynało się od przywitania króla, a potem bawili się, śpiewali, tańczyli, urządzali zapasy, wyścigi konne. Trwało to nieraz i trzy dni". O kulturze muzycznej Gruzji w dawnych wiekach świadczą też znalezione w grobach szczątki instrumentów strunowych, dętych i perkusyjnych oraz ich rzeźby.

Chrześcijaństwo, które Gruzini przyjęli w 337 r. stanowiło brzemienną w skutki rewolucję kulturalną. Odrzucało ono stare wierzenia i kulty. Detronizowało bogów i ich świątynie. Do kościołów wprowadzono — według wzorów bizantyjskich — śpiew chóralny na jeden głos, obcy mentalności gruzińskiej, przywykłej od dawna do polifonii. Trwało to na szczęście krótko. Nakazem królewskim powrócono do własnych tradycji. Sytuacja wymagała jednak od kościoła dotrzymania kroku dokonanym zmianom. W dziedzinie muzyki musiał przyjąć dawne formy świata pogańskiego, które dalej rozwinął i udoskonalił. Prace utalentowanych kompozytorów w setkach klasztorów kraju i za jego granicami wydała owoce. Do dziś zachwyca nas to, co ocalało z tamtych czasów, szczególnie niektóre utwory wykonywane podczas mszy i cała śpiewana część mszy żałobnej.

W zbiorach archiwalnych znajdują się też utwory muzyczne z X w. zapisane starymi nutami gruzińskimi. Jednakże znaczenie tych nut zostało zapomniane w ciągu wielu wieków nieprzerwanych walk z Persami, Mongolami, Arabami, Turkami i z rodzimymi kaukaskimi mahometanami i dopiero kilka lat temu udało się je rozszyfrować. Okazało się wówczas, że są oparte na zasadzie oktawy: z ośmiu znaków cztery pisano nad i cztery pod śpiewanym wierszem.

Lud jednak i po przyjęciu chrześcijaństwa przechował do naszych czasów swój dorobek muzyczny z poprzednich okresów. W nieskażonym stanie ocalił hymny do słońca, bogów zdrowia i urodzaju, śpiewy rytualne wykonywane przy składaniu ofiar, przy urodzeniu dziecka i inne. Do śpiewów świeckich wplótł niezrozumiałe dziś słowa, które są prawdopodobnie imionami dawnych bogów, np. *Nana, Dela, Odela, Lale, arli Arale, aba delia* i inne. Występują one w refrenach, które pod względem melodyjnym stanowią ozdobę utworu.

Na treść muzyki ludowej wpłynęło kilka okoliczności. Jedną z nich był fakt, że Gruzja przez wiele wieków dzieliła się na dwa państwa. Składały się one z zamkniętych geograficznie obszarów. Spowodowało to, że rozwój muzyki odbywał się w zasadzie dwoma nurtami: wschodniej i zachodniej Gruzji. Muzyka ta stanowi jednak całość specyficznie gruzińską, różniącą się od muzyki innych narodów.

Zasadniczą jej cechą jest polifonia. Śpiewy chóralne wykonywano na trzy głosy. Najczęściej pierwsze dwa głosy były wodzącymi, intonującymi. Basy stanowiły tło. Powtarzały one chórem zwrotkę zaintonowaną przez pierwszy i drugi głos. Bywało i tak, że nie było głosów intonujących i wszystkie trzy głosy śpiewały jednocześnie chóralnie. Symfonię osiągano przez wariacje głosów, przy czym śpiewały one każdy na swoją melodię. Jednogłosowy śpiew chóralny nie był i nie jest w Gruzji spotykany.

Obfitość pieśni ludowych jest imponująca. Szczególnie liczne, melodyjne i bogate w treść wychowawczą w postaci przysłów, aforyzmów dotyczących etyki obywatelskiej, honoru i humanitaryzmu są pieśni biesiadne. Wykonuje się je w czasie uczt na życzenie i hasło *tamady*. *Tamada* to wszechwładny dyktator zabawy. Przy okazji toastów porusza wzniosłe tematy, wzbogacając treść mowy przykładami z historii swego narodu, jego literatury i sztuki. Identycznie postępują inni mówcy, jeśli każe się im rozwijać poruszony temat.

Nowy etap rozwoju muzyki rozpoczął się w okresie caratu. Starły się tu dwie tendencje: jedna carska,

ნიკოლოზ მათიაშვილი, „KULTURA MUZYCZNA GRUZJI" (მუსიკალური კულტურა საქართველოში), ტურნ. „PRZEGLĄD ORIENTALISTYCZNY", №2, ვარშავა, 1970 (სლშ. №28591-1-ხ., ნიკოლოზ მათიაშვილის არქივი, თბილისი).

გრ. ხანძთელმა (1759-1861)[1] შეადგინა კრებული „იადგარი“, იოანე მინჩხს (მე-X ს.) ეკუთვნის შედგენა „გალობანი გიორგისანი“,[2] დავით აღმაშენებელმა (1089-1125) უბრძანა კათოლიკოს იეანეს[3] ქართული საეკლესიო საგალობლების შედგენა ნაცვლათ ძველისა, რომელიც ქართულ ენას არ ეგუებოდა.

ყოველი გარდატეხა საქართველოში მტკივნეულ იარებს ამჩნევეს მის წინ არსებულ კულტურის მიღწევათა შენარჩუნებას. ესე მოხდა ქრისტიანობის მიღებისას, ესეთივე ტენდენცია შეიმჩნევა დღესაც, ძველ ეკლესიურ სიმღერათა პატივის გვერდით არსებობენ წრეები, რომლებიც მის მიჩქმალვას, შეზიზღებას და მივიწყებას უკმევენ საკმელს.

1103 რუის-ურბნისის კრებამ განდევნა საეკლესიო დღესასწაულებიდან საერო სახის სიმღერები, ასევე დ. აღმაშენებლის დროს (XI-XII საუკუნეების) სამხედრო ნაწილებში საერო საგალობლები არ იმღერებოდა. ოლონდ რამდენათ არ ეგუებოდა მათ ხალხი სჩანს იქიდან, რომ თამარ მეფის ეპოქაში ხალხი მღეროდა საერო სიმღერებს ნადირობისას, ომში, ბურთაობასა და ჭიდაობებში, ქორწილებში, ლხინში. „ვეფხვის ტყაოსანი“ აგვიწერს ამ სანახაობათა სახეს, მომღერლობას და მაშინ არსებულ მუსიკალურ ინსტრუმენტებს (ჩასაბერს, დარტყმით და სიმებიანებისას).

თამარ მეფის შემდეგ საქართველოს საბედისწერო დღეები უდგება. მოყოლებული მე-XIII ს. მე-XVII-მდის საქართველო დიდფეოდალთა ქიშპობისა და ღალატის შედეგათ ხელიდან ხელში გადადის. იპყრობენ მას ერთი მეორის შემდეგ – სპარსელები, მონღოლები, ოსმალები – 300 წლის ბრძოლა მუსულმანებთან ძალას უკარგავს საქართველოს. დანგრეული, გაცარცული, ის ფეხზე ვეღარ წამომდგარა. ეს მღელვარე და ბრძოლის ხანა წარმოშობს გ. სააკაძეს და ირაკლი მე-II-ს. ეს უკანასკნელი მფარველობს თავის სასახლეში ხელოვნებას, პოეზიას, სიმღერას. მისი დროიდან ცნობილნი არიან: ბესიკი, მისი მამა ზაქ. გაბაშვილი, საიათნოვა, მაჩაბელი, მღვდელი ამირიძე. დრამატული დასი, შემდეგ კრწანისის ბრძოლაში დაღუპული.

ხალხური სიმღერები

ახასიათებს მათ მრავალ ხმიანობა.

ორ ხმიანები: „დიდება“, „ზარი“, „მზე შინა“, „იავნანა“ (საკულტო).

საშრომო – „ჰერიო“ (ლეწვასა, განიავებასა და მკის დროს).

„ნანავ და“ – სათამაშო.

სამხმიანები – მრავალი სიმღერები სხვა და სხვა საყოფაცხოვრებო შემთხვევებში. კუთხური დიალექტებით აღმ. საქართველოში: თუშ-ფშავ, მოხევურ, ხევსურული, მთიულური, ქართლ კახური, მესხური. დასავლ. საქართვ.: იმერულ, გურულ, რაჭულ, მეგრულ, სვანური, ლაზური. მრავალ ხმიან სიმღერებში ორი ხმა წამყვანია, მესამე ხმა წარმოადგენს ბანს. ეს უკანასკნელი სრულდება ჯგუფურათ. სოლოთი შესრულებული სიმღერებია ქალისთვის, კაცისთვის, ხშირათ ჩონგურთან ერთათ.

ხევსურული სიმღერები – უბრალო რეჩიტატული ხასიათისაა, ნააგავს ლაპარაკს. სრულდება თვითეული შემსრულებლის მიერ ხშირათ ჩონგურთან. მათი მუსიკა საყოფაცხოვრებო და საგმირო შინაარსს შეიცავს. ყველაზე განვითარებულია ქართლ კახური – სადაც ორი წამყვანი ხმა და ბანები გამოდიან.

საეკვაო მუსიკა. სრულდება გუნდის შესრულებით ან ინსტრუმენტების თანხლებით თუ შესრულებით (ჩონგური, ფანდური, ჭუნირი (3 სიმიანი), სტვირი, ჭუბონი (გუდით), ხარმონი, დოლი, დიპლიპიტო, დაირა, სოინარი (რაჭული 6 ლულიანი).

ცეკვები – „ქართული“, „ფერხული“ (გუნდური სიმღერა).

ცეკვა „ხევსურული“ ფილმიდან, სამსართულიანი „ფერხული“, „ხორუმი“, „დელია“, „არირა“, „ჩაგუნა“, „მოხეური“, „ხევსურული“, „ცერული“, „ცანგალა და გოგონა“ და სხვა.

მე-XIX ს. მუსიკალური კულტურა

თბილისი საქართველოსა და ამიერკავკასიის მუსიკალური ცენტრი იყო. 1851-იდან იდგმებოდა იტალიური ოპერები. მეორე წელს გამოდიოდა ბალეტი. 1885 წლიდან იდგმებოდა რუსული ოპერე-

[1] იგულისხმება (759-861) *(ლ. ც.)*.

[2] მიძღვნილია ნმ. გიორგისადმი *(ლ. ც.)*.

[3] იგულისხმება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იოანე VI *(ლ. ც.)*.

ბი. თერგდალეულთა წამოწყებამ გამოაცოცხლა დაინტერესება ქართული კულტურისადმი. დაიწყო ქართულ სიმღერათა შეკრება (ქორიძე) (1829-1911), შემდეგ პ. კარბელაშვილი, მ. იპოლიტოვ ივანოვი. გამოიცა რამოდენიმე სიმღერათა კრებულები. მუშაობას განაგრძობდა ია კარგარეთელი. 1874 წ. არსდება მუსიკალური სკოლა (სავანელი, მიზანდარი, ალიხანოვი). დაარსდა ლ. აღნიაშვილის გუნდი (1885 წ.). აქ შემდეგში მოღვაწეობდნენ: ზ. ფალიაშვილი, ივ. სარაჯიშვილი, ია კარგარეთელი, ა. ყარაშვილი, ჩხიკვაძე და სხვ.[1] არსდება მუსიკალური სასწავლებლები. მუსიკას სწავლობენ სკოლებში (სათ. აზნ. გიმნ.). მუშაობაში ებმება მელიტონ ბალანჩივაძე. სწერს (1896 წ.) „თამარ ცბიერს".

I თაობა ქართველ კომპოზიტორთა: ზ. ფალიაშვილი, მ. ბალანჩივაძე, დ. არაყიშვილი, ნ. სულხანიშვილი და ვ. დოლიძე.

მათი შემოქმედებითი მუშაობა დაიწყო ხალხურ მუსიკის შეკრებისა და შესწავლისაგან (განსაკ. გუნდურ სიმღერების).

პირველი ოპერები, რომლებმაც საზოგადო ყურადღება დაიმსახურა იყო – „დარეჯ. ცბიერი", „თქმულება შ. რუსთაველზე", „აბესალომ და ეთერი", „ქეთო და კოტე", „პატარა კახი".

საბჭოთა დროინდელი ქართული ოპერა და ბალეტი 1930 წწ.

ამ დროს განვითარდა ქართული სიმფონია, სიმფონიური პოემა, სიმფონიურ ვოკალური ციკლი, ბალეტი, ორატორიები, მუსიკალური კომედია, საგუნდო, კამერული. კომპოზიტორები ცდილობდნენ ოპერათა წერას და მთელი ყურადღების ზემო აღნიშნულ დარგებზე გადატანას.

შეიქმნა შ. მშველიძის: „აზარი", „ფშაური", „ხორუმი", „5 სიმფონ. სურათი", სიმფ. პოემა „ზვიადაური".

გ. კილაძის: საორკესტრო სუიტები, პოემა „განდეგილი".

ტუსკიას: „ყეენობა".

შ. აზმაიფარაშვილის: „ყვარლის მთებს".

ა. მაჭავარიანის: „მუმლი მუხასა".

და ნაწარმოებნი: დ. არაყიშვილის, ა. ანდრიაშვილის, ა. კერესელიძის, კ. მელვინეთ უხუცესის.

კამერულ ინსტრუმენტ. დარგში: შ. თაქთაქიშვილის, ა. ბალანჩივაძის, ა. მაჭავარიანის, ტ. შაველრზაშვილის.[2]

ამავე ხანში ჩნდებიან პირველი კანტატები, ორატორიები, ვოკალურ-სიმფონიური სიმღერები.

1930-40 წწ. კომპოზიტორთა დაინტერესება უბრუნდება ოპერებს. იწერება 15 ოპერა და 2 ბალეტი.

პირველი ოპერა, რომელიც ამ ხანში გამოჩნდა იყო „დეპუტატი" შ. თაქთაქიშვილისა. დროებითი წარმოდგენის შემდეგ მალე მოიხსნა სცენიდან.

მას მოჰყვა – „კაკო ყაჩაღი" ანდრიაშვილისა. წელთა რიგის განმავლობაში სარგებლობდა მოწონებით. განსაკუთრებით კახური ცეკვა სიმღერების და მისი შინაარსის გამო სუსტი იყო, როგორც ამბობს პ. ხუჭუა. ოპერა შემდეგ გადაკეთდა, მაგრამ მაინც სრულ ფასოვანი ვერ გამოვიდა.

ი. ტუსკიას „სამშობლო"-ც ვერ დამკვიდრდა ოპერის სცენაზე.

კილაძის – „ლადო კეცხოველი" გადამძიმებულია დარტყმითი ინსტრუმენტებით, განსაკუთრებით თეფშებით – სცენას ვერ შერჩა.

ვ. გოკიელის – „პატარა კახი" – ა. წერეთლის პოემის მიხედვით, ლირიკული სიჭარბის გამო ვერ შერჩა სცენას.

„მთის მონოდება" – დ. თორაძისა – ლიბრეტოს სისუსტის გამო მოიხსნა სცენიდან.

„თქმულება ტარიელზე" – შ. მშველიძისა – კარგია აქ გუნდები, ცეკვები, ტარიელისა და ნესტანის დუეტი, სცენები სამეფო სასახლის ცერემონიებითგან.

ოპერა „ბაში აჩუკი" – ა. კერესელიძესი. 8.IX.1947 წ. შემდეგ გადაკეთებული და „ბურუსათ" წოდებული – შერჩა სცენას.

30.IX. „მზია" – ა. ბალანჩივაძისა – ლიბრეტო შეიცავს დასაველეთ საქართველოს ერთ ერთ „კოლხოზის"[3] ბედნიერ ცხოვრების აღწერას, შეიცავს ბევრ საინტერესო ნაკვთებს.

---

[1] ხელნაწერის ტექსტში ზაქარია ფალიაშვილისა და ივანე სარაჯიშვილის გვარები შეორდება *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება თამარ შაველრზაშვილი *(ლ. ც.)*.

[3] კოლშეურნეობის *(რუს.)*.

„ლაშქარა“ – ა. ანდრიაშვილისა (16.III.1949 წ.) – ნანილობრივ საინტერესო ლიბრეტოს სისუსტის გამო ვერ შერჩა სცენას.

ა. ბუკიას – „დაუპატიჟებელი სტუმრები“ – საბავშვო ოპერა. სიუჟეტის სისუსტის მიუხედავად, საინტერესოა მუსიკალურ მხრივ და სარგებლობს ბავშვთა ყურადღებით. პირველათ დაიდგა 1950 წ.

„ჩხიკვთა ქორწილი“ – ა. ანდრიაშვილისა – ხანმოკლე წარმატების შემდეგ მოიხსნა სცენიდან.

ტ. შავერზაშვილის ოპერა – „იავნანა“[1] – არ დადგმულა.

„ხევის ბერი გოჩა“ – შ. აზმაიფარაშვილისა. მისივე – **„მარინე“** მ. ბარათაშვილის კომედიის „ჭრიჭინას“ კანვაზე. ამავე სათაურის ფილმი – ცინცაძისა – ითვლება კარგ ოპერათ.

„არსენა“ – ბუკიასი.

„ჩრდილოეთის პატარძალი“ – დ. თორაძისა.

„ოქროს ვერძი“ – ცინცაძისა.

კომიკური ოპერა – **„დედინაცვალი სამანიშვილი“**[2] **(მელვ. უხუცესისა)** – არ დადგმულა.

ამ 16 ოპერიდან 6 ეხება სადღეისო თემებს, 1 – რევოლიუციურს, 9 – ისტორიულ ლიტერატურულს.

ქართული ბალეტი

ქართული ცეკვები, ცალკეული, წყვილური, ჯგუფური, ქალის, ვაჟის და ნაჩვენები მათი სიმდიდრე და მრავალსახეობა ხელს უწყობდა ბალეტის განვითარებას. ისინი სრულდებოდა – სიმღერებთან, მუსიკალურ ინსტრუმენტებთან, დოლთან, საყოფაცხოვრებო პირობათა შესაბამისად. ქართული ხალხური მუსიკა გამოჩნდა თბილისის ოპერის თეატრის დაარსების დღიდან (1851 წ.) (w 1893, 1898 l. w Tbilisi wystąpił balet teatru Warszawskiego wśród nich Maria Pepina, C. Legatti, B orlicz P. Wladimirow, M. Knizinska, E. Gelcer, M. B. Fokiny, M. Mordkin i in).[3]

საბალეტო საბჭოთა შემოქმედება დაიწყო **„მთების გულიდან“ – ა. ბალანჩივაძე.** დაიდგა მრავალჯერ საბჭოთა რუსეთის სხვა და სხვა სცენებზედ – კიევსა, ხარკოვსა, დნეპროპეტროვსკსა, სარატოვსა, ტაშკენტსა და აშხაბადში, ქართული კულტურის დეკადაზედ მოსკოვში. დამდგმელი – ჭაბუკიანი. ამ ბალეტიდან საინტერესოა ცეკვა „დიდა ვოი ნანა“ და „ხორუმი“.

„მალთაყვა“ – შ. თაქთაქიშვილისა – ეხება კოლხიდის ჭაობების დაშრობის საკითხს. ლიბრეტო სუსტია.

„სინათლე“ – კილაძისა, ი. გედევანიშვილის ლიბრეტოს მიხედვით. დამდგმელი – ჭაბუკიანი (16.III.1947 წ.), მომხიბვლელია აგრეთვე მუსიკალური მხრივაც.

„გორდა“ – დ. თორაძისა (დაიდგა 8.I.1950), მიმზიდველია მუსიკალური შინაარსით, ლიბრეტოთი და ცეკვათა შესრულებით – დამდგმელი – ჭაბუკიანი.

„მშვიდობისთვის“ – თორაძისა და ჭაბუკიანის.

შინაარსით ეხება ომის წინა, ომის დროის და შემდეგ ხანებს. სცენებს საბჭოთა მოცულობით და მის გარეთა ქვეყნებისასაც.

„ცისფერი მთის განძი“ – ცინცაძისა (1956/57 წ.), ეხება პიონერებს, მათ აღზრდას და როლს ახალგაზრდების ხასიათის გამოკვეთაში. მუსიკალურად მდიდარია.

ჭაბუკიანი შემქმნელია ქართული ბალეტისა. მას ახასიათებს დიდი ნიჭი, მოცეკვავის ალღო და გამოცდილება, დიდი ენერგია (მასალას ღებულობს ქართულ ფოლკლორში) და ცოდნა.

შინაარსობრივით ქართული ბალეტი პატრიოტულია. მასში უმთავრესი როლი მამაკაცს ეკისრება, დანარჩენი შემსრულებლები მის ბალეტში მტკნარათ მოსჩანან. ქართული ბალეტი აღმავლობის ხანაშია.

ახალ ბალეტებიდან გამოირჩევა: **„არსენა“ – ბუკიასი და „ჩრდილოეთის პატარძალი“ – თორაძისა, „ოტელო“.**

სიმფონია – დღეს ქართული მუსიკის წამყვანი დარგია. იგი დაკავშირებულია და წარმოიშვა ქართული ეროვნული მუსიკის საწყისებზედ.

პირველი ქართული სიმფონია დაწერა 1932 წ. დ. არაყიშვილმა. „ხიმნი ორმუზდისადმი“ (სასანდრებთან).

---

[1] იგულისხმება თამარ შავერზაშვილის საბავშვო ოპერა „იავნანამ რა ჰქმნა“ *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება „სამანიშვილის დედინაცვალი“ *(ლ. ც.)*.

[3] 1893, 1898 წლებში თბილისში გამოდიოდა ვარშავის ოპერისა და ბალეტის თეატრი. მათ შორის: მარია პეპინა, ს. ლეგატი, პ. ელადიმიროვი, მ. კნიტინსკა, ე. გელცერი, მ. ბ. ფოკინი, მ. მორდკინი და სხვ. *(პოლ.)*.

1930-იან წლებში ამ დარგში მუშაობდნენ: ანდრიაშვილი, მელვინეთ უხუცესი, კერესელიძე ა., ტუსკია, გ. კილაძე, შ. თაქთაქიშვილი, ი. გოკიელი, შ. მშველიძე, ა. ბალანჩივაძე.

გადამწყვეტი გარდამტეხი მოვლენები იყო 1937.

კილაძის – „განდეგილი“ და მშველიძის – „ზვიადაური“.

ა. ბალანჩივაძის – I სიმფონია, მშველიძის – მე-II სიმფ. (ეპიკური სახისა).

მშველიძის – მე-III სიმფონია, „სამგორი“, „მინდია“ (ეპიკური სახის).

ა. ბალანჩივაძის სიმფონიაში შედის: „საიერშო“, „საჭიდაო“, „იავნანა“, „გლოვა“, და „მუმლი მუხასა“.

გ. კილაძის შემოქმედება: „განდეგილი“.

ა. მაჭავარიანი: ემყარება ეროვნულ სანყისებს, ცეკვებს. საინტერესოა მისი I სიმფონია, „მუმლი მუხასა“, „არ დაიდარდო დედაო“.

ო. თაქთაქიშვილს ახასიათებს ლირიკული დრამატიზმი (ჩაიკოვსკისთან ნათესაობა). იგი ავტორია „მწირის“, I და II სიმფონ., რომელიც შეიცავს: „გლესავ და გლესავ“ და გურულ „დილას“ – საერთოთ იგი უახლოვდება კლასიკურ მუსიკას.

ამავე ჟანრში მუშაობდნენ:

ა. ბუკია.

ვ. ცაგარეიშვილი.

შ. აზმაიფარაშვილი – „ყვარლის მთებს“.

ნ. გუდიაშვილი.

ა. შავერზაშვილი.

ო. თევდორაძე.

ს. ცინცაძე – I სიმფ.

რ. ლაღიძე – „სამშობლოსთვის“ („დიმიტრი თავდადებულის“ მიხედვით), „საჭიდაო“.

ინსტრუმენტალური კონცერტი საფორტეპიანო – მაჭავარიანისა შედის: „ნეტავი გოგო მე და შენ“, „იავნანა“. შექმნილია 1945-56 წწ. – 25 ნაწარმ.

კანტატა ორატორია – ს. ცინცაძე.

კანტატებში ითქმის ხალხზე, მის ზრახვებზე, მის წარსულსა და მომავალზე. ეს დარგი მუსიკისა განსაკუთრებით ემარჯვებათ ქართველებს.

პირველ კანტატების შემქმნელები არიან: ზ. ფალიაშვილი, ა. ბალანჩივაძე.

1937 წ. ა. ბალანჩივაძემ, გ. კილაძემ, ი. გოკიელმა, შ. მშველიძემ, ი. ტუსკიამ შექმნეს კანტატა სტალინზე.

(სიმღერები ეროვნული მოტივის მუსიკასთან).

1937 წ. რ. გაბიჩვაძემ დაწერა „ვეფხის ტყაოსანი“.

დიდი ომის დროს ნ. გუდიაშვილმა დაწერა კანტატა, ნ. ნარიმანიძემ ორატორია.

გ. კოკელაძემ და პ. ნალბანდიშვილმა დაწერეს სამგორისადმი მიძღვნილი კანტატები, თევდორაძემ კანტატა სუიტა სოფელზედ.

იმავე დროს კანტატებს სწერდნენ ო. თაქთაქიშვილი, ა. შავერზაშვილი, ს. ცინცაძე. ბ. კვერნაძე, ს. ნასიძე, ტ. ბაქრაძე, დ. ხახანიშვილი და სხვ. მათგან გამოირჩევიან: შავერზაშვილის „ხიმნი სამშობლოს“ და „დიდება პარტიას“ ო. თაქთაქიშვილისა, „კავკასიონი“ შ. მშველიძისა, „დღე ჩემი სამშობლოსი“ ა. მაჭავარიანისა, „ქართლის გული“ ა. ჩიმაკაძისა. შეიცავენ ისინი მუსიკას ქართულ ტონებზე, სიმღერებსა და ცეკვებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. მაჭავარიანის ორატორია, შემოქმედება ჩიმაკაძისა „ქართლის გული“.

კამერულ ინსტრუმენტალური მუსიკა

საპატიო ალაგი ამაში უკავია სიმებიან კვარტეტს. 1924 წ. დაარსდა თბილისში პირველი ჟიანურების კვარტეტი, 1928 წ. – მე-II კვარტეტი (ჭიანურების).

ამ დარგში დიდი როლი ითამაშა შ. თაქთაქიშვილმა. მან 1931 შექმნა სიმებიანი კვარტეტი. ამ დარგში მუშაობდნენ კომპოზიტორები: შ. თაქთაქიშვილი, ი. ტუსკია, ა. ბალანჩივაძე, ი. გოკიელი, ა. მაჭავარიანი, ნ. გუდიაშვილი, ო. თაქთაქიშვილი. განსაკუთრებით გამოირჩევიან ს. ცინცაძის

ნაწარმოებები კვარტეტისათვის (2 ჭიანური, ალტი და ვიოლანჩელო), ცნობილია მისი ჯერ მე-II, შემდეგ მე-III, კვარტეტები IV, V, და VI.

ნ. გუდიაშვილის D-mol,[1] რ. გაბიჩვაძის A-dur,[2] ნარიმანიძის E-mol[3] 1939 წ. და C-dur[4] 1957 წ. კარგებია: ი. ტუსკიას „ჩელა", „იავნანა": შ. ასლანიშვილისა და ცინცაძის მინიატურები.

ცნობილია ცინცაძის – „ლალე", „ინდი მინდი", „საჭიდაო", „გაფრინდი შავო მერცხალო", „მწყემსური" და „ინდოური მინიატურები".[5]

კვინტეტები

G-moll[6] – ნ. გუდიაშვილისა.

სოლო სიმღერების დარგში ცნობილია ეროვნულ მოტივებზედ და კლასიკოსთა შემოქმედებაზე დაყრდნობით სიმღერები მაჭავარიანისა, გაბიჩვაძესი, ჩიმაკაძისა, (ეპიკური მუსიკა), რ. ლაღიძის.

მასიური სიმღერები – ხოროები, თვითმოქმედი კლუბები...

რუსი კომპოზიტორები ქართულ მუსიკაში

მ. გლინკა – „ნუ იმღერ ლამაზო" – პუშკინის ტექსტზე.

რახმანინოვი – „ნუ იმღერ ლამაზო" – პუშკინის ტექსტზე.

ბალაკირიოვი, რიმსკი კორსაკოვი, ა. ლიადოვი.

რიმსკი კორსაკოვი – „Na cholmach Gruzji".[7]

პ. ჩაიკოვსკი – „იავნანა" ბალეტ „შჩელკუნჩიკში".[8]

იპოლიტოვ ივანოვმაც გამოიყენა „იავნანა" ბალეტში – „არაბული ცეკვა".

ა. რუბინშტეინმა – „დემონში", ლერმონტ. თხზულ. მიხედვით, გამოიყენა მთელი რიგი ქართული ხალხური სიმღერების მოტივები.

იპოლიტოვ ივანოვი – ოპერაში „ღალატი".

სიმფ. პოემა – „მწირი".

რომანსი – „საქართველო".

ილიას აზრით, მუსიკაში ვლინდება ერის სულიერი განცდები, სიხარული, ვარამი.

ვიცით მუსიკა აღმოსავლეთური, მუსიკა ევროპიული. ქართული მუსიკა თავისებურია ისე როგორც ენა, როგორც ანბანი.

„სულიკოს" ავტორია ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლისა. დაიბადა 91 წ. წინ ე. ი. 1867 წ.[9] „სულიკო" სიმღერათ გადააკეთა 28 წლისამ, 1895 წელს.

[1968]

[1] D-mol – რე-მინორი *(მუს.)*.
[2] A-dur – ლა-მაჟორი *(მუს.)*.
[3] E-mol – მი-მინორი *(მუს.)*.
[4] C-dur – დო-მაჟორი *(მუს.)*.
[5] იგულისხმება სიმფონიური სუიტა „ინდური" *(ლ. ც.)*.
[6] G-mol – სოლ-მინორი *(მუს.)*.
[7] „საქართლოს გორაკებზე" *(პოლ.)*.
[8] „მაკნატუნა" *(რუს)*.
[9] ვარინკა მაჭავარიანი-ნერეთლის დაბადების თარიღია 1874 წ. *(ლ. ც.)*.

* * *


1907 წლის ზაფხულის დღე იყო, მე და ჩემი ხნისავე ორი ჩემი მამიდაშვილი ჭასთან, აყალო მიწის ტალახიდან ხუხულებს ვაშენებდით. იმათი მამა რკინის გზის რევიზორი იყო. ბევრს მოგზაურობდა, მუდმივ კი თბილისში ცხოვრობდა. რაკი შეძლება ხელს უწყობდა, ოჯახს ყოველ წლივ ზაფხულში აგარაკზე აგზავნიდა ხან ბორჯომში, ხან სურამში, ხან შაეი ზღვის პირებზე, ხან კახეთის რომელიმე სოფელში. წელს კი ჩვენთან ჩამოვიდნენ. ამ მშენებლობის გახურებულ მუშაობაში თავზე წერილების დამტარე წამოგვადგა, ხელში წერილების მთელი დასტა ეჭირა და ყველაზე უფროსს მამიდაშვილს მაიკოს გადასცა. წერილები დედმამიდან იყო. ყველასათვის პატარა, ლამაზათ მოხატულ ღია ბარათებზე წერილი ცალკე ცალკე მოენერათ. მაიკომ ყველას თავთავისი დაგვირიგა, ერთი მეც გადმომცა. სურათი ფერადათ იყო მოხატული. ტყეთა სიმწვანით მორთულ მთაგორიან გარემოში აქშენილი და ორთქლსა და ბოლში გახვეული მატარებელი მიაჭქროდა. წერილში ორიოდე მისასალმებელი სიტყვის ბოლოში მისურვებდა, რომ ყოჩაღი ბიჭი დავმდგარიყავ და ამნაირი მატარებლით მსოფლიოს მრავალი ქვეყანა შემომეარა. ამ სურვილმა ცოტა დამაფიქრა. მე ჩემ პატარძეულს, ჩემ ეზოს, ჩემ ერთგულ ქედანას, იქვე ახლოს რომ სთვლემდა და ცალი თვალით გვათვალიერებდა, ჩვენ შავ კატას, მწყრის ბარტყებსა, ხვლიკებს და გველებსაც კი ცოცხლათ რო მოუყვანდა ხოლმე თავის კნუტებს, ჩემ მეზობლებს და ნალკოტივით მოხასხასე გარემოს დახუნძლული ბაღ ვენახებით და უზარმაზარი ჭლანას კაკლებით შარა გზის პირას, რო იდგნენ, არც მოშორება და არც არსად წასვლა არ მეპრიანებოდა. მგზავრობა კი საერთოთ მძაგდა და მტანჯავდა კიდეც.

მაშინ კახეთის რკინის გზის ხსენებაც არ იყო. რამოდენიმე წლის შემდეგ მოპკიდეს ხელი მის მშენებლობას და ისე უნდილათ მიჰყავდათ საქმე, რომ ხალხს იმედიც კი გადაუწყდა, რომ ეს გზა ოდესმე დამთავრდებოდა. ლექსიც კი გამოთქვეს ამის თაობაზე და საშა ბურთიკაშვილი, კინტორურ ტანსაცმელში გამოწყობილი, მრავალი წლის განმავლობაში სცენაზეც მღეროდა ვაი, ვაის კილოზე „ვაი, ვაი! ეს რა არი ვაი, ვაი! რა ცუდია ჩვენი დრო! რადგან კახეთის რკინის გზა მაშინ თუ გავა „ტალეს" ვირი ხეზე რომ გავაო". ტალე მთელ გარე კახეთში ცნობილი გლეხი იყო. ყველამ იცოდა, რომ მისი დაუკოდავი ვირი, რაც გინდა დიდი საპალნე ჰკიდებოდა, ფაშატ ცხენს ან ვირს თუ მოეწონებოდა, ბარგი ბარხანით გამოედევნებოდა და ველარაფერ მოფერებით და ძახილით ველარ დააბრუნებდი.

თბილისთან კაეშირი დილიჯნებით იყო. ყოველ დილით ჩვენი ეზოს წინ გარე კახეთის შარაგზაზე ოთხ ცხენა დილიჯნები გაიქროლებდნენ ხოლმე. სართიჭალაში მოკლე შესვენების, ცოტა დანაყრებისა და ცხენების დაპურების შემდეგ საღამომდის თბილისშიც ჩავიდოდნენ. ხალხს გადმოსხამდნენ და ავლაბრის სადგომებში დაბინავდებოდნენ. მეორე დღით იმავე გზით და ახალი მგზავრებით უკანვე ბრუნდებოდნენ.

ამ დილიჯნებით მე ბევრი არ მიმგზავრია. წელიწადში სამჯერ მიხდებოდა სოფელში ჩასვლა და უკან დაბრუნება. ისე არ მიმგზავრია, რომ გზაში გული არ ამრეოდეს. ამისდა მიუხედავათ, მაშინდელი მგზავრობები ჩემ მეხსიერებაში განმტკიცდა და დღესაც მათი მოგონება ერთგვარ სიამოვნებას მგვრის.

მეჯინიბე „ლადო" თავის გვერდით დამისვამდა, აიკრეფდა ხელში ოთხივე ცხენის აღვირებს და გამამხნევებელი წამოძახილებით ცხენებს მიერეკებოდა. აფთრებივით სქელ ტანა და ქერით



ნიკოლოზ მათიკაშვილის მოგონება, ავტოგრაფი [1980] (სლშ. №28433-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

ნაპატიები ცხენები, სიმსუქნით ტყავში რომ ვერ ეტეოდნენ, ხალისიანი იორღით მიაჭენებდნენ. მათ ფეხის თქარა თქურს თასმეულობის ტყაპა ტყუპი უერთდებოდა და მათ ზურგებზე რო ახტოდ-დახტოდნენ, იერის გასვლისას დილიჯანთა გასაჩერებელ ეზოში შეადგაფუნებდნენ ჭიხვინ-ჭიხვინით. მედილიჯნე მათ თივითა და ქერით გაუმასპინძლდებოდა, ჩვენ კი იქვე მიბმული წყნარი, ლამაზი, მხიარული და მშვიდი დათვის თვალიერებით ვტკბებოდით. ახლოსაც რომ მივსულიყავით, მტრულ განზრახვას არ იჩენდა, ერთობოდა ჩვენი თვალიერებით და ყალყზე დგებოდა პურის ნატეხისა და სხვა სანოვაგის მოლოდინში, მერე ისევ თბილისისკენ გაეუდგებოდით გრძელი სამგორის ველის გავლით.

აბა რა ვიცოდი მაშინ, რო ჩემი ბიძის გ. ფ. სურვილი, რომ მსოფლიოს მრავალი კუთხე მომეარა, სიცხადეთ იქცეოდა. და ბედის კარნახით ცოტა თუ დიდი ხნით, რიგ რიგით მოეხედებოდი ოსმალეთსა, საბერძნეთსა, პოლონეთს, გერმანეთსა და საფრანგეთში. არსად სხვა ქვეყნებში ყოფნა ჩემთვის ბედნიერების მომგვრელი არა ყოფილა. საქართველოზე ფიქრი ერთ დღესაც არ დამშორებია. სხეულით სხვაგან, გულით, გრძნობით, აზრით და სულით საქართველოს არ განვშორებივარ და მასზე ფიქრს არ მოვშორებივარ. კარგა გრძელი დრო გასტანა ამ ეითარებამ, 1921 წ. ლამისკი დღემდის, ე. ი. 1980 წლამდის. 60 წელიწადი. *და ალბათ საქართველოზე ფიქრი და ნაღველი სიკვდილამდე არც მომშორდება.*[1] ბედმა ინება და მე სხვა ჩემ თანატოლებთან ერთათ თბილისის სამხედრო სკოლაში მიმავლინა. მონაწილე გავხდი ტაბახმელის ბრძოლებისა და შემდეგ მათი ბედის გაზიარებისა.

ამ ჩემ მოგონებაში მინდა თავი მოვუყარო იუნკერთა თავგადასავალს, ტაბახმელას, უკან დახევით ბრძოლებს და მათ ბედს საზღვარ გარეთ.

[1980]

[1] კურსივით გამოყოფილი ფრაზა ხელნაწერში გადაშლილია *(ლ. ც.)*.

ქართული შაშვი პოლონეთში

Zalesie Dolne,[1] სადაც დღეს ვცხოვრობ, პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდის უდაბური ტყე ყოფილა.

ერთმანეთში გადახლართული ას წლოვანი ნაძვები, მუხები, გარეული პანტა, აკაციები, რცხილა, კუნელი, თხილი, მაყვალი და სხვა ტყეს გაუვალათ ხდიდნენ. მოსახლეობა ახლო მახლოს არა ყოფილა. საზრდოს სიუხვე და საიმედო საფარი ხელს უწყობდა გარეული ცხოველების, ფრინველების და ქვემძრომთა მომრავლებას. ბუდობდნენ აქ ტახები, მელიები, კურდღლები, ხოხბები, ციყვები და სხვა და სხვა ჯურის ფრინველთა დასი და დასი. ტყის პატრონი ტყეს ველურობას განგებ უნარჩუნებდა. მეურნეობის საწარმოებლათ სხვა მამულები ჰქონდა პოლონეთის სხვა და სხვა კუთხეში, აქ კი მახლობელთა და დიდ მოხელეთა პატივსაცემათ წელიწადში რამდენჯერმე დიდ ნადირობას მართავდა. ირღვეოდა მაშინ ტყის მყუდროება, გარიჟრაჟიდან დაღამებამდის ძაღლთა წკავწკავი, მონადირეთა გადაძახილები და თოფების ბათქა ბუთი აყრუებდა ყურს. ნადირობა მთავრდებოდა მხიარული და გულუხვი ვახშმით. მასპინძელი არას იშურებდა სტუმართა პატივსაცემათ..[2] აქედან გაყოლილი შთაბეჭდილება სასიამოვნო მოგონებათ უნდა გაჰყოლოდათ მონანილეებს ხანგრძლივ მოსაგონებლათ.

პირველი ომის შემდეგ რევოლიუციით აფორიაქებული მემამულეები და ამ ტყის პატრონიც მამულების პატარ პატარა ნაკვეთებათ გაყოფას და მათ გაყიდვას შეუდგნენ. მყიდველი ბევრი აღმოჩნდა და აქამდის უდაბური ტყე მოკლე ხანში მჭიდროდ დასახლებულ დაბათ გადაიქცა.


ტყეები გაჩეხეს, გზები გაიყვანეს, ნადირი და ფრინველები მოსპეს. იშვიათათ თუ გადარჩა აქა იქ ხის კენწეროებს შეფარებული ციყვები, ჯაგებში მიმალული კურდღლები და მოხატული და მომღერალი ჩიტები. არც მათი ბედი იყო სახარბიელო. ადამიანი, სადაც კი მოასწრობდა სპობდა მათ, ან და სუსხიანი და ხანგრძლივი ზამთრის სიცივეში იღუპებოდნენ.

ვცდილობდი ჩემ ეზოში მაინც შემძლებიყო, მათთვის ბედი შემემსუბუქებინა. გადავხვეტავდი მყუდრო ადგილას თოვლს და ვუდგამდი საკენკითა და სუფრის ნარჩენებით ავსებულ ჭურჭელს და კმაყოფილებით შევცქეროდი რანაირი სიხარულით შეექცეოდნენ მიწოდებულ საზრდოს. დასაწყისში მხოლოდ ბელურები აღმოჩნდნენ გაბედულები. ნელ ნელა მათ სხვა ფრინველებიც შეუერთდნენ და სულ მოკლე ხანში ერთმანეთთან სრული თანხმობით ჯამის ირგვლივ თავს იყრიდნენ: ბელურები, გარეული მტრედები, კოდალები, გულ წითელა და გულ ლურჯა ნიბლიები და მათთან ერთათ ციყვიც კი. ერთ დღეს მათ შორის მტრედის ოდენა შავი ფრინველი შევნიშნე. შაშვს ნააგავდა, ოღონდ ბუმბული წენგოს ფრად გახუნებული და მოთხუპნული უჩანდა. მისუსტებული, ჩონჩხათ ქცეული, ფრთა ჩამოყრილი ნაზათ ეტანებოდა საკენკს, თანაც განუწყვეტლივ ატრიალებდა თავს ირგვლივ საფრთხის მოლოდინში. ნუთუ ეს შაშვია? რა უნდა მას ამ შუა ზამთარში პოლონეთში? ისინი ხომ შემოდგომაშივე მიფრინავენ სადღაც გამოსაზამთრებლათ. გამეხარდა მისი დანახვა. მაგონებდა ქართულ შაშვებს, წყვილ წყვილათ და ფარებით რომ ეფარებიან ორლობეებსა და ჯაგებს.

საქართველოდან მოფრენილ სტუმრათ ჩავთვალე. მზრუნველობა არ მომიკლია. გამოვაზამთრე ის და ორი შემდგომი ზამთარიც. გამიცნო და შემეჩვია ჩემი შაშვი. დანახვისას ფრთების ფარფატითა და მხიარული ჭახჭახით დამტრიალებდა თავს. აღარც ზაფხულობით შორდებოდა

[1] ზალესიე დოლნე (პოლ.).

[2] ნიკოლოზ მათიაშვილის მართლწერაში ხშირად ვხვდებით ორ პორიზონტალურ ნერტილს, რომელსაც უცელელად ვტოვებთ (ლ. ც.).



ნიკოლოზ მათიკაშვილი, „ძარცული მაგვი პოლონეთში", ავტოგრაფი, 18 თებერვალი, 1983 (სლმ. №28427-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

ჩვენ ეზოს და მხიარული, ხან სევდიანი გალობით ატკბობდა გარემოს. მეც შევეჩვიე მას.. დანახვისას გამოველაპარაკებოდი, მოვუალერსებდი, მათვალიერებდა, ყურს მიგდებდა, თითქოს ესმოდა ჩემი ლაპარაკი და თავისებურათ კმაყოფილებას გამოსთქვამდა.

მეოთხე ზამთარია, მუხლებამდი თოვლი დევს, ყინულით მოვარაყებულ ფანჯრებიდან გარეთ არაფერი არა სჩანს. გავდივარ გარეთ თოვლის ასახვეტათ და რას ვხედავ? დერეფანში მოსკუპულა ჩვენი მწვანე თვალება შავი კატა და სიამაყით დასცქერის იატაკზე მიგდებულ შაშვს. მარჯვენა მხარე ამოჭმული აქვს ფრთებიდან კანჭებამდის, იარიდან სისხლი სჩქეფს, მარცხენა თვალი გამოთხრილი აქვს, დახუჭული თვალის ირგვლივ იარა არა სჩანს, ეტყობა, თავიდანვე ცალ თვალა იყო. აი მიზეზი, რისთვისაც შემოდგომისას თბილ ქვეყანაში გაფრენას პოლონეთში გამოზამთრებას ამჯობინებდა. სულს ძლივს იბრუნებს, შიგა და შიგ განივრათ აღებს ნისკარტს ჰაერის ჩასასუნთქათ, კატა კი მონადირის ჟინ მოკლული დასცქერის თავის მსხვერპლს, ხან მე შემომხედავს კმაყოფილებით. დავტუქსე... შაშვი ხელში ავიყვანე. მიცნო, საღი თვალი მომაპყრო, ალბათ იმედი მიეცა, შველას მოვუტანდი, სიკვდილს გადავარჩენდი. დაკვირვებით გავუსინჯე სისხლიანი იარა, თან ვფიქრობ: როგორ ვუშველო? ახლო მახლო ვეტერინალური პუნქტი არ არის, რომც არსებობდეს, ვინ გაიცხელებს თავს შაშვის გულისთვის. ჭრილობა ღრმაა, მისი შეხვევა და შედუღება შეუძლებელია. სულსა ჰღაფავს და იტანჯება რაღა დამრჩენია, სიცოცხლე მოვუსპო, ტანჯვა ავაცდინო და ესეც სწრაფათ. სასხლავი მაკრატელი ავიღე, ბასრი პირი უჩანდა. მოვუჭირე კისერზედ, მაკრატელმა ბუმბული ვერ გასჭრა, ფრინველმა ძარღვები დაჭიმა. მაკრატელს ძალა დავატანე. შაშვის სიცოცხლე შესწყდა.. მას აქეთ ბევრმა ხანმა გაიარა, მე კი მეხსიერებიდან ვერ ამომიშლია ვერც მისი უკანასკნელი ძარღვების დაჭიმვა, ვერც სინანული, რომ მშველელის მაგიერ ნახევრათ უსინათლო ფრინველის მკვლელი გავხდი.

1983.18.II

ჭიაყელა


მკათათვის ცხელი დღეები იდგა. ბალახი დაიხრუკა, მიწა დასქდა. დაოსებულმა ფოთლებმა ხეებსა და ჯაგებზე ყურები ჩამოყარეს. ერთი საშველია ადამიანისთვის ამ დროს: მდინარის პირას წავიდეს, თუ ამის შესაძლებლობა აქვს, თვალს წყალი დაალევინოს, მცენარეულობის მწვანე ხასხასით დატკბეს, ყური დაუგდოს, ფერად ფერადი ფრინველების ჭიკჭიკს მოუსმინოს და გაგრილებული და დამშვიდებული დაბრუნდეს სახლში.

არც მე ვარ გამონაკლისი ადამიანის ამნაირი მიდრეკილებისაგან და რაკი პატარა მდინარე ჩემ სახლს ახლო ჩამოუდის, ჩანგლით, პარკში ერთი მუჭა ჭიაყელებით მდინარის პირას გავჩნდი. ამოვირჩიე თავისუფალი ადგილი და შეუუდექი ჩანგლის მომართვას. გვერდით სხვა მოთევზაეებიც იდგნენ, დიდ პატარანი, ქალები და ვაჟები. ჩამოაცმევდნენ თხილის სახრეზე გამღულ ჩანგალზე ჭიაყელას, გადისროლებდნენ წყალში და ტკბებოდნენ წყლის ზედაპირზე ბუმბულის თუ კოპრის ჩაყვინთვა ამოყვინთვით, ჩანგლის ირგვლივ დამშეულ თევზთა სრიალით და მათი ვერცხლის ფრთა წყლიდან ამოხტომით. შიგა და შიგ ისმოდა მოშხეპილი ჩანგლის შხუილი და დაჭერილი თევზის ფარფატი.

მოვიმარჯვე ჩანგალი, წავატანე ხელი მომსხო ჭიაყელას, გუნდათ რომ გადახლართულიყვნენ პარკში და ვცადე მისი ანკესზე ჩამოცმა. აქამდის მშვიდათ მიძინებული, აცახცახდა კანის აჩქარებული კლაკვნით, თითქოს მანიშნებდა, რომ იგრძნო და არ ესიამოვნა ხელის წატანება, ჩავიჭირე მაგრათ თითებს შუა და ანკესზე ჩამოგებას შევუდექი. უფრო დაიკლაკნა, ხელიდან გასხლტომა სცადა. ტანი დაძაბა, მე რომ ჩანგალზე ღრმათ ჩამოცმას ვცდილობდი, ის უკუ მიმართულებით მაწვებოდა, თანაც ისეთი ძალით, რომ მისი წინააღმდეგობის დაძლევა მიძნელდებოდა. ვატყობდი, რომ ჩანგლიდან თავის დაღწევას ცდილობდა, მაგრამ ანკესს ხომ წვეტიანი ენა აქვს და იმის დაძლევას როგორ შესძლებდა. წვალობდა, იკლაკნებოდა, სხეულის თავისუფალ ნაწილს გამწარებით იქნევდა, მაგრამ ამაოდ. მე ჩემი გავიტანე და გამართული ჩანგალი წყალში გადავისროლე. კარგა ხანს ვხედავდი წყალში მოსრიალე კუდს, მის ირგვლივ მოთარეშე დიდ-პატარა თევზებს, ნაკუწ-ნაკუწათ რომ ჰკორტნიდნენ ჩანგლის გაშიშვლებამდის.

სახლში დაბრუნებისას თვალ წინ გამიელვა ჭიაყელის ქცევამ და მისმა სიცოცხლისთვის ბრძოლამ. ეხლა ღა შევიგრძენ, რომ ეს უთვალყურო, უვნებელი ცხოველიც ისევე განიცდის ტკივილს, როგორც სხვა ყოველი ცხოველი და ადამიანი. მე მას აქეთ ანკესისთვის ხელი აღარ მიხლია, მაგრამ რას უშველის ეს მილიონობით წლების მანძილზე დამკვიდრებულ ჩვევას? ადამიანი საკუთარი ჟინის მოსაკლავათ ანგარიშს არ უწევდა და არც მომავალში გაუწევს ვისიმე ტანჯვას, თუკი ამ გზით მოიპოვებს რაიმე სიამოვნებას. 1983 წლის ერთ-ერთ ქართულ ჟურნალში (ვგონებ, „დროშაში") ამოვიკითხე, რომ სინგაპური და ხონგ კონგი ყოველ ნლიურათ აგზავნის ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში 14.000 ტონა ჭიაყელას.

1983.23.XI



ნიკოლოზ მათიკაშვილი, „მწყემსი", ავტოგრაფი, 23 ნოემბერი, 1983 (სლმ. №28427-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

მე და ცხენი


ეს 1939 წლის შემოდგომის მიწურულში მოხდა. ქალაქ პლოცკის მისადგომებთან გერმანელებთან ომში ჩაბმული ჩვენი პოლკი მორიგე დასაყრდენი პოზიციებისკენ იხევდა.

სწორეთ ამ დროს იმავე გზით იხევდნენ ლაშქრის ერთმანეთში არეული დამარცხებული ნაწილები: ჯართან ერთათ, დატოვებულ ტერიტორიის მცხოვრებლები ფეხით, „პოეზებით", ეტლებით უწყვეტ ტალღათ მიეშურებოდა სახელმწიფოს ცენტრისადმი. ყველა ცდილობდა, წინ მიმავლისთვის გაესწრო, ყვიროდნენ, ჩხუბობდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ და წინ წაწევის მაგიერ ადგილიდან ვერ იძროდნენ... წეს რიგის დამამყარებელი არსად სჩანდა, გერმანელთა ავიაცია კი, დაბალი ფრენით ესკადრა ესკადრაზე თავს ესხმოდნენ, ჰბომბავდნენ, ტვიამფრქვეველებს უშენდნენ და ისედაც მწეავე მდგომარეობას ჯოჯოხეთათ ჰქმნდნენ. ასეთ ვითარებაში ჩვენი პოლკის ნაწილები დამხეთა ბრბოში გაითქვიფა, ორგანიზებული სახე დაკარგა და აბობოქრებულ მდინარებას აჰყვა.

მე ჩემი პოლკის უფროსთან ერთათ პოლკისთვის დანიშნულ შესაკრეფ პუნქტისკენ მივემართებოდი.. გზა და გზა მრავლათ გვხვდებოდა დამსხვრეული ურმები, დახოცილი და დაჭრილი ცხენები, დამსხვრეული და მინებებული სამხედრო აღჭურვილობა, ბავშვთა და მოზრდილთა გვამები. მათთვის დახმარების დრო არა გექონდა. მდგომარეობა გვიკარნახებდა საჩქაროთ დანიშნულ წერტილს მიღწევას..

ადგილზე მისვლისას ჩვენი ნაწილები არ დაგვხვდა. მოლოდინმა და ხანგრძლივმა ძებნამ შედეგი არ მოიტანა, ირგვლივ გზის პირა ტყეებსა და ბორცვებიდან გამალებული სროლა და ყუმბარათა აფეთქების ხმა მოისმოდა. მივემართებოდით იქითკენ, საიდანაც ბრძოლის უფრო მეტი ხმაური მოისმოდა, იმედით, რომ ეს ბრძოლაში ჩაბმული ჩვენი პოლკის ნაწილებია.. ერთ ადგილას, ტყის შუაგულში მოხრეკილ ხევს წავაწყდით, სიგრძე სიგანით 350 მეტრს არ აღემატებოდა, სიღრმე 30-მდის მეტრს აღწევდა, ხევის ფსკერი წყლით იყო დაფარული და ამ წყალში სამხედრო ორთვალაში შებმული ცხენი შევამჩნიე. დამაინტერესა ამ ცხენის ბედმა. ჩასვლისას ვხედავ, რომ ცხენი მუხლებამდის ლაფშია ჩამდგარი, ორთვალაზე წესიერათ აწყვია ვაზნებიანი თასმით საესე ყუთები.. შეეცადე ცხენთან მიახლოვება, ვიფლები ლაფში. ცხენს უჭირს წინ თუ უკან ნაბიჯის გადადგმა, მისი ორთვალიდან გამოშვება შეუძლებელია. რა ვქნა? რით ვუშველო? დავტოვო თავის ბედის ანაბარა, რა მოელის? შიმშილით სიკვდილი. რა ვქნა? რა ვუყო? და სხვა გამოსავალი ვერ დავინახე, რომ სიცოცხლე მომესპო და ტანჯვით სიკვდილი ამეცილებინა. ერთმა გასროლამ არ გასჭრა. ცხენი ისევ იდგა ფეხზე და ცრემლ მორეული თვალებით შემომცქეროდა. ის ხომ ტანისამოსით მცნობდა, რომ მისი მშველელი და დამხმარე უნდა ეყოფილიყავი, მე კი მკვლელათ მოვევლინე. ეელარ გავუძელ სვინდისის ქენჯნას. ის ხომ წესიერათ ასრულებდა თავის მოვალეობას. იქნებ მისი მომვლელი და პატრონი მშველელის საძებნათ ან მისთვის თივის მოსატანათ წავიდა? დამეტოვებინა თავის ბედის ანაბარათ? მე კი... გავშორდი საჩქაროთ იმ ადგილს და თან სამუდამო სანანებლათ გამომყვა და დღესაც არ მასვენებს ჩემ მიერ უდანაშაულო ცხენისადმი ჩადენილი დანაშაული.

1983.13.XII



ნიკოლოზ მათიკაშვილი, „მე და ცხენი“, ავტოგრაფი, 13 დეკემბერი, 1983 (სლმ. №28427-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

ტირიფონის ველზე გაყინული ფარა

1921 წლის 11/12 თებერვლის ღამეს დარაჯათ ვიდექი იუნკერთა სასწავლებლის ალაყაფის კარებთან. სადარაჯო სამსახურს სხვებთან ერთათ ვეწეოდი. ვიცელებოდით ყოველ 2 საათს. გათენებისას, დაახლოვებით დილის 6 საათზე ალაყაფს მიხაილოვის ქუჩის მხრიდან ვიღაცა მოადგა, კარებზე კაკუნით განგაში ატეხა. ჩემ შეკითხვაზე, ვინ იყო და რა უნდოდა, აღელვებული ხმით მომაძახა: „ამ ღამეს სომხეთის ჯარი თავს დასხმია ჩვენ სანაპირო ნაწილებს, ბორჩალოსა და სანაინის რაიონებში საზღვარი გადმოულახავს და ეხლა იქ დიდი ბრძოლებიაო. აცნობე ეს საჩქაროთ სკოლის უფროსობასო", მომაძახა ეს და სწრაფად გაუჩინარდა.

ვინ იყო? ვისი მოგ ზავნილი, ან მართალი თუ ტყუილი ამბის მომტანი, ეს ჩემთვის გამოურკვეველი იყო. ყოველ შემთხვევისთვის მივირბინე მორიგე ოფიცრის ოთახთან, მოვახსენე, რაც გავიგე და დავბრუნდი მოვალეობის შესასრულებლათ.

არ ვიცი, ამ ჩემი მოხსენების თუ მაღლიდან მიღებული ბრძანების შედეგათ განგაში ატეხეს და მშვიდათ მძინარე იუნკერთა სკოლა და ნაცვალთა ათასეული ფეხზე დააყენეს. რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთეულები თავის აღჭურვილობით წინასწარ დანიშნულ ადგილებზე მოეწყო. ერთმანეთისგან მცირე მანძილის დაშორებით იდგნენ: იუნკერთა ასეული, ნაცვალთა 3 ასეული, 2 ზარბაზნიანი ბატარეია და ტყვიამფრქვევთა გუნდი, თავის დამხმარე ნაწილებით.

საერთო წესრიგს მართავდა, ნაწილებიდან რიგ რიგით პატაკს იღებდა და სათანადო შენიშვნებს და განკარგულებას აძლევდათ ცხენ და ცხენ დინჯათ მავალი, წოწოლა ფაფახ თავდახურული იუნკერთა სკოლის უფროსი, პოლკოვნიკი ალექსან. ჩხეიძე. დღის 10 საათამდის მოასწრო ნაწილების დანწერილებითი შემოწმება. საომარი სამზადისთვის მზად ყოფნა და შუა დღის 11 საათზე ტაბახმელისკენ გაგეძღვა. გზა მიხაილოვის ქუჩით, ვერის აღმართით, გოლოვინის პროსპექტით და სოლოლაკით მიემართებოდა.

წინ ცხენზე ამხედრებული პოლკ. ჩხეიძე მიგვიძღვოდა თავის ამალით, მას მისდევდა სამხედრო ორკესტრი და ცალკე ნაწილები თავის უფროსებით. ვიცოდით, სად და რისთვის მივდიოდით. თოფები სმენაზე გვეჭირა, ვცდილობდით რიგები არ გაგვემრუდებინა და კარგი შთაბეჭდილება მოგვეხდინა თბილისის საზოგადოებისთვის.[1]

საიდან გაიგეს, რომ სწორეთ იმ დროს იუნკერთა სკოლა ფრონტზე მიდიოდა.. ქუჩები სავსე იყო ხალხით, ნათესავებით, მახლობლებით, თანამგრძნობლებით, დიდით და პატარათი. თავის მობრუნება არ შეგეძლო, რომ წეს რიგი არ დაგეერღვია. შიგა და შიგ თვალის მიბრუნებით თუ შეგეემჩნევოდა, რა ხდებოდა ჩვენს ირგვლივ.

გამცილებელთა შორის ვასილ ბარნოვს მოეკარ თვალი. მოდიოდა მგვრალ ცილინდრ დახურული, სათვალებიანი, ჭაღარა წვერ მოშვებული, როგორც ყოველთვის, ჩაფიქრებული და დაბლა მზირალი.. მისი დანახვა ღრუბლიან დღეში მზის გამოკაშკაშებას უდრიდა.. ის ხომ წლების მანძილზე ჯერ სასულიერო სემინარიაში და შემდეგ იუნკერთა სასწავლებელში ქართულ ლიტერატურას გვასწავლიდა და გონებასა და გულში სამშობლოს სიყვარულს გვინერგავდა. რას ფიქრობდა, ნეტა, იმ დროს მისი საქართველოსთვის მფეთქავი მოხუცი გული?

გოლოვინის პროსპექტის დასაწყისში ხმა მაღალი კივილით ვიღაცა, ვგონებ, ეეგენი დვალი, შოთა რუსთაველის პარტიის ერთგულებისკენ მოუწოდებდა. ეს ახლათ დაარსებული, ნაკლებ ცნობილი პარტია იყო და ღმერთმა უწყის, რა უნდოდა და რისკენ მოგვიწოდებდა. ხალხს მისი ძახილისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. განვაგრძობდით გზას და ქუჩიდან ნასროლი მონოდებე-

[1] კურსივით გამოყოფილი ტექსტი ხელნაწერში გადაშლილია (ლ. ც.).



გოლოვინის პროსპექტი. სასტუმრო „პალას-ოტელი" და თბილისის საარტისტო საზოგადოების შენობა (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი).

ბი გულთან ახლოს არ მიგვიტანია. ბოტანიკურ ბაღთან მიახლოვებისას პოლკ. ჩხეიძემ დასვენება ბრძანა. პატარა ამოსუნთქვის და მახლობლებთან გამომშვიდობების შემდეგ უკვე უორკესტროთ, სვენებ სვენებით კოჯრისკენ გავსწიეთ. საღამოვდებოდა, კოჯორზე რომ ავედით. მწყობრ მწყობრათ თავდაცვით პოზიციის მოწყობას შევუდექით. საქმე არც ისე ადვილი იყო: ღრმა თოვლი, გაყინული მიწა. ჩვენ მწყობრს ასეულის მარცხენა ფრთა შეხვდა. ჩვენი სიმაღლიდან მარცხნივ, შორს კარგა ვხედავდით წითელი ხიდის და სოღანლუღის რაიონის დამცველთა პოზიციებს, მარჯვნივ აღმა მიმავალ ფერდობის ბოლოს ჩვენი ასეულის I მწყობრს, რომელსაც ლეიტ. თოიძე[1] განაგებდა. ჩვენ ოცეულს უფროსობდა ლეიტ. ანდრონიკაშვილი და მისი თანაშემწე, უფროს კურსელი იუნკერი გელაშვილი. ტაბახმელიდან თბილისისკენ მომავალი გზა ჩვენი ოცეულის მიმართულებით მოდიოდა. გვიბრძანეს ადგილების დაკავება. სანგრების მონყობა, დარაჯების წინ ნაწევა და ყოველგვარი მოძრაობის აღკვეთა. მახსოვს, პირველ ღამესვე ტაბახმელის მიმართულებიდან ურმის ჭრიჭინი მოგვესმა. ვინ იყო? სად მიდიოდა? რამ აიძულა ამ შუა ღამეში, შუა ზამთარში თავი შეეწუხებინა? გვიბრძანეს ცეცხლის გაჩენა.. ჭრიჭინი შესწყდა.. ტაბახმელაზე სიჩუმე ჩამოვარდა, ოლონდ სუსხიანი, მწივანა ქარი გვაყრიდა პირში თოვლს, ტანსაცმელს გვისველებდა და ჩვენ სანგრებისკენ განუწყვეტელი ნაკადი თოვლის შხეფს მოერეკებოდა.

14 და 15 თებერვლის დღემ მშვიდობით ჩაიარა. გულდასმით ვმუშაობდით და მოგერიებითი პოზიციის, სადარაჯოების მოწყობა, მისადგომების დადგინება და ტყვიამფრქვევთა განლაგება მოვასწარით. 16 თებერვლიდან მთელი ჩვენი განლაგების წინ ბოლშევიკთა მოწინავე რაზმებმა ამოყვეს თავი. რიხიანათ და გაბედულათ მოდიოდნენ. ჩქარობდნენ თბილისისკენ დაშვებას. იქ ხომ ელოდათ მათ თბილი ბინები, უხვი სურსათი და იქნებ ხელმოსათბობიც.. მაგრამ მოტყუვდნენ. თბილისი ადვილათ ასაღები არ აღმოჩნდა. მის მისადგომებს იცავდნენ მეფე ერეკლეს დროინდელი თავდადებით და გულმოდგინებით იუნკერთა სკოლა და მის გვერდში მებრძოლი სხვა ერთეულები.

დასაწყისშივე იწვნიეს ბოლშევიკებმა, რომ აქ საქმე დაფიქრებულ მიდგომას მოითხოვს და თბილისში შესვლა არც ისე იოლია, როგორც მოელოდნენ. ამ დღიდან დაწყებული აღარ შეწყვეტილა ცხარე და ულმობელი ბრძოლა. ბევრჯელ შეეცადნენ ჩვენი ხაზის გარღვევას, პოზიციებში

[1] უნდა იგულისხმებოდეს კაპიტანი ირაკლი თოიძე (ლ. ც.).

შემოჭრას. ზარბაზანთა ქუხილი, ტყვიამფრქვევთა კაკანი და ტყვიათა წივილ ბათქაში არ შეწყვეტილა. სარგებლობდნენ ჯანლით, ნიადაგის უსწორ მასწორობით, მოულოდნელი თავდასხმით, მაგრამ უშედეგოთ. იქ, სადაც ჩემი ოცეული იბრძოდა და სხვაგანაც იუნკერთა თვალები, ლეიტენანტ ანდრონიკაშვილის და მისი თანაშემწის გელაშვილის სიფრთხილე ყველაფერს დროზე ამჩნევდნენ. ცეცხლით, უკუიერიშით, ხელჩართულით მოსვენებას არ აძლევდნენ, დიდი ზარალით უკუ აგდებდნენ და არც ერთი ნაბიჯის დათმობასაც არ აპირებდნენ.

საყოველთაოთ აღიარებულია, სადაც კი ტაბახმელაზეა ლაპარაკი, ყველგან იუნკერთა სკოლის დიდ გმირობაზე, თავგანწირვაზე, უდრეკელობასა და მოვალეობის უნაკლო შესრულებაზეა ლაპარაკი. ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ შეუძლებელია სიმართლეს თავისი არ მიეზღოს. ტაბახმელის ნამდვილი გმირი იუნკრები კი არა, არამედ მათი უფროსი, მათი აღმზრდელი პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძეა. მისი სამხედრო გამჭრიახობა, მისი უდრეკი ხასიათი, სიფხიზლე, დროული და მიზანშეწონილი განკარგულებები. იუნკერთა სკოლა მეტათ ძნელ პირობებში მხოლოთ პირნათლათ ასრულებდა თავის მოვალეობას, მიუხედავათ იმისა, რომ არც ტანსაცმელი, არც მხედრული გამოცდილება, არც ვაჟკაცური გაკაჟება საამისოთ ხელს არ უწყობდათ.

თხელ საზაფხულო ტანისამოსზე იტალიური ფარაჯები გვეცვა, მოლურჯო ნაცრის ფერისა, ქსოვილი ნამდვილი მატყლის მაგიერ, ქიმიურათ რძისგან მიღებული ძაფებით იყო ქსოვილი. არავითარი სითბო იმას არ გააჩნდა, თოვლით, წვიმით და ნესტით ადვილათ იყლინთებოდა, განსაკუთრებით დღისით, სანგრებში რომ ვიმყოფებოდით. საღამოობით მზისგან დამდნარი თოვლის გუბეებს, სველი თოვლი ემატებოდა. *დაუბერავდა კოჯორის ციცი ქარი, სანგრებს ახალ ახალი მოხვეტილი თოვლით ავსებდა, იქ ჩამდგარ დამდნარი თოვლის გუბეებს და ჩვენ დასველებულ ფარაჯებს გაჰყინავდა. გამხმარი ფიცარიით შემოგეკროდა ტანსა, სახელოებსა და შარვლის ტოტებზე. ცივ ყინულში ჩაჭედილებს მოძრაობა გვიძნელდებოდა, მაგრამ ეუძლებდით ყველა ამას, თვალი არ მოგვიხუჭავს, მტრის ყოველ მოძრაობას დროზე ვამჩნევდით და შესაფერ პასუხს ვაძლევდით. ერთი სიტყვით, ვერავითარი სიძნელე ვერ ასუსტებდა ჩვენ სულისკვეთებას. სიკვდილზე იქ არავის გვიფიქრია, არც შეშინებია.*[1]

ზუზუნებდნენ ტყვიები, წიოდნენ ირგვლივ ანაფეთქ ყუმბარათა ნაფლეთები, ჩვენ კი სანგარში ჩამალვას ფეხზე დგომას ვარჩევდით. შიგა და შიგ სიმღერაც წამოგვიწყია, წრე შეგვიკრავს და ცეკვაც წამოგვიწყია. რასა ემღეროდით მაშინ?

1) „რათ გინდა ქალი ლამაზი, ჰოი ორი დილა, ვარალო!"

2) „ომში ნასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო, ჰარალო, ჰარალე, ჰარი არალო!"

3) „გაფრინდი შავო მერცხალო, დაჰყევ ალაზნის პირსაო, დელაოო!"

4) „ჰე მუმლი და მუხასაო გარს ეხვევოდაო!"


და ამას უსათუოთ მოჰყვებოდა საცეკვაო რამ სიმღერა და ცეკვები. გეგონებოდათ, ომში კი არა, ლხინში ვართ ნასულებიო. ამნაირი ცეკვა სიმღერა სამხედრო მოვალეობის ასრულებისას ორჯელ მახსოვს – ერთი ეს, ტაბახმელაზე და მეორე ხაშურში. იქ მთავარსარდლის მატარებელი იდგა და ჯარებს ახალი შეტევისთვის ამზადებდა, ჩვენ კი ე. ი. იუნკერთა ასეული მის დასაცავათ მიგვავლინეს, მტკვრის იქითა ნაპირებიდან თოფების და ტვიამფრქვევთა კაკანი ისმოდა, ჩვენ კი მთავარსარდალს სიმღერა და ცეკვა მოეუწყეთ, მთელი კონცერტი. საამისოთ არც არავისი ნებართვა აგვეღია და არც არავის დაუშლია.

აი, ამნაირი სულისკვეთება განაგებდა ჩვენ ქცევასა და მოქმედებას ტაბახმელაზე. ამაო იყო ასეთ ვითარებაში ვისმეს ეფიქრა, რომ დაგვძლევდა და მოგერიებით ხაზს გადმოგვილახავდა. ცდები კი იყო, მსხვერპლიც ჩვენ მწყობრში, ჩემს გვერდით ჩუმათ მოვარდნილმა ტყვიამ სიცოცხლე მოუსპო სანგარს ამოფარებულ იუნკერ ლოლუას. რაკი გამოლაპარაკებაზე პასუხს არ იძლეოდა და უმოძრაოთ ინვა მტრისკენ თოფგაშვერილი, გელაშვილის ბრძანებით ვცადეთ გამოლაპარაკება, მაგრამ ამაოთ. მისი სიცოცხლე ტაბახმელას მიწას შესწირებოდა.

დასჭრეს ჩვენი მწყობრის უფროსი ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი. მე მხვდა წილათ, სხვა ამხანაგთან ერთათ, დაბლობში გადაყვანა, ჭრილობის შეხვევა და სასანიტარო პუნქტამდე მიყვანა. სკოლის მარჯვენა ფრთაზე ბოლშევიკებმა „ურას" ძახილით იერიში მიიტანეს ლეიტენანტ თოიძის ოცეულზე, თოიძე უკუიერიშით მიეგება.. მტერი საფარს იქით გადარეკეს, ოღონდ ბრძოლის ველზე დარჩა თვით თოიძისა და რამდენიმე იუნკერთა გვამები.

[1] კურსივით გამოყოფილი ტექსტი ხელნაწერში გადაშლილია *(ლ. ც.)*.

Тифлисъ. Барятинская ул. и Александровскій садъ.
Tiflis. Bariatinskaya et jardin d'Alexandre.



ალექსანდრეს ბაღი (იმდროინდელი საფოსტო ბარათი).

მაშინ იყო, რომ ტაბახმელის გული და სული, პოლკ. ჩხეიძე თვალს არ ამორებდა ბრძოლის მსვლელობას. გასცა ბრძანება, მის ახლო მდგომი ორი ზარბაზანი ღია მინდორზე გამოეგორებინათ და პირდაპირი ცეცხლი გაეჩინათ მომხდურთათვის. რამდენიმე ყუმბარა უკუ იერიშთან ერთათ საკმარისი აღმოჩნდა მათ უკან გასაბრუნებლათ. ველზე კი დაჭრილთა და დახოცილთა საკმაო რიცხვი დასტოვეს.

ერთი და ორი არ იყო ასეთი შემთხვევები ბრძოლების მიმდინარეობაში.. იუნკერთა ხაზი ერსად ერ გაარღვიეს, არ უშველა ამას ვერც ბაქოდან ჩამოყვანილი კურსანტების გამოჩენამ და ვერც თვით ძნელაძემ, რომელიც მათ მოუძღოდა და რომლის „გმირობის“ აღსანიშნავათ შესანიშნავი ძეგლი დაუდგეს ბოლშევიკებმა თბილისის ალექსანდროვის ბაღში.[1]

ლეიტ. თოიძისა და მასთან რამდენიმე იუნკერის გვამი თბილისში ჩაასვენეს და პატივითა და გულისტკივილით მიწას მიაბარეს რუსულ „სობოროს“[2] კედლებთან, გოლოვინის პროსპექტზე. აქ მე იუნკერთა ასეულსა და მათ უფროს, პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძეზე ვლაპარაკობ. არ ეგონოს არავის, რომ მე ტაბახმელის გმირობას მხოლოთ იუნკერთა სკოლას მივაწერდე. ჩვენს გვერდით, მარჯვნისკენ იბრძოდნენ 3 ასეული, ნაცვალთა ათასეული, ისინიც პოლკ. ჩხეიძეს ექვემდებარებოდნენ და გენერალ ანდრონიკაშვილის ხელქვეით მყოფი სხვა ნაწილები: ქვეითა პოლკის, გვარდიელთა ასეულების, „საპიორთა“ ათასეულის და სათანადო რიცხვის არტილერიის სახით. ჩვენ ჩვენ საქმეში გართულებს შესაძლებლობა არა გვქონდა, მათი მოქმედებისთვის გვეთვალყურნა, ოღონდ ის ფაქტი, რომ ტაბახმელის ფრონტი მთელ თავის სიგრძეზე ბოლშევიკებმა ადგილიდან ვერ დაძრეს და თვით გენერალ ანდრონიკაშვილის იმ ნაკვთის სარდლობა, საკმაო თავდებას იძლეოდა, რომ ამ მხრიდან თბილისს განსაცდელი არ მოელოდა.

რაკი ტაბახმელის მიმართულებით, მიუხედავათ მიღებული მსხვერპლისა, ბოლშევიკებმა საწადელს ვერ მიაღწიეს, სცადეს მოქმედების სიმძიმე გადაეტანათ წითელ ხიდსა და სოლანულის

[1] იგულისხმება ყოფილი ალექსანდრეს ბაღი – დღევანდელი 9 აპრილის (ზედა) და გიორგი ლეონიძის (ქვედა) ბაღები (ლ. ც.).

[2] იგულისხმება ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი (Александр-Невский военный собор) აგებული 1870-90-იან წლებში. 1921 წლის თებერვალში ამ ტაძრის ეზოში დაასაფლავეს საქართველოს სამხედრო სკოლის კურსანტები (იუნკრები), რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის წითელ არმიასთან ბრძოლაში დაიღუპნენ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1930 წელს კომუნისტურმა მთავრობამ დაანგრია ტაძარი, რომლის ადგილას აშენდა საბჭოთა საქართველოს მთავრობის სასახლე (დღევანდელი პარლამენტის შენობა) (ლ. ც.).



ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარი.

მიმართულებით. მთელი ამ ბრძოლების მიმდინარეობა მშვენივრათ ჩანდა ტაბახმელის სიმაღლეებიდან, განსაკუთრებით ღამ ღამობით ხელები გვექაოდა, დახმარების სურვილისგან თავს ძლივს ვიკავებდით, სოღანლულის მიმართულებიდან ზარბაზანთა ჭექა ქუხილის ხმას და ღამის წყვდიადში მოელვარე ჭურე ტყვიათა სრიალს რომ ვხედავდით. განსაკუთრებით ერთი ღამე იყო მეხსიერებაში, თვალთა ხედვაში და გრძნობებში ჩამწვდომი, როდესაც ბოლშევიკებმა მედგარი იერიში მოიტანეს ნაკლებათ დაზიანებულ წითელი ხიდის შეკეთებისა და რამდენიმე ჯავშნოსან მატარებლის მტკვარს გამოღმა გამოყვანის შემდეგ.

მეორე დღეს ხელიდან ხელში გადადიოდა მთავარსარდლის ბრძანება, სადაც აღნიშნული იყო მტრის მოგერიებაც და ერთეულთა და პიროვნებათა განსაკუთრებული გმირობა, სიხარულით და სიამაყით გვევსებოდა გული ამ ბრძანების წაკითხვისას. მთელი არსებით ვგრძნობდით და გვწამდა, რომ ვერც ამ მიმართულებიდან მიუდგებოდა მტერი თბილისს ასე ადვილათ. გენ. მაზნიაშვილის სარდლობა იმ რაიონში ჩვენთვის ამის დამაჯერებელი თავდები იყო.

ამბები, რომლებზედაც ვწერ, ამ სამოცდა ორი წლის წინ მოხდა. მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა, საქართველოში უკვე მეორე თაობა შედის სამშობლოს ამწყოსა და მომავლის ზრუნვის ასაკში. მათთვის საქართველოს წარსულზე ცნობები ან სრულიათ უცნობია, ან გაყალბებული სახით მიწოდებული.

ბოლშევიკების მტკიცებით, წითელმა ლაშქარმა დახმარება გაუწია საქართველოს მუშათა კლასს, რომელიც ქართული კაპიტალისტური რეჟიმის მიერ დიდათ იყო შევიწროებული და მათი თხოვნით დახმარება აღმოუჩინა, გაანთავისუფლა და ძმურ საბჭოთა ოჯახში შეყვანით დიდი ბედნიერება არგუნა წილათ.

ეს ვერსია რომელიღაც მწერლის მიერ მოკლე მოთხრობაშიაც არის გამოყენებული, რომელიც დასტამბული იყო ერთ ერთ ჟურნალში. აქ ქართველები მეტათ ავიწროებენ სომხურ მოსახლეობას ქართულ სამხრეთით მოსაზღვრე ტერიტორიაზე, არბევენ, აწიოკებენ, ჰსჩაგრავენ და სხვა. ერთი მოსახლეთაგანი ველარ ითმენს ამ უსამართლობას, შეჯდება ცხენზე და გამოცხადდება საბჭოთა მე-11 ლაშქრის შტაბში თხოვნით, დაეხმარონ და დაიხსნან ამ უსამართლობისაგან. ამ მხედრის სურვილისამებრ, მე-11 არმია დასძრავს თავის ერთეულებს და გადმოლახავს საქართველოს საზღვარს. სინამდვილე და მოვლენათა თანდათანობა სულ სხვანაირათ გამოიყურება.. ისარგებლა რა საქართველომ რევოლუციის მიერ რუსეთში შექმნილი ქაოსით, გამოეყო რუსეთს, შექმნა დე-



რევაზ გედევანიშვილი.

მოკრატიულ წესებზე აწყობილი დამოუკიდებელი რესპუბლიკა და გულმოდგინეთ შეუდგა მის მოწყობას. მისი დამოუკიდებლობა იურიდიულათ და ფაქტიურათ სცნეს ისევე, როგორც სასომხეთისა და აზერბეიჯანისა, ევროპ. თითქმის ყველა სახელმწიფოებმა და თვით რუსეთმაც, ოღონდ რუსეთის მხრივ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა მხოლოთ დროებითი და მოჩვენებითი ხერხი იყო, იმ დროს პოლონეთთან ცხარე ბრძოლების წარმოების გამო. სინამდვილეში რუსეთს საქართველოს დათმობაზე არც უფიქრია. დამთავრდა თუ არა პოლონელებთან ომი და შინაური მეფის გენერლების ფაცი ფუცი, ხელ ახლათ იბრუნეს პირი კავკასიისაკენ. რიგ რიგით დაიპყრეს აზერბეიჯანი და სასომხეთი და შეუდგნენ საქართველოზე თავდასხმისთვის მზადებას.

აი, რას ამბობს ამის შესახებ ვ. თ-ძე. ყოფილი გენერალურ შტაბის მაღალ ხარისხოვანი ოფიცერი თავის მოგონებებში:[1]

„ბოლშევიკების გეგმა, რომელიც ხელში ჩაგვივარდა, ითვალისწინებდა საქართველოზე თავდასხმას შემდეგი მიმართულებებით:

– ჩრდილო დასავლეთიდან გაგრა სოხუმისკენ.
– ჩრდილოეთიდან – მამისონის უღელტეხილით.
– ჩრდილოეთიდან ვლადიკავკაზ დარიალის ხეობის მიმართულებით.
– აღმოსავლეთიდან კახეთის მიმართულებით.
– სამხრეთ დასავლეთიდან ბორჩალოს მიმართულებით.
– სამხრეთიდან – ახალციხე არდაგანის რაიონის მიმართულებით".

სწორეთ ამ გეგმის განხორციელებას შეუდგნენ ბოლშევიკები 1921 წლის 11/12 თებერვლის ღამეს, რომელთა მიმდინარეობა თბილისის კედლებთან ტაბახმელაზე ზემოთ აღვწერე.

25 თებერვლის ღამეა. ტაბახმელაზე მძვინვარე ქარიშხალი ბობოქრობს. ჰხვეტავს და პირში გვაყრის ხორხოშელასა და თოვლს. თოვლით ამოავსო ჩვენი სანგრებიცა და ირგვლივ ყველა დედამიწის უსწორ მასწორობაც. გაყინულები ვდარაჯობთ თავ თავის ადგილზე. ბუნების მძლეობა ჩვენ სულისკვეთებაზე ზედგავლენას ვერ ახდენს. ამ ვითარებაში იუნკერი გელაშვილი გვიბრძანებს: მათიკაშვილი, ლომკაცი, სომხიანცი და ანდრონიკაშვილი, ნახვალთ საუფროსოში და იქ მიიღებთ განკარგულებას. უფროსობას მავალებს მე. მივდივართ, ქარბუქში მოძრაობა გვიმძიმს, ყოველ ფეხის გადადგმაზე თოვლში ვეფლებით. მიწაზე დაყრილი და თოვლში მიმალული ტელეფონის მავთულები ფეხებში გვედება. ქარის და თოვლის ნამქერს გაჭირებითა ვძლევთ. მხარი გვეცვალა. არ ვიცით, სადა ვართ და საით მივდივართ. ძნელათ, მაგრამ ნელ ნელა წინ მივდივართ; ჩვენა გვგონია, რომ წინ მივდივართ. თურმე ადგილზე გვიტრიალია და ჩვენ ნატკეპნ თოვლს გარეშემო ვუვლით. არ ვიცი, რა ბედმა, რომელი ჩვენთაგანის ალღომ, როგორც იყო, მიგვიყვანა საუფროსოსთან. შენობა, დღეს ვერ ვიტყვი და მაშინაც, იმ ბნელ ღამეში რას გავარჩევდით, ქვიტკირი იყო თუ ფიცრული? ნახევრათ თოვლ მიყრილია, ოდნავ ვარჩევთ თოვლში ნავალის კვალს, რომელმაც კარებამდის მიგვიყვანა. კარები ღიაა. მიყრილ თოვლს გაუძნელებია მისი ჩაკეტვა. ოთახში ნახევრათ სიბნელეა. გვეგებება უფროსი. ვერა ვცნობთ, რომელია, ყოველ შემთხვევაში, პოლკ. ჩხეიძე არ არის. გაუხარდა ჩვენი მისვლა. კარგია, რომ მოხვედითო, გვეუბნება დამშვიდებული ხმით.. ბრძანება მივიღეთ, პოზიციებს ვტოვებთ და მცხეთისკენ უნდა გადავჯგუფდეთო. ეს ბრძანება უნდა გადასცეთ გვარდიელთა ათასეულის უფროსს. მისი ადგილ სამყოფი, აი, აქ არის, გვიჩვენებს მოზრდილ ნახაზზე, პატარა მაგიდაზე რომ უდევს. ამინდი

[1] იხ. ვალერიან თეეზაძე, „განელილი გზა", ჟურნ. „იველია", პარიზი, №32, 1988 წ. მოგონება პოლონურიდან ქართულად თარგმნა ნიკოლოზ მათიკაშვილმა (ლ. ც).



ლევან და გიორგი ლეონიძეები.

ცუდია, გზა ძნელი, მაგრამ რაც არ უნდა დაგემართოთ, ეს ბრძანება უნდა გადასცეთო: რომ ამ წამშივე მოიხსნებიან, თბილისის გაელით მცხეთაში გამოცხადდებიან და იქ დახვდებათ შემდეგი ბრძანებაო. გაგვამეორებინა მიღებული ბრძანება, თითით გვაჩვენებინა, საითკენ უნდა გეეველო. ბრძანების შესრულების შემდეგ მცხეთაში წამოხვალთ და იქ დაგხვდებათ იუნკერთა სკოლაო. აბა თქვენ იციითო! გაგვამხნევა და მოვალეობის შესრულება გვიბრძანა.

გარეთ გამაყრუებელი ქარი ისევ ბობოქრობს. თუ ყურში არ ჩავძახეთ ერთმანეთს, არაფერი გვესმის. მთავარია, იმ დანიშნულ ადგილს მივაგნოთ, ვეცადოთ, მხარი არ შევიცვალოთ, გზა არ აგვებნეს. ვაფრთხილებთ ერთმანეთს, მტრის დაჯგუფებაში არ ამოეყოთ თავი. ყოველ შემთხვევისთვის თოფები ხელში გეეჭიროს, სასროლათ გამზადებული. მივდივართ, 4 ვართ. არც ერთი 20 წელიწადს გადაცილებული არ არის. ტანითაც დაბლები, მე-3-ე ოცეულიდან. ძლივ ვერევით თოფსა და ნესტით გაჟღენთილ სამოსს. ყველაზე ჯმუხი აგებულებისა სომხიანცია, გაქართველებული და ქართველების ერთგული სომეხი, დანარჩენები ჩხირებივით გამხდრები ვართ. ყველაზე დაბალი, გამხდარი და სუსტი ლომკაცია, თუმცა გვარი სულ სხვას მეტყველებს. მივარღვევთ ქარით გასნორებულ თოვლს. მუხლებამდის გვწვდება. ზოგან თურმე ღრმა უსნორმასნორობაა თოვლით დაფარული. ერთმანეთის დახმარებით ძლივ ამოვდივართ ამ ორმოებიდან, ვიღლებით, ოფლი ხვითქივით გადაგვდის. რამდენჯერმე შევამჩნიეთ, რომ წინ ნასვლის მაგიერ ვტრიალობთ ერთ ადგილას, გვეშინიან, მტრისკენ არა ვქნათ პირი. ლევ ტოლსტოის კალამია საჭირო, რომ ასნერო ტაბახმელისეული თებერვლის ზამთრის მძვინვარება. იმას ხომ ერთ ერთ მოთხრობაში აწერილი აქვს ქარბუქიან ღამეში „ბატონის და მოხელის ციგიან ცხენიანათ თოვლში დამარხვა და სასიკვდილოთ გაყინვა“.

ხან და ხან იმედსა ვკარგავთ, რომ დანიშნულ ადგილს მივაგნებთ. ერთმანეთს ვუმაგრებთ გულს, ყველას შეუძლებლათ მიგვაჩნია ბრძანების აუსრულებლათ უკან დაბრუნება. არ ვიცი, რა შემთხვევამ, რომლის გამჭრიახობამ, ბოლოს და ბოლოს მიგვიყვანა ნაბდებში გახვეულ მძინარე გვარდიელების სანგრებამდის. გავაღვიძეთ ერთი. აღმოჩნდა, რომ სწორეთ დანიშნულ ერთეულთან მივსულვართ. მძინარე ათასეულის უფროსს გადავეცით ბრძანება და რის ვაი ვაგლახით, ოღონდ კმაყოფილნი, რომ ბრძანება შევასრულეთ, დავბრუნდით საუფროსოში. ოთახი ცარიელი დაგვხვდა, იქ აღარავინ არის. გარეთ თოვლზე ესვენა მძიმეთ დაჭრილი და მასთან ერთათ კიდევ სხვა მებრძოლი, კვნესოდა, ეშინოდა ბოლშევიკების ხელში ჩავარდნისა. იხვეწებოდა, როგორმე წამოგვეყვანა. შევწუხდით, მაგრამ სად წაგვეყვანა ან როგორ? გამოსავალი არ იყო, ვერც დასამშვიდებელი რამ გამოვნახეთ მის სანუგეშოთ, მოვალეობა ერთეულში დაბრუნებას გვავალებდა. დავტოვეთ ადგილზე. ვინ იყო? რა დაემართა? გადარჩა თუ არა?

კოჯორიდან თბილისამდე ღამის სიბნელეში გზის ჩაჭრით მალე ჩავედით. ვჩქარობდით, ერთეულს დავნეოდით. გარიჟრაჟი ინყებოდა. თბილისს მოლურჯო ბოლისა და ნისლის ფერი გადაჰკრავდა. ქუჩები ცარიელია, ეტყობა, ყველას სძინავს. არავინ არის, რომ დაეკითხოთ, იუნკერთა სკოლამ ჩამოიარა თუ არა? შეგეხვდა ბოლოს ვიღაცა მოხუცი მეეზოვე. ჰოო, შვილებოო, იუნკერთა სკოლამ ჩაიარა, მცხეთისკენ მიდიოდნენო. ჩვენ გუნებაში კი ერთი საკითხი მოსვენებას არ გვაძლევდა რას იტყვიან თბილისელები, მეორე დილით რომ გაიგებენ ჩვენ წასვლას და თავზე წოწოლა ქუდიანი ბოლშევიკები ნამოადგებათ, ჩვენ ხომ მტერს არ დავუმარცხებივართ, ხომ მინის ერთი მტკაველიც არ დაგვითმია, არც გვსმენია, რომ სხვა ნაკვთებზედ ჩვენი ძალები ვერ უმაგრდებოდნენ.. მაშ, რაშია საქმე? რათ ვიხეთ? რათ ვუგდებთ მტერს თბილისს უბრძოლველათ?

მხოლოთ შემდეგში გავიგეთ, რაშიც ყოფილა საქმე და ამაზე ისევ მაიორ ვალიკო თევზაძის მოგონებას მოვიშველიებ:

„გენ. კვინიტაძე ენერგიულათ შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას, ნაწილების მონესრიგებას, მოქმედებას, პოზიციების განაწილებას, თადარიგის აღდგენას. მისი მიზანი იყო: არ მოეშო მტერი დედა ქალაქამდის. ფრონტი სამ ნაწილათ გაანაწილა. გადააყენა ზოგიერთი სარდლები, დანიშნა ახლები, რომლებზედაც დიდ იმედს ამყარებდა დანაკარგის დასაბრუნებლათ.

მარჯვენა ფრთას – კოჯორის რაიონში სარდლობდა გენ. ანდრონიკაშვილი. – მის განკარგულებაში იყო, თუ არა ვცდები, 4 ქვეითა პოლკი, ოთხი გვარდიის ათასეული, შესაბამისი ოდენობის არტილერიით და სამხედრო სკოლა, რომელმაც შემდგომ ბრძოლებში დიდი გმირობა გამოიჩინა და უკვდავ ჰყო თავისი წვლილი ბოლშევიკებთან 1921 წლის ომში. შუა ნაკვთი სამხრეთით მდინარე მტკვრამდის მიენდო გენ. მაზნიაშვილს, დიდათ პოპულიარულ და გამოცდილ მხედარს. მის განკარგულებაში იყო: დაახლოებით 3 ქვეითა ჯარის პოლკი, სასაზღვრო ათასეული, დედა ქალაქის ტყვიამფრქვევთა ათასეული, ორ დივიზიონამდის არტილერია, ჯავშნოსან მანქანათა ნაწილი და ჯავშნოსანი მატარებელი. ფრონტის დანარჩენი ნაწილი მარცხენა ფრთაზე მოყოლებული მტკვრიდან მიენდო გვარდიის გენერალ ჯიჯიხიას. მის განკარგულებაში იყო: 3 მძლავრი გვარდიის ათასეული, სათანადო არტილერიით და მარცხენა ფრთაზე გვარდიის ცხენოსანი ესკადრონი. თბილისს მომდგარი მტერი ჩვენი პოზიციების წინ სამხრეთსა და აღმოსავლეთიდან დიდათ აღემატებოდა ჩვენ ძალებს. დაახლოებით შესდგებოდა ის 7 ქვ. ჯარის დივიზიისაგან, 3 ცხენოსანთა დივიზიისაგან, მძლავრი და რიცხობრივი არტილერიის ნაწილებისგან, ჯავშნოსან მანქანათა ერთეულებისგან, 5 ჯავშნოსანი მატარებლისგან და სომეხთა დივიზიისაგან, რომელიც სამხრეთით მოქმედებდა“.

შემდეგ მოგონებაში აღწერილია 24II-მდის ნაწარმოები მძიმე ბრძოლები, რომლებზედ მე ზეთოთ მქონდა ლაპარაკი ზერელათ.[1]

მცხეთაში ჩემი ნათესავი, აგრონომი რეზო გედევანიშვილი ცხოვრობდა, მისი მეუღლე ჩემი დეიდაშვილი[2] იყო. ჩვენ ოჯახებს გულითადი ურთიერთობა აკავშირებდა. ვთხოვე იუნკერ გელაშვილს, ცოტა ხნით გავეშვი გამოსათხოვებლათ. ნება დამრთო. ოჯახში, გარდა გედევანიშვილებისა, დამხვდნენ აგრეთვე მათი ნათესავები: ლევან (ვეტერინარი, დახვრიტეს ბოლშევიკებმა) და გოგლა (ცნობილი პოეტი) ლეონიძეები. ოჯახი დიდ ფაცი ფუცში იყო. ოჯახის თავი ქსოვრისში (გედევანიშვილების მშობლიური სოფელი) გასამგზავრებლათ ემზადებოდა. სხვები ოჯახის ძვირფასი ნივთების და მონყობილობის გადამალვაზე ფიქრობდნენ. რამდენიმე დედაკაცი თონეს უტრიალებდნენ და ცხელ ცხელ თონის პურს მომდგარ ჯარისკაცებს ურიგებდნენ.

ეზოს გენ. იოსებ გედევანიშვილი მოადგა თავის ამალით. უხვი მასპინძლობა გაუწია რეზომ თავის მოგვარე და ნათესავ გენერალს.

მე დაღლილს ჩამეძინა. ზარბაზნის ყუმბარის აფეთქებამ გამომაღვიძა. ფეხზე წამოვვარდი, ვუსაყვედურე, რომ არ გამაღვიძეს. დავტაცე ხელი ჩემ თოფს და საჩქაროთ სადგურისკენ გავწიე. სადგური დაცარიელებული იყო, აღარც იუნკერთა ასეული, აღარც მატარებელი და არც სხვა რომელიმე ერთეული. ყველას გორის მიმართულება აელოთ. დავბრუნდი ისევ გედევანიშვილის ოჯახში, რადგან ქსოვრისისკენ აპირებდა წასვლას, ვიფიქრე, მეც იმათ გავყეები მეთქი. ესეც მოხდა. გედევანიშვილმა საიდანღაც 3 ცხენი გამონახა და თვითონ ის, ლევან ლეონიძე და მე ქსოვრისისკენ გავემგზავრენით. ციოდა, კოჯორის ცხარე ქარი აქ აღარ უბერავდა, თოვლი

[1] კურსივით გამოყოფილი ტექსტი ხელნაწერში გადაშლილია *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება ეკატერინე ლეონიძე *(ლ. ც.)*.

კი ღრმათ იდო გზაზე, გზის პირებზე და მინდორში. მივყვებოდით გატკეპნილ თოვლის კვალს. ალაგ ალაგ მიტოვებული, თოვლში ჩაფლული ურმები, „პოეზიკები" და საკეტ გამოცლილი ზარბაზანიც კი შეგეხვდა. გავედით ტირიფონის ველზედ. ღრმა თოვლი იდო, განსაკუთრებით გზაზე, გზის გვერდით და თვით ველზედაც. აქ ქარს, ეტყობა, ნებაზე ენავარდნა. სადაც კი ხეები ან ამობურთული ნიადაგი შეხვედროდა, მიყრილი თოვლის ზვინები აემართა. ზოგან ხეები მიემტვრია ან ფესვიანათ ამოეგდო და თოვლით დაეფარა. ეს რაღა არიო, იკითხა რეზომ და გზის პირას თოვლში ჩაფლულ ცხვრის ფარაზე მიგვითითა. გადავედით გზიდან და მივმართეთ შორი ახლოს მდგომ მწყემსთან. ეხლა უკეთესათ დავინახეთ, რა ბედი სწვეოდა ამ ფარას. ცხვრები ადგილიდან ვერ იძროდნენ, დამშეულებს ძალა არ შესწევდათ, მუხლამდის თოვლი დაეძლიათ, საცოდავათ ბღაოდნენ. მწყემსი უნუგეშო მდგომარეობაში იყო, სასო ნარკვეთილი, არ იცოდა, როგორ და რით დახმარებოდა გაყინულ ცხვრებს. თქვენი ჭირიმეთო, მოგვმართა სევდიანმა, მიშველეთ რამე, მე ამ საცოდაობას ველარ ვუყურებო. ცხვრები საძოვრებიდან მომყავს, აზერბეიჯანის საზღვრიდან აქამდის, როგორც იქნა, მოვაღწიე, მშივრებია, თოვლში ჩამეფლენ და საშველი არა მაქვსო. თუ სიკეთეს მიზამთ და ამ ახლო მახლო სოფლელებს აცნობებთ ჩემ ამბავს, ამაზე კარგს რას გააკეთებთო. მოვიდნენ ლასტიანი ურმებით, წაიყვანონ ეს დამშეული ფარა და როგორც უნდათ, ისე მოუარონო. შესაბრალისი იყო მართლაც ეს მწყემსი, შვილივით ნაზარდ ცხვრის დაღუპვას რომ მოესწრო...

[1983]

იუნკრები

ქართველი ახალგაზრდობა ერთსულოვნათ და აღფრთოვანებით შეხვდა რუსეთის რევოლიუციას, სიხარულით მიიღო საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორების და დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტი და რაკი სამშობლოს ყოველი მხრიდან მტერი ეტანებოდა, საჭიროთ სცნო მის დამცველთა რიგებში ჩამდგარიყო, სადაც კი რაიმე სამხედრო ნაწილი დგებოდა, მოხალისეთა საგრძნობი რიცხვი უწყვეტათ მოედინებოდა საქართველოს ყველა კუთხიდან, მთიდან და ბარიდან.. მცირე რიცხვი ამ ახალგაზრდობისა იუნკერთა სასაწავლებელშიაც მოჰყვა, იმ იუნკერთა, რომლებმაც სახელი გაითქვეს თავდადებული და მედგარი ბრძოლებით ტაბახმელაზე 1921 წელს.

იფიქრებს ზოგი, რათ უწოდეს ქართულ სამხედრო სკოლას „იუნკერთა". მოხდა ეს იმიტომ, რომ ქართულ ჯართა ორგანიზაციას იმ დროს სათავეში ედგა ომში გამოცდილი, გენერალური შტაბის აკადემია დამთავრებული, მაღალი ხარისხის ჩინებული აფიცრობა. რუსეთში ხანგრძლივი ცხოვრების გამო ბევრ მათგანს ქართული ენა დავიწყებოდათ, ქართული სამხედრო ტერმინოლოგია დამუშავებული არ იყო და სკოლას რუსეთის მიბაძვით „იუნკერთა" უწოდეს.

სკოლა ორ წლიან სწავლებას ითვალისწინებდა. პირველ კურსზე მსმენელი ეუფლებოდა საერთო სამხედრო ხელოვნებას თეორიული და პრაქტიკული მხრივ. მეორე კურსზე კი გაყოფილი იყვნენ: ქვეითა ჯარის, ცხენოსანთა, საარტილერიო და მესანგრეთა დარგებათ. პირველი კურსი ამოქმედდა 1919 წლის შემოდგომაზე, მეორე – 1920 წლის შემოდგომაზე.

ლექციებს თეორიულ დარგში გვიკითხავდნენ ცნობილი ქართველი გენერლები, პრაქტიკულ დარგს გვასწავლიდნენ სათანადო დარგის რჩეული აფიცრები. ამათგან მეხსიერებაში ჩამრჩნენ: როტმისტრი – სულხანიშვილი, კაპიტნები – ქარუმიძე, ჩოჩუა, შავდია, ხოშტარია. სკოლის უფროსი თავიდანვე პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე იყო, ამ დარგში დიდათ გამოცდილი და დახელოვნებული. სასწავლო პროგრამის თეორიულ დარგში გვასწავლიდნენ: სამხედრო ისტორიას, ტაქტიკას, ტოპოგრაფიას, ფორთიფიკაციას. ამ დარგთა მასწავლებლები იყვნენ გენერალური შტაბის აკადემია დამთავრებული გენერლები: კვინიტაძე, ანდრონიკაშვილი, პოლკოვნიკი ეახვახიშვილი და სხვები.

გვყავდა ერთი ერის კაცი მასწავლებელიც. ეს იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვასილ ბარნოვი. გეიკითხავდა ის ლექციებს ქართულ ისტორიასა და ლიტერატურაზე და თავისი სახოვანი, გულში ჩამწვდომი ქართულით გვინერგავდა სამშობლოს სიყვარულსა და უზომო ერთგულებას.

სკოლის საბოლოო მიზანი იყო მიეცათ მსმენელისთვის საკმარისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სამხედრო ხელოვნებაზე, ჩაენერგათ მკაცრი დისციპლინა და ფიზიკურათ მოემზადებინათ მძიმე სამუშაოთა და სიძნელეთა ამტანლობისთვის. სწავლება დილა საღამოს მიმდინარეობდა, დილით თეორიულ, საღამოს პრაქტიკულ დარგებში. გაკვეთილთა შორის ხანმოკლე დასვენებებისას ეზოში გაკრეფილნი ცეკვა სიმღერას ვაჩაღებდით. ჩვენ შორის ბევრი აღმოჩნდა მშვენიერი ხმის მქონე, ხალხური სიმღერების მცოდნე პიროვნებები. მათი შესრულებით სხვა და სხვა, გულში ჩამწვდომი სიმღერები დასტრიალებდნენ საქართველოს გმირულ წარსულს, საყოფაცხოვრებო, გასართობ და საცეკვაო თემებს. ხან და ხან ორათ გაყოფილნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მომღერლები. უნდა გენახათ მაშინ, რა სასიამოვნო იყო და რა სულიერ ტკბობას გვიღვიძებდა წიკლაურის, ჯამასპიშვილის, ნაცვლიშვილის, რატიშვილის, კვალიაშვილის, მრელაშვილის, დავით და ვალოდია ლაღიძეების, მახარაძის და სხვათა მრავალთა შეხმატკბილებული ბუბუნი. ყოფილა შემთხვევები, როდესაც კონცერტზე დასწრება მოუსურვებია გენ. კვინიტაძეს, გამოსულა პოლკ. ჩხეიძე (პოლკ. ჩხეიძის მეუღლე – სოფიო იყო და გენ. კვინიტაძესი და სკოლის შენობაში ცხოვრობდა) თავის მეუღლით და დამტკბარა

ნიკოლოზ მათიკაშვილი, „მუნარები", ავტოგრაფი [1986] (სლმ. №28432-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



იუნკერთა სკოლის კურსანტები (გიორგი მამალაძის ფოტოალბომი. დავით ყოლბაიას კერძო კოლექცია. უარშავა)

სიმღერებითა და ცეკვით, ბევრჯერ გამოუწვევიათ ჩინებულ მოცეკვავეებს გენერლის მეუღლე და მასაც უარის თქმით არავინ გაუნბილებია.

ვიდრე შეუუდგებოდე სკოლის ცხოვრებისა და ტაბახმელის ამბების მოთხრობას, ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვით მოვიხსენიო: ვინ იყვნენ, რა წრიდან, რა სულისკვეთებისანი, საიდან მომდინარეობდა მათი სულიერი სიძლიერე. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემათ საუკეთესო იქნებოდა თვითეული იუნკრის პასუხი ერთათ ერთ კითხვაზე: რამ მოიყვანა იგი სამხედრო სასწავლებელში? საუბედუროთ, ამ კითხვაზედ პასუხის მიღება დღეს შეუძლებელია.. ერთი იმიტომ, რომ ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის და გადარჩენილები კი ისე არიან მსოფლიოში დაქსაქსულნი, რომ მათგან რაიმე ცნობის მიღება ადვილი არ არის. ეს ხარვეზი შემიძლია მხოლოდ საკუთარი მოგონებებით შევავსო, ყველანი წლოვანობით თანატოლნი ვიყავით, 20-23 წლისანი, ერთნაირ გარემოცვასა და ერთნაირ პირობებში ვიზრდებოდით, რაც გადამხდენია იმ დროს მე, უსათუოთ ემზგავსება მათ ცხოვრების დინებას და აქედან გამომდინარე, სულისკვეთებას. ყოველი ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაზე უმთავრესათ სამი მოვლენა ახდენს ზედგავლენას: არსებული საზოგადოებრივი განწყობილება, წრე, რომელშიაც უხდება ცხოვრება, ოჯახი. ჩვენს ბავშვობასა და ახალგაზრდობაში საზოგადოებრივი განწყობილება იმ დროს შემდეგნაირათ გამოიყურებოდა: რუსეთს ღრმათ ჰქონდა ფესვები გადგმული საქართველოს რუსული წესით მმართველობაში, არა სცნობდა მის თავისებურებას, დაუზოგავათ სარგებლობდა ბუნებრივი სიმდიდრით, საჭიროთ არა სთვლიდა ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას, უკმარი იყო საშუალო სასწავლებელთა რიცხვი, უმაღლესი სკოლა არ არსებობდა. ქართული ენის სწავლება საშუალო სკოლებში დამატებით საგანს წარმოადგენდა, მიმდინარეობდა ქართველთა გადარუსების პროცესი და მშობლიური ენის სწავლების აღკვეთა, ცოტა იყო პირველდაწყებითი სკოლები სოფლათ.

ქართული საზოგადოება ამ დროს გამოფხიზლებულია, იბრძვის ეროვნული თავისებურებების გადარჩენისთვის, მიმდინარეობს ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობა. ამ მოძრაობას სათავეში უდგას ილია ჭავჭავაძე.. მას გვერდში უდგანან და მხარს უმშვენებენ ისეთი ზომის საზოგადო მოღვაწეები, როგორც: აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ალ. ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი, ვასილ ბარნოვი, ნიკო ნიკოლაძე, დ. სარაჯიშვილი და სხვანი.

არსდება ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მრავლდება პირველდაწყებითი სკოლების ქსელი. სათავად აზნაურო ბანკი ხელს უწყობს ეკონომიურ გამოღვიძებას, გამოდის მაღალ დონეზე მდგარი ჟურნალ გაზეთები, იბეჭდება ქართული წიგნები. ამაღორძინებელ მოძრაობაში ჩათრეულია მთელი იმ დროინდელი საზოგადოება.. ყველა ამას ჰხედავს, თვალყურს ადევნებს და ეროვნული გრძნობებით იმსჭვალება ახალგაზრდობა, ე. ი. ჩვენი იმ დროინდელი მოზარდი თაობა.

გარემოს ზედგავლენა ხასიათის ჩამოყალიბებაში მეტათ მძლავრი მოვლენაა. რამდენადაც მეტია ამა თუ იმ მხარეში ისტორიული ძეგლები, მათ ირგელივ მოარული გადმოცემები, მით უფრო ძლიერია მათი ზედგავლენა სამშობლოს სიყვარულის განმტკიცებაში.

ჩემმა ახალგაზრდობამ გარე კახეთის ციე-გომბორის ფერდობებს მიყრდნობილ მოზრდილ სოფელ პატარძეულში გაიარა. იქ ორი, ამაყათ გამომყურალი, გულდასმით ნალოლიები კოშკია, ერთიც ძველის ძველი ციხის ნანგრევები.. მახლობლათ, სამების მონასტრისკენ მიმავალ გზაზე მიუთითებენ ვინრო გასავალს, სადაც ჩასაფრებული და-ძმა გზას უკრავდა სათარეშოთ მიმავალ ლეკებს. მრავალი გამოასალმეს წუთი სოფელს, ვიდრე თვითონ არ დაეცნენ ტყვეთა ნამალ გამოლეულნი. მეზობელ სოფელ ნინოწმინდაში, სადაც ძველათ საეპისკოპოზო კათედრა იყო, გადარჩენილია ლეკების მიერ გუმბათ და კედლებმონგრეული ტაძარი..[1] მის კედლებსა და თაღზე ლეკების ტყვეებით თვალდათხრილი ხატები. სამრეკლოს უმაღლეს მე-4-ე სართულზე პატივით ესვენა ერეკლე მეფის დროინდელი პატარა ქვემეხი.. ნინოწმინდიდან არც ისე შორსაა ცნობილი დავით გარეჯის მონასტერი[2] კლდეში გამოკვეთილი ეკლესიებითა და ბერთა სენაკებით. აქ ხომ არც ისე შორეულ ხანაში მოღვაწეობდა მძლავრი ქართული კულტურის კერა. იქ ცხოვრობდა და შრომობდა დიდი საბა-სულხან ორბელიანი, იქ ატარებდნენ დიდმარხვის დღეებს ქართველი მეფეები, იქვეა აკლდამა 300 ბერის ჩონჩხით, სპარსელებმა რომ ამოხოცეს აღდგომა ღამეს ლოცვაზე მდგომნი.

დამშვიდებული ცხოვრება პატარძეულის ირგვლივ არც ჩემ ახალგაზრდობისას ყოფილა. იყო შემთხვევები, რომ მეზობლათ მცხოვრები მუღალნოელი თათრები სახნავათ გასულ გლეხებს ან საძოვარზე გარეკილ ფარებს დასცემიან, ხალხი ამოუხოციათ, საქონელი წაუსხავთ და გაუჩინარებულან. ასეთ შემთხვევაში სოფლის სამივე ეკლესიის ზარების გაშმაგებული რეკით განბაში ატყდებოდა, რამოდენიმე ცხენოსანი გაშმაგებული ჭენებით სოფლის უბნებს შემოუვლიდა და ხალხს მდევარზე გამოსასვლელათ იწვევდა. არ გაიელიდა დიდი ხანი და ცხენებზე ამხედრებული, თავით-ფეხებამდე შეიარაღებული რამდენიმე დღის სამყოფი საგზლით ახალგაზრდობა და შუა ხნის ხალხი სამამასახლისოს ეზოში შეიკრიფებოდა. ყველაფერი ეს ისე სრაფათ და წესიერათ ხდებოდა, თითქოს სამოქმედოთ მეფე ერეკლეს დროინდელი მორიგე ჯარი შეყრილიყოს. ორჯელ დავესწარ ასეთი მდევრის გასტუმრებას. ორჯელვე 8-10 წლის ყმანვილს მდევარში ნასვლა მითხოვნია, ცხადია, უშედეგოთ. მახსოვს მე-3 შემთხვევაც, უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში. იმავე მუღალნოელმა თათრებმა მოკლეს ახალგაზრდა ვაჟკაცი სოფ. ბადიაურიდან. პატარძეულის მდევართან ერთათ ცნობილი გოგუაძის ჯვაშნოსანმა მატარებელმაც კი მიიღო მონაწილეობა. ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაში, ვგონებ, უმთავრესი და გადამჭრელია ოჯახის ზედგავლენა. აქაც პირად მაგალითს უნდა მივმართო. ვფიქრობ, ჩემ ამხანაგ იუნკერთა ოჯახური პირობები ბევრათ არ განსხვავდებოდნენ ჩემისგან.

მამა,[3] ღარიბი სოფლის მასწავლებელი, შემდეგში მღედელი, 7 წლისას გარდამეცვალა. პატარა, ორ ოთახიანი ფიცრული სახლის გარდა, მას ჩვენთვის არავითარი უძრავ-მოძრავი ქონება არ დაუტოვებია. ჯიბეში მიცვალებულს რამდენიმე უზალთუნი უპოვეს. ეს იყო და ეს. ცხოვრებაში გამოუცდელი დედის კისერზედ დავრჩით 4 ვაჟი 5 წლის ასაკიდან 10 წლამდის. ერთათ ერთი იმედი თავის გადარჩენისა იყო ოციოდე თვალი ფუტკარი და ნათესავთა დახმარება. ოთარაანთ ქვრივივით ჩაება დედა ჩემი მუშაობაში. ნინოწმინდელ შეძლებულ გულისაშვილების[4] ფუფუნებაში გაზრდილი ქალისთვის ეს არც ისე ადვილი იყო. თანდათანობით ფუტკარი მოიმრავლა, ძროხა შეიძინა, თვითონ ბევრს იკლებდა, ჩვენ სიღარიბეს არ განგვაცდევინებდა და სტუმარსა და მიმსვლელ მომსვლელებსაც გულუხვ მასპინძლობას არ აკლებდა.

---

[1] სოფ. ნინოწმინდაში შემორჩენილია გალავანშემოულებული სამონასტრო კომპლექსი – ტაძარი, აგურის ოთხსართულიანი სამრეკლო (XVI ს.), მიტროპოლიტ საბა ტუსიშვილის ორსართულიანი სასახლე (1774-77) და სხვა ნაგებობათა ნანგრევები *(ლ. ც.)*.

[2] ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრი. სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი. მდებარეობს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 60-70 კმ-ზე, ისტორიულ კუხეთში, გარეჯის კლდოვან მთებში *(ლ. ც.)*.

[3] იგულისხმება ლავრენტი მათიკაშვილი *(ლ. ც.)*.

[4] იგულისხმება დეკანოზ ნიკოლოზ გულისაშვილის ოჯახი *(ლ. ც.)*.

მისი ჩვენზე ზრუნვა ადამიანის ფიზიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით არ ამოიწურებოდა. მთავარი იყო მისთვის ჩვენი სულიერი თვისებების გამომუშავება, სამშობლოს სიყვარულისა და ადამიანობის ჩანერგვა, პატიოსნების, შრომის უნარიანობის, უფროსთა პატივის ცემის.

„ნატვრის თვალის“[1] ფურცლებზე გ. ლეონიძეს (ჩემი დეიდაშვილი იყო) რომ აქვს დახასიათებული „დეიდა მაიკო“ – დედა ჩემი იყო.. ბევრი რამ თქვა ამ მოთხრობაში, ბევრიც გამორჩა და ვეცდები, მისი დახასიათება შევავსო: არაფერი უთქვამს, მაგალითად, „ფუფალას“ თავისებურებაზე – სტუმრათ რომ მოვიდოდა, რაც ზაფხულობით ორჯერ მაინც მეორდებოდა, ჯერ გაფუებულ უბიდან მოხდენილ კრუხს ამოაძვრენდა, შემდეგ იმავე უბიდანვე ოციოდე წინწილას ჩამოსხამდა და გამოემართებოდა მოსასალმებლათ. გვიხაროდა მისი სტუმრობა, მზრუნველობას არ ვაკლებდით მის კრუხ წინწილებსაც. დარჩებოდა ერთ კვირას მაინც და შემდეგ სხვა ოჯახში გადაინაცვლებდა. არც ის მოუხსენებია, რომ იმ დროს სტუმრობა იცოდა ხოლმე ვინმე მოხუცებულმა სოფიომ, ყოფილმა მომღერალმა. მრავალი ძველათ ნამღერი ლექსების დამღერება უყვარდა. ძალიან მორიდებული და კეთილი ბუნების ადამიანი იყო, უყვარდა მღერა და ჩვენც ვუსმენდით. ჩვენთან ორ კვირასა ან მეტს რჩებოდა. იყო კიდევ დავით გარეჯის აკლდამებში მიმალული თეთრ წერასანი ბერი, იქნებ ბერობას შეფარებული საზოგადო მოღვაწე ან რევოლიუციონერი, მმართველობას დ. გარეჯის ჯურღმულებში რომ ემალებოდა.. გამოჩნდებოდა ყოველ წელიწადს რამოდენიმე დღით, მოჰყვებოდა თავის ასავალ-გადასავალს, წაიღებდა სპეციალურათ მისთვის დამზადებულ თაფლით სავსე მოზრდილ ქილას, ჩირეულობას და მიაშურებდა ისევ თავის განმარტოებას.

დედა ჩემმა, გ. ლეონიძეც აღნიშნავს ამას, ისეთი მალამოების და წამლების დამზადება იცოდა, გადმოცემების საშუალებით, მკედარს ფეხზე დააყენებდა. იყო შემთხვევა, რომ ჩვენ მეზობლათ პურის გამოცხობისას შუა ხნის ქალი გახურებულ თონეში ჩავარდა, ხელები, პირისახე, ტანი დაებუგა, მთელ ტანზე ჩირქიანი მუწუკები დააყარა. მის ტანჯვას, წვალებას და კვნესას საზღვარი არა ჰქონდა. თავისი მალამოებით ისე უმკურნალა, რომ 2 თუ 3 თვეში ფეხზე წამოაყენა და სრული ჯანმრთელობა დაუბრუნა..

ეს ის დრო იყო, რომ მთელი საქართველო ჩაბმული იყო თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, დაფარვით ვრცელდებოდა სათანადო მოწოდებები და საპროპაგანდო გამოცემები. ჩვენი სახლი თბილის-საგარეჯოს შარა გზის პირას იყო. ჩვენთან მოსელა და გასვლა ყურადღებას არ იპყრობდა. თბილისიდან საგარეჯოსკენ მიმავალი დილიჯანი ბევრჯელ გაჩერებულა ჩვენ ჭიშკართან, გადმოუციათ დედა ჩემისთვის აკრძალული ფურცლები შესანახათ ან ვისთვისმე გადასაცემათ. მახსოვს ერთი შემთხვევაც, როდესაც ჩვენ სახლში თითქმის ორი კვირა იმალებოდა ველათ გაჭრილი, დევნილი ადამიანი.

აი ასეთ ვითარებაში, წვა დაგვითა და გაჭირვებით დაგეზარდა ოთხი ვაჟი, ყველას საშუალო სწავლა მიგვაღებინა და ფეხზე დაგვაყენა. უფროსი ჩემი ძმა შალვა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის შეიპყრეს, ანძამეს და ცოცხალ მკედარი მიუგდეს ოჯახს. ერთი კვირაც არ უცხოვრია მის შემდეგ.[2] მომდევნო ძმა ირაკლი დაატიმრეს და ძლივს გადაურჩა დახვრეტას, უმცროსი ლევანი 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა პატარძეულელ ახალგაზრდობის სათავეში ჩამდგარა, ადმინისტრაციის ადგილობრივი ხელისუფლება დაუტუსაღებია და თავისი ჯგუფით მუხროვანში ბანაკად მდგომ საარტილერიო პოლკის გასაიარაღებლათ გამგზავრებულა. გზაში პატარძეულისკენ მომავალ ბოლშევიკთა ერთეულს შესჯახებია, ბრძოლა წაუგია და გაფანტულან. შემდეგ დატუსაღებული ლენინგრადის ფსიქიურ საავათმყოფოში მოუთავსებიათ. განთავისუფლებულმა გეოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მონაწილეობა მიიღო ნედლეულთა ძიებაში. ავათ გამხდარმა და დასუსტებულმა ოპერაცია ვერ გადაიტანა და გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა. რა მწარე იყო მისი მოკლე ცხოვრება, ან სად განისვენებს მისი გვამი, არავინ უწყის.

აქ უნდა დავუმატო, რომ ჩვენს გარდა დედა ჩემმა აღზარდა ობოლი, I მსოფლიო ომის დროს დედმამისგან მიტოვებული ქურთი ბავშვი, სახელათ სულეიმანი, რომელიც იქ იმ დროს მყოფმა ბიძა ჩემმა ჩამოიყვანა. ერთ წერილში ის მწერს: „მე ის სულეიმანი ვარ, ჩვენთვის ძვირფასმა ადამიანმა, დედა თქვენმა მაიკომ რომ გამზარდა“-ო. პირველი ომის შემდეგ საქართველოს და პატარძეულსაც შავი სახადი (ტიფი) ეწვია. სიკვდილის შიშით მახლობლებიც კი ერიდებოდნენ თავთავიანთ ავათმყოფებს. შავი სახადით დაავადდა ბიძა ჩემი მღვდელი ვანო გულისაშვილი და

[1] იგულისხმება გიორგი ლეონიძის თხზულება „ნატვრის ხე“ *(ლ. ც.)*.

[2] ავტორს ეშლება, შალვა მათიკაშვილი 1938 წელს გარდაიცვალა *(ლ. ც.)*.

შემდეგ მისი მნათე ესტატე ზუკაკიშვილი. დედა ჩემი[1] ორივეს გულმოდგინეთ უვლიდა, თვითონაც გადაედო და სამივენი ერთი თვის განმავლობაში დაიხოცნენ 1918 წელში. ვიდრე თითებში ძალა ჰქონდა და გრძნობიერება არ დაეკარგა, კიდევ მოასწრო თავისი გარკვეული ქართული ასოებით დაეწერა. „ამა და ამ კაცისა ყუშიტაანთ უბნიდან ამდენი და ამდენი ლიტრა პური მმართებს და გადახდა არ დაუგვიანოთო".

ზოგი რამ ვსთქვი ჩვენი ოჯახს წარსულ ავებედობაზე, იმაზე კი, რაც მთავარია, დედა ჩემის მიერ ჩვენ სულიერ აღზრდაზე არაფერი მითქვამს.

თავის დროინდელ კეთილობაზე დედა ჩემი დიდათ განათლებულ ქალთა წრეს ეკუთვნოდა. შეძლებულ ნინოწმინდელ გულისაშვილების ოჯახს ამ მხრივ მზრუნველობა არ დაუშურებიათ. ბავშვობა მაღალ ზნეობრივ და მცოდნე მასწავლებლის ხელში, საგარეჯოელ ოქრომჭედლიშვილისას გაატარა, მისი მეოხებით მშვენივრათ იცნობდა ძველ და ახალ ქართულ მწერლობას. უყვარდა კითხვა. ყიდულობდა ქართულათ გამოსულ წიგნებს ქართულს და უცხოურიდან ნათარგმნებს. ჩვეულებათ ჰქონდა მათი ხანდახან კარადიდან ამოღება, დასდებდა გამოსაჩენ ადგილზე და ჩვენ ვკითხულობდით. ამ გზით ვიცოდით: ვინ იყო, რისთვის იბრძოდა ილია ჭავჭავაძე, რასა სწერდნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ვასილ ბარნოვი, იაკობ გოგებაშვილი. რა შრომა დაგვიტოვა შოთა რუსთაველმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, გრიგორ ორბელიანმა, რაფიელ ერისთავმა. რაზე სწერდნენ შანშიაშვილი, გრიშაშვილი, ვინ იყო დონკიხოტი, სენკევიჩის და პრუსის შემოქმედება, „ბიძია თომას ქოხი" და სხვა. ზღაპრები ხომ უამრავი იცოდა. შემოეუსხდებოდით ზამთრობით გახურებულ „ჟესტის" ღუმელს, კარის 5 ნახვრეტიდან 5 მრგვალ მოციმციმე კვალს რომ ამჩნევდა კედელზე, კრუსუნობდა სითბოთი დამტკბარი, გულზე თეთრ ნიშნიანი შავი კატა და ვუსმენდით დედა ჩემის ზღაპრებს: ამირანზე, დევთა ბრძოლებზე, ნაცარქექიაზე, ბაყბაყდევის, იამან კაცის ამბებზე, ბაყაყების, თევზების, გველების ქურქში გახვეულ მზეთუნახავებზე და თვით ღმერთზე, სიკეთისთვის სიკეთეს რომ უძღვნიდნენ ზღაპრის გმირს და ისადგურებდა ჩვენ გულშიც: შემბრალებლობა, სუსტთან თანადგომა, გულკეთილობა, გასაჭირში მყოფის დახმარება, ცხოველთა სიყვარული.

არც იმ დროინდელი სოფლის ცხოვრება იყო ადამიანის აღზრდაში აზრს მოკლებული. არსებობდა მსახიობთა წრე, მომღერალთა გუნდები. სოფლის ახალგაზრდობას წარმოადგენდნენ შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: საშა ბურთიკაშვილი, ალექსანდრე უსტიაშვილი, გოგლა, სიკო და ლევან ლეონიძეები, გიორგი ჯიღაურა, ზაქრო და ლადო ბილანიშვილები, იანქოშვილები და სხვანი, რომლებთან სიახლოვე უსათუოთ მოქმედებდა ჩვენ სულისკვეთებაზე.

არც სკოლაში ყოფნა იყო უმნიშვნელო ჩვენი ხასიათის ჩამოყალიბებაში. მე ბედათ მხედა მოწაფე ვყოფილიყავი ისეთ პედაგოგებისა და აღმზრდელებისა, რომელთა სახელი ამშვენებს და შემდეგშიც დაამშვენებს იმ დროინდელ ქართველ მოღვაწეთა რიგს. აი, ისინი: ვასილ ბარნოვი, კორნელი კეკელიძე, იპოლიტე ვართაგავა, ანტონ ნატროშვილი, შიო შიუკაშვილი, ნიკო სულხანიშვილი, ია კარგარეთელი; იუნკერთა სასწავლებელში კი: გენ. კვინიტაძე, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე, გენ. ანდრონიკაშვილი. პოლკ. ვახვახიშვილი, კაპიტნები: ქარუმიძე, შავდია, სულხანიშვილი და სხვანი. ერთათ ვიზრდებოდით და ერთმანეთს ვმეგობრობდით სკოლის მოწაფეები: სიდამონ ერისთავი[2] შემდეგში საქართველოს კათალიკოსი ეფრემ II, გრიგორ ფერაძე, შემდეგში ქართველი არქიმანდრიტი, დახვრიტეს გერმანელებმა ვარშავაში. იმ დროს მე, 19 წლის ახალგაზრდა ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი აგრონომიულ დარგზე. ჩემთან ერთათ სწავლობდა ნიკო კეცხოველი, შემდეგში ცნობილი პროფესორი და საზოგადო მოღვაწე. აი, ასეთი ვითარება იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისასვე მის დამცველთა რიგებში რომ ჩავდექით. მიყვარს ბუნება, ვაჟას მინდიასავით ვგრძნობ, რა მცენარეს და რა ხეს როდის და რა უნდა. ამის და მიუხედავათ, პირადი მიდრეკილება გვერდზე გადავდე. უნივერსიტეტს თავი დავანებე და ჩემ უფროს ძმასთან ერთათ დიდუბეში მდგომ არტილერიის პოლკის ტყვიამფრქვევთა ასეულში ჩავეწერე მოხალისეთ. ამასობაში დაარსდა ცხენოსანთა ასეული ქართული კორპუსის შტაბთან. გადავედი იქ ისევ ძმასთან ერთათ, იქიდან კი მხოლოდ მე იუნკერთა სკოლას მივაშურე. იქ მოხვედრა არც ისე ადვილი იყო. სკოლაში შესვლის მსურველთა რიცხვი დიდათ სჭარბობდა სკოლის შესაძლებლობის ფარგლებს. მთავარი სიძნელე სკოლაში მოხვედრისა სკოლის უფროსის პოლკ. ალ. ჩხეიძის განაჩენი იყო. ივარგებს თუ არა ქართველ ოფიცრათო? ამათვალიერ ჩამათ-

[1] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამორჩენილია *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება გრიგოლ სიდამონიძე *(ლ. ც.)*.

ვალიერა, ოჯახური ვინაობა გამომკითხა, ჩემი განათლებით დაინტერესდა და დიდი დაფიქრების შემდეგ სკოლაში მიღების ღირსათ ჩამთვალა. ეს იყო 1920 წლის შემოდგომაში. ცხადია სხვანი, ჩემთან ერთათ სკოლაში მიღებულნი, დიდათ არ განირჩეოდნენ ჩემგან არც ალზრდის, არც გაგების ზედგავლენის, არც სამშობლოს სიყვარულის მხრივ, იქნებ მჭარბობდნენ კიდეც.

1921 წლის 11/12 თებერვლის ღამეა. დარაჯათ ვდგებევარ სასწავლებლის ალაყაფის კარებთან. გათენებისას მიხაილოვის გამზირის მხრიდან ვიღაცამ კარებზე ნერვიული და აჩქარებული კაკუნით განგაში ატეხა. ჩემ შეკითხვაზე, ვინ იყო და რა სურდა, აღელვებული ხმით მომაძახა: „სანაინისა და ბორჩალოს რაიონებში ამ ღამეს ჩვენ სანაპირო ჯარებს თავს დასხმია სომეხთა ჯარი, საზღვარი გადმოულახავთ, ეხლა იქ დიდი ბრძოლებია და საჩქაროთ სკოლის უფროსობას მოახსენეო" – სთქვა ეს და სასწრაფოთ გაუჩინარდა. ვინ იყო? ეისი გამოგზავნილი? მართალს ამბობდა თუ ტყუილს, ჩემთვის გამოურკვეველი დარჩა. ყოველ შემთხვევისთვის მივირბინე მორიგე ოფიცრის ოთახთან. მოვახსენე რაც გავიგე და მოვალეობის შესასრულებლათ დავბრუნდი. არ გასულა დიდი ხანი და ალბათ მაღლიდან მიღებული ბრძანების შედეგათ განგაში ატეხეს და მშვიდათ მიძინებული სკოლა და ნაცვალთა ათასეული, რომელიც იმავე ეზოში ბინადრობდა, ფეხზე დააყენეს. რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთეულები თავისი აღჭურვილობით და დამხმარე ერთეულებით დანიშნულ ადგილზე სალაშქროდ გასასვლელათ მზათ იყვნენ.. ერთმანეთთან მცირე დაშორებით იდგნენ: იუნკერთა ასეული, 3 ნაცვალთა ასეული, ორზარბაზნიანი ბატარეია და ტყვიამფრქვეთა გუნდი..

საერთო წესრიგს მართავდა, ნაწილის უფროსებიდან პატაკს ღებულობდა, სათანადო შენიშვნებს და განკარგულებებს აძლევდა ცხენ და ცხენ დინჯათ მიმავალი, წოწოლა ფაფახ თავდახურული, იუნკერთა სკოლის უფროსი პოლკოვნიკი ალ. ჩხეიძე. დღის 10 საათამდის მოასწრო ნაწილების შემოწმება, ომისთვის მზათ ყოფნა, დანაკლისების შევსება და დაახლოებით 11 საათზე ტაბახმელისკენ გაგვიძღვა.


გზა მიხაილოვის გამზირით, ვერის ხიდით,[1] რუსთაველის გამზირით, სოლოლაკით, კოჯრისკენ მიემართებოდა, წინ ცხენზე ამხედრებული პოლკოვნიკი ჩხეიძე მიგვიძღოდა თავის ამალით, მას სამხედრო ორკესტრი, სამხედრო სკოლა და მომდევნო ნაწილები მისდევდა. საიდან გაიგო თბილისის საზოგადოებამ, რომ სწორეთ ამ დროს იუნკერთა სკოლა ფრონტზე მიდიოდა? ქუჩები სავსე იყო ხალხით, მახლობლებით, ნათესავებით, თანამგრძნობლებით, დიდებით თუ პატარებით. თოფები სმენაზედ გექონდა მხარზე აყუდებული, მწყობრის სიზუსტის მოთხოვნილებები საშუალებას არ გვაძლევდა, თავი შეგეგებრუნებინა და საზოგადოების განწყობილება გაგვენაწილებინა. შიგა და შიგ თვალის მიტრიალებით თუ ვხედავდით, რა ხდებოდა ირგვლივ. ერთ ასეთ გახედვისას ჩვენ მასწავლებელს ვასილ ბარნოვს მოვკარ თვალი. თავ ჩაღუნული, მიწას მიჩერებული, ღრმათ ჩაფიქრებული, ჭაღარა ნვერით, მრგვალი ცილინდრით და სათვალეებით მიჰყვებოდა აზვირთებულ ტალღას. მისი დანახვა ჯანღიან ამინდში მზის გამოკაშკაშებას ჰგავდა. ალბათ ერთის მხრივ გული დარდით ევსებოდა საქართველოს ავბედობის გამო და ეამაყებოდა, რომ მისი აღზრდილი მხედრები სამშობლოს დასაცავათ მიემართებოდნენ. ის ხომ ჯერ სემინარიაში და შემდეგ იუნკერთა სასწავლებელში წლების მანძილზე ბეჯითად გვინერგავდა გულში სამშობლოს სიყვარულის გრძნობებს. გავცდით ვერის ხიდს, გავედით რუსთაველის გამზირზე. მარცხნიდან რომელიღაც მაღალი შენობის მოაჯირიდან ხმამაღალი მოწოდება მოგვესმა, საზოგადოებას „შოთა რუსთაველის" პარტიაში ჩასაწერათ ეპატიჟებოდა. მესმოდა, რასაც პასუხობდნენ ქუჩიდან. რამ გაასულელა ამგვარ მომენტში, რა დროს პარტიაში ჩაწერის ამბავიაო? ეს, ვგონებ, ამ პარტიის დამაარსებელი ევგენი დვალი უნდა ყოფილიყო. ცხადია, მის მოწოდებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.. ჩაფიქრებულნი, ორკესტრის გამახალისებელ მელოდიებში ჩართულნი განვაგრძობდით გზას. ბოტანიკურ ბაღის დასაწყისთან პოლკ. ჩხეიძემ დასვენება ბრძანა. ეხლა ღა მიეცათ საშუალება გამცილებლებს და მახლობელ ნათესავებს გულში ჩაეკრათ თავის მახლობელი იუნკრები და გამომშვიდობებოდნენ – ზოგიერთებს სამუდამოთ.

მზე ჩასვლაზე იყო, თოვლით დაფარული კოჯორის მაღლობზე რომ ავედით და პოლკ. ჩხეიძის მითითებით პოზიციების დაკავებას და მოწყობას რომ შევუდექით. საქმე არც ისე ადვილი იყო. ციოდა, თოვლით დაფარული ღრმათ გაყინული მიწის სანგრებათ და ძნელ მისადგომ პოზიციებათ გადაქცევა დიდ ჯაფას მოითხოვდა. ჩემ (მე-III) მწყობრს, ასეულის მარცხენა პოზიციების

[1] მდებარეობდა დღევანდელი გალაქტიონის ხიდის ადგილას *(ლ. ც.)*.

დაკავება და მოწყობა დაგვევალა.. მწყობრს განაგებდა ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი და მისი თანაშემწე, უფროსი კლასის იუნკერი გელაშვილი.

ჩვენი პოზიციების წინ მაღლობს ამოფარებული ტაბახმელა იყო, მარცხნივ კი სოღანლულისკენ დაქანებული ფერდობი.. შემდეგში მაღლიდან, განსაკუთრებით ღამღამობით მშვენივრათ ჩანდა სოღანლულში გენ. მაზნიაშვილის ჯარების მიერ წარმოებული ბრძოლები.. ჩვენს მარჯვნივ პოზიციები ეკავა სკოლის I მწყობრს ლეიტ. თოიძის უფროსობით. ტაბახმელიდან თბილისისკენ მიმავალი გზა ჩვენი ოცეულის პოზიციებზე გადიოდა. გვიბრძანეს ადგილების დაკავება, დარაჯების წინ წაწევა, მისადგომების თვალყურის დევნება და ყოველგვარი მოძრაობის აღკვეთა. მახსოვს, პირველ ღამესვე, შუაღამე გადასული იქნებოდა, ტაბახმელის მხრიდან ურმის ჭრიჭინის ხმა მოგვესმა. ვინ იყო? რა უნდოდა? სად მოიწევდა ამ შუა ზამთარსა და შავბნელ ღამეში? გვიბრძანეს ცეცხლის გაჩენა.. ეს პირველი შემთხვევა იყო, ტაბახმელაზე ტყვიები რომ ასისინდნენ: ურმის ჭრიჭინი შესწყდა, სროლა შევწყვიტეთ. სიჩუმე ჩამოვარდა და სანგრებში მყოფ იუნკერთა რიგებში სიფხიზლემ და ბრძოლისთვის მზათყოფნის გრძნობამ დაისადგურა. დაძაბული ყურადღებით ვაკვირდებოდით, რომ ქარის წყნარ სისინსა და თოვლის ფშვინვაში სხვა რამ საეჭვო ხმა არ შემოგვპაროდა. თუ არა ვცდები, ვგონებ 14 თებერვალს დილით ჩვენი განლაგების წინ ბოლშევიკების მოწინავე რაზმებმა ამოყვეს თავი, მანამდის კი გულდასმით ვმუშაობდით და სანგრების, სადარაჯო წერტილების, ტყვიამფრქვევთა სადგომების მოწყობა და შენიღბვა მოვასწარით. ბოლშევიკები გულიანათ, თავდაჯერებით და გაბედულათ მოიწევდნენ წინ. ეტყობა ჩქარობდნენ თბილისისკენ დაშვებას. იქ ხომ თბილი ბინები, უხვი სურსათი და ალბათ ხელმოსათბობიც ეგულებოდათ. არ მოელოდნენ და უცებ თბილისის კარებთან მათ წინ ძნელათ დასაძლევი დაბრკოლება აღიმართა. აქ თბილისის მისადგომებს ერეკლეს დროინდელი თავდადებით და გულმოდგინებით იუნკერთა სკოლა და მის გვერდით მებრძოლი ერთეულები იცავდნენ. პირველი გამოჩენისასვე დარწმუნდნენ, რომ თბილისში შესვლა არც ისე ადვილია, რომ ვითარება სიფრთხილეს, დაფიქრებას და მომზადებას მოითხოვს. ამ დღიდან არ შეწყვეტილა ცხარე და ულმობელი ბრძოლები. ბევრჯერ სცადეს ხაზში შემოჭრა, მოგერიებითი ხაზის გარღვევა. ზარბაზან ტყვიამფრქვევთა ჭექა ქუხილი, ჯარისკაცთა თოფების წივილ ბათქანი არ შეწყვეტილა. სარგებლობდნენ ჯანლით, ნიადაგის უსწორ მასწორობით ქარბუქის მოზვავებით, ღამის სიბნელით, მაგრამ უშედეგოთ. იუნკერთა თვალები, ლეიტენანტ ანდრონიკაშვილის და მისი თანაშემწის გელაშვილის სიფხიზლე ყველაფერს დროზე ამჩნევდნენ და სროლით, უკუიერიშით, ხელყუმბარებით დიდი ზარალით უკუაგდებდნენ და არც ერთი ნაბიჯის დათმობას არ აპირებდნენ.



გრიგოლ ფერაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, **გურამ შარაძის** კერძო კოლექცია, თბილისი).

ტაბახმელის ამბების მოგონებისას ყველგან და ყოველთვის იუნკერთა სკოლის გმირობასა, თავგანწირვასა, უდრეკელობასა და მოვალეობის პირნათლათ შესრულებაზეა ლაპარაკი. ყველა ეს სინამდვილეა, ოღონდ სიმართლის დარღვევა იქნებოდა, რომ ყველა ამაში სკოლის უფროსის პოლკ. ალ. ჩხეიძის ღვაწლი დაგვეწყებოდეს. ყველაფერი, რაც ტაბახმელაზე ხდებოდა, მისი ხასიათის სიმტკიცის, დროული განკარგულების და მდგომარეობის სწორი შეფასების შედეგი იყო. სკოლა მის ჩანაფიქრს და ბრძანებებს უზადოდ ასრულებდა. ბრძოლის პირობები კი იუნკრებს მართლა ძნელი ჰქონდათ. საბრძოლო მოქმედებისთვის ეს 20-21 წლის ახალგაზრდები მომზადებული და დაკაჟებული არ იყვნენ. არც ტანთსაცმელი გააჩნდათ ომისთვის შესაფერი. თხელ საზაფხულო სამოსელზე თხელი, ხელოვნური ქსოვილისგან შეკერილი პალტოები ეცვათ. ცხვრის მატყლით მდიდარ ქვეყანას მათ ტანსაცმელში ერთი ღერო მატყლიც ვერ გაერიათ: სითბო მათ



იუნკერთა სასწავლებლის შენობა **მიხეილ რომანოვის** (მიხაილოვის) პროსპექტზე (იმპერიის დროინდელი საფოსტო ბარათი).

არ გააჩნდათ, სინესტით ადვილათ იყლინთებოდნენ. დღისით დასველებული ჩაცმულობა ღამით ფიცრებათ იყინებოდნენ და მოძრაობას და იარაღის მოხმარებას გვიძნელებდნენ, ოღონდ გულში იმდენი ძალა შეგვწევდა, რომ მომაკვდინებელ სიძნელეებისთვის ანგარიში არ გაგვეწია, თვალი არ მოგვეხუჭა და მტრის ყოველ მოძრაობას დროზე და სათანადოთ არ შევხვედროდით.

მოკლეთ, ჩვენ სულისკვეთებაზე ვერავითარი სიძნელე ვერ მოქმედებდა და მას ვერ გვისუსტებდა. სიკვდილზე არც არავის გვიფიქრია და არც შეგვშინებია.

ზუზუნებდნენ ტყვიები, წიოდნენ ირგვლივ ზარბაზნის და ხელყუმბარათა ნაფლეთები, ჩვენ კი სანგრებში ჩამალვას სანგრის პირას ფეხზე დგომას ვარჩევდით, შიგა და შიგ ჯანღი რომ ჩამონვებოდა, წრე შეგვიკრავს, სიმღერა და ცეკვაც წამოგვიწყია. ძნელი მოსაგონებელია, რასა ვმღეროდით მაშინ. მახსოვს ზოგიერთი მათგანი, როგორც: „ჰე, მუმლი და მუხასაო“, „ვარალო, რათ გინდა ქალი ლამაზი“, „ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „სულ არ წავალ მაგ სოფელში დილააე და რანინა, შენ რომ არ მეგულებოდე, დილააე და რანინა“. მერე ამას მოჰყვებოდნენ საცეკვაო სიმღერები ხმა მაღალი ტაშით და ვისიმე ცეცხლოვანი ლეკურით.

მდგომარეობის არა მცოდნეს ამ დროს რომ მოესმინა ჩვენი საქციელი, რას გაიფიქრებდა, რომ ყველაფერი ეს ცხარე ბრძოლების შუა ხდებოდა.

ამნაირი ცეკვა სიმღერა ტაბახმელის გარდა ხაშურშიაც მახსოვს. აქ მთავარსარდლის მატარებელი იდგა და ჯარებს ახალი შეტევისთვის ამზადებდა. იუნკრები სადგურისა და მთავარსარდლის დასაცავათ მიგვავლინეს. მტკვრის იქითა ნაპირიდან თოფების და ტყვიამფრქვეველთა სროლის ხმა მოდიოდა, ჩვენ კი სათანადო რიცხვის დარაჯების განწესების შემდეგ დანარჩენებმა კონცერტი გავმართეთ. ჩვენთვის ეს არც არავის უთხოვნია და არც აუკრძალია, რა ვიცოდით, რომ სწორეთ ამ დროს ჩვენი სათაყვანებელი მთავარსარდალი ვახტანგ გორგასლანის, გიორგი სააკაძის, მეფე ერეკლეს დარი მხედართმთავარი, მოკლე ხანში ახლად ფეხზე ამდგარ საქართველოს ზედი ზედ სამი ომი რომ მოუგო: ოსმალებთან, აზერბეიჯანელებთან და სომხეთთან, სწორეთ ამ დროს ცხოვრებაში უმძიმეს ტრაგედიას განიცდიდა.

აი, რას ამბობს იმ დროინდელ მდგომარეობაზე მთავარსარდლის ვაგონში მყოფი გენ. შტაბის ოფიცერი ვალიკო თევზაძე თავის ჯერ გამოუქვეყნებელ მოგონებებში:

„მთავარსარდლის მატარებელი ხაშურის სადგურზე გაჩერდა. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს პოზიციები ხაშურსა და სურამის მთებს შუა. ამასობაში მოვიდა ორი ქვეითა პოლკი თავის არტი-



გოლოვინის პროსპექტი (იმდროინდელი საფოსტო ბარათი).

ლერიით, გარდა არდაგანისა, მოვხსენით ოსმალეთის საზღვრიდან იმ იმედით, რომ ოსმალები არ შემოგვიტევდნენ. მეორე დღეს ჯარები უკუიერიშზე გადავიდნენ მარჯვენა ფრთის მტკერის მარცხენა ნაპირზე და მარცხენა ფრთის სურამის ქედზე დაყრდნობით. პოზიციები შეტევის განსახორციელებლათ მეტათ ხელსაყრელი იყო. ვმორიგეობდი შტაბში. ვიჯექი მთავარსარდლის სალონში ტელეფონთან. ნაშუაღამევს ტელეფონმა დარეკა. ლაპარაკობდა გენ. კონიაშვილი, რომელიც გენ. ჯიჯიხიასთან ერთათ გვარდიაში მსახურობდა. მთხოვა მომეხსენებინა მთავარსარდლისათვის, რომ გვარდიელებმა დაადგინეს, არ შეუტიონ მტერს. შტაბი და ჯარი იშლება და მათზე ზედგაელენის მოხდენის საშუალება არა მაქვსო. მოახსენეთ ეს მთავარსარდალს და მეც ამ წუთში მოვდივარ მასთან მოსალაპარკებლათო. მაშინვე გავაღვიძე შტაბის უფროსი გენ. ზაქარიაძე და მთავარსარდალი. მოვახსენე ტელეფონით მიღებული ცნობა.

ძნელი ასაწერია მთავარსარდლის აღელვება. ამ მოულოდნელმა ცნობამ გული მოსწყვიტა. ამდენი შრომა ჩატარდა უკუიერიშის მოსამზადებლათ. შესანიშნავი გარემოცვის პირობებში, უცაბედი დარტყმით მტრის დაძლევა უეჭვო იყო, შემდეგ თბილისის უკან დაბუნებას ეელარფერი ეერ შეაჩერებდა. გვარდიელების სამარცხვინო გაქცევამ ჩაშალა ბრძოლის ჩატარების შესაძლებლობა. მთავარი დარტყმა სწორეთ მათ უნდა მოეხდინათ დაჯგუფების მარცხენა მხრიდან. ცოტა ხნის შემდეგ გენ. ზაქარიაძე თავის ოთახში გავიდა. გენ. კონიაშვილი ჯერ არ მოსულიყო. მთავარსარდალი მეტათ ღელავდა, „აბა თევზაძე, თავის მოკვლა ღა დამრჩენია, არა?" მომმართა მე სევდიანი ხმით. შევწუხდი ძალიან. ვგრძნობდი, რა აზრები უტრიალებდა იმ დროს სარდალს. ის ხომ სამი წლის განმავლობაში უძლეველათ ჰპატრონობდა საქართველოს თავდაცვის საქმეს. ზედი ზედ მოიგო 3 ომი სამ მეზობელთან: სომხეთთან, ბოლშევიკებთან, ოსმალეთთან, ეხლა კი დამარცხება ელის. ეცადე მისი დამშვიდება. კიდევ გვაქვს ხომ ხელსაყრელი მოგერიებითი პოზიციები? გამარჯვების იმედი არ უნდა დაეკარგოთ მეთქი. მაგრამ ამის მიღწევა ადვილი არ იყო. შავი ზღვის პირამდის ასეთი ხელსაყრელი პოზიციები აღარსად იყო". ეს ბ-ნ თევზაძეზე უკეთესათ იცოდა თვით მთავარსარდალმა და ეს იყო, რომ მთავარსარდლის გულს ჯოჯოხეთური ტანჯვით ავსებდა.

რა ვიცოდით, რომ სწორეთ ამ დროს ასეთი დაჭიმული და ტრაღიკული მომენტი იყო მთავარსარდლის გულში, ჩვენ კი ახალგაზრდული უდარდელობით კონცერტი გვქონდა გამართული ცეკვა სიმღერებით მისი ფანჯრების წინ.. უსათუოთ ესმოდა ეს ყველაფერი და იქნებ ამ მოულენამ შეიტანა მის გუნებაში ცოტაოდენი დამშვიდება და თვითმკვლელობისგან ხელი ააღებინა..

დავუბრუნდეთ ისევ ტაბახმელის ამბებს. მოვიხსენიე, რომ მოზუზუნე ტყვიათა გარემოცვაში სანგრებიდან ამოვსულვართ, ნრე შეგვიკრავს და ცეკვა სიმღერები გაგვიმართავს.

თუ ამ ჩემ ნაწერს მკითხველი ეღირსება, ადვილათ წარმოიდგენს თუ რა სულისკვეთება განაგებდა ჩვენ ქცევასა და მოქმედებას. ტყუილათ იფიქრებდა ვინმე, რომ ადგილიდან დაგვძრავდა და მოგერიებით ხაზში შემოიჭრებოდა. საამისო ცდები კი მტრის მიერ არა ერთი იყო. არც მსხვერპლი გვაკლდა. ჩემს გეერდით, სანგარში ჩამალული თოფ ნინწაშვერილი იუნკერი ლოლუა დიდხანს ინვა უმოქმედოთ. რაკი გამოლაპარაკებაზე პასუხს არ იძლეოდა, ახლო მისულისას გულისტკივილით დავრწმუნდით, რომ მისი ახალგაზრდა სიცოცხლე ტაბახმელის მიწას შეეწირა. დასჭრეს ჩვენი მწყობრის უფროსი, ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი.. მე სხვა ამხანაგებთან ერთად წილათ მხვდა მისი ყუდრო ადგილზე გადაყვანა, ჭრილობის სახელდახელო შეხვევა და სასანიტრო პუნქტამდის მიყვანა.

უკან დაბრუნებისას მაღალი, გამხდარი, შავწვერ მოშვებული შუა ხნის ვაჟკაცი შეგვხვდა, თოფით ხელში მონინავე ხაზისკენ მიდიოდა. შეკითხვაზე, თუ ვინ იყო და სად მიდიოდა, გვიპასუხა: „რეზო ვარ გაბაშვილი, დამფუძნებელი კრების წევრი და თბილისიდან თქვენ საშველათ წამოვედიო".. მისმა დანახვამ, მისმა საქციელმა და გამოლაპარაკებამ დაჭიმულ მდგომარეობაში გული აგვიჩუყა. გვარამა ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა" მომაგონა. შუა ხნის ჭაღარა შერეულ, საზოგადო მოლვაწეს თავი არ ენანებოდა სამშობლოს სამსხვერპლოზე მისატანათ. თვალ წინ დამიდგა სცენა ვაჟა ფშაველას „ბახტრიონიდან", ზეზვას მიერ გაგზავნილი შიკრიკის დაძახებაზე ფშავლები ცხენებს რომ მიაგელვებენ შესაკრებ პუნქტისკენ, მათთან ერთათ ბახტრიონში გამაგრებულ თათართა ამოსაჟლეტათ. ავხედ დავხედე რეზოს, მინდოდა მის გამოხედვაში ფშავ-ხევსურთა მრისხანება ამომეკითხა, ის კი, უზომო გულკეთილობა ჩამდგარი ღიმილით და გაბადრული სახით შემოგვცქეროდა. იფიქრებდი ალბათ, ამას ადამიანის მოკვლა კი არა, ჭიანჭველის გაჭყლეტაც გაუძნელდებაო. მივასწავლეთ საუფროსოს სამყოფი და გზა განვაგრძეთ. რა დავალება მიიღო მან პოლკ. ჩხეიძისაგან და რა მოიმოქმედა ტაბახმელაზე, არ ვიცი. წაგებული ომის შემდეგ ის მთავრობასა და დამფუძნებელი კრების ზოგიერთ წევრებთან ერთათ საზღვარ გარეთ გაიხიზნა იმ მიზნით, რომ საქართველოს ბოლშევიკთაგან გამოხსნის საქმისთვის ემსახურა. რით ცხოვრობდა, ზუსტათ რას აკეთებდა, ჩემთვის უცნობია. წაკითხული მაქვს ფრანგულ ენაზე მისი მოკლე შრომა, სადაც ქართველთა და ხეთთა ნათესაობას ამტკიცებდა. მე-II მსოფლიო ომის დროს სათავეში ჩაუდგა ქართულ წითელ ჯვარს უცხოეთში. აგროვებდა შემოწირულობებს და შეძლებისდაგვარათ პატრონობას უწევდა ტყვეთ ჩავარდნილ ქართველ საბჭოთა ჯარისკაცებს, განსაკუთრებით დაავადებულთ და ქართველთა ერისკაცულ ოჯახობას, რომელნიც სრულიათ უსახსროთ ჩარჩნენ ბოლშევიკებისაგან მიტოვებულ ტერიტორიებზე.. ვგონებ, 90-95 წელს მიღწეული გარდაიცვალა და დასაფლავებულია პარიზში.

დავბრუნდით თუ არა რ. გაბაშვილთან შეხვედრის შემდეგ, მოწმენი გავხდით შემდეგი ვითარებისა: ჩვენს მარჯვენა ფრთაზე ჩვენი I მწყობრის პოზიციებთან ბოლშევიკთა მოზრდილმა ჯგუფმა მაღლობი გადმოლახა და „ურას" ძახილით იერიშზე გადავიდა თოიძის მწყობრზე, ლეიტ. თოიძე უკუიერიშით მიეგება. მტერმა ხელჩართული ვერ აიტანა და საფარს იქით დაბრუნდა, ბრძოლის ველზე კი დარჩა თვით თოიძისა, რამდენიმე იუნკერის და ბოლშევიკთა გვამები. მაშინ იყო, რომ ტაბახმელის სული და გული, ტაბახმელის მთავარი გმირი პოლკ. ალ. ჩხეიძე ბრძოლის მსვლელობას თვალს არ აშორებდა, ბრძანება გასცა მის გეერდით მდგომი ორი ზარბაზანი გამოეგორებინათ და პირდაპირი ცეცხლი გაეჩინათ. რამდენიმე ნიშანში ნასროლი ყუმბარა, ლეიტ. თოიძეს უკუიერიშთან ერთათ საკმარი გამოდგა მტრის უკან გასაბრუნებლათ. ერთი და ორი არ იყო ასეთი შემთხვევა ბრძოლის მსვლელობაში, მაგრამ იუნკერთა ხაზი ვერსად ვერ გაარღვიეს. ვერ უშველეს ამას ვერც ბაქოდან ჩამოყვანილმა კურსანტებმა, ვერც ბორის ძნელაძემ, რომელიც მათ მოუძღოდა და რომლის „დიდი დამსახურების" აღსანიშნავათ თბილისში, ალექსანდროვის ბაღში მისი ძეგლია აღმართული და ბავშვთა გასართობ პარკს ვაკეზე „ძნელაძის სახელობის პარკი" ეწოდა.[1]

ლეიტ. თოიაძისა და მასთან დაღუპულ იუნკერთა გვამები თბილისში ჩაასვენეს და მრავალ რიცხოვან საზოგადოების დასწრებით ქარულ მიწას მიაბარეს რუსულ მართლმადიდებელ „სობოროს" კედლებთან. არ ეგონოს ვინმეს, რომ იუნკერთა ასეულის და პოლკ. ჩხეიძის მოქმედებათა აღწერისას მავიწყდებოდეს თავდადებული და გაუტეხავი ბრძოლები ჩვენს მარჯვნივ მოქმედ ერთეულებისა.

[1] ბორის ძნელაძის ძეგლი ალექსანდრეს ბაღში 1930 წელს დაიდგა, მისი დემონტაჟი კი 1990-იან წლებში განხორციელდა. რაც შეეხება ვაკის ბაღშეთა გასართობ პარკს, ავტორს ეშლება, ბორის ძნელაძის სახელს 1976-იდან შაენაბადის მთაზე გაშენებული კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე ატარებდა და არა ვაკის ანუ გამარჯვების პარკი *(ლ. ც.)*.

Z cyklu Powieści walk gruzinów z tatarami (persami)
z wieku XVI. napisany 86 pat temu w r 1892
Bachtrioniá
Rozdział I, II

W górach zapada noc. Następuje cisza.
Przyroda szykuje się do spoczynku, ~~tymczasem~~
zrywa się burza, biją pioruny, morderczne
gromoty i ich wielkanocnie pontanowe
echa zagłuszą wszystko, pada nieustanny
deszcz. Oliwinie ~~pada~~ zamieniają się w
rwące potoki. Z wykrzykiem i szumem, tocząc
ogromne głazy, spadają do głębokich wąwozów
Trwa to niedługo. Wypogadza się niebawem i
spłukany obficie świat zabiera piękna i
uroku.

Pora wprowadzić czytelnika do
ruin starego ~~twierdzy~~ zamku na szczycie ostro
sterczącej ponad otoki i głęby skały.
Mieści się tam stara, zrecznie przez ówczesnych
ludność wzgórza i cmentarz bohaterów
z różnych walk stoczonych w dalszej i
bliższej przeszłości. Mogiły pokryte są
ogromnymi głazami. Głazy, odpadłych
z wyniosłych się ścian ~~zamku~~ twierdzy
pełno naokoło wszędzie.

Dziś a tym miejscu wypoczął odpoczął
i zgodnie ze zwyczajem winno tu być
cicho i wesoło, tymczasem:

Bachtriony - twierdza w Kachetii.

ვაჟა-ფშაველა, „ბახტრიონი“, თარგმანი ნიკოლოზ მათიკაშვილისა (სლმ. №28428-4-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი (მეორე რიგში, მარცხნიდან მეორე), **სოფიო ჩხეიძე** (ქალიშვილობაში – კვინიტაძე) (მესამე) და **ალექსანდრე ჩხეიძე** (მეხუთე) ყოფილ იუნკრებთან ერთად (**გიორგი მამალაძის** ფოტოალბომი, **დავით ყოლბაიას** კერძო კოლექცია, ვარშავა).

მაიორ ვალიკო თევზაძის თქმით ამ ნაკეთს იცავდა: „4 ქვ. ჯარის პოლკი, 4 გვარდიის ათასეული, მესანგრეთა ათასეული შესაბამისი არტილერიით და ცხენოსანთა ნაწილები გენერალ ანდრონიკაშვილის სარდლობით“. მიუხედავათ მრავალი ცდისა, ბოლშევიკებმა ადგილიდან ვერც ეს ნაწილები დაძრეს.

პოლკ. ალ. ჩხეიძემ მოუპოვა იუნკერთა სკოლას გმირთა სახელი და დიახ, რომ ღირსია პატივით მოხსენიებისა. დადგება ალბათ დრო და მომავალი ისტორიკოსი თავის ადგილს მიუჩენს სამშობლოსთვის დაღუპულ გმირთა შორის. უცხოეთში გახიზნული თვალს არ აშორებდა იუნკერთა ყოფას. ბინა ყოველთვის მათთან ახლოს ჰქონდა და მათ დავაჟკაცებასა, აღზრდასა და წრთვნას გულთან ახლოს იღებდა. ესე იყო ოსმალეთში, ბოსფორის პირას, ესე იყო ვარშავასა და რემბერტოვში პოლონურ „პოდხორუნჟთა“ სკოლის[1] ახლოს და შემდეგ ლვოვში, სადაც სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ერთ ერთი მისი შვილი მსახურობდა. ორი ტყუპი ვაჟის პატრონმა ორივენი ჯერ მე-II მსოფლიო ომის წინ დაკარგა. 1939 წელს გერმანელებთან დადებული ხელშეკრულების ძალით საბჭოთა ჯარები ლვოვში რომ შემოვიდნენ, გენ. ჩხეიძე დაატუსაღეს, საპყრობილეში მოათავსეს, მერე კი, როდესაც რუსებმა ლვოვი დატოვეს და საჩქაროთ დაიხიეს, ისიც თან წაიყოლიეს და გზაში სადღაც მოსპეს. უპატრონოთ და უსახსროთ დარჩენილი მისი მეუღლე, გენერალ კვინიტაძის და ქ-ნი სოფიო, ორ შვილ და ქმარ დაკარგული, ხანში შესული და სუსტი ადამიანი თურქესტანში გაგზავნეს ძროხების მწველავათ. მძიმე და უჩვეულო შრომა ვერ აიტანა, დაავათმყოფთა და საქართველოში დაბრუნების ნება მისცეს, სადაც მოკლე ხანში გარდაიცვალა. რაკი ვერც ტაბახმელასა და ვერც მის მარჯვნივ ბოლშევიკებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, სცადეს მოქმედების სიმძიმე გადაეტანათ სოლანლუღის მიმართულებით. ამ ნაკეთის ჯარებს სარდლობდა სახელგანთქმული და უძლეველი გენერალი მაზნიაშვილი. მაიორ ვ. თევზაძის მიხედვით მის განკარგულებაში იყო: „დაახლოებით 3 ქვ. პოლკი, სასაზღვრო ათასეული, დედა ქალაქის ტყვიამფრქვევთა ათასეული, არტილერიის ორი დივიზიონი, ჯავშნოსან ავტომანქანათა ერთეული და ჯავშნოსანი მატარებელი“.

[1] სამხედრო სკოლა *(პოლ.)*.





პოლონეთის არმიის ოფიცერი – **გიორგი ჩხეიძე** (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, **გიორგი კვინიტაძის** კოლექცია, თბილისი).





პოლონეთის არმიის ოფიცერი – **დავით ჩხეიძე** (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, **გიორგი კვინიტაძის** კოლექცია, თბილისი).

ტაბახმელის მაღლობებიდან, როგორც ხელის გულზე, ისე ჩანდა ბრძოლების მიმდინარეობა, განსაკუთრებით ღამ-ღამობით. ხელები გვექავებოდა და დახმარების სურვილისაგან თავს ძლივს ვიკავებდით, ზარბაზანთა ჭექა ქუხილში ჰაერში წითლათ მოელვარე ჭურვების და ტყვიათა სრიალს რომ ვხედავდით.

განსაკუთრებით ერთი ღამე იყო თვალთახედვაში, მეხსიერებაში და გრძნობებში ჩამწვდომი, როდესაც ბოლშევიკებმა შეაკეთეს ნაკლებათ დაზიანებული ხიდი და მტკვრის გადმოლმა ჯავშნოსანი მატარებელი გამოიყვანეს. მეორე დღეს ხელიდან ხელში გადადიოდა მთავარსარდლის ბრძანება, რომელიც იერიშის უკუგდებას გვაუწყებდა და ნაწილთა და უფროსთა მამაცობას გვამცნობდა. მას შემდეგ ბოლშევიკებს აღარც სოღანლულში განუახლებიათ ცდები თბილისში შემოჭრისა. ამბები, რომლებსაც ვწერ, ზუსტათ 64 წლის წინათ მოხდა, მას აქეთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მე-3-ედ შედის 20-წლიანთა თაობა. მათთვის წარსული ამბები ან სრულიათ უცნობია, ან გაყალბებული სახით მიწოდებული. ბოლშევიკების მტკიცებით, საბჭოთა ჯარმა დახმარება გაუწია საქართველოს მუშათა კლასს, რომლებიც, ვითომც მენშევიკური, კაპიტალისტური რეჟიმის მიერ დიდათ იყო შეჩაგრებული. მათი თხოვნით გააძევა ეს მთავრობა და დაუმკვიდრა ბედნიერება, სახელმწიფოს ბოლშევიკურ ოჯახში შეყვანით. სინამდვილე ასეთი იყო. საქართველომ ისარგებლა რევოლიუციის მიერ რუსეთში შექმნილი ქაოსით, გამოეყო მას, შექმნა დამოუკიდებელი რესპუბლიკა და შეუდგა მის მონყობას. საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც იურიდიულათ, ისე ფაქტიურათ სცნეს ევროპის ყველა სახელმწიფომ, ისევე როგორც აზერბეიჯანისა და სასომხეთისა. ესევე მოიმოქმედა საბჭოთა რუსეთმაც, ოღონდ შემდეგში გამოირკვა, რომ ეს ცნობა დროებითი და მოჩვენებითი სიცრუე იყო. მოიმოქმედეს ეს მისთვის, რომ ამ დროს პოლონეთთან ომში იყვნენ ჩაბმულნი და სხვაგან მდგომარეობის გართულებას ერიდებოდნენ. დაამთავრეს თუ არა პოლონელებთან ომი და ასე თუ ისე დაამშვიდეს მეფის დროინდელ გენერლებთან ბრძოლები, იბრუნეს პირი ხელახლათ საქართველოსა და კავკასიისკენ. რიგ რიგით დაიპყრეს აზერბეიჯანი და სასომხეთი და შეუდგნენ საქართველოზე გამოლაშქრებისთვის მზადებას.

მოხდა ისე, რომ საქართველოს გენერალურ შტაბს ხელში ჩაუვარდა საბჭოთა მე-XI ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის დაწერილებითი გეგმა, რომელიც გენ. შტაბის ოფიცრის, მაიორ ვ. თეეზაძის მოგონების მიხედვით შემდეგნაირათ გამოიყურებოდა.

„მე-XI ლაშქრის ნაწილები შეუტევდნენ საქართველოს:

1) ჩრდილო დასავლეთიდან გაგრა სოხუმის მიმართულებით.

2) ჩრდილოეთიდან მამისონის უღელტეხილით.

3) ვლადიკავკაზიდან დარიალის ხეობით.

4) აღმოსავლეთიდან კახეთის მიმართულებით.

5) სამხრეთ დასავლეთიდან ბორჩალოს მიმართულებით.

6) სამხრეთიდან ახალციხე არდაგანის მხრიდან“.

სწორეთ ამ გეგმის შესრულებას შეუდგნენ ბოლშევიკები 11/12 თებერვლის ღამეს. კავკასია ესაჭიროებოდათ მათ ერთის მხრივ, როგორც ნავთობით და ყოველგვარი ბუნებრივი სიმდიდრით მდიდარი ქვეყანა და მეორეს მხრივ, ხელსაყრელი სტრატეგიული დასაყრდენი ფლაცდარმი ოსმალებთან თუ სპარსელებთან კონფლიქტის შემთხვევაში.

ყოველგვარი მტკიცება, რომ ბოლშევიკებმა ქართველ მუშათა კლასის თხოვნით გაანთავისუფლეს საქართველო მენშევიკების ბარბაროსული ხელისუფლებისგან, სინამდვილეს მოკლებული მტკნარი სიცრუე და არაკია.

25 თებერვლის ღამეა. ტაბახმელაზე საშინელი ქარი ქრის, უხვათა პხვეტავს და პირში გვაყრის ხორხოშელასა და თოვლს. ამოავსო თოვლით სანგრებიცა და უსწორ-მასწორობანიც. თხელ ფარაჯებში გახვეულნი გაყინულნი გულდასმით ვდარაჯობთ მოკუთვნილ სივრცეს. ბუნების ბობოქარი მძლეთამძლეობა ჩვენზე ზედგავლენას ვერ ახდენს.

„მათიკაშვილი, სომხიანცი, ლომკაცი და ანდრონიკაშვილი ჩემთან!“ გადმოგვცეს ხაზით უფროსი იუნკერის გელაშვილის ბრძანება. „წახვალთ ნაკვთის საუფროსოში და იქ მიიღებთ შემდეგ ბრძანებას, უფროსი მათიკაშვილი“. მივდივართ, ქარბუქში მოძრაობა გვიმძიმს. ყოველ ფეხის გადადგმაზე თოვლში ვიფლობით. თოვლში მიმალული ტელეფონის მავთულები ფეხებში გვედება. ქარი დამაყრუებლათ ქშუის. ამ ბუნების საშინელებაში მხარი გვეცვალა. არ ვიცით, სადა ვართ

და სად მივდივართ. გეგონია, რომ მივიწევთ წინ, თურმე ადგილზე გვიტრიალია და ჩვენ ნაკვალევს გარშემო ვუვლით. არ ვიცი რა ბედმა, რომლის ალღომ მიგვიყვანა საუფროსოსთან. ალბათ ტელეფონის მავთულები დაგვეხმარა. ძლივს შევდივართ კარებთან მიყრილ თოვლში. ოთახში ნახევრათ სიბნელეა. გვახრჩობს პაპიროსის კვამლი. „კარგია მოხვედით“, გვეუბნება ვიღაც მაღალი ხარისხის ოფიცერი. ყოველ შემთხვევაში ეს პოლკ. ჩხეიძე არ იყო. „ტაბახმელის პოზიციებს ვტოვებთ და თბილისის გავლით მცხეთაში ახალ პოზიციებზე გადავდივართო. ეს ცნობა გადაეცით გვარდიის ათასეულის უფროსს, თქვენს გვერდით რომ უკავია პოზიციებიო. უნდა დატოვონ მათ თავისი პოზიციები და მცხეთაში გამოცხადდებიან, სადაც მიიღებენ შემდეგ ბრძანებას. აბა გაიმეორეთო, რაც გითხარით“, მიგვანიშნა საით უნდა წავსულიყავით. თქვენც ბრძანების შესრულების შემდეგ მცხეთაში გამოცხადდებით და იქ დაგხვდებათ თქვენი სკოლაო. აბა, თქვენ იცითო, გაგვამხნევა და ბრძანების შესრულება გვიბრძანა.

გარეთ გამაყრუებელი ქარი ისევ ბობოქრობს. თუ ყურში არ ჩავძახეთ ერთმანეთს, არა გეყსმის რა. მთავარია დანიშნულ ადგილს მივაგნოთ, მხარი არ შეგვეცვალოს, გზა არ აგვებნეს და მტრის ბანაკში არ ამოვყოთ თავი. ყოველ შემთხვევისთვის სასროლათ გამზადებული თოფები ხელში გვიჭირავს.. ოთხნი ვართ, არც ერთი 21 წელს გადაცილებული არ არის, ტანითაც დაბალნი და სუსტნი. ძლივს ვერევით გაყინულ, გაფშეკილ ფარაჯას და თოფს. ყველაზე ჯმუხი აგებულობისაა სომხიანცი, ქართველთა ერთგული და გულადი მებრძოლი, ყველაზე სუსტი ლომკაცია, თუმცა გვარი სანინაალმდეგოს მეტყველებს. დანარჩენებიც ჩხირებივით გამხდრები ვართ. მივარღვევთ ქარისგან გასწორებულ თოვლს, ორმოებში ვვარდებით. ერთმანეთს ვშველით, იქიდან ამოსვლისას ვიღლებით. ოფლი წურწურით ჩამოგვდის სახესა და ტანში. გაყინული სამოსი გალხვა და სინესტე ძვლებში გვეპარება. რამდენჯერმე შევამჩნიე, რომ წინ წანევის მაგიერ ადგილზე ეტრიალებთ. იმედი გვეკარგება, რომ დანიშნულ ალაგს მივაგნებთ. ყველას ბრძანების შეუსრულებლათ უკან დაბრუნება მიუღებლათ მიგვაჩნია. ვუმაგრებთ ერთმანეთს გულს და განვაგრძობთ სვლას. ბოლოს ერთმა ჩვენთაგანმა რაღაც საეჭვო კუნძები შეამჩნია. შავათ მოჩანდნენ თოვლში. საბედნიეროთ, ეს კუნძები ნაბადში გახვეული და ტკბილათ მთვლემარე გვარდიელები აღმოჩნდნენ. ერთმა მათგანმა ათასეულის უფროსთან მიგვიყვანა. ბრძანება გადავეცით, შეებით ამოვისუნთქეთ და დასაბრუნებელ გზას დავადექით. როგორც იქნა, ვძლევეთ წყვდიად სიბნელესა და გაყინულ ქარბუქს. საუფროსოში აღარავინ არის, კარებთან თოვლზე დაჭრილი ვაჟკაცი ასვენია, თავზე დამხმარე ადგას. კენესის, იხვეწება, ნუ დამტოვებთ ბოლშევიკების ხელში, წამიყვანეთო თან! სად და როგორ წაგვეყვანა? შესახვევი პუნქტი იქ აღარ იყო. ვერაფრით ვუშველეთ, ვერც დამამშვიდებელი რამე ვუთხარით. ვინ იყო? რა დაემართა? კოჯორიდან თბილისამდის მოკლე ბილიკებით მალე ჩამოვედით. თენდებოდა. ქუჩები და შენობები ჯანლით იყო მოცული. სიჩუმე სუფევდა. გარემოს ნისლის მოლურჯო ფერი გადაჰკროდა. რომელიღაც ეზოდან ცოცხიანი მეეზოვე გამობარბაცდა. შეკითხვაზე, ჯარებს ხომ არ ჩაუელიაო, გვიპასუხა, როგორ არა, კარგა ხანია ჩაიარეს და თქვენი სკოლაც შევამჩნიეო.

მივდივართ მშიერები, ჩაფიქრებულები, თავში ერთი აზრი გვიტრიალებს: რა მოხდა? რისთვის დავტოვეთ ტაბახმელა? რათ ვაძლევეთ მტერს თბილისს საჯიჯგნათ? ჩვენ ხომ ბრძოლა არ ნაგვიგია? შემდეგში მაიორ თევზაძის მოგონებიდან გავიგეთ, რომ ამის მიზეზი გვარდიელების უკადრისი მოქმედება ყოფილა. თურმე გენერალ მაზნიაშვილის მარცხენა ფრთაზე მოქმედ გვარდიელებს, რომელთაც გენ. ჯიჯიხია სარდლობდა, ფრონტი დაუტოვებიათ, მაზნიაშვილის მარცხენა ფრთა გაუშიშვლებიათ, მტერი სიცარიელეში შეჭრილა და ცხენოსანი ერთეულებით მცხეთისკენ მიმავალ გზის გადასაჭრელათ გაუწევია. ამას დამატებია ცნობა გენ. ანდრონიკაშვილიდან, რომ მის მარცხენა ფრთაზე შენიშნულია ცხენოსანთა ერთეულების მოძრაობა, რომელიც მცხეთისკენ მიმავალი გზის გადაჭრით და ზურგში მოქცევით გვემუქრებაო. სასწრაფოთ მომხდარა თბილისში სამხედრო საბჭოს სხდომა. გენ. კვინიტაძეს განუცხადებია: „არავითარი მარაგი მე არა მყავს, ორივე მხრივ გზას გვიჭრის მტრის ცხენოსანი ერთეულები. იძულებული ვიქნებით ბრძოლა თბილისში ვანარმოოთ ხალხსა და ქვეყანას მოწყვეტილებმა. ამ ვითარებაში სხვა გამოსავალს ვერა ვხედავ და იძულებული ვარ, უკან დახევის ბრძანება გავცეო“. თავდაცვის საბჭოს წინადადება მიუღია.

ჩვენ, უბრალო მხედრებმა საერთო მდგომარეობის და საფრთხის შექმნის შესახებ არაფერი ვიცოდით, გული გვტკიოდა და სატახტო ქალაქის დატოვებას ვერ ვეგუებოდით.

გავცდით ერევნის მოედანს,[1] რუსთაველის გამზირს, ბოზარჯიანცის[2] ქარხანას, დიდუბეს და წამოვეწიეთ მცხეთისკენ წესიერათ მიმავალ ერთეულებს. ჯარებს ზურგში მისდევდა და თავდასხმისგან იცავდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის თეთრ ჩოხებში გამოწყობილი ცხენოსანი ასეული. შეგვამჩნიეს, დაღლილები ვიყავით. მივდიოდით და სიარულში გვთვლემდა, რამოდენიმე მათგანი ჩამოქვეითდა და ცხენებზე შესხდომა შემოგვთავაზა. ცხენებზე შემჯდარნი ვხედავდით, როგორ მიდიოდნენ ერთმანეთის მიყოლებით ნესიერათ და დინჯათ ერთეულები. არც თბილისში და არც მცხეთის შარა გზაზე დიდი თოვლი არ იდო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მცხეთაში სკოლას რომ დავეწიეთ. მოვახსენეთ მიღებული ბრძანების შესრულება და ცოტა შვებით ამოვისუნთქეთ. მცხეთაში შემხვდა ჩემი უფროსი ძმა ძალვა. მოეკრიფა გარე კახეთში მოხალისეები, ბრძოლებში მონაწილეობა მიეღო და ახალ ბრძანებას ელოდებოდა. გაუხარდა იმასაც ჩემი ცოცხლათ ყოფნა. გადმომცა ვერცხლით მოჭედილი მსუბუქათ და კოხტათ ნაკეთები „ვინტოვკა“,[3] ეს მსუბუქია და მე შენსას ნავიღებო.



ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქარიანი ეროვნების ფონდი, გიორგი კეკნიტაძის კოლექცია, თბილისი).

სკოლა მცხეთიდან იმ ღამეს წასვლას არ აპირებდა, გავინთავისუფლე თავი და ნაველი მცხეთაში მცხოვრებ ჩემი ნათესავების ოჯახის სანახავათ.. ესენი იყვნენ გედევანიშვილები. მათ სახლის გვერდით დიდი მოძრაობა იყო. რამოდენიმე მაოსანი დედაკაცი თონიდან ცხელ ცხელ შოთებსა და ლავაშებს ყრიდნენ და ჯარისკაცებსა და გვარდიელებს ურიგებდნენ. სახლშიც ფუსფუსობდნენ, ოჯახის დოვლათს არჩევდნენ ზოგს ეზოსა და სარდაფში დასამალავათ, ტილოებსა და ნამჯაში ახვევდნენ, ზოგსაც თავიანთ სოფელ წეროვანში წასაღებათ ამზადებდნენ. მასპინძლის და მისი მეუღლის გარდა ოჯახში დამხვდნენ ჩემი დეიდაშვილები ლევანი და გოგლა ლეონიძეები. ცოტა ხნის შემდეგ მათ ალაყაფის კარებს გენ. სოსო გედევანიშვილი მოადგა მანქანით და მცირე ამალით. შეიპატიჟეს სახლში, პატივი სცეს და გზა დაულოცეს.. დამძინებოდა. შუაღამისას ზარბაზნის გასროლის ხმამ გამომაღვიძა.. საჩქაროთ წამოვხტი და სადგურს მივაშურე. სკოლა სადგურზე აღარ დამხვდა. გორისკენ გამგზავრებულიყო.. დავბრუნდი ისევ ჩემ მასპინძლებთან და მეორე დღეს გათენებისას მე, ლევან ლეონიძემ და რეზო გედევანიშვილმა ცხენებით სოფელ წეროვანისკენ გავწიეთ. ტრირიფონის გაშლილ მინდორზე ქარს თოვლის ზვინები აღემართა. თოვლით დაფარული გზა არა ჩანდა. აზელილ ნაკვალევზე ვატყობდით, საით უნდა გვეარა. გზა და გზა გვხვდებოდა თოვლში ჩაფლული დატვირთული დატოვებული საბარგულები, გვერდით გავუარეთ საკეტ ამოხსნილ ზარბაზანს. სჩანს, ცხენებმა ვეღარ ატარეს. იქნებ ეს ჩვენი სკოლის ქარუმიძის ბატერიიდანაც იყო. გვხვდებოდა მიტოვებული სამხედრო ხელსაწყოებიც...

ეს რაღა არისო, იკითხა რეზომ და ხელით გზის მახლობლათ თოვლში ჩაფლულ ცხვრის ფარაზე მიგვითითა. ჯგუფ ჯგუფათ ეყარა ყელთამდის ჩაფლული ცხვარი, ნაწილი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, მაგრამ სუსტი და დამშეული ნაბიჯს წინ ვეღარა სდგამდა. მიშველეთ რამე, თქვენი ჭირიმე, დავინვი ამათ ცოდვითაო, აზერბეიჯანის საზღვრიდან მშიერ მწყურვალები აქამდის მოვიყვანე და აქ მეღუპებიანო. რა ვქნა, რა ვიღონო, რით ვუშველო, შემოგვჩიოდა თვალებზე ცრემლ მომდგარი გაყინულ ხელებ ასავსავებული მეცხვარე. სოფელში რო გაივლით, ხალხს გააცანით ჩემი მდგომარეობა. მოვიდნენ ლასტიანი ურმებით, წაასხან ეს საცოდავი საქონელი,

[1] დღევანდელი თავისუფლების მოედანი (ლ. ც.).
[2] იგულისხმება ძმებ ბოზარჯიანცების თამბაქოს სანარშო (ლ. ც.).
[3] შაშხანა (რუს.).

არაფერი მინდა მათგან, მუქთათ, ოღონდ ამათ საცოდავობას არ ვუყურო. შეგეცოდა ისიც და ცხვრებიც. მოზუზუნე ქარი თოვლის ახალი ტალღებით ჰფარავდა და ულმობელ სიკვდილს უმზადებდა მათაც და მეცხვარესაც. დავპირდით და შევუსრულეთ თხოვნა. მახლობელ სოფლელებს გავაცანით ფარის ვინაობა. ალბათ რამენაირათ მიეხმარნენ.

ღამე გედევანიშვილების ოჯახში გავათარეთ და დილაადრიან მე და პროფ. ლევან ლეონიძე ფეხით გორისკენ გავუდექით. გზა და გზა ვგებულობდით, რომ სოფლებში ბოლშევიკთა აგენტები დაძვრებიან, ხალხს აჯანყებენ, მემამულეების და შეძლებულ გლეხთა დარბევას ჩასჩიჩინებენ, მაგრამ ხალხი გარინდებულია და მათ ლაქლაქს ყურადღებას არ აქცევსო.

გორში, რკინისგზის სადგურთან ოუნკერთა ასეულს ნამოვეწიე. გაიგო თუ არა პოლკ. ჩხეიძემ, ჩამორჩენილი იუნკერი დაბრუნდაო, დამიბარა და მკაცრი შეკითხვები მომაყარა. სად და რატომ ჩამორჩი სკოლასაო? საიდანა გაქვს ეს დაუერცხლილ კონდახიანი „ვინტოვკაო?“ რათ გაცვია ფეხზე სკოლის ფეხსაცმელის მაგიერ ეგ თბილი „ვალინკებიო?“[1] ტაბახმელაზე ფეხები შემომაძერა, გასათბობათ ცეცხლს მოუშვირე, მე სითბო არ მიგრძნია და ფეხსაცმელები კი ისე დაიხრუკა, სატარებლათ არ ვარგოდა და გზაში შეხვედრილ გლეხს გავუცვალე მეთქი. რა გზით დაბრუნდი ჩვენთან და გზაში ბოლშევიკები ხომ არ შეგიმჩნევიაო? ტირიფონის ეელისა, წეროვანის გამოელით და გზაში ბოლშევიკები არ შემიმჩნევია მეთქი. ამ ლაპარაკში ვართ და სადგურის წინ აღმართულ მაღლობიდან, მეორე მხრივ ხიდისთავს რომ გადაჰყურებს, შიკრიკი მოვარდა და პოლკ. ჩხეიძეს მოახსენა: „ხიდისთავში ბოლშევიკთა ცხენოსანი ერთეული შევიდა. თუ ისინი აი ამ გორას დაიკავებენ, სადგური საფრთხეში ჩავარდება და ჩვენ აქ აღარ დაგვედგომებაო“. სადგურზე იმ დროს მთავარსარდლის მატარებელი იდგა, რომელშიაც შტაბის აფიცრების გარდა მრავალი ერის კაცი იმყოფებოდა თავისი ოჯახობით. ალბათ დასავლეთისკენ მიემგზავრებოდნენ. ბევრი არ უფიქრია პოლკ. ჩხეიძეს, დამანება მე თავი და გვერდზე მდგომ სკოლის აფიცრებს უბრძანა: „სირბილით დაიკავეთ ეს გორა. არავითარ შემთხვევაში იქ ბოლშევიკები არ გააჭაჭანოთო“. სირბილით ავირბინეთ გორაზე და მის მწვერვალზე განვლაგდით.

ხიდისთავიდან გაშლილი წყობით ბოლშევიკთა მოზრდილი ცხენოსანი ერთეული გამოდიოდა. ჩვენ სროლაზე უკან გაბრუნდნენ, ჩამოქვეითდნენ და შენობებს აფარებულებმა სროლითვე გვიპასუხეს. ცოტა ხნის შემდეგ ახალი ბრძანება მოგვივიდა: „საჩქაროთ დაეშვით გორიდან, მოთავსდით მატარებელში, ხაშურისკენ მივდივართო“. ძლივს ჩავეტიენით ხალხითა და ბარგით გაჭედილ ეაგონებში და მატარებელიც დაიძრა. ხაშურში ლიანდაგისა, სადგურის გარემოსი და მთავარსარდლის მატარებლის დაცვა დაგვევალა.

ის, რაც ხდებოდა მაშინ მთავარსარდლის ვაგონში და ჩვენ მიერ მის ფანჯრის წინ გამართული ცეკვა კონცერტი ზევით მოვიხსენე.

მტკვარსა და სურამის ქედს შუა უკუიერიშისთვის გამზადებული ჯარების გამოსვლა, გვარდიელთა ღალატის და ბრძოლაზე უარის გამოცხადების გამო, ვერ განხორციელდა. ერთეულები ბათუმისკენ დაიძვრნენ. ხაშურში ერთს ჩემთვის გაუგებარ ვითარებას ჰქონდა ადგილი. პოლკ. ჩხეიძის ადგილზე არ ყოფნის გამო სკოლას მაიორი გარდაუხადე განაგებდა. შეეკრიფა უუფროსოთ დარჩენილი გვარდიელების და ჯარისკაცების ჯგუფი, ალყა შემოერტყა და ვითომც დეზერტირებს დახვრეტით ემუქრებოდა. ალბათ ეშინოდა, მშიერ მწყურვალმა და უპატრონო ჯ.კაცებმა ვნება არ მიაყენონ მთავარსარდალსაო. სინამდვილეში ესენი აღმოსაელეთ საქართველოდან წამოსული მოხალისეები იყვნენ, ბრძოლა სწადდათ და ნაცვლათ პატრონობისა, ერთეულებათ მონყობისა და გაძღოლისა, უსაბაბოთ ღალატსა სწამებდნენ და დახვრეტით ემუქრებოდნენ. ბათუმში გაურკვეველი მდგომარეობა დაგეხვდა. მოედნები, ქუჩები, სადგურის გარემო სავსე იყო ჯარებით. გვერდით კი იმავე ქუჩებში წითელ „ფესკებ“ დახურული[2] შეიარაღებული თურქთა პატარ პატარა რაზმები მიმოდიოდნენ. ზღვაზეც, სანაპიროსთან მოჩანდა ჯარისკაცებიანი თეთრ ილქნიანი ოსმალური მოზრდილი ნავები. მთის მწვერვალებზე მყოფ სიმაგრეებიდან სროლის ხმა მოისმოდა.

წესრიგის აღსადგენათ და ჯართა მორალის ასამაღლებლათ გენ. კვინიტაძემ აღლუმის ჩატარება ბრძანა. დაფაცურდნენ უფროსები. მოიყვანეს წესრიგში ნაწილები და ერთი მეორის მიყოლებით მის წინ სააღლუმო ნაბიჯით ჩაიარეს. ნაწილები ვაჟკაცურათ და სრულფასოვნათ გამოიყურებოდნენ, გეგონებოდა ამ ხალხს ომი კი არ უწარმოებია, აღლუმისთვის ემზადებოდაო..

---

[1] თექის ჩექმები *(რუს.)*.

[2] იგულისხმება ფესებდახურული. ფესი – ფუნჯიანი ქუდი ნაკეთილი კონუსის ფორმისა; გავრცელებულია მუსლიმანურ ქვეყნებში: მაროკოში, ეგვიპტეში, ალჟირში, თურქეთში და სხე. მაროკოს ქალაქ ფესის (Fez) სახელის მიხედვით *(ლ. ც.)*.

გვერდზე ქუჩაში მდგომი საზოგადოება აღფრთოვანებით შეჰყურებდნენ მწყობრათ მიმავალ ნაწილებს. სახეზე კმაყოფილების და იმედის გრძნობა აღბეჭდოდათ. ზოგნი ხმა მაღლა გამოსთქვამდნენ იმედს, რომ გენ. კვინიტაძე ამნაირი ჯარებით, ჰნახავთ, რომ ომის ბედს შეატრიალებსო.

აღლუმის შემდეგ ოსმალების ერთეულები სადღაც გაიკრიფნენ. ბათუმის სიმაგრეების დამცველნი ტყვიამფრქვევთა და ზარბაზანთა ცეცხლით ოსმალეთის ნაწილებს ზღვისა და ხომალდებისკენ მიერეკებოდნენ... მაიორ თევზაძის მოგონება გვაუწყებს, რომ მთავარსარდალმა ბათუმის ოსმალების ჯარებისგან გაწმენდა გენ. მაზნიაშვილს დაავალა. ამ საქმეში მას ბოლშევიკთა ჯარები დაეხმარებოდნენ და საერთო ძალებით ბათუმის ოლქს ოსმალებისგან გასწმენდნენ. ამ ბრძოლებში ჩემი ძმა შალვაც მონაწილეობდა თავისი მოხალისეებით. საუბედუროთ, მასთან კავშირის გაბმა იმ დროს შეუძლებელი იყო.

მაიორ თევზაძის ცნობით: საქართველოს დამფუძნებელ კრების უკანასკნელ სხდომაზე ბათუმში გადაწყვეტილა:

„მთავრობა საქართველოს სტოვებს. იხიზნება დასავლეთ ევროპაში, სადაც შეეცდება საქართველოს ბოლშევიკთაგან განთავისუფლებას პოლიტიკური ზომებით. მთავრობას მიჰყვება: მთავარსარდალი, ოფიცერთა და პოლიტიკურ მოღვაწეთაგან, ვისაც კი საქართველოში დარჩენის შემთხვევაში რაიმე საფრთხე მოელის... იუნკერთაგან ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია სამშობლო დატოვოს. საზღვარ გარეთ მთავრობა ზომებს მიიღებს მათ ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო სასწავლებლებში მოსაწყობადო".

ეს ჩვენ გამოგვიცხადეს და საფიქრებელშიც ჩაგვაგდეს. დავრჩეთ თუ წვიდეთ? დარჩენა მტრის სამსახურში ჩადგომას და სამშობლოს ღალატს უდრიდა. წასვლით იქნებ ევროპაში რამენაირათ უმაღლესი ცოდნა მიგველო და მომავალში, განთავისუფლებულ საქართველოში ცოდნით აღჭურვილნი დავბრუნებულიყავით. დაპირება, რომ იზრუნებენ ჩვენ სამხედრო სასწავლებლებში მოწყობაზე, უმნიშვნელო არ იყო. ზოგმა ჩვენთაგანმა სახლში დარჩენა ამჯობინა, გავინაწილებთო ქვეყნის ბედს და მშობლებსაც ხომ პატრონობა უნდაო. უმრავლესობამ სამშობლოდან გასვლა ირჩია. გადაწყვეტის ძიებაში ქუჩაში ორ სემინარიის დროინდელ ამხანაგს წავაწყდი. მიხეილ კიკნაძესა და ხაშმელ კოშორიძეს, ორივეს მოხალისეთა რაზმებში ებრძოლათ. ერთი მათგანი სანაპირო დაზვერვის ძრავიან ნავზე მოწყობილიყო და მასთან ერთათ აპირებდა სამშობლოს დატოვებას. მეორე, ხაშმელი კოშორიძე სახლში ბრუნდებოდა და უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა. მათთან თათბირმა დამარწმუნა, რომ ჩემი ევროპაში გასვლის გადაწყვეტილება სწორი იყო და ნავთსადგურისკენ გავწიე.

ნაპირიდან მოშორებით ზღვის მოლურჯო ტალღებზე მსუბუქათ ქანაობდა თეთრათ მოხასხასე უშველებელი გემი. მისგან ცოტა დაშორებით ქართული „ვესტა" და „მარია" იდგნენ. ერთ ერთს მათგანს მობმული ჰქონდა ორი სანაპირო დაზვერვის ნავი „ავთანდილი" და „ტარიელი".

ზღვა წყნარი და სუფთა იყო. გემებს ირგვლივ გამჭრიახი ჭყვიტინით თოლიები დასტრიალებდნენ. თუ რამე შეამჩნიეს, ზღვის პირზე ერთმანეთს მის დაუფლებაზე ეცილებოდნენ. სანაპიროზე უამრავი ხალხი ირეოდა. გემზე მოხვედრასა და საქართველოდან წასვლაზე ოცნებობდნენ ოჯახობითა და ბარგი ბარხანით. ნაპირს მრავალი ნავები მოსდგომოდა. ტვირთავდნენ და გემებისკენ მიჰქონდათ რაღაც საქონელი.

„აბა იუნკრებო, ნავებში ჩასხედითო", გამოაცხადა ვიღაცამ. ორ ნავში მოვთავსდით და რამდენიმე წუთში „მარიას" გემბანზე აღმოვჩნდით. თქვენთვის გემის უკანა ნაწილის სარდაფიაო განკუთვნილი. ძირს არავინ ჩავსულვართ, დავრჩით გემბანზე და მოაჯირს მიყრდნობილნი ბათუმს გავყურებდით... იქიდან ზარბაზნების გრგვინვა და ტყვიამფრქვევთა კაკანი მოისმოდა. ქალაქში აქა იქ რაღაც იწოდა. მეზღვაურები გემებს მომდგარ ნავებიდან საქონელს ღებულობდნენ და გემის მუცელში უშვებდნენ. ჭრიალებდნენ ჩარხები, ხშირათ გესმოდათ „ვირა" ან „მაინა", ესე იგი, დაბლა ან მაღლა ასწიეთო. იუნკრების სევდიანი სახეები ღრმა ჩაფიქრებას და სევდას იმჩნევდნენ. გვაწუხებდა ბათუმის ზედაპირზე ჭურვთა სრიალის და აფეთქების ხმა.

ვერ მეპატიებინა თავისთვის, რომ ჩემი გემში ჩაჯდომის ამბავი ბათუმში მებრძოლ ჩემ ძმას ვერ შევატყობინე. ტრილით არავის გვიტირია, მაგრამ გულს მოწოლილი სევდა მარყუჟივით სულს გვიხუთავდა და გვახრჩობდა. დიდხანს შუაღამემდის ვიდექით ხმა გაკმენდილნი, გემბანის მოაჯირს მიყუდებულნი. ვიდრე მეზღვაურებმა არ დაამთავრეს ხალხისა და ბარგის მიღება, ხრიალით არ ამოათრიეს და გემბანზე არ დაყარეს ღუზები. ამოქმედნენ მანქანები. შეტოკდა გემის სხეული. მოსწყდა ადგილს გემი და თანდათანი აჩქარებით ღამის წყვდიადში შეიჭრა. ეხლა ღა

მოგვაგონდა ჩვენთვის მოჩენილი გემის სარდაფი. დაღლილნი, მშიერნი და ნაღვლიანნი ჩავედით ძირს. ეს გემზე მსახურ მეზღვაურთა სამყოფი ყოფილიყო. პაპიროსის სუნით იყო გაჟღენთილი კედლების და ტახტის ფიცრები. არავითარი ნიშანი არ იყო იმისი, რომ ვისმეს ოდესმე ეზრუნოს ოთახის სისუფთავეზე. აქა იქა მიყრილ მოყრილი ქაღალდები, ჭუჭყიანი მჩერები, თევზით დაგროვილი პაპიროსების ნამწვავები. კარგა ხანი გავიდა, ვიდრე პაპიროსის სუნსა და ნაგავის სიუხვეს მივეჩვიეთ და ხმელ ფიცარზე ძილს მივეცით.

დილით ადრე წამოვიშალენით. ავცივდით გემბანზე, იქნებ ქართულ მიწისთვის ერთხელ კიდევ მოგვეკრა თვალი. ირგვლივ სუსტი ჯაბანი შემოგვკროდა. ნაპირი აღარა ჩანდა. გემები ერთი მეორის მიყოლებით მიშრიალობდნენ. უკან მისდევდათ თეთრათ აქაფებული ზოლი და გემებს გამობმული „ავთანდილი“ და „ტარიელი“. სუფთა ჰაერმა და ციმა ნიავმა გამოგვაფხიზლა. მხედველობა ზღვის ზედაპირმა და ირგვლივ მოქმედ მოვლენებმა გაიტაცა. გემს გეერდით ერთმანეთის გასწრებით მოსდევდა სხვა და სხვა ზომის ვერცხლოვანი თევზები, კამეჩივით შავი, ჩამრგვალებული, ლამაზ თვალება დელფინები. ჰაერში ტყლაშა ტყლუში გაჰქონდა მათ ზღვიდან ამოხტომებს, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო სიმაღლის მიღწევაში, თანაც გემის გასწრებას ცდილობდნენ ჯგუფებათ დარაზმულნი.

გემის წინამხრის დარბაზიდან ამომავალმა ახალი გამომცხვარი პურის სუნმა და ოშხმა სიმშილი მოგვაგონა. ჩვენ ხომ ისე ჩავსხედით გემში, რომ პურის პატარა ნაჭერიც არა გექონია.

ვინ უნდა იყოს ქვეყანაზე გემის მზარეულზე ბედნიერი მეთქი, ეფიქრობდი იმ დროს მე და ალბათ სხვებიც.

მიხვდნენ ალბათ ჩვენ გასაჭირს გემის მმართველნი და საუზმე შემოგვთავაზეს.

სამსუნის ნავთსადგურს რომ მივუახლოვდით, ნისლი ჩამოწვა, ბინდმაც თავისი ქნა და რა ხდებოდა ირგვლივ, ვერა ვხედავდით. არ ვიცი რატომ, გემ „მარიადან“ სხვა იტალიელების გემზე გადასვლა გვიბრძანეს. „ვესტა“ კი გზას განაგრძობდა. აქამდის არ მითქვამს და საჭიროა მოვიხსენიო, რომ საქართველოს მთავრობამ სამშობლო ჩვენზე ადრე დატოვა. იმ დიდ თეთრ გემით, ბათუმის ნავთსადგურში რომ იდგა და გზაში აღარც შეგხვედრია.

სამსუნიდან გამოსვლისას ნიავმა ნისლი გაფანტა და გემები შავ-ლურჯ ზღვის წყნარ ზედაპირს ერთი მეორის მიმდევრობით მიაპობდნენ.

ზღვის ხორიზონტზე შუქმა იელვა. ზღვიდან ყვითელი მოზრდილი ლაქა ამოტივტივდა, ნელ ნელა დამრგვალდა, მაღლა აიწია და ორ მრგვალ ყვითლათ განათებულ ბურთათ იქცა.. ერთი მაღლობისკენ მიიწევდა, მეორე ცეცხლში ჩაყვინთული ზღვის ზედაპირზე ტივტივებდა.

„მკრთალი ნათელი შორის მთვარისა, მშობელ ქვეყანას თავს დაჰფენოდა“. წამოიწყო სევდიანი ხმით, თითქოს ტირისო, ფარნაოზ ნაცვლიშვილმა თუ მიხაკო კიკნაძემ. ნელ ნელა მწუხარე ხმით გაუბედავათ აჰყვნენ მას სხირტლაძე, რატიშვილი, პატიკო თაყაიშვილი, დათა და ვალოდია ლაღიძეები და სხვებიც. სევდიანათ მორცხვათ დაწყობილი სიმღერა გულიდან ამონაბურ წუხილის სიმღერათ იქცა. გემის კანკალი, მანქანების დუგლუგი დაფარა. პირმოცინარე მთვარე კი ჩქარობდა მაღლისკენ სრბოლას, იქიდან ხომ მშვენივრათ ჩაიხედავდა საქართველოში, ჩვენ კი შევყურებდით ღრუბლებს შეჯიბრებულ მთვარის ფრენას და გეწამდა, რომ ჩვენ მზერას ასხლეტით საქართველოს გადასცემდა. ეუახლოვდებით ბოსფორსსაო, გაისმა ვგონებ ბათუმიდან გამოსულიდან მე-3-ე დილას. გამოვცივდით გემბანზე. თვალს იზიდავდა სრუტეში შემავალი ზღვის სივიწროვე, მარცხნივ მოსჩანდა რუხი ფერის კლდოვანი ნაპირი. იქით და იქით მაღლისკენ მიიწევდა და შორს ტყით დაფარულ მთაგრეხილებათ მოჩანდა. მარჯვნივაც, ევროპის მხარეზე იგივე მოსხეპით მაღლა ამართული კლდოვანი ნაპირი. შორიდან თვალს იტაცებდა მოხრეკილ ნაპირის თავზე, ზღვის მხრიდან მიუდგომელი ძველი ციხე სიმაგრე. მრისხანეთ გამოჰყურებდა შორიდან სრუტის წინ გადაშლილ სივრცეს. ბევრის მნახველია, ალბათ ეს ციხე ძველთაგან.

სრუტის შესავალთან გემმა ლუზები ჩაყარა და ნაპირიდან კარგა მოშორებით გაჩერდა. ვისარგებლეთ დროით და თოფის საკეტები, ვაზნები, სამხედრო მოწყობილობა ზღვაში გადავყარეთ. არ გასულა ბევრი ხანი და სტამბოლის მხრიდან გემს სურსათით დატვირთული პატარა ნავები მოადგნენ და სურსათის იარაღზე გადაცვლა შემოგვთავაზეს. შიმშილით შეწუხებული თანამგზავრები მუქთათ აძლევდნენ კონდახიან მაუზერებს, ნაგანებს და სხვა რევოლვერებს, ვერცხლით მოჭედილ ხანჯლებს. ჭოგრითებს, ხმლებს და სხვა იარაღს. კარგა ხანს გაგრძელდა ეს გაცვლა გამოცვლა, ბოლოს სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დანარჩენი იარაღი ჩაიბარეს და სტამბოლისკენ გზა დაგვილოცეს..

რომელ ქართველს არ აუძგერებს გულს პირველათ ამ მხარეში მოხვედრა? ჯერ თვით ბოსფორის ნაკეცი ფერდობები პატარ პატარა დასახლებებით, განსაკუთრებით ევროპის მხარეზე თვით კონსტანტინეპოლის სიახლოვე. ქართველებს და მის მტრებს ხომ არა ერთგზის გაუვლიათ ეს გზა კარგ და ავებედობით ხანებში. ამ გზით იცვლებოდა ურთიერთ შორის კულტურული და ეკონომიური კავშირი ბიზანტიასთან. ამ გზით ჰქონდათ საქართველოსთან კავშირი ათონის მონასტერში მოღვაწე ბერებს, ამ გზით უნდა ესარგებლა თორნიკე ერისთავს სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობისას. ეს გზა უნდა გაევლო გიორგი სააკაძეს თურქეთში გადასახლებისას. ამ გზით მიჰყავდათ სტამბოლის ბაზარზე საქართველოდან გატაცებული ახალგაზრდობა. ამ გზით ესტუმრნენ საქართველოს არგონავტები. შეიძლება პომპეუსის და ალ. მაკედონელის ჯარები. აქ იყო ერთ ხანს მიმწყვდეული შვედების ცნობილი მეფე კარლო მე-XII, აქ 1492 წელს დაამხეს თურქებმა ბიზანტიის იმპერია, დაიპყრეს კონსტანტინოპოლი,[1] მეჩეთათ აქციეს უდიდესი მართლმადიდებელთა ქრისტიანული ტაძარი,[2] მოკლეს ბერძენთა პატრიარქი.

მივიწევდით ჩვენი გემით კონსტანტინოპოლისკენ. გულში ათასი აზრი გვიტრიალებდა საქართველოს და ამ მიდამოს წარსულიდან. რაც ღრმათ მივიწევდით სტამბოლისკენ, მით ერთმანეთზე მიჯრილი დაბები მოსჩანდა, უმთავრესათ ხის მშენებლობა იყო, სიმწვანესა და ხეხილს მოკლებული. შიგა და შიგ მოზრდილი, ქვით ნაშენი სასახლეებიც მოსჩანდა. „აგერ ის ენვერ ფაშას სასახლეაო", გვიხსნიდნენ აქ ნავალი მეზღვაურები, აგერ კიდევ გადაყენებული სულთანის სასახლეო, მიგვითითებდნენ ზღვაში ღრმათ შემოჭრილ მარმარილოს უშველებელ შენობაზე. ოსმალეთი ამ დროს ორათ იყო გაყოფილი: ერთი ევროპის მხარეს სტამბოლთან ერთათ გამარჯვებულ ანტანტის განკარგულებაში იყო, მეორე აზიის მხარეს ანგორის ირგვლივ, ქემალ ფაშას თაოსნობით, ბერძნებთან ომში იყო ჩაბმული და ახალ ოსმალეთს უყრიდა საძირკველს. სულთანი თავისი რამდენიმე ცოლით და მცირე ამალით სტამბოლში ცხოვრობდა და საზოგადოებას კვირაში ერთხელ ენახვებოდა ცხენ და ცხენ, ამალით მეჩეთში გამოსვლისას..

„ოქროს რქის" ნავთსადგურში და ხიდთან ძრავიან დიდ-პატარა ნავთა და მოზრდილ იალქნიან გემებთა ტევა არ იყო. იდგნენ ადგილზე, ან აქეთ იქით დასრიალებდნენ. მათ ფუსფუსსა და მოძრაობაში კაცს თვალები უჭრელდებოდა.

დამთავრდა ჩვენი გემით მგზავრობა. გადაგვსხეს ძრავიან ნავში. იმავე გზით, თითქმის ბოსფორის სათავემდის დაგვაბრუნეს და საცხოვრებლათ დენიკინის ჯარების მიერ მიტოვებული ბანაკი მიგვიჩინეს. ორი თუ სამი კვირა ვიყავით აქ და შემდეგ გასნვრივ, ევროპის მხარეზე ბეიუკ ლიმანში გადაგვასახლეს. პირველი მსოფლიო ომის დროს აქ ორი კრუპის ქარხნიდან გამოშვებული შორს მსროლელი გრძელ ლულიანი ზარბაზანი იდგა და სრუტეში შემოსავალს იცავდა. ეხლა ორივეს საკეტები ჰქონდათ გამოცლილი და ლულები ნახევრათ აფეთქებული. ზარბაზნები სრუტის ნაპირიდან დაახლოვებით ხუთასი მეტრით იყო დაშორებული. მათ უკან, ორ ფერდობს შუა ორი შენობა იდგა. ერთი ქვიტკირისა ოფიცერთათვის, მეორე ფიცრული ჯარისკაცთათვის. ერთ ერთ ფერდობიდან ამ შენობების ახლოს ცივი ანკარა წყარო გადმოსჩქეფდა. ჩვენ, ე. ი. იუნკრები ფიცრულ შენობაში მოგვათავსეს, ქვიტკირისაში ერის კაცები ოჯახობით, სხვათა შორის სამეგრელოს უკანასკნელი თავადი კოკი დადიანი და სკოლის ოფიცრები.. ბანაკის მონყობას, ცხოვრების წესს და საერთოთ ბანაკზე მზრუნველობას პოლკ. ალ. ჩხეიძე განაგებდა სკოლის ოფიცერთა დახმარებით.

კვების მხრივ ამერიკული წითელი ჯვარი გვიწევდა დახმარებას. დაგვირიგეს პატარა ჯარისკაცული ქვაბები, გვაძლევდნენ დრო გამოშვებით ხმელ სურსათს: ბრინჯს, ქერისა და ხორბლის ღერღილს, მაკარონს, მუხუდოს, შაქარს. უნდა მოგვეკრიფა ხმელი ფიჩხი, რაც ადვილი საქმე არ იყო, რადგან ამ მიდამოებში არც ჯაგები და არც ხეხილი არ იყო და თვითეულს თავისთვის იმ პატარა ქვაბში მოგვეხარშა რაც მოგვეხერხებოდა. პურს ამერიკელების ხარჯზე მახლობელ დაბაში ვყიდულობდით და პატარა ნავით მოგვქონდა ბანაკამდის.

პოლკოვნიკი ჩხეიძე მეუღლითა და ორი ვაჟით ორ სართულიან ქვიტკირის შენობაში დაბინავდა, ზღვის მხრიდან ფერდობს ამოფარებულ ბილიკის პირას. იქიდან მშვენივრათ ჩანდა სრუტის დასაწყისი და მის წინ აბობოქრებული ზღვა.. ერთ მშვენიერ ჯანღიან ღამეს პოლკ. ჩხეიძეს ამ შენობაში ყაჩაღები დაეცნენ და იარაღისა და ძვირფასეულობის მიცემა მოსთხოვეს. პოლკოვნიკის

[1] კონსტანტინოპოლი თურქ-ოსმალებმა 1453 წლის 29 მაისს აიღეს, ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქად აქციეს და სტამბოლი უწოდეს, ოსმალეთის დედაქალაქი იყო 1923 წლამდე (ლ. ც.).

[2] იგულისხმება აია-სოფიას (ასევე პაგია-სოფია) ტაძარი, ამჟამად აია-სოფიას მუზეუმი (ლ. ც.).

ერთმა შვილმა მოახერხა ფანჯრიდან გადმოხტომა, მოვარდა ჩვენთან ამბის საცნობლათ. გაეშურენით საშველათ ვინც როგორ ვიდექით. ოსმალო ჯარისკაცმა, რომელიც ჩვენთან ცხოვრობდა და აფეთქებულ ზარბაზნებს იცავდა, თოფის სროლით განგაში ატეხა და ალბათ ამით გაფრთხილებული ყაჩაღები ჩვენ მისვლამდის საჩქაროთ გამქრალიყენენ, მოესწროთ ოღონდ ნაღოთ მამა პაპეული ძვირფასი, მრავალ ბრძოლათა მნახველი ხმალი.

ბეიუკ ლიმანის ცხოვრება შემდეგნაირათ აეწყო: რაკი ზღვა თავის პატარა ნავთმისადგომით ჩვენი ბანაკიდან 200 მეტრითაც არ იყო დაშორებული, ვსარგებლობდით მის სიახლოვით და მთელ დღეებს ზღვის პირზე ვატარებდით. ზღვიდან სტამბოლისკენ მიმავალ გემებს შეეყურებდით, იქნებ ზოგი მათგანი საქართველოდან მოემგზავრება და თვალი მაინც მოვკრათო. რაც უნდა წყნარი ყოფილიყო ბოსფორი, ზღვა სრუტის შემოსასვლელთან მუდამ ღელავდა. ქუხდნენ და გრგვინავდნენ ერთმანეთს და კლდეებს მინახეთქი ტალღები და ქაფის თეთრი ზოლით ქარაგავდნენ აზია-ევროპის კლდის პირებს. საინტერესო იყო, ღელვის მომლოდინე ევროპიელთა სამხედრო ხომალდები ერთმანეთის გასწრებით სრუტიდან ზღვისკენ რომ მიეშურებოდნენ. ხშირათ დაუბორიალებიათ მათ ზღვაში მოზრდილი თევზები. ცხადია, მათ გამოტანას ვცდილობდით. ზოგიერთ ჩვენგანს და მეც მათ შორის ყინვებისგან დამძრალი ფეხები აღმოაჩნდათ. ექიმი არა გვყავდა, რომ საშველათ მიგვემართა. საბედნიეროთ, ზღვის წყალი თავის შემადგენელი ნივთიერებებით მოსწრებულ მალამოთ აღმოჩნდა. მოკლე ხანში წყალჩამდგარი ბურთულები გაგვიქრა და კუნთებმა მოძრაობის უნარიანობა დაიბრუნეს.

სტამბოლი იმ დროს სავსე იყო რუსი ემიგრანტებით. გაჭირვებაში მყოფნი ყოველგვარ სამუშაოს ეტანებოდნენ და ყოველგვარი ჩვენი ცდა სამუშაოს შოვნისა უშედეგო გამოდგა.

საბედნიეროთ, საიდანღაც გაჩნდნენ ჩვენ ბანაკთან პატარა ნავიანი ბერძნები. შემოგვთავაზეს ამ ნავების ზღვის ქვიშით ტვირთვა. სიამოვნებით დავთანხმდით. სამუშაო მძიმე იყო და ხელფასიც მცირე. ქვიშით ტომრები უნდა აგვევსო და ზურგით ბაქანს მომდგარ ნავამდის მიგვეტანა და დაგვეცალა. ხელს და ზურგზე ტყავი გვძვრებოდა, მაგრამ დილიდან საღამომდის ვტვირთავდით ამ ნავებს, რომ ცოტა ფული გვეშოვა რომ სტამბოლის ბიზანტიის დროინდელი არქიტექტურა, მუზეუმები, მეჩეთები, მეჩეთათ გადაკეთებული „აია სოფია“, აზიისა და ევროპის მხარე დაგვეთვალიერებინა. გაგვართო ამან და ოდნავ შეგვიმსუბუქა ყოფა, მაგრამ სამშობლოს დაკარგვის სევდას როგორ გააქარწყლებდა. დაგვანყდა თვალები ზღვიდან სრუტეში შემომავალ გემთა ყურებიდან. ამაო იყო იმედი მათგან რაიმე ამბის გაგებისა.

ერთხელ ბოსფორზე განსაკუთრებული ქარიშხალი ადგა.. შემოჭრილმა ჯანღმა მხედველობა შეზღუდა. დაბნელდა. კლდოვანი ბოსფორის სიახლოვის გასაფრთხილებლათ უქმად მშუქავ ფანრების გვერდით საყვირები აამოქმედეს. ქარმა ჩვენ ბინას სახურავი აახადა და ზღვაში გადააგდო. ორთავე ფერდობიდან მოგლეჯილი ქვა და ღორღი გადმოგვაყარა უამრავი მორიელებით, რომლებიც თურმე იმ ფერდობებში უხვათ ბინადრობდნენ. სიბნელის გამო ვერა ვხედავდით, რა ზომის ტალღები ასკდებოდნენ კლდეებს სრუტეში და მის შემოსავალში მხოლოთ ტალღათა ტყლაშა ტყლუშიდან და დიდი სიმაღლიდან მოსხლტილ კლდეთა გრგვინვიდან ვხვდებოდით, რომ აქაც და განსაკუთრებით სრუტის შემოსავალთან ჯოჯოხეთი ტრიალებდა და აქ შავი კი არა, შავზე შავი ზღვა ბობოქრობდა. რამდენიმე დღე გასტანა ქარიშხალმა და ღელვამ, ბოლოს ნელ ნელა ქარიშხალი დამშვიდდა, ჯანღი გაქრა, ნაპირები ტალღების მიერ გადმოყრილი ძველათ დაღუპული ნავების და გემების ნარჩენებით, სხვა და სხვა ზომისა და ფორმის ფიცრისა და რკინის ყუთების ნამტვრევებით წყვილ წყვილათ დაღუპული ლამაზი დელფინების გვამებით, დახოცილი თევზებით და უამრავი ფერადი ქვებითა და კენჭებით დაფარა. ბოსფორი დამშვიდდა, ოღონდ მის შემოსავალთან არაფერი შეცვლილა, ისევ ეხეთქებოდნენ ნაპირებს უზარმაზარი ტალღები და კლდიან კედლებს თეთრი ქაფის მაღალი არშიით ამკობდნენ.

წავალ ბოსფორის ქიმზე. იქიდან გადავხედავ, რა ხდება ზღვაზე. საქართველოსკენ გავიხედები, იქნებ იქიდან მობერილი ნიავი მომელამუნოს მეთქი. საცალფეხო კლდოვანი ბილიკი მაღლისკენ მიიწევდა, ბოლოს ივაკებდა და იმ მრისხანე ციხესთან მიდიოდა, ევროპის მხრიდან ბოსფორის შემოსავალს რომ ჰპატრონობს, რომელიც ზემოთაც მოვიხსენიე.

მთელი ზღვის სანაპიროს მაღლობი პირველი ომისდროინდელი ღრმა სანგრებით, მავთულის ხლართებით, შენიღბული მგლის ორმოებით და სადარაჯო პუნქტებით იყო დაფარული. ზღვა თითქოს ერთბაშათ აპირებსო ვიწრო სრუტეში შეჭრას, ბობოქრობდა, ტალღების ტყლაშა ტყლუ-







ქართველი მხედრები კონსტანტინოპოლში, 1921 (**გიორგი მამალაძის** ფოტოალბომი, **დავით ყოლბაიას** კერძო კოლექცია, ვარშავა).



ქართველი მხედრები კონსტანტინოპოლში, 15 ოქტომბერი, 1922 (**გიორგი მამალაძის** ფოტოალბომი, **დავით ყოლბაიას** კერძო კოლექცია, ვარშავა).



ქართველი მხედრები პოლონეთში გამგზავრების მოლოდინში, კონსტანტინოპოლი, 12 ნოემბერი, 1922 (**გიორგი მამალაძის** ფოტოალბომი, **დავით ყოლბაიას** კერძო კოლექცია, ვარშავა).

შით კლდოვან ნაპირებს ანგრევდა.. ცივ გომბორის კალთებზე ჭექა-ქუხილს მიჩვეულს ეს ზღვისა და კლდის ჭიდილი განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრიდა და აქაფებულ მორევისთვის თვალი ვერ მომეშორებინა.

საინტერესოა და ჩემი ყურადღება მიიპყრო აქაური მეთევზეების თევზის ჭერის წესმა. დაახლოებით ადრე შემოდგომისას უამრავი და სხვადასხვანაირი თევზი ცდილობს შავი ზღვიდან ბოსფორით მარმარილოს და ადრიატიკის ზღვისკენ გადაინაცვლოს. ზღვაში გაფენით მიმავალი თევზი სრუტესთან იკუმშება და წყალს თავისით ავსებს. თვალნათლივ ჩანს, როგორ მიიწევენ ნელი მოძრაობით ერთმანეთს მიკრული დიდპატარა თევზები. ვედრო რომ ჩაყოს ვინმემ ამ დროს წყალში, თევზებით სავსეს ამოიღებს მაღლა. სრუტეში რამოდენიმე კილომეტრის სიგრძეზე მეთევზეთა საწარმოებია და მათი გულუხვათ გაბმული მავთულის ქსელები, რომლებზედაც ახმობენ გამოშიგნულ თევზს. თვით თევზის ჭერა შემდეგნაირათ გამოიყურება: ნაპირიდან კარგა მოშორებით უშველებელი ბოძებია ზღვაში ჩარჭობილი ოთხკუთხი ფორმით. ბოძების გვერდებსა და ფსკერზე მიმაგრებულია ბადეები, ფსკერის ბადე მოძრავია, ნორმალურათ ფსკერის ბადე დაბლაა ჩაშვებული, რო თევზს შესვლა გაუადვილონ. შესავლის ბოძებზე ორივე მხრივ თვალ-ყურის მდევნელი მეთევზეებია მოთავსებული. შორიდან იფიქრებ, ეს ჩამოხრჩობილები ჰკიდიაო. ამათ გარდა ყველა სანარმოოს კლდიან ნაპირის თაეზე თავისი ყარაულები უყენია. მაღლიდან ისინი კარგათ ჰხედავენ თევზის მოძრაობას და თავის დროზე ყვირილით ამცნობენ ბოძებზე ჩამოკიდებულ მეთვალყურეებს, ჩაკეტონ შესავალი. ესენიც ასწევენ მაღლა ბადეებს, შესულ თევზს ჩაჰკეტავენ. შემდეგ შეცურდებიან ნავებით და გამოაქვთ ნაპირისკენ უამრავი სხვა და სხვა გვარი დიდ პატარა თევზი.

ამ თევზაობის და ომის დროინდელ სამხედრო ნაგებობათ თვალიერებაში მივაღწიე ბოლოს ძველ სიმაგრეს და დიდხანს ვუცქირე თვალ წინ გადაშლილ წარმტაც სურათს, რაც ზევითაც მოვიხსენიე. შორეთით გართულმა ვერც კი შევამჩნიე, რომ ჩემს დაბლა სიცოცხლე დუღდა.. ზღვაში ჩაწოლილ კლდის ნაგლეჯებს წყნარი, მოზრდილი ტბა შემოეღობათ.. ათიოდე მეთევზეს ნავები ტბის ნაპირებზე დაეჯგუფებინათ და ალბათ სათევზაოთ წესრიგში მოჰყავდათ. მათი ლაპარაკის ხმა ზღვაზე ტალღათ ღრიალში ჩემამდის, 200-ამდი მეტრის სიმაღლეზე ძლივს აღწევდა. სადა ვარ და რასა ვხედავ? გავიფიქრე. ეს ხომ ფატმანის სასახლეა, თავის სასახლის ერთი ფანჯრიდან რომ ჰხედავს, როგორ უახლოვდება ტბას კიდობანი შავი ზანგებით და მზეთუნახავი ნესტან დარეჯანით. თუ ამ სასახლეს აქვს რამე ზღვაში ჩასასველი გვირაბი, ხომ ადვილია ზანგებისა და ნესტან დარეჯანის ხელში ჩაგდება. თუ რომ ამ ადგილას შოთა რუსთაველი ოდესმე მოხვედრილა, რასაც ადასტურებენ ქართველი მკვლევარები, ხომ შესაძლებელია, რომ ფატმანის მიერ ნესტან დარეჯანის ხელში ჩაგდება სწორეთ აქ განისაზრა და აღწერა შოთა რუსთაველმა.. რა იყო აქ ძველათ? სასახლე თუ ციხე? რა როლს ასრულებდა ის მაშინ? აქ ხომ არ ჩერდებოდნენ სტამბოლის ბაზრისკენ მიმავალი გასასყიდი ტყვეებით დატვირთული გემები? დიდ ხანს ვუყარე ირგვლივ ამ ციხეს საქართველოს დუხჭირ ბედზე დაფიქრებულმა.

ვბრუნდებოდი ნანახით აზროვნება დამძიმებული და ჩაფიქრებული. ბანაკის ეზოდან ხმა მაღალი ლაპარაკის ხმა მომესმა. იუნკრები ერთ ადგილას დაჯგუფებულიყვნენ, წრე შეეკრათ, რაღაცას ჩასჩერებოდნენ და ხმა მაღლა რაღაცაზე ბჭობდნენ. დამაინტერესა, რა ჰქონდათ ისეთი საინტერესო. მივუახლოვდი და აი, რა ვნახე: დაუჭერიათ სადღაც მოზრდილი მორიელი, ყაზარმის ნანგრევებსა და ხევის ფერდობებში რომ უხვათ ბუდობდნენ, დაუსვიათ მიწაზე, ირგვლივ ანთებული მუგუზლები შემოუწყვიათ. მორიელი გაფაციცებით ეძებს გამოსავალს, დარბის ამ ირგვლივ მუგუზლებით შემოფარგლულ წრეში. ეტყობა, აწუხებს ცეცხლის სიმწვავე. ჩემი ამხანაგები თანდათანობით წრეს უმცირებენ, საფრთხეში ჩაყენებული მორიელი, კუდში რომ შხამიანი ისარი აქვს, იმით მოიკლავს თავსა და ამის ნახვა გვინდაო.. შემეცოდა სანყალი, უმწეო მორიელი. ისიც ხომ ცოცხალი არსებაა, ტკივილს და ტანჯვას ადამიანივით განიცდის. დავგმე გულში ეს საქციელი, მაგრამ ვინ დაგანებებს, რომ შვება მიუტანო? კარგა ხნის წვალების შემდეგ ისე მიუახლოვეს მორიელს მუგუზლები, რომ გასაქანი აღარა ჰქონდა, ასწია მაღლა კუდი, მოკაკვა თავისკენ და შხამიანი ისარი ღრმათ თაეში ჩაირჭო. გათავდა მისი სიცოცხლეც და ტანჯვაც. ადამიანი ყველა სულიერზე უსამართლო, ულმობელი და ბოროტია მეთქი, გავიფიქრე გულში, თუკი მას სიამოვნებას ჰგვრის განწირული მსხვერპლის აუტანელი ტანჯვა.


აბა, მაშ რა ითქმის ასეთ სურათზე, რომელიც თუ სინამდვილეში არა, ტელევიზიის გადაცემით ყველას უნახავს? დარბაზი სავსეა მაყურებლებით, მხიარულათ ბაასობენ, ტკბილეულობას

შეექცევიან, ელიან სანახაობის დაწყებას, ღელავენ, ტაშის ცემით მოუხმობენ სანახაობის დაჩქარებას. ფარული შემოსავლიდან[1] სცენაზე ტკივილით გამწარებული ნაპატიები, ლამაზი, მოზრდილი მოზვერი შემოვარდება. კისრისა და ბეჭის არეში ღრმათ ჩასმული აქვს შუბები, ჭრილობებიდან სისხლი სჩქეფს. მას წინ გლადიატორი აღემართება და წითელი ქსოვილის ქნევით აღიზიანებს ცხოველს. მაყურებლები უძლურის მტანჯველს კმაყოფილებითა და ტაშით ეგებებიან. მოზვერის მოქანცვის და სისხლიდან დაცლის შემდეგ გლადიატორი პოულობს დროს შუბით სასიკვდილო ჭრილობის მისაყენებლათ. სიხარულია, ჟრიამული და ტაშის ცემით ეგებებიან გამარჯვებულს, მომაკვდავ, ბუნებით კეთილ მოზვერს კი ვერ გაუგია, რა დაემართა ადამიანს – თუ აქამდის უვნებდა, აპატიებდა, ეალერსებოდა, ეხლა რატომ უსპობს მას სიცოცხლეს, სუსტსა და უდანაშაულოს, ბოროტათ და დაუმსახურებლათ?

დავუბრუნდეთ ისევ იუნკერთა წარსულს. სამშობლოს მოწყვეტილ, ენერგიით სავსე ახალგაზრდობას სევდა არ შორდებოდათ. გულჩათხრობილნი, ჩაფიქრებულნი დადიოდნენ ბანაკის ეზოში და კითხვაზე: რათ ჩავეარდით ასეთ ვითარებაში? რათ დავკარგეთ სამშობლოს დამოუკიდებლობა? პასუხი ვერ მოენახათ. ფიქრობდნენ ამ საკითხზე თვითოობრივ და ჯგუფებში. ბევრი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრიც გამოუთქვამთ. უმრავლესობას მიაჩნდა, რომ საქართველოსთვის ამ ისტორიულ მნიშვნელობის ხანაში მისი მაგრობა საჭირო და დროისთვის შესაფერ სიმაღლეზე არ აღმოჩნდა. მის მიერ სახელმწიფოს მშენებლობისთვის აღებული გზა ყალბი იყო და მაენებელი. ნაცვლათ იმისა, რომ შეექმნათ ტრადიციული, ეროვნულ სანყისებზე დაყრდნობილი სახელმწიფო, ისე როგორც, ვთქვათ – ოსმალეთი, ფინეთი, ბალკანეთის სახელმწიფოები და სხვები, ეზრუნათ ეროვნული ჯარის შექმნისთვის მცხოვრებთა ერთსულოვნების გაღვივებასა და პატრიოტულ გრძნობების განმტკიცებისთვის, ხალხს ყველა ქვეყნის პროლეტარებთან შეერთებისკენ მოუწოდებდნენ, სახელმწიფოს შიგნით კლასთა ბრძოლას ჩაპკრკიტებდნენ, მცხოვრებთა ერთმანეთზე მისევით საერთო ძალას ჰქსაქსავდნენ და ასუსტებდნენ. ძლიერი, კარგათ შეიარაღებული ჯარის შექმნის მაგიერ პარტიული ჯარის, გვარდიის პრივილეგიას ამჯობინებდნენ. მის ოფიცრობას უკეთეს პირობებში აყენებდნენ, ომებში გამოცდილ და ნიჭიერ ოფიცრობას ჯარის მოწყობას არ ანდობდნენ. აი, თუნდაც მოპყრობა გენ. კვინიტაძესადმი, ადამიანს, რომელმაც არა ერთხელ იჩინა თავი საქართველოს გაჭირვების დროს, რომელმაც სამი წლის განმავლობაში ზედიზედ სამჯერ მოიგო ომი ოსმალებთან, აზერბეიჯანიდან შემოსეულ რუსებთან და სასომხეთთან, საშუალება არ მისცეს, ჯარის მოწყობაზე ეზრუნა. გაჭირდებოდა საქმე თუ არა და მტრის მახვილი მათ კისრებს დაემუქრებოდა, თხოვნით მიმართავდნენ, მთავარსარდლობა ეკისრა. გაიმარჯვებდა და მტერს საზღვარს იქით გადარეკავდა თუ არა, სასწრაფოთ თავიდან იშორებდნენ და ჯართან კავშირს უკვეცავდნენ. ვერც მთავრობამ, ვერც გვარდიელებმა ალღო ვერ აუღეს, ან არცა სურდათ ალღო აეღოთ იმდროინდელ საქართველოს ირგვლივ შექმნილ პირობებს. სახელმწიფოს დაცვის ერთიან ძლიერ ჯარზე დაყრდნობის მაგიერ სოციალურ პირობათა შენებას მიჰყვეს ხელი და თავისი საქმიანობით ნიადაგს უმზადებდნენ ბოლშევიკთა შემოსვლას და გამარჯვებას, რომლებიც იმავე დაპირებებით მოინევდნენ, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებდა. ამიტომ იყო, რომ ქვეყნის ყოფნა არ ყოფნის გადამწყვეტ წუთებში თავდადებული და მტკიცე ომის მაგიერ გვარდიელებმა განზრახ გააშიშვლეს სოღანლუღის ფრონტის მარცხენა ფრთა და აიძულეს მთავარსარდალი, ჯარებით თბილისი დაეტოვებინა და მცხეთისკენ გადანაცვლებულიყო. მეორეთ იმავე გვარდიელებმა უარი უთხრეს მთავარსარდალს უკუიერიშში მონაწილეობაზე, რომელიც ხაშურის რაიონიდან უნდა განხორციელებულიყო. ამან ხომ საბოლოო მარცხი და ჯართა (უგვარდიელებოთ) ბათუმში გადანაცვლება გამოიწვია. ერთი სიტყვით, ჩვენმა ყოფილმა მთავრობამ მოუმზადა ბოლშევიკებს გამარჯვების პირობები და უმტკივნეულოდ გადასცა მათ ქვეყნის ბედი.

ასეთი იყო უმთავრესობის აზრი ურთიერთ შორის აზრთა გამოცვლისას. იყვნენ ისეთებიც (დიდი უმცირესობა), რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს რუსეთიდან გამოგლეჯა ადვილი არ არის. მათთვის დაუფასებელია საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები: ნავთი, ქვანახშირი, მარგანეცი, სპილენძი, ვერცხლი, ანდეზიტი, მარმარილო, მიწის გაზი და თვით კავკასიის და საქართველოს ტერიტორია, როგორც ჯართა დაჯგუფების და ომისთვის მზათმყოფის ადგილი ოსმალებთან თუ სპარსელებთან ურთიერთობის გამწვავების პირობებში.

[1] sic!



I რიგში (მარცხნიდან): საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ოფიცრები – ალექსანდრე ჯინჭარაძე და ალექსანდრე კინწურაშვილი; II რიგში: გიორგი ოდიშელიძე, ნიკოლოზ თოხაძე და ივანე ვაჩნაძე („ქართველები უცხოეთში", ნიგნი I, თბილისი, 2012).

ასეთი იყო აზრები და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ჩივილი და დანაშაულების ძიება საქართველოს დამოუკიდებლობას ვეღარ დაუბრუნებდა.

ჩვენი მდგომარეობა ბეიუკ ლიმანის ბანაკში შესაშური არ იყო. როგორც ზევითა ვსთქვი, სტამბოლი სავსე იყო დენიკინის და ერანგელის ჯარებით და ემიგრანტებით. სამუშაოს შოვნა შეუძლებელი იყო. ევროპის უნივერსიტეტებში მოწყობას სახსრები ესაჭიროებოდა. მთავრობის დაპირება ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო სასწავლებლებში მოწყობის შესახებ შედეგს არ იძლეოდა. ბოლოს მაინც ეს ცდები დადებითად დაგვირგვინდა. რიგ რიგით ხელი გამოგვიწოდეს საფრანგეთმა, საბერძნეთმა და პოლონეთმა.

საფრანგეთი ღებულობდა 5 კაცს, საბერძნეთი 13-ს და პოლონეთი ყველა დანარჩენებს. განაწილებას აწარმოებდა პოლკ. ჩხეიძე სკოლის ოფიცრებთან ერთათ.

საფრანგეთში გასაგზავნათ დაინიშნენ საუკეთესონი. ესენი იყვნენ:

1) გიორგი ოდიშელიძე – იუნკერთა სკოლის ზემდეგი.
2) კუკური თოხაძე.
3) ვაჩნაძე – ცხენოსანი.
4) კინწურაშვილი.
5) ჭინჭარაძე.[1]

გაემგზავრნენ ისინი 1921 წლის შემოდგომაზე, დაამთავრეს საფრანგეთში სენსირის[2] სამხედრო სასწავლებელი. მსახურობდნენ საფრანგეთის კოლონიალურ ჯარში აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. გერმანელებთან ომის დროს მონაწილეობდნენ ომში. ზოგმა მათგანმა პოლკოვნიკის ხარისხი დაიმსახურა. ყველანი დაჯილდოებულ იქმნენ მაღალი სამხედრო ჯილდოებით. ზოგიერთნი ლეგიის საპატიო ორდენით. ამათგან დღეს კუკური თოხაძეა ცოცხალი, დანარჩენები, ვგონებ, გარდაიცვალნენ.


საბერძნეთის სამხედრო სკოლაში მიელინებულთა ჯგუფი შესდგებოდა 13 კაცისაგან. ესენი იყვნენ:

1) ჯგუფის უფროსი არტილერისტი – დავით ლაღიძე.
2) დიმიტრი ლაღიძე – ცხენოსანი.
3) ვლადიმერ ლაღიძე – არტილერისტი.
4) სვიმონ კობიაშვილი – ცხენოსანი.
5) ილარიონ ლობჟანიძე – ქვ. ჯარი.
6) ვლადიმერ ციბაძე – „საპიორი".
7) ნ. მათიკაშვილი – ქვ. ჯარი.
8) ლადო მახარაძე – არტილერისტი.
9) ფარნაოზ ნაცვლიშვილი – ცხენოსანი.
10) სვიმონ აბაშიძე – ქვ. ჯარი.
11) პროკოფი აბულაძე – არტილერისტი.
12) შოთა ნიკოლაძე – არტილერისტი.
13) ივანე ნანუაშვილი – ქვ. ჯარი.

1921 წლის გვიან შემოდგომაზე ეტოვებდით ოსმალეთის ტერიტორიას. ბოსფორის პირას რჩებოდნენ დანარჩენი ჩვენი ამხანაგები. გულთბილათ და სევდიანათ მიგვაცილეს სტამბოლის ნავთსადგურამდე.

[1] იგულისხმება ალექსანდრე ჯინჭარაძე *(ლ. ც.)*.

[2] ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ 1802 წელს დაარსებული ეს სამხედრო აკადემია თავდაპირველად ფონტენებლოში მდებარეობდა, 1806 წლიდან კი პარიზთან ახლოს – სენ-სირში დაიდო ბინა *(ლ. ც.)*.



საფრანგეთის უცხოური ლეგიონი ალეპოში. **გიორგი ოდიშელიძე** (პირველ რიგში, მარცხნიდან პირველი), **ნიკოლოზ თოხაძე** (მესამე) (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ქართული ემიგრაციის ფონდი. **გიორგი კვინიტაძის** კოლექცია, თბილისი).

საშუალო სიდიდის გემით გაეუდექით გზას ათენისკენ, ამინდი კარგი იყო. ზღვა მშვიდი და გზაც: მარმარილოს ზღვით, დარდანელის სრუტით, ეგეის და ადრიატიკის ზღვით ლამაზი და საინტერესო. მარმარილოს ზღვის შესავალში ჩვენი სიბრალული გამოიწვია პატარა კუნძულმა, რომელზედაც შიმშილით სასიკვდილოთ განწირული სტამბოლიდან გამოზიდული უპატრონო ძაღლები ღმუილით და ადამიანთა გმობის გრძნობით იხოცებოდნენ.

ბუნების სილამაზით აღფრთოვანებულნი გაეცქეროდით გემბანიდან თეთრათ მოხასხასე მარმარილოს საბადოებს, ლურჯათ მოკამკამე ზღვაში გაბნეულ, მწვანეში ჩაფლულ დიდ პატარა კუნძულებს, დარდანელის სრუტეს, რომელმაც ამდენი მსხვერპლი შეინირა I მსოფლიო ომის დროს. საინტერესო იყო იმ დროს სამსუნის ნავთსადგური.[1] გემთა სიმრავლესა და გაცხოველებულ დატვირთვა გადმოტვირთვიდან ჩანდა, რომ დიდათ იყო დასაქმებული ომის მომსახურებით, რომელიც ერთი მხრივ საფრანგეთის და მეორეს მხრივ ინგლისის ნაქეზებით წარმოებდა. ბერძნები დიდათ დაიმედებულნი იყვნენ, მათი გულადი და ჭკვიანი მეფის კონსტანტინეს თაოსნობით სტამბოლს დაიბრუნებდნენ და „აია სოფიას“ ტაძარს თავის დანიშნულებას დაუბრუნებდნენ. ლექსათაც მღეროდნენ ამას ყავახანებსა, ქუჩებსა და ჯარის ნაწილებში. დამახსომდა მათი შინაარსი: „მე ტეტიო კონსტანტინო, მე ტეტიო ვასილია, თა პარმენ ტინ პელინ კე ტინ აია სოფია“ (ამნაირი მეფით, ამნაირი კონსტანტინეთი ავიღებთ ქალაქს და თვით აია სოფიას). არ გასულა წელიწადიც, ანგორას მიტანებულ ბერძნულ ჯარებს ფეხი დაუცდათ და ძლივს მოასწრეს დახევა და ზღვით ათინაში[2] დაბრუნება. დამარცხება დააბრალეს იმავე მეფეს, რომლის საზეიმო დაბრუნებისას ათინაში მის ეტლში ებმებოდნენ და დიდი ყივილ ხივილით და სიხარულით პირეიდან ათინამდის ხელით მიათრევდნენ. ძლივს გადაურჩა აჯანყებულ ჯარისკაცებს, სასახლის უკანა კარებიდან უცხოეთში რომ არ გადაკარგულიყო.

ჩვენ მიღებას მათ სამხედრო სასწავლებელში სწორეთ ამ ომის ნარმოებისას ჰქონდა ადგილი. ომი ხომ დიდ სახსრებს მოითხოვს და ამ დროს ჩვენი ბედით დაინტერესება მათთვის ოლი საქმე არ იყო. მით უმეტეს, რომ მათ არა აქვთ არავითარი ბუნებრივი საბადოები, არც განვითარებული მრეწველობა. სკოლაში გველოდნენ.. პატივით მიგვიღეს, როგორც სკოლის მმართველებმა,

[1] სამსუნი (Samsun) – სამსუნის ვილაიეთის ადმინისტრაციული ცენტრი თურქეთში *(ლ. ც.)*.

[2] ამ ტოპონიმს ნიკოლოზ მათიკაშვილ „ენ“-ისა და „ინ“-ის მონაცვლეობით ხმარობს *(ლ. ც.)*.

ისე ჩვენმა მომავალმა ამხანაგებმა. საქართველოს წარსულიდან და მის ბიზანტიის დროინდელ ურთიერთობიდან ბევრი იცოდნენ. ნანახი ჰქონდათ ათინის მთაზე გადარჩენილი ქართული საეკლესიო ძეგლები. იცოდნენ, ვინ იყო და რა მოიმოქმედა მათ სასარგებლოთ თორნიკე ერისთავმა, რომელი ქართველი პატარძალი ვის მიათხოვეს ქართველებმა – სამეფო გვარეულობამ, როგორ გაიტაცეს არგონავტებმა აიეტ მეფის ქალი. „ჩვენ პელაზგების ჩამომავლები ვართ, პელაზგები კი ქართველი ტომი იყოო". მოსწონდათ ჩვენი სიმღერები. ერთის სიტყვით, ცდილობდნენ ჩვენთვის ყოველ მხრივ პატივი ეცათ და ესიამოვნებინათ. იყო შემთხვევა, რომ ერთ სადილობის დროს ზღვის რვა ფეხას მეტათ გემრიელი კერძით გაგვიმასპინძლდნენ. ერთ ერთმა ჩვენგანმა თეფშში ხელიკის ფეხის მაგვარი ნაჭერი შეამჩნია, საჭმელი გვერდზე გადადგა და ჩვენც მისთვის ხელი აღარ დაგვიკარებია. მთელი გამოძიება ჩაატარეს. რა არის მიზეზიო? დაინტერესდა სკოლის უფროსი. დაიბარა ჩვენი ჯგუფის უფროსი იუნკერი დავით ლალიძე. რაკი გაიგეს, რაშიც იყო საქმე, დიდი ბოდიში მოიხადეს და მომავლისთვის აღგვითქვეს, ამისთანა რამე აღარ გაემეორებინათ.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ბერძნული ენა საკმაოთ შევითვისეთ და სწორეთ ბერძნული ენის გაკვეთილზე ვისხედით, განივრათ გაიღო ოთახის კარები და ჩვენ სანახავათ შემოვიდა ტახტის მემკვიდრე გიორგი. გამოგველაპარაკა, დაინტერესდა ჩვენი მიღწევებით, გაიგო რამდენათ კმაყოფილნი ვიყავით მოპყრობით და სწავლების მეთოდით და დაგვპირდა მომავალში მზრუნველობა არ მოეკლო. იყო შემთხვევა, რომ სტამბოლიდან პარიზისკენ გავლისას (გემით) სკოლას ჩვენი მთავარსარდალი გენ. კვინიტაძე ეწვია ქართულათ ჩოხასა და ხმალ ხანჯალში გამონყობილი. სკოლის ოფიცრობამ, სკოლის უფროსმა დიდი პატივით მიიღეს, საქართველოს ახლო წარსულით და მომავალი პერსპექტივებით დაინტერესდნენ და პატივით გააცილეს.

ეს სკოლა საზოგადოების მიერ დიდათ პატივცემული იყო. თვით მისი სახელწოდება მონმობდა ამას – „სხოლიონ ტონ ეველპიდონ" – „საიმედოთა სკოლაო". ინსტრუქტორებათ და მასწავლებლებათ საუკეთესო ძალები იყო მონვეული. ჩვეულებათ ჰქონდათ, სამეფო ოჯახიდან ერთ ერთი წევრი ამ სკოლაში გაეწრთნოთ.. სკოლაში მოხვედრა ადვილი არ იყო. იქ ღებულობდნენ მხოლოთ საუკეთესო ამორჩეულ პიროვნებებს ფიზიკური და გონებრივი თვისებებით, მაღალ ზნეობრივ და სამშობლოსთვის გარჯილთა ოჯახის შვილებს, აღზრდილობით უზადოებს. ასეთებიე იყვნენ სკოლის ოფიცრებიც. ფრიად განათლებული, კეთილი ხასიათის სკოლის უფროსი პოლკოვნიკი ცონტოსი და მისი თანაშემწე, რომლის გვარი ვერ მომიგონებია, მამობრივ მზრუნველობას არ გვაკლებდნენ, თანაც დიდ მოთხოვნილებას იჩენდნენ მოსწავლეებისადმი. სხვა აფიცრებში გარეგნობით, ნარმოსადეგობით, ცოდნით და პედაგოგიური თვისებებით გამოირჩეოდნენ ძმები პოპანდოპულოსები,[1] მაიორი ათასეულისა და კაპიტანი, ასეულის უფროსები. ერთ ერთმა მათგანმა ან მათმა ნათესავმა[2] რამოდენიმე წლით დიქტატორობა იკისრა შემდეგში, შექმნა თავისი მთავრობა და განაგებდა ქვეყანას პოლიტიკურ პარტიათა უგულებელყოფით. „სამშობლოს ბოლშეეიციური გადატრიალების საფრთხის ასაშორებლადო", როგორც შემდეგში განაცხადა სასამართლოში ძალა უფლების გადაცემისას.

ჩვენ რომ ორ წლიანი სკოლის პირველ კურსზე ვიყავით, მე-II კურსზე იმყოფებოდა იმ დროინდელ ბერძენთა მთავარსარდლის გენ. პაპულასის შვილი. დაგვიმეგობრდა. ხშირათ გვესტუმრებოდა ხოლმე საღამაღამობით სასწავლო ოთახში, გველაპარაკებოდა შორეულ წარსულზე, ბიზანტიის დროინდელ ქართველ-ბერძენთა ურთიერთობაზე. ზოგჯერ ბერძნულ ღვინოსაც შეპოპარებდა უბით, გვიმასპინძლდებოდა და ცდილობდა, რამენაირათ პატივი ეცა. თუ რამდენათ გულისყურით ეპყრობოდნენ ჩვენ სწავლების საქმეს, სჩანს იქიდანაც, რომ ენის საჩქაროთ შესასწავლებლათ მოგვიყვანეს თბილისში აღზრდილი, დიდათ განათლებული ახალგაზრდა მასწავლებელი. ერთ დღეს მან ჩვენ ამხანაგ, იუნკერ პროკოფი აბულაძეს მოუტანა ბერძნული ჟურნალი, რომელშიაც მოთავსებული იყო პოეტ ტრიკილგიდის მიერ არაბულიდან თარგმნილი შოთა რუსთაველის სამი ლექსი. ეს ლექსები ბერძნულიდან პროკოფი აბულაძემ ქართულათ გადმოთარგმნა და მისი ნებართვით ეს თარგმანები საქართველოში პოეტ გოგლა ლეონიძეს გადაეუგზავნე. ის იმ დროს ჟურნალ „ბახტრიონს" რედაქტორობდა და იქ გამოაქვეყნა.[3] ამ ამბავმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია საქართველოშიც და საზღვარ გარეთაც. მოიწადინეს ამ ლექსების ორიგინალების

[1] იგულისხმება პაპადოპულოსები (ლ. ც.).

[2] იგულისხმება გეორგიოს პაპადოპულოსი (ლ. ც.).

[3] პუბლიკაცია იხ. 17-20 გვ.-ზე (ლ. ც.).



მარიამ კვინიტაძე (ქალიშვილობაში – მაყაშვილი) (მეორე რიგში, მარცხნიდან მეორე), **გიორგი კვინიტაძე** (მეორეხე) და ყოფილი იუნკერები: **დავით ლალიძე, დიმიტრი ლალიძე, ელადმერ ლალიძე, სვიმონ კობიაშვილი, ილარიონ ლობჟანიძე, ელადმერ ციბაძე, ნიკოლოზ მათიკაშვილი, ელადმერ მახარაძე, ფარნაოზ ნაცელიშვილი, სვიმონ აბაშიძე, პროკოფი აბულაძე, შოთა ნიკოლაძე, ივანე ნანუაშვილი, (?)** (ფოტოზე იუნკერთა განლაგება ჩვენთვის უცნობია). ათენი, 1921 (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, **გიორგი კვინიტაძის** კოლექცია. თბილისი)

ხელში ჩაგდება და შემონმება. ჩვენ ათინის სკოლაში გვენვია ემიგრაციაში მყოფი გენერალი ლეო კერესელიძე. დაინტერესდა ტრიკილგიდის პიროვნებით და ჩვენი დახმარებით ძებნა დაუწყო მას. მერე აღარ გაგვიგია, რა შედეგს მიაღწია. 1967 წელს საქართველოში ყოფნისას[1] გოგლა ლეონიძემ მომაგონა ეს ამბავი და დასძინა: „ჩვენი გამოკვლევით ლექსები შოთა რუსთაველისა არ არის. ისინი ვიღაც სხვა პოეტის დანერილებია და ბერძენმა პოეტმა ცნობის მეტი ავტორიტეტობისა და დაფასებისთვის იცრუაო".

სკოლა იმყოფებოდა ქალაქის განაპირა მაღლობზე, „ზაპიუს" სახელობის პარკთან. გალავნით შემოვლებულ ფართო ეზოში რამდენიმე 2 სართულიანი შენობა განკუთვნილი იყო მოსწავლეთა საცხოვრებლათ. ერთი ყველაზე მოზრდილი შეიცავდა: პირველ სართულზე სამზარეულოსა და სასადილოს, მეორეზე – სასწავლო ოთახებს. ამ შენობის გვერდით, მომცრო ეზოში იმყოფებოდა სატანავარჯიშო შენობა თავისი მოწყობილობით, გვერდზე კი 2 სართულიანივე საპატიმრო დილეგი დამნაშავეთათვის. დისციპლინა კი მკაცრი იყო და საპატიმროში მოსახვედრათ კმაროდა მწყობრში შენძრევა, რაიმე ილეთის ცუდათ შესრულება, უალაგო ადგილას და უმიზეზოთ გაღიმება და სხვა ასეთი.

მეც მქონდა ბედნიერება ამ დილეგში ერთი დღით ჯდომისა.. წესი იყო, ყოველ საუზმის წინ რიგში მონყობილებს ათასეულის უფროსი მაიორი პოპანდოპულოსი დღიურ ბრძანებას გვიკითხავდა, წარსული დღის ავ კარგის აღნიშვნით და დამნაშავეთათვის მსჯავრის გამოტანით.

„რათ იცინიო?" მომმართა მე, „ერთი დღით დილეგში ჯდომაო". არა მწყენია ეს განაჩენი, თუმცა რიგში დგომისას არ გამიცინია და თავს დანაშაულათ[2] არა ვგრძნობდი.

ამ ფაქტმა დიდათ დააღონა ჩემი ქართველი ამხანაგები. თანაგრძნობით და სიბრალულით შემომცქეროდნენ ეზოდან, მეორე სართულზე ფანჯრის პირას მჯდომ დამნაშავეს. კარგი რომ

[1] როგორც ჩანს, ავტორი საქართველოში სტუმრობის თარიღს ზუსტად ვერ იხსენებს, რადგან 1967 წელს გოგლა ლეონიძე ერთი წლის გარდაცვლილი იყო (ლ. ც.).

[2] sic!

ოთახი სუფთა იყო და მეორე სართულის ფანჯრებს სწვდებოდა სურნელოვან ფოთლებიანი რაღაც მოზრდილი მწვანეთ მოხასხასე ხე.

სკოლის მოზრდილი ეზოდან ფართო და სასიამოვნო ხედი იშლებოდა. შორს, ათინისა და პირეუსის იქით ლურჯათ მოლივლივე ზღვა და მასზედ ათენისკენ თუ ათენიდან გასული გემები თვალს იტაცებდა. კარგა ხანს უნდა გეცქირა ამ საოცარ ხედისთვის, რომ დამტკბარიყავ მისი სილამაზით. მერე, თუ მხედველობას შენ წინ მდებარე ქალაქზე გადაიტანდი, მოგხიბლავდა თვით ქალაქის მშენებლობის სილამაზე, 2-3 სართულიანი კოხტათ ნაგები, ხშირათ მარმარილოთი დამშვენებული სახლები, მარცხნით, 3-4 კილომეტრის მანძილზე მთაზე აშენებული წმ. გიორგის ტაძარი, მარჯვნივ ცოტა უფრო ახლოს მარმარილოთი ნაგები აკროპოლის ტაძრები.. ეს სულის სიღრმეში ჩამწვდომი და განმასპეტაკებელი ნაგებობები არა ერთ გზის გამხდარან ადამიანის ღვარძლიანობის მსხვერპლათ. უკანასკნელათო, დიდი სინანულით გვიყვებოდნენ ჩვენი ბერძენი ამხანაგები, იერუსალიმისკენ მიმავალმა ჯვაროსნებმა შეურაცხჰყვეს და დაანგრიესო. თითქოს მხოლოდ წმინდა ადგილების ურწმუნო თურქების მფლობელობისგან დასახსნელათ მიდიოდნენ იერუსალიმისკენ. ბერძნები ხელუხლებლათ ინახავენ და უფრთხილდებიან ევროპიელთა ბარბაროსობის კვალს და ეზოში უწესრიგოთ მიყრილ მოყრილ მარმარილოს ნაგლეჯებს არ აწესრიგებენ. აკროპოლის სიმაღლიდან მშვენივრათ სჩანს თვით ქალაქი, მისი გარე უბნები, ქალაქში მდებარე ბიზანტიის დროინდელი ნაგებობანი, ძველის ძველი ღია ცის ქვეშ გაშენებული თეატრი, მშვენიერი მარმარილოს ქანდაკებებით შემკული სასაფლაო, ნარინჯის მუდამ მწვანე ბაღში ჩაფლული მეფის სასახლე, სადაც ხეები: „ზოგი მწიფს და გამვლელ გამომვლელს ატკბობს თავის ნაყოფის მზისებრ ელვარებით, ზოგიც ყვავილობს და ზოგსაც მკუხენი ასხია“. დადის თავისუფლათ ამ ბაღში უამრავი მოქალაქე და ერთსაც აზრათ არ გაუვლის გულში, ამ ხეთა ნაყოფს შეეხოს.. ბუნების სილამაზით დამტკბარი ბრუნდები აკროპოლიდან სახლში და დიდხანს არ გტოვებს ნანახით გამოწვეული განმასპეტაკებელი ზედგავლენა.

ორიოდე სიტყვა თვით სასწავლებელზე. სკოლა ორ წლიანი იყო, ღრმა შინაარსიანი პროგრამით. პირველ წელს პრაქტიკულ და თეორიულ სამხედრო მეცადინეობის გვერდით დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ზოგად საგანმანათლებლო საგნებს: მათემატიკას, ისტორიას, მართლმსაჯულებას, ჯარის მომარაგების საკითხებს. მეორე წელს ეცნობოდნენ უფრო დაწვრილებით სამხედრო ხელოვნებას თავთავიანთ სპეციალობის მიხედვით: ქვეითა ჯარი, არტილერია, ცხენოსნობა, საინჟინრო, საინტენდენტო დარგი. თუმცა ჩვენ ბერძნული ენა სრულებით არ ვიცოდით, ვალდებულნი ვიყავით, ყველა თეორიულ თუ პრაქტიკულ მეცადინეობას დავსწრებოდით და ბერძენ ამხანაგებთან ერთათ გვევარჯიშნა. ამისთვის იყო, რომ პრაქტიკული მეცადინეობის დროს, როდესაც უფროსი კლასის მოწაფეები ტანვარჯიშობის თუ სამხედრო ილეთებს გვასწავლიდნენ, ხშირათ საჭირო განკარგულებების გვერდით გაიგონებდით: „ელა ვლადიმირე! პროსეხსე ილარიონე!“ ე. ი. „აბა ლადო! ყურადღება ილარიონეო“. ლადო ჩვენი „საპიორი“ ციბაძე იყო, ილარიონი კი ვლადიკავკაზში გაზრდილი ლობჟანიძე. სწავლების ეს წესი საკმარისი გამოდგა ენის იმდენათ შესათვისებლათ, რომ სამი თვის შემდეგ ყველა გამოცდებს ბერძენ ამხანაგებთან თანაბრათ ვაბარებდით. ჩვენდამი არამცთუ რაიმე შეღავათს ამ დროს ადგილი არა ჰქონია, პირიქით, მეტ მომთხოვნელობას იჩენდნენ. დასანანია, რომ მეორე კურსზე გადასვლა და ბერძნული სამხედრო სკოლის დამთავრება არ დაგვცალდა. 1922 წლის შემოდგომაზე იძულებულნი ვიყავით, საბერძნეთი დაგვეტოვებინა და სწავლის გასაგრძელებლათ პოლონეთის სამხედრო სკოლაში გადავბარგებულიყავით. ეს გამოინვია თურქების მიერ ანგორას მიახლოვებული ბერძნული ჯარების დამარცხებამ. ძლივს გადაურჩნენ გაულტას უდაბნოში მიჭყლეტილი ძალები და ზღვით ათინისკენ გამოემართნენ. აჯანყებულ ჯარებს სათავეში ჩაუდგა ორი მაიორი: პლასტარასი და გონატასი. მარცხი უსაფუძვლოთ მეფე კონსტანტინეს მიაწერეს, ტახტიდან ჩამოაგდეს და ხელთ იგდეს ხელისუფლება. მეფის ერთგულმა სკოლის ოფიცრობამ ამ გადამწყვეტ მომენტში მის მხარეზე დგომა არჩიეს, გამოაგორეს სკოლის ეზოში ზარბაზნები და ათენისკენ მომავალ გემებს ცეცხლის გაჩენით დაემუქრნენ. საპასუხოთ აჯანყების მეთაურებმა სკოლა დახურულათ გამოაცხადეს, სურსათის მოწოდება შეუწყვიტეს და ყოველგვარი მზრუნველობა აღუკვეთეს. ბერძენი ამხანაგები თავთავიანთ ოჯახებში გაიკრიფნენ. ჩვენ კი დავრჩით ცასა და დედამიწის შუა არსებობის საშუალებას მოკლებულნი. ეს ამბავი იუნკერმა დიმიტრი ლაღიძემ დეპეშით აცნობა სტამბოლში მყოფ მინისტრ გე-

გეჩკორს,[1] დეპეშითვე მივიღეთ პასუხი: „მიღებულნი ხართ პოლონეთის სამხედრო სასწავლებელში, უახლოესი გემით სტამბოლისკენ გამოემგზავრეთო". ჩვენ ვიცოდით, რომ ამ დროს ბეიუკ ლიმანის ბანაკი დაცარიელებული იყო. ყველა იქ დარჩენილი ამხანაგები პოლონეთის სამხედრო სასწავლებელში მიეღოთ. ისიც ვიცოდით მათთან მიწერ მოწერიდან, რომ ისე პოლონელთა მასპინძლობით, როგორც სამხედრო ხელოვნების სწავლების დონით, კმაყოფილები იყვნენ.

1922 წლის მიწურული ახლოვდებოდა. ამ დროს ეგეის ზღვას დიდი მღელვარება სცოდნია.. უზარმაზარმა ტალღებმა გემი ბურთივით აათამაშა. თავისი სიმცირის გამო ერთ და იმავე დროს ორ ტალღაზე ვერა თავსდებოდა. ხან მოახლოებულ ტალღის მწვერვალზე მოექცეოდა, ხან ორ ტალღის შუა მდებარე უფსკრულში ჩაეშვებოდა გემმა მართვის შესაძლებლობა დაკარგა. მიდიოდა, საითაც ტალღები გააქანებდნენ, მიმართულების დაკავებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. გემის მმართველი მხოლოდ იმის ცდაში იყო, რომ მოქანავე ტალღებს ქიმით დახვედროდა. ტალღისადმი გემის გვერდის მიშვერა გემის დაღუპვას უდრიდა. გვიბრძანეს საცურაო ქამრების შემორტყმა, აგვიკრძალეს გემბანზე ასვლა, ჩაკეტეს ყველა შემოსავალი. ვისხედით გაყვითლებულნი, გულის რევა ამყოლნი, დასუსტებულნი, უგუნებონი და ეუსმენდით, როგორ რეცხავდა გემბანის იატაკს შხუილით გარდამავალი ტალღები. ასე უძილობასა და სიკვდილის მოლოდინში გაიარა მთელმა ღამემ, გათენებისას სტამბოლის მაგიერ კუნძულ „სირას" ყუდრო ნავთსადგურში აღმოვჩნდით. აქ არც ქარი და არც ტალღები არ იყო, ზღვა წყნარი იყო და მაღლობი ნაპირებით შემოფარგლულ წყლის ზედაპირზე პატარა იალქნიანი ნავები ხალისიანათ დანავარდობდნენ. ლამაზათ გამოიყურებოდა ხავერდოვან სიმწვანეში ჩაფლული, ზღვისკენ დაქანებულ ფერდობზე გაშენებული პატარა ქალაქი. წყლის წყნარმა ზედაპირმა, გარემოს სილამაზემ მალე დაგვავიწყა განვლილი სიდუხჭირე, შიშმა და დაღლილობამ გაგვიარა. სანანებლათ დაგვრჩა, რომ ქალაქში გასვლის ნება არ მოგვცეს და საღამო ხანს სტამბოლისკენ გაგვიყენეს.

ბეიუკ ლიმანის ბანაკი დაცარიელებულიყო. რამდენიმე ქართველი ოჯახი სტამბოლში გადასახლებულიყო. ბინა გათურქებული მდიდარი ყოფილი ქართველის სასახლეში დაედოთ „მრუდე რქის" ნახევარკუნძულთან. ჩვენც რამოდენიმე დღით, პოლონეთში გამგზავრებამდე იქ გაჩერება მოგვიხდა.

სტამბოლიდან ვარშავისკენ *მგ ზავრობა*[2] ბულგარეთის ნავთსადგურ „ბურგასის", ბულგარეთის და რუმინეთის ტერიტორიების გავლით, ჯერ გემით და შემდეგ მატარებლით მოგვიხდა. ჩვენი ვარშავაში ჩასვლა პოლონეთისთვის სამწუხარო დღეებს დაემთხვა. ჩვენი ჩასვლის წინა დღეს, სამხატვრო გამოფენის დათვალიერებისას მოეკლათ პოლონეთის I პრეზიდენტი ნარუტო გაბი.[3] ქუჩებში თეთრნითელი დროშები თავდაყირა ეკიდა... ხალხი თავ ჩაღუნული, ჩაფიქრებული და სევდიანი მიმოდიოდა. ქუჩები და შენობები თოვლით იყო დაფარული, ციოდა. სადგურზე დაგვხვდნენ და ტრამვაით სამხედრო სკოლაში მიგვიყვანეს რამდენიმე სკოლის ოფიცერმა და ჯარისკაცულ ფორმაში გამოწყობილმა ჩვენმა ქართველმა ამხანაგებმა. აქაც, როგორც საბერძნეთში, პატივით მიგვიღეს, დროებით საავათმყოფოში მოგვათავსეს. სამხედრო ტანსაცმელი გადაგვაცვეს, ოცეულათ მოგვაწყეს, მწვრთნელი ოფიცრები დაგვინიშნეს და ჩვენ წრთვნასა და სწავლებას შეუდგნენ.

სკოლაში სწავლა რამოდენიმე თვის წინათ დაწყებულიყო.. ჩვენ ინტენსიური ვარჯიშობით მათ უნდა დავწეოდით. ეს უკვე მესამეთ, თავიდან ვიწყებდით სამხედრო მომზადებას. ჯერ საქართველოში, შემდეგ საბერძნეთში და ეხლა აქ, პოლონეთში. იოლი და სასიამოვნო არ არის ჯარისკაცული წრთვნა სამხედრო სკოლებში, განსაკუთრებით პირველ წელიწადს. ამ დროს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობათა გვერდით ადგილი აქვს ისეთი სახის წრთვნას, რომელმაც უნდა გადაჩეიოს მომავალი ოფიცერი უფროსთა ბრძანებისადმი კრიტიკულ მიდგომას.. მიაჩეიოს მიღებული ბრძანების დაუყოვნებლივ შესრულებას. ამ მიზანს ემსახურება არა მარტო ე. წ. მუშტრა, არამედ ჩვეულება, რომ ყოველ უფროს კურსელ მოწაფეს შეეძლო უმცროს კურსელისთვის ნებისმიერი ბრძანება გაეცა და იგი შეესრულებინა. ბრძანებები არც ისე სასიამოვნოები იყო, როგორც: „დაწექ, ადექ, საწოლ ქვეშ გაძვერ, მაგიდას გადაახტი, გაცოცდი, იმღერე, იცეკვე და სხვა". ეს ჩვეულება ყოფილ კადეტის კორპუსებში ნამყოფმა იუნკრებმაც შემოიღეს იუნკერთა სასწავლებელში; დიდათ გვეჩოთირებოდა ამნაირი ბრძანების შესრულება, თუმც საბოლოო შედეგში ეს ჩვეულება თავის

[1] იგულისხმება ევგენი გეგეჭკორი *(ლ. ც.)*.

[2] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამორჩენილია *(ლ. ც.)*.

[3] იგულისხმება გაბრიელ ნარუტოვიჩი *(ლ. ც.)*.

მიზანს აღწევდა. უფროსი ეჩვეოდა ბრძანების გაცემას და მისი შესრულების იძულებას, უმცროსი მიღებულ ბრძანების უყოყმანოთ შესრულებას. მართალია ისე საბერძნეთში, როგორც პოლონეთში ამ წესს ჩვენდამი სრულებით არ მიმართავდნენ, მაგრამ ის, რაც სამივე სკოლაში ვნახეთ, საკმარი გამოდგა, ჩვენთვისაც ჩაენერგა მიღებული ბრძანების შესრულების აუცილებლობა და დისციპლინის გამომუშავება. სწავლების წესი პოლონეთისა და ბერძნულ სკოლათა შორის განსხვავებული იყო. თუ საბერძნეთში სამხედრო საგნების გვერდით საზოგადო განათლებასაც დიდი ყურადღება ექცეოდა, აქ სამხედრო საგნებსა და ისიც პრაქტიკული მხრივ უფრო ეძალებოდნენ. პოლონეთში მომავალ აფიცერს ჯერ ერთ წლიანი „პოდხორუნჟების" სკოლა უნდა დაემთავრებინა და მის დამთავრების შემდეგ გაეგრძელებინა სწავლა ორ-სამ წლიან სპეციალურ სასწავლებლებში სპეციალობის მიხედვით: ქვეითა ჯარი, ცხენოსანი, არტილერისტი, მესანგრე, საზღვაო..

ამნაირათ ჩვენ ყველანი ერთ წლიან „პოდხორუნჟების" სკოლაში მოვხვდით. სკოლის უფროსი იყო ყოფილი „ლეგიონერი", დიდათ განათლებული და გულისხმიერი პოლკოვნიკი მლოდზიანოვსკი. ლეგიონები მარშალმა იოსებ პილსუდსკიმ[1] შექმნა I მსოფლიო ომის დროს ავსტრიის ტერიტორიაზე. მათ სამხედრო განათლების გარდა მიღებული ჰქონდათ დიდი სამხედრო გამოცდილება ომში მონაწილეობით... მათ გაანთავისუფლეს რუსეთის გამგეობაში მყოფი პოლონეთის ტერიტორიის ნაწილი და შემდეგ მთელი პოლონეთი. ომის შემდეგ კი გვერდში უდგნენ იოსებ პილსუდსკის სახელმწიფოს მშენებლობაში. ამავე წრიდან იყვნენ სკოლის აფიცრობა, რომელთაც შემდეგში წილათ ხვდათ დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობების შესრულება მე-II მსოფლიო ომის დროს.. სკოლის სამხედრო ისტორიის მასწავლებლათ იყო, მაგალითად, პოლკ. კორნაუსი – მე-II მსოფლიო ომის დროს პოლონეთის გენერალური შტაბის უფროსი, ტაქტიკის მასწავლებელი პოლკ. ჟეპეცკი, ოკუპანტთა წინააღმდეგ მებრძოლი პარტიზანული ჯარების უფროსი, ისტორიის მასწავლებელი სენკევიჩის სიძე, მაიორი კორნელოვიჩი და საფრანგეთის სამხედრო მისიის აფიცრობა, რომლებიც იმ დროს პოლონელებს ეხმარებოდნენ ჯართა ორგანიზაციასა და წრთვნაში.

სამხედრო წრთვნის გვერდით დიდი ყურადღება ექცეოდა ფიზიკურ აღზრდას, ამტანლობის გამომუშავებას, ყოველ სასწავლო წლის ბოლოს რამოდენიმე თვით გვგზავნიდნენ პოლკებში, ჯარისკაცთა გასაწრთვნელათ, სადაც მიღწევების შესაფერისათ უნდა მიგვეხწია უფროსი ჯ.კაცის, კაპრალის, ოცისთავის ხარისხებისთვის. ცხადია, ასეთი თეორიული და პრაქტიკული მომზადების შემდეგ ურიგო აფიცრები არ ვიქნებოდით, მით უმეტეს, რომ თავს არ ვიზოგავდით პირნათლათ შეგვესრულებინა დაკისრებული მოვალეობები და რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეგვეძინა შემდეგში სამშობლოში გამოსაყენებლათ.

დასრულდა ბოლოს ჩვენი მოწაფეობა. მივიღეთ კონტრაქტის აფიცრების ხარისხები და მიგვავლინეს სხვა და სხვა პოლკებში. სკოლაში ყოფნის დროს მუდამ ჩვენთან მახლობლათ იყო და კავშირი არ გაუწყვეტია გენერალ ჩხეიძეს. ხშირათ მოდიოდა ჩვენ სანახავათ, საქართველოზე ამბების მოსატანათ, გასამხნევებლათ, სკოლის უფროსისგან ჩვენზე ამბების გასაგებათ. მისგან ვიცოდით, როგორ ენინააღმდეგებოდა ქართველი ხალხი დამპყრობლებს, რა იყო სვანეთის, ხევსურეთის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრძოლები, 1924 წლის აჯანყება და მისი ულმობელათ ჩაქრობა.

სკოლის დამთავრებამ აფიცრის ხარისხების მიღებამ და პოლონეთის სხვა და სხვა პოლკებში გაფანტვამ ძმებსავით ერთათ აღზრდილი იუნკრები ერთმანეთს ჩამოგვაშორა, ოღონდ ჩვენ ერთმანეთთან კავშირი არ შეგვიწყვეტია. პირიქით, უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლათ შევქმენით „იუნკერთა კავშირი", შევიმუშავეთ კავშირის წესდება, რომელიც გვავალებდა სამშობლოს ყოველმხრივ სამსახურს და, რაც მთავარია, მისი განთავისუფლებისთვის თავდადებულ ბრძოლას.

სტატუტით დასახულ მიზანთა შორის შედიოდა შემდეგი საკითხები:

1) თვალყურის დევნება საქართველოში მომხდარ ამბებისა.

2) თვალყურის დევნება სამხედრო ხელოვნების განვითარებისა.

3) საქართველოს ტერიტორიის შესწავლა სტრატეგიული თვალსაზრისით.

4) საქართველოს მიერ წაგებულ და მოგებულ ომების დამუშავება.

5) დიდი ქართველი მხედართმთავრები და მათ მიერ გადახდილი წაგებული თუ მოგებული ომები.

6) დაქსაქსული და ერთმანეთს გადამტერებული ემიგრაციის შემოკრეფა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ირგვლივ.

[1] იგულისხმება იუზეფ პილსუდსკი (ლ. ც.).



ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი (მეორე რიგში, მარცხნიდან მესამე) პოლიონეთის არმიის ქართველ ოფიცრებთან და მათ მეულლეებთან, ბიდგოშჩი, 1926 (**გიორგი მამალაძის** ფოტოალბომი, **დავით ყოლბაიას** კერძო კოლექცია, ვარშავა).

ამ მუშაობათა განსახორციელებლათ დავაარსეთ სამხედრო ჟურნალი „მხედარი". გამოდიოდა პარიზში ჩვენი სახსრებით. პარიზში ამ საქმეს ჰპატრონობდა ჩვენი ამხანაგი, იუნკერი დოლიკა ვაჩნაძე.

წელიწადში ერთხელ ვმართავდით „იუნკერთა კავშირის" კრებას, რომელზედაც გამგეობა აბარებდა ანგარიშს განვლილი წლის მუშაობის შესახებ. კრება ირჩევდა ახალ გამგეობას და ისახავდა ახალ მიზნებს.

განსაკუთრებული ენერგიით მუშაობდნენ და ყველა ახალი გამგეობის წევრები იყვნენ: ვანო ნანუაშვილი, დავით ლაღიძე, ნიკოლოზ მათიკაშვილი. მათ ზურგს უმაგრებდნენ და ყოველმხრივ მუშაობაში ეხმარებოდნენ იუნკრები: მახარაძე, მიხეილ კვალიაშვილი, ფარნაოზ ნაცვლიშვილი, ვიქტორ ლომიძე, პატიკო თაყაიშვილი და სხვანი.

დღეს ვერ ვიტყვი, რამდენ წელიწადს გრძელდებოდა „მხედრის" გამოცემა და რამდენი ნომერი გამოვიდა საერთოთ. გამოდიოდა 3 თვეში ერთხელ და ვგონებ, 15 ნომერზე მეტი არ გამოსულა..[1] მთელი მასალა, რაც „მხედარსა" და „იუნკერთა კავშირზე" მქონდა, მე-II მსოფლიო ომის ქარცეცხლში დამეწო და დამეკარგა. ეს კი უნდა აღვნიშნო, რომ კავშირის წესდებით გათვალისწინებული მიზნებიდან ზოგიერთი ვერ განვახორციელეთ მასალის უქონლობის გამო.. საქართველოსთან და იქ დაგროვილ მასალასთან მიდგომა არ გვქონდა და ასევე არც პარიზში მოსაძებნ მასალასთან.

ის კი, რაც საქართველოს ბოლშევიკების ხელში ემართებოდა და წინააღმდეგობა რომელსაც საქართველო დამპყრობლებს უწევდა, ვიცოდით დაწვრილებით და ჟურნალის ფურცლებზე ვაშუქებდით. იყო ეს ხევსურეთის, სვანეთის გამოსვლები, ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანული მოქმედება, 1924 წლის გამოსვლები და აჯანყების ულმობელათ ჩაქრობა, მუსხელიშვილის, სახელოვანი ქართველი გენერლების და ოფიცრების მოსპობა, მიხეილ ჯავახიშვილისა და ქართველ ვეტერინართა ამოჟლეტა..

მტკნარი სიცრუეა საბჭოთა სახელმწიფოს უკანასკნელ კონსტიტუციაში ჩართული მუხლი, ვითომც კავშირში შემავალ რომელიმე სახელმწიფოს უფლება ჰქონდეს კავშირიდან გამოსვლისა... დამოუკიდებლობის მსურველთა დაუნდობლათ მოსპობის სურათი მოგვცა საქართველოში მომხდარმა 1924 წლის ამბებმა, უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის გამოსვლების ჩაქრობამ და დღეს ავგანისტანის მაგალითმა. ეგრძნობდით და ემიგრაციაში მყოფ ქართველობას ვაფრთხილებდით, რომ ახლოვდება მსოფლიოში დიდი არევ დარევის ხანა, რომ საჭიროა სიფხიზლე, მზათ ყოფნა და ერთსულოვნობა.

„იუნკერთა კავშირი" არსებობდა დამოუკიდებლათ, ვისიმე ზედგავლენის გარეშე. ცდები, რომ კავშირი ეცნო პოლონეთის მთავრობას, უშედეგოთ დამთავრდა, ალბათ ერიდებოდნენ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას. ამას კავშირის მუშაობაზე ზედგავლენა არ მოუხდენია.

რაც შეეხება საქართველოს გამოხიზნულ მთავრობისა და მის პოლონეთში წარმომადგენლის გენ. ზაქარიაძის ჩვენდამი მოპყრობას, უნდა ითქვას, რომ მათ „იუნკერთა კავშირისადმი" მისი „მხედრისა" და მუშაობისადმი არავითარი დაინტერესება არ გამოუჩენიათ და არც დახმარება გაუწევიათ. პარიჟში გადმოსახლებულნი სრულიადაც არ შეცვლილან, კლასობრივ ბრძოლათა მოქადაგენი, ნაციონალურათ განწყობილ ემიგრანტებს თავიანთ პარტიის მტრებათ თვლიდნენ და თანამშრომლობის ნაცვლათ სიცოცხლეს უმწარებდნენ. არ შეუთავაზებიათ ოჯახით დატვირთულ გენ. კვინიტაძისთვის გატაცებული საღსრებით ნაყიდ „ლევილის" მამულში დასახლება, არც დაინტერესებულან, როგორ ინახავდა ოჯახს მძიმე საკუთარი შრომით. ღირსეულათ არ მოეპყრნენ ნაომარ, ნაწვალებ ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და მის გმირ შეფიცულებს ემიგრაციაში გამოსვლისას. ნაცვლათ ყოველმხრივი დახმარებისა და მათი ბედით დაინტერესებისა, მუშაობის შოვნას უძნელებდნენ და ფიზიკურ შეურაცხყოფასაც არ იშურებდნენ. ამაზე დაწვრილებით მოგვცა ცნობები ქაქუცას მარჯვენა ხელმა ალ. სულხანიშვილმა თავის მოგონებაში..[2] ცხადია, ემიგრანტულ პირობებში შინაურ გართულებას ვნების მოტანის მეტი არაფერი შეუძლია. ოღონდ ყველა ამის მეხსიერებაში ჩარჩენა და თავის დროზე დასკვნის გამოტანა ზედმეტი არ იქნება.

იმის დასახასიათებლათ თუ რა უბედურებაა ომი და როგორ ვიბრძოდით გერმანელებთან პოლონეთის ჯარში, მოვიყვან ორ შემთხვევას ჩემი თავგადასავლიდან, რომელიც ალბათ წააგავს სხვა ჩემი ამხანაგების ბრძოლებს.

---

[1] ჟურნალი „მხედარი" გამოდიოდა 1929-37 წლებში. დაიბეჭდა სულ 21 ნომერი, აქედან პირველი ათი (1929-31) პროკოფი აბულაძის, ხოლო მომდევნო თერთმეტი (1931-37) ვიტალი უგრეხელიძისა და სარედაქციო კოლეგიის რედაქტორობით გამოიცა *(ლ. ც.)*.

[2] იხ. ალექსანდრე სულხანიშვილი, „შეფიცულთა რაზმის ცხოვრება საფრანგეთში 1924 წლის ნოემბრიდან", სან-ფრანცისკო, 1987 წ. *(ლ. ც.)*.

I.



ქ-1228

Mkedari

ქართველ მხედართა ორგანო

REVUE MILITAIRE GEOGIENNE

მეთოთხმეტე—მეთოთხმეტე
რეული

პარიზი, აპრილი-ივლისი, 1933 წ.

PARIS
1933

ჟურნალი „მხედარი", №14-15, პარიზი, აპრილი-ივლისი, 1933 (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია, თბილისი).



გენერალი **როსტომ მუსხელიშვილი** (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, თბილისი).

მე-II მსოფლიო ომის წინაპერიოდში მიმდინარეობდა პოლონეთში მუშაობა სახელოდებით „პრომეთეიზმი“.[1] მისი მიზანი იყო საბჭოთა კავშირის დანაწილება და განთავსუფლებულ ერთა პოლიტიკური აღნაგობა. ამიერ კავკასიის ერთა არსებობა მათ კავკასიის ერთა კონფედერაციათ წარმოედგინათ. შეიმუშავეს სათანადო პროექტი და მას ხელი მოაწერეს ჯერ ვარშავაში და შემდეგ ბრუსელში.

ამ კონფედერაციის ერთ ერთმა წევრმა, მთიულეთის წარმომადგენელმა გაიდარ ბამატმა, ერთ მშვენიერ დღეს წერილით მიმართა ორგანიზაციის პოლიტიკურ ხელმძღვანელ მინისტრს შეტყობინებას, სადაც დაკარგულათ სთვლის პოლონელების მიერ განეულ ზრუნვას და შრომას კონფედერაციის შექმნისთვის და უარს აცხადებს შემდეგში ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობაზე. თავის საქციელს ასაბუთებს შემდეგით: საქართველოს სოც.დემოკრატები არას დროს არა ყოფილან თავისი ქვეყნის პატრიოტები. 1918 წელს ხელისუფლება ხელთ იგდეს რუსეთის ჯარისკაცთა დახმარებით, რომლებიც იმ დროს კავკასიის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. შემდეგში რუსეთში ჩატარებულ კონფერენციაზე რუსეთის ერთიანობის დამცველათ და სეპარატიზმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. კავკასიის კონფედერაციაზე არას დროს არ უფიქრიათ.

პარიზში ჩასვლისთანავე ნოე ჟორდანიამ სასწრაფოთ დაამყარა კავშირი რუსეთის სოც.დემოკრატიასთან. განუცხადა მათ, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება ნაკარნახევი იყო შექმნილი პირობებით და რომ საქართველოს სოც.დემოკრატებს ვერ წარმოუდგენიათ საქართველოს არსებობა რუსეთის სოც.დემოკრატებთან მჭიდრო კავშირისა და თანამშრომლობის გარეშე.

კონფედერაციის მოღვაწენი ყალბი მისამართით მუშაობენ იმ პიროვნებებთან, რომელთაც ეროვნულ საკითხთან არავითარი კავშირი არა ჰქონიათ კავკასიაში. იძულებული ვარ სვინდისის კარნახითა და პოლონელთადმი პატივისცემის გრძნობით უარი განვაცხადო იმ მუშაობაში, რომელიც ადრე თუ გვიან თვალთმაქცობით და მოტყუებით რამოდენიმე პიროვნების მიერ სახსრების ცინცლათ და საკუთარ განზრახვათა და პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებად გადაიქცევა. მიკვირსო, აცხადებს წერილის დასასრულში გ. ბამატი, რომ პოლონელები ასეთ გულჩვილობას იჩენენ იმათადმი, ვინც წარსულში რუსეთის ზედგავლენის ქვეშ მყოფი აგენტები იყვნენ, დღეს კი იმ საერთაშორისო ძალებს ეყუთვნიან, რომელიც საბჭოთა კავშირს თავის საქმიანობით ზურგს უმაგრებს. აქ გაიდარ ბამატის სოც.დემოკრატებისა და საქართველოს მთავრობის დახასიათებაში დასამატებელი არაფერია და ჩვენ მიერ ზევით გამოთქმული ქართული მთავრობის შეფასებას არ ენინააღმდეგება.

---

[1] ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე შეიქმნა პირველი პოსტულატები მთელს ევროპაში ცნობილი პოლიტიკური მიმდინარეობისა, რომელიც „პრომეთეიზმის“ სახელით იყო ცნობილი. მის სათავეებთან იდგა იუზეფ პილსუდსკი, რომელმაც დიდი ნელილი შეიტანა ამ მოძღვრების განვითარებაში. „პრომეთეიზმი“ გულისხმობდა მჭიდრო თანამშრომლობას არარუს ერებთან. პრინციპებით კავკასიის ხალხებს შემთხვევით არ არის ამ მოძრაობის სახელოდება „პრომეთეიზმი“. მოგვიანებით, 1926 წელს, პარიზში დაარსდა პოლიტიკური ორგანიზაცია – ლიგა „პრომეთე“, რომლის შემადგენლობაში შეედინენ პოლონელები, უკრაინელები, ფინელები, ქართველები, აზერბაიჯანელები, დონის კაზაკები (რომლებიც რუსებისადმი მკვეთრად დაპირისპირებულნი იყვნენ), ჩრდილოეთკავკასიელები (ძირითადად ჩეჩნები, ინგუშები, დაღესტნელები და ჩერქეზები), თურქესტანელები, ყირიმელი თათრები, ყუბანელები. აგრეთვე, ინგირიის, კარელის, ლომის, ურალის წარმომადგენლები. შექმნისთანავე „პრომეთე“-ს ლიგა შეუდგა საკუთარი პოლიტიკური კლუბებისა და განყოფილებების შექმნას. პრომეთეს ასეთი კლუბები (ორგანიზაციები) შექმნეს უკრაინელებმა, ფინელებმა, ქართველებმა, აზერბაიჯანელებმა, ჩრდილოეთკავკასიელებმა. სათაო ორგანიზაცია, რომელიც კურირებას უწევდა ყველა კლუბის (განყოფილების) საქმიანობას, მდებარეობდა ვარშავაში საგულისხმოა ის გარემოება, რომ, გარდა პოლიტიკურისა, „პრომეთე“ უნეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო და კულტურულ მოღვაწეობას. მისი ეგიდით ვილნიუსში ფუნქციონირებდა აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი ინსტიტუტი, ვარშავაში კი ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა აღმოსავლეთის შემსწავლელი ინსტიტუტი, რომელთან არსებობდა აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლა. ვილნიუსის ინსტიტუტთან ფუნქციონირებდა პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა. 1928 წლიდან ჟენევაში მოქმედებდა ორგანიზაციის ეგიდით დაფუძნებული საინფორმაციო სააგენტო „Oiinor“. 1930 წელს ვარშავაში დაფუძნდა „პრომეთე“-ს ყოველკვარტალური ჟურნალი „Wschod-Orient“. 1926 წელს დაიწყო გამოცემა ორგანიზაციის ფრანგულენოვანმა ჟურნალმა „La Promethee“. მისი რედაქტორი გახლდათ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გეგზაკი (1869-1941) (*ლეკვან ზ. ურუშაძე, „პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიისათვის“, გაზ. „ქართული უნივერსიტეტი“, №63-64, 6-12 მაისი, 2010 წ.*).

უნდა აღვნიშნო, რომ პოლონეთში სამხედრო სწავლის მისაღებათ მარტო იუნკრები არ ვიყავით. ჩვენს გარდა პოლონეთმა კარი გაუღო რამოდენიმე ათეულ უფროს ოფიცრებს. მიიღო ისინი თავიანთ ჯარში კონტრაქტის ოფიცრებათ და საშუალება მისცა სამხედრო სასწავლებლებში და სპეციალურ კურსებზე თავიანთი სამხედრო ცოდნა გაეღრმავებინათ. ესენი იყვნენ გენერლები:

1. ალექსანდრე ზაქარიაძე – მენშევიკური მთავრობის მიერ კავკასიელ ოფიცერთა ჯგუფის უფროსათ დანიშნული.
2. ქუთათელაძე – არტილერიის გენერალი.
3. ყაზბეგი – ინჟინერი.
4. კონიაშვილი – გვარდიის გენერალი.
5. ბაქრაძე ზაქარია – კავალერიის გენერალი.
6. ჩხეიძე ალექსანდრე – ქვ. ჯარი.

პოლკოვნიკები:

1. გველესიანი რომანი – ქვ. ჯარი.
2. ვაჩნაძე ნიკოლოზი – გარდაიცვალა ტყვეობაში ბუხენვალდის ტყვეთა ბანაკში. დასაფლავებულია ბუხენვალდის სასაფლაოზე. სიკვდილის შემდეგ კუჭში აღმოაჩინეს შხამიანი პატარა ბოთლის ნამსხვრევები.
3. მიქელაძე პლატონი – არტილერისტი, უკვალოთ დაიკარგა 1944 წელს გერმანეთის ტერიტორიაზე.
4. ბაგრატიონი – მე-II მსოფლიო ომის შემდეგ ოჯახიანათ გაიხიზნა დასავლეთ გერმანიაში, სადაც გარდაიცვალნენ.
5. კანდელაკი ნიკოლოზი – ინჟინერი ფორტიფიკატორი.
6. კვიკვიძე – ქვ. ჯარი.
7. სიდამონ ერისთავი – ჯავშნოსანი ავტომანქანები.
8. თევზაძე ვალერიანი – ქვ. ჯარი. გარდაიცვალა პოლონეთში 1985 წელს, 93 წლის ასაკში.

მაიორები:

1. ქუთათელაძე დავითი – არტილერისტი, უმაღლესი სამხედრო განათლებით.
2. ქუთათელაძე ბიძინა – ინტენდენტი, უმაღლესი განათლებით.
3. ტერიაშვილი კონსტანტინე – ინტენდენტი, უმაღლესი სამხედრო განათლებით.
4. კობიაშვილი ალექსანდრე – ინტენდენტი, უმაღლესი განათლებით.
5. შალიკაშვილი დიმიტრი – ცხენოსანი, უმაღლესი განათლებით.
6. სიამაშვილი ლადო – ქვ. ჯარი.
7. ფავლენიშვილი გიორგი – ცხენოსანი.
8. არონიშიძე არტემი – ქვ. ჯარი. თავი იჩინა ვარშავის დაცვისას 1939 წელს.
9. ალავიძე ალექსანდრე – ჯავშნოსანი ავტომანქანები.
10. ყიფიანი ალექსანდრე – იურისტი.

კაპიტნები:

1. კვალიაშვილი ლევანი – ქვ. ჯარი.
2. მაჭავარიანი დავითი – ქვ. ჯარი. გარდაიცვალა მე-II მსოფლიო ომის დაწყებამდე ქ. ვილნოში.
3. კანდელაკი მიხეილი – ქვ. ჯარი.
4. ინჯია ვასო – ტოპოგრაფი.
5. ვაჩნაძე დავითი – ტოპოგრაფი.
6. მამალაძე ზენონი – რადიო-ტექნიკოსი. დაიღუპა „კატინში“.
7. რუსიაშვილი მიხეილი – ცხენოსანი არტილერია.
8. კლიმიაშვილი დავითი – ქვ. ჯარი.
9. ქავთარაძე ივანე – ქვ. ჯარი. მოკლეს მეუღლესთან ერთათ საკუთარ ბინაზე ვარშავის აჯანყების დროს.
10. ჭყონია – მფრინავი. დაიღუპა 1939 წლამდის.

იუნკერთაგან პოლონეთის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში ვიყავით:

1. ნანუაშვილი ივანე – სამხედრო აკადემია დამთავრებული, ქვ. ჯარის დივიზიის საოპერაციო დარგის უფროსი. გერმანელებთან ომის დროს მონაწილეობა მიიღო ამ დივიზიის ბრძოლებში. დივიზიის უფროსი იყო გენ. პაშკევიჩი, ყოფილი „პოდხორუნჟების“ სკოლის უფროსი. ვანო



სხედან (მარცხნიდან): 1. პოლონელი ოფიცერი, 2. **რომან გელესიანი**, 3. **ნიკოლოზ კანდელაკი**, 4. **სპირიდონ ქავქავაძე**; დგანან: 1. **ვალერიან სიდამონ-ერისთავი** 2. ვალერიან ხელაძე, 3. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. 4. **ისრაფილ იედიგარი** (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, **გიორგი კვინიტაძის** კოლექცია, თბილისი).


ნანუაშვილი გამოირჩეოდა თავისი ნიჭიერებით, სამხედრო ხელოვნების ღრმა ცოდნით, ხასიათის სიმტკიცით.. გერმანელების ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ გადაწყვიტა რამენაირათ დასავლეთის ჯარებში მოხვედრილიყო და იქიდან შებრძოლებოდა გერმანელებს. მოახერხა კიდეც ეს. ომის დამთავრების შემდეგ გადასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბინა დაიდო კალიფორნიაში. თავს ირჩენდა ავტომანქანის მძღოლობით. დაწერა ინგლისურ ენაზე შრომა სათაურით: „რა უნდა იცოდეს ყოველმა ადამიანმა საბჭოთა კავშირზე". იყო „მხედრის" ერთ ერთი ფუძემდებელი და აქტიური თანამშრომელი.

გარდაიცვალა და დასაფლავებულია კალიფორნიაში. სხეულის გასინჯვამ აღმოაჩინა კუჭის კუ.

2. მათიკაშვილი ნიკოლოზი – სამხედრო აკადემია დამთავრებული, მაიორი. მსახურობდა ლვოვის მე-19 ქვ. პოლკში. გერმანელებთან ომის დროს, 1939 წ. მონაწილეობა მიიღო ამ პოლკის ბრძოლებში ტაქტიკურ ადიუტანტის თანამდებობაზე. ომის შემდეგ გერმანიიდან დაბრუნებული გაიწვიეს განთავსუფლებულ პოლონეთის ჯარში. მსახურობდა სამხედრო სამინისტროში ქვ. ჯარის წრთვნის დარგში. დაწერა მე-19 გაძლიერებული პოლკის ბრძოლების ისტორია ქ. პლოცკის მიდამოებში. წევრია პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოებისა. ამ საზოგადოების ჟურნალ „პშეგლონდ ორიენტალიჩჩინის" ფურცლებზე შიგა და შიგ ათავსებს ქართულ პროზის და პოეზიის თარგმანებს.

აი, ორი დამახასიათებელი სურათი, რომელიც გადამხდა მე 1939 წლის პოლონელ-გერმანელთა ბრძოლებში:

1939 წლის 13 სექტემბერს, ჩვენ პოლკს დავალებული ჰქონდა დაეცვა მდინარე ვისლას მარჯვენა ნაპირი ქალაქ პლუცკის მიდამოებში. დასაცავი ნაკვეთის სიფართოე 15 კილომეტრს აღემატებოდა. ეს პოლკისთვის კი არა დივიზიისთვისაც გადაჭარბებული სივრცეა. პოლკმა ვერ შეძლო პოზიციის მთელი სივრცის ერთეულებით ამოვსება და ერთ ადგილას გერმანელებმა მდინარე გადალახეს. უკუიერიშმა და დიდი დანაკარგით წარმოებულმა ბრძოლებმა უშედეგოდ ჩაიარა. გადმოვინაცვლეთ ხელსაყრელ ახლომდებარე პოზიციებზე და გერმანელებს წინ წამონევის საშუალებას არ ვაძლევდით. მთელი ფრონტის სიგანეზე გახურებულ ბრძოლაში წინ გვიდგა გერ-




ფოტოს მეორე მხარე: ჩემო კარგო ნანოშკავ, ძალიან გვასიამოვნა მე და ძია ქაქუცას შენი ნერილი. გაკორნებთ ბევრსა, შენ კიდე ჩვენ მაგიერათ აკოცე ბაბალეს. შენი ძია სპირიდონი.

მანელთა მე-3 დივიზია, რომელიც ჩვენ ერთეულს ძალებით და იარაღით 3-ჯერ აღემატებოდა, ამის გარდა, მის განკარგულებაში იყო მძიმე არტილერიის ბატარეა. პოზიციის ცენტრში პოლკის უფროსის ადგილსამყოფელი იყო, ტელეფონით უკავშირდებოდა ყველა ერთეულის უფროსებს. გეერდით, თხრილებში მოთავსებული ჰყავდა მცირერიცხოვანი მარაგი პოლკის დამხმარე ერთეულისგან. შუაღამე გადასული იყო, ყველაზე გართულებული მდგომარეობა ჩვენ მარცხენა ნაკეეთზეა, რომელსაც ათასეულის უფროსი მაიორი ბეშჩანინი განაგებდა. ხშირ-ხშირად გეირეკაეს გაჭირვებას გვამცნობს, დახმარებას თხოულობს. არტილერიის, ტყვიამფრქვეეთა, ხელყუმბარათა ქარცეცხლში ვართ ჩვენცა და მაიორ ბეშჩანინის ერთეულიც. ეელარ ეუძლებთ, უნდა დაეიხიოთ, გადმოგვცა ტელეფონით და კავშირიც შეწყდა.

უკუიერიშზე გადავდივართო, გვიბრძანა პოლკის უფროსმა. წამოაყენეთ მარაგი და მომყევითო. სამზადისში მყოფი ტკბილ ძილსმიცემული ჯარისკაცები სწრაფად წამოვაყენეთ და გაშლილ ფრონტად მივიწეეთ წინ. მინა ინძრევა ზარბაზნის ყუმბარათა აფეთქებისგან ჩვენ წინ და ჩვენ წყობილებაში. გერმანელებს ჩვენი შეჩერება სურთ. ეცემიან დაჭრილ-დახოცილნი, რამდენიმე წუთის წინ ტკბილად მძინარე ჯარისკაცები. მივიწეეთ წინ, უკან ვაბრუნებთ დახეეაზე გადასულ ათასეულს. ჩაეებით ხელჩართულ ბრძოლაში. ორივე მხრივ ულმობლობაა. ჩასაფრებული გერმანელები დიდ ზიანს გვაყენებენ, მათმა გვამებმაც დაფარა გარემო დაჭრილ-დახოცილებით. ხელჩართულ ბრძოლას ვერ უძლებენ, გარბიან, მიედეეთ ათასეულის პოზიციის აღდგენამდის.

მეორე შემთხვეევა.

პოლკი პოზიციებს იცვლის, დილაა. პოლკის უფროსთან ერთად მოტოციკლებით ერთეულების მოძრაობას ეამოწმებთ და ვანესრიგებთ. ვართ გზის იმ მონაკვეთში, რომელიც ორ ხშირი ტყით დაფარულ ფერდობშუა ვიწროდ მოედინება. გეესმის ყუმბარათა აფეთქების ხმა და რას ვხედავთ? შემოჭრილა ამ ტყიან სივიწროეეში ექვსცხენშებმული არტილერიის ყუმბარათა მზიდი ერთეული და ქუხილი გააქეს ყუმბარათა აფეთქებას. ცხენების ყოეელ წინ წამოწეევაზე ფეთქდება მიწაში ჩამარხული ნაღმები. ერთმანეთში იხლართებიან და ერთმანეთს მიათრეეენ დაჭრილი, სისხლში ამოსერილი, ზოგჯერ ნახეევარფეხმოგლეჯილი ცხენები. სხედან თავის ადგილზე თავის ქალა ახდილი



პოლონეთის არმიის ოფიცერი – გიორგი მამალაძე ქართულ მეჯლისზე. ვარშავა, 1938, ჟურნ. „PRO GEORGIA", №23, ვარშავა, 2013.

მძღოლები, ხელებში გაჰყინვიათ აღვირების თასმები. გამოსავალი არ არის არც წინ, არც უკან, არც ადგილზე მობრუნება არ შეიძლება. ამ ვითარებაში, რომელიღაც ნაცვლის ტანსაცმლიანი ჯარისკაცი: თოფით ხელში სირბილით მიჰყვება ცხენთა რიგს და ყველა ცხენს, მიუხედავად იმისა, დაჭრილია თუ არა, სიცოცხლეს უსპობს. ამ საშინელების მაცქერალს გული მწყდება, რომ შველის აღმოჩენა არ შემეძლო. დღეს ამ განცდის მოგონება თვალწინ მიყენებს ტირიფონის ველზე გაყინულ უდანაშაულო ცხვრის ფარას, რომელიც ამავე ომის წყალობით იღუპებოდა.[1]

3. აბაშიძე ვახტანგი – მე-13 ქვ. პოლკის კაპიტანი. ამ პოლკის შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო გერმანელებთან ცხარე ბრძოლებში „მლავა", „პულტუსკ", ვარშავის მიდამოებში. ომის შემდეგ გაიხიზნა დასავლეთ გერმანიაში, სადაც გარდაიცვალა.

4. ხუნდაძე გედეონი – კაპიტანი. მსახურობდა და გერმანელებთან ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო 25-ე ქვ. პოლკის შემადგენლობაში.

პოლონეთის ოკუპაციის დროს მონაწილეობდა პარტიზანულ ბრძოლებში. დაიღუპა პარტიზანთათვის სამხედრო აღჭურვილობის მოპოების დროს. დასაფლავებულია პოლონეთში.

5. მრევლაშვილი გიორგი[2] – კაპიტანი. მსახურობდა და გერმანელებთან ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო ქ. პიოტრკოვის 25-ე ქვ. პოლკში. გარდაიცვალა და დასაფლავებულია გერმანეთში.

6. ციბაძე ლადო – ქვ. ჯარის ლეიტენანტი. მსახურობდა და ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო ლიუბლინის ქვ. ჯარის პოლკში.

პოლონეთში შემოსვლისას ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და 10 წლით ციმბრში გადასახლება მიუსაჯეს. გადასახლებიდან დაბრუნებული სუსტი და დასნეულებული გარდაიცვალა და დასაფლავებულია ქ. ლიუბლინში.

7. ლობჟანიძე ილარიონი – ქვ. ჯარის კაპიტანი. დაამთავრა უმაღლესი საინტენდანტო სკოლა. 1939 წელს მონაწილეობა მიიღო გერმანელებთან ბრძოლებში. ომის შემდეგ დასახლდა დასაელეთ პოლონეთში.

8. ჯავახიშვილი გიორგი – ქვ. ჯარის კაპიტანი. იბრძოდა გერმანელებთან ჯერ პოლონეთში და შემდეგ ინგლისში ათასეულის უფროსის თანამდებობაზე. გარდაიცვალა და დასაფლავებულია ინგლისში.

---

[1] კურსივით გამოყოფილი ტექსტი ჩამატებულია ნიკოლოზ მათიკაშვილის თბზულების გამოქვეყნებული ვარიანტიდან, რადგან ჩვენს ხელთ არსებულ ხელნაწერს ორი გვერდი აკლდა (იხ. ნ. მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი, „იუნკრები", თბილისი, „მეცნიერება", 1990 წ., გვ. 39-41) *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება გიორგი მრევლაშვილი *(ლ. ც.)*.

9. სომხიანცი მელიქი – ტომით სომეხი. საქართველოს ერთგული. მონაწილეობდა გერმანელებთან ბრძოლებში პოლონეთსა და ინგლისში. ცხოვრობს ინგლისში.

10. კაკაბაძე ილია – ქვ. ჯარი.

11. ბახუტაშვილი – გარდაიცვალა 1922 წელს „პოდხორუნჟების" სკოლაში. დასაფლავებულია პოლონეთში.

12. კეზელი ლევანი – გარდაიცვალა „პოდხორუნჟების" სკოლაში 1922 წელს. დასაფლავებულია ვარშავაში.

13. ბალახვანელი საველი – ქვ. ჯ. ლეიტენანტი. მსახურობდა *ქვეითი ჯარის 33-ე პოლკში ქალაქ ლომჟაში*[1] და გარდაიცვალა 1939 წლამდის. დასაფლავებულია ქ. ლომჟაში.

14. თინიკაშვილი ბორისი – ემიგრანტობა ვერ აიტანა, დასნეულდა და „პოდხორუნჟების" სკოლიდან 1922 წელს დაბრუნდა საქართველოში.

15. აბულაძე პროკოფი – არტილერისტი. გაანება სამხედრო სამსახურს თავი, გადასახლდა და გაჭირვებით ცხოვრობდა საფრანგეთში. გარდაიცვალა და დასაფლავებულია პარიზში.

16. ნიკოლაიშვილი – დაანება სამხედრო სკოლას თავი და დაბრუნდა საქართველოში.

17. კიკიანი –

18. ყიფიანი დავითი – ქვ. ჯარის კაპიტანი, სამხედრო აკადემია დამთავრებული. მსახურობდა ქ. რუჟანში, სამხედრო სკოლაში. თავი მოიკლა და დასაფლავებულია ქ. რუჟანში.

19. ყიფიანი – ქვ. ჯარის ლეიტენანტი. გარდაიცვალა 1939 წლამდის. დასაფლავებულია ქ. ლოდზში.[2]

20. რატიშვილი ტატო – არტ. კაპიტანი, შემდეგ ჯავშნოსან ავტომანქანათა ერთეულის ოფიცერი, სამხედრო აკადემია დამთავრებული. მეტად ნიჭიერი, სიმღერის მოყვარული, მათემათიკური ნიჭით დაჯილდოებული. ბოლშევიკთა პოლონეთში შემოსელის დროს დაპატიმრებულ იქმნა და რუსი ბანაკის დარაჯის მიერ მოკლული.

21. ლაღიძე დავითი – ჯერ არტილერიის კაპიტანი და შემდეგ ინტენდანტი.. საბერძნეთის სკოლაში ყოფნის დროს ჯგუფის უფროსი. სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით როგორც იუნკერთა, ისე ბერძენ და პოლონელ ამხანაგების და უფროსების მხრივ. სიმღერის მოყვარული. ვარშავაში სამსახურის დროს კაეშირი გააბა და დიდათ მიღებული იყო პოლონეთის რჩეულ საზოგადოების მიერ.

1939 წელს დიდი დახმარება გაუწია ალყა შემორტყმულ ვარშავის მცხოვრებთ. სამხედრო საწყობებიდან სურსათ სანოვაგის მიწოდებით. ამ საქმეში ეხმარებოდნენ მას მაიორები ალავიძე და ვგონებ, არონიშიძე, რომლებიც სატრანსპორტო ავტომანქანებში მსახურობდნენ. ომის შემდეგ გადასახლდა და გარდაიცვალა პარიზში.

22. ლაღიძე დიმიტრი – მე-16 ცხენოსანი პოლკის ლეიტენანტი. 1939 წლამდის დაბრუნდა საქართველოში, სადაც 1930 წელს დახვრეტილ იქნა ბოლშევიკების მიერ.

23. ლაღიძე ლადო – არტილერიის კაპიტანი, სამხედრო აკადემია დამთავრებული. 1939 წელს იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ პოლონეთში. შემდეგ გენ. ანდერსის ჯარებთან ერთათ მოხვდა და იბრძოდა ინგლისში, სადაც გარდაიცვალა.

24. ფურცელაძე პაელე[3] – არტილერიის კაპიტანი. მსახურობდა კრაკოვის მსუბუქ არტილერიის I პოლკში.

25. წითლანაძე თადეოზი – არტილერიის კაპიტანი. მსახურობდა მსუბუქ არტილერიის მე-17 პოლკში, ქ. გნიეზნოში. ცხოვრობს დასავლეთ პოლონეთში, ზღვის პირეთში.

26. ზაუტაშვილი იოსები – არტილერიის კაპიტანი. მსახურობდა მსუბუქ არტილერიის პოლკში, კრაკოვში. ომის შემდეგ ინსტრუქტორათ იყო ოფიცერთა საარტილერიო სკოლაში. შვილთან ერთათ დაილუპა ავტომანქანის კატასტროფაში. დაჯილდოებული იყო მოქანდაკის ნიჭით. დასტოვა ამ დარგში დიდი მონაღვაწარი.

27. თაყაიშვილი პლატონი – მფრინავთსაწინააღმდეგო არტილერიის კაპიტანი. ომის შემდეგ პოდპოლკოვნიკი, საჰაერო თავდაცვის ჯართა უფროსი. ჯარიდან განთავისუფლების შემდეგ დასახლდა ქ. პოზნანში, სადაც გარდაიცვალა.

---

[1] „ჯერსკით გამოყოფილ ფრაზა ჩამატებულია ნიკოლოზ მათიკაშვილის თხზულების გამოქვეყნებული ვარიანტიდან (იხ. ნ. მათიკაშვილი, მ. კეალიაშვილი, „ოუნკრები", თბილისი, „მეცნიერება", 1990 წ., გვ. 42) *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება ქ. ლოძი – ლოძის საეოეოდოს ადმინისტრაციული ცენტრი *(ლ. ც.)*.

[3] იგულისხმება შალვა ფურცელაძე *(ლ. ც.)*.

Z-A-G-U-B-I-E-N-I W H-I-S-T-O-R-I-I

Relacja o walkach 19 pp pod Płockiem w 1939 r.

19 pp "Odsieczy Lwowa" w dniach 10–15 września 1939 r.pod dowództwem ppłk.dypl.Stanisława Sadowskiego stoczył krwawe boje z 3 niemiecką dywizją piechoty.Powstrzymał ją do dnia 16 września nad Wisłą i osłonił w ten sposób bok i tyły Armii Poznańskiej,walczącej pod Kutnem.Szczególnie zażarte boje stoczono w nocy z 12/13 pod Dobrzykowem i z 14/15 września w lasach na płn.od Łącka.

W obu tych walkach walczono na białą broń.Zadano nieprzyjacielowi i poniesiono duże straty,a co najważniejsze wymuszono na nim decyzję przerwania akcji zaczepnej i pozostania w obronie nad Wisłą tak długo,jak tego wymagała sytuacja 8 Armii Poznańskiej.

Opisu dziejów 19 pp z tych okresów w literaturze wojskowej brak a krótkie wzmianki o wydarzeniach pod Płockiem u takich autorów jak : gen.Kirchmajer,płk.St.Sławiński,por.A.Zawilski pomijają szczegóły działania 19 pp i decyzję Niemców pozostania nad Wisłą gotowi przypisać zjawieniu się na polu walki w dniu 15 września – jednostek 15 i 27 DP.

Wniosek taki jest niezgodny z istotnym stanem rzeczy i tym samym krzywdzący tak dla 19 pp jak i jego poległych na przedpolu Płocka żołnierzy.

Byłem adiutantem taktycznym 19 pp w 1939 r.Ze wspomnień własnych i relacji uczestników walk spróbuję odtworzyć prawdę,by

ნიკოლოზ მათიკაშვილი, „RELACJA O WALKACH 19 PP. POD PŁOCKIEM W 1939 R." (მე-19 ქვეითთა პოლკის ბრძოლები პლოცკის მიდამოებში 1939 წელს), მანქანაზე ნაბეჭდი, ვარშავა, 1973 (სლმ. №28448-6-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

1. Nemu eswili Jan kpt. dypl. Jako oficer operacyjny Uczestniczył w walce z niemcami w r. 1939. w Jarosławskiej dyw P-ech. dowodzonej przez gen. Piszkiewicza . Był wysoko ceniony przez niego. Przebił niewolę, dostał się wczasie walk do Prus ej gdzie brał czynny udział w walce z niemcami. Po zakończeniu wojny zamieszkał w Ameryce, gdzie prowadził działalność literacką w dziedzinie historji wojskowej gruzji. Wydał w kilku językach pracę pod tytułem: Co każdy człowiek powinien znać o Związku Radzieckim." Zmarł niespodzianie i pochowany jest w Ameryce.

2. Metikaszwili Mikołaj kpt. dypl. Służył w 19 P.P. potem w 19 P.P . Wskładzie tego pułku Jako adjutant taktyczny uczęstniczył w r. 1939 w walkach pod Dobrzykowem. Przebył niewolę,skąd powrócił do Kr-wy. W r 1945 powołano do ocr. Wojsko Polskiego i wcielono do Min. Obr. Nar. po ukończeniu wyszkolenia mianowniowisko st. pom. Szefa Wyszk. Piech, gdzie w awansowano do st. maj. Obrazowe wspomnienia o działaniach 19 P. P. w r. 1939, które przechowuje się w "Izbie Pamięci" W szkole podchorążej im. "Obrońców Dobrzykowa."
Uprawia działalność literacką, tłómacząc prozę i poezję

3. Zhandzydze Wachtang. Kpt.w 19 P.P. Pułtunku. Po skończeniu tej pułku brał udział w walce z niemcami w r 39. Przebył niewolę.Zmarł w Niemczech, dokąd wyemigrował po zakończeniu wojny.

4. Chundadze Gedeon kpt. piech. Brał udział w wojnie z niemcami. Zginął w czasie okupacji w [illegible]

ქართველი იუნკერების სია, რომლებიც მსახურობდნენ პოლონეთის არმიაში, პირველი გვერდი, მანქანაზე ნაბეჭდი. (სლმ. №28432-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



პოლონეთის არმიის პორუჩიკი – **დავით ჩხეიძე** (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ქართული ემიგრაციის ფონდი. **გიორგი კვინიტაძის** კოლექცია, თბილისი).

28. ნიკოლაძე შოთა – არტილერისტი. 1939 წლამდის დასტოვა სამხედრო სამსახური გადასახლდა პარიზში, დაამთავრა უნივერსიტეტი და როგორც ინჟინერი ელექტრიკოსი მსახურებდა იქვე. გარდაიცვალა და დასაფლავებულია პარიზში.

29. ბოკუჩავა გრიგორი – მიატოვა სამხედრო სკოლა. გადასახლდა გერმანეთში. დაბრუნდა შემდეგ ვარშავაში, სადაც გარდაიცვალა 1939 წლამდის.

30. მახარაძე ლადო – არტილერიის კაპიტანი, სამხედრო აკადემია დამთავრებული. 1939 წელს გერმანელებმა მოაწყვეს პროვოკაციული გამოსვლები გერმანეთ-პოლონეთის ჩრდილო დასავლეთ საზღვარზე, ის, როგორც დივიზიის შტაბის უფროსი, თავის დივიზიის უფროსთან ერთათ გაემართა მდგომარეობის ადგილზე შესამოწმებლათ.. გზაზე მანქანა წააწყდა მიწაში ჩაფლულ ნაღმს. ორივენი დაიღუპნენ. ესენი იყვნენ პირველი მსხვერპლნი გერმანელებთან ომის დაწყების რამოდენიმე დღის წინ.

31. დადიანი მიხეილი – კავალერიის ლეიტენანტი. მსახურობდა ლვოვის ცხენოსან პოლკში. დაანება სამხედრო სამსახურს თავი. გადასახლდა პარიზში, სადაც ცხოვრობს დღემდის.

32. ლეო ერისთავი – დასტოვა „პოდხორუნჟების" სასწავლებელი და პოლონეთიდან გადასახლდა, ვგონებ, საფრანგეთში.


33. იაშვილი გრიგორი – ცხენოსანი ჯარის ლეიტენანტი. მსახურობდა მე-7 ცხენოსან პოლკში, პოზნანში. ბოლშევიკებმა პოლონეთის ტერიტორიაზე შემოსვლისას დაატუსაღეს და ათი წლით გადაასახლეს ციმბირში. იქაური ჰავა ვერ აიტანა, დაჭლექდა, ნება მისცეს თბილისში ძმასთან დაბრუნებისა, სადაც გარდაიცვალა.

34. ბაქრაძე ივანე – მე-17 ულანთა პოლკის როტმისტრი. მიიღო მონაწილეობა გერმანელებთან ბრძოლებში. ომის შემდეგ გადასახლდა დასავლეთ ევროპაში.

35. უგრეხელიძე ვიტალი – როტმისტრი. მსახურობდა ლვოვში. მონაწილეობა მიიღო გერმანელებთან ბრძოლებში. ომის შემდეგ დაბინავდა ლონდონში, სადაც დაავადდა ფსიქიურათ.

36. ჩხეიძე დავითი – როტმისტრი. მსახურებდა მე-6 ცხენოსან პოლკში დაბა ჟულკევში. გარდაიცვალა 1939 წლამდის. დასაფლავებულია ლვოვში.

37. ჩხეიძე გიორგი – როტმისტრი. მსახურობდა მე-2 ულანთა პოლკში. გარდაიცვალა 1939 წლამდის. დასაფლავებულია პოზნანში.



ფოტოს მეორე მხარე. На этомъ конкурсѣ Дуда взялъ 1-ую премію. Конь, Люціанъ. 32 г. въ Познани (ამ შეჯიბრში დუდამ პირველი პრიზი აიღო. ცხენი – ლუციანი. პოზნანი, 1932).

38. კობიაშვილი სვიმონი – სამხედრო აკადემია დამთავრებული. გერმანელებთან ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო როგორც ცხენოსანი ბრიგადის შტაბის უფროსმა. მისი ბრიგადის უფროსი თავის ომისდროინდელ მოგონებებში დადებითათ აფასებს მას, როგორც ჩინებულ მხედარს და შტაბის მომუშავეს. ომის შემდეგ დასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც გარდაიცვალა.

39. კვალიაშვილი მიხეილი – მე-15 ულანთა პოლკის როტმისტრი. მსახურობდა პოზნანში ასეულის უფროსათ.. ბოლშევიკებმა პოლონეთში შემოსვლის დროს დაატუსაღეს და 10 წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. შემდეგ კიდევ ერთი წელიწადი მიუმატეს.

11 წლის შემდეგ პოლონეთის მთავრობამ გადასახლებიდან დააბრუნა პოლონეთში სხვა აფიცრებთან ერთათ, პოდპოლკოვნიკის ხარისხი მიანიჭა, მისცა ბინა და დახმარებაც გაუწია, რითაც დიდი შვება მიეცა მის მეუღლეს, რომელიც დიდათ გაჭირვებულათ ცხოვრობდა თავისი 3 პატარა ქალით[1] პოზნანში. ომის შემდეგ მსახურობდა მუზეუმში, როგორც დირექტორის თანაშემწე. მოახერხა კავშირის გაბმა საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებთან, უცხოეთთან კულტურულ კავშირის საზოგადოებასთან, ემიგრაციაში მყოფ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. შუამდგომლობდა მათი ურთიერთთან კავშირის დაკავებასა და აზრთა და შრომათა გაცვლა გამოცვლაში.. დაწერა და გამოქვეყნება ვერ მოასწრო შრომა ქართველ კათოლიკეთა ვინაობაზე საქართველოში.. გარდაიცვალა 83 წლის ასაკში. დასაფლავებულია ქ. პოზნანში.

რამდენათ გულმოდგინე პატრიოტი იყო და მისი ჭირ-ვარამის მოჭირნახულე, სჩანს მისი მიწერმოწერიდან ჩემთან. აი, სხვათა შორის რასა მწერს თავის 7.VIII.57 წლის წერილში:

„ორიოდე სიტყვა ჩემი თავგადასავლიდან. 1941 წლიდან ვიყავი ა. კ.-ას (Армия Крайова)[2] რიგებში 1945 წლამდე. როდესაც პოზნანში შემოვიდა პოლონეთის ჯარი, გამოვცხადდი და ისევ მის რიგებში შევედი.

5.IV.1945 საბჭოთა ნკვდ-ემ[3] ბევრი ძველი პოლონელი აფიცერი დაატუსაღა და მათ შორის გრიშა იაშვილი და მეც. გაგვასამართლეს და 10-10 წელი რუსეთის ჩრდილოეთ წრეში გადასახლება მოგ-

[1] იგულისხმების მიხეილ კვალიაშვილის მეუღლე – სტანისლავა (სტასია) ჩელინსკა-კვალიაშვილი და შვილები: ნინო, მაია და მანანა *(ლ. ც.)*.

[2] სახალხო ლაქარი *(პოლ.)*.

[3] НКВД – Народный комиссариат внутренних дел (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) *(რუს.)*.

ვისაჯეს. იქ მე მეორეთ გამასამართლეს და კიდევ ერთი წელი დამიმატეს. ნიჩფით და წერაქვით გვამუშავებდნენ ნახშირის საბადოებში. სასჯელის მოხდის შემდეგ კიდევ 13 თვე ველოდი პოლონეთში დაბრუნების ნებართვას და ბოლოს 1956 წლის 5.VIII უკვე ოჯახს დაუბრუნდი. რაც მე იქ ავიტანე, აქ ვერ აგიწერ.. საწყალმა გრიშამ ყველაფერი ეს ვერ აიტანა, ჯერ ფილტვების გაგანივრება დაემართა, შემდეგ გულზე გადავიდა და საქართველოში თავის ძმა სიმონიკასთან დაბრუნდა. გეხსომება ჩვენი ამხანაგი უმცროს კურსელი იუნკერი.. ჰავის რადიკალური შეცვლა ვერ გადიტანა და 1955 წლის 15.X-ში გარდაიცვალა.. მე 1956-ში სახლში დავბრუნდი და რომ მოვიგონებ, რაც გადამხდა, მიკვირს, რომ ცოცხალი ვარ. მომცეს მაიორის ხარისხი და სათანადო პენსია. პოზნანში პატიკო თაყაიშვილია, ჯარიდან განთავისუფლებული სამხედრო პენსიით. იმისგან გავიგე, რომ შენ, მაიორები ალავიძე და არონიშიძე, ტურაშვილი, წითლანაძე აქა ხართ. კავშირში ვარ ტალიკო უგრეხელიძესთან და მისი საშუალებით ინგლისში მყოფ კიკნაძესთან, ხელაძესთან, ვალოდია ლაღიძესთან, ჯავახიშვილთან, პარიზში კი ოდიშელიძესთან, კუკური თოხაძესთან, სიმონიკა აბაშიძესთან, შოთა ნიკოლაძესთან, ვანო მაჭარაძესთან და ვანო ვაჩნაძესთან. ამერიკაში მივაგენ შაქრო ცერცვაძეს, სიკო კობიაშვილს, მიშა დადიანს, ვანო ნანუაშვილს. კუკური თოხაძე მთხოვს აქ მყოფი იუნკრებისა და მათ ოჯახების მდგომარეობაზე მივწერო რამე. მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ მომავალში „იუნკერთა კავშირი" აღსდგება და თავის პატრიოტულ მუშაობას განაგრძობს. შენ როგორ ღა ხარ? თავს მოუარე, ვინ იცის, ხვალ რა იქნება.. მხედარი მოვალეობის შესრულებისთვის მუდამ მზათ უნდა იყოს. გადასახლებული ქართველებისგან ვიცი, რომ საქართველოში „იუნკერთა კავშირის" არსებობა იციან, ახსოვთ ტაბახმელა და ამ პატარა ჯგუფზე დიდ იმედებსაც ამყარებენ".

ეს და ამგვარი სხვა წერილებიც ბევრი მაქვს მისგან მიღებული. ყველგან საქართველოს აწმყოსა და მომავალს დასტრიალებს, მის აე კარგს აშუქებს და მის მომავალს იმედით შესცქერის.

40. ნაცვლიშვილი ფარნაოზი – როტმისტრი. მსახურობდა მე-99 ულანთა პოლკში გრაევოში. „პოდხორუნჟების" სკოლაში ყოფნის დროს 1922 წელში სკოლას ეწვია საფრანგეთის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი (გვარი არ მახსოვს). მის პატივსაცემათ სკოლამ სამხედრო მეცადინეობა მოაწყო დაბა რემბერტოვში ნამდვილი ვაზნებით, ხელყუმბარებით, ნაღმ მტყორცნელებით და არტილერიის ცეცხლით. ნაცვლიშვილი ამ მეცადინეობაში ნაღმოსანთა ერთეულს *ხელმძღვანელობდა.*[1] ცხარი ცეცხლის გაჩენის დროს ერთი ყუმბარა ლულაში გაიჭედა. ფარნაოზმა მას ნიჩაფი დაარტყა, რომ ყუმბარა თავის ადგილზე შეეგდო. ყუმბარა აფეთქდა და ფარნაოზს მარცხენა თვალი ამოუგდო. ცალ თვალა განაგრძობდა ჯარში სამსახურს. 1939 წელს მონაწილეობდა გერმანელებთან ბრძოლებში, მოხვდა ლიტვაში, იქიდან გერმანელების მიერ ოკუპირებულ პოლონეთში გადმოიპარა. გაჭირებულ ცხოვრებას ეწეოდა.. მოხვდა დასავლეთში და პოლონელთა ჯართან გერმანელებს ებრძოლებოდა.. ომის შემდეგ გარდაიცვალა დასავლეთში.

რაც შეეხება მეცადინეობას, რომელზედაც ნაცვლიშვილმა მარცხენა თვალი დაკარგა, ფრანგმა გენერალმა ასეთი შეფასება მისცა: I მსოფლიო ომი და მრავალი სხვა ბრძოლები გამოვლია, მაგრამ ასეთი ხმაურიანი და ნამდვილი სასტიკი ბრძოლა პირველადა ვნახეო.

41. ხელაძე – ლეიტენანტი, ინჟინერი.

42. სხირტლაძე არკადი – კაპიტანი, მფრინავი. დაილუპა საჰაერო ბრძოლაში გერმანელებთან 1939 წელს. 1945 წლის იანვარში, ვარშავის განთავისუფლების შემდეგ ერთ ერთ ჯვარედინ ქუჩაში იპოვეს 12-13 წლის გოგონას გვამი „შევარდნის" სამოსში გამოწყობილი. აბგაში აღმოაჩნდა პირადი მოწმობა სხირტლაძის გვარზე[2] და სამხედრო ბრძანებები, რომლებიც მიჰქონდა დანიშნულებისამებრ გადასაცემათ. საქართველოში ამ ამბავმა მიაღწია. დაინტერესდნენ მისი ვინაობით და საამისოთ მიმართეს პოლონელ ქართველოლოგს პროფ. ივანე ბრაუნს.[3] იმან კიდევ მე. ავუხსენი, ვისი შვილიც იყო. ცნობა საქართველოში გადასცა. პოეტმა პეტრიაშვილმა[4] ამ ამბავს ლექსი უძღვნა, რომელიც გადავუთარგმნე სხირტლაძის მეუღლეს.[5] სხირტლაძის რაჭველმა ნათესავებმა სხირტლაძის *ქვრივი საქართველოში*[6] დაპატიჟეს, პატივი სცეს და ალბათ ეს კავშირი დღემდის გრძელდება.

43. აღნიაშვილი დიმიტრი – ქვ. ჯარის ლეიტენანტი. გარდაიცვალა 1939 წლის ომამდის.

---

[1] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამორჩენილია *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება ირინა სხირტლაძე *(ლ. ც.)*.

[3] იგულისხმება ივან ბრაუნი *(ლ. ც.)*.

[4] ავტორს გვარი ეშლება, ირინა სხირტლაძის ხსოვნას თავისი ცნობილი ლექსი „ირინოლა" ჯანსუღ ჩარკვიანმა მიუძღვნა *(ლ. ც.)*.

[5] იგულისხმება ივანინა კიჩინსკა-სხირტლაძე *(ლ. ც.)*.

[6] კურსიეით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამოტოვებულია *(ლ. ც.)*.



დავით ჩხეიძე (მარცხნიდან მეორე) პოლონელ მეგობრებთან ერთად (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, **გიორგი კვინიტაძის** კოლექცია, ფოტოები).

44. ყაზბეგი ირაკლი – ჯავშნოსანთა ერთეულის აფიცერი, მეტათ ნიჭიერი და დიდი მომავლის პიროვნება. გარდაიცვალა 1939 წლამდის.

45. ლომიძე ვიქტორი – მეზღვაური, კომანდორი. მსახურობდა ქ. გდინიაში. გერმანელებთან ბრძოლისას ტყვეთ ჩავარდა... ტყვეობიდან გაიპარა. ლამანშის სრუტე გადაცურა და ინგლისში მყოფ პოლონელების ჯარში მსახურობდა და იქიდან განაგრძობდა გერმანელებთან ბრძოლას. იყო ნიჭიერი, წარმოსადეგი, გულადი აფიცერი. გარდაიცვალა და დასაფლავებულია ინგლისში.

46. კიკნაძე მიხეილი – ქვ. ჯარის კაპიტანი. შესანიშნავი აფიცერი, იბრძოდა ინგლისში მყოფ პოლონეთის ჯარების რიგში, შესანიშნავი მომღერალი. ეგონებ, ცოცხალია და ინგლისში იმყოფება.

47. თუმანიშვილი – მეზღვაური.

როგორც ამ სიიდან ირკვევა, პოლონეთში სამხედრო ცოდნას ეწაფებოდა 47 იუნკერი და 42 უფროსი აფიცერი. მათგან 15 კაცმა სამხედრო აკადემია დაამთავრა, 4-მა უმაღლესი საინტენდანტო სკოლა. გარდა ამისა, ყველა უფროს აფიცერმა გაიარა ქვეითა ჯარის ათასეულის უფროსის და სხვა დარგის სპეციალური სასწავლებლები ამნაირათ პოლონეთის დახმარებით ქართველი ოფიცრობა საზღვარ გარეთ საგრძნობ ძალას წარმოვადგენდით რიცხობრივათაც და ცოდნის მხრივაც. რომ დაგვცლოდა და საქართველოს თავისუფლება მოეპოვებინა, ეჭვი არ არის, დადებით ზედგავლენას მოვახდენდით ქართული ჯარის შექმნაზე. ოღონდ ბედმა ეს არ ინება და მოელენები საქართველოს სასარგებლოთ არ წარიმართნენ.

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანელთა ჯარი ომის გამოუცხადებლივ თავს დაესხა პოლონეთს. პოლონეთმაც თავისი ჯარები აამოქმედა. ქართველ აფიცერთა დაზოგვის მიზნით პოლონეთის მთავრობას მიზნათ არა ჰქონია ქართველ აფიცერთა ომში განეევა, ოღონდ ჩვენ ყველამ თხოვნები შევიტანეთ მოქმედ ჯარში განსანეესებლათ. ეფიქრობდით, რომ ამ გზით ნანილობრივ მაინც გადავუხდიდით ჩვენზე განეულ ზრუნვას. შედეგათ აკადემია დამთავრებულები მოხვდნენ შტაბების შემადგენლობაში, ზოგნი როგორც დიდი ერთეულების შტაბის უფროსათ, ზოგნი შტაბის აფიცრებათ, დანარჩენები ხარისხის შესაფერ თანამდებობებზე მონანილეობდნენ ომში თავთავიანთ ერთეულებთან. ვიბრძოდით თავგანწირვით, როგორც საკუთარ სამშობლოსთვის. დანერილებითი ცნობები, თუ ვინ რა მოიმოქმედა ომის დროს, გაბნეულია პოლონელ აფიცერთა და ერთეულის უფროსთა მოგონებებში. ურიგო არ იქნებოდა ამ ცნობების ამოკრეფა და ნიგნათ გამოცემა.

მე, 1939 წლის ომში წილად მხვდა მონანილეობა მიმელო როგორც გაძლიერებული პოლკის ტაქტიკურ ადიუტანტს ქალაქ პლოცკის და დაბა დობჟიკოვის მიდამოებში ბრძოლებში. ვიცავდით გენერალ კუტშებას მოქმედებებს „კუტნოს" რაიონში. დავალებული გექონდა მისი ჯარების მარცხენა ფრთის დაცვა მდინარე ვისლის მხრიდან. ცხარე ბრძოლების ჩატარება გადაგეხდა გერმანელების გაძლი-



პოლონეთის არმიის კაპიტანი არკადი სხირტლაძე.



„პარასოლის" ბატალიონის მეკავშირე ირინა სხირტლაძე.

ერებულ დივიზიასთან. დღეს სოფელ „დობჟიკოვოს" პირველ დაწყებითი სასწავლებელი ატარებს „დობჟიკოვისთვის მებრძოლთა ხსოვნის" სახელს. მის პატარა მუზეუმში ინახება ომის დროინდელი ძეგლები და ჩემი პოლონურ ენაზე დაწერილი მოგონებები[1] იქ ჩატარებული ბრძოლების შესახებ.


მიუხედავათ მედგარი და თავგანწირული ბრძოლებისა, პოლონეთის ჯარმა, რომელიც მოკლებული იყო ტექნიკურ და მექანიკურ სრულყოფას, ერთი თვე ძლივს გაუძლო ყოველ მხრიდან მომდგარ, ჯავშნოსნებში ჩაჭედილ გერმანელთა ჯარს და მის მძლავრ საჰაერო ძალებს.

თვით ვარშავა ომისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. საამისოთ არც ჯარი, არც სამხედრო მასალა, არც სურსათი და არც საამისოთ დანიშნული სარდალი არ აღმოჩნდა. ამისდა მიუხედავათ, პოლონელების დედა ქალაქი გერმანელებს უომრათ არ დანებებია.

სარდლობა იკისრა სამხედრო აკადემიის პროფესორმა დიდათ განათლებულმა და საყოველთაოთ პატივცემულმა პოლკოვნიკმა პორვიტმა. მოახერხა ვარშავასა და მის ირგვლივ სამხედრო მასალების მოგროვება, ადგილზე მყოფ ოფიცერთა გამოყენება და ვარშავის თავდაცვაზე გადასვლა. ამ ბრძოლებში წარმატებით მოქმედობდნენ ქართველი ოფიცრებიც, სახელდობრ პოდპოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე, მაიორები – არტემ არონიშიძე და ალავიძე, კაპიტანი დავით ლაღიძე, პოდპოლკოვნიკი თევზაძე განაგებდა ვარშავის დაცვის რკალის $^1/_4$-ს. დიდი წარმატებით ანარმოებდა ბრძოლებს. თავის ნაკვეთში გერმანელები არ შემოუშვია. ასევე იყო მაიორ არონიშიძის მხრივაც. იგი, როგორც ათასეულის უფროსი, იცავდა მომიჯნავე ნაკვეთის ნაწილს მე-40 ქვ. პოლკის შემადგენლობაში. კაპიტანი დ. ლაღიძე, როგორც საინტენდანტო დარგის ოფიცერი, სამხედრო სასურსათო საწყობებიდან ამარაგებდა მებრძოლ ჯარს და ვარშავის მოსახლეობას. ომის დასაწყისშივე საჰაერო ბრძოლაში დაილუპა კაპიტანი სხირტლაძე. პოლკოვნიკმა პორვიტმა ომის შემდგომ დაწერა ვრცელი მოგონება ვარშავის თავდაცვითი ომის შესახებ და დადებითად მოიხსენია ამ ბრძოლებში მონაწილე ქართველები, განსაკუთრებით პოდპოლკოვნიკი თევზაძე.. ამგვარათ ვიბრძოდით და ვიხდიდით ვალს საქართველოსადმი პოლონეთის მიერ გაწეული დახმარებისთვის.

ტექნიკურმა და რიცხობრივმა უპირატესობამ ბოლოს თავისი გაიტანა. პოლონეთი ძლეულ იქმნა. პოლონეთის ტერიტორია გერმანელთა ოკუპაციაში მოექცა და მიჰყვეს მათ ხელი თავის მიზნების განხორციელებას.. მთავარი მიზანი კი იყო, პოლონეთის სახელმწიფოებრივი სახე მოესპოთ, მოსახლეობა მოესპოთ ან გერმანელების შავ მუშებათ გადაექციათ. იწვებოდა და ისპობოდა

[1] იგულისხმება ნიკოლოზ მათიკაშვილის მოგონება „Relacja o walkach 19 pp. pod Płockiem w 1939 r." სლმ. №28448-6, ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი *(ლ. ც.)*.



ყოფილი იუნკრები პოლონეთის არმიაში, ვარშავა, 1927 (დაით ყოლბაიას კერძო კოლექცია, ვარშავა).

ან იცარცვებოდა საუკუნეების სიგრძეზე შექმნილი კულტურის განძები, სასახლეები, ეკლესიები, მუზეუმები, ნიგნთსაცავები, იხსნებოდა და ნადგურდებოდა პოლონეთის ცნობილ მოღვაწეთა ძეგლები, ქარხნები. სოფლათ დიდ-პატარა მამულები გერმანელთა ხელში გადადიოდა. ქუჩებში იქერდნენ და სახლებიდანაც გამოჰყავდათ და სადღაც აქრობდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, ქალებს და ვაჟებს. ნანილს მუქთა მუშებათ აგზავნიდნენ თავიანთ სანარმოებში, ნანილს საკონცენტრაციო ბანაკებში სიმშილით მოსაკლავათ ან ცოცხლათ დასანვავათ. სად იყო ამ დროს საერთოთ აღიარებული გერმანელი ხალხის მაღალი კულტურა? ამ ცარცვა გლეჯასა, სხვისი ქონების მითვისებასა და მშვიდობიან ხალხთა ჟლეტაში მონაწილეობას ღებულობდა უკლებლივ პოლონეთში მცხოვრები ყველა გერმანელი. ქართველებსაც არ ასცდათ ამ დაუნდობლობის მსხვერპლობა. დაატუსაღეს და სადღაც გააქრეს ვარშავაში მცხოვრები არქიმანდრიტი გრიგორ ფერაძე. სახლიდან გაიყვანეს და დახერიტეს ნერილ შვილის პატრონი, პოლიტიკის გარეშე მდგომი ათაბეგიშვილი.

ქალაქის დამშეული მოსახლეები ცდილობდნენ ოჯახის სიმშილისგან გადასარჩენათ სოფლებიდან სანოვაგე ჩამოეტანათ, მაგრამ ამაოთ ე. წ. „ფოლქს დოიჩები", ე. ი. პოლონეთში მცხოვრები გერმანული წარმოშობის მოქალაქენი გზაში ხვდებოდნენ, გზას უღობავდნენ და ნეადაგეით ნაშოვნ საზრდოს ართმევდნენ.. ასეთ მოპყრობას პოლონელები არ ეგუებოდნენ, სადაც შეეძლოთ და როგორც შეეძლოთ, წინააღმდეგობას უწევდნენ. აზიანებდნენ ლიანდაგებს, უფეთქებდნენ ხიდებსა და სანყობებს, სპობდნენ ტრანსპორტს.

დამარცხების მიუხედავათ, ოკუპირებულ პოლონეთს ბრძოლა არ შეუნყვეტია. გადავიდა პარტიზანულ მოქმედებებზე, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ოფიცრები და ერის-კაცებიც. სავალალოთ მათზე დანვრილებითი ცნობა არა მაქვს. ვიცი მხოლოთ, რომ პარტიზანთათვის იარაღის მოპოებისას დაილუპა კაპიტანი გენადი ხუნდაძე. ბოლშევიკებმა დაატუსაღეს და ციხეში ტანჯეს ერის კაცი ხირსელი. „ა. კ"-ას რიგებში (არმია კრაიოვა) იბრძოდა კაპიტანი, შემდეგში პოდპოლკოვნიკი მიხეილ კვალიაშვილი და ალბათ სხვებიც, რომელთა გვარები არ ვიცი. უმრავლესობა კი ქართველი ოფიცრობისა ჩავარდა ტყვეთ და ჩამწყვდეული იყო ტყვეთა ბანაკებში.

ამასობაში ისე დასაელეთით, როგორც აღმოსაელეთით გამალებული ბრძოლები მიმდინარეობდა, საბჭოთა ჯარებმა ჩიხში მოაქციეს და მოსპეს გერმანელთა ძლიერი დაჯგუფებები ლენინგრადის, კურსკის, სტალინგრადის მიდამოებში. ფრონტი პოლონეთის ტერიტორიას უახლოვდებოდა, პოლონეთის საიდუმლოთ დარაზმული მიწისქვეშეთი ჯარი მზათ იყო აჯანყებისთვის და სწორეთ ამ მომენტს ელოდა. არ ვიცი, სად და რამდენი ქართველი ოფიცერი იყო ჩაბმული ამ სამზადისში. ეს კი ვიცი დანამდვილებით, რომ მათ შორის იყვნენ: პოლკ. თევზაძე, მაიორები ალავიძე და არონიშიძე, კაპიტნები ვ. აბაშიძე, მიხეილ კვალიაშვილი, გენადი ხუნდაძე და მე.



ირინა სხირტლაძის საფლავი ვარშავაში (ფოტო მოგვანოდა **დაით ყოლბაიამ**).

ერთ ერთ საიდუმლო დივიზიის უფროსათ გათვალისწინებული იყო ჩემი ყოფილი მე-13 ქვ. პოლკის უფროსი პოლკ. ზენტარსკი. მან თავის დივიზიის შტაბში მიგვიწვია 3 ქართველი ოფიცერი: პოლკ. თევზაძე – შტაბის უფროსათ, ნ. მათიკაშვილი საოპერაციო დარგის უფროსათ და ვახტანგ აბაშიძე შტაბის ოფიცრათ.

ვარშავის აჯანყებაზე[1] გადასვლის ნიშანზე, დარაზმული დივიზიები და ჩვენი დივიზიაც სამხედრო მოქმედებაზე უნდა გადასულიყო. საბჭოთა ჯარებმა ვარშავას მიაღწიეს. ვარშავა აჯანყდა. აჯანყებულებს საბჭოთა ჯარი არ დახმარებია. ნინსცლა ვისლის ნაპირებზე შეაჩერეს. აჯანყება მთელი პოლონეთის მაშტაბით და ჩვენი დივიზიის გამოსვლაც არ მომხდარა. ტყეში მყოფნი თვალყურს ვადევნებდით საერთო მდგომარეობას და ვარშავის ბრძოლას. აჯანყებულთა რადიო გადაცემებიდან ვიცოდით, რომ გერმანელებმა ალყა შემოარტყეს აჯანყებულ ვარშავას და თავის ნანილებისა და გერმანელებთან თანამშრომლობაზე გადასული უკრაინელი გენერლის ვლასოვის ჯარების დახმარებით შეუდგნენ ქალაქის უბან უბან გაწმენდას. ისე გერმანელები, როგორც უკრაინელები, აჯანყებას საშინელი ულმობელობით აქრობდნენ, სწვავდნენ უბნებს, მამაკაცების უმრავლესობას ადგილზევე ჰხოცავდნენ, ქალებს აუპატიურებდნენ, ქონება გაჰქონდათ. უბნებზე

[1] 1944 წლის იულისში ნითელი არმია ვარშავას მიუახლოვდა. პოლონეთის ემიგრირებულმა მთავრობამ (იმყოფებოდა ინგლისში) იცოდა, რომ სტალინი არ იყო პოლონეთის დამოუკიდებლობის მომხრე, ამიტომ პოლონეთის სახალხო არმიას (არმია კრაიოვა) ბრძანება მისცა, ვარშავაზე კონტროლი მანამ მოეპოვებინათ, სანამ მას ნითელი არმია დაიკავებდა. ასე დაიწყო 1944 წლის 1 აგვისტოს აჯანყება, რომელსაც ტადეუშ კომოროვსკი ხელმძღვანელობდა. მასში თითქმის ქალაქის მთელი მოსახლეობა მონაწილეობდა. აჯანყების დასაწყისი წარმატებული იყო, ვერმახტი იძულებული გახდა დაეთმო ქალაქის ტერიტორიის დიდი ნანილი. მაგრამ აჯანყება მალე აღმოჩნდა კრიტიკულ სიტუაციაში. ნითელი არმია, რომელიც ამ დროს მდ. ვისლას მარჯვენა სანაპიროზე უბან პრაგაში იდგა, აჯანყებას დახმარებას არ უწევდა. სტალინმა ორი სატანკო დივიზია გაგზავნა, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ქალაქში ბრძოლის გამოცდილება და ვერ შეძლეს საკუთარი პოზიციების შენარჩუნება. გამოუცდელი დივიზიების გაგზავნა შეგნებული ქმედება იყო, რათა საბჭოთა კავშირი მომავალში არ დაედანაშაულებიათ აჯანყების დაუხმარებლობაში. გარდა ამისა, მათ არ მისცეს დასაყრდენელ მოკავშირეებს საკუთარი აეროდრომების გამოყენების უფლება, რაც საშუალებას მისცემდა დასაყრდენელ ქვეყნებს მიეწოდებინათ სურსათი და იარაღი ვარშაველი ამბოხებულებისთვის. პოლონეთის სახალხო არმიამ 2 ოქტომბერს კაპიტულაცია გამოაცხადა. აჯანყება, ძირითადად ვაფენ-სს-მა ჩაახშო და მასში 170 ათასი ადამიანი დაღუპა, მათგან მხოლოდ 16 ათასი იყო სამოქალაქო პირი. ჰიტლერი არ დაემაყოფილდა კაპიტულაციის პირობებით და სადამსჯელო ღონისძიებების ჩატარება ბრძანა. გერმანელებმა გეგმაზომიერად ააფეთქეს მდ. ვისლას მარცხენა სანაპიროზე იმ დროს ჯერ კიდევ გადარჩენილი შენობები, დანვეს ან გერმანიაში გაზიდეს სამუზეუმო და საბიბლიოთეკო კოლექციები. განადგურდა ქალაქის ფიზიკური კაპიტალის 85%, მათ შორის ძველი ვარშავა და ვარშაეის სამეფო სასახლე. 650 ათასი მოსახლე პრუშკუვის საკონცენტრაციო ბანაკებში ან იძულებით სამუშაოზე გადაიყვანეს. 1945 წლის 17 იანვარს დაიწყო ვისლა-ოდერის ოპერაცია, რომლის შედეგად ნითელმა არმიამ დაიკავა ვარშავის ნანგრევები და გაათავისუფლა ის გერმანული ოკუპაციისგან. 1939-45 წლებში 700 ათასი ვარშაველი დაიღუპა და განადგურდა 45 მილიარდი დოლარის ღირებულების ქონება. პოლონეთის სახალხო არმიის ცოცხლად გადარჩენილი ჯარისკაცები შინსახკომმა დაიქირა და სიკვდილით დასაჯა, ნანილი კი ციმბირში გადასახლა *(ვიკიპედია, თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია)*.



დიმიტრი აღნიაშვილის საფლავი ვარშავაში (ფოტო მოგვანოდა **დავით ყოლბაიამ**).

შეტევისას ნინ იმძღვარებდნენ ბავშვებსა და ქალებს იმ იმედით, რომ პოლონელები მათ ცეცხლს არ გაუწენენ და ამნაირ საფარს ამოფარებულნი უბანს დაიპყრობდნენ. რაკი საერთო გამოსვლაზე არაფერი ისმოდა, გადავწყვიტე მოვალეობა გადამებარებინა, ვარშავაში წავსულიყავი და ჩემი ოჯახისა და იქ მცხოვრებ ქართველების შველაზე მეფიქრა. ვარშავიდან 25 კმ. დაშორებით ერთი ოთახი მქონდა დაქირავებული და იქ დავიდე ბინა.. ვარშავა ინოდა, შორიდან მოჩანდა მის თავზედ კუპრივით შავი ბოლი. მის მაღლა უხვათ დასრიალებდნენ ბომბდამშენი თვითმფრინავები. მათ მიერ ჩაყრილი ბომბების ქუხილი გულდამზარავათ მოისმოდა. გერმანელებს ვარშავიდან გამოყვანილ აჯანყებულთათვის დაბა პრუშკოში ბანაკი მოეწყოთ. მის ირგვლივ კედლები, ტელეფონისა და ელექტრონის ბოძები დახუნძლული იყო პატარა პატარა განცხადებებით. თხოულობდნენ ამბავს ვარშავაში ჩარჩენილ თავთავიანთ ნათესავებზე. ბანაკის ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა. ეკლესიები სავსე იყო მლოცველებით. მათი ქცევა ასაბუთებდა, რომ უაღრესათ ურწმუნოც კი გასაჭირის დროს საშველათ ღმერთსა და სარწმუნოებას მიმართავდა.

რაკი რაიმე ცნობის მიღება ვარშავაში მყოფთა შესახებ მხოლოდ პრუშკოის ბანაკიდან შეიძლებოდა, მეც იქ დავიწყე ყოველდღიურათ სიარული. დილიდან საღამომდის ვიდექი ბანაკის კარებთან და ველოდი, იქნებ ჩემ მახლობლებზე რაიმე ამბავი გამეგო. მალე დავრწმუნდი, რომ ბანაკის კართან დგომა არაფერს იძლეოდა.. ცნობები კი უკრაინელებთა და გერმანელთა ქცევის და აჯანყებულთა ტანჯვისა და გვემის შესახებ საზარელი მოდიოდა, წერილით ვაცნობე შექმნილი მდგომარეობა ბერლინში მცხოვრებ ქართველებს და ვთხოვდი, დახმარება გაეწიათ მათთვის. პასუხათ რამოდენიმე დღის შემდეგ ბერლინიდან ჩამოვიდა პოლონეთის ქართველთა სათვისტომოს უკანასკნელი უფროსი გიორგი ნაკაშიძე, გერმანელთა ხელისუფლების მიერ უფლება მოსილი ქართველთ მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ყოველგვარი დახმარების *გაწევის*[1] შესახებ. ვარშავაში დაჰყო მან რამოდენიმე დღე და ბერლინში დაბრუნებისას ქართველებზე ზრუნვის საკითხი მე გადმომილოცა. ამ დღიდან შემეძლო ბანაკში შესვლა, ქართველთა ძიება და მათი ბანაკიდან გამოყვანა. ის, რაც ბანაკის შიგნით ხდებოდა და რაც პოლონელებს ემართებოდათ, უკიდურესათ გულქვა ადამიანსაც გულს აუჩქროლებდა. დაღლილნი, იმედ გაცრუებულნი, ხშირათ დაჭრილნი და სულიერათ და ფიზიკურათ მოტეხილნი ღამეებს ეზოში ატარებდნენ, თუ ვისმეს რაიმე საგზალი გამოჰყვა, ერთმანეთს სთავაზობდნენ. სახლებში ღვთის ანაბარათ დარჩენილ ავლა დიდებას შესტიროდნენ და თავთავიანთ მძიმე თავგადასავალს ერთმანეთს უზიარებდნენ. ჯოჯოხეთი

[1] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამორჩენილია *(ლ. ც.)*.



დიმიტრი ამილახვარი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, გიორგი კვინიტაძის კოლექცია, თბილისი).

იწყებოდა გათენებისას. მთელი ეს ხალხი ჯგუფებათ უნდა დაეყოთ და ჩამომდგარ სატვირთო ვაგონებში მოეთავსებინათ, ჯგუფები კი, როგორც შევამჩნიე, ასეთი იყო:

1. შრომისთვის გამოსადეგი ახალგაზრდობა.

2. ავათმყოფნი, ხანში შესულნი, მუშაობისთვის გამოუსადეგარნი.

3. ბრძოლებში მონაწილეობის მიმღებნი ან დაჭრილნი.

ჯგუფებათ დაყოფას აწარმოებდა შუა ეზოში დამდგარი მაღალი ხარისხის გერმანელი. მის წინ უნდა გაევლოთ რიგებათ დამწკრივებულ პოლონელებს. ერთი შეხედვით აფასებდა, ვინ რომელ ჯგუფს ეკუთვნოდა და თითით უჩვენებდა, სად დამდგარიყო. ოჯახის წევრობას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ერთი ოჯახის წევრებს ცალ-ცალკე სხვა და სხვა ჯგუფში მიაკლენდა, ერთმანეთთან გამომშვიდობების საშუალებას არ აძლევდა. განსაგმირავი იყო ძაღლების წკმუტუნი და ღმუილი. არ იცოდნენ, ოჯახის რომელ წევრს გაჰყოლოდნენ, ვაგონებამდის მაინც, ვაგონში ხომ მათ არავინ შეუშვებდა. მიდიოდნენ პოლონელები სევდიანნი, ხშირათ მტირალნი, ალბათ მშიერნი ვაგონებისკენ და ბანაკის ეზოში ჰყრიდნენ ბლუჯაბლუჯათ რგოლებზე ასხმულ ბინის გასაღებებს. ძაღლები, პატრონების წასვლის შემდეგ, ალღოთი პოულობდნენ თავთავიანთ ბინის გასაღებებს, გვერდით უწევებოდნენ, იქნებ ჩვენი პატრონი აქ დაბრუნდესო ან გულში ჩამწდომ ღმუილით დარბოდნენ ეზოში და ამით გამოსთქვამდნენ თავის ჩივილს ადამიანის უადამიანობაზე. მრავლდებოდა მათი რიცხვი ყოველ დღე ახალი მოსულებით. ცხადია, არც ერთი მათგანი მაძღარი არ იყო, მაგრამ მინდობილ საჭმელს არ ეკარებოდნენ, რაც მე საკუთრივ გამოვცადე. ამ ვითარებაში პროფესორ გიორგი ნაკაშიძის მიერ გადმოცემულ მინდობილობით ვსარგებლობდი. ვეძებდი ბანაკში მოყვანილთა შორის ქართველებს და ბანაკიდან გამომყავდა, ხშირათ არა ერთი პოლონელისთვისაც ქართველობა მიმიწერია და გერმანელების ხელიდან გამომიტაცია. ბანაკიდან გამოყვანილი ქართველები, თითქმის ყველანი დასავლეთის გზას ადგებოდნენ, პოლონელები კი თავთავიანთ ოჯახს უბრუნდებოდნენ. თითქოს ამდენი უბედურება საკმარი არ ყოფილიყოს, სწორეთ მაშინ, როდესაც ბანაკის შემოსასვლელთან ახალი ტრანსპორტი ჩამოაყენეს, ბოლშევიკთა მფრინავმა ბომბები ჩამოყარა. საბედნიეროთ, მიზანს აცდინა და არავინ არ დაუზიანებია. იყო ასეთი შემთხვევაც. ჩამოაყენეს ბრძოლებში დაჭრილ პოლონელებით სავსე მატარებელი აჯანყებულთა რომელიღაც საავათმყოფოდან. საჩქაროთ გადმოსხეს ვაგონებიდან დაჭრილები და უწესრიგოთ ლიანდაგის პირას მიყარ-მოყარეს. ამასობაში ვარშავიდან რაღაც ჩქარმა მატარებელმა გამოიქროლა, პრუშკოვში გაუჩერებლივ სადღაც მიეჩქარებოდა და ზედ ამ მიყრილ მოყრილ დაჭრილებზე გადაიარა. ცხადია, ბევრი იყო დახოცილიც და ხელმეორეთ დაჭრილნიც. ძნელი ასატანი იყო ხალხის ამ უბედურების ცქერა. „ლიტერატურული საქართველოს“ 1984 წლის 30 მარტის ნომერში წავიკითხე რევაზ ჯაფარიძის შეფასება ორი ქართული ფილმისა, რომლებიც იმ ხანებში თბილისის კინო ეკრანებში ენახა. ესენი იყო: „პირველათ იყო სიტყვა“ და „ფურცლები ფრანგული დღიურიდან“. ამ ფილმებს, როგორც მასზე, ისე საერთოთ მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია (ფილმები გადაღებულია ცნობილ კინორეჟისორ თაბუკაშვილის მიერ). ფილმში „ფრანგული დღიურიდან“ მოთხრობილია ფაშისტებთან ბრძოლაში დაღუპულ ქართველთა თავგადასავალი. თითქმის ყველანი ტყვეთ ჩავარდნილი და ფრანგების პარტიზანულ ბრძოლებში ჩაბმული ქართველებია. ნაჩვენებია იქ საბრძოლო თავგადასავალი პოლკოვნიკ დიმიტრი

ამილახვარისა. ის აფრიკაში ებრძოდა „უდაბნოს მელათ“ ნოდებულ ფელდმარშალ რუმელსო.[1] მისი საფლავი დარჩა ლიბიის უდაბნოშიო. მართალია, პოლკ. ამილახვარი ოუნკერთა ჯგუფს არ ეკუთვნოდა, მაგრამ თავისი ცხოვრების გზით და ბედით იმავე ოჯახს ეკუთვნოდა.

86 წელს გადაცილებული „უკანასკნელი უბიხიეით“ მარტოკა ვარ პოლონეთში და მოვალეთ ვთვლი ჩემ თავს ჩემი თანამემამულეების არსებობის, შრომის, ოცნების, ჩატარებული ბრძოლების და დალუპვის კვალი დაეტოვო, რომ მომავალმა თაობებმა დავიწყებას არ მისცენ ჩვენი მწარე ბედი და საკუთარ გულში ჩახედვით გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები. მოგონებაში არ მომიხსენებია დაღუპულ ქართველ აფიცერთა ოჯახები, მათი დაობლებული ცოლშვილი.. ისინი მრავალათ არიან მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნებში მიმობნეულნი, ქართველობა არ დაუკარგავთ და გული განთავისუფლებულ სამშობლოს მოსწრების გრძნობით უცემთ.

[1986]

[1] იგულისხმება ერვინ როშელი (ლ. ც.).

რა მოუტანა საქართველოს ბოლშევიკთა 65 წლის ოკუპაციამ?


დღიდან ბოლშევიკთა მიერ საქართველოს დაპყრობისა 65 წელმა გაიარა. თუმცა ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ისეთი მოხდა, რამაც საქართველოს მდგომარეობა სრულიათ შეცვალა. ერთი რამ არ შეცვლილა – საქართველო 1921 წელს ოკუპირებულ იქმნა ბოლშევიკთა მე-XI ლაშქრის მიერ და ასეთად დარჩა დღემდის.

1921 წელს დაამარცხეს მათ ქართული ჯარები, განდევნეს კანონიერი მთავრობა, დაუყენეს სათავეში რუსეთიდან თან მოყვანილი მთავრობა, რამოდენიმე საქართველოს სახელმწიფოებრიობის არ მცნობი პიროვნება და მიყვნენ კომუნისტური წესწყობილების დამყარებას. ცხადია, თავისუფლების მოყვარული, დიდი ისტორიული წარსულის მქონე ქართველი ხალხი ამას არ დაყაბულდებოდა, და რითაც შეეძლო და როგორც შეეძლო, უძალიანდებოდა..

საქართველო და კავკასია რუსეთისთვის იმ გვარ ღირებულებას წარმოადგენს, რომ რაკი იქ ერთხელ ფეხი შედგა, მის დათმობას არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდება.

ჯერ ერთი, სტრატეგიული მხრივ კავკასიის ტერიტორის ფლობა აშორებს რუსეთის ტერიტორიას საფრთხეს სამხრეთიდან და პირიქით, აძლევს მას ექსპანსიის საშუალებას სამხრეთისა, სამხრეთ აღმოსავლეთისა, ბალკანეთისა და ხმელთა შუა ზღვისკენ. და მეორე მხრივ, კავკასია და კერძოთ საქართველო, დიდათ სანუკვარია რუსეთისთვის, როგორც მდიდარი ქვეყანა როგორც მეურნეობის, ისე წიაღისეულ სიმდიდრეთა. ცხადია, ამ პირობებში ყოველ ზომებს მიმართავდნენ დამოუკიდებლობისადმი ლტოლვის ჩასაქრობათ. რიგრიგით ჩაახშეს სვანეთის, ხევსურეთის გამოსვლები, 1924 წლის აჯანყება, სისხლითა და რეპრესიებით განახორციელეს კოლექტივიზაცია, აიძულეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თავის შეფიცულებით საქართველო დაეტოვებინა. მრავალი მონინააღმდეგე ფიზიკურათ მოსპეს, ბევრი ციმბირში გადაასახლეს, დასჯილთა ბანაკებში მოათავსეს, ციხეებში ამოამწყვდიეს და შედეგათ ხალხი იმ ზომათ დააშინეს, რომ წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაუბედია. შემდეგში რეპრესიები დაყვავებით, დაჯილდოებით, წარჩინებებით, გარდამავალ წითელ დროშათა მინიჭებით შეცვალეს და ხალხის უმრავლესობა თავის საქმიანობაში ჩაიყოლიეს. რა ზომის მსხვერპლი გაიღო საქართველომ ამ მდგომარეობამდი მისვლამდის, სად და რამდენი ქართველი დაიღუპა თავისუფლებისთვის ბრძოლებში, დასაზუსტებელია და უვარგისი არ იქნებოდა, ვისმეს ამ საკითხის გაშუქება ეკისრა. ამის მაგიერ მონამენი ვართ ისეთი ფაქტებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1783 წლის ხელშეკრულების 200 წლისთავის ზეიმის დროს 1983 წელში, ჯერ ერთი, მეფე ერეკლის მიერ რუსეთთან დადებულ მეგობრობის ხელშეკრულებას საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობითი „შეერთება“ დაარქვეს და მეორეც, სურვილი გამოთქვეს, „საქართველო მომავალშიც მუდმივ რუსეთთანაო“ (წარწერა დიდი ასოებით ჟურნალ „დროშის“ გარეკანის პირველ ფურცელზე).

ამ დაშინებული და ჩაჩუმებული ხალხის აბუჩად აგდების თვალში საცემი მაგალითია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციები, რომლებიც ვითომდაც ხალხის ნებაყოფლობითი და ძალდაუტანებელი სურვილით შემუშავდა.. დღევანდლამდის შემუშავებული და გამოცხადებულია 4 კონსტიტუცია: 1918, 1924, 1936 და 1972 წლებში. ეს უკანასკნელი დღესაც ძალაშია. ამ კონსტიტუციამ სრულიათ მოსპო სუვერენული სახელმწიფოები, მათ შორის საქართველოც, დააარსა ახალი, ერ-



ნიკოლოზ მათიკაშვილი, „რა მოუტანა საქართველოს მოლშევიკობა 65 წლის ოკუპაციამ?“, ავტოგრაფი [1986] (სლმ. №28434-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი. თბილისი).



შალვა ნუბარიძე და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია, თბილისი).

თიანი სახელმწიფო „საბჭოთა სოც. რესპუბლიკათა კავშირი". ჩამოართო ცალკე სახელმწიფოებს მათი ტერიტორია და გადასცა ამ ახლად შექმნილ სახელმწიფოს. ამნაირათ ის პატრონი გახდა კავშირში შემავალ ერთა მთელი ტერიტორიისა მიწით, ტყით, წყლით, წიაღისეული სიმდიდრეებით. მისი საკუთრებაა აგრეთვე ამ ტერიტორიებზე განლაგებული: წარმოების, მრეწველობის, სააღმშენებლო, კავშირ გაბმულობის, ტრანსპორტის საშუალებანი, ერთის სიტყვით ყველაფერი. ეს ახალი სახელმწიფო შექმნილია არა ეროვნებათა კავშირზედ დაყრდნობით, არამედ პროლეტარული, კლასობრივი, ინტერნაციონალური ერთიანობის და კომუნიზმის მშენებლობის საერთო მიზნით.

აქამდის ადამიანი მიჩვეული იყო იმ ტერიტორიის სიყვარულს, სადაც დაიბადა, გაიზარდა, ეამაყებოდა ის წარსული, რომელიც მისმა ერმა, როგორც ცალკეულმა პოლიტიკურმა ერთეულმა, ისტორიის მრავალ ნლოვან მსვლელობაში ამ ტერიტორიაზე განიცადა. ეწოდებოდა ამას სამშობლოს სიყვარული, ნაციონალიზმი, დღეს ყველაფერი ეს მან უნდა დაივიწყოს.

„უნდა ჩაატაროს მორალურ ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ცალკეული გამოვლინების ისტორიულ შეფასებისადმი არა კლასობრივი მიდგომის ფაქტების აღმოფხვრა". ამ საწყისებზე დაყრდნობით ადამიანი უნდა გამოიცვალოს, გადასხვაფერდეს, დაივიწყოს ძველი და ირწმუნოს ახალი სინამდვილე. ამ მიზნის მიღწევას ემსახურება მრავალ რიცხოვან პროპაგანდისტთა კადრები, პარტია, კომკავშირული, პროფკავშირული და საზოგადო ორგანიზაციები, სკოლა, რადიო, ტელევიზია, ლიტერატურა, ხელოვნება. ცალკე სახელმწიფოთა ინტერნაციონალიზაცია ეროვნებათა ერთმანეთში გათქვეფის გზით, მრეწველობის განვითარების ისეთი პოლიტიკა, რომელიც მოითხოვს უცხო სპეციალისტთა და მათი ოჯახების ჩამოსახლებას. თბილისში დღეს 80 ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. სომეხს რომ ჰკითხოთ, თბილისში ნახევარზე მეტი მცხოვრები სომეხია. ახალი სამრეწველო ქალაქი რუსთავი მეტწილათ უცხოელებითაა დასახლებული. ასეა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გამო, ასეა საქართველოში მრავალი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მოთავსების გამო, სანატორიუმებისა და დასასვენებელ *სახლების*[1] მშენებლობის გამო, და ამის შედეგია, რომ საქართველოს მცხოვრებთა რიცხვი ...დან ...წელში[2] 1985 წლამდის $5^1/_2$ მილიონამდე გაიზარდა. თუ ასეთი ტემპით წავიდა საქართველოს გაინტერნაციონალების საქმე, მოკლე ხანში მოწმენი გავხდებით საქართველოში მცხოვრებ ქართველთა უმცირესობისა, ე. ი. საქართველოს მოსპობისა.

ბოლშევიკები ხომ ამტკიცებენ, რომ: „ძნელი წარმოსადგენია, როდის დადგება ერის კვდომის პროცესი. ერთი რამ ცხადია, ერი ისტორიულათ გარდამავალი კატეგორიაა!"

სრულიათ ძნელიც არ არის საქართველოს, როგორც ერის მოკდომის პროცესის განჭვრეტა, თუ ამნაირი ტემპით, ამნაირი სიჩქარით და ამდენი ენერგიის დახარჯვით იქნება წარმოებული საქართველოს მოსახლეობის გაინტერნაციონალიზირება..

საქართველოს ახალ საერთო სახელმწიფოში შეყვანით დაეკისრა ერთგულება ამ სახელმწიფოსადმი, ეს ლტოლვილება ოდესღაც ბრეჟნევმა შემდეგნაირათ *განმარტა*:[3] „ჩვენ გვინდა, რომ

[1] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამორჩენილია *(ლ. ც.)*.

[2] მცხოვრებთა რიცხვი და ნელი დედანში მითითებული არ იყო *(ლ. ც.)*.

[3] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამორჩენილია *(ლ. ც.)*.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემა იყოს ერთსულოვანი ოჯახი ხალხებისა, რომლებიც ერთათ აშენებენ და იცავენ ახალ საზოგადოებას". საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს არა ერთხელ განუცხადებიათ, რომ „ისინი მუდამ ეხმარებოდნენ და მომავალშიც დაეხმარებიან ეროვნული თავისუფლებისა და სოციალური გარდაქმნებისთვის მოქმედ რევოლიუციურ ბრძოლას." ეს მსოფლიოს ერთსულოვან სოციალისტურ ოჯახათ გადაქცევის მიზანი საქართველოს, მის ისტორიულათ გამომუშავებულ მშვიდობის მოყვარე ფსიქიკას არ შეესაბამება. ქართველებს წარსულში დამპყრობელობითი ომები არ უწარმოებიათ, თავის არსებობის სიგრძეზედ ის მხოლოთ თავდაცვით ომებს აწარმოებდა და რატომ უნდა იბრძოლოს რუსეთის აგრესიული თვისებებით ნაკარნახევ მსოფლიოს გარდაქმნისთვის, ვთქვათ, ავღანისტანში და სხეაგან იძულებით კომუნიზმის დამკვიდრებისთვის.

საქართველომ თავის თავზედ გამოსცადა, თუ რას ნიშნავს უმცირესობის მიერ იძულებით და ძალით მისთვის შეუფერებელი წესწყობილების მოხვეევა. მსოფლიოში კომუნისტური წყობილების დამყარება ხომ იმავე გზით ხდება, როგორც საქართველოში. ყველგან, სადაც კი კომუნისტური წყობილება დამკვიდრდა, ძალდატანებას, მოწინააღმდეგეთა ამოხოცვას, ხალხთა დაშინებას ჰქონდა ადგილი. ისეა აფრიკაში, შუა აზიაში, ვიეტნამსა და ჩრდილო კორეაში თუ ანგოლაში, კალიფორნიაში, ავღანისტანში.

არ შეესაბამება საქართველოს ინტერესს, მის ფსიხიკას, იბრძოლოს და მსხვერპლი გაიღოს რუსეთის იმპერიალისტურ წამოწყებებში, მაგრამ რა უნდა ქნას, რომ კონსტიტუცია აკისრებს მას საერთო სახელმწიფოს ერთგულებას და მისთვის ბრძოლასა და თავდადებას, სადაც კი ამას უბრძანებენ.

კიდევ მრავალი შემთხვევების მოყვანა შეიძლება, სადაც ბოლშევიკურმა ოკუპაციამ საქართველოს და მის მცხოვრებლებს ვნება მოუტანა, მაგრამ ისიც, რაც ვთქვი, საკმარისია შეგრძნობისთვის, რომ საქართველოს ბედი კომუნისტების ხელში არაფერ სასიქადულოს არ უმზადებს და ერთათ ერთი საზრუნველი, რომელიც ამ პირობებში ქართველებს დარჩენია, ეს არის სწორეთ შეაფასოს შექმნილი მდგომარეობა, ეძიოს და გამონახოს ერის გადარჩენის მალამო, თუ კი ეს კიდევ შესაძლებელია.

[1986]

* * *

ვარშავაში ყოფნასას გავიგე, რომ პოლონეთში მეორე მსოფლიო ომის წინ საკმაოთ რიცხოვანი ქართველი ემიგრანტები ცხოვრობდნენ. ომმა და ომის შედეგებმა გაჰფანტა მათი რიცხვი და დღეს პოლონეთში რამდენიმე ოჯახი თუ იმყოფებაო. ჩემ შეკითხვაზე, არის აქ, ვარშავაში ან მახლობლათ ვინმე ქართველი, მიპასუხეს, რომ აქ რამდენიმე პირიაო. ესენი არიან გოძიაშვილის ოჯახი,[1] სულით ქართველი, ოლონდ აქ დაბადებული და აღზრდილი და ქართულის არ მცოდნე... ათაბეგიშვილები,[2] რომელთაც გერმანელებმა მამა დაუხვრიტეს და ოჯახი კი გადარჩა... ყოფილი პოლონეთის ოფიცერი მათიკაშვილი, რომელიც ვარშავის მახლობლათ დაბა „ზალესიე დოლნეში“ სცხოვრობსო. გადავწყვიტე მისი ნახვა და მისგან ქართველებზე უფრო დაწვრილებით ცნობების მოპოვება.

„ზალესიე დოლნე“ ვარშავიდან სულ 20 კილომეტრის მანძილზეა. ნაძვებით მოფენილ დაბაში მათიკაშვილი, ყოფილი პოლონეთის მაიორია ცხოვრობს აი, ამ სახლში.

კითხვაზე, რატომ არ ბრუნდებით საქართველოში, ასე მიპასუხა:[3]

მე ყოფილი იუნკერი ვარ. 68 წლის წინათ ჩვენი სკოლა კოჯორის მისადგომებთან ტაბახმელაზედ სამშობლოს ვიცავდით და არც ერთი გოჯი ქართული მიწისა მტრისთვის არ დაგვითმია.

ვის ვებრძოდით? საბჭოთა ჯარების მე-11 ლაშქარს, რომელსაც მოუძღოდა მოლალატე ს. ორჯონიკიძე. მის დამსახურების აღსანიშნავათ ოზურგეთს ორჯონიკიძე დაარქვეს და ძეგლიც აღუმართეს.

დავმარცხდით და რაკი საქართველოს დაპყრობასა და მის გასაბჭოებას არა ვცნობდით და არა ვცნობთ, საქართველოში არ დავბრუნებულვართ.

უცხოეთში მყოფთ საქართველოზე ფიქრი ერთ დღესაც არ მოგვშორებია. ვსწავლობდით, ვემზადებოდით, გვწამდა, რომ დადგებოდა დრო, რომ განთავისუფლებულ სამშობლოს დავუბრუნდებოდით ცოდნით აღჭურვილნი. ხანმა განვლო, საქართველოს მდგომარეობა არ შეცვლილა.. იუნკერთაგან ათიოდე კაცი თუ გადარჩენილია სხვადასხვა ქვეყნებში მოფანტული, 80 წელს გადაცილებულნი არავისთვის საშიშროებას არ წარმოადგენენ. გულში ისევ უღვივით სამშობლოს სიყვარულის ცეცხლი და მძიმეთ განიცდიან საქართველოს რუსეთის მონობაში ყოფნას.


მტკიცება, რომ საბჭოთა კავშირი თანასწორ უფლებიანი თავისუფალი ერების კავშირია, სიმართლეს არ შეეფერება. როდესაც ჯარი, სამხედრო აღჭურვილობა, საგარეო პოლიტიკა, შინაური წესწყობილების დაწესება ერთი ეროვნების რუსების ხელშია, სადღაა აქ თავისუფლება და თანასწორ უფლებიანობა? წარსულში საქართველოს დამპყრობელნი ბედნიერ ცხოვრებას აღუთქვამდნენ ქართველებს, თუკი მიიღებდნენ მათ სარწმუნოებას და განმგებლობას. რით განსხვავდება ამისგან რუსეთის ბატონობა? ქართველ ხალხის იდეალს არ წარმოადგენს კლასთა ბრძოლა, პროლეტართა დიქტატურა, გლეხთა მოსპობა, მეურნეობის განადგურება, ხალხის გაღატაკება, რაც საქართველოს კომუნისტურმა მმართველობამ მოუტანა. მისი მისწრაფებაა ერთიანი, თავისუფალი, დამოუკიდებელი სამშობლო, მცხოვრებთა ურთიერთ შორის ბრძოლა კი არა, თანამშრომლობა, ხალხის გაღატაკება კი არა, კეთილ დღეობა ისე, როგორც ამას ილია ჭავჭავაძე გვასწავლიდა.

---

[1] იგულისხმება ალექსანდრე გოძიაშვილის ოჯახი *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება ვასილ ათაბეგიშვილის ოჯახი *(ლ. ც.)*.

[3] ტელეჟურნალისტი რეზო გამცემლიძე 1989 წლის მარტში სტუმრად იმყოფებოდა ნიკოლოზ მათიკაშვილთან. სავარაუდოდ, ეს ინტერვიუც მაშინ შედგა *(ლ. ც.)*.



ნიკოლოზ მათიკაშვილის ავტოგრაფი, 2 მარტი, 1989 (სლმ. №28592-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).


ცხადია, ვიდრე კომუნისტურ წესწყობილებას საქართველოში რუსეთის ჯარი სდარაჯობს, ეს ოცნება მიუღწეველია. მას დარჩენია განიმსჭვალოს მოთმინებით და იმედით, რომ მდგომარეობა შეიცვლება და საქართველოს თავის ცხოვრება დაუბრუნდება. ხომ გვითხრა ილიამ: „ჩემო კარგო სამშობლოვ, რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია!"

აი ეს არის მიზეზი, რომ საქართველოში დაბრუნებაზე არ უფიქრიათ არც ჩემ ამხანაგ იუნკრებს, არც ქართველ ემიგრანტთა უფროს და გარდასულ თაობას, რომელთა შორის არიან ისეთი ისტორიული პიროვნებები, როგორც გენ. კვინიტაძე, გენ. ჩხეიძე, გენ. ბაქრაძე, გენ. ყაზბეგი, მაიორი ზალდასტანიშვილი, რეზო გაბაშვილი, შალვა ამირაჯიბი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი შეფიცულებით და მრავალი სხვა.

2/III.1989 წელი

* * *

1990 წლის 26 თიბათვეა. საქართველოდან მესტუმრნენ გ. ლეონიძის სახელობის მუზეუმის წარმომადგენლები და მთხოვენ დავუწერო მოგონებანი ჩემი ნარსულიდან. ამა წლის 8 აპრილს შემისრულდა 90 წელი. აქედან 21 წელინადი გავატარე საქართველოში, დანარჩენი 69 წელი საბერძნეთსა და პოლონეთში. 1920 წელში შევედი ქართულ უნივერსიტეტში სამეურნეო (აგრონომიულ) განყოფილებაზე, მაგრამ რაკი ახლათ აღორძინებულ სამშობლოს ყოველ მხრივ მტერი ეტანებოდა, იმავე წელს მივატოვე უნივერსიტეტი და ქართულ ჯარში მოხალისეთ ჩავეწერე. მოვხვდი იუნკერთა სასწავლებელში და სხვა იუნკრებთან ერთათ ტაბახმელაზე ვიბრძოდი. რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა, დაგვამარცხეს, და ნაწილი იუნკრებისა საზღვარ გარეთ გამოიხიზნა იმ იმედით, რომ ევროპიულ განათლება მიღებულნი საქართველოს დაუბრუნდებოდით. ბოსფორის პირას ხანმოკლე ცხოვრების შემდეგ ჯერ საფრანგეთმა, შემდეგ საბერძნეთმა და ბოლოს პოლონეთმა მიგვიღეს თავიანთ სამხედრო სასწავლებლებში. მე მოვხვდი საბერძნეთში მიმავალთა ჯგუფში. ამ დროს ბერძნები ოსმალეთს ეომებოდნენ. მათ იმედი ჰქონდათ, ოსმალეთს დაამარცხებდნენ და სტამბოლსა და „აია სოფიას“ დაიბრუნებდნენ. საუბედუროთ, ოსმალეთის ბელადმა ქემალ ფაშამ ანგორის უდაბნოში შეიტყუა ბერძენთა ჯარები და ალყის შემორტყმით დაემუქრა. ბერძნები იძულებული შეიქნენ დაეხიათ. აჯანყებულმა ჯარებმა ათინას მიაშურეს. მეფე კონსტანტინე განდევნეს და სახელმწიფოს სათავეში ორი მაიორი პლასტირასი და გონატასი ჩაუდგნენ. სკოლა, რომელშიაც ვიმყოფებოდით, როგორც მეფის ერთგული ერთეული, დახურეს და ჩვენ უსუსურ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. საბედნიეროთ, ყველანი პოლონეთის (პოდხორუნჟების) სკოლამ მიგვიღო, სადაც 1921 წლის მინურულში ჩავედით. აქ დავამთავრეთ სამხედრო სკოლები (ქვეითა ჯარის, ცხენოსანთა, არტილერიის), ზოგმა, მგონი, 13 კაცმა, მათ შორის მეც, აქაური სამხედრო აკადემია. გერმანელებთან ომისას ყველამ მონაწილეობა მივიღეთ ომებში, გავიელეთ მსხვერპლიც, გადავიტანეთ ტყეობა გერმანეთში და დავუბრუნდით პოლონეთს. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოზე ფიქრი არ შეგვიწყვეტია. იუნკრებმა შევქმენით „იუნკერთა კავშირი“, დავაარსეთ ჩვენი ჟურნალი „მხედარი“ და 1939 წლამდის 15 ნომრის გამოცემა მოვასწარით. „მხედარი“ გამოდიოდა ჩვენი სახსრებით, პარიზში. იქ ამ საქმეს ჰპატრონობდა ყოფილი იუნკერი დოლიკა ვაჩნაძე. პოლონეთში ცხოვრებისას არც ერთი დღე არ გასულა, რომ საქართველოზე არ გვეფიქროს. გვაინტერესებდა მისი ბედი ბოლშევიკების ხელში, ცნობა კი ადვილი მისაწვდენი არ იყო. პოლონეთს ბოლშევიკურ რუსეთთან კავშირი სრულიათ განყვეტილი ჰქონდა, არავითარი გაზეთი, წიგნი იქიდან არ მოდიოდა. ცნობებს ვღებულობდით საფრანგეთში მყოფ ემიგრანტებიდან. ვიცოდით ქართველი ხალხის აჯანყებების შესახებ; ქაქუცასა და შეფიცულთა მოქმედებაზე, ოფიცერთა დიდი ჯგუფის დახვრეტაზე. ყველაფერ ამას დიდათ მტკივნეულათ განვიცდიდით. ომის დამთავრების შემდეგ ბოლშევიკები პოლონეთს დაეპატრონნენ და ვითომც პოლონელთა კეთილისმყოფელებმა სახელმწიფოს ბოლშევიკური მშენებლობა დაუწყეს. ასე იყო სამხედრო დარგშიც. თუმცა ჯარს სათავეში ედგა პოლონელი სამხედრო მინისტრი, ფაქტიურათ რუსი გენერლები და რუსული შტაბი ხელმძღვანელობდა. პოლონეთის ჯარში ნამსახური ქართველი აფიცრები დაატუსაღეს. მაიორი მამალაძე კატინში დახვრიტეს, კაპ. რატიშვილი ტყვეთა ბანაკში მოკლეს. ყოფილი იუნკრები იაშვილი, კვალიაშვილი და ციბაძე ციმბირში გადაასახლეს. გრიგორ იაშვილი იქ დაილუპა, კვალიაშვილმა და ციბაძემ ათ-ათი წელინადი გადასახლებაში გაატარეს. იქიდან დაბრუნებულმა, ჯანმრთელობა დაკარგულებმა დიდი ხანი ველარ იცოცხლეს. მე დატუსაღებას გადავურჩი პოლონელი ოფიცრების დახმარებით, რომლებიც ჩემი ნაცნობები გამოდგნენ და რუსულ შტაბს ჩემი გამოყენება შესთავაზეს. მიმიწვიეს შტაბში და ქვეითა ჯართა წრთვნის დარგში დამსაქმეს.



ნიკოლოზ მათიკაშვილის მოგონება. ავტოგრაფი, ზალესიე დოლნე, 26 ივნისი, 1990 (სლმ. №28433-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

WAŻA PSZAWELA

GOGOTUR I APSZYNA

Waża Pszawela (właściwe nazwisko Luka Razikaszwili — 1861—1914), poeta, prozaik, dramaturg, publicysta — jest wybitnym przedstawicielem klasyków gruzińskich. Działalność literacką rozpoczął przeszło sto lat temu, w 1879 r. w wieku lat 18. W ciągu 26 lat działalności stworzył kilkanaście poematów, 400 drobnych utworów poetyckich i wydał 3 tomy nowel i sztuk teatralnych. W większości dotyczą one przeszłości Gruzji.

Waża Pszawela pisał gwarą góralską, a tematy czerpał z legend i podań ludowych. Jego wiersze, oryginalnie rymowane są piękne w formie i niezrównane w opisach górskiej przyrody; poruszają one sprawy ogólnoludzkie: dobra, sprawiedliwości, humanitaryzmu, honoru, męstwa i miłości ojczyzny, i dlatego stanowią dorobek nie tylko gruzińskiej kultury. Tłumaczone na wiele języków — w Polsce są jednak — zupełnie nieznane.


W poemacie *Gogotur i Apszyna* autor potępia uprawianie rozboju. Akcja rozgrywa się w środowisku Pszawów i Chewsurów, Gruzinów zamieszkujących najwyższe rejony Gruzji, leżące wzdłuż głównego masywu gór kaukaskich we wschodniej Gruzji. Surowy klimat, ciężka walka o byt, nieustanne walki w obronie wolności uczyniły z Pszawów i Chewsurów ludzi mężnych i powszechnie szanowanych obywateli. Rywalizując ze sobą nie mogli rozstrzygnąć, czy Pszawom czy Chewsurom należy się pierwszeństwo. W poemacie poeta rozstrzygnął ten spór, doprowadzając do braterskiego pojednania Pszawa Gogotura z Chewsurem Apazyną.

M.M.

Apszyna z Bło Mendelauri [1]
obrał jak mówią podły fach:
porzucił pracę, na zbój poszedł
grozę dokoła siał i strach,
a złota, srebra i klejnotów
z rabunku zebrał cały skład...!
O Gogoturze mówią ludzie:
„Kto mu dorówna u nas? — nikt!
Przy nim w czas święta i zabawy
na próżno o zwycięstwie śnić!"
Sam król tak mawiał: „O, Gogotur
w bitwie jest wojów tysiąc wart
z niego to przykład bohaterstwa
rycerze zawsze winni brać!

[1] Bło — wieś w Chewsuretii; Mendelauri — nazwisko.

ჯაჯა-ფშაველა, „ბოგოტური და აფშინა", თარგმანი ნიკოლოზ მათიკაშვილისა, ჟურნ. „PRZEGLĄD ORIENTALISTYCZNY", №2, 1983, ვარშავა (სლმ. №28591-3-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



Dziejlika Chimkauri

Waza Pszawela

I

Wiatr zamiast wieść do człowieków
z polskiej szykował się stron
Dla nich ta wieść, to nader nie nowa
i nadzwyczajnego w tym nie było nic
Od dziecka człowiek z kamnia piersio,
by jak dworny z wrogiem bic
A mimo wszystko drżenie
tu mroczy broń, tam szabl błysk,
jedynie w domu Chimkauri
zamarło wszystko nie słychać nic.
Gospodarz chmurny, pogrążony
w pleciony fotel bez słów
Nie wiedzą jaka, co potem stan
Dla niego ciemno, choć słońce lśni
Pierwszy raz w życiu w momencie walki
szabl nie ostry, w domu tam
I chmury jakieś na dół spadły
nakryły, ziemi czarne mgły
One coś, jakby były złe

ვაჟა-ფშაველა, „ძალლიკა ხიმკაური", პოლონურ ენაზე, თარგმანი ნიკოლოზ მათიკაშვილისა, ავტოგრაფი, ვარშავა, 1988 (სლმ. №28428-5-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

WAŻA PSZAWELA

DŻAGLIKA CHIMIKAURI *

Wiatr zaniósł wieści do Chewsurów [1]:
„W pochód szykować się, kto żyw"!
Stąd u Chewsurów ożywienie
szczęk broni, krzyki, szabel błysk...
Jedynie w domu Chimikauri
wszystko zamarło, nie słychać nic.
Gospodarz chmurny, przygnębiony
w plecionym kojcu leży zły.
Nie rusza jadła, co przed nim stoi,
dla niego ciemno, choć słońce lśni.
Pierwszy raz w życiu w takiej chwili
miast szablę ostrzyć, w domu tkwi.
Chmury też jakoś w dół opadły
pokryły ziemię czarną mgłą.
One też jakby smutne, chore,
męczą się, jęczą, gnębi je coś.
Cierpią w ciemności zadumane,
co im dolega, czy zgadnie ktoś?
Nie widać błysków, nie słychać grzmotów
jakby odmienił się ich los.
Dlaczego milczą, co się stało?
Co zmusza chmury swą boleść kryć?

•

W Likoku wielkie poruszenie —
wołania, krzyki ze wszystkich stron...
Ciekawe, co się tam zdarzyło?
Skąd takie nagłe grzmoty i grom?
Nie pojmiesz czemu krzyczą,

* Dżagli — po gruzińsku znaczy pies, Dżaglika zdrobniale w sensie mały, niepozorny piesek. Imię takie w języku gruzińskim nie istnieje. Autor chciał prawdopodobnie podkreślić to, że skromny woj Dżaglika zdołał się wybić spośród innych znaczniejszych rycerzy i zdobył sławę i szacunek w całej Gruzji.

[1] Chewsurowie — Gruzini zamieszkujący w najwyższych partiach gór Kaukazu.

PRZEGLĄD ORIENTALISTYCZNY NR 1(145), 1988

ვაჟა-ფშაველა, „ძაღლიკა ხიმიკაური", პოლონურ ენაზე, თარგმანი ნიკოლოზ მათიკაშვილისა, ჟურნ. „PRZEGLĄD ORIENTALISTYCZNY", №2, ვარშავა, 1988 (სლმ. F¹ №977, ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

გერმანელებთან ომის დროს ვმსახურობდი პოლკის შტაბის უფროსათ. მივიღე მონაწილეობა დიდ ბრძოლებში, რომლებიც ჩვენმა პოლკმა გაატარა ქ. პლოცკის მიდამოებში. იქ სოფელ დობაიკოვოს პირველ დაწყებით სკოლაში არსებობს პატარა სამხედრო მუზეუმი, სადაც ინახება პოლონურათ ნაწერი ჩემი მოგონებები პოლკის მიერ გადახდილ ბრძოლებზე.

ვარ წევრი პოლონეთის „ორიენტალისტთა" საზოგადოებისა, მათ ჟურნალში მოვათავსე თარგმანები ვაჟა ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი" და პოემები „გოგოთურ და აფშინა" და „ძაღლიკა ხიმიკაური".

უფრო წინათ პოლონელ პოეტებს გადავეცი ქართველ პოეტთა ბწკარედები ასამდე ლექსისა. მათ ამ ლექსებიდან, ვგონებ, 35 ლექსი დაბეჭდეს წიგნში „საბჭოთა პოეზია".

საფრანგეთში, ვგონებ, რამიშვილის ინიციატივით 1930-იან წლებში მოეწყო სამხედრო კურსები. მე ამ კურსების ხელმძღვანელობა დამაკისრეს და ვატარებდი მათ სამხედრო მომზადებას. ამაში მეხმარებოდა მენშევიკთა ერთ-ერთი თავკაცი მენაღარიშვილი. მსმენელთაგან დამახსოვდა: ჩუბინიძის, კვიტაიშვილის, მგელაძის, ბერიშვილის გვარები. მსმენელთა რიცხვი 10-12 კაცი იყო. სწავლება თითქმის ერთ წელიწადს გრძელდებოდა.

ეხლა მინდა საქართველოში ჩემ მიერ გატარებული ახალგაზრდობა მოვიგონო. შეიძლება ეს საინტერესოც არ იყოს, მაგრამ მე ამ მოგონებებით ვცხოვრობ. იქ ნანახი და განცდილი ამბები არა მშორდება და ხშირათ თვალწინ მიდგება ხოლმე.

ჩემმა ბავშვობამ და ახალგაზრდობამ გარე კახეთის მოზრდილ სოფელ პატარძეულში ჩაიარა. ამ სოფელს დიდი წარსული უნდა ჰქონდეს. ამას მოწმობენ ძველის ძველი უხსოვარი დროინდელი სასაფლაოს ნარჩენები, შახ აბაზის მიერ გადასახლებულთა ნასახლარები, 2 მშვენიერათ შენახული კოშკი, სოფლის 3 ეკლესია და ერთი მოზრდილი ციხის ნანგრევები; **ძველი სასაფლაო** ხუროვიანთ გორაზეა. ისინი წააგავან მცხეთის ძველ საფლავებს. ნაშენებია ოთხკუთხათ, სიპი ან გათლილი დიდი ლოდებით. საფლავები ოჯახურია, ზომით 2X2 მეტრისანი, დიდ-პატარა ჩონჩხები ერთი მეორის გვერდითაა მოთავსებული თავებით, ვგონებ, ორ მხრივ. ეს სასაფლაო პატარძეულელმა ფიცხელაურებმა აღმოაჩინეს 1914 თუ 1915 წელში, მგონი, მათი გამორკვევა დღევანდლამდის არ ჩატარებულა, საინტერესო კია, ვინ ცხოვრობდა იქ იმ დროს ან როდის ცხოვრობდა.

ციხის ნარჩენები:

ოთხკუთხათ ნაშენი დიდი ზომის ციხის ნანგრევები ყუშიტაანთ უბანშია. ლეკიანობის დროს მას ხანდაზმულთა და ქალ-ბავშვთა შესახიზნათ იყენებდნენ. რა როლს ასრულებდა წინათ და რა საბრძოლო თავგადასავალი აქვს, საიდუმლოებით არის მოცული.

2 მგვრალი კოშკი:

ერთი სოფელში ბილანიანთ უბანში, მეორე სოფლის გარეთ ძველ სასაფლაოს მახლობლათ. ორივე კოშკს თავისი პატრონები ჰყავდათ, რომლებიც მათ გულმოდგინეთ უვლიდნენ. ძველათ ამ სახის კოშკები მტრის შემოტევის გადასაცემათ გამოიყენებოდნენ და ალბათ ოჯახთა გადასამალავათაც.

შახ აბაზის მიერ სპარსეთში გადასახლებულთა ნასახლარები:

დაწერილებით ვერ ვიტყვი, დღეს ეს ნასახლარები სად იმყოფებიან. 10 თუ 12 წლისა ვიყავი, რომ დედის მხრივ ბიძა ჩემმა მღვდელმა ივანე გულისაშვილმა შემომისვა ცხენზე და წამიყვანა ციე გომბორის, სოფლიდან 20 კილომეტრამდის დაშორებულ, ტყით მოცულ ფერდობზედ. იქ ერთი კარგათ გადარჩენილი სახლი ვიპოვეთ. ვეძებეთ ცხოვრების სხვა ნიშები ან კიდევ სხვა ნასახლარები, მაგრამ უშედეგოთ. მგონი, ეს საკითხი ღირსია გამოკვლევისა, ვიდრე დრო და ტყე მათ კვალს არ გააქრობს.

სასაფლაოს ბედი:

1945 წლის შემდეგ 3-ჯერ ვიყავი საქართველოში და გამაკვირვა იმ ამბავმა, რომ რიცხვმრავალი საფლავებით დაფარული სასაფლაო აღარ არის. აქ ჩემ დროს კვირაცხოველობა დღეს დიდი დღესასწაული იმართებოდა. მრავალთ მოდიოდნენ აქ მლოცველები ურმებით, ცხენებით, ფეხით თითქმის ყველა ახლო მახლო სოფლებიდან: საგარეჯოდან, ხაშმიდან, სართიჭალიდან, უჯარმიდან. იმართებოდა ლხინი, ცეკვები, წვეულებანი. სად გაქრა ამდენი საფლავის ქვები? ვინ წაიღო და სად გამოიყენა? საფლავის ქვები ხომ, გარდა მიცვალებულთა პატივისცემისა, ისტორიის ერთგვარი მასალაცაა.

ზალესიე დოლნე
26.VI.1990 წ.


ილუსტრაცია



ნიკოლოზ მათიკაშვილი (სურ. №9082-ი. ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



ნიკოლოზ მათიკაშვილი, ვარშავა, 1993 (დავით ყოლბაიას კერძო კოლექცია, ვარშავა).




ნიკოლოზ მათიკაშვილი (სლმ. №9081-ი., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



ყოფილ იუნკერს **ნიკოლოზ მათიკაშვილს**, ჩემს სიამაყეს სახსოვრად და მოსაგონებლად. გენ. **კვინიტაძე** (სლმ. №3668-ი., **ნიკოლოზ მათიკაშვილის** არქივი, თბილისი).



მარცხნიდან: 1. (?), 2. **ალექსანდრე ჩხეიძე**, 3. **გიორგი რატიშვილი**, 4. **ნიკოლოზ მათიკაშვილი**, პოზნანი, 1937 წლის იანვარი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, **გიორგი კვინიტაძის** კოლექცია, თბილისი).



ფოტოს მეორე მხარე.



პოლონეთის არმიის ოფიცერი, პორუჩიკი მიხეილ კვალიაშვილი.



მიხეილ კვალიაშვილი ოფიცერთა ბანაკში, ლიუკენვალდე, 1940 (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია, თბილისი).



მიხეილ კვალიაშვილი (მარჯვნივ) (სიფრონის ეროვნული არქივი, 1-W-261, ფოტო მოგვაწოდა დავით ყოლბაიამ).



ქართული მეჯლისი ვარშავაში, 1938.
ფოტოზე ჩანან: **ისრაფილ იედიგარი**(მესამე რიგში, მარცხნიდან პირველი), **იოსებ სალაყაია** (მეოთხე), **ვალერიან თევზაძე** (მეოთხე რიგში, პირველი) (გიორგი მამულიას კერძო კოლექცია, პარიზი).



ქართული მეჯლისი ვარშავაში, 1938.
ფოტოზე ჩანან: **ვალერიან თევზაძე** (პირველ რიგში, მარცხნიდან პირველი), **ვიტალი უგრეხელიძე** (მეორე), **იოსებ სალაყაია** (მეორე რიგში, მესამე), **ისრაფილ იედიგარი** (მესამე რიგში, პირველი), **დიმიტრი შალიკაშვილი** (მეორე) (გიორგი მამულიას კერძო კოლექცია, პარიზი).



ქართული მეჯლისი ვარშავაში, 1938.
ფოტოზე ჩანან. **იოსებ სალაყაია** (პირველ რიგში, მარცხნიდან მესამე) და **ვალერიან თევზაძე** (მეორე რიგში, მეხუთე), (**გიორგი მამულიას** კერძო კოლექცია, პარიზი).



ქართული მეჯლისი ვარშავაში, 1938 (**გიორგი მამულიას** კერძო კოლექცია, პარიზი).



ქართული მეჯლისი ვარშავაში, 1938.
გიორგი მამალაძე და დიმიტრი შალიკაშვილი (გიორგი მამალაძის ალბომი, დავით ყოლბაიას კერძო კოლექცია, ვარშავა).



ქართული მეჯლისი ვარშავაში, 1938.
ფოტოზე ჩანან: **ვალერიან თევზაძე** (პირველ რიგში, მარცხნიდან მეორე), **იოსებ სალაყაია** (მეორე რიგში, მეოთხე), **ისრაფილ იედიგარი** (მესამე რიგში, მესამე), **ალექსანდრე ზაქარიაძე** (მეხუთე), **დავით ვაჩნაძე** (მეოთხე რიგში, მესამე) და **კონსტანტინე კეკიძე** (მეშვიდე) (**გიორგი მამალაძის** ალბომი, **დავით ყოლბაიას** კერძო კოლექცია, ვარშავა).




ქართველი მხედრები ოფიცერთა ბანაკში, ლიუკენვალდე, 1940.
ვიტალი უგრეხელიძე, მიხეილ კვალიაშვილი და **ალექსანდრე კობიაშვილი** (ფოტო მოგვანოდა **დავით ყოლბაიამ**).




ქართველი მხედრები ოფიცერთა ბანაკში, ლიუკენვალდე, 1940.
ალექსანდრე კობიაშვილი, მიხეილ კვალიაშვილი, ვიტალი უგრეხელიძე, (?) (ფოტო მოგვანოდა დავით ყოლბაიამ).




ქართველი მხედრები ოფიცერთა ბანაკში, ლიუკენვალდე, 1940.
(სხედან მარცხნიდან): 1. (?), 2. ალექსანდრე კობიაშვილი, 3. ნიკოლოზ მათიკაშვილი, 4. კონსტანტინე კვიკვიძე;
დგანან: 1. (?), 2. ალექსანდრე კობიაშვილი, 3. (?), 4. ბიძინა ქუთათელაძე, 5. მიხეილ კვალიაშვილი, 6. (?), 7. ვიტალი უგრეხელიძე (ფოტო მოგვანოდა დავით ყოლბაიამ).



პოლონეთში მყოფ ქართველ ოფიცერთა სია, ალექსანდრე ზაქარიაძის ავტოგრაფი, ვარშავა, 23 თებერვალი, 1926 (ქსეროასლი მოგვაწოდა გიორგი მამულიამ).





სია

იმ ქართველთა, რომელნიც 1921 წ-ს მსახურობდნენ პოლონეთის არმიაში

ქვეითელები:

1. ქუთათელაძე.
2. ყაზბეგი.
3. ჭანტურია.
4. კონიაშვილი.
5. ზაქარიაძე.
6. ჩხეიძე.

ჯოლოყანიძები:

1. ძველიშანი.
2. კაჭრიძე ნ.
3. მიქელაძე.
4. ჭანტურია.
5. ჯანელიძე ნ.
6. ჯავახიძე.
7. ერისთავი.
8. თევზაძე.

მაიორები:

1. ქუთათელაძე.
2. ქუთათელაძე ე.
3. სიჭინაშვილი
4. ცქიტიშვილი
5. ჯაველიშვილი
6. ჭილაყაშვილი.
7. ყორღანაშვილი
8. ალონიაძე
9. ალავიძე.
10. გოგოჭურიძე.
11. ყიფიანი ს.
12. ჯავახიშვილი ფ.
13. ქარჩავარიანი ე.
14. ჯანელიძე
15. ანდრია ვ.
16. კაჭრიძე ე.
17. მაჭაიძე გ.
18. მაჭალაძე ზ.
19. რაფიაშვილი.
20. ალიხანიშვილი.
21. ქუთათელაძე.
22. ქყონია.

კაპიტნები და როტმისტრები:

1. ნანუაშვილი.
2. ჩითაიშვილი.
3. აბაშიძე.
4. ხაინდრავა.
5. ჭილაშვილი.
6. სომხიანე
7. ლაბაძე.
8. ლობჟანიძე.
9. აღნიაშვილი.
10. ჩიქვანიშვილი.
11. ყაუხიძე.
12. ჭიაურელიძე.
13. ყიფიანი.
14. ჩაღახვილი.
15. თინიაშვილი.
16. წაფოლაიშვილი.

სია იმ ქართველთა, რომელნიც 1921 წ-ს მსახურობდნენ პოლონეთის არმიაში, 1967 (სლმ. №28432-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

2.

17. აბულაძე ნროსლ
18. კვარიანი.
19. ყიფიანი ე.
20. ყიფიანი
21. ყაზბეგი
22. კვანაძე.
23. რატიშვილი.
24. ლილიტ ე.
25. ლილიტ ვ.
26. ჭყონდელიძე
27. ნიშნიანიძე.
28. ზაფხაძვილი.

კვიპატიანი.

29. ტყურაშვილი
30. თაყოშვილი.
31. ნიკოლაძე
32. ზოკუჩავა.
33. მაძარიძე.
34. ურიშთავი.
35. ლაღიანი ა.
36. იაშვილი ტ.
37. მაჭარიძე
38. უგრეხელიძე.
39. ქლოვაია ა.
40. ჩხეიძე ე.
41. ჩხეიძე ტ.
42. კოშიაშვილი ილია.
43. ლილაძე ე.
44. ყვალიაშვილი
45. წიკვლიაშვილი
46. ჭელიძე
47. სხირტლაძე
48. ლომაძე
49. თუმანიშვილი.

სულ: 85 კაცი.

1967 წ.

ჭუნაშვილი:
პინაფრი ესაკონი
პატ. ყვალიაშვილი.

L I S T A

GRUZINÓW, którzy służyli w Armji Polskiej od XI-1921r.

Generałowie:

1. Khathathe-
+ 1Khuthathe?adze
+ 2. Kazbegi
+ 3. Bakhradze
+ 4. Koniaszwili
+ 5. Zakhariadze
+ 6. Czcheidze.

Pułkownicy:

+ 1. Gwelesiani
+ 2. WacznadzeW. B.
+ 3. Mikhe?adze
+ 4. Bagrationi
+ 5. Kande?aki S.
+ 6. Kwikwidze
? 7. Eristhawi
— 8. Thewzadze

Majorowie:

+ 1. Khuthathe?adze
? 2. Khuthathe?adze D.
+ 3. Siamaszwili
+ 4. Terieszwili
? 5. Phawleniszwili
— 6. Szalikaszwili
? 7. Kobiaszwili (A)
+ 8. Aroniszidze
— 9. Azawidze
? 10. Gogoberidze
+ 11. Kipiani A.
+ 12. Kwaliaszwili L.
+ 13. Machawariani D.
+ Kande?aki
? 15. Jadzia W.
? 16. Wacznadze D.
? 17. Mama?adze G.
? 18. Mama?adze S.
? 19. Rusiaszwili
? 20. Klimiaszwili
+ 21. Khawtharadze
+ 22. Czkonia.

PODCHORĄŻOWIE:

Kapitanowie i Rot-meistrze:

1. Wannaszwili —
2. Mathikaszwili-
+ 3. Abaszidze
+ 4. CWundadze
5. Mre?aszwili
6. Somchianc
7. Cybadze —
8. Łobżanidze —
+ 9. Agniaszwili —
10. Dżawachiszwili
+ 11. Kakabadze
+ 12. Bachutaszwili
+ 13. Kezeli
+ 14. Bałachwaneli
? 15. Thinikaszwili
+ 16. Nikolaiszwili
+ 17. Abu?adze Prokon. —
B. ? 18. Kikiani
+ 19. Kipiani D.
? 20. Kipiani
+ 21. Kazbegi J.
? 22. Kiknadze
+ 23. Ratieszwili ART.
+ 24. Łagidze D. —
+ 25. Łagidze W. —
+ 26. Purce?adze
27. Cythżanadze
+ 28. Zautaszwili

KAPITANOWIE:

29. Taraszwili
+ 30. Thakaiszwili
+ 31. Nikoładze SZ. —
+ 32. Bokuczawa
+ 33. Macharadze
? 34. Eristhawi
KAW.
35. Dadiani M.
+ 36. Jaszwili G.
37. Bakhradze
ze —

39 ?owacki A.

+ 40. CZcheidze D.
+ 41. CZcheidze G.
42. Kobiaszwili Sz.
+ 43. Łagidze D.
44. Kwaliaszwili
+ 45. Nacwliszwili

46. Cheładze inż.
+ 47. Schirtładze lotn.
+ 48. Łomidze marin.
49. Thumaniszwili marin.

RAZEM: 85 osób.

+ — zmarł.
? niewiadomo napewno

"reszta" przy życiu do dziś.

+1964

ამ სიის დასკვნაზე ქვემო ნიკოლოზ მათიკაშვილის ხელწერით არის ჩაწერილი: „ოცდაათი ქართველი პოლონეთის არმიაში!“

ზ.

სია იმ ქართველთა, რომელნიც 1921 წ-ს მსახურობდნენ პოლონეთის არმიაში, პოლონურ ენაზე. 1967 (სლშ. №28432-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

(Prof. G. Leonidze - w Prawie Francuskim)
Jedenascie dni w Polsce.
Giwi Leonidze

W związku z obchodem 8 Listopadowej rocznicy śmierci Adama Mickiewicza, w listopadzie zeszłego roku przyjechała do Warszawy delegacja Literatów związku radzieckiego w składzie: S. Sierpinow (Moskwa) M. Stelmach (Ukraina) P. Głeba (Białoruś) oraz J. Tylicki (Litwa), autor tych wierszy.

Dnie Mickiewiczowskie jak i zresztą 22. Listopada Warszawa przybrała wtedy wygląd wszędzie było słychać dużo wielkiego ludowego poety, a na ulicach rozwieszono jego portrety.

Narod Polski głęboko kocha wielkiego patriotę poetę Mickiewicza. Dla polaków Jakobiny i poeta Mickiewicz to samo co dla nas Ilja Czawczawadze i Akaki Cereteli.

25 Listopada, w przepięknej sali kongresowej w Pałacu Kultury im. Stalina odbyła się uroczysta uroczystość poświęcona Mickiewiczowi. I na zebraniu byli obecni czołowi ludzie demokratycznej Polski, kierownicy partii, przedstawiciele rządu, artyści, intelektualiści i młodzież. Było, dużo rozmów przedstawiciele literatów związku radzieckiego (i z 40 krajów)

ნიკოლოზ მათიკაშვილი, „პირადი ლეონიძის მეგობრები და პოლონელები", ავტოგრაფი (სლშ. №28591-2-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

Powinowactwo języka gruzińskiego
do języków dawnych mieszkańców Azji Przedniej
i Mezopotamii *

Szota Dżidżiguri

W nauce zupełnie słusznie stawia się pytanie
o pokrewieństwie języków gruzińsko-kaukaskich
z językami wymarłymi Azji Przedniej i Mezopotamii
a wśród nich z językami: Sumeryjskim, Hetyckim,
Hurytyckim, Urartyjskim i Elamickim (Susańskim).
Nie istniejące dziś te narody stworzyły
kiedyś wysoką cywilizację.

Lata 1905-1907 stały się okresem wielkiej
wagi dla rozwiązania starożytnej historii
wschodu. W okresie tym słynny badacz Winkler
w 150 km. od stolicy Turcji Ankary wykrył
dawną stolicę Hetytów - Boharkoi.

W swoich cennych skarbach na szczególne wyróż-
nienie zasługuje biblioteka z ceramicznych
płyt, wypisana klinopisem w języku dotąd nie-
znanym.

O Hetytach wiadomo było od dawna.
Nawet ten wymieniany jest w biblii, w analach
królów Asyryjskich, w napisach Tiglat Pilesara I
w kronikach babilońskich, w zabytkach greckich
i inne.

Jeszcze Herodot słynny historyk grecki, wspomina
o wielkiej piramidzie uważanym za perły
architektury Hetyckiej.

Badania zabytków Hetyckich rozpoczęto
w 30-tych latach ub. st.

*) Artykuł ten jest ostatnim rozdziałem
obszernej pracy o „Językach pokrewnych do
języka gruzińskiego na świecie" który się ukazał
w N.N. 2 i 3 miesięcznika „Mnatobi" (III. III)
(Sbilisi) w r. 1960.

შოთა ძიძიგური, „ქართული ენის მონათესავე ენებზე", თარგმანი ნიკოლოზ მარიკაშვილისა, ავტოგრაფი (სლმ. №28591-5-ხ., ნიკოლოზ მარიკაშვილის არქივი, თბილისი).

S T R E S Z C Z E N I E

Na łaskawym chlebie u DŻAKO

MICHAŁ DŻAWACHISZWILI

Na jednej z ulic w Tibilisi w pierwszych latach władzy Radzieckiej, spotykają się dwie osoby.

Jeden z nich kształtny jak posąg i delikatny jak kwiat, robi wrażenie człowieka zresygnowanego, dla którego wszystko co dobre pozostało w przeszłości, drugi, podobny do niedźwiedzia spędzonego z lasu, jest wysoki, nad miarę smukły w biodrach i ppecach, ledwo się mieści na chodniku, twarz ma pokrytą śladami zagojonych ran, czarną, zmoczoniastą jego brodę zdobią ogromne wąsy, jak przetarte miotły zwisające na wystających policzkach, ma niskie czoło, krótki zadarty nos i gęste zrośnięte brwi.

Przetartą czerkieską opasują skrzyżowane na ramionach i biodrach taśmy z nabojami, przez plecy zwisa mu karabin rosyjski, po bokach kindżał w posrebrzanej pochwie i pistolet Mauzera.

W jednej ręce trzyma kuty żelazem kij, w drugiej rogatego capa.

Mówi głosem krzykliwym z akcentem osetyńca, kaleczącego niemiłosiernie język gruzińśki.

Pierwszy z nich to Tejmuraz Chewistawi były zalachois, drugi dawny jego rządca Dżako.

Tejmuraz cieszy się ze spotkania z dawnym znajomym, zaprasza go do siebie.

W pustym i ciemnym pokoju spotyka ich żona Tejmuraza zgrabna i czarnooka Margo.

Na jej zdziwienie, że się ten zmienił i poprawił w tak ciężkich czasach użyszy w odpowiedzi.

"Dlaczego ma nie poprawić teraz Dżako, Dżako mieć dobrze, bardzo dobrze. Mieć teraz Dżako dużo chleba i mięsa, wódka,

მიხეილ ჯავახიშვილი, „ჭაბუკს ხრწნებმი". თარგმანი ნიკოლოზ მათიკაშვილისა, მანქანაზე ნაბეჭდი (სლმ. №28591-4-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

Mariani


Mariam Iosem Gotua. Levan Gotua.

Burza szalejąca w Trialetskich górach pędziła z.oskich
sił ku północo- wschodowi, zmalała się szybko nad środkowym
Kartli, zdawszy się, jakby tem własny zamiat ziemi upatrzy-
ła do wykodowania złości. Zrobiło się ciemno i duszno. Iskra rzucona
w rozhukane chmury, zapaliła niebo. Grzmoty prarzigrały się
/grzmiegały/ z wielokrotnionym echem z pobliskich gór.
Błyskawice w łamanych pląsach pędziły dalej do czarnych chmur
spełzających z Kaukazu. Z ostrym trzaskiem sypały się
pioruny. Wiele w nich padło na Gorie Gori, Imiinom jednak nie
się stać nie mogło. Szach-Ta-Mar między już sam wszystko
spalić i zniszczyć. Potem czwarty najechał Gruzję, nie złamał
oporu gruzinów, ani nie ujął króla Imereba, nie osadził
na jego miejsce ulegliwego sobie Chana, ale to właśnie nie dawało
mu spokoju, wywoływało tym większą furję i żądzę zemsty.


Przebił się przez graniczne twierdze, skutkiem
podjazdami spustoszył środkową Kartlę. Zdobył twierdzę Gori,
Gedisi
wero .... Osaczał teraz niedostępną i niebotyczną twierdzę
Atenuszę.

Rozbił obóz u stóp tego szczytu w Gieki At..i., ślodził


ლევან გოთუა, „მპრისმი“, თარგმანი ნიკოლოზ მათიკაშვილისა, მანქანაზე ნაბეჭდი (სლმ. №28427-3 -ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).




ნ. მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი, „ᲘᲣᲜᲙᲠᲔᲑᲘ“, „მაცნეს“ (ისტორიის სერია) ბიბლიოთეკა, „მეცნიერება“, თბილისი, 1990.




ვ. თევზაძე, „ქᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲝᲤᲘᲪᲠᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ“, პოლონურიდან თარგმნა ნიკოლოზ მათიკაშვილმა, „მაცნეს“ (ისტორიის სერია) ბიბლიოთეკა, „მეცნიერება“, თბილისი, 1990.




გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმს ნ. მათიკაშვილისაგან, 27 ივნისი, 1990 (სლმ. F³ №978, ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმს ნ. მათიკაშვილისაგან, 27 ივნისი, 1990 (სლმ. F³ №979, ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).




ჟურნალი „PRZEGLĄD ORIENTALISTYCZNY“, №1, ვარშავა, 1988 (სლმ. F³ №977, ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმს ნ. მათიკაშვილი, 27 ივნისი, 1990 (სლმ. F³ №977, ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



ქართული სამხედრო სკოლის აღმნიშვნელი ნიშნები (**გრიგოლ ტურაშვილის** არქივი, ფოტო მოგვაწოდა **გიორგი მამულიამ**).






ბერგმანის ქართული ლეგიონის კოკარდები და ლიტერა (**გრიგოლ ტურაშვილის** არქივი, ფოტო მოგვანოდა გიორგი მამულიამ).



ბერგმანის ქართული ლეგიონის ბეჭედი.




ნიკოლოზ მათიკაშვილის ნახატი (სლმ. №1247-გრ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



ნიკოლოზ მათიკაშვილის ნახატი (სლმ. №1244-გრ., **ნიკოლოზ მათიკაშვილის** არქივი, თბილისი).



ნიკოლოზ მათიკაშვილის ნახატი (სლმ. №1245-გრ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



ნიკოლოზ მათიკაშვილის ნახატი (სლმ. №1248-გრ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



ნიკოლოზ მათიკაშვილის ნახატი (სლმ. №1246-გრ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და შეფიცულები.[1]
სხედან (მარცხნიდან): **ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი** და სპირიდონ ჭავჭავაძე;
დგანან: **ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი** და ალექსანდრე სულხანიშვილი, **ნიკოლოზ მათიკაშვილის** ნახატი (სლმ. №1243-გრ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

[1] იხ. ფოტოსურათი 309 გვ.-ზე *(ლ. ც.)*.

მიმოწერა

ალექსი გულისაშვილი

1.

г. Варшава. Warzawa [1]
plac gvzywski, 16 skver Dvodlo
Matikaswili Mikolai[2]

12 სექტემ. 1948 წ.

კიკო!


სალამი შენ და შენ მეუღლეს.
ჩვენ ყველანი და ჩვენი ნათესავები კარგათ ვიმყოფებით.
დიდი ხანია შენიდამ წერილი ალარ მიგვიღია.
რა მიზეზი უნდა იყოს?
თუ შენ სხვაგან იმყოფები, პასუხი გვაცნობოს შენმა მეუღლემ.

ბიძაშენი დეკანოზი ალექსი გულისაშვილი

Грузинская республика, почт. кантора Сагареджо,
сел. Ниноцминда, А. Гулисашвили[3]

[1] პოლონური ტექსტის თარგმანი აქაც და ყველგან ეკუთვნის პენრიეტა იუსტინსკაიას *(ლ. ც.)*.
[2] ვარშავა, პლაც გუივსკი, დვოდლოს სკვერი №16, მიკოლაი მათიკაშვილს *(პოლ.)*.
[3] საქართველოს რესპუბლიკა, საგარეჯოს საფოსტო კანტორა, სოფ. ნინოწმინდა, ა. გულისაშვილი *(რუს.)*.

ალექსი გულისაშვილის მიერ ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი გაგზავნილი საფოსტო ბარათი, ავტოგრაფი, ნინონმინდა, 12 სექტემბერი, 1948 (სლმ. №28444-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



ПОЧТОВАЯ КАРТОЧКА
CARTE POSTALE


Куда Матикашвили Миколаю

Кому Matikashvili Mikolas

ОТПРАВЛЯЙТЕ СВОЮ КОРРЕСПОНДЕНЦИЮ С УВЕДОМЛЕНИЕМ О ВРУЧЕНИИ

Адрес отправителя / Adresse de l'expéditeur: Грузинская республика, почт. контора Сагареджо, сел. Иноцминда, ул. Церетельская

საფოსტო ბარათის მეორე მხარე.



ეს სია მიკარნახა გ. ლეონიძემ პოლონეთში ყოფნისას იმ განზრახვით, რომ აქედან რამე ამერჩინა და მეთარგმნა. ნ. მათიკაშვილი, 18 აგვისტო, 1973 (სლმ. №28591-4-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

გიორგი ჩიმაკაძე

1.

თბილისი
18/II.56

პატივცემულო ნიკოლოზ,

კარგა ხანია მივიღე თქვენი წერილი, მაგრამ აქამდე ვერ გიპასუხე, რადგან სტანისლავმა ცოტათი დამიგვიანა თქვენს მიერ გამოგზავნილი პწკარედის გადახედვა-შესწორება.

ახლა ამ პწკარედს, სათანადოთ შესრულებულს თან გიგზავნი სტანისლავის წერილთან ერთად.

სასიამოვნოა, რომ პოლონეთში ასე გულისხმიერად ეკიდებიან ქართველი მწერლების თარგმანს. თქვენი ღვაწლი და მონაწილეობა ამ საშვილიშვილო საქმეში ფრიად სასარგებლოა და აქ ყველანი ვიმედოვნებთ, რომ კვლავაც განაგრძობთ ენერგიულად მუშაობას.

მოკლე ხანში მანდ, ალბად ჩვენი გრიგოლი (აბაშიძე) ჩამოვა. ყოველ შემთხვევაში, მე გავიგე, რომ უკვე ემზადება წამოსასვლელად. კარგი იქნება თუ მის ჩამოსვლასთან დაკავშირებით წამოიჭრება და განიხილება საკითხი პოლონელი ავტორების ქართულად თარგმნის შესახებ. ვიმედოვნებთ, ამ საქმეშიც თქვენებურად დაგვეხმარებით და მოგვაწოდებთ ამხელად უკვე პოლონელი პოეტების ქართულ პწკარედს. თუ საჭირო იქნეს, დაიხმარეთ თბილისში განსწავლული ასპირანტი, ამჟამად უკვე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი იან ბრაუნი. მე მგონი, იგი ხალისით იმუშავებს თქვენთან. მასალის შერჩევა და საერთოდ, მთელი ამ საქმის ორგანიზაციის ინიციატივა, ჩემის ფიქრით, მანდაურმა საზოგადოებამ და მწერალთა კავშირმა უნდა იკისროს. ჩვენზედ იქნება პოეტური თარგმანის ორგანიზაცია და დაბეჭდვა. რაც შეეხება პროზას, მისი პწკარედი, მოგეხსენებათ, საჭირო აღარაა და შეგიძლიათ უშუალოდ თარგმნოთ თქვენს მიერ შერჩეული ნაწარმოები და გამოგვიგზავნოთ მწერალთა კავშირზე გადასაცემად. ერთი სიტყვით, თუ ვიმუშავებთ, გასაკეთებელი ბევრი გვაქვს.

მომიკითხეთ თქვენი მეუღლე დიდის პატივისცემით. ერთხელ ჩამოსვლას საქართველოში კიდევ მპირდებით და კვლავაც ხშირად გვინახულეთ.

პატივისცემით თქვენი გ. ჩიმაკაძე

2.

თბილისი
11 აპრილი, 1957

პატივცემულო ნიკოლოზ,

თქვენი წერილის პასუხად გიგზავნით თანდართულ მასალას.

თქვენს მიერ შედგენილი ბიოგრაფიული ცნობები, ისევე როგორც ქართული პოეზიის ზოგადი მიმოხილვა, ურიგო არაა, მაგრამ სისრულე და სიზუსტე აკლია. ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება, თუ ამ, ჩვენს მიერ მოწოდებული მასალით ისარგებლებთ. ეს უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ გინდ მარტო იმიტომ, რომ პირველი მათგანი ამოკრეფილია ამ ცოტა ხნის წინად აქ რუსულ ენაზედ გამოცემულ ბერძნული პოეზიის ანთოლოგიიდან, ხოლო მეორე დაწერილია ქართული ლიტერატურის ისტორიის ისეთი თვალსაჩინო მკვლევარის მიერ, როგორიცაა ყველასათვის კარგად ცნობილი კრიტიკოსი ბესო ჟღენტი. ეგ არის მხოლოდ – ამ სტატიას საფუძვლიანი შემოკლება დასჭირდება, ალბად, რადგან იგი სულ სხვა ასპექტშია დაწერილი და არა მგონია, თქვენმა რედაქციამ საჭიროდ ჩათვალოს მისი მთლიანად გამოქვეყნება, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თუ პოლონურ ანთოლოგიას საამისო ადგილი ექნება, ურიგო არ იქნება, პოლონელი მკითხველები უფრო ვრცლად გაეცნონ ქართული პოეზიის ასეთ სრულ მიმოხილვას. ერთი სიტყვით, თქვენ თითონ გადასწყვიტეთ მანდ, როგორც გენებოთ. მხოლოდ ისიც მიიღეთ მხედველობაში, რომ ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელობის და მწერალთა კავშირის გამგეობის აზრით, ძალიან კარგი იქნება თუ ამ მასალით იხელმძღვანელებთ. რაც შეეხება დარჩენილ ჰონორარს, როგორც კი თქვენს მინდობილობას მივიღებთ, მაშინვე გადავიხდით. თქვენი თხოვნა ინგოროყვას მიერ წაკითხული გამოკვლევის შესახებ ირაკლის[1] გადავეცი და იმედი მაქვს, იგი ყველაფერს გააკეთებს, რაც კი საჭიროა.

გადაეცით ჩემი სალამი და გულითადი მოკითხვა თქვენს მეუღლეს, იყავით კარგად და ჯანმრთელად –

პატივისცემით გ. ჩიმაკაძე

3.

თბილისი
30.XI.64 წ.

ძმაო ნიკო!

ამ ორიოდე კვირის წინად პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების განყოფილების გამგის სტ. ვიშნევსკის წერილი მივიღე, რომელიც მატყობინებდა თქვენს მისამართს (ვინაიდან თქვენგან რამდენიმე წელია წერილი არ მიგვილია საზოგადოებაში, ჩვენ ვიფიქრეთ, რომ მისამართი გამოიცვალეთ ან სხვა რაიმე შეგემთხვათ). ახლა კი თქვენმა წერილმაც გაგვახარა. ჩემის მხრივ იმ წუთში დაურეკე გოგლა ლეონიძეს და შევატყობინე თქვენი ამბავი, მას, რა თქმა უნდა, ძალზე ესიამოვნა, რომ კვლავ გამოჩნდით. თქვენი წერილი არ მიუღია ჯერ. ერთი სიტყვით, ძმაო ნიკო, ყველანი მოხარული ვართ, რომ კარგად ხართ და განაგრძობთ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას. რაც შეეხება ლიტერატურის შემდგომ მოწოდებას ჩვენ ამას სიამოვნებით გავაკეთებთ, ეს ხომ ჩვენი საზოგადოების პირდაპირი დანიშნულებაა და მოვალეობა, ესაა მხოლოდ თქვენი მორიდებულობა

[1] იგულისხმება ირაკლი აბაშიძე (ლ. ც.).

გიორგი ჩიმაკაძის წერილი ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი, ავტოგრაფი, თბილისი, 30 ნოემბერი, 1964 (სლმ. №28591-8-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

გვაწუხებს. აქ აუარება საინტერესო რამ გამოდის – მათ შორის პოლონურ ავტორთა თარგმანებიც, ყველაფერს მოგაწვდით. მთავარი ისაა, რომ ჩვენთან ურთიერთობა არ შესწყვიტოთ.

ძალზე საინტერესოა გრიგოლ ფერაძეზე და მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე მოწოდებული ცნობები. აქ მის შესახებ ალბად არაფერი იციან. კარგი იქნება თუ თქვენ გადადგამთ შემდგომ ნაბიჯებს ამ მიმართულებით და შემდეგ, ალბად აქედანაც იღონებენ რაიმეს.

მაშ ასე ჩემო ნიკო, იმედია არ დაიზარებთ წერილების მოწერას. თქვენი წერილის ბოლო ძალზე მინორული ტონისაა და არ მოგვეწონა. ყოჩაღათ იყავით, გულს ნუ გაიტეხთ, თავს კარგად მოუარეთ და მუდამ გახსოვდეთ, რომ თქვენი კარგად ყოფნითა და ჯანმრთელობით ყოველთვის გაახარებთ თქვენს აქაურ ნათესავებს და თანამემამულეთ. გოგლა ისე არ შემხვდება, რომ თქვენი ავან ჩავანი არ მკითხოს. აქამდე მეც ვერაფერს ვპასუხობდი, მაგრამ ახლა იმედი მაქვს ხშირხშირად მომაწვდით თქვენს შესახებ კარგ და სასიხარულო ამბებს. მოიკითხეთ თქვენი მეუღლე. თქვენი აქაური ნაცნობები ჩვენი საზოგადოებიდან, განსაკუთრებით თავმჯდომარის მოადგილე ალ. ჟღენტი და სხვა ამხანაგები დიდის სიყვარულით მოგიკითხავენ. თუ მოახერხებ და ჩამოხვალ საბჭოთა კავშირში თუნდაც როგორც ტურისტი, ჩვენ მოხარული ვიქნებით თქვენი ნახვისა და ყოველმხრივ შევეცდებით მოგატაროთ და დაგათვალიერებინოთ საქართველოს ის კუთხეები, რომელიც ამასწინანდელ აქ ყოფნისას ვერ ნახეთ.

თქვენი პატივისმცემელი და მეგობარი
გ. ჩიმაკაძე

მიხეილ კვალიაშვილი

1.

7.VIII.57 წ.
Poznań 31
ul. Owsiana 28 m. 18
Michał Kwaliaszwili[1]

ძვირფასო ძმაო ნიკა!

თოთხმეტი წელიწადია, რაც არ გვინახავს ერთმანეთი, გავიგე რა შენი მისამართი ცხონებულ დუდა ჩხეიძის მეუღლისგან ორი დღის წინათ, დიდის სიამოვნებით გწერ წერილს!


ორიოდე სიტყვა ჩემს თავგადასავალიდან: 1941 წლიდან ვიყავი ა. კ.-ს რიგებში 1945-მდე; როცა პოზნანში შემოვიდა პოლონელების ჯარი, გამოვცხადდი და ისევ მის რიგებში შევედი; 5.IV.45 წ. ნითელტრაკიანების ნ.კ.ვ.დ.-მ დაიჭირა ბევრი ძველი ოფიცრები და მათ შორის საწყალი გრიშა იაშვილი და მეც.

გაგვასამართლეს და მოგვცეს ათ-ათი წელი; ჩაგვათრიეს რუსეთში, ჩრდილოეთ ნრეში (pas podbiegunowy). იქ მე მეორეთ გამასამართლეს და დამიმატეს კიდევ ერთი წელი; თერთმეტი წელი მამუშავეს ნიჩბით და წერაქვით (ნახშირი, მშენებლობა); იმავე ადგილზე 13 თვე ველოდი დაბრუნებას პოლონეთში; საბოლოოდ მივიღე polski paszport konsularny[2] და 5.VIII.56 წ. უკვე ოჯახში ვიყავი, აქ არ აგიწერ თავგადასავალს; საწყალი გრიშა ავად გახდა, გაცივდა და დეემართა ფილტვების გაგანიერება, ეს ამბავი დაანვა გულზე; 1954 წ. გამოვიდა ლაგერიდან (ვიყავით სპეც-ლაგერში ნ.კ.ვ.დ.) სულ მთლად დასნეული. იმ დროს ჯერ სახლებში არ უშვებდნენ და მე კი ჯერ კიდევ ბანაკში ვიმყოფებოდი. ჩვენ დაგვაშორეს 1946 წ., რადგანაც მუშაობა არ შეეძლო. მისწერა სახლში თავის ძმას სიმონიკას – ხომ გახსომს, ჩვენს კურსზე იყო იუნკრათ და გრიშა იქ ჩავიდა; შორეულ ჩრდილოეთიდან სამხრეთს რომ ჩავიდა, მოხდა რადიკალური შეცვლა ჰავის. ეს, ცხადია, ვერ აიტანა და 15.X.55 გარდაიცვალა თბილისში. მშობლიურ მიწას მაინც მიებარა გვამი მისი!

წითელ მთავრობამ მე გამომიცხადა რეჰაბილიტაცია და მომცეს ნება დაბრუნებისა. მეძებარი ძაღლი თუ კურღელი ან შველი თუ ირემი ვერ დამეწეოდა, ისე მოვქროლამდი პოლონეთისკენ. აქაურ მთავრობამ დახმარება გამიწია ფულით და ჩემი odszkodowanie za pobyt na północy w pasie podbiegunowym[3] ეხლა ორ მთავრობას შორის სწყდება, საბოლოოდ იქნება რამე ფული მივიღო თუ გოთვერანი ხრუშჩოვი ქაფს არ გაარტყამს. ეხლა რომ მოვიგონებ, თუ რა გადავიტანე – მეც მიკვირს, რომ ცოცხალი ვარ, მაგრამ, თურმე, რწმენას ბევრი რამე შეუძლიან.

ჩემი ძვირფასი მეუღლე და სამი ჩვენი გოგონები იყვნენ m. Wągrowiec, Kolejowa 2 Dom Dziecka.[4] ჩემი მეუღლე აქ აღმზდელად მუშაობდა (510 zł)[5] და მართლა გმირულად აიტანა მთელი ტანჯვა-ვაება უ.ბ.დ. პარტიისგან, მაგრამ ყველაფერს ბუნებაში აქვს თავისი ბოლო და ეხლა ერთად ვართ.

[1] პოზნანი 31, ოსიანას ქ. №28, ბ. 18, მიხეილ კვალიაშვილი *(პოლ.)*.
[2] პოლონური პასპორტი *(პოლ.)*.
[3] ჩრდილოეთ პოლარულ ზონაში გადასახლებაში ყოფნის კომპენსაციის საკითხი *(პოლ.)*.
[4] ვონგროვეცის რკინიგზის I ბავშვთა სახლში *(პოლ.)*.
[5] 510 ზლოტი *(პოლ.)*.




Poznań 31
ul. Owsiana 28 m 18
Michał Kwaliaszwili.

მიხეილ კვალიაშვილის წერილი ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი, ავტოგრაფი, პოზნანი, 7 აგვისტო, 1957 (სლმ. №28441-42-ბ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



პოლონეთის არმიის პორუჩიკი მიხეილ კვალიაშვილი, 1930-იანი წლები (სლმ. №9081-ი., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



ფოტოს მეორე მხარე: Lata 30ᵗᵉ byłet poruчica koń „Ladny" (პორუჩიკი მიხეილ კვალიაშვილი და მისი ცხენი „ლადნი", 1930-იანი წლები).



მიხეილ დადიანი (მარცხნიდან მეორე) გერმანიის არმიის „ბერგმანის" ქართულ დანაყოფში, 1940-იანი წლები.

15 ამა თვეს უკვე მთელი ოჯახი ვიქნებით პოზნანში, სადაც მე, როგორც რეპატრიანტმა, მივიღე ბინა: ორი ოთახი, საკუჭნაო, აბანო, კორიდორი 45,3 მ² – პატარაა, მაგრამ ჩვენია – ეს ერთი მიღწევა; მეორე – urząd Rady Ministrów[1] – დამინიშნეს რენტა 600 zł.[2] თვეში და უკვე ვიღებ; ეხლა ვაკეთებ ვერიფიკაციას მაიორის ხარისხში და სამხედრო ემერიტურა უნდა მივიღო, რომელიც მეტი იქნება, იმას დავიტოვებ.

პოზნანში არის **პატიკო,** არის ემერიტურაზე, პოდპოლკოვნიკის ხარისხით; მითხრა, რომ შენ, არონიშიძე, ტურაშვილი, ზაუტაშვილი აქა ხართ – ვიპოვნე მარტო ზაუტაშვილი ტორუნში (წითლანაძე?). საზღვარგარედან მივიღე წერილები და კავშირი მაქვს: ტალიკოსთან, მის საშუალებით: კიკნაძე, ხელაძე, ვლ. ლაღიძე, ჯავახიშვილი ყველანი ლონდონში; საფრანგეთში: ოდიშელიძე, კუკური თოხაძე (მწერს წერილებს), იქ არიან სიმონიკა, ნიკოლაძე, ვანო ბაქრაძე, ვანო ვაჩნაძე; ამერიკაში: პირველი წერილი მივიღე შაქროსგან, მერე სიკოსაგან და მიშა დადიანისგან და საბოლოოდ ჩემი ვანო ნანუაშვილიც ვიპოვე და უკვე ოთხი წერილი მისგან მივიღე, სადაც შენზე მკითხამს ამბებს; კუკური თოხაძე **მთხოვს,** რომ მას **მივანოდო** მისამართები ყველა აქ მყოფ იუნკრების და მათი ოჯახის და ეკონომიური მდგომარეობის აღწერით. ამ მხრივ ძალიან უჭერ მხარს, რომ არ ვიყოთ ესე ბატებისავით გაფანტულნი. მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ ი. კ.[3] ისევ გაცოცხლდება თავის დროზე და ეხლა კი აუცილებელია, რომ ვიცოდეთ თუ ვინ სად იმყოფება უბრალო წერილის საშუალებით. ძმაო ნიკო! შენ, თურმე სამშობლოში ყოფილხარ, შეიძლება ბევრი რამ ნახე ან გაიგე, მაგრამ რაც ჩვენ ვიცით, ის, რაც მთავარია, იმას ვერ ნახავდი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მიხვდებოდი. ეხლა ცოტა ოჯახზე: ჩემი მეუღლე პოლონელია სტანისლავა ჩელინსკა, გვყავს სამი გოგონა: 1. ნინო, 15 წლის – გადავიდა მე-10 კლასში, 2. მაიკო – 14 წ. გადავიდა მე-8 კლასში, ფრიადოსანი, 3. მანანა – 12 წ. მე-6 კლასში, ფრიადოსანი. ეხლა სააგარაკოთ ვგზავნით ნაცნობებთან სოფლებში – 15 ა. თ. უკვე პოზნანში ვიქნებით და ბინის მოწყობის შემდეგ ჩემი სტატიაც წავა ერთი თვით დასასვენებლად. ამავე დროს მე სამუშაოს ვიპოვი და შეუდგები ახალ ცხოვრებას, რომელიც

[1] მინისტრთა საბჭოში *(პოლ.)*.

[2] 600 ზლოტი *(პოლ.)*.

[3] ი. კ. – „ქართველ იუნკერთა კავშირი" (1928-32), 1933 წლის 8 იანვრიდან „ქართველ მხედართა საზოგადოება" *(ღ. ც.)*.



იუნკერი **მიხეილ დადიანი**, თბილისი, 1919



მიხეილ დადიანი (მარცხნიდან მეორე) გერმანიის არმიის „ბერგმანის" ქართულ დანაყოფში, 1940-იანი წლები

უნდა დავიწყო კოვზიდან და ჩანგლიდან. რასაკვირველია, ძალიან ძნელია ამ პირობებში ოჯახის აგება და ახლათ დაწყება, ეს ხომ გესმის შენ თითონ.

გარედან ამანათებს მიგზავნიან: ჩემი პოლკის ამხანაგები და ჩვენი მეგობრებიც, ე. ი. იუნკრები, ტალიკო, კუკური თოხაძე, შაქრო, სიკო, მიშა დადიანი; ვანომ რაღაც გამოგზავნა, მაგრამ რადგანაც ავად არის და სულ ნამლობს, ვალებშიც არის, მინდა, რომ უფრო თავის თავს მოუაროს – ჩვენ აქ გვგონია, რომ კიბოზე იქნება ავად; თავის თავის მოვლა არ იცის ვანომ, ეს არის ცუდი.

პატიკომ მითხრა, რომ შენც ჭირში იყავი, გთხოვ ძალიან, მომწერე, როგორა ხარ ჯანმთელობაზე. Dzidzia[1] მწერს, რომ შენი მეუღლე dzielna kobieta.[2] ვხედავ, რომ ჩვენმა ბედმა ამ მხრივ მაინც დაგვაჯილდოვა – რას იტყვი!

ჩემო ძვირფასო ნიკა! მოუარე თავს, ჯანმთელობას, ვინ რა იცის, თუ ხვალ რა იქნება, ამიტომ მხედარი ყოველთვის მზათ უნდა იყოს; იქ, ბანაკებში ქართველებს შორის ბევრს ვმუშაობდი და ი. კ.-ზე ბევრი ამბები იციან. ბევრიც იცოდნენ ჩვენზე, ტაბახმელის ამბებიც – და იმედებსაც ამყარებენ ამ პატარა, ქართველთა მხედრების ჯგუფზე.

თუ იცი მისამართი: არონიშიძის, ტურაშვილის, ნითლანაძის, ლობჟანიძის – ან შემთხვევით სხვა ვინმეს – უსათოოდ შემატყობინე. ხომ იცი, რომ ვერ მოვისვენებ. ბევრი რამ მინდა მოვასწრო და გავაკეთო იმიტომ, რომ რეპატრიანტის ამბავი ესეთია: მითომ ჯანმთელია, მაგრამ უცბათ გადატრიალება იცის გულის გამო (12 წ. ჩრდილოეთ ტუნდრაში თუ საღი იქნები). ჩემი მისამართი წერილის თავშია. **პატიკოს:** Poznań, ul. Dworkowa 9, Platon Takaiszwili;[3] იოსკა ზაუტაშვილის: Toruń, Poniatowskigo 1, m. 5. I. Zautaszwili.[4] თუ გინდა მისამართები საფრანგეთში, ლონდონში თუ ამერიკაში, მომწერე და მოგწერ. ამით ვამთავრებ ამ ჩემს წერილს და იმედი მაქვს, რომ შენს ძველ მეგობარს გამოეხმაურები. შენს პატივცემულ მეუღლეს გულწრფელი სალამი.

შენ გკოცნის ძმურად
შენი მიშა კვალიაშვილი

P. S. 17.V.57 პარიზში გარდაიცვალა ღენ. ზაქარიაძე.

მ.

[1] ძიძია *(პოლ.)*.
[2] საქმიანი ქალია *(პოლ.)*.
[3] პოზნანი, დვორკოვას ქ. №9, პლატონ თაყაიშვილი *(პოლ.)*.
[4] ტორუნი, პონიატოვსკის ქ. №1, ბ. 5, ი. ზაუტაშვილი *(პოლ.)*.

2.

M. Kwaliaszvili
ul. Owsiana 28 m. 18
Poznań 31

ძვირფასო ნიკო!

წერილი შენი მივიღე, მადლობელი ვარ, რომ უპასუხოთ, შემთხვევით, არ დამტოვე!

ვანოს წერილს ვწერ, უკვე გამზადებული მაქვს გასაგზავნათ და შენ მიერ მოწოდებული ამბები, რომელნიც მას ეხებიან, ჩამოუყალიბე წერილში; მე მგონია, სჯობიან, რომ უშუალოთ ჰქონდეთ კავშირი, გარდა პირველი შემთხვევისა; არ ვიცი, როგორ არის საქმე ცენზურის საქართველოში; მე ვწერ რუსეთის იმ ქვეყანაში, სადაც ვიმყოფებოდი. ყველაფერი ნორმალურად გამოიყურება: ერთხელ მივწერე ერთ ჩემს ნათესავს, რომელიც ერთად ჩემთან იჯდა – და თბილისში ცხოვრობს – წერილი უკან დამიბრუნდა, ამის შემდეგ აღარ მიმიწერია. წერილის გარდა გაუგზავნე წიგნი პოლონურ – მატეიკოზე და მის მხატვრობაზე (ნათესავი მხატვარია), წიგნი არ დამიბრუნდა! პირადათ მე არაფრის არ მეშინიან და „იმ" მიმართულებით ყველანაირ მუშაობას ვიკისრებ, ჯაშუშობის გარდა! – სხვათა შორის ჩემს ბანაკში რუსებმა მიიღეს კატოლიციზმი, ე. ი. იცნეს რომის პაპის უფლება და ჩაატარეს სწავლა ამ მხრივ, პოლონელ ქსიონძთან.[1] აქედან უნდა გადაუგზავნო სათანადო წიგნები რუსულ ენაზე, რასაც მალე ვაპირებ და არავითარ სპეციალურ სიფრთხილეზე არც ვფიქრობ; ამ საკითხზე „იქ" ჩვენებს შორის ბევრჯერ გვქონდა კამათი ისტორიულ ფონზე და მის მნიშვნელობაზე ქართველი ერისათვის და მისივე კულტურის გადარჩენაზე – რომთან პერსონალური უნია – ეს დებულება დიდი კირიონის იყო (1918 წ. მცხეთაში) – როგორც გაგრძელება საბა სულხან ორბელიანის და იმ ჯგუფ ქართველობისა. „იქ" ხელებდაყრილი არ ვიყავით, მართალია ყოველდღე სიკვდილს ველოდით, მაგრამ სამშობლოს ბედიღბალზე ბევრს ვმუშაობდით. იუნკრებზე ბევრი რამ გაუგიათ და იმედებსაც ამყარებენ, რომ ჩვენგან შველა და განთავისუფლება მივა! ბაქოელებთან და მთიელებთან ძალიან კარგი განწყობილება იყო – მთას საქართველოსთან უნდა პოლიტიკური მთლიანობა; ხომ გაიგებდი, რომ ბათომი, სუხუმი, ფოთი და თითქმის სრული შავი ნაპირი სომხებმა განზრახ ჩაიგდეს ხელში და მათი ბატონობა მთლიანია; ოდნავ დედაქალაქია ცოტა ქართული; შენ არ გქონდა დრო, იქ ყოფნისას ღრმად შეხებულიყავ ამ მწარე საკითხს; ჩვენ კი ბევრი დრო და მასალა გვქონდა სამსჯელოდ; არც რუსი და არც ოსმალო არ არის ისე საფრთხე – როგორც სომეხი. ჩვენ ქარაფშუტულად უყურებდით ამ მოვლენას და მითომ ვაპამპულებდით სომხებს, რომლების მთავარი იდეა არის საქართველოს დამონება, დღეს, როცა რუსი ძლიერია კავკასიაში – სომეხი სარგებლობს, როგორც მისი საყვარელი შვილი და თარეშობს ჩვენს ქვეყანაში – საუბედუროდ – როცა დრო დადგება – ეს საკითხი უსისხლოდ ვერ გადაწყდება, რადგანაც ჩვენ დასათმობი არაფერი გვაქვს და ისინი კი სიხარბით და სიძულვილით უცხოს არ გაუშვებენ ხელიდან – ეგენი ებრაელებზე მყრალნი არიან – ეს არის ერი, რომელსაც არ უყვარს სინამდვილეში თავისი კერა და სხვის სამშობლოს თავისათ ითვისებს – პოლიტიკურადაც ჩამორჩენილია. ბევრ რამეში კი გვაჯობებს ქართველებს – მეცნიერებაში, მუსიკაში და ღრმა დარბაისელ ინტელიგენციით – არ არიან ქარაფშუტები ჩვენსავით. სომხების ერში აღზრდა ძალიან კარგათ დგას ოჯახში – უფრო პატრიარხულია – ჩვენ განებიერებულნი ვართ და დედა, მართალია, ძალიან გვიყვარს, მაგრამ დისციპლინა ოჯახში ვერ არის დაყენებული მაგარ ნიადაგზე. ეს საქმე ყველაზე ძალიან მანუხებს, სადარდელი ამბავია – არც ატომი, არც რაკეტა თუ მომავალი ომი არ მაღელვებს ისე, როგორც ჩვენი უბედურობა და ჩვენი ერის ფიზიკური განადგურების პროცესი, რომელიც ამდენი ხანია არსებობს საქართველოში; ძალიან დიდ ხანს ბევრ მოვლენებს უყურებდი ბანაკიდან – საქართველოსას, საიდანაც ყოველ წელს და თითქმის ყოველ თვეს მოჰყავდათ ახალ ახალი ჯგუფები დასტა დასტა მოგროვილი – უბრალო, ნას-

[1] მღვდელთან *(პოლ.)*.



პოლონეთის არმიის მე-15 პოლკის ესკადრონის მეთაური მიხეილ კვალიაშვილი, 1939 (დაეით ყოლბაიას კერძო კოლექცია, ვარშავა)

წავლი, ძველი და ახალი – სამყოფი იყო, რომ ქართველია „samyi rewolucjonnyi element“[1] – სომეხი კი ათასში ერთიც კი არ სჩანდა – ამისთანა მოვლენებს თავისი გამოთქმა აქვს, თავისი დღევანდელი და ხვალინდელი დღე! დრო მიდის, მსოფლიო დაიღალა. ორი ბანაკი ჩამოყალიბდა. მაშ, უნდა დაარტყან – ეს ცხადია – არ მჯერა, რომ უომოთ დამთავრდება საქმე. ეგ იქნება ჩვენი ტრაღედია და ჩვენი მტრების გამარჯვება. ჩვენი მომავალი ომშია, ეს შენც კარგათ გესმის. რუსეთის დანგრევა ჩვენი გამარჯვებაა და ამ დღისთვის, რაცა გვაქვს ძალები, უნდა მზათა გექონდეს, რადგანაც მომავალში ფულს აღარ ექნება გადამჭრელი ძალა, მხოლოდ მუშტს და ინტელიგენციას; მარქსიზმი კვდება თუ მომაკვდავია და ილიას შუქმა რომელიმე საქართველოს კუთხიდან უნდა ამააშუქოს და შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სწორეთ იმ კუთხიდან ამოვიდეს, საიდანაც იყვნენ ილიას მკვლელები, რადგანაც იქ იყო მარქსიზმის მყრალი ბუდე და იმავე ბუდეში დღეს მარქსიზმი კვდება; ბუნებაში ესეა, თუ სადმე რამე ქრება, სხვა რამე იბადება – ეს ბიოლოგიის თანასწორობის კანონია – დაიბადება ის, რაც მოკლეს – ეს იქნება ჩვენი აღორძინება – ამას სჭირდება ხალხი, თუნდაც პატარა ჯგუფი – ბრძოლა წარმოებს. მხედრები ვართ და უნდა ვიცოდეთ ჩვენი მოვალეობა! მოგაბეზრე – თუ ვიქნები ვარშავაში, რა გზით მოგწახო – tramwaj czy autobus? napisz![2] შენ მეუღლის ხელი დამიკოცნე, –

შენ გეხვევი ძმურად
შენი მიხეილ კვალიაშვილი
[1957 წლის აგვისტოს შემდეგ]

ვწერ ლიუბლინში, ციბა[3] უნდა ვიპოვო; სად არის ლობჟანიძე, რუსიაშვილი, წითლანაძე??? მომწერე.

პატიკოს შენი წერილი წავაკითხე და მოკითხვას გითვლის!

მ.

3.

ძმაო ნიკო!

როგორა ხარ?

გვიახლოვდება 19.II.1921 წ. ბრწყინვალე დღე ტაბახმელისა, დღე ეროვნულ თავისუფლების შეგნებისა და ჩვენი სკოლის გმირობისა!

[1] ყველაზე რევოლუციური ელემენტი *(პოლ.)*.
[2] ტრამვაით თუ ავტობუსით? მომწერე! *(პოლ.)*.
[3] იგულისხმება ვლადიმერ ციბაძე *(ლ. ც.)*.



პოლონეთის არმიის ოფიცერი **სვიმონ კობიაშვილი**, 1930-იანი წლები (**მაიკო კობიაშვილი-შერვაშიძეების** კერძო კოლექცია, ფოტო მოგვანოდა **გიორგი მამულიამ**).



სვიმონ კობიაშვილი და **ალექსანდრე ზაქარიაძე**, 1930-იანი წლები (**მაიკო კობიაშვილი-შერვაშიძეების** კერძო კოლექცია, ფოტო მოგვანოდა **გიორგი მამულიამ**).

ბუნებაში არაფერი იკარგება და სამართალი, თუ გინდ დაგვიანებით, მაგრამ მაინც იმარჯვებს; ნამდვილი მშვიდობა ჩამოყალიბდება მაშინ, როცა თავისუფლება ერების ნამდვილად განხორციელდება; რაც დღეს ხდება, ეს არის უკანასკნელი დაჭიმვა შავი ძალების.

აღდგომა მოხდება!

გკოცნი ძმურად
შენი ძმა მიხეილი

ეხლა გიორგი ზაქარიაძეს შვილის შესახებ: მე მაშინვე მივწერე – პასუხი არ მეღირსა!

ეხლა შენა გწერ, რომ შეატყობინო ან დაურეკო ტელეფონით რომ აქ პოზნანში არის, უკვე მსოფლიოში განთქმული ექიმი, პროფესორი Moll, pracuj w szpitalu miejskim im. Strusia, jest specjalista od operacji serca szczególnie dzieci. Profesor dojeżdża i do Warszawy i tam przeprowadza operacje ale nie wiem w którym szpitalu; ma swój wynalazek aparat, który wozi ze sobą – wyniki fenomemalne, więc niech się rusza i działa; może napisać do profesora do Poznania na szpital![1]

სიკო კობიაშვილმა გაათხოვა თავისი შვილი მაიკო, მისი ქმარი არის ინჟინერი, ამერიკელი რუსი თავადი შერემეტიევი; სიკო ძალიან აქებს თავის სიძეს – ჩემი გოგოები ამიჯანყდნენ, თუ როგორ მისთხოვდა მაიკო რუსსაო? აირია მონასტერიო!

სოსო ზაუტაშვილი გამეპარა გორში ორი თვით და მარტში ჩამოვა; ჩემი დები და ძმის ოჯახი ნახა და ნახულობს, იქვე ცხოვრობენ – ამბობს, რომ მეორეთ დავიბადეო – არ მაკვირვებს ეს გრძნობა! მე ტანჯვა ვაებიდან ვერ ამოვძვერი, ოთხი თვე უმუშაოდ ვიყავი, ნერვები ისე მომეშალა, რომ ვთქვი, გავგიჟდები მეთქი; ეხლა შრომა ვიშოვე, ისევ Targi Poznańskie;[2] ჩემი მეუღლე, რომელიც აქამდის აეადმყოფობდა, ეხლა გამოკეთდა და მალე სამუშაოს მაავლებს ხელსა, მაშინ

[1] მოლი, მუშაობს სტრაუსის სახელობის საავადმყოფოში, გულის ოპერაციების სპეციალისტია, განსაკუთრებით ბავშვებში. პროფესორი ვარშავაშიც ჩადის და იქაც აკეთებს ოპერაციებს, თუმცა არ ვიცი რომელ კლინიკაში. აქვს საკუთარი გამოგონების აპარატი, რომელსაც თან დაატარებს. შედეგი – გასაოცარია. ნავიდეს და იმოქმედოს. შეუძლია მისწეროს პროფესორს პოზნანში – საავადმყოფოში *(პოლ.)*.

[2] პოზნანის ბაზრობაზე *(პოლ.)*.

მეშველება! მე იმედს არასდროს ვკარგავ და მწამს ღვთის წყალობა და შველა მისი! მომწერე, როგორა ხარ და ზაქარიაძეს ბავშვის ამბავი! შენი მეუღლე გულწრფელად მომიკითხე და ხელები მისი დამიკოცნე.

შენ გკოცნი ძმურად
შენი მიხეილ კვალიაშვილი
Poznań 31
16.II.62 წ.

4.

ძვირფასო ნიკო!

„ქრისტე აღსდგა!"

გიგზავნი ბ-ნ ვიკტორ ნოზაძეს მშვენიერ შრომას!

მიგზავნის მე აქ (ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა) და მე უმალვე ვაგზავნი საქართველოში, სადაც უკვე 47 ც. წიგნი გადავგზავნე! ამ გზით ბევრი დიდი ქართველი მოღვაწე და მეცნიერი გავიცანი, ძალიან გულიან წერილებს ვიღებ მათგან, დაწყებული კონსტანტინე გამსახურდიასგან, ყოველ შემთხვევაში ძალიან სასიამოვნო შემთხვევათ ვთვლი ამ ურთიერთობას; ზოგი აღმოჩნდა ძველი ჩემი მეგობრები ბავშვობის და ყრმობის დროიდან!

ამ წიგნით აღტაცებულნი არიან საქართველოში მეცნიერების აკადემიკოსები!

რადგანაც შენც კალმის კაცი ხარ – მივწერე ბ-ნ ვიკტორს, რომ ერთ წიგნს ვარშავაში ვგზავნი ნიკო მათიკაშვილთან მეთქი! – რასაც სიამოვნებით ვასრულებ! **მილება შემატყობინე!**

როგორ ხარ – ხომ არ აპირობ კიდევ ჩასვლას საქართველოში – მე, ჩემო ძმაო, გარდა სურვილის და სევდიანობისა – ვერაფერს ვიზამ, რადგანაც ვერ უძლებ ჩემ ჯამაგირით – თუ შემთხვევით რამე სასწაული მოხდეს და ფული ზეციდან ჩამოვარდეს, მაშინ, მხოლოდ მაშინ შემეძლება ჩასვლა ლეგალურად, სამაგიეროდ, თუ რამე უცბად და მოულოდნელად შეიცვალოს – მაშინ მე მგონი, პირველი იქ ჩავხტები! თუ რამე გაწუხებს ჯანზე, იხმარე მხოლოდ ნაირნაირი ბალახი (ziola)[1], ჩვენს ნლებში ეს ყველა წამალს სჯობიან! შენ, ალბათ არ იცი, რომ ჩვენ მეგობარ ლადო ციბაძეს ცოლი მოუკვდა და გატყობინებ იმ აზრით, რომ სამძიმარი მისწერო: W. Cybadze, Lublin, ul. Lipowa 18, m. 5.[2] გული გაუმაგრე!

თუ გაქვს კიდევ „მოამბე" საისტორიო წერილებით??

მომიკითხე შენი მეუღლე შენი კატიანათ.

გკოცნი შენი მიხეილ კვალიაშვილი
4.IV.64 წ.

[1] სამკურნალო ბალახი *(პოლ.)*.

[2] ვ. ციბაძე, ლუბლინი, ლიპოვას ქ. №18, ბ. 5 *(პოლ.)*.

5.

ძმაო ნიკო!

მივიღე შენი ღია ბარათი; ცხადია, რომ გამეხარდა – რა არ ვიფიქრე, რომ ამდენ ხანს არაფერი ვიცოდი შენზე! ღრმათა მაქვს ჩანერგილი სიყვარული ამხანაგებისადმი და მათ ბედს თუ უბედობას გულუბრყვილოთ ვერ მიუდგები, ამიტომ აღელვებული ვიყავი. ეხლა ვიცი, რომ ცოცხალი ხარ და ამდენი შრომა ჩაგიტარებია თარგმანში ქართულიდან პოლონურზე – ვიზიარებ შენს აზრს, რომ კალმით ბრძოლა ხშირად ხმალზე მჭრელია!

ძალიან მეინტერესება იმ წიგნების ბედილბალი, რომელნიც ჩემს სახელზე გადმოუგზავნიათ თბილისის უნივერსიტეტს ვარშავის Alma mater-ში;[1] მართალია, აქამდინ არ მიმიღია, მაგრამ რადგანაც ეგ წიგნები ჩემს მიერ დაწყებულ შრომისათვის საჭიროა – ბედნიერი ვიქნებოდი, რომ წიგნები უკვე ჩემს მაგიდაზე გაჩნდნენ, ვაი თუ, გააჭიანურონ როდინობის კვირამდე; მადლობელი ვიქნებოდი, რომ ზუსტი მისამართი მომაწოდო უნივერსიტეტის – ulica, №, dział? bibliotcka czy administracja[2] – ფულს აქ გადვიხდი, ოლონდ მალე გამომიგზავნონ – მიშველე ამაში! შენც გქონია ჟურნალ გაზეთები, რომლების გამოგზავნას აპირებ – თუ მათი შინაარსი ჩვენს ისტორიას ანუ ეტნოგრაფიას და ეკლესიას შეეხებიან, აბა ეგეც გამომადგება! ჩემი შრომა ნაიკითხა ერთმა პროფესორმა, ძალიან მოეწონა და მირჩია, რომ დასაწყისში ან თუ შესავალში დაურთო მოკლეთ ქართული ერის ისტორია სუმერ-ხეთებიდანო ქრისტიანობის გავრცელდებამდე – შემდეგ ჩემი შრომა და დასკვნა – უნდა იქმნეს თარგმნილი ფრანგულზე და იტალიურზე – მთარგმნელები ელიან ჩემს მთლიან შრომას, მაგრამ მიფერხებს ჩვენი ქართული სენი, უფულობა, აბა „მაშინაზე"[3] უფულოდ ვინ დამინერს? ერთი პირი მაქვს „მაშინაზე", მაგრამ პატარა შესწორებანი სტილის მხრივ მოხდა და გადანერას მოითხოვს! სხვათა შორის თბილისიდან მივიღე ამ წლის თავში ბევრი წიგნები. მათგან 7 ცალი ვიკტორ ნოზაძეს გადაუგზავნე, ეხლაც ველი პირდაპირ ჩემს მისამართზე – აქამდის ვერ მიეხვედი თუ ვინ გადაგზავნა ვარშავის უნივერსიტეტში? სხვათა შორის ვიკტორ ნოზაძეს შენი მისამართი გადაუგზავნე – თითქმის ყოველ წერილში შენზე მეკითხება, იმიტომ მისამართი მივაწოდე – ხომ არ მიჯავრდები? ჩემ მიერ „კაეკასიონი" ხომ მიიღე? არა მწერ ამაზე – ბ. ვიკტორმა უწინ მომწერა, რომ ერთი ნიკოს გადაუგზავნეო!? მე ხშირად ვწერამ როგორც თბილისში, ისევე პარიზში, მეტადრე ბ. ვიკტორს და კუკურის!

როცა ადამიანი 60 წელს გადააბიჯებს, მაშინ ავტომატიურად ავადმყოფობა იწყობა – wątroba, woreczek żółciowy, trzustka, jelita, zołądek itd.[4] ამაზე კარგია ზიოლა – მხოლოდ უნდა იცოდე (ექიმისგან) თუ რა გაწუხებს და დაიწყო სმა ნაირნაირი ზიოლა (არ ვიცი, თუ როგორ არის ქართულად), თუ შეუდგები სისტემატიურად – 6 tygodni potym przerwa znowu 6 tyg[5], მაშინ ფეხზე დადგები და საშიში არ არის, თუ აბუჩად აიგდებ, მაშინ მართლა დასნეულდები და ინანებ ძმაო და ცოდვაც იქნება! თუ მისწერე ლადო ციბაძეს – საწყალი თითონ დარჩა ობლად, უნდა გული გაუმაგრო ხოლმე! ვანო ნანუაშვილმაც ძალიან მძიმე ავადმყოფობა გადაიარა – ერთხელ უკვე მეკუბოებს გეექცა და ეხლა მეორედ გამოვიდა საავადმყოფოდან! სამხედრო შინაარსის შრომებს უგზავნი ხოლმე! ორი წელია, რაც მეც ავად ვიყავი შიგნეულობაზე – ვიყავი სამხედრო სანატორიაში Kudowa Zdrój[6] – გამოვკეთდი, i ziołami wykurowałem się.[7] – ეხლა უკეთ ვგრძნობ თავსა!

აბა მოგილოცავ ქრისტეშობას და მომავალ ახალ წელს, გისურვებ ჯანმთელობას, ბედნიერებას და დასახული მიზნის მიღწევას. შენს მეუღლეს გულწრფელ სალამს და ხელზე კოცნას უთვლი!

შენ ძმურად გაკოცებ შენი მიხეილი
19.XII.64 წ.

---

[1] ალმა-მატერში *(ლათ.)*.
[2] ქუჩა, №, განყოფილება? ბიბლიოთეკის ან ადმინისტრაციის *(პოლ.)*.
[3] საბეჭდ მანქანაზე *(რუს.)*.
[4] ღვიძლი, ნაღველის ბუშტი, კუჭქვეშა ჯირკვალი, ნაწლავები, კუჭი *(პოლ.)*.
[5] მიღებას 6 კვირა, შემდეგ ისევ 6 კვირა მიიღებ *(პოლ.)*.
[6] კუდინო ზდრუი *(პოლ.)*.
[7] გავიჭყიპე სამკურნალო ბალახებით *(პოლ.)*.

6.

ძმაო ნიკო!

გენაცვა, რაშია საქმე, ბოშო!

აქამდის გრძელდება წიგნების გადმოგზავნა ვარშავის უნივერსიტეტიდან!

თუ ჩემი მისამართი მიაწოდე, რატომ არ მიგზავნიან – მე გადავიხდი აქ ფულს, მუქთად ხომ არ მინდა.

ან ჩემს მისამართზე გამოგზავნონ:

Poznań 31, ul.Owsiana 28/9 ან Biblioteka Uniwersytetu Poznańskiego: Poznań, ul. Fr. Ratajczaka dla M. K.[1]

იქა მყავს ნაცნობი ქალი – ნაწილის გამგე, რომელიც ჩემს ახლო ცხოვრობს და შემატყობინებს აუცილებლივ – თუ არ უჯლუგუნებ, დაავიწყდებათ და დამეკარგება წიგნები – და ამის გარდა, რას იფიქრებს ის მადლიანი ადამიანი, რომელმაც ეგ ნიგნები გამომიგზავნა? შენ სამსახურიდან დაურეკე მაინც და მააგონე, რომ გადმომიგზავნონ!

მე ამ საქმეში მარდი ვარ და შენ რაღა დაგემართა; ძალიან გთხოვ, მიშველე – განა თუ ამისთვის ვარშავაში უნდა ჩამოვიდე და ამ გაჭირებაში ფული, რომელიც არა მაქვს, უნდა დავხარჯო?

მე თანდათან უკეთ ვგრძნობ თავსა ვსვამ siemie lniane to niczawodony lek na żołądek, jelita, wątrobę, nerki; trzeba wziąć siebie w ręce i się leczyć bo przecież szkoda zdrowia![2]

სამაგიეროთ, ჩემი ორი გოგონა დამიავადნენ, მაიკო და მანანა!

მომავალ თვეში გამოგიგზავნი ჩემი ოჯახის სურათს, ნახე მაინც როგორ გამოვიყურებით!

დამირჩი ჯანმთელად და ბედნიერად.

ველი პასუხს!

ძმური სალმით
მიხეილ კვალიაშვილი
23/.65 წ.

7.

2.2.65 წ.

ძმაო ნიკო!

დღეს მივიღე სამი წიგნი და სამი კატალოგი (ყველა ერთი და იგივე). ეს არის: „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია" და „კ. მარქსის სახელობის საქართველოს ს.ს.რ. სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერებისა და საარქივო მასალების კატალოგი".

რადგანაც ყველა ერთნაირია, ერთ წყვილს შენ გიგზავნი, ერთს გადაუგზავნი ვიკტორ ნოზაძეს და ერთს ჩემთვის დავიტოვებ – თუნდაც ეს საკითხი არ მეინტერესება!

შენ მიერ გამოგზავნილი ძველი გაზეთები და რადიოს პროგრამები მივიღე, არაფრად გამომადგა, რაც მე მაინტერესებს (ქრისტიანობა საქართველოში) არ იყო. იძულებული ვარ, დავწვა, რადგანაც ბინა პატარა მაქვს და საკუთარი ჩემი ბიბლიოტეკით, ისევე როგორც შვილების, გატეხილია კედლები, რაც ბევრად გვანუხებენ, იმისდა მიუხედავად, რომ ყველა სამეცნიერო არიან!

სამშობლოსთან და სამეცნიერო წერტებთან ისეთი კარგი კავშირი მაქვს, რომ რომელ წიგნსაც მოვისურვებ, აუცილებლად მივიღებ ხოლმე და ამ მხრივ სულიერი საზრდო არ მაკლია!

---

[1] პოზნანი 31, ოვსიანას ქ. №28/9 ან პოზნანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის: პოზნანი, ფრ. რატაიჩაკის ქ. მ. კ.-ს *(პოლ.)*.

[2] სელის თესლს – ეს კუჭის, ნაწლავების და თირკმელების უებარი წამალია. გამოიჩინე ნებისყოფა და იმკურნალე, გამოჯანმრთელდები! *(პოლ.)*.



პოლონეთის არმიის პოდპოლკოვნიკი პლატონ თაყაიშვილი (დაუთ ყოლბაიას კერძო კოლექცია, ვარშავა).

ეხლა საქმე იმაშია: შენ მწერდი რომ ჩემ სახელზე მოსულია, წიგნები ვარშავის უნივერსიტეტის მთავარ ბიბლიოტეკაში Krak., Przedmieście 26/28[1] – მე კი მივიღე ეს წიგნები Polska Akademia Nauk, wydział Orientalistyki. W-wa, ul. Freta №10-დან.[2] ამით არ ვიცი ეხლა, თუ რაშია საქმე – თუ ეს ერთი და იგივეა, ანთუ ორი სხვადასხვა ამანათია ჩემს სახელზე – გამოგზავნილია კი: Гос. Респуб. Библиотека ГССР им. К. Маркса г. Тбилиси, ул. Кецховели №5 (отдел резервно-обменного фонда)[3] ამას მიგზავნის ხოლმე ა. დოლიძე გამგე, გამოგზავნილია 10.IX.64 წ. მივიღე 2.2.65 წ. ე. ი. თითქმის 5 თვე – ეხლა მივწერ, რომ აქაური უნივერსიტეტის ბიბლიოტეკაზე გამომიგზავნონ ხოლმე! აბა, გისურვებ ჯანმთელობას, კარგათ ყოფნას და დიდ წარმატებას შენს შრომაში სამშობლოსთვის!

შენი მიხეილი

8.

ძმაო ნიკო! შენი სურვილი დავაკმაყოფილე ძმურად და მეგობრულად! დროზე მოვიდა შენი წერილი, თორემ საქმე გაჭიანურდებოდა, რადგანაც პატიკო ორშაბათს მიდის საავადმყოფოში, როგორც წინათ გწერდი, ოპერაციაზე (ruptura),[4] რაც გასტანდა ორ კვირამდე!

რაც შეეხება ჩვენს ქვეშევრდომობას: „Na mocy Konstytucji RP. po dziesięciu lat pobytu czy służby w kraju automatycznie otrzymaliśmy obywatelstwa polskie" – to napewno,[5] ეს მე მითხრეს ჯერ კიდევ ომის წინ ისე, რომ ჩვენ ისეც მივიღებდით ემერიტურას, ომი რომ არ ყოფილიყო – გვეკუთნის ნამდვილად!

პატიკო გვირჩევს, რომ მოიქცე ისე, როგორც თითონ პატიკო მოიქცა, jeszcze przed otrzymaniem renty inwalidzkiej starać się o Kiosk „Ruch"u,[6] პატიკო ძალიან აქებს შემოსავალს და მეტადრე

[1] კრაკოვი, პშედმისტიეს ქ. №26/28 *(პოლ.)*.

[2] პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილებიდან, ვარშავა, ფრეტას ქ. №10 *(პოლ.)*.

[3] საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, ქ. თბილისი, კეცხოველის ქ. №5 (სარეზერვო-გაცვლითი ფონდის განყოფილება) *(რუს.)*.

[4] თიაქარი *(პოლ.)*.

[5] პოლონეთის კონსტიტუციით ჩვენ, ყველამ, ავტომატურად მივიღეთ პოლონეთის მოქალაქეობა – ეს ნამდვილად ასეა *(პოლ.)*.

[6] ინვალიდობის პენსიის დანიშვნამდე „Ruch"-ში (პრესის გამავრცელებელ ჯიხურში) მუშაობდა *(პოლ.)*.

ვარშავაში, მხოლოდ კარგი პუნკტი ამოირჩიოსო! ამასთან ერთად, ძალიან აქო შენი მეუღლე, რომ bardzo obrotna i Kobieta z głową-ო![1] (მაგრამ მე ვგრძნობ, რომ ვაჭრობის საქმე შენ თითონ არ გეგუება, ხომ!..

Z resztą to sprawa wyłącznie osobista![2]

Czy Uniwersytet W-ski i P.A. Nauk – są razem?[3] მე მივიღე 3 წიგნი P.A.N.-დან[4] და არა უნივერსიტეტიდან – შენ კი სულ უნივერსიტეტზე მწერდი! Jeżeli możesz i znasz lekarzy postaraj się aby Tobie dali II kat. to będziesz miał większą rentę![5] როცა საქმეს მოაწყობ, შეგვატყობინე – პატიკოს ახალი მისამართი ხომ შეგატყობინე!

იყავ კარგათ და ჯანმთელად

შენი მიხეილ კვალიაშვილი
[1965 წლის აგვისტომდე]

9.

ძმაო ნიკო! გიგზავნი სურათს!
დაუგზავნე ყველა ყოფილ იუნკრებს!
როგორ ხარ?
მე და ჩემი შვილი მაიკო 3 თვით (1.VIII – 30.X) მივდივართ საქართველოში, ჩემმა დებმა დაგვპატიჟეს – იქნება რამე საყურადღებოს მირჩევ – რადგანაც უკვე ნამყოფი ხარ და იქაური ჰავა ნაცნობია შენთვის!
მომწერე, ძმური სალმით

მიხეილ კვალიაშვილი
[1965 წლის აგვისტომდე]


10.

ძვირფასო ნიკო!

გუშინ დავბრუნდი საქართველოდან, სამი თვით ყოფნის შემდეგ! ვერ აგიწერ ყველაფერს – აქამდინ სიზმარი მგონია! იყო ჩემთან ერთად შვილი მაიკო, რომელიც სადისერტაციო მასალას აგროვებდა ირგვლივ საქართველოს ეტნოგრაფიისა! მე უთარგმნიდი ქართულ და რუსულ მასალებს, თან საჯარო ბიბლიოტეკაში დავდიოდი და ვაგროვებდი მასალას რომელიც მე მეინტერესებოდა! ბევრი ხალხი გავიცანი როგორც აკადემიკოსები, ისე პროფესორები და მრავალი მეცნიერი მუშაკნი!!

ვიყავი აგრეთვე ГОКС-ში[6] – ვოლოდარსკის ქუჩაზე[7] – სადაც გავიცანი ბ-ნი გიორგი ჩიმაკაძეც, გემდურებოდა, რომ წლობით უნდა ელოდოს შენგან პასუხებს – საბოლოოდ მიუღია პასუხი

[1] ძალიან ენერგიული და საქმიანი ქალიაო! *(პოლ.)*.
[2] ეს პირადი საქმეა!
[3] ვარშავის უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია ერთადაა? *(პოლ.)*.
[4] პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიიდან *(პოლ.)*.
[5] თუ გყავს ნაცნობი ექიმები, შეგიძლია II ჯგუფის პენსიისთვის იბრძოლო. უფრო მეტ პენსიას მიიღებ! *(პოლ.)*.
[6] ГОКС – Грузинское общество культурных связей с зарубежными странами (საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული კავშირის საზოგადოება) *(რუს.)*.
[7] დღევანდელი ექვთიმე ათონელის ქუჩა *(ლ. ც.)*.



მიხეილ კვალაშვილის ნერილი ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი, ავტოგრაფი, 30 ოქტომბერი, 1965 (სლმ. №28441-22-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

შენგან 8 თვის შემდეგ ცნობით, რომ მძიმე ავადმყოფი ხარ! რა დაგემართა – რათა ხარ ეგეთი კერპი – ხომ გთხოვე, მომწერე მეთქი, თუ რაზე ხარ ავად და საზღვარ გარედან მოგართმევდი წამლებს – შე დალოცვილო – საქართველოში უგზავნი წამლებს და შენ განათუ უცხო ხარ ჩემთვის?? არ ვიცი თუ იცი, რომ როცა საქართველოში ვიყავი – აქ, პოზნანში 28.VIII-ში გარდაიცვალა ჩვენი პატიკო თაყაიშვილი – ღვიძლის კიბოს გამო, საწყალი პატიკო! თუ სურვილი გაქვს, მისწერე პოლონურად პატიკოს მეუღლეს სამძიმარი: Poznań, ul. F. Nowowiejskigo 22/24, Janina Takaishvili![1]

ძალიან მთხოვეს თბილისში, ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში – **ზ. ავალიშვილის წიგნი „ჯვაროსანთა დროიდან" – თუ გაქვს და არ გენანება (ანდა, ვისთვის უნდა შეინახო), გამომიგზავნე და თუ დათანხმდები, შენი სახელით გადაუგზავნი ბიბლიოტეკაში – ნუ დაგეზარება, მომწერე!**

მომავალი წლის სექტემბერში იქნება გადახდილი 800 წ. რუსთაველისა, მოვლენ ყველა ქვეყნიდან დელეგატები და მეც მომიწყობენ ხელს, რომ მოვხვდე პოლონელ დელეგაციასთან ერთად!

არის მოწვეული ბ-ნი ვიკტორ ნოზაძე, როგორც გამოჩენილი რუსთველოლოგი – თუ მოვასწარით, დიდი ზეიმი იქნება მსოფლიო ფარგლებში; გორში ორი და თბილისში სამი ჩვენი იუნკერი ვნახე და ერთად დრო გავატარეთ – ვიყავი ტაბახმელაზე, სკოლაში, მთელი თბილისი, ქართლი და კახეთი ვნახეთ და ყველგან ძველი ეკლესიები, ციხე-კოშკები და სხვ. ვერ მოვასწარი დასავლეთ საქართველოში ყოფნა – მეცადინეობამ ბევრი დრო წაგვართვა! წინანდალში მაგრათ ვიქეიფეთ... ველი შენგან პასუხს უსათუოდ. აბა რა ქართველები ვართ, რომ ერთმანეთს მხარი არ დაუჭიროთ – ომის წინათაც გვეზარებოდა ეს ამბავი ხომ?

გულწრფელი მოკითხვა შენს მეუღლეს და შენ გისურვებ ჯანმთელობას და კარგათ ყოფნას

შენი მიხეილ კვალიაშვილი
30.X.65 წ.

11.

ძმაო ნიკო!

როგორა ხარ? მაქვს საქმე და შენ შეგიძლიან ტელეფონის საშუალებით გამიკეთო!

ვარშავაში ცხოვრობს ქართველი ქალი (ცოლი პოლონელისა)[2] ელენე ამირაჯიბი, რომელმაც მომწერა წერილი; მისამართი ჰქონდა მიღებული საქართველოდან შალვა ჩხენკელის საშუალებით, რომელიც ჩამოვიდა აქ ვით ტურისტი და ჩემთვის წიგნი და სურათები ჩამოიტანა – ეს ყველაფერი მომწერა ქ-ნ ამირაჯიბმა და თან მწერდა, რომ შემიძლიან გავატანო ბ-ნ ჩხენკელს, დაბრუნებისას საქართველოში – ნამალი ჩემს დისწულისთვის თბილისში!

ეს ნამალი და წერილი იმ დღესვე გადაუგზვნე ქ-ნ ამირაჯიბს: adres: miejsce pracy: Helena Amiradzibi, Warzawa – Sielce, ul. Chełmska 21. W.F.D. – mieszkanie: W-wa Mokotów ul. Ad. Warskiego 9 m. 38. tel.: 4-82-01 jeden.

Długo nie miałem odpowiedzi więc napisałem dwa listy na te dwa adresy i znów nie mam odpowiedzi.[3]

Więc:[4] ძალიან გთხოვ, დაურეკე ტელეფონით და დეეკითხე, თუ: 1) იმ ჩხენკელმა ნამალი ნაიღო თბილისში? 2) თუ ჩემი წერილები მიიღო? 3) czy odebrała paczkę w hotelu która miała być zabrana do Gruzji?[5] 4) რატომ არ მიგზავნის სურათებს და წიგნებს? 5) მოკლე წერილი მაინც მომწეროს!

---

[1] პოზნანი, ფ. ნოვოვიეისკის ქ. №22/24, იანინა თაყაიშვილი *(პოლ.)*.

[2] იგულისხმება პოლონელი მწერალი, კინოსცენარისტი და რეჟისორი – ჯერზი შტეფან სტავინსკი *(ლ. ც.)*.

[3] სამსახურის მისამართზე: ელენე ამირაჯიბი, ვარშავა – სიელცე, ხელმსკას ქ. №21, W.F.D. და სახლის მისამართზე: ვარშავა მოკოტოვი, ად. ვარსკის ქ. №9, ბ. 38, ტელ.: 4-82-01. პასუხი ვერ მივიღე. ორივე მისამართზე ისევ ორი წერილი გაეგზავნე და პასუხი მაინც ვერ მივიღე *(პოლ.)*.

[4] მაშ ასე *(პოლ.)*.

[5] მიიღო თუ არა სასტუმროში საქართველოში გასაგზავნი ამანათი? *(პოლ.)*.

მე ეხლა ვერ ჩამოვალ ვარშავაში, თუ არ [1] მოხდება რამე საზეიმო შემთხვევა. ისე რომ, შენა გთხოვ, ეს ყველაფერი გაიგო და ნუ დაგეზარება უმალვ მოწერა!

გისურვებ ჯანმთელობას და ბედნიერებას.

გულწრფელი სალამით
მიხეილი
[1965]

M. Kwaliaszwili
Poznań 31
ul. Owsiana 28/15

12.

ჭეშმარიტათ!!!

ნოემბრიდან დაწყებული ე. ი. რაც საქართველოდან დავბრუნდი, სულ ავად ვიმყოფები! აღდგომასაც ლოგინში ვატარებ – ფილტვების ანთება ამიშორეს თავიდან – ხომ გესმის, თუ რა არის ჩვენი წლოვანობის ხალხისთვის ფილტვების ანთება – სიკვდილი! რაც უფრო ვინევით წლოვანობაში, მით უფრო გვინდა ერთმანეთის ნახვა! რას იზამ ნიკა, კანონს ვერ გეექცევი! მაშ, გკოცნი ძმურად და თუ როდისმე გაწყენინე, მაპატიე. ქრისტე აღსდგა! რომ მთელ ქართველ ხალხში აღსდგეს ქრისტე! ყოველთვის იყო ჩვენი იმედი და თავიც შესწირა ჩვენმა ხალხმა!

შენი მეუღლე მომიკითხე: Hosanna, alleluja, alleluja[2]

მიხეილ
[1966 წლის აპრილი]

13.

ძვირფასო ძმაო ნიკა!

შენ რომ წახვედი რამდენიმე დღის შემდეგ გვეწვია ვალიკო – იყო ჩემს ოჯახში თავის პოლონელ მეგობართან და მეორე დღეს ჩემს მუზეიში! ყველანი გახარებულნი ვიყავით; ბევრი ვილაპარაკეთ, მაგრამ პოლონელ მეგობრის თანდასწრება არ გვაძლევდა საშუალებას ყველაფერზე გვესაუბრა, მე კი სათქმელი ბევრი მქონდა! მიხარიან, რომ ეხლა მაინც დაუახლოვდით ვალიკოს, როგორც უმფროს თაობის წარმომადგენელს, რომლებს თავის დროზე ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლოთ პოლონეთში, მეტადრე იუნკრებთან თანამშრომლობის საკითხებში – ვერ გამოგვიყენეს მიზანშეწონილად და დიდი დაუდევრობა გამოიჩინეს!

შენი მახვილი და სამართლიანი კალმით უნდა დასწერო მთელი ელაბორატი – ღირს თავის შეწუხება, რომ საქართველოს ისტორიის სამხედრო ფურცლები ღირსეულად შეავსო!

ვალიკომ მომცა არტემ არონიშიძის მეუღლის მისამართი და უკვე მივწერე და ვთხოვე, რომ არტემაზე მომწეროს, რაც უნდა შევატყობინო საქართველოში მის უახლოეს ოჯახს ტურაშვილის საშუალებით!

[1] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამორჩენილია *(ლ. ც.)*.
[2] ოსანა, ალილუია, ალილუია *(პოლ.)*.

ეხლა მითხარი, ძმაო, როგორ არის საქმე იმ გომელაურის შესახებ და ჩემი წიგნის ბედი, რომელიც გადასცა ამირაჯიბის ქალმა ჩემთვის გამოსაგზავნათ! შენ ახსენე ვინმე ციციშვილი ვარშავაში – რომლისგან უნდა გაგეგო გომელაურის მისამართი...

აბა, თუ ძმა ხარ, გამახარე!

ჩემი შრომა კუს ნაბიჯით მიდის, მაგრამ მაინც მიდის – ჩემი მეუღლე მშველის და საწერ მანქანაზე ნელნელა მიწერს. შეეჩვევა და მალე მარდათ წავა საქმე, თორემ სხვას რომ დავაწერინო, მართალია, უფრო მალე წავიდოდა საქმე, მაგრამ დიდი ფულიც დამიჯდებოდა – რაც არა გვაქვს! ერთი კვირის წინ იყვნენ ქართველი ტურისტები. პროფესორები, მასწავლებლები – ქალები და კაცები. ვნახეთ ყველანი – კარგათ გავატარეთ დრო – მაგათ გარდა ცალკე იყვნენ სამი ექიმები, მეცნიერნი, ისინიც მოვიდნენ ჩემთან მუზეიში!

შენი მეუღლე გულწრფელად მომიკითხე.

შენ გკოცნის
შენი მიხეილი
29.VI.66 წ.

14.

ძმაო ნიკო!

გიგზავნი ამ ძალიან საინტერესო წიგნს, რომლის ავტორი გავიცანი თბილისში – მეცნიერთა აკადემიაში. კარგი იქნებოდა, რომ თარგმნილიყო და გამოცემულიყო, ან დაბეჭდილი რომელიმე გამომცემლობაში მოთავსებულიყო. აბა, ამაში გამოცდილი ხარ და დანარჩენი შენ იცი!

ჩემმა ჯიუტობამ გაიტანა და დაუკავშირდი ქ-ნ არონიშიძეს[1] (Wrocław, ul. Jaworowa 41/5)[2] ჩვენი მეგობრის ვალიკოს საშუალებით და გავიგე ბედიღბალი ცხონებულ არტემასი, რომელსაც მისი უახლოესი ნათესავები ეძებდნენ – ცნობები უკვე გადავეცი გიგა ტურაშვილს, რადგანაც მისი ძმის ცოლი არის ახლო ნათესავი არტემასი.

ამის გარდა, სანდრო ალავიძეს (ჩემი შორეული ნათესავის) ამბავიც გავიგე (ვეძებდი ჩემს დაბრუნებისას).

Zmarł w Sierpcu niedaleko m. Płocka – na raka rzołądka – piszę Pani Aroniszydze że ma ładny grobowiec z fotografią – był b. lubiany i otoczony przyjaciółmi którzy go b. opłakiwali,[3] შევატყობინებ გორში სანდროს დისწულს!

გუშინ, ე. ი. ოთხშაბათს იყო ერთი უმფროსი ჭაღარა კაცი მეუღლით ჩემთან მუზეუმში და ლაპარაკში აღმოჩნდა, რომ მან დაამთავრა W.S.W.[4] და გახსენა შენ, რატიშვილი, ველი-ბეგ იედიგარი – სთქვა, რომ ერთად დავამთავრეთ W.S.W.-ო, გვარი მითხრა და ვერ გავარჩიე კარგათ – კრუკ – Kruk ხომ ??? ვილნოს გარნიზონიდან იყო და ჩვენი დათა მაჭავარიანი მისი თანაშემწე z-ca d-cy batal[5] ყოფილა, იქნება მოიგონებ!

ამ თვეში გამოვა პარიზში ახალი – შემდეგი №№ „ბედი ქართლისა“, მივიღებ რა გამოგიგზავნი! სხვა რა ისმის შენთან – თუ იპოვე ის ქალი ან ვინმე გომელაური – ჩემი წიგნის შესახებ რომ გთხოვე!

---

[1] იგულისხმება ქ-ნი ლიდია კამინსკა-არონიშიძე *(ლ. ც.)*.

[2] ვროცლავი, იავოროვას ქ. №41/5 *(პოლ.)*.

[3] ქ-ნი არონიშიძე ინერება, რომ მისი მეუღლე, ქ. პლოცკის მახლობლად – სერპცში, კუჭის სიმსივნით გარდაიცვალა. მეგობრებმა, რომლებსაც ძალიან უყვარდათ იგი, ძვირფასი სასაფლაო გაუკეთეს ფოტოსურათით და გულმხურვალედ დაიტირეს *(პოლ.)*.

[4] ვარშავის სამხედრო სასწავლებელი *(პოლ.)*.

[5] zastępca dowódcy batalionu – ბატალიონის მეთაურის თანაშემწე *(პოლ.)*.

ყველანი გულიანათ გიგონებთ ჩემს ოჯახში, მეტადრე ჩემი მეუღლე – მაიკო და მანანა მეკითხებიან, თუ როდის ჩამოვა კიდევო. თუ შემთხვევით აქ ახლომახლო იქნები – არ აუხვიო ჩემს ღარიბ ოჯახს – სტუმრები გვიყვარს ყველას! გულწრფელი მოკითხვა შენს მეუღლეს.

შენ გკოცნი ძმურად
შენი მიხეილი
[1966 წლის იენისის შემდეგ]

15.

ძმაო ნიკო!

ადამიანო! რა დაგიშავე, რომ გაჩუმებულხარ!

გუშინ მივიღე მოწვევის ბარათი პარიჟიდან რუსთაველის ზეიმზე, რომელიც **მოხდა** 22.XI.

როგორც მწერს ბ-ნი აკაკი შანიძე, მოსკოვის შემდეგ, სადაც ჩატარდა დიდ ოპერის შენობაში, მთელი მთავრობის და უცხოელების თანდასწრებით Akademja na cześć Rusthaweli[1] – უნდა მომხდარიყო ვარშავაში და წერილში მეკითხება, ალბათ დეესწრებითო!

შემატყობინე, თუ რამე მოხდა ვარშავაში – როგორ ჩატარდა და რა ხასიათი ჰქონდა? პოლონურ გაზეთებში ხმა კრინტი არ დაძრულა – რაშია საქმე? მე მივეცი სამ გაზეთში ნერილი რუსთაველზე და არც ერთში არ დაბეჭდეს. ისეთ შთაბეჭდილებას ჰხდის, რომ მითომ ეშინიანთ – სამაგალითოდ **თუ გინდა,** გამოგიგზავნი ჩემს წერილს – artykul z fotografiami![2] ძალიან აღელვებული ვარ, თუ რათ მოედო სიჩუმე ამ დიად საქმეს და ისიც პოლონეთში, რომლის დელეგაცია იყო თბილისში ხსენებულ დღესასწაულზე – **მომწერეს.**

თუ ნახე ელენე ამირაჯიბი და რა გაიგე ჩემ წიგნის შესახებ!

მომწერე მალე, რადგანაც 5.XII მივდივარ შვებულებაზე სამხედრო სანატორიაში!

აბა, იყავი ჯანმთელად და ბედნიერად

შენი მიხეილ კვალიაშვილი
23.XI.66 წ.

16.

ძვირფასო ნიკო!

მივიღე შენი წერილი, ეხლა გწერ მეორე წერილს; გუშინ წინ გამოვედი სამხედრო საავადმყოფოდან, ეხლა სახლში ვიმყოფები! ძალიან გთხოვ, რომ შემდეგ კითხვებზე პასუხი მომცე!

1) სად იმყოფება Polsko-gruziński Towarzystwo?[3] – **მისამართი** და ვის უნდა მივმართო ზოგ საკითხებში, რომელნიც დავალებული მაქვს თბილისიდან, 2) თუ ეგ საზოგადოება აქტიურია და რაში გამოიხატება მათი მოღვაწეობა? რა როლს თამაშობს Jan Braun,[4] რომლის შესახებ მელაპარაკეს თბილისში, 3) თბილისს აზრათ აქვს, რომ პოზნანშიც მოხერხდეს მაგისთანავე საზოგადოების ჩამოყალიბება, რადგანაც ხშირად მოდიან ტურისტები, მეცნიერნი და სხვა, რომ ამოძრავდეს

[1] რუსთაველის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო *(პოლ.)*.
[2] სტატიას ფოტოსურათებით! *(პოლ.)*.
[3] პოლონურ-ქართული საზოგადოება? *(პოლ.)*.
[4] იან ბრაუნი.

კულტურული წერტი, 4) შემდეგი დავალება მაქვს, რომლის განხორციელება ჩემთვის ძალიან ძნელია მანძილის გამო: თუ რამდენმა ქართველმა (სახელი და გვარი) დაამთავრა ვარშავის უნივერსიტეტი მის დაარსებიდან? – რომელი ფაკულტეტები დაამთავრეს? – იკისრე ეს საქმე – შენთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს და თუ დაყაბულდები, შემატყობინე – მაშინ შევატყობინებ თბილისში იმ ქართველ მეცნიერს და მისამართს მოგაწოდებ! ეს საქმე ძალიან საჭიროა და საჩქაროც! თბილისში მითხრეს, რომ ამ საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს, კულტურულ დაახლოვებას პოლონელებთანო – რაც ქართველ მეცნიერებს ძალიან უნდათ!

თურმე კრაკოვის უნივერსიტეტის არქივებში, ძველ პოლონურ გაზეთებში 1862-63 წწ. არის ვრცელი წერილი სურათით, დაწერილი პოლონელ მოგზაურის მიერ ქართული ეკლესიის წმ. ჯვარის (იერუსალიმში) აღწერა და შოთას სურათი – რომელიც უკანასკნელ წლებში აღმოაჩინეს ქართველმა მეცნიერებმა – მითხრეს, რომ ეს ამბავი bomba[1] არის და უსათუოდ უნდა ვეცადო, რომ ეს საქმეც მოვაწყო – ეხლა კრაკოვში უნდა ვიპოვნო ვინმე, რომელიც უნივერსიტეტის არქივთან გადამამბავს და ავღძრი ამ საკითხს – ე. ი. ბევრი რამ ძალიან საინტერესოა და საჭირო!

ეხლა სხვა ამბავი, მჭირდება **მისამართი:** Helena Amiradzibi, W-wa, ul. Chełmska N???[2] და თუ ეს მისამართი კარგია? საქმე იმაშია, რომ შარშან ერთმა ექიმმა ქართველმა **დაუტოვა ჩემთვის** წიგნი: ბაგრატიონთა დინასტიის ვრცელი მეცნიერული შრომა და აქამდინ არ გამომიგზავნეს – ეს ამბავი ეხლა გავიგე თბილისში ჩემს დისწულისგან, რომელმაც ეს წიგნი გამოატანა იმ ექიმს ჩემთვის – ამიტომ გთხოვ, ნუ დაიზარებ და გამიგე მისამართი და რა ენაზე მიეწერო – ქართულად თუ პოლონურად – იქნება შენ შემთხვევით იცნობ ??? –

გუშინ იყო ჩემთან გიგა ტურაშვილი, რომელიც ამ თვეში მიდის საქართველოში და დავარიგე, თუ როგორ უნდა იმოგზაუროს! თუ შენ ისევ იქ მუშაობ ul. Srebrna 16?[3] როგორ არი შენი საქმე? საერთოთ – არაფერს იწერები ხოლმე!

მაშ, მოგილოცავ მომავალ დღესასწაულს შობისას და ახალ წელში გისურვებთ შენს მეუღლეს და შენ ჯანმთელობას და ბედნიერებას!

გამარჯვებით იყავით!

შენი მიხეილ კვალიაშვილი
14.XII.66 წ.

17.

Sławińska
Ciciszwili Kote 10-89-18[4]

ძმაო ნიკო!

რა დაგემართა პატენი, ორი წერილი მოგწერე და ხმას არა მცემ, ნაწყენი ხომ არა ხარ ჩემზე?

პირდაპირ გეუდრებოდი, რომ გაგეგო მისამართი: Amiradzibi Helena, W-wa მგონი ul. Chełmska – სახლის და ბინის №№ ამომეშალა მისამართების წიგნაკში, თორემ ისე რაზე შეგაწუხებდი – ეს ერთი; მეორე – პოლონურ-ქართული საზოგადოების მისამართიც მჭირდება, ხომ მოგწერე, თუ რისთვის!

რაც შეეხება ამირაჯიბის ქალს (ტელეფონი, ალბათ ექნებათ), ერთმა ქართველმა ექიმმა ორი წლის წინათ დაუტოვა **იშვიათი** წიგნი ჩემთვის, რომელიც გამაატანა ჩემმა დისწულმა თბილისიდან – თითონ ვერ მოახერხა ჩამოსვლა პოზნანში და ვერც გამოგზავნა – და იქ ჩააბარა, რომ

[1] ბომბი *(პოლ.)*.
[2] ელენე ამირაჯიბი, ვარშავა, ხელმსკას ქ. №??? *(პოლ.)*.
[3] სრებრნას ქ. №16 *(პოლ.)*.
[4] სლავინსკა, ციციშვილი კოტე 10-89-18 *(პოლ.)*.

ჩემთვის გამეეგზავნათ (ამისთანა შემთხვევებში ქართველები საზიზღარი ხალხია – ზრდილობა აკლიათ ხოლმე). ეგ წიგნი, როგორც უკვე მოგწერე, მჭირდება ჩემს შრომისთვის, რომელსაც უკვე ვამთავრებ და გაჩერებული ვარ – დრო კი მიდის! მე როცა წიგნებს ვიღებ საზღვარგარედან, არ ვიზოგავ ხარჯებს ღარიბი კაცი და შენც გიგზავნი – თუ ეს შენუხებაა შენთვის და არ გინდა, მაშ, ხელს ავიღებ ყველაფერზე და აღარ შეგაწუხებ მომავალში!

იყავ ჯანმთელად და ბედნიერად

მიხეილ კვალიაშვილი
[1966]

18.

ძმაო ნიკო!

მივიღე რა „Przeg. Orjental."[1] და წერილი, უმალვე გიპასუხებ.

მადლობელი ვარ, რომ მოგაგონდი!

გიგზავნი ორ წიგნს: 1) გიორგი ყიფიანის ლექსებს და 2) ცხონებულ აკაკი პაპავას ლექსებს. ამასთანავე ერთად: სამი ჩემი წერილი შოთას იუბილეს გამო, რომელნიც უნდა დეებეჭდათ: №3. „głos Wielkopolski", nakład bodaj 100 tys., №2. „gazeta W.T.K." 55 tys. nakładu, i №1. „Tygodnik Powszechny" też 50 tys. nakładu![2] – აზრათ მქონდა, რომ ამ გაზეთების საშუალებით უფრო მეტად გავრცელებულიყო, ვიდრე მოხსენება შეზღუდულ ნრეში – მაგრამ, ალბათ იმიტომ, რომ მოსკოვში გაიმართა შოთას იუბილე 22.X.66-ში (დიდი ამბავი იყო სხვათაშორის), საბოლოოდ პოლონელებს ტრაწი შეეყარათ ან კი ნერვიული ფაღარათი და არც ერთმა გაზეთმა არ დაბეჭდა. ელოდნენ, ალბათ რომელიმე პარტიულ გაზეთში დაბეჭდას – და შემდეგ კი დაბეჭდავდნენ, მაგრამ არც აქაურ პარტიამ და მთავრობამ კრინტი არ დასძრეს და მთელი დაპირებული „Akademia jubileuszowa"[3] არ მოხდა – თორემ თუ ჩატარდებოდა, აბა შენც ხომ შეგატყობინებდი!

რაღაც კონსპირაციული და საეჭვო პავა ვიგრძენი და მართალი გითხრა, არ მოველოდი პოლონელებისგან მაგისთანა პროჭის კანკალს – რამაც, ჩემი უსაზღვრო სიყვარული ამ ერისადმი არ დააზიანა! ჩემის აზრით, ერთი თვით დავიგვიანე – და ეს მოხდა იმიტომ, რომ ყოველ დღე წასელას ველოდი – და ხომ მოგწერე, თუ როგორ მოხდა!

ეს სამი წერილი **წაიკითხე** – შეაფასე და თუ მოინდომებ, **დამიბრუნე** უკან, რადგანაც მაქვს მხოლოდ ერთი კიდევ – რომელიც მინდა თბილისში გაუგზავნო! გიგზავნი კიდეე ახლად მოსულ „კავკასიონს".

რაც შეეხება იმ „დაკარგულ" წიგნს, ესე მთელი ჩემი სიცოცხლე (ომის შემდეგ) ვიტანჯები, გაჭირება არ მომშორდა თავიდან – საქმეები კი ბევრი მაქვს – კორესპონდენცია ბევრი მიჯდება! შენი მოვალეობაა, რომ ვარშაველ ქართველებს მოუარო – უნდა შეკრიფო – გაიცნოთ ერთმანეთი – მოხსენებები გაუკეთო – ერთი და ორი კი არა – უნდა ჩაიგდო ხელში ყველანი და მოუარო! ეხლა ვარშავის უნივერსიტეტში არის ქართველი სტუდენტი. იმას მაინც დაავალე, რომ დაინტერესდეს და დასწეროს, თუ რამდენმა ქართველმა დაამთავრა ეგ უმაღლესი – ეს ძალიან საჭიროა, ძმაო!

U nas nie ma narodowo-społecznej pracy[4] – ამიტომ ვართ უპატრონოთ გაფანტულნი! მოიგონე ჩვენი ი. კ.-ს საქმე და კრებები, აგრეთვე სანევრო გადასახადის მოგროვება ჩემთვის პირდაპირ

[1] ჟურნ. „პშეგლონდ ორიენტალისტიჩნი" – „ორიენტალისტთა მიმოხილვა" *(პოლ.)*.

[2] №3. 100.00 ტირაჟიან გაზეთ „გლოს ველკოპოლსკი"-ში, №2. 55.000 ტირაჟიან გაზეთ „W.T.K."-ში და №1. 50.000 ტირაჟიან გაზეთ „ტიგოდნიკ პოვშეხნი"-ში! *(პოლ.)*.

[3] საიუბილეო სალამო *(პოლ.)*.

[4] ეროვნულ-საზოგადოებრივი მუშაობა ჩვენ არ გვაქვს *(პოლ.)*.

ტრაღედიათ იქცეოდა ხოლმე – საბოლოოდ კი ერთმანეთი გაეცანით რიგიანათ 1936-7-8. დანარჩენი ქარაფშუტა და ჰაი-ჰუი ხალხი! აბა ეხლა წარმოიდგინე თუ რამდენი საქმის გაკეთების საშუალება გვქონდა – „მხედრის" გამოცემა ეს სატირალი ამბავი იყო – პოლონელები კი ყველგან ხელს გვიწყობდნენ – ხომ მართალია? წავიდა, გაქრა ჩვენი ახალგაზრდობა და თითქმის არავითარი სერიოზული ნაშთი ან კვალი არ დასტოვა! სამაგიეროთ კი საქართველოში ტაბახმელის გმირებზე ლოცულობენ – თუ კი კაცი გაიგებს ამ პარადოქსს??! My sami nie doceniali naszą historyczną wartość?[1]

ვალიკოსგან მივიღე დიდი წერილი. სხვათა შორის, გულზე ავადმყოფობს!

ჯამში გიგზავნი სამ წიგნს – და სამ ჩემ არტიკულებს – გთხოვ კიდევ, წაიკითხო, შეაფასო და დამიბრუნო!

ალბათ შენც მიიღებდი საქართველოდან „ვეფ. ტყ." საიუბილეო გამოცემას, ძალიან კარგათ არის გამოცემული!

აბა იყავი კარგათ, ჯანმთელად და ბედნიერად

მიხეილ კვალიაშვილი
[1966]

19.

20.III.67 წ.

ძმაო ნიკო!

ალბათ ეხლა გაჩაღებული მუშაობა გაქვს ბაღჩაში და ბაღში, რადგანაც გაზაფხული ახლოვდება!

მაგრამ, ძალიან გთხოვ, ეხლავე გადმომიგზავნე ჩემი სამი ეგზემპლიარი maszynopis[2] რუსთაველზე და კიდევ **ერთი შენი წერილი ნაბეჭდი ორიენტალურ გამოცემაში,** რადგანაც მინდა გადავგზავნო საქართველოში, რუსთაველის ინსტიტუტში – სადაც აგროვებენ, რაც და სადაც იყო რამე დაწერილი შოთას იუბილეს გამო! მივიღე ბელგიიდან ორი კომპლექტი (სამ-სამი გაზეთი) ფრანგულად დაწერილი, მეცნიერი Girard Garitte – professeur á l'Université catholique de Louvain,[3] რომელსაც ვაგზავნი, რადგანაც ამ დღეებში მეხერხება და ამ მომენტის აცილება არ მინდა!

მალე მივიღებ „ბედი ქართლისას" უცხო ენებზე მარტო რუსთაველზე და გამოგიგზავნი აუცილებლივ!

იმედს არა ვკარგავ, რომ ამ კვირის ბოლოს მივიღებ შენგან იმას, რასაც გთხოვ ამ წერილში!

აქამდინ არ მიმიღია ქ-ნ ამირაჯიბის მისამართი – ვარშავაში კია ის ქალი? მე კი ქვეყანას გადავაბრუნებდი ამ დროის მანძილზე – ალბათ მე ნამეტარი ფიცხი ვარ მუშაობაში. ყველაზე ცუდი რამ უმიზეზო (?) მოლოდინია!

ეხლახან კუკურიმ მომწერა – მისი და ესტუმრად თბილისიდან თითქმის სამი თვე. ჩვენი ბებერი ლომი[4] კარგათ არის 93 წლისაა! აბა, დამირჩი ჯანმთელად და ბედნიერათ. მომიკითხე შენი მეუღლე.

მიხეილ კვალიაშვილი

[1] ჩვენ თვითონვე არ ეაფასებდით ჩვენს ისტორიულ ფასეულობას? *(პოლ.)*.
[2] მანქანაზე მაბეჭდი *(პოლ.)*.
[3] ლევენის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი ჟირარ გარიტი *(ფრანგ.)*.
[4] იგულისხმება გენერალი გიორგი კვინიტაძე *(ლ. ც.)*.



გიორგი და მარიამ კვინიტაძეები, პატუ. 1938 (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, **გიორგი კვინიტაძის** კოლექცია, თბილისი)



გიორგი კვინიტაძე და შიგეკი უსუი, პატუ, 1938 (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, **გიორგი კვინიტაძის** კოლექცია, თბილისი).

20.

6.03.68 წ.

ძვ. ძმაო ნიკა!

მივიღე შენი წერილი, რომელმაც ფრიად დამაღონა. შენ იცი, მე გულღია ადამიანი ვარ და ამისთვის გწერ, რომ ძლიერ გულნატკენი ვიყავი, რომ ისე გაემგზავრე სამშობლოში, რომ არ მაცნობე, მე კი ჩვენ უკანასკნელ შეხვედრისას ძალიან გთხოვე შენ, რომ ჩემთვის მოგეწერა, რადგან მინდოდა მომეცა მისამართები და გენახა ჩემი ოჯახის წევრები და ამბები ჩამოგეტანა. იანვარში გავიგე, რომ იქ ყოფილხარ, მენყინა ძლიერ და ამისთვის არაფერს არ გწერდი.

მწერ, რომ ჩემი მოგვარე ორი წლის წინად გადაცვალებულა.[1] ცხადია, ეს გარემოება მე ძლიერ მანუხებს და სიმართლე გითხრა, მოსვენებას არ მაძლევს. არ ვიცი, როგორ გავიგო სინამდვილე. შარშან ივნისში ბზიავამ ჩამომიტანა მისგან წერილი, ეხლა არ ვიცი, ცოცხალია თუ არა. ძლიერ მანუხებს, რომ სახელი არ გაგიგია და არ ვიცი, რა მოხდა. შენ რომ ჩემების მისამართი წაგეღო, ყველაფერი გარკვეული იქნებოდა, ეხლა კი პირდაპირ ვიტანჯები და არ ვიცი, როდის გავიგებ სინამდვილეს, ან და კი თუ მას მოვესწრები. არ ვიცი, იცი თუ არა, მე შარშან ნოემბრის პირველ რიცხვებში უეცრად ცუდათ გავხდი, აღმოჩთა, რომ მქონია „ანგინა-პექტორისი" – ეს სიბერის ავადმყოფობა არის. ორი თვის განმავლობაში ისეთი ტკივილები მქონდა, რომ ყოველდღე 2-3-ჯერ ვღებულობდი ნიტრო-გლიცერინს. ეხლა ცოტათი მოვიკეთე, მაგრამ ფრიად ნერვიული გავხთი, რადგან იძულებული გავხთი თუთუნის წევის მიტოვება და სწრაფ სიარულის, რაც მიყვარდა და მიჩვეული ვიყავი, მიტოვება.[2] ხომ იცი, დღევანდელი ცხოვრება ისეთია, რომ ნერვები ადამიანს მუდმივ დაჭიმული აქვს. სამწუხაროთ, ცნობებიც ისეთი მომდის, რომ სიმშვიდის შე-

[1] sic!

[2] sic!

ნარჩუნება ძნელია. ეჟიკა ზაქარიაძის ამბავი რომ გავიგე, თითქმის კვირა ვიწევი, ისე შევწუხთი, აბა რა ეშველება ეხლა მის ოჯახს, რომლის წევრები ყველანი ავათ არიან. ეხლა ამას დაემატა ჩემი ძმის-შვილის ამბავი, არ ვიცი ცოცხალია თუ გადაიცვალა, როგორც შენ მე მწერ. ამისთვის ძლიერ გთხოვ, სასწრაფოთ მაცნობე, როგორ გაიგე შენ ეს ამბავი და ვინ გადმოგცა. გარდა ამისა, მაქვს დიდი თხოვნა და იმედია, შემისრულებ.

როგორც შენ იცი, მე არ მაქვს კავშირი ჩემ ოჯახის წევრებთან. მხოლოდ თუ ვინმე აქედან წასული ჩემი მეგობარი მათ ინახულებს და ცნობას ჩამომიტანს. გარდა ამისა, იქ მე მყავს ჩემი საყვარელი ძველი ამხანაგი მეგობარი, რომელიც დროგამოშვებით იწერება (ისეც სხვა ჩემ მეგობრის წყალობით, რომელიც კატოვიცეში ცხოვრობს). თითქმის ერთმა წელმა განელო და მისგან ცნობა არ მოგვსვლია. ამისთვის გთხოვ შენ, მისწერე შენ ძვირფას რძალს,[1] რომ დაურეკოს ტელეფონით და ბინაზედ მივიდეს და გამოკითხოს ჩემი ოჯახის ამბავი, გაიგოს თუ მართლაც ჩემი ძმის შვილი, **თამაზი,** ცოცხალია თუ არა. ჩემი მეგობრის სახელი და გვარი: გიორგი კიკვაძე, მისამართი: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი №27, ბინა 7 – მას ტელეფონი აქვს, ნომერი იქნება ტელეფონის წიგნში. ძალიან ვწუხვარ, რომ უნდა შევაწუხო შენი რძალი, მაგრამ ვერ ვხედავ სხვა გამოსავალს. საუბედუროთ, არ მაქვს ბზიავას მისამართი მოსკოვში, მივწერდი მას. ალბათ ეჟიკას აქვს მისი მისამართი, მაგრამ მიწვდენა მასთან დღეს საძნელოა. მაქვს იმედი, რომ ჩემი თხოვნის შესრულება შესაძლებელია. მაცნობე, თუ გაუგზავნი წერილს შენ რძალს. გთხოვ, გადასცე გულითადი სალამი, ყოველგვარი ბედნიერება და კარგათ ყოფნა მის მეუღლითურთ.

გადაეცი შენ მეუღლეს პატივისცემით მოკითხვა.

მამ, იყავი კარგათ
შენი მიხეილი

P. S. თუ შეგეძლება, დაურეკე ზენტარსკის (ტელეფონის № – უკანასკნელ დამატების ფურცელზედ იყო, ul. Lwowska 8,[2] გადაეცი ჩემგან სალამი და შეეკითხე, მიიღო თუ არა ჩემგან წერილი.

21.

ძმაო ნიკა!

უპირველეს ყოვლისა, გილოცავ შენ ძვირფას მეუღლითურთ ქრისტეს აღდგომას და გისურვებთ ყოველიეე ბედნიერებას ცხოვრებაში კარგათ ყოფნას.

მივიღე შენი წერილი და ვისმინე მისი შინაარსი. შენ რომ წერილი მოგწერე, მის შემდეგ მე დასვენებით მოვიგონე ყველაფერი, ავწონ-დავწონე და მივედი საბოლაოთ დასკვნამდე, რომ შენ წინად მოწერილი ცნობები სწორი არ იყო. მოვიგონე, რომ შარშან მაისში ბზიავამ პირადათ ინახულა ჩემი ძმისშვილი და მისგან ბარათი ჩამომიტანა. ამისთვის დავრწმუნდი, რომ საჭირო იყო სიმშვიდე, რადგან ყველაფერი იყო შედეგი რაღაც გაუგებრობისა.

სხვა ჩვენ ისეე ძველებურათ ვართ. სამწუხაროთ, მე ვერ ვარ კარგათ და უკვე არ მაქვს ის ენერგია, რომელიც კიდევ შარშან მქონდა. მიუხედავათ ამისა, რაც კი შემიძლია, ვაკეთებ, მაგრამ ძლიერ მაწუხებს ის გარემოება, რომ შევწყვიტე ჩემ მოგონებების წერა და ეს მე ფრიად მაწუხებს. თუ მოვახერხე, ავწერ მხოლოდ ჩემ ტყვეში ყოფნის ამბავს, განსაკუთრებით სამი დღის ბრძოლას, ოქტომბერში 44 წ., რაც მე შევპირდი ჩვენ მეგობარს, მაგრამ ის დაბრკოლება მაქვს, რომ არ მაქვს რუქები და არ შემიძლია აქ ვიშოვო, თორემ უკვე დიდი ხანია მას ავწერდი.

[1] იგულისხმება ციცი ბუქურაული *(ლ. ც.)*.
[2] ლვოვის ქ. №8 *(პოლ.)*.

გთხოვ, გადასცე ჩემგან მას სალამი და კარგათ ყოფნა.

მაშ, იყავით ბედნიერად და ჯანმთელად.

თუ შენ რძალს მისწერ წერილს, გადაეცი ჩემგან დიდი მოკითხვა, დიდი სიამოვნებით ვიგონებ იმ ბედნიერ დღეს, რომელიც მაშინ შენ ოჯახში გავატარე.

შენი მიხეილი

[1968 წლის მარტის შემდეგ]

22.

ძვირფასო ძმაო ნიკო!

მივიღე შენი იშვიათი გრძელი წერილი. მადლობა ღმერთს, რომ მონოდებულ სერიოზულ საკითხმა გაიძულა და ხმა ამოგაღებინა!

ძალიან მოხარული ვარ და თანაც მოგილოცამ, რომ კარგათ ჩატარდა შენი ორი მოხსენება[1] და თანაც, ეტყობა, რომ მაღალ დონეზე ყოფილა! გულწრფელად მოგილოცამ და გისურვებ დიდ ნარჩინებას ამ დიად საქმეში! ეწუხვარ მხოლოდ, რომ მანძილი გვაშორებს და თანამშრომლობა ვერ ხდება!

ჩემსას ესე ანერია: „ферромагнитная лента 1000 метров"[2] – 192,5 – 22 „სეკუნდში".[3]

შინაარსი: 1) „ურმული", 2) „ოროველა", 3) „ჰერიო-ბიჭო", 4) „მეტიეური" (პოლონურად flisacy), 5) „შემოძახილი", 6) „ჩაკრულო", 7) „ცანგალა და გოგონა", 8) „იმერული მხედრული" (ქაჯური), 9) „ოდოია", 10) „ხორუმი", 11) „ლილე," 12) „ზარი", 13) „შავი შაშვი", 14) „ჰასანბეგურა", 15) „ვახტანბეგური," 16) C-dur „მრავალჟამიერი", 17) „გახსომს ტურფაე", 18) „შენ ხარ ვენახი"! ეს სია ჩამოწერა იმ ქართველმა, რომელმაც მაჩუქა – თუ ვინიცობაა მოგენონოს, აბა როგორ გეტყვი უარს – მხოლოდ უნდა დამიბრუნო აუცილებლივ! თითონ „ლენტი" titaima დიდია და ვერ ეტევა ნორმალურ მაგნიტოფონზე; მე უტუ ვარ ტეხნიკაში და არაფერი მესმის! ერთ დროს მინდოდა რადიოში დამეკრა, მაგრამ ვერ მოხერხდა – მიზეზი არ ვიცი – მგონი, ეშინიანთ!

ამ დღეებში დავამთავრე გ. მელიქიშვილის „საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის". სტუდია-მეცნიერული შრომაა, მაგრამ მაინც მთავარ აზრს მივაგენი – ენების ნათესაობის შესახებ – და ვფიქრობ, რომ შოთა ძიძიგურის ნაშრომი მონათესავე შინაარსის იქნება, მიკვირს, რომ შოთამ არ გამომიგზავნა აქამდის. ძალიან მეინტერესება! მისამართი მაქვს და მივწერ! ჩემს შრომის (ქრისტიანობის ისტორია საქართველოში) წინასიტყვაობაში ვეხები სწორეთ მაგ საკითხს, ე. ი. ქართული ერის და ენის შესახებ! –

შენი მოხსენების შესახებ ეხლავე დავტრიალდები და ცხადია, შეგატყობინებ!

სამშობლოში ყოფნის დროს ჯერ „ჯვარზე" ავედით და იქ დამიკრეს გალობა X ს. ინგოროყვას მიერ აღმოჩენილი – ეს პირველი შემთხვევაა მსოფლიოში, სიმღერის ნიშნები ე. ი. ნოტები – ეს საამაყოა!

შენი შეხედულობა ქართველ ერის ბედზედ სწორია და ვიზიარებ – ამაზე თავის დროზე მოგწერე!

ჩემი მისამართი: Poznań 31, ul. Owsiana 28, m. 9. M. K.

თუ მომავალ თვეში გამოფენის გამო ჩამოხვალ, იმედი მაქვს, რომ ჩემს ოჯახში მობრძანდები – წინ და წინ ღია ბარათით შემატყობინე, – ვალიკო ნამდვილად ჩამოვა გამოფენაზე! შენს მეუღლეს გადაეცი მოკითხვა და წრფელი სურვილები ჯანმთელობისა!

დამირჩი ბედნიერად

შენი მიხეილ კვალიაშვილი

22.V.68 წ.

[1] ნიკოლოზ მათიკაშვილის მოხსენება „ქართული მუსიკა" იხ. 117-142 გვ.-ზე *(ლ. ც.)*.

[2] 1000 მეტრიანი ფერომაგნიტული ფირი *(რუს.)*.

[3] წამში *(რუს.)*.

აქაურ ხორომ მთხოვა „სულიკო"ს სიმღერა ქართულად! ეგ ხომ აკაკის ლექსია – მე არა მაქვს და არც ვიცი ზეპირად მთლიანად! გთხოვ, ეხლავე დასწერე და ჩქარა გამომიგზავნე – ელიან!

23.

ძმაო ნიკო!

საქმის გაკეთება დავიწყე ერთ ცნობილ პიროვნებასთან – მუზიკოლოგია, რომელიც საქართველოშიც ნამყოფია და აქ მისი ორკესტრი ქართულ სიმფონიებს უკრავს!

საქმე გაკეთდება, მხოლოდ ეხლა ამ დროს, შემოდგომამდე ვერ მოხერხდება და არცა ღირს, რადგანაც ხალხმა დაიწყო შვებულებები და შემოდგომაზე ნამდვილად მოხერხდებაო. სხვათა შორის, კარგი ნაცნობია ჩემი – თან მითხრა, რომ „მე ამ წუთშივე შემიძლია გავაკეთო მოხსენება ქართულ მუსიკაზეო, მაგრამ სჯობია, რომ ქართველმა გააკეთოს – მით უმეტეს, აქაურმა ქართველმაო" – თუ მოისურვებს, ჩემი ორკესტრით უშველიო.

დამისვა შემდეგი კითხვები:

1) Czas trwania całości.

2) Rozmiar magnetofonu.

3) Czy magnetofon własny i obroty taśmy jakie?

4) Dlaczego nie ma (w spisie) i czy może być muzyka kameralna symfoniczna tj. czy masz nagrane?

5) Spis rzeczy: jakie Ty podałeś w liście – oznaczyć każdą pieśń czy ludowa – lub arja z opery jakiej itd. nazwa i nazwisko kompozytora![1]

ამ საქმის სხვა გამკეთებელს ვერ იპოვი და არცა ღირს – ეს არის სპეცი უცხო მუსიკის გავრცელებაში პოლონეთში! შენი oferta[2] წაიღო, ე. ი. მისამართი შენი აქვს!

მწამს, რომ შემოდგომაზე პოზნანში მოხსენებას ჩაატარებ!

შენი სია შეავსე თარგმანით ყოველ სიმღერის – შეიძლება პროგრამაც მოხერხდეს – ჩემს ნაცნობს ყველაფერი შეუძლიან, მაგარი ზურგი აქვს.

პოლონურად „მაშინაზე" დასწერე!

ჯერჯერობით ამაზე ვათავებ – თუ იქნები გამოფენაზე პოზნანში, მოდი უსათუოდ ჩვენთან. თუ ვინიცობაა, არ ჩამოხვალ – პასუხი გარკვეული მომეცი კითხვებზე!

დამირჩი ბედნიერად და ჯანმთელად

მიხეილ კვალიაშვილი
6.VI.68 წ.

P. S. თუ მიიღე საქართველოდან წერილი ბ-ნ მენაბდესგან, მე მივეცი შენი მისამართი!

მ. კ.

[1] 1) კასეტის სანგრძლივობის დრო. 2) მაგნიტოფონის ზომა. 3) თუ გაქვს მაგნიტოფონი და როგორია ლენტის ბრუნვის სიჩქარე? 4) რატომ არ არის (ჩამონათვალში) მითითებული მუსიკა კამერულია, სიმფონიურია და ა. შ. გაქვს თუ არა მათი ჩანაწერები? 5) ნანარმოებთა ჩამონათვალში უნდა მიუთითო ხალხურია მუსიკა, არიაა ოპერიდან და ა. შ. ასევე უნდა მიუთითო სიმღერის სახელწოდება და კომპოზიტორის გვარი *(პოლ.)*.

[2] შენი შეთავაზება *(პოლ.)*.

24.

W Pan N. Matikaszwili
Zalesie Dolne k/W-wy
ul. Kr. Jadwigi 1
pow. Piaseczna

Mój Drogi! 28 b.r. w W-wie w Operze wystawią gruzińską operę „Daisi" – staraj się o bilety dla Siebie! W Łodzi grali 2 razy, powodzenie wielkie! Poza tym głównym chorcografem Opery Warszawy jest Aleksi Cziczinadze!

Powodzenia! Dopiero wróciłem ze szpitala. Leżałem 73 dni – dwie operacje

Michał
[25.6.69][1]

25.

ძმაო ნიკო!

შენი წერილი მივიღე; ყოველთვის მიხარიან და მასიამოვნებს ხოლმე ქართული წერილის მიღება!

ჩემს ოჯახში მძიმე ატმოსფეროა, უნცროსი (გათხოვილი) შვილის მანანას მძიმე ავადმყოფობის გამო!

დღეს მივიღე განრიგება სამხედრო სააეადმყოფოდან – ჟეგიესტოვში მივდივარ სამკურნალოდ 10.XI – 3.XII-მდე. ამის წინათ ვიყავი ჩემს მეუღლესთან ერთად (პირველად) იმავ ჟეგიესტოვში, სადაც გამგზავნეს ორი ოპერაციის შემდეგ – ეხლა კი შვებულებას ვსარგებლობ.

შენს წერილზე პასუხს მოგწერ, ალბათ ჟეგიესტოვიდან – შეიძლება ტარნოვში ჩავიდე ერთი დღით და ვნახო გიგა ტურაშვილი!

მე თითონ კარგათა ვგრძნობ თავს. ალბათ აპერაციების შემდეგ – ეხლა დავისვენებ – ძალას შევიძენ და ღმერთის წყალობით შეუდგები ჩემს პატარა საქმეს!

დღეს მივიღე „სამშობლო" – უგზავნი: 1) თადე წითლანაძეს, 2) ილარიონ ლობჟანიძეს, 3) ვ. ციბაძეს, 4) გ. ტურაშვილს. ვალიკოსაც უგზავნიდი, მაგრამ ეხლახან მივიღე წერილი, რომ თვალზე დაზიანდა და ნუ მიგზავნიო. ნეტავ მალე მორჩეს და თავისი მოგონებანი დაამთავროს – ერთმა ქართველმა მაინც ზუსტათ აღწეროს 1917-21-1939 დრო. მგონი, ერთხელ გამოგიგზავნე სია ყველა ქართული მხედრების პოლონეთში მყოფნი (85 კაცი).

ესე ძმაო, ოღონდ ჯანმთელად იყავი, მაგრამ მაინც – ჩვენს ნლებში ექიმი ინახულე და წნევა გაიზომე, არ გავნებს!

მომიკითხე შენი ძვირფასი მეუღლე და ბედნიერად იყავით!

შენი ძმა მიხეილ კვალიაშვილი
31.X.69 წ.

[1] თარგმანი იხ. 420 გვ.-ზე (ლ. ც.).

Mój Drogi! 28 b.m. w W. wie
w Operze wystawią genialny
Opery „Daisi" - staraj się o bilety
dla Siebie! W Kodni grali 2 razy,
powodzenie wielkie! Pozatym głównym
choreografem Opery Warszawy jest
Aleksi Ciciriadze!
Pozdrowienia! Dopiero wróciłem z
szpitala, leżałem 28 dni - dwie operacje. Michas

მიხეილ კვალაშვილის მიერ ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი გაგზავნილი საფოსტო ბარათი, ავტოგრაფი [25.6.1969] (სლმ. №28441-36-13-b., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

KARTKA POCZTOWA

NADAWCA:

(imię i nazwisko)

POCZTA
(nazwa i nr placówki pocztowej)

POWIAT

(miejsce zamieszkania, ulica, nr domu, nr mieszkania)

POLSKA 40

Jw. Cau
N. Matikaszwili

POCZTA Zalesie Dolne
(nazwa i nr placówki pocztowej)
k/ W-wy

POWIAT
ul. Ks. Jadwigi 1

(miejsce zamieszkania, ulica, nr domu, nr mieszkania)
p-n. Pilaszkowa

P.P.I.J.T. VII. 68. 2.500.000

საფოსტო ბარათის მეორე მხარე.

26.

ძვირფასო ძმაო ნიკა!

ჩვეულებისამებრ გიგზავნი ახლად მიღებულ დართულ წიგნსა „გაბნეული საფლავები", თამარ პაპავას ნაწერი. თუ ვინიცობაა, შენ უკვე მიღებული გაქვს, მაშ გთხოვ, ნუ დაიზარებ და ილარიონს გადაუგზავნე: I. Lobzanidze, Kolobrzeg, ul. Katedralna 1, II p.[1]

მივიღე 5 ც. ვიკტორისგან – ერთი მე, თითო შენ, ტურაშვილს, ციბაძეს და ვალიკოს – დამაკლდა წითლანაძისთვის და იაკობიძისთვის.

T. Cytlanadze, Gdynia, Starowicjska 8/2.[2]

კუკური მწერს, რომ ბ-ნ ღენერალმა[3] უკვე 95 წელს გადაანაბიჯა და აბა, შენც მიულოცე! მე ნელნელა ჯანზე მოვდივარ და იმედს არა ვკარგავ, რომ ხერხემალი გამიმაგრდება.

ჩემი უბედურობაა – უფულობა, რაც ჩემს მიერ ნაშრომ საქმეს მიფერხებს, მაგრამ ვინაა მშველელი! რამდენიმე ცალი „მაშინაზე" დაწერილი ამ თვეში ჩამაბარებენ და შემდეგ... „i co dalej szary człowieku???..."[4]

მე ერთხელ მოგწერე, რომ ვიკტორ ნოზაძის ნაწარმოებში – შოთას ირგელივ მაკლია „ეფ.ტყ. საზოგადოებათა მეტყველება" – დანარჩენი ოთხი მაქვს, კომპლექტი მინდა ჩავაბარო სახალხო წიგნსაცავში თბილისში, კეცხოველის ქუჩ. №5.[5] მომიხერხე – მიშველე – ეს ხომ საერთო და საერო საქმეა – იქნება ვინმემ გამოგიგზავნოს პარიზიდან?

მომიკითხე შენი ძვირფასი მეულღე.

შენ გეხვევი ძმურად
შენი მიხეილ კვალიაშვილი
12.1.70 წ.

27.

ძვირფასო ძმაო ნიკა!

ჩვენ ე. ი. ყოფილი იუნკრები – ეხლა ვართ „უკანასკნელი მოგიკანები" – აქამდის ჩუმათ ვიყავით უნებლივ შექმნილ პირობების გამო: მხოლოდ ეხლა წამოვდექით ფეხზე. ავადმყოფობის გეგმა, მთელმა ოჯახმა – მანანას გარდა – შევასრულეთ სოციალისტურრი შეჯიბრების გეგმა 102%-ზე. ეხლა არავინ კენესის სახლში! გიგზავნი „კავკასიონს" – ეხლახან გამოვიდა!

შენს ძვირფას მეულღეს გულწრფელი სურვილები.

შენ გეხვევი ძმურად
შენი ძმა – ტეტია –
მიხეილ კვალიაშვილი
22.4.70 წ.

[1] ი. ლობჟანიძე, კოლობჟეგი, კათედრალის ქ. №1, II შესახ. *(პოლ.)*.
[2] თ. ნითლანაძე, გდინია, სტაროეოისკას ქ. №8/12 *(პოლ.)*.
[3] იგულისხმება გენერალი გიორგი კეინტაძე *(ლ. ც.)*.
[4] და შემდეგ რა უსახურო ადამიანო??? *(პოლ.)*.
[5] იგულისხმება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა *(ლ. ც.)*.



საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ოფიცერი **გიორგი ოდიშელიძე** (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, **გიორგი კვინიტაძის** კოლექცია, თბილისი).

28.

ძმაო ნიკა!

სადა ხარ და როგორა ხარ?

1. თუ იყავი ქართულ წარმოდგენაზე?

2. თუ შეხვდა ზაქარიაძე ზაქარიაძეს?[1]

3. გაზეთ „სამშობლო"-ში არის სურათი ს. პატარძეულის, სადაც აღნიშნავენ ადგილს გიორგი ლეონიძის ძეგლისას, შენ დგეხარ იქვე – თუ ნამდვილად იყავი ხომ შენი ახლო ნათესავი იყო ბ-ნი გიორგი??

ვანოსგან მივიღე გუშინწინ წერილი და მეკითხება, თუ შენ როგორ ხარ? მისწერე შენ თითონ – აი, მისამართი:

I. Nanuashvili

159-17 Ave.

San-Francisco 21. Calif. 94121

U.S.A.[2]

აგრეთვე მეკითხება ციბაძეზე.

ხმა ამოიღე, დიდი პატივისცემა შენ მეუღლეს.

შენი ძმა მიხეილ კვალიაშვილი

25.V.70 წ.

[1] იგულისხმებიან გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის ვაჟი გიორგი ზაქარიაძე და მსახიობი სერგო ზაქარიაძე *(ლ. ც.)*.

[2] ი. ნანუაშვილი, 159-17 პროსპექტი, სან-ფრანცისკო 21, კალიფორნია 94121, აშშ. *(ინგ.)*.



თამარ ოდიშელიძე (ქალიშვილობაში – კვინიტაძე) (საქართველოს პარლამენტ.ს ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, **გიორგი კვინიტაძის** კოლექცია, თბილისი).

29.

ძმაო ნიკა!

მიველე სამწუხარო ცნობა კუკურისგან, რომ გარდაიცვალა ჩვენი საყვარელი **ზემდეგი გიორგი ოდიშელიძე** და მომაწოდა ქვრივი მეუღლის მისამართი – იმედი მაქვს, რომ სამძიმარს მისწერ: M-me Odichelidzé,[1] 32 rue des Garennes 78. Câtau France.[2]

P. S. პოზნანში არის ქართული თეატრი რუსთაველის სახელობისა, 70 მსახიობი; შემდეგ ჩამოდიან ვარშავაში, სადაც დადგამენ წარმოდგენას. უსათუოდ უნდა დაესწრო – რამე მსგავსი არ გინახამს ჯერ ცხოვრებაში – შთაბეჭდილება მომწერე!

Pani rączki całuj![3]

ბილეთები წინ იყიდე!

ძმური სალმით

მიხეილ

1.VI.70 წ.

პოზნანი

თეატრის გამგე არის სერგო ზაქარიაძე, ჩვენი ღენერლის ნათესავი და უნდა ნახვა ვარშავაში ღენერლის შვილისა. ეხლავე შეატყობინე და მოაწყეთ საქმე!

მიხეილ

[1] იგულისხმება თამარ ოდიშელიძე (ქალიშვილობაში – კვინიტაძე) *(ლ. ც.)*.

[2] ქ-ნ ოდიშელიძეს, 78 გარენის ქ. №32, მატო ფრანსი *(ფრანგ.)*.

[3] შენს მეუღლეს ხელზე ეემთხვევი! *(პოლ.)*.

30.

W Pan Matikaszwili M.
Zalesie Dolne k/Warszawy
ul. Kr. Jadwigi 1
pow. Piaseczna[1]

ძმაო ნიკო! წერილი მივიღე, კითხვებზე არ მიპასუხე! კუკური მწერს, რომ 7.7.70. დაასაფლავეს ვანო ბაქრაძე! როდის აპირებ სამშობლოსკენ! ველი ჩემ დისგან დაპატიჟების ბარათს და მივდივართ: ჩემი მეუღლე სტასია, უმფროსი შვილი ნინო (fundatorka)[2] და მე. სასიამოვნო იქნებოდა, რომ განხორციელდეს ეს ჩვენი სურვილი!

გისურვებ ყველა კარგს და ჯანმთელობას.

შენი ძმა
მიხეილ კვალიაშვილი
21.7.70 წ.

31.

W Pan Mikolaj Matikaszwili
Zalesie Dolne k/W-wy
ul. Kr. Jadwigi 1
pow. Piaseczna


ძმაო ნიკო! მივიღე კუკურისგან მესამე სამწუხარო ცნობა, ჩვენი ბებერი ლომი ღენ. კვინიტაძე გარდაიცვალა 7.8.70. – 96 წლისა!

წრეულს ვერ მოხერხდა ჩასვლა საქართველოში ეპიდემიის მიზეზობით[3] – მეუღლით და უმფროს ქალიშვილით ვაპირებდით, დრო კი მიდის!

სხვათა შორის ვიპოვე წიგნების დათვალიერებისას – ერთი ღია ბარათი 16.VI.32 წ. მწერ შენ და დათა ლაღიძე, ე. ი. ეს ღია ბარათი 38 წლისაა!

დამირჩი ჯანმთელად და კარგათ
მიხეილ კვალიაშვილი
26.8.70 წ.

[1] პატივცემულ ბ-ნ ნ. მათიკაშვილს, ზალესიე დოლნე, ვარშავასთან, დედოფალ იადვიგას ქ. №1, პიასეჩნას მაზრა *(პოლ.)*.
[2] დამფინანსებელი *(პოლ.)*.
[3] მიხეილ კვალიაშვილის ჩამოსვლა საქართველოში ჭოლერის ეპიდემიის გავრცელებამ შეაფერხა *(ლ. ც.)*.



მიხეილ კვალაშვილის მიერ ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი გაგზავნილი საფოსტო ბარათი, ავტოგრაფი, 26 აგვისტო, 1970 (სლმ. №28441-36-7-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

KARTKA POCZTOWA



Mathkashvili

Zaleśie Górne k/ W-wy

ul. Ks. Jadwigi 1.

Na znaczku:
LILIA TYGRYSIA LILIUM TIGRINUM

საფოსტო ბარათის მეორე მხარე.

32.

11.V.71 წ.

ძვირფასო ძმაო ნიკა!

აი მხოლოდ ეხლა გიპასუხებ შენ წერილებზე და მოლოცვებზე! ჯერ ერთი, რომ „ჭეშმარიტათ" და მადლობელი ვარ, რომ შენ მაინც მომიგონებ ხოლმე!

ჩვენი ხალხი დაჩლუნგდა; ერთხელ ილარიონმა მომწერა პოლონურათ წერილი, რომ „ორივესთვის კარგი იქნებოდა, რომ ქართულად არ ვწეროთ ბარათები და წიგნებს და გაზეთებს (ქართულს) ნუ მიგზავნიო – ბევრი მაქვს სახლში და წაუკითხავი მილაგიაო" – ეხლა უგზავნი მარტო: ვალიკოს, შენ, გიგა ტურაშვილს, წითლანაძეს, ციბაძეს!

ვერ გამიგია თუ ვინ დააშინა ლობჟანიძე და ან ვისი ეშინიან?

გარედან დიდი ხანია არ მიმიღია რამე ცნობა! ორჯერ მივწერე ბ-ნ ვიკტორ ნოზაძეს და სალიასაც, მაგრამ პასუხი არ ისმის!

კუკური მწერს-ხოლმე მაშინ, თუ ვინიცობაა, ვინმე სამუდამოდ დასტოვებს ამ წუთი სოფელს! ტალიკო ერთი წელია, რაც არ იწერება, ჰყავს ორი ბიჭი შვილი შვილი და მისთვის მსოფლიო ჩაიკეტა მათში!

შაქრო ცერცვაძე, მგონი, მთლიანად გამოჩერჩეტდა და თავისი რუსული „პრავოსლავიით"[1] ტვინი ნაიღო – მისი ცხონებული მამა დიდი პედაგოგი და პატრიოტი, კირიონ კათოლიკოს პატრიარქთან ერთად საქართველოს ეკლესიის აუტოკეფალიას შეაკვდა თითქმის!

გიგა მრელაშვილი სულ გამოჩერჩეტდა – ვწერდი მასაც – გულს უმაგრებდი – ვწერდი – რომ ერთი ღერი კაცი ხარ, ჩაიტანე შენი რენტა თელავში და იცხოვრებ, როგორც მეფე, კარგ პირობებში და ქართველებს შორის, შენ მიწაწყალზე მეთქი – აღარა მწერს; მომწერა მხოლოდ ქ-ნ თამარა პაპავამ, რომ **გიგა თავდებაო!** ან ამას რისი ეშინიან? რომელი პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომ ერიდება ჩასვლას! შენც ხომ იცი, რომ იქ ყველაფერი პოლიტიკური გათავდა – ბატონო! შალვა მაღლაკელიძე იქ ცხოვრობს და რაღა გიგა მრელაშვილს უნდა ეძგეროს საბჭოთა მმართველობა – განა სხვა საქმე არა აქვთ?

მე პირადათ მომეგებენ სადგურზე, როგორც წევრს ანტიფაშისტური დარაზმულობისა AK-სი – ხმა კრინტი არავის ამოუღია!

განათუ სამშობლოს სიყვარულმა უმიზეზო შიში ვერა სძლია? მომავალ თვეში მესტუმრებიან ჩემი და ნინო მდივანი და ბიძაშვილი კატო ზალდასტანიშვილი, ორივე ქვრივები და ხანში შესულნი – შემოდგომაზე კი ვაპირობ ჩასვლას ჩემი მეუღლით და ორი ქალიშვილით (ერთი უკვე იყო 1965-ში) თუ მოვასწრობ ფულის მოგროვებას!

მივიღე წიგნი „მიტრიდატე" ლევან გოთუასი (ვიცნობ), I ტ. რომანი, შემდეგი ტომიც გამოვა! ძალიან ძველი დროის ამბებია! ბოლოს დავფიქრდი და ვთქვი: თუ ვისთვის შევიძინე და მოვკრიფე ეს წიგნები – ვის უნდა დაუტოვო და რისთვის! აქამდის ვაგროვებდი „ბედი ქართლისას" და უნივერსიტეტის წიგნსაცავში „Kącik kultury Gruzińskiej"[2] და სხვა წიგნებსაც – საქართველოზე, მაგრამ პარიჟმა შეწყვიტა გადმოგზავნა და ეხლა ქართული słomiany ogień zgasł – może czasowo?[3] **მე დღე და ღამ ვდარდობ – ჩასვლა მინდა სამუდამოთ** და ჩემს სოფელში (მოხისი) დავბინავდე – ჩვენი ეკლესია სდგას – მოუვლი, ჩემი მიწის სუნთქვით გავძღები სიკვდილის წინ და იქვე მომცემენ მიწას – ამას რა სჯობიან – რას იტყვი?!

ეკონომიურად, ჩემს ოჯახში ვერ მიდის ისე საქმე, როგორც მინდოდა, როგორც ვფიქრობდი – ამიტომ უნდა კიდევ ვიმუშაო $^1/_2$ etat – 500 złot.[4] გვაკლია ფული: Renta 2300 + 575 zł.,

[1] მართლმადიდებლობით *(რუს.)*.

[2] ქართული კულტურის განყოფილებაში ვაბარებდი *(პოლ.)*.

[3] კერა ჩაქრა – შესაძლოა დროებით? *(პოლ.)*.

[4] $^1/_2$ განაკვეთზე – 500 ზლოტი *(პოლ.)*.

V.M. + 500 zł. za pracę = 3375 + 800 zł. – żona, oraz także córce w domu! W domu nic specjalnego niema[1] და ფული მაინც გვაკლია!

მასალა: „ქრისტ. ისტ. საქართ." კარგი გამოდგა, მაგრამ გამოცემას ალბათ ვერა ბედამენ?

როგორა ბრძანდებით ორივენი მეუღლით – ნუ ხარ ეგეთი მორიდე ადამიანი (niepotrzebnie się krępujesz),[2] ყოველთვის ეგეთი იყავი nie masz racji![3] წერილებს **ხანდა ხან ვანოს ვწერთ ხოლმე,** ხომ იცი, ოკუპაციის დროს ძალიან დაემეგობრდით და მერე გავაპარე (იტალიაზე) გარეთ; მოხედა მაშინ 5 dyw. II-ro Korpusu.[4] AK-შიც პატიოსნათ ემსახურობდით ისეევე როგორც ჯარში, პოლონეთი იყო ჩვენი საყვარელი მეორე სამშობლო და ეგრეც დარჩა ჩემთვის, მაგრამ სისხლი და გული იქით ინევა – ეს ხომ ნორმალური მოვლენაა!

გკოცნი შენი ძმა
მიხეილ კვალიაშვილი

Całować rączki dla Pani.
Gazety wysłałem (6 szt).

M.[5]



მალვა ნიკოლოზის ძე მაღლაკელიძე
თბილისის საგუბერნიო კომისარი ქ. თბილისის და ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორი. (ავტორი: გენერალ-გუბერნატორი. (იხ. ტუმბა 18 გვ.)

მალვა მაღლაკელიძე თბილისის საგუბერნიო კომისარი, ქ. თბილისის და ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორი, ჟურნ. „**თეატრი და ცხოვრება**", №2, მარტი, 1919.

[1] ჩემი პენსია ველფასიანად 2300 + 575 ზლოტი და ვირტუტი მილიტარის ორდენის 500 ზლოტი შეადგენს 3375 ზლოტს, ამას ემატება 800 ზლოტი. ცოლი და ერთი ქალიშვილი არ მუშაობს – საბლშია! სპეციალობა არ აქვს *(პოლ.)*.
[2] სულ ტყუილად გერიდება *(პოლ.)*.
[3] არა ხარ მართალი! *(პოლ.)*.
[4] მე-5 დივიზიის II კორპუსში *(პოლ.)*.
[5] შენს მეუღლეს ხელზე ვემთხევევი. გიგზავნი გაზეთებს (6 ცალ.). მ. *(პოლ.)*.

33.

[1971 წ.]

ძმაო ნიკა!

ბიჭო, შენ ნინოწმინდელი ხარ? ცხონებულ მამაჩემს საგარეჯოში აფთიაქი ჰქონდა, მეორე – თბილისში და მესამე მთავარი გორში, გულისაშვილები და მუსხელიშვილები ჩვენი ნათესავები იყვნენ. მეტადრე მუსხელეები მამაჩემის დედის მხრიე! პოლკოვნიკი გულისაშვილი ერთხელ ვნახე გორში, მგონი dypl.[6] იყო, რაინდის ჯიშის ვაჟკაცი იყო. მამაჩემი ჩაბმული იყო ავტოკეფასის მოძრაობაში და ხშირათ ცხ. კირიონთან ჰქონდა კავშირი. ისევე შაქრო ცერცვაძეს მამაც იქ იყო, მეც მამაჩემის გზას ვადგივარ: ჩვენ ეკლესიამ გადაგვარჩინა და მრავალ უბედურობამ სული გაგვიმაგრა. მამა სოც.-ფედერალისტი იყო, არჩილ ჯორჯაძის თანამშრომელი (zaſundowal drukarnię).[7] მე გულით სოციალისტი ვარ, შეგნებით თამარის მომხრე. მთელი კავკასიონი ეკუთვნის სუფთა კავკასიელებს საქართველოს მეთაურობით – საქმეში ლაი ლაი არ ვიცი – რაც გასაზომია, გაზომილი მაქვს. წასულ 20 წელში ბევრი ქარაფშუტობა იყო, რამდენი რამის გაკეთება შეიძლებოდა. ზაქარიაძე პოლიტიკობდა – ჩვენ პირობებში დაუშვებელი იყო – ეს შესავალი; ცოტა გული მოვიფხანე. მთელი ღამე შენ წერილს ვკითხულობდი, შედეგი: შენი გონიერი **მონდება** სასიამოვნოა – **დასწერე** კიდევ **ერთ გვერდზე მაგარი ხელით ძალიან გარკვევით** – მეორეზე იყოს სუფთა, **მე გამომიგზავნე** და **გადავაღებინებ** მანქანაზე რამდენიმე ცალს და გაუგზავნი თამარას, ცხონებულ დათას მეუღლეს იმ აზრით, რომ ვინც ცოცხალია იუნკერი, გაისარჯოს და ვისაც რა ახსომს, შეამსოს შენი კითხვები; თამარამ უნდა მოაგროოს და შენ ან ჩემ მისამართზე გამომიგზავნოს, ეს ერთი, II) **„კავკასიონი" XV** უნდა გქონდეს, მე გიგზავნიდი ხოლმე, მე მაქვს **ერთი** ცალი – მაშ შენც უნდა გქონდეს; III) ვალიკოს უნდა დეეტაკო, მასალა ბევრი აქვს და იმით უსათუოდ ისარგებლო თუ საქმის გაკეთება გინდა, მოქმედება უნდა ანარმოო რამდენიმე მიმართულებით – მიზანი კი ერთია, მაშინ შეგიძლიან მოელოდო ნაყოფს. ყველაფერი უნდა კეთდებოდეს შენ ირგვლივ გამბედაობით და ენერგით – ნურავის ნუ გეშინიან და ნურავის ნუ ენდობი! რუსები შეიოჭრენ კავკასიაში ტყუილი დაპირებით, ცრუ ხელმონერით და ბრძოლის დროს კი ქართველებს სტოვებდნენ, საბოლოოთ ბრიყვებათ ვრჩებოდით, ნამეტარი ვენდობოდით უცხო ერს, რომელსაც არ ვიცნობდით. ეხლა ვკითხულობ ალ. მანველიშვილის: „რუსეთი და საქართველო" (1801-1851), ერთი განუწყვეტელი საშინელება. პარიზში ჩვენ დროს (ჩვენ) ბევრი მაგარი წიგნები იბეჭდებოდა და კაი ხალხიც იყვნენ: დ. ვაჩნაძე, რეზო გაბაშვილი, ავალიშვილი ზ., დადეშკელიანი, გიორგი ყურული, გრ. რობაქიძე, მიხაკო წერეთელი, ვიქტორ ნოზაძე trust mozgow.[8] ჩვენ წრეში ვანომ მომაგნო, რომელსაც ნიჭის და შნოს გარდა ნამეტარი სინაზე ახასიათებდა და ეგ იყო **ერთგვარი** დაბრკოლება, ამას სისუსტედ სთვლიდნენ. შენ იყავი მაგარი, მაგრამ შეკუმშული არავის ახლო არ იკარებდი, უფრო ხშირათ ჩვენ საყვარელ გენ. ჩხეიძეს უთარგმნიდი სტატიებს და სხ... განსვენებულებს არ შეევხები. დრო სჭამს ადამიანს და შემდეგ ჭია-ღუა, მაგრამ რამე უნდა დავტოვოთ, ჩვენმა სამშობლომ დასტოვა ისტორიისთვის იუნკრები და რა? იუნკრებმა არაფერი..? მისწერე **გ. მრელაშვილს:** Mrelashvili, E. G. Hudson, F.C.N.G.R. 7^{16} csq. 7^{50}, Buenos Aires, Argentina[9] – ესეთია მისი მისამართი ზუსტად, კარგი მეხსიერება აქვს. ტალიკო უგრეხელიძეს, რომელიც პოლონური გვარით სწერს: Ugorski, W. 38, Buklington Road Chiswick, London, W. 4. HBE Anglia.[10] იქ არიან კიდევ **მელიქ სომხიშვილი** თუ ეხლა როგორ ინერება, არ ვიცი და **შაქრო ცერცვაძე**: Z. Wardisiani, 21 Gold Thorne Clos, Vinters Park, Maidstone (Kent), Anglia.[11] მელიქას მისამართი არა მაქვს. არ ვიცი სად

[6] დიპლომატი *(პოლ.)*.
[7] ტიპოგრაფიის დამფუძნებელი *(პოლ.)*.
[8] ტვინების ტრესტი *(პოლ.)*.
[9] მრელაშვილი, E. G. ჰუდსონი, F.C.N.G.R. 7^{16}csq. 7^{50}. ბუენეს-აირესი, არგენტინა *(ინგ.)*.
[10] უგორსკი, W. 38. ბუკლინგტონ როუდი ჩისვიქი, ლონდონი, W. 4. HBE ინგლისი *(ინგ.)*.
[11] ზ. ვარდისიანი, 21 გოლდ ტორნ კლოსი, უინტერს პარკი, მეიდსტოუნი (კენტი), ინგლისი *(ინგ.)*.



ვიტალი უგრეხელიძე (დავით ყოლბაიას კერძო კოლექცია, ვარშავა).

არიან დოლიკა ვაჩნაძე და სხვები. ვერ გეტყვი თუ ეს მიწერ მოწერა რამეს მოგვცემს, მაგრამ მგონი, აუცილებელი ხდება, მით უმეტეს ისიც არ ვიცით თუ დაგვაკმაყოფილებს „კავკასიონის" მასალა და ვალიკოს ნაწერები; პირველი დიდხანს გასტანს, მეორე კი უფრო ახლოა და მისაწვდენია! ხვალზეგ ალბათ გავიგებ ვალიკოს ბედიღბალს, თუ როგორ არის. სხვათაშორის ტალიკო და შაქრო ხმას არა მცემენ.

(წერილი აქ წყდება)

34.

[1972 წლის მარტამდე]

ძვირფასო ძმაო ნიკა!

შენი კარგი, გულიანი წერილი მივიღე; არა ერთხელ წავიკითხე – ძალიან მასიამოვნე შინაარსით და წერილის ხასიათით! მაგისთანა წერილები რომ გეწერათ ომის წინ, „ი. კ." მაგარი მუშტი იქნებოდა! თუ რა და რამდენჯერ მეტაკა ნაირ-ნაირი უსიამოვნება, ამას ოდესმე პირადათ გიამბობ! ეხლა კი შენ წერილზე გიპასუხებ ისევე ლაზათიანათ და გულწრფელად! – მაშ, „სამშობლოს" აღარ გამოგიგზავნი – უაზროა! – „კავკასიონს" – კი! სწორეთ გუშინ მივიღე ბ-ნ ვიკტორისგან კიდევ 5 ცალი – როგორც უკვე გაიგე შინაარსი – მაგის გაგზავნა საქართველოში არა ღირს – არა სურთ – ისე კი თუ ვინმე გაჯიუტდება და თან წაღება უნდა, ეს მისი საქმეა!!

ძალიან მოხარული ვარ, რომ ესეთი ღრმა პატივისცემით და სიყვარულით იგონებ შენს მშობელს და ნიჭს, რომელიც შენ გამოგყვა – მაგრამ როგორც ხედამ, ყოველ ნიჭს პირობაც ესაჭიროება! ძალიან გამახარა, სოფელ პატარძეულს რომ იგონებ – იმიტომ, რომ ძალიან ადრე ბავშვობაში საგარეჯოდან – პატარძეულში ნაყოფი ვარ!

ცხ. მამაჩემს საგარეჯოში აფთიაქი ჰქონდა (ამის გარდა თბილისში, სადგურის ქუჩაზე და გორშიც)! საგარეჯოდან მახსომს, ჩვენი აფთიაქის წინ უზარმაზარი კაკლის ხე იზრდებოდა და 12 ბიჭები ხელებჩართული ფერხულს დავდიოდით! შემდეგ იხსენიებ წერილში არჩილ გულისაშვილს! ერთ დროს გორში ქართულ დივიზიის შტაბი იდგა – და ერთი პოლკ. გულისაშვილი ესტუმრა მამაჩემს – თურმე მამიჩემის დედის ხაზით ნათესავი ყოფილა! სწორეთ ხსენებული დიდედა – მარტყოფშია დამარხული, პაპა კი მოხისის ეკლესიაში, ჩვენ სოფელში ის ეკლესია კიდევ სდგას და ჩემი ადგილი იქ უკვე მოვზომე! მე ვარ დაბადებული გორში, ჩემ საყვარელ გორში – ხომ იცი, რამდენი დიდი პიროვნება წარმოიშვა გორის მაზრიდან! საგარეჯოში კი აფთიაქის წინ გზა რომ მიდიოდა, პირდაპირ ნინოწმინდისკენ! შენ გამოგყვა დედაშენის ნიჭი – ეს საამაყოა – დედის ნიჭი! საზოგადოთ ქართველები ნიჭიერი ხალხია – მართალი უნდა ითქვას, რომ ამ საბჭოთა კავშირის თუ წესის დროს ქართველ ხალხმა ბევრი აჩვენა მსოფლიოს, და ამის გარდა, მგონი არა ვცდები, რომ სოციალიზმი, როგორც მოვლენა, ქართველის ხასიათში ზის და დიდი ილიაც მაგას ღაღადობდა, მხოლოდ ეროვნულ ფარგლებში! სიყვარული და მეგობრობა – რითიც ვამაყობთ ქართველები, არიან ფუძე სოციალიზმისა – დანარჩენი ყველაფერი პამპულობაა და მთელ მსოფლიოში ქართველი ერი, ამ გრძნობებით აღჭურვილი ღმერთის თუ ბუნების მიერ – ერთია – ირგვლივ კი – ზიზღი, მტრობა, მტარვალობა, დესპოტიზმი, იმპერიალიზმი და უგნური მატერიალიზმი!

ჩვენი ლიტერატურა ძალიან ძლიერია – მხოლოდ მისი პატრონი მხოლოდ ორ მილიონს უდრის და ვერ უძლებთ ჩვენი კულტურის ღირებულობის სიმძიმეს! სხვათა შორის ეს ჩემი შავი ყორანია – ორი მილიონი!

ქართველ ქალებმა ვერ შეიგნეს ან თუ დაივიწყეს თავისი ძირითადი მოვალეობა – საქართველოში გაკეთდა 700.000 აბორტი, ე. ი. მაგდენი ქართველი დაიღუპა – ამავე დროს, მრავლდება ტილიანი რუსი, მემძღნერე თათარი და მეცოცხე აისორი! დასწყეველოს ღმერთმა ის სერგო ორჯონიკიძე – რომ საინგილო თათრებს მისცა, იმიტომ, რომ შახაბაზმა გადაასახლა ქართველები – ქრისტიანები და ჩაასახლა თათრები – ბორჩალოები! თათრულად ბორჩალო ნიშნავს რუსულ „bradziaga",[1] ერთმაც და მეორემაც ძალიან „აკურთხეს" საქართველო!! დღეს ქართველი ხალხი ფუჭდება – რუსის ქალებს ირთამენ – ეს ერთი – მეორე – რუსეთში რომ მიაყავთ ნასწავლი ქართველები – ჩამოსველისას რუსულათ ტრაკანობენ – ეს ვერ გამიგია, რაშია საქმე? ჩვენ აქ შევინახეთ დედა ენა და იქ, სამშობლოში ავიწყდებათ თუ ივიწყებენ – ესეც რუსის ბრალია?

შენ თუ გგონია, რომ დღევანდელ ქართველებს ესმით ცოტა მაინც რუსთაველი ან კონსტანტინე გამსახურდია??? არცკი კითხულობენ! ამითანა პირობებში ერთი ქართველის გარუსება ეს დაკარგვაა და ორ მილიონ ფარგლებში საგრძნობელია! თუ ამ საშინელ მოვლენაზე ფიქრობენ იქ, სადაც 72 ეროვნება ცხოვრობს, პატარა საქართველოში?

ე. ი. ფიზიკურ განადგურებას ქართველებმა თითონ შეუწყეს ხელი! ლაპარაკის დროს დამამშვიდეს და მაჯერებდნენ, რომ „გამოვფხიზლდით, შევიგნეთ და ეხლა ქართულ ოჯახში შვილები მრავლდებიანო" – ფიზიკური გამრავლება ჩვენი ერისა, ეს არის ძირითადი საკითხი და არა „მრავალჟამიერი". რამდენიმე საკითხი მეინტერესება და უნდა გამოვარკვიო ამა წელს ყოფნის დროს საქართველოში! მაქვს დაპირებული ნახვა ჩვენი კატოლიკოსისა,[2] სადაც მინდა ჩემს დაწერილ „ქრისტ. ისტორ. საქართველოში" დაუმატო მასალა, როგორც ურყევი, ძირითადი დებულებანი ჩვენი ეკლესიის აუტოკეფალიისა! მამაჩემი თავის დროზე ჩართული იყო (კირიონის გვერდში) ისევე, როგორც შაქრო ცერცვაძის მამა – დიდი ქართველი იყო – შაქროს კი ვერ მოუვიდა დუშაში – უფრო მეტი რუსობს, ვიდრე ქართველობს.

ესე იგი მე დღეს ვაგრძელებ მამაჩემის შრომას, ბრძოლას ქართული ეკლესიის ე. ი. ქართულ კატოლიკური ეკლესიის აღდგენას. კირიონის პერსონალური უნია რომთან – სწორეთ ეს იყო მიზეზათ, რომ რუსებმა დასცხეს ჩვენს სამღვდელოებას და თითქმის მთლიან განადგურებამდე მიიყვანეს! აქაურ სამღვდელოებამ – kuria metropolitalna[3] – „კერცხი დამირტყა" და ჩემი შრომის დამთავრებისას გადათარგმნიან – ფრანგულ და იტალიანურ ენაზე! თუ ვინიცობაა, ღმერთმა დამლოცა და საზღვარ გარეთ გამოვა, მაშინ აქ „მითომ გადათარგმნიან" და აქაც გამოსცემენ – ესეა დადგენილი და ეხლა ჩემზეა დამოკიდებული, თუ როდის ჩავაბარებ თლიან მასალას! შეიძლება, რომ ეს მთელი ჩემი ნადილი ფანტაზიის სფეროში დარჩება, მაგრამ მეორე მხრივ მაქვს ნათქვამი, რომ სწორეთ დღეს არის ის ბედის ღიმილი, რომელიც შეიძლება, ბედნიერების და კმაყოფილ მხიარულ სიცილათ გადაიქცეს – ამის გარდა კიდევ ის მაიმედებს, რომ აქაური სამღვდელოება კიდევაც მაჩქარებს – ე. ი. ვგრძნობ, რომ რაღაც უნდა მოხდეს და ძალიან მინდა ამ წლის ბოლომდე მივცე სახე და ფერი!

შედარებით (შენთან) ხშირათ იწერება ვალიკო თ. პროფ. სურგულაძეზე რომ გწერდი (?), რომელიც აგროვებს მასალას შესახებ „ქართველი პარტიზანები პოლონეთში" და...

(წერილი აქ წყდება)

[1] „მანანწალა" *(რუს.)*.

[2] იგულისხმება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II *(ლ. ც.)*.

[3] კურიის მიტროპოლიტმა *(პოლ.)*.

35.

15.III.72

...ხალხი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ საქართველო, დიდი კულტურული წარსული ხალხი დღეს მხოლოთ 2.000.000 სულს ითვლის და ამ რიცხვს არაფერი ემატებაო. აი, მათი სიტყვები: „ქართველ ქალებმა ვერ შეიგნეს ანთუ დაივიწყეს თავისი ძირითადი მოვალეობა. საქართველოში წარსულ წელს გაკეთდა 700.000 აბორტი, ე. ი. ამდენი ქართველი დაიღუპა. ამავე დროს მრავლდება რიცხვი: რუსთა, თათრების, აისორების. დღეს ქართველები რუსის ქალებს ირთავენ". ეს ერთი. მეორე: რუსეთში რომ მიჰყავთ ნასწავლი ქართველები, ჩამოსულისას რუსულათ ლაპარაკობენ და ქართული ეძნელებათ. ვერ გამიგია, რაშია საქმე? ჩვენ აქ შეეინარჩუნეთ დედა ენა, იქ კი, სამშობლოში ავიწყდებათ თუ ივიწყებენ. შენ თუ გგონია, დღევანდელ ქართველს ესმით ცოტათი მაინც რუსთაველი ან კონსტანტინე გამსახურდია? არც კი კითხულობენ! გარუსება ეს ქართველობის დაკარგვაა და 2.000.000 ფარგლებში დიდათ საგრძნობი. ნეტა ამ საშინელ მოვლენაზე ფიქრობენ იქ, პატარა საქართველოში, სადაც 72 ეროვნება ცხოვრობს?

მოგწერე წინათაც, რომ საქართველოში პროფესორი სურგულაძე აგროვებს მასალებს ქართველ პარტიზანების შესახებ პოლონეთში. ამ საკითხის შესახებ მიემართე ვარშავაში მცხოვრებ სულევსკის და სანოიცას. ცნობები ვარშავაში მთავარმმართებლათ ყოფილ იმერეტინსკის[1] შესახებ მივაწოდე მის ძმას პროფ. იოსებ მეგრელიძეს, ჩემს კარგ ნაცნობს. ალბათ დამიჯერებ, თუ ამ მხრივ არ მიცნობ? რომ ყოველ დღე ფიქრით, წერით ან სხვა მხრივ ჩვენი ერის და სამშობლოს სუნთქვით ვცხოვრობ. ჩემი მეუღლე მეუბნება ხოლმე, მაგდენს ნუ ფიქრობ, გაგიუდებიო. როცა ვიქტორ ნოზაძის შრომებს ვგზავნიდი საქართველოში (დამიჯდა 1400 ზლოტი ოჯახის კაცსა), ჩემ მეუღლეს ხმა არ ამოუღია. პირიქით, მომიწონა: „ეს საქმე საჭიროა და ხარჯი უნდა გავწიოთო". სამაგიეროთ, ამ ჩემმა მოქცევამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში კარი გამიღო. ყველა, ვისაც გავუგზავნე და მიიღეს, კიდევ კმაყოფილნი იყვნენ, ცხადია, მეც.

(წერილი აქ წყდება)

36.

ძმაო ნიკა!

ბოლმა მომადგა და გწერ – ცოტა მაინც გული მოვიფხანო!

სავალალო ბევრი მაქვს, ბევრის გაკეთებაც მინდა – ფიქრები და მსჯელობა მღლიან და მტანჯამენ!

გადავიკითხე ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხები", წიგნი I და თუ არა გქონდა საშუალება ამ წიგნის წაკითხვისა, **ეცადე, რომ ხელში ჩაიგდო** და ეს ისტორიული გეოგრაფია შეითვისო – აქ ნახამ გუთნით გადახნილ საქართველოს – ბრწყინვალე წარსულს და ტრაღიკულ სინამდვილეს! შეიძლება ბევრიც უკვე გაკეთდა (ეს წიგნი გამოცემულია 1964 წ.) და კეთდება კიდეც – მაგრამ ამავე დროს მკითხველი – ქართველი, გაიგებს თუ რამდენი მტერი ჰყავდა საქართველოს – გარეგანი და შინაგანი – გაიგებს ჩვენ დაუდევრობას და უფრო მეტი წილი – ლაი-ლაის – ვიდრე საქმიანობას!

მეტი ნაწილი ამ წიგნის შინაარსისა აგაღელვებს და გატირებს – ესეთი მწარე ბედი ჩვენი ერისა, მგონი უბადლოა ევროპის ერთა ისტორიაში – პოლონეთი ხშირად გვაგონებს თავის წარსულით და უკანასკნელ 50 წლის ისტორიით, სადაც ჩვენც მივიღეთ უშუალო მონაწილეობა და ვიგრძენით, თუ რა არის ერისთვის პოლიტიკური არსებობა მტრების ალყაში – ეს არის მიზეზი ჩვენი უღრმესი სიყვარულისა!

[1] იგულისხმება ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი *(ლ. ც.)*.



სხედან (მარცხნიდან): **ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი** და **სპირიდონ ქაუქაჯაძე**;
დგანან: **ლელა ჩიქოვანი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი** და **ალექსანდრე სულხანიშვილი**,
სოფ. ზურზუნა (თურქეთი), სექტემბერი, 1924 (**ალექსანდრე სულხანიშვილის** არქივიდან, **პაატა ნაცვლიშვილის** კერძო კოლექცია, თბილისი)

ეს ჩვენი სიცოცხლე უთავბოლო ტანჯვაა, განა თუ არ გველირსება მზის სხივი – თავისუფლება!

ჩვენი ხალხი ნამეტარი გათახსირდა და გა-ewaniak-და[1] – მატერიალიზმმა გადააჭარბა და ეს თანამედროვე სენი ცხოვრების ძირითად დებულებად ცნო! იმიტომ მოაშორეს ეკლესია და რწმენა, რომ ხალხი უფრო მალე გა-ewaniak-დეს! მე მითხრეს, რომ: ქართველების ბრალია, რომ სამსახურის დროს ყველგან ისმის რუსული ენაო – ამაზე ძალდატანება არ არისო!

მაგალითად დღეს, როგორც ყოველ კვირას – ვიყავი ეკლესიაში – ყოველ ნირვაზე შენობა გატენილია; პარტიული და უპარტიო არ სტოვებენ იმ ძალას, რომელიც ყოველ გაჭირების დროს პოლონელ ხალხს გადაარჩენდა ხოლმე! ხშირად გაკვირვებას ვარ, თუ როგორ გადაურჩით მტრებს და როგორ შექმნა ჩვენმა ერმა, მართლა რომ, უზენაესი სულიერი კულტურა! ჩვენი მეზობლები შურით და სიძულვილით იხრჩობიან და ყოველ ნაბიჯზე პრემიდიტაციით, ჯინით გვიშხამებენ სულსა! ჩვენი შინაგანი მტერი – ეს სომეხია უფრო, ვიდრე რუსი, შემდეგ კი თითონ ქართველების განებიერება, სუსტი ნების ყოფა და ბრძოლის უნარის დაკარგვა – იმისდა მიუხედავათ, რომ დღეს მრავალი გამოჩენილი მოწინავე მსწავლული, ჩემპიონი და სხვა წარჩინების ხალხი ამაყათ დაიარება ივერიის მიწა-წყალზე! ისე არ დავიტანჯებოდი მაშინ, რომ 2,5 მილიონის მაგივრათ 25 მაინც ეყოფილიყავით – მაშინ გათქვეფა ესე ადვილი არ იქნებოდა! ერის რაოდენობა – ეს ერის ხერხემალია! – ვწერ ამ წერილს და ჩემს ზურგს უკან აკვანში ჩემი შვილი შვილი, მანანას შვილი ისვენებს; ერთი თვისა და ხუთი დღისა არის და ჰქვიან მარიამ-მაგდალენა! ცხადია, სასიხარულოა ეს მოვლენა – მაინც გამოჰყვა ჩვენი მოდგმის ელფერი და თან ვფიქრობ, თუ მოვესწრები გოგონას სირბილს და ცელქობას? – ჩემი შვილი მანანა კარგათ არის – მეორე შვილი მაიკო დღეს შვეიცაში გაემგზავრა და იქედან აპირებს ერთი დღით ლონდონში ჩასვლას ტალიკოსთან სანახავათ – ხომ მისი ნათლიმამაა! ჩემმა მეუღლემ და მე მივიღეთ ნებართვა საქართველოში მოგზაურობისა (მარიამობისთვე-ღვინობისთვე, 60 დღე). თუ მოვახერხებთ მაგდენი ფულის მოგროვებას? – გამოგზავნილ სიას თუ დაუმატე ვინმე ქართველი?! ვანოსგან არ მოგვსვლია დიდი ხანია წერილი! გიგზავნი სახსოვრათ

[1] გაეირემმაკდა *(პოლ.)*.

სურათს: სხედან: ქაქუცა და სპირიდონ ჭავჭავაძე, სდგანან: ლელო (დამავიწყდა გვარი),[1] ვაჩნაძე და ერისთავი. თურმე ქაქუცას მეუღლე[2] ცოცხალია; რომ ჩავალ, ამისთანა სურათს მივთავაზებ!

აბა, დამირჩი ჯანმთელად და ბედნიერათ შენი მეუღლითურთ!

შენი ძმა მიხეილ კვალიაშვილი
10.4.72 წ.

37.

ძვირფასო ნიკო! ჩემ ქართულ წიგნების სიას გიგზავნი![3] ბევრი არ არის, მაგრამ საინტერესოა! ზოგი სამეცნიერო წიგნები, ჩემთვის გაუგებარი, წარსულში გავუგზავნე ვიკტორ ნოზაძეს. იმას უფრო გამოადგება მეთქი!

მაქვს ორი წიგნი გასაცემი – მიხეილ ჯავახიშვილის I ტ. (მოთხრობები) და კონსტანტინე გამსახურდიას სქელი IV ტომი. მე მაქვს ორორი – აბა რათ მინდა და რომ დავფიქრდები, ვისთვის მინდა საზოგადოთ ეს ჩემი წიგნები, რო მოვკვდები, ვის დასჭირდება? თუ მაინც მოისურვებ – დიდი სიამოვნებით გადმოვგზავნი, მხოლოდ ეხლავე შემატყობინე! დართული წიგნების სიაც დამიბრუნე, აბა რათ გინდა! ისე გიგზავნი, რომ იცოდე, რა მაქვს!

კათოლიკოს-პატრიარხი ეფრემ II გარდაიცვალა, დაასაფლავეს სიონში 13 ამ თვეს.

ხომ იცი, გორელი იყო, მაინც და მაინც ძალიან ბებერი არ იყო, 76 წ. აბა, კარგად იყავი და მომწერე

შენი მიხეილ კვალიაშვილი
22.IV.72 წ.

38.

ძმაო ნიკო!

დაგვიანებით გატყობინებ ჩემს შთაბეჭდილებას ბ-ნ იან ბრაუნის მოხსენების შესახებ! პოლონელი იტყოდა wykład bez jaj[4] – სიძნელით ლაპარაკობდა, ენა ებმეოდა, დიდ პაუზებს აკეთებდა – გეგონება, ვინმე თავზე ადგა და ძალას ატანდა – იქნება ჯანზე არ იყო, რაღაც აწუხებდა და მოხსენების დროს, ალბათ სხვა რამეზე ფიქრობდა – დრო ცოტა არ იყო და ბევრის თქმა შეეძლო! მაგრამ რას იზამ, „ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უშინჯამენ-ო".

ეხლახან გამოსცეს ახალი წიგნი ინგლისელ მწერლის, რომელიც საქართველოში იყო არა ერთხელ. დავით ლანგ „Dawna Gruzja"[5] პოლონურათ – 35 zło.![6]

ჩემი აზრით, ბაგრატიონების დინასტიის შესახებ ზუსტ ცნობებს არ იძლევა – ნამეტარი ტელეგრაფიული სტილია – მაგრამ კარგია, რომ გამოსცეს!

---

[1] იგულისხმება ლელო ჩიქოვანი *(ლ. ც.)*.
[2] იგულისხმება ნინო მელვინეთუხუცესი *(ლ. ც.)*.
[3] ეს სია წერილს არ ახლავს, საკვირაოდაა, რომ იცი, ადრესატმა ადრესანტს უკან დაუბრუნა *(ლ. ც.)*.
[4] უღიმღამო მოხსენება *(პოლ.)*.
[5] „ძველი საქართველო" *(პოლ.)*.
[6] 35 ზლოტი *(პოლ.)*.

ამის გარდა, თბილისში გამოსცეს რევაზ ბარამიძის ავტორობით „ქართული საისტორიო პროზა“. ნამდვილად ძალიან მოგეწონება, შრომა მეცნიერულია, ფასი 50 კაპ. მე მიეიღე ავტორისგან და შეუკვეთე ჩემს დას თბილისში, მინდა ტალიკოს გაუგზავნო! პოზნანში იყვნენ ჩვენები თბილისიდან, მეტი წილი სტუდენტობა უმაღლეს წლებისა – ერთმა არხეოლოგმა მითხრა, რომ კახეთში (?) ადგილი არ მახსომს და მგონი, არც კი უხსენებია, მიაგნეს საყდარს, VII ს. იმისთანა არაჩვეულებრივ სილამაზისა, რომ ბადალი არ მოიპოვება მთელ საქართველოშიო. ლაპარაკში აღმოჩნდა, რომ მთავარი არქეოლოგი ოთარ ლორთქიფანიძე ჩემი ბიძაშვილის ახლო ნათესავი აღმოჩნდა (ახლა მომაგონდა, რომ ჩემი მამის დედა, ჩემი დიდედა – მარტყოფის გალავანშია დამარხული) – თან მითხრეს, რომ ახალგაზრდობა ეროვნულ გზას დაადგა ქართული ოჯახის შენახვის შესახებ და ფიზიკური განადგურების პოლიტიკას ეწინააღმდეგება პროპაგანდის საშუალებით ერთმანეთის შორის – მე კი ყოველდღე სწორეთ ამაზე ელოცულობ და ეევედრები ქრისტეს, რომ დაიბრუნოს საქართველო და ქართველი ერი – ისე, როგორც კირიონს უნდოდა და ცდილობდა – პერსონალური უნია რომთან – თუ ამას მოვასწრობთ, გადაერჩებით!

20.VII – ჩემი ცოლი და მე ვაპირებთ მოგზაურობას თბილისისკენ, პასპორტები უკვე გვაქვს. საქმე ფულის მოგროვებაზე შეჩერდა, სულ ნაკლებ ორივეს 10.000 ზლ. გეჭირდება!

შენ სადა ხარ და როგორა ხარ? იქნება წრეულს შენც აპირებ სამშობლოსკენ მგზაერობას? მომწერე!

ძმური სალამი და კეთილი სურვილებით
მიხეილ კვალიაშვილი
9.VII.72 წ.

39.

ძმაო ნიკა!

რას გაჩუმებულხარ? მანამ მე არ გაგცემთ ხმასა – არც ერთი ქართველი, თავის ნებით და სურვილით არ მომწერს!

როგორც ხედავ, მე ისევ ვარიგებ გაზეთებს და „კავკასიონს“, რომელიც ეს არი ეხლა მივიღე. მგონი მოგწერე, რომ ილარიონ ლობჟანიძემ ხელი აიღო ქართულ ლიტერატურაზე და მომწერა პოლონურათ – „Mirchevs ხელი ავიღოთ ქართულად წერას“, „lepiej by było dla nas obojga – nic nie przesyłać – bo tyle w domu u mnie leży jeszcze nie przeczytanego!!“[1] ალბათ, ცოლმა აუკრძალა, თორემ რაღა სწორეთ ეხლა დაკარგა ანიმუში ქართველობაზე – ცხადია, არცა ვწერ და არც უგზავნი!

რამდენჯერმე დაგეკითხე **და არც ერთხელ არ მომეცი პასუხი,** შენ ცალკე იღებ – გაზეთ „სამშობლოს“ და „კავკასიონს“ თუ ჩემგან? თუ იღებ ცალკე, მაშ მე რაღათ გიგზავნი – სხვას მივთავაზებ და ხარჯიც ზედმეტია! ჩვენებში მარტო ვალიკოა აქტიური და ამასთან დაკავშირებით ხშირათ მწერს – და ამ წერილებს ვინახამ, რადგანაც ყოველში რამე ნაწილია ჩვენი წარსულის, მეტადრე (ომი, ოკუპაცია)! თუ იქნები ვარშავაში, შედი (alej Szucha, gdzie było gestapo i tam w piwnicach jest napis jednego Gruzina zdaję się Sergo Karceli i podaje tam adres...?)[2] გადაწერე ეს რამდენიმე სიტყვა და მომწერე – რადგანაც ერთმა ქართველმა დამეკითხა ეგ გვარი და მივწერ საქართველოში! – ეხლა რიგზე – ჩემი შვილი ნინო არის საქართველოში და უკვე მალე ბრუნდება; წრეულს სექტემბერში ჩემი მეუღლით ვაპირებთ ჩასვლას – ყველაფერი გვაქვს – ფულის გარდა!

[1] ორივე ჩვენგანისთვის უკეთესი იქნება თუ აღარაფერს გამომიგზავნი, რადგან რაც გამომიგზავნე, ისიც ნაუკითხავი მილაგია სახლში! *(პოლ.).*

[2] შუხას პროსპექტზე, სადაც გესტაპო იყო განთავსებული, შენობის სარდაფში ქართული ნაწერაა, რომელიც ვინმე სერგო ქარცელს ეკუთვნის და იქვე მისი მისამართიცაა მითითებული...? *(პოლ.).*

სამი თვეა, ავად ვიყავი, კინაღამ... ძლივს გადამარჩინეს! შენ როგორ ხარ? ამ თვეში გიგა ტურაშვილი ჩამოვა ჩვენთან სანახავათ! დამირჩი ჯანმთელად და კმაყოფილად.

შენი ძმა მიხეილ კვალიაშვილი
10.11.1972 წ.

40.

ძმაო ნიკო!

დავიგვიანე, მაგრამ მოლოცვას თავისი გულწრფელობა არ ეკარგება! ჯანმთელობას, კარგათ ყოფნას, შენ განძრახვების მიღწევას და დასახულ მიზნების ასრულებას გისურვებ!

შენი მეუღლე და შენ ტკბილათ დაგვიბერდით, როგორც ტკბილია ქართული გოზინაყი!

შენი ძმა მიხეილი!

P. S. ერთი თვის წინ მივიღე ოფიციალური ქაღალდი თბილისიდან საჯარო წიგნსაცავის გამგესგან, რომ გადაუგზავნო ორი წიგნი:

1) Грузия – Лонг[1] – უკვე მაქვს და

2) Загурски[2] – „ვეფხის ტყაოსანი".

ზაგურსკის წიგნის შესახებ მივწერე Kraków, Rynek Główny 25, Wydawnictwo Literackie[3] – ორი დაზღვეული წერილი და აქამდის: „არსაიდან ხმა არსად ძახილი".

თუ იცი რამე ზაგურსკის თარგმანის შესახებ ნამდვილად – ზუსტად – ეხლავე შემატყობინე, რადგანაც მისამართი თბილისმა მომაწოდა. ამიტომ გთხოვ, თუ იცი:

1) თუ გამოვიდა თარგმანი?

2) ვინ გამოსცა და სად?

3) მისამართი.

ნუ გააჭიანურებ და მიშველე, რომ იქ თბილისში არ ეგონოთ, რომ აბუჩათ ავიღე მათი თხოვნა – ისეც უკვე ერთმა თვემ გაიარა! ერთ დაზღვეულ წერილში გავატანე ღია ბარათი ჩემი მისამართით და აქამდის არც პასუხი, არც შეკვეთილი წიგნი!

ველი შენს პასუხს!

სახლში პატარა სტუმარი გვყავს, ჩემი შვილი შვილი მარიკო-მაგდალენა, შემოგვიტანა სიხარული, სიყვარული და მზე. ყველას გვიხარიან – იქნება მაისის ბოლომდე!

თბილისში ყოფნის დროს ვიყავი ლიტერატურის მუზეუმში – სადაც გავიცანი შენი ნათესავის მეუღლე[4] და შენზე ვილაპარაკეთ!

დამირჩი ჯანმთელად და ბედნიერათ! მომწერე!

მიხეილ კვალიაშვილი
4.1.73 წ.

[1] იგულისხმება დევიდ ლენგი და მისი წიგნი „ძველი საქართველო", 1966 წ. *(ლ. ც.)*.
[2] ზაგურსკი *(რუს.)*.
[3] კრაკოვი, რინეკ გლუვნის ქ. №25, ლიტერატურული გამომცემლობა *(პოლ.)*.
[4] იგულისხმება ციცი ბუქურაული *(ლ. ც.)*.

41.

ძმაო ნიკო!

ეს არი და მივიღე შენი ღია ბარათი – გავიფიქრე – სჯობს დაგვიანებით, ვიდრე არასდროს; მაინც არ დამტოვე და მომწერე, აგაშენოს ღმერთმა შენ და შენი ნაყოფიერი საქმიანობა!

I. ზაგურსკის წიგნი მაინც მივიღე და მასთანვე ერთად Long. D. „ძველი საქართველო“ ერთად დაზღვეული წერილით და გაუგზავნე ბ-ნ ა. კაკკასიძეს, ბიბლიოთეკის გამგეს, Гос. Респ. библ. им. Маркса, Кецховели 5,[1] რადგანაც მაგათ მთხოვეს! რაც შეეხება ზაგურსკის ნათარგმნს, მთლიანი არ გეგონოს, რალაც პატარა თხელი წვრილი წიგნაკია – მხოლოდ ზოგი რამ არის ნათარგმნი და საძაგელი მურტალი ილუსტრაციებით, რომელნიც საბოზეთის სალონებს შეიძლება დაამშვენებს მე-XX ს-სა, ვიდრე მე-XII ს. – რუსთაველის ეპოქას! მე შეუკვეთე მეორე, თუ მელირსა, მინდა გადაუგზავნო ვიკტორ ნოზაძეს, რომ სათანადო კრიტიკა დასწეროს!

II. ხომ იცი, რომ გამოსცეს შალვა ამირანაშვილის „ქართული ხელოვნება“ – „Sztuka Gruzińska“ Sz. Am... Warszawa, Państwowe Wydawnictwo Naukowe, ფასი 110 zło. ilr. 574[2] – ჩემმა შვილმა მაიკომ იყიდა – მეც მინდა ვიყიდო იმ აზრით, რომ ბ-ნ შალვას სახსოვრათ გადაუგზავნო, მაგრამ ეხლა ეგ 150 zło.[3] მაკლია! როცა ვიყავი თბილისში, მეუღლით ერთად მივედით ბ-ნ შალვასთან და თავის ხელწარწერით მომთავაზა თავისი დიდი ნაშრომი „საქ. ხელოვნება“, ამიტომ მინდა, აქედან გაუგზავნო პოლონურათ – ალბათ არა აქვს მიღებული – აბა ვინ მოისაზრებს და ისურვებს მაგის ჩადენას ჩვენისთანა ხალხის გარდა! გუშინწინ გაუგზავნე წერილი გიგა ტურაშვილს ჩვენს მდგომარეობაზე, ჩვენს ჰასაკზე, სიბერეზე და ჩვენი კელეპრესის უკანასკნელი ნაფეთქის შესახებ! აბა, **ველი შენ ვრცელ წერილს ამ საგანზე!**

საქართველოში როცა უთხარი, რომ ჩემს სოფელში მოხისში (კვალიანთ-კარი), ეკლესიაში ადგილი დავიკავე მეთქი და იქ მინდა სამუდამო სვენება – ხომ იცი, რა ქათინაურობა და პატარუტარა ატეხეს! მაგრამ როცა დევეკითხე თუ *შეიძლება მეთქი*[4] ჩემი ემერიტურა-რენტის გადმოტანა პოლონეთიდან საქართველოში – ამაზე იყო პასუხი – ამაზე რა მოგახსენოო! საქართველოში ყველაზე მაღალი რენტა არის 120 მანეთი – ჩემი კი უდრის 200 მანეთს და ცოლის 40 მანეთი – ბატონო, მაგდენ ფულს ვინ მოგცემსო – აბა რითი უნდა ვიცხოვროთ?

ჩემ მიწანყალზე მე შემიძლიან ვიტანჯო, მაგრამ რა დააშავა ჩემმა საყვარელმა მეუღლემ, რომელმაც სამი ქალიშვილი აღმიზარდა ??? მე განუწყვეტლივ ვფიქრობ დაბრუნებაზე და არც მეშინიან რეპრესიების, თუ მაგისთანა რამე კიდევ არსებობს რუსეთში – იმდენი გადავიტანე ჰიტლერის ლაგერებში და სოსოს ბანაკებში, რომ მე არაფრით გამაკვირვებ – მაგრამ ჩვენი წლოვანობა არ შეეფერება მაგისთანა რუსულ სისულელეს და დაცინვას! ველი შენ შეხედულობას, რა იცი ახალი და ნამდვილი! მე დღეს რომ აქედან წავიდე – დაზიანდება ურთიერთობა საქართველოს და ემიგრაციას შორის – ამაზე მე პირდაპირ მწერენ და თბილისში კი მთხოვეს – ნუ აჩქარდებით ჩამოსვლასო – მაგის დროც მოვაო. ჩემდა საუბედუროთ, ფოსტა გაძვირდა: ის ორი წიგნი და გადაგზავნა დამიჯდა თითქმის 100 ზლოტი, ჩემთვის ეს დიდი თანხაა! მე მაქვს გაბმული კორესპონდენცია ყველა ქვეყნებთან, სადაც ქართველები ცხოვრობენ, აქაურებს „სამშობლოს“ უგზავნი ჩემი ხარჯით! ბოდიშს ვიხდი, რომ ხარჯებზე გწერ, მაგრამ მაიკო ჩვენთან ცხოვრობს, ეხლა ჩემი შვილი შვილი, ჩვენი სიხარული და სიყვარულიც აქ არის – ყველაფერი ერთ თანხიდან მიდის – შობის და ახალწლის მილოცვები 600 zło.[5] დამიჯდა და არ შეიძლებოდა, რომ არ მიმეწერა – ყველა გრძნობს და ამაყობს, რომ ვილაცას მაინც ვახსომვარ და კიდევ გამოსადეგათ მთელიანო! ესეთია ადამიანის ბუნება! ჩვენმა პატარა ჯგუფმა ბოლომდის უნდა სწიოს ჭაპანი, ჩვენა ვართ

[1] კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, კეცხოველის ქ. №5 *(რუს.)*.

[2] შალვა ამირანაშვილი, „ქართული ხელოვნება“, ვარშავა, პოლონეთის სამეცნიერო გამომცემლობა, ფასი 110 ზლოტი, 574 ილუსტრაცია *(პოლ.)*.

[3] 150 ზლოტი *(პოლ.)*.

[4] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამორჩენილია *(ლ. ც.)*.

[5] 600 ზლოტი *(პოლ.)*.

სწორეთ იმათი უკანასკნელი იმედი, რომ მოვშორდებით ამ წუთისოფელს, ჩამოყალიბდება მუდმივი სიჩუმე და „კარებიც“ სამუდამოთ დაიკეტება – ორივე მხარემ ვიცით ეს ამბავი, მაგრამ ჩვენ – კი გვინდა მშობლიური სამარე! შარშან ღვინობისთვეს მივიღე ცნობა, რომ კუკური ძალიან ავად არის! ვიკტორ ნოზაძე ციურიხშია და მუშაობს ენციკლოპედიაზე – ქართულ-გერმანული! „Bedi Kartlisa“[1] – რაღაც გაჩუმდა, ეხლა მივწერე – იქნება მივიღო წიგნი, თბილისში ყველაფერი სჭირდებათ, რაც გარეთ იბეჭდება – მე რა ვქნა, როგორ უშველო, რომ დავაკმაყოფილო მათი მოთხოვნილება? შენი მისამართის №№ kod[2] მომწერე ზუსტათ, თორემ იკარგება წერილები!

ზაგურსკის წიგნის მისამართი: Kraków, Wydawnictwo Literackie, Rynek Główny 25 (Magazyn)[3] და იქ **შეუკვეთე!**

აბა მოგაბეზრე – ვათავებ და გისურვებ ჯანმთელად და კარგათ ყოფნას და მე არ დამივიწყო!

შენ მეუღლეს გულწრფელი მოკითხვა

შენი მიხეილ კვალიაშვილი
10.II.73 წ.



საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ოფიცერი **ნიკოლოზ თოხაძე** („ქართველები უცხოეთში“, ნიგნი I, თბილისი, 2012)

42.

ძმაო ნიკა!

მივიღე წერილი ვალიკოსგან, ძალიან სამწუხარო და სევდით სამსე; ორივენი ავად არიან, მეტადრე მისი მეუღლე – ერთგვარ გაჭირებას განიცდის! უპასუხე და როგორც კი შემეძლო, გაუმაგრე გული!

მე ისევ მუზეუმში ვმუშაობ!

ეხლა მაქვს შემდეგი თხოვნა, რომელზედაც პასუხი მომწერე: საჭიროა ჩემთვის შემდეგი ცნობა: 1) როდის მოხდა დადგენილება ჩვენი **ბეჭდის** ი. კ. რომელ კრებაზე (ნელიწადი, ვისი იყო პროექტი ბეჭდის დაარსების – ვისი ნახატია (მგონი, ვალოდია ლაღიძის ??) თუ შეგიძლიან, დამიხატე და აღწერე – რამდენმა მხედარმა მიიღო (ვიცი, რომ ყველას არ მიუღია – ჩემი №№ იყო 20, შაქრო ცერცვაძის №1, სიკოს მეუღლე კირა კენჭსა ყრიდა, ეს მახსოვს. გთხოვ ძალიან, აწერე ეს ამბავი; ზოგ სხვა რამეს მეც დაუმატებ და – სამხედრო მუზეუმის საიდუმლო არხივში ჩაკეტილი იქნება! აქ პოზნანში უფრო ადვილია შენახვა! მანამ ცოცხალი ვარ, მოუაროთ ჩვენ საქმეს ისტორიულ თვალსაზრისით – ჯერ არ დამთავრებულა ბრძოლა ერების განთავისუფლებისა – დადგება დრო და განდევნილი იქნება ყველა არა ქართველი საქართველოდან! რაც არხივებში შენახული მასალა გადარჩება, ის იქნება მოწამე **ჩვენი** აქ ყოფნის და მუშაობისა სამშობლოსთვის!

დღეს მივიღე თბილისიდან საჩუქარი: „ძველი თბილისი ნახატებში“ – იშვიათი რამ, 31 ცალი 30X42 ზომა! რევაზ ბერიძის ნახატი! სხვათა შორის, 12 ღვინობისთვეს დამიბარეს სამხედრო

[1] „ბედი ქართლისა“ *(ლათ.)*.
[2] კოდი *(პოლ.)*.
[3] კრაკოვი, ლიტერატურული გამომცემლობა, რინეკ გლუვნის ქ. №25 (მაღაზია) *(პოლ.)*.

შტაბში და ჩამაბარეს პატენტი პოდპოლკოვნიკის ხარისხისა! როგორა ხარ და რასა თარგმნი ეხლა? მომავალ წელს ვაპირებ სამშობლოში მოგზაურობას ჩემ შვილ მანანასთან ერთად. ველი პასუხს

შენი ძმა მიხეილ კვალიაშვილი
9.XII.73 წ.

Jaki masz Kod?[1]

43.

ძმაო ნიკა!

შენი სასიამოვნო წერილი 16.XII.73 წ. მივიღე, სადაც მოკლე ცნობას მანვდენ ბეჭდის შესახებ! იწერები „...ბეჭდის აღწერას არ შეუდგები, სამაგიეროთ გიგზავნი ჩემ ბეჭედს, რომელსაც მე-4 ნომერი აწერია, საბედნიეროთ, გადამირჩა!.."

ე. ი. ბეჭედი გამოგზავნილია, როგორც იწერები, მაგრამ დღეს უკვე 9.I.74 წ. და „ნი სლუხუ, ნი დუხუ"-ო![2]

უნდა ჩადო ასანთის კოლოფში, ან უფრო დიდში სჯობიან – ზედ გადააწებო ქაღალდით და როგორც დაზღვეული გამოგზავნო!

დიდი ცოდვა იქნებოდა, რომ დაიკარგოს, მაშინ ხომ დავიღუპე კაცი! –

მივიღე საახალწლო ბარათი ვიკტორ ნოზაძისგან – სადაც სხვათა შორის მწერს, რომ – კუკური სულ ავადაა – აღარ აქვს მახსოვრობაო!

ჩემმა წარჩინებამ – პოდპოლკოვნიკობამ არაფერი მომიტანა – შეიძლება იმიტომ, რომ მაიორის რენტა (2300) და პოდპოლკ.-ის ერთნაირია! რა ვიცი, ვის დავეკითხო? დიდი ბრახაბრუხით კი ჩამაბარეს პატენტი! ჯანდაბას! –

გისურვებ შენი პოლკის 19 p.p. ბრძოლების აღწერის გამოცემას – შენ W.S.Wojs-ში[3] მოლტკეს გეძახოდნენ, იმედია, შეაფასებენ შენს შრომას! იყავი ჯანმთელად, როგორა გაქვს გული? ეს არის მთავარი – ექიმს მაინც ნუ ერიდები, დროზე მიდი და ცხოვრების გზა გაიგრძელე!


ქართველისთვის ჩვენი ხანა-წლოვანება ჯერ სიბერე არ არის! ბეჭდის ბედი შემატყობინე.

მიხეილ
[91.74]

P. S. ერთ გამომცემლობაში რატიშვილის (Bochniak[4] აქ არის!) სურათი ვნახე!

---

[1] მაცნობე შენი კოდი *(პოლ.)*.
[2] არაფერი ისმის *(რუს.)*.
[3] ვარშავის სამხედრო სასწავლებელში *(პოლ.)*.
[4] ბოხნიაკი – გიორგი რატიშვილის თიკუნი *(ლ. ც.)*.



მიხეილ კვალაშვილის ნერილი ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი, ავტოგრაფი (9 იანვარი, 1974) (სლმ. №28441-13-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

44.

W Pan Matikaszwili Mikolaj
Zalesie Dolne, ul. Kr. Jadwigi 18
05-501 Zalesie Dolne
p. Piaseczna

ძმაო ნიკა! დღეს, პარასკევს, 1/II ა. წ. მივიღე შენ მიერ გამოგზავნილი ამანათი ე. ი. ბეჭედი ი. კ. – **აკლია მთავარი** მნიშვნელობა – მზის სხივებზე ი. კ.; – ვინამც დაამახინჯა – ბარბაროსი ყოფილა! ერთი ციცქნა ოქრო თუ გააბედნიერებდა! ხანჯლები (ოთხი) კარგათ სჩანან – მაგრამ მაგის გამკეთებელი, დიდ-ოსტატი ზიგმანიაკ – ორი წელია, რაც მინას მივაბარეთ! ცდა ბედის მონახევრეაო და ბეჭდის შესახებ მივწერ ციბას და გიგას, თადე წითლანაძეს და ილარიონ ლობჟანიძეს. ეს შენი კი აქ არ დაიკარგება, ხვალ ვაჩვენებ ჩემ უმფროსს.

მრავალი სურვილებით
შენი მიხეილ
[1/II.74]

M. K. ul. Owsiana 28, m. 9
61-667 Poznań

45.

ნიკა! მივიღე შენგან საახალწლო მოლოცვა და მხოლოდ ეხლა შემიძლიან გიპასუხო! გიორგობისთვეს შუა რიცხვებში დავბრუნდით საქართველოდან ჩემი შვილი მანანა და მე! შვილი თვალების სამკურნალოდ წავიყვანე – რაც კი შეეძლოთ ყველაფერი გაუკეთეს და პატივი გვცეს – მე კი ძალიან დავიღალე და დავიტანჯე – სულ თავს ვევლე შვილსა! საბოლოოდ მთავარი რაც იყო საჭირო – აპერაცია ყანყრატოსი – აქ გაუკეთეს და უკვე ხიფათი აეცალა გოგონას! ამავე დროს მე დამემართა უბედურობა – მოულოდნელად დავეცი – ბნელოდა დილით ადრე – და მართულებს წამოვედე ორივე ფეხებით და ზღართანით დავეცი პირდაპირ შუბლით ცემენტზე – აბა, ერთი ვაივაგლახი ატყდა – ტვინის შერყევა ეშინოდათ ექიმებს, რენდგენი და სხვა ოინები – სამი კვირა ურყევათ ვიყავი! ამავე დროს საავადმყოფოში ვისარგებლე და ხმის სიმებს მომიშორეს მეჭეჭი – ჯერ კიდევ ვერ მოვედი არც გონზე და ვერც ჯანზე – წარსული წელი მძიმე იყო ჩემთვის! გიგზავნი ერთ წიგნს: **„ლიახვი"**, ზოგი რამ საინტერესოა შენთვისაც! ბევრი რამ დამავალეს თბილისში – ისე რომ, სამუშაო მეყოფა, რომ გავერთო და შავი ფიქრები მოვიშორო!

ვანოსგანაც მივიღე საახალწლო! არ გვივიწყებს. ოკუპაციამ ძალიან დაგვაახლოვა – ეგრე იცის გაჭირებამ! **ხომ იცი,** რომ გამოსცა ნიგნი რუსეთის სინამდვილეზე![1] მომიკითხე შენი მეუღლე. კარგათ იყავი, ჯანმთელად.

მიხეილ კვალიაშვილი
[1975 წლის იანვარი]

[1] იგულისხმება ივანე ნანუაშვილის წიგნი „What everyone in the free world should know about Russia", New York, 1973 – „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ", ნიუ-იორკი, 1973 წ. *(ინგ.) (ლ. ც.).*

46.

ძმაო ნიკა! გიგზავნი „კავკასიონს"! ჩემი მუზეუმის გამგე მეკითხება, თუ მიიღებს პასუხს ნერილზე, რომლით შენ მოგმართა! მართალია, არ ვიცი, რითი მოგმართა, მაგრამ ეს უკვე თქვენი – ორივეს – საქმეა!

პასუხი მაინც გაეცი!

გვიახლოვდება აღდგომა, მოგილოცავ!

„ქრისტე აღდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი!"

იყავი ჯანმთელად და კარგათ!

შენ მეუღლეს ნრფელი მოკითხვა.

Wesolego Alleluja![1]

მიხეილ
[1975]

47.

W Pan Mańkaszwili M.
ul. Kr. Jadwigi 1
pow. Piaseczna
Zalesie Dolne
k/Warszawy

ნიკა! ეს არი გამოგიგზავნე წიგნი, შიგ წერილია! ეს დამატებითი ბარათია – Prosił kustosz napisać do Ciebie i przypomnieć że w lutym ub r. otrzymałeś od Muzeum list z podziękowaniem za pierścionek, gorącą prośbę aby uzupełnić nasz Muzeum pamiątkami po Sobie – legitymacje, dokumenty, odznaki pułkowe i inne: części ubioru wojskowego przedwojennego oraz po wojnie LWP-go. Tutaj masz pewność że się przechowa takie cenne pamiątki dla przyszłych pokoleń – ja osobiście oddałem co miałem nawet foto – chociaż mam trzy córki i mógłbym im zostawić – mówię o przedmiotach o charakterze wojskowym!

Więc prosimy jeszcze raz przeczytaj to pismo z Muzeum z lutego (bo musisz mieć jako dowód) i postaraj się przysłać na adres 61-772 Poznań Stary Rynek, Wlkp. Muzeum Wojskowe kustosz mgr. Tadeusz Jeziorowski.

Pozdrowienia od Bohniaka.[2]

კუსტოშს მისწერე, უხერხულია.

მიხეილ
[81.75]

61-667 Poznań

---

[1] გისურვებ ბედნიერ აღდგომას! *(პოლ.)*.

[2] ჩვენი მუზეუმის მცველმა მთხოვა, მომეწერა და შემეხსენებინა, რომ გასული წლის თებერვალში, ბექდის გამოგზავნისთვის, შენ მუზეუმიდან მადლობის წერილი მიიღე. ახლა კი გთხოვს, რომ ჩვენი მუზეუმის ფონდი შეავსო შენი ნივთებით – პირადობის მოწმობა, საბუთები, შენი პოლკის ნიშნები და სხვადასხვა ომამდელი და ომისშემდგომი (პოლონეთის სახალხო არმიის) ფორმის ტანსაცმელი. გპირდები, გარანტირებული იქნები, რომ ეს ნივთები, როგორც ძვირფასი სახსოვარი მომავალი თაობებისთვის – დაცული იქნება. მე თვითონაც მუზეუმს გადავეცი რაც კი მქონდა – ფოტოები, სამხედრო ნიშნები და სხვ., იმისდა მიუხედავად, რომ სამი ქალიშვილი მყავს და შემეძლო ყველაფერი მათთვის დამეტოვებინა. გთხოვ, კიდევ ერთხელ გადახედო იმ წერილს, რომელიც მუზეუმიდან თებერვალში მიიღე, რათა მუზეუმის მცველს პასუხი მისწერო.

შეეცადე აუცილებლად მისწერო. ბარათი ამ მისამართზე გამოგზავნე: 61-772 პოზნანი, სტარი რინოკი, სამხედრო მუზეუმის მცველს მაგისტრ ტადეუშ იეზიოროვსკის. სალამი ბოხნიაკისგან *(პოლ.)*.

48.

W Pan Matikaszwili M.
ul. Kr. Jadwigi 1
pow. Piaseczna
05-501 Zalesie Dolne k/W-wy

ძმაო ნიკა! ნელნელა ჯანზე მოვდივარ, მინდა ისევ ზურგი გავიმაგრო და საქმიანობას შეუდგე! მომივიდა სამწუხარო ცნობა პარიზიდან, რომ ჩვენი დიდებული რუსთველოლოგი ვიქტორ ნოზაძე გარდაიცვალა 24.IV ა. წ.! ბოლომდის მქონდა ურთიერთობა ვიქტორთან! უკანასკნელ წერილში მატყობინებდა, რომ მეექვსე თხზულება „მიჯნურთმეტყველების" სამასი გვერდი უკვე შევიმუშავეო – და აი, ესე მოულოდნელად განყდა ჩონგურის დიდებული სიმი! 81 წელში იყო და მთელი თავისი სიცოცხლე შოთას შესწირა და შეჰქმნა „რუსთველოლოგია" – თავისი გამორკვევებით და განმარტებებით ძალიან დაუახლოვა ქართველ ხალხს და ვიიმედოთ, რომ „ეეფხისტყაოსანი" სახარების მოადგილე გახდება, მით უმეტეს, რომ ჩვენდა საუბედუროთ, ქრისტეზე ხელი აიღეს! სკოლებში შესწავლილი „შოთა" რაინდულ სულს მაინც ჩაუდგამს ხალხსა!

როგორა ხარ და რასა თარგმნი ახლა? ხომ მოგწერე, რომ წარსულ შემოდგომაზე მესამეთ ვიყავი საქართველოში. წრეულს მიდის ჩემი უმფროსი შვილი ნინო მეორეთ!

იყავი კარგათ და ჯანმთელად

მიხეილ კვალიაშვილი
12.V.[75]

61-667 Poznań

49.

ნიკა! ჩვენი ამხანაგი – იუნკერი ვანო ნანუაშვილი 14 მარიამობისთვეს ქ. სანფრანცისკოში გარდაიცვალა.[1]


წუხვით გატყობინებ.

მიხეილ კვალიაშვილი
[1975 წლის აგვისტო]

50.

ძმაო ნიკა! ეს არის, შენი (თქვენი) ბარათი მივიღეთ! კარგია, რომ მაინც მომიგონე! მთელი ჩემი ოჯახი ძალიან დალონებულნი ვართ, რომ ვანო ესე უცბათ დაგვშორდა! მგონი არ იცი, რომ ვანო – პიტლერის ტყვეობიდან დაბრუნებული, ჩვენთან, პოზნანში ცხოვრობდა. დიდი ხანია ჩა-

[1] ალექსანდრე სულხანიშვილის ცნობით, ვანო ნანუაშვილი გარდაიცვალა 1975 წლის 15 სექტემბერს. იხ. ალექსანდრე სულხანიშვილის 1981 წლის 18 აგვისტოს ნერილი ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი. გვ. 337-341 *(ლ. ც.)*.




მიხეილ კვალაშვილის მიერ ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი გაგზავნილი საფოსტო ბარათი, ავტოგრაფი, 22 მარტი, 1976 (სლმ. №28441-36-9-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

ფიქრებული ჰქონდა **იქითკენ** გადასვლა და საშუალებას ვეძებდით! მაშინ ქართველების და კავკასიელების მეთაური ბერლინში იყო გიორგი კერესელიძე, ღენერალ ლეოს ძმა, და სხვათა შორის მამაჩემის შორეული ნათესავი იყო! ჩავედი მასთან და ვთხოვე, რომ ვანო შოფერების სკოლაში გაეწესა, რაც ძია გიორგიმ გააკეთა! სხენებულ სკოლის დამთავრების შემდეგ გააწესეს ნორვეგიაში! აბა ატყდა ალიაქოთი – მწერს ვანო – „მიშა მიშველეო". ჩავედი ძია გიორგისთან, ჩემთანვე დაურეკა სკოლის უმფროსს, რომელმაც გადაიყვანა ვანო იტალიის საზღვარზე – ეს იყო და ეს – დაჰკრა ფეხი და გადავიდა ქვეით და თან წაიყვანა 35 კაცი – ყველა შოფერები! გამოცხადდა გენ. ანდერსთან, რომელიც ვანოს იცნობდა და მე-5 დივიზიის შტაბში გააწესა! ჩვენთან ყოფნის დროს ხშირად კუჭი ანვალებდა და Natron-ს სვამდა – იქ, სადაც ცხოვრობდა, კუჭის რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა – ჩვენ ხშირად გვწერდა და დიდი ძმური და მეგობრული გრძნობები გვაერთებდა! ჩემი უმფროსი შვილის ნინოს ნათლია იყო! ჩვენის აზრით, ვანოს კუჭის კიბო ჰქონდა და სწორედ მან წაგვართვა დიდებული ამხანაგი – ჭკვიანი ქართველი და მეგობარი!

ხომ მიიღე ჩემ მიერ გამოგზავნილი „ტრიბუნა" და „ვეფხ. ტყ. მიჯნურთმეტყველება" **უკანასკნელი** შრომა ვიქტორ ნოზაძისა – ამისთანა შემთხვევაში უნდა შემატყობინო ხოლმე – მით უმეტეს, რომ „ტრიბუნას" პოლიტიკური ხასიათი აქვს და ეხლავ მივწერ, რომ აღარ გამოგზავნონ პოლიტიკური ხასიათის გამომცემლობა!

როგორც გავიგე ვანოს წერილებიდან, ერთ ქართველთან ერთად ცხოვრობდა![1] ვანოს დღეობა – imieniny – არის 24.VI და ყოველთვის ვწერდით მილოცვას – ეხლა მივწერე სამჯერ და არც ერთზე პასუხი არ მომივიდა! თბილისში ვანოს ჰყავდა მარტო დეიდა, რომელმაც აღზარდა ვანო – ეხლა ვცდილობ იმ ქართველის (ვანოს მეზობლის) გვარი გავიგო და ყველა ცნობები მოვაგროვო და გავგზავნო თბილისში – ამის შესახებ მივწერე ბ-ნ გიორგი ნოზაძეს და გიორგი ყიფიანს, რომლის ლექსები გამოგიგზავნე – ყველაფერს ცდა უნდა – მე კი მეჩქარება! სუსტათ ვარ – წრეულს ძალიან ცუდათ დავისვენე – დაქანცულობას ვგრძნობ და ამასთანავე ერთად რამდენიმე საქმე მაქვს აღძრული, რომლის დამთავრება მენატრება – ხანდახან მეშინიან, რომ მოულოდნელად

[1] ლაპარაკია ლოს-ანჯელესში მცხოვრებ გიორგი ჯავახიშვილის ქალიშვილის ოჯახზე *(ლ. ც.)*.



საფოსტო ბარათის მეორე მხარე.

ხელიდან არ გაეცალო ჩემს ოჯახს! მომავალ კვირის განმავლობაში ჩემი შვილი ნინო იქნება ვარშავაში და შეიძლება, რომ თქვენთან სანახავათ ჩამოვა – მანქანით მოვა, ჩამოიყვანს ანდრო ვოიტკიევიჩი, მისი მეუღლე თამარ ყურულიშვილია, ე. ი. სერგის (ელჩის) ძმისწულია – გაიცნობ მაინც! ამ სიკვდილის წინ მაინც შეეერთდეთ! ისეთი მდგომარეობა შეიქმნა ვალიკოს ირგვლივ, რომ იმის მეგობრის სახელზე წერა აღარ შეიძლება – ძალიან კი დავმეგობრდით! მწერს გ. ყიფიანი პარიზიდან, რომ სომხებმა ბაგრატიონები მიიჩემეს-ო! Ucałowania rączek Pani.[1] დამირჩი ჯანმთელად და ბედნიერად!

მიხეილ
[1975]

51.

W Pan Mikołaj Matikaszwili
Zalesie Dolne k/W-wy
05- 501 Piaseczna
ul. Kr. Jadwigi

22 III 76 წ.

ძმაო ნიკა! დღეს მივიღე შენი დაზღვეული წერილი. რაც შემეძლება, გავაკეთებთ სახლში, ლექსების შესახებ და იანინა სხირტლაძეს გაუგზავნი!

[1] შენს მეუღლეს ხელზე ვკოცნი (პოლ.).

Bardzo się zmartwiłem że piszesz o chorobie. Ja dopiero wylazłem i nadal jestem pod obserwacją lekarza! Żona b. narzeka na serce i jest na leczeniu a córka Nino jest po ciężkiej operacji! Co Ciebie dokucza napisz!

Ściskam Was obojga.

Michał[1]

M. K.
Owsiana 28, m. 9
61-667 Poznań

მომწერე რა გაწუხებს.

მ.

52.

ძმაო ნიკა! ამის წინ ორი ცალი ბროშიურა გამოგიგზავნე – გამოცემული საფრანგეთში, ეს დართული წიგნაკი გამოვიდა თბილისში ირინე სხირტლაძეს შესახებ და მის გმირობაზე!

ორიოდე სიტყვა ჩემზედაც არის ხსენებული! ეხლა გულწრფელად მომწერე, თუ გინდა მიღება საფრანგეთში გამოცემულ წიგნების, რომლებსაც – როგორც იცი – პოლიტიკური ელფერი ახასიათებს? თუ არ გინდა, შემატყობინე! ციბაძე მიჩივის თავის მძიმე დასნეულობაზე!

ჩემი შვილი მანანა – ეხლა ცხოვრობენ W-wa Ursynów[2] – მინდა ისე მოვახერხოთ, ორივემ რომ ერთმანეთი ვინახულოთ!

ჯერჯერობით შემატყობინე, თუ როგორ უნდა ვიმგზავრო ვარშავიდან შენთან! იყავით ჯანმთელად

მიხეილ
[1976]

53.

ძმაო ნიკა! თუ აპირებ წრეულს საქართველოში ჩასვლას? მე დაბრკოლება დამიდეს და, ყოველ შემთხვევისთვის, ამ წელს ვერ ჩავალ – პირდაპირ ამიკრძალეს! აქ დამიბარეს და გამომიცხადეს რუსის კონტრ დაზვერვის მოთხოვნილება, რომ მე გამაფრთხილონ აქაურ ძალაუფლებამ, მიზეზი: ნამეტარი აქტიურია, ყველა ქართველებთან საზღვარ გარეთ აქვს კავშირი და ქართულ წიგნებს ყველას უგზავნისო (აქ მთავარია ის, რომ საქართველოში ვგზავნიდი არა მარტო ვიკტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსანს", არამედ „კავკასიონს" და „ტრიბუნა"-საც! შემიძლიან მხოლოდ **ერთი** წიგნი მივიღო – სხვა მხრივ, „თუ განაგრძობს, იქ გავგზავნით, საიდანაც დაბრუნდაო!" გიგა ტურაშვილი და მე ერთად უნდა წავსულიყავით – ჩემ ძმისწულს ვანოს აუკრძალეს ჩამოსვლა, მაგრამ უთხრეს, რომ $^1/_2$ წლის შემდეგ მოდი და ნებართვას მოგცემთო! რაღაც შინაგანი ამბებია

[1] ძალიან მეწყინა, რომ ისევ ავადმყოფობაზე მწერ. მე, ახლახანს გამოვედი საავადმყოფოდან, მაგრამ ისევ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ვარ! ჩემი მეუღლე გულს უჩივის და მკურნალობს, ჩემი ქალიშვილი – ნინო კი რთული ოპერაციის შემდეგ მკურნალობის კურსს გადისl შენ რა განუხებს მომწერე! გეხვევით ორივეს. *მიხეილ (პოლ.).*

[2] ვარშავაში ურსინუვში *(პოლ.).*

თურმე! ეხლა გირჩევ ძალიან კარგი წიგნის წაკითხვას – თუ გაქვს – ხომ კარგი, თუ არა, გამოიწერე უსუთოოდ: მოსე გოგიბერიძე – „რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები", გამოცემა: „საბჭოთა მწერალი" თბილისი. 1961 წ. არ ინანებ!

მე ისევ ვმუშაობ სამხედრო მუზეუმში, რენტა ნაკლები მაქვს და ვერ გავძლებდი; ჩემი უმფროსი ქალიშვილი ნინო ეს მესამე კვირაა, რაც ჩავიდა ლონდონში მაიკოსთან, რომელიც იქ გათხოვდა ექიმ აკაკი რამიშვილზე, ნახევარ წლით უნდა დარჩენა და მარტის თვეში (77 წ.) დაბრუნდება. შემდეგ, ორი თვის შემდეგ მიდის საქართველოში – გული იქითკენ უწევს. შეიძლება, რომ იქ დარჩეს სამუდამოდ, კარგი სპეციალისტობა აქვს! თუ იქ გათხოვდება, ჰო კარგი, იქ ყოფნა ჩემთვის და ჩასვლა ადვილი იქნება! ვნახამთ, თუ როგორ დამთავრდება ეს ოცნება! როგორა ხართ მეუღლით ერთად? ეხლახან ვარშავაში **„აბხაზია"**[1] იყო, აქ არ ჩამოვიდნენ. განცხადება კი იყო.

ძმურად გეხვევი, იყავი ჯანმთელად!

შენი ძმა მიხეილ კვალიაშვილი
[1976]

54.

W Pan Matikaszwili M.
ul. Kr. Jadwigi 13
pow. Piaseczna
05-501 Zalesie Dolne
k/Warszawy

ძმაო ნიკა! მრავალ წერილთა შორის მივიღე გიორგი ნოზაძესგან (ღვიძლი ძმა ცხონებულ ვიკტორის), საახალწლო მოლოცვა და სამწუხარო ცნობა, რომ გარდაიცვალა იუნკერი კინწურაშვილი და ვალია ზაქარიაძე, ღენერლის შვილი და ძმა გიორგის (?), რომელიც ვარშავაში ცხოვრობს – მთხოვს, რომ შევატყობინო, მაგრამ მისამართი არა მაქვს, იკისრე და შეატყობინე, ჩემგანაც სამგლოვიარო გამოუცხადე!

გიორგი არონიშიძემ მომწერა წერილი და მითხრა, რომ ეს არი და დაბრუნებულხართ საქართველოდან. როგორ გაატარე დრო? როგორა ხართ ჯანმთელობაზე? საინტერესო რა არის სამშობლოში?

იყავით კარგათ!

მიხეილ კვალიაშვილი
14.1.77 წ.

[1] იგულისხმება აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი *(ლ. ც.)*.

55.

ძმაო ნიკა! ეს შენი საზარელი წერილი მივიღე და იმდენათ უფრო საზარელი, რომ ჩვენი ქვეყნის და ერის ახლო მომავალი იღბალი ე. ი. რუსიფიკაციის პროცესის ცხოვრებაში შეტანის განძრახვა, მეც მომანოდეს ეს ცნობა! **უკანასკნელი** წერილი გაზეთი „Tygodnik Powszechny", №7,[1] 13.II.77 წ. იხსენიებს, რომ ქართველები 2,7 mil.[2] ვართ – ე. ი. ხალხი – იმისდა მიუხედავად, რომ ფუფუნებაში და სიმდიდრეში ცხოვრობს, არა მრავლდებიან, მხოლოდ მცირდებიან! ერთი კვირის წინ ორი ჯგუფი ტურისტების გვეწვია პოზნანში: ქალების ცალკე (მარტო 15 წუთი დრო ჰქონდათ, აუტო-კარი ელოდა და წავიდნენ), – მეორე კაცებისა, უმეტროსი ხალხი იყო გურჯაანიდან – თითქმის ორი საათი მელაპარაკებოდა ჯგუფის მეთაური და ერთი თანადამსწრე – ხალხის სიმდიდრეზე იყო ბაასი, მაგრამ როცა დაუსვი საკითხი, თუ ვის უნდა გადასცეთ მეთქი – ეს სიმდიდრე, როცა შვილებს არ იჩენთ – მაშინ ჭკუაზე მოვიდა – და **დაუმტკიცე:** ქართულ ოჯახში შვილები: 1-2; სომხურში – 4-5; აისორის ოჯ. – 5-6; უკრაინ. ოჯ. – 2-3; ოსის ოჯ. ბევრი და ეს ხალხი შეგნებით ბევრს იჩენენ, რომ ადგილიდან არავინ დასძრას და ქართველების მოქიშპე ძალა ემუქრება ქართველების – საქართველოში არსებობას!

ლენინინზმი დიდიხანია მოკვდა და ომში გამარჯვებული რუსეთი ბონაპარტიზმის გეზს დაადგა – რის წინააღმდეგ იყო სტალინი და იმიტომ მოკლეს – იმ დროიდან ახორციელებენ **რუსულ იმპერიალიზმს** – პატარა ერების გათქვეფა უნდათ და მათი კულტურის დამარხვა. ამ საქმეში თითონ ქართველი ხალხია დამნაშავე, რუსი ძალას არ ატანს, **აბორტები** გაიკეთეო! სიმდიდრემ და ფუფუნებამ გააფუჭა და გარყვნა ჩვენი ხალხი – უტუ ხალხი წამოვიდა წინ და ბრძოლა სიმდიდრეზე მთავარ მიზნათ იქცა! ჩვენი დარბაისელი და მდიდარი ინტელიგენცია მენშევიკებმა ამოხოცეს ყარაიაზის ტრამალზე (ველებზე), უთავო ბრბო დეეწაფა საქართველოს! – არც ერთი მეთაური სახელმწიფო მოღვაწეთ არ ვარგოდა!

სახელმწიფოებრივი შეგნება ჰქონდა მარტო: ჯერ ქართლს – მერე კახეთს – შემდეგ ქართლ-კახეთს და + სოლომონ მეფემ ერეკლეს ხელი ჩამოართვა, სამნი შეერთდნენ და ლევანი უნდა ყოფილიყო ამ სამთა-ზავის მეფეთ! – გურია და სამეგრელო ვერ მომწიფდა და თავის სოფლის ღობეს ვერ გადააბიჯა! როცა ნოე ჟორდანიამ თქვა, რომ ბოლშევიკებიც სოციალისტები არიან და ჩვენ ხელს არ **გვახლებენო** – na takich zasadach Państwo tworzyć nie da się[3] – აბა, როგორ უნდა ენდო სოფლის პოლიტიკოსებს...

ქართველმა ქალებმა ვერ შეასრულეს თავისი ძირითადი მოვალეობა „უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა" – ოჯახი დაჩლუნგდა – ეკლესიას ჩამოშორდა, იმისდა მიუხედავათ, რომ საბჭოთა მთავრობამ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინა! 1973 წ. რომ ვიყავი, მცხეთის ეპისკოპოსს ველაპარაკე და დევეკითხე, თუ რატომ არა სცდილობენ ცხონებულ კირიონის – „პერსონალური (უნია) კავშირი რომთან" – განხორციელებას – რატომ არ იბრძვიან და ვისგან ელიან შველას? რატომ არა ვცდილობდით და არა ვცდილობთ დაუახლოვდეთ მთლიან კატოლიციზმს, რომ რუსეთის დაწყევლილი სინოდი თავიდან მოვიშოროთ – ამასთანავე ერთად მოგაგონებ ნოე ჟორდანიას მთავრობის დადგენილებას: 1) წირვის შემოკლება, 2) საეკლესიო წიგნების მხედრულ ანბანით დაბეჭდვა, 3) ნებართვა სასულიერო წოდების ხალხისთვის po cywilnemu[4] სიარული და თავის და წვერების მოპარსვა დასავლეთ სამღვდელოების მაგალითზე! დადგენილება მიიღეს! (ეს იყო პროექტი მღვდელ კეკელიძესი!)... ეს არავითარ შემთხვევაში არ იქნება რამე ღალატი, რადგანაც ქართულმა ეკლესიამ **არ იცნო** 1054 წ. გათიშვა ეკლესიისა და ბოლომდე მაგ ნიადაგზე სდგას – ამიტომ იყო და არის კათოლიკური! საუბედუროთ ბევრმა ქართველმა არ იცის არც ისტორია ჩვენი ეკლესიისა, არც მისი გადამწყვეტი მნიშვნელობა ერის არსებობაში! – „პრავოს-

[1] „ტიგოდნიკ პოვშეხნი", №7 *(პოლ.)*.
[2] 2,7 მილიონი *(პოლ.)*.
[3] ასეთ საფუძველზე სალმწიფოს ვერ შექმნი *(პოლ.)*.
[4] სამოქალაქო ტანსაცმლით *(პოლ.)*.

ლავნი“[1] ვართო და მირბოდნენ რუსის ეკლესიაში, რომელიც შეურიგებელი მტერი იყო ქართველი ერისა! ამ საკითხში არაფერი გაეცთდა პოლონეთში ჩვენ მიერ და არც ემიგრაციამ საფრანგეთში! ქართველებმა იმაიმუნეს რუსებისგან შეხედულობა კატოლიციზმზე და თამამათ ლაპარაკობდნენ, რაზედაც არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ – ქარაფშუტა ხალხი – ამასთანავე ერთად რომ შეადარებ ჩვენ წარსულს, ჩვენ დიდებულ ხალხს, ჩვენ ლიტერატურას, ჩვენ ენის ტკბილ და მხატვრულ ბგერას, საკვირველი ხდება თუ საიდან გამოჩნდა ეს „ხარა-ხურა“ ელემენტი??! პოლონეთში უსულოთ ხომ არა ცხოვრობ? – დააკვირდი თუ რა გადამრჩენ და ბედნიერ როლს თამაშობს კატოლიკური ეკლესია, როგორ ზრდის და ანხორციელებს ერის შეხედულებას, ერთობას, ერთგულობას ბერის და ერის წინ. როგორ უელიან ძეგლებს, როგორც ისტორიულ ნაშთებს – ფეხებს წელებზე იდგამენ, რომ შეინარჩუნონ და მომავალ თაობას გადასცენ ერის ისტორია და კულტურა! დავიკრათ მუშტი გულზე მოვინანიოთ ჩვენი ცოდვები და შევეხვეწოთ ღვთის მშობელს – რომელმაც უხვი კალთა დააბერტყა ივერიაზე – შენდობა და მფარველობა! ხომ იცი, რომ როცა კაცი თავის დანაშაულობას გრძნობს, უფრო მკაცრი ხდება – იმიტომ ვძულთ ყოველ რუსეთის მთავრობას ქართველი, პოლონელი და ჰუნგრელი! ისტორია არის ამტანი და სამართლიანი – ერების თავისუფლება მოხდება – ეს არის ამ საუკუნის ძახილი!

რაც შეეხება სამწუხარო სიკვდილს ორივე ძმების ზაქარიაძეების[2] – ეწერ გიორგი ნოზაძეს და იმ კითხვებს დაუსვამ, რომელნიც შენ მომაწოდე!

მე დღესვე, 26-II ვწერ, თუ მარდათ მიპასუხებენ, მაშ გასტანს სამ კვირამდე – ეს უნდა გაითვალისწინო! დამავიწყდა შემდეგი ცნობის დაწერა: ამერიკის ახალ პრეზიდენტმა მიმართა რუსეთს, რომ (პატარა) ერების რუსიფიკაციას და მათ განადგურებას თავი დაანებონ – ეს არის მიუღებელი მოვლენა მე-XX ს-ში! რუსეთმა უპასუხა – „თუ ესე დავიწყებთ თანამშრომლობას – მაშ განიარაღების საკითხზე ვერ მოვრიგდებითო!“ ამავე დროს ეკონომიურ დახმარებაზე სცდილობენ, ე. ი. – რომ შეიძლება ერების მფარველი გამოჩნდეს! მდგომარეობა ნამდვილად ამღერეულია! უნდა გაეძლოთ, ვიბრძოლოდ – იარაღს ნუ დავყრით გამარჯვებამდე!!!

„...მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ელაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“. ი. ჭ.

ეს ყველა ქართველს ეკუთვნის! დიდი პატივისცემა შენ მეუღლეს და შენ ძმურად გეხვევი

მიხეილ კვალიაშვილი

[26.II.77]

ტურაშვილმა მიიღო დაპატიჟება გორიდან და შემოდგომაზე წავა!

მ. კ.

[1] მართლმადიდებლები *(რუს.)*.

[2] იგულისხმებიან გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის ვაჟები – ვალერიან და გიორგი ზაქარიაძეები *(ლ. ც.)*.



ახალგაზრდა მეგობარს **გ. ტურაშვილს** საჩუქრად, ღენ. **ა. ჩხეიძე**, 1936 (**გრიგოლ ტურაშვილის** არქივი, **გორგი მამულიას** კერძო კოლექცია, პარიზი).



ძალოსნური ვარჯიშის ოსტატი **გრიგოლ ტურაშვილი** (**გრიგოლ ტურაშვილის** არქივი, **გორგი მამულიას** კერძო კოლექცია, პარიზი)

56.

W Pan Matikaszwili
ul. Kr. Jadwigi 13
Zalesie Dolne k/W-wy
05-501 Piaseczna

ძმაო ნიკო! 1.VI.77 ნელს ვიყავი კრაკოვში და დავასაფლავე ჩემი უახლოესი მეგობარი პპლკ. **გიგა ტურაშვილი, რომელიც** მოულოდნელად გარდაიცვალა!

გიგას **გაასწრო ვანო ნანუაშვილმა** და **სიკო კობიაშვილმა!**

ძალიან რაინდული დასაფლავება გაუმართეს პოლკის ამხანაგებმა, ზბოვიდ-მა და აკამ!

ბევრი ჯილდოები ჰქონდა!

დამირჩი ჯანმთელად და კარგათ

მიხეილ კვალიაშვილი
5.VI.77 წ.

Drogi Nika! Dziś wróciłem se Sanatorium , dawiswene
i czję się dobrze ! W tym czasie dostałem kilka
książek od G. Nozadze i mam dwa-"midźnurth metkele-
ba"Wephchwis Tkaesanis? Jeśeli masz ochotę to na-
pisz kartkę i Tobie jedną przyszlę oraz napisz
jak się czujesz i czy w tym roku byłeś w samszoblo?
Ja nadal pracuję w Muzeum bo inaczej można zwaryować
bez ruchu i pracy!! Jak się posuwa Twoja praca lite-
racka!
Rodzina Arkadia Schyrtładze była zaproszona do
Gruzji i obchodzili uroczystośći za Jrine Schirtła-
dze bardzo serdecznie i hucznie bawili się i był
zjazd całego rodu aż 150 osób pisali wgazetach,

მიხეილ კვალიაშვილის მიერ ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი გაგზავნილი საფოსტო ბარათი, მანქანაზე ნაბეჭდი, 30 ოქტომბერი, 1977 (სლმ. №28441-36-10-ბ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



საფოსტო ბარათის მეორე მხარე.

57.

W Pan Matikaszwili Mikołaj
ul. Kr. Jadwigi 13
Zalesie Dolne k/Warszawy
Piaseczna 05-501

Drogi Nika! Dziś wróciłem ze Sanatorium, dawiswene i czję się dobrze I W tym czasie dostałem kilka książek od G. Nozadze i mam dwa mitznurth metkeleba Wephchwis Tkaosanis? Jeżeli masz ochotę to napisz kartkę i Tobie jedną przyszlę oraz napisz jak się czujesz i czy w tam roku byłcś w samszoblo? Ja nadal pracuję w Muzeum, bo inaczej można zwaryować bez ruchu i pracy!! Jak się posuwa Twoja praca literacka!

Rodzina Arkadia Schyrtładze była zaproszona do Gruzji i obchodzili uroczystośći za Jrine Schirtładze bardzo serdecznie i hucznie bawili się i był zjazd całego rodu aż 150 osób, pisali wgazetach, dużo zdzięć! Pani Schyrtladze jest oczarowana i zaczarowana!

Więc napisz parę słów na kartcę.

Serdeczność́i dla Pani.

Ciebie sciskam Bądź zdrów!!!!

Michał
31.X.77[1]

58.

ძმაო ნიკა! 5 ცალი მივიღე, ორი შენ, ერთი ვალიკოს, ორი ჩემთვის!

როგორ ხარ, ხმა ამოიღე! წრეულს თუ მიდიხარ საქართველოში? თუ ექიმები ნებას მომცემენ, მე და ჩემი მეუღლე ვაპირებთ ჩასვლას!

დღეს კარგათა ვართ. ნნევა გვანუხებს, განსაკუთრებით მეუღლეს.

Ucalowanie rączek dla Pani,[2] შენ გკოცნი

შენი ძმა მიხეილი
[6.7.79]

დღეს, 6/7 შემისრულდა 78 და გადავედი 79-ში. კიდევ ვმუშაობ!

მიხეილი

[1] თარგმანი იხ. 424-425 გვ.ზე *(ლ. ც.)*.
[2] შენს მეუღლეს ხელზე ვემთხვევი *(პოლ.)*.

59.

ძვირფასო ძმაო ნიკა! შენი წერილები მივიღე! ჩემ მიერ გამოგზავნილ ამანათში არ იყო დართული რამე ხელნაწერი, ნუ სწუხდები, მეჩქარებოდა და ვერ მოვასწარი! საფრანგეთში უცნაურათ ჩაჩუმდა ხმა, 60 წლის იუბილეს ი. კ. შესახებ – არ მიმილია. შენი შენიშვნები, რომელნიც სულ მთლად სინამდვილეს ღალატობენ – ვინ არის მათი გამგონი და გამკეთებელი? ან ვის უნდა გადაუგზავნო, ვინ იკისრებს მორალური და ხარჯების მხრივ მოქმედებას – ყველაფერში გეთანხმები, ძმაო! ამ წუთს დავამთავრე კითხვა „ქართული საისტორიო პროზა“ რ. ბარამიძეს ნაშრომი – თავი გამისივდა ჩართულ, უცხო ენის სიტყვებით „მორთული“ ქართული ენა, საზიზღარი მოვლენაა, მით უმეტეს, რომ მე, სადა ადამიანმა უპოვე თანასწორი ქართული სიტყვები, მაგრამ მე დიდი ხანია, რაც შევამჩნიე, დასავლეთ ქართველებს უყვართ მაიმუნობა, უცხო სიტყვების მოხმარება და ამით ტრაბახობენ (უფრო ახლო ვართ ეუროპასთანა). შენ მართალი ხარ – საბოლოოთ გაქრება ქართული ენა. ამ ძალიან საინტერესო წიგნის მეორეთ წაკითხვას ვაპირებ და თან ამოვწერ იმ უცხო სიტყვებს – თითონ შინაარსი ძალიან საინტერესოა, როგორც ისტორიული მასალა და თუ იშოვნი და წაიკითხამ, კმაყოფილი დარჩები შინაარსით! გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, კამოს ქ. №18, „ქართული საისტორიო პროზა“.

ჩვენ დროს საქართველოში ტყუილათ კი არ მოხდა საზარელი ამბავი – იმის შემდეგ, როცა ქართველმა თავადაზნაურობამ მინები, მამულები აჩუქა ჟორდანიას – ოლონდ თავისუფლება შეინარჩუნეო – რამიშვილმა სისხლში ჩაახშო ქართლ-კახეთი და ლეკებერთხებიანი ქარაფშუტა ხალხი მთავრობაში შეიყვანა და ჟორდანიამ თქვა: როცა გააფრთხილეს – ისინიც (ე. ი. ბოლშევიკები) სოციალისტები არიანო და ჩვენ ხელს არ გვახლებენო! ბევრი რამ სატკივარი და სავალალო იყო და არის და შემდეგ ბერიამ სიქა გააცალა აღმოსავლეთ საქართველოს, საბოლოოდ სტალინის მოკლეში აჰყვა რუსებს და მოკლა ქართველი (სულერთია, როგორი იყო). თითონ იყო მოსაკლავი და რუსებმა ანდერძი აუგეს – მაშინ ხრუშჩოვმა დაიღრიალა, „ნიკაკის გრუზო,[1] გრუზო, ე. ი. ქართველები“! ეხლა-ხან რუსები ქართულ ენას გვართმევდნენ, ხალხი აჯანყდა და შეინარჩუნეს ენა,[2] მაგრამ მოადგა რეპრესიები. ეხლა თბილისში მარტო ქართული ენა ისმის – ეს დამსახურება ხალხისაა და არა მთავრობის – თბილისში ვისთან გინდა ლაპარაკი, კარბელაშვილთან – „სამშობლოს“ მთავარ რედაქტორთან? წრეულს არ მივდივართ საქართველოში – ექიმებმა ამიკრძალეს, სამაგიეროთ, დაეპატრე ჩემი და ნინო, გავიგებდით მაშინ ბევრ საინტერესო ნამდვილ ამბებს – ამ დღეებში პარიზიდან ჩამოვა ჩემი შვილი მაიკო და იქაურ ამბებს, ალბათ გავიგებთ. მაშინ ორივე შემთხვევაში მოგწერდი.

მივიღე წერილი ვალიკოსგან, შენზე მეკითხება, თუ როგორა ხარ – ჩივის სიბერეს და სუსტ ჯანმთელობას, უნდა მისწერო ალბათ უცხო მისამართზე, ყველას მოგველის სიბერე და კეთილ სულიერი დახმარებით მაინც გაუმაგროთ გული!

არის ერთი წიგნი, დაწერილი შოთა ძიძიგურის მიერ – „ქართული ენის ისტორია“. ბევრი მისთანა მასალა და გამოცემა არის თბილისში! ხომ მოგწერე, თითქმის სამი წელია საქართველოდან ველი ივანე ჯავახიშვილის II ტომს – ვის არ მივწერე – ხმაკრინტი – სიჩუმეა – პასუხათ – ან აკრძალულია, არ ვერ იშოვეს (?), სინამდვილეში კი ეშინიანთ – ვინც გინდა იყოს, მიზეზი: აღვიძებს და ამაგრებს ეროვნულ გრძნობებს – ეს კი რუსებს ეჯავრებათ! ქართველების დელეგაციისთვის თავის დროზე ეკატერინე II-ს უთქვია: „კარგი იქნებოდა, რომ ამ (ქართველუსის) მშვენიერ ტანში რუსული სული ყოფილიყოო“. ამათი შოვინისტური პოლიტიკის მთავარი დებულებაა, მხოლოდ ჩინელებს შეუძლიანთ გადააჩვიონ – ან სხვა რამე მინის ძერას! მე ხომ მოგწერე ერთხელ, რომ გამაფრთხილეს ორი ლის წინ: „პირადათ მიღება საზღვარ გარეთ გამოცემულ წიგნებისა შეგიძლიანთ, მაგრამ თუ თქვენ გაბედავთ საზღვარ გარეთ გამოცემულ (ნოზაძეს, „კავკასიონი“ 220 ცალი სამოციან წლებში) წიგნების გადაგზავნას, იქ გაგგზავნით, საიდანაც ჩამოხვედითო, ე. ი. koło podbiegunowe.[3]

პარიზში ისევე ეშინიანთ, როგორც თბილისში – მე შენ სიმართლეს გწერ!

---

[1] „არავითარი ქართველები!“ *(რუს.)*.

[2] ლაპარაკია 1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაციაზე, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შეცვლის მცდელობის საპასუხოდ ჩატარდა *(ლ. ც.)*.

[3] ციმბირში *(პოლ.)*.

აი, როცა შენი სტუმრები ჩამოვლენ – ცალ-ცალკე დეეკითხე – ერთად ნუ – საუბედუროდ ეს ცნობილი შიში – რომელსაც მოჰყვება ტერორი – ეს იცის ყოველ საბჭოთა კავშირის მოქალაქემ – მაგრამ ყველაფერს თავისი ბოლო აქვს!

შევარდნაძეს უთქვია ბრეჟნევისთვის „შენ მეორე ლენინი ხარ"-ო. ამაზე მეტი რა გინდა, ვის უნდა ენდო – ყველა ჯაშუშია და დამბეზღებელი. ამისთანა ჰავაში როგორ უნდა შეატყო ნამდვილ ქართველს, ყველაფერმა უზენაეს წერტს მიაბჯინა და სხვა რამე გასავალი არა ჩანს – ეს მსოფლიოს მუწუკი უნდა გასკდეს, ვინ და რა იქნება ამის ჩამდენი და რა საშინელება დატრიალდება მსოფლიოში – ვინ აიღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას – რუსებს ეშინიათ „ნორიმბერგი"-სა[1] – მარტო გამარჯვებაზე ფიქრობენ – ეს ავადმყოფი ხალხია. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.

მე დღიდან დღეზე კარგათა ვგრძნობ თავსა, ნეტავ შენ როგორა ხარ? რაც ექიმებმა დამავალეს, ვასრულებ და ვვარჯიშობ! თუ განგება მაღირსებს, მერმის ვიქნები საქართველოში მეუღლით! ჯერ დასვენებაზე არ მივდივართ (სხვათა შორის ძალიან მაცია), ერთ კვირაში მაიკო ჩამოდის პარიზიდან და შემდეგ ვნახამთ!

იმედი მაქვს, რომ ჩემ ნაბღაჯნს გაარჩევ და როცა ბოლმა მოგადგება, მოიწერე!

შენ მეუღლეს გულწრფელი სალამი და მოკითხვა ჩვენგან.

შენ გკოცნი ძმურად
მიხეილ კვალიაშვილი
9.9.79 წ.
პოზნანი

60.

ძვირფასო ძმაო ნიკა!

შენი ამანათი მივიღე მთლიანათ; მადლობელი ვარ; ბოდიში, რომ დრო დაკარგე და შეგაწუხე! ჩვენი თაობის ამხანაგები – თუ ვინ და რომელ პოლკში მსახურობდნენ, ამაზე დიდი მადლობა! დანარჩენს მგონი მოვერევი (არხივისთვის მინდა, დამთავრებისას ჩავაბარებ – ვისარგებლებ, მანამ იქვე ვმუშაობ. რაც შემეხება მე: ბრიგადის უმფროსმა 24.8.39 წინ და წინ დამნიშნა d-ca szwadronu marszowego 15 puł w ośrodku zapasowym Kraśnik! Bakradze 17 puł და Ugrechelidze იყვნენ z-ca d-cy szw. kiedy został zabity mjr. Majewski 17 puł, to objął Wano ბაქრაძე a Taliko po przeformowaniu wojska objął 7 PSK. Bór Komorowski znał mnie dawno i dobrze. Kiedy się zameldowałem w W-wie w AK. 4/I-40 to wyznaczył mnie na of. do specjalnych zleceń na Poznańskie i w 1943 r zostałem awansowany na majora i dostałem złoty krzyż zasługi z mieczami w AK. a za wojnę otrzymałem V.M. 5 kl, taliko też.[2]

ხუნდაძე იყო A. K.-ში, შემთხვევით მოკლეს ისე, როგორც შენ იწერები.

ვანო ქავთარაძე სხვა საქმეა, ვიცი ნამდვილად, ახლო ვიყავი K.G.A.K. – ვანო კომუნისტობდა. ის ცოლი, კბილის ექიმი, – რუსი იყო ჩამომავლობით და ერთმა პოლკოვნიკმა ესე მითხრა: „Michale przepraszamy, ale musieliśmy tak postąpić".[3] კიდევ უნდა მოეკლათ ალშიბაია – დროზე გაიგო და დანიშნა გიორგი ნაკაშიძე და გაკურცხლა დასავლეთისკენ. მურტალი კაცი ყოფილა, დიდი სიმდიდრე გაუტაცნია!

---

[1] ნიურნბერგისა *(გერ.)*.

[2] კრასნკის სათადარიგო ცენტრის მე-15 პოლკის ესკადრონის მეთაურად! ბაქრაძე და უგრეხელიძე მე-17 პოლკის მეთაურის თანაშემწეები იყვნენ, როცა მაევსკი მოკლეს და მე-17 პოლკის მეთაურობა ვანო ბაქრაძემ იკისრა. ტალაკომ კი ხელახლაფორმირებული მე-7 პოლკი ჩაიბარა. მე და ბურ კომოროვსკის დიდი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებდა და როცა მე, 1940 წლის 4 იანვარს, ეარშავაში არმია კრაიოვას შემადგენლობაში ჩავირიცხე, მან პოზნანის მიმართულების სპეცდანიშნულების აღმასრულებელ ოფიცრად დამნიშნა. 1943 წელს მაიორის წოდება მომანიჭეს და არმია კრაიოვაში განსაკუთრებული დამსახურებისთვის დამაჯილდოვეს ოქროს ჯვრისა და ფარის ორდენით, ომში მონაწილეობისთვის კი მე-5 კატეგორიის ვირტუტი მილიტარის ორდენი მომცეს. ეს ორდენი ტალაკომაც მიიღო *(პოლ.)*.

[3] მიხეილ, მაპატიე, მაგრამ ასე უნდა მოვქცეულიყავით *(პოლ.)*.

ვალოდია ლალიძემ ორი V. M.[1] მიიღო, ერთი აქა, ომის დროს რუმელისგან, მეორე იქ, jako d-ca art. dywizyjnej.[2] ზაუტაშვილმაც გვასახელა V. M. და Turaszwili V. M.[3] დანარჩენი არ ვიცი. ამ ბოლო დროს ვაჩუქე ეროვნულ მუზეის ბიბლიოტეკას: historja sztuki Gruzinów po polsku.[4]

მაქვს კიდევ ორი ცალი ქართულად, დიდი სიამოვნებით მოგთავაზებ და კიდევ: წმინდაი ოთხთავი, ე. ი. ახალი აღთქუმაი, მე ჩემი მაქვს, ორივე გამოცემულია შვეიცარიაში, მაგრამ თბილისის (1963) გამოცემის თარიღით.

ჩემი ნერის ხასიათი მთლად დამიმახინჯდა – დღიდან დღეზე ცუდათ ვწერ to skutek wylewu krwi[5] – წამლებს კიდევ ვხმარობ! მადლობელი ვარ დარიგებაზე, თუ როგორ უნდა გნახო და მოვხვდე; თითონ მოგზაურობას არ მირჩევენ ექიმები – ერთი სიტყვით, ახლო მომავალი გვიჩვენებს. შენი ფეხის ამბავი? როგორა ხარ?

გულიანათ მომიკითხე შენი მეუღლე, იყავით ჯანმთელად ორივენი – უნდა გავსწიოთ ჭაპანი ბოლომდე!

შენი ძმა მიხეილ კვალიაშვილი
25.II.80 წ.

შენ ვაჟას პოლონურად მალე შეუდგები?

მ.

61.

ძმაო ნიკა! ძალიან გთხოვთ, რომ – თუ ვინიცობაა გაქვს ყველა იუნკრების სია, გამომიგზავნე. ჩემს მხრივ, რაც კი მეგულება, ყველას მოგთავაზებ! მე მოვრიგდი ჩემ კუსტორთან (kustorz),[6] რომ მას ჩავაბარებ ყველა იმ მასალას, რომელიც შეეხება ქართველებს, რომელნიც ემსახურობდით პოლონურ ჯარში – ჩემის აზრით, უკვე დროა დავიწყოთ[7] ამაზე ზრუნვა.

Drogoj Pani Do Siego Roku, spokoju, zdrowia i pomyślności
Michał Kwaliaszwili
z Rodziną
25.[01].81 s.[8]

62.

26 ვარდის თვეს გაუმარჯოს! გაუმარჯოს ქართველ მოდგმას, გაუმარჯოს საქართველოს, რუსთაველის სიყვარულს, თამარის ბრწყინვალებას, ერეკლეს ხმალს, დიდგორის გამარჯვების მეთაურს – დავით IV და შენ გაგიმარჯოს, ძმაო ნიკა!

მიხეილ
24.V.81 წ.

---

[1] V. M. – Virtuti Militari (ვირტუტი მილიტარი) – პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენი *(პოლ.)*.

[2] არტილერიის დივიზიის მეთაურმა *(პოლ.)*.

[3] ტურაშვილიც – ვირტუტი მილიტარის ორდენის კავალერია *(პოლ.)*.

[4] „საქართველოს ხელოვნების ისტორია" პოლონურად *(პოლ.)*.

[5] რაც ინსულტის შედეგია *(პოლ.)*.

[6] უნდა იყოს: kustosz *(ლ. ც.)*.

[7] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამორჩენილია *(ლ. ც.)*.

[8] ძვირფას ქალბატონს ახალ წელს ეუსურვებ მშვიდობას, ჯანმრთელობასა და ნარმატებებს. მიხეილ კვალიაშვილი ოჯახით. 25.[01].81 წ. *(პოლ.)*.

ლევან მენაბდე

1.

7.V.1968 წ.
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ., №1
ტელეფონი № 22-94-97, 4-97

დიდად პატივცემულო ბატონო ნიკოლოზ!
მივიღეთ თქვენი წერილი და „ორიენტალისტთა მიმოხილვის" ერთი საინტერესო ნომერი.
მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მადლობა ამ დიდებული ძღვენის გამო.
ვიმედოვნებთ, კვლავაც არ მოგვაკლებთ ყურადღებას.
უღრმესი პატივისცემითა და უსაზღვრო მადლიერების გრძნობით

რუსთაველის კაბინეტის გამგე,
პროფესორი: ლ. მენაბდე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჭ. რუსთაველის სახ. კაბინეტი
КАБИНЕТ ИМ. Ш. РУСТВЕЛИ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ., № 1, ტელეფონი № 22-94-97, 4-97—Тбилиси, просп. И. Чавчавадзе, № 1, тел. №№ 22-94-97, 4-97

№_____ 7.V 1968 წ.

ლიაო პატივცემულო ბატონო ნიკოლოზ!

მივიღეთ თქვენი წერილი და "ორიენტალისტთა მიმოხილვის" ერთი საინტერესო ნომერი.
მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მადლობა ამ დიდებული ძღვენის გამო.
ვიმედოვნებთ კვლავაც არ მოგვაკლებთ ყურადღებას.

უღრმესი პატივისცემითა და უსაზღვრო მადლიერების გრძნობით

რუსთველის კაბინეტის გამგე,
პროფესორი: ლ. მენაბდე

ლევან მენაბდის წერილი ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი, მანქანაზე ნაბეჭდი, 7 მაისი, 1968 (სლმ. №28444-2-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

ვასილ ფერაძე


1.

ძვირფასო ნიკო!

დამატებით გამოგზავნილი წერილისა გიგზავნი საქართველოში პირველად დაბეჭდილ სტატიას გრიგოლ ფერაძის შესახებ. „ჯეჯარი ვაზისა“ აკრძალული ყოფილა და ფოსტით არ გამოგზავნო. შეიძლება ტურისტებმა წაიკითხონ და მიამბონ. ის გაზეთი კი, რომელშიაც ყოფილა მის შესახებ სტატია, ძალიან მაინტერესებს. თუ რამე შენიშვნები გაქვს პროფ. მეგრელიძის სტატიის შესახებ, რედაქცია მადლობით მიიღებს ამას და დაბეჭდავს.

იყავი ბედნიერად და ჯანმთელად.

ვასო ფერაძე
29.X.69 წელი



ვასილ ფერაძის წერილი ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი, ავტოგრაფი, 29 ოქტომბერი, 1969 (სლმ. №28444-3-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

ალექსანდრე სულხანიშვილი

1.

Mr. Nikolos Mathikaszwili
ul. Kr. Jadwigi 13
Zalesie Dolne k/Warszawy
Piaseczna Polska

სანფრანცისკო
28 მარტი, 81 წ.

გამარჯვება ძმაო ნიკო!

დიდი ხანია შენი ამბავის გაგება მინდოდა და ვერასგზით ვერ მოგაგენი. დიდი ხანი არ არის, რაც ხელში ჩავიგდე მიშა კვალიაშვილის მისამართი. მას მოვწერე წერილი და ვთხოვე შენი მისამართიც, გამიხარდა, რომ მანდა ხარ და კარგათა ხარ. გაგებული მაქვს, რომ საქართველოშიაც ყოფილხარ. საწყალი, ფერაძესთან რომ ვიყავით და ვნახეთ ის ძვირფასი ძველებური დოკუმენტები, რომლებიც ჯერ ჩაყლაპულნი არიან.[1] იქნებ სურათი გაქვს მათი? საწყალი ღვდელი დაღუპეს. ბევრი რამის მონერა მინდა, მაგრამ თავს ვიკავებ. ძალიანა ვწუხვარ, რომ რუსებმა მანდ მანევრები გამართეს. ალბათ შემოვლენ საუბედუროთ... საწყალო პოლონელებო. მე ჩემი მოგონება[2] მაქვს დანერილი და ჩქარა იქნება დაბეჭდილი. ძალიან საინტერესოა, ბევრი ისტორიული ფაქტებია, თუ დავკავშირდით როგორმე, რომ დაიბეჭდება, გამოგიგზავნი. აბა, ჩემო ნიკო, ეს პირველი წერილი მოკლე და შემდეგში თუ შესაძლებელი იქნება, უფრო ვრცლათ მოგწერ. მრავალი მოკითხვა შენს მეუღლეს, თუმცა ალბათ აღარ ვახსოვარ. მე ძლივს გადაურჩი გერმანელებს.


გეხვევი ძმური სიყვარულით ა. სულხანიშვილი

ჩემი მისამართი:
A. Soulkhan
145 Terra vista
S. F. Calif. 94115[3]

[1] რომანოზ ფერაძის ცნობით, ლაპარაკია გრიგოლ ფერაძის მიერ იერუსალიმიდან ნამოღებულ იშვიათ ხელნაწერებზე და ნივთებზე, რომელთა შორის იყო უნიკალური ხატი „ქრისტეს გარდამოხსნა". გრიგოლ ფერაძის დაპატიმრების შემდეგ ეს ყველაფერი გესტაპოელებს ჩაუვარდათ ხელში. ერთადერთი გადარჩენილი ნივთი, ჩვენთვის დაკარგული ამ განძიდან, გრიგოლ ფერაძის ჯიბის სახარებაა, რომელიც ჩხრეკის დროს, გესტაპოელებისაგან მალულად, ვიტალი უგრეხელიძემ უბეში დამალა. ამჟამად, სახარების ეს იშვიათი ეგზემპლარი რომანოზ ფერაძის ოჯახში ინახება *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება ალექსანდრე სულხანიშვილის თხზულება „ჩემი მოგონებანი", სან-ფრანცისკო, 1981 წ. *(ლ. ც.)*.

[3] ა. სულხანი, 145 ტერა ვისტა, სან-ფრანცისკო, კალიფორნია 94115 *(რედ.)*.



გრიგოლ ფერაძის ნაქონი „წმიდა სახარებაჲ“, წიგნის ფორზაცი, ტფილისი, 1900 (რომანოზ ფერაძის კერძო კოლექცია, თბილისი).



წმიდა სახარებაჲ

უფლისა ჩუენისა

იესო ქრისტესი

მათესი, მარკოსისი, ლუკასი და იოანესი.

ტფილისი.




სახარება მათესი.


თავი 1.

1. წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი.
2. აბრაჰამ ჰშვა ისაკ; ისაკ ჰშვა იაკობ; იაკობ ჰშვა იუდა და ძმანი მისნი;
3. ხოლო იუდა ჰშვა ფარეც და ხარა თამარისგან; ფარეც ჰშვა ესრომ; ესრომ ჰშვა არამ;
4. არამ ჰშვა ამინადაბ; ამინადაბ ჰშვა ნაასონ; ნაასონ ჰშვა სალმონ;
5. სალმონ ჰშვა ბოოზ რაქაბისაგან, ბოოზ ჰშვა ობედ რუთისაგან; ობედ ჰშვა იესე; იესე ჰშვა დავით მეფე;
6. დავით მეფემან ჰშვა სოლომონ ჴერის ცოლისაგან;
7. სოლომონ ჰშვა რობოამ; რობოამ ჰშვა აბია; აბია ჰშვა ასა;
8. ასა ჰშვა იოსაფატ, იოსაფატ ჰშვა იორამ; იორამ ჰშვა ოზია;
9. ოზია ჰშვა იოათამ; იოათამ ჰშვა აჭაზ, აჭაზ ჰშვა ეზეკია;
10. ეზეკია ჰშვა მანასე; მანასე ჰშვა ამონ; ამონ ჰშვა იოსია;

გრიგოლ ფერაძის ნაქონი „წმიდა სახარებაჲ“, წიგნის თაეფურცელი და პირველი გვერდი, ტფილისი, 1900 (რომანოზ ფერაძის კერძო კოლექცია, თბილისი).



გრიგოლ ფერაძის ხელრთვით შესრულებული შენიშვნები სახარების გვერდზე („წმიდა სახარება", ტფილისი, 1900, რომანოზ ფერაძის კერძო კოლექცია, თბილისი).



რწმენაში ცხოვრება ტკბილია, ხოლო თუ რწმენა არ გაქვს, მაგრად და მედგრად ვერ დგებარ ნიადაგსა ზედა, ვიტალი უგრეხელიძის მინაწერი გრიგოლ ფერაძის ნაცონი სახარების გვერდზე („წმიდა სახარება", ტფილისი, 1900, რომანოზ ფერაძის კერძო კოლექცია, თბილისი).



გრიგოლ ფერაძის პასპორტი (ქსეროასლი მოგვაწოდა დავით ყოლბაიამ).


2.

სანფრანცისკო
18 აგვისტო, 81 წ.

ძვირფასო ძმაო ნიკო!

ღმერთმა გაგახაროს ისე, როგორც მე გამიხარდა შენი წერილის მიღება, რომელსაც მოულოდნელად ველოდი.[1] დიდი ხანია შენი ამბის გაგება მინდოდა და არ ვიცოდი, ვისთვის მიმეწერნა, რომ გამეგო შენი ამბავი. შემთხვევით გავიგე კვალიაშვილის მისამართი, მაშინვე მივწერე და ამგვარად გავაბი მასთან კავშირი, მისგანვე გავიგე შენი მისამართი და მაშინვე მოგწერე. ძალიან მეწყინა განსვენებულ მიშას გარდაცვალება, ნარმოიდგინე, შენი წერილი მიეიღე პირველ რიცხვებში აგვისტოსი, და ოთხი დღის შემდეგ საწყალ მიშასგან მთელი წლის ჟურნალი „სამშობლო", ამ საქციელმა უფრო მეტად ჩამიკლა გული, რამდენად იყო განსვენებული გულწრფელი პატრიოტი. თუმცა ეს ჟურნალი აქ მოგვდის, მაგრამ მაინც გამიხარდა. მშვენიერი, გახარებული წერილები მივიღე მისგან, სულ სამი და ძალიანა ვწუხვარ, რომ უფრო ადრე არ დავკავშირდი მასთან. ასეა, ჩემო ნიკო ჩვენი ძაღლური იღბალი, ჩვენი მოძმეების საფლავებით მოფანტულია დასავლეთი. ჩვენი მთავარი მტრის მეოხებით... ჩვენზე უფროსი თაობიდან თითქმის აღარავინ დარჩა ცოცხალი, რაც დიდად აპრკოლებს ქართულ საქმიანობას. იღბლიანი კაცი ყოფილხარ, რომ ამ სიბერის დროს მაინცა ნახე ჩვენი სამშობლო, მე ეგეც არ შემიძლიან. მესმის და ვიცი, რომ საქართველოში დიდი ეროვნული აღმინებაა,[2] რაც დიდად მახარებს. რაც შეეხება განსვენებული ვანოს ცხოვრებას აქ, ასეთი იყო: ვანო მე ევროპაშივე გავიცანი, აგრეთვე მისი ნაწერებიდანაც. ვანო, როგორც მომეტებული ნაწილი, პოლონეთიდან ინგლისში მოხვდა. ამ დროს მე ნიუიორკში ვიყავი, დაახლოებით 49-50 წლებში. მე არ ვიყავი ვანოსთან დაკავშირებული. ნიუიორკში


[1] sic!
[2] sic!



მოწმობა

სრულიად საქართველოს საეკლესიო სობჩო აღმსტურვის ჯვროვანის სელის მოწერილია და მტკიცის დასმით, რომ სიონაროს მაზრის ქასყაკეთის წმ გიორგის ეკლესიის —

სამღვდელო წოდების ქიზიკური — ნაწილობრივ პირველ პატრიოტიზმის. შაშიათ სკოლის მე-14-ეშვიდის ქუსუ. ოთხ. ს. ათ ბმძყრა — კურსი მეცხრა — წელის, ნაწერალია: „რაიზარა აგვისკის ა პრა- თეთრებულის და მიინათრა ნიკოლოზ თეკლეულის გიორგი; მშობელნი მისნი: ქასყაკეთის წმ გიორგის ეკლესიის მღვდელ- ი ჩაძან ფეკაძე და სკოლიური კურსი მისი შეიძ ქასაიანის ასული, ანნიკე მახითაშვილიანთის სახლ მამულები ; ძიმჩქეროდ იყვნენ : ნიკოლოზ კეძის დაიკანი ალექსი ქასაიანის ძე სამშობლოში და მიტრაქე ალექსანდრე კასა- ქვის კურთ- ერთის ქერი აქაშის ასული; სიონის ტრო- ნათ- ლოდ



G I

Sterbeurkunde

(Standesamt: Auschwitz ——— Nr. ———)

Der Pastor Grigori Peradze ———

——— griechisch-orthodox —

wohnhaft Warschau, Bukowinskaja Nr. 22 ———

ist am 6. Dezember 1942 um 16 Uhr 45 Minuten

in Auschwitz, Konzentrationslager ——— verstorben.

Der Verstorbene war geboren am 31 August 1899 ———

in Tiflis, Russland ———

(Standesamt ——— Nr. ———)

Vater: Roman Peradze, zuletzt wohnhaft ———

in Tiflis ———

Mutter: Maria Peradze geborene ———

Samadaschwili, zuletzt wohnhaft in Tiflis


~~Der~~ Verstorbene war ~~nicht~~ verheiratet ———

Auschwitz, den 30 Dezember 1942

Der Standesbeamte
In Vertretung

Gebührenfrei

გრიგოლ ფერაძის გარდაცვალების მოწმობა, 30 დეკემბერი, 1942 (ქაროსანი მოგვანოდა **დავით ყოლბაიამ**)



ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და ალექსანდრე სულხანიშვილი, პარიზი, 1920-იანი წლების ბოლო (პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, თბილისი).

ცხოვრობდა სიკო სიდამონ-ერისთავი თელავიდან, რომელსაც მე კარგად ვიცნობდი, მთელ მათ ოჯახს. სიკოს კარგი ოჯახი ჰქონდა, ცოლი ამერიკელი კარგ ოჯახიდან.[1] ვანოს გაუგია სიკოს ამბავი, რომ მას შეუძლიან „აფიდევიტის" მიცემა ამერიკაში შემოსასვლელათ და მოუწერია სიკოსათვის თხოვნა, რომ მასაც მისცეს „აფიდევიტი". სიკომ მე მომმართა, ე. ნანუაშვილი ლონდონიდან მთხოვს, რომ „აფიდევიტი" მივცეო, რას მეტყვი შენ, იცნობ ამ კაცსაო? მე გამიხარდა და მაშინვე უთხარი, მიეცი, რაც შეიძლება მალე, მე კარგად ვიცნობ, კარგი პიროვნება არის მეთქი. სიკომ მაშინვე გაუკეთა საჭირო ქაღალდები და გაუგზავნა. მეც აგრეთვე გავაბი კავშირი ვანოსთან და მის შემდეგ თითქმის სულ ერთად ვიყავით და აი, აქ დავახლოვდი მასთან საკმარისად მჭიდროდ. რამდენიმე წელიწადი ვცხოვრობდით და ვმუშაობდით ნიუიორკში 1952 წ. მე მომიხდა კალიფორნიაში გადმოსვლა. „უნდა ითქვას, ნიუიორკში ძალიან ცუდი გასაძლისი ბუნებაა". ვიცოდი, რომ კალიფორნია ძალიანა ჰგავს ჩვენ ქვეყანას და, ამისათვის აქეთ გადმოვსახლდი. საწყალ ვანომაც მოინდომა აქეთ გადმოსვლა და მწერდა, რომ მომეწყო მისი აქეთ გადმოსახლებაც. ასეც მოვიქეცით და მას აქეთ ვცხოვრობდით აქ. ალბათ იცი, გოგი ჯავახიშვილთან იყო ვანო დამეგობრებული ლონდონში. მისი ქალიშვილი და სიძე ჩამოსახლდნენ ლოს-ანჟელოში და ვანო თითქმის ყოველ წელიწადს მიდიოდა მათთან, ორი ან სამი კვირით. ამათ შესახებ დაბლა კიდე მოგწერ. როგორც გაგიგია, ვანომ აქ დაწერა წიგნი ინგლისურათ, თუმცა ინგლისური კარგად არ იცოდა, მაგრამ გაუსწორეს. დიდი გამოძახილი ჰქონდა ამ წიგნს, ნამეტნავად სამხედრო შტაბში, რომლითგანაც ვანოს საუკეთესო შეფასება მოსწერეს, აგრეთვე ინგლისის მთავარ მხედრებისაგან და მრავალი სხვა. საწყალმა ვანომ თავისი ფულით დააბეჭდინა ეს წიგნი, დაუჯდა 8-9 ათასი დოლარი. მიუხედავად იმისი, რომ ბევრი დავგზავნეთ წარჩინებულ პირებთან ეს წიგნი, მაგრამ სამუბედუროდ, იმ დროის პოლიტიკურ განწყობილებისა გამო, ვანოს წიგნი არ გაერცელდა, თუმცა 3 თუ 4 ათასი იყო დაბეჭდილი. ამეებში ყველაფერში ვეშველებოდი და ხელს უწყობდი საწყალს. მის სიკვდილის შემდეგ, როცა დამჭირდებოდა მისი წიგნი ვისიმე მისაცემათ, გამოვიწერდი ხოლმე 2-3 ც. ეხლა მინდოდა სამი წიგნი ეხლანდელ ადმინისტატისათვის გასაგზავნათ. გამოვიწერე, ღირდა ათი დოლარი, მაგრამ უარი მომივიდა. გააქრეს ეს წიგნი დაინტერესებულმა პირებმა... მე მიმხვდარი ვარ, ვინა.

განსვენებული ვანო ძალიან უვლიდა თავს, მას ჰქონდა კუჭი სუსტი და ამისათვის იკვებებოდა მეტიწილი ქათმის ხორცით, რომელიც აქ მრავლად არის. უკანასკნელ ხანებში გახდა და კარგათ არა გრძნობდა თავს. მე ურჩიე, რომ ექიმს გეეშინჯოს, გამიგონა. ექიმმა ურჩია, რომ საავადმყოფოში უნდა დასწვე ანალიზებისთვისაო. დავაწვინეთ საავადმყოფოში. ანალიზებმა აჩვენა, რომ კიბო გამოაჩნდა კუჭში. სულ ორი კვირის ავადმყოფობით საწყალი ვანო 15 სექტემბერს 1975-ში გარდაიცვალა. ასე უცბათ გამოგვეცალა ხელიდან ეს უბედური ნიჭიერი და საჭირო კაცი, ნამეტნავათ დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობაში. ანდერძი ჰქონია დაწერილი გოგი

[1] იგულისხმება ამერიკელი ადვოკატისა და საბელმწიფო მოღვაწის ჯონ ბიგელოუს შთამომავალი – ენ ტრეისი (ლ. ც.).

ჯავახიშვილის ქალზე და სიძეზე, მაგრამ დოკუმენტზე ხელი არა პქონია მოწერილი, ისე რომ სადაო და სახლაფორთო გახდა, მაგრამ მაინც ჩვენ სუყველაფრით ხელი შეუწყეთ, რომ მათ წაეღოთ ყველაფერი. საწყალს ცოტა ფულიც დარჩა და, რათქმაუნდა,[1] მათ ყველაფერი წაიღეს. სიმართლე უნდა გითხრა, აქაური ქართველები და მე პირადათ ძალიან გაჯავრებული ვარ მათზე და აი, რათა! ჯერ, როდესაც გადაიცვალა[2] და შევატყობინეთ, შემოგვითვალეს, ჩვენ ევროპაში მივდივართ, დაასაფლავეთ და რომ დავბრუნდებით, მანდ მოვალთო. მე მგონი, დიდ მეგობარს ასე არ ექცევიან. როდესაც დაბრუნდნენ ევროპიდან, გოგია თავის ქალ-სიძეთი მოვიდნენ, ყველაფერი წაიღეს და მერე ფეხებზე დაიკიდეს ყველაფერი. საწყალი ვანოს საფლავი დღესაც უძეგლოთ არის, სულ უსვინდისონი ყოფილან, უნდა გითხრა გულახდილათ. ბევრი მოთმენის შემდეგ ჯაერი მომივიდა და მკაცრათ შეუთვალე, სუყველაფერი თქვენ წაიღეთ და ვანოს საფლავს მოვლა უნდა მეთქი. ასე იქნება თუ ისე, ჩვენ მაინც მის საფლავს მოუვლით, თუმცა აქ, სანფრანცისკოში და ჩვენ ახლო ცოტანი ვართ ქართველობა. ჩემო ნიკო, ძალიან მაინტერესებს ჩვენი ღვდლის ამბავი და ის მშვენიერი ისტორიული სანახავები, თუ კიდე იცი რამე ან სურათი თუ გადაიღე. საწყალი ფერაძე როგორ დაღუპეს ქართველებმა. მეც ძლივს გადაურჩი მათ... ვინც ფერაძე მოკლა...

რაც შეეხება ჩემ პირად ცხოვრებას, ჩემო ნიკო, მთლიანათ ამხანაგებს და ჩვენი ქვეყნის საქმეს მოვანდომე. ოჯახობას ვერ მოვეკიდე თავის დროზე, ეხლა ეს ხუთი წელიწადია, შევირთე ქვრივი ქალი, ჩიქოვნის ნაცოლარი აქ, ამერიკაში, რომელსაცა პყავს ოთხი ბიჭი. ვიფიქრე, მე შვილები არ მეღირსა, ეს ბიჭები მაინცა გავაქართველო, ამათ არცკი იცოდნენ თავიანთ მამის ნათესავები თუ არსებობდნენ, მე გამოუძებნე, ორი უფროსი ბიჭები გავგზავნე საქართველოში, თავიანთ ნათესავიცა ნახეს და ჩემებიც. ერთი ეხლა ჩქარა წავა თბილისში და დარჩება ექვს თვეს, ენა უნდა შეისწავლოს. ჩემი ნათესავებიდან ბევრი ვერავინ გადარჩნენ. ჩემი დის ჩამოყვანა მინდოდა, მაგრამ არ გამოუშვეს, ერთი ან ორი თვით მაინც. მე წიგნი დაეწერე, მაგრამ დაბეჭდვა[3] გამიძნელდა. ქართული ბეჭდის საშუალება მარტო პარიჟში ჩვენ სოციალისტებს აქვთ, მაგრამ მათ არ დამიბეჭდეს, რადგან ჩემ წიგნში მრავალი კრიტიკაა. ამისათვის იზრაილში ერთმა ქალმა იკისრა, დამიბეჭდა ხელის მანქანაზე და აქ გავამრავლე. კარგი წიგნი გამოვიდა, სავსეა ისტორიული მასალებით. შიგ სამი სურათია მე და ქაქუცასი ერთად თურქეთში გადაღებული და ჩემი, ჩოხაში გადაღებული. შემატყობინე, შეიძლება გამოგიგზავნო? მე ეხლა 86 წლისა გავხდები მომავალ იანვარში. თუმცა ოთხი ოპერაცია მქონდა, მაგრამ ჯერ კიდე მაგრათა ვარ. ძალიან მეწყინა, რომ ასეთი მძიმე „აქსიდანი"[4] გქონია. მადლობა ღმერთს, რომ კარგათ გამორჩენილხარ. მრავალი მოკითხვა შენ მეუღლეს, თუ კიდე ვახსოვარ. მანდ რამდენი ქართველია, თუ შეიძლება წიგნების გამოგზავნა, მომწერე, ყველას გამოუგზავნი შენ სახელზე. მაპატიე, რომ დაგვიანებით გწერ პასუხს, რადგან ძალიან ვიყავ დაკავებული.

გეხვევი ძმური სიყვარულით
ა. სულხანიშვილი

გარკვეული ხელით მომწერე შენი მისამართი.

[1] sic!
[2] sic!
[3] sic!
[4] accident – უბედური შემთხვევა, ავარია *(ინგ.)*.

3.

სანფრანცისკო
22 ივნისი, 82 წ.

ძვირფასო ძმაო ნიკო!

შენგან ერთი წერილი მივიღე და მაშინვე გიპასუხე. აღარაფერი ვიცი, მიიღე თუ არა. შენი მისამართი საწყალმა კვალიაშვილმა გადმომიგზავნა. საუბედუროთ, მანდ არ არის ნორმანული[1] ცხოვრება და იქნებ ჩემი წერილი არცკი მიიღე. ძალიან გამიხარდა, რომ ჯერ კიდევ ყოჩაღათა ხარ. მე რომ შენი წერილის პასუხი მოგწერე, შეგეკითხე, რომ თუ შესაძლებელი იქნება, გამოგიგზავნო ჩემი მოგონება ჩვენ შესახებ. ამის გარდა, მრავალი საკითხებია, რომლებიც მე მაინტერესებს და შენც, არ ვიცი, შეიძლება თავისუფლათ წერა ზოგადათ მაინც. ძალიან მაინტერესებს საწყალი ჩვენი მღვდლის სახლში ნანახი. იქნებ მათი სურათი გაქვს? საწყალ კვალიაშვილს რა დაემართა? მისგან ორი წერილის მიღება მოვასწარი. როგორა ცხოვრობ, მანდ გაჭირვებაა, ვიცი და დიდი სიამოვნებით გამოგიგზავნი ამანათს. მომწერე თუ შეიძლება, ან რა უფრო გჭირდება. ველი შენ წერილს მოუთმენლად. გულითადი სალამი შენ მეუღლეს. ვინ არიან მანდ კიდე ქართველები?

გეხვევი ძმური სიყვარულით
ა. სულხანიშვილი

გწერ მოკლე წერილს, შემდეგში ვრცელს, თუ შესაძლებელია?
მომწერე შენი გარკვეული მისამართი, ადვილად გასაგები.

4.

Mr. Mikołaj Mathikaszwili
ul. Kr. Jadwigi 13
Zalesie Dolne
k/Warszawy. Piaseczna 05-501
Poland

სანფრანცისკო
14 თებერვალი, 83 წ.

გამარჯობა ძვირფასო ძმაო ნიკო!

სამი კვირაა, რაც შენი წერილი მივიღე, ძალიან მწყინს, რომ შენი აღარაფერი ვიცოდი დიდ ხანს, ვწუხდი, რომ რამე უსიამოვნება ხომ არ დაგემართა. გამიხარდა შენი წერილი რომ მომივიდა და კარგათა ხარ, ვწუხვარ რომ შენი მეუღლე ავადმყოფობს. გადაეცი ჩემი გულითადი მოკითხვა, ვუსურვებ მალე გამოჯანსაღებას და ყოველივე კეთილს. მაპატიე, რომ ასე გვიან გწერ პასუხს. შენი დავალება შევასრულე, დღეს გამოვგზავნე შენთან, როგორც მწერდი ძველი მისამართით ამანათი ზეთის „კრასკებით" და სამი „ჩოტკი".[2] „კრასკები" არის ათი ცალი, რომლებითაც ყველა

[1] sic!
[2] საღებავებით და სამი ფუნჯი *(რუს.)*.


სანფრანცისკო
22 ივნისი 82წ.

ძვირფასო ძმაო ნიკო!

შენგან ორი წერილი მივიღე და მაშინვე გიპასუხე, ძალიან ვიცი მოიწყინე ამის. შენი პასუხებით სრულიად ვერ გაიგე შენ გადმოგცემდი. საუბრებისა შენ ამის ნაწილ მანაც ცხადად ხედავ. და იქნებ ჩემი წერილი არც მოიწყინე. ძალიან გამახარა ის ფაქტ ყალიბდება ბატ. ჭ ჩემ შენი წერილი პასუხი მოგწერე ჩემი მოგზაურობის გამო. ვგრძნობ ჩემი მოგზაურობა ჩვენ შესახებ. ამიტომ გიხსნი სავარაუდოა ჩემ მოინტერესებ მე მოინტერესებ და შენც ის კითხა შეიქმნა თავისებურად წერა მოგიდით მოინტ. ძალიან მოინტერესებ სიტყვა ჩვენი მეგობარ სიტყვაში ნათქვამი. იქნებ მთა სიტყვით გაჭვ? სიტყვა ვერაფერ შეცდ ის ტექნიკაა? მიხვალ ლია წერილ მოიტ მოგესწრება. ჩავალ ცხოვრებ, მანდ გაფრენებაა ვიცი და ტანი შია მოგნებ გამოგიგზავნი იმიტომ მიმწერ თუ შეიძლება ან ის უკეთ გზრდება. ვინ შენ წერილ მოთავიერებ. ბევრად ლაპარაკი შენ მიყურებ. ვინ ისინი მიხვ ვიდე ჭორაობენ?

გიხვიი ძმაო ნიკოლოზ. ისწრაფვი,
ერეკ შენი წერილ შეიძლება კვირეც თუ შეიძლება?

ალექსანდრე სულხანიშვილის წერილი ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი, ავტოგრაფი, სან-ფრანცისკო, 22 ივნისი, 1982 (სლმ. №28445-3-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



ალექსანდრე სულხანიშვილის ნერილი ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი, აეპოგრაფი, სან-ფრანცისკო, 14 თებერვალი, 1983 (სლმ. №28445-4-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

ფერების შედგენა შეგიძლიან. ერთი მათგანი არის დიდი თეთრი „კრასკა“, თურმე ასე ყოფილა საჭირო. ყოველიე „კრასკა“ ტუში არის ცალკე პლასტიკის ყუთებში. მე სწორე გითხრა, ამისი არა გამეგება რამე. ჩემი მეუღლის შვილს ავარჩევინე, რადგან თითონ ხატავს, არხიტექტორია. როგორც ამან მითხრა, კარგი „კრასკებიაო“. დღეს გამოვგზავნე, მინდოდა დამეზღვია, მაგრამ დაზღვევით არ მიიღეს საუბედუროთ. მაგრამ ყველანაირათ მომიხერხეს, რომ მანდ ქექვა არ დაიწყონ და არ დაიკარგოს. გამოვგზავნე თვითმფრინავით, ალბათ მალე მიიღეფ. აი დღესვე გნერ წერილს და ვეცდები, ყველაფერზე გიპასუხო. სანფრანცისკოში ბევრნი არა ვართ ქართველები. აქ არის მანველიშვილი, მაჩაბელი და ორიც სხვანი. ლოსანჟელოში არიან ხუთიოდე ქართველი, ერთი მათგანი არის ახალსოფლიდან მარგველაშვილი, ძალიან კარგი ბიჭია, ყოფილი ტყვე. ორმოცდაათ მაილზე სანტ-როზაში არიან ოთხი ქართველი, მათშორის ორნი ძმები არიან გალაშვილები დუშეთიდან, ძალიან კარგი ბიჭები არიან, ამათ მე ხშირათა ვხვდები. მანველიშვილს და მაჩაბელს თითქმის ყოველდღე ვხვდები, მოკითხვა შემოგითვალა მანველიშვილმა და მაჩაბელმა. საწყალმა ვანომ კარგი წიგნი დაწერა, მაგრამ საუბედუროთ, გაერცელებას ხელი შეუშალეს, თუმცა დაბეჭდილი იყო სამი ათასამდე, რომელნიც დაიკარგნენ. მანამ ცოცხალი იყო, ალბათ ერთი ასიოდე წიგნი დავარიგეთ მთავარ ადგილებზე და კარგი წერილებიც მოსწერეს. ძალიან ფინთად მოიქცნენ გ. ჯავახიშვილის ქალი და სიძე, რომლებზედაც ჰქონდა ვანოს გაკეთებული ანდერძი, მაგრამ ხელ მოუწერელი, ამანაც ძალიან ხელი შეუშალა მის წიგნების გაერცელებას. მთელი ყველაფერი მათ წაიღეს, საწყალი ვანოს ბიბლიოტეკა და ბევრი რამ. არა ყოფილან კარგი ხალხი. გოგიაც გადაიცვალა ვანოს შემდეგ. ჩემო ნიკო, მე მაქვს დანერილი წიგნი, რათქმაუნდა, ქართულად, შეფიცულთა რაზმის მოქმედება თავიდან ბოლომდის. ძალიან მინდოდა გამომეგზავნა, მაგრამ ვერიდები, რამე უსიამოვნება არ მოგაყენო. მე აქ მომდის თბილისიდან „სამშობლო“, ზოგადად კარგ რამეებს სწერენ. მივიღე კარბელაშვილის წიგნი, ისტორიულ რომანათ დაწერილი. ნადირაძემ გამომიგზავნა თავისი წიგნი ლექსებით, ძვირფასი წიგნია, მშვენიერი ნარნერით. თურმე ჩვენი უფროსი კარგადა სცნობია. ჩემო ნიკო, მოქმედი ქართველები დაიხოცნენ. დაიხოცნენ შეფიცულები, მათგან მეღა დავრჩი ცოცხალი და ვინ იცის, კიდე რამდენს გავძლებ, თუმც ჯერ თითქო არამიშავრა, მიუხედავად იმისა, რომ ოთხმოცდაექვსი წლისა ვარ. აქ არავითარი ქართული ჟურნალის გამოცემა ვერ მოვახერხეთ, რადგან ცოტანი ვართ. ნიუიორკში ქართველობა ბევრნი არიან, მაგრამ არაფრის გამკეთებლები არ არიან. დღესაც ვცდილობთ, იქნებ აქ მოვახერხოთ რამე. მანველიშვილი ამ მწერლობაში გამოსადეგი კაცია, მაგრამ ზარმაცია. ამის გარდა, ფულია საჭირო, საბეჭდი მანქანა ქართულის საბეჭდად ოთხი ათასი დოლარი ღირს. მე ამას ვგრძნობდი და ამისათვის ვემზადებოდი, მაგრამ საუბედუროდ, საქმე ცუდათ წამივიდა. მე აქ კარგი რესტორანი მქონდა, ერთხანს კარგად წამივიდა საქმე, მაგრამ მარტოკა ვიყავი და ძალიან გამიძნელდა საქმე. ავიყვანე ამხანაგი და სუმთლადა დამილუპეს საქმე. და აი ქართველების მეოხებით მაშინ დამეკარგა ვაის ვაგლახით ნაშოვნი 50 ათასი დოლარი, დავკარგე, მაშინ დიდი ფული იყო. ასე ცუდათ რომ არ წამსლოდა[1] საქმე, მე აუცილებლად ვიყიდიდი საბეჭდ მანქანას და ჟურნალს გამოვცემდით. მე, ჩემო ნიკო, გაჭირებული არა ვარ, მაგრა დიდი თანხის პატრონი არა ვარ. მაქვს ჩემ სამკდროთ[2] იმდენი, რომ ჩემ დასაფლავებაზე ქუდით არ მოუხდებათ ჩემ მეგობრებს ფულის მოგროვება. მაქვს პენსია, თვიური 680 დოლარი, მაგრამ ცხოვრება ძვირია.

საფრანგეთში უშვებენ ჟურნალს „ტრიბუნა“, რომელიც დააარსა ლევან ზურაბიშვილმა, საუბედუროდ, ის ადრე გარდაიცვალა და ეხლა ამ ჟურნალს პატრონობს ვინმე წერეთელი, რომელიც კუთხურობას აწარმოებს და ამ ჟურნალში მეტიწილი მრავალჯერ გადაღეჭილი ინერება. ნიკო, ძალიან მაინტერესებს ჩვენი მღვდლის იღბალი და ის, რაც მე მაჩვენეთ მის ბინაზე. მე საჩქაროთ მომიხდა წასვლა და სურათების გადაღება ვერ მოვასწარი. თუ შენ მაინც გადაიღე მათი სურათი? თუ გაქვს და შეიძლება გამოგზავნა, გამომიგზავნე, აქ ყველაფრის გამოგზავნა შეიძლება. აქ გვინდოდა თბილისიდან გამოგვეწერა „კომუნისტი“, მაგრამ არ მოხერხდა. ვინმე არიან ქართველები შენს გარდა პოლონეთში? ჩვენ აქაური ქართველები დიდად განვიცდით პოლონეთის სიძნელეს.

[1] sic!
[2] sic!

შენ მისამართს გაუგზავნი დოლიკა ვაჩნაძეს, რომელიც ცხოვრობს ნიუიორკში. აბა, ჩემო ნიკო, ჯერ-ჯერობით ეს ვიკმაოთ. მომწერე ყველაფერი, რაც გაინტერესებს, ყველაზე გიპასუხებ. სხვათა შორის, მისამართი, რომლითაც გწერ, სანყალმა კვალიაშვილმა მომწერა, სწორეა თუ არა? გარკვეულათ მომწერე, თუ რამე არ არის სწორე. ნუ ზარმაცობ წერილების წერაში, თვეში ერთი წერილი რომ მომწერო, დიდ დროს არ დაგაკარგინებს. როგორია შენი ჯანმთელობა, ფეხი გამოგირჩა თუ არა?

გეხვევი ძმური სიყვარულით
მუდამ შენი კეთილის მდომი
ა. სულხანიშვილი

A. Soulkhan
145 Terra vista
S.F. Cal. 94115
U.S.A.

5.

Mr. Mikołaj Mathikaszwili
ul. Kr Jadwigi 13
Zalesie Dolne k/Warszawy
Piaseczna 05-501
Poland

სანფრანცისკო
20 ივლისი, 1983 წ.

ძვირფასო ძმაო ნიკო!

მაპატიე, რომ ასე გვიან გწერ პასუხს. მივიღე შენი გამოგზავნილი წიგნები. დიდი მადლობელი ვარ, ნამეტნავად „არსენა მარაბდელი" მეტად მაინტერესებდა, „ვეფხვისტყაოსანი" კი ტყუილად დაიკელი, რადგან მე სამი მაქვს. ძალიან მეწყინა, რომ შენც ვერ გადაგიღია სურათი იმ ქართულ ტყავზე დაწერილი დოკუმენტებისა, რომელიც მაჩვენე განსვენებულ ფერაძის ბინაზე. ნეტავი შენ მაინც გადაგემალა ეს დოკუმენტები. საწყალ ფერაძეს რაღაც საინტერესო სურათი ჰქონდა რომელიღაც ჩვენი მეფისა, რომელიც ვერა ვნახე, რადგან ძალიან დაბლა იყო მოყოლილი იმოდენა დაგროვილ სხვადა-სხვა ნივთებით, იერუსალიმიდან გამოტანილები. აი, ასე იღუპება ჩვენი სუყველაფერი უპატრონოთ. სხვა, ჩემო ნიკო, როგორა ხარ, თავს მოუარე, ეგებ სამშობლომდის ჩავახწიოთ. თუმცა მე იმედი აღარა მაქვს, რადგან ჩემი წლოვანობა, 86 წელი იმედს აღარ მაძლევს. როგორა ბძანდება შენი მეუღლე, იმედია, რომ უფრო კარგად, წინათ მწერდი, რომ ავადმყოფობსო, გადაეცი ჩემი გულითადი მოკითხვა. მე წიგნი დავწერე ჩვენი რაზმის მოქმედების შესახებ 200 გვერდიანი. ძალიან მოწონება მიერგო ჩვენ ემიგრაციაში, რათქმაუნდა, მემარჯვენე წრეებში. ეხლა კიდე დავწერე ბროშურა, „რაზმის ცხოვრება საფრანგეთში", ძალიან მოწონების წერილები მომდის. ძალიან მინდოდა შენთვის გადმომეგზავნა, მაგრამ რანაირად? არ მინდა, რომ შენ რამე ხათაბალაში გაეხვიო, თორემ გამოგიგზავნიდი. თუ ასეთ რამის გამოგზავნა შეიძლება, მომწერე. ჩემი წიგნი ექვსი ცალი გაიტანეს საქართველოში მემარჯვენე წრეებმა და ეხლა გავიგე, რომ მიუნხენის რადიოს გადაუცია ზოგიერთი ადგილები ჩემი წიგნიდან საქართველოში. საწყალი ვანო ნანუაშვილის მეგობრები: გ. ჯავახიშვილი, მისი ქალი და სიძე ძალიან ცუდათ მოექცნენ



გრიგოლ ფურაძის ხელდასხმა წმ. სტეფანეს ბერძნულ ეკლესიაში, პარიზი, 1931 (იუანე ჯავახიშვილის საიუბილეო ალბომის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, **გურამ შარაძის** კერძო კოლექცია, თბილისი).

საწყალ ვანოს. გოგია, ვანოს შემდეგ მალე მოკვდა, მაგრამ მისი ქალი და სიძე უსინიდისონი ყოფილან და საწყალ ვანოს კი მათზე მზე ამოსდიოდა. მთელი ვანოს ქონება მათ გაზიდეს და მერე მის საფლავს არაფერი ყურადღება არ მიაქციეს. ისევ ჩვენ მოუარეთ. საქართველოდან კარგი ამბები არ მოგვდის, ძალიან გაჭირვებაა ეკონომიურათ და პოლიტიკურათ.

აბა, ჩემო ნიკო, ჯერჯერობით ეს ვიკმაოთ. ძალიანა გთხოვ, თუ რამე გჭირდება, რომლის შოვნა მანდ არ შეიძლება, ნუ მომერიდები, მომწერე. მე მუდამ მიხარიან ჩემი მეგობრების სიამოვნება, თუ კი რითიმე შემიძლიან. აქ არავინა გყავს პოლონელებიდგან ნაცნობობა, რომელნიც მანდ მოდიან, იქნებ მათი საშუალებით მოგანოდო როგორმე ჩემი ნიგნი. გისურვებთ შენ და შენ მეუღლეს ჯანმთელობას და დიდხან სიცოცხლეს.

გეხვევი ძმური სიყვარულით
ა. სულხანიშვილი

ეს მისამართი თუ სწორი არ არის, მომწერე შემდეგ წერილში გარკვეულად.

A. Soulkhan
145 Terra vista
S F. Cal. 94115
U.S A

6.

ჩემო ძვირფასო ძმაო ნიკო!

გილოცავ საქრისტიანო ბრწყინვალე დღეს! ქრისტე შობას და მომავალ ახალ წელს. დაესწარი მრავალ ბედნიერ დღეს, შენი მეუღლით და შენი ნათესავებით. გისურვებ თავისუფალ საქართველოში ჯანმთელად დაბრუნებას.

კარგახანია ვერაფერი მოგწერე და შენგანაც აღარაფერი ვიცი. იმედია კარგათა ხარ შენი ოჯახობით. აგვისტოს ნახევარი და მთელი სექტემბერი ძალიან ავად ვიყავი ფილტვების ანთებით. ძალიან მომიარეს და ღვთის მადლით გადავრჩი. ეხლა კარგა გამოვკეთდი, მაგრამ როდემდის! მე ეხლა მესამე წიგნსა ვწერ, რა ხდებოდა მეტეხში 23 და 24 წლებში, როგორ ვერაგულათ ექცეოდნენ ჩვენ თაობაზე დატუსაღებულ ტუსაღებს თვით პოლიტიკურათ დატუსაღებული ქართველები.[1]

[1] იგულისხმება ალექსანდრე სულხანიშვილის ნიგნი „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე". სან-ფრანცისკო, 1985 წ. *(ლ. ც.)*.

ამავე მესამე წიგნში იქნება ანერილი ილია ჭავჭავაძის მოკვლა ქართველების ხელით, რომელიც აქამდისინ საიდუმლოდ იყო დაცული საქართველოს განთავისუფლებამდე. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ იყო შედგენილი ჯგუფი დავალებით, რომელთაც უნდა გამოეკვლიათ თუ ვინ იყვნენ ილიას მოკლეის,[1] სიკვდილის განაჩენის გამომტანი. გამოიკვლიეს კიდეც, მაგრამ დამალეს, რომ სამოქალაქო სისხლის ღერა არ მოხდესო. ორი ამ კომისიის წევრი საფრანგეთში იყვნენ და რადგანაც ისინი ხანში იყვნენ შესულნი, მე, როგორც მათზე უფრო უმცროსს ეს საიდუმლო გამანდეს და სიტყვა ჩამომართვეს, რომ საქართველოს განთავისუფლებამდე საიდუმლოდ შემენახა. მათ ეგონათ, რომ მე, როგორც ბევრად ჯეილი მოვესწრებოდი საქართველოს განთავისუფლებას, მაგრამ ისინი მოტყუვდნენ და მეც მივბერდი და იმედი დავკარგე საქართველოში დაბრუნებისა. ამისათვის გადავწყვიტე მე გამოვაქვეყნო ეს საიდუმლო – ვინ მოჰკლა დიდი ქართველი, რომ მთლად არ დაიკარგოს. ეს წიგნები მინდა როგორმე შენ გადმოგიგზავნო, მაგრამ როგორ ისე რომ შენ არაფერი დაგიშავდეს. თუ მომწერ და შეიძლება ეს წიგნები გადმოგიგზავნო, მომწერე და ისე მოვიქცევით.

გეხვევი ძმური სიყვარულით
ა. სულხანიშვილი
[1985]

7.

Mr. N. Mathikaszwili
ul. Kr. Jadwigi 18
Zalesie Dolne
k/Warszawy 05-501. Polska
Poland

სანფრანცისკო
6 ოქტომბერი, 85 წ.

გამარჯვება ძმაო ნიკოლოზ!

მივიღე შენი წერილი, რამაც ძლიერ გამახარა. ამ სიბერის დროს კიდე მოასწარი ჩვენი ლამაზი ქვეყნის გადახედვას, იღბლიანი კაცი ყოფილხარ ამით მაინც. მე, ჩემო ნიკო, ამასაც მოკლებული ვარ, აბა, რანაირად შეიძლება ჩემი იქ ჩასვლა, მანამ ასეთი ჯოჯოხეთი რეჟიმი არსებობს. მე ეხლა მომავალ იანვარში შემისრულდება 91 წელი და აბა, განა შეიძლება, ასე მალე რამის შეცვლა საბჭოელებში? ისე რომ, მე ჩვენი ლამაზი კახეთის გადახედვას ცივ-გომბორის მთიდან ვეღარ მოვასწრობ და აქ, სანფრანცისკოში დავიმარხები. თუმცა ძალიან ვმაგრობ, მაგრამ წლოვანობას თავისი მიაქვს. ძალიან გამიხარდა, შენ მაინც დაათვალიერე თბილისი და ზოგიერთი ადგილები ჩვენი ქვეყნისა. გამიხარდა, რომ ჩემი წიგნების წამკითხველი შეგხვედრია. ჩემი წიგნები, სამივე ჩაიტანეს საქართველოში და რამდენადაც ვიცი, ერთი მთავარი აკადემიკოსის რჩეულიშვილის ხელში ჩავარდნილა. რჩეულიშვილების გვარი ალბათ გეცოდინება, ძირეული თელავის მაცხოვრებლები არიან. ისტორიაში არი მათი გვარის მოხსენება. მე ეხლა გწერ დაჩქარებით, ეფიქრობ თუ რანაირად გადმოგიგზავნო ჩემი წიგნები. მე მაქვს დაწერილი სამი წიგნი: 1) „ჩემი მოგონებანი", 204 გვერდიანი; 2) „შეფიცულთა რაზმის ცხოვრება საფრანგეთში", 28 გვერდით და 3) „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე", 36 გვერდი. ამ უკანასკნელს ხვალვე გამოვგზავნი. თუ მიიღე, მაშინვე შემატყობინე. თუ დაიკარგება, ჯანი გავარდეს, ამას გამოვგზავნი საჰაერო ფოს-

[1] sic!

ტით 7 ოკტომბერს, მე მგონი, ათ ან თორმეტ დღეში მიიღებ. შენ, ჩემო ნიკო, ქართული ავადმყოფობა გჭირებია: წერილების წერა, ამის გარდა ნუ ჩქარობ წერაში, გარკვეულად მომწერე წერილი და ნამეტნავად შენი მისამართი. შენ რომ მწერ, შენი ნაწერების დაბეჭდვა გინდა,[1] ამაზე ვიფიქრებ და გავიგებ საფრანგეთში. მხოლოდ მომწერე, რა ზომისა იქნება ეგ შენი წერილი. სხვათაშორის, აქ ბევრი პოლონელები ცხოვრობენ. მე, საუბედუროდ, არავის ვიცნობ, ესენი ხშირად მოდიან მანდ, იქნება მაინდამაინდ გამაცნო ვინმე და მათი საშუალებით შეიძლებოდეს ჩემი წიგნების შენთან გადმოგზავნა. თუ ჩემი გამოგზავნილი ილიას მკვლელობის ბროშურა ვერ მიიღე, მაშინ ვაპირებ დავშალო ბროშურა და ორ-ორი ან სამი ფურცლებით გამოგიგზავნო, როგორც წერილები. მაშ ასე, ჩემო ნიკო, რასაც გწერ, ყველაფერს შევასრულებ. მანდ არავისა აქვს ქართული მანქანა? თუ შეიძლებოდეს მანდ დაბეჭდვა, მაშინ ადვილი იყო შენი წერილის დაბეჭდვა. აბა, ჩემო ძვირფასო ნიკოლოზ, გულითადი მოკითხვა შენ მეუღლეს და თუ ვინმე ქართველები არიან მანდ.

გეხვევი ძმური სიყვარულით
ა. სულხანიშვილი

ველი შენ პასუხს. თუ მანდ შეიძლება დაბეჭდვა ხელის მანქანაზე, ერთი ეგზემპლიარის, აქ მე გავამრავლებდი.

A. Soulkhan
145 Terra vista
S.F. Cal. 94115

8.

ძვირფასო ძმაო ნიკო!

გილოცავ მომავალ საქრისტიანოს სადიდებელ დღეს, ქრისტეს შობვას[2] და მომავალ ახალ წელს. დაესწარი მრავალს შენი მეუღლით, მრავალ ახალ წელს, ყოველიეე შენი მახლობლებით. გისურვებ ჯანმრთელობას და შენი მიზნების შესრულებას.

მომავალი წელიწადი ყოფილიყოს ჩვენ სამშობლოს საბედნიერო დღე.

გეხვევი ძმური სიყვარულით
მუდამ შენი მეგობარი ა. სულხანიშვილი

არ დამავიწყდა შენი მოგონების დაბეჭდის შესახებ. ვცდილობ როგორმე მოვახერხო, რომ საფრანგეთში დაგიბეჭდონ. მე, ჩემო ნიკო, ხომ ხედავ ჩემ წიგნებს ვაის-ვაგლახით ვბეჭდავ, მე რომ შემეძლოს დიდი სიამოვნებით დავაბეჭდვინებდი, მაგრა მე ვერ შევძლებ. მე ეხლა კიდე პატარა წიგნაკი მაქვს დაწერილი, რომელსაც მალე გამოგიგზავნი. მომწერე ზუსტათ შენი მოგონება რამდენი ფურცელია ან რამდენი გვერდი, მე მგონი, რომ მოვაწყობ შენ მოგონების დაბეჭდვას. რათქმაუნდა, შენი მოგონება ხელნაწერია და უფრო საძნელოა, მაგრა უნდა აუცილებლათ მოვახერხოთ რამე და დავბეჭდოთ. მომწერე შენი მისამართი, კარგა, გარკვევით. ნუ დააგვიანებ მალე მომწერე. მე სხვა უბედურებასთან... ჩემი მეუღლე არის ცუდათ. სუყველაფერი ავიწყდება და საშინელი ნერვიული გახდა. ესლა მაკლდა...

[1986]

[1] ლაპარაკია ნიკოლოზ მათიკაშვილის თხზულებაზე „იუნკრები" *(ლ. ც.)*.
[2] sic!

9.

Mr. Mathikaszwili Mikolaj
05-501 Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18
Polska

სანფრანცისკო
11 თებერვალი, 1986 წ.

გამარჯვება ძმაო ნიკო!

მაპატიე, რომ ასე დაგვიანებით გწერ პასუხს. ეს ოხერი სიბერე ბევრ რამეში აბრკოლებს კაცს. ძალიან გამიხარდა, რომ ჩემი წიგნაკი მიგიღია. რათქმაუნდა, რამდენჯერმე წაიკითხავდი, ძალიან მაინტერესებს შენი აზრი მაგ წიგნაკის შინაარსზე. რათქმაუნდა, სოციალ-დემოკრატებს ძალიან არ ესიამოვნათ და თმებს იგლეჯავენ. მე ეხლა გიგზავნი ჩემ მოგონებას, რომელიც შეიცავს 204 გვერდს. მე მგონია, ამასაც გამოუშვებენ ღვთისნიერი პოლონელი მოხელეები. და თუ ამასაც, ღვთის მადლით მიიღებ, მერე კიდე გამოგიგზავნი მესამე წიგნაკს „შეფიცულთა ცხოვრებას საფრანგეთში". მიიღებ თუ არა, მაშინვე შემატყობინე. ამას იმისათვისა გწერ, რომ ჩემო ნიკო, მე უკვე 90 წელი შემისრულდა, ამის გარდა, რამდენიმე ოპერაცია მქონდა, თუმცა მის შემდეგ კარგათ ვარ, მაგრამ ხანს თავის მნიშვნელობა აქვს და ვინ იცის, როდის წამოგიქროლებს სიკვდილი. ამისათვის ვჩქაროფ, რომ ყველაფერი მოვასწრო. მე კიდევა მაქვს დასაწერი, მოვასწროფ თუ არა?

ჩემო ნიკო, რაც შეეხება შენი ნაწერების დაბეჭდვას, მე ყველაფერს გავიგებ, შემატყობინე, მანქანაზე გაქვს დაბეჭდილი თუ ხელთნაწერია, ამას მნიშვნელობა აქვს. მანდ ვინ არიან დამრჩლები ქართველები და იქნებ მაგათაც აქვთ სურვილი ჩემი მოგონებების შეძენისათვის. თუ კიდე ქართველობენ და არ გაითქვიფნენ პოლონელებში. მაშ ასე, ჩემო ნიკო, მოულოდნელათ ველი შენ წერილს, მიიღებ თუ არა ჩემ მოგონებას. გისურვებ ჯანმთლობას და დიდ ხანს სიცოცხლეს. გადაეცი შენ მეუღლეს ჩემი გულითადი სალამი. გისურვებთ ყოველივე კეთილს.

გეხვევი ძმური სიყვარულით
შენი მეგობარი
ა. სულხანიშვილი

A. Soulkhan
145 Terra vista
S.F. Cal. 94115
U.S.A.

10.

სანფრანცისკო
28 თებერვალი, 1987 წ.

გამარჯვება ძმაო ნიკო!

კარგა ხანია გამოგიგზავნე ჩემი მეოთხე წიგნი და აქამდის შენგან პასუხი არა მაქვს. იქნებ დაიკარგა და თუ კიდე დიდ ხანს შენგან არაფერი გავიგე, მაშინვე სხვას გამოგიგზავნი. წინათ მოგწერე თუ არა, ვცდები, მანდ კიდე ვინმე არიან ქართველები? და თუ არიან, ქართველობენ თუ არა? შენ ნაწერებზე და მათ დაბეჭდვაზე ბევრსა ვფიქრობ და აუცილებლათ უნდა დავბეჭდოთ. ბევრია თუ

ცოტა? რათქმაუნდა, ხელთნაწერია, თუ მანქანაზეა დაბეჭდილი? შეგიძლიან მანდ კოპიოების გადაღება? ვშიშობ, რომ გამომიგზავნო, არ დაიკარგოს და თუ გამომიგზავნი, აუცილებლათ დაზღვეული უნდა იყოს. დაზღვეული იმისათვის, რომ ნამდვილათ მივიღეფ. შენი ნაწერები აუცილებლათ უნდა დავებეჭდოთ. მე ყველაფერს მოვაწყოფ. აქ და საფრანგეთშიც მეტიწილი წყალნაღებულნი არიან, თავიანთ ჯიბის დოლარის მონანი გახდნენ, თუმც ყველას ფული აქვთ ჩემს გარდა. აი, მაგალითად, მანველიშვილი თუმცა ქართველობს, მაგრამ ჩაიფსა და აღარაფერს აკეთებს. ერთი წიგნი დაწერა,[1] მართალია, ცუდი არ არის, მაგრამ ქართული დოკუმენტებიდან არის ამოკრეფილი, მაგისთანა წიგნები საქართველოში მრავალი დაიბეჭდა და იბეჭდება კიდეც. ამისთანა „კრიჟანგის"[2] მნახველი არა ვარ, თუმცა ფული შეიძინა. მანველიშვილისთანები ბევრნი არიან მაგრამ გამოუსადეგარნი ქართული საქმისათვის. მაგრამ არიან რამდენიმე კაცი, რომელნიც მაინც არ ანებებენ ქართულ საქმეს თავს. ჩემო ნიკო, თუმცა 91 წლისა გავხდი, მაგრამ ენერგია არ დამიკარგია და თავი ჯერ კიდე კარგათა მშუაობს. რაც შეიძლება მალე უნდა დავებეჭდოთ შენი ნაწერები, ჩემთვისაც დიდი გასახარი იქნება. რათქმაუნდა, იუნკრების ბრძოლების შესახებაც გექნება აწერილი. ჩემთვის დიდად საინტერესო იქნება შენი მოგონებანი და ყოველივე საშუალებით უნდა ვეცადო, რომ ეგ დაიბეჭდოს ღირსეულათ და მალე. თუ მანქანაზე არ არის დაბეჭდილი შენი ნაწერები, ჯერ უნდა მანქანაზე დავებეჭდოთ და მერე გავამრავლოთ. მაშ ასე, ჩემო ნიკო, გულითადი სალამი შენ მეუღლეს, გისურვებთ ჯანსაღობას და დიდხან სიცოცხლეს. იმედია, ჩემო ნიკო, ისევ ყოჩაღათა ხარ და ცხოვრებას ებრძვი. ჩემი მოგონებები საქართველოში გაიტანეს და მომივიდა ამბები, რომ ხელთნაწერებს ამრავლებენ, რომელსაც თურმე დიდი გამოძახილი ჰქონია მთელ საქართველოში. თუ მოვასწარი დაბეჭდვა, შეიძლება ამ ზაფხულში შენი მოგონებაც შევგზავნო საქართველოში.

გეხვევი ძმური სიყვარულით
მუდამ შენი მეგობარი
ა. სულხანიშვილი

ქართველები ზარმაცნი ვართ წერილების წერაში. შენც ხომ არა ხარ ამ სიზარმაცით დაავადებული?

შენი მისამართი მომწერე გარკვეულათ.

11.

სანფრანცისკო
7 მარტი, 1987 წ.

ძვირფასო ძმაო ნიკო!

ეს ორი დღეა, წერილი გამოგიგზავნე შესახებ შენი მოგონებებისა. მე უკვე მოწყობილი მაქვს საქმე, სადაც დაიბეჭდება შენი სახელით. დაწერილებით ამის შესახებ მოგწერ შემდეგ. მე ვიცი, რომ შენ მაგის ხარჯების გადახდა არ შეგიძლიან და ამისათვის ისე მოვაწყობთ, შენ არაფერზე შესწუხდები. ამის გარდა, მაიორი თევზაძის შრომა,[3] ალბათ შენა გაქვს, ან იცი, ვისა აქვს, რომ ეგეც გამოვაქვეყნოთ. იცოდე, რომ ქართველები ბევრნი წახდნენ და ფიქრობენ მხოლოდ თავიანთ გამორჩენაზე და სახელზე. მათ შორის არის თვით მანველიშვილი, მას უნდა სხვის სახელით ნარი გლიჯოს. აი, ეგ ერთადერთი წიგნი დაწერა, მაგრამ სულ სხვადა-სხვიდანა ამოკრეფილია. მაგისთანა შრომები მრავალია, და დიდი საინტერესონია საქართველოში, მაგრამ შენი მოგონება ან თევზაძისა სულ სხვა არის და არ დაწერილი ჯერ. აგრეთვე ჩემი მოგონება: მე ხომ მწერლობის პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ ისტორიისათვის ზოგიერთი რამე ძვირფასი იქნება, თუ არა ვცდები. ამისათვის უნდა იცოდე, რომ

[1] იგულისხმება ალექსანდრე მანველიშვილის წიგნი „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა", სან-ფრანცისკო, 1984 წ. *(ლ. ც.)*.
[2] ჟენნის *(რუს)*.
[3] იგულისხმება ვალერიან თევზაძის მოგონება „განელილი გზა" *(ლ. ც.)*.

მანველიშვილს თავის ცოლშვილისათვის ვერ მოუვლია და სხვას რას გაუკეთებს რიგიანს! ამიტომ თუ მანდ მოახერხებ შენი ნაწერების ფოტო კოპიოს გადაღებას, ძალიან კარგი და თუ არა ხერხდება, მაშინ მე აქ ერთ საათში მთელ შენ ნაწერების ფოტო კოპიოებს გამოგიგზავნი და შეუდგებიან ბეჭდას. აი, ჩემო ნიკო, ასეა საქმე. თუ გინდა, რო ეს ჩქარა, ბევრს ნუღა დაიგვიანებ, რადგან ეხლა ჩვენ მოხუცებულნი ვართ და როდის მომადგება სულთავ-მხუთავი,[1] ვინ იცის, თუმც თითქო ჯერ მაგრათა ვარ, მაგრამ ვინ იცის. აგრეთვე შენც პატარა აღარა ხარ. ამისათვის თუ დააპირებ გამოგზავნას, აუცილებლათ დაზღვეული იყოს და კარგად შეხვეული, რომ მგზავრობაში არ წახდეს. სადაც მე ვაწყოფ შენ მოგონების გამოცემას, ძალიან ლამაზად, წიგნათ იქნება გამოშვებული.

მრავალი მოკითხვა შენ მეუღლეს, რომელიც მხოლოთ ერთხელა ვნახე, იქნებ აღარც კი ვახსოვარ.

გეხვევი ძმური სიყვარულით
ა. სულხანიშვილი

12.

M. Mathikashzwili
05-501 Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18. Polska
Poland

სანფრანცისკო
1987 წ. 20 აპრ.

ჩემო ძვირფასო ნიკოლოზ!

პირველათ ყოვლისა! გილოცავ საქრისტიანო ძვირფას დღეს „ქრისტე აღდგა", დაესწარი მრავალს შენი მეუღლით და ყოველივე კეთილებით, გისურვეფ სიჯანსაღეს და ჩვენ საყვარელ სამშობლოში დაბრუნებას. მე კი ამის იმედი დავკარგე, მაგრამ რაც შეიძლება ვმაგრდები და ვცდილობ, რომ ცოტათ მაინც სასარგებლო დავტოვო ჩვენი უბედური ქვეყნისათვის. დღეს, 20 აპრილს მივიღე შენი დაზღვეული წერილი და ნაწილი შენი მოგონებისა „იუნკრებისა", მაგრამ ათი დღის წინათ კი მივიღე შენი ვრცელი მოგონება, 61 ფურცელი ორივე მხარეს დაწერილი. უნდა გითხრა, შეცდომაა ორივე მხარეს ფურცელზე დაწერა, ეს ართულებს საქმეს, მაგრამ კოპიო უკვე გადავიღე შენი მოგონებისა. აღარ არის საჭირო, რომ დანარჩენი გადასწერო ხელმეორეთ. შეიძლება მე კიდე ერთი კოპიო გადავიღო, რადგან შენი მოგონების კოპიო უკვე ცალ გვერდზე მაქვს დაბეჭდილი. ეხლა შეუდგები ამის მოწყობას სად და როგორ უნდა დავბეჭდოთ. ამ ჟამათა გწერ მოკლე წერილს, ვიცი, რომ შეწუხდებოდი, რადგან ჩემგან აღარაფერი გაიგე. ჩემი დანაშაულიც არის, რომ მიღებისთანავე შენი მოგონებისა არ მოგწერე მაშინვე. სიმართლე უნდა გითხრა, ოჯახური გარემოება ძლიერ ხელს მიშლის, ჩემი მეუღლე დაავადმყოფდა ნერვიულათ და ეს გარემოება ძალიან ხელს მიშლის. მას შვილები ჰყავს, ხუთი ბიჭი. ესენი ყველანი კარგა არიან ჩემთან, პატივსა მცემენ, მაგრამა ჩემი პირადი სურვილების აღსრულებაში ძლიერ ხელი მეშლება. ეხლა ვნანობ, რადგან დროზე არ შევირთე ცოლი. რა ეშმაკათღა მინდოდა დაგვიანებით ცოლი! მაგრამ ყველაფერი იღბალია, ჩემით დამთავრდება ჩემი ოჯახის ცხოვრება, ერთი ძმა მყავდა, 16 წლისა მოკლეს, ჩემი ორი და გადაიცვალნენ. აბა, ჩემო ძვირფასო კახელო, ყველაფერს გავაკეთებ, რომ შენი მოგონება კარგად დაიბეჭდოს. სხვათაშორის, შენ მოგონებას ხელს აწერ შენ და იმავდროს

[1] sic!

მ. კვალიაშვილი. მაშ ორივეს სახელით იქნება, როგორც ეხედავ ეს შენი მოგონება. მაშ ასე, ჩემო ნიკო, ყველანაირათ ვეცდები, ყველაფერი რიგიანათ გაკეთდეს. ამის შესახებ ყველას გაუგებ და შეგატყობინებ. მაპატიე, რომ დროზე ვერ შეგატყობინე შენი მოგონების მიღება.

გეხვევი ძმური სიყვარულით
და დაგკოცნი, ქრისტე აღ ზდგა. აგრეთვე გადაეცი
ჩემი გულითადი მილოცვა შენ მეუღლეს

A. Soulkhan
145 Terra vista
S.F. Cal. 94115
U.S.A.

13.

სანფრანცისკო
28 მაისი, 1987 წ.

გამარჯობა ჩემო ძვირფასო ნიკოლოზ!

ეხლა გწერ მოკლე წერილს, რადგან დღეს მომივიდა გასახარი ამბავი, შენი მოგონების დასაბეჭდათ ყველაფერი მოწყობილია. არ ეიცი ნამდვილათ, ერთ წიგნათ დამიბეჭდავენ თუ ორ ნაწილათ. რათქმაუნდა, ვეცდები, რომ ერთ წიგნათ იყოს დაბეჭდილი ეს მშვენიერი მოგონება. იკისრა მიშა ქავთარაძემ დიდი სიამოვნებით, რომელიც უშვებს ჟურნალ „ივერიას“ პარიჟში. მე ამ დღეებში მეორე ფოტო კოპიოს გადაეიღებ და გაუგზავნი და სულ მალე იქნება შენი მოგონება დაბეჭდილი. შენი დახარჯვა არ იქნება საჭირო. მე თუ რამე იქნება საჭირო, შეძლებისდაგვარათ დავეხმარები, თუმცა მომწერა, რომ არაფერი ხარჯის გაღება არ იქნება საჭირო. მ. ქავთარაძეს რომ მივწერე შენი მოგონების შესახებ „იუნკრები“, ძალიან გაუხარდა, რომ შენ ცოცხალი ხარ და დიდი სიამოვნებითა დაბეჭდავს. აი, ასე მომწერა, ფოტო კოპიო გადაიღე და ჩქარა გამომიგზავნეო, მას აქვს წაკითხული შენი ნაწერები და ძლიერ მოსწონს. შენ მოგონებას რომ გამოვცემთ, მის შემდეგ თევზაძის „მოგონებასაც“ დაბეჭდავს ქავთარაძე, თუმცა ამის შესახებ ჯერ არაფერი მიმიწერია. კარგს იზავ, რომ თევზაძეს მოგონებაც გამომიგზავნო. აქ არის თევზაძის ბიძაშვილი, ჩინეთში ნაცხოვრები, ქართული არ იცის, მაგრამ ძალიან გაუხარდა, რო ბიძაშვილის წერილებს დააბეჭდინებს და დახარჯავს კიდეც. ისე რომ, ქავთარაძეს დაბეჭდის ხარჯებს მას, ესე იგი მის ბიძაშვილს გადავახდეინებ. ისე მოვაწყო საქმე, რო ქავთარაძე მეტადა არ დავტვირთოთ ხარჯებით. ჩემო ძვირფასო ნიკო, ძლიერ მიხარიან, რომ კარგათ მოეწყო საქმე, რო შენი მოგონება სულ მოკლე ხანში დაიბეჭდება. შენ მისამართს მიეწერ მიშა ქავთარაძეს და ის გამოგიგზავნის ჟურნალ „ივერიას“ და ამნაირათ დაკავშირდები კიდეც. მაშ ასე, ჩემო ნიკო, ნუ იზარმაცებ და მოიწერე წერილი. სხვათა შორის, თევზაძის მოგონება რომ გამოგზავნო, კარგად გახვიე, რომ გზაში არ ნახდნენ. შენი ნაწერები რომ მივიღე მთლათ დაფლეთილი იყო, საბედნიეროთ, შენი ნაწერები არ დაზიანებულიყვნენ.

გულითადი სალამი შენ მეუღლეს, გეხვევი ძმური სიყვარულით

ა. სულხანიშვილი

Iveria
61 Tabor
91310[1]

[1] ივერია, ტაბორის გზატკ. №61, 91310 *(ინგ.)*.

14.

სანფრანცისკო
3 აგვისტო, 1987 წ.

ჩემო ძვირფასო ნიკო!

ეს ორი დღეა მივიღე პოლკ. თევზაძის მოგონება, მთლათ დაფლეთილი ამანათი, საბედნიეროთ, ხელთნაწერები კი არ იყო წამხდარი. აქ იმყოფება პოლკ. თევზაძის ბიძაშვილი ჩინეთში ნაცხოვრები, არ იცის ქართული, ჯერ არ მინახნია, მაგრამ გაუგია, რომ მისი ბიძაშვილის მოგონება მივიღე შენგან და დაინტერსებულა და უთქვამს, რომ დემეშველება. მე იმედი მაქვს, რომ თუ მიშა ქავთარაძემ იკისრა და იმედი მაქვს, რომ იკისრებს, მაგრამ მოვახერხებ, რომ ამ თევზაძემ იკისროს პოლკ. თევზაძის მოგონებისათვის თანხა გაიღოს. ვთხოვდი ქავთარაძეს, რომ იქნება არც მოითხოვოს ფასი, მაგრამ ძალიან დიდი ტვირთი ედება. შენ ნაწერში დამპირდა, რომ არაფერს აიღებს. სხვათაშორის, მას მივეცი შენი მისამართი, უნდა გამოეგზავნა ჟურნალები, რომელსაც უშვებს „ივერია", ალბათ ჯერ არ მიგიღია, თორემ მომწერდი. აი, შენი მოგონება „იუნკრები" ამ ჟურნალში იქნება დაბეჭდილი, ვცდილობ, რაც შეიძლება მალე დაიბეჭდოს. თევზაძის მოგონებასაც გადაბეჭდავ ცალ გვერდზე, რომ უფრო ადვილი იყოს დასაბეჭდათ. მე მიშა ქავთარაძესა ვთხოვ, რომ რამდენიმე ცალი გადმოგიგზავნოს, ამის გარდა, ქავთარაძეს გავაფთხილებ, რომ „იუნკრების" მოგონება ორივეს გვარით იყოს მონერილი, დიდად დასაფასებელია შენი ასეთი ქცევა შენი მეგობრის და ამხანაგის მიერ. ყოჩაღ!

ჩემო ძვირფასო ნიკოლოზ, დიდი დანაშაულები ვართ შენც და მეც ჩვენი ოჯახების წინაშე, რომ ოჯახობას არ მოვეკიდეთ თავის დროზე. ნამეტნავათ შენ, ოფიცერი იყავი, შენ ბევრი საშუალება გქონდა, ოჯახობას მოჰკიდებოდი თავის დროზე და შვილები გყოლოდა, პოლონელი ქალებიც ბლომათ იყვნენ. ჩემი იღბალი მთლად უკუღმართულათ მიდიოდა და წავიდა კიდეც. მე ძალიან გვიან დაუკავშირდი ჩემ ოჯახს ნიუიორკიდან, მაშინ უკვე 45 წლისა ვიყავი. მაშინ უკვე გავაბი მინერ მონერა დედაჩემთან, რომელსაც საწყალს ეგონა, რომ მე უკვე ცოლშვილი მყავს და როდესაც გაიგო, რომ მე ცოლშვილი არა მყავს, საწყალი, საშინლათ შეწუხებული წერილი მომწერა, შვილო, არ დაგვლუპოო: რატომ ცოლშვილი არ გაიჩინე აქამდისინაო. კიდე გაქვს დრო ცოლი შეირთო, შვილები იყოლიეო. სულ სამიოდე წერილი მივიღე დედაჩემისაგან და მერე გადაიცვალა საწყალი. ჩემმა ოჯახმა ბევრი უბედურება გამოიარა. კომუნისტმა ოსებმა, რომელნიც ჩვენ მამულში ცხოვრობდნენ, 16 წლის ძმა მომიკლეს. მე როდესაც სომხების ჩხუბში ვიყავი. ერთი წლის შემდეგ ჩემი უფროსი და 27 წლისა გადაიცვალა მშობიერობაზე, რომელმაც დასტოვა ორი გოგო. ამის შემდეგ ჩვენი ოჯახი საგიჟეთსავით იყო. ზედაც ჩემი გასვლა პარტიზანულ ბრძოლაში, მთლათ დაიღუპა ჩემი ოჯახი. ჩემი მოხუცი დედმამა სახლიდან გამორეკეს და რომ ჩემი დედმამა სახლში არ დაბრუნებულიყვნენ, სახურავი მოხსნეს ჩემ სახლს და ჩემ დედმამას მეზობლები ინახავდნენ, ძალიან კარგა უვლიდნენ. და რომ დაინახეს კომუნისტებმა, რომ სოფელი დიდი პატივით ეპყრობა ჩემ ოჯახს, მაშინ თბილისში გადაასახლეს ჩემი ოჯახი. აბა, ჩემო ნიკო, იყავი ყოჩაღათ, მოკითხვა მეუღლეს.

ა. სულხანიშვილი

15.

Mr. & Mrs. Mathikaszwili
ul. Kr. Jadwigi 18
Zalesie Dolne
k/W-wy 05-501. Polska
Poland

[19 დეკემბერი, 1987 წ.]

ჩემო ძვირფასო ნიკოლოზ!

გილოცავ საქრისტიანო დიდ უქმეს, ქრისტეს შობას და მომავალ ახალწელს. დაესწარი მრავალს შენი მეუღლითურთ. გისურვებ ჯანმთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. ეს მომავალი წელი იმდენად ბედნიერი გამოდგეს, რომ თავისუფლათ შეგეძლებოდეს წასვლა ჩვენ ლამაზ სამშობლოში. ჩემო ნიკო, მიშა ქავთარაძე ყოფილა ავად და ამისათვის ყველაფერი შეგვიანდა. მე ყოველისმხრივ დავატან ძალას, რომ რაც კი შეიძლება მალე იყოს დაბეჭდილი შენი წერილი.

მაშ ასე, მოგწერ ვრცელ წერილს, თავს გაუფრთხილდი. მრავალი მოკითხვა შენ მეუღლეს, გისურვებთ ორივეს დიდხანს სიცოცხლეს.

გეხვეევი ა. სულხანიშვილი

ძმაო ნიკო, ამ სიბერის დროს კიდე მარტოკა დავრჩი. მე მგონი, არ მომინერია შენთვის. სეკტემბრის დამლევს ჩემი მეუღლე გარდაიცვალა გულისა გამო. ვერ წარმოიდგენ, ამან დიდად იმოქმედა ჩემზე და უფრო დამაბერა. ეს ათი წელინადი ადამიანურად ვიცხოვრე და ეხლა ისევ მარტო დავრჩი.


A. Soulkhan
145 Terra vista
S. F. Cal. 94115

16.

30 დეკემბერი, 1988 წ.

გამარჯვება ჩემო ძვირფასო მეგობარო!

გილოცავ მომავალ ქრისტეს შობას, და აგრეთვე ახალ წელს. გისურვებთ მეუღლითურთ, დიდ ხანს სიცოცხლეს და ყოველივე კეთილს. ბედნიერი კაცი ხარ, რომ შენთან სტუმრათ ჩამოდიან შენი ძმისწული თავის მეუღლით, მაგათი ჩამოსვლა ძლიერ გაგამხნევებს, და ბევრს ისიამოვნებდი კიდეც. მაპატიე ჩემო ნიკო, ამდენ ხანს ვეღარ მოგწერე. ამ უკანასკნელ წელს სიბერემ ძაან დამრია ხელი, ნამეტნავათ ამ ოთხი თვის განმავლობაში რემატიზმა (არტრაიტ). არც გასაკვირია, სამი წელინადი მინაზე ნაგდები თოვლში და ავდარში აბა რა დამემართებოდა! ძალიანა ვწუხვარ, რომ შენც ამოდენა ოპერაციები გადაგიტანია ჩემსავით. მეც ბლომათა მქონდა



ალექსანდრე სულხანიშვილის მიერ ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი გაგზავნილი საფოსტო ბარათი, ავტოგრაფი [სან-ფრანცისკო, 19 დეკემბერი, 1987] (სლმ. №28445-13-ბ, ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი გაგზავნილი საფოსტო ბარათის კონვერტი (სლმ. №28445-13-ბ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

ოპერაციები, ორივე ხარეს გრიჟა,[1] მუშაობაში სამი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდი, ექვსი ნეკნი და მარჯვენა მხარეს ჭიღვი ჩამტვრეული მქონდა, ერთ ხანს სასიკვდილოთ ვიყავი გადადებული. ამის გარდა ნაღველაც ამომაჭრეს. მაგრამ აი აქამდისინა ვცოცხლობ, ამ მომავალ იანვარში 93 წ. შემისრულდება. მაგრამ ამ არტრატმა ძალიან შემაწუხა, კოჭლობით დავდივარ, მაგრამ მანქანით მაინც დავდივარ კიდე. საძაგელი ყოფილა ჩემო ნიკო სიბერე, მაგრამ რა გაეწყობა!

ნასულ გაზაფხულს სანფრაცისკოს პარკში, დიდი ფესტივალი იყო. რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნების წარმომადგენელების, მათშორის იყვნენ ხუთი ქართველები პაატა ნაცვლიშვილის მეთაურობით. მე ძალიან გვიან გავიგე, მაგრამ მაინც გავიქეცი. მათ უკვე შეხვედროდენ აქ მაცხოვრებელნი ორნი ძმანი გალაშვილები და თურმე დამეძებდნენ მეც. დიდი ძალი ხალხი იყო ამ პარკში, თვით ამერიკელები დამეგობრების ნიადაგზე რამდენიმე ათასი სული. თვით რუსეთის ეროვნების წარმომადგენელები იყვნენ 145 კაცი და ქალები. მისვლისთანავე მალე შევხვდი და თურმე დამეძებდნენ. მიველალმე, გავიცან ყველა და რომ გავიგე ნამეტნავათ მათი უფროსი გვარი პაატა ნაცვლიშვილისა, დიდი ხანი აღარ მიფიქრია და მაშინვე დავეპატიჟე ჩემ ბინაზე. თუმცა მზათ არ ვიყავი ამოდენა სტუმრებისათვის, მაგრამ ხელათ ვიყიდე სანოვაგე, ხორცი მეტიწილი და წავიყვანე ჩემ ბინაზე. ამ ქართველებს ჰყავდათ მეგობრები, სხვათაშორის ორი ქალიც. ესენი ყველა წამოვიყვანე და ეს ორი ძმანი გალაშვილებიც, სულ თოთხმეტი სული. ძალიან იყვნენ დამშეულები და კარგი დრო გაატარეს ჩემ ბინაზე და დაბინდებამდნენ[2] დარჩნენ ჩემთან. მეორე დღეს დილით ადრე დამირეკა ტელეფონით პ. ნაცვლიშვილმა, ბატონო ალექსანდრე, ნება მიბოძეთ თქვენთან მოვიდეო. მობრძანდით, როცა გნებავთ. ჩემთან როცა იყვნენ ეს ქართველები, შევიყვანე ჩემ ოთახში და ვაჩვენე ქაქუცას ხმალი, ხანჯალი და ქამარი, ყველა ოქროს ზარნიშით.

დილით 4 საათზე მოვიდა პ. ნაცვლიშვილი და ერთი ქართველი საქართველოდან. ესენი მოიყვანეს ძმებმა გალაშვილებმა. მოსვლისთანავე ნაცვლიშვილმა მომმართა, ბატონო ალექსანდრე, ძალიანა გთხოვთ, რომ გვენდოთ და ქაქუცას იარაღი მოგვეცეთ საქართველოში ჩასატანათაო. სიმართლე უნდა ვსთქვა, ბევრი არ მიფიქრია და უთხარი, თქვენ ქართველები ხართ, ვიცი, თუმცა პარტიულები ხართ, მაგრამ მწამს და გენდობით, რომ ამ იარაღს სათანადო ადგილას ჩააბარებთ. მაშინვე გადამეხვივნენ და გადამკოცნეს. მე ქართული საბეჭდი მანქანა მაქვს, მაშინვე დაიწყეს სათანადო განცხადების ბეჭდვა. მე მთხოვეს, შენ ჩვენთან უნდა ნამოხვიდეო. საჩქაროთ მოვემზადე და წავედით იქ, სადაც დაბანაკებული იყვნენ, რუსეთიდან ჩამოსულნი ეროვნებების კაცები და ქალებიც. იქ თითქმის საღამომდე დავრჩით. პაატამ ყველაფერი მოამზადა, მოიყვანა და გამაცნო მთელი რუსეთის ეროვნებების უფროსი. გაკეთდა ვებერთელა წრე, სამი აპარატით ფილმებს აკეთებდნენ. მე მოკლე წერილი წავიკითხე, რომ ჩემ იარაღს ვატან საქართველოში მუზეუმში ჩასატანათ,[3] ქართულ ენაზე, რომელსაც თარგვიდენ[4] რუსულათ და ინგლისურათ. გალაშვილმა წაიკითხა სათანადო წერილი ინგლისურათ. მაგრამ თვით პაატა ნაცვლიშვილმა წაიკითხა ახსნა განმარტება რუსულათ. სხვათა შორის ეს იარაღი წაიღეს, როგორც ჩემი, მაგრამ მუზეუმში იციან, რომ ქაქუცასია. ვწერ, რომ ეს იარაღი წაიღეს, როგორც ჩემი, სიფთხილისა გამო, მაგრამ მუზეუმში კი არის, როგორც ქაქუცასი. იმ დღისით პაატა, პატარა დროს რომ იპოვნიდა, მაშინვე მომიჯდებოდა გვერდზე, მაძლევდა კითხვებს და ტეიპზე გადაჰქონდა ჩემი ნალაპარაკები. როდესაც ყველაფერი იყო წაკითხული, მომესია ხალხი, ნამეტნავათ ჩრდილოეთ კავკასიელები ჩეჩნები, სიხარულით მაძლევდნენ კითხვებს, ვერ წარმოიდგენ, როგორ უხაროდათ, როდესაც დავასახელე რამდენიმე სოფელი მათი, ურუსმართანი მაგალითად, რომელშიც არიან მაცხოვრებლები ჩეჩნები 150 ათასი. მე ვიყავი ალი მიტაევის სახლში სტუმრათ, რომელიც იყო შეიხის შვილი, დიდი გავლენიანი მთელ ჩრდილოეთ კავკაზიაში. აი, ამის სახლში ვიყავით სტუმრათ მე და ჩემი მასპინძელი მთის ჩეჩენი, საქართველოს სამზერებთა მაცხოვრებელი, **ათაბეი უმაევი**, ეს იყო ჩემი მასპინძელი თითქმის ორი თვე. ამავე ათაბეის საშუალებით დაუკავშირდი კიდეც ალი მიტაევს.

---

[1] თიაქარი *(რუს.)*.

[2] sic!

[3] ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხმალი და ქამარ-სატევარი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში *(ლ. ც.)*.

[4] sic!

30 დეკემბერი 1988წ.

გაგიმარჯოს ჩემო ძვირფასო მეგობარო!

გულითადად მადლობ ქარტის შესახებ, და ავგტოგრაფის ასევე ჩვენ გამოგიგზავნით მეორეთიც, დიდ ხანს ვიფიქრებდით და ყველაფერ ეს ვართლა. ბედნიერი ვიყავი ნახა ჩემ შვილთან ერთად ჩემი ძმანაწილი თავის მეულლით, მაგრამ ჩემი ბიძაშვილი ძალიან გაგვიმწყრალდა, და ბევრს ისაუბრეს ბედ-ღმერთ მასპინძელი ჩემი ნიკა იმედით მადგენინა იმ დროს ავად ვყოფილ წვრილ ბიჭიც ძალიან დამხმარა მეც, ნამეცდობით იმ ადამიანთა გადარჩენაში ჩემ მეგობრებ (ექიმებიც). ახლა გამოსულია ასეთი წვრილი მიწის ნაგებები თავში და ვეღარც იმას ამ დემოკრატიებში! ძალიან ვწუხვარ ჩემ შვილ ამდენი ავადმყოფი ეყო გადმოგეცათ ჩემთვის. ჭეშ მეცნიერ ავადმყოფები ერთხელ ვნახე, მოწმეები ვიყავი ბიძაჩემ ისიც ვიცი ექიმი ნაცნობი და მასწავლი მხოლოდ ფსიქიკურ ჭირვეულ ავადმყოფ ყოთ ჩვენ ვიცინოდით ეთეთ ვიყავი გადმოგეცათ. ამან გამაღიზიანა ნაკლებად. მაგრამ ის ავადმყოფობა მწყობდა, იმ მეშვიდე იანვარში 93 წ. შემოსულიყო ჩემთან. მაგრამ იმ ექიმებმა ძალიან შემწყნარა ავადმყოფობა დიდხანს, მაგრამ მანდარინი მაინც დაგვიკარ ვარე. სამწუხარო ჩემი ნიკა ჩიბუხს, მაგრამ ნაკლებად გამწყრალა!

ალექსანდრე სულხანიშვილის წერილი ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი, ავტოგრაფი, სან-ფრანცისკო, 30 დეკემბერი, 1988 (სლმ. №28592-4-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

ეს ათაბეიც დიდი გავლენიანი პირი იყო მთელ მთის ჩეჩნებში, და აი, ამის საშუალებით დაუკავშირდი ალი მიტაევს. ეს ორივენი დახერეტილი იქმნენ, როდესაც კომუნისტებმა ფეხი მოიმაგრეს მთელ ჩრდილოეთ კავკაზიაში. ალბათ გეცოდინება პანკისის ხეობაში მოსახლეობენ, სამი პატარა სოფელია ქისტებისა, ესენი იგივე ჩეჩნები არიან დიდი ხნის გადმოსახლებული საქართველოში. თითქმის გაქართველებულნი. მათ შორის ბევრი მეგობრები პყავდა თვით ქაქუცას და აგრეთვე მე. რამდენიმე ქისტი მყავდა ძმათნაფიცი, და აი, ამათი საშუალებით დაუკავშირდი ჩრდილოეთ კავკასიელებს ჩეჩნებს. ეს ზოგადათ აწერილი მაქვს ჩემ მოგონებაშიც. ესენი კარგი ხალხნი არიან ნამეტნავათ როგორც მებრძოლნი, არ უყვართ საშინლათ რუსები. ეს სოფლები, რომელნიც არიან პანკისის ხეობაში ქისტებისა, ესენი იყვნენ ჩვენი რაზმის საუკეთესო მოკავშირეები, ყოველმხრივ. აწერილი მაქვს, რომ ქაქუცაც გადმოვიყვანეთ ჩეჩნეთში და შეეახვედრე ალი მიტაევს, სადაც დაიდო პირობა ერთმანეთის დახმარებისა. ამ ამბოხებისათვის ესენი მზად იყვნენ ყოველმხრივ, ამათი მთავარი ამოცანა იყო, რომ ამბოხებისათვის საქართველოში ჩეჩნებს ჯარი აღარ შემოეშო რუსეთიდან. ჩემო ნიკო, ძალიან გამიგრძელდა ეს წერილი, აბა, სუყველას როგორ მოათავრებ ამდენ წლის ამბებს ამ პატარა წერილში, მაგრამ მინდა ყველაფერი გითხრა. მაშ ჩემო ძვირფასო ნიკო, შენ წერილს როდესაც ვიღებ, როგორღაც მამხნევებს. მაშ მანამ ცოცხლები ვართ, ნუ დავკარგავთ ერთმანეთს. გილოცავ დამდეგ ახალ წელს, დაესწარი მრავალს შენ კეთილის მდომებით, კიდე მრავალი მოკითხვა შენ მეუღლეს.

გეხვევი ძმური სიყვარულით
შენი კეთილის მდომი
ა. სულხანიშვილი

ნუ დაიზარებ ჩემსავით და მომწერეთ თქვენი ამბავი.

17.

სანფრანცისკო
3 აპრილი, 1989 წ.

გამარჯვება ჩემო ძვირფასო ნიკო!

დღეს, 3 აპრილს მივიღე შენი 12 მარტში გამოგზავნილი ნერილი. ძალიან ვხარობ, რომ შენ კარგად გამოკეთებულხარ. გამაგრდი, ხომ ხედავ, დღითი-დღე როგორ იცვლება გარემოება რუსეთში. ქართველები კარგათა და ჭკვიანათა მოქმედობენ საბედნიეროთ. ამ ერთი თვის წინათ აქ იყო ჩამოსული ჩემი სახლიკაცი თენგიზი სულხანიშვილი. მე არცკი ვიცოდი თუ ის არსებობდა, ჩვენი სოფლიდან ყოფილა წასული. განათლებული ბიჭია, 43 წლისა, საჩქაროთ დაბრუნდა, რადგან მთავრობაში ამოურჩევიათ თბილისში და ამისათვის ბევრი ეელარაფერი მიანბო. მხოლოდ მალ-მალე მეუბნებოდა, შენ უნდა ნაგიყვანოო. ეხლა ის მოქმედობს ყველანაირად, თუ როგორ მოაწყობს საქმეს ალბათ მოკლე ხანში შემატყობინებს. გარბაჩოვი[1] და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი შევარნაძე[2] ორივე მამაძაღლები არიან. ეგენი კარგს არაფერს მოუტანენ საქართველოს, დარწმუნებული ვარ, მაგრამ იქ არის რუსი ელცინი, რომელსაც უნდა დემოკრატია დაამყაროს რუსეთში. არ ვიცი, რომელი გაიმარჯვებს, მაგრამ ელცინს დიდძალი რუსები უჭერენ მხარს. ასეა თუ ისე, დრო დადგა, რომ რუსეთის იმპერია ინგრევა, საბედნიეროთ. რაც შეეხება ქაქუცას

[1] იგულისხმება მიხეილ გორბაჩოვი *(ლ. ც.)*.
[2] იგულისხმება ედუარდ შევარდნაძე *(ლ. ც.)*.

ქალიშვილს და მის დედის ტანჯვას, ეს ყველაფერი, ვიცი, მომეტებული ნაწილი, მაგრამ ჩვენი რაზმის გამოსვლის შემდეგ აღარაფერი ვიცოდი ზუსტად.

რაც შეეხება საბეჭდ მანქანას, საწყალმა ვ. ნანუაშვილმა ჩემი თანადასწრებით გამოიწერა გერმანიიდგან, ერთათ-ერთი ქვეყანაა გერმანია, სადაც აკეთებენ ქართულ საბეჭდ მანქანებს. საქართველოში ვინ აკეთებს, ეს არ ვიცი. ქაქუცას იარაღი გავატანე ნაცვლიშვილს, რომელიც არის ძმისწული ჩემი დიდი ხნის ამხანაგისა და რაზმელისა მიშა ნაცვლიშვილისა,[1] პაატა ნაცვლიშვილი ძალიან ჭკვიანი ახალგაზრდაა, 34 წლისა, ეხლა რედაკტორია მთავარი გაზეთისა თბილისში. ნაცვლიშვილები ქიზიყელები არიან. საქართველოს მუზეუმის უფროსი არის პროფესორი სანიკიძე, რომელმაც მშვენიერი სამადლობელი წერილი მომწერა ქაქუცას იარაღების შესახებ.[2] ჩემო ნიკო, აქ სამი თუ ოთხი თვის წინათ მოცეკერების გუნდი იყო საქართველოდან, მათ ნაიღეს ჩემი ყველა წიგნები, 50 ცალზე მეტი, მაგრამ უფრო ბევრად ადრე ათიოდე წიგნები შევგზავნე თბილისში, რის შესახებაც შემატყობინეს, რომ შენ წიგნებს ხელნაწერით ვამრავლებთო. ჩემო ძვირფასო ნიკო, მე ახლა 93 წლისა გავხდი, ამ უკანასკნელ წელიწადში ძლიერ დამრია ხელი (არტრაიტმა), რემატიზმებმა და მარჯვენა თეძო ძლიერ მაწუხებს და კოჭლობით დავდიკარ. ვინ მიმიშვებს ახტალაზე ან წყალთუბოში. მაგრამ ერთია თავი ჯერ კიდე კარგა მუშაობს, ან რა გასაკვირია, რომ რემატიზმებმა დამრია ხელი. სამი წელიწადი მინაზე ნაწოლს თოვლში, ავდარში, მაშ, რა დამემართებოდა! რა გასაკვირია!

შენ რასა ფიქრობ საქართველოში ნასვლის შესახებ? მე მგონია, შენთვის ადვილია, მაგრამ ერთი ეგ არის ძნელი, რომ შენი მეუღლე ავადმყოფობს, ეგ არის შენი სიძნელე. მე აქა მაქვს ქართული გაზეთი „ლიტერატურული საქართველო". ერთ ფურცელზე, ორიეე გვერდზე არის ნაანბობი ქაქუცას უფროსი შვილის, ნაანბობი თუ როგორ დატანჯეს მისი დედა და „ციცნა" თამარი. მეორე გოგო უფრო პატარა იყო, მაგრამ მასაც არ ასცდა ტანჯვა. სიმართლე გითხრა, მანამ ჩვენი რაზმი იქ იყო, ესე იგი საქართველოში, ჩვენ ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ ჩვენ რომ საზღვარგარეთ გამოვედით, მის შემდეგ ზოგადად მოგვდიოდა ამბავი – ქაქუცას ცოლ-შვილის ტანჯვა და მთელი ინტელეგენციის ხვრეტა. ეს იყო ჩემო ნიკო, შედეგი ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, მოწამლული გლეხკაცობა იდიოტური სოციალდემოკრატების პროპაგანდით და კომუნისტების დროს უფრო გაძრიელდა. და აი, ამნაირათ მოსპეს ინტელეგენცია მაშინდელი დროისა, რომელისგანაც შესდგებოდა თავად-აზნაურობისაგან მეტწილი. ჩემო ნიკო, ბევრი მაქვს საამბობი ჩემი მიხვედრით და გამოცდილებით, მაგრამ ყველაფერს ვერ დასწერ ნერილში. ეხლა უფრო ხშირათ უნდა გამოვეხმაუროთ ერთმანეთს, ეს საჭიროა.

გეხვევი ძმური სიყვარულით, გადაეცი ჩემი გულითადი სალამი შენ მეუღლეს.

მუდამ შენი მეგობარი
ა. სულხანიშვილი

ჩემთვის წასვლა საქართველოში თუმცა ადვილი არ არის, მაგრამ რას შემატყობინებენ, არ ვიცი, თუმცა ჩემმა სახლიკაცმა შემომითვალა, შენი საქმე მოწყობილიაო. ასე ადვილათაც არ შეიძლება ყველაფერი, მე აქ პენსია მაქვს თვეში 1000 დოლარი. იქ ეს ფული დიდია, მაგრამ აქ კი გაძნელდა, რადგან ყველაფრის ფასები დღითი-დღე სულ მაღლა იწევენ. ისე რომ, ძნელდება ცხოვრება, ჩვენ პენსიას ძალიან ცოტას უმატებენ.

მაშ, მოიწერე, რომელ გაზეთში იყო ქაქუცას ოჯახის შესახებ.

[1] ალექსანდრე სულხანიშვილს ეშლება, პაატა ნაცვლიშვილი არ გახლავთ მიშა ნაცვლიშვილის ძმისწული *(ლ. ც.)*.
[2] თამაზ სანიკიძის წერილი იხ. 428-429 გვ.-ზე *(ლ. ც.)*.



ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი მეფიცულებთან ერთად ქარიში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუში, **გურამ შარაძის** კერძო კოლექცია, თბილისი).

18.

Mr. M. Mathikashzwili
Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18
05-501 Polska

18 მაისი, 1989 წ.

გამარჯვება ჩემო ძვირფასო ნიკო!

კარგა ხანია შენი წერილი მივიღე და პასუხი დაგიგვიანე. ჩვენი დაქსაქსულობის და უბედურების გამო. რათქმაუნდა, გაიგებდი, რა უბედურება ენვია ჩვენ უბედურ სამშობლოს.[1] მხეცი რუსეთი ყველანაირადა ცდილობს, რითაცკი შეიძლება, ნელ-ნელა მოგვსპონ, რადგან მათ ჩვენი ტერიტორია სჭირდებათ. გარბაჩევმა და შავარდნაძემ ჩაგვიხოცეს ბავშვებიცკი. შავარდნაძე იგივე გენ. ციციანოვია, რომელმაც ჟლიტა ქართველობა, მაგრამ დრო დადგება, მაგათ ორივეს მოსპობენ ქართველები. ამ უბედურების დროს ბევრ რამეზედა გვაქვს საფიქრობი და თავში სახლელი. მანამდისინ ის უბედურება მოხდებოდა ჩვენ უბედურ სამშობლოსი. შტატ ტენესიში არის ჩამოსული პროფესორი **ჟორდანია** თავის შვილთან, რომელიც იმ შტატში ფილარმონიის დირიჟორია.[2] ამის მამა პროფესორი გივი ჟორდანია არის ჩამოსული რამდენიმე თვით აქაურ არხივების გადასაშინდლათ.[3] ამასთან ერთად დავალებით, რო დამპატიჟოს და წამიყვანოს სამშობლოში. ჩემთან ერთად უნდოდა წაყვანა პროფესორ ვახტანგ ჯობაძისა, ეს ქართლელია და

[1] იგულისხმება 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარი სისხლიანი მოვლენები, რაც გამოიხატა საბჭოთა არმიის მიერ ანტისაბჭოთა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მონყობილი მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევაში, რის შედეგადაც დაიღუპა 21 ადამიანი, ასობით კი დაიჭრა, მოინამლა და დასახიჩრდა *(ლ. ც.)*.

[2] იგულისხმება დირიჟორი ვახტანგ ჟორდანია *(ლ. ც.)*.

[3] sic!

გადახილა მთელი ქართული ეკლესიების ნანგრევებიც კი იყო სადმე და ბევრი ნანერებიცა აქვს ამის შესახებ, მაგრამ ეს უბედურება რომ მოხდა თბილისში, რათქმაუნდა, ყველაფერი შეიცვალა. ამის გარდა, პრ. ჟორდანიას დავალებული აქვს, რომ გაიგოს ზუსტად ჩემგან ილიას მკვლელობის შესახებ და ნამეტნავად დაკითხვა ილიას მკვლელისა ეერბიჭაშვილისა[1] ქაქუცას მიერ. ილიას მკვლელობის შესახებ ძალიან არიან *დაინტერესებულნი*[2] საერთოდ მთელი საქართველოს ყველა დანესებულებები. ქაქუცა ეერბიჭაშვილის დაკითხვას მთლიანათ მარტო ჩვენ გვიზიარებდა, მე და ელიზბარ ვაჩნაძეს. მე ეს შევადგინე, რაც ვიცოდი და გაუგზავნე პროფესორ ჟორდანიას. ზოგიერთმა დანესებულებამაცა მთხოვეს საქართველოდან, რომ დაკითხვის სინამდვილე გადავცე პროფესორ ჟორდანიას და ეს ოთხი დღეა, რაც გაუგზავნე. თუ გეინტერესება, შენც გამოგიგზავნი, პრ. ჟორდანია ამერიკაში დარჩება კიდე ორი თვე, საათობით მელაპარაკება ხოლმე ტელეფონით. აქაურ რუსულ ებრაელების გაზეთში „ნოვოე რუსკოე სლოვოში" თითქმის ყოველდღე იწერებოდა ზუსტად, რაც მოხდა საქართველოში. ეს სამიოთხი დღეა, აღარაფერს იწერებიან, მაგრამ ვიცით, რომ თბილისში შვიდი თუ რვა კაცი შიმშილობენ. შემდგარია კომისია, რომ გამოიკვლიონ, რა ხიმიკური სანამლაოთი მოწამლეს დემოსტრატები. ამაში ჩარეულია მსოფლიოს წითელი ჯვარი, მრავალი სახელმწიფოების წარმომადგენლებიც. საქართველოს მედიცინის წარმომადგენლები სთხოვენ რუსებს, რა შემადგენლობისაა ის გაზი, რომლითაც მოწამლეს სამას კაცამდის, რომ შეიძლებოდეს წამლობა, მაგრამ მხეცი რუსები არ ამბობენ, რა ხიმიკური შემადგენლობისა არის. ამბობენ ეს მხეცები, რომ ეს საიდუმლოაო. აქ არიან ორნი ძმანი გუდავები, ესენი საქართველოდან გადმაასახლეს, ძალიან მაგრა მუშაობენ ამერიკულ პოლიტიკურ წრეებში, პრეზიდენტსაც ხშირათ ხვდებიან, ამათი ამბავი მოდიოდა, როდესაც ჯერ ისევ საქართველოში იყვნენ, რომ ძალიან მაგარი პოლიტიკური მომუშავენი არიანო და საქართველოში მომხდარ უბედურების შემდეგ ამათ ამერიკაში მთლად გააფართოვეს თავიანთი მაგარი მუშაობა.

რაც შეეხება ჩემ პირად ცხოვრებას, ჩემო ნიკო, ძალიან ცუდ დროს ჩავბერდი, რომ ცოტა რამე მაინც მეშველა ჩვენი უბედურ ქვეყნისათვის. საბედნიეროთ, ჩემი თავი ჯერ კიდე კარგათა მუშაობს, მაგრამ არტრაიტმა – რემატიზმმა დამჩაგრა და მარჯვენა თეძოთი ვკოჭლობ. ამის საშეღავათო წყლები არის საქართველოში, წყალთუბო და ახტალა და აბა, მე იქ ვინ მიმიშვებს. ჩემო ნიკო, ცოტა რომ გამოკეთდეს საქმე საქართველოში, შენ არ აპირებ წასვლას ჩვენ სამშობლოში? როგორა ბრძანდება შენი მეუღლე? გადაეცი ჩემი გულითადი მოკითხვა. აღარ მახსოვს, მოგწერე თუ არა, ქაქუცას იარაღი – ხმალი, ხანჯალი და ქამარი ოქროსზარნიშიანი გავგზავნე საქართველოში, რომლებიც ეხლა იმყოფებიან თბილისის საგანძურში. აბა, ჩემო ნიკო, იყავი ყოჩაღათ, სიბერეს და ავადმყოფობას არ დაემორჩილო. საქართველო, ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ თავისას მოიპოვებს. ნათქმია, ერთი ჭირი მარგებელააო, ამ უბედურებამ, მომხდარმა უკანასკნელ დროს თბილისში მეტად შეაკავშირა მთელი საქართველო. მე რო ვკვდებოდე, ანდერძი უნდა დავტოვო, რომ შავარდენიძე და გარბაჩოვი თავის ოჯახობით უნდა იყვნენ მოსპობილი, როგორც ჩვენი ბალღებიც კი არ დაინდეს მხეცმა რუსებმა.

მაშ, ჩემო ნიკო, ჯერჯერობით ეს ვიკმაოთ. თუ რამე იქნება ახალი, მოგწერ. შენც ნუ ზარმაცობ და მოინერე ხოლმე ბეჯითად.

გებეევი ძმური სიყვარულით
მუდამ შენი მოსიყვარულე ა. სულხანიშვილი

A. Soulkhan
145 Terra vista
S.F. Cal. 94115

[1] იგულისხმება გიორგი ბერბიჭაშვილი *(ლ. ც.)*.
[2] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამორჩენილია *(ლ. ც.)*.

მიხეილ ქავთარაძე

1.

Mr Mamikazvili
05-301 Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18
Polonne

23 სექტემბერი, 1987

დიდად პატივცემულო, ძვირფასო ბატონო ნიკო,

მივიღე და სიამით წავიკითხე თქვენი წერილი. ძლიერ სასიამოვნოა, რომ თქვენი ჰასაკის კაცი ასე გარკვევით და დალაგებით წერთ. ღმერთმა ინებოს და კიდევ დიდხანს შემოგრჩენოდეთ ასეთი გონებრივი სიფხიზლე. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ქართველები, თუმცა ხშირად ღრმა სიბერემდი ცოცხლობენ, მაგრამ გონებრივად ყველა როდია უნარშენარჩუნებული. თქვენი მოგონებების შესახებ სულხანიშვილმა მომწერა: მე გამომიგზავნაო და მე მეკითხებოდა, როგორ შეიძლება, რომ დავბეჭდოთო. მე მაშინვე ვუპასუხე, მათიკაშვილის მოგონებებს მე დავბეჭდავ, ხარჯებზე ნუ ფიქრობ-მეთქი. თან ვეუბნებოდი, რომ მათიკაშვილი ისეთი აეტორია, ვისი მოგონებებიც უთუოდ დიდად ძვირფასი დოკუმენტი იქნება-მეთქი. იმანაც არ დააყოვნა და გამოგზავნა. მეც დასაბეჭდად მომზადებას შევუდექი. გადაჭრით ვერ გეტყვით, როდის დაიბეჭდება, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი ნაწერი უსათუოდ დაიბეჭდება. ხოლო რაც „დაკარგვას" შეეხება, მე რომ თუნდ ხვალ გავკრე, ჩემი არქივის არცერთი ფურცელი არ დაიკარგება, ამაშიც შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ.

როცა თქვენი, შესანიშნავად დაწერილი მოგონებები წავიკითხე, ერთმა ადგილმა მაფიქრებინა, რომ თევზაძის მოგონებებიც უნდა გქონოდათ. ეს იმიტომ ვიფიქრე, რომ თქვენს მოგონებებში ახსენებთ თევზაძეს და მის მოგონებებს ეყრდნობით – როცა ხაშურის მიდამოებში განზრახულ კონტრიერიშის ჩაშლაზე სწერთ. ცოტა ხნის შემდეგ სულხანიშვილმა მომწერა: თევზაძის მოგონებებიც მე მაქვსო. მე დაუყოვნებლივ მივწერე: ძლიერ გთხოვ, ფოტოკოპიო გადაიღე და გამომიგზავნე, ესეც დასაბეჭდია და არ დაიკარგოს-მეთქი. ამაზე არაფერი მიპასუხა. თუ თქვენ მისწერთ, იქნებ გამოგზავნოს. თქვენ მწერთ, თუ არ მიუღია, მეორედ გადაეთარგმნიო. მიღებით კი მიილო, მაგრამ გამოგზავნის თუ არა, ეს ჩემზე აღარ არის დამოკიდებული. სულხანიშვილი, ცოტა არ იყოს, თვითნება კაცია. ძალიან თავისებურია. ჩემზედ აღრენილი იყო: ელიზბარ ვაჩნაძის და ბადურაშვილის მოგონებები რად დაბეჭდე, შენ ვინ გეკითხებაო. მერე ფურცლები დააგზავნა და მე მეჩხუბებოდა: ქავთარაძემ ქაქუცას შესახებ წერას თავი უნდა დაანებოს, ეს ჩვენი საქმეაო. მე სიტყვა არ დამიძრავს მის საპასუხოდ. დრომ გაიარა და მიხვდა, რომ უსაფუძვლოდ შემომიტია. ბრაზმა გაუარა და როცა თქვენი მოგონებების თაობაზე მომწერა, თავისი წერილი ასე დაიწყო: „დავივიწყოთ ახალგაზრდული შეცდომებიო". ეს „ახალგაზრდული" შეცდომები 90 წლის კაცის ნათქვამს შეეხებოდა. მე სულხანიშვილზე არც არასოდეს მომსვლია გული. ისეთი კაცი არა ვარ, რომ ვისამე შეცდომის გამო გული მომივიდეს. ეს სხვათა შორის. სასურველი იქნება, რომ თქვენ მისწეროთ სულხანიშვილს, თევზაძის მოგონებებიც მე გამომიგზავნოს. როგორც კი შევძლებთ, იმათაც გამოვაქვეყნებთ. მაგრამ მე ამ დოკუმენტის დაკარგვის შიში მაინც მაწუხებს. ამიტომ

23 - სექტემბერი 1987

Mიხეილ ქავთარაძის ნერილი ნიკოლოზ მათიკაშვილისადმი, ავტოგრაფი, 23 სექტემბერი, 1987 (სლმ. №28443-3-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

თუ თქვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გაქვთ, გთხოვთ, თევზაძის პოლონური დედანი რამდენიმე დღით გამომიგზავნოთ. მე მიღებისთანავე ფოტოასლს გადავიღებ და დაუყოვნებლივ უკანვე დაგიბრუნებთ. მგონი, ეს წინდახედული სიფრთხილე იქნება. ხოლო შემდეგ ენახოთ, თუ სულხან-ნიშვილიც გამოგზავნის, ხომ კარგი, თუ არა და, პოლონური ტექსტი მაინც გადარჩენილი იქნება.

თქვენ გაინტერესებთ ყოფილ იუნკერთა ბედი. რამდენადაც ვიცი, თქვენს გარდა ცოცხალი არავინაა. ლალიძის ქვრივი თამარა გომართელი კიდევ ცოცხალია. აქ შვილი დამარხა. ამერიკაში მისი და, მიშა დადიანის ქვრივი გარდაიცვალა, ხოლო პარიზში უმცროსი და გარდაეცვალა. ერთი ძმაც ამერიკაში მოუკვდა. დარჩა მარტოდმარტო. მისი მისამართია:

Madame T. Laguidzé
6 Bis, Rue de l'Assomption
Paris 75016
France[1]

P. S. თუ პოლონეთში ისევე ადვილია და გავრცელებულია ფოტოკოპიის მანქანები, როგორც ეს აქ არის, მაშინ შეგიძლიათ თევზაძის მემუარების კოპიო იქვე გადააღებიოთ და ის გამოგზავნოთ. ამისთვის ჩემს თავს ნებას ვაძლევ და გიგზავნით 300 ფრანგულ ფრანკს. თუ საკმარისი არ აღმოჩნდეს, გთხოვთ მომწეროთ და დაუყოვნებლივ გამოგიგზავნით. ხოლო თუ ეს შეუძლებელია, ძალიან გთხოვთ, ეს ფული უკან არ გამოაგზავნოთ და სხვა რამეში გამოიყენოთ.

გისურვებთ ყოველივე სიკეთეს

მარად თქვენი მიხეილ ქაჟთარაძე

M. Kavtaradze
61 Ch. de Tabor
93310 Linas France[2]

2.

Mr. Matikazvili Mikołaj
ul Kr. Jadwigi 18
Zalesie Dolne
K.W-wy 05-501
Pologne

25.11.87

პატივცემულო ბატონო ნიკო,

ცოტა დაგვიანებით მივიღე თქვენი წერილი. მე ვშიშობდი, ვაი-თუ ჩემი წერილი ცენზურამ გახსნა და იქნებ თქვენც რაიმე უსიამოვნება შეგემთხვათ ამის გამო-მეთქი. ახლა დავმშვიდდი.

ძალიანა გთხოვთ, ფულის დაბრუნებაზე ნუ იფიქრებთ. პოლონეთში საუბედუროდ ისეთი მდგომარეობა არ არის, რომ თქვენი ეკონომიური კატეგორიის კაცისათვის ეს მცირე თანხაც-კი ზედმეტი იყოს, მე კი ბედნიერი ვიქნები, რომ თუნდაც ჩემდა უნებურად თქვენისთანა ღირსების თანამემამულეს ოდნავ მაინც დავეხმარე.

[1] ქ-ნ თ. ლალიძეს, ასომსიონის ქ. №6, პარიზი 75016, საფრანგეთი *(ფრანგ.)*.
[2] მ. ქაჟთარაძე, ტაბორის გზატკ. №61, 93310 ლინა, საფრანგეთი *(ფრანგ.)*.


ივერია

IVERIA

32

ივერია

32

ჟურნალი „ივერია“. №32, მაისი, პარიზი. 1988 (სულ I- №1678. ობიექტი)

რედაქციამ გადაწყვიტა თქვენი და თევზაძის მასალა ერთად გამოაქვეყნოს. მე ამას სულხანიშვილს მივნერ და თუ თევზაძის ნაწერს გამომიგზავნის, ხომ კარგი. თუ არ გამოგზავნის, მაშინ თქვენ მიერ გამოგზავნილი ეგზემპლიარით დავკმაყოფილდები. მე იგი წავიკითხე და არაფერი ისეთი არ ვიპოვნე, რომ მას, როგორც თქვენ ამბობთ, „მდარე“ დაერქვას. არცერთი ისეთი ადგილი არ არის ხელნაწერში, რომ ან გაუგებარი ან ძნელად ნასაკითხავი იყოს.

ძალიან კარგი იქნებოდა, რომ თევზაძის ნაწერს თან ახლდეს განმარტება: რომ იგი პოლონურიდან თარგმნილია თქვენ მიერ და რომ პოლონური ორიგინალი ამა და ამ დაწესებულებაში ინახება. ეს საჭირო და გამოსადეგია იმ მომავალ მკვლევართათვის, ვისთვისაც არის დანიშნული სინამდვილეში ამ წიგნის გამოცემა. ამიტომ, როდესაც თქვენ დანამდვილებით გეცოდინებათ დაწესებულების სახელი, გთხოვთ მაცნობოთ.

გისურვებთ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას

პატივისცემით მარად თქვენი მიხეილ ქავთარაძე

M. Kavtaradze
61 Chemin de Tabor
93310 Livas France

3.

6 ივნისი, 1988 წლისა

ძვირფასო ბატონო ნიკო,

უპატიებელ დანაშაულსა ვგრძნობ თქვენ წინაშე და არც თავის გამართლებას ვეცდები – რომ მიზეზთა ახსნა-მოთხრობით ბრალდება შევიმსუბუქო.

ამ წუთას მივიღე თქვენი წერილი. მისმა მორიდებულმა ტონმა უფრო დამსაჯა. ნება გქონდათ, ნამდვილი საყვედური მოგეწერათ.

ეს წერილი მხოლოდ აუცილებელ ცნობის მოწოდებაა, უფრო ვრცელ წერილს შემდეგ მიიღებთ. ამასთან გიგზავნით თქვენი მოგონების ანაბეჭდს.

ამ დღეებში ჟურნალი გამოვა და ცხადია, იმასაც მიიღებთ, თეზაძის მოგონებაც იმავ ნომერშია მოთავსებული.

თქვენს ნერილს, ე. ი. ბარათს სრულიად არ ეტყობა, თითქოს „სიბერე-მორეულ" კაცის მიერ იყოს დაწერილი.

გისურვებთ ჯანის შენარჩუნებას. საქართველოში ისეთი გამოღვიძება ხდება, რომ ჩვენთვისაც ღირს ცოტა მეტი ვიცოცხლოთ. მგონი, უფრო გაუმჯობესებას ვიხილავთ, ვიდრე გაუარესებას. ეს ჯერ ის არ არის, რაც ჩვენა გვსურს, მაგრამ ყველაფერს თავისი დასაწყისი აქვს.

ღრმა პატივისცემით მარად თქვენი მიხეილ ქავთარაძე

4.

Mr. Matikazvili
Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18
05-501
Pologne

3 აგვისტო, 1988

ძვირფასო, პატივცემულო ბატონო ნიკო!

ძლიერ გამაკვირა[1] თქვენმა უკანასკნელმა ნერილმა, რომელშიაც ბოდიშს იხდით თქვენ მიერ გაკეთებულ შენიშვნებისათვის და მეკითხებით, ხომ არ გეწყინათო. ბატონო ნიკო, როგორ გეკადრებათ, წყენა რას მიქვია. ჯერ ერთი, ავტორს ყველაზე მეტი უფლება აქვს შენიშვნებისა და საერთოდ, საქმეში მე მხოლოდ ის შემიძლია მეწყინოს, თუ მე თქვენ უნებლიედ რამეს განყენიებთ. ახლა რაც შენიშვნას შეეხება:

თქვენი მოგონება „იუნკრები" მე თითონ არ ამინყვია (82 წელი მისრულდება და ამგვარი მუშაობა უკვე მიძნელდება), ტექსტი ააწყო ჟურნალის თანამშრომელმა ჯანრი კაშიამ, რომელიც „პეტრე იბერის" ფსევდონიმითაც წერს. თქვენ მიერ აღნიშნული ადგილი ანუ ფრაზა, რომელიც თქვენ შეკვეცილად მიგაჩნიათ, მე ისე მახსოვდა, რომ ტექსტში არ იყო, მაგრამ ჩემი თავის დასარწმუნებლად კაშიას ვკითხე: „რამე ხომ არ შეგიკვეცია-მეთქი. მან მიპასუხა: რას ამბობ, ერთი სიტყვაც არ შემიკვეციაო" და მოგონებების დედანი მომიტანა. გადავათვალიერე და გარწმუნებთ, რომ ის აზრები და ფრაზები, რომელთა ჩვენს მიერ შეკვეცას თუ „შერბილებას" გულისხმობთ, იმ ტექსტში არ არის. ან რა უფლებით და რა მიზეზით უნდა შეგვერბილებია? კიდევ მეტი. თუ გახსოვთ, „შერბილება" თქვენ თითონ მირჩიეთ ერთი ადგილისა და მწერდით: „ისე მოათავსეთ, როგორც ნანუაშვილის აზრის ციტირებაო, ვინ იცის, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო".

მე ეს არ ავასრულე იმიტომ, რომ ამ ხნის განმავლობაში თვით საქართველოში აშკარად ისეთი რამის წერას ბედავენ, რომ თქვენი ნარკვევი შესაძლებელია, იქაც გადაბეჭდონ. მე ვფიქრობ, რომ აქ რაღაც გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი. თქვენ ეს აზრები თავში, რა თქმა უნდა, გქონდათ, მაგრამ არ დაგიწერიათ და ისე გახსოვთ, თითქოს დაწერეთ.

თქვენ მთხოვთ, მოგწეროთ ყოფილ იუნკრების შესახებ. ბატონო ნიკო, თქვენს გარდა მხოლოდ დოლიკა ვაჩნაძეა ცოცხალი, ასე რომ, თქვენ ორნი-ღა ხართ, „უკანასკნელი უბიხები". დოლიკა ნიუიორკში ცხოვრობს, მისი მისამართი არა მაქვს. თუ გაინტერესებთ, გავიგებ და გამოგიგზავნით. საერთოდ, ემიგრაციის უფროსი თაობიდან, ე. ი. თქვენთან ერთად წამოსულთაგან ორი-სამი კაცი თუ

[1] sic!

იქნება სადმე ცოცხალი, თორემ ახლა „ძველ“ ემიგრაციას უმთავრესად აგვისტოს შემდეგ წამოსულები შეადგენენ და ისინიც ხომ ოთხმოც წელს გადაცილებულნი არიან. უმეტესობას ემიგრაციისა დღეს ყოფილი ტყვეები წარმოადგენენ, იქნებ სულ 150 კაცი იყოს, რომელთა ნახევარი ევროპაშია გაფანტული, მეორე ნახევარი კი ამერიკაში. პარიზის სათვისტომო უმთავრესად აქ დაბადებულ ქართველებისაგან შესდგება, რომელთა შორის ათმა კაცმა თუ იცის ქართული და ისიც – კოჭლი. ასე რომ, სათვისტომოს დღევანდელ გამგეობაში მყოფ 7 ადამიანისაგან ყველა საფრანგეთშია დაბადებული.

აქედან შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ „ემიგრაცია“, როგორც ორგანიზებული პოლიტიკურად მოქმედი ჯგუფი ქართველებისა, აღარ არსებობს. საქართველო იქ არის და დღევანდელი თაობა ჩვენზე ნაკლებად პატრიოტული არ არის. ოცდაერთში რომ ასეთი გამოფხიზლება და შეგნება ყოფილიყო, ამ დღეში არ ვიქნებოდით და მარტო იუნკრების თავდადება არ გვექნებოდა ქვეყნის მიერ ნაჭამი სირცხვილის მოსარეცხად – თუნდაც დავმარცხებულიყავით.

„პარტიობია“ და ჩხირკედლაობა, ცხადია, კიდევ არსებობს, მაგრამ ყოველივე ამას უშინაარსო სახე აქვს და ისეთ ბითურების ასპარეზს წარმოადგენს, რომ ამის აღწერა არცა ღირს. გულმოსაკლავი და გულგასატეხი რათ გინდათ, რომ მოგწეროთ. ამიტომ მოვხსენით „ივერიას“ ერ.-დემოკრ. პარტიის სახელი. ვინც მენშევიკთა მემკვიდრეების გაიძვერობას და ბითურობას ნახავს, შესაძლებელია ანალოგიით ჩვენც მათებრ ჩიტირეკიებად ჩაგვთვალოს.

დღეს ჩვენი ჟურნალის მთავარი მიზანია, ისეთი მასალა ვბეჭდოთ, რაც ჩვენს ქვეყანას მომავალში გამოადგება, ხოლო დღევანდელი საკითხები იქაც ჩვენზე ნაკლებ როდი იციან. რაც შეეხება საქართველოს შინაურ საკითხებზე ფიქრსა და მისი მოგვარების გზებს, ეს ხომ იქ უნდა დამუშავდეს და იქვე გადაწყდეს. ჩვენ აქედან რა უნდა ვასწავლოთ.

მენშევიკები, მაგალითად, სულ ჟორდანიას „მოღვაწეობაზე“ სწერენ და მაშინდელი საქართველო მიაჩნიათ მომავლის იდეალად და მოდელად – ღმერთმა დაგვიფაროს!

ახლა, ბატონო ნიკო, ერთ რამესა გთხოვთ: ჩვენ ვაპირობთ ერთ წიგნად გამოვცეთ ომისდროინდელი მოგონებები და წერილები – თქვენ მიერ „მხედარში“ მოთავსებულ წერილების ჩართვით, რისთვისაც ნებართვასა გთხოვთ. გარდა ამისა, ძლიერ გთხოვთ, გადმოგვცეთ თუ როგორიმე ხელნაწერი საბუთი ან კერძო წერილი გაქვთ. ყოველივე ეს საინტერესოა მომავლისათვის, მე, მაგალითად, ვგულისხმობ გ. ლეონიძის მიერ თქვენდამი მოწერილ ბარათებს – ასევე სხვა პირთა მიერ. ნუ იტყვით, ეს კერძო წერილებიაო. ჩვენს ყოფაში „კერძო“ არაფერი არ არის, ყოველი ჩვენთაგანის ცხოვრება უაღრესად საინტერესოა მომავალ ისტორიკოსთათვის. უბრალო რამ, რომელიც ჩვენ დღეს უმნიშვნელო დეტალად მიგვაჩნია, შესაძლებელია ძვირფას ცნობას შეიცავდეს.

გისურვებთ მხნეობას და გამძლეობას. იქნებ ჩვენ დაბერებასა და დაკნინებასთან ერთად ჩვენი ქვეყნის განთიადი ახლოვდებოდეს. ცოტა კიდევ ვიცოცხლოთ, რომ სრული გათენება თუ არა, განთიადი მაინც დარწმუნებით ვიხილოთ

მარად თქვენი მიხეილ ქავთარაძე

M. Kavtaradze
61 Ch. de Tubor
93310 Linas F.

5.

20.2.1989

დიდად პატივცემულო ბატონო ნიკოლოზ, დავაგვიანე თქვენთვის პასუხის მოწერა, მაგრამ უნდა მაპატიოთ. მართალია, თქვენთან შედარებით თითქოს ახალგაზრდაც კი ვარ, მაგრამ ვაი ასეთ ახალგაზრდობას. ოთხმოცდაორ წელს მეც გადავაბიჯე და რადგან ხალხი სხვადასხვა გვარად ბერდება, უნდა იანგარიშოთ, რომ ჩემი ახლანდელი მდგომარეობა აუცილებელი არ არის, თქვენ მიერ იმავე ჰასაკში გამოვლილ მდგომარეობას შეესაბამებოდეს.

მძიმე სნეულება მე არა მაქვს, მაგრამ საკმაოდ ხშირად დავდივარ ექიმთან და წამლების მიღების დრო და რიგი ერთიმეორეში მერევა ხოლმე. მოკლედ, ჯანზე ვერა ვარ. წერაც მეძნელება თვალების გამო.

თევზაძის ნაწერის დედანი ცხადია მივიღე. ვფიქრობ საქართველოში გადავაგზავნო, მაგრამ ასლს მაინც გადავიღებ და ჟურნალის არქივში დარჩება. ასე რომ, ამ მხრივ დარდი ნუ გექნებათ.

თქვენ გამეორებით მთხოვთ ყოფილ იუნკერთა შესახებ მოგწეროთ. მგონი, მე უკვე მოგწერეთ, რომ თქვენსა და დოლიკა ვაჩნაძის გარდა აღარავინაა ცოცხლებში. რაც შეეხება თამარა გომართელის მიერ პასუხის არ მიღებას, ბატონო ნიკოლოზ, თამარა ისე დაბერებულია, ისე მოტეხილია, რომ მას არაფრის თავი აღარა აქვს. როგორ და რა უნდა მოგწეროთ ასეთმა ქალმა. ყოველივე ეს სამწუხაროა, მაგრამ ვერას გავხდებით. სინამდვილეს თვალი უნდა გავუსწოროთ. ჩვენ ცხოვრება უკვე დავასრულეთ, ახლა მხოლოდ ვცოცხლობთ. ჩვენი ნუგეში ის უნდა იყოს, რომ საქართველომ გამოიღვიძა. შესანიშნავი ახალი თაობა მოვიდა და ისინი ქვეყანას არ დაღუპავენ. იმათ ვუსურვოთ წარმატება და გამარჯვება.

მაგრამ ჯერ ნუ მოკვდებით, იყავით ყოჩაღად, იქნებ ჩვენი ქვეყნის აღდგომას მაინც მოვესწროთ.

მარად თქვენი მიხეილ ქავთარაძე

ალექსანდრე მანველიშვილი

1.

Mr. N. Matikashwili
05-501 Piaseczna
ul. Kr. Jadwigi 18
Poland

18 აპრილი, 1990 წ.

პატივცემულო ბ. ნიკო,

მადლობელი ვარ თქვენი მშვენიერი წერილისათვის. აღარ მახსოვს, მოგწერეთ თუ არა უკანასკნელად კიდევ ხელში მომხვდა თქვენი მოგონებანი და კიდე ერთხელ გადავიკითხე. ის არის ფრიად საინტერესო. ჩვენი მხედრებიდან ასეთი ბევრი არაფერი გვაქვს. განსვენებულ კვინიტაძემ თავის დროზე გამაცნო ხელნაწერი თავისი მოგონებისა. მე შევთავაზე მისი ქართულად თარგმნა. მაშინ მე სტამბაში ვმუშაობდი და უსათუოდ მოვახერხებდი მის გამოცემას, მაგრამ რაღაც სურვილი არ მაჩვენა. სჩანს, მას უნდოდა ის გამოსულიყო რუსულად, როგორც მოხდა. ის მე პარიზიდან მ. ქავთარაძემ გამომიგზავნა. გენერალთან კარგი დამოკიდებულება მქონდა და ბოლომდე ხშირად ვხვდებოდი.

მიუხედავად ზოგი ჩვენების დიდი ოპტიმიზმისა საქართველოს შესახებ, მე თქვენს აზრს ვიზიარებ. ბევრს კიდევ ვერ გაუგია რუსის ბუნება. ისინი ჩვენ ასე ადვილად არ მოგვეშვებიან. მაგრამ ღმერთმა ინებოს...

ბედნიერი ხართ, რომ ქართულ გამოცემებს იღებთ საქართველოდან. ცხადია, ამით ბევრ რამეს შეიტყობთ. ამ მხრივ მე არ მწყალობენ. ამ 15 წლის წინად, ჯერ კიდევ სანფრანცისკოში (იქ არის რუს. წიგნების მაღაზია) გამოვიწერე ჟურნ. „მნათობი", ფულიც გადავიხადე და 3 ნომრის შემდეგ შემიწყვიტეს გამოგზავნა. მე აღარ მოვინდომე ამის მოთხოვნა...

მეც 87 წელში შევდგი ფეხი და მთელი სამოცი წლის განმავლობაში ემუშაობდი ნახევრად მშიერი და გაჭირვებული და ამ დროის განმავლობაში აღარავის ვახსოვდი. არც ჩემი წერილები და წიგნები მიდიოდა დანიშნულების ალაგას. ახლა კი „ლიტერატურულ საქართველოში" მოთავსებული წერილის (ჩემს ნაწერებზე) შემდეგ ყველამ გამიხსენა. ზოგიერთ სასაცილო რამესაც კი მწერენ. ხოლო იქაური გამოცემები ერთ სტრიქონსაც არ მიგზავნიან. ერთი იმასაც კი მწერს, რომ მალე შენი დაბადების დაბა ვალეში (მე მესხი ვარ) ერთ ქუჩას შენი სახელი დაერქმევაო და სხვა ასეთ სასაცილო რამეებს. თუ დაცინვა არ არის, ჩემს ასაკში ძნელია ადამიანის გაბრიყვება...

მგონია კიდევ გამოვსცემ მალე ერთ პატარა წიგნს და გამოგიგზავნი. ხარჯები საფიქრებელი არ არის. ეს იქნება: „კორპორატიზმი". ეს აქტუალური არ არის, მაგრამ ის დაწერილია 1938 წელს და არ მინდა დაიკარგოს.

აგრეთვე აღარ მახსოვს თუ გამოგიგზავნე, ხოლო ამ ახალ წიგნთან ერთად გამოგიგზავნი ერთ პატარა იუმორისტულ მოთხრობების წიგნს (ფსევდონიმით), ცოტას გაერთობი...


თქვენს წერილებს „მხედარში" მუდამ ყურადღებით და სიამოვნებით ვკითხულობდი და ბედნიერი ვარ, რომ უკვე 90 წლის ასაკში კარგად ბრძანდებით. ამას მაგრძნობინებს თქვენი წერილის შინაარსიც.

გისურვებთ კვლავ სიცოცხლეს და კარგად ყოფნას


მარად თქვენი ალ. მანველიშვილი

Alexander Manvel
12125 W.GLH ave.
Arvada. Co. 80004.
U.S.A.[1]

[1] ალექსანდერ მანველი, 12125 W.GLH გამზ, 80004, აშშ. *(ინგ.)*.




ალექსანდრე მანველიშვილი, „ოქროს ხანა“, სან-ფრანცისკო, 1989, ნიკოლოზ მათიკაშვილის ავტოგრაფით (სლმ. ფ. №1792, ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



ალექსანდრე მანველიშვილი, „ნარკვევები და ნარილები“, სან-ფრანცისკო, 1990, ნიკოლოზ მათიკაშვილის ავტოგრაფით (სლმ. ფ. №1791, ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).



ნიგნის თაეფურცელი ალექსანდრე მანველიშვილის ავტოგრაფით.



ნიგნის თაეფურცელი ალექსანდრე მანველიშვილის ავტოგრაფით.

ნიკოლოზ მათიკაშვილი

ალექსანდრე სულხანიშვილს

1.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S. F. California 94115

ზალესიე დოლნე
5.VI.1981 წ.

ძმაო საშა!

შენი წერილი, გამოგზავნილი 28 მარტს, აპრილის ბოლოში მივიღე. სხვა და სხვა მიზეზების გამო აქამდის პასუხი ვერ გაგეცი. მოხარული ვარ, რომ ცოცხალი ხარ და ჯანმრთელობას არ უჩივი. მადლობელი ვარ მოგონებისათვის. ჩემი ამბავი მოკლეთ ასეთია. ამ სამი წლის წინათ ვარშავაში ავტომობილი დამეჯახა და მარცხენა ფეხის ძვლები მიმიმსხვრია. 9 თვე ფეხი თაბაშირში მქონდა და ძვლები, როგორც იქნა, შედუღდა. დღეს (ეს მესამე წელია) უჯოხოთ სიარული მიმძიმს, სხვაფრივ არა მიშავს რა და თავს კარგათა ვგრძნობ.

საქართველოში მე სამჯერ ვიყავი. ამ საქმეში მეხმარებოდა პოეტი გიორგი ლეონიძე, რომელიც ჩემი ახლო ნათესავია (დეიდაშვილი). წარმოიდგენ რა ბედნიერათ ვთვლიდი თავს, რომ იქ ჩასვლა მეღირსა. ადვილათ კი არ გადამიწყვეტია იქ წასვლა, ბევრი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ გავბედე და იქაურობა მოვინახულე. ბევრი რამაც შეცვლილა. თბილისი გაზრდილია, ხალხის პატრიოტული სულისკვეთება მაღალ დონეზეა. რუსული უღელი მძიმე ტვირთათ ანევთ. ძველებური უდარდელობა აღარა ჩანს. მომრავლებულა თბილისში უცხო ელემენტების ჩამოსახლება. მრავალია სომხობა, რუსები, ქურთები და სხვები.

როგორც მე გავიგე, შენთან ახლოს ცხოვრობდა ვანო ნანუაშვილი, ამბობენ ავათმყოფობის დროს შენ უვლიდი და ჰპატრონობდი. ეს კაცი დიდი ნიჭის პატრონი და დიდათ სასარგებლო იყო. მისი დაკარგვა ჩვენთვის უმნიშვნელო არ იყო. თუ იმაზე რამე ცნობები გაქვს, გთხოვ დაწვრილებით მომწერო: თავისი სიკვდილით გარდაიცვალა, თუ თავი მოიკლა? ჯანსაღობის მხრივ რას უჩიოდა? სად არის დამარხული? ხომ არ დაუტოვებია რაიმე დავალება ნათესავებისთვის გადასაცემათ. თუ ამას მომწერ, ვეცდები მის ნათესავებს გადავუგზავნო. ალბათ, შენთან ერთათ სხვა ქართველებიც არიან მანდ და საერთოთ, მანდაური მდგომარეობა დიდათ მაინტერესებს. ვიცი, რომ ამას ვერ მოიწერები, რადგან წერილებს გადაუთვალიერებლათ არ გადმომცემენ. ვაპირებ ქართული რამდენიმე წიგნი გამოგიგზავნო. ვარშავაში ქართველებიდან ჩემს გარდა ცხოვრობენ: გოძიაშვილის, კურულიშვილის[1] და ათაბეგიშვილის ოჯახები. ზაქარიაძის ვაჟი და მისი ქალი გარდაიცვალნენ. პოლონეთშია კიდევ ყოფილი იუნკერი წითლანაძე, კვალიაშვილი. მე მხოლოთ კვალიაშვილთანა ვარ მჭიდრო კავშირში. საქართველოდან ეღებულობ: „მნათობს“, „ცისკარს“, „დროშას“, „ლიტერატურულ საქართველოს“, „სამშობლოს“. მათი საშუალებით ვერკვევი, რა მდგომარეობაა საქართველოში, რასა ფიქრობენ და რასა სწერენ. ბევრი საინტერესო წიგნი გამოვიდა. პროზაში ვრცლათ აშუქებენ საქართველოს წარსულს. აბა, ჯერ ჯერობით, ამითი ვამ-

[1] იგულისხმება ყურულიშვილი *(ლ. ც.)*.





ალექსანდრე სულხანიშვილი, საფრანგეთი, 1927-28 წწ., პარიზის გარეუბანი, ვერიერულში (**პაატა ნაცულიშვილის** კერძო კოლექცია, თბილისი).

თავრებ. მომწერე რა გაინტერესებს ან რამე წიგნი ხომ არა გჭირია. იყავი კარგათ. მოკითხვა მანდაურ ქართველებს.

შენი ძმა და მეგობარი
მათიკაშვილი

6.VII გარდაიცვალა პოზნანში მიხეილ კვალიაშვილი. დასაფლავებაზე თითქმის ყველა ქართველი იყო. გარდაიცვალა სისხლის დანთხევის შედეგათ.[1]

Nadawca. M. Matikaszwili
Zalesie Dolne pod Piarsecznem
ul. Kr Jadwigi 18. 05-501


2.

[1981]

ძმაო საშა!

ალექსანდრე მანველიშვილისა და მ. კვალიაშვილის საშუალებით მივიღე ცნობა, რომ შენ ეძებ ჩემთან დაკავშირებას. ცნობამ, რომ ცოცხალი ხარ, გამახარა და დიდის სიხარულით გწერ წერილს. ამ რამდენიმე თვის წინათ, მგონი, „იერიაში" ნავიკითხე შენი მოკლე მოგონება ქაქუ-

[1] მინანერიდან ირკვევა, ნიკოლოზ მათიკაშვილს ეს წერილი 5 ივნისს დაუწერია, მაგრამ მიხეილ კვალიაშვილის გარდაცვალებამდე ე. ი. 6 ივლისამდე ადრესატისთვის არ გაუგზავნია (*ლ. ც.*).



ნიკოლოზ მათიკაშვილის ნერილი ალექსანდრე სულხანიშვილისადმი, ავტოგრაფი [1981] (სლმ №28445-17-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, თბილისი).

ცას დროინდელი მოვლენებიდან. ჩემთვის ეს ძალიან საინტერესო იყო. ცუდი არ იქნებოდა, რომ ისტორიას გადაურჩინო მეტი ცნობები იმ დროიდან და აგრეთვე პარიზში გაელილი ცხოვრებიდან. შენ ნანერზედ ეტყობა, რომ საამისო ძალა შეგწევს, ოღონდ არ ვიცი, ჯანღონე და გუნებაც თუ გაძლევს ამის შესაძლებლობას. საინტერესოა, ასწერო პარიზის იმ დროინდელი ვითარება. რას გედავებოდნენ, რათ განუხებდნენ? გამიგია, რომ ილიას ოქროს საათი ქაქუცამ აღმოაჩინაო ქუთაისელ იმერლის ოჯახში? ჩემთვის საინტერესოა კიდევ ლელო ჩიქოვანი, თქვენი ერთგული თანამებრძოლი იყო, თუ ადევნებული კაცი? რაღა თქმა უნდა, ასეთ რამეებზე ჩვენკენ წერილების ნერა უაზროა, რადგან შეუძლებელია, რომ წერილების შინაარსს თვალყურს არ ადევნებდნენ. ყველა ეს საკითხი შენ მოგონებებს დაამშვენებს. მე კი მომწერე შენი პირადი ამბავი, როგორა ხარ ჯანმრთელობის მხრივ. გაქვს თუ არა დამაკმაყოფილებელი სახსარი თავის გადასარჩენათ? კიდევ ძალიან მაინტერესებს ვანო ნანუაშვილის ამბავი... ამბობენ, რომ შენთან ახლოს იმყოფებოდა და უკანასკნელ ხანებში უელიდაო. თუ ესეა, გეცოდინება, რომ ჩვენი თაობის მხედრებიდან ყველაზე ნიჭიერი, სათანადოთ მომზადებული, გაბედული და თავის ღირსების შემგრძნობი ეგ იყო. მისი უდროოთ გარდაცვალება დიდი დანაკარგია ჩვენ მდგომარეობაში მყოფ ქართველებისთვის.. თუ შესძლებ და მომწერ იმაზე დაწვრილებით ცნობებს მის ნათესავებთან გადასაგზავნათ, კარგს იზამ. ეგ მარტყოფელი იყო, მე პატარძეულელი. ეს სოფლები ერთმანეთთან ახლოა და ჩვენ საერთო ნაცნობებიც გვყავდა. სწორეთ იმათი დახმარებით მივაწვდენ მის ოჯახს. რით იყო ავათ. რამდენი ხანი იავათმყოფა? რით და როგორ ცხოვრობდა? თუ რამე ნაწერები დასტოვა, უპატრონეთ.. ჩემ შესახებ საინტერესო ბევრი არაფერია. წარსული წლის 1 თიბათვეში ვარშავაში ავტომობილმა გადამიარა. მარცხენა ფეხის ნვივის ორივე ძვალი მიმიმტვრია რამდენიმე ადგილას და საერთოთაც დამაზიანა. 8 თვის განმავლობაში ფეხი თაბაშირში მქონდა, ეხლა ერთ ჯოხზე დაყრდნობით დავდივარ, ძვლები ასე თუ ისე შეერთდნენ, ოღონდ მუხლი და მარცხენა ფეხის ძარღვები ვერა მუშაობენ წესიერათ.. ისე რომ, მაინც და მაინც კარგ გუნებაზე არა ვარ.

საქართველოში სამჯერ ვიყავი ძმასთან და ძმისწულთან. პირველათ გოგლა ლეონიძის დახმარებით ჩაველი. ჩემი დეიდაშვილია, გავლენიანი კაცი იყო და დიდი დაფასება ჰქონდა. ამ ავათმყოფობის ხანაში ვაჟას პოემების თარგმანს შევუდექი პოლონურ ენაზე. ვეცდები, წიგნათ დავაბეჭდვინო. თარგმნას ამ 2-3 თვეში დავამთავრებ. საქართველოდან ვლებულობ: „ლიტერატურულ საქართველოს“, „სამშობლოს“, „მნათობს“ და „ცისკარს“. ყველაზე სავალალო დღეს საქართველოსთვის ის არის, რომ მას ჩქარი ტემპით თქვეფავენ სხვა ეროვნებებში. 15-20 წლის განმავლობაში საქართველოს მცხოვრებთა რიცხვმა $3^1/_2$ მილიონიდან 5 მილიონს მიაღწია. ეს ნამატი, ცხადია, ქართველთა რიცხვის ზრდით კი არ ხდება, არამედ უცხო ელემენტების შემოყვანით. საქართველოში იხსნება უამრავი დაწესებულებანი: სამეცნიერო, ჯანმრთელობის და სხვა საერთო მნიშვნელობისა. ამ დაწესებულებებს, ფაბრიკებს მოსდევს სპეციალისტები, მშრომელები, მუშები, განსაკუთრებით რუსთაგან და სხვა ეროვნებებიდან. ყოველ ახლათ ჩამოსახლებულს ისე მოსწონს საქართველო, რომ იბარებს თავის ნათესავებს, ნაცნობებს, ცხადია, ოჯახობით. საქართველოს არავითარი საშუალება არა აქვს, ამ ვითარებას წინააღუდგეს. თუ ასე გაგრძელდა, მივალთ იქამდის მოკლე ხანში, რომ ქართველები საქართველოში უმცირესობათ იქცევა. აბა, რა ბევრი გავაგრძელო, ალბათ თქვენც ადევნებთ მაინდამ თვალყურს იქაურ ამბებს და ჩემზე უარესათ არ იცით, რაც იქა ხდება და რა ჭირიცა სჭირს საქართველოს. თუ შენ ნათესავებთან რამე გადასაცემი გაქვს, მომწერე და ჩემი ნათესავების დახმარებით გადავცემ. მე საქართველოში ყოფნისას ვინახულე კახეთი, განსაკუთრებით ყვარელი და გურჯაანი, თბილისი და მისი შემოგარენი: მცხეთა, ანანური, ქუთაისი, ბათუმი, წყალთუბო, ბორჯომი...

(წერილი აქ წყდება)

3.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S.F. Calif. 94115

ზალესიე დოლნე
18.XII.1982 წ.

ძმაო საშა!

ახლოვდება ახალი 1983 წელი, შენც, შენ მეუღლეს და ოჯახობას გითვლით მრავალ მოკითხვას და გულითად სურვილს მოეტანოს მას ჯანმრთელობა, ბედნიერება და სურვილების ასრულება.

ეხლა მინდა თავი ვიმართლო, რატომ ვერ გიპასუხე შენ ორივე წერილზე, რომლებმაც საბედნიეროთ ჩემამდის მოაღწია.

ჯერ ერთი, რომ მე იმ შემთხვევის შემდეგ, რაც ავტომანქანამ ფეხი დამიზიანა ვერა ვგრძნობ თავს კარგათ, რაც დრო გადის ჯანსაღობა უარესობამდის მიდის და ახალ ახალი ტკივილები მიჩნდება.

განსაკუთრებით დაზიანებული აღმოჩნდა სმენისა და მხედველობის ნერვები. ორივე მხრივ საგრძნობათ მოვიკოჭლებ და რით გათავდება ეს არ ვიცი. მეორე – ცოლი მყავდა ავათ. გული დაუსუსტდა და ფეთქვა წუთში 30-მდის დავიდა, მაშინ როდესაც ნორმალური წნევა 70-ათამდის აღწევს. დიდხანს ივათმყოფა, სიკვდილის პირას იყო. ბოლოს გულში „სტიმულატორი" ჩაუდგეს, ნორმალური ფეთქვა დაუბრუნეს და გადაარჩინეს. ოღონდ ისიც თავს ვერა გრძნობს ძველებურათ. მალე იღლება, უგუნებობა დაჩემდა და ამ პირობებში წერილებზე ვერ გიპასუხე.

ჩემი ამბავი სხვამხრივ ასეთია: ვცხოვრობთ ვარშავიდან 25 კილომეტრის დაშორებით. გვაქვს პატარა სახლი და ეზო ჯაგებითა და ხეხილებით. გვყავს 12 თვალი ფუტკარი და მე ზაფხულობით ბაღჩასა და ფუტკრებთან მუშაობაში ვატარებ დროს. თაფლიცა და ხილიცა ჩვენთვის საკმარი მოვკრიფეთ. მეკითხები ხომ არაფერი გჭირდება სიამოვნებით გამოგიგზავნიო. მადლობელი ვარ კეთილი სურვილებისთვის. არც სურსათი და არც ჩასაცმელი, დასახური არ გვაკლია, ისე რომ ნურაფერზე შეწუხდები.

მე ძალიან მაინტერესებს მანდაური ქართველების ამბავი: რა დაემართა დოლიკას, ანდრონიკაშვილს?[1] ჩემ ყოფილ ამხანაგ იუნკერთაგან ვინ არის ცოცხალი? ვინ გადაგვირჩა ჩვენი უფროსი თაობის მოღვაწეთაგან? სად იმყოფება გ. ნაკაშიძე?

ეს ყველაფერი მაინტერესებს, მაგრამ ამ ცნობების მოწოდება არა ღირს, რომ არა სასურველ პირებს ჩვენი ვინაობა ხელში არ ჩაუვარდეთ: ამ სიბერის დროს ქართული ლიტერატურის თარგმანს მოვკიდე ხელი. გადავთარგმნე ვაჟა ფშაველას თითქმის ყველა პოემები. ერთ მათგანს ამ მოკლე ხანში მომითავსებენ „ფშეგლონდ ორიენტალისტიჩნი"-ში („აღმოსავლეთ მცოდნეობათა მიმოხილვა").

თუ დაიბეჭდება, ერთ ნომერს გამოგიგზავნი. მოვკიდე ხელი კიდევ ხატვას. ეს რაღა თქმა უნდა გასართობათ და დროის მოსაკლავათ. მნახველები ამბობენ, რომ „არა უჭირს რაო".

საუბედუროთ აქ სახატავი „კრასკები" (ზეთისა) არ იშოვება. ვხატავ მხოლოთ იმას, რაც საქართველოს შეეხება. თუ შევასრულე რამე ვარგისი, გამოგიგზავნი. შენ როგორღა ხარ მატერიალურათ? ან შენს ახლოს ქართველები რა პირობებში ცხოვრობენ? გაქვთ თუ არა ერთმანეთთან მისვლა მოსვლა და ჰღებულობთ თუ არა ქართულ ჟურნალ გაზეთებს?

მე გ. ლეონიძის დახმარებით მომდის: „ლიტერატურული საქართველო", „მნათობი", „ცისკარი", „დროშა" და „სამშობლო".

კაცმა რომ დაკვირვებით წაიკითხოს იქ მოთავსებული ნაწარმოებები, საკმაოთ სწორ წარმოდგენას იქონიებს იქაურ ცხოვრებასა, მდგომარეობასა და მოვლენებზე. რაღა თქმა უნდა, ცო-

[1] უნდა იგულისხმებოდეს ივანე ანდრონიკაშვილი *(ლ. ც.)*.

ტა კრიტიკის თვალში უნდა გაატარო ყველაფერი ეს.

ამით ვამთავრებ. ვეცდები ახლო მომავალში კიდევ მოგწერო და იქნებ ქართული წიგნებიც გამოგიგზავნო.

იყავი კარგათ. მოკითხვა ოჯახობას.

შენი კეთილის მყოფელი
ნ. მათიკაშვილი

მისამართი, რომლითაც აქამდის მიგზავნიდი წერილს სწორია და წერილები ამ მისამართით ჩემამდის მოდის.

ი. მ.[1]

Nadawca. Polska
05-501 Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18


4.

ზალესიე დოლნე
10.IV.1983 წ.

ძმაო საშა!

შენი გამოგზავნილი წერილი და ამანათიც მივიღე, რაზედაც დიდ მადლობას გითვლი. ჯერ მომივიდა ამანათი და ერთი კვირის შემდეგ წერილი. ამანათში, როგორც იწერები ათი ფერის საღებავი იყო. აქედან ცხრა მომცრო და ერთიც (თეთრიფერისა) მოზრდილი. „ჩოთკიც" 3 ცალია. ამანათი ისე იყო გამზადებული, რომ მისი გახსნა ვერ გაბედეს. მადლიერი ვარ ცნობისთვის მანდაურ ქართველებზე. მანველიშვილს და მაჩაბელს მოკითხვისთვის მადლობა და ჩემი მხრივ ძმური სალამი გადაეცი. ძალიან გამახარა დოლიკას კარგათ ყოფნამ. მე იმას ცალკე წერილს გაუგზავნი (ამ წერილში). გთხოვ, გადაუგზავნო. შენ რომ ინერები, შეფიცულთა შესახებ მოგონებები დავწერეო, კარგს იზამ, რომ ვინმეს ინგლისურათ გადაათარგმნინებდე და ნაწყვეტ ნაწყვეტათ გაზეთში გაუშვებდე. შემდეგ წიგნათაც დაგიბეჭდავენ. ვფიქრობ, რომ ამ წიგნს დაგიბეჭდავენ და მკითხველიც ბევრი გამოუჩნდება. ამ საკითხის შესახებ მანველიშვილს მოელაპარაკე. მწერლობასა და გამომცემლობის საკითხში ჩახედული კაცია და დახმარებასაც გაგიწევს. ეხლა ორიოდე სიტყვა ჩვენ ვითარებაზედ. ჯანმრთელობის მხრივ, რამდენადაც ჩვენ ასაკს და ფიზიკურ მდგომარეობას შეეფერება, არა გვიჭირს რა. ვცხოვრობთ ვარშავიდან 25 კილომეტრის მანძილზე მყუდრო დაბაში საკუთარ (ცოლის) სახლში. ეზო 2400 კვადრატული მეტრია. გვიდგას ჩვენთვის სამყოფი ხეხილები და ბუჩქები. 11 თვალი ფუტკარი და ცოტაოდენი ქათმები. მე ამ ბაღჩასა და ფუტკრის მოვლით თავს ვირთობ. ერთი ხანობა ქართული ლიტერატურის თარგმანს მივყავი ხელი.. გადავთარგმნე (ლექსათ) ვაჟა ფშაველას ყველა პოემები, მაგრამ იმათ დაბეჭდვით ვერავინ ვერ დავაინტერესე. აქ გამომცემლებსა და რედაქტორებს ჩვეულებათ აქვთ, მხოლოდ საკუთარი და მახლობელ ნათესავთა ნაწარმოებები გამოაქვეყნონ თავიანთ ჟურნალებში. 1979 წელს სრულდებოდა ვაჟას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის 100 წლის თავი. მე იმ წელს ერთ

[1] იგულისხმება იუნკერი მათიკაშვილი *(ლ. ც.)*



ნიკოლოზ მათიკაშვილის ნერილი ალექსანდრე სულხანიშვილისადმი, ავტოგრაფი, ზალესიე დოლნე, 10 აპრილი, 1983 (პაატა ნაცულიშვილის კერძო კოლექცია, თბილისი).

ერთ ჟურნალს გადავეცი დასაბეჭდათ ვაჟას „გოგოთურ და აფშინა“. ოთხი წელინადი ედოთ უჯრაში და მხოლოთ ეხლა (4 წლის შემდეგ) მოათავსეს 1983 წლის მე-2 ნომერში. მათმა ამნაირმა მოდგომამ გული ამიცრუა რედაქციებში სიარულზედ. კარგი კი იყო, პოლონელები ვაჟას შემოქმედებას გასცნობოდნენ.

გაინტრესებს მღვდლის ამბავი.[1] გერმანელების აქ ყოფნისას, ეტყობა, მას გულდასმით უთვალთვალებდნენ. დასწამეს საბჭოებთან კაეშირი, დაატუსაღეს, დახვრიტეს და არავინ იცის სად დაასაფლავეს. მთელ მის ქონებას რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ხელისუფლებამ დაადო ხელი.. რა უყვეს მის ნივთებს და სად გადაკარგეს, ღმერთმა არ იცის. ბევრი რამ საინტერესო კი ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, მათში საბერძნეთის ქართული ათონის მონასტრიდან ჩამოტანილი ხელთნაწერი წიგნები, სამღვდელო მოსასხამი, საბეჭდი მანქანა ქართული და ეგრონებ რუსული ან ინგლისური ასოებით. მე ბევრი ვეცადე ამ ნივთების ამბავი გამეგო, მაგრამ უშედეგოთ. მეკითხები ვინ არიანო ჩემს გარდა ქართველები პოლონეთში. ჩემი ამხანაგებიდან გადარჩნენ ყოფილი იუნკრები: ლოლო ლობჟანიძე და წითლანაძე. აქ გადაიცვალნენ:[2] ზაუტაშვილი, მ. კვალიაშვილი, ტურაშვილი, ციბაძე. სხვა ქართველთაგან ცხოვრობენ: გოძიაშვილი თავის დით, ყურულიშვილების ოჯახი, ათაბეგიშვილები. ყოფილი კაპ. არონიშიძის ვაჟი თავის ცოლითა და ქალით. ამ ახალ თაობიდან არც ერთმა არ იცის ქართული, თუმცა გულით ქართველებია. ცხოვრობდა ვარშავაში გენერალ ზაქარიაძის ვაჟი ცოლითა და შვილით. საწყლები, ერთი მეორის მიმდევნობით ამ სამი წლის განმავლობაში გადაიცვალნენ. ქართველები აქ ერთმანეთს არა ხედებიან, ისე რომ კვალიაშვილის გარდაცვალების შემდეგ მე მარტოთა ვგრძნობ თავს. კიდევ კარგი, რომ საქართველოდან ჟურნალ გაზეთები მომდის და სულიერ სიცარიელეს მივსებს. შორიდან ძნელი შესაფასებელია, თუ რა პირობებში უხდებათ მოღვაწეობა დღევანდელ ქართულ ახალგაზრდობას, რა სულისკვეთებაა მათ შორის და რისკენ მიილტვიან. ერთი შეიმჩნევა უსათუოთ, რომ მათ შორის ბევრი ღირსეული და ნამდვილი ქართველია და შეძლებისამებრ სწერენ თუ მოქმედებენ საქართველოს სასარგებლოთ. ხელისუფლება კი ძალიან მონადინებულია ქართველ ხალხს ნაციონალური პატრიოტიზმი გამოჰგლიჯოს და ინტერნაციონალურ პროპაგანდით კვებოს. ათი ათასობით პროპაგანდისტია ამ საქმეში ჩაბმული და რომელი მხარე დასძლევს ძნელი სათქმელია. ამით ვამთავრებ შენთან წერილს. ჩემი გულითადი მოკითხვა გადაეცი შენ მეუღლეს და ოჯახობას და მანდაურ ქართველებს.

იყავი კარგათ. შენი მოსიყვარულე
ნ. მათიკაშვილი

გამოგიგზავნე წიგნები:

1) „ვეფხის ტყაოსანი“.
2) რაფიელ ერისთავის თხზულებები.
3) „არსენა მარაბდელი“.
4) გ. ლეონიძის ლექსები.

მიღება მაცნობე.

[1] იგულისხმება არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე *(ლ. ც.)*.
[2] sic!

5.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S. F. Calif. 94115
U.S.A.

ზალესიე დოლნე
15.V.1983

ძმაო საშა!

ამას წინათ დაზღვეული წერილი გამოგიგზავნე. მდლობას გიხდიდი ამანათის გამოგზავნისთვის და გატყობინებდი ჩემ ამბავს. წერილში ჩავდე დოლიკასთან გადასაგზავნათ ჩემი წერილი მასთან. შეიძლება, ამ არევ დარევულ პოლონურ ვითარებაში ამ წერილებმა შენამდის ვერ მოაღწიეს და დოლიკასაც ჩემი წერილი არ მიუღია. დიდათ გამახარებ მისი მისამართის მოწოდებას თუ მოახერხებ. წერილთან ერთათ გამოგიგზავნე შემდეგი წიგნები: 1) „ვეფხის ტყაოსანი", 2) რაფიელ ერისთავის თხზულებანი, 3) მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი" და 4) გ. ლეონიძის ლექსთა პატარა კრებული. ამანათი დაზღვეული არ იყო და შეიძლება შენამდი ვერ მოაღწიოს. მომწერე მიიღე ეს წიგნები თუ არა?

წერილში გირჩევდი, რომ შენი მოგონებები ინგლისურათ გადაგეთარგმნინებინა და ცალკე წიგნაკათ გამოგეცა, ამაში მანეელიშვილი დაგეხმარება მეთქი.

ჩემი ვინაობა არ შეცვლილა. ამ სიბერის დროს თვალთ და ყურთ მაკლდება ნელნელა. სხვა მხრივ არა მიჭირს რა. გულითადი მოკითხვა შენ ოჯახობას და მანდაურ ქართველობას.

ძმური სალმით
ნ. მათიკაშვილი

Nadowea. Matikaszwili
Polska. 05-501 Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18

6.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S. F. California 94115
U.S.A.

[1983 წლის 14 ნოემბრამდე]

ძმაო საშა!

შენი უკანასკნელი წერილი მივიღე. მადლობას გიძღვნი მოგონებისთვის. მეკითხები ხომ არაფერი გესაჭიროებაო. მე აქ არაფერი მაკლია, ისე რომ ყველაფერზე მადლობელი ვარ და ნურაფრით შესწუხდები.

ერთ ერთ წერილში გამოგიგზავნე ჩემი წერილი დოლიკა ვაჩნაძესთან გადასაგზავნათ. მიიღო თუ არა და რატომ პასუხს არ მაძლევს? შენ მაინც მომწერე იმის ამბავი. დაოჯახდა თუ არა? ჰყავს თუ არა შვილები? როგორია მათი მატერიალური მდგომარეობა? ეთხოვდი დოლიკას მოეწერა რა ბედი ეწვია ჩვენ ამხანაგ ყოფილ იუნკრებს? ვინ გადარჩა ცოცხალი? ვინ და სად გარდაიცვალა? თვით დოლიკა ჯანსაღობის მხრივ როგორ გრძნობს თავს? ყველა ამაზე პასუხი ვერ მივიღე, იქნებ ჩემმა წერილმა შენამდის ვერ მოაღწია? საქართველოსთან მე იშვიათი კავშირი მაქვს წერილების სახით და იმ ჟურნალ გაზეთების სახით, რომლებსაც იქიდან ვღებულობ. ამ უკანასკნელ ხანს საქართველოში დიდათ იდღესასწაულეს რუსეთ-საქართველოს დამეგობრობის ფაქტი ამ 200 წლის წინათ გიორგიევსკის ხელშეკრულების ძალით. ყველაფერი დადებითათ ასახეს, ოღონდ სიტყვა არ დაუძრავთ იმის შესახებ, როგორ დაარღვიეს რუსებმა ეს ხელშეკრულება, როგორ შეიერთეს და მიითვისეს ჩვენი ქვეყანა. როგორ და რა ზომებით ეწინააღმდეგებოდა ამას საქართველო და რამდენი მსხვერპლი გავიღეთ ჩვენი უფლებების მოპოებისთვის. ჩემი ცხოვრება ძველებურათ მიმდინარეობს. აქ ზალესიეში პატარა ეზო გვაქვს ხეხილებით, ბუჩქებით, ფუტკრით (11 თვალი). ის რაც ამ ეზოსა და ბაღჩაში მოვიყვანთ, ჩვენ ორს (მე და ცოლს) სრულიათ გვყოფნის. ცოლს კიდევ გასართობათ 20 ქათამი ჰყავს – და აი, ამაში მიდის ჩემი დრო. ბევრსა ვკითხულობ ქართულ წიგნებსა და გაზეთებს. საქართველოში ჩემი და ჩემი მეუღლის დაპატიჟება ვერ მოახერხეს. უარს ეუბნებიან, ისე რომ ალბათ ვეღარ ვეღირსები საქართველოს ნახვას: მანდაურ ქართველობას, თუმცა არ ვიცნობ, მაგრამ ჩემი მოკითხვა გადაეცი.

იქნებ გაინტერესებს ქართული ლიტერატურიდან რამე. მომწერე და გამოგიგზავნი.

აქ შემოდგომა მზიანი და თბილი იყო. ხეხილს ჯერ ფოთლები სულ მთლათ არ დასცვენია. ოღონდ წვიმის და წყლის ნაკლებობაა. სოფლათ ხალხს ჭები უშრებათ. ჩვენი ჭა ღვთის მადლით ღრმაა და წყალი არ გვაკლია. აქაურ ქართველობასთან იშვიათი ურთიერთობა მაქვს. ძველი ხალხი დაიხოცა და მათი შვილები და შვილიშვილები პოლონელებათ არიან აღზრდილნი.

შეევუდექი მოგონებების წერას ნანახსა, განცდილსა და იუნკერთა შესახებ. ამ საქმეში აფსუს, რომ კვალიაშვილი მაკლია. ის ხომ ამ საქმის საუკეთესო მცოდნე იყო და ისე წაიდა წუთისოფლიდან, რომ ამ მხრივ არაფერი დაგვიტოვა.

მე მაინტერესებს შენ და შენი ოჯახი რა პირობებში ცხოვრობთ. სოფლათა ხართ თუ ქალაქში? და როგორ მიმდინარეობს თქვენი დღეები? შენი გერები დაოჯახდნენ თუ არა, და თქვენთან ცხოვრობენ თუ ცალკე?

თქვენი ყოველდღიური ბედის ცოდნა გამახარებს და წარმოდგენით მაინც დამაახლოვებს.

აბა, იყავი კარგათ. გულითადი მოკითხვა მეუღლესა და ოჯახობას.

ჩემი მისამართი შენ სწორთა გაქვს, ოღონ სახლის №13 კი არა 18-ია.[1]

Mikołaj Matikaszwili
Ul. Kr. Jadwigi 18. Zalesie Dolne K. W-wy
05-501 – Polska – Poland

Nadawca. M. Matikaszwili
ul. Kr. Jadwigi 18
Zalesie Dolne k. W-wy
05501 Polska

[1] ადრესანტებს ნიკოლოზ მათიკაშვილის სახლის ნომერი ხშირად ეშლებათ და ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მისამართზე ზოგან მითითებულია №1 ან №13 *(ლ. ც.)*.

7.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S.F. California. 94115

22.VIII.1984 წ.

ძმაო საშა!

კარგა ხანია არც შენ და არც მე ერთმანეთისთვის წერილი არ მიგვიწერია. როგორა ხარ? სიბერემ ხომ არ დაგძლია? როგორ არიან შენთან ახლოს მყოფი ქართველები ან ვინ არიან? შენ ამის შესახებ ცოტა რამ კი მომწერე, მაგრამ ხო იცი ქართველ კაცს უცხოეთში გადაკარგულ თანამემამულეების ბედი მაინტერესებს. გაქვთ თუ არა ერთმანეთთან კავშირი? რაიმე ეროვნული სახის მუშაობა? გამოდის თუ არა ან ვინა სცემს ქართულ წიგნსა და ჟურნალს? რასა იქმს მანველიშვილი? ჰყავს თუ არა გვერდით თანამგრძნობნი და გულშემატკივრები? სად არის და რასა სწერს პოეტი „ყიფიანი"? მისი ლექსების წიგნი წამიკითხავს. კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს ჩემზე.

მე სიბერე შემომეპარა. სულით ძველებურათ ახალგაზრდათ გრძნობს კაცი თავს, სხეული კი დაბერდა და დამძიმდა, მაგრამ რას იზამ, ამის წამალი არ არსებობს. დავასრულე ჩემი მოგონებების დაწერა. ბევრსა ვკითხულობ ქართულათ და საქართველოზე. აქ ქართველთა შორის ახალი არაფერია. ძველები დაიხოცნენ. ახალგაზრდები პოლონურ ყაიდაზე არიან გაზრდილები. ქართული ენა არ იციან. ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ვიდრე კვალიაშვილი ცოცხალი იყო, ცოდვილობდა, ჩემთან კაუშირში იყო, გულს მიმაგრებდა და რასაც კი საქართველოზე კარგს გაიგებდა ან წიგნს მიიღებდა, მეც მიგზავნიდა.

რა იყო შენი ნიკოლოზ სულხანიშვილი კომპოზიტორი? მე იმის დიდი პატივისმცემელი ვარ. ბავშვობისას სასულიერო სასწავლებელში სიმღერას გვასწავლიდა.

რაც შეეხება აქაურ პოლონურ ვითარებას: სასიხარულო ბევრი არაფერია, ნაკლებობაა სამრეწველო საქონლისა, რასაც კარგათ დაამუშავებენ საზღვარ გარეთ გააქვთ. სურსათის მხრივ ნაკლოვანება არ იგრძნობა. დამშეული არავინ არის, კარგათ აცვიათ და სევდა და პესიმიზმი არ ემჩნევათ.

გადარჩა თუ არა ვინმე ჩვენი უფროსი თაობიდან და სად არიან? ამირაჯიბი აჯანყების დროს თქვენთან, ქაქუცასთან რა კავშირში იყო? ძალიან მაინტერესებს შენი მოგონებები, მაგრამ რა გაეწყობა, რო გამოგზავნო ჩემამდის ვერ მოაღწევს, ისე რომ ერთი ცალი უნდა შემინახო.

აბა, იყავი კარგათ და მაგრათ. გულითადი მოკითხვა შენ მეუღლესა და ოჯახობას და მანდაურ ქართველებს.

ნ. მათიკაშვილი

Matikaszwili Mikolaj
Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18
05-501

8.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S.F. California. 94115

23.VIII.1985 წ.

ძვირფასო ძმაო საშა!

ეხლა ამ წერილს რომ გწერ, მიდევს შენი ამ წლის დასაწყისში გამოგზავნილი წერილი. ამდენმა ხანმა გაიარა მას შემდეგ და მე კი ეხლა გწერ პასუხს. ყოველ დღე კი ვაპირებდი ხმის ამოღებას და დღეს ხვალობის მიზეზით პასუხი დაგიგვიანე.

ვიყავი ამა წლის მკათათვეში საქართველოში ერთი თვით. ჩემი ძმის წულის დაპატიჟებით.. მივიარ მოვიარე იქაურობა და აი, ჩემი შთაბეჭდილებები. თბილისი მართლაც გაზრდილა და გალამაზებულა, ოღონდ უცხო ელემენტი ისე მომრავლებულა, რომ ქალაქი ქართულის შთაბეჭდილებას ვერა სტოვებს. მომრავლებულან სომხები, თათრები, ქურთები, რუსები და კიდევ სხვა 80 ეროვნების წარმომადგენლები. ქუჩაში ქართულთან ერთათ რუსული ისმის. თბილისის ვიწრო ქუჩებში ისეთი დიდი მოძრაობაა ავტომანქანებისა, რომ მისი სმენით ტკივი გილაყდება. თანაც სწორეთ ჩემ იქ ყოფნის დროს დიდი სიცხეები იყო. კარგი, რომ ნათესავები თბილისის გარეთაც მყავს და ნაწილი იმათთან გავატარე. ვიყავი ბორჯომში, ჩარგალში, დუშეთში, გარე კახეთში. საქართველოში გლეხობა მოსპობილია, მიწის კერძო საკუთრება არ არსებობს. აქვთ მხოლოთ საცხოვრებელი ბინა ან სახლი თავისი პატარა საკარმიდამო ეზოთი. გლეხი გადაქცეულია დაქირავებულ მუშათ თავისივე ყოფილ საკუთარ მიწაზე. მუშაობას გულს ვერ უდებს, მით უმეტეს, რომ იქიდან მიღებული ანაზღაურება ნატყობითა თუ ხელფასით მის ცხოვრებისეულ საჭიროებას ვერა ჰფარავს. ლტოლვა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ და ინიციატივის გამოჩენისაკენ მონათლულია უარყოფით გადანაშთებათ და კერძო მესაკუთრულ მავნებელ და დასაგმობელ მოვლენათ. ცხადია ასეთ პირობებში მატერიალურ უზრუნველ ყოფაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ხალხი გაჭირებითა ცხოვრობს, თუმც თავისი ოპტიმისტური განწყობილების წყალობით ამას არ იმჩნევს. საქართველოს ხელისუფლება ანხორციელებს საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მითითებებს. ის რაც კარგია მათთვის, კარგი უნდა იყოს ყველასთვისაც და ქართველთათვისაც, ამ ხაზით მუშაობენ: თვით ხელისუფლება და მისი ადმინისტრაციული აპარატი, ათი ათასობით პროპაგანდისტთა რაზმი, ყველა: ცოდნით, ჭკვით, გამორჩეული მოქალაქე. მთელი სულიერი შემოქმედება ლიტერატურა, მხატვრობა, კინო და ტელევიზია. ყველაფერი ხელისუფლების სამსახურშია, და თუ არსებობა უნდა, უნდა უკმიოს გუნდრუკი დაკისრებულ მოთხოვნილებას. ამისდა მიუხედავათ შემხვდა ისეთი ხალხიც, რომლებიც საქართველოს სიყვარულს არა სთმობენ და შეძლებისამებრ სამშობლოს საქმეს ემსახურებიან. ამათგან შემხვდა ისეთიც, რომელიც პარიზში ყოფნისას გასცნობია შენ მოგონებებს, შინაარსი მეტათ მოსწონებია და მირჩია, უსათუოთ უნდა წაიკითხოთო. მაშ საცდელათ მოდი ერთი ამ მოგონებათაგანი გამოგიგზავნე, რომელიც ეხება ილიას მკვლელობას და ქაქუცას პარიზში ყოფნის ხანას. ეს ჩადე სამეურნეო სახის მანდატურ ჟურნალებში და გამოგზავნე, როგორც ამანათი დაზღვეული ფოსტით. თუ ამას მოახერხებ და ეს ჩემამდის მოაღწევს, მაშინ ვიფიქროთ დანარჩენის გამოგზავნაზე; მეც ვმუშაობ. დავწერე ერცელი მოგონება იუნკრებზე. გარდა ამისა, ხელში ჩამივარდა ყოფილი გენ. კვინიტაძის შტაბის ოფიცრის მოგონება, რომელიც საქართველოს 1921 წლის ომს ეხება. მინდა მათი ნიგნებათ გამოცემა, მაგრამ არ ვიცი საამისოთ ვის უნდა მივმართო.

სტამბულის ქართული კათოლიკური მონასტრის სტამბა მოსპობილია. შვეიცაში არსებული ქართული სტამბა ბოლშევიკების დახმარებით არსებობს. პარიზში არ ვიცი რა მდგომარეობაა,

არის თუ არა იქ რაიმე სტამბა მენშევიკების გარეშე? ეს საკითხი მანველიშვილს ეცოდინება და კარგია, რომ იმას ამის შესახებ შეეკითხო და მომწერო. მაგალითად, მანდ არის კარგი პოეტი, მგონი, გვარათ ყიფიანი. მისი ლექსების წიგნი მეც ჩამივარდა ხელში. ვის სტამბაში ბეჭდავს? თუ ამ საკითხზე რამეს მოინერები და რჩევას მომცემ, დიდათ დამავალებ. რაც შეეხება ჯანმრთელობას, სიბერე კარგათ შემომეპარა. მუხლებში ძალა გამომელია, თანდათანობით მისუსტდება სმენა და მხედველობა, ალბათ ბევრს ვეღარ ვიბოგინებ ამ ქვეყნათ და მაინც ვმუშაობ. მაინტერესებს საქართველოს დღევანდელი ყოფის გაანალიზება. რა ელის მას ბოლშევიკური ხელისუფლებისა და რუსული იმპერიალიზმის მხრივ და როგორ დაახწიოს საქართველომ ყოველივე ამას თავი.

აბა, ჩემო ძვირფასო, ჯერ ჯერობით იკმარე ეს და ვეცდები მომავალშიაც არ დაგივინყო. მოკითხვა შენ ოჯახობას და მანდაურ ქართველობას.

შენი მოსიყვარულე
ნ. მათიკაშვილი

M. Matikaszwili
05-501 Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18

9.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S.F. Calif. 94115

ზალესიე დოლნე
19.X.1985 წ.

ძმაო საშა!

შენი ორივე ნერილი მივიღე, რაზედაც დიდათ მადლობელი ვარ. ჯერ საჰაერო ფოსტით მომივიდა შენი მეტეხის ამბების აღწერა და მერე წერილი. რაკი ამათ ჩემამდის მოაღწიეს, ალბათ დანარჩენსაც მივიღებ. ოღონდ სჯობია ორათ გაჰყო და ორი ამანათით გამომიგზავნო. ცხადია ის, რაც ქაქუცას და შეფიცულებს გადაგხდათ, საშვილიშვილო და დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. არ შეიძლება, რომ საქართველოს ცხოვრების ეს აქტი უკვალოთ დაიკარგოს და მომავალ თაობებს არ გადაეცეს. დიდათ სასარგებლო იქნებოდა შენი ამ შრომის წიგნათ გამოცემა, ოღონდ გამომცემლობის საქმე საზღვარ გარეთ ვერ ავაწყეთ. ვერ გავაბი კავშირი დოლიკა ვაჩნაძესთან. იმას ძველათ პარიზში აწყობილი ჰქონდა „მხედრის“ გამოცემის საქმე. ვინ უბეჭდავდა? რომელი სტამბა? გაქვს თუ არა შენ დოლიკასთან კავშირი? კარგს იზამ თუ იმის მისამართს მომაწოდებ. მეც მაქვს დასაბეჭდათ გამზადებული ჩემი მოგონება იუნკრებზე ტაბახმელიდან დაწყებული II მსოფლიო ომის დაბოლოებამდე, ე. ი. დღემდის. გარდა ამისა, ხელში ჩამივარდა კვინიტაძის შტაბის ოფიცრის მოგონება 1921 წლის ომის შესახებ რუსებთან. ავტორი ყოფილი მაიორი თევზაძეა. ბევრი საინტერესო ცნობებია იქ ომის მსვლელობაზე, გენ. კვინიტაძეზედ; მე-XI რუსული ლაშქრის მოქმედების შესახებ, ქართველ გვარდიულ ჯარის უვარგისობაზე. ამ მოგონების გამოცემა შუქს მოჰფენდა ბევრ საინტერესო მოვლენას, ხელისუფლების უვარგისობას და საქართველოს დამოუკიდებლობის დაღუპვას.

შენ მანველიშვილისგან და პოეტ ყიფიანიდან გაიგე და მომწერე მანდაური სტამბის ამბები. გარდა ამისა, ჩემთვის დიდათ საინტერესოა ამერკაში მცხოვრებ იუნკრებთაგან ვინ არის ცოცხალი? რომ იმის მისამართს გაიგებდე და მომწერდე დიდათ დამავალებდი.

აქ პოლონეთში იუნკერთაგან სამნი ღა დავრჩით. ჩემს გარდა: ყოფილი იუნკერი ილარიონ ლობჟანიძე და ნითლანაძე. გადაიცვალნენ იუნკრები: ტურაშვილი, ციბაძე, კვალიაშვილი, ზაუტაშვილი. ეს ცნობა, თუ მანდ ვინმე იუნკერია, შეგიძლია აცნობო. ეხლა მე ვმუშაობ თემაზე „საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და აქედან გამომავალი დასკვნები".[1] მასალა მზათა მაქვს, მხოლოთ დამუშავებაა საჭირო და თუ ჯანმრთელობამ არ მიმტყუნა, ამ შრომას მალე დავამთავრებ.

რაც შეეხება ჩემ პირად ცხოვრებას, არაფერი შეცვლილა. ჯანმრთელობის მხრივ კარგათა ვარ. ოღონდ ცოლი მყავს ავათ. მეოთხეჯერ ჩაუდგეს გულში ფეთქვის ამაჩქარებელი აპარატი „სტიმულატორი" და ვერ გრძნობს თავს კარგათ.

მოკითხვა შენს ოჯახობას და მანდაურ ქართველობას, შეფიცულებს (რამდენი ღა ხართ?).

ველი შენ პასუხს და გისურვებ კარგათ ყოფნას.

ნ. მათიკაშვილი

Mikołaj Matikaszwili
05-501 Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18

10.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S.F. California. 94115

3.III.86 წ.

ძმაო საშა!

შენი წიგნი „ჩემი მოგონებანი", რომელიც ამანლის 13 თებერვალს გამომიგზავნე, 26 თებერვალს მივიღე, წერილი კი 3 მარტს.. ამანათი გახსნილი იყო და ზედ ეწერა დაზიანებული მივიღეთო.

წიგნი დიდი ინტერესით და თავაუღებლივ წავიკითხე. ბევრი რამე გავიგე იქიდან, თუ რა ხდებოდა საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის დღიდგან. ამ ნაშრომით შენ დიდი ღვაწლი დასდე საქართველოს, რადგან შეურჩინე მას ქაქუცას, შეფიცულების და პირადათ შენი ნამოქმედარის კვალი. ცხადია თქვენი გმირობა და თავგანწირვა მომავალში ქართულ ისტორიის ფურცლებს მეტათ დაამშვენებს და მომავალი თაობებისთვის უმნიშვნელოთ არ დარჩება. წიგნი კარგი ენით არის დაწერილი და ყოველმხრივ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ისევე, როგორც წინათ გამოგზავნილი „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923-24 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე".

ამ წიგნებისათვის დიდი მადლობელი ვარ და ველი დანარჩენებსაც.

ჩემი მოგონებები ხელითა მაქვს დაწერილი, რადგან აქ ქართული მანქანა არც მე და არც სხვებს არა გვაქვს.

[1] ნიკოლოზ მათიკაშვილის ეს თხზულება დღემდე მიკვლეული არ არის *(ლ. ც.)*.

გეცოდინება, ალბათ, რომ 1972 წლის[1] კონსტიტუციით ბოლშევიკებმა შექმნეს ახალი, ერთიანი სახელმწიფო „საბჭოთა კავშირის" სახელწოდებით. გამოაცხადეს, რომ არსდება ერთი სახელმწიფო, რომელსაც ეკუთვნის მთელი ტერიტორია მიწით, წყლით, ტყით, წიაღისეული სიმდიდრეებით, ე. ი. ყველაფრით. ცალკე რესპუბლიკებს მხოლოთ სახელები ღა შერჩათ, დროებით. ამ დადგენილების თანახმად შეუდგნენ ხალხში სათანადო გრძნობების ჩათესვას. ადამიანმა უნდა დაივიწყოს თავის ნამდვილი სამშობლო, უნდა გაიმსჭვალოს ამ ახალ სამშობლოს სიყვარულით, ახალი პატრიოტიზმით, იყოს მისი ერთგული და ექვემდებარებოდეს მის კანონებს. ამ ნამოწყების ცხოვრებაში გასატარებლათ ჩაბმულია ყველა რესპუბლიკებში, ათი ათასობით პროპაგანდისტი, მთელი ბოლშევიკური პარტია, ლიტერატურა, პრესა, ტელევიზია, კინო, კომკავშირი, ფროფკავშირი,[2] სკოლები, უნივერსიტეტი. ერი გარდამავალი ცნებააო და ბოლოს და ბოლოს კოსმოპოლიტს დაუთმობს ადგილსაო. რომ ეს გადაეროვნულობის პროცესი დააჩქარონ, საქართველოში მიმდინარეობს გადმოსახლებათა სპეციალური პოლიტიკა და მოსახლეობის ერთმანეთში გათქვება. ამავე მიზანს ემსახურება წარმოების მშენებლობის პოლიტიკაცო. როდემდის გაუძლებს, ან გაუძლებს კი? ასეთ მოწოლას საქართველო?

სავალალოა ის, რომ ამ ნამოწყებაში თვით ქართველი ბოლშევიკები გამოდიან ინიციატორებათ. ალბათ ამ გზით უნდათ დაიმსახურონ წარჩინებები, ჯილდოები, გარდამავალი წითელი დროშები და სხვა. ყველაფერი ეს შენ, ალბათ ჩემზე კარგათ იცი და ტყუილათ გიფუჭებ გუნებას.

ახლა რაც შეეხება ჩემ პირად ვინაობას, სიბერე მეც შემომეპარა, აპრილში 86 წლისა ვხდები და ალბათ დასასრულიც ახლოვდება. ვერც ცოლი მყავს ჯანმრთელად, გულში ფეთქვის დამაჩქარებელი „სტიმულატორი" აქვს ჩადგმული და ხან და ხან აწუხებს. მატერიალურათ არა გვაკლია რა და თუმცა სიძვირეა, მაგრამ იოლას გავდივართ. პოლონეთში სანოვაგის მხრივ სიძნელეები არ არსებობენ. აქ სჩანს ზამთარი გაგვიგრძელდება. სიცივე 15 გრადუსს აღწევს, ცივა და თოვლი დევს. აქ პოლონეთში ჩემს გარდა ცხოვრობენ: ჩემი ამხანაგები, კაპიტნები ლობჟანიძე და წითლანაძე. ერის კაცთაგან გოძიაშვილების, კვალიაშვილების, არონიშიძის ოჯახებია. ესენი აქ დაბადებული ხალხია და თითქმის გაპოლონებულები. საქართველოდან ჩემი დეიდაშვილის გოგლა ლეონიძის წყალობით ვღებულობ: „ლიტერატურულ საქართველოს", „მნათობს", „ცისკარს", „დროშას" და „სამშობლოს". ისე რომ საკითხავი ბევრი მაქვს და ბევრიც ვიცი საქართველოდან. შენ მანდაური ქართველების ამბავი მომწერე. იქნება ვისთანმე გავაბა კავშირი.

აბა, იყავი კარგათ. მოკითხვა შენ ოჯახობას და მანდაურ ქართველებს.

შენი მოსიყვარულე
ნ. მათიკაშვილი

ეხლა რამე უნდა გთხოვო.

მე რომ ტაბახმელის ამბებს ვწერ, იქ ვიხსენებ, რომ მიუხედავათ ცხარე ბრძოლებისა და მსხვერპლისა, შიგა და შიგ, ჯანღი რომ ჩამოწვებოდა, სანგრებიდან ამოვსულვართ, წრე შეგვიკრია და ცეკვა სიმღერას მოვყოლივართ. ამ სიმღერებიდან ორი სიმღერის შინაარსი ვერ მომიგონებია და იქნებ შენ, როგორც კარგ მომღერალს გახსოვდეს ესენი: 1) „ბრძოლა ძმებო, ბრძოლა მამა პაპური, თორემ მტრისგან გველუპება მამული". მეორე, კინოში გამიგონია: „ქართველები ვახტანგ მე-VI-თან საქართველოდან იხიზნებიან და გემში რომ სხდებიან, მღერიან სიმღერას, რომელშიაც თავის მწარე ბედს ემდურიან და სადაც რეფრენათ ისმის: „არლე ლალე, არლუ არალალე." აი, თუ შენ ამ სიმღერებისა რამე გახსოვს, მომწერე, საიდან არიან ესენი და მათი შინაარსი.

ნიკ. მათიკაშვილი

M. Matikaszwili
05-501 Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18, Polska

[1] იგულისხმება 1977 წლის კონსტიტუცია *(ლ. ც.)*.
[2] sic!

11.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S.F. California. 94115

23.X.86 წ.

ძმაო საშა!

დამნაშავე ვარ შენთან, რომ წერილის მოწერა დაგიგეიანე. ვფიქრობდი კი შენზედ და შენგან ცნობას მოველოდი. სწორეთ ამ დროს მივიღე მანველიშვილის წიგნი „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა". ამან დამამშვიდა და შენ კარგათ ყოფნაში დამარწმუნა. ის ხომ წიგნს ვერ გამომიგზავნიდა შენ რომ მისამართი არ მიგეწოდებინა. მაინც კარგს იზამ თუ შენ თვითონ მომწერ შენ ვინაობაზე.

ჩემ ცხოვრებაში არავითარი ცვლილებები არ მომხდარა. მართალია ჯანსაღობის მხრივ არაფერი მაკლია, მაგრამ სიბერე შემომეპარა და რაც დრო გადის, ვგრძნობ მის ულმობლობას. შენ როგორა ხარ და როგორ ატარებ ცხოვრებას? გაქვთ თუ არა მანდაურ ქართველობას ერთმანეთთან კავშირი და კულტურული ურთიერთობა ან რა გამომცემლობები გამოდის და რა ღირსებისანი არიან თქვენთან თუ საფრანგეთში? მე ძველებურათ ვღებულობ საქართველოდან: „ლიტერატურულ საქართველოს", „მნათობს", „ცისკარს", „სამშობლოს" და „დროშას". ყველანი ვინც ამ გამომცემლობებში თანამშრომლობს საკმელს უკმევენ საერთო სამშობლოს საბჭოთა რუსეთს, რომ ამ გზიდან არ გადაუხვიონ, დარაჯათ ნორმალური ცენზურის გარდა კრიტიკა უდგას, რომელიც თვალყურს ადევნებს, რომ ისტორიული „გადანაშთები" არ განმეორდეს არც შემოქმედებაში და არც ცხოვრებაში. პოლიტიკური ხელმძღვანელობა ხომ ბევრ ისეთ ნაბიჯს სდგამს, რაც საქართველოს მომავალს სიკეთეს არ უქადის. ერთის სიტყვით გაძნელებულია იქ ქართველი ხალხის ცხოვრება. საკუთარ გულში ჩამალულ აზრს ვერ ამჟღავნებს და უნდა იცხოვროს და იფიქროს დაკისრებული მსოფლმხედველობით.


ესეთია დღეს საქართველოს ბედი და ჩვენც უძლურნი ვართ ამ ვითარებას წინააღეუდგეთ.

მომწერე როგორ ატარებ შენ კერძო ცხოვრებას, გაქვთ თუ არა საკუთარი სახლი და ეზო? შეგიძლია თუ არა იქ შრომით სიმშვიდე მოიპოვო? გიდგათ თუ არა ვაზი და ხეხილი, ან შეგიძლია იქ შრომა თუ არა? ჩემთვის ეს მეტათ საინტერესოა. მე პირადათ ამ მხრივ უზრუნველ ყოფილი ვარ.

ცოლს აქვს საკუთარი სახლი ვარშავიდან 25 კილომეტრის დაშორებით კარგა მოზრდილ ეზოთი, თავის ბუჩქებით და ხეხილებით, სხვათა შორის კაკლებით, ვაზით, შვინდით, ქლიავით და მსხალ ვაშლით. ნაყოფი ჩვენთვის საკმარისი მოგვდის და მთავარია იქ შრომაში მიღებული სულიერი სიმშვიდე. აბა, საშა! იყავი კარგათ, სიბერეს გაუმაგრდი, გული არ გაიტეხო და ხან და ხან მეც მაცნობე ხოლმე შენი ამბავი.

შენი მოსიყვარულე
ნ. მათიკაშვილი

Matikaszwili Mikolaj
05-501 Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18



ნიკოლოზ მათიკაშვილის მიერ ალექსანდრე სულხანიშვილისადმი გაგზავნილი წერილის კონვერტი, ჩალესიე დოლნე, 17 თებერვალი, 1987 (პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, თბილისი).

12.


A. Soulkhan
145 Terra Vista
S.F. California. 94115
U.S.A.

17.II.1987 წ.

ძმაო საშა!

მადლობელი ვარ წერილისა და მოლოცვისთვის. გისურვებ შენც და შენ ოჯახობასაც ჯანმრთელობას და ბედნიერებას. მე როგორც სიბერეს შეეფერება კარგათა ვარ. ცოლი ავადმყოფობს. აქაურ პოლონელებთაგან ძველები დაიხოცნენ, ახალგაზრდები კი გაპოლონელდნენ. ისე რომ ქართველთგან მარტოკა დავრჩი. მწერ, რომ ჩემი მოგონებები გამოგიგზავნო და იქნებ პარიზში დააბეჭდინო. საქმე იმაშია, რომ ამ ჩემ ნაშრომს დაბეჭდვა თუ არა, გადარჩენა მაინც უნდა, ამას მე აქ ვერ მოვახერხებ. რადგან ჯერ ერთი, რომ ჩემი ცოლი ავათმყოფია და მეორეც, ქართულ საკითხების საკითხი არ აინტერესებს. ჩემი სათხოვარი ის არის, რომ ეს ჩემი ნაშრომი სანდო პიროვნებას გადასცე.. შეიძლება დღეს დღეობით ამ შრომას ფასი არა ჰქონდეს, რადგან იქ ცოტა ჭარბათაა მოთხრობილი ჩემი თავგადასავალი. აბა, წაიკითხე და შენი აზრი მომწერე. აქვს თუ არა მას რამე ფასი. მე ვფიქრობ, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მისი შინაარსი საინტერესო იქნება. რო შეიძლებოდეს აქედან ფულის გამოგზავნა მის დასაბეჭდათ (ქაღალდის ფასი, შრომა) გამოვგზავნიდი, რადგან ამდენი შეძლება მაქვს, მაგრამ ეს ადვილი არ არის.

მაქვს კიდევ მეორე შრომა. პოლკოვნიკ თევზაძის მოგონებები 1921 წლის ომის შესახებ.




კონვერტის მეორე მხარე.

საინტერესოთაა დანერილი. პოლკ. თევზაძე ამ ორი წლის წინ გარდაიცვალა და თავისი შრომა, პოლონურათ დაწერილი, მე გადმომცა გადასათარგმნავათ და პარიზში გადასაგზავნათ დასაბეჭდათ. ის შრომა მხოლოდ $^1/_3$ თუ იქნება ჩემ მოგონებებზედ. იქ ის მიუდგომლათ მოუთხრობს წარსულის ამბებს და მისი გადარჩენაც და გამოცემაც უსათუოთ სასარგებლოა. ვნახოთ რას მომწერ ამის შესახებ.. და გადასარჩენათ მაინც შენს გარდა გზა არა მაქვს. ყოველ შემთხვევისთვის მოვამზადებ მას გამოსაგზავნავათ. ჩემი მისამართი შენ წერილებში სწორია:

M. Matikaszwili
05501 Zalesie Dolne
k. W-wy. ul. Kr. Jadwigi 18
Polska (Poland)

ველი პასუხს შენი ძმა და მეგობარი
ნ. მათიკაშვილი

Nadawca. Mikołaj
Matikaszwili 05-501
Zalesie Dolne k. W-wy
ul. Kr. Jadwigi 18



ნიკოლოზ მათიკაშვილის წერილი ალექსანდრე სულხანიშვილისადმი, ავტოგრაფი. ზალესიე დოლნე, 17 თებერვალი, 1987 (პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, თბილისი).

13.

[1987 წლის თებერვლის შემდეგ]

ძმაო საშა!

მივილე შენგან წერილი. გამეხარდა, ალბათ მიიღო ჩემი მოგონებები და ამას მაცნობს მეთქი. საუბედუროთ ესე არ მოხდა. სჩანს ამ მამაძაღლებმა შთანთქეს. მე კი ის გამოგიგზავნე თებერვლის ნახევარში. რაკი საქმე ასეა, გადავწყვიტე ხელახლათ გადავწერო და ნაწილ ნაწილ გამოგიგზავნო. ეხლა გიგზავნი დასაწყისს. ამნაირ ქაღალდზე დაწერილი ორ მხრივ და ორმხრივევე დანომრილი 32 გვერდია. ამის მიღების დასტურს რომ მივიღებ, გამოგიგზავნი გაგრძელებას.. მთავარია, რომ მან შენამდის მოაღწიოს და შენ ეს გადაარჩინო. დასაწყისი შეიძლება არც ისე საინტერესოა, ოღონდ შემდეგში ალბათ გაუმჯობესდება.

შრომა შეიცავს დაწვრილებით ამბავს თვით სკოლაზე, ტაბახმელასა და ბოლშევიკებთან მთელ ბრძოლაზე ბათუმამდის. შემდეგ ემიგრაცია, სამხედრო სკოლები საბერძნეთსა, პოლონეთსა და საფრანგეთში, „მხედრის" ამბავს, იუნკერთა პოლონეთ გერმანიის ომში მონაწილეობას, დანაკლისები.. გზა და გზა ცნობებია პოლკ. ჩხეიძეზე, გენ. კვინიტაძეზე, რეზო გაბაშვილზე, გენ. ზაქარიაძეზე, მენშევიკებზე. ერთი სიტყვით, სწორი და სრული ისტორიული მასალაა საზღვარ გარეთ მყოფ ქართველ მხედრებზე, იუნკრებსა და უფროსი თაობის ოფიცრებზე.. მიიღებ თუ არა ამ დასაწყისს, მაშინათვე მაცნობე.


მეკითხები ჩემ მისამართს. ყველა შენი წერილები ჩემამდი აღწევს, ისე რომ მისამართი სწორი გაქვს. მაინც გწერ კიდევ:

M. Matikaszwili
05-501 Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18
Polska

კარგი იქნება, რომ პარიზში მყოფი რომელიმე ქართველის მისამართი გამომიგზავნო, რომ იმის საშუალებით კავშირი გავაბა იქ გადარჩენილ ყოფილ იუნკრებთან. იქნება გამოჩნდეს ვინმე, რომ „მხედარი" გააცოცხლოს. ემდური მანველიშვილს, გარუმდაო. იქნებ პირადი მდგომარეობა არ უწყობს ხელს, ოღონდ ის, რაც დაწერა, დიდი დამსახურებაა მისი. იმასთან ურთიერთობას ნუ გაამწვავეფ. ეგეთი ხალხი საქართველოსთვის დღეს მალამოა და სანთლით საძებნელი. მეკითხები, პოლონეთში ქართული მანქანა ხომ არა გაქვთო. იუნკრებს გვქონდა ერთი მანქანა. ომის ბოლოს ის მანქანა ან დათა ლაღიძის ან ნანუაშვილის ხელში იყო და რა უქნეს მას, არ ვიცი.. ამ წერილს რომ გიგზავნი, გაგრძელების გადაწერას შევუდგები და მხოლოთ მაშინ გამოგიგზავნი, ამის მიღების დასტურს რომ გამომიგზავნი. აბა, იყავი ყოჩაღათ.

შენი კეთილის მსურველი
ნიკოლოზი

მოკითხვა შენ ოჯახობას და მანდაურ ქართველებს.



ნიკოლოზ მათიკაშვილის ნერილი ალექსანდრე სულხანიშვილისადმი, ავტოგრაფი [1987] (პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, თბილისი).

14.

ზალესიე დოლნე
16.III.87 წ.

ძმაო საშა!

შენი წერილი, საშობაოთ რომ გამომიგზავნე, კარგა ხანია მივიღე და მე კი პასუხი დაგიგვიანე. ამასობაში ჩემი მოგონებებიც და თევზაძის მოგონებებიც გადავწერე იმ აზრით, რომ თუ მანდ გამოგზავნისას ერთი ცალი დაიკარგება, მე აქ მეორე ცალი გადამირჩება. ჩემი მოგონებები სათაურით „იუნკრები" თებერვლის ბოლოს გამოგიგზავნე. გთხოვდი, რომ ისეთი პიროვნებისთვის გადაგეცა, რომ მის გადარჩენაზე მაინც ეზრუნა. თუ კი მოხერხდება მისი დაბეჭდვა, ამას რალა ემჯობინება. ეს დაკავშირებულია ხარჯებთან (ქაღალდი, შრომა). რომ შესაძლებლობა იყოს, ფულს გადავგზავნიდი იმ პიროვნებასთან, ვისაც ამ საქმეს მიანდობ: საუბედუროთ აქედან ფულის გამოგზავნა სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მე ველი შენს პასუხს, ეს ამანათი მიიღე თუ არა? თუ ჩემმა მოგონებებმა შენამდის მოაღწია, მინდა თევზაძის მოგონებებიც გადმოგიგზავნო. ამ შრომას სოციალისტებიც უპატრონებენ. ეს ხომ იმათი კაცია. მართალია მის მოგონების შინაარსს მთლიანათ არ ვიზიარებ, მაგრამ ის რაც მან დაწერა, საერთო ჯამში საინტერესოც არის და სასარგებლოც. თევზაძე საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან გენერალურ შტაბში მუშაობდა, როგორც დაზვერვის დარგის უფროსი. მონაწილეობა მიიღო საქართველოს მიერ წარმოებულ ყველა ომებში. გენ. კვინიტაძის მიერ 3 მოგებულ ომში, მაზნიაშვილის, ართმელიძის, ჯიჯიხიას, გაბაშვილის და სხვა გენერალთა მიერ წარმოებულ ომებში. იძლევა დაწერილებით ცნობებს ამ ბრძოლების შესახებ და დახასიათებას ჩვენი გენერლებისა. ეხება საქართველოს რეგულიარულ ჯარსა და გვარდიას. გვარდიას მაინც და მაინც დიდათ არ აქებს. ერთის სიტყვით ის რასაც სწერს ყველაფერი საინტერესოა.

თუ სადმე სცოდავს, ამაზე შემდეგში შეგვიძლია პასუხი გავცეთ. შენ ეს შრომა უნდა გადაარჩინო და თუ მოახერხებ, დასაბეჭდათ გადასცე ისეთ პიროვნებას, რომელიც მის პატრონობას შესძლებს. მე ვუცდი შენ მიერ ჩემი მოგონებების მიღების დასტურს, მაშინ თევზაძის მოგონებასაც გამოგიგზავნი. მაინტერესებს შენი აზრი ჩემ შრომაზედ და თევზაძის მოგონებებზე. სხვათა შორის, თევზაძე მე-2 წელია, რაც გარდაიცვალა, 85 წლის აპრილში.

მომწერე საფრანგეთში მცხოვრებ სანდო პიროვნების (თუ პიროვნებების) გვარი და მისამართი, რომ მე მათთან კავშირი გავაბა. იქნებ იცი მისამართი თამარ ლაღიძისა, ჩემი ამხანაგი იუნკრის დავით ლაღიძის მეუღლისა, ან საფრანგეთში მცხოვრებ რომელიმე ყოფილი იუნკრისა. აბა, საშა, იყავი კარგათ. მოკითხვა მანდაურ ქართველებს და შენ ოჯახობას.

შენი ძმა და მეგობარი
ნ. მათიკაშვილი

გუშინ, ე. ი. 30 მარტს შენი წერილი მომივიდა. მეგონა, ჩემი მოგონებების მიღებას მიდასტურებდი. რაკი დღემდის არ მიგიღია, გადავწყვიტე, ხელ ახლათ ნაწილ ნაწილ გამოგიგზავნო საჰაერო და დაზღვეული ფოსტით, როდესაც ამის მიღებას დამიდასტურებ, გამოგიგზავნი გაგრძელებას.[1]

[1] მინანერიდან ირკვევა, რომ ნიკოლოზ მათიკაშვილს ის 1987 წლის 1 აპრილს გაუკეთებია, მაგრამ ავადმყოფობის გამო 1987 წლის 16 მარტით დათარიღებული ეს ბარათი, მხოლოდ მომდევნო ორ წერილთან ერთად გაუგზავნია ადრესატისთვის *(ლ. ც.)*.

15.

1.IV.1987 წ.

ძმაო საშა!

გუშინ მივიღე შენი წერილი, სადაც მეკითხები, მივიღე თუ არა შენი გამოგზავნილი მეორე წიგნი? მე შენგან მივიღე ორი წიგნი: პირველი მცირე მოცულობისა სათაურით „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923-1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე", მეორე უფრო ვრცელი სათაურით „ჩემი მოგონებანი". ამ წიგნების მიღება მაშინათვე დაგიდასტურე და როგორც ჩანს, ჩემმა წერილმა შენამდის ვერ მოაღწია. გარდა ამისა, მანველიშვილმაც გამომიგზავნა თავისი წიგნი. ამ წერილთან ერთად გიგზავნი მეორე წერილსაც, რომელიც 16 მარტს დავწერე და დღემდის ვერ გამოგიგზავნე. ამ წერილში გეკითხებოდი მიიღე თუ არა ჩემ მიერ თებერვლის ბოლოში გამოგზავნილი წერილი, რომელშიაც იყო ჩემი მოგონებები სათაურით: „იუნკრები". რაკი ამაზე არაფერს მწერ, მაშ დაკარგულა და უნდა ხელახლათ გამოგიგზავნო. ოლონდ ჯერ უნდა გადავწერო და ეს გასტანს. მოცულობით 55 ამნაირი ფურცელია ორმხრივ ხელით დაწერილი. მანდ ამერიკაში ჩემი ამხანაგი იუნკრები არიან და მე მათ მისამართს ვერ მივაგენი, რომ მათთან კავშირი გავაბა. ესენი არიან შაქრო ცერცვაძე, სიკო კობიაშვილი (ეს, მგონი, გარდაიცვალა). მანველიშვილს რომ უჩივი, იქნება პირობები არ უწყობენ ხელს და იმისთვისაა გაჩუმებული. მომწერე რამდენი ხნისაა, ცოლშვილი ჰყავს თუ არა. იმის მისამართიც. აქ ჩემს გარდა ქართველთაგან არიან ყოფილი იუნკრები: ლობჟანიძე და წითლანაძე, კვალიაშვილის ოჯახობა – ცოლი და 3 ქალი; ამათგან 2 გათხოვილი და ერთი გაუთხოვარი. შემდეგ გოძიაშვილების ოჯახი – ვაჟი და ქალი. ქართული არ იციან. ყურულიშვილების ოჯახი – ვაჟი თავის შვილებით. ათაბეგიშვილის ოჯახი – ერთი ქალი. აქ ჩვენ შორის არავითარი კავშირი არა გვაქვს და იშვიათათ ვხვდებით ერთმანეთს. ეხლა მომაგონდა, რომ ამერიკაში უნდა იყოს ყოფილი იუნკერი მიშა დადიანი.

იქნება შენ მომწერო შენი ნაცნობის მისამართი, რომელიც პარიჟში[1] ცხოვრობს. იმის საშუალებით იქნება პარიზში ვინმე იუნკერი ვიპოვო.

აბა, იყავით კარგათ. მომწერე წერილი.

ნ. მ.

ველი აქ დართული ჩემი მოგონების მიღების დასტურს. როდესაც ამას მივიღებ, გამოგიგზავნი გაგრძელებას.

16.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S.F. California. 94115

[1987 წლის 1 აპრილის შემდეგ]

ძმაო საშა!

შენი უკანასკნელი წერილი, სადაც მატყობინებ, რომ ქავთარაძემ იკისრა ჩემი მოგონებების გამოცემა, ცხადია დიდათ გამახარა.[2] პასუხი კი დაგიგვიანე, რადგან ისე ავათ ვიყავი და დღესაც ავათა ვარ, რომ ძალა არა მაქვს, კალამს ხელი მოვკიდო. აი, რა დამემართა: შარდი შემეკრა,

[1] sic!
[2] sic!

ექიმებმა ვერ გაიგეს, რა იყო და ორი თვე ავათმყოფი დავდიოდი, მადა და გემოვნება დაეკარგა. ალბათ ორგანიზმი მომეწამლა. თვეზე მეტი წყლით ვიკვებებოდი, დავსუსტდი და სიკედილს პირას მივედი. ბოლოს მივაგენ სათანადო ექიმებს და ეხლა მწამლობენ, რა გამოვა აქედან, არ ვიცი. მე ხშირათ არა ვწერ და არც შენგან ვღებულობ დროზე პასუხს. მარტის ნახევარში გამოგიგზავნე თევზაძის მოგონებები. ჩემი ანგარიშით, აქამდის უნდა მიგეღო, მე კი ცნობა არა მაქვს. ხომ არ დაიკარგა. ჩქარა მომწერე, მიიღე თუ არა? რატომ ქავთარაძის მისამართი არ გამომიგზავნე? აქამდის კავშირს გავაბამდი. ხო იცი, რომ მე მაინტერესებს პარიზში მყოფ ქართველების ბედი. განსაკუთრებით ყოფილ იუნკრებისა. იქნება მივაგნო ვისმეს, რომ „მხედარი" გააცოცხლოს. საჭირბოროტო და გასაშუქებელი საკითხები ბევრია და გამკეთებელი კი არა ჩანს.

აბა, საშა, ჯერ ჯერობით იკმარე ეს მოკლე წერილი, რომ გამოვკეთდები, მოგწერ ვრცელ წერილს. იყავი კარგათ. მოკითხვა შენ ოჯახობას ჩემგან და ჩემი მეუღლისაგან.

შენი მოსიყვარულე
ძმა და მეგობარი
ნ. მათიკაშვილი

ამ ჩემ უკანასკნელ წერილთან ერთათ გიგზავნი 2 სხვა წერილსაც, რომლებიც დაეწერე და ვერ გამოგიგზავნე. მათი შინაარსი მოძველებულია, მაგრამ ნაიკითხე და იქედან გაიგებ, რა მიზეზითაც ვერ მოვახერხე მათი გამოგზავნა.

ორი საკითხი მაინტერესებს ეხლა შენგან, ერთი ეს შენი ჯანმრთელობის ამბავი, როგორა ხარ? და რა გუნებაზე ხარ? მეორე, მიიღე თუ არა ჩემ მიერ გამოგზავნილი თევზაძის მოგონებები. გამოვაგზავნე ალბათ ამ ორი თვის წინათ საჰაერო ფოსტით, როგორც დაზღვეული. ნუ დაიზარებ და დღესვე მიპასუხე ამაზე. თუ დაიკარგა, ხელთა მაქვს მისი პოლონურათ დაწერილი და მომიხდება მეორეთ გადათარგმნა და გადაწერა.

ნ. მ.

Nadawca. M. Matikaszwili
05-501 Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18

17.

ზალესიე დოლნე
25.V.87 წ.

ძმაო საშა!

შენი 20 აპრილს გამოგზავნილი წერილი, სადაც მაცნობებ, რომ ჩემი მოგონებები მიიღე, 20 მაისს მივიღე. დიდათ გამეხარდა, რომ გზაში არ დაიკარგა, შენამდის მოაღწია და შენ უკვე შესდგომიხარ მის მომზადებას დასაბეჭდათ. ამასთან დაკავშირებით მე საფიქრებელში ვარ ჩავარდნილი, როგორ უნდა აგინაზღაურო დანახარჯი, რომელიც ამ საქმისთვის დაგჭირდება, რომ შეიძლებოდეს აქედან ფულის გამოგზავნა, გადმოგიგზავნიდი, მაგრამ ეს შეუძლებელია. ბევრს ნუ დაბეჭდავ, რომ ძვირი არ დაგიჯდეს. ჩემთვის 2 ცალი გაითვალისწინე. ერთი ჩემთვის, მეორე კვალიაშვილების ოჯახისათვის. მოგონებას ორივე გვარი აწერია, რადგან მას სიცოცხლეშივე დავპირდი, რომ თუ მხედართა პირად შემადგენლობას მომაწვდიდა, მოგონება ორივეს სახელით დაიწერებოდა. მან თავის დავალება პირნათლათ შეასრულა, ოფიცერთა სახელები და გვარი

მომანოდა და მეც დაპირება უნდა შევუსრულო. იწერები, ორ მხრივი წერა შეცდომააო. ეს მეც ვიცი, მაგრამ ეს მეორეს მხრივ, საჭიროა იმისთვის, რომ მოცულობით პატარა იყოს და გადმოსაგზავნათ უფრო საიმედო.

ეხლა გიგზავნი პოლკ. თევზაძის მოგონებებს. შრომა ბევრ საინტერესო ცნობებს შეიცავს და მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნებოდა. შენ ამ შრომის გამოქვეყნებაში თავს ნუ შეიწუხებ, ოლონდ მოუნახე ვინმე სანდო და პატიოსანი ადამიანი, თუნდაც იმათ ბანაკიდან, რომელმაც ითავოს ამ საქმის პატრონობა. ესეთი პიროვნება, ალბათ შენ ნაცნობებს შორის გამოიძებნება. ვფიქრობ, რომ პარიზში, ის მაინც რომ შესძლო, რომ ეს შრომა მომავლისთვის გადაარჩინო, ესეც დიდი საქმე იქნებოდა. შენ ცხოვრებისეული გამოცდილება არ გაკლია და ვფიქრობ, ამ შრომასაც რამეს მოუხერხებ. დიდათ თანაგიგრძნობ ოჯახის მდგომარეობასა და მეუღლის ავათ მყოფობის გამო. მეც შენნაირ მდგომარეობაში ვარ ამ მხრივ. ჩემი ცოლიც არ არის დამშვიდებული ნერვების პატრონი, თანაც სუსტი გული აქვს და სხეულში ფეთქვის დამაჩქარებელი „სტიმულატორი" ჩაუდგეს. უკვე მესამე გამოუცვალეს, რას ვიზამ, უნდა ყველაფერი ავიტანო. ამ სიბერის დროს კი ერთ დასკვნამდის მივედი, რომ კაცმა ცოლი თავის ეროვნებისა უნდა შეირთოს, მაშინ მათ ბევრ საკითხში საერთო ენა ექნებათ და ცხოვრებაც დამშვიდებული.

ერთსა გთხოვ: მიიღებ თუ არა თევზაძის მოგონებებს, მაშინათვე მაცნობე.

აბა, იყავი კარგათ. გულითადი მოკითხვა ოჯახობას.

შენი მოსიყვარულე
ნ. მათიკაშვილი

18.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S.F. California. 94115

ზალესიე დოლნე
18.XI.1987 წ.

ძმაო საშა!

შენი წერილი მივიღე. ძალიან დამალონა შენი მეუღლის გარდაცვალებამ წარმოდგენილი მაქვს, როგორ განიცდიდი. დიდათ თანაგიგრძნობ. შენ იმ ასაკში ხარ, რომ მოვლა გესაჭიროება, ამის საშუალება კი არა გაქვს. თავს გაუფრთხილდი და გუნება არ გაიფუჭო. რა ვუყოთ, ესეა მოწყობილი ჩვენი ცხოვრება, რომ სიკვდილი არავის არ აგვცილდება. გვინდა თუ არა, ბედს უნდა დავჯერდეთ. მეც ვერა ვგრძნობ თავს კარგათ. ვატყობ, რომ დასასრულს ვუახლოვდები, მაინტერესებს როგორ შეხვდებიან ქართველი ემიგრანტები ჩემს მოგონებებს და თევზაძის ნაშრომს. შენი წერილებიდან ვიცი, რომ მათ გამოქვეყნებისთვის დიდი შრომა გასწიე და დადებითათ დააგვირგვინე. შენი დახმარებით მიხეილ ქავთარაძესთან კავშირი გავაბი. მომწერა თავისი მისამართი და „იერიის" რამდენიმე ნომერი გამომიგზავნა. იქიდან ბევრი რამე გავიგე, რაც ემიგრაციაში ხდება. ეტყობა თვითონ ბევრსა მუშაობს და თანამშრომლები კი აკლია. სხვათა შორის, მომმართა თხოვნით, რომ პოლკ. თევზაძის მოგონებები (პოლონურათ დანერილი დედანი) გადავუგზავნო, აქ გადავწერ, შევინახავ და გადავარჩენო. მე აქ ერთი ცალი ქართულათ ნათარგმნი კიდევა მქონდა. საჩქაროთ ნათარგმნი იყო და ალბათ გადასაბეჭდათ არ ივარგებს. ეს ნათარგმნი მას გადავუგზავნე, თანაც ვაცნობე, რომ შენც გადაუგზავნი უკვე დასაბეჭდათ, ოლონ იმის შემდეგ, ჩემ მოგონებებს რომ გამოაქვეყნებს. ვთხოვე შენს სურვილს პატივი სცეს და თევზაძის მოგონება

ჩემი მოგონების შემდეგ გამოსცეს. ვფიქრობ, რომ ასეც მოიქცევა. ალბათ საქართველოდან მანდ ჟურნალ გაზეთებს ღებულობ და იქიდან გეცოდინება, რომ ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლის თავს დიდი ზეიმით იხდიან. უამრავი წერილები და მოგონებები იბეჭდება. მეც ვაპირებდი პოლონურ ჟურნალებში ამის შესახებ რამე მომეთავსებინა, მაგრამ მასალის უქონლობის გამო ვერ მოვახერხე. ვფიქრობ, რო ამ საკითხს მომავალში დავუბრუნდები და პატარა ცნობას მაინც მოვათავსებ. ჯერ ჯერობით აქაურ ერთ ერთ ჟურნალში დასაბეჭდათ გადავეცი ვაჟა ფშაველას პოემა: „ძაღლიკა ხიმიკაური" და ნონეშვილის პატარა ლექსი.. ვფიქრობ, ესენი ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება. აბა, საშა, იყავი კარგათ და ათასში ერთხელ მოკლე წერილის გამოგზავნა ნუ დაგეზარება.

ჩემ მაგიერ მოკითხვა მანდაურ ქართველებს, თუ ვისთანმე კავშირში ხარ. ინერებოდი ერთ შრომას კიდეე ვწერო. თუ დასწერ და გექნეს ზედმეტი ცალი, გამამიგზავნე. დიდი ინტერესით წავიკითხავ.

შენი ძმა და მეგობარი
ნ. მათიკაშვილი

M. Matikaszwili
Zalesie Dolne ul. Kr. Jadwigi 18
05501 Polska (Poland)

19.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S.F. Calif. 94115

[8.2.88]

ძმაო საშა!

შენი წერილი მივიღე და *შენმა*[1] კარგათ ყოფნამ გამახარა. გმადლობ საახალწლო სურვილებისათვის და ჩემი მხრივაც მიიღე საუკეთესო სურვილები, უპირველეს ყოვლისა, ჯანმრთელობისა და სიცოცხლით კმაყოფილება. მე ქავთარაძესთან მიწერ მონერა გავაბი. ეტყობა ავათ უნდა იყოს, რომ წერილებზე პასუხს არა მცემს. გწერდი, რომ თევზაძის მოგონება გადაგეგზავნა. როგორც მიხეილი მატყობინებდა, ისინი აპირობენ, ჩემი და თევზაძის შრომა ერთ წიგნათ გამოსცენ. ამას თავისი აზრი აქვს, რადგან ორივენი ერთ თემას ეკუთვნიან და ერთმანეთს ავსებენ. ისიც მივწერე, რომ არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგოთ, რომ ამ წიგნში ჯერ თევზაძის მოგონება მოათავსოთ და შემდეგ ჩემი მეთქი. არ ვიცი შენ რა აზრისა ხარ ამაზე და გეგმები ხომ არ შეგიშალე.

მე რამდენადაც ჩემ ასაკს შეეხება, თავს კარგათა ვგრძნობ, ოღონ თანდათან მხედველობა და ყურთ სმენა მაკლდება. აქაური გაზეთების ცნობით, კალიფორნიაში თოვლიანობა და წყალდიდობაა. შენ კარ მიდამოს ხომ არ ემუქრება რამით. აქ ზამთარი დაინყო 27 იანვარს. მას აქეთ თოვლი დევს, თუმცა არც ძალიან აციებულა. 2 გრადუსია სიცივე.

ეს წერილი კარგა ხანია დავწერე, გამოგზავნა კი გამიგრძელდა. დღეს 8 თებერვალია და მინდა ორიოდე სიტყვა მივანერო. როგორც იცი რუსეთში დარწმუნდნენ, რომ კომუნისტური სახელმწიფოს შენება ვერ მოენყო და ეხლა აპირობენ ვითომ გაჯანსაღებას. შეცდომები იმდენი აქვთ დაშვებული, რომ არ ვიცი, რა გამოუვათ. ჯერ ერთი, ცალკე სახელმწიფოები ერთ რუსულ

[1] კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამოტოვებულია *(ლ. ც.)*.

სახელმწიფოთ გადააქციეს: შემდეგ გლეხობა სრულიათ მოსპეს. მიწები ჩამოართვეს, კოლხოზებსა და სოვხოზებში[1] შერეკეს. ასეთ პირობებში კი გლეხს მუშაობა არ უნდა. თუ რამეს გამოიმუშავებს, სახელმწიფოს ჰბარდება. საქართველოს მცხოვრებთა გაინტერნაციონალება მიმდინარეობს. ქართველ ხალხს გამოღვიძება ეტყობა. ილია ჭავჭავაძეს თავისი ადგილი დაუბრუნეს, ამაზე ბევრი დაინერა.. მე გ. ლეონიძის დახმარებით დღევანდლამდის მიგზავნიან: „ლიტერატურულ საქართველოს", „დროშას", „სამშობლოს", „მნათობს" და „ცისკარს". ამათი დახმარებით ვიცი, რაცა ხდება იქ. მმართველობაში არაფერი შეცვლილა, სათავეში ისევ ის ხალხია, რომელიც აქამდის იყო. მათ კი აზროვნება არ გამოუცვლიათ და უნდათ თუ არა, რუსულ ხელმძღვანელობას უნდა მისდიონ კუდში.

აბა, იყავი კარგათ და ხან და ხან წერილი მოიწერე.

შენი ერთგული ნ. მ.

M. Matikaszwili
Polska. Zalesie Dolne
05-501 ul. Kr. Jadwigi 18

20.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S.F. California. 94115

ზალესიე დოლნე
20.V.1988 წ.

ძმაო საშა!

როგორა ხარ? რატომ არაფერს არ იწერები? მე შენ 2 თუ 3 წერილი გამოგიგზავნე და პასუხი არ მომდის. წერილს არა გწერდი. ვფიქრობდი, დღეს თუ ხვალ მივიღებ მეთქი პასუხს. ეხლა კი მართლა დადარდიანებული ვარ. ხომ რამე არ შეგემთხვა? ნუ დაიზარებ და ამ წერილის მიღებისასვე მიპასუხე. გწერდი თევზაძის მოგონება ქავთარაძეს გადაუგზავნე მეთქი. ამაზე პასუხი არ მიმიღია და არ ვიცი, ეხლა რა ყოფაშია მათი დაბეჭდვის საქმე. არც ქავთარაძისგან ვღებულობ პასუხს. რა დაემართა? ავათ ხომ არ არის? წერილს რომ მიწერ, მოაგონე ჩემი თავი და სთხოვე მამწეროს რამე.

ეხლა მინდა ორიოდე სიტყვა შენი მოგონებების შესახებ მოგწერო. რომელიღაც ქართულ ემიგრანტულ გაზეთში წამიკითხავს, რომ ბოლშევიკებმა ერთ მშვენიერ დღეს მოაწყვეს ქიზიყში ადგილობრივ მცხოვრებთა პარტიის ხელმძღვანელებთან შეხვედრა, ვითომ შესათანხმებლად. ამ შეხვედრაზე გამოცხადდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი და საქართველოს მთავრობის მთავარ მდივანს (აღარ მახსოვს მისი გვარი) სილა გააწნა. ამ ფაქტის შემდეგ ქაქუცა ტარიელივით ცხენ და ცხენ გაქრა. ეს მდივანი მერე საქართველოდან სადღაც აღმოსავლეთში გადაიყვანეს. შენ ამაზე არაფერს იწერები, ეს კი საინტერესოა. აგრეთვე საინტერესოა, როგორ გამოარკვია ქაქუცამ ილია ჭავჭავაძის მოკვლის გადაწყვეტილება, როგორ აღმოაჩინა მისი მკვლელების გვარები და როგორ მიაგნო ილიასეულ საათს, ეხლა რომ ილიას სახლ მუზეუმში ინახება. ეს ფაქტები იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ ზედმეტი არ იქნება, რომ ამის შესახებ რამე დასწერო და ქავთარაძეს გადაუგზავნო „ივერიაში" დასაბეჭდათ.

[1] კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში *(რუს.)*.

რაც შეეხება ჩემ ვინაობას, დაებერდი, ბევრი სიცოცხლე აღარ მინერია, ნელ ნელა სმენას, მხედველობას და მუხლებში ძალას ვკარგავ.

დიდათ გამახარებ თუ შენ ამბავს მაცნობებ და მანდაური ქართველობის ცხოვრებაზე რამეს მომწერ.

აბა, იყავი კარგათ. ველი პასუხს.

შენი ნ. მათიკაშვილი

Matikaszwili Mikołaj
Zalesie Dolne, ul. Kr. Jadwigi 18
05-501 Pol.

21.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S.F. California. 94115

ზალესიე დოლნე
13.X.1988 წ.

ძმაო საშა!

მე შენგან სამ თვეზე მეტია, წერილი არ მიმილია. რაშია საქმე? ავათ ხომ არა ხარ? კარგა ხანია არც მე მომიწერია შენთვის წერილი. ავათ ვიყავი. სამი თვე საავათმყოფოში ვიწექი, სამი აპერაცია გადავიტანე და დაბერებული და დასუსტებული დავბრუნდი სახლში.

გეცოდინება, რომ „ივერიამ" ჩემი და პოლკ. თევზაძის მოგონებები გამოაქვეყნა. ეფიქრობ, რომ ერთ ცალს შენც გამოგიგზავნიდა, ნუ დაიზარებ და მაცნობე შენი ამბავი.

აქ პოლონეთში თბილი შემოდგომის ამინდია, თუმც ნელ ნელა სიცივე გვეპარება. დღეს, ე. ი. 13.X საქართველოდან სტუმრები ჩამოდიან ჩემთან, ძმის წული თავის მეუღლით. ალბათ იქაურ ამბავს ჩამომიტანენ. თუ რამე საინტერესო იქნება, შემდეგ წერილში მოგწერ.

წერილს რომ მოინერები, შენი ამბავი დანვრილებით მაცნობე: როგორა ხარ ჯანმრთელობის მხრივ? რანაირათ სცხოვრობ? როგორ ატარებ დროს??

აბა, იყავი კარგათ. მოკითხვა მანდაურ ქარველობას.

შენი მოსყვარულე
ნ. მათიკაშვილი

M. Matikaszwili
05-501 Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18

22.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S.F. Calif. 94115

კეირა, 12 მარტი, 1989 წელი

ძმაო საშა!

ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ მივიღე შენი წერილი, რამაც ძალიან გამახარა. ვაპირებდი წერილის მიწერას მიხეილ ქავთარაძესადმი და იმისგან შენ ამბის გაგებას და სწორეთ შენი წერილიც მივიღე.

„იერიის“ ეს ნომერი, ჩემი და თევზაძის მოგონებები რომ იყო მოთავსებული, საქართველოში გადავგზავნე. იქ გაუმრავლებიათ და ხალხი დიდი დაინტერესებით კითხულობსო.

კარგათ მოქცეულხარ, რომ ქაქუცასეული ხმალ ხანჯალი საქართველოს მუზეუმისთვის გადაგიგზავნია. ინერები საბეჭდი მანქანა მაქვსო. ეს ნანუაშვილისეული მანქანა ხომ არ არის? ჩვენ იუნკერთა კავშირში გვქონდა ერთი მანქანა, „მხედრის“ გამოცემას სტამბაში რომ ვერ ვახერხებდით დაბეჭდვას,[1] იმ მანქანაზე ვწერდით და იქიდან ვამრავლებდით. თუ ეს ასეა, ამ მანქანას გაუფრთხილდი, ისტორიული მნიშვნელობისაა და მომავალში თბილისის მუზეუმში უნდა აღმოჩნდეს.

იქნებ ეს მანქანა საბეჭდი კი არა, ავტომანქანა იყოს და მე კი ყალბათ გამეგოს?

ერთ ერთ ქართულ გამოცემებში,[2] საქართველოდან რომ ეღებულობ, მოთავსებული იყო ქაქუცას ქალის მოგონება ყირგიზეთში განცდილ გადასახლებაზე. მინდა ეს ნომრები (2 ცალი) გამოგიგზავნო, მაგრამ ვერ მომიგონებია, სად წავიკითხე და ვერ მიპოვნია. მოვძებნი და თუ ვიპოვე გამოგიგზავნი. ეიცი, რომ ეს შენთვისაც საინტერესოა. აბა, სხვა რაღა მოგწერო? გაუფრთხილდი თავს და შიგა და შიგ მაცნობე ხოლმე შენი ამბავი.

მე, როგორც ჩემ სიბერეს შეეფერება, კარგათა ვარ. ბევრსა ვკითხულობ. წერა კი აღარ მეხერხება.

შენი მოსიყვარულე
ნ. მათიკაშვილი

შენი „მოგონებები“, მე რომ გამომიგზავნე, საქართველოში გადავაგზავნე. ალბათ ჩააღნია და კითხულობენ.

M. Matikaszwili
Zulesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18. 05-501

[1] sic!
[2] sic!

23.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S.F. Calif. 94115

21.IV.89 წ.

ძმაო საშა!

შენი უკანასკნელი წერილი მივიღე. გამეხარდა შენი კარგათ ყოფნა. რუსეთში ბევრსა ლაპარაკობენ ხუმანიტარულ[1] ცელილებებზე, მაგრამ სინამდვილეში არაფერი არ შეცელილა. საქართველოს ძველებურათ თავის კოლონიათა სთვლიან და როგორც თანასწორს კი არა, როგორც დაპყრობილს ისე ეპყრობიან. აქ პოლონეთში საქართველოდან გადაბრუნებულად მოდის ცნობები, ვერ გაიგებ სინამდვილეში რა მოხდა. უკანასკნელი ცნობით გარდაიცვალა 20 კაცი, მათგან 10 თუ 11 ქალი.. დაჭრილია 275 კაცი. როგორც სჩანს, მათთვის უსროლიათ კიდეც, ტანკებითაც გადაუვლიათ და შხამიანი გაზებიც უხმარიათ, ამას დაემთხვა მინის ძვრაც, ოღონ არ ინერებიან, სად მოხდა ეს და იყო თუ არა მსხვერპლი. რაჭაშიც მეწყერი მომხდარა და რამდენიმე ოჯახი დაულუპია. ერთი სიტყვით, საქართველოში მშვიდობა არ არის და ვინ იცის, როგორ განვითარდება მომავალი. გწერდი ქაქუცას ქალის მოგონებებზე. ეს იყო „ლიტერატურული საქართველოს" 11 და 18 ნოემბრის გაზეთებში. ამ ნომრებს ცალკე ამანათათ გიგზავნი. ინერები საქართველოში ჩასვლას ვაპირებო. თუ ეს საქმე მოეწყო, კარგი იქნება სამუდამოთ იქ გადასახლდე და პენსიაც თან წაიყოლიო... ჩვენ, მე და ჩემი ცოლი დაებერდით და ალბათ, ბოლოს ეუახლოვდებით.

აბა, იყავი კარგათ და ხან და ხან შენი ამბავი გვაცნობე.

შენი მოსიყვარულე
ნ. მათიკაშვილი

M. Matikaszwili
Zalesie Dolne, ul. Kr. Jadwigi 18
05-501 Polska

24.

A. Soulkhan
145 Terra Vista
S.F. Calif. 94115

12.VIII.1989 წ.

ძმაო საშა!

შენ უკანასკნელ წერილზე ეხლა გპასუხობ. დაგვიანება მაპატიე. მეკითხებოდი გაინტერესებს თუ არა ქაქუცას მიერ ილიას მკვლელობის საკითხის გამოკვლევა. ცხადია, მაინტერესებს და დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ამაზე რამეს მომწერ. 9 აპრილის ამბების შემდეგ ქართული ჟურნალ

[1] sic!

გაზეთები გაბედულათ სწერენ საქართველოს ავბედით მდგომარეობაზე და წარმოდგენილი მაქვს, რომ შენ ამას თვალყურს ადევნებ და ღრმათ განიცდი.

იწერებოდი, რომ ჯანმრთელობის მხრივ ვერა გრძნობ თავს კარგათ, არც ჩემი მდგომარეობაა ამ მხრივ კარგათ: მხედველობა, ყურთა სმენა დამისუსტდა, მუხლებში ძალა გამომელია, სიცოცხლის სიხალისე დავკარგე, ალბათ ეს ყველაფერი ხანდაზმულობის ბრალია და ამას არაფერი ეშველება. თუ ამას დაუმატებ საქართველოს აებედითობაზე ფიქრს, წარმოდგენა გექნება ჩემ განწყობილებაზე.

საქართველოდან ჟურნალ გაზეთებს ვღებულობ და ყველაფერი რაც იქ ხდება საფუძვლიანათ ვიცი. როგორაა შენი საქართველოში დაბრუნების საკითხი? რომ ეს მოხერხდებოდეს ურიგო არ იქნებოდა. აბა, იყავი კარგათ და ხანდახან წერილის მოწერა ნუ დაგეზარება.

შენი მოსიყვარულე
ნ. მათიკაშვილი

Matikaszwili Mikolaj
Polska, Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18. 05-501

25.

Груз. SSR
Тбилиси
гудиашвилის მოედანი №2
„სამშობლოს" რედაქცია
პაატა ნაცვლიშვილს
Gr. SSR Tbilisi. Tybilisi Gruzja
plac. Gudiaszvili N2
Paata Nacwliszvili

22.XI.1990 წ.


ძმაო საშა!

გამეხარდა შენი ნატვრის ასრულება და საქართველოში დაბრუნება. „სამშობლოში" მოთავსებულ სურათებიდან ჩანს, რომ სიბერეს ცოტა დაუჯაბნიხარ, მაგრამ მახლობლებთან ყოფნა, საქართველოს ბუნება, მის მიმდინარე მოვლენებში ტრიალი მალე ჯანმრთელობას დაგიბრუნებს და ფეხზე დაგაყენებს.


მოხარული ვიქნები, თუ ძალა შეგწევს და წერილს მომწერ.

შენი მოსიყვარულე
ნ. მათიკაშვილი

Polska, Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18
Matikaszwili N.



ნიკოლოზ მათიკაშვილის წერილი ალექსანდრე სულხანიშვილისადმი, აეტოგრაფი, ბალესიე დოლნე, 22 ნოემბერი, 1990 (პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, თბილისი).



ნიგნის სათაური თავად ალექსანდრე სულხანიშვილის ხელითაა დანერილი (პაატა ნაცვლიშვილი, „საქართველოს მიწა", „სამშობლო", თბილისი, 1994).



ალექსანდრე სულხანიშვილი და პაატა ნაცვლიშვილი თბილისის აეროპორტში, 19 ოქტომბერი, 1990 (**პაატა ნაცვლიშვილის** კერძო კოლექცია, თბილისი)

პაატა ნაცვლიშვილს

1.

Груз. SSR
Тбилиси
гудиашвилის моедани №2
„სამშობლოს“ რედაქცია
პაატა ნაცვლიშვილს
Gr. SSR Tbilisi. Tybilisi Gruzja
plac. Gudiaszvili N2
Paata Nacwliszvili

22.XI.1990 წ.


დიდათ პატივცემულო ბატონო პაატა!

ამ ორი თუ სამი კვირის წინათ წავიკითხე „სამშობლოში“ თქვენი წერილი, რომ ალექსანდრე სულხანიშვილს სურს საქართველოში დაბრუნება და რომ თქვენ უკვე შეუდექით ამ საქმის მოგვარებას. „სამშობლოს“ მორიგი ნომრიდან გავიგე, რომ თქვენი მცდელობით მას ნატვრა აუსრულდა და დღეს ის უკვე საქართველოშია. ამ ცნობამ ისე იმოქმედა ჩემზედ, თითქოს მისი ბედნიერება მე შემეხებოდეს (69 წელია, უცხოეთში ვარ).

მადლობას გიხდით ამ ბედნიერების მონიჭებისთვის და ალექსანდრე სულხანიშვილის საქართველოში დაბრუნებისთვის გაწეულ ღვაწლისთვის. ჩვენ, ემიგრანტებს „სამშობლოსა“ და „ლიტერატურულ საქართველოს“ მიერ მოწოდებული დაწვრილებითი ცნობები საქართველოს დღევანდელი მდგომარეობისა და მის ბრძოლაზე გვაძლებინებს, რაზედაც გულითად მადლობას გითვლით.

ღრმა პატივისცემით
ნ. მათიკაშვილი

Polska, Zalesie Dolne
ul. Kr. Jadwigi 18
Matikaszwili N.



ნიკოლოზ მათიკაშვილის ნერილი პაატა ნაცვლიშვილისადმი, აეტოგრაფი, ხალესიე დოლნე. 22 ნოემბერი, 1990 (პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, თბილისი).

ნატო ციციშვილს

1.

10.I.1991 წ.

პატივცემულო ქალბატონო ნატო!

ჩემთან იყო, ვგონებ, 1989 ან 1990 წელში თქვენი ქმარი, გვარათ გამცემლიძე. აინტერესებდა პოლონეთში მცხოვრებ ქართველთა ბედი. მე, რა თქმა უნდა, როგორც შემეძლო, დავეხმარე, რომ გადაათვალიერა ჩემი მინერ მოწერა და ნიგნები, მთხოვა მათი მისთვის გადაცემა. მე ყველაფერი, რაც მოისურვა, გადავეცი. ის აპირებდა ტელევიზიით გადაცემის მოწყობას. რა მასალა, რომელი და რამდენი წამოიღო, დღეს აღარ მახსოვს. დღეს თბილისში ლიტერატურის მუზეუმში აგროვებენ შესანახათ ყველა ცნობებს, რომლებიც შეეხება ქართველთა პოლონეთში ცხოვრებას. ჩემი სათხოვარია, რომ თქვენ მიერ ამ მასალათა გამოყენების შემდეგ ყველაფერი გადასცეთ ამ მუზეუმს. ჩემთან ყოფნისას თქვენი მეუღლე სრულიათ ჯანსაღი იყო. რაიმე ავათმყოფობა მას სრულიათ არ ემჩნეოდა და მე გამაოცა ცნობამ მისი ასე უცბათ გარდაცვალების შესახებ.. თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, დიდათ დამავალებთ, თუ მის გარდაცვალების შესახებ რაიმეს მომწერთ. მოკლე ჩემი ნაცნობობისას თქვენი მეუღლე დიდ პატრიოტ ქართველათ შევაფასე და მისი დაკარგვა დიდათ სამწუხაროა.

გულითადათ თანაგიგრძნობთ მის დაკარგვას. ამ წერილს ვატან ბ-ნ გოჩა შათირიშვილს, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტია და კარგი ურთიერთობა აქვს ციცი ბუკურაულთან,[1] რომელიც არის ცოლი ჩემი ძმის შვილისა.

პატივისცემით ნ. მათიკაშვილი

[1] იგულისხმება ციცი ბუქურაული *(ლ. ც.)*.

კომენტარები
შენიშვნები
საძიებელი

შემდგენელისაგან

სამხედრო მოღვაწის, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკრის, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცრის, მაიორის, პუბლიცისტისა და მემორიალური პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლის ნიკოლოზ მათიკაშვილის მდიდარ არქივში, რომელიც საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმშია დაცული შესულია მისი ქართულ და პოლონურ ენებზე დაწერილი მემუარები, პოლონურად შესრულებული ქართველი მწერლებისა და პოეტების თარგმანები, ფოტოსურათები, ნახატები, ალექსი გულისაშვილის, გიორგი ჩიმაკაძის, მიხეილ კვალიაშვილის, ლევან მენაბდის, ვასილ ფერაძის, ალექსანდრე სულხანიშვილის, მიხეილ ქავთარაძის, ალექსანდრე მანველიშვილისა და ნიკოლოზ მათიკაშვილის საქმიანი თუ პრივატული წერილები.

ეს არქივი 1990 წელს ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლებმა – ქ-ნ-მა ციცი ბუქურაულმა და ამ წიგნის შემდგენელმა პოლონეთიდან ჩამოვიტანეთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ მდიდარი მემკვიდრეობისა, რომელიც ქართველ ემიგრანტს წლების მანძილზე უგროვებია. ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივის ერთი ნაწილი მეორე მსოფლიო ომის დროს დამწვარა, მეორე, მნიშვნელოვანი ნაწილი კი 1989 წელს პოლონეთში სტუმრად ჩასულ ტელეჟურნალისტ რეზო გამცემლიძისათვის გამოუტანებია. ბ-ნ რეზოს ნიკოლოზ მათიკაშვილის სახე ფირზე ალუბეჭდავს (სამწუხაროდ, ჩვენ ეს ვერ მოვახერხეთ) და მასთან ინტერვიუც ჩაუწერია. ეს ჩვენთვის უცნობი არქივი კი ჯერაც ელოდება მზის სინათლეს...

წინამდებარე გამოცემაში ლიტერატურის მუზეუმში დაცული მასალის გარდა, თავი მოვუყარეთ ნიკოლოზ მათიკაშვილის დღეისათვის მიკვლეულ პუბლიკაციებს გაზეთ „ბახტრიონიდან", ჟურნალ „ივერიიდან" და ჟურნალ „მხედრიდან" (ეს უკანასკნელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში, გურამ შარაძის კერძო კოლექციაში ინახება), ასევე ფოტოსურათებს, რომლებიც საფრანგეთის, საქართველოსა და პოლონეთის სხვადასხვა ფოდსაცავებში თუ კერძო კოლექციებშია გაბნეული.

გამოცემაში თხზულებები დალაგებულია ჟანრულ-ქრონოლოგიური პრინციპით. შენარჩუნებულია ავტორისეული ენა და სტილი, ჩვენს მიერ აღდგენილია მხოლოდ რამდენიმე გამოტოვებული ასონიშანი და კალმისმიერი ლაფსუსი. ხშირად, ნიკოლოზ მათიკაშვილის ნაწერები მის მიერვეა დათარიღებული. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ავტორისეული თარიღი უცვლელადაა წარმოდგენელი. თუ თარიღი უცნობია, ტექსტს პირველი პუბლიკაციის მიხედვით ვათარიღებთ და მას კვადრატულ ფრჩხილებში ვათავსებთ. კვლევა-ძიებით დადგენილი თარიღიც, ასევე, კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული და შენიშვნებში ტექსტის დათარიღების ჩვენს მიერ წამოყენებული მოსაზრების დასაბუთებაა მოცემული.

ვფიქრობთ, ეს არქივი მნიშვნელოვან დოკუმენტურ წყაროს წარმოადგენს ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

აქვე კრებულის გამოცემის მომზადებასა და განხორციელებაში აღმოჩენილი თანადგომისათვის მინდა მადლობა მოვახსენო: ბ-ნ ჯიმშერ იაშვილს, ქ-ნ ჰენრიეტა იუსტინსკაიას, ბ-ნ ლევან თაქთაქიშვილს, ქ-ნ თამარ კაპანაძეს, ქ-ნ რუსუდან კობახიძეს, ბ-ნ გიორგი მამულიას, ბ-ნ პაატა ნაცვლიშვილს, ქ-ნ გურანდა რუხაძეს, დარეჯან სართანიას და ბ-ნ დავით ყოლბაიას.

ლალი ცომაია
2016 წ.

ანგლიციზმები

ქართული პოეზია ბერძნულ ენაზე (გვ. 17)
წერილი ათინიდან

ნაბეჭდი: გაზ. „ბახტრიონი", 1922 წ., №22, გვ. 3.
ხელმოწერა: ნიკოლოზ მათიკაშვილი.
დაწერის ადგილი: ქ. ათინა.
თარიღი: [1922].

ნიკოლოზ მათიკაშვილი თავის მოგონებებში „იუნკრები" ამ ნერილის დაწერის ისტორიას ასე იხსენებს:

„ჩვენ რომ ორ წლიანი სკოლის პირველ კურსზე ვიყავით, მე-II კურსზე იმყოფებოდა იმ დროინდელ ბერძენთა მთავარსარდლის გენ. პაპულასის შვილი. დაგვიმეგობრდა. ხშირათ გვესტუმრებოდა ხოლმე საღამსაღამოობით სასწავლო ოთახში, გველაპარაკებოდა შორეულ წარსულზე, ბიზანტიის დროინდელ ქართველ-ბერძენთა ურთიერთობაზე. ზოგჯერ ბერძნულ ღვინოსაც შემოაპარებდა უბით, გვიმასპინძლდებოდა და ცდილობდა, რამენაირათ პატივი ეცა. თუ რამდენათ გულისყურით ეპყრობოდნენ ჩვენ სწავლების საქმეს, სჩანს იქიდანაც, რომ ენის საჩქაროთ შესასწავლებლათ მოგვივლინეს თბილისში აღზრდილი, დიდათ განათლებული ახალგაზრდა მასწავლებელი. ერთ დღეს მან ჩვენ ამხანაგ, იუნკერ პროკოფი აბულაძეს მოუტანა ბერძნული ჟურნალი, რომელშიაც მოთავსებული იყო პოეტ ტრიკილგიდის მიერ არაბულიდან თარგმნილი შოთა რუსთაველის სამი ლექსი. ეს ლექსები ბერძნულიდან პროკოფი აბულაძემ ქართულათ გადმოთარგმნა და მისი ნებართვით ეს თარგმანები საქართველოში პოეტ გოგლა ლეონიძეს გადავუგზავნე. ის იმ დროს ჟურნალ „ბახტრიონს" რედაქტორობდა და იქ გამოაქვეყნა. ამ ამბავმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია საქართველოშიც და საზღვარ გარეთაც. მოინადინეს ამ ლექსების ორიგინალების ხელში ჩაგდება და შემონმება. ჩვენ ათინის სკოლაში გვეწვია ემიგრაციაში მყოფი გენერალი ლეო კერესელიძე. დაინტერესდა ტრიკილგიდის პიროვნებით და ჩვენი დახმარებით ძებნა დაუწყო მას. მერე აღარ გაგვიგია, რა შედეგს მიაღწია. 1967 წელს საქართველოში ყოფნისას გოგლა ლეონიძემ მომაგონა ეს ამბავი და დასძინა: „ჩვენი გამოკვლევით ლექსები შოთა რუსთაველისა არ არის. ისინი ვიღაც სხვა პოეტის დაწერილებია და ბერძენმა პოეტმა ცნობის მეტი ავტორიტეტობისა და დაფასებისთვის იცრუაო".

1921 წლის ქართულ-ბოლშევიკური ომი (გვ. 21)

ნაბეჭდი: ჟურნ. „მხედარი", 1933 წ., №14-15, აპრილი-ივლისი, პარიზი, გვ. 50-82.
ხელმოწერა: ლეიტ. ნ. მათიკაშვილი.
დაწერის ადგილი: [ვარშავა].
თარიღი: [1931-1933].

ეს მოხსენება ნიკოლოზ მათიკაშვილს ვარშავაში, 1931 წლის 6 ნოემბერს ნაუკითხავს, მაგრამ თხზულების შინაარსიდან ირკვევა, რომ ავტორს იგი ჟურნალ „მხედრში" გამოქვეყნების წინ ხელახლა გადაუმუშავებია, ამიტომ წერილს ჩვენც მისი დანერისა და პირველი პუბლიკაციის (1931-1933) წლებით ვათარიღებთ.

საბჭოთა რუსეთის და საქართველოს ურთიერთობა სულიერის მხრივ (გვ. 40)

ნაბეჭდი: ჟურნ. „მხედარი", 1934 წ., №17, პარიზი, გვ. 39-54.
ხელმოწერა: ნ. მა-ლი.
თარიღი: [1934].

შორეული აღმოსავლეთის პრობლემა კავკასიის ერთა თვალსაზრისით (გვ. 50)

ნაბეჭდი: ჟურნ. „მხედარი", 1934 წ., №17, პარიზი, გვ. 66-78.
ხელმოწერა: ნ. მა-ლი.
თარიღი: [1934].

პუბლიკაციის მესამე აბზაცს ერთვის ჟურნალ „მხედრის" რედაქციის შენიშვნა:

„სრულიათაც არ ვეთანხმებით ავტორს: დღევანდელი რუსეთის ხელმძღვანელობა აზროვნობს სახელმწიფოებრივ კატეგორიებით, რომლებიც ახასიათებენ რუსეთის ყველა მოღვაწეებს, მიუხედავათ მათი ფერისა უძველეს დროიდან დღევანდლამდი.

შესაძლებელია რუსეთმა გამოიყენოს სოციალიზმი, მაგრამ ეს იქნება მხოლოთ იარაღი არსებითი მიზნის მისაღწევათ, რომლისაკენ უნებლიოთ,[1] ინსტიქტიურათ მიესწრაფება რუსეთის ყოველი პოლიტიკური მოღვაწე თეთრი თუ წითელი. არსებითი მიზანი დარჩება უცვლელი – ეს არის რუსეთის სახელმწიფოს კეთილდღეობა.

(რედაქცია)"

ტაბახმელა (გვ. 57)

ნაბეჭდი: ჟურნ. „მხედარი", 1934 წ., №17, პარიზი, გვ. 86-96.
ხელმოწერა: ნ. მა-ლი.
თარიღი: [1934].

პუბლიკაციას ერთვის ჟურნალ „მხედრის" რედაქციის შენიშვნა:

„ეს შრომა დაწერილია ავტორის მიერ ფელეტონური სტილით, უმთავრესათ იუნკრობისათვის, მათი საუკეთესო დღეების, ტაბახმელა-კოჯორის ბრძოლების მოსაგონებლათ. ვაფრთხილებთ მკითხველს, რომ შინაარსში აღნიშნული ეპიზოდები არ მიიღოს ისტორიულ დოკუმეტებათ, თუნდაც გადმოცემულნი არიან სრული ისტორიული სინამდვილით.

(რედაქცია)"

ამ პუბლიკაციაში მოთხრობილი ამბები, რამდენადმე სახეცვლილი სახით, ჩართულია აგრეთვე ნიკოლოზ მათიკაშვილის მოგონებაში „იუნკრები".

პოლონეთის განთავისუფლება და მარშალი პილსუდსკი (გვ. 64)

ნაბეჭდი: ჟურნ. „მხედარი", 1935 წ., №19, პარიზი, გვ. 35-43.
ხელმოწერა: ნ. მა-ლი.
თარიღი: [1935].

ემიგრანტობის თხუთმეტი წლის თავზე (გვ. 70)

ნაბეჭდი: ჟურნ. „მხედარი", 1936 წ., №20, პარიზი, გვ. 19-28.
ხელმოწერა: ნ. მა-ლი.
თარიღი: [1936].

[1] sic!

თარგმანი

განვლილი გზა (გვ. 79)

ნაბეჭდი: ვალერიან თევზაძე, „განვლილი გზა“, ჟურნ. „იერია“, 1988 წ., №32, მაისი, პარიზი, გვ. 33-64. პოლონურიდან თარგმნა ნიკოლოზ მათიკაშვილმა.

ავტორი: ვალერიან თევზაძე.

ხელმოწერა: პოლკ. ვალერიან თევზაძე.

თარიღი: [1988] – პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

პირველი პუბლიკაცია: ჟურნ. „იერია“, 1988 წ., №32, მაისი, პარიზი, გვ. 33-64.

თხზულება შეცვლილი სათაურით – „ქართველი ოფიცრის ჩანაწერები“ – 1990 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა თბილისში (იხ. ვალერიან თევზაძე, „ქართველი ოფიცრის ჩანაწერები“, თბილისი, „მეცნიერება“, 1990 წ., გვ 5-54).

პუბლიკაციას ახლავს ჟურნალ „იერიის“ რედაქციის შენიშვნა:

„რედაქციისაგან: უმნიშვნელო რედაქტირების მხედველობაში მიუღებლად, ორივე წარმოდგენილ მოგონებაში[1] შენარჩუნებულია ავტორთა სტილი და სინტაქსი. ჩვენ ამ მოგონებებს უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ არა მხოლოდ როგორც ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების აღმწერსა და მრავალი სათუო მომენტის გამშუქებელს, არამედ, როგორც ქართული ენის განვითარებაში გარკვეული ეტაპის მიმანიშნებელსაც. აღსანიშნავია ისიც, რომ არსებითად ორივე ეს მოგონება ერთ ენობრივ ნყობაშია გამოვლენილი და, სახელდობრ, ბ. ნ. მათიკაშვილისა, რომელმაც პოლკ. ვალერიან თევზაძის მოგონებები პოლონურიდან გადმოიღო.

ვფიქრობთ, ამ ხელნაწერთა წიგნად გამოცემისას მოხერხდება არსებულ უზუსტობათა გასწორება“.

ერთვის შეცდომის გასწორება:

„გამრავლებისას დაშვებული შეცდომით ვალერიან თევზაძის მოგონებას სათაური და დასაწყისის სამი ბნკარი დააკლდა. რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე ამ უნებლიე შეცდომით გამონვეული უხერხულობისათვის“.

საინტერესოა ნიკოლოზ მათიკაშვილის აზრი თხზულებისა და მისი ავტორის შესახებ, რომელსაც ალექსანდრე სულხანიშვილისადმი გაგზავნილ წერილში (16 მარტი, 1987 წ.) ასე აყალიბებს:

„მართალია მის მოგონების შინაარსს მთლიანათ არ ვიზიარებ, მაგრამ ის რაც მან დანერა, საერთო ჯამში საინტერესოც არის და სასარგებლოც. თევზაძე საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან გენერალურ შტაბში მუშაობდა, როგორც დაზვერვის დარგის უფროსი. მონაწილეობა მიიღო საქართველოს მიერ წარმოებულ ყველა ომებში. გენ. კვინიტაძის მიერ 3 მოგებულ ომში, მაზნიაშვილის, არომელიძის, ჯიჯიხიას, გაბაშვილის და სხვა გენერალთა მიერ წარმოებულ ომებში. იძლევა დანერილებით ცნობებს ამ ბრძოლების შესახებ და დახასიათებას ჩვენი გენერლებისა. ეხება საქართველოს რეგულიარულ ჯარსა და გვარდიას. გვარდიას მაინც და მაინც დიდათ არ აქებს. ერთის სიტყვით ის რასაც სწერს ყველაფერი საინტერესოა.

თუ სადმე სცოდავს, ამაზე შემდეგში შეგვიძლია პასუხი გავცეთ. შენ ეს შრომა უნდა გადაარჩინო და თუ მოახერხებ, დასაბეჭდათ გადასცე ისეთ პიროვნებას, რომელიც მის პატრონობას შესძლებს...“

გამოსვლები, ნოველები, მემუარები

ქართული მუსიკა 4-5 საათიან რ. გადაცემისთვის და მოხსენებებისთვის პოლონეთში (გვ. 117)

ხელნაწერი: სლმ. №28440-2-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-62.

თარიღი: [1968] – დათარიღება სავარაუდოა და ემყარება იმ ფაქტს, რომ მიხეილ კვალიაშვილის 1968 წლის 22 მაისის წერილში ლაპარაკია ნიკოლოზ მათიკაშვილის მიერ ვარშავაში წაკითხულ ორ მოხსენებაზე, რომელიც ქართულ მუსიკას შეეხებოდა.

[1] იგულისხმება ვალერიან თევზაძის თხზულება „განვლილი გზა“ და ნიკოლოზ მათიკაშვილის მოგონება „იუნკრები“, რომელიც ჟურნალ „იერიის“ ამავე ნომერში დაიბეჭდა *(ლ. ც.)*.

• • • „1907 წლის ზაფხულის დღე იყო...“ (გვ. 143)

ხელნაწერი: სლმ. №28433-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-4.
თარიღი: [1980] – პუბლიკაციის შინაარსის მიხედვით.

ქართული შაშვი პოლონეთში (გვ. 146)

ხელნაწერი: სლმ. №28427-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-7.
ხელმოწერა: ნიკა მათიკაშვილი.
თარიღი: 1983.18.II.

ჭიაყელა (გვ. 149)

ხელნაწერი: სლმ. №28427-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-4.
ხელმოწერა: ნიკა მათიკაშვილი.
თარიღი: 1983.23.XI.

ქვემოთ ვბეჭდავთ ამ ნოველის ვარიანტს (სლმ. №28427-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-4), რომელშიც მნიშვნელოვანი ავტორისეული ცვლილებებია შეტანილი:

ჭიაყელა

ზაფხულის ცხელი დღეები იდგა. ბალახი დაიხრუკა, მინა, რომელსაც ცოტა აყალო მიწა მაინც ერია, დასქდა. ხეებსა და ჯაგებს, სხვა დროს მწვანეთ რომ ხასხასებდა, გაყვითლებული ფოთლები დაეკიდა. რაკი ჩემ ბინას ახლოს ჩამოუდის პატარა მდინარე „იეზიორკა“, მოვავლე ხელი სათევზაო მოწყობილობას, ჭიაყელებით სავსე პარკს და გავუდექი გზას.. მდინარის პირას გავჩნდი. მდინარის პირას გრილოდა. ჩალა, წყალში ჩამალული წნორის და ერთმანეთში გადახლართულ ჯაგების სიმწვანე თვალებს ელამუნებოდა, ფერად ფერადი მოყლურტულე პატარა ფრინველები ხალისიანათ დახტოდნენ ტოტიდან ტოტზე და თავის პატარებს ფრენას ასწავლიდიდნენ. გარემოს სიმყუდროვით გაბრუებულმა შეებით ამოვისუნთქე და მდინარის პირას აქა იქა ჩასკუპებულ მეთევზეებს დავაკვირდი. გადაუგდიათ წყალში ჩანგლები, ზედ მიბმული კოპრის ან ბუმბულის საყვინთაო და ყურადღებით ადევნებდნენ თვალ ყურს მის მოძრაობას. შიგა და შიგ ვინმე ბედნიერი მოშხეპით ამოისროდა წყლიდან ჩანგალზე მოფართხატე თევზს.

მოვიმარჯვე ანკესი, ხელი წავავლე მომსხო ჭიაყელას, მშვიდათ რომ ჩაგრეხილიყო ჭიაყელებით სავსე პარკში და ვცადე მისი ჩანგალზე ჩამოცმა. იგრძნო ხელის შეხება, აქამდის გუნდში მშვიდათ ჩაკლაკნილი აკანკალდა, სხეულის კლაკვნით მანიშნებდა, რომ არ იყო მაინც და მაინც კმაყოფილი ხელის შეხებით. ჩავიჭირე თითებში უფრო მძლავრათ და ჩანგალზე ჩამოცმა ვცადე. იკლაკნებოდა, ხელიდან გასხლტომას ცდილობდა, ჩანგალს თავს არიდებდა. ძალა აღმართსა ხნავსო, ნათქვამია და, როგორც იქნა, ანკესზე ჩამოვაცვი. შეეცადე, უფრო ღრმათ ჩამომეცო. ჭიაყელამ სხეული დაძაბა, ნერვული სისტემის მთელი ბღუჯა სხეულის იმ ადგილას შემოიკრიფა, მე რომ ანკესზედ ვაცვამდი და ისეთი ძალით მაწვებოდა უკუ მიმართულებით, რომ მისი წინააღმდეგობის დაძლევა მიძნელდებოდა. ცდილობდა ანკესიდან თავის დაღწევას, მაგრამ ანკესს ხომ ენა აქვს წინ ნამოწეული და მისი დაძლევა აღარ შეეძლო. გაშმაგებით იქნევდა აქეთ იქით სხეულის თავისუფალ ნაწილს, მაგრამ ამაოთ. მე ჩემი გავიტანე და გამართული ანკესი წყალში გადავისროლე. კარგა ხანს ვხედავდი გამჭვირვალე წყალში ჭიაყელის ანკესზედ მოსრიალე კუდს და მის ირგვლივ მოთარეშე დიდ პატარა თევზებს, რომლებიც ნაწილ ნაწილ ჰკორტნიდნენ სხეულს, ვიდრე ის ბოლომდის არ მოაჭამეს.

ვბრუნდებოდი შინ. თვალ წინ დამიდგა ჩემი მოქმედება და ჭიაყელის სიცოცხლისთვის ბრძოლა. ეხლა ღა ვიგრძენ, რაოდენ ტანჯვას ვაყენებდი უმწეო, უენო, უწყინარ ცოცხალ არსებას. რომ მის ტკივილს და სიცოცხლისთვის ბრძოლას არად ვაგდებდი, ოლონდ ჩემთვის სასიამოვნო ჟინი მომეკლა.

მას აქეთ ანკესისთვის ხელი აღარ მომიკიდია. ეს მხოლოთ მე, ერთ პიროვნებას, ქვეყანა კი მილიონობით წლები არსებობს და ეს ადვილათ შესამჩნევი და სახეში მისაღები სიმართლე, რომ უბრალო

ჭიაყელაც ცოცხალი არსებაა და ტკივილები მისთვისაც ისევე ძნელი ასატანია, როგორც ჩვენთვის, ადამიანებისთვის, დღემდის არაერის შეუმჩნევია. 1983 წლის „დროშის“ ერთ ერთ ნომერში ვაიკითხე: „სინგაპური თუ ხონგ-კონგი ყოველ წელიწადს 14.000 ტონა ჭიაყელებს უგზავნიან ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს“.

[1983]

მე და ცხენი (გვ. 151)

ხელნაწერი: სლმ. №28427-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-5.
ხელმოწერა: ნიკა მათიკაშვილი.
თარიღი: 1983.13.XII.

ტირიფონის ველზე გაყინული ფარა (გვ. 153)

ხელნაწერი: სლმ. №28427-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-35.
ხელმოწერა: ნიკა მათიკაშვილი.
თარიღი: [1983] – თხზულების შინაარსის მიხედვით.
ამ ნოველაში მოთხრობილი ამბები, რამდენადმე სახეცვლილი სახით, ჩართულია აგრეთვე ნიკოლოზ მათიკაშვილის მოგონებაში „იუნკრები“.

იუნკრები (გვ. 162)

ხელნაწერი: სლმ. №28432-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-124.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი.
თარიღი: [1986] – თხზულების შინაარსის მიხედვით.
პირველი პუბლიკაცია: ჟურნ. „ივერია“, 1988 წ., №32, პარიზი, გვ. 5-32. დაბეჭდილია ცვლილებებით.
„იუნკრები“ 1990 წელს გამომცემლობა „მეცნიერების“ მიერ ცალკე წიგნად დაიბეჭდა (იხ. ნ. მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი, „იუნკრები“, თბილისი, „მეცნიერება“, 1990 წ., გვ. 5-50). დაბეჭდილია მნიშვნელოვანი სარედაქციო ცვლილებებით.
მოგონების ავტორი ნიკოლოზ მათიკაშვილია, მან ეს ჩვენთან კერძო საუბარშიც დაადასტურა, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ ცნობების მნიშვნელოვანი ნაწილი იუნკერთა შესახებ მას მიხეილ კვალიაშვილმა მიაწოდა, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ნ. მათიკაშვილმა მ. კვალიაშვილის გვარი თავისი გვარის გვერდით მოაწერა.

რა მოუტანა საქართველოს
ბოლშევიკთა 65 წლის ოკუპაციამ? (გვ. 216)

ხელნაწერი: სლმ. №28434-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-6.
თარიღი: [1986] – თხზულების შინაარსის მიხედვით.

* * * „ვარშავაში ყოფნისას გავიგე...“ (გვ. 220)

ხელნაწერი: სლმ. №28591-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-5.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი.
თარიღი: 2.III.1989 წელი.

• • • „1990 წლის 26 თიბათვეა...“ (გვ. 223)

ხელნაწერი: სლმ. №28433-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-7.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი.
დაწერის ადგილი: ზალესიე დოლნე.
თარიღი: 26.VI.1990 წ.

მიმოწერა

ალექსი გულისაშვილი

1. (გვ. 263)

ხელნაწერი: საფოსტო ბარათი, სლმ. №28444-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ალექსი გულისაშვილი; А. Гулисашвили.
დაწერის ადგილი: Грузинская Республика, почт. кантора Сагареджо, сел. Нинокминда (საქართველოს რესპუბლიკა, საგარეჯოს საფოსტო კანტორა, სოფ. ნინოწმინდა).
თარიღი: 12 სექტემ. 1948 წ.

გიორგი ჩიმაკაძე

1. (გვ. 266)

ხელნაწერი: სლმ. №28444-5-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1.
ხელმოწერა: გ. ჩიმაკაძე.
დაწერის ადგილი: თბილისი.
თარიღი: 18.II.56.

2. (გვ. 267)

ხელნაწერი: სლმ. №28444-4-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1.
ხელმოწერა: გ. ჩიმაკაძე.
დაწერის ადგილი: თბილისი.
თარიღი: 11 აპრილი, 1957.

3. (გვ. 267)

ხელნაწერი: სლმ. №28591-8-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: გ. ჩიმაკაძე.
დაწერის ადგილი: თბილისი.
თარიღი: 30.XI.64 წ.

მიხეილ კვალიაშვილი

1. (გვ. 270)

ხელნაწერი: სლმ. №28441-42-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-4.
ხელმოწერა: Michał Kwaliaszwili; მიშა კვალიაშვილი; მ.
დაწერის ადგილი: Poznań 31, ul. Owsiana 28, m. 18 (პოზნანი 31, ოვსიანას ქ. №28, ბ. 18).
თარიღი: 7.VIII.57 წ.

2. (გვ. 275)

ხელნაწერი: სლმ. №28441-31-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-4.
ხელმოწერა: M. Kwaliaszwili; მიხეილ კვალიაშვილი; მ.
დაწერის ადგილი: ul. Owsiana 28, m. 18. Poznań 31.
თარიღი: [1957 წლის აგვისტოს შემდეგ] – წერილის შინაარსის მიხედვით.

3. (გვ. 276)

ხელნაწერი: სლმ. №28441-16-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილი; მიხეილ კვალიაშვილი.
დაწერის ადგილი: Poznań 31.
თარიღი: 16.II.62 წ.

4. (გვ. 278)

ხელნაწერი: სლმ. №28441-17-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 4.IV.64 წ.

5. (გვ. 279)

ხელნაწერი: სლმ. №28441-18-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილი.
თარიღი: 19.XII.64 წ.

6. (გვ. 280)

ხელნაწერი: სლმ. №28441-19-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
დაწერის ადგილი: [Poznań 31, ul. Owsiana 28/9] – წერილის შინაარსის მიხედვით.
თარიღი: 23.I.65 წ.

7. (გვ. 280)

ხელნაწერი: სლმ. №28441-20-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილი.
თარიღი: 2.2.65 წ.

8. (გვ. 281)

ხელნაწერი: სლმ. №28441-38-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: [1965 წლის აგვისტომდე] – წერილის შინაარსის მიხედვით.

9. (გვ. 282)

ხელნაწერი: სლმ. №28441-38-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: [1965 წლის აგვისტომდე] – წერილის შინაარსის მიხედვით.

10. (გვ. 282)

ხელნაწერი: სლმ. №28441-22-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 30.X.65 წ.

11. (გვ. 284)

ხელნაწერი: სლმ. №28441-3-ხ.9, ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილი; M. Kwaliaszwili.
დაწერის ადგილი: Poznań 31, ul. Owsiana 28/15.
თარიღი: [1965] – წერილის შინაარსის მიხედვით.

12. (გვ. 285)

ხელნაწერი: საფოსტო ბარათი, სლმ. №28441-36-5-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1.
ხელმოწერა: მიხეილ.
თარიღი: [1966 წლის აპრილი] – დათარიღება სავარაუდოა და ემყარება იმ ფაქტს, რომ აღდგომის დღესასწაული, რომელზედაც ლაპარაკია წერილში, 1966 წლის 10 აპრილს იყო.

13. (გვ. 285)

ხელნაწერი: სლმ. №28441-23-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილი.
თარიღი: 29.VI.66 წ.

14. (გვ. 286)

ხელნაწერი: სლმ. №28441-46-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილი.
თარიღი: [1966 წლის ივნისის შემდეგ] – წერილის შინაარსის მიხედვით.

15. (გვ. 287)

ხელნაწერი: სლმ. №28441-24-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ.1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 23.XI.66 წ.

16. (გვ. 287)

ხელნაწერი: სლმ. №28441-21-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 14.XII.66 წ.

17. (გვ. 288)

ხელნაწერი: სლმ. №28441-37-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: [1966] – წერილის შინაარსის მიხედვით.
წერილის თავში მიხეილ კვალიაშვილის მინაწერია: „Slavińska. Ciciszwili Kote 10-89-18" (სლავინსკა. ციციშვილი კოტე 10-89-18).

18. (გვ. 289)

ხელნაწერი: სლმ. №28441-30-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-4.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: [1966] – წერილის შინაარსის მიხედვით.

19. (გვ. 290)

ხელნაწერი: სლმ. №28441-25-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 20.III.67 წ.

20. (გვ. 291)

ხელნაწერი: სლმ. №28441-26-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-3.
ხელმოწერა: მიხეილი.
თარიღი: 6.03.68 წ.

21. (გვ. 292)

ხელნაწერი: სლმ. №28441-44-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილი.
თარიღი: [1968 წლის მარტის შემდეგ] – წერილის შინაარსის მიხედვით.

22. (გვ. 293)

ხელნაწერი: სლმ. №28441-28-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-3.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 22.V.68 წ.

23. (გვ. 294)

ხელნაწერი: სლმ. №28441-27-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-3.
ხელმოწერა: მიხეილ
კვალიაშვილი; მ. კ.
თარიღი: 6.VI.68 წ.

24. (გვ. 295)

ხელნაწერი: საფოსტო ბარათი, სლმ. №28441-36-13-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2, პოლონურიდან თარგმნა პენრიეტა იუსტინსკაიამ.
ხელმოწერა: Michał (მიხეილ).
თარიღი: [25.6.69] – საფოსტო შტემპელის მიხედვით.
ქვემოთ ვბეჭდავთ ამ წერილის ქართულ თარგმანს:

პატივცემულ ბ-ნ ნ. მათიკაშვილს
ზალესიე დოლნე, ვარშავასთან
დედოფალ იადვიგას ქ, №1
პოლონეთის მაზრა

ჩემო ძვირფასო! ამ თვის 28 რიცხვში, ვარშავის ოპერში წარმოდგენილი იქნება ქართული ოპერა – „დაისი". შეეცადე აიღო ბილეთი. ლოჟში ორი სპექტაკლი დიდი წარმატებით ჩატარდა! ამას გარდა, ვარშავის ოპერის მთავარი ქორეოგრაფი ალექსი ჭიჭინაძეა. გისურვებ წარმატებას!
ახლახანს გამოვედი საავადმყოფოდან, ვიწექი 73 დღე – გავიკეთე ორი ოპერაცია.

მიხეილ

25. (გვ. 295)

ხელნაწერი: სლმ. №28441-29-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-3.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 31.X.69 წ.

26. (გვ. 297)

ხელნაწერი: სლმ. №28441-2-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 12.I.70 წ.

27. (გვ. 297)

ხელნაწერი: სლმ. №28441-6-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 22.4.70 წ.

28. (გვ. 298)

ხელნაწერი: სლმ. №28441-3-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 25.V.70 წ.

29. (გვ. 299)

ხელნაწერი: სლმ. №28441-4-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ; მიხეილ.
დაწერის ადგილი: პოზნანი.
თარიღი: 1.VI.70 წ.

30. (გვ. 300)

ხელნაწერი: საფოსტო ბარათი, სლმ. №28441-36-6-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 21.7.70 წ.

31. (გვ. 300)

ხელნაწერი: საფოსტო ბარათი, სლმ. №28441-36-7-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 26.8.70 წ.

32. (გვ. 302)

ხელნაწერი: სლმ. №28441-5-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი; M.
თარიღი: 11.V.71 წ.

33. (გვ. 304)

ხელნაწერი: სლმ. №28441-33-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
თარიღი: [1971] – წერილის შინაარსის მიხედვით.
წერილი დაუსრულებელია.

34. (გვ. 306)

ხელნაწერი: სლმ. №28441-35-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-4.
თარიღი: [1972 წლის მარტამდე] – მომდევნო 15.III.72 წერილის შინაარსის მიხედვით.
წერილი დაუსრულებელია.

35. (გვ. 308)

ხელნაწერი: სლმ. №28445-18-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
თარიღი: 15.III.72.
მიხეილ კვალიაშვილის წერილის ეს ფრაგმენტი, ნიკოლოზ მათიკაშვილს საკუთარი ხელით გადაუნერია და ამ სახითაა შემორჩენილი მის არქივში.

36. (გვ. 308)

ხელნაწერი: სლმ. №28441-7-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-4.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 10.4.72 წ.

37. (გვ. 310)

ხელნაწერი: სლმ. №28441-10-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 22.IV.72 წ.

38. (გვ. 310)

ხელნაწერი: სლმ. №28441-8-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 9.VII.72 წ.

39. (გვ. 311)

ხელნაწერი: სლმ. №28441-9-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 10.11.1972 წ.

40. (გვ. 312)

ხელნაწერი: სლმ. №28441-12-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-3.
ხელმოწერა: მიხეილი; მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 4.I.73 წ.

41. (გვ. 313)

ხელნაწერი: სლმ. №28441-34-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-4.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 10.II.73 წ.

42. (გვ. 314)

ხელნაწერი: სლმ. №28441-11-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 9.XII.73 წ.

43. (გვ. 315)

ხელნაწერი: სლმ. №28441-13-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ.
თარიღი: [9.I.74] – წერილის შინაარსის მიხედვით.

44. (გვ. 317)

ხელნაწერი: საფოსტო ბარათი, სლმ. №28441-36-11-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ; M. K.
დაწერის ადგილი: ul. Owsiana 28, m. 9, 61-667 Poznań.
თარიღი: [1.II.74] – წერილის შინაარსის მიხედვით.

45. (გვ. 317)

ხელნაწერი: სლმ. №28441-37-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: [1975 წლის იანვარი] – წერილის შინაარსის მიხედვით.

46. (გვ. 318)

ხელნაწერი: სლმ. №28441-36-2-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ.
თარიღი: [1975] – 1975 წლის 8 იანვრის წერილის შინაარსის მიხედვით.

47. (გვ. 318)

ხელნაწერი: საფოსტო ბარათი, სლმ. №28441-36-8-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ.
დაწერის ადგილი: 61-667 Poznań.
თარიღი: [8.I.75] – საფოსტო შტემპელის მიხედვით.

48. (გვ. 319)

ხელნაწერი: საფოსტო ბარათი, სლმ. №28441-36-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
დაწერის ადგილი: 61-667 Poznań.
თარიღი: 12.V.[75] – საფოსტო შტემპელის მიხედვით.

49. (გვ. 319)

ხელნაწერი: სლმ. №28441-41, ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: [1975 წლის აგვისტო] – წერილის შინაარსის მიხედვით.

50. (გვ. 319)

ხელნაწერი: სლმ. №28441-40-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ.
თარიღი: [1975] – წერილის შინაარსის მიხედვით.

51. (გვ. 321)

ხელნაწერი: საფოსტო ბარათი, სლმ. №28441-36-9-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის arqivi, gv. 1-2.
ხელმოწერა: Michel; M. K; მ.
დაწერის ადგილი: Owsiana 28, m. 9. 61-667 Poznań.
თარიღი: 22.III.76 წ.

52. (გვ. 322)

ხელნაწერი: სლმ. №28441-43-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ.
თარიღი: [1976] – წერილის შინაარსის მიხედვით.

53. (გვ. 322)

ხელნაწერი: სლმ. №28441-45-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: [1976] – წერილის შინაარსის მიხედვით.

54. (გვ. 323)

ხელნაწერი: საფოსტო ბარათი, სლმ. №28441-36-3-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 14.I.77 წ.

55. (გვ. 324)

ხელნაწერი: სლმ. №28441-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-4.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი; მ. კ.
თარიღი: [26.II.77] – წერილის შინაარსის მიხედვით.

56. (გვ. 326)

ხელნაწერი: საფოსტო ბარათი, სლმ. №28441-36-4-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
თარიღი: 5.VI.77 წ.

57. (გვ. 328)

მანქანაზე ნაბეჭდი: საფოსტო ბარათი, სლმ. №28441-36-10-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2, პოლონურიდან თარგმნა ჰენრიეტა იუსტინსკაიამ.
ხელმოწერა: Michał.
თარიღი: 31.X.77.
ქვემოთ ვბეჭდავთ ამ წერილის ქართულ თარგმანს:

პატივცემულ ბ-ნ ნ. მათიკაშვილს
ზალესიე დოლნე, ეარშავასთან
დედოფალ იადვიგას ქ. №13
პასეჩნას მაზრა 05-501

ძვირფასო ნიკა! დღეს დავბრუნდი სანატორიუმიდან. დავისვენე და თავს კარგად ვგრძნობ! ამ დღეებში მივიღე რამდენიმე წიგნი გ. ნოზაძისგან. მაქვს ორი – „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება". თუ

გინდა ეს წიგნი, მაცნობე ბარათით და ერთს გამოგიგზავნი. მომწერე როგორ ხარ და თუ იყავი წელს სამშობლოში? მე ისევ მუზეუმში ვმუშაობ, სხვაგვარად, სამსახურისა და მოძრაობის გარეშე, ალბათ, გავგიჟდებოდი! როგორ მიდის შენი ლიტერატურული საქმიანობა?

არკადი სხირტლაძის ოჯახი სტუმრად იყო საქართველოში და დიდი ზეიმით აღნიშნეს ირინა სხირტლაძის ხსოვნის დღე. თაყვანისცემას 150 კაცზე მეტი დაესწრო – მთელი საგვარეულო. იყო გამოხმაურება პრესაშიც, სადაც ბევრი ფოტო დაიბეჭდა. ქ-ნი სხირტლაძე აღფრთოვანებული და მოხიბლულია!

შენც მისწერე ორიოდე სიტყვა.

სალამი შენს მეუღლეს.

შენ, გეხვევი და გისურვებ ჯანმრთელობას!!!

მიხეილ
30.X.77

58. (გვ. 328)

ხელნაწერი: სლმ. №28441-47-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გე. 1.
ხელმოწერა: მიხეილი; მიხეილი.
თარიღი: [6.7.79] – წერილის შინაარსის მიხედვით.

59. (გვ. 329)

ხელნაწერი: სლმ. №28441-32-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გე. 1-4.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი.
დანერის ადგილი: პოზნანი.
თარიღი: 9.9.79 წ.

60. (გვ. 330)

ხელნაწერი: სლმ. №28441-14-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გე. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ კვალიაშვილი; მ.
თარიღი: 25.II.80 წ.

61. (გვ. 331)

ხელნაწერი: სლმ. №28441-15-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გე. 1.
ხელმოწერა: Michał Kwaliaszwili.
თარიღი: 25.[01].81 წ. – წერილის შინაარსის მიხედვით.

62. (გვ. 331)

ხელნაწერი: საფოსტო ბარათი, სლმ. №28441-36-12-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გე 1.
ხელმოწერა: მიხეილ.
თარიღი: 24.V.81 წ.

ლევან მენაბდე

1. (გვ. 332)

მანქანაძე ნაბეჭდი: სლმ. №28444-2-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გე. 1.
ხელმოწერა: ლ. მენაბდე.
დაწერის ადგილი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ.№1, ტელეფონი 22-94-97, 4-97 – ბარათის სატიტულო ფურცელზე მითითებული მისამართის მიხედვით.
თარიღი: 7.V.1968 წ.

ვასილ ფერაძე

1. (გვ. 333)

ხელნაწერი: სლმ. №28444-3-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1.
ხელმოწერა: ვასო ფერაძე.
თარიღი: 29.X.69 წელი.

ალექსანდრე სულხანიშვილი

1. (გვ. 334)

ხელნაწერი: ახლავს კონვერტიც, სლმ. №28445-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი; A. Soulkhan.
დაწერის ადგილი: სანფრანცისკო.
თარიღი: 28 მარტი, 81 წ.

2. (გვ. 337)

ხელნაწერი: სლმ. №28445-2-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-4.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი.
დაწერის ადგილი: სანფრანცისკო.
თარიღი: 18 აგვისტო, 81 წ.

3. (გვ. 342)

ხელნაწერი: სლმ. №28445-3-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი.
დაწერის ადგილი: სანფრანცისკო.
თარიღი: 22 ივნისი, 82 წ.

4. (გვ. 342)

ხელნაწერი: ახლავს კონვერტიც, სლმ. №28445-4-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-4.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი; A. Soulkhan.
დაწერის ადგილი: სანფრანცისკო.
თარიღი: 14 თებერვალი, 83 წ.

5. (გვ. 346)

ხელნაწერი: ახლავს კონვერტიც, სლმ. №28445-5-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი; A. Soulkhan.
დაწერის ადგილი: სანფრანცისკო.
თარიღი: 20 ივლისი, 1983 წ.

6. (გვ. 347)

ხელნაწერი: სლმ. №28591-6-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი.
თარიღი: [1985] – დათარიღება სავარაუდოა და ემყარება იმ ფაქტს, რომ წერილში ლაპარაკია ალექსანდრე სულხანიშვილის თხზულებაზე „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე“, რომელიც 1985 წელს დაიბეჭდა.

7. (გვ. 348)

ხელნაწერი: ახლავს კონვერტიც, სლმ. №28445-6-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი; A. Soulkhan.
დაწერის ადგილი: სანფრანცისკო.
თარიღი: 6 ოკტომბერი, 85 წ.
პირველი პუბლიკაცია: ლ. ცომაია, „საქართველო, ღრმად დარწმუნებული ვარ, თავისას მოიპოვებს", გაზ. „ლიტერატურა და სხვა", 1990 წ., №2, გვ. 2.
დაბეჭდილია უცვლელად.

8. (გვ. 349)

ხელნაწერი: საფოსტო ბარათი, სლმ. №28591-7-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი.
თარიღი: [1986] – წერილის შინაარსის მიხედვით.

9. (გვ. 350)

ხელნაწერი: ახლავს კონვერტიც, სლმ. №28445-7-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი; A. Soulkhan.
დაწერის ადგილი: სანფრანცისკო.
თარიღი: 11 თებერვალი, 1986 წ.

10. (გვ. 350)

ხელნაწერი: სლმ. №28445-8-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი.
დაწერის ადგილი: სანფრანცისკო.
თარიღი: 28 თებერვალი, 1987 წ.

11. (გვ. 351)

ხელნაწერი: სლმ. №28445-9-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი.
დაწერის ადგილი: სანფრანცისკო.
თარიღი: 7 მარტი, 1987 წ.

12. (გვ. 352)

ხელნაწერი: ახლავს კონვერტიც, სლმ. №28445-10-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: A. Soulkhan.
დაწერის ადგილი: სანფრანცისკო.
თარიღი: 1987 წ. 20 აპრ.

13. (გვ. 353)

ხელნაწერი: სლმ. №28445-11-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი.
დაწერის ადგილი: სანფრანცისკო.
თარიღი: 28 მაისი, 1987 წ.

14. (გვ. 354)

ხელნაწერი: სლმ. №28445-12-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი.
დაწერის ადგილი: სანფრანცისკო.
თარიღი: 3 აგვისტო, 1987 წ.

15. (გვ. 355)

ხელნაწერი: საფოსტო ბარათი, ახლავს კონვერტიც, სლმ. №28445-13-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი; A. Soulkhan.
დაწერის ადგილი: 145 Terra vista, S.F., Cal. 94115.
თარიღი: [19 დეკემბერი, 1987 წ.] – საფოსტო შტემპელის მიხედვით.

16. (გვ. 355)

ხელნაწერი: სლმ. №28592-4-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-6.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი.
თარიღი: 30 დეკემბერი, 1988 წ.

17. (გვ. 359)

ხელნაწერი: სლმ. №28445-14-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-4.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი.
დაწერის ადგილი: სანფრანცისკო.
თარიღი: 3 აპრილი, 1989 წ.

წერილში ლაპარაკია თამაზ სანიკიძის მიერ ალექსანდრე სულხანიშვილისადმი გაგზავნილ ბარათზე, რომელსაც ებეჭდათ ქვემოთ (იხ. პაატა ნაცვლიშვილი, „საქართველოს მინა", „სამშობლო", თბილისი, 1994 წ., გვ 79-80):

თბილისი
4 აგვისტო, 1988

დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე!

ულრმეს მადლობას მოგახსენებთ თქვენს მიერ შემოწირული ძვირფასი ხმლის და ქამარ-ხანჯლისათვის, რომლებიც 27 ივლისს ჩვენს ეროვნულ საგანძურს – საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს გადმოსცა ბატონმა პაატა ნაცვლიშვილმა. მათ მიეცათ შემდეგი ნომრები: 19379, 19380, 19381. თქვენი გვარი კი შევიტანეთ მუზეუმის მოამაგეთა საპატიო წიგნში. ამასთანავე გაცნობებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ მუზეუმის „ოქროს ფონდში" ერთი დიდი ოთახი დაეთმო უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მიერ შემოწირულ ნივთებს. კერძოდ, აქ არის არგენტინიდან ბ-ნ რეზო თაბუკაშვილის მიერ ჩამოტანილი სიონის ტაძრის საკურთხევლის გადასაფარებელი, რომელიც ჭეიშვილების ოჯახმა[1] დააბრუნა სამშობლოში. აქვეა გამოფენილი მიუნჰენიდან აწ უკვე განსვენებულ ბ-ნ ვანო ქიქოძის მიერ გამოგზავნილი იარაღის კოლექცია, ასევე რეზო თაბუკაშვილის მიერ ჩამოტანილი. ამიერიდან ამავე ოთახში დაიდებს ბინას თქვენს მიერ შემოწირული ნივთები.

[1] იგულისხმება თამარ და აკაკი პაპავების ქალიშვილების – ტურფა პაპავა-ჭეიშვილისა და მზია პაპავა-ჭეიშვილის ოჯახი *(ლ. ც.)*.

მადლობის ამ ბარათთან ერთად გაახლებთ ფოტოსურათებს (სამწუხაროდ, მხოლოდ შავ-თეთრს), რომლებიც გადაღებულია 3 აგვისტოს – ექსპონატების მცირე რესტავრაციის შემდეგ. სწორედ ამ დღეს გამოიფინა თქვენგან მოძღვნილი ნივთები პირველად.

კიდევ ერთხელ უღრმეს მადლობას მოგახსენებთ და გისურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

გულწრფელ პატივისცემით – მუზეუმის დირექტორი
პროფესორი თამაზ სანიკიძე

18. (გვ. 361)

ხელნაწერი: ახლავს კონვერტიც, სლმ. №28445-15-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-3.
ხელმოწერა: ა. სულხანიშვილი; A. Soulkhan.
დაწერის ადგილი: 145 Terra vista, S.F., Cal. 94115.
თარიღი: 18 მაისი, 1989 წ.
პირველი პუბლიკაცია: ლ. ცომაია, „საქართველო, ღრმად დარწმუნებული ვარ, თავისას მოიპოვებს", გაზ. „ლიტერატურა და სხვა", 1990 წ., №2, გვ. 2.
დაბეჭდილია შემოკლებით.

მიხეილ ქავთარაძე

1. (გვ. 363)

ხელნაწერი: ახლავს კონვერტიც, სლმ. №28443-3-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: მიხეილ ქავთარაძე; M. Kavtaradze.
დაწერის ადგილი: 61 Ch. de Tabor, 93310 Linas France (ტაბორის გზატკ. №61, 93310 ლინა, საფრანგეთი).
თარიღი: 23 სექტემბერი, 1987.

2. (გვ. 365)

ხელნაწერი: ახლავს კონვერტიც, სლმ. №28443-1-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1.
ხელმოწერა: მიხეილ ქავთარაძე; M. Kavtaradze.
დაწერის ადგილი: 61 Chemin de Tabor, 93310 Linas France.
თარიღი: 25.11.87.

3. (გვ. 366)

ხელნაწერი: სლმ. №28443-4-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1.
ხელმოწერა: მიხეილ ქავთარაძე.
თარიღი: 6 ივნისი, 1988 წლისა.

4. (გვ. 367)

ხელნაწერი: ახლავს კონვერტიც, სლმ. №28443-2-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-4.
ხელმოწერა: მიხეილ ქავთარაძე; M. Kavtaradze.
დაწერის ადგილი: 61 Ch. de Tabor, 93310 Linas F.
თარიღი: 3 აგვისტო, 1988.

5. (გვ. 369)

ხელნაწერი: სლმ. №28592-3-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1.
ხელმოწერა: მიხეილ ქავთარაძე.
თარიღი: 20.2.1989.

ალექსანდრე მანველიშვილი

1. (გვ. 370)

ხელნაწერი: ახლავს კონვერტიც, სლმ. №28442-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ალ. მანველიშვილი; Alexander Manvel; Al. Manvelishvili.
დაწერის ადგილი: 12125 W.GLH ave., Arvada. Co. 80004, U.S.A. (12125 W.GLH გამზ., 80004, აშშ.).
თარიღი: 18 აპრილი, 1990 წ.

ნიკოლოზ მათიკაშვილი
ალექსანდრე სულხანიშვილს

1. (გვ. 372)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; M. Matikaszwili.
დაწერის ადგილი: ზალესიე დოლნე.
თარიღი: 5.VI.1981 წ.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

2. (გვ. 373)

ხელნაწერი: სლმ. №28445-17-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-3.
თარიღი: [1981 წ.] – ბარათის შინაარსის მიხედვით.
წერილი ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივში ფრაგმენტის სახითაა შემორჩენილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ადრესანტს, იგი ადრესატისთვის არ გაუგზავნია.

3. (გვ. 376)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-3.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; ი. მ.
დაწერის ადგილი: ზალესიე დოლნე.
თარიღი: 18.XII.1981 წ.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

4. (გვ. 377)

ხელნაწერი: პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-4.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი.
დაწერის ადგილი: ზალესიე დოლნე.
თარიღი: 10.IV.1983 წ.

5. (გვ. 380)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცელიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; M. Matikaszwili.
დაწერის ადგილი: ზალესიე დოლნე.
თარიღი: 15.V.1983.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

6. (გვ. 380)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცელიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-2.
ხელმოწერა: M. Matikaszwili – კონვერტზე მითითებული ხელმოწერის მიხედვით.
დაწერის ადგილი: ul. Kr. Jadwigi 18, Zalesie Dolne, k. W-wy 05501, Polska.
თარიღი: [1981 წლის 14 ნოემბრამდე] – ალექსანდრე სულხანიშვილის მიერ წერილის კონვერტზე შესრულებული მინაწერის მიხედვით.
ბარათის კონვერტზე ალექსანდრე სულხანიშვილის მინაწერია: „მივიღე 14 ნოემბერს, 1983 წ."
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

7. (გვ. 382)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცელიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; Matikaszwili Mikołaj.
დაწერის ადგილი: Zalesie Dolne, ul. Kr. Jadwigi 18, 05-501.
თარიღი: 22.VIII.1984 წ.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

8. (გვ. 383)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცელიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-3.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; M. Matikaszwili.
დაწერის ადგილი: 05-501 Zalesie Dolne, ul. Kr. Jadwigi 18.
თარიღი: 23.VIII.1985 წ.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

9. (გვ. 384)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცელიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; Mikołaj Matikaszwili.
დაწერის ადგილი: ზალესიე დოლნე.
თარიღი: 19.X.1985 წ.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

10. (გვ. 385)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცელიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-3.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; ნიკ. მათიკაშვილი; M. Matikaszwili.
დაწერის ადგილი: 05-501 Zalesie Dolne, ul. Kr. Jadwigi 18, Polska.
თარიღი: 3.III.86 წ.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

11. (გვ. 387)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; Matikaszwili Mikołaj.
დაწერის ადგილი: 05-501 Zalesie Dolne, ul. Kr. Jadwigi 18.
თარიღი: 23.X.86 წ.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

12. (გვ. 388)

ხელნაწერი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; Mikołaj Matikaszwili.
დაწერის ადგილი: 05-501 Zalesie Dolne, k. W-wy, ul. Kr. Jadwigi 18.
თარიღი: 17.II.1987 წ.

13. (გვ. 391)

ხელნაწერი: პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ნიკოლოზი.
თარიღი: [1987 წლის თებერვლის შემდეგ] – წერილის შინაარსის მიხედვით.

14. (გვ. 393)

ხელნაწერის ასლი: პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი.
დაწერის ადგილი: ზალესიე დოლნე.
თარიღი: 16.III.87 წ.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

15. (გვ. 394)

ხელნაწერის ასლი: პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ნ. მ.
თარიღი: 1.[IV].1987 წ. – წერილი ალექსანდრე სულხანიშვილის მიერ 1987 წლის 28 მარტის საპასუხოდაა დაწერილი, რომელიც ადრესატმა 30 მარტს მიიღო, ამიტომ ხელნაწერში მითითებული თარიღი – 1 მარტი – ადრესანტის კალმის ლაფსუსად მივიჩნიეთ და დაწერის თარიღად 1 აპრილი მივუთითეთ.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

16. (გვ. 394)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; ნ. მ.; M. Matikaszwili.
დაწერის ადგილი: 05-501 Zalesie Dolne, ul. Kr. Jadwigi 18.
თარიღი: [1987 წლის 1 აპრილის შემდეგ] – დათარიღება საეარაუდოა და ემყარება იმ ფაქტს, რომ ნიკოლოზ მათიკაშვილმა 1987 წლის 16 მარტს და 1987 წლის 1 აპრილს დაწერილი ბარათები წინამდებარე წერილთან ერთად, ერთი კონვერტით გაუგზავნა ადრესატს.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

17. (გვ. 395)

ხელნაწერის ასლი: პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი.
დაწერის ადგილი: ზალესიე დოლნე.
თარიღი: 25.V.87 წ.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

18. (გვ. 396)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; M. Matikaszwili.
დაწერის ადგილი: ზალესიე დოლნე.
თარიღი: 18.XI.1981 წ.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

19. (გვ. 397)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ნ. მ.; M. Matikaszwili.
დაწერის ადგილი: Polska, Zalesie Dolne 05-501, ul. Kr. Jadwigi 18.
თარიღი: [8.2.88] – საფოსტო შტემპელის მიხედვით
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

20. (გვ. 398)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; Matikaszwili Mikołaj.
დაწერის ადგილი: ზალესიე დოლნე.
თარიღი: 20.V.1988 წ.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

21 (გვ. 399)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; M. Matikaszwili.
დაწერის ადგილი: ზალესიე დოლნე.
თარიღი: 13.X.1988 წ.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

22. (გვ. 400)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; M. Matikaszwili.
დაწერის ადგილი: Zalesie Dolne, ul. Kr. Jadwigi 18, 05-501.
თარიღი: კვირა, 12 მარტი, 1989 წელი.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

23. (გვ. 401)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; M. Matikaszwili.
დაწერის ადგილი: Zalesie Dolne, ul. Kr. Jadwigi 18, 05-501 Polska.
თარიღი: 21.IV.89 წ.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

24. (გვ. 401)

ხელნაწერის ასლი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; Matikaszwili Mikolaj.
დაწერის ადგილი: Polska, Zalesie Dolne, ul. Kr. Jadwigi 18, 05-501.
თარიღი: 12.VIII.1989 წ.
წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

25. (გვ. 402)

ხელნაწერი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; Matikaszwili N.
დაწერის ადგილი: Polska, Zalesie Dolne, ul. Kr. Jadwigi 18.
თარიღი: 22.XI.1990 წ.
პირველი პუბლიკაცია: პაატა ნაცვლიშვილი, „საქართველოს მიწა", „სამშობლო", თბილისი, 1994 წ., გვ. 102-103.
ალექსანდრე სულხანიშვილისადმი გაგზავნილი ეს ბარათი უპასუხოდ დარჩა, რადგან ადრესატი მისი დაწერის დროს უკვე აღარ იყო ცოცხალი, იგი 1990 წლის 6 ნოემბერს გარდაიცვალა.

პაატა ნაცვლიშვილს
1. (გვ. 406)

ხელნაწერი: ახლავს კონვერტიც, პაატა ნაცვლიშვილის კერძო კოლექცია, გვ. 1.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი; Matikaszwili N.
დაწერის ადგილი: Polska, Zalesie Dolne, ul. Kr. Jadwigi 18.
თარიღი: 22.XI.1990 წ.
პირველი პუბლიკაცია: პაატა ნაცვლიშვილი, „საქართველოს მიწა", „სამშობლო", თბილისი, 1994 წ., გვ. 102.

ნატო ციციშვილს
1. (გვ. 408)

ხელნაწერი: სლმ. №28592-ხ., ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივი, გვ. 1-2.
ხელმოწერა: ნ. მათიკაშვილი.
თარიღი: 10.I.1991 წ.

ა

აბას I, შაჰ-აბას დიდად წოდებული (1571-1629), ირანის შაჰი (1587-1629), სეფიანთა დინასტია, შაჰ მუჰამად ხუდაბანდას ძე, მხედართმთავარი – 228, 307.

აბაშიძე ასლან იბრაჰიმის ძე (ასლანბეგი) (1877-1924), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, გენერალი (1918). ავტორი მხედრული სიმღერისა „ასლანური“. ბათუმის გამგებელ სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი – 97.

აბაშიძე გრიგოლ გრიგოლის ძე (1914-1994), პოეტი, პროზაიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979) – 266.

აბაშიძე ვახტანგ (?-1963), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, II მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 202, 211-212.

აბაშიძე ირაკლი ბესარიონის ძე (1909-1992), პოეტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960), შოთა რუსთაველისა (1965) და ჯავაჰარლალ ნერუს (1972) სახელობის პრემიების ლაურეატი – 267.

აბაშიძე მემედ იბრაჰიმის ძე (მემედ ბეგ, მემედ ბეი) (ფსევდ.: მემედ-ბეგი, მემედი და სხვ.) (1873-1937), მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი. რეპრესირებულია 1937 – 96-97.

აბაშიძე სიმონ (სიმონ, სიმონიკა) დავითის ძე (1900-1978), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, პორუჩიკი, „იუნკერთა კაუშირის“ (1928-32) წევრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 188, 191, 208, 273.

აბო თბილელი (ტფილელი) (დაახლ. 757-786), ქრისტიანობისათვის წამებული არაბი, ნერსე ქართლის ერისმთავრის მსახური, ნელსაცხებელთა ოსტატი – 136.

აბულაძე პროკოფი ქაიხოსროს ძე (ფსევდ.: რეო ამონი) (1898-1931), დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოეტი, „ქართველ იუნკერთა კაუშირის“ (1928-32) დამფუძნებელი, ჟურნალების: „მთავრიდა“ (1926), „მტკვარი“ (1928), „მხედარი“ (1929-31-მდე) რედაქტორი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 17, 188, 190-191, 196, 203, 412.

ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე (ფსევდ.: Politicus, З. А., Князь და სხვ.) (1875-1944), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დიპლომატი, იურისტი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, 1918-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 284, 304.

აზმაიფარაშვილი შალვა ილიას ძე (1903-1958), დირიჟორი, კომპოზიტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1941) – 118, 139-141.

ათაბეგიშვილები – 220, 379.

ათაბეგიშვილი ვასილ (ვასო), პოლონეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი. დახერიტეს გერმანელმა ნაცისტებმა – 211, 220, 372, 394.

ათაბეი, იხ. უმაევი ათაბეი.

ათათურქი მუსტაფა ქემალ (1881-1938), თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელი და მისი პირველი პრეზიდენტი (1923-38), სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი. 1934-მდე ცნობილი იყო მუსტაფა ქემალ-ფაშის სახელით (ფაშის ტიტული ანუ გენერლობა I მსოფლიო ომის დროს მიიღო). 1934 თურქეთში გვარების შემოღებასთან დაკავშირებით დიდმა ეროვნულმა კრებამ ათათურქის („თურქთა მამა“) გვარი მიანიჭა – 66, 95, 106, 182, 223.

აკაკი, იხ. წერეთელი აკაკი როსტომის ძე.

ალავიძე ალექსანდრე (სანდრო) (1891-?), სამხედრო მოღვაწე, მაიორი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, II მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 34, 63, 199, 203, 208, 210-211, 286.

ალექსანდრე, იხ. ალექსანდრე მაკედონელი, ალექსანდრე დიდი.

ალექსანდრე, იხ. გედევანიშვილი (გედევანოვი) ალექსანდრე კონსტანტინეს ძე.

ალექსანდრე, იხ. სულხანიშვილი ალექსანდრე (საშა, შუშუ).

ალექსანდრე მაკედონელი, ალექსანდრე დიდი (ძვ. წ. 356-323), მაკედონიის მეფე 336-იდან, ძველი სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. მაკედონიის მეფე ფილიპ II-ისა და ეპირის მეფის ასულის – ოლიმპიადას ძე – 42, 48, 94, 135, 182.

ალექსანდრე ნეველი (დაახლ. 1220-1263), რუსი სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, ნოვგოროდის მთავარი (1236-51), ვლადიმირის დიდი მთავარი (1252-იდან), იაროსლავ ვსევოლოდის ძის შვილი – 156-157.

ალექსიძე, კომპოზიტორი. ავტორი ოპერისა „განთიადი“ – 118.

ალიხანოვი კ. მ. (1857-1928), საზოგადო მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების თავმჯდომარე. 1874 წელს თბილისში ალიოზ მიზანდართან (1838-1912) და ხარლამპ სავანელთან (1842-1890) ერთად დააარსა მუსიკალური სკოლა, რომელიც 1886 წელს სამუსიკო სასწავლებლად, ხოლო 1917 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიად გადაკეთდა – 139.

ალშიბაია გრიგოლ კონსტანტინეს ძე (1881-1957), პოლიტიკური მოღვაწე, ექიმი, დიპლომატი, 1921 წლის დასაწყისში საქართველოს წარმომადგენელი აზერბაიჯანში. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 330.

ამაშუკელი-კობიაშვილისა კირა ზაქარიას (შაქრო) ასული (1910-1994), საზოგადო მოღვაწე. ზაქარია ბაქრაძის (1869-1938) ქალიშვილი (ატარებდა დედის გვარს), დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890) შვილიშვილი, სეიმონ კობიაშვილის (1902-1976) მეუღლე, მაიკო (ელენე) კობიაშვილი-შერემეტიევასა (1936-2010) და ზურაბ კობიაშვილის (დ. 1942) დედა – 314.

ამილახვარი დიმიტრი გიორგის ძე (1906-1942), დაბადების ადგილის მიხედვით „ბაზორკად" წოდებული; სამხედრო მოღვაწე, საფრანგეთის უცხოური ლეგიონის პოლკოვნიკი, საფრანგეთის ეროვნული გმირი, დაჯილდოებულია „თავისუფლების ჯვრით" (1942). 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 214-215.

ამირანაშვილი შალვა იასონის ძე (1899-1975), ხელოვნების ისტორიკოსი, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1943) – 313.

ამირეჯიბი (ამირეჯიბი) ელენე (დ. 1932), ვარშავაში მოღვაწე მწერალი, რეჟისორი და კინოსცენარისტი. ჯერზი შტეფან სტავინსკის (1921-2010) მეუღლე – 284, 286-288, 290.

ამირეჯიბი (ამირაჯიბი) შალვა გიორგის ძე (ფსევდ.: ა-ი, ფარსმან-ფარუხი, შ. ა., ჩორჩანელი და სხვ.) (1887-1943), პოეტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი (1918-21), საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე – 222, 382.

ამირეძე იოსებ, ქეშიდარდომანდად ნოდებული, სასულიერო მოღვაწე, მღვდელი, ქართული კულტურის მოღვაწე XVIII ს. II ნახევარში. მაჩაბელასთან ერთად (გ. 11.IX.1795) ერთად მოღვაწეობდა ერეკლე II-ის დროინდელ „ქალაქის" თეატრში – 138.

ანანიაშვილი არჯევან, (?-1921), სამხედრო მოღვაწე, მაიორი. დაილუპა ტაბახმელასთან ბრძოლაში – 57.

ანდერსი ვლადისლავ (1892-1970), პოლონელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი, II მსოფლიო ომის დროს პოლონეთის არმიის სარდალი დასავლეთის ფრონტზე – 320.

ანდრიაშვილი აკაკი კირილეს ძე (1904-1992), კომპოზიტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1953) – 118, 139-140.

ანდრონიკაშვილი, სამხედრო მოღვაწე, ლეიტენანტი. დაიჭრა ტაბახმელასთან ბრძოლაში – 60, 154-155, 169, 172.

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ალექსანდრე სიმონის ძე (1871-1923), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1917), რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, 1918-19 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის უფროსი, სამხედრო საბჭოს წევრი, 1920-იდან ქართული (იუნკერთა) სამხედრო სკოლის ხელმძღვანელი, 1921 წლის ომში თბილისის ფრონტის კოჯორ-ტაბახმელის მონაკვეთის უფროსი. 1922-იდან მონაწილეობდა ოკუპანტების წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. იყო „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან" არსებული „სამხედრო ცენტრის" წევრი. 1923 წლის მარტში ბოლშევიკებმა „სამხედრო ცენტრის" სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრეს და იმავე წლის 20 მაისს დახვრიტეს თბილისში, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე – 11, 26, 30-35, 57-60, 93, 95, 101, 109-110, 156, 160, 162, 167, 174, 177.

ანდრონიკაშვილი გიორგი (1900-?), დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი. დახვრიტეს ბოლშევიკებმა – 158, 176.

ანდრონიკაშვილი ივანე (ვანო) ნიკოლოზის ძე (1905-1962), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, 1958-62 მიუნხენის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე. 1925-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 376.

ანიკო, იხ. მეხაშიშვილი ანა (ანიკო) ივანეს ასული.

არაყიშვილი დიმიტრი ეგნატეს ძე (1873-1953), კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე-ეთნოგრაფი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1929), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1950), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1950) – 118, 139-140.

არდაზიანი ნ., სავარაუდოდ: 1. **არდაზიანი ნიკოლოზ** ლავრენტის ძე, სასულიერო მოღვაწე, დეკანოზი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი; 2. **არდაზიანი ნიკოლოზ** პეტრეს ძე (1825-1905), სასულიერო მოღვაწე, დეკანოზი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი – 47.

არმაელიძე დავით ადამის ძე (1865-1919), მწერალი და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1917), რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, 1918 ქართული კორპუსის 1-ლი დივიზიის, ხოლო 1919 მე-2 ქვეითთა დივიზიის მეთაური – 37, 90, 101, 106, 393, 414.

არჯადი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. ვალერიან თევზაძის ბიძა – 83.

არონიშიძე არტემ (არტემა) მიხეილის ძე (შეცვლილი სახელი და გვარი – იან პილეცკი) (1891-1950), სამხედრო

მოღვაწე, მაიორი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, II მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის“ კავალერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199, 203, 208, 210-211, 273-274, 285-286, 379, 386.

არონიშიძე გიორგი (იეჟი) არტემის ძე (1927-1998), ინჟინერი, ქართულ-პოლონური საზოგადოების დამფუძნებელი და თავმჯდომარე – 323, 379.

არსენა, არსენა მარაბდელი, იხ. ოძელაშვილი არსენა, არსენა მარაბდელი (ნათლობის სახელი – იოსები (სოსო); თიკუნი – გორდა).

არტემა, იხ. არონიშიძე არტემ (არტემა) მიხეილის ძე (შეცვლილი სახელი და გვარი – იან პილეცკი).

არჩილ მეფე, იხ. არჩილ I.

არჩილ I, ქართლის მეფე V ს. 20-30-იან წწ-ში. ჯუანშერის ცნობით, ენერგიულად იბრძოდა ირანის მორჩილებისაგან თავისი ქვეყნის გამოხსნისათვის. აუშენებია სტეფანწმინდის ეკლესია მცხეთაში – 126.

არჯევლიძე გიორგი პაველის ძე (1863-1940), სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1916) – 93.

ასლანიშვილი შალვა სოლომონის ძე (1896-1981), მუსიკათმცოდნე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1943), ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (1972) – 142.

ალამახმად ხანი, იხ. ალა-მაჰმად-ხანი; ალა-მოჰამედ ხანი.

ალა-მაჰმად-ხანი; ალა-მოჰამედ ხანი (1742-1797), ირანის გამგებელი 1794-იდან, შაჰი – 1796-იდან. ყაჯართა დინასტიის დამაარსებელი – 135.

ალელაძე კორნელი, 1910-იან წლებში თბილისის კადეტთა სასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – 93.

ალმაშენებელი, იხ. დავით IV ალმაშენებელი.

ალნიაშვილი დიმიტრი (მიტო) (1901-1928), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ოფიცერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, ლეიტენანტი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 208, 213.

ალნიაშვილი ვლადიმერ (ლადო) დიმიტრის ძე (1860-1904), საზოგადო მოღვაწე, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი – 139.

ახმეტელი (ახმეტელაშვილი) სტეფანე გიორგის ძე (1877-1922), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1918), სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნარმომადგენელი, რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, 1918-იდან თბილისის გარნიზონის მეთაური, 1921 სასაზღვრო ჯარების უფროსი – 87, 107.

ახობაძე ვლადიმერ ბესარიონის ძე (1918-1971), მუსიკათმცოდნე-ფოლკლორისტი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1967) – 118.

გ

ბაბალე, იხ. მრელაშვილი ბარბალე (ბაბალე).

ბაგრატიონები, სამეფო დინასტია საქართველოში (IX ს. – 1810) – 288, 310, 321.

ბაგრატიონ-იმერეტინსკი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (1837-1900), სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი (1891). იმერეთის მეფეთა შთამომაეალი. 1878-იდან რუსეთის მთავარი სამხედრო პროკურორი და სამხედრო სასამართლოს მოსამართლე, 1892-იდან სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1897-იდან ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი და ვარშავის გენერალ-გუბერნატორი – 308.

ბაგრატიონი ალექსანდრე (1896-1955), სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199.

ბაგრატიონი დიმიტრი გიორგის ძე (1746-1826), პოეტი, მთარგმნელი. ბაგრატიონთა ქართლის შტოს შთამომაეალი – 47.

ბადურაშვილი ალექსანდრე ზაქარიას (შაქრო) ძე (თიკუნი: ბადური) (1903-1982), 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შეფიცული. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 363.

ბალაკირიოი მილიი ალექსის ძე (1836/37-1910), რუსი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი – 142.

ბალანჩივაძე ანდრია მელიტონის ძე (1906-1992), საზოგადო მოღვაწე, კომპოზიტორი, პედაგოგი, ახალი ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1957), სსრკ სახალხო არტისტი (1968) – 118-119, 126, 134, 139-141.

ბალანჩივაძე მელიტონ ანტონის ძე (24 დეკემბერი, 1862 ძვ. სტ., 5 იანვარი 1863 ახ. სტ. – 1937), საზოგადო მოღვაწე, კომპოზიტორი, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1933) – 118, 139.

ბალახვანელი სავლე (საველი) (გ. 1939-მდე), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ოფიცერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, პორუჩიკი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 203.

ბამატი პაიდარ (1889-1965), დაღესტნელი პოლიტიკური მოღვაწე, ჩრდილოეთკავკასიური ემიგრაციის ლიდერი, ჟურნალ „კაეკაზის“ (გამოდიოდა რამდენიმე ენაზე; მათ შორის – ქართულადაც) რედაქტორი – 198.

ბარათაშვილი მარიკა (მარიამ) გერევასის ასული (1908-2008), პოეტი, დრამატურგი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1967) – 140.

ბარათაშვილი ნიკოლოზ (ნიკო) მელიტონის ძე (1817-1845), პოეტი – 47, 167.

ბარამიძე რევაზ (რეზო) გრიგოლის ძე (1928-2010), მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ექვთიმე თაყაიშვილისა და ნიკო მარის პრემიების ლაურეატი – 311, 329.

ბარნაველ ე., იხ. ბარნოვი (ბარნაველი) ვასილ ზაქარის ძე.

ბარნოვი (ბარნაველი) ვასილ ზაქარის ძე (1856/57-1934), მწერალი, ქართული ისტორიული რომანის ფუძემდებელი – 10-11, 47, 58-59, 153, 162, 164, 167-168.

ბასკაკოვი ანატოლი ალექსის ძე (1908-2002), რუსი კომპოზიტორი და პედაგოგი – 118.

ბაქრაძე ზაქარია (შაქრო) დიმიტრის ძე (1869-1938), სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1918), პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალი, ქ. ბიდგოშჩის კომენდანტი.1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199, 222.

ბაქრაძე ივანე (ვანო) ტრიფონის ძე (1900-1970), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ოუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, „იუნკერთა კავშირისა" (1928-32) და „ქართველ მხედართა საზოგადოების" (1933-იდან) წევრი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 206, 273, 300, 330.

ბაქრაძე ტარიელ ლუკას ძე (1922-1997), კომპოზიტორი – 141.

ბახუტაშვილი, სამხედრო მოღვაწე, მაიორი. დახვრიტეს ბოლშევიკებმა – 61.

ბახუტაშვილი სიმონ (?-1922), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ოუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, პორუჩიკი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. გარდაიცვალა 1922 წელს ვარშავის „პოდხორუნჟების" სკოლაში ყოფნის პერიოდში. დასაფლავებულია ვარშავაში – 203.

ბეგზადიანი ტ., სომეხი პოლიტიკური და პარტიული მუშაკი, რევკომის წევრი – 28.

ბერია ლავრენტი პავლეს ძე (1899-1953), საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მუშაკი, სახელმწიფო უშიშროების ორგანოს ხელმძღვანელი. მის სახელს უკავშირდება 1930-50-იანი წლების მასობრივი რეპრესიები. 1953 დასაჯეს სიკვდილით – 329.

ბერიაშვილი (ბერიევი) დიმიტრი იოსების ძე, XIX ს-ის 60-იანი წლების პოეტი, ჟურნალ „ცისკრის" თანამშრომელი – 47.

ბერძენიშვილი გიორგი (გიგოლა, გიგლა) პეტრეს ძე (1877-1942), ილია ჭავჭავაძის მკლელი. გამოუტანეს დახვრეტის განაჩენი (5.01.1942), შეუცვალეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთით. ოფიციალური (აღ. შუშანიას) ცნობით, გარდაიცვალა 1942 წლის 16 იულისს ციხის საავადმყოფოში, კანდიდ ჩარკვიანის ცნობით, – 1947 წელს.

ატარებდა სხვადასხვა გვარსა და სახელს: თადიაშვილი, სიმონ პაველს ძე კაეთელაძე, ახატნელი – 362.

ბერიშვილი შალვა ნესტორის ძე (1898-1989), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, 1924 წლის აჯანყების მონაწილე, 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 14, 228.

ბერძე ოვანე პეტრეს ძე (1833-1889), სენაკის მომრიგებელი მოსამართლე (1880-იანი წწ.), მწერალი, პოეტი, ჟურნალ „საქართველოს მოამბის" აქტორ-თანამშრომელი – 47.

ბერძე რევაზ ეახტანგის ძე (დ. 1943), ფერმწერი, გრაფიკოსი. ეახტანგ ბერიძის (1914-2000) შვილი – 314.

ბერძენიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) ალექსანდრეს ძე (1895-1965), საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1939), პროფესორი (1943), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946) – 135, 308.

ბესიკი (ნამდვ. სახელი და გვარი – ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაშვილი) (1750-1791), პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე – 138.

ბეშჩანინი, პოლონელი სამხედრო მოღვაწე, მაიორი – 201.

ბზიავა კორნელი (კოკა) პეტრეს ძე (1929-2012), მეტალურგი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პოლონეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. ქეთი დოლიძის (დ. 1945) მეუღლე – 291-292.

ბიგელოუ ჯონ (1817-1911), ამერიკელი ადვოკატი და სახელმწიფო მოღვაწე – 340.

ბილანიშვილები (ძმები), იგულისხმებიან: ბილანიშვილი ზაქარია (ზაქრო, შაქრო) გრიგოლის ძე (1862-1934), პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, საზოგადო მოღვაწე, ხალხოსანი; ბილანიშვილი ვლადიმერ (ლადო) გრიგოლის ძე, საზოგადო მოღვაწე – 167.

ბოზარჯიანცები, იგულისხმებიან თბილისელი თამბაქოს მრეწველები – მამა და შვილები. თამბაქოს პირველი სანარმო ბოზარჯიანცებმა 1858 წელს გახსნეს, რომელიც მოგვიანებით სააქციო საზოგადოებად აქციეს – „ბოზარჯიანცი და შვილები". სანარმოს რამდენიმე საფირმო მაღაზია ჰქონდა გახსნილი სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლში და ვარდის მოედანზე, ავლაბარში. გასაბჭოების შემდეგ ბოზარჯიანცების თამბაქოს სანარმოს მუშაობა არ შეუწყვეტია, აქ ინარმოებოდა ცნობილი პაპიროსი „პრიმა" – 178.

ბოკუჩავა გრიგოლ (გ. 1939-მდე), დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ოუნკერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 206.

ბოხნიაკი (პოლ. Bochniak), იხ. რატიშვილი გიორგი (ტატო) იოსების ძე (თიკუნი: Bochniak).

ბრაუნი იან (1926-2015), პოლონელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, ბასკოლოგი. 1961-იდან ხელძღვანელობდა ქართული ენის ლექტორატს, რომელიც მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. პოლონურად თარგმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, გიორგი ლეონიძის ლექსები, სულხან-საბა ორბელიანის არაკები, ქართული ფოლკლორის ნიმუშები და სხვ. 1975 წელს ე. ზაგურსკისთან ერთად ქართულიდან თარგმნა „ვეფხისტყაოსანი", რომელიც პოემის პირველი სრულყოფილი თარგმანია პოლონურ ენაზე – 208, 266, 287, 310.

ბრეჟნევი ლეონიდ ილიას ძე (1906-1982), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი 1964-იდან, 1966-იდან გენერალური მდივანი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე 1960-64 და 1977-82 – 218, 330.

ბუკია ალექსანდრე იონას ძე (1906-1976), კომპოზიტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1966) – 118-119, 124, 130, 140-141.

ბურთიკაშვილი ალექსანდრე (საშა) ნიკოლოზის ძე (ფსევდ.: ბურთიკა) (1894-?), პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე – 143, 167.

ბუქურაული ციცი ილიას ასული (1925-2003), ფილოლოგი. 1980-იან წლებში საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე – 14, 292, 312, 408, 411.

გ

გ. ფ., 1900-იან წლებში რკინიგზის რევიზორი. ინიციალები დღემდე ამოცნობილი არ არის – 145.

გაბაშვილი (ქალიშვილობაში – თარხნიშვილი) ეკატერინე რევაზის ასული (1851-1938), მწერალი და საზოგადო მოღვაწე – 172.

გაბაშვილი (გაბაევი) ვასილ დავითის ძე (1853-1933), სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი (1913), 1916-18 თბილისის სამხედრო კომენდანტი, 1918 წლის 1 მარტიდან ქართული სამხედრო კორპუსის მეთაური – 90, 93, 393, 414.

გაბაშვილი ზაქარია (დაახლ. 1705 – დაახლ. 1780), საეკლესიო მოღვაწე, ქართლის მეფის თეიმურაზ II-ის კარის მოძღვარი – 138.

გაბაშვილი რევაზ (რეზო) ალექსანდრეს ძე (ფსევდ.: რ. გ., რაე, ღამურა და სხვ.) (1882-1969), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ელექტროინჟინერი, ისტორიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ჟურნალ „ლელის" (1912-15) რედაქტორ-გამომცემელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 11, 172, 222, 304, 391.

გაბიჩვაძე რევაზ (რეზო) კონდრატეს ძე (1913-1999), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1967) – 118, 125, 141-142.

გაგოშვილი, სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი – 93.

გალაშვილები (ძმები), იგულისხმებიან: გალაშვილი მირიან (1900-?), ექიმი, ბიზნესმენი, საზოგადო მოღვაწე; გალაშვილი ნოშრევან, მწერალი, პოეტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე; საზღვარგარეთ არსებული კულტურული მემკვიდრეობის შესარჩუნებისა და საქართველოში დაბრუნების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997) – 345, 357.

გალაშვილი, იხ. გალაშვილები.

გამსახურდია კონსტანტინე სიმონის ძე (1893-1975), მწერალი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944) – 278, 307-308, 310.

გამცემლიძე რევაზ (რეზო) ელადიმერის ძე (1931-1989), ისტორიკოსი, ტელეჟურნალისტი, რეჟისორი – 220, 408, 411.

გარდაფხაძე, სამხედრო მოღვაწე, მაიორი – 60-61, 179.

გარიტი ჟირარ (1914-1992), ბელგიელი მეცნიერი, ლეევენის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი. სწავლობდა და იკვლევდა ქართულ საეკლესიო ლიტერატურას – 290.

გარიყული (ნამდვ. გვარი – თათიშვილი) მარიამ (მარო) ლუკას ასული (1883-1960), მწერალი, თეატრალური მოღვაწე – 111.

გეგეჭკორი ევგენი პეტრეს ძე (1882-1954), სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, მასონთა ლოჟის წევრი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, 1918-21 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 86, 88, 90, 193.

გედევანიშვილები – 160, 178-179.

გედევანიშვილი (გედეონოვი) ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (1870-1936), სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1916) – 29, 95-96.

გედევანიშვილი (გედეონოვი) იოსებ (სოსო) კონსტანტინეს ძე (1873-1939), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1918), მწერალი, დრამატურგი და პუბლიცისტი,1905-23 სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის, 1924-იდან სკკპ წევრი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი. 1918-21 მე-4 ქართული კორპუსის შტაბის უფროსი, ბათუმის პარტიზანული რაზმის უფროსი, სამხედრო მინისტრის ამხანაგი სამეურნეო დარგში, სამხედრო სამინისტროს საზოგადოებრივი განყოფილების უფროსი, 1921

ნლის თებერვალში სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი – 32, 96, 101, 107-108, 140, 160, 178.

გედევანიშვილი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე (1881-1937), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის კადრების განყოფილების უფროსის თანაშემწე. რეპრესირებულია 1937 – 96, 101, 110.

გედევანიშვილი რევაზ (რეზო), აგრონომი. ევგენია ლეონიძის (1890-1939) მეუღლე – 12, 158, 160-161, 178.

გეკერი ანატოლი ილიას ძე (1888-1937), კომკორი, წითელი არმიის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი, კომპარტიის წევრი 1917-იდან, 1919 მე-13 არმიის, 1920-21 მე-11 არმიის მეთაური, 1922 წითელი არმიის სამხედრო აკადემიის რექტორი,1922-25 პირველი საბჭოთა სამხედრო ატაშე ჩინეთში, 1925-29 ჩინეთის აღმოსავლეთის რკინიგზის გამგეობის წევრი,1929-33 თურქეთის სამხედრო ატაშე, 1934-37 წითელი არმიის გენშტაბის სადაზვერვო განყოფილების უფროსი. რეპრესირებულია 31.05.1937, რეაბილიტირებულია 22.08.1956 – 28, 106.

გელაშვილი სპირიდონ, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, იუნკერთა ასეულის მესამე მწყობრის მეთაურის თანაშემწე – 154-155, 160, 169, 176.

გელეიშეილი პეტრე პაველს ძე (ფსევდ.: ყარიბი) (1870-1937), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრის ამხანაგი. რეპრესირებულია 1937 – 84, 87.

გელცერი ეკატერინე ვასილის ასული (1876-1962), რუსი ბალეტის მსახიობი, რსფსრ სახალხო არტისტი (1925) – 140.

გეორგიოს II (1890-1947), საბერძნეთის მეფე 1922-24 და 1935-47 წლებში – 190.

გეჯაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე (1925-2002), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1982) -118.

გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე (ფსევდ.: X, გ. გ., მეთვალყურე, მკითხველი, სტამბოლელი, ნკპორტატი და სხვ.) (1869-1941), პოლიტიკური მოღვაწე, ურისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 198.

გველესიანი რომან ალექსანდრეს ძე (1883-1949), სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, II მსოფლიო ომის მონაწილე, „პოლონეთ-საქართველოს საზოგადოების" თავმჯდომარის მოდგილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199-200.

გიგა, იხ. მრელაშვილი გიორგი (გიგა).

გიგა, იხ. ტურაშვილი გრიგოლ (გიგა).

გილაშვილი მარიამ (მარია) აბრამის ასული (?-1930), ივანე (ვანო) მეხაშიშვილის მეუღლე – 9.

გიორგაძე გრიგოლ ტიმოთეს ძე (1879-1937), ისტორიკოსი, ურისტი, პუბლიცისტი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, 1918-19 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი. რეპრესირებულია 1937 – 95.

გიორგი, იხ. გეორგიოს II.

გიორგი, იხ. ზაქარიაძე გიორგი (იეჟი, ეჟიკა) ალექსანდრეს ძე.

გიორგი, იხ. კერესელიძე გიორგი მათეს ძე.

გიორგი, იხ. ლეონიძე გიორგი (გოგლა) ნიკოლოზის ძე.

გიორგი მერჩულე, X ს. მწერალი, ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი – 136.

გიორგი მთაწმიდელი (1009-1065), სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი. ეროვნული კულტურის მოამაგე, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველთა სამეცნიერო-ლიტერატურული საქმიანობის სულისჩამდგმელი – 126.

გიორგი მცირე, ხუცესმონაზონი (გ. XI ს. 80-იან წლებში), მწერალი, გიორგი მთაწმიდელის მოწაფე – 126.

გლინკა მიხეილ ივანეს ძე (1804-1857), რუსი კომპოზიტორი და პედაგოგი – 142.

გოგებაშვილი იაკობ სიმონის ძე (1840-1912), საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი – 164, 167.

გოგია, იხ. ლეონიძე გიორგი (გოგლა) ნიკოლოზის ძე.

გოგია, იხ. ჯაჯანიშვილი გიორგი (გოგი, გოგია).

გოგობერიძე მოსე ივანეს ძე (1897-1949), ფილოსოფოსი – 323.

გოგლა, იხ. ლეონიძე გიორგი (გოგლა) ნიკოლოზის ძე.

გოგნიაშვილი რევაზ (რეზო) დიმიტრის ძე (1893-1967), კომპოზიტორი, დირიჟორი, თბილისის საოპერო სცენაზე დადგმული პირველი ქართული ოპერის „ქრისტინეს" ავტორი – 118.

გოგუაძე ვალოდია (ელადიმერ) საბას ძე (1880-1954), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, რევოლუციური მოძრაობის მონაწილე კავკასიაში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, 1918-21 საქართველოს სა-

ხალხო გვარდიის ჯავშნოსანი მატარებლის მეთაური. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 89, 165.

გოთუა ლევან პართენის ძე (1905-1973), მწერალი და საზოგადო მოღვაწე, 1920-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი – 250, 302.

გოკიელი ივანე (ვანო) რაფიელის ძე (1899-1972), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1969) – 118, 139, 141, 171.

გომართელი-ლალიძე თამარ ივანეს ასული (1904-1995), საზოგადო მოღვაწე. ივანე გომართელის (1875-1946) შვილი, დავით ლალიძის (1898-1946) მეუღლე – 304, 365, 369, 393.

გომელაური, 1960-იან წლებში ვარშავაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი – 286.

გონატასი სტილიანოს (1876-1966), ბერძენი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, 1922 წლის სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორი, 1922-24 საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი – 192, 223.

გორბაჩოვი მიხეილ სერგეის ძე (დ. 1931), საბჭოთა კავშირის პირველი და ერთადერთი პრეზიდენტი 1985-91. მის მიერ განხორციელებულმა რეფორმამ დაასრულა ცივი ომი, თუმცა ამასთან დასრულდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პეგემონიაც და დაიშალა საბჭოთა კაეშირი. 1990 წელს მიენიჭა ნობელის მშვიდობის პრემია – 359, 361-362.

გორდელი ოთარ მიხეილის ძე (1928-1994), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1969) – 125.

გოცირიძე დიმიტრი (მიტო), სამხედრო მოღვაწე, მაიორი, 1918-21 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის კანცელარიის უფროსის თანაშემწე – 95-96, 111.

გოძიაშვილები – 379, 386, 394.

გოძიაშვილი ალექსანდრე (1897-1941), ჟურნალისტი, მეწარმე, ვარშავაში ყავის ბარების ერთ-ერთი პირველი დამაარსებელი, „ყავისა და ჩაის სარეალიზაციო მაღაზია – ალექსანდრე გოძიაშვილის“ მფლობელი – 220, 372.

გრიგოლ ხანძთელი (759-861), სასულიერო მოღვაწე, მწერალი, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის ორგანიზატორი – 138.

გრიშა, იხ. იაშვილი გრიგოლ (გრიშა).

გრიშაშვილი (ნამდვ. გვარი – მამულაიშვილი) იოსებ (სოსო) გრიგოლის ძე (1889-1965), პოეტი, საზოგადო მოღვაწე, სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1945), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1947), საქართველოს სახალხო პოეტი (1959) – 47, 58, 167.

გუდავები (ძმები), იგულისხმებიან: გუდავა თენგიზ ზურაბის ძე (1953-2009), ექიმი, მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, დისიდენტი, 1985-იდან პელსინკის ქართული ჯგუფის წევრი, 1989-იდან რადიო „თავისუფლების“ რედაქციის თანამშრომელი; გუდავა ედუარდ ზურაბის ძე (1955-2011), ექიმი-გინეკოლოგი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, დისიდენტი, 1985-იდან პელსინკის ქართული ჯგუფის წევრი, 1989-იდან რადიო „თავისუფლების“ რედაქციის თანამშრომელი – 362.

გუდიაშვილი ნიკოლოზ (კოკა) ივანეს ძე (1913-1998), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1961), საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1986), საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1990) – 141-142.

გულისაშვილები – 165, 167, 304.

გულისაშვილი ალექსი ნიკოლოზის ძე (1865-1948 წ. შემდ.), სასულიერო მოღვაწე, მღვდელი, პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნევრი, იბეჭდებოდა „დროებასა“ და „იერიაში“ – 263-264, 411.

გულისაშვილი არჩილ ალექსის ძე (1887-1971), ინჟინერ-მეტალურგი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1930), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944) – 306.

გულისაშვილი ელიზბარ ზაქარიას ძე (1890-1923), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, პოლკოვნიკი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1922-იდან მონაწილეობდა ოპუპანტების წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. იყო „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ არსებული „სამხედრო ცენტრის“ წევრი. 1923 წლის მარტში ბოლშევიკებმა „სამხედრო ცენტრის“ სხვა წევრებთან ერთად დაატყვევეს და იმავე წლის 20 მაისს დახვრიტეს თბილისში, დღეანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე – 304, 306.

გულისაშვილი ივანე (ვანო) ნიკოლოზის ძე (?-1918), სასულიერო მოღვაწე, მღვდელი, პედაგოგი – 166, 228.

გულისაშვილი მარიამ (მაიკო) ნიკოლოზის ასული (?-1918), ნიკოლოზ გულისაშვილის შვილი, ლავრენტი მათიკაშვილის (?-1907) მეუღლე, ნიკოლოზ მათიკაშვილის (1900-1993) დედა – 10, 166.

გულისაშვილი ნიკოლოზ, სასულიერო მოღვაწე, სოფ. ნინოწმინდის ტაძრის დეკანოზი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნევრი – 165.

გულუხიძე, სამხედრო მოღვაწე, გენერალი. მსახურობდა რუსეთის იმპერიის, შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში, 1921 მეთაურობდა ახალციხე-არდაგანის მიმართულების ფრონტს – 107.

გურამიშვილი დავით გიორგის ძე (1705-1792), პოეტი – 118.

გურიელი მამია (მამიკონ) დავითის ძე (ფსევდ.: ფაზელი) (1836-1891), პოეტი, მთარგმნელი – 47.

გუროვი, რუსი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, I მსოფლიო ომის დროს მეაურობდა კავკასიის მე-8 მსროლელთა პოლკს – 85.

გ...ცაძე (გვარი არ იკითხება), კომპოზიტორი. აეტორი ოპერისა „მზე, ზღვა და ოთარი" – 118.

დ

დ'აბო (ქალიშვილობაში – კვინიტაძე) ნანო (ნანოშა) გიორგის ასული (დ. 1920), მსახიობი, შატუს ქართული კულტურის კერის მოამაგე. გიორგი კვინიტაძის (1874-1970) ქალიშვილი, პიტერ კლაუდე დ'აბოს (1917-?) მეუღლე, მარიამ დ'აბოს (დ. 1960) დედა – 201.

დადეშკელიანი (დადეშქელიანი) თენგიზ თათარყან (1892-1961), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 304.

დადიანი მიხეილ (მიშა) ნიკოლოზის ძე (1898-1975), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, „იუნკერთა კაეშირისა" (1928-32) და „ქართველ მხედართა საზოგადოების" (1933-იდან) წევრი. II მსოფლიო ომის დროს იბრძოდა „ეერმახტის" ქართულ ლეგიონში. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 206, 208, 273-274, 365, 394.

დადიანი ნიკოლოზ (კოკი) ნიკოლოზის ძე (1879-1939), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მილიციის პრაპორშჩიკი, სენაკის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 182.

დავით აღმაშენებელი, იხ. დავით IV აღმაშენებელი.

დავით IV აღმაშენებელი (1073-1125), საქართველოს მეფე 1089-1125, გიორგი II-ის ძე – 7, 58, 128, 138, 331.

დავითაშვილი მერი (მარიამ) შალვას ასული (1924-2014), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1976) – 118, 125-126.

დათა, იხ. ლაღიძე დავით (დათა) (ფსევდ.: გ. ნ., დ. ლ. და სხვ.).

დარიოს მეფე, იხ. დარიოს I, დარაიავაჰუშ.

დარიოს I, დარაიავაჰუშ (ძვ. წ. 550 – ძვ. წ. 486), აქემენიდთა გვერდითი შტოს დამფუძნებელი, მეფობდა ძვ. წ. 522-486 – 41-42.

დემეტრე (დიმიტრი) II თავდადებული (დაახლ. 1259-1289), საქართველოს მეფე 1270-89, დავით VII ულუსა და გვანცა დედოფლის ძე – 141.

დენიკინი ანტონ ივანეს ძე (1872-1947), რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი, 1918-20 წლებში თეთრგვარდიელთა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პუბლიცისტი და მემუარისტი. 1920-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 95, 97-98, 100, 102, 182, 188.

დვალი ევგენი ნიკოლოზის ძე (ფსევდ.: ე. რაჭველი, რაჭველ-ლეჩხუმელი, ე. ტასიკოშვილი და სხვ.) (1883-1922), პოეტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, შოთა რუსთაველის სახელობის „ჯგუფ-პარტიის" თავმჯდომარე, ჟურნალების – „სეტყვა" (1908), „სუსხი" (1908), „შოლტი" (1908), „რუსთაველი" (1918) რედაქტორ-გამომცემელი – 153, 168.

დიმიტრი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. ვალერიან თევზაძის ბიძა – 83.

დიმიტრი თავდადებული, იხ. დემეტრე (დიმიტრი) II თავდადებული.

დიხამინჯია ოთარ ბუხუტის ძე (1911-1997), კომპოზიტორი, ლოტბარი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე – 125.

დოვბორ-მუსნიცკი კონსტანტინე რომანის ძე (1857-1931), რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი (1911) – 81.

დოლიკა, იხ. ვაჩნაძე დავით (დოლიკა).

დოლიძე ა., 1960-იან წლებში კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის (ახლანდელი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა) ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი – 281.

დოლიძე ვიქტორ ისიდორეს ძე (1890-1933), კომპოზიტორი, ქართული კომიკური ოპერის ფუძემდებელი – 118-119, 124, 129, 139.

დოლიძე სიმონ (სიმონა) (?-1911), ფირალი. მოკლა ურიადნიკმა ივანე გიორგის ძე ჯაფარიძემ (მარინე ყიფიანის ცნობა) – 120.

დონაური ელენე იოსების ასული (1890-1955), მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1950) – 107.

ე

ეთერი, იხ. მეხაშიშვილი ეთერი ივანეს ასული.

ეკატერინე II დიდი (1729-1796), რუსეთის იმპერატორი 1762-იდან – 329.

ელისე, სამხედრო ექიმი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, I მსოფლიო ომის დროს მსახურობდა ტრაპეზუნდის ფრონტზე. ვალერიან თევზაძის ბიძა – 81, 83.

ელცინი ბორის ნიკოლოზის ძე (1931-2007), რუსეთის პირველი პრეზიდენტი საბჭოთა კაეშირის დაშლის შემდეგ 1991-99 – 359.

ენვერ-ფაშა (1881-1922), ოსმალეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი, „ერთიანობა და პროგრესის" პარტიის ლიდერი – 91, 182.

ეფკა, იხ. ზაქარიაძე გიორგი (ეფი, ეფკა) ალექსანდრეს ძე.

ერეკლე, იხ. ერეკლე II, პატარა კახი.

ერეკლე II, პატარა კახი (1720-1798), 1744-62 კახეთის, 1762-98 ქართლ-კახეთის მეფე, თეიმურაზ II-ის ძე – 7, 46, 135, 138-139, 154, 165, 169-170, 216, 324, 331.

ერისთავი გიორგი დავითის ძე (1813-1864), დრამატურგი, პოეტი, თეატრალური მოღვაწე – 47.

ერისთავი დავით გიორგის ძე (1847-1890), მწერალი, ეტორი დრამისა „სამშობლო", გაზეთ „კავკაზის" რედაქტორი (1882-84) – 107.

ერისთავი ზ., XIX ს-ის შუახანების მწერალი – 47.

ერისთავი ლეო, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი. 1921-დან პოლიტიკური ემიგრანტი – 206.

ერისთავი რაფიელ (რაფო) (?-1977), 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე. ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შეფიცული. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 260, 309-310.

ერისთავი რაფიელ დავითის ძე (1824-1901), მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი და საზოგადო მოღვაწე – 47, 167, 379-380.

ეფრემ II (ერისკაცობაში – გრიგოლ შიოს ძე სიდამონიძე) (1896-1972), სასულიერო მოღვაწე, 1960-72 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი – 10, 167, 307, 310.

ექვთიმე ათონელი, იხ. ექვთიმე მთაწმიდელი.

ექვთიმე მთაწმიდელი (955-1028), მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე, ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი, 1005-19 ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი – 282.

ექსანიშვილი ელეონორა გრიგოლის ასული (1919-2003), კომპოზიტორი – 118.

3

ვ. თ-ძე, იხ. თევზაძე ვალერიან (ვალიკო) (შეცვლილი სახელი და გვარი – Walery Krzyzanowski; ფსევდ.: Tomasz).

ვალიკო, იხ. თევზაძე ვალერიან (ვალიკო) (შეცვლილი სახელი და გვარი – Walery Krzyzanowski; ფსევდ.: Tomasz).

ვანო, იხ. კვალიაშვილი ივანე (ვანო).

ვანო, ივანე, იხ. მეხაშიშვილი ივანე (ვანო) პეტრეს ძე.

ვანო, იხ. ნანუაშვილი ივანე (ვანო) (ფსევდ.: ვ. ნა-ლი).

ვანო, იხ. ქავთარაძე ივანე (ვანო).

ვაჟა, იხ. ვაჟა-ფშაველა (ნამდვ. სახელი და გვარი – ლუკა პაველის ძე რაზიკაშვილი).

ვაჟა-ფშაველა (ნამდვ. სახელი და გვარი – ლუკა პაველის ძე რაზიკაშვილი) (1862-1915), პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე – 13-14, 47, 131, 164, 167, 172-173, 225-228, 331, 375-377, 379, 397.

ვარანცოვი, იხ. ეორონცოვი მიხეილ სიმონის ძე.

ვარდისიანი ზ., იხ. ცერცვაძე ზაქარია (შაქრო) (შეცვლილი სახელი და გვარი – ზ. ვარდისიანი).

ვართაგავა პაპოლტე პეტრეს ძე (1872-1967), კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პედაგოგი – 10, 167.

ვასილჩენკო ეგნატე მიხეილის ძე (1872-1920), უკრაინელი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1917) – 80-81.

ვაჩნაძე დავით (დათა) (1894-1963), სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199.

ვაჩნაძე დავით (დათა) ვლადიმერის ძე (ფსევდ.: დ. კახელი, ეკალი, დონენი და სხვ.) (1884-1962), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთ-საქართველოს ომისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 66, 238, 304.

ვაჩნაძე დავით (დოლიკა) (1902-1994), დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, „იუნკერთა კავშირის" (1928-32) წევრი, რადიო „თავისუფლების" ქართული რედაქციის თანამშრომელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 13, 196, 223, 306, 346, 367, 369, 376-377, 380-381, 384.

ვაჩნაძე ელიზბარ გიორგის (გრიგოლის) ძე (1895-1959), 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შეფიცული. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 260, 309-310, 363.

ვაჩნაძე ივანე (ვანო) ასლანის ძე (1899-1976), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, საფრანგეთის არმიის უცხოური ლეგიონის პოლკოვნიკი, საფრანგეთის ეროვნული გმირი, საბრძოლო ჯვრისა და საპატიო ლეგიონის ორი ორდენის კავალერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 188, 208, 273.

ვაჩნაძე ნიკოლოზ (კოლია) (1884-1940), სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 30, 37, 199.

ვახვახიშვილი, სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, 1919-21 ქართული (იუნკერთა) სამხედრო სკოლის საინჟინრო განყოფილების ფორტიფიკაციის მასწავლებელი – 162, 167.

ვახტანგ გორგასლანი, იხ. ვახტანგ I გორგასალი (სპარსულად – მგლისთავა).

ვახტანგ I გორგასალი (სპარსულად – მგლისთავა), ქართლის მეფე (დაახლ. V ს. 40-იანი წწ. – 502), პოლიტიკური მოღვაწე, სარდალი – 170.

ვახტანგ VI (1675-1737), 1703-14 ქართლის გამგებელი (ჯანიშინი), 1716-24 ქართლის მეფე – 386.

ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1696-1757), გეოგრაფი, ისტორიკოსი, კარტოგრაფი – 136.

ვეზირიშვილი, XIX ს-ის შუახანების მწერალი – 47.

ვიქტორ, ვიქტორ, იხ. ნოზაძე ვიქტორ (ვიკქტორ) ივანეს ძე.

ვილსონი, იხ. უილსონი ტომას ვუდრო.

ვილჰელმ II (1859-1941), გერმანიის იმპერატორი და პრუსიის მეფე 1888-1918. ვილჰელმ I-ის შვილიშვილი – 92.

ვიშნევსკი სტანისლავ, პოლონელი მთარგმნელი, 1960-იან წლებში პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების განყოფილების გამგე – 266-267.

ვლადიმიროვი პ., ვარშავის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი – 140.

ვლასოვი ანდრეი ანდრეის ძე (1901-1946), უკრაინელი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი. 1942 წლის გაზაფხულზე მოხვდა გერმანელების ტყვეობაში, დათანხმდა მათთან თანამშრომლობას და სათავეში ჩაუდგა „რუსულ განმანთავისუფლებელ არმიას". 1945 წლის მაისში საბჭოელებმა შეპყრეს და სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოახრჩვეს – 212.

ვოიტკიევიჩი ანდრეი (ანდრო), თამარ ყურულიშვილის (1916-?) მეუღლე – 321.

ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782-1856), რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი (1856), 1844-54 კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი – 47.

ვრანგელი პეტრე ნიკოლოზის ძე (1878-1928), რუსეთის არმიის გენერალი, 1919-20 თეთრგვარდიელთა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პუბლიცისტი და მემუარისტი. 1920-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 95, 102, 188.

ზ

ზაგურსკი იეჟი (1907-1984), პოლონელი პოეტი, დრამატურგი, თეატრის კრიტიკოსი, მთარგმნელი. 1975 ქართველოლოგ იან ბრაუნთან ერთად თარგმნა „ეეფხისტყაოსანი" (პირველი სრული თარგმანი პოლონურ ენაზე) – 312-314.

ზალდასტანიშვილი კატო (ეკატრინე), მიხეილ კვალიაშვილის ბიძაშვილი – 302.

ზალდასტანიშვილი სოლომონ (სოლიკო) კონსტანტინეს ძე (1891-1941), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, პოლკოვნიკი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე. 1925-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 222.

ზარნეკაუ პეტრე კონსტანტინეს ძე (Peter Konstantinovich von Zarnickau) (1889-1961), კონსტანტინე ოლდენბურგისა (1850-1906) და აგრაფინა ზარნეკაუს (ქალიშვილობაში – ჯაფარიძე) (1855-1926) ვაჟი, თამარ შერვაშიძის (1896-1931) მეუღლე – 98.

ზაუტაშვილი იოსებ (სოსო, იოსკა), დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის" კავალერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 203, 273-274, 277, 331, 379, 385.

ზაქარიაძე ალექსანდრე ყარამანის ძე (1884-1957), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, გენერალი (1919), პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, ბრიგადის (1923), დივიზიის (1927) გენერალი. 1918-21 წლებში ქართული კორპუსის შტაბის უფროსი, საველე არმიის შტაბის უფროსი, ფრონტის სარდალი, გენშტაბის უფროსის მოადგილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 95-96, 100-101, 107, 112-113, 171, 196, 199, 238, 241, 274, 277, 298, 304, 325, 372, 391.

ზაქარიაძე გიორგი (იეჟი, ეჟიკა) ალექსანდრეს ძე (?-1977), ელექტრონიკინერი. ალექსანდრე ზაქარიაძის (1884-1957) ვაჟი – 277-278, 292, 298, 323, 325, 379.

ზაქარიაძე ვალერიან (ვალია) ალექსანდრეს ძე (1911-1976), ალექსანდრე ზაქარიაძის (1884-1957) ვაჟი – 323, 325.

ზაქარიაძე სერგო ალექსანდრეს ძე (1909-1971), მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი (1958), შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი (1971) – 298-299.

ზაქარიაძეები – 325.

ზეგინი, რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალი. 1910-იან წლებში თბილისის კადეტთა კორპუსის უფროსი – 82.

ზენტარსკი, პოლონელი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, II მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე – 212, 292.

ზიგმანიაკი (?-1972), პოლონელი იუველირი, რომელმაც „იუნკერთა კავშირის" ნევრებისათვის ბეჭდები დაამზადა. ეს ბეჭდები ევრცხლისა ყოფილა, მასზე გამოსახული მზე, ოთხი ხანჯალი და წარწერა – „ი. კ." ოქროთი ყოფილა შესრულებული. ბეჭედს შიდა მხარეს მფლობელის პირადი ნომერი ეწერა. ასე მაგალითად, ზაქარია ცერცვაძის ბეჭედი №1 ყოფილა, ნიკოლოზ მათიკაშვილის – №4, მიხეილ კვალიაშვილის – №20 და ა. შ. – 317.

ზუკაკიშვილი ესტატე (?-1918), სასულიერო მოღვაწე, მნათე – 167.

ზურაბიშვილი ლევან ივანეს ძე (1906-1975), ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწე, ინჟინერი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 345.

თ

თაბუკაშვილი რევაზ (რეზო) შალვას ძე (1927-1990), მწერალი, დრამატურგი, მთარგმნელი, რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1967), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1981) – 214, 428.

თავდგირიძე ალი-ფაშა სულეიმანის (მაქსიმე) ძე, გათურქებული ქართველი დიდებული. ჰასან-ბეგ თავდგირიძის (?-1854) ძმა. ალი-ფაშამ ქართველი ტყვეების სყიდვითა და ღალატით გაითქვა სახელი. მისი ღალატის ამბავი ასახულია ხალხურ სიმღერაში „ალი-ფაშა", რომელიც 1877-78 რუსეთ-ოსმალეთის ომის ერთ-ერთ ეპიზოდს აღწერს. სიმღერას გარკვეული ტექსტი არა აქვს, ზოგიერთ ვარიანტში ისტორიული ფაქტები არეულია – 120.

თავდგირიძე ჰასან-ბეგი სულეიმანის (მაქსიმე) ძე (?-1854), გათურქებული ქართველი დიდებული, 1853-56 ყირიმის ომის მონაწილე, იბრძოდა თურქეთის მხარეს. დაიღუპა ნიგოითის (შუხუთფერდის) ბრძოლაში (1854). ჰასან-ბეგის სიკვდილი ასახულია ხალხურ სიმღერაში „ხასანბეგურა" – 120.

თამაზი, იხ. კვალიაშვილი თამაზ.

თამარა, იხ. გომართელი-ლაღიძე თამარ იავანეს ასული.

თამარი, იხ. თამარ მეფე.

თამარი (ციცნა), იხ. ჩოლოყაშვილი თამარ (ციცნა) ქაიხოსროს (ქაქუცა) ასული.

თამარ მეფე (დაახლ. 1160-1213, სხვა ცნობებით 1210, 1207), საქართველოს მეფე 1184-იდან, გიორგი III-ის ასული – 7, 9, 17, 120, 125, 138, 304, 331.

თაქთაქიშვილი ლევან თამაზის ძე (დ. 1971), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი – 411.

თაქთაქიშვილი ოთარ ეასილის ძე (1924-1989), კომპოზიტორი, სსრკ სახალხო არტისტი (1974), ლენინური პრემიის ლაურეატი (1982), სსრკ სახელმწიფო პრემიების ლაურეატი (1951, 1952, 1967). მას ეკუთვნის საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკური ჰიმნი, რომელიც ჯერ კიდევ თბილისის კონსერვატორიის სტუდენტობისას დაწერა – 118-119, 125-126, 131, 141.

თაქთაქიშვილი შალვა მიხეილის ძე (1900-1965), კომპოზიტორი, პედაგოგი, „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების" ერთ-ერთი დამაარსებელი (1922), საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1949) – 118, 139-141.

თაყაიშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე (1879-1921), სამხედრო მოღვაწე, ინჟინერ-გენერალი (1918). 1918-21 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის საინჟინრო განყოფილების უფროსი – 96, 101.

თაყაიშვილი იანინა, პლატონ თაყაიშვილის (1900-1965) მეუღლე – 284.

თაყაიშვილი პლატონ (პატიკო) (1900-1965), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, პოლკოვნიკი, „იუნკერთა კავშირის" (1928-32) წევრი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 12-13, 181, 196, 203, 208, 273-274, 281-282, 284.

თევდორაძე ოთარ ლავრენტის ძე (1923-1983), კომპოზიტორი, საქართველოს სსრ (1961) და აფხაზეთის ასსრ (1963) ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე – 118, 141.

თევზაძე, ნოუ-იორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი. ვალერიან თევზაძის ბიძაშვილი – 353-354.

თევზაძე ვალერიან (ვალიკო) (შეცდომით სახელი და გვარი – Walery Krzyzanowski; ფსევდ.: Tomasz) (1894-1985), სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, მემუარისტი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის" ვერცხლის ჯვრის კავალერი, II მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 7, 79-80, 112, 158, 160, 170-171, 174, 176-177, 180, 199, 210-212, 236-238, 285-286, 290, 293, 295, 297, 302, 304, 306-307, 311, 314, 321, 328-329, 351, 353-354, 363, 365-367, 369, 384, 388-389, 393, 395-400, 414.

თევზაძე მიხეილ, სამხედრო პირი. ვალერიან თევზაძის ძმა – 113.

თევზაძე ნინო (ნინა), ვალერიან თევზაძის და – 113.

თემურ ლანგი, იხ. თემურლენგი (ევრ. ტამერლანი).

თემურ ლენგი (ევრ. ტამერლანი) (1336-1405), შუააზიელი მხედართმთავარი, ემირი (1370-1405), გათურქებული მონღოლური ტომის ბელადის თაღარაის შვილი – 135.

თინიკაშვილი ბორის, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. ემიგრანტობა ვერ აიტანა და ფსიქიკურად დაავადებული 1922 წელს დაბრუნდა საქართველოში – 203.

თოიძე ირაკლი (?-1921), სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი. დაიღუპა ტაბახმელასთან ბრძოლაში – 61, 154-156, 169, 172.

თორაძე დავით (გუგუტი) ალექსანდრეს ძე (1922-1983), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1961), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1951) – 118-119, 132, 139-140.

თორნიკე ერისთავი (გ. 985), სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე, დავით III დიდი, კურაპალატის სახელგანთქმული სარდალი, ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი მაშენებელი, ტაოელი დიდებულის ჩორდვანელის ძე. ბერად აღკვეცის შემდეგ ეწოდა იოანე – 182, 190.

თოხაძე ნიკოლოზ (კუკური) (1901-1975), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, საფრანგეთის არმიის უცხოური ლეგიონის პოლკოვნიკი, „იუნკერთა კავშირის" (1928-32) წევრი, ჟურნალ „მხედრის" ავტორ-თანამშრომელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 188-189, 208, 273-274, 279, 290, 297, 299-300, 302, 314-315.

თუმანიშვილი გიორგი (1916-?), სამხედრო მოღვაწე, პოლონეთის არმიის საზღვაო ფლოტის კაპიტანი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის" კავალერი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 209.

თუმანიშვილი პაველ იოსების ძე (1872-1935), ექიმი, თბილისის მაზრის მარშალი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, გაზეთ „ივერიის" გამომცემელი (1904), საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების წევრი, ჟურნალ „ნაკადულის" დამფინანსებელი (1906-იდან) ზუბალაშვილებთან ერთად, ღარიბთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე (1907) – 47.

ი

ი. ჭ., იხ. ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე.

იაკობიძე, მიხელ კვალიაშვილის ადრესატი – 297.

იანქოშვილები, იგულისხმებიან: **იანქოშვილი მათე** არონის ძე (ფსევდ.: მ. იანქო) (1870-1948), თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის უფროსი ტელეგრაფისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე და მისი მეუღლე – **დარეჯან** გიორგის (გიგოს) ასული ბილანიშვილი (გ. 1956) (ასიკო ბერიშვილისა და გულნარა დარასელია-იანქოშვილის ცნობა) – 167.

იაშვილი (?-1905), რეეოლუციონერი. მოკლეს ოდესაში 1905 – 83.

იაშვილი გრიგოლ (გრიშა), (?-1955), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, II მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 13, 206-208, 223, 270.

იაშვილი სიმონ (სიმონიკა), დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი. 1921 წლის თებერვალში მონაწილეობდა კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლებში. გრიგოლ იაშვილის (?-1955) ძმა – 208, 270.

იაშვილი ჯიმშერ ვლადიმერის ძე (დ. 1940), რადიოინჟინერი – 411.

იედიგარი (ედიგარი) **არჩილ** (1889-?), აზერბაიჯანელი სამხედრო მოღვაწე, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, მაიორი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 107.

იედიგარი ველი-ბეგი (1891-1971), აზერბაიჯანელი სამხედრო მოღვაწე, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, პოლკოვნიკი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 286.

იედიგარი ისრაფილ (1892-?), აზერბაიჯანელი სამხედრო მოღვაწე, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 200, 236, 238.

იეზიოროვსკი ტადეუშ (პოლ. Tadeusz Jeziorowski), 1970-იან წლებში პოზნანის სამხედრო მუზეუმის მცველი – 318.

იესო ქრისტე (ძვ. წ. 4 – დაახლ. 30 ახ. წ.), ქრისტიანთათვის ღმერთკაცი, ქრისტიანობის ფუძემდებელი – 42, 121, 311, 319, 334.

ივანოვი, სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. 1918 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის IX განყოფილების (მომარაგების) უფროსი – 96.

ილარიონ, იხ. ლობჟანიძე ილარიონ.

ილია, იხ. ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე.

ინგოროყვა პაველ იესეს ძე (1893-1983), ლიტერატურათმცოდნე, საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი – 117, 128, 135-136, 267, 293.

ინჯია ვასილ (ვასო) (1891-?), სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. რეპრესირებულია ბოლშევიკების მიერ – 199.

იოანე VI, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XII საუკუნის პირველ მეოთხედში მეფე დავით აღმაშენებლის თანამედროვე და მისი პოლიტიკური კურსის მხარდამჭერი. 1103 თავმჯდომარეობდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას, რომელმაც ეპისკოპოსობიდან გადააყენა ცენტრალური ხელისუფლების მონინააღმდეგე დიდგვაროვანი ფეოდალები და მათ ადგილზე დაადგინა მეფის ერთგულნი; მოანესრიგა საეკლესიო წყობილების დარღვევის ნორმები, შეიმუშავა და დადგენილების სახით გამოუშვა ახალი საეკლესიო კანონები. დავით აღმაშენებლის ინიციატივით 1123 იოანემ შიომღვიმის სამეფო მონასტერს მიანიჭა მის საყმო მამულში სასამართლო და საგადასახადო შეუვალობა. ზრუნავდა საზღვარგარეთ ქართული კულტურის ცენტრებში ლიტერატურული მუშაობის გაცხოველებისათვის – 138.

იოანე მინჩხი, X ს. ჰიმნოგრაფი; დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მეფის გიორგი II-ის (922-957) თანამედროვე. წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან, სოფ. ინჩხიდან ყოფილა, რაზეც მისი ზედწოდება (მინჩხი) მიუთითებს. ვარაუდობენ, რომ პალესტინაში, სინის მთაზე მოღვაწეობდა. მისი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა სნორედ სინურმა ხელნაწერებმა შემოინახა – 121, 138.

იოანე პეტრწინი, XI-XII სს. ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი (გადმოცემით იოანე ფილოსოფოს ქიმქიმელსაც უწოდებდნენ) – 323.

იოანე საბანის ძე, VIII ს. მწერალი, ჰაგიოგრაფი, ავტორი „აბო თბილელის წამებისა", რომელშიც აღწერილია

არაბი ქაბუკის აბოს მარტვილობა, ქრისტიანობისათვის მისი თავდადება – 136.

იოაპიმი (1890-1920), პრუსიის პრინცი, გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ II-ის უმცროსი ვაჟი – 92.

იოვანე საბანის ძე, იხ. იოანე საბანის ძე.

იორდანე, ალავერდელი ბერი, გადამწერი სძლისპირთა კრებულისა, რომელიც ცნობილია, როგორც ალავერდელი იორდანისეული კრებული (X ს. ბოლო – XI ს. დასაწყისი) – 136.

იოსები, იხ. გედევანიშვილი (გედევანოვი) იოსებ (სოსო) კონსტანტინეს ძე.

იპოლიტოვ-ივანოვი (ნამდვ. გვარი – ივანოვი) მიხეილ მიხეილის ძე (1859-1935), რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, მუსიკალური მოღვაწე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი (1922) – 118, 139, 142.

ირაკლი, იხ. აბაშიძე ირაკლი ბესარიონის ძე.

ირაკლი, იხ. მათიკაშვილი ირაკლი ლავრენტის ძე.

ირაკლი II, იხ. ერეკლე II, პატარა ქახი.

ისარლიშვილი ლუკა სტეფანეს ძე (1814-1893), ლიტერატორი, კავკასიის საცენზურო კომიტეტის წევრი – 47.

იულიუს კეისარი, ცეზარი გაიუს (ძვ. წ. 100-44), ძველი რომის პოლიტიკური მოღვაწე, მხედართმთავარი, რეფორმატორი, მწერალი და ორატორი – 40, 42.

იუსტინსკაია პენრიეტა ქრისტეფორეს ასული (დ. 1934), მხატვარი, ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1973), პროფესორი (1998) – 263, 411.

იუსუპოვი ფელიქს ფელიქსის ძე, გრაფი სუმაროკოველსტონი (1887-1967), თავად იუსუპოვთა უკანასკნელი წარმომადგენელი, გრიგოლ რასპუტინის მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილე. ავტორი ნიგნებისა – „რასპუტინის ალსასრული" (1927) და „მემუარები" (1953) – 80-81.

კ

კავკასიძე ალექსანდრა (1908-1994), ბიბლიოთეკარი. 1954-იდან კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბ-ლიოთეკის (ახლანდელი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა) დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში – 313.

კაკაბაძე ილია, (?-1940), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, პორუჩიკი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. 1939 წელს საბჭოელებმა დაატუსაღეს და ციმბირში გადაასახლეს. გარდაიცვალა 1940 წელს, კომის ასსრ-ში – 203.

კამინსკა-არონიშიძე ლიდია, არტემ არონიშიძის (1891-1950) მეუღლე (მეორე ქორწინება), გიორგი არონიშიძის (1927-1998) დედა – 286.

კანდელაკი მიხეილ (მიშა), (გ. 1939-მდე), სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199.

კანდელაკი ნიკოლოზ (1886-?), სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, ინჟინერ-ფორტიფიკატორი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, „პოლონეთ-საქართველოს საზოგადოებისა" (1925) და „ქართული კომიტეტის" (1926) წევრი, მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199-200.

კაპანაძე თამარ გელას ასული (დ. 1987), ხელოვნებათმცოდნე. საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის იკონოგრაფიული განყოფილების კურატორის ასისტენტი – 411.

კარაბეკირ ფაშა, იხ. ქარაბეკირ (კარაბეკირ) ქიაზიმ მუსა.

კარახანი (კარახანიანი) ლევ მიხეილის ძე (1889-1937), სომეხი რევოლუციონერი, დიპლომატი. რეპრესირებულია 1937, რეაბილიტირებულია 1956 – 104.

კარბელაშვილი გივი ლუარსაბის ძე (დ. 1923), სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, დიპლომატი, სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს ატაშე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, 1971-87 გაზეთ „სამშობლოს" მთავარი რედაქტორი, საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის პრემიის ლაურეატი (1973) – 329, 345.

კარბელაშვილი პოლევექტოს გრიგოლის ძე (1855-1936), მუსიკოსი, მგალობელი, მწერალი, ისტორიკოსი – 136, 139.

კარგარეთელი ია (ილია) გიორგის ძე (1867-1939), საზოგადო მოღვაწე, კომპოზიტორი, ფოლკლორისტი, მომღერალი (ტენორი), საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1938) – 10, 136, 139, 167.

კარლ XII (1682-1718), შვეციის მეფე 1697-იდან, მხედართმთავარი – 182.

კაშია ჯანრი (ფსევდ.: პეტრე იბერი) (1939-2012), ფილოსოფოსი, მწერალი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე – 367.

კეზელი ლევან, (?-1922), დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. გარდაიცვალა 1922 წელს ვარშავის „პოდხორუნჟების" სკოლაში ყოფნის პერიოდში. დასაფლავებულია ვარშავაში – 203.

კეკელიძე კორნელი სამსონის ძე (1879-1962), სასულიერო მოღვაწე, მღვდელი, ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1943) – 10, 167, 324.

კერესელიძე არჩილ (ტუხა) პაულეს ძე (1912-1971), კომპოზიტორი, პედაგოგი,საქართველოს სსრ სახალხო არ-

ტისტი (1961), ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1958), ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (1973, სიკედილის შემდეგ) – 118-119, 139, 141.

კერესელიძე გიორგი მათეს ძე (1885-1960), პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი. პეტრე სურგულაძესთან ერთად ჟენევაში დააარსა „ქართველ სეპარატისტთა ჯგუფი", რომლის ორგანო იყო ჟურნალი „თავისუფალი საქართველო" (1913-14), 1916-18 გაზეთ „ქართული გაზეთის" რედაქტორი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 320.

კერესელიძე ლეო მათეს ძე (1878-1943), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, გენერალი (1920). პეტრე სურგულაძესთან ერთად ჟენევაში დააარსა „ქართველ სეპარატისტთა ჯგუფი", რომლის ორგანო იყო ჟურნალი „თავისუფალი საქართველო" (1913-14). 1918-იდან მონაწილეობდა ქართული ეროვნული არმიის შექმნაში – მეთაურობდა მოხალისეთა პოლკს. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 191, 320, 412.

კეცხოველი ნიკო (ნიკოლოზ) ნიკოლოზის ძე (1897-1983), ბოტანიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1937), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1945) – 8, 10, 167.

კვალიაშვილები – 386, 395.

კვალიაშვილი თამაზ, მიხეილ კვალიაშვილის ძმისშვილი – 292.

კვალიაშვილი ივანე (ვანო), მიხეილ კვალიაშვილის ძმისშვილი – 322.

კვალიაშვილი ლევან, სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199.

კვალიაშვილი მაია (მაიკო) მიხეილის ასული (დ. 1943), ქართველოლოგი. 1965 დეივიდ ლენგის ხელმძღვანელობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „ქართული ეთნოგრაფია". მიხეილ კვალიაშვილის (1901-1981) ქალიშვილი, აკაკი რამიშვილის (1916-1999) მეუღლე – 207, 273, 280, 282, 309, 313, 323, 329-330.

კვალიაშვილი მანანა მიხეილის ასული (დ. 1945), მიხეილ კვალიაშვილის (1901-1981) ქალიშვილი, იან ტოპოლევსკის მეუღლე – 207, 273, 280, 295, 297, 309, 315, 317, 322.

კვალიაშვილი მიხეილ (მიშა) ივანეს ძე (ფსევდ.: დ., ხეძე, კვა-ლი, მ. კვა-ლი, ისკრინსკი, პოკროვსკი და სხვ.) (1901-1981), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის სამხედრო აკადემიის საკონტრაქტო ოფიცერი, რომის შემდეგ პოლკოვნიკი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, „იუნკერთა კავშირის" (1928-32) წევრი, ჟურნალ „მხედრის" თანამშრომელი, II მსოფლიო ომისა და ვარშავის 1944 წლის აჯანყების მონაწილე, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის" კავალერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 7, 9, 13, 162, 196, 202-203, 207, 211, 223, 234-235, 239-240, 251, 270-272, 274, 276-290, 292-303, 310-323, 325-328, 330-331, 334, 337, 342, 346, 353, 372-373, 379, 381-382, 385, 394, 411, 420, 425.

კვალიაშვილი ნინო მიხეილის ასული (დ. 1942), ექიმი. მიხეილ კვალიაშვილის (1901-1981) ქალიშვილი – 207, 273, 300, 311, 319-323.

კვანჭილაშვილი ტარიელ სოლომონის ძე (1920-1998), ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე – 8.

კვერნაძე ბიძინა ალექსანდრეს ძე (1928-2010), კომპოზიტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1979), ზაქარია ფალიაშვილისა (1981) და შოთა რუსთაველის (1985) სახელობის პრემიების ლაურეატი – 141.

კვიკვიძე კონსტანტინე (კოტე) (1883-?), სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, II მსოფლიო ომის მონაწილე, 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199, 238, 240.

კვინიტაძე (ნამდვ. გვარი – ჩიქოვანი) გიორგი ივანეს ძე (1874-1970), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1918), რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, 1918-21 საქართველოს სამხედრო მინისტრის თანაშემწე, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ქართულ (იუნკერთა) სამხედრო სკოლის უფროსი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 12, 30-33, 35-38, 57, 59, 62, 94-95, 102, 108-110, 113, 160, 167, 175, 177-180, 187, 189-191, 196, 200, 206, 209, 214, 222, 232-233, 290-291, 297-300, 370, 383-384, 391, 393, 414.

კვინიტაძე (ქალიშვილობაში – მაყაშვილი) მარიამ ელადიმერის (ათანასე) ასული (1889-1960), გიორგი კვინიტაძის (1874-1970) მეუღლე, ივდით (1912-?), თამარ (1913-1970) და ნანო (დ. 1920) კვინიტაძეების დედა. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 191, 291.

კვიტაიშვილი აკაკი (ფსევდ.: ა. კ., ა. კ-ი და სხვ.) (1891-1966), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 14, 228.

კიკვაძე გიორგი, მიხეილ კვალიაშვილის თბილისელი მეგობარი – 292.

კიკიანი გრიგოლ სოლომონის ძე (?-1935), დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, როტმისტრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 203.

ჯიკნაძე მიხეილ (მიხაკო), სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 12, 180-181, 208-209, 273.

ჯოკო, იხ. მათიკაშვილი ნიკოლოზ (ნიკა, ნიკო, ჯოკო, მიკოლაუ) ლავრენტის ძე (ფსევდ.: ნ. მა-ლი; თიკუნი: მოლტკე).

ჯოლაძე გრიგოლ ბართლომეს ძე (1902-1962), კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, „ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი (1922), საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1941) – 118, 139-141.

კინწურაშვილი ალექსანდრე (საშა) (1900-1976), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ოუნცერი, საფრანგეთის არმიის უცხოური ლეგიონის ოფიცერი, II მსოფლიო ომის დროს მონაწილეობდა საფრანგეთის გათავისუფლების სამხედრო ოპერაციებში. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 188, 323.

კირა, იხ. ამაშუკელი-ჯობაშვილისა კირა ზაქარიას (შაქრო) ასული.

კირიონ II (ერისკაცობაში – გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი) (1855-1918), სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, 1917-18 სრულიად საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად (2002) – 84, 275, 302, 304, 307, 311, 324.

კირიონი, იხ. კირიონ II (ერისკაცობაში – გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი).

კიჩინსკა-სხირტლაძე ივანნა, არკადი სხირტლაძის (1902-1940) მეუღლე, ირინა სხირტლაძის (1928-1944) დედა – 208, 321-322, 328, 425.

კლდიაშვილი დავით სამსონის ძე (1862-1931), მწერალი, საქართველოს სსრ სახალხო მწერალი (1930) – 89.

კლიმიაშვილი დავით (დათა) (1896-1953), სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199.

კნიაზინსკა მ., ვარშავის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი – 140.

კობახიძე რუსუდან ივანეს ასული (დ. 1955), ფილოლოგი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმის ხელმძღვანელი – 411.

კობიაშვილი ალექსანდრე (სანდრო) (1892-1952), სამხედრო მოღვაწე, მაიორი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199, 239-240.

კობიაშვილი სვიმონ (სიკო) ვლადიმერის ძე (1902-1976), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ოუნცერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი. „ოუნცერთა კაუშირის“ (1928-32) წევრი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 188, 191, 207-208, 273-274, 277, 326, 394.

კობიაშვილი-შერემეტიევა მაკო (ელენე) სვიმონის ასული (1936-2010), ისტორიკოსი, პროფესიონალი თარჯიმანი. სვიმონ კობიაშვილისა (1902-1976) და კირა ამაშუკელის (1910-1994) შვილი, გრაფ ნიკიტა შერემეტიევის (1932-2013) მეუღლე – 277.

კოკელიძე გრიგოლ ირაკლის ძე (1904-1988), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1946) – 125, 141.

კომოროვსკი ბურა, იხ. კომოროვსკი ტადეუშ (პოლ. Tadeusz Komorowski).

კომოროვსკი ტადეუშ (პოლ. Tadeusz Komorowski) (1895-1966), პოლონელი სამხედრო მოღვაწე, პოლონეთის არმიის სარდალი, გენერალი. II მსოფლიო ომის დროს მეტსახელით „ბური“ (პოლ. Bór) მეთაურობდა „არმია კრაიოვას“ – 212, 330.

კონიაშვილი (კონიევი) ალექსანდრე გრიგოლის ძე (1873-1951), სამხედრო მოღვაწე, გენერალი (1919), პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, ბრიგადის გენერალი (1926), რუსეთ-იაპონიის, I და II მსოფლიო ომების მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 37, 112, 171, 199.

კონსტანტინე, იხ. კონსტანტინე I.

კონსტანტინე I (1868-1923), საბერძნეთის მეფე 1913-17 და 1920-22, გლიუქსბურგების დინასტიის ნარმომადგენელი – 189, 192, 223.

კორნაუსი, პოლონელი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, სამხედრო ისტორიკოსი. 1920-იან წლებში ვარშავის „პოდხორუნჟების“ სკოლის სამხედრო ისტორიის მასწავლებელი, II მსოფლიო ომის დროს გენერალური შტაბის უფროსი – 194.

კორნელოვიჩი, პოლონელი სამხედრო მოღვაწე, მაიორი, ისტორიკოსი. 1920-იან წლებში ვარშავის „პოდხორუნჟების“ სკოლის ისტორიის მასწავლებელი – 194.

კოსტიუშკო ტადეუშ (1746-1817), პოლონელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე – 64.

კოშორიძე, ნიკოლოზ მათიკაშვილის სემინარიელი ამხანაგი, სოფ. ხაშმის მკვიდრი – 180.

კოშციუშკო, იხ. კოსტიუშკო ტადეუშ.

კრაზუსი, იხ. კრასუსი მარკუს ლიცინიუს.

კრასუსი მარკუს ლიცინიუს (ძვ. წ. 115 – ძვ. წ. 53), რომაელი მთავარსარდალი და სახელმწიფო მოღვაწე, დიქტატორ სულას მომხრე და სპარტაკის აჯანყების ჩამხშობი – 42.

კრუკი (პოლ. Kruk), პოლონელი სამხედრო მოღვაწე, პოლონეთის არმიის ოფიცერი. ნიკოლოზ მათიკაშვილის,

გიორგი რატიშვილისა და ველი-ბეგ იედიგარის თანაკურსელი ეარშავის სამხედრო სასწავლებელში – 286.

კრუპი, გერმანელი მეწარმე, გერმანიის ერთ-ერთი უმსხვილესი სამხედრო მონოპოლიის (დაარსდა 1811) მფლობელი და ხელმძღვანელი – 182.

კუკური, იხ. თოხაძე ნიკოლოზ (კუკური).

კუტშება ტადეუშ (პოლ. Tadeusz Kutrzeba) (1886-1947), პოლონელი სამხედრო მოღვაწე, ავსტრია-უნგრეთის საიმპერატორო და სამეფო არმიის გენერალური შტაბის კაპიტანი, პოლონეთის მეორე რესპუბლიკის არმიის დივიზიის გენერალი. 1939 წლის სექტემბერში პოლონეთის კამპანიის დროს არმია „პოზნანის" მეთაური – 209.

Komorowski Bór, იხ. კომოროვსკი ტადეუშ (პოლ. Tadeusz Komorowski).

ლ

ლ. ც., იხ. ცომაია ლალი ავთანდილის ასული.

ლადო, 1900-იან წლებში გარე კახეთში ცნობილი მეეტლე – 143.

ლადო, იხ. ციბაძე ვლადიმერ (ლადო).

ლაზარევი ივანე პეტრეს ძე (1763-1803), რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1798), კავკასიის დაპყრობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. 1803 წლის 18 აპრილს მოკლა საქართველოს დედოფალმა – მარიამმა (1768-1850). დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში – 46.

ლანგი დავით, იხ. ლენგი დეივიდ.

ლალიძე დავით (დათა) (ფსევდ.: გ. ნ., დ. ლ. და სხვ.) (1898-1946), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, პუბლიცისტი, „იუნკერთა კავშირის" (1928-32) გამგეობის თავმჯდომარე, ჟურნალ „მხედარის" (1929-37) თანამშრომელი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 12-13, 162, 181, 188, 190-191, 196, 203, 210, 300, 304, 391, 393.

ლალიძე დიმიტრი (მიტო) (?-1930), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, ლეიტენანტი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. ემიგრანტობა ვერ აიტანა და საქართველოში დაბრუნდა. 1930 დახვრიტეს ბოლშევიკებმა – 188, 191-192, 203.

ლალიძე ვლადიმერ (ვალოდია, ლადო), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, მაიორი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის" ორგზის კავალერი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 12, 162, 181, 188, 191, 203, 208, 273, 314, 331.

ლალიძე თ., იხ. გომართელი-ლალიძე თამარ ივანეს ასული.

ლალიძე რევაზ (რეზო) ილიას ძე (1921-1981), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1941), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1977), შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი (1975) – 118-119, 125-126, 141-142.

ლეგატი ს., ეარშავის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი – 140.

ლევან, იხ. მათიკაშვილი ლევან ლავრენტის ძე.

ლევან ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1756-1781), ქართლ-კახეთის პოლიტიკური მოღვაწე, ერეკლე II-ის ძე – 324.

ლევანდოვსკი მიხეილ კარლის ძე (1890-1937), საბჭოთა მხედართუფროსი, მე-2 რანგის კომანდორმი (1935), სკკპ წევრი 1920-იდან. რეპრესირებულია 1937 – 106.

ლევანი, იხ. ლევან ბატონიშვილი.

ლენგი დეივიდ (1924-1991), ინგლისელი ქართველოლოგი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ლონდონის უნივერსიტეტის კავკასიათმცოდნეობის პროფესორი, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (1968) – 310, 312-313.

ლენინი (ნამდვ. გვარი – ულიანოვი) ვლადიმერ ილიას ძე (1870-1924), რუსი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, კომუნისტური პარტიის დამაარსებელი და პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი – 330.

ლეო, იხ. კერესელიძე ლეო მათეს ძე.

ლეონიძე გიორგი (გოგლა) ნიკოლოზის ძე (1899/1900-1966), პოეტი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო პოეტი (1959), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944) – 9-10, 14, 17, 156, 159-160, 166-167, 178, 190-191, 247, 265, 267, 269, 298, 368, 372, 375-376, 379-380, 386, 398, 412.

ლეონიძე ეგნატე ნიკოლოზის ასული (1890-1939), ბოდბის მონასტრის რუსული ენის მასწავლებელი. გიორგი ლეონიძის და, რევაზ გედევანიშვილის მეუღლე – 160.

ლეონიძე ლევან ნიკოლოზის ძე (1893-1937), ვეტექიმი, მეცნიერი. გიორგი ლეონიძის ძმა. რეპრესირებულია 1937 – 159-160, 167, 178-179.

ლეონიძეები – 9-10, 12.

ლეონიძეები (ძმები), იგულისხმებიან: ლეონიძე ლევან ნიკოლოზის ძე (1893-1937), ვეტექიმი, მეცნიერი. რეპრესირებულია 1937; ლეონიძე სვიმონ (სიკო) ნიკოლოზის ძე (1896-1951), ვეტექიმი; ლეონიძე გიორგი (გოგლა) ნიკოლოზის ძე (1899/1900-1966), პოეტი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო პოეტი (1959), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944) – 10, 159-160, 167, 178.

ლერმონტოვი მიხეილ იურის ძე (1814-1841), რუსი პოეტი – 142.

ლესინგი გოტჰოლდ ეფრაიმ (1729-1781), გერმანელი მწერალი, დრამატურგი, ხელოვნების ისტორიკოსი, განმანათლებელი, გერმანული კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი – 126.

ლიადოვი ანატოლი კონსტანტინეს ძე (1855-1914), რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი – 142.

ლიტვინოვი (ნამდვ. გვარი – ვალახი) მაქსიმ მაქსიმის ძე (პარტ. ფსევდ.: პაპაშა, მაქსიმოვიჩი, ფელიქსი და სხვ.) (1876-1951), საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მუშაკი, დიპლომატი, კომპარტიის ნევრი 1898-იდან – 45.

ლიუტერი, იხ. ლუთერი მარტინ.

ლომჯანიძე ილარიონ (ლოლო), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 188, 191-192, 202, 274, 276, 295, 297, 302, 311, 317, 379, 385-386, 394.

ლოლუა მიხეილ (?-1921), დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი. დაიღუპა ტაბახმელასთან ბრძოლაში – 155, 172.

ლომიძე ვიქტორ (ცნობილია სახელით – Wiktor Lomidze-Wachtang) (1900-1956), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საზღვაო ფლოტის საკონტრაქტო ოფიცერი, კომანდორი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის" კავალერი, „იუნკერთა კავშირის" (1928-32) ნევრი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 13, 196, 209.

ლომკაცი გიორგი (1900-?), დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი. 1921 წლის თებერვალში კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლების მონაწილე – 158-159, 176-177.

ლორთქიფანიძე კირილე ბეჟანის ძე (ფსევდ.: თერგდალეული, თომა კარგარეთელი) (1839-1919), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. ქუთაისის ბანკის დირექტორი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნევრი – 47.

ლორთქიფანიძე ოთარ დავითის ძე (1930-2002), არქეოლოგი, ანთროპოლოგი, ქართული არქეოლოგიის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი (1997), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2001) – 311.

ლოსოუ (ლოსოვი) ოტო ფონ (გერ. Otto Von Lossow) (1868-1938), გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გენერალი – 92.

ლუდოვიკ XIV, იხ. ლუი XIV.

ლუთერი მარტინ (1483-1546), ბიურგერული რეფორმაციის მეთაური გერმანიაში, გერმანული პროტესტანტობის (ლუთერანობის) ფუძემდებელი – 43.

ლუი XIV, (1638-1715), საფრანგეთის მეფე 1643-იდან, ბურბონთა დინასტიის წარმომადგენელი, ლუი XIII-ისა და ანა ავსტრიელის ვაჟი – 43.

მ

მ., მ. კ., იხ. კვალიაშვილი მიხეილ (მიშა) ივანეს ძე (ფსევდ.: დ., ხე-ძე, კვა-ლი, მ. კვა-ლი, ისკრინსკი, პოკროვსკი და სხვ.).

მაევსკი იან რუდოლფი (პოლ. Jan Rudolf Majewski) (ფსევდ.: Roman. Lesniak) (1901-1949), პოლონელი სამხედრო მოღვაწე, მაიორი. 1944 ვარშავის აჯანყების დროს ხელმძღვანელობდა 25-ე ქვეითთა ბატალიონს, აჯანყების დამარცხების შემდეგ იბრძოდა პარტიზანულ რაზმში. 1946 დააპატიმრეს და 7 წელი მოუსაჯეს. 1949 წლის 5 იანვარს გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს სატუსალოში – 330.

მაზნიაშვილი (მაზნიევი) გიორგი ივანეს ძე (1872-1937), სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1916), რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე.1918-იდან აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორი და შავი ზღვის სანაპიროს მეთაური, 1920 -იდან თბილისის გარნიზონის უფროსი,1921 წლის თებერვალ-მარტში ხელმძღვანელობდა თბილისის ფრონტს (სოლანულის სექტორი). რეპრესირებულია 1937 – 23, 25-27, 31-33, 35-37, 59, 90, 95, 103, 109-110, 157, 160, 169, 174, 177, 180, 393, 414.

მათიკო იან (1838-1941), პოლონელი მხატვარი – 275.

მათიკაშვილი ირაკლი ლაურენტის ძე (1898-1968), ვეტერინარი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1955), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961) – 166.

მათიკაშვილი ლაურენტი (?-1907), სასულიერო მოღვაწე, მღვდელი, პედაგოგი. სხვადასხვა დროს მასწავლებლობდა თონეთისა და ნინარეხის სკოლებში. მარიამ გულისაშვილის (?-1918) მეუღლე, ნიკოლოზ მათიკაშვილის (1900-1993) მამა – 165.

მათიკაშვილი ლევან ლაურენტის ძე (1902-?), გეოლოგი. ნიკოლოზ მათიკაშვილის ძმა – 166.

მათიკაშვილი ნიკოლოზ (კიკო, ნიკა, ნიკო, მიკოლაი) ლაურენტის ძე (ფსევდ.: ნ. მაღი; თიკუნი: მოლტკე) (1900-1993), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, მაიორი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, მემუარისტი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის" კავალერი, „იუნკერთა კავშირის" (1928-32) გამგეობის ნევრი, ჟურნალ „მხედარის" (1929-37) თანამშრომელი, პოლონეთის აღმოსავლეთმცოდნეობის კავშირის ნევრი, II მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. მისმა მეუღლემ, პანა (ნინა) შოდე-მათიკაშვილმა (1898-2009) სახლი, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ სა-

ქართველოს უანდერძა. იქ ამჟამად ქართული კულტურის ცენტრია გახსნილი – 7-14, 17-18, 122-123, 127, 137, 144, 146-147, 150, 152, 158, 163, 173, 176, 188-189, 191, 196, 200, 202-205, 210, 212, 217, 220-221, 224-227, 231-233, 240, 244, 246-253, 256-260, 263-304, 306, 308, 310-324, 326-334, 337, 341-374, 377-403, 406-408, 411, 414, 420, 424.

მათიკაშვილი შალვა ლავრენტის ძე (1897-1938), ნიკოლოზ მათიკაშვილის ძმა – 166, 178, 180.

მაიკო, იხ. გულისაშვილი მარიამ (მაიკო) ნიკოლოზის ასული.

მაიკო, იხ. კვალიაშვილი მაიკო მიხეილის ასული.

მაიკო, იხ. კობიაშვილი-შერემეტიევა მაიკო (ელენე) სიმონის (სიკო) ასული.

მაკო, ნიკოლოზ მათიკაშვილის მამიდაშვილი – 143.

მამალაძე გიორგი (ზენონ, იეჟი) ტარასის ძე (1897-1940), სამხედრო მოღვაწე, მაიორი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. 1940 წელს დახვრიტეს კატინში – 13, 164, 174, 184-185, 195, 199, 202, 223, 238.

მამისაშვილი ნოდარ ლევანის ძე (დ. 1930), კომპოზიტორი, პოეტი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1967) – 118.

მამულია გიორგი გურამის ძე (დ. 1976), საფრანგეთის საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის დოქტორი, პოლიტოლოგი – 236-237, 241, 254-255, 277, 326, 411.

მანანა, იხ. კვალიაშვილი მანანა მიხეილის ასული.

მანველიშვილი ალექსანდრე სტეფანეს ძე (ფსევდ.: ჟამთააღმწერელი) (1904-1996), ორგანიზაცია „თეთრი გიორგის" ერთ-ერთი ლიდერი და იდეოლოგი, 14 ნიგნისა და მონოგრაფიის ავტორი, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, არაერთი ჟურნალ-გაზეთის („მომავალი", „ერის დიდება", „ნასიონ ჟურჟიენ" და სხვ.) დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი – 304, 345, 351-352, 370-371, 373, 377, 380, 382, 384-385, 387, 391, 394, 411.

მარგველაშვილი, 1980-იან წლებში აშშ-ში, ლოს-ანჯელესში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ახალსოფლიდან, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნის შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა – 345.

მარია, იხ. გილაშვილი მარიამ (მარია) აბრამის ასული.

მარიამ, თეკლე და ქეთევან ბატონიშვილებში, იგულისხმებიან: **მარიამ ბატონიშვილი** (ბაგრატიონი) (1755-1828), პოეტი. ერეკლე II-ის ასული, თაავად დავით ალექსანდრეს ძე ციციშვილის (1749-1792) მეუღლე; **თეკლე ბატონიშვილი** (ბაგრატიონი) (1778-1846), პოეტი. ერეკლე II-ის ასული, თაავად ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანის (1769-1812) მეუღლე; **ქეთევან ბატონიშვილი** (ბაგრატიონი) (1764-1840), პოეტი. ერეკლე II-ის ასული. ჩვენამდე მოღწეულია მისი ერთი ლექსი „ჰოი, ვითარ ესთქვა" (ლექსი დაწერილია დაახლოებით 1805 წელს, პოეტის პატიმრობის დროს) – 47.

მარიამ დედოფალი (1768-1850), გიორგი XII-ის თანამეცხედრე (მეორე ქორწინება), თავად გიორგი ციციშვილის („ხათა გიორგი") (1740-1806) ასული – 46.

მარიამ-მაგდალენა, მარიკო-მაგდალენა, იხ. ტოპოლევსკა მარიამ-მაგდალენა (მარიკო-მაგდალენა) იანის ასული.

მარკუსი გაიუს (დაახლ. ძვ. წ.157 – ძვ. წ. 86), რომის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე – 42.

მარო, იხ. გარიყული (ნამდვ. გვარი – თათეიშვილი) მარიამ (მარო) ლუკას ასული.

მატეიკო, იხ. მათეიკო იან.

მაღლაკელიძე შალვა ნიკოლოზის ძე (1893-1976), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, „ვერმახტის" ქართული ლეგიონის მეთაური, გენერალი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 302-303.

მაჩაბელა (?-11.09.1795), ქართული კულტურის მოღვაწე XVIII ს. II ნახევარში. მაჩაბელას ნამდვილი სახელი და გვარი ცნობილი არაა (მაჩაბელი ანუ აჩაბეთელი ზედწოდებაა). თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, მაჩაბელა ქართველი იყო. დაბალი ფენებიდან გამოსული მაჩაბელა თავისი შესანიშნავი ოსტატობით სამეფო კარზე ცნობილი პიროვნება გახდა და მას თბილისის თეატრის „მსახიობთა უფროსობა" (დასის ხელმძღვანელობა) მიანდვეს. 1795 წლის 11 სექტემბერს, როცა კრწანისის ბრძოლის დროს ქართველთა ლაშქარი დამარცხების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, თბილისის მცხოვრებლებმა შეიარაღებული რაზმი შექმნეს, სათავეში მაჩაბელა ჩაუყენეს და ბრძოლის ველზე გაგზავნეს. მაჩაბელა დაირაზე სალხინო ჰანგის – „შადიანის" დაკვრით გაუძღვა წინ თბილისელთა, ქიზიყელთა და არაგველთა (300 არაგველი) რაზმს და გმირულად დაიღუპა – 138.

მაჩაბელი, იხ. მაჩაბელა.

მაჩაბელი, 1980-იან წლებში სან-ფრანცისკოში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი – 345, 377.

მაჩაბელი დავით ბარძიმის ძე (1814-1873), პოეტი, მუსიკის მკვლევარი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე – 47.

მაჭავარიანი ალექსი დავითის ძე (1913-1995), კომპოზიტორი, პედაგოგი, სსრკ სახალხო არტისტი (1958) – 118-119, 125-126, 132, 139, 141-142.

მაჭავარიანი დავით (დათა) (1893-1939-მდე), სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 34, 60-61, 63, 199, 286.

მაჭავარიანი-წერეთლისა ბარბარე (ვარინკა) სპირიდონის ასული (1874-1948), მომღერალი, კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე – 142.

მაჭარაძე ივანე (ვანო), პარიზში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი. ნიკოლოზ მათიკაშვილისა და მიხეილ კეალიაშვილის საერთო ნაცნობი – 208.

მახარაძე, სამხედრო მოღვაწე, მაიორი, არტილერისტი – 32.

მახარაძე ვლადიმერ (ლადო) (?-1939), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ოფიცერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, „იუნკერთა კაეშირის“ (1928-32) წევრი, ჟურნალ „ატრაკებული ტვინის“ (ათენი, 1922) რედაქტორი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 13, 162, 188, 191, 196, 206.

მგალობლიშვილი (მგალობელოვი) დიმიტრი, პოეტი, მთარგმნელი, ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომელი. მისი თარგმანებიდან ცნობილია ნ. ა. ნეკრასოვის ლექსი „როს სიბნელისგან შეცთობილების“ (ჟურნ. „ცისკარი“, №12, 1864 წ.) – 47.

მგელაძე ვლასა დარისპანის ძე (ფსევდ.: ერთი მუშა გულშემატკივარი, ფიდაი-ლასასალი და სხვ.; პარტ. ფსევდ.: ტრია) (1871-1943), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, მწერალი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, 1918-21 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის კომისარი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 14, 228.

მდივანი ბუდუ (პოლიკარპე) გურგენის ძე (1877-1937), საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მუშაკი. 1931-36 მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი. რეპრესირებულია 1937 – 103.

მდივანი ზაქარია (შაქრო) ასლანის ძე (1867-1933), სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1915), რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, 1917-18 ბათუმის ოლქის გუბერნატორი, 1919-იდან სამხედრო მინისტრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 89-90, 101, 107.

მდივანი იოსებ (სოსო), პოლიტიკური მოღვაწე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი მოსკოვში (1920) – 103.

მდივანი (ქალიშვილობაში – კვალიაშვილი) ნინო ივანეს ასული, მიხეილ კეალიაშვილის და – 302, 329.

მეგრელიძე იოსებ ბართლომეს ძე (1909-1996), ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, მკელევარი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1961), პროფესორი (1966), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1980) – 308, 333.

მელიქა, იხ. სომხიანცი (შეცელილი გვარი – სომხიშვილი) მელიქ (მელიქა).

მელიქიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე (1918-2002), ისტორიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1966) – 293.

მენაბდე ლევან (ლეო) ვასილის ძე (1924-2002), ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, მკელევარი – 294, 332, 411.

მენალარიშვილი (მენალარი) სარდიონ (სანდრო) (1895-1960), პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1925-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 14, 228.

მესხიშვილი გიორგი (გოგი), სამხედრო მოღვაწე, ლეიტენანტი. დაიჭრა ტაბახმელასთან ბრძოლაში – 33.

მეფე დავითი, იხ. დავით IV აღმაშენებელი.

მეფე ერეკლე, იხ. ერეკლე II, პატარა კახი.

მეფე კარლო XII, იხ. კარლ XII.

მეფე კონსტანტინე, იხ. კონსტანტინე I.

მეფე სარგონი, იხ. სარგონ II (ასურ. შარუქინი, ებრ. Sargon).

მექი, იხ. რატიანი მელქისედეკ (მექი).

მელიონოუხუცესი კონსტანტინე ვასილის ძე (1891-1972), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1946) – 118, 139-141.

მელიონოუხუცესი ნინო იღიას ასული (1898-1970), ქალუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილის (1888-1930) მეუღლე, თამარ (ციცნა) (1914-1987) და ქეთევან (ქეთია) (1918-1994) ჩოლოყაშვილების დედა. 1942 უფროს ქალიშვილთან, თამართან ერთად ყაზახეთში გადაასახლეს, 1947 გაათავისუფლეს – 310.

მეხაშიშვილი ანა (ანიკო) ივანეს ასული (დ. 1927), ეკონომისტი – 10.

მეხაშიშვილი ეთერი ივანეს ასული (1926-2009), ფილოლოგი. თეიმურაზ ნაცელიშვილის (1925-2009) მეუღლე, პაატა ნაცელიშვილის (დ. 1952) დედა – 9.

მეხაშიშვილი ივანე (ვანო) პეტრეს ძე (1879-1969), გიორგი ლეონიძის მეზობელი და მეგობარი. 1930-იან წლებში ლიტერატურის მუზეუმის დარაჯი – 9-10.

მიზანდარი ალოიზ იოსების ძე (1838-1912), საზოგადო მოღვაწე, პიანისტი, კომპოზიტორი, პედაგოგი, ქართული პიანისტური სკოლის ფუძემდებელი – 139.

მითრიდატე, ქართლის მეფის მითრიდატე I-ის ძე, მეფობდა სომხეთში 35-51, მისი გამეფება მოხდა სომხეთის დაუფლებისათვის რომის და პართიის ბრძოლის შედეგად – 42.

მიტაევი ალი (1881-1925), შეიხი, ჩეჩენი ხალხის განმანათლებელი, თეოლოგი, ორატორი და ლოგიკოსი. 1925 დახვრიტეს ბოლშევიკებმა – 357-358.

მიტრიდატი, იხ. მითრიდატე.

მიქაელ მოდრეკილი, X ს. პოეტ-პიმნოგრაფი, მწიგნობარი, კალიგრაფი, მგალობელი, შემდგენელ-რედაქტორი ვრცელი ტიპის მეხური იადგარისა, რომლის ხელნაწერი (S-425) უნიკალური, როგორც შედგენილობის, ისე მხატვრული

გაფორმების თვალსაზრისით, X ს. ქართული ნიგნის ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია. კრებული შედგენილია 978-988 წლებში შატბერდის მონასტერში. თავდაპირველად მასში 1264 გვერდი უნდა ყოფილიყო (გარდა ბოლო ნაწილისა, რომელიც დაკარგულია), ჩვენამდე მოღწეულია 544 გვერდი – 126, 136.

მიქაძე სერგო, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი. 1921 წლის თებერვალში კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლების მონაწილე – 60-61.

მიქელაძე პლატონ პლატონის ძე (1883-1944), სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199.

მიშა, მიხეილ, იხ. კვალიაშვილი მიხეილ (მიშა) ივანეს ძე (ფსევდ.: დ., ხე-ძე, კვა-ლი, მ. კვა-ლი, ისკრინსკი, პოკროვსკი და სხვ.).

მიცკევიჩი ადამ (1798-1855), პოლონელი პოეტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე – 64-65.

მიხეილი, იხ. თევზაძე მიხეილ.

მიხეილი, იხ. რომანოვი მიხეილ ალექსანდრეს ძე.

მიხეილი, იხ. ქავთარაძე მიხეილ (მიშა).

მლოდზიანოვსკი კაზიმეჟ (1880-1928), პოლონელი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. 1920-იან წლებში ვარშავის „პოდხორუნჟების" სკოლის უფროსი – 194.

მოლი (პოლ. Moll), 1960-იან წლებში პოზნანში მცხოვრები ექიმი, პროფესორი – 277.

მოლტკე უფროსი ჰელმუთ კარლ ბერნჰარდ (1800-1891), პრუსიისა და გერმანიის სამხედრო მოღვაწე, გრაფი (1870), გენერალ-ფელდმარშალი (1871), სამხედრო თეორეტიკოსი – 315.

მორდკინი მ., ვარშავის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი – 140.

მრაველიანი ასკანაზ არტემის (არუთინის) ძე (1886-1929), სომეხი სახელმწიფო და პარტიული მუშაკი, სკკპ წევრი 1905-იდან, 1920-22 სომხეთის რევკომის წევრი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სომხეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, 1923-იდან განათლების სახალხო კომისარი და გაზეთ „სოვეტიკან პაიასტანის" („საბჭოთა სომხეთი") რედაქტორი – 28.

მრელაშვილი ბარბალე (ბაბალე) (1870-1964) ოცდა (1912-?), თამარ (1913-1970) და ნანო (დ. 1920) კვინიტაძეების გადია – 201.

მრელაშვილი გიორგი (გოგა) (1900-1971), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 162, 202, 302, 304.

მურადიანი, სომეხი სამხედრო მოღვაწე. I მსოფლიო ომის დროს იბრძოდა კავკასიის ფრონტზე, მე-8 მსროლელთა პოლკში. 1918-იდან გენერალ მოვსეს სილიკოვის (სილიკიანი) (1862-1937) ადიუტანტი – 94.

მუსხელიშვილები – 304.

მუსხელიშვილი როსტომ ილიას ძე (1888-1923), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, გენერალი. 1918-21 მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალურ შტაბში. 1922-იდან მონაწილეობდა ოკუპანტების წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. იყო „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან" არსებული „სამხედრო ცენტრის" წევრი. 1923 წლის მარტში ბოლშევიკებმა „სამხედრო ცენტრის" სხვა წევრებთან ერთად დაუპატიმრეს და იმავე წლის 20 მაისს დახვრიტეს თბილისში, დღეევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე – 95-96, 196, 198.

მუჰამედი (მაჰმადი) (დაახლ. 570-632), ისლამის დამაარსებელი, წინასწარმეტყველი – 42.

მშველიძე შალვა მიხეილის ძე (1904-1984), საზოგადო მოღვაწე, კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1958), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1941, 1947), ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (1971), ინდოეთის ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პრემიის ლაურეატი (1973) – 118-119, 126, 130, 139, 141.

M., M. K., იხ. კვალიაშვილი მიხეილ (მიშა) ივანეს ძე (ფსევდ.: დ., ხე-ძე, კვა-ლი, მ. კვა-ლი, ისკრინსკი, პოკროვსკი და სხვ.).

Manvel Alexander, იხ. მანველიშვილი ალექსანდრე სტეფანეს ძე (ფსევდ.: ჟამთა-აღმწერელი).

ნ

ნ. მ., იხ. მათიკაშვილი ნიკოლოზ (კიკო, ნიკა, ნიკო, მიკოლაი) ლავრენტის ძე (ფსევდ.: ნ. მა-ლი; თიკუნი: მოლტკე).

ნ. მა-ლი, იხ. მათიკაშვილი ნიკოლოზ (კიკო, ნიკა, ნიკო, მიკოლაი) ლავრენტის ძე (ფსევდ.: ნ. მა-ლი; თიკუნი: მოლტკე).

ნადირაძე კოლაუ (ნიკოლოზ) გალაქტიონის ძე (1895-1990), პოეტი – 345.

ნაზარბეკოი თომას პოვანესის ძე (1855-1931), სომეხი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი – 82.

ნაკაშიძე გიორგი (გოგი) მელქისედეკის ძე (1894-1990), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, კავკასიოლოგი, მთარგმნელი, ლიტერატორი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენელი, ფილოსოფიისა და სამართლის მეცნიერებათა დოქტორი; ბერლინის, ვარშავის, მიუნხენის, კოლუმბიისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების პროფესორი, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვ-

ნული არქივის (პარეარდული ნანილი) კლასიფიკატორი და ინგლისურ ენაზე მისი კატალოგის შემდგენელი – 213-214, 330, 376.

ნალბანდიშვილი პეტრე ანტონის ძე (1917-?), კომპოზიტორი – 141.

ნანოშკა, იხ. დ'აბო (ქალიშვილობაში – კვინიტაძე) ნანო (ნანოშკა) გიორგის ასული.

ნანუაშვილი ივანე (ვანო) (ფსევდ.: ვ. ნალი) (1902-1975), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, პუბლიცისტი, „იუნკერთა კაუშირის" (1928-32) გამგეობის წევრი, II მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 13, 188, 191, 196, 199-200, 208, 273-275, 279, 298, 303-304, 309, 317, 319-320, 326, 337, 340-341, 345-347, 360, 367, 372, 375, 391, 400.

ნაპოლეონ I, ნაპოლეონ ბონაპარტი (1769-1821), საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, საფრანგეთის რესპუბლიკის I კონსული (1799-1804), საფრანგეთის იმპერატორი („ფრანგების იმპერატორი", 1804 წ. 14 მარტი – 1815 წ. ივნისი). კორსიკელი წერილი აზნაურის, ადვოკატის კარლო ბუონაპარტეს შვილი – 43, 64, 188.

ნაპოლეონი, იხ. ნაპოლეონ I, ნაპოლეონ ბონაპარტი.

ნარიმანიძე ნიკოლოზ ვასილის ძე (1904-1975), კომპოზიტორი, აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1958) – 118, 141-142.

ნარუტოვიჩი გაბრიელ (1865-1922), პოლონელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ციურიხის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი, ჰიდროინჟინერი. 1920-21 პოლონეთის საზოგადოებრივი მუშაობის მინისტრი, 1922 საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგ პოლონეთის პრეზიდენტი, თანამდებობა სულ 5 დღის განმავლობაში ეკავა – 11-16 დეკემბერი. 1922 წლის 16 დეკემბერს ზახეტას გალერეაში მოკლა ელიგიუშ ნიეიადომსკიმ, ფსიქიკური პრობლემების მქონე მხატვარმა, რომელიც მემარჯვენე მიმართულების ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას მიეკუთვნებოდა – 193.

ნასიძე სულხან ივანეს ძე (1927-1996), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1980), შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი (1973) – 141.

ნატო, იხ. ციციშვილი ნატო შალვას ასული.

ნატროშვილი (ნატროევი) ანტონ ივანეს ძე (1852-1930), ისტორიკოსი, პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრი – 10, 167.

ნაცელიშვილები – 360.

ნაცელიშვილი ანტონ, სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. 1918-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის სამხედრო განყოფილების უფროსი – 96, 103.

ნაცელიშვილი მიშა (მიხეილ), 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი – 360.

ნაცელიშვილი პაატა თეიმურაზის ძე (დ. 1952), ჟურნალისტი, პოეტი, მხატვარი. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო კელეციონი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი წევრი – 8, 14, 309, 340, 357, 360, 373, 378, 388, 390, 392, 402-407, 411-412, 428.

ნაცელიშვილი ფარნაოზ (1900-1956), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, „იუნკერთა კაუშირის" (1928-32) წევრი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 12-13, 162, 181, 188, 191, 196, 208.

ნებიერიძე შალვა ალექსანდრეს ძე (1903-1942), 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 218.

ნიკოლაიშვილი ნიკოლოზ, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, პორუჩიკი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. ემიგრანტობა ვერ აიტანა, სწავლას თავი დაანება და საქართველოში დაბრუნდა – 203.

ნიკოლაძე ნიკო (ნიკოლოზ) იაკობის ძე (1843-1928), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, რევოლუციონერ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი – 47, 164.

ნიკოლაძე შოთა (1899-1963), დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, ინჟინერ-ელექტრიკოსი, „იუნკერთა კაუშირის" (1928-32) წევრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 188, 191, 206, 208, 273.

ნიკოლოზ, ნიკა, ნიკო, იხ. მათკაშვილი ნიკოლოზ (კიკო, ნიკა, ნიკო, მიკოლაი) ლავრენტის ძე (ფსევდ.: ნ. მა-ლი; თიკუნი: მოლტკე).

ნიკოლოზ II (ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვი) (1868-1918), რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი (1894-1917), ალექსანდრე III-ის ვაჟი – 54, 82, 98.

ნიკოლოზი, იხ. გედევანიშვილი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე.

ნინა, ნინო, იხ. თევზაძე ნინო (ნინა).

ნინო, იხ. კეალიაშვილი ნინო მიხეილის ასული.

ნინო, იხ. მდივანი (ქალიშვილობაში – კეკელიაშვილი) ნინო ივანეს ასული.

ნოზაძე გიორგი (გოგი) ივანეს ძე (ფსევდ.: მიხეილ ჩუბინიძე) (1901-1991), საფრანგეთში მოღვაწე პუბლიცისტი და მკვლევარი. ვიქტორ ნოზაძის (1893-1975) ძმა, ლიდა შარაშიძის (1902-1991) მეუღლე – 320, 323, 325, 328.

ნოზაძე ვიქტორ (ვიქტორ) ივანეს ძე (ფსევდ.: არიონი, მეთვალყურე, ძველი შეკარდნელი, ბ. ვარდანი, ბ. ბებურიშვილი, ვ. სოსანი, მოძველი, ნიკრისელი, თამაზ ჩილაია, ლიკსუსი, დონაური, თამარ ვარდანიძე, მკითხველი და სხვ.) (1893-1975), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, ისტორიკოსი, მთარგმნელი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ჟურნალისტი, რუსთველოლოგი – 278-280, 284, 297, 302, 304, 306, 308, 310, 313-315, 319-320, 322-323, 329, 424.

ნონეშვილი იოსებ ელიოზის ძე (1918-1980), საზოგადო მოღვაწე, პოეტი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი (1981, გარდაცვალების შემდეგ) – 397.

ო

ოდიშელიძე გიორგი იასონის ძე (1899-1970), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, საფრანგეთის არმიის უცხოური ლეგიონის კაპიტანი, ღირსების ორდენისა და საბრძოლო ჯვრის კავალერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 11, 58, 188-189, 208, 273, 298-299.

ოდიშელიძე (ქალიშვილობაში – კვინიტაძე) **თამარ** (თამი) გიორგის ასული (1913-1970), გიორგი კვინიტაძის (1874-1970) ქალიშვილი, გიორგი ოდიშელიძის (1899-1970) მეუღლე – 299.

ოდიშელიძე ილია ზურაბის ძე (1865-1925), სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი (1914), რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, 1918-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის ამხანაგი, 1919 პარიზის კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს დელეგაციის სამხედრო ექსპერტი, 1920 წლის 13 დეკემბრიდან 1921 წლის 16 თებერვლამდე – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ჯარების მთავარსარდალი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 25, 28-30, 93, 95, 101, 108.

ოვექსიანი რომან, სამხედრო პირი. 1918-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის სატრანსპორტო განყოფილების უფროსი – 96.

ოლდენბურგი პეტრე ალექსანდრეს ძე (ფსევდ.: პეტრე ალექსანდროვიჩი) (1868-1924), სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1913). 1917-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 98.

ორბელიანი ალექსანდრე ვახტანგის ძე (1802-1869), პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი. ერეკლე II-ის შვილიშვილი, თეკლე ბატონიშვილის უფროსი ვაჟი – 47.

ორბელიანი გრიგოლ დიმიტრის (ზურაბი) ძე (1804-1883), პოეტი, სამხედრო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალ-ლეიტენანტი. ერეკლე II-ის შვილთაშვილი – 47, 167.

ორბელიანი ვახტანგ ვახტანგის ძე (1812-1890), პოეტი. ერეკლე II-ის შვილიშვილი, თეკლე ბატონიშვილის უმცროსი ვაჟი – 47.

ორბელიანი სულხან-საბა (1658-1725), მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკური და სასულიერო მოღვაწე. შთამომავლობით დიდგვაროვანი ფეოდალი: მამა, ვახტანგი – ქართლის სამეფოს მდივანბეგი იყო; დედა, თამარი – ზაალ არაგვის ერისთავის ასული – 165, 275.

ორჯონიკიძე სერგო (გრიგოლ) კონსტანტინეს ძე (1886-1937), საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მუშაკი. 1932-იდან მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი. სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა – 106, 220, 307.

ოქრომჭედლიშვილი, საგარეჯოელი მღვდელი, მასწავლებელი – 167.

ოქტავიანე ავგუსტუსი გაიუს (ძვ. წ. 63-14), რომის იმპერატორი ძვ. წ. 27-იდან. რომის პირველი იმპერატორი – 42.

ოქტავიანი, იხ. ოქტავიანე ავგუსტუსი გაიუს.

ოძელაშვილი არსენა, არსენა მარაბდელი (ნათლობის სახელი – იოსები (სოსო); თიკუნი – გორდა) (დაახლ. 1797-1842), ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხი, სახალხო გმირი – 118, 140, 346, 379-380.

პ

პაატა, იხ. ნაცვლიშვილი პაატა თეიმურაზის ძე.

პაპადოპულოსები, ძმები: ბერძენი სამხედრო მოღვაწეები. 1920-იან წლებში ათენის სამხედრო სკოლის „სხოლიონ ტონ ეველპიდონ" (საიმედოთა სასწავლებელი) სამხედრო საქმის მასწავლებლები – 190.

პაპადოპულოსი, ბერძენი სამხედრო მოღვაწე, მაიორი. 1920-იან წლებში ათენის სამხედრო სკოლის „სხოლიონ ტონ ეველპიდონ" (საიმედოთა სასწავლებელი) ათასეულის უფროსი – 190-191.

პაპადოპულოსი გეორგიოს (1919-1999), ბერძენი დიქტატორი, რომელიც 1967-74 მართავდა ქვეყანას – 190.

პაპავა აკაკი ამბაკოს ძე (ფსევდ.: აკაკი მდევარი, ქეიბუერი, ოდიშელი, გაუტეხელი, კახაბერი, თუთბერიძე და სხვ.) (1890-1964), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, დრამატურგი, საქართველოს ისტორიის მკვლევარი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენელი. 1922-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 289, 428.

პაპავა (ქალიშვილობაში – გოგოლაშვილი) **თამარ** სიმონის ასული (ფსევდ.: ქოჩრიანი ტროლა, ისახარ, მეგობარი და სხვ.) (1886-1976), საქართველოს ისტორიის მკვლევა-

რი და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი. აკაკი პაპავას მეუღლე. 1923-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 297, 302, 428.

პაპავა-ჭეიშვილი მზია აკაკის ასული (1921-2007), თამარ (1886-1976) და აკაკი (1890-1964), პაპავების უმცროსი ქალიშვილი, ალექსანდრე (საშა) სოლომონის ძე ჭეიშვილის (1905-1991) მეუღლე – 428.

პაპავა-ჭეიშვილი ტურფა აკაკის ასული (1916-2010), თამარ (1886-1976) და აკაკი (1890-1964), პაპავების უფროსი ქალიშვილი, ლეონ (ლეო) პორფირეს ძე ჭეიშვილის (1905-1990) მეუღლე – 428.

პაპულასი ანასტასიოს (1857-1935), ბერძენი სამხედრო მოღვაწე, გენერალი – 190, 412.

პატარა კახი, იხ. ერეკლე II, პატარა კახი.

პატიკო, იხ. თაყაიშვილი პლატონ (პატიკო).

პაშკევიჩი გუსტავ (1892-1955), პოლონელი სამხედრო მოღვაწე, ბრიგადის გენერალი – 199.

პეპინა მარია (1878-?), ვარშავის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი – 140.

პეტრე დიდი, იხ. პეტრე I დიდი.

პეტრე I დიდი (1672-1725), რუსეთის მეფე 1682-იდან, იმპერატორი 1721-იდან, სახელმწიფო მოღვაწე, სარდალი, დიპლომატი – 66.

პეტრე იბერი (411-491), გამოჩენილი თეოლოგი და ფილოსოფოსი, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი და თეალსაჩინო ნარმომადგენელი. ერისკაცობაში მურვანი (სირიული წყაროებით – ნაბარნუგი), იყო იბერიის მეფის ბუზმარის შვილი, ბაკურ დიდის შეილიშვილი – 126.

პეტრე იბერი, იხ. კაშია ჯანრი (ფსევდ.: პეტრე იბერი).

პეტრიაშვილი, პოეტი – 208.

პეტრიაშვილი, სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. 1918-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის კანცელარიის უფროსი – 95.

პეტრინი, იხ. იოანე პეტრინი.

პილსუდსკი იუზეფ (1867-1935), პოლონელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, პოლონეთის არმიის დამაარსებელი, მარშალი. 1918-22 პოლონეთის რესპუბლიკის პირველი მეთაური, 1926-28 და 1930 პრემიერ-მინისტრი, 1926-35 პოლონეთის შეიარაღებული ძალების გენერალ-ინსპექტორი და სამხედრო მინისტრი – 12, 64-69, 194, 198.

პლასტრასი ნიკოლას (1883-1953), ბერძენი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. 1922 წლის სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორი – 192, 223.

პლეხანოვი გიორგი ვალენტინის ძე (ფსევდ.: ნ. ბელტოვი, კირსანოვი და სხვ.) (1856-1918), რუსი პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მარქსისტული ჯგუფის – „შრომის გათავისუფლება" – შემქმნელი, გაზეთ „ისკრის" ერთ-ერთი დამაარსებელი – 58.

პომპეუსი გნეუს მაგნუს (ძვ. წ. 106 – ძვ. წ. 48), რომაელი სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე, მდიდარი და გავლენიანი პატრიციუსი. 65 წელს დალაშქრა იბერია, კოლხეთი და ალბანეთი – 40, 42, 135, 182.

პორფირი მარიან (1895-1988), პოლონელი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, სამხედრო ისტორიკოსი – 210.

პოროსი (ბერძ. Poros), ინდოეთის მეფე. ძვ. წ. 326 დამარცხდა ალექსანდრე მაკედონელთან ბრძოლაში – 42.

პორუსი, იხ. პოროსი (ბერძ. Poros).

პრუსი ბოლესლაე (ნამდვ. სახელი და გვარი – ალექსანდრ გლოვაცკი) (1847-1912), პოლონელი მწერალი – 167.

პურიშკევიჩი ელადიმერ მიტროფანეს ძე (1870-1920), რუსი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, „რუს ხალხთა კავშირისა" და „მიქაელ მთავარანგელოზის კავშირის" ერთ-ერთი ლიდერი, მონარქისტული პარტიის ნარმომადგენელი, გრიგოლ რასპუტინის მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილე – 80-81.

პუშკინი ალექსანდრ სერგეის ძე (1799-1837), რუსი მწერალი, ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებელი – 142.

ჟ

ჟვანია იან (1899-1983), პოლონელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, სამხედრო ისტორიკოსი. 1920-იან წლებში ვარშავის „პოდხორუნჟების" სკოლის სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის მასწავლებელი – 194.

ჟვანია ზაალ (ზალიკო) შალვას ძე (1932-1977), ჟურნალისტი, 1965-77 გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქტორი – 8.

ჟორდანია გიგი გიორგის ძე (1911-2001), ისტორიკოსი, მედიევისტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1960), პროფესორი (1963), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1979) – 361-362.

ჟორდანია ვახტანგ გივის ძე (1942-2005), დირიჟორი. 1982-იდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აშშ-ში – 361.

ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე (ფსევდ.: კოსტროვი, ანი, ნარი, ნარიძე და სხვ.) (1868-1953), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 1919 წლის 24 ივლისიდან. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 7, 36, 59, 101, 111, 113, 198, 324, 329, 368.

ჟურული გიორგი დურმიშხანის ძე (ფსევდ.: გ-ლი, გ. ჟ. და სხვ.) (1863-1951), პოლიტიკური და საზოგადო მოღ-

ვანე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, 1918 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობ-მრეწველობის მინისტრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 304.

ჟღენტი ალექსანდრე, 1960-იან წლებში საზღვარგარეთის ქეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების (ГОКС) თავმჯდომარის მოადგილე – 269.

ჟღენტი ბესარიონ (ბესო) დავითის ძე (1903-1976), კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე – 267.

რ

რააბე რიხარდ ფონ, გერმანელი ორიენტალისტი, მკვლევარი და მთარგმნელი – 126.

რამიშვილი აკაკი (კაკი) ნოეს ძე (1916-1999), ექიმი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. ნოე რამიშვილის შვილი, მაია კვალიაშვილის მეუღლე – 323.

რამიშვილი ისიდორე ივანეს ძე (ფსევდ.: ი. რ., ისრამიშვილი და სხვ.) (1859-1937), სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 36.

რამიშვილი ნოე ბესარიონის ძე (ფსევდ.: პეტრე, სემიონოვი ნ. და სხვ.) (1881-1930), სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე 1919 წლის 24 ივლისამდე. 1919-21 შინაგან საქმეთა მინისტრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 14, 24, 92, 100, 228, 329.

რასპუტინი (ნამდვ. გვარი – ნოვიხი) გრიგოლ ექვთიმეს ძე (1864/65 ან 1872-1916), იმპერატორ ნიკოლოზ II-ისა და მისი მეუღლის – ალექსანდრას ფავორიტი, ავანტიურისტი – 79-81, 83.

რატიანი მელქისედეკ (მექი) (?-1936), აგრონომი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. მარიამ გარიყულის (ნამდვ. გვარი – თათიშვილი) (1883-1960) მეუღლე – 83, 111.

რატიშვილი გიორგი (ტატო) იოსების ძე (თიკუნი: Bochniak) (1900-1940), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ოუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის" კავალერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 12-13, 162, 181, 203, 223, 233, 286, 315, 318.

რახმანინოვი სერგეი ვასილის ძე (1873-1943), რუსი კომპოზიტორი, პიანისტი-ვირტუოზი – 142.

რეზო, იხ. გაბაშვილი რევაზ (რეზო) ალექსანდრეს ძე.

რეზო, იხ. გამცემლიძე რევაზ (რეზო) ვლადიმერის ძე.

რეზო, იხ. გედევანიშვილი რევაზ (რეზო).

რენენკამპფი პაველ კარლის ძე (1854-1918), რუსი სამხედრო მოღვაწე, კავალერიის გენერალი (1910), რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. I მსოფლიო ომის დასაწყისში სარდლობდა 1-ელ არმიას. აღმოსავლეთ პრუსიის ოპერაციაში (1914) დანაშაულებრივი უმოქმედობის გამო ითვლება მე-2 არმიის, ხოლო 1914 წლის სექტემბერში 1-ლი არმიის დამარცხების ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ. რენენკამპფი გადააყენეს. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა დააპატიმრეს და რევოლუციური ტრიბუნალის განაჩენით დახვრიტეს – 79.

რიმსკი-კორსაკოვი ნიკოლოზ ანდრიას ძე (1844-1908), რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი – 142.

რიჟევი, რუსი ოფიცერი, სოციალ-რევოლუციონერული პარტიის წარმომადგენელი, შემდეგში სოციალ-დემოკრატი. I მსოფლიო ომის დროს მსახურობდა კავკასიის მე-8 მსროლელთა პოლკში – 86.

რობაქიძე გრიგოლ ტიტეს ძე (ფსევდ.: გ. გ., გ. კ., გივი გოლლენდ, გ. გოლლენდ, გრ. კავკასიელი, Г. К., Г. Р.-К., Гр. Р.-К., Гр. Робакидзе-Кавкасьелли, Г. Робакидзе-Кавкасьелли, Grigol Avalon Robakidse, Avallon Cardwell, Avallon Youngaroo, FRIEND და სხვ.) (1880-1962), მწერალი, პოეტი, დრამატურგი, ლიტერატურის კრიტიკოსი. 1931-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 14, 304.

როინაშვილი (როინოვი) ალექსანდრე სოლომონის ძე (1846-1898), პირველი ქართველი ფოტოგრაფი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი – 46.

რომანოვი დიმიტრი პაველის ძე (1891-1942), დიდი მთავრის პაველ ალექსანდრეს ძე რომანოვის შვილი, ალექსანდრე II-ის შვილიშვილი, ნიკოლოზ II-ის ბიძაშვილი. მონაწილეობდა გრიგოლ რასპუტინის მკვლელობაში. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პოლიტიკური ემიგრანტი – 80-81.

რომანოვი მიხეილ ალექსანდრეს ძე (1878-1918), სამხედრო მოღვაწე, მხედართმთავარი, გენერალ-ლეიტენანტი (1916), გენერალ-ადიუტანტი (1917), 1901-17 სახელმწიფო საბჭოს წევრი. ალექსანდრე III-ის მეოთხე ვაჟი, ნიკოლოზ II-ის უმცროსი ძმა – 82.

რომანოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1832-1909), დიდი მთავარი, 1862-82 კავკასიის მეფისნაცვალი. რუსეთის მეფე ნიკოლოზ I-ის მეოთხე ვაჟიშვილი – 58.

რომანოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1856-1929), სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი (1904). დიდი მთავ-

რის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის პირველი ვაჟი, ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი – 82.

რომელი ერვინ (1891-1944), გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი (1942). 1910-იდან მსახურობდა გერმანიის არმიაში, მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. 1919-იდან მსახურობდა რაიხსვერში, შემდეგ ვერმახტში. 1939 წლის სექტემბრიდან იყო ჰიტლერის ბანაკის სამხედრო კომენდანტი, საფრანგეთზე ლაშქრობის დროს 1940 წლის თებერვლიდან – მე-7 სატანკო დივიზიის მეთაური, 1941 წლის თებერვლიდან – 1943 წლის მარტში გერმანიის საექსპედიციო ძალების სარდალი ჩრდილოეთ აფრიკაში, 1943 წლის ივლის-ნოემბერში სარდლობდა არმიათა „ბ" ჯგუფს საფრანგეთში. მონაწილეობდა ჰიტლერის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში, შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ, ჰიტლერის ბრძანებით თავი მოიკლა – 215, 331.

რუბინშტეინი ანტონ გრიგოლის ძე (1829-1894), რუსი პიანისტი, კომპოზიტორი, დირიჟორი, პირველი რუსული კონსერვატორიის ფუძემდებელი – 142.

რუმელი, იხ. რომელი ერვინ.

რუსთაველი, რუსთველი, შოთა (XII-XIII სს.), პოეტი. ჩვენამდე მოღწეულია მისი ერთადერთი პოემა „ვეფხისტყაოსანი" – 7, 17, 19, 125, 139, 167, 186, 190-191, 284, 287-290, 297, 307-308, 313, 319, 323, 331, 412.

რუსიაშვილი მიხეილ (1895-1940), სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. 1940 წელს დახვრიტეს კატინში – 199, 276.

რუხაძე გურანდა ავთანდილის ასული (დ. 1950), მუსიკოსი, პედაგოგი – 411.

რჩეულიშვილები – 348.

რჩეულიშვილი გრიგოლ ივანეს ძე (1820-1877), მწერალი, ჟურნალ „ცისკრის" ავტორ-თანამშრომელი – 47.

რჩეულიშვილი მიხეილ დიმიტრის ძე (1904-1994), ზოოტექნიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1956), პროფესორი (1960), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1967) – 348.

ს

საადი (ნამდვ. სახელი – მუსლიჰედინ აბუ მუსამად აბდ ალ-ლაჰ იბნ მუშრიფ საადი შირაზი) (XIII ს. დასაწყ. – 1292), სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსი, დიდაქტიკოსი მწერალი და მოაზროვნე – 20.

სააკაძე გიორგი სიაუშის ძე, დიდი მოურავი (დაახლ. 1570-1629), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მხედართმთავარი – 138, 170, 182.

სავანელი ხარლამპი ივანეს ძე (1842-1890), საზოგადო მოღვაწე, მომღერალი, საგუნდო დირიჟორი, პედაგოგი – 139.

საველიევი, რუსი სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი. 1910-იან წლებში თბილისის კადეტთა კორპუსის სამხედრო ტაქტიკის მასწავლებელი – 108.

საიათნოვა (ფსევდ.: სეიდნოვა – პანგის უფალი, პატრონი) (დაახლ. 1712-1722 – დაახლ. 1795-1801), სომეხი პოეტი, აშუღი. ცხოვრობდა საქართველოში. მამა ალეპოელი მნათე იყო, დედა – თბილისელი, ავლაბრელი სომეხი. ლექსებს თხზავდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე – 138.

სალაყაია იოსებ ბეჟანის ძე (1881-1940), სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 66, 236-238.

სალია კალე (კალისტრატე) ზოსიმეს ძე (1901-1986), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, ქართველოლოგი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, ოსლოს უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი (1965), ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების აკადემიის წევრი (1968), საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო უცხოელი წევრი (1977), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (1983) – 302.

სამსონოვი ალექსანდრე ეასილის ძე (1859-1914), რუსი სამხედრო მოღვაწე, კავალერიის გენერალი (1910). I მსოფლიო ომის დასაწყისში მე-2 არმიის სარდალი. აღმოსავლეთ პრუსიის ოპერაციის (1914) დროს ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის სარდლის ი. ჟილინსკის ინერტულობისა და 1-ლი არმიის სარდლის პ. რენენკამპფის ღალატის გამო მე-2 არმია დამარცხდა. ალყიდან გამოსვლის დროს სამსონოვი დაილუპა (საკარაულოდ, თავი მოიკლა) – 79.

სანდრო, იხ. ალავიძე სანდრო (ალექსანდრე).

სანიკიძე თამაზ ევგენის ძე (დ. 1935), ხელოვნებათმცოდნე. 1976-91 საქართველოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი – 360, 429.

სანოიცა ანტონ, პოლონელი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, II მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე – 308.

სარაჯიშვილი დავით ზაქარიას ძე (1848-1911), საზოგადო მოღვაწე, ქართული კონიაკის ნარმოების ფუძემდებელი, მეცენატი, ქიმიისა და ფილოსოფიის დოქტორი (1871) – 164.

სარაჯიშვილი ვანო (ივანე) პეტრეს ძე (1879-1924), მომღერალი (ლირიკულ-დრამატული ტენორი), საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1923) – 139.

სარგონ II (ასურ. შარუქინი, ებრ. Sargon), ასურეთის მეფე ძვ. წ. 722-705 – 135.

სართანია დარეჯან კარლოს ასული (დ. 1961), მუსიკათმცოდნე – 411.

საშა, იხ. სულხანიშვილი ალექსანდრე (საშა, შუშუ).

სენკევიჩი ჰენრიკ (1846-1916), პოლონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1905) – 64, 167, 194.

სერგი, იხ. ჯურულიშვილი სერგო (სერგი) ივანეს (ვანო) ძე (ფსევდ.: ტაიფუნი).

სიამაშვილი ვლადიმერ (ლადო, ვალოდია) (1883-?), სამხედრო მოღვაწე, მაიორი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199.

სიდამონ-ერისთავი ვალერიან (ვალია) (1882-?), სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 113.

სიდამონ-ერისთავი სიმონ (სიკო) (1891-1964), სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, ინჟინერი, I მსოფლიო ომის მონაწილე, 1918-იდან მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში – მეთაურობდა I ქვეითთა დივიზიის შტაბს. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199-200, 340.

სიკო, იხ. კობიაშვილი სვიმონ (სიკო).

სიკო, იხ. სიდამონ-ერისთავი სიმონ (სიკო).

სილიკოვი (სილიკანი) მოვსეს მიხეილის ძე (1862-1937), სომეხი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი. რეპრესირებულია 1937, რეაბილიტირებულია 1987 – 94.

სიმონიკა, იხ. აბაშიძე სიმონ (სვიმონ, სიმონიკა).

სიმონიკა, იხ. იაშვილი სიმონ (სიმონიკა).

სიროსი, სომეხი ოფიცერი, I მსოფლიო ომის დროს მსახურობდა კავკასიის მე-8 მსროლელთა პოლკში – 94.

სიტაშვილი, სამხედრო მოღვაწე, მაიორი. 1918-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის დაზვერვის განყოფილების უფროსის თანაშემწე – 95.

სკლიაროსი, სკლეროსი ბარდა (გ. 991), X ს. ბიზანტიელი პოლიტიკური მოღვაწე, პატრიკიოსი, აღმოსავლეთ სხოლათა დომესტიკოსი, უზურპატორი – 182.

სოლომონ მეფე, იხ. სოლომონ I.

სოლომონ I (1735-1784), იმერეთის მეფე 1752-84, ალექსანდრე V-ის ძე – 324.

სომხიანცი (შეცცლილი გვარი – სომხიშვილი) მელიქ (მელიქა) (1900-?), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქარველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, მაიორი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 158-159, 176-177, 203-304.

სომხიშვილი მელიქ, იხ. სომხიანცი (შეცცლილი გვარი – სომხიშვილი) მელიქ (მელიქა).

სოსო, იხ. სტალინი (ნამდვ. გვარი – ჯუღაშვილი; პარტ. ფსევდ.: კობა) იოსებ (სოსო) ბესარიონის ძე.

სოფიო, იხ. ჩხეიძე (ქალიშვილობაში – კვინიტაძე) სოფიო ივანეს ასული.

სოფიო, XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში სოფ. პატარძეულში განთქმული მომღერალი – 166.

სპარტაკი (გ. ძვ. წ. 71), ძველ რომში მონათა აჯანყების ბელადი – 42.

სპირიდონი, იხ. ჭაჭანავაძე (ჭაჭანავაძეები) სპირიდონ მიხეილის ძე.

სტავინსკი ჯერზი (ეჟი) შტეფან (1921-2010), პოლონელი მწერალი, რეჟისორი, კინოსცენარისტი. ელენე ამირაჯიბის (ამირეჯიბი) (დ. 1932) მეუღლე – 284.

სტალინი (ნამდვ. გვარი – ჯუღაშვილი; პარტ. ფსევდ.: კობა) იოსებ (სოსო) ბესარიონის ძე (1878-1953), საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე, საბჭოთა კაეშირის გმირი (1945), საბჭოთა კაეშირის გენერალისიმუსი (1945), 1922-53 კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური (პირველი) მდივანი – 141, 212-313, 324, 329.

სტანისლავი, იხ. ვიშნევსკი სტანისლავ.

სტანისლავსკი (ნამდვ. გვარი – ალექსეევი) კონსტანტინე სერგეის ძე (1863-1938), რუსი მსახიობი, რეჟისორი, პედაგოგი, თეატრალური მოღვაწე, სსრკ სახალხო არტისტი (1936) – 102.

სტასია, იხ. ჩელინსკა-კვალიაშვილი სტანისლავა (სტასია).

სტრაუსი იოზეფ (1510-1568), პოლონელი პუმანისტი, მთარგმნელი, პოლონეთის სამეფო კარის ექიმი, ქ. პოზნანის მერი – 277.

სულა ლუციუს კორნელიუს (ძვ. წ. 138-78), ძველი რომის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე – 42.

სულევსკი ვოიცეხ, პოლონელი პუბლიცისტი და მწერალი – 308.

სულეიმანი, I მსოფლიო ომის დროს მშობლებისაგან მიტოვებული ქურთი ბავშვი, რომელიც საკუთარი შვილივით გაზარდა მარიამ გულისაშვილმა – 166.

სულხანიშვილი, სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი. 1921 წლის თებერვალში კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლების მონაწილე – 162, 167.

სულხანიშვილი ალექსანდრე (საშა, შუშუ) (1900-1990), 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შეფიცული. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 7-10, 14, 196, 260, 309, 319, 334, 340-344, 346-360, 363, 365-366, 372-374, 376-378, 380, 382-385, 387-388, 390-406, 411, 428.

სულხანიშვილი თენგიზ, (დ. 1946), ტელეჟურნალისტი. 2008-იდან გაზეთ „თბილისი-ნიუ-იორკის" საკუთარი კორესპონდენტი ამერიკაში – 359.

სულხანიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) პაატას ძე (1871-1919), კომპოზიტორი, ლოტბარი, მომღერალი – 10, 139, 167, 382.

სუმბათაშვილ-იუჟინი ალექსანდრე ივანეს ძე (1857-1927), რუსი დრამატურგი, მსახიობი, რსფსრ სახალხო არტისტი (1922), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (1917) – 107.

სუმბათაშვილი (სუმბათოვი) გრიგოლ ვასილის ძე (1882-1921 შემდეგ), სამხედრო მოღვაწე, გენერალი (1919), გიორგის ჯვრის კავალერი (1915), რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1918-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მე-2 დივიზიის შტაბის უფროსი, 1921 მე-2 დივიზიის მეთაური – 37.

სურგულაძე აკაკი ნესტორის ძე (1913-1991), ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1967), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1974), საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1982) – 307-308.

სხირტლაძე არკადი სპირიდონის ძე (1902-1940), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის" კავალერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. 1940 წელს დახვრიტეს კატინში – 12, 181, 208, 210, 328, 425.

სხირტლაძე იანინა, იხ. კიჩინსკა-სხირტლაძე იანინა.

სხირტლაძე ირინა არკადის ასული (1928-1944), „პარასოლის" ბატალიონის მეკავშირე და სანიტარი. დაილუპა 1944 წლის 14 სექტემბერს. დაჯილდოებულია მედლით „მამაცთა ჯვარი". დასაფლავებულია ვარშავის პოვონზკის სამხედრო სასაფლაოზე – 208, 210, 212, 322, 328, 425.

Soulkhan A., იხ. სულხანიშვილი ალექსანდრე (საშა, შუშუ).

ტ

ტალე, 1900-იან წლებში სოფ. პატარძეულში მცხოვრები გლეხი – 143.

ტალიკო, იხ. უგრეხელიძე ვიტალი (ტალიკო) პლატონის ძე (ფსევდ.: ვ. უ-ძე; შეცვლილი გვარი – უგორსკი).

ტარიელი, იხ. კვანჭილაშვილი ტარიელ სოლომონის ძე.

ტასო, ვალერიან თევზაძის ბიცოლა – 83.

ტერიაშვილი კონსტანტინე (1882-1940), სამხედრო მოღვაწე, მაიორი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, პოლონეთ-საქართველოს საზოგადოების წევრი (1925). 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199.

ტოლსტოი ლევ ნიკოლოზის ძე (1828-1910), რუსი მწერალი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი (1873), საპატიო აკადემიკოსი (1900) – 159.

ტოპოლევსკა მარიამ-მაგდალენა (მარიკო-მაგდალენა) იანის ასული (დ. 1972), მანანა კვალიაშვილისა და იან ტოპოლევსკის შვილი, მიხეილ კვალიაშვილის შვილიშვილი – 309, 312.

ტრეისი ენ (1890-1978), ამერიკელი ადვოკატისა და სახელმწიფო მოღვაწის ჯონ ბიგელოუს (1817-1911) შთამომავალი, სიმონ სიდამონ-ერისთავის (1891-1964) მეუღლე (მეორე ქორწინება) – 340.

ტრიკილგიდი, ტრიკილგიდისი კ., ბერძენი პოეტი, მთარგმნელი – 17, 190-191, 412.

ტროცკი (ნამდვ. გვარი – ბრონშტეინი) ლევ (ლეიბა) დავითის ძე (1879-1940), საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მუშაკი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) მემარცხენე რადიკალური ფრთის ლიდერი და იდეური ხელმძღვანელი. 1917-18 საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, 1918-25 სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი. 1929 გაასახლეს სსრკ-დან. 1940 მოკლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტმა – 30, 90.

ტურაშვილი გრიგოლ (გიგა) (1900-1977), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, მაიორი, ომის შემდეგ პოდპოლკოვნიკი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის" კავალერი, II მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 208, 254-255, 273-274, 285-286, 288, 295, 297, 302, 312-313, 317, 322, 325-326, 331, 379, 385.

ტუსიშვილი საბა, სასულიერო მოღვაწე, მღვდელი. 1743/45-იდან – 1780-იანი წლების დასაწყისამდე ნინოწმინდის (წმ. ნინოს) მონასტრის მიტროპოლიტი – 165.

ტუსკია იონა ირაკლის ძე (1901-1963), კომპოზიტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1968) – 118, 139, 141-142.

უ

უგორსკი, იხ. უგრეხელიძე ვიტალი (ტალიკო) პლატონის ძე (ფსევდ.: ვ. უ-ძე; შეცვლილი გვარი – უგორსკი).

უგრეხელიძე ვიტალი (ტალიკო) პლატონის ძე (ფსევდ.: ვ. უ-ძე; შეცვლილი გვარი – უგორსკი) (1901-1983), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი, ლიტერატორი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის" კავალერი, „იუნკერთა კაუშირის" (1928-32) წევრი, ჟურნალ „მხედარის" (1929-37) რედაქტორი (სარედაქციო კოლეგიასთან ერთად (1931-37), II მსოფლიო

ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 196, 206, 208, 236, 239-240, 273-274, 302, 304-306, 309, 311, 330, 334, 336.

უთნელიშვილი, სამხედრო მოღვაწე, მაიორი – 113.

უილსონი ტომას ვუდრო (1856-1924), ამერიკის 28-ე პრეზიდენტი (1913-21) დემოკრატიული პარტიიდან. მას ეკუთვნის I მსოფლიო ომის შემდგომ სახელმწიფოთა კავშირის შექმნის იდეა (ე. წ. „თოთხმეტი პუნქტი"), ნობელის პრემიის ლაურეატი (1920) – 68.

უმაევი ათაბეი, პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტი, ქალაქცა ჩოლოყაშვილისა და შეიხ ალი მიტაევის მეკავშირე. 1925 დახერჩეს ბოლშევიკებმა – 357-358.

ურაბაძე გრიგოლ (გრიშა) ილარიონის ძე (1878-1959), სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 104.

ურუშაძე ლევან ზურაბის ძე (დ. 1964), ისტორიკოსი, პოლიტოლოგი და პუბლიცისტი – 198.

უსტიაშვილი ალექსანდრე (ალექსი) დიმიტრის ძე (1896-1978), მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1937), პროფესორი (1939), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე – 167.

უსუი შიგეკი, იაპონელი სამხედრო მოღვაწე, ვიცე-პოლკოვნიკი. 1934-45 ბერლინში იაპონიის სამხედრო ატაშეს – გენერალ პიროში ოშიმეის (1886-1975) თანაშემწე – 291.

ფ

ფავლენიშვილი გიორგი (1895-?), სამხედრო მოღვაწე, მაიორი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199.

ფალიაშვილი ზაქარია პეტრეს ძე (1871-1933), საზოგადო მოღვაწე, კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი, კლასიკოსი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1925) – 118-119, 124, 128, 139, 141.

ფალიაშვილი ლევან პეტრეს ძე (1895-1976), კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე, პედაგოგი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1967) – 118.

ფარნაოზი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ჯარისკაცი – 26, 62.

ფარნაოზი, იხ. ნაცელიშვილი ფარნაოზ.

ფარცხალაძე ალექსი ალექსის ძე (1897-1972), კომპოზიტორი, პედაგოგი, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი (1939), საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1941) – 118.

ფერაძე გრიგოლ რომანოზის ძე (1899-1942), თეოლოგი, მეცნიერი, ისტორიკოსი, ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი და ფილოლოგიის პრივატ-დოცენტი, პარიზის წმ. ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის დამაარსებელი და მისი პირველი წინამძღვარი, ვარშავის უნივერსიტეტის პატროლოგიის პროფესორი და ვარშავის მართლმადიდებლური ეკლესიის არქიმანდრიტი. დაილუპა ოსვენციმის (აუშვიცის) საკონცენტრაციო ბანაკის გაზის კამერაში (თავისი სურვილით შევიდა მრავალშვილიანი მამის ნაცვლად) – 10, 66, 167, 169, 211, 269, 333-339, 341, 346-347, 379.

ფერაძე ვასილ (ვასო) რომანოზის ძე (1903-1982), ფიზიკოსი, საზოგადო მოღვაწე. გრიგოლ ფერაძის ძმა – 333, 411.

ფერაძე რომანოზ ვასილის (ვასო) ძე (დ. 1942), ინჟინერ-გეოლოგი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1979), პროფესორი (1993). გრიგოლ ფერაძის ძმისწული – 334-336.

ფიგუროვი, რუსი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. I მსოფლიო ომის დროს კაეკასიის მე-8 მსროლელთა პოლკის უფროსი – 82.

ფილიპე II მაკედონელი (ბერძ. Philippos) (დაახლ. ძვ წ. 382-336), მაკედონიის მეფე. ალექსანდრე მაკედონელის მამა – 42.

ფიცხელაურები, სოფ. პატარძეულის მკვიდრნი, რომელთაც 1910-იანი წლების მეორე ნახევარში ხუროვიანთ გორაზე უძველესი სასაფლაოს ნაშთები აღმოაჩინეს – 228.

ფოკინი მ. ბ., ვარშავის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი – 140.

ფრანც-ფერდინანდი (1863-1914), ავსტრიის ერცჰერცოგი. იმპერატორ ფრანც იოზეფ I-ის ძმისშვილი, პაბსბურგთა ტახტის მემკვიდრე. 1914 წლის 28 ივნისს სარაევოში მოკლა კონსპირაციული ჯგუფის „ახალგაზრდა ბოსნიის" წევრმა გავრილო პრინციპმა – 68.

ფრიდრიხ დიდი, იხ. ფრიდრიხ II დიდი.

ფრიდრიხ II დიდი (1712-1786), პრუსიის მეფე 1740-იდან, პოენცოლერნების დინასტიიდან. ფრიდრიხ ვილპელმ I-ის ძე, გამოჩენილი მხედართმთავარი – 43.

ფურცელაძე ანტონ ნიკოლოზის ძე (ფსევდ.: ქერელი ბექა, ბაქია, თავხედი, ზურაბ ზოენიძე, ულოლიკო და სხვ.) (1839-1913), საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, ყურნალ „ცისკრის" თანამშრომელი, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დამფუძნებელი კომისიის წევრი (1886), ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი (1886) – 47.

ფურცელაძე შალვა (შალიკო) (1899-1936), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 203.

ფუფალა, სოფ. პატარძეულის მკვიდრი. გიორგი ლეონიძის თხზულების – „ნატვრის ხე" – პერსონაჟის პროტოტიპი – 166.

ქ

ქავთარაძე ივანე (ვანო) (1896-1944), სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, II მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199, 330.

ქავთარაძე მიხეილ (მიშა) (1907-2008), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე. 1927-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 7, 353-355, 363-370, 394-398, 400, 411.

ქავთარაძე სერგო ივანეს ძე (1885-1971), პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, კომპარტიის წევრი 1908-იდან, 1918 ვლადიკავკაზის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, 1921 საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარი, 1922 საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, 1923-24 საბჭოთა საელჩოს მთავარი მრჩეველი თურქეთში, 1924-27 სსრკ უზენაესი სასამართლოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე. 1927 წლის დეკემბერში საკავშირო კპ(ბ) XV ყრილობამ გარიცხა პარტიიდან, როგორც ტროცკისტული ოპოზიციის აქტიური მონაწილე. 1940 აღადგინეს პარტიაში. 1940-45 მუშაობდა სსრკ საგარეო საქმეთა სახკომში განყოფილების გამგედ, 1945-52 სსრკ სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთში, 1952-55 – სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი – 103, 111.

ქარაბექირ (კარაბექირ) ქიაზიმ მუსა (1882-1948), ოსმალეთისა და თურქეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი. პირველი მსოფლიო ომის ბოლოს მეთაურობდა აღმოსავლეთის არმიას. იყო თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე – 28.

ქარუმიძე ვლადიმერ (ლადო) (?-1937), სამხედრო მოღვაწე, არტილერიის კაპიტანი. რეპრესირებულია 1937 – 61, 162, 167, 178.

ქარცელი სერგო, II მსოფლიო ომის დროს, პოლონეთის ტერიტორიაზე ტყვედჩავარდნილი ქართველი ჯარისკაცი. ვარშავაში, შუხას პროსპექტზე განთავსებულ ყოფილი გესტაპოს შენობის სარდაფის კედელზე შემორჩენილია მისი სახელი, გვარი და მისამართი – 311.

ქაქუცა, იხ. ჩოლოყაშვილი ქაქუცა (ქაიხოსრო) იოსების ძე.

ქემალ ფაშა, იხ. ათათურქი მუსტაფა ქემალ.

ქიქოძე ვანო (ივანე, იოპან) ტიტეს ძე (1905-1988), საზოგადო მოღვაწე, ინჟინერი. ტიტე ქიქოძისა (1860-1939) და ნინო ბარათაშვილის (1886-1953) ვაჟი, გიორგი (1907-1986) და ეკატერინე (1909-1991) ქიქოძების უფროსი ძმა. 1924-იდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიაში. 1950-70-იან წლებში მის მიერ გადაღებული სლაიდების კოლექცია 550 დიაპოზიტივს აერთიანებს და ასახავს ტაო-ლარჯეთის უნიკალურ ძეგლებს; ერზრუმის, ანტიოქიის, დიარბექირის, ტრაპიზონისა თუ სტამბოლის სხვადასხვა უბანს, ციხე-სიმაგრეებს, სომხური კულტურის ცალკეულ ძეგლებს (დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში), ხოლო მისი უძვირფასესი იარაღის კოლექცია, რეზო თაბუკაშვილმა საქართველოში ჩამოიტანა და შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დააბინავა – 428.

ქიშმიშიანი, სომეხი პოლიტიკური მოღვაწე. 1921 წელს სომხეთის წარმომადგენელი საქართველოში – 102.

ქორიძე ფილიმონ იასეს ძე (1829-1911), პირველი ქართველი პროფესიონალი მომღერალი (ბანი), პედაგოგი, ფოლკლორისტი, ხალხური გუნდების ორგანიზატორი და ლტბარი, ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი – 139.

ქრისტე, იხ. იესო ქრისტე.

ქსენოფონტი (დაახლ. ძვ. წ. 435-სა და 431-ს შორის – 355/354), ძველი ბერძენი ისტორიკოსი – 126, 135.

ქსერქსე I, სპარსეთის მეფე ძვ. წ. 486-465. სცადა საბერძნეთის დაპყრობა, მაგრამ დამარცხდა სალამინთან – 42.

ქსერქსი, იხ. ქსერქსე I.

ქუთათელაძე ბიძინა (ფსევდ.: ენ-გურ, ბ-ნა ქ-ძე, ბი-ნა ქუ-ლაძე, ქუ-ძე და სხვ.) (1889-1969), სამხედრო მოღვაწე, მაიორი, პუბლიცისტი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, „ქართველ მხედართა საზოგადოების" (1933-იდან) წევრი, ჟურნალ „მხედრის" (1929-37) თანამშრომელი, II მსოფლიო ომის მონაწილე.1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199, 240.

ქუთათელაძე დავით (დათა) (1894-?), სამხედრო მოღვაწე, მაიორი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199.

ქუთათელაძე კირილე პეტრეს ძე (1861-1929), სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, მინიჭებული ჰქონდა დივიზიის გენერლის წოდება (1926); რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, 1918-21 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის საარტილერიო სექციის უფროსი, ბათუმის ციხე-სიმაგრის კომენდანტი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 95, 101, 199.

ყ

ყაზბეგი (ნამდვ. გვარი – ჩოფიკაშვილი) ალექსანდრე (სანდრო) მიხეილის ძე (1848-1893), მწერალი, დრამატურგი, მსახიობი – 47, 164, 167.

ყაზბეგი გიორგი ნიკოლოზის ძე (1839-1921), სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი (1900). 1908-18 ქართველ-

თა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, 1918-21 საპატიო თავმჯდომარე. ავტორია სამეცნიერო შრომებისა სამხედრო, გეოგრაფიულ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ დარგში. სამხედრო და გეოგრაფიული ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1873 წელს აჭარასა და ლაზეთში მოგზაურობის ანგარიში (1876); ისტორიულ ნაშრომებში კი განხილულია იტალიელ მოგზაურთა ცნობები კავკასიის შესახებ, კავკასიის სამხედრო ისტორია და სხვ. – 47.

ყაზბეგი ივანე (იან) გიორგის ძე (1860-1943), სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1915), პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, მინიჭებული ჰქონდა ბრიგადის გენერლის ნოდება (1926). რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, 1918-21 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199, 222.

ყაზბეგი ირაკლი (გ. 1939-მდე), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 209.

ყარაშვილი ანდრია ნიკოლოზის ძე (1857-1925), საზოგადო მოღვაწე, კომპოზიტორი, მევიოლინე-ვირტუოზი, პედაგოგი – 139.

ყიფიანი, (გ. 1939-მდე), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, ლეიტენანტი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 203.

ყიფიანი ალექსანდრე (ფსევდ.: ალ. ყ-ი) (1889-1968), სამხედრო მოღვაწე, მაიორი, პუბლიცისტი, იურისტი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, ჟურნალ „მხედრის" (1929-37) თანამშრომელი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199.

ყიფიანი გიორგი (ფსევდ.: ტუხია) (1910-1985), ქართული ემიგრანტული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, გამომცემელი, ჟურნალ „კავკასიონის" რედაქტორი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 289, 320-321, 382, 384-385.

ყიფიანი დავით (გ. 1939-მდე), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. სიცოცხლე თეითმკელელობით დაასრულა. დასაფლავებულია პოლონეთში, რუჟანში – 203.

ყიფიანი დავით ქაიხოსროს ძე (1835-1892), საზოგადო მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, ჟურნალ „საქართველოს მოამბის" თანამშრომელი – 47.

ყოლბაია დავით (დ. 1963), ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის კავკასიოლოგიური კვლევების მუდმივი სემინარის ხელმძღვანელი, აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში – 66, 164, 174, 184-185, 195, 211-213, 231, 235, 238, 240, 276, 281, 305, 337-339, 411.

ყურულიშვილები – 379, 394.

ყურულიშვილი თამარ ივანეს ასული (1916-?), პოლონეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი. სერგო (სერგი) ყურულიშვილის (1894-1925) ძმისწული, ანდრეი ეოტკიევიჩის მეულღე – 321.

ყურულიშვილი სერგო (სერგი) ივანეს ძე (ფსევდ.: ტაიფუნი) (1894-1925), პოლონეთში მოღვაწე პოეტი და ჟურნალისტი, განათლებით ინჟინერ-არქიტექტორი. 1920-იდან ქართულ-პოლონური კლუბის დამფუძნებელი კომიტეტის თავმჯდომარე, 1922-23 ჟურნალ „ვარშავის კურიერის" (1924-იდან „აღმოსავლეთის ხმა") რედაქტორი, ჟურნალების – „პრეზიმიერეე", „პრო გეოგრაია" და „პრო პატრია" თანამშრომელი; ავტორია ორი პოეტური კრებულისა – „ტალღები" (1921) და „მთვრალი ვარდი" (1923). ტრაგიკულად დაილუპა 1925 წლის 25 მარტს. „ნოეს შეიატის" (ვარშავის ცენტრი) ერთ-ერთ კაფეში ეჭვიანობის ნიადაგზე ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა სტეფან ლიკიერნიკმა, მხატვარ ელენე სას-ვოიციცკის ქმარმა – 321, 372.

შ

შაედია, სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი. დაიჭრა ტაბახმელასთან ბრძოლაში – 34, 162, 167.

შაერზაშვილი ალექსანდრე ვასილის ძე (1919-2003), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1982) – 118, 141.

შაერზაშვილი თამარ ანტონის ასული (1901-1955), კომპოზიტორი, პედაგოგი – 139-140.

შათირიშვილი გოჩა (დ. 1965), მკვლევარი, ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი – 408.

შალვა, ამირანაშვილი შალვა იასონის ძე.

შალვა, იხ. მათიკაშვილი შალვა ლავრენტის ძე.

შალიკაშვილი დიმიტრი იოსების ძე (ფსევდ.: დ. შა-ლი, შა-ლი და სხვ.) (1896-1978), სამხედრო მოღვაწე, მაიორი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, პუბლიცისტი, დიპლომატი, II მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199, 236, 238.

შანიძე აკაკი გაბრიელის ძე (1887-1987), ენათმეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1939), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941) – 287.

შანშიაშვილი ალექსანრე (სანდრო) ილიას ძე (1888-1979), პოეტი, დრამატურგი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1930), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1948) – 47, 167.

შარაძე გურამ სევერიანის ძე (1940-2007), ფილოლოგი, ისტორიკოსი, პოლიტიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1966), პროფესორი (1975), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997) – 31-34, 61, 72-74, 80, 104-105, 109, 169, 197, 218, 234, 347, 361, 411.

შაქრო, იხ. ცერცვაძე ზაქარია (შაქრო) (შეცვლილი სახელი და გვარი – ზ. ვარდისიანი).

შახ აბაზი, შახაბაზი, იხ. აბას I, შაჰ-აბას დიდად ნოდებული.

შევარდნაძე ედუარდ ამბროსის ძე (1928-2014), პოლიტიკოსი, საქართველოს სსრ ცკ კომპარტიის პირველი მდივანი (1972-85), საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი (1985-90), საქართველოს პრეზიდენტი (1995-2003) – 330, 359, 361-362.

შერმემატოვი ნიკიტა ვასილის ძე (1932-2013), გრაფი, ინჟინერ-ქიმიკოსი. მაიკო (ელენე) კობიაშვილი-შერმემატოვას (1936-2010) მეუღლე – 277.

შერვაშიძე თამარ პროკოფის ასული (1896-1931), გრაფ პეტრე ზარნეკაუს (1889-1961) მეუღლე – 98.

შეტცელი ტადეუშ (1891-1971), უკრაინელი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, დიპლომატი – 198.

შიუკაშვილი შიო ისაკის ძე, გორის სცენისმოყვარეთა დასის წევრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რწმუნებული ოზურგეთში (1886), ოზურგეთისა (1886) და თელავის (1893) სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველი – 10, 167.

შიხლინსკი ალი-აღა ისმაილ-აღა ოღლი (1865-1943), აზერბაიჯანელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალი, მხედართმთავარი – 38.

შოთა, იხ. რუსთაველი, რუსთველი, შოთა.

შოთა, იხ. ძიძიგური შოთა ვარლამის ძე.

ჩ

ჩაიკოვსკი პეტრე ილიას ძე (1840-1893), რუსი კომპოზიტორი, კემბრიჯის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (1893) – 141-142.

ჩარკვიანი ჯანსულ აედიდის ძე (დ. 1931), პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატი (1978), შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი (1985), შალვა დადიანის სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი (1998), ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე (1996) – 208.

ჩელინსკა-კვალიაშვილი სტანისლავა (სტასია), მიხეილ კვალიაშვილის (1901-1981) მეუღლე, ნინო (დ. 1942), მაია (დ. 1943) და მანანა (დ. 1945) კვალიაშვილების დედა – 207, 273, 300.

ჩეჩელაშვილი იოსებ გრიგოლის ძე, სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. 1918-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი – 93, 95, 101.

ჩიმაკაძე არჩილ ივანეს ძე (1919-1998), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1973) – 118, 126, 141-142.

ჩიმაკაძე გიორგი, 1960-იან წლებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების (ГОКС) თანამშრომელი – 266-269, 282, 411.

ჩინგიზ-ყაენი (ნამდვ. სახელი – თემუჩინი) (დაახლ. 1155-1227), ერთიანი მონღოლური სახელმწიფოს დამაარსებელი, მხედართმთავარი – 135.

ჩინგიზ ხანი იხ. ჩინგიზ-ყაენი (ნამდვ. სახელი – თემუჩინი).

ჩირინაშვილი მიხეილ (მიშა) (1914-1981), კომპოზიტორი – 125.

ჩოქოვანი ლელო, 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შეფიცული. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 260, 309-310, 375.

ჩოქოვანი ნატალია (ნატაშა) პეტრეს ასული (?-1987), ალექსანრე სულხანიშვილის მეუღლე (მეორე ქორწინება) – 341.

ჩიჩერინი გიორგი ვასილის ძე (1872-1936), საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მუშაკი, დიპლომატი, კომპარტიის წევრი 1918-იდან. 1918-იდან რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. 1918 წლის 3 მარტს შედიოდა საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში გერმანიასთან საზავო მოლაპარაკების (ბრესტ-ლიტოვსკის ზავი) დროს. 1923-30 სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, ხელმძღვანელობდა საბჭოთა დელეგაციას გენუისა (1922) და ლოზანის (1922-23) კონფერენციებზე, 1922 ხელი მოაწერა რაპალოს ხელშეკრულებას გერმანიასთან, 1925 – ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტის შესახებ თურქეთთან, 1927 – ირანთან – 28.

ჩოლოყაშვილი თამარ (ციცნა) ქაიხოსროს (ქაქუცა) ასული (1914-1987), ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილისა (1888-1930) და ნინო მელვინეთუხუცესის (1898-1970) უფროსი ქალიშვილი. 1942 საბჭოთა უშიშროების აგენტებმა დედასთან ერთად დააპატიმრეს და ყაზახეთში გადაასახლეს, 1947 გაათავისუფლეს – 360.

ჩოლოყაშვილი ქაქუცა (ქაიხოსრო) იოსების ძე (1888-1930), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. 1922-24 წლებში ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ბრძოლას საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ პოლიტიკური ემიგრანტი – 13, 174, 178, 194-196, 200-201, 216, 218, 222-223, 260, 309-310, 340-341, 357-363, 374, 382-385, 398, 400-401.

ჩორგოლაშვილი არჩილ ივანეს ძე (1911-1994), კომპოზიტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე – 118.

ჩოჩუა, სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი. დაიჭრა ტაბახმელასთან ბრძოლაში – 162.

ჩრდილელი დიმიტრი ნიკოლოზის ძე (1893-1923), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, რატმისტრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1922-იდან მონაწილეობდა ოკუპანტების წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. იყო „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ არსებული „სამხედრო ცენტრის“ წევრი. 1923 წლის მარტში ბოლშევიკებმა „სამხედრო ცენტრის“ სხვა წევრებთან ერთად დაუსტიმრეს და იმავე წლის 20 მაისს დახვრიტეს თბილისში, დღეუანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე – 32.

ჩუბინიძე ვალიკო ილარიონის ძე (ფსევდ.: კაჟი, უდოლარო, ქიაღურელი ვალიკო და სხვ.) (1891-1988), პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე. აჯანყების დამარცხების შემდეგ პოლიტიკური ემიგრანტი – 14, 228.

ჩხეიძე ალექსანდრე დავითის ძე (1879-1941), სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, ბრიგადის გენერალი (1923), რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1919 წლის აგვისტოდან ოუნკერთა სამხედრო სკოლის ხელმძღვანელის, გენერალ კვინიტაძის თანაშემწე, ხოლო 1921 წლის თებერვალში ამ სასწავლებლის უფროსი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. რეპრესირებულია 1941 – 11, 26, 31, 33-34, 57-58, 60-62, 153-156, 158, 162, 167-169, 172, 174, 177, 179, 182, 188, 194, 199, 222, 233, 304, 326, 391.

ჩხეიძე გიორგი (გოგა) ალექსანდრეს ძე (?-1927), სამხედრო მოღვაწე, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, პორუჩიკი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 175, 206.

ჩხეიძე დავით (დუდა) ალექსანდრეს ძე (?-1939), სამხედრო მოღვაწე, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 175, 206-207, 209, 270.

ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) სიმონის ძე (ფსევდ.: ქართველი მკითხველი) (1864-1926), საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1918 ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე, 1919-21 საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. 1926 წლის 11 ივნისს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა – 88, 91.

ჩხეიძე (ქალიშვილობაში – კვინიტაძე) სოფიო ივანეს ასული, ალექსანდრე ჩხეიძის (1879-1941) მეუღლე, გიორგი კვინიტაძის (1874-1970) და, გიორგი (?-1927) და დავით (?-1939) ჩხეიძეების დედა – 162, 174.

ჩხენკელი აკაკი ივანეს ძე (1874-1959), პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, 1917 ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, 1918 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 90-91.

ჩხენკელი შალვა ვასილის ძე (დ. 1928), ექიმი-ენდოკრინოლოგი. თამაზ ჩხენკელის (1927-2010) ძმა – 284.

ჩხიკვაძე გრიგოლ ზაქარიას ძე (1898-1986), მუსიკათმცოდნე, პედაგოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი (1947), საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1946) – 118, 134, 136.

ჩხიკვაძე ზაქარია ივანეს ძე (1862-1930), საზოგადო მოღვაწე, მუსიკოსი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, ლტბარი – 139.

ჩხიკვიშვილი ალიკ, 1910-იან წლებში თბილისის კადეტთა კორპუსის კურსანტი. ვალერიან თეეზაძის ბიძაშვილი – 108.

ც

ცაგარეიშვილი ვალერიან გერასიმეს ძე (1901-1974), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1946) – 141.

ცაგარელი, სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. 1918-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის საორგანიზაციო განყოფილების უფროსის თანაშემწე – 95.

ცეზარი, იხ. იულიუს კეისარი, ცეზარი გაიუს.

ცერცვაძე ზაქარია (შაქრო) (შეცვლილი სახელი და გვარი – ზ. ვარდისიანი), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 208, 273-274, 302, 304, 306-307, 314, 394.

ციბაძე ვლადიმერ (ლადო) (თიკუნი: ციბა), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 13, 188, 191-192, 202, 223, 276, 278-279, 295, 297-298, 302, 317, 322, 379, 385.

ცინცაძე სულხან თევდორეს ძე (1925-1991), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1961), სსრკ სახალხო არტისტი (1987), სტალინური პრემიის ლაურეატი (1950), ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (1977), შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი (1981) – 118-120, 125, 140-142.

ციციანოვი (ციციშვილი) პავლე დმიტრის ძე (1754-1806), ქართული წარმომავლობის რუსეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი (1804) – 361.

ციციშვილი, სავარაუდოდ: 1. ციციშვილი ივანე ნიკოლოზის ძე (1857-1921), თავადი, სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1918); 2. ციციშვილი ივანე დავითის ძე (1865 – დაახლ. 1938) თავადი, სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი (1914) – 97-98.

ციციშვილი კონსტანტინე (კოტე, Konstanty) (დ. 1937), პოლონეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორი და სცენარისტი. გადაღებული აქვს ფილმები: „ილუზია“ (1966), „ტამანი“ (1969) და „ხელი მზის ქვეშ“ (1971); 1965-89 განხორციელებული აქვს 21 თეატრალური და სატელევიზიო დადგმა – 286, 288.

ციციშვილი ნატო შალვას ასული (დ. 1943), ჟურნალისტი. 1987-95 გაზეთ „ქართული ფილმის“ რედაქტორი – 408.

ცომაია ლალი ავთანდილის ასული (დ. 1960), ფილოლოგი, თბილისის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (2013). საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის საგამომცემლო განყოფილების კურატორი – 9-10, 13-14, 28, 42-44, 46-47, 58, 64, 67-68, 76, 79-84, 87-88, 92, 95-99, 102-103, 107-108, 113, 117-121, 126, 130-131, 133-135, 138-140, 142, 145-146, 153-156, 158, 160, 165-168, 172, 178-179, 182, 188-191, 193-194, 196, 202-203, 207-208, 210, 213, 215, 218, 220, 260, 263, 267, 273, 276, 282, 284-286, 290, 292-293, 295, 297-300, 307-308, 310, 312-313, 315, 317, 319-320, 323, 325, 328-329, 331, 334, 340, 347, 349, 351, 357, 359-362, 372-373, 376-377, 379, 381, 385-386, 393, 397, 408, 411, 414, 428.

ცონტოსი, ბერძენი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. 1920-იან წლებში ათენის სამხედრო სკოლის „სხოლიონ ტონ ეველპიდონ“ (საიმედოთა სასწავლებელი) უფროსი – 190.

ცორვიძე, სამხედრო მოღვაწე, რუსეთის არმიის ოფიცერი. I მსოფლიო ომის დროს იბრძოდა კავკასიის ფრონტზე, მე-8 მსროლელთა პოლკში – 87.

ძ

ძაგანია, სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. I მსოფლიო ომის დროს იბრძოდა კავკასიის ფრონტზე, მე-8 მსროლელთა პოლკში. 1918-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი – 90, 101, 108.

ძიძია, მიხეილ კვალიაშვილისა და ნიკოლოზ მათიკაშვილის საერთო ნაცნობი – 274.

ძიძიგური შოთა ვარლამის ძე (1911-1994), ენათმეცნიერი, ქართული ენისა და დიალექტების მკვლევარი, ბასკოლოგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1963), პროფესორი (1963), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1971), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974) – 248, 293, 329.

ძნელაძე ბორის დავითის ძე (1901-1923), საქართველოს კომკავშირის დამაარსებელი, კომპარტიის წევრი 1917-იდან – 156, 172.

წ

წაჩიტაშვილი, სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. 1918-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის მომარაგების განყოფილების უფროსი – 94.

წერეთელი აკაკი როსტომის ძე (1840-1915), საზოგადო მოღვაწე, პოეტი, მწერალი – 47, 139, 164, 167, 294.

წერეთელი გიორგი ექვთიმეს ძე (1842-1900), საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ჟურნალისტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი (1886). 1866-69 გაზეთ „დროების“, 1871-73 ჟურნალ „კრებულის“, 1893-1900 გაზეთ „კვალის“ რედაქტორი – 47.

წერეთელი გიორგი ილიას ძე (ფსევდ.: გიორგი ჯაყელი) (1917-1993), ქართული პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ემიგრაციის წარმომადგენელი, პოეტი, პუბლიცისტი. 1974-იდან ჟურნალ „გუშაგის“ რედაქტორი. ლევან ზურაბიშვილთან და მიხეილ გრიგოლიასთან ერთად ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნის“ დამაარსებელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი (1974) – 345.

წერეთელი ზურაბ კონსტანტინეს ძე (დ. 1934), მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი, პედაგოგი, რუსეთის ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტი (1997) – 87.

წერეთელი მიხაკო (მიხეილ) გიორგის ძე (ფსევდ.: მ. სანგალა, ალაროდელი, ერაკი, Bâton, un camarade და სხვ.) (1878-1965), მეცნიერი, ფილოლოგი, პუბლიცისტი, სოციოლოგი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 304.

წერეთელი როსტომ გრიგოლის ძე (1848-1923), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1914). 1877-78 რუსეთ-თურქეთის, რუსეთ-იაპონიისა და I მსოფ-ლიო ომების მონაწილე. 1918-იდან მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში, მეთაურობდა ვლადიკავკაზ-დარიალის მიმართულების ფრონტს. 1922-იდან მონაწილეობდა ოკუპანტების წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. იყო „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ არსებული სამხედრო ცენტრის“ წევრი. 1923 წლის მარტში ბოლშევიკებმა „სამხედრო ცენტრის“ სხვა წევრებთან ერთად დაუპატიმრეს და იმავე წლის 20 მაისს დახვრიტეს თბილისში, დღეუანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე – 107.

წითლანაძე თადეოზ (თედორე, თადე), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ოუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკუ-

რი ემიგრანტი – 203, 208, 273-274, 276, 295, 297, 302, 317, 372, 379, 385-386, 394.

წიკლაური ვლადიმერ, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ოუნკერი. დაიჭრა ტაბახმელასთან ბრძოლაში – 162.

წინამძღვრიშვილი მიხეილ ბირთველის ძე (1818-1875), პოეტი, მთარგმნელი – 47.

წმ. აბო, იხ. აბო თბილელი (ტფილელი).

წმ. გიორგი, პირველმოწამე, ძლევამოსილი ქრისტიანი წმინდანი კაპადოკიიდან – 85, 121, 136, 138, 192.

წმ. სტეფანე, სტეფანე პირველდიაკონი და პირველმოწამე. ქრისტეს სამოცდაათ მოციქულთაგანი პირველი ადამიანი, რომელმაც ქრისტესთვის სიცოცხლე გასწირა. მისი წამების დეტალები მოყვანილია ახალი აღთქმის ფურცლებზე – 347.

წულუკიძე ვარდენ გრიგოლის ძე (1865-1923), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი. მსახურობდა რუსეთის იმპერიის, შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მონაწილეობდა ოკუპანტების წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებული აჯანყების მოშზადებაში. იყო „საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტთან" არსებული „სამხედრო ცენტრის" წევრი. 1923 წლის მარტში „სამხედრო ცენტრის" სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრეს და იმავე წლის 20 მაისს დახვრიტეს თბილისში, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე – 101.

ჭ

ჭაბუკიანი ვახტანგ მიხეილის ძე (1910-1992), მოცეკვავე, ბალეტმაისტერი, პედაგოგი, ქართული პროფესიული ბალეტის ფუძემდებელი, სსრკ სახალხო არტისტი (1950) – 140.

ჭავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე (1786-1846), პოეტი, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი (1841) – 47.

ჭავჭავაძე დავით ზაქარიას ძე (1878-1920), სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, ქართული ცხენოსანი ლეგიონის შექმნის ინიციატორი დავით შალიკაშვილთან (1886-1940) ერთად – 25.

ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე (1837-1907), საზოგადო მოღვაწე, პოეტი, მწერალი – 47, 119, 126, 142, 164, 167, 220, 222, 276, 306, 325, 347-349, 362, 375, 383, 385, 394, 397-398, 401.

ჭავჭავაძე (ჭავჭავაძევი) სპირიდონ მიხეილის ძე (1878-1952), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, გენერალი, 1924 წელს ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებულ ძალთა მთავარსარდალი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. 1947 დაბრუნდა საქართველოში. 1951 დააპატიმრეს და 25 წელი მიუსაჯეს. 1952 გარდაიცვალა ტყვეობაში – 66, 200-201, 260, 309-310.

ჭილაშვილი, სამხედრო მოღვაწე, მაიორი. 1918-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის დაზვერვის განყოფილების უფროსის თანაშემწე – 95.

ჭიჭინაძე ალექსი ბესარიონის ძე (1917-1994), ბალეტის მსახიობი, ბალეტმაისტერი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1966), რსფსრ სახალხო არტისტი (1972). 1967-70 ვარშავის ეროვნული თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელი, 1971-84 მოსკოვის კ. სტანისლავსკის სახელობის მუსიკალური თეატრის ბალეტმაისტერი. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მოღვაწეობდა ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში – 295, 420.

ჭონქაძე დანიელ გიორგის ძე (1830-1860), მწერალი, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი. მისი ერთადერთი ნაწარმოებია ეროვნული მოთხრობა „სურამის ციხე" – 47.

ჭყონია სევერიან (1895-1939-მდე), სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი, მფრინავი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 199.

ხ

ხანიბალი, იხ. ჰანიბალი ბარკა.

ხახანიშვილი დ., კომპოზიტორი – 141.

ხელაძე ეკატერიან, სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, ინჟინერი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 200, 208, 273.

ხირსელი, პოლონეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელმა ნაცისტებმა შეიპყრეს და წამებით მოკლეს – 211.

ხომერიკი, სამხედრო მოღვაწე, პოდპოლკოვნიკი. 1918-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის კადრების განყოფილების უფროსი – 96.

ხოშტარია, სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი. დაიჭრა ტაბახმელასთან ბრძოლაში – 162.

ხრუშჩოვი ნიკიტა სერგის ძე (1894-1971), საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მუშაკი, სკკპ ცკ-ის პირველი მდივანი (1953-64), სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1958-64), საბჭოთა კავშირის გმირი (1964), სოციალისტური შრომის გმირი (1954, 1957, 1961) – 270, 329.

ხუბაშვილი ია ბაგრატის ასული (დ. 1955), ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (2003). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი – 8.

ხუნდაძე გედეონ (გენადი, გენო), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, II მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 202, 211, 330.

ხუცეს-მონაზონი, იხ. გიორგი მცირე, ხუცესმონაზონი.

ხუჭუა პავლე ეასილის ძე (1905-1986), მუსიკათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1949), საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1945) – 139.

ჯ

ჯავახიშვილი გიორგი (გოგი, გოგია) (1900-1979), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, II მსოფლიო ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 202, 208, 273, 320, 340-341, 345-346.

ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე (1876-1940), საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939) – 93, 118, 135, 329.

ჯავახიშვილი (ნამდვ. გვარი – ადამაშვილი) მიხეილ საბას ძე (1880-1937), საზოგადო მოღვაწე, მწერალი. რეპრესირებულია 1937 – 196, 249, 310, 380.

ჯამასპიშვილი ივანე (ვანიჩა) გიორგის ძე (?-1922), დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი. 1921 ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმთან ერთ-ერთი შეტაკების დროს, დაჭრილი ჯამასპიშვილი ბოლშევიკებმა შეიპყრეს და დახვრიტეს 1922 წლის სექტემბერში. ემიგრანტულ პრესაში და თანამებრძოლების მოგონებებში ხშირად ახსენებენ ჯამასპიშვილის მიერ დედისადმი გაგზავნილ წერილს, თუმცა თავად ტექსტის შინაარსი უცნობია – 162.

ჯანშვილი მოსე გიორგის ძე (1855-1934), საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, პედაგოგი – 126.

ჯანაშია სიმონ ნიკოლოზის ძე (1900-1947), ისტორიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1943), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946) – 135, 284.

ჯაფარიძე რევაზ (რეზო) ანდრიას ძე (1923-1999), მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი (1983), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1993) – 214.

ჯიბლაძე სილიბისტრო ბესარიონის ძე (ფსევდ.: სილეა, ს) (1859-1922), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული კრებისა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დაპატიმრეს და დახვრიტეს – 97.

ჯინჭარაძე ალექსანდრე (საშა) დავითის ძე (1897-1970), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, საფრანგეთის არმიის უცხოური ლეგიონის მაიორი, საპატიო ლეგიონის ორდენისა და საბრძოლო ჯვრის კავალერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი – 188.

ჯიღაური გიორგი, იხ. ჯიღაური გიორგი მიხეილის ძე.

ჯიღაური გიორგი მიხეილის ძე (1901-?), გეოლოგი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი (1960), სტალინური პრემიის ლაურეატი (1951) – 167.

ჯიჯიხია არტემ მურზაყანის ძე (1874-1938), სამხედრო მოღვაწე, გენერალი (1919), I მსოფლიო ომის მონაწილე, იბრძოდა აღმოსაველეთ პრუსიის ფრონტზე. 1918-19 მე-4 პოლკის შტაბის უფროსი, 1919-21 ეროვნული გვარდიის სამმართველოს უფროსი. რეპრესირებულია 1938 – 27, 32-33, 35, 98, 109-110, 112, 160, 171, 177, 393, 414.

ჯობაძე ვახტანგ ნიკოლოზის ძე (1917-2007), ხელოვნების ისტორიკოსი, ახლო აღმოსავლეთის ქართული კულტურის მატერიალური ძეგლების მკვლევარი, ოუტის, პარეარდისა და კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტების პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1966) – 361.

ჯორჯაძე არჩილ კონსტანტინეს ძე (ფსევდ.: საბუელი) (1872-1913), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი. ქართველ რევოლუციონერთა ჟენევის კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე (1904), გაზეთ „საქართველოს“ (საფრ.) რედაქტორი (1903-05), ქართული საზოგადოებრივი აზრის მკვლევარი – 304.

ჯუღელი ვალიკო (ვალერიან) ანთიმოზის ძე (1887-1924), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, საქართველოს სახალხო გვარდიის სარდალი, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ (დამკომი) წევრი. 1918-21 წლებში მომხდარი ყველა ბრძოლის მონაწილე. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაში წავიდა, მაგრამ მალე კვლავ საქართველოში დაბრუნდა 1924 წლის აჯანყების მოსამზადებლად. 1924 წელს, აგვისტოს აჯანყების დაწყებამდე, „ჩეკამ“ დაპატიმრა და იმავე წლის აგვისტოში დახვრიტა. გამოცემული აქვს მოგონებები-დღიური – „მძიმე ჯვარი“ (ტფილისი, 1920 წ.) – 8, 12, 26-27, 30, 62, 87.

ჰ

ჰანიბალი ბარკა (ძვ. წ. 247/246-183), კართაგენის მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე – 40, 42.

ჰიტლერი (ნამდვ. გვარი – შიკლგრუბერი) ადოლფ (1889-1945), ფიურერი, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ლიდერი, ნაცისტური გერმანიის რაიხსკანცლერი (1933-45), შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდალი (1941-45). სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა – 212-313, 319.